



В. Фомин

ბ. გ. ბეჟინსკი

რ რ ე უ ლ ი
ფილოსოფიური
თხზულებანი

თარგმანი

მ. კ. მგალობლიშვილისა

ა. მუთელიას

წინასიტყვაობით

სახელგამი

კოლიტლიტერატურის სემბორი

1948

ბ. ბ. ბელინსკის „რჩეულ ფილოსოფიურ თხზულებათა“ კრებულში, რომელიც „რუსული ფილოსოფიის კლასიკოსების“ სერიიში შედის, შეტანილია ბელინსკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტატიები, რეცენზიები. წერილები და ნაშრომთა ნაწყვეტები, მიქლვინის ფილოსოფიისა და სოციალიზმის საკითხებისადმი.

ბელინსკის ყველა ეს ნაშრომი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ევოლუციურ მათერიალიზმისა და რევოლუციური დემოკრატიზმისაკენ, გვიჩვენებს ბელინსკის, როგორც „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედის“ (ლენინი), როლს. წიგნი საბჭოთა ინტელიგენციისათვის არის გათვალისწინებული და შეიძლება დაგხმარე სახელმძღვანელოდ გამოდგეს რუსული ფილოსოფიის ისტორიის, ლიტერატურის კრიტიკის ისტორიისა და XIX საუკუნის რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლის დროს.

ბ. ბ. ბელინსკი და მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა

ბ. ბ. ბელინსკი განსაკუთრებული ფილოსოფიური უნარით დაჯილდოებული ადამიანი იყო. ვ. თ. ოდოევსკი აღნიშნავდა, ბელინსკი იყო „ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ფილოსოფიური არსება, როგორც კი ცხოვრებაში ოდესმე შემხვედრიაო“. ა. ი. გერცენი აგრეთვე აღნიშნავდა ბელინსკის განსაკუთრებულ ფილოსოფიურ უნარს. ხოლო ნ. გ. ჩერნიშევსკი აღტაცებული იყო „მისი დიალექტიკის მძლავრი ძალით“. მაგრამ ფილოსოფიურად იდეები, მათი დასკვნები და დებულებანი ბელინსკისათვის გონების განმანათლებელი და სულის დამამშვიდებელი განყენებული საკითხები კი არ იყო, არამედ სიკვდილისა და სიცოცხლის, სინდისისა და მრევალეობის საქმე. ფილოსოფიურ იდეებში დაეძებდა და პოულობდა იგი მთელი თავისი სიცოცხლისა და მოღვაწეობის გამართლებას, ეს მოღვაწეობა კი მხოლოდ ერთ მიზანს — სამშობლოსა და კაცობრიობის კეთილდღეობას ემსახურებოდა.

გერცენი ახასიათებდა ფილოსოფიისადმი თავისი მეგობრის დამოკიდებულებას და სწერდა: „ერთხელ ბელინსკი მთელი საათების განმავლობაში უარპყოფდა ბერლინელთა მორცხვ პანთეიზმს; შემდეგ იგი ადგილიდან წამოდგა და თავისი მთრთოლვარე, ჩახლეჩილი ხმით განაცხადა: „თქვენ გინდათ დამარწმუნოთ, რომ ადამიანის მიზანია აბსოლუტური სულის მიყვანა მის თვითშემეცნებამდე. და ამ როლით

კმაყოფილებით; მე კი იმდენად სულელი არა ვარ, რომ ვისიმე უნებლიე საყვირი გავხდე. თუ მე ვფიქრობ, თუ ვიტანჯები — თვით ჩემი თავისთვის. თქვენი აბსოლუტური სული, თუ იგი არსებობს, ჩემთვის უცხოა. მე სულაც არ მესაჭიროება ვიცნობდე მას, რადგან მასთან საერთო არაფერი მაქვს“.

ამ სიტყვების შემდეგ გერცენი სწერს: „ჩვენ ეს სიტყვები, მხოლოდ იმისთვის მოგვყავს, რომ ერთხელ კიდევ ცხადვით რუსული გონების წყობა. როგორც კი დაიწყეს ქადაგება დუალიზმის უაზრობაზე, პირველმავე ნიჭიერმა რუსმა ადამიანმა, რომელიც გერმანულ ფილოსოფიას ჩაუჯდა, მიუთითა, რომ ეს ფილოსოფია რეალისტური იყო მხოლოდ სიტყვით, საფუძვლით კი რჩებოდა მიწიერ რელიგიად, რელიგიად; რომელსაც არ გააჩნია ცა, ლოგიკურ მონასტრად, რომელსაც თავს აფარებენ იმისათვის, რომ განყენებულ სამყაროში გადაეშვან“¹.

სხვა ადგილას გერცენი აღნიშნავს, რომ ბელინსკი „ფილოსოფიურ იდეებს ცხოვლად, მარჯვედ, ორიგინალურად ახამებდა რევოლუციურ იდეებთან“². დიახ, ბელინსკი რევოლუციურ იდეებთან ფილოსოფიური იდეების შეხამების დიდი ოსტატი იყო. ბ. ბელინსკი იყო დიდი რევოლუციური დემოკრატი.

ბელინსკიმ თავისი მოღვაწეობა, იმდროინდელი ვითარების გამო, უმთავრესად ლიტერატურული კრიტიკის გზით წარმართა. „ჩვენ არ ვიცით,—სწერდა ჩერნიშევსკი ბელინსკის შესახებ,—მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკული მოღვაწეობისთვის შექმნა თუ არა იგი ბუნებამ: გენიალური ადამიანისათვის მისაწვდომია მრავალი სარბიელი, იგი მოღვაწეობს იმ ასპარეზზე, რომელიც მოცემულ ვითარებაში ყველაზე

¹ ა. ი. გერცენი, რევოლუციური იდეების განვითარების შესახებ რუსეთში, თხზ., ტ. VII, გვ. 384 — 385.

² ა. ი. გერცენი, თხზულებათა და წერილების სრული კრებული. ტ. XII, გვ. 21.

ფართოდ და ნაყოფიერად მიაჩნია. მაგრამ მგონია, რომ ინგლისში ეს კაცი იქნებოდა პარლამენტის ორატორი, იმდროინდელ გერმანიაში — ფილოსოფოსი, საფრანგეთში — პუბლიცისტი, რუსეთში კი იგი პუშკინზე დაწერილი სტატიების ავტორი გახდა“¹.

ბელინსკის ეპოქაში ლიტერატურა ის სფერო იყო, სადაც თავს იყრიდა როგორც ყველა ძირითადი ლიტერატურული, ისე ფილოსოფიური, რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური საკითხები. დეკაბრისტების აჯანყებით და დასავლეთში რევოლუციის აზვირთებით დამფრთხალი ბატონყმურა თვითმპყრობელობის სასტიკი დიქტატურის პირობებში ფილოსოფიურ, რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე არავითარი მოწინავე აზრის გამოთქმა არ შეიძლებოდა თუნდაც შემოვლთი გზით. ლიტერატურა იყო ერთადერთი სფერო, სადაც რისიმე თქმა შეიძლებოდა. რასაკვირველია, აქაც ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ მიკიბულ-მოკიბულად და შემოვლთით. „ბუნებამ მე მომისაჯა ძალღვივით ყეფა და ტურასავით კივილი, გარემოებანი კი მაიძულებენ კატასავით ვიკრუსუნო და მელიასავით კუდი ვაჭიციონო“, — მწუხარებით სწერდა თვითონ ბელინსკი. მაგრამ ლიტერატურა, როგორც ითქვა, მაინც ერთადერთი სფერო იყო, სადაც თუნდაც შემოვლთით და ნართაულად ლაპარაკი შეიძლებოდა. ამიტომ ლიტერატურაში და ლიტერატურულ კრიტიკაში თავს იყრიდა ყველა უმნიშვნელოვანესი და საჭირობოროტო საკითხი, ამიტომ მიაშურა ამ სფეროს ყველა გამომჩენილმა მოღვაწემ. „ჩვენი განათლება არის ჩვენი ლიტერატურის უშუალო მოქმედება საზოგადოების წარმოდგენებსა და ზნე-ჩვეულებებზე“, — სწერდა თვით ბელინსკი.

¹ „ლიტერატურნოე ნასლედი“, № 25 — 26, 1936 წ., გვ. 141. აქ დაბეჭდილია ბელინსკის ბრწყინვალე დახასიათება, რასაც ჩერნიშევსკი იძლევა როგორც ჩანს, ეს დახასიათება. ცენზურული პირობების გამო ვერ მოხდა „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევში“.

ბელინსკი, ამ ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, დასავლეთ-ევროპული ტიპის ჩვეულებრივი ლიტერატურული კრიტიკოსი როდი იყო. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები გაყდენთილია ფილოსოფიური, მორალური და პოლიტიკური საკითხებით; ეს სტატიები ხელოვნების ნაწარმოებთა ფილოსოფიური და პოლიტიკური ანალიზის ნიმუშებია. ამიტომ არ შეიძლება ბელინსკის მოღვაწეობის შემოფარგლვა მხოლოდ ლიტერატურის სფეროთი, რაგინდ დიდი იყოს მისი ღვაწლი ლიტერატურის დარგში. ბელინსკი არა მარტო გენიალური კრიტიკოსია, იგი არის გენიალური ფილოსოფოსი, დიდი რევოლუციური დემოკრატი; ბელინსკი რუსი ხალხის გენიალური შვილი, მისი სიამაყე და ღიღებაა.

I

ბესარიონ გრიგოლის-ძე ბელინსკი წარმოშობით უაზნო იყო. მამამისი ფლოტში მკურნალად მსახურობდა, ბაბუა კი მღვდელი იყო პენზის გუბერნიის სოფ. ბელინში, საიდანაც წარმოსდგა კიდევ ბელინსკის გვარი. დედამისი ფლოტის მოსამსახურის ქალიშვილი იყო. ბ. გ. ბელინსკი დაიბადა 1811 წლის 1 ივნისს ქ. სჟეაბორგში. 1816 წელს ბელინსკის მამამ ფლოტში სამსახურს თავი დაანება და ქ. ჩემბარს დასახლდა. დიდი კრიტიკოსის ბავშვობა არასასიხარულო იყო. მამა, თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი, ხელს გადაჰყვამდა და ლოთობდა. ოჯახი დიდ გაჭირვებას განიცდიდა, ხშირი იყო უსიამოვნება. „მე ოჯახში უცხო ვიყავი“, — ამბობდა თვითონ ბელინსკი.

1820 წელს ბელინსკი ჩემბარის სამაზრო სასწავლებელში მიაბარეს. უკვე სკოლაშივე პატარა ბელინსკი ყურადღებას იპყრობდა თავისი ჭკუითა და დამოუკიდებლობით, ნაკითხობითა და საზრიანობით, აგრეთვე საკუთარი ღირსების გრძნობით.

1825 წელს, ჩემბარის სამაზრო სასწავლებლის დამთავრე-

ბის შემდეგ, ბელინსკი პენზის გიმნაზიაში შევიდა. გიმნაზია ერთფეროვნებას და რუტინას: არ შეეძლო ბელინსკის მადიგბელი და დამოუკიდებელი გონების დაკმაყოფილება. ამიტომ უკვე აქ, უნივერსიტეტში შესვლამდე, გენიოსი ჭაბუკი ცოდნას ივსებდა და უმთავრესად დამოუკიდებელ კითხვას ეწაფებოდა; იგი კითხულობდა ისეთ წიგნებსა და ჟურნალებს, რომლებიც არათუ პროგრამით გათვალისწინებული არ იყო, არამედ პროგრამის სულისკვეთებას აშკარად ეწინააღმდეგებოდა. ამის შედეგად, როგორც ბელინსკისთან დაახლოებული გიმნაზიის მასწავლებელი პ. პოპოვი აღნიშნავს, მომავალი დიდი კრიტიკოსი ოფიციალური უსულგულო შეფასებით თითქმის უკანასკნელ მოწაფედ ითვლებოდა, ნამდვილად კი პირველი მოწაფე იყო.

1829 წელს, გიმნაზიის კურსის დაუმთავრებლად, მრავალი სიძნელისა და დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, ბელინსკი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სიტყვიერების ფაკულტეტზე, ხაზინის ხარჯზე მყოფ სტუდენტად. უნივერსიტეტში, რომლისკენაც ბელინსკი ასე ენერგიულად მიისწრაფოდა, ვერ მიიზიდა იგი თავისი სწავლებით; მაგრამ სამაგიეროდ აქ ბელინსკიმ მრავალი ნიჭიერი და მოწინავე ახალგაზრდა გაიცნო და სწრაფად დაუახლოვდა მათ. უკვე ერთი წლის შემდეგ, 1830 წლის შემოდგომაზე, ბელინსკი მეთაურობს სტუდენტთა წრეს, რომელიც უაზნოთაგან შესდგებოდა. ამ წრეში სწავლობდნენ რუს და უცხოელ ავტორთა აკრძალულ წიგნებს. აქ წაიკითხა 19 წლის ბელინსკიმ ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართული თავისი დრამა „დმიტრი კალინინი“, რომელიც რადიშიჩევის აშკარა გავლენით დაიწერა. ბელინსკი მალე შენიშნეს: „თვალყური ადევნეთ ამ ყმაწვილს; პირველი შემთხვევისთანავე იგი უნდა გავაძევეთ“, — განკარგულება გასცა რექტორმა. შემთხვევაც მალე მიეცათ: ეს იყო ბელინსკის ხსენებული დრამა „დმიტრი კალინინი“, რომელიც მან 1831 წელს წარადგინა საცენზურო კომიტეტში, სადაც უნივერსიტეტის პროფესორები შედიოდნენ. ამ დრამაში ბელინსკი თავისი მთავარი გმირის პირით ამბობს: „უნდ მიცვადა მძინათა

ერთ ჯგუფს ეს დამლუპველი უფლება — თავისი ძალაუფლებით დაიმონონ მათ მსგავს სხვა არსებათა ნება, წაართვან მათ წმინდა საუნჯე — თავისუფლება? ბატონს შეუძლია თავშესაქცევად და გასართობად ტყავი გააძროს თავის მონას, შეუძლია პირუტყვივით გაჰყიდოს ის, გადასცვალოს ძალზე, ცხენზე, ძროხაზე, სამუდამოდ მოსწყვიტოს დედ-მამას, დაძძას, ყველაფერს, რაც მისთვის საყვარელი და ძვირფასია“. ეს დრამა ცენზურამ სცნო „უზნეო ნაწარმოებად, რომელიც უნივერსიტეტს არცხვენს“, და იმის საბაზი გახდა, რომ მისი ავტორი 1832 წლის სექტემბერს უნივერსიტეტიდან გაერიცხათ. ბელინსკი უნივერსიტეტიდან გარიცხეს „ნიჭის შეზღუდულობის“ მოტივით, მოტივით, რომელმაც სამუდამოდ შეარცხვინა მისი ავტორები. რუსული და მსოფლიო კრიტიკის გენიოსი სიტყვიერების ფაქულტეტიდან გარიცხეს „ნიჭის შეზღუდულობის“ გამო! ჭეშმარიტად, უნივერსიტეტის მაშინდელმა მესვეურებმა, რომლებმაც ეს სისულელე მოჩმახეს, ცხადჰყვეს, რამდენად „შეზღუდული ნიჭის“ პატრონი იყვნენ თვითონ ისინი.

ეს მძიმე განსაცდელი იყო, მაგრამ ახალგაზრდა ბელინსკი არათუ სულით არ დაეცა, არამედ კიდევ უფრო გამოიწროთ. როგორც ეს სჩვევია ადამიანს, რომელსაც ღრმად სწამს თავისი იდეების სიმართლე და სიდიადე.

1833 წლის 20 სექტემბერს ბელინსკი დედამისს სწერდა: „მე არასოდეს და არსად არ დავიკარგები, თუმცა სასტიკი ბედი მუდამ მდევნის. დალუპვას გადამარჩენს სუფთა ღინდისი, იმაში დარწმუნებულობა, რომ უბედურება არ დამიმსახურებია, ერთგვარი ჭკუა, გამოცდილების გვარიანი მარაგი, ყველაზე მეტად კი — ხასიათის ერთგვარი სიმტკიცე. ჩემს უბედურებას არათუ ვუჩივი, არამედ იგი კიდევ მახარებს. საკუთარი გამოცდილებით მივხვდი, რომ უბედურების სკოლა საუკეთესო სკოლაა. მომავალი არ მაშინებს“¹.

¹ მოგვყავს ა. ნ. პიპინის შრომიდან: „ბელინსკი. მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“, ტ. I, გვ. 89, 1876.

დიპლომის მიღების შესაძლებლობის დაკარგვამ ბელინსკის ვერ დააკარგვინა თავისი მომავლის რწმენა, რადგან ეს მომავალი მას წარმოედგინა არა ოფიციალური ცენზით და დიპლომით უზრუნველყოფილი მშვიდი და მაძლარი ცხოვრების სახით, არამედ მხოლოდ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის სახით. ბელინსკის ისღა რჩებოდა, რომ თვითონ მოეკიდნა ხელი სწავლისათვის და იმავე დროს ბრძოლა განეგრძო. განსაკუთრებით ბევრი მისცა მას სტანკევიჩის განთქმულმა წრემ; ამ წრეში ბელინსკი შევიდა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტიდან გარიცხეს—1833 წლის შემოდგომაზე. ამ წრეში, სადაც შედიოდნენ კ. აქსაკოვი, კუდრიავეცივი, კეტჩერი და პოეტი კლიუშნიკოვი, შემდეგ კი ბოტკინი და ბაკუნინი, გაძლიერებით სწავლობდნენ ფილოსოფიას და ლიტერატურას. აქ, ცხარე კამათის პროცესში, ჩამოყალიბდა ბელინსკის განსაკუთრებული ფილოსოფიური გონება.

ცნობილია, რომ ბელინსკის ყველა ლიტერატურული მტრები — და არა მარტო მტრები, არამედ ზოგიერთი ლიბერალი შეგობრებიც — არასოდეს შემთხვევას არ უშვებდნენ წერილობით ან ზეპირად ეწოდებინათ მისთვის „სწავლამოუთავებელი სტუდენტი“. მაგრამ ამას, როგორც დიდი ზანია სამართლიანად აღინიშნა, შეიძლებოდა გავლენა ჰქონოდა მხოლოდ იმ გონებაშეზღუდულ ადამიანთა თვალში, რომლებსაც დიპლომი მიაჩნდათ არა მარტო დიდი სწავლულობის, არამედ აგრეთვე ღრმა ჰკუის ერთადერთ საბუთად. მაგრამ როგორ დასცინა ისტორიამ ამ დიპლომიან და ტიტულებიან სწავლულებსა და კრიტიკოსებს!

1833 წელს ბელინსკიმ თანამშრომლობა დაიწყო ნადეჟდინის ჟურნალ „ტელესკოპში“ და მის დამატება „მოლვაში“. სადაც თავდაპირველად ფრანგულიდან თარგმნილ მასალებს ათავსებდა. 1834 წლის სექტემბერს ახალგაზრდა კრიტიკოსმა „მოლვაში“ დაიწყო თავისი დიდი კრიტიკული სტატიის. განთქმული „ლიტერატურული ოცნებების“ ბეჭდვა, რომელმაც გაბედული და ახლებური მსჯელობით მაშინვე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. ამ დროიდან ბელინსკის მჩქეფარე ლი-

ტერატურული მოღვაწეობა სიკვდილამდე არ შეწყვეტილა. იგი „ტელესკოპსა“ და „მოღვაში“ მუშაობდა 1838 წლამდე, როდესაც ეს ჟურნალები დახურეს იმიტომ, რომ „მოღვაში“ დაიბეჭდა პ. ჩაადაევის პირველი „ფილოსოფიური წერილი“.

1838 — 1839 წლებში ბელინსკი „მოსკოვსკი ნაბლიუდა-ტელის“ ფაქტიური რედაქტორი გახდა. 1839 წლის ზაფხულს ბელინსკი პეტერბურგს გადავიდა და თანამშრომლობა დაიწყო კირეევსკის ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“, რომელშიც 1846 წლამდე მუშაობდა. ბელინსკის მოღვაწეობის მეოხებით ამ ჟურნალმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და დიდი პოპულარობა მოიპოვა.

1843 წლის ნოემბერში ბელინსკიმ ცოლად შეირთო მ. ოროგა.

1846 წელს ბელინსკიმ ურთიერთობა გასწყვიტა კირეევსკისთან, რომელიც სასტიკ ექსპლოატაციას უწევდა მის კეთილშობილებას და პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოუცდლობას, და თანამშრომლობა დაიწყო „სოვრემენნიკში“, რომელიც ნეკრასოვისა და პანაევის ხელში გადავიდა. სასწრაფო და ინტენსიურმა საჟურნალო მუშაობამ, მუდმივმა ძატერიალურმა გაჭირებამ შეარყია დიდი კრიტიკოსის ისედაც სუსტი ჯანმრთელობა. 1847 წლის მაისში ბელინსკი, მისი მეგობრების მიერ შეგროვილი ფულით, საზღვარგარეთ წავიდა სამკურნალოდ. მაგრამ საზღვარგარეთ მკურნალობამ მას ვერ უშველა, თანაც გული საყვარელ სამშობლოსაკენ მოუწევდა. იმავე წლის სექტემბერს იგი პეტერბურგში დაბრუნდა. მისი საბოლოოდ შერყეული ჯანმრთელობა სულ უფრო უარესდებოდა, ვიდრე, 1848 წლის 7 ივნისს, 37 წლის კრიტიკოსს სიკვდილმა საცოცხლე არ მოუტყარათა.

სიკვდილის წინაც კი მისი აზრი ხალხს დასტრიალებდა, სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი, იგი თავის ხალხზე ლაპარაკობდა და სულთმობრძავს ეს სიტყვები ბაგეზე შერჩა. „სიკვდილის წინ, — გადმოგვცემს ტურგენევი, — იგი ორი საათი ლაპარაკობდა განუწყვეტლივ, თითქოს რუს ხალხს ელაპარაკებოდა; ხშირად მიმართავდა ცოლს, სთხოვდა ყოველივე კარ-

გად დაემახსოვრებინა და სწორად გადაეცა მისი სიტყვები; ვისთვისაც ჯერ არს; მაგრამ ამ გრძელი სიტყვიდან თითქმის არაფრის გაგება აღარ შეიძლებოდა. შემდეგ იგი ანაზღაურ დაჩუმდა და, საშინელი აგონიით შეპყრობილმა, ნახევარ საათნუსული განუტევა“. ეს ცნობები ტურგენევისა და ჭეცოვას, ბელინსკის ახლობლებისაგან მიიღო. შემდგომში ბელინსკის ცოლიც კი აღადგინა მისი კრიტიკოსის მიერ სიკვდილის წინ ხალხმისამართით წარმოთქმული სიტყვის ზოგიერთი შინაარსი. ცოლისდის სიტყვებით, ბელინსკი ხმამაღლა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, აჩქარებით და სულშეხუთული ლაპარაკობდა „გენიაზე“. პატიოსნებაზე, აგრეთვე იმაზე, რომ ახლა მას ვერ გაუგებია. მაგრამ შემდეგ გაუგებენ“.

სიცოცხლეშივე ბელინსკიმ უზარმაზარი გავლენა მოიპოვა მთელ მოაზროვნე და მოწინავე რუსეთში. მის სტატიებს, რომელთა მეტი წილი ხელმოუწერელი იყო. ყველა ერთბაშად ცნობდა; ამ სტატიებს მოუთმენლად მოელოდნენ, ხარბად ეწაფებოდნენ, გერცენი „წაჩსულსა და ფიქრებში“ გადმოგვცემს, რა სულსწრაფვით მოელოდა ბელინსკის სტატიებს ახალგაზრდობა მოსკოვსა და პეტერბურგში ყოველი თვის 25 რიცხვიდან. სტუდენტები რამდენჯერმე შედიოდნენ ყავახანებში, რათა გაეგოთ, მიღებულა თუ არა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ მორიგი ნომერი. ეურნალს რომ დაინახავდნენ, კითხულობდნენ, შიგ ბელინსკის სტატია არის თუ არაო. და ხელიდან სტაცებდნენ. ამასვე გადმოგვცემენ ი. პანაევი და ვ. სტასოვი.

ბელინსკის კრიტიკული სტატიების ფართო ყურადღება მართოდენ ლიტერატურის სფეროთი არ იფარგლებოდა. რადგან მათში ლიტერატურულ საკითხებთან ერთად განხილული იყო ყველაზე მწვავე პოლიტიკური საკითხები. ბელინსკის ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები იწვევდნენ

1 ა. ვ. ო რ ლ ო ვ ა, მოგონებებიდან ბ. გ. ბელინსკის ოჯახური ცხოვრების შესახებ, იხ. კრებული: „ბ. გ. ბელინსკი თანამედროვეთა მოგონებებით“. გვ. 360, 1929.

დესპოტიზმისადმი სიძულვილს, ნერგავდნენ მოწინავე დემოკრატიულ იდეებს, ისინი პოლიტიკური აღზრდის მთელ სკოლას წარმოადგენდნენ.

ვ. სტასოვი აღნიშნავს, რა ხარბად ეწაფებოდნენ მოწინავე ახალგაზრდები „ფტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ყოველ ნომერს, როგორ ყიდულობდნენ ერთმანეთისაგან ჟურნალის ადრე წაკითხვის უფლებას, და სწერს: „ბელინსკი გადაჭრით ჩვენი ნამდვილი აღმზრდელი იყო. არავითარ კლასს, კურსებს, თხზულებათა წერას, გამოცდებს და ყოველივე დანარჩენს ჩვენი განათლებისა და განვითარებისათვის იმდენი არ გაუყვებოდა, რამდენიც მარტოოდენ ბელინსკიმ გააკეთა თავისი ყოველთვიური სტატიებით. ჩვენ ამ მხრივ არ გამოვიჩინებოდით იმდროინდელი დანარჩენი რუსეთისაგან. ბელინსკის უდიდესი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ამოიწურებოდა მარტო ლიტერატურული ნაწილით; იგი გვიხელდა თვალს, გვიწრთობდა ხასიათს, ძალოვანი ადამიანის ხელით სჩეხდა პატრიარქალურ ცრურწმენებს, რომლებითაც ცხოვრობდა მის დრომდე მთლიანად მთელი რუსეთი, იგი შორიდან ამზადებდა იმ საღ და მძლავრ გონებრივ მოძრაობას, რომელიც განმტკიცდა და მეოთხედი საუკუნის შემდეგ აზვირთდა“.

ბელინსკის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის ასეთი უდიდესი გამარეგოლუციონერებელი გავლენა არ შეიძლება მეფის თვითმპყრობელობას შეუმჩნეველი დარჩენოდა. მხოლოდ სიკვდილმა იხსნა დიდი კრიტიკოსი საპყრობილესგან. სადაც ასე „თავაზიანად“ ეპატიებოდა მას პეტრე-პავლეს ციხის კომენდანტი. ეს ჯალათი, როგორც გერცენი გადმოგვცემს, როცა კი ბელინსკის ნევის პროსპექტზე შეხვდებოდა ხოლმე. წრავალმნიშვნელოვანი ხუმრობით ეტყოდა: „ჩვენთან როდის-ღა მობრძანდებით? მე სავსებით მომზადებული მაქვს თბილი დილეგი და მას მხოლოდ თქვენთვის ვინახავ“. მაშინაც კი, როდესაც ბელინსკი ლოგინად იყო ჩავარდნილი და მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, დიდ კრიტიკოსს მესამე განყოფილება იზარებდა ახსნა-განმარტების მისაცემად. თუ თებერვალში დუბელტი ბელინსკის წინადადებას აძლევდა თვითონ გამოცხადე-

ბულიყო მესამე განყოფილებაში, რათა მას პირადად „გაცნობოდა“, მარტში უკვე დიდი ხნის მწოლიარე ბელინსკის მან ჟანდარში გაუგზავნა. მესამე განყოფილებაში დაბარებამ, შებდეგ კი ჟანდარმის ვიზიტმა ავადმყოფი კრიტიკოსი ღრმად შეაძრწუნა. დიდი კრიტიკოსის სიკვდილი რომ შეიტყო, დუბელტმა ცინიზმით სთქვა: „აფსუს! ჩვენ მას ცხეში გამოვალპობდით!“ მაგრამ ჟანდარმერიამ იგი სიკვდილის შემდგეგაც არ მოასვენა. მის ცხედარს სასაფლაოზე მიაცილებდა საჰი-ოთხი გადაცმული ჟანდარმი, ხოლო მისი სახელის წარმოთქმა, როგორც „სახელმწიფო დამნაშავის“ სახელისა, დიდხანს აკრძალულე იყო.

აქვე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ ბელინსკის გარეგნობაზე, მით უმეტეს, რომ მისი შემორჩენილი ცნობილი ლითოგრაფიული პორტრეტი, როგორც ი. ს. ტურგენევი ამბობს, არასწორ წარმოდგენას იძლევა ბელინსკიზე.

თვით ტურგენევი ასე აგვიწერს ბელინსკის გარეგნობას: „ეს იყო საშუალო ტანის, ადამიანი, ერთი შეხედვით საკმაოდ ულამაზო და უშნოც კი, გამხდარი, მკერდჩავარდნილი და თავჩაქინდრული. ერთი ბეჭი მეორეზე შესამჩნევად წინ წამოწეული ჰქონდა. ყველას, არა მედიკსაც კი, მყისვე აოცებდა მასში კლექის ყველა მთავარი ნიშანი... თანაც იგი თითქმის გამუდმებით ახველებდა. მას ჰქონდა პატარა, ფერმკრთალი, მოყვითალო სახე, არასწორი, თითქოს ჩაჭყლელი ცხვირი... ქერა თმა სკლად გადმოშლოდა თეთრ, მშვენიერ, თუმცა დაბალ შუბლზე. მე არ მინახავს იმაზე უფრო ლამაზი თვალები, ვიდრე ბელინსკის თვალები. მისი ცისფერი თვალების სიღრმეში ოქროსფერი ნაპერწკლები ციალებდა; ჩვეულებრივად ნახევრად მოკუტული, წამწამებით დაფარული თვალები აგზნების ეამს უგანიერდებოდა და უბრწყინავდა. მხიარულების ეამს ამ თვალებში გულთბილი სიკეთისა და უზრუნველი ბედნიერების მომხიბლველი შუქი გამოკრთოდა. ბელინსკის სუსტი, ხრინწიანი, მაგრამ საამო ხმა ჰქონდა; ლაპარაკობდა განსაკუთრებული მახვილებით, ფშვინვით, „ჯიუტად, მღელვარედ და აჩქარებით“.

იცინოდა გულიანად, ბავშვივით. მას უყვარდა ოთახში სიარული, როდესაც ლამაზი პაწია ხელების თითებს სათუთუნებზე აკაკუნებდა, რომელშიც რუსული თუთუნი ეყარა... უცხო ადამიანთა შორის, ქუჩაში ბელინსკის ადვილად იპყრობდა შიში, იგი იბნეოდა. შინ ჩვეულებრივად ნაცრისფერი ბამბიანი სერთუკი ეცვა და საერთოდ ძალიან ლაზათიანად იყო. მისი კილო, მანერები, ტანის მოძრაობა ცხოვლად მოგაგონებდათ მის წარმოშობას, მთელი მისი ქცევა წმინდა რუსული, მოსკოვეური იყო“¹...

მაგრამ რამდენადაც იგი ფიზიკურად სუსტი იყო, იმდენად ძლიერი იყო სულიერად, შეუპოვარი და მგზნებარე მებრძოლი იყო. „მე ქვეყნად მებრძოლი ვარ“, — ამბობდა თვითონ ის თავის თავზე. უბრძოლველად, უმოქმედოდ მისთვის სიცოცხლეც არ არსებობდა. იგი თოფისწამალივით აენთებოდა, მისი ლოგიკა რკინისებური ხდებოდა, იგი მრისხანე ძალად იქცეოდა, როცა საჭმელში მის სასურველს რწმენას შეეხებოდა.

მაგრამ ამ მორცხვ ადამიანში, ამ უძლურ სხეულში, — სწერს გერცენი, — მძლავრ, გლადიატორულ ბუნებას დაესაღვურებინა! დიახ, ეს იყო ძლიერი მებრძოლი. მას არ შეეძლო ქადაგება. სწავლება, მას ესაჭიროებოდა დავა. თუ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა, თუ არ გააღიზიანებდნენ, იგი კარგად ვერ ლაპარაკობდა. მაგრამ როდესაც გაკენწლვას გრძნობდა, როდესაც მის ძვირფას რწმენას ეხებოდნენ, როდესაც ლოყებზე კუნთები აუთრთოლდებოდა და ხმა გაუწყდებოდა ხოლმე, მაშინ უნდა გენახათ იგი: მოწინააღმდეგეს ვეფხვივით ებგერებოდა, ნაფლეთებად გლეჯდა, სასაცილოდ, საბრალოდ აქცევდა და თანაც გზადაგზა უჩვეულო ძალით, უჩვეულო პოეზიით ავითარებდა თავის აზრს. დავა ხშირად თავდებოდა სისხლით, რაც ავადმყოფს ყელიდან წასკდებოდა ხოლმე. გაფითრებულს, სულშეხუთულს, მოლა-

¹ „ბესარიონ გრიგოლის-ძე ბელინსკი თანამედროვეთა მოგონებებით“, გვ. 209 — 210.

პარაკეზე თვალმიპყრობილს, მას აკანკალებული ხელით მიპქონდა ცხვირსახოცი პირთან და, თავისი ფიზიკური სისუსტით ღრმად შეწუხებული, გაცამტვერებული შეჩერდებოდა ხოლმე. როგორ მიყვარდა და როგორ მებრალბოდა იგამ წუთებში!“¹...

გენიოსების ხასიათში ყოველთვის არის რაღაც განსაკუთრებული, მკაფიო ნიშნები, რომლებიც ნათლად განსაზღვრავენ მათს პიროვნებას და განასხვავებენ მათ სხვებისაგან. ბელინსკის პირადი ხასიათის მთავარი ნიშანი იყო ცეცხლოვანი მგზნებარება. ბელინსკი მთლიანად გატაცება. ცეცხლი და მგზნებარებაა. „მგზნებარება ჩემი მშვენიერი სულის უმთავრესი ელემენტია. ეს მგზნებარება ჩემი ტანჯვისა და სიხარულის წყაროა“,—ამბობდა თვითონ ის. ამისათვის მას ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას უწოდეს მეგობრებმა „ბობოქარი ბესარიონი“, და ეს საუკეთესოდ გამოხატავს მისი ხასიათის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს. მაგრამ ბელინსკის მგზნებარება და „ბობოქრობა“ ჩვეულებრივი როდი იყო, ეს იყო რევოლუციონერის, მებრძოლის კეთილშობილური მგზნებარება.

ბელინსკი დაუცხრომელი და შეუდრეკელი მებრძოლი იყო. ბრძოლა მისი მოწოდება იყო, მის დანიშნულებად იქცა. ბელინსკი მოწოდებული იყო ახალი, დემოკრატიული იდეების გამოსახატავად. მაგრამ როგორ შეეძლო მას ამ იდეების დამკვიდრება უბრძოლველად, თავგანწირული ბრძოლის გარეშე! მისი ხასიათის პირადი თვისებები საუკეთესოდ შეესაბამებოდა საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს. „ახლა სავსებით და ცხოვლად ვგრძნობ, — ამბობდა თვითონ ბელინსკი, — რომ მე დაბადებული ვარ ბეჭდვითი სიტყვით საბრძოლველად და რომ ჩემი მოწოდება, სიცოცხლე, ბედნიერება, საზრდო არის პოლემიკა... როგორც კი საქმე შეეხება ჩემს გულითად რწმენას, მაშინ მომეცით კათედრა და ხალხი... და ჩემს ბაგეთაგან წამოვა მგზნებარე და ძლიერი სიტყვების ნიაღვარი“.

ბელინსკის მგზნებარება გამოწვეული იყო მისი მაღალი და კეთილშობილი იდეებით. დიდი და მოწინავე იდეების გარეშე ჭეშმარიტი მგზნებარება შეუძლებელია. მგზნებარების პათოსი განისაზღვრება იდეებისა და რწმენის სიდიადით. ბელინსკის მაღალი და დიადი იდეები, მისი რევოლუციურ-დემოკრატიული და პატრიოტული იდეები იყო „ბობოქარი ბესარიონის“ მგზნებარების წყარო. ეს შესანიშნავად გამოსთქვა მისმა დიდმა მემკვიდრემ და რევოლუციონერმა ჩერნიშევსკიმ ჩვენს შიერ ზემოთ მოტანილ ამონაწერში. „მის თითოეულ სიტყვას ასულდგმულებად სამშობლოს სიყვარული, მისი კეთილდღეობის აზრი, — სწერს ჩერნიშევსკი ბელინსკის შესახებ. — და მხოლოდ ამ მგზნებარე გატაცებით აიხსნება მისი მოღვაწეობის შეუდრეკელი, დაუცხრომელი ენერჯიაც და მისი მძლავრი გავლენაც საზოგადოებასა და ლიტერატურაზე“.

ამით აიხსნება ბელინსკის არა მარტო მგზნებარება, არამედ განსაკუთრებული მჭევრმეტყველებაც და გავლენის ძალა. „პუშკინზე დაწერილი სტატიების ავტორი, — სწერდა ჩერნიშევსკი ბელინსკიზე, — დაჯილდოებული იყო იშვიათი მჭევრმეტყველებით; ყველა მისი სტატია, რომლებიც დაწერილია სახელდახელოდ, გადაუსინჯავად და შეუსწორებლად, გადმოცემის უნივერსალობით უდავოდ მრეუთენება იმ საუკეთესოს, რაც კი დღემდე არის ჩვენს პროზაში; იშვიათად თუ ვინმე სწერდა ჩვენში ისე, როგორც ის... თუმცა აქ საკვირველიც არაფერია: ჭეშმარიტი მჭევრმეტყველებით დაჯილდოებულია კეთილშობილი ბუნების ადამიანი, რომელიც ენერჯიულად ესწრაფვის ჭეშმარიტსა და კეთილს. ყველა ორატორი მჭევრმეტყველი იყო იმიტომ, რომ მათ დიადი და კეთილშობილი სული ჰქონდათ.“

განა საჭიროა მისი დიალექტიკის მძლავრი ძალის აღნიშვნა? ესეც ხომ იმ ადამიანთა განუყრელი თვისებაა, რომლებიც დიდი ჭკუით განირჩევიან. ესეც ხომ ბუნებია მიერ იმ ადამიანებისათვის მინიჭებული აუცილებელი ჯილდოა, რომელთა სიცოცხლის მიზნად ბუნებას დაუსახავს მხოლოდ სი-

კეთის მაღალი იდეების გამოცხადება და რომლებიც არ იცნობენ არც ბედნიერებას, არც სიმშვიდეს, არც იმის სურვილს, რომ ამ მისწრაფების გარეშე ემსახურონ თავისი სამშობლოს სიკეთეს“¹...

II

ბელინსკის ცხოვრება და შემოქმედება მიმდინარეობდა რუსეთში ბატონყმურ-მემამულური მეურნეობის კრიზისის გაძლიერებისა და გაღრმავების და 1848 წლის რევოლუციური მოვლენების მომწიფების პირობებში. ბატონყმურ-თვითმპყრობელური რეჟიმის ყველა წყლული: ადამიანებით ვაჭრობა, უფლებობა, სილატაკე, უვიცობა, ბიუროკრატიზმი, ხაზინის ქურდობა, ფარისევლობა და სხვა — უაღრესად განვითარდა და გაღრმავდა. ამან აიძულა აზნაურობის საუკეთესო ადამიანები პროტესტი განეცხადებინათ და გაელაშქრნათ ძირმომპალი, მაგრამ დამკვიდრებული ბატონყმური თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1825 წელს იფეთქა დეკაბრისტთა აჯანყებამ. მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს. მაგრამ გამარჯვებამ თვითმპყრობელობას სიმშვიდე და რწმენა ვერ მოუტანა. საშინლად დამფრთხალმა თვითმპყრობელობამ კიდევ უფრო მოუჭირა თავისი საზარელი ბიუროკრატიული მანქანის ყველა ხრახნი. „უნდა დაგვემორჩილონ და თავისი აზრები თავისთვის შეინახონ“, — ასე ჩამოაყალიბა ნიკოლოზ პირველმა თავის ერთ-ერთ რეზოლუციაში თავისი პოლიტიკის მთელი პრინციპი.

დეკაბრისტთა აჯანყება სასტიკად ჩაახშეს, მაგრამ მან წარმოშვა რევოლუციონერთა ახალი თაობა. ამ თაობას ეკუთვნოდნენ ბელინსკი (აჯანყების დღეებში ის 14 წლის იყო). გერცენი, ოგარიოვი და სხვ.

¹ „ლიტერატურნოე ნასლედიე“, № 25 — 26, 1936 წ., გვ. 140 — 141.
22. ბ. გ. ბელინსკი

რუსეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის უკვე პირველ ეპოქაში — თავადაზნაურული პერიოდის ეპოქაში — რევოლუციური მოძრაობის ასპარეზზე გამოდიან და სულ უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებას იწყებენ უაზნოები — წერილი სამღვდელოებისა და მოხელეთა, მდაბიოთა და ვაჭართა წრიდან გამოსული ადამიანები. ბელინსკი, ეს გენიალური უაზნო, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობიდან უაზნოთა მიერ აზნაურობის სრული გაძევების წინამორბედი იყო. თავის სტატიაში „მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან“ ვ. ი. ლენინი სწერდა: „ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში უაზნოთა მიერ აზნაურთა სრული განდევნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს იყო ბ. გ. ბელინსკი“¹.

ბელინსკის ფილოსოფიური და კრიტიკულ-ლიტერატურული ნაწარმოებები ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ჩაგრული მასების პროტესტისა და ბრძოლის, მათი იმედების გამოხატულება იყო. ბელინსკი რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის უდიდესი მოთავე და წარმომადგენელი იყო. იგი მოუწოდებდა ბატონყმობისა და ცარიზმის რევოლუციური დამხობისაკენ. არ ცდებოდა ბელინსკის იდეური მტერი თავადი ვიაზემსკი, როდესაც ასეთი სიტყვებით ახასიათებდა დიდ კრიტიკოსს: „ბელინსკი, — სწერდა იგი, — სხვა არა იყო რა, თუ არა ლიტერატურული მეამბოხე, რომელიც ამბოხებას აწყობდა ჟურნალში, იმიტომ რომ ჩვენში არ იყო ადგილი ამბოხების მოსაწყობად მოედანზე“.

ამიტომ ებრძოდნენ ასე შეურიგებლად ბელინსკის მის სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ბატონყმობის ყველა დამცველნი, მონარქისტები და ლიბერალები; ამიტომაც ეს ბრძოლა მისი სიკვდილის შემდეგაც კი ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა და განსაკუთრებული სიმწვავეით ჩაღვებოდა ყოველ დაძაბულ ისტორიულ პერიოდში. 1909 წელს კადე-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. XXII, გვ. 341, მე-3 რუსული გამოცემა.

ტების კონტრარევოლუციურმა იდეოლოგიებმა თავიანთ ავად მოსაგონარ ჟურნალ „ვეხში“, გააფთრებული ბრძოლა გამოუცხადეს რა რუსული და საერთაშორისო დემოკრატიზმის საფუძვლებს, ლანძღვა-გინებით მოიხსენიეს და დევნა დაუწყეს დიდ რევოლუციონერ-დემოკრატ ბელინსკის. ბელინსკია განთქმული „წერილი გოგოლს“ „ვეხელებმა“ გამოაცხადეს „ინტელიგენტური განწყობილების მგზნებარე და კლასიკურ გამოხატულებად“. „ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია, ბელინსკის შემდეგ მოკიდებული, ცხოვრების შეგნების აზრით, სრული კოშმარია“, — გაიძახოდნენ ისინი. ვ. ი. ლენინს თავის სტატიაში „ვეხის შესახებ“ მოჰყავდა „ვეხის“, მისივე შესანიშნავი განსაზღვრით რომ ეთქვათ, ლიბერალური რენეგატობის ამ ენციკლოპედიის, ეს „აღმოჩენა“ და სწერდა: „ნამ ასე. ყმა გლეხების განწყობილება ბატონყმობის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, „ინტელიგენტური“ განწყობილება ყოფილა. ისტორია მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების პროტესტისა და ბრძოლისა 1861 წლიდან 1905 წლამდე რუსეთის ცხოვრების მთელ წყობაში ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, როგორც ჩანს, „სრული კოშმარი“ ყოფილა ან, იქნებ, ჩვენი ჰეკვიანი და განათლებული ავტორების აზრით, ბელინსკის განწყობილება გოგოლისადმი წერილში დამოკიდებული არ იყო ყმა გლეხთა განწყობილებაზე? ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია დამოკიდებული არ იყო ბატონყმური ჩაგვრის ნაშთებისაგან ხალხის მასებში გამოწვეულ აღშფოთებაზე?“¹.

ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ წარმოშვა და არ შეეძლო არ წარმოეშვა თავისი განმათავისუფლებელი ფილოსოფიური თეორია. ეს თეორია იყო რუსული კლასიკური მატერიალისტური ფილოსოფია. რუსული კლასიკური მატერიალიზმი განმათავისუფლებელი მოძრაობის საფუძვლზე წარმოიშვა და ამ მოძრაობასთან ერთად ვითარდებოდა. ბე-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. XIV, გვ. 219, მე-3 რუსული გამოცემა.

ლინსკი, როგორც განმათავისუფლებელი დემოკრატიული მოძრაობის ერთი უდიდესი მოთავეთაგანი, იმავე დროს რუსული კლასიკური მატერიალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და კლასიკოსია. მაგრამ ბელინსკი, როგორც ცნობილია, მატერიალიზმთან მივიდა არა ერთბაშად, — არამედ — წარმოუდგენლად მტანჯველი ძიებისა და ბრძოლის პროცესის გზით. „თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, — სწერდა ვ. ი. ლენინი, — გასული საუკუნის დაახლოებით 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, მოწინავე აზრი რუსეთში, არნახული, ველური და რეაქციული ცარიზმის მხრივ ჩაგვრის პირობებში, ხარბად ეძებდა სწორ რევოლუციურ თეორიას, რისთვისაც საკვირველი ბეჯითობით და გულმოდგინებით მისდევდა ევროპისა და ამერიკის ყოველ და თითოეულ „უკანასკნელ სიტყვას“ ამ დარგში. მარქსიზმი, როგორც ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია, რუსეთმა ჰეშმარიტად ტანჯვით შეითვისა გაუგონარი წამებისა და მსხვერპლის, არნახული რევოლუციური გმირობის, წარმოუდგენელი ენერჯისა და თავდადებული ძიების, სწავლის, პრაქტიკული განსაცდელის, გულგატეხილობის, შემოწმების, ევროპის გამოცდილების დაპირისპირების ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით“¹.

ძიების ეს პროცესი ბელდნსკიმ დაიწყო. „ბობოქარი ბესარიონის“ ძიება სწორი რევოლუციური თეორიის მისაკვლევად, თავისი მგზნებარებითა და დრამატიზმით, გმირობითა და თავდადებით, მსხვერპლითა და ტანჯვით წარმოუდგენლად ჯვეჩვენება. „ყოველი პროგრესი ცოდნაში, — ამბობდა ბელინსკი თავის თავზე, — მშვენიერი, პოეტური მოთხრობაა, მასში ზოგან აღბეჭდილია ღიმილი, მაგრამ მეტწილად ცრემლები და წამება“. ს. მ. კიროვმა თავის შესანიშნავ სტატიაში, რომელიც 1911 წელს გაზეთ „ტერეკში“ დაიბეჭდა ბელინსკის დაბადების 100 წლისთავის გამო, მას „დიდი მამიბელი“ უწოდა.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. XXV, გვ. 175, მე-3 რუსული გამოცემა.

ბელინსკის ბრძოლა, მისი დაუცხრომელი ძიება იმდენადვე შესანიშნავია, რამდენადც შეუპოვარი; მასში არის თავისებური მკაცრი კანონზომიერება, ძალიან ბევრი რამ არის ჭკუის სასწავლი. ეს ძიება, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს, რომ თავის დროზე გავრცელებულ ყოველ ფილოსოფიურ სისტემას ბელინსკი მიმართავდა არა თავისთავად, არამედ აქტუალურ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებში ჩასაწვდომად და მათი ღრმად გააზრების მიზნით. ამ სისტემებში ეძებდა იგი თავისი რადიკალურ-განმანათლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების დასაბუთებას. როგორც კი იგი დარწმუნდებოდა, რომ ესა თუ ის ფილოსოფიური მოძღვრება ამ მიზნით არ გამოდგებოდა, — ეს კი სწრაფად ხდებოდა, — იგი მყისვე უარჰყოფდა და უღმობლად აკრიტიკებდა ამ მოძღვრებას. ამრიგად, ბელინსკის მიერ გერმანული იდეალისტური ფილოსოფიის სისტემების უარყოფა მათი ჩვეულებრივი უარყოფა კი არ იყო, არამედ ეს იყო განდგომა მათგან. როგორც მოწინავე რევოლუციური იდეების დასასაბუთებლად უვარგისი სისტემებისაგან. ბელინსკის მიერ შელინგის, ფიხტეს, ჰეგელის ფილოსოფიის უარყოფა — ეს იყო იდეალისტურ მოძღვრებათა გასამართლება და იმ განაჩენის გამოტანა, რომ ეს მოძღვრებანი არ გამოდგებოდნენ რადიკალურ-განმანათლებელი და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების დასაბუთების ნამდვილ იარაღად. ამრიგად, ბელინსკის ფილოსოფიურ განვითარებაში მთავარი და გადამწყვეტი არის არა მიმართვა და დროებითი მიღება შელინგის, ფიხტეს და ჰეგელის ფილოსოფიისა, არამედ განდგომა, დაძლევა და კრიტიკა ამ იდეალისტური სისტემებისა. ამიტომ ბელინსკის ფილოსოფიური განვითარებისა და რუსული აზროვნების ისტორიაში მისი ადგილის აშკარა ფალსიფიკაციას წარმოადგენს ბურჟუაზიული და ლიბერალური მკვლევარების მიერ გავრცელებული შეხედულება, თითქოს ბელინსკი სხვადასხვა პერიოდში შელინგის, ფიხტეს და ჰეგელის უბრალო მოწაფე ყოფილიყოს.

ამასთან, ბელინსკის „ცოდნის პროგრესის“ მთელი ტანჯვი-

თი პროცესი გვიჩვენებს მატერიალიზმის ძალას, მატერიალიზმისა, რომელთანაც „ბობოქარი ბესარიონი“ მივიდა მთელი თავისი მტანჯველი და მოწამებრივი ძიების შედეგად. მატერიალიზმში და არა იდეალიზმში, არა ამ უკანასკნელის თუნდაც დიალექტიკურ ფორმაში, ჰპოვა ბელინსკიმ საფუძველს თავისი, ბატონყმობის საწინააღმდეგო და რევოლუციურ-დემოკრატიული, იდეებისათვის. ბელინსკი ღრმად ჩასწვდა მატერიალიზმს და მისი თვალსაჩინო კლასიკოსი გახდა. სწორი რევოლუციური თეორიის ძიებაში ბელინსკის მიერ განვლილი მთელი ტანჯვითი გზა არის სხვადასხვა სახის იდეალიზმზე მატერიალიზმის გამარჯვების გზა. ეს არის სხვადასხვა სახის იდეალიზმის გამოცდის, განსჯისა და უარყოფის და მატერიალიზმის მიღების გზა. ამაშია ბელინსკის ფილოსოფიურ ძიებათა ღრმა აზრი და დიდი მნიშვნელობა.

„მან (ბელინსკიმ. — ა. ქ.), — სწერდა კიროვი აღნიშნულ სტატიაში, — გამოხატა მთელი პროტესტი გარემომცველი „საზიზღარი სინამდვილის“ წინააღმდეგ და თავისი გენიის მთელი სიდიადე ჭეშმარიტების ძიებისაკენ წარმართა.

„დამისახელე ჭეშმარიტება!“ — მოუხმობდა იგი გამჭრიახ გონებას. ხარბად, დაუცხრომლად და მგზნებარედ გაეშურა იგი ამ ჭეშმარიტების საძიებლად, და მისმა მძლავრმა ხმამ საყვირივით დაიქუხნა შავბნელ ეპოქაში, ეს ხმა აკავშირებდა ერთმანეთთან ყოველივე ცოცხალსა და საუკეთესოს, რასაც კი შეეძლო შეეთვისებინა სიმართლე-ჭეშმარიტება და სიმართლე-სამართლიანობა. ჰაბუკობისას დაწერილ ტრაგედიათ „დმიტრი კალინინით“ დაწყებული და სიკვდილის წინ დაწერილი მისი წერილებით დამთავრებული, ყველაფერი გამსჭვალულია ამ მხურვალე ძიებით... ტურგენევმა ბელინსკის „ცენტრალური ფიგურა“ უწოდა; უფრო სწორი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა რუსული საზოგადოებრივი აზრის მოსე, რომელმაც იგი შიშველი აბსტრაქციის ბნელი ლაბირინთებიდან რეალიზმის თელილ გზაზე გამოიყვანა. თავისი

ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან განვლო ყველა ეკლ-
ნარი — უნაყოფო მეტაფიზიკიდან მეცნიერულ მსოფლმხედვე-
ლამდე”¹.

III

ჩვეულებრივ ფიქრობდნენ, რომ ბელინსკის ფილოსოფიუ-
რი ძიებანი იწყება სტანკევიჩის წრეში მისი შესვლის პერიო-
დიდან. მაგრამ ეს ტრადიციული თვალაზრისი, როგორც
უახლესი გამოკვლევები გვიჩვენებენ, სწორი არ არის. ბე-
ლინსკის 1829 — 1832 წლების პერიოდის წერილების ანა-
ლიზი, უნივერსიტეტის სტუდენტთა იმ წრის ხასიათისა და მი-
მართულების შესწავლა, რომელსაც იგი მეთაურობდა, გან-
საკუთრებით დრამა „დმიტრი კალინინის“ იდეური შინაარსი.
აგრეთვე „ლიტერატურული ოცნებების“ გამოქვეყნებამდე
„მოლვაში“ დაბეჭდილი სტატიების ანალიზი და შესწავლა
დამაჯერებლად გვიჩვენებს ფილოსოფიისადმი ახალგაზრდა
ბელინსკის ღრმა ინტერესს, მოწმობს, რომ იგი კარგად იც-
ნობდა იმდროინდელ მოწინავე ფილოსოფიურ და საზოგა-
დოებრივ აზრს, უწინარეს ყოვლისა კი რადიშჩევის გან-
თქმულ წიგნს — „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“.

თავისი დრამის შესახებ, რომლის ბედმა ასე სასტიკად გა-
ცამტვერა მისი ახალგაზრდა ავტორის მთელი იმედები, ბე-
ლინსკი სწერდა: „ამ თხზულებაში ქეშმარიტების სიყვარუ-
ლით ანთებული გულის მთელი მგზნებარებით, უსამართლო-
ბის მოძულე სულის მთელი აღშფოთებით წარმოვადგინე
საკმაოდ ცოცხალ და სწორ სურათში იმ ადამიანთა ტირანო-
ბა, რომლებმაც მიითვისეს დამღუპველი და უსამართლო უფ-
ლება თავიანთ მსგავსთა ტანჯვა-წამებისა“.

ამ წერილში ნათლად ჩანს დრამის რადიკალურ-რევოლუ-
ციური ხასიათი. ახალგაზრდა ბელინსკის ამ იდეების გამოხე-

¹ ს. მ. კ. ი. რ. დიდი მამიებელი, ჟურნ. „კრასნაია ნოვ“, № 10--11,
1939 წ., გვ. 146 — 147.

შაეებაში, პირად დაკვირვებებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა რადიშჩევიმ. რადიშჩევის „მოგზაურობასთან“ „დმიტრი კალინინის“ კავშირი ტექსტულურად დასტურდება; აქ დამთხვევაა სიუჟეტითაც და ავტორის განზრახვის ხასიათითაც. ამ გარემოებას — რადიშჩევის დემოკრატიული და ბატონყმობის საწინააღმდეგო იდეების გავლენას ახალგაზრდა ბელინსკიზე — დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს გენიალური მოაზროვნისა და კრიტიკოსის მთელი შემდგომი ფილოსოფიური ევოლუციის სწორად გარკვევისათვის. ეს გარემოება სულ სხვაგვარად აყენებს ბელინსკის ეგრეთწოდებული „მოწაფეობისა“ და მისი ფილოსოფიური განვითარების ხასიათის საკითხს.

ბელინსკის საგანმანათლებლო და ბატონყმობის საწინააღმდეგო იდეები, რომლებიც მასში ჯერ კიდევ ჰაბუკობისას გამომუშავდნენ რადიშჩევის გავლენით, შემდგომში უტოპიური სოციალიზმისა და რევოლუციური დემოკრატიზმის იდეებადღე განვითარდნენ. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ბელინსკის განსხვავება და დიდი უპირატესობა არა მარტო იდეალისტების — შელინგის, ფიხტეს და ჰეგელის, არამედ მატერიალისტ ფოიერბახის მიმართაც კი. ეს არის მათ მიმართ ბელინსკის უპირატესობის გაგების გასაღები. ეს მყისვე გასაგები ხდება უკვე შელინგის — ამ ერთ-ერთი პირველი მოაზროვნის მაგალითით, რომელმაც თავისებური გავლენა მოახდინა ბელინსკიზე. შელინგის ფილოსოფიის გავლენა ჩანს „ლიტერატურულ ოცნებებში“, რითაც წინამდებარე ერთტომეული იწყება. აქ ბელინსკი იდეალისტიკა. ბელინსკი სწერს: „მთელი უსაზღვრო, მშვენიერი სამყარო სხვა არაფერია, თუ არა სუნთქვა ერთიანი, მარადიული იდეისა (ერთიანი, მარადიული ღვთაების აზრისა), რომელიც მქლავნდება ურიცხვი ფორმების სახით, როგორც დიდებული სანახაობა აბსოლუტური, ერთიანობისა უსასრულო მრავალფეროვნებაში. მხოლოდ მომავლდგვის მგზნებარე გრძნობას შეუძლია თავის ნათელ წუთებში ჩასწვდეს, თუ რაოდენ დიდია სამყაროს ამ სულის სხეული, რომლის

გულს შეადგენენ უზარმაზარი მზეები, ძარღვებს—ცის იკანკლავდი, ხოლო სისხლს—წმინდა ეთერი. ამ ი დ ე ის ა თ ვ ის მოსვენება არ არის: იგი ცოცხლობს განუწყვეტლივ, ესე იგი ჰქმნის განუწყვეტლივ, რათა დაანგრძოს, და ანგრევს, რათა შეჰქმნას. იგი განსხეულდება კაშკაშა მზეში, დიდმშვენიერ პლანეტაში, ცთომილ კომეტში; იგი ცოცხლობს და სუნთქავს ზღვათა მღელვარე მოქცევებსა და მიქცევებშიაც. უდაბნოთა მძვინვარე გრიგალშიაც. ფოთოლთა შრიალშიაც, ნაკადულის რაკრაკშიაც, ლომის ბრღღვინვაშიაც. ჩვილის ცრემლშიაც, სილამაზის ღიმილშიაც, ადამიანის ნებისყოფაშიაც, გენიოსის მწყობრ ქმნილებებშიაც“.

ეს აშკარა იდეალიზმია და მას არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მთელი რიგი ლიტერატურული და ისტორიული მოვლენებისა და პრობლემების გადაწყვეტისას.

მაგრამ საკითხი ამით არ ამოიწურება. ბელინსკი აქ გაბოღის არა მარტო როგორც იდეალისტ, არამედ როგორც განმანათლებელიც, და ისეთი დასკვნები გამოჰყავს, რომლებიც არათუ თვით შელინგს არ გამოუყვანია, არამედ არც მუდგებოდა მის ფილოსოფიას. როგორც არისტოკრატიულ რეაქციას საფრანგეთის რევოლუციისა და ფრანგული მატერიალიზმის იდეებზე. განმანათლებელი ბელინსკი იბრძვის ბატონყმობის გაუქმებისათვის. ხალხის ფართო მასების განათლებისა და მათი მატერიალური კეთილდღეობისათვის, ხალხის სულისკვეთების გამომნატველი ლიტერატურისათვის, ხალხური თეატრისათვის და ა. შ. ამ საგანმანათლებლო იდეების შელინგის იდენტურობის ფილოსოფიაში ამოკითხვა არ შეიძლებოდა, ისინი თვით ბელინსკის საკუთარი იდეებია. ბელინსკის სწორედ ეს საგანმანათლებლო იდეები აძლევდნენ მის შრომას გამაცოცხლებელი განახლების ძალას, ისინი განაპირობებდნენ მის უდიდეს როლსა და მნიშვნელობას. ბელინსკის ამ შრომას, მასში გამოთქმულ საგანმანათლებლო იდეების გამო, ცივად და მტრულად შეხვდნენ შელინგის ყველაზე ერთგული მიმდევრები — სლავიანოფილები.

ბატონყმურ-თვითმპყრობელური სინამდვილის უარყოფის

გზაზე დამდგარი ბელინსკი სულ უფრო და უფრო ღრმად ავითარებდა ამ იდეებს. მაგრამ იგი ამ უარყოფას ჯერ კიდევ ახდენდა არა თვით სინამდვილის ნიადაგზე, არა ობიექტურად, არამედ სუბიექტურად, გარემომცველი სინამდვილის დაპირისპირებით უფრო უკეთესი და სასურველი სინამდვილისადმი, ე. ი. იდეალური სინამდვილისადმი. ამ შემცდარმა იდეალისტურმა დებულებამ, მისი შემდგომი გაღრმავებისას, ბელინსკი მიიყვანა სუბიექტურ იდეალიზმამდე, რომელშიც სუბიექტურმა აქტივიზმმა თავის უკიდურეს გამოვლინებას მიაღწია.

დროზდოვის წიგნზე („ზნეობრივი ფილოსოფიის სისტემის ცდა“) დაწერილ თავის სტატიაში, რომელშიც ნათლად გამოხატულია სუბიექტური იდეალიზმის იდეები, ბელინსკი სწერდა: „ფაქტები და მოვლენები არ არსებობენ თავისთავად; ყველა ისინი ჩვენშია... გარეგანი საგნები მხოლოდ ბიძგს აძლევენ ჩვენს მე-ს და მასში აღძრავენ ცნებებს, რომელთაც იგი ამ საგნებს ანიჭებს. ჩვენ ამით სრულებით არ გვიხდა უარყოფით ფაქტების შესწავლის საჭიროება; პირიქით, ასეთი შესწავლა სრულიად აუცილებელ რამედ მიგვაჩნია. მხოლოდ ანასთან ერთად გვინდა ვთქვათ, რომ ეს შესწავლა წმინდა გონებაჰკრეტიით უნდა იყოს და ფაქტები აზრით უნდა აიხსნას და არა აზრები იქნას გამოყვანილი ფაქტებიდან. სხვანაირად მატერია იქნება სულის საწყისი, ხოლო სული — მატერიის მონა“.

აქედან გასაგებია „სულის მეუფების“ განდიდება და გარემომცველი სინამდვილიდან გაქცევა. ამაშია ბელინსკის იდეალიზმი და სუბიექტივიზმი. მაგრამ ბელინსკის სუბიექტივიზმი განსხვავდებოდა ფიხტეს სუბიექტივიზმისაგან, რადგან ბელინსკის ეს სუბიექტივიზმი გვევლინება — თუმცა არა კანონზომიერად — როგორც საგანმანათლებლო იდეალების დასაბუთება. „ფიხტეანიზმი, — ამბობდა თვითონ ბელინსკი, — გავიგე, როგორც რობესპიერიზმი, და ახალ თეორიაში სისხლის სუნი ვიყნოსე“. ფიხტეანობის ასეთი გაგება, რაც ფიხტეანიზმის ბუნებას არ ეგუებოდა, მისგან სწრაფ განთა-

ვისუფლებას მოასწავებდა. არ შეიძლებოდა საფრანგეთის რევოლუციისადმი ღრმა თანაგრძნობასთან შეთავსებულყოფიერ შეხედულება, რომელიც სინამდვილეს აჩრდილად სთვლიდა. და ეს ასეც მოხდა. ფიხტეს ფილოსოფიით ბელინსკის თავისებური გატაცება ძალიან ხანმოკლე იყო, იგი მოიცავს პერიოდს 1836 წლიდან 1837 წლის შემოდგომამდე.

ფიხტეს სუბიექტური ფილოსოფიის აბსტრაქტულობა და რეალური სინამდვილისგან განდგომა გამოუსადეგარი გახდა ბელინსკისათვის, რომელსაც მუდამ აწუხებდა თავისი გარემომცველი სინამდვილის მდგომარეობა და მჭიდროდ დაკავშირებული იყო მასთან. სინამდვილისაგან ბელინსკის დროებითი განდგომა, იდეათა სუბიექტურ სამყაროში გაქცევა გამოწვეული იყო კრიტიკოსის მიერ დაგმობილი სინამდვილის გაუმჯობესების მიზნით, ვინაიდან იგი სუბიექტს იმიტომ მიმართავდა, რომ მასში ხედავდა ერთადერთ ძალას, რომელსაც შეეძლო სინამდვილის შეცვლა მისი გაუმჯობესების მიმართულებით. მაგრამ ბელინსკი მალე დარწმუნდა, რომ სინამდვილისაგან განდგომილი სუბიექტური ცნობიერების სფეროში არავითარ წყევა-კრულვას, რეალური სინამდვილისადმი არავითარ აბსტრაქტულ-თეორიულ მტრობას არ ძალუძს სინამდვილის გაუმჯობესება. ამიტომ მან მთელი გზნებით და ენერგიით მიმართა თვით სინამდვილეს. „სული მოიქანცა განყენებულობით, — სწერდა ბელინსკი 1836 წლის შუა აგვისტოში, — და მას სინამდვილესთან დაახლოება სწყუროდა“. სინამდვილესთან ამ დაახლოების გზაზე ბელინსკიმ მიმართა ჰეგელს, რომლის ობიექტურ-იდეალისტური და დიალექტიკური ფილოსოფია გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევდა ისტორიას და სინამდვილეს, ვიდრე ფიხტე და ყველა წინამორბედი იდეალისტი. სინამდვილისადმი ჰეგელის ფილოსოფიის ამ ყურადღებამ იმდენად მიიზიდა სინამდვილესთან დაახლოებას მოწყურებული ბელინსკი, რომ მან მთლიანად აითვისა ეს მოძღვრება და ვერ დაინახა მისი კონსერვატიული და რეაქციული ხასიათი. „...უყუარებ სინამდვილეს, — სწერდა ბელინსკი, — რომელიც წინათ ესოდენ მეზიზღებოდა, და იღუმელი ალტაცების თრთოლა მიპყრობს, რადგან მესმის სინამ-

დვილის გონივრულობა, ვხედავ, რომ იქიდან არაფრის ამოგდება არ შეიძლება და მასში არაფრის დაგმობა და უარყოფა არ შეიძლება“. ჰეგელის ცნობილ დებულებას: „რაც ნამდვილია, ის გონივრულია; ყოველივე გონივრული ნამდვილია“, — ბელინსკი კონსერვატიულ, რეაქციულ განმარტებას აძლევდა. ამის შედეგად „ბობოქარმა ბესარიონმა“, თუმცა ეს ძნელი წარმოსადგენია, დაიწყო ნიკოლოზ პირველის საზიზღარ სინამდვილესთან შერიგების ქადაგება, როგორც ნამდვილ და, მაშასადამე, გონივრულ სინამდვილესთან. ასეთი იდეებით არის გაჟღენთილი ბელინსკის სტატიები: „ბოროდინოს წლისთავი“ (1839 წ.), „ბოროდინოს ბრძოლის ნარკვევები“ (1839 წ.) და „მენცელი, გოეთეს კრიტიკოსი“ (1839 წ.).

ბელინსკის ბურჟუაზიულ და ლიბერალურ მკვლევართ უყვართ დიდი კრიტიკოსის მოღვაწეობის ამ ტრაგიკული პერიოდის ყოველნაირად გაზვიადება. მაგრამ მათ არ ესმით და არ სურთ გაიგონ, რომ დიდი კრიტიკოსი მაშინაც კი, როდესაც ქადაგებდა ნიკოლოზის რუსეთის სინამდვილესთან შერიგებას, მისი გონივრულობას, ამ სინამდვილეს არ სთვლიდა რუსეთის მთელი ისტორიის უკანასკნელ, უმაღლეს დამთავრებად, როგორც ამას ჰეგელი სჩადიოდა პრუსიის მიმართ.

ბელინსკი, მაშინდელი რუსეთის სინამდვილის გონივრულობას რომ ქადაგებდა, სრულებითაც სამარადისოდ არ ამკვიდრებდა ბატონყმურ-თვითმპყრობელურ წყობას, როგორც რუსეთისა და მსოფლიო ისტორიის აბსოლუტურ სრულქმნილებას, რომელსაც არავითარი საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარება, არავითარი პროგრესი თითქოს არ მოჰყვებოდა და არ უნდა მოჰყოლოდა. ბელინსკი ამ პერიოდშიც აღიარებდა რუსეთის და მთელი მსოფლიო ისტორიის შემდგომ ორგანულ და პროგრესულ განვითარებას. ამით განსხვავდება ბელინსკი ჰეგელისაგან. ბელინსკის მუდამ სწამდა რუსეთისა და მთელი კაცობრიობის უკეთესი მომავალი და ეს რწმენა მასში არასოდეს არ ჩამქრალა. ბელინსკი სცდებოდა მხოლოდ ამ მომავლისაკენ მიმავალი სწორი გზების გამონახვაში. რუსეთის საზიზღარ სინამდვილესთან შერიგება, მისი გონივრულობის ქადაგება დიდი კრიტიკოსის ერთ-ერთი ტრაგიკული

შეცდომა იყო ამ ძნელ გზაზე. რა მწარედ ნანობდა და იტან-
ჯებოდა შემდეგ ის თავისი ამ შეცდომებისათვის, როდესაც
მთელი მათი სიღრმით დაინახა ისინი. მისი დამსჯელი სინდ-
სი არც იმან დაამშვიდა, რომ ეს შეცდომები, რაოდენ ღრმაც
უნდა ყოფილიყო ისინი, მან ჩაიღინა სრულიად გულწრფე-
ლად და დიადი მიზნების გულისათვის. აი როგორი სიტყვე-
ბით უარჰყო თვით ბელინსკიმ თავისი შერიგება საზიზღარ
სინამდვილესთან: „გამოვიღვიძე, — სწერდა იგი 1840 წლის
11 დეკემბერს ბოტკინს, — და ჩემთვის საზარელია ჩემი ძი-
ლის გახსენება... ხოლო ეს ძალდატანებითი შერიგება რუ-
სეთის საზიზღარ სინამდვილესთან, მატერიალური, პირუტყ-
ვული ცხოვრების ამ ჩინურ სამეფოსთან, სადაც ფესვებგაღ-
გმულია ჩინის სიყვარული, ჯვრის სიყვარული, ფულის სიყ-
ვარული, მექრთამეობა, ურელიგიურობა, გარყვნილება; სა-
დაც არ არსებობს არავითარი სულიერი ინტერესი; სადაც
წვიმობს უსირცხვილო და თავხედური სისულელე და უბი-
ჭობა; სადაც ყველაფერი ადამიანური, რამდენადმე ჰქვიანუ-
რი, კეთილშობილი, ნიჭიერი დასაჩაგრავად და სატანჯველად
არის განწირული; სადაც ცენზურა გადაიქცა სამხედრო წეს-
დებად გაქცეული ახალწვეულების შესახებ; სადაც აზრთა
თავისუფლება... მოსპობილია... სადაც პუშკინი სილატაკეში
ცხოვრობდა და დაიღუპა როგორც მსხვერპლი საზიზღრობი-
სა, ხოლო გრეჩები და ბულგარინები ჯ ა შ უ შ ო ბ ის სა-
შუალებით მთელ ლიტერატურას მართავენ და განცხრომით
ცხოვრობენ. ...არა, დე, გახმეს ის ენა, რომელიც კრინტს დას-
ძრავს ყოველივე ამის გამართლების მიზნით, — და თუ ჩემი
ენა გახმება — არავის შეეჩივლებ. რაც არსებობს, ის გონივ-
რულია: კი მაგრამ, ჯალათიც ხომ არსებობს, და მისი არსე-
ბობა გონივრული და ნამდვილია, მაგრამ მიუხედავად ამისა
იგი საზიზღარი და საძაგელია. ამიერიდან ჩემთვის... აბსო-
ლუტისტი და მათრახით დამსჯელი — ერთი და იგივეა“.

ეს სისხლით დაწერილი სიტყვები უბრალო მონანიება რო-
დია. ეს არის იმ ცეცხლის ნაპერწკლები, რომელმაც ადამიანი
გამოაწრთო. ბელინსკის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის გადა-
ლახვის უმნიშვნელოვანესი პირობა იყო დიდი კრიტიკოსის

ბუნების ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული თვისება — რევოლუციური სულისკვეთება და პატრიოტიზმი. ეს ორი თვისება, რომლებიც მის მგზნებარე მკერდში არასოდეს ჩამქრალა, იმ პირობებში, როდესაც მან პეტერბურგში ასე ახლოს დაინახა თვითმპყრობელობის მთელი საშინელებანი, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა და დიდი კრიტიკოსი გამოიყვანა ჰეგელის ფილოსოფიით გარინდებიდან, ინდიური მყუდროებისა და მკვრეტელობის ქადაგებიდან, როგორც ეს გერცენმა სთქვა. რაც უფრო მტანჯველი იყო ჰეგელის ფილოსოფიით გარინდების წინააღმდეგ ბრძოლა, მით უფრო გამოწრთობილი გამოვიდა ბელინსკი ამ ბრძოლიდან. ნიკოლოზის სინამდვილესთან შერიგების ქადაგება ბელინსკიმ შესცვალა მაშინდელი საზიზლარი სინამდვილის მგზნებარე უარყოფით. ამრიგად, ბელინსკის შეცდომამ, რასაც ბურჟუაზიული მკვლევარნი ასე აზვიადებენ, იგი მხოლოდ დროებით გადაადგინა სწორი რევოლუციური თეორიის ძიების გზიდან და ეს შეცდომა ვერ გახდა მთავარი და განმსაზღვრელი, მან ვერ შესცვალა ბელინსკის მოღვაწეობის ხასიათი. ეს შეცდომა, მიუხედავად მთელი მისი სიღრმისა, დროებითი იყო და მოწინავე პოლიტიკური შეხედულებებისაკენ გარდამავალი საფეხური გახდა. აბსტრაქტული პროტესტანტიდან და განმანათლებლიდან ბელინსკი იქცა მებრძოლად, რომელიც მტიცედ დაადგა რევოლუციური დემოკრატიზმის გზას; მან დაიწყო იდეალიზმიდან მატერიალიზმისაკენ გადასვლა.

ბელინსკიმ დაიწყო ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციული მხარეების, მისი „აბსოლუტისტური შედეგების“ მკაცრად გაკრიტიკება. 1841 წლის მარტში ბელინსკი ბოტკინს სწერს: „მე უკვე დიდი ხანია ვეჭვობდი, რომ ჰეგელის ფილოსოფია მხოლოდ მომენტია, თუმცა ძალიან დიდი მომენტი, მაგრამ რომ მისი შედეგების აბსოლუტურობა... არ ვარგა, რომ მასთან შერიგებას სიკვდილი სჯობს... ჰეგელმა ცხოვრების მოვლენები აქცია აჩრდილებად, რომლებსაც მკვლის ხელები ჩაუყიდნიათ ერთმანეთისათვის და სასაფლაოზე ცეკვავენ ჰაერში. სუბიექტი მისთვის თავისთავად მიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა ზოგადის წამიერი გამოხატვისათვის, ხოლო

მისი ეს ზოგადი სუბიექტის მიმართ წარმოადგენს მოლოხს, ვინაიდან ერთხანს კეკლუცობს მასში (სუბიექტში), შემდეგ კი ძველი შარვალივით გადააგდებს. მე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზეზები მაქვს ჰეგელზე გასაბრაზებლად, რადგან ვგრძნობ, რომ მისი ერთგული ვიყავი (შეგრძნებაში): როდესაც ვურიგდებოდი რუსეთის სინამდვილეს... სუბიექტის, ინდივიდის, პიროვნების ბედი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი ქვეყნიერების ბედი და ჩინეთის იმპერატორის ჯანმრთელობა (ე. ი. ვიდრე ჰეგელის Allgemeinheit). მეუბნებიან: განავითარე შენი სულის ყველა საუნჯე თავისუფალი სულიერი თვითგანცხრომისათვის, იტირე, რათა თავი იხუგეშო, იურვე, რათა გაიხარო, ესწრაფე სრულყოფას, აცოცდი განვითარების კიბის ზედა საფეხურზე, ხოლო თუ წაიფორხილებ — ჩამოვარდი, ეშმაკსაც წაუღიხარ — მაგის ღირსიც იყავი, შე ძ... შ... დიდად გმადლობთ, ეგორ თევდორეს-ძევ, მივესალმები თქვენს ფილოსოფიურ ჩაჩს; მაგრამ მაქვს პატივი თქვენი ფილოსოფიური ფილისტერობის საკადრისი მთელი პატივისცემით მოვახსენოთ, რომ კიდევ რომ მოვახერხო განვითარების კიბის ზედა საფეხურზე აცოცება, იქაც კი გთხოვდით წარმოგედგინათ ჩემთვის ანგარიში ცხოვრების პირობებისა და ისტორიის ყველა მსხვერპლის, შემთხვევითობათა, ცრუმორწმუნეობის, ინკვიზიციის, ფილიპე II-ისა და სხვათა და სხვათა ყველა მსხვერპლის შესახებ. თუ ასე არ იქნება, ზედა საფეხურიდან თავდაყირა გადმოვვარდები: მე არ მინდა ბედნიერება თუნდაც მუქთად, თუ დამშვიდებული არ ვიქნები ჩემი თითოეული ღვიძლი მოძმის შესახებ, — ჩემი სისხლი სისხლთაგანისა და ხორცი ხორცთაგანის შესახებ“.

ჰეგელის ფილოსოფია იმ დროს ფართოდ გავრცელებული იყო; ამდენად ამ ფილოსოფიის კრიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო ფილოსოფიური და პოლიტიკური აზრის განვითარებაში. ბელინსკიმ და გერცენმა ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს. მათი სახით რუსეთის მოწინავე აზრმა გასული საუკუნის 40-იან წლებში გამოავლინა მთელი თავისი ძალა და ორიგინალობა საერთო-საკაცობრიო ფილო-

სოფიის განვითარებაში. აი რას ამბობდა ამის შესახებ შემდგომ ჩერნიშევსკი: „იმ დროიდან, რაც ჩვენი გონებრივი მოძრაობის წარმომადგენლებმა დამოუკიდებლად გააკრიტიკეს ჰეგელის სისტემა, ეს მოძრაობა უკვე აღარ დამორჩილება არავითარ უცხო ავტორიტეტს.“

ბელინსკი და მისი მთავარი თანამოღვაწენი (ა. ი. გერცენი, რომლის პირდაპირ დასახელება ჩერნიშევსკის ცენზურული პირობების გამო არ შეეძლო. — ა. ქ.) სრულიად დამოუკიდებელ ადამიანებად იქცნენ გონებრივი მიმართულებით.

ეს ფაქტი—დამოუკიდებლობა, რასაც რუსულმა აზრმა ბელინსკისა და (მის) მთავარ თანამოღვაწეებში მიაღწია, საინტერესოა მარტო იმიტომ კი არა, რომ ჩვენი ხალხის საამაყოდ სასიამოვნოა: ჩვენი ლიტერატურული აზრების ისტორიაში ის იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ამ ფაქტით აიხსნება ბელინსკისა და მისი მოკავშირეების შრომების ზოგიერთი განმასხვავებელი ღირსებანი — ღირსებანი, რაც წინათ ჩვენს კრიტიკას არა ჰქონია; მით აიხსნება, ნაწილობრივ, ბელინსკის ლიტერატურულ მოსაზრებათა სწრაფი გავრცელებაც ჩვენს საზოგადოებაში¹.

ბელინსკის შრომების „განმასხვავებელი ღირსებანი“, რომლებიც ამ შრომებმა ჰეგელის იდეალისტური სისტემის კრიტიკის შემდეგ შეიძინეს და რომლებმაც უზრუნველჰყვეს ბელინსკის „ლიტერატურულ მოსაზრებათა სწრაფი გავრცელება“ რუსეთში, ღირსებანი, რომელთა პირდაპირ აღნიშვნა ჩერნიშევსკის, ცხადია, არ შეეძლო, — ეს იყო უტოპიური სოციალიზმის, რევოლუციური დემოკრატიზმისა და მატერიალიზმის იდეები. სწორედ ამ იდეების ქადაგებამ გამოიწვია ბელინსკის „ლიტერატურულ მოსაზრებათა სწრაფი გავრცელება“ ფართო საზოგადოებაში.


ბელინსკის მიერ ჰეგელის „გონივრული სინამდვილის“ მკვეთრი უარყოფა სრულებით არ ნიშნავდა საერთოდ სინამდვილის უარყოფას, სინამდვილის შესწავლისა და მის ბედზე

¹ ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 544 — 545, სახელგამი, 1945 წ.

დაფიქრების უარყოფას. პირიქით, მას შემდეგ რაც უარყო სინამდვილისაგან ფიხტესებური გაქცევა და სინამდვილესთან ჰეგელისებური შერიგება, ბელინსკის ყურადღება გარემომცველი სინამდვილისადმი, ამ სინამდვილის აწმყოსა და მომავლისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა და გაღრმავდა. ბელინსკი უკვე ფართო გულმოდგინებითა და დაკვირვებით ეკიდებოდა გარემომცველ სინამდვილეს, უფრო ღრმად უფიქრდებოდა მის აწმყოს. სინამდვილის პრობლემა ახლა მისთვის იქცა სოციალიზმის ანუ სოციალურობის პრობლემად, როგორც თვითონ ამბობდა. ს. მ. კიროვი სწერდა: „სინამდვილე“ — ამ თანამედროვე სამყაროს ლაზღუნგი და უკანასკნელი სიტყვა! — შესძახებს ბელინსკი თავის „სიტყვაში კრიტიკის შესახებ“. და, ცხადია, ეს არის არა ფიხტეანობის „უხამსი სინამდვილე“ და არა ჰეგელის „გონივრული სინამდვილე“; ბელინსკის სინამდვილე ეყრდნობა სოციალურობის იდეას: „სინამდვილე წარმოიშობა ნიადაგზე, ხოლო ყოველი სინამდვილის ნიადაგია საზოგადოება“, — სწერს იგი ბოტკინს¹. კიროვის ამ სიტყვებში, რომლებიც დასაბუთებულია თვით ბელინსკის გამოთქმებით, ნათლად ჩანს სინამდვილის პრობლემისადმი ბელინსკის ახალი, გაცილებით უფრო ღრმა დამოკიდებულება, რაც გამოვლინდა მის მიერ სინამდვილის ფიხტესებური და ჰეგელისებური გაგების უარყოფის შემდეგ, ჩანს დამოკიდებულება სინამდვილისადმი, როგორც სოციალურობის, ე. ი. სოციალიზმის პრობლემისადმი.

ს. მ. კიროვის მიერ ციტირებულ ამავე წერილში, რომელიც დაწერილია 1841 წლის 28 ივნისს, ბელინსკი, ეხება რა ჰეგელის ოცნებას კონსტიტუციურ მონარქიაზე, შესძახებს: „რა ვიწრო გაგებაა!“ ბელინსკი საზოგადოდ უარყოფს მონარქიის ყოველგვარ იდეას და ამბობს, რომ იგი მთლიანად შეიპყრო „გაათრებულმა ფანტიკურმა სიყვარულმა ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობი-

¹ ს. მ. კიროვი, დიდი მაძიებელი, ურს. „კრანაია ნოე“,

სადმი“. ამასთან ის აღნიშნავს, რომ ადამიანის პიროვნების თავისუფლება და დამოუკიდებლობა „შესაძლებელია მხოლოდ სიმართლესა და ქველობაზე დაფუძნებული საზოგადოების დროს“. ასეთ საზოგადოებად მას სოციალიზმი წარმოუდგენია. „ამრიგად, ახლა ახალ უკიდურესობაში ვარ, — სწერდა ბელინსკი ბოტკინს 1841 წლის 8 სექტემბერს, — ეს არის სოციალიზმის იდეა, რომელიც ჩემთვის გახდა იდეათა იდეა, ყოფიერების ყოფიერება, საკითხთა საკითხი, რწმენისა და ცოდნის ალფა და ომეგა. ყველაფერი ძისგან გამომდინარეობს, მისთვის არსებობს და მას ელტვის. ის არის საკითხი და საკითხის გადაწყვეტა. მან (ჩემთვის) შთანთქა ისტორიაც, რელიგიაც, ფილოსოფიაც... სოციალურობა, სოციალურობა — ან სიკვდილი! აი ჩემი დევიზი“. და შეძლებ სოციალისტი ბელინსკი სწერს: „რას ვაქნევ იმას, რომ რჩეულთათვის არის ნეტარება, როდესაც დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რომ ის შესაძლებელია? მაშ, შორს ჩემგან ნეტარება. თუ ის მისაწვდომია მხოლოდ ჩემთვის ათასთაგან! არ მიხდა ის, თუ იგი მე მეკუთვნის და ჩემს უმცროს თანამოძმეთ ვერ გავუზიარებ! გული ცეცხლით მედაგვის და ტკივილით მეკუმშება, როდესაც ხალხსა და მის წარმომადგენლებს ვხედავ. სევდა, მძიმე სევდა მიპყრობს მაშინაც, როდესაც ვხედავ ქუჩაში კოკობანას მოთამაშე ფეხშიშველა ბიჭებს, ჩამოკონკილ მათხოვრებს, მთვრალ მეეტლეს, ყარაულიდან მოძავალ ჯარისკაცს, სირბილით მიმავალ, ილიაში პორტფელამოჩრილ მოხელეს, თავისი თავით კმაყოფილ ოფიცერს და ამაყ დიდებულს... და დადგება დრო — მე მხურვალედ მწამს ეს — დადგება დრო, როდესაც არავის არ დაწვავენ, არავის არ მოჰკვეთენ თავს... არ იქნებიან მდიდრები, არ იქნებიან ღარიბები, არც მეფეები და ქვეშევრდომები, არამედ იქნებიან ძმები, იქნებიან ადამიანები“... 

რა თქმა უნდა, ბელინსკის სოციალიზმი უტოპიური სოციალიზმი იყო. ან კი როგორ შეეძლო მას 40-იან წლებში, ბატონყმურ და თვითმპყრობელურ რუსეთში, სადაც ჯერ კიდევ პროლეტარიატი არ იყო ჩამოყალიბებული, პროლეტარულ-მეცნიერულ სოციალიზმამდე მისულიყო! მაგრამ ბე-

ლინსკი იყო არა მარტო უტოპიური სოციალისტი, არამედ — და ამაშია მისი სიღიადე—პირველი რევოლუციონერი დემოკრატიც. დასავლეთ ევროპის სოციალისტ-უტოპისტებისაგან განსხვავებით, ბელინსკიმ პირველად შეუხამა სოციალიზმის იდეები რევოლუციური ბრძოლის ქადაგებას. იგი მოუწოდებდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის ძალდატანებით დამხობისა და სრული უარყოფისაკენ. ამის შესაბამისად, ბატონყმური და ბურჟუაზიული სინამდვილის უარყოფის პრობლემა მისი ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ხდება. „უარყოფა — ჩემი ღმერთია, — ამბობს ბელინსკი. — ისტორიაში ჩემი გამირები არიან ძველის დამანგრეველნი — ლუთერი, ვოლტერი, ენციკლოპედისტები, ტერორისტები, პაირონი („კაენი“) და ა. შ.“. უარყოფა ბელინსკის ესმის როგორც რევოლუცია, როგორც ძალდატანებითი აქტი. „მაგრამ სასაცილოა იმის ფიქრი, — აქვე განმარტავს ის თავის აზრს, — რომ ეს (ე. ი. სოციალიზმის განხორციელება. — ა. ქ.) შეიძლება მოხდეს თავისთავად, ღროთა ვითარებაში, ძალდატანებითი გადატრიალებების გარეშე, სისხლის გაუღებლად... ან კი რა არის ათასობით ადამიანის სისხლი მილიონების დამცირებასა და ტანჯვასთან შედარებით“.

ეს რევოლუციურ-დემოკრატიული შეხედულებანი ბელინსკის ფილოსოფიურ ძიებას წარმართავდნენ მატერიალიზმისაკენ და ამ შეხედულებებმა, თავის მხრივ, მატერიალიზმში კპოვეს თავისი თეორიული დასაბუთება. ბელინსკის მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება 1843 წლიდან დაიწყო. 1844—1845 წლებიდან ბელინსკი მტკიცედ დადგა მატერიალიზმის პოზიციებზე და მისი გამოჩენილი წარმომადგენელი გახდა. ბელინსკი უკვე მატერიალისტურად ასაბუთებდა ფილოსოფიის ძირითად საკითხს — ყოფიერებისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხს და 1847 წლის დამდეგს სწერდა: „...გონების მოქმედება ტვინის ორგანოების მოქმედების შედეგია — ამაში არავითარი ეჭვი არ არის“. და სხვა ადგილას: „ყველაზე განყენებული გონებრივი წარმოდგენები მაინც სხვა არაფერია, თუ არა ტვინის იმ ორგანოების

მოქმედების შედეგი, რომლებსაც ახასიათებს გარკვეული უნარი და თვისებები“. მატერიალიზმის პოზიციაზე რომ დადგა, ბელინსკიმ ბრძოლა გამოუცხადა მეტაფიზიკასა და იდეალიზმს. იგი სწერს: „ჯანდაბას მეტაფიზიკა: ეს სიტყვა ნიშნავს ზენატურალურს, მაშასადამე, შეუსაბამობას, ხოლო ლოგიკა, თვით თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, აზრსაც ნიშნავს და სიტყვასაც. ლოგიკამ თავისი გზით უნდა იაროს, ოღონდ არც ერთი წუთით არ დაივიწყოს, რომ მისი კვლევის საგანია ყვავილი, რომლის ფესვი მიწაშია, ე. ი. სულიერი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკურის მოქმედება“. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მატერიალიზმის პოზიციებზე დამდგარმა ბელინსკიმ ვერ შესძლო მატერიალიზმის დებულებათა გავრცელება ისტორიის პროცესზე; ისტორიის სფეროში იგი იდეალისტად დარჩა.

რევოლუციონერი დემოკრატის ბელინსკის მატერიალიზმი არ იყო ფოიერბახის მკვერტელობითი მატერიალიზმის განმეორება. მრავალ დიდმნიშვნელოვან საკითხში ბელინსკი ფოიერბახზე მალდა დადგა. უწინარეს ყოვლისა, ბელინსკისათვის უცხო იყო ფოიერბახის იდეალიზმი რელიგიის დარგში. იგი უარყოფითად ეკიდებოდა ახალ რელიგიას — სიყვარულის რელიგიას, რომელსაც ფოიერბახი ქადაგებდა. ბელინსკი, როგორც ეს 1847 წლის 17 თებერვალს ბოტკინისათვის გაგზავნილი მისი წერილიდან ჩანს, პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ფოიერბახის შემდეგაც ახალი ფილოსოფიის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის იქნება, რომ მეცნიერება განთავისუფლდეს ტრანსცენდენტალიზმისა და თეოლოგიის აჩრდილებისაგან და „გონება სამუდამოდ ჩამოშორდეს ყოველივე ფანტასტიკურსა და მისტიკურს“. ბელინსკის სიტყვით, ეს ვერ შესძლო ვერც კონტმა; ეს მომავალი გენიის, ახალი ფილოსოფიური მოძღვრების შემქმნელის საქმეა. „კონტი, — სწერს ბელინსკი, — შესანიშნავი ადამიანია; მაგრამ იგი რომ ახალი ფილოსოფიის დამაარსებელი იყოს? — რასა ბრძანებთი ამისათვის საჭიროა გენია, კონტში კი მისი ნატამალიც არ არის“. აქ საინტერესოა როგორც კონტის პოზიტივიზმის შეფასება, ისე ბელინსკის მტკიცე შეგნება, რომ

საჭიროა შექმნა ახალი ფილოსოფიისა, რომლის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნება „მეცნიერების განთავისუფლება ტრანსცენდენტალიზმისა და თეოლოგიის აჩრდილებისაგან“, „გონების სამუდამოდ ჩამოშორება ყოველივე ფანტასტიკურისა და მისტიკურისაგან“, ესე იგი საჭიროა ახალი, თანმიმდევრულად მატერიალისტური ფილოსოფიის შექმნა. ასეთი ახალი მატერიალიზმი იყო მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმი, მაგრამ ბელინსკი მას არ იცნობდა. თვით ბელინსკი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მარქსისა და ენგელსის გზით მიდიოდა. ფოიერბახისადმი ბელინსკის დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით ისიც უნდა ითქვას, რომ ბელინსკი ჰეგელის იდეალიზმთან ერთად მის დიალექტიკასაც როდი უკუთავდებდა, როგორც ამას ფოიერბახი სჩადიოდა. ბელინსკის ესმოდა ჰეგელის ფილოსოფიის სისტემასა და მეთოდს შორის არსებული წინააღმდეგობა და გრძნობდა ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის პროგრესულ მომენტებს. ფოიერბახისაგან განსხვავებით, ბელინსკი დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა. ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით უარყოფის ბელინსკისეულ დიალექტიკურ გაგებაზე. აქ მოვიტანთ მის რამდენიმე პრინციპულ გამოთქმას დიალექტიკის შესახებ. ბელინსკი სწერდა: „არაფერი არ ჩნდება უცბად, არაფერი არ იბადება მზამზარეული, არაშედ... ყველაფერი ვითარდება მომენტებით, მოძრაობს დიალექტიკურად, დაბალი საფეხურიდან გადადის რა მაღალ საფეხურზე. ამ უცვალებელ კანონს ვხედავთ ბუნებაშიც, ადამიანშიც, კაცობრიობაშიც“. ბელინსკის აზრით, დიალექტიკური განვითარების საფუძველია ბრძოლა. „ყოველივე ცოცხალი,—ამბობს იგი,— ბრძოლის შედეგია; ყველაფერი, რაც უბრძოლველად ჩნდება და მკვიდრდება, ყველაფერი ის მკვდარია“.

რა თქმა უნდა, ბელინსკის არა აქვს მწყობრი მატერიალისტური დიალექტიკა, მას ის არ მოუცია და არც შეეძლო მოეცა; იგი იდეალისტი დარჩა ისტორიის დარგში. მაგრამ ბელინსკი იძლეოდა დიალექტიკის ცალკეულ ბრწყინვალე ნიმუშებს და ცალკეული სოციალური მოვლენებისა და მხატვრულ

ნაწარმოებთა მიმართ მისი გამოყენების უდიდესი ოსტატი იყო.

რევოლუციური დემოკრატი ბელინსკი აცხადებს, რომ სოციალურობის გარეშე არ არსებობს ცხოვრება, რომ არა არის რა იმაზე მაღალი და კეთილშობილური, ვიდრე ნათელი მომავლისაკენ წინსვლისათვის ხელის შეწყობა; იგი მოითხოვს; რომ ლიტერატურა მთლიანად დაემორჩილოს ამ მაღალ ამოცანას. აქედან გამომდინარეობს „წმინდა ხელოვნების“ თეორიის განმანადგურებელი კრიტიკა, მატერიალისტური ესთეტიკისა და კრიტიკული რეალიზმის დასაბუთება ბელინსკის მიერ.

ბელინსკი ასაბუთებს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ ქადაგების უსაფუძვლობასა და რეაქციულობას. იგი აღნიშნავს, რომ არასოდეს და არსად არ ყოფილა საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილი „წმინდა ხელოვნება“, რომელიც თავისი დამოუკიდებელი კანონებით განვითარებულიყოს. „აზრი რაღაც წმინდა, განყენებულ ხელოვნებაზე, რომელიც თავის საკუთარ სფეროში ცოცხლობს და ცხოვრების სხვა მხარეებთან საერთო არაფერი აქვს, განყენებული, მეოცნებე აზრია. ასეთი ხელოვნება არასდროს და არსად არ ყოფილა“.

ბელინსკი არ კმაყოფილდება ამ დიდმნიშვნელოვანი დებულების დასაბუთებით. ის არკვევს „წმინდა ხელოვნების“ თეორიის წარმოშობის მიზეზებსა და ფესვებს. ბელინსკი ამბობს, რომ „წმინდა ხელოვნების“ თეორიის წარმომშობი ისტორიული მიზეზია უძლურება პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროში. „ეს აზრი, — სწერს ბელინსკი, — ნამდვილი გერმანული წარმოშობისაა; იგი შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ მკვრეტელ, მოაზროვნე და მეოცნებე ხალხში და არასგზით არ შეიძლებოდა გაჩენილიყო პრაქტიკულ ხალხში, რომლის საზოგადოებრიობა ცხოველი მოღვაწეობის ასპარეზია ყველასათვის და თითოეულისათვის“. ბელინსკის ეს შესანიშნავი აზრი ეხმაურება მარქსისა და ენგელსის მიერ მოცემულ იმ სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ცნობილ დახასიათებას, რომელმაც განსაზღვრა კანტის პრაქტიკული ფილოსოფია; ეს დახასიათება მარქსმა და ენგელსმა

მოგვცეს „გერმანულ იდეოლოგიაში“, რომელსაც ბელინსკი არ იცნობდა და არც შეეძლო სცნობოდა.

მაგრამ ბელინსკის მიერ „წმინდა ხელოვნების“ თეორიის კრიტიკა ამით როდი ამოიწურება. იგი აღნიშნავს, რომ ქადაგება — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ კი არ აღამაღლებს, არამედ ამცირებს ხელოვნებას. ეს „თეორია“ ხელოვნებას ართმევს მის უდიდეს ძალას და უსაქმურთა გასართობად აუცევს. „ხელოვნებისათვის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სამსახურის უფლების წართმევა, — სწერდა ბელინსკი, — ნიშნავს არა მის ამაღლებას, არამედ დამცირებას, რადგან ეს ნიშნავს მისთვის ყველაზე ცხოველი ძალის, ე. ი. აზრის წართმევას, მის გადაქცევას რაღაც სიბარბიტული ტყობის საცნაოდ, უქნარა ზარმაცთა სათამაშო ტიკინად“.

ამრიგად, ბელინსკი არ სცნობს ისეთ ხელოვნებას, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს არ ემსახურება, მაგრამ ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელოვნებას შეუძლია თავისი სოციალური როლი შეასრულოს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ხელოვნებად დარჩება. მარტოოდენ კარგი საზოგადოებრივი იდეები ხელოვნების ნაწარმოებისათვის საკმარისი არ არის; იმისათვის, რომ ხელოვნებამ თავისი დიდი როლი შეასრულოს, საჭიროა ხელოვნების ნაწარმოები სავსებით შესრულებული იყოს ხელოვნების კანონთა თვალსაზრისით. ხელოვნების ცუდი ფორმებით გამოსახული მოწინავე საზოგადოებრივი იდეები, ბელინსკის სიტყვით რომ ვთქვათ, უხეიროდ შესრულებული მშვენიერი განზრახვაა მხოლოდ.

ბელინსკიმ, რომელიც აღჭურვილი იყო სრულყოფილი კრიტიკოსის ყველა თვისებით: მოწინავე დემოკრატიული იდეებით, ძლიერი ფილოსოფიური გონებით, ფართო განათლებით, პოეტური სულით, ფაქიზი და უტყუარი გემოვნებით, ცეცხლოვანი მგზნებარებით და ლიტერატურის უდიდესი სიყვარულით, — შეჰქმნა ახალი სახის კრიტიკა, რაც მანამდე უცნობი იყო. ბელინსკის მიერ შექმნილი კრიტიკა ენციკლოპედიური და ფილოსოფიური კრიტიკაა. ამ კრიტიკაში მხატვრული ნაწარმოების მახვილი, დახვეწილი ყოველმხრივი შეფასება შეხამებულია მაღალი სოციალური იდეების ღრძა

ფილოსოფიურ ანალიზთან და მხურვალე ქადაგებასთან. ბელინსკის კრიტიკა რუსული და მსოფლიო კრიტიკული აზრის განვითარების ახალი საფეხური იყო.

IV

სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ბელინსკი მტკიცედ დადგა მატერიალიზმის პოზიციებზე, იგი ეცნობა მარქსის აღრინდელ ნაწარმოებებს, რომელთა გავლენა, როგორც ახლა მკვლევართა მიერ უკვე დამტკიცებულია, უსათუოდ შესაძინეია ბელინსკის შემდგომ თხზულებებში.

1845 წლის 26 იანვარს ბელინსკი გერცენს სწერდა: „კეტჩერი გწერდა შენ „პარიზის იარბიუხერზე“ (იგულისხმება ჟურნალი „Deutsch-Französische Jahrbücher“ — „გერმანულფრანგული მათიანეები“, რომელსაც კ. მარქსი ა. რუგესთან ერთად სცემდა პარიზში 1844 წელს.—ა. ქ.) და რომ თითქოს მე ამან გამაცოცხლა და გამომცვალა. სისულელეა. მე ისეთი ადამიანი არა ვარ, რომელსაც რვეული დააკმაყოფილებს. ამ ჟურნალმა ორი დღე გამამხნევა და გამახალისა, — ეს არის და ეს. ჭეშმარიტება შევითვისე, — და სიტყვებში: ღმერთი და რელიგია, ვხედავ ბნელს, წყვედიადს, ბორკილებსა და მათრახს, და ახლა ეს პირველი ორი სიტყვა ისევე მიყვარს, როგორც მათი მომდევნო ოთხი. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ მე ხომ კვლავინდებურად არც ახლა შემიძლია პრესაში ვთქვა ყოველივე ის, რასაც ვფიქრობ და როგორც ვფიქრობ. ხოლო რა დოზანაა ჭეშმარიტება, თუ მისი პოპულარიზაცია და სახალხოდ გამოთქმა არ შეიძლება? — მკვდარი კაპიტალია“¹.

¹ ამაზე ადრე ბელინსკიმ გაიცნო ენგელსის ნაწერები. მაგრამ ეს მეტად თავისებური გაცნობა იყო და იმ დროს მიეკუთვნება, როდესაც ენგელსი მემარცხენე ჰეგელიანელებს ემხრობოდა. „ოტჩეტსტენნიე ზაპისკის“ 1843 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა ბოტკინის სტატია „გერმანული ლიტერატურა“. სტატია ეხებოდა იმ მწვევე ბრძოლას, რაც მაშინ ჰეგელის ფილოსოფიის გარშემო გაჩაღდა და რასაც ასე ყურადღებით აღევნებდნენ თვალყურს რუსეთში. ბოტკინის სტატია ძალიან მოეწონა ბელინსკის. „შე-

ყურნალში მოთავსებული იყო: კ. მარქსის სტატიები — „ებრაელთა საკითხისათვის“ და „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“, ენგელსის სტატია „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები“, ჰ. ჰაინეს „ხოტბა მეფე ლიუდვიგისადმი“ და სხვ. თავის სტატიებში მარქსი, როგორც ლენინი აღნიშნავდა, „გამოდის როგორც რევოლუციონერი, რომელიც აცხადებს „ყოველივე არსებულის უღმობელ კრიტიკას“ და, კერძოდ, „იარაღით კრიტიკას“ და მიმართავს მასებსა და პროლეტარიატს“.

ბელინსკის განსაკუთრებული ყურადღება, როგორც ეს ყურნალის მისი პირადი, დაცული ეგზემპლარიდან ჩანს, მიუძღურია მარქსის სტატიას „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“¹ და ჰაინეს წერილს.

მარქსის სტატიის სათაურთან არის აღნიშვნა „NB“; გარდა ამისა, სტატიის პირველი შვიდი აბზაცის არეები მონიშნულია ვერტიკალური ხაზით. მარქსის სტატია, რომელმაც ბელინსკი განსაკუთრებით დააინტერესა, წარმოადგენდა შესავალს ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკული გადასინჯვისათვის, რაც მარქსმა, როგორც თვით ამბობს, იმ მიზნით მოახდინა, რომ გადაეწყვიტა ეჭვები, რომლებიც მას გარს ეხვია. აქ მარქსი საბოლოოდ გადადის მატერიალიზმისა და კომუნისმის პოზიციებზე. სწორედ ამ სტატიამ ყველაზე მეტად მიიპყრო ბელინსკის ყურადღება და უსათუოდ გავლენა მოახდინა მასზე. ამას მოწმობს არა მარტო ზემოთმოტანილი ბელინსკის წერილი გერცენისადმი, სადაც დიდი კრიტი-

ნი სტატია გერმანული ლიტერატურის შესახებ პირველ ნომერში ძალიან მოჭეწონა — კეკიანური, საქმიანი და ოსტატურია“, — სწერდა ბელინსკი ბოტკინს. ბელინსკამ არ იცოდა, რომ იგი არსებითად ასეთ შეფასებას აღეკვდა ფ. ენგელსის ანონიმურად გამოსულ ნაშრომს — „შელინგი და გამოცხადება“, რომელიც ბოტკინმა თავის სტატიაში არათუ ზედმიწევნით გამოიყენა, არამედ მისი რამდენიმე გერმდი სიტყვა-სიტყვითაც სთარგმნა. ეს არ იცოდა არც პლუხანოვმა, რომელმაც თავის შრომაში ბოტკინის შესახებ მის სტატიას „საინტერესო“ უწოლა.

¹ „ბ. გ. ბელინსკის ბიბლიოთეკა“, იხ. „ლიტერატურათვის ნასლუდაე“, №: 19 — 21, 1935 წ. გვ. 607.

კოსი პროტესტს აცხადებს გავლენის გაზვიადების წინააღმდეგ, მაგრამ არა გავლენის თვით ფაქტის წინააღმდეგ: ის ხომ თვითონ ამბობს, „ქეშმარიტება შევეითვისეო“; მეტიც, იგი თვითონ აღნიშნავს მის მიერ შეთვისებული ქეშმარიტების შინაარსს, როცა ამბობს: „და სიტყვებში: ღმერთი და რელიგია, ვხედავ ბნელს, წყვილადს, ბორკილებსა და მწორახს, და ახლა ეს პირველი ორი სიტყვა ისევე მიყვარს, როგორც მათი მომდევნო ოთხი“.

მარქსის ამ განთქმულ სტატიაში ბელინსკის მიერ ვერტიკალური ხაზით მონიშნული აბზაცებიდან მაგალითისათვის მოვიტანთ შემდეგ ადგილებს: „მაშასადამე, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ იმ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის სულიერი სურნელება რელიგია არის. რელიგიური სილატაკე ერთსა და იმავე დროს არის გამოხატულება ნამდვილი სილატაკისა და პრეტესტი ნამდვილი სილატაკის წინააღმდეგ. რელიგია ჩაგრულ ქმნილებათა ამოოხვრა, უგულო ქვეყნის სული და გულია, ისე როგორც იგი არის სული უსულო მდგომარეობათა. ის ოპიუმია ხალხისა.“

გაუქმება რელიგიისა, როგორც ხალხის ილუზორული ბედნიერებისა, ამ ხალხის ნამდვილი ბედნიერების მოთხოვნაა. მოთხოვნა თავისი მდგომარეობის შესახებ არსებულ ილუზიებზე ხელის აღებისა, ესაა მოთხოვნა ისეთ მდგომარეობაზე ხელის აღებისა, რომელიც ილუზიებს საჭიროებს. რელიგიის კრიტიკა, მაშასადამე, ჩანასახში კრიტიკაა გლოვის ველისა, რომლის წმინდა შარავანდედი რელიგიაა“.

მარქსის ამ იდეების პირდაპირი გავლენა შეიძლება დავინახოთ წინამდებარე კრებულში მოთავსებულ ბელინსკის რეცენზიაში ვ. გრიგორიევის წიგნზე — „ებრაელთა სექტები რუსეთში“; ეს რეცენზია 1847 წელს დაიბეჭდა. რა თქმა უნდა, ცენზურის პირობებში ბელინსკის არ შეეძლო ისე აშკარად გამოეთქვა თავისი აზრი, როგორც მარქსი გამოსთქვა მდ; მას უნდა მიემართა გადაკრული და ნართაული გამოთქ-

მებისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მარქსის იდეის მიღება ნათლად ჩანს ბელინსკის შემდეგ მსჯელობაში: „რელიგიურ დადგენილებებს დიდხანს მკვიდრო, განუყრელი კავშირით ჰქონდა სამოქალაქო დადგენილებებთან: რელიგიურ გადატრიალებათა ისტორია ბევრ სოციალურ საკითხს სწვევდა და ახალ შუქს ჰფენს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ისტორიას. რელიგიურ აღთქმაში ნათლად და გამოკვეთილად არის წარმოდგენილი ის დებულებანი, რომლებსაც ადამიანები ვერასოდეს ვერ ურიგდებოდნენ, მაგრამ რომლებსაც იგივე ადამიანები ემორჩილებოდნენ,—დებულებანი, რომლებიც არ შეიძლება გამოყვანილ იქნან ადამიანის ბუნების თვისებებიდან და იმავე დროს არ შეიძლება აღიარებულ არ იქნან ფაქტებად. ამიტომ მრავალი ხალხის რელიგიური კანონმდებლობის კრიტიკა ამავე დროს საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკაც არის: მასში მოცემულია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი გადაუჭრელი, ანორმალური მოვლენის საწინდარი, მიზეზი“.

ამ ნაშრომს გარდა, ბელინსკი, შესაძლებელია, იცნობდა მარქსისა და ენგელსის სხვა შრომებსაც, თუ პირდაპირ არა. არაპირდაპირ მაინც, ბოტკინისა და ანენკოვის საშუალებით, რომლებიც პირადად იცნობდნენ მარქსს და იცნობდნენ საკმარად ახლოს, განსაკუთრებით ანენკოვი. დიდად საფიქრებელია, რომ ბელინსკი იცნობდა მარქსის განთქმულ წერილს ანენკოვისადმი.

ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა მარქსის იდეებმა, ეტყობა, მკვიდრად გაიდგა ფესვები ბელინსკის შეგნებაში და ახალი ძალა და მიმართულება მისცა მის ცნობისმოყვარე და მუდამ მაძიებელ გონებას. ამ მხრივ ბევრის მთქმელია თვით ანენკოვის შემდეგი სიტყვები: „მისი (ბელინსკის.—ა. ჭ.) აზრი მიმართული იყო სხვაგვარი იდეებისაკენ და შეპყრობილი იყო ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ახალი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი განსაზღვრებით, ეკონომიური მოძღვრებებით გამოცხადებული ახალი სიმართლით, რომელმაც გააქარწყლა ძველი, გაუქმების პროცესში მყოფი სიმართლის ყველა წარმოდგენა ქვეყნად ზნეობრივის, კეთი-

ლისა და კეთილშობილის შესახებ... ბელინსკის, როგორც ადრე დავინახეთ, უკვე დიდი ხანია აინტერესებდა თანამედროვეობის ცნობისმოყვარე სულის ეს გამოვლინებანი¹. აქ მარქსი დასახელებული არ არის, მაგრამ ეტყობა, რომ ანენკოვი მარქსს ჰგულისხმობს.

თანამედროვეთა მოგონებანი და, რაც მთავარია, ბელინსკის ნაწარმოებთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ამ დიდი დემოკრატიის მთავარი ყურადღება მიპყრობილი იყო თავისი ეპოქის აქტუალურ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებზე — კაპიტალიზმის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის, კლასობრივი ბრძოლის პრობლემებზე. ერთი სიტყვით, მისი აზრი, როგორც სამართლიანად აღნიშნა პლენხანოვმა, იმ მიმართულებით და იმ საკითხებზე მუშაობდა, რაზედაც მარქსისა და ენგელსის აზრი. ბელინსკი ვერ ამალღდა მარქსისა და ენგელსის დონემდე, და არც შეეძლო ამალღებულიყო იმდროინდელი რუსეთის პირობებში. მაგრამ მარქსიზმის გზით მიმავალი რევოლუციონერი დემოკრატი ბელინსკი 40-იანი წლების ბატოხყმურ რუსეთში უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემების გადაჭრაში ისე მიუახლოვდა მარქსისა და ენგელსის იდეებს, რომ ვ. ი. ლენინმა, მარქსისა და ენგელსის საქმის დიდმა განმგრძობმა, მას „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინამორბედი“² უწოდა.

აქ არ შევიჩერდებით იმაზე, რომ ბელინსკიმ ჯერ კიდევ 1844 წელს, ე. სიუს რომანის „პარიზის საიდუმლოებათა“ გამო დაწერილ რეცენზიაში აღიარა კლასობრივი ბრძოლის იდეა; არც იმაზე, რომ ამ რომანის შეფასება ბევრი რამით ემთხვევა მარქსის მიერ იმავე წელს მოცემულ შეფასებას „წმინდა ოჯახში“, რომელსაც ბელინსკი არ იცნობდა. შევიჩერდებით მხოლოდ ბელინსკის მიერ ბურჟუაზიის როლის შეფასებაზე და ამ საკითხისადმი მის მიდგომა-

¹ პ. ვ. ანენკოვი, მოგონებანი, 1928 წ., გვ. 552 — 553.

² ვ. ი. ლენინი, „რა ვაკეთოთ?“, თხზ., ტ. IV, გვ. 381.

ზე. ამ მხრივ დიდად საინტერესოა ბელინსკის ბარათი ბოტკინისადმი, დაწერილი 1847 წლის დეკემბერში.

ბელინსკი ამბობს, რომ „კაპიტალისტების ბატონობამ თანამედროვე საფრანგეთს სამუდამოდ სამარცხვინო დალი დაასვა“; „მასში ყველაფერი წვრილმანი და არარაა, ყველაფერი წინააღმდეგობას შეიცავს; არ არის ეროვნული ღირსების, ეროვნული სიამაყის გრძობა“. ყველაფერი, რაშიაც სიცოცხლე სჩქედს და ნიჭი არის, — ამბობს იგი, — ამ ბატონობის მიმართ ოპოზიციურადაა განწყობილი. ამასთან ბელინსკის მხედველობაში აქვს არა საზიზღარი პარლამენტური ოპოზიცია, რომელიც, მისი აზრით, უსათუოდ ყველაზე უფრო კონსერვატიულ პარტიაზე დაბლა დგას, არამედ ოპოზიცია, რომლისთვისაც ბურჟუაზია „სიფილისის წყლულია საფრანგეთის სხეულზე“. მაგრამ იმავე დროს ბელინსკი აღიარებდა ბურჟუაზიის ისტორიულ აუცილებლობას და კანონზომიერებას. „მე მესმის, — ამბობს იგი, — რომ ბურჟუაზია შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ ისტორიით გამოწვეულია, რომ იგი გუშინ კი არ გაჩენილა, თითქოს სოკო ამოსულიყოს, და რომ, ბოლოს, მას ჰქონდა თავისი დიდი წარსული, თავისი ბრწყინვალე ისტორია, მან უდიდესი სამსახური გაუწია კაცობრიობას“. ამას რომ აღნიშნავს, ბელინსკი აქაც გვიჩვენებს თავისი დიალექტიკის ძალას და მოითხოვს ბურჟუაზიისადმი ისტორიულ და დიფერენცირებულ მიდგომას. იგი აკრიტიკებს ლუი ბლანს ბურჟუაზიისადმი ისტორიული მიდგომის უქონლობისათვის, იმის უცოდინარობის გამო, რომ ძალაუფლებისათვის მებრძოლი ბურჟუაზია და ძალაუფლების სათავეში მყოფი გამარჯვებული ბურჟუაზია — სხვადასხვაა. „გარდა ამისა, — სწერს ბელინსკი, — მან (ლ. ბლანჟა. — ა. ქ.) მხედველობიდან გამოუშვა, რომ ბურჟუაზია ბრძოლაში და ბურჟუაზია გამარჯვებული ერთი და იგივე არ არის, რომ მისი მოძრაობის დასაწყისი უშუალო იყო, რომ მაშინ იგი თავის ინტერესებს არ გამოჰყოფდა ხალხის ინტერესებისაგან... ახლა მან შეგნებულად დაიმონა ხალხი შიმშილითა და კაპიტალით“.

მაგრამ ყოველივე ეს ბელინსკისათვის მთავარი არ არის..

მთავარი, მისი სიტყვით, არის შემდეგი: „მე ვთქვი, არ ვარგა სახელმწიფო კაპიტალისტების ხელში იყოს-მეთქი, ახლა კი დავსძენ: ვაი იმ სახელმწიფოს, რომელიც კაპიტალისტების ხელშია; ესენი ის ადამიანები არიან, რომელთაც არ გააჩნიათ პატრიოტიზმი, არ გააჩნიათ არავითარი ამალღებული გრძნობა. მათთვის ომი თუ მშვიდობა მხოლოდ ფონდების შომატებას თუ შემცირებას ნიშნავს — ამას იქით ისინი არაფერს ხედავენ“.

„ბობოქარი ბენარონის“ ლიტერატურული მოღვაწეობის შეჯამება იყო მისი განთქმული „წერილი გოგოლს“. როგორც მისი რევოლუციური და ლიტერატურული მოღვაწეობის დიადი აკორდი, ეს წერილი იმავე დროს მისი პოლიტიკური ანდერძიც იყო. „ყველაზე საჭირობოროტო, თანამედროვე ნაციონალური საკითხები რუსეთში ახლა შემდეგია: ბატონყმობის მოსპობა, ფიზიკური დასჯის გაუქმება, თუნდაც იმ კანონების რაც შეიძლება ზუსტად შესრულების შემოღება, რომლებიც უკვე არსებობენ“, — სწერდა ბელინსკი ამ წერილში.

იმავე დროს ეს წერილი იყო ბატონყმურ-თვითმპყრობელური რუსეთის მრისხანე მხილება და მის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ მოწოდება. ეს არის ამ წერილის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა. „მისი (ბელინსკის. — ა. ქ.) განთქმული „წერილი გოგოლს“, — სწერდა ლენინი, — რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას ჯამს უკეთებს, არაცენზურული დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთი იმ საუკეთესო ნაწარმოებთაგანი იყო, რომელთაც დღემდეც უდიდესი, ცხოველი მნიშვნელობა შეინარჩუნეს“¹.

ამ წერილის გაცნობისა და წაკითხვისათვის მეფის რუსეთში ადამიანებს ციხეებში ამწყვედევდნენ, ციმბირში ასახლებდნენ. ახალგაზრდა დოსტოევსკი გაასამართლეს იმისათვის, რომ ამ წერილს იცნობდა და მისი პირი გადაიღო. სასიკვდილო განაჩენში ნათქვამი იყო: „ბოროტ განზრახვებში შონაწილეობისათვის, ლიტერატორ ბელინსკის იმ წერილის გავრ-

ცვლებისათვის, რომელიც აღსავსეა კადნიერი გამოთქმებით მართლმადიდებელი ეკლესიისა და უმაღლესი ხელისუფლების წინააღმდეგ“. სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, ეს წერილი, რომლის მრავალი პირი გადაიღეს, მთელ მოწინავე მოაზროვნე რუსეთში გავრცელდა. ამ წერილიდან არა თუ პირებს იღებდნენ, არამედ მას ზეპირადაც სწავლობდნენ. ამ მხრივ, და საერთოდ რუსეთის მოწინავე ადამიანებზე ბელინსკის გავლენის ფარგლებისა და ხასიათის გასათვალისწინებლად, საინტერესოა ი. აქსაკოვის აზრი, მით უმეტეს, რომ სლავიანოფილი აქსაკოვი ბელინსკის მტერი იყო. „ბევრი ვიმოგზაურე რუსეთში, — სწერდა ი. აქსაკოვი 1856 წლის დამლევს. — ბელინსკის სახელს იცნობს ყოველი რამდენადმე მოაზროვნე ახალგაზრდა, ყველა, ვისაც სწყურია სუფთა პაერი პროვინციული ცხოვრების აშშორებულ ქაობში. საგუბერნიო ქალაქებში არ არის გიმნაზიის არც ერთი მასწავლებელი, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ბელინსკის წერილი გოგოლისადმი... „ბელინსკის ვუმაღლით ჩვენს ხსნას“, — მუბნებთან ყველგან ახალგაზრდა პატიოსანი ადამიანები პროვინციაში...“ და შემდეგ: „თუ თქვენ გინდათ პატიოსანი ადამიანი, რომელსაც შეუძლია უთანაგრძნოს ჩაგრულთა ტკივილებსა და უბედურებას, პატიოსანი ექიმი, პატიოსანი გამომძიებელი, რომელიც ბრძოლაში ჩაებმებოდა, — ასეთი ადამიანები ეძიეთ პროვინციაში ბელინსკის მიმდევართა შორის“¹.

ბელინსკის კეთილმყოფელი გავლენა ბევრად სცილდებოდა რუსეთის ვრცელ ფარგლებს. ეს გავლენა ძლიერი იყო ჩვენშიც, საქართველოში.

ბელინსკიმ დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი ახალი ლიტერატურის ფუძემდებელსა და XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ინტელიგენციის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურზე — ილია ჭავჭავაძეზე. ბელინსკის იდეებს ი. ჭავჭავაძე პეტერბურგში გაეცნო სტუდენტობის

¹ მოგვყავს ს. აშევსკის წიგნიდან: „ბელინსკი მის თანამედროვეთა შეფასებით“, 1911, გვ. 66 — 67.

წლებში. ბელინსკის, აგრეთვე ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის გავლენამ, რომლებმაც შემდგომ განავითარეს ბელინსკის მატერიალისტური და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძღვრება, ი. ჭავჭავაძეს განუმტკიცა ბატონყძობისა და ექსპლოატაციისადმი სიძულვილი. ამ გავლენით ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის რეალისტური შეხედულებანი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. ჯერ კიდევ პეტერბურგში მყოფი სტუდენტი ილია ჭავჭავაძე ლიტერატურაში კონსერვატიზმისა და არქაიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს რევანჯერისთავის მიერ კონზლოვის „შეშლილის“ ქართული თარგმანის გამო დაწერილ სტატიაში. ამ სტატიაში, რომელმაც საფუძველი დაუდო ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას მისი თანამედროვე გაგებით, ფეოდალურ კონსერვატორთა და არქაისტთა მკვეთრი თავდასხმები გამოიწვია. დამახასიათებელია, რომ თავის საპასუხო სტატიაში, რომელსაც პირდაპირ უწოდა „პასუხი“, ილია ჭავჭავაძემ ეპიგრამად აიღო ბელინსკის შემდეგი შესანიშნავი სიტყვები, რომლებიც ფეოდალურ კონსერვატორებს და დახვესებულ არისტოკრატებს პირდაპირ გულში ხვდებოდათ: „Из нашей литературы хотят устроить бальную залу, и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватостью, критику — комплиментами».

სამშობლოში დაბრუნებული ილია ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა ქართველი ინტელიგენციის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ ლიტერატურას. 1863 წელს მან შექმნა თავისი ჟურნალი — „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალის განთქმულ საპროგრამო სტატიაში, რომელიც ილიამ დასწერა და პირველ ნომერში მოათავსა, ნათლად ჩანს ხელოვნებისა და ლიტერატურის არსსა და ამოცანებზე ბელინსკის შეხედულებათა გავლენის კვალი. მიხ. ყიფიანის სტატიაში „სპირდონისა და თადეოზის ბაასი“, რომელიც ხელმოწერილია სპირდონ ჩიტორელიძის ფსევდონიმით და დაბეჭდილია ჟურნალ-

ლის მე-5, 6 და 7 ნომრებში, მოტანილია მთელი აბზაცები ბელინსკის შრომიდან „მ. ლერმონტოვის ლექსების შესახებ“, სადაც მოცემულია პოეზიის, მისი არსისა და დანიშნულების განსაზღვრა. ჟურნალის მე-9 და მე-10 ნომრებში მოთავსებულია მაქსიმე გოგომიძის სტატია „ბელინსკის აზრები შვილების აღზრდაზე“.

უსათუოდ ღრმა აზრია ი. ქავკავაძის ლიტერატურული ძეგლების იმ საყვედურში, რომ იგი ასპარეზზე გამოვიდა არა ფართო, არამედ ბელინსკის ნაწარმოებთა ტომებით შეიარაღებული. უნდა ითქვას, რომ ბელინსკის ტომები ცუდი ფარი როდი იყო ი. ქავკავაძის მძლავრ ხელში. რა თქმა უნდა, ი. ქავკავაძეს ბელინსკის დემოკრატიული და რეალისტური იდეები მექანიკურად კი არ გადმოქონდა საქართველოს ცხოვრებასა და ლიტერატურაში, არამედ მათ დამოუკიდებლად ავითარებდა თავისი ქვეყნის ცხოვრებისა და ლიტერატურის მდგომარეობის შესაბამისად. ილია თვითონ აღნიშნავდა, რომ ყოველ სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარი მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს“.

ნიკო ნიკოლაძე. რომელმაც ახალგაზრდობის წლებში აგრეთვე განიცადა ბელინსკის და განსაკუთრებით ჩერნიშევსკის გავლენა, აღნიშნავს დიდი კრიტიკოსის ღრმა და წარუშლელ კვალს ყოველივე კეთილშობილურსა და მოწინავეზე. ნ. ნიკოლაძე ამის მიზეზს ხედავდა ბელინსკის მოღვაწეობის პროგრესულ-საზოგადოებრივ და პატრიოტულ მნიშვნელობაში. ნ. ნიკოლაძე ბელინსკის უპირისპირებდა მის თანამედროვე და თავის დროზე პოპულარულ კრიტიკოსს სენკოვსკის და კითხვას აყენებდა: „რით აიხსნება, რომ ყოველივე ის, რაც ჩვენს სამშობლოში რიგიანი და კეთილშობილურია, მხოლოდ სიყვარულით და სიამაყით წარმოსთქვამს ბელინსკის სახელს, მაშინ როდესაც სენკოვსკის სახელი, რომელიც თვით განათლებულ რუს ადამიანთა უდიდესი უმრავლესობისათვის აბსოლუტურად უცნობია, მის მცოდნეთა შორის მართოდენ სიბრალულს ან ზიზღს იწვევს?“ ამ კითხვაზე თვით ნიკო ნიკოლაძე ასეთ მეტად საინტერესო პასუხს იძლევა:

„ეს ძალიან მარტივად აიხსნება: ხალხის ხსოვნაში მწერლები აღიბეჭდებიან არა მარტო იმით, რაც მათ ახალი 'შეიტანეს ხალხის შეგნებაში, არამედ განსაკუთრებით იმით, რითაც მათ გააა უ მ გ ზ ბ ე ს ე ს ხალხის ბედი, ზნეობა ან 'მეხედულელებანი. დაუვიწყარნი და ძვირფასნი არიან მხოლოდ ის მწერლები, რომლებმაც ხელი შეუწყეს თავისი სამშობლოს პროგრესს, ამაგი დასდეს მის კეთილდღეობას, რომლებსაც მისი ჭირი აწუხებდა და სიხარული ახარებდა. დე ისინი ცდებოდნენ, სულერთია, რაკი მათ ასულდგმულებთ მხოლოდ სამშობლოს სიყვარული, მათი შეცდომებიც კი სამშობლოსთვის სასარგებლოა. და რაც უფრო სრული, რაც უფრო ღრმაა ეს სიყვარული, გასაგებია, მით უფრო მხურვალედ ეკიდება საქმეს თვით მწერალი... მწერალი მსაჯული კი არ არის, არამედ თავისი საზოგადოების აღმზრდელი და ხელმძღვანელია. მისი მოღვაწეობის კრიტიკრიუმია მისი რწმენა, მისი იდეალები და მისწრაფებანი, მისი საზოგადოებრივი მიზნები. მხოლოდ ის, ვისაც თავისი საზოგადოება მიჰყავს წინ, სიკეთისა და პატიოსნების გზით, ხალხის უდიდესი ნაწილის უდიდესი სარგებლობისაკენ, ვინც ხალხის პროგრესის გზას ჰკაფავს და ამ პროგრესისადმი მტრულად განწყობილ ყველა ელემენტს მგზნებარედ, დაუცხრომლად ებრძვის, — მხოლოდ ის ჰპოვებს თავის მოქალაქეთა გულისა და მეხსიერებისაკენ მიმავალ გზას“¹.

ბელინსკის მთელი ცხოვრება და მჩქეფარე მოღვაწეობა ბოროტებისა და ძალადობის, დესპოტიზმისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა იყო; მთელი მისი ცხოვრება და მჩქეფარე მოღვაწეობა თავისი ხალხისა და მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის თავდადებულ სამსახურს მოხმარდა. იგი იყო ბედკრული და დამონებული მილიონიანი მასების საჭიროებათა და სასოებათა მხურვალე გამომხატველი. გასული საუკუნის 40-იან წლებში ბატონყმურ და თვითმპყრობელურ რუსეთში იგი იქამდე ამაღლდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი წინამორბედი

¹ ვახ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1890 წ., № 2285.

გახდა. აი ამიტომ მის სახელთან დაკავშირებული იყო ყოველივე რევოლუციური, ყოველივე მოწინავე და კეთილშობილური, ამიტომ არის ასე ძლიერი და წარუშლელი მისი გავლენა ახლაც, მისი სიკვდილიდან 100 წლის შემდეგ.

შერე და რა მგზნებარედ უყვარდა მას თავისი სამშობლო! რა ღრმად სწამდა მისი უკეთესი მომავალი! „შენატრით ჩვენს შვილიშვილებსა და ბაღიშიშვილებს, — წინასწარმეტყველურად სწერდა იგი 1840 წელს, — რომლებსაც ბედად უწერიათ იხილონ რუსეთი 1940 წელს — განათლებული მსოფლიოს სათავეში მდგომი, მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის კანონთა მიმცემი და მთელი განათლებული კაცობრიობისაგან მოწიწებით პატივცემული“.

რა წინასწარმეტყველებაა! რა სიყვარულითა და კეთილშობილებით გამსჭვალული ნატვრაა! ადამიანი, რომელსაც შეეძლო თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლის ასეთი რწმენა ჰქონოდა და რომელმაც ამისათვის ესოდენ ბევრი გააკეთა, ასეთი ადამიანი არ კვდება, იგი თავის სამშობლოსთან ერთად ცოცხლობს და ვითარდება, მასთან ერთად შიბიჯებს წინ ისტორიის გზაზე. ბელინსკი ჩვენი ცხოვრების, ჩვენი ბრძოლისა და გამარჯვების თანამონაწილეა, როგორც კეთილშობილი ადამიანი, დიდი მოაზროვნე, გენიალური კრიტიკოსი, შეუბოვარი მებრძოლი და მგზნებარე პატრიოტი.

დიდმა სტალინმა ჩვენი სამშობლოს უდიდესი განსაცდელის ეამს თავის ისტორიულ მოხსენებაში 1941 წლის 6 ნოემბერს ბელინსკი დაასახელა დიდი რუსი ხალხის გენიალურ წარმომადგენელთა შორის, როგორც რუსი ხალხის სიამაყე და ძლიერების გამომხატველი. დიდი სტალინის მიერ ბელინსკის შეფასება მთელი სიღრმით განსაზღვრავს მის მნიშვნელობას ჩვენი ხალხისა და ეპოქისათვის, ჩვენი დიადი ბრძოლისა და მოწინავე კულტურისათვის.

ალ. ჭუთელია

რძეულის სტატიები

1834-1836 წწ.

დივნარაგუარდი ოცნებანი



(ელეგია პროზად) 1

მე შენზე ისეთ სიმართლეს ვიტყვი,
რომ ვერ უღრიდეს თვითონ სიცრუე.
ჰა, ძაჰ, გაიცან: სხვა სიტყვით რომ ვთქვათ,
რას ეძახიან ამგვარ ვაებატონს?..

„ვაი კეისარან“
გ რ ი ბ ო ე ლ ო ვ ი.

გაქვთ თუ არა თქვენ კარგი წიგნები?—არა, მაგრამ
გვყავს დიდი მწერლები.—მაშ, სიტყვიერება მაინც
არა გაქვთ? — პირიქით, ჩვენ გვაქვს მხოლოდ წიგ-
ნით ვაქრობა.

ბ ა რ ო ნ ი ბ რ ა მ ბ ე უ ს ი.

გახსოვთ თუ არა თქვენ ის კურთხეული დრო, როდესაც
ჩვენს ლიტერატურაში თითქოს დაჰქროლა ერთგვარმა სი-
ცოცხლის სიომ, როდესაც ზედიზედ გამოდიოდნენ ნიჭიერი
ადამიანები, პოემები, რომანები, ჟურნალები და ალმანახე-
ბი; ის მშვენიერი დრო, როდესაც ჩვენ ესოდენ ვამაყობდით
აწმყოთი, თავს ესოდენ ვისულდგმულელებდით მომავლით და,
გაამაყებულნი ჩვენი სინამდვილით, ხოლო კიდევ უფრო მე-
ტად — სანეტარო იმედებით, მტკიცედ ვიყავით დარწმუნე-
ბულნი, რომ გვყავს ჩვენი ბაირონები, შექსპირები, შილერე-
ბი, ვალტერ-სკოტები? ვაგლახ! სადა ხარ შენ, o bon vieux
temps², სადა ხართ თქვენ, სანუგეშო ოცნებებო, სადა ხარ
შენ, იმედო მაცთუნებელო! როგორ შეიცვალა ყველაფერი

ესოდენ მოკლე ხანში! რა საზარელი, რა გულშემზარავია ეს იმედების გაცრუება ესოდენ ძლიერი, ესოდენ ტკბილი ცთუნების შემდეგ! დაიმსხვრა ჩვენი ლიტერატურული მორკინალების ორჩოფეხები, ჩაინგრა ჩალის ხარაჩოები, რომლებზეც ოდესღაც აცოცდებოდნენ ხოლმე საშუალო ნიჭის პატრონი ადამიანები, ხოლო ამასთან ერთად დადუმდნენ, მიიძინეს, გაჰქრნენ ის მცირერიცხოვანნი და ერთგვარი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანებიც, რომლებითაც ჩვენ ეგრე შოხიბლულნი ვიყავით მას ეამსა შინა. ჩვენ გვეძინა და თავი მიგვაჩნდა კრეზებად, ხოლო როდესაც გავიღვიძეთ, აღმოვჩნდით ირები! ვაგლახ! რა დიდებულად უდგება ჩვენს თითოეულ გენიოსსა და ნახევრად გენიოსს ეს მგრძნობიარე სიტყვები პოეტისა:

არც გაფურჩქენილა, ის ისე დაქკნა
ღრუბლიან ღღეთა დილით! *

დიად — წინათ და ახლა, მაშინ და ამჟამად! ღმერთო დიდებულო!.. პუშკინი, რუსი პოეტი უპირატესად, პუშკინი, რომლის ძალუმსა და მძლავრ სიმღერებში პირველად დაჰქროლა რუსეთის ცხოვრების სიომ, რომლის მკვირცხლსა და მრავალფეროვან ტალანტს ესოდენი სიყვარულით თავს დასტრიალებდა და ელოლიავებოდა რუსეთი, რომლის ჰარმონიულ ბგერებსაც ის ესოდენ ხარბად უსმენდა და რომელზეც ესოდენი სიყვარულით ლაპარაკობდა, პუშკინი, ავტორი „პოლტავისა“ და „გოდუნოვისა“, და პუშკინი—ავტორი „ანჟელოსი“ და სხვა მკვდარი, უსიცოცხლო ზღაპრებისა... * კოზლოვი, ჩაფიქრებული მომღერალი ბერის ტანჯვა-წამებისა, რამაც ამდენი ცრემლი დაადვრევიანა მშვენიერ მკითხველ ბანოვანთ, ეს ბრმა, რომელიც ეგრე ჰარმონიულად გადმოგვცემდა ხოლმე მის მიერ ხილულ თვალწარმტაც სანახაობებს, და კოზლოვი—ავტორი „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიში“ დაბეჭდილი ბალადებისა და სხვა გრძელი და მოკლე

ლექსებისა, რომლებზეც მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მათში ყველაფერი რიგზეა, როგორც ეს უკვე შენიშნული იყო „მოღვაში“!.. რა დიდი განსხვავებაა!.. ბევრი, ძალიან ბევრი ასეთი სავალალო შედარების, ასეთი სამწუხარო კონტრასტის მოტანა შეგვეძლო აქ, მაგრამ... ერთი სიტყვით, როგორც ლამარტინი ამბობს:

Les dieux étaient tombés, les trônes étaient vides ³.

მაშ რომელმა ახალმა ღმერთებმა დაიკავეს ძველი ღმერთების განთავისუფლებული ადგილები? აფსუსს, მათ დაიკავეს ეს ადგილები, მაგრამ ვერ შესცვალეს ძველი ღმერთები! წინათ ჩვენი არისტარხები⁴, გატაცებულნი მაშინ ყველას მაცთუნებელი ჭაბუკური იმედებით, ბავშვური გულუბრყვილო აღტაცებით გაბრუებულნი შესძახებდნენ ხოლმე: კუშკინი ჩრდილოეთის ბაირონი, თანამედროვე კაცობრიობის წარმომადგენელიაო! ახლა ჩვენს ლიტერატურულ ბაზრებში ჩვენი დაუცხრომელი ჰეროლდები ხმამაღლა გაჰყვირიან: კუკოლნიკი, დიდი კუკოლნიკი, კუკოლნიკი—ბაირონი, კუკოლნიკი — მამაცი მოქიშპე შექსპირისა!⁷ მუხლი მოიყარეთ კუკოლნიკის წინაშე!^{*} ახლა ბარატინსკების, პოდოლინსკების, იაზიკოვების, ტუმანსკების, ოზნობიშინების ადგილი დაიკავეს ბატონებმა ტიმოფეევებმა, ერშოვებმა; მათი მიმქრალი დიდების სარბიელზე მედიდურად გამოიყურებიან ბატონები ბრამბეუსები, ბულგარინები, გრეჩები, კალაშნიკოვები, როგორც ანდაზა ამბობს: უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო. პირველნი თავს გვახსენებენ ან ძველი სიმღერებით ძველსავე ხმაზე, ანდა მოკრძალებით სდუმან; უკანასკნელნი ერთმანეთს ხოტბას ასხამენ, გენიოსებს უწოდებენ და საქვეყნოდ გაჰყვირიან იმისათვის, რომ მათი წიგნები რაც შეიძლება მალე გაიყიდოს. ჩვენ მუდამ მეტად გულუხვად ვარიგებდით ხოლმე გენიოსის დაფნის გვირგვინებს, წრეგადასულ ხოტბას ვასხამდით ჩვენი პოეზიის კორიფეებს. ეს ჩვენი ძველთაძვე-

* „ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“ და ინვალიდური დამატება ლიტერატურისა ⁸.

ლი მანკია. ყოველ შემთხვევაში, წინათ ამის მიზეზი იყო უწყინარი ცთუნება, რომელიც წარმოსდგებოდა კეთილშობილი წყაროდან — მოყვასისადმი სიყვარულიდან; ახლა კი პირდაპირ ყველაფერი ანგარებას ემყარება. გარდა ამისა, წინათ კიდევ იყო რაღაც, რითაც შეიძლებოდა დაკეცხნა; ხოლო ახლა... ჩვენ სრულებითაც არა ვფიქრობთ ბ-ნ კუკოლნიკის საუტხოო ნიჭი შეურაცხვევით, მაგრამ მაინც, უყოყმანოდ შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ პუშკინსა და მას, ბ-ნ კუკოლნიკს, შორის განუზომელი სივრცეა, რომ იგი, ბ-ნი კუკოლნიკი, პუშკინიდან

იხე შორს არის, ვით ზეციური ვარსკვლავიდან!

დიაღ—კრილოვი და ბ-ნი ზილოვი, „იური მილოსლავსკი“ ზაგოსკინისა და „შავი ქალი“ ბ-ნ გრეჩისა, „უკანასკნელი ნოვიკი“ ლაჟეჩნიკოვისა, „მსროლელები“ ბ-ნ მასალსკისა და „მაზეპა“ ბ-ნ ბულგარინისა, მოთხრობები ოდოევსკისა, მარლინსკისა, გოგოლისა—და, უკაცრავად პასუხია, მოთხრობები ბ-ნ ბრამბეუსისა!!!... რას ნიშნავს ყოველივე ეს? რა არის მიზეზი ასეთი სიცალიერისა ჩვენს ლიტერატურაში? თუ მართლაც არა გვაქვს ჩვენ ლიტერატურა?..

(გაგრძელებას გვპირდებიან.)

ლიტერატურული ოცნებანი

(გაგრძელება)

Pas de grâce!

H u g o, Marion de Lorme *.

დიახ, ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა!

„აი, ეს ღიღებულო! აი, ახალი ამბავი!“—მესმის ათასობით ხმა ჩემი კადნიერი საქციელის საპასუხოდ¹⁰. — „კი მაგრამ ჩვენი ყურნალები, რომლებიც გულმოდგინედ მოღვა-

წეობენ ჩვენთვის ევროპული განათლების ასპარეზზე; კი მაგრამ ჩვენი ალმანახები, რომლებიც სავსეა დაუმთავრებელი პოემების, დრამების, ფანტაზიების გენიალური ნაწყვეტებით; კი მაგრამ ჩვენი ბიბლიოთეკები, რომლებიც გაქვდილია რუსულად შეთხზული მრავალი ათასი წიგნით; კი მაგრამ ჩვენი ჰომეროსები, შექსპირები, გოეთენი, ვალტერ-სკოტები, ბაირონები, შილერები, ბალზაკები, კორნელები, მოლიერები, არისტოფანები? განა ჩვენ არა გვყავს ლომონოსოვი, ხერასკოვი, დერჟავინი, პეტროვი, დმიტრიევი, კარამზინი, კრილოვი, ბატიუშკოვი, უუკოვსკი, პუშკინი, ბარატინსკი და სხვანი და სხვანი? ა! რას იტყვით ამაზე?”

აი რას, მოწყალენო ხელმწიფენო. თუმცა მე არა მაქვს პატივი ბარონი ვიყო, მაგრამ მე მაქვს ჩემი ფანტაზია¹¹, რომლის შედეგადაც მტკიცედ ვადგივარ შემდეგ საბედისწერო აზრს: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა სუმაროკოვმა შორს მოიტოვა უკან ტრაგედიებში ბატონი კორნელი და ბატონი რასინი, ხოლო იგავ-არაკებში — ბატონი ლაფონტენი; რომ ჩვენი ხერასკოვი რუსთა დიდი სახელის ჩანგზე განთქმაში გაუტოლდა ჰომეროსსა და ვირგილიუსს და ვლადიმირისა და ივანეს¹² კურთხევით თავი შეაფარა უკვდავების ტაძარს¹³; რომ ჩვენმა პუშკინმა მეტად მოკლე დროში მოასწრო ბაირონის გვერდით დამდგარიყო და კაცობრიობის წარმომადგენელი გამხდარიყო: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დაუმრეტელი ფადეი ბენედიქტეს-ძე ბულგარინი, ქეშმარიტი ფაშმოლტავი და მდევნელი ბოროტი მანკიერებისა, უკვე ათი წელიწადია თავის თხზულებებში ამტკიცებს, რომ *comme il faut* ადამიანის გაიძვერობა და თაღლითობა არ ვარგა, რომ ლოთობა და ქურდობა მიუტევებელი შეცოდებაა, და რომელმაც თავისი ზნეობრივ-ალწერითი და ზნეობრივ-სატირული (განა უფრო მართებული არ იქნება ვთქვათ: პოლიციური) რომანებით და ხალხურ-იუმორისტული უბადრუკი სტატიებით მთელი საუკუნეებით წასწია წინ ჩვენი

* ე.ე. იგი ბ-ნ კაიდანოვის „მსოფლიო ისტორია“.

სტუმართმოყვარე სამშობლო ზნეობრივი განწყენდის საქმეში¹³; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პოეზიის ახალგაზრდა ლომი, ჩვენი მძლეთამძლე კუკოლნიკი, პირველი ნახტომითვე დაეწია ყოვლისმომცველ ბუმბერაზს გოეთეს¹⁴ და მხოლოდ მეორე ნახტომით ცოტათი ჩამორჩა კრიუკოვსკის; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა დიდად პატივცემულმა ნიკოლოზ ივანეს-ძე გრეჩმა (ფადეი ბენედიქტეს-ძესთან ერთად და შესხმატკბილებით) ანატომიურად დაშალა, სახსრებად დაანაწილა ჩვენი ენა და მისი კანონები წარმოადგინა თავის სამმაგრამატიკაში—ამ ჭეშმარიტ ალტქმის საჩრდილობელში, სადაც მის, ნიკოლოზ ივანეს-ძე გრეჩის, და მისი მეგობრის, ფადეი ბენედიქტეს-ძის გარდა, აქამდე ჯერ კიდევ არც ერთ უვიცს ფეხი არ შეუდგამს¹⁵; იმ ნიკოლოზ ივანეს-ძე გრეჩმა, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში გრამატიკული შეცდომა არ ჩაუდენია და რომელიც მხოლოდ თავის მომხიბლველ პოეტურ ქმნილებაში—„შავი ქალი“, თუ შგრძობიარე თავადის შალიკოვის სამხილს დავუჯერებთ, მხოლოდ პირველად წაეჩხუბა გრამატიკას, როგორც ჩანს იმიტომ, რომ მეტისმეტად გაერთო ფანტაზიით; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ბ-მა კალაშნიკოვმა რუსეთის ამერიკის—ციმბირის თვალუწვდენელი უდაბური ადგილების საუცხოო აღწერაში და მისი ველური სილამაზის გამოხატვაში ბევრად აჯობა კუპერს; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა გენიალურმა ბარონმა ბრამბეუსმა თავისი სქელტანიანი ფანტასტიკური წიგნით გაანადგურა შამპოლიონი და კიუვიე¹⁶, ორი უდიდესი თვალთმაქცი და მატყუარა, რომლებსაც უვიცი ევროპა თავისი სისულელის გამო დღემდე უდიდეს სწავლულებად აღიარებდა, ხოლო გესლიან მახვილგონიერებაში ფეხქვეშ გასთელა ვოლტერი, მსოფლიოში პირველი გონებამახვილი და ოხუნჯი ადამიანი; მიუხედავად, ვამბობ მე, იმ სულელური აზრის დამაჯერებელი და მჭევრმეტყველური უარყოფისა, თითქოს ჩვენ არა გვქონდეს ლიტერატურა, უარყოფისა, რაც ესოდენ გონივრულად და მაგრად გამოაცხადა „ბიბ-

ლიოტეკა დღია ჩტენიაში“ ღრმააზროვანმა აზიელმა კრიტიკოსმა თიუთიუნჯი-ოღლიმ¹⁷; მიუხედავად ყოველივე ამისა, ვიმეორებ: ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა!.. უპ! დავილაღე! სული მომათქმევინეთ—დავიხრჩვი!.. მართლაცდა, ასეთი გრძელი პერიოდი ხველებას აუტეხს თვით ბარონ ბრამბეუსსაც კი, რომელიც თვითონაც დიდი პერიოდების ოსტატია...

რა არის ლიტერატურა?

ერთნი ამბობენ, რომ რომელიმე ხალხის ლიტერატურად უნდა ვიგულისხმოთ მთელი წრე მისი გონებრივი მოღვაწეობისა, რაც დამწერლობის სახით გამოვლინდება. ამის მიხედვით, ჩვენს ლიტერატურას, მაგალითად, შეადგენს კარამზინის „ისტორია“ და ბატონების ემინისა და ს. ნ. გლინკას „ისტორია“, ისტორიული ძიებანი შლეცერისა, ევერსისა, კაჩენოვსკისა; ბ-ნ სენკოვსკის სტატია „ისლანდიური საგებობის“ შესახებ, ველანსკისა და პავლოვის ფიზიკები და „კოპერნიკის სისტემის განადგურება“ რამდენიმე უბადრუკ ბროშურასთან ერთად ბალლინჯოებისა და აბანოს ჭიების შესახებ; პუშკინის „ბორის გოდუნოვი“ და „შტიანი და ანისოვკიანი“ ისტორიული დრამების ზოგიერთი სცენა, დერჟავინის ოდები და ბ-ნ სვეჩინის „ალექსანდროიდა“ და სხვანი. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ გვაქვს ლიტერატურა და თანაც ლიტერატურა — მდიდარი განთქმული სახელებით და ამაზე არანაკლებ განთქმული თხზულებებით.

სხვებს კიდევ სიტყვა ლიტერატურა ესმით, როგორც სიტყვაკაზმულ ნაწარმოებთა განსაზღვრული რიცხვის კრებული, ესე იგი, როგორც ფრანგები ამბობენ, *chef d'oeuvres de littérature*¹⁸. და ამ აზრითაც ჩვენ გვაქვს ლიტერატურა, რადგან შეგვიძლია დავიკვებნოთ ლომონოსოვის, დერჟავინის, ხემნიცერის, კრილოვის, გრიბოედოვის, ბატიუშკოვის, ჟუკოვსკის, პუშკინის, ოზეროვის, ზაგოსკინის, ლაქეჩნიკოვის, მარლინსკის, თავად ოდოევსკისა და კიდევ ზოგიერთ სხვათა თხზულებების მეტი თუ ნაკლები რიცხვით. მაგრამ არის თუ არა ქვეყნად თუნდაც ერთი ენა, რომელზეც არ არსებობდეს რამდენიმე სანიმუშო მხატვრული ნაწარმოები, ხალხუ-

რი სიმღერები მაინც? ნუთუ საკვირველია, რომ რუსეთში, რომელიც თავისი სივრცით სჭარბობს მთელ ევროპას, ხოლო მოსახლეობით — ევროპის თითოეულ სახელმწიფოს, ცალკე აღებულს, ნუთუ საკვირველია, რომ ამ ახალ რომის იმპერიაში გამოჩნდნენ უფრო მეტად ნიჭიერი ადამიანები, ვიდრე, მაგალითად, რომელიმე სერბიაში, შვეციაში, დანიაში და სხვა პატარა ქვეყნებში? ყოველივე ეს ბუნებრივია, და ყოველივე აქედან ჯერ კიდევ სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ გვქონდეს ლიტერატურა.

მაგრამ არის კიდევ მესამე აზრი, რომელიც არც ერთს არა ჰგავს ზემოხსენებული ორი აზრიდან. ამ აზრის მიხედვით, ლიტერატურა ეწოდება იმგვარ მხატვრულ-სიტყვიერ ნაწარმოებთა კრებულს, რომლებიც ნაყოფია იმ ადამიანთა თავისუფალი ზეშთაგონებისა და შეხმატკბილებული (თუძკა დაუთქმელი) ღონისძიებებისა, ვინც შექმნილია ხელოვნებისათვის, სუნთქავს მარტოოდენ მისთვის და ისპობა მის გარეშე ვინც თავის ნატრფ ქმნილებებში სრულად გამოხატავს და გადმოსცემს იმ ხალხის სულს, რომელშიც ის დაბადებულა და აღზრდილა, რომლის ცხოვრებითაც ის ცხოვრობს და რომლის სულითაც სუნთქავს; იმ ადამიანთა, რომლებიც თავიანთ შემოქმედებითს ნაწარმოებებში გამოხატავენ ამ ხალხის შინაგან ცხოვრებას უიდუმალესი სიღრმითა და ფეთქვით. ამგვარი ლიტერატურის ისტორიაში არ არის და არც შეიძლება იყოს ნახტომები. პირიქით, მასში ყველაფერი თანმიმდევრულია, ყველაფერი ბუნებრივია; მასში არ არის რაიმე უცხო გავლენით მომხდარი არავითარი ძალდატანებითი ან იძულებითი გარდატეხა. ასეთი ლიტერატურა არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყოს ფრანგულიც, გერმანულიც, ინგლისურიც და იტალიურიც. ეს ახალი აზრი როდია: იგი დიდი ხანია ათასჯერ იყო გამოთქმული. თითქოს, საჭირო არც უნდა იყოს მისი განმეორება. მაგრამ ვაგლახ! რამდენია გაცვეთილი ჭეშმარიტება, რომლებიც ჩვენში კაცმა ყოველდღე საქვეყნოდ უნდა იძახოს და იმეოროს! ჩვენში, სადაც ლიტერა-

ტურული აზრები ესოდენ მერყევი, ესოდენ ცვალებადია, ლიტერატურული საკითხები ესოდენი ბუნდოვანებითა და იდუმალებით მოცულია; ჩვენში, სადაც ერთი უკმაყოფილოა „ფაუსტის“ მეორე ნაწილით, ხოლო მეორე აღტაცებულია „შავი ქალით“; ერთი ჰგმობს „ლუჯრეცია ბორჯიას“ სისხლიან საშინელებებს, ხოლო ათასები ტკბებიან ბატონების ბულგარინისა და ორლოვის რომანებით; ჩვენში, სადაც საზოგადოება ნამდვილი გამოხატულებაა ბაბილონის აღრევის შემდეგ დარჩენილი ადამიანებისა, სადაც

ერთი გაჰყვირის: საზამთრო,
მეორე — მჟავე კიტრო;

დასასრულ, ჩვენში, სადაც ასე იაფად ყიდიან და ყიდულობენ გენიოსის დაფნის გვირგვინებს, სადაც ყოველგვარი საზრიანობა, უტიფრობისა და ურცხვობის მეშვეობით, დიდ სახელს იხვეჭს და თანაც თავხედურად სთელავს ფეხქვეშ კაცობრიობის ყოველივე წმინდათაწმინდას და დიადს რომელიმე ბარონის ნიღაბით; ჩვენში, სადაც მთელი ლიტერატურისა და მისი ყველა გენიოსის ნასყიდობის სიგელი ათასობით ხელისმომწერს სძენს ზოგიერთ სავაჭრო ჟურნალს; ჩვენში, სადაც უაზრო აბლაუბდა, რაც ტრედიაკოვსკებისა და ემინების დავიწყებულ სწავლულობას მკვდრეთით აღადგენს, ხმამალლა ცხადდება მსოფლიო სტატიებად, რომლებმაც გადამწყვეტი გადატრიალება უნდა მოახდინონ რუსეთის ისტორიაში?..¹⁰ არა: სწეროს, ილაპარაკოს, იყვიროს ყოველმა, ვისაც თუნდაც ოდნავ მაინც უანგაროდ უყვარს სამშობლო, სიკეთე და ჭეშმარიტება; არ ვლაპარაკობ ცოდნაზე. რადგან მრავალმა სავალალო გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ ჭეშმარიტების საქმეში ცოდნა და ღრმა განსწავლულობაც კი სრულებით იგივე არ არის, რაც პირუთვნელობა და სამართლიანობა...

ამრიგად, ამართლებს თუ არა ჩვენი სიტყვიერება ჩემს მიერ მოყვანილ ლიტერატურის უკანასკნელ განსაზღვრას?

ამ საკითხის გადასაწყვეტად გაკვრით გადავავლოთ თვალი ჩვენი ლიტერატურის განვითარებას ლომონოსოვიდან, მისი პირველი გენიოსიდან, ვიდრე ბ-ნ კუკოლნიკამდე, მის უკანასკნელ გენიოსამდე.

(შემდეგი ფურცელი გვიჩვენებს.)

ლიტერატურული ოცნებანი

(გაგრძელება)

La verité! La verité! rien plus que la verité! 20

— „რაო, რა სთქვით? ნუთუ მიმოხილვას აპირებთ?“ — პეკითხებიან შეშინებული მკითხველები.

დიად, მოწყალენო ხელმწიფენო, თუშეცა იგი მთლად მიმოხილვა კი არაა, არამედ მისი მსგავსია. მაშ ასე — silence! 21 მაგრამ რას ვხედავ? თქვენ შუბლს იკმუხნით, მხრებს იჩეჩთ, თქვენ გუნდად შემომძახით: „არა, ძმობილო, გაცვეთილი ოინია — ვერ მოგვატყუებ. ჩვენ ჯერაც არ დაგვეწყნია წინანდელი მიმოხილვები, რომლებიც ძრწოლას გვეგვიდნენ! ჩვენ, თითქმის, წინასწარვე ზეპირად ვიცით ყოველივე ის, რაზედაც აპირებ გვიქადაგო. ყოველივე ეს ჩვენ თვითონაც შენზე ცუდად არ ვიცით. ახლა ხომ ის აღარაა, რაც წინათ იყო: მაშინ თქვენ, არამკითხე მიმოხილველნი, ადვილად გვიხვევდით თვალს ჩვენ, საბრალო მკითხველებს, ახლა კი ყელამ ცოტად თუ ბევრად ჭკუა ისწავლა და შეუძლია წალმა-უკუღმა განსაჯოს ესა თუ ის...“ 22

რით გიპასუხობთ ამ აუცდენელ სალამზე?.. მერწმუნეთ, ვერ მომისაზრებია... მაგრამ... წაიკითხეთ, თუნდაც ისე, მოწყენილობის განსაქარვებლად, — ახლა ხომ, კარგად იცით, წასაკდთხავი არაფერი მოიძებნება, ასე რომ ეს მიმოხილვა

სწორედ მისწრება იქნება... ეგების—(ეშმაქს ხომ თვალი არ უჩანს!)—ეგების, ჩემს მოკლე (ხომ გესმით—მოკლე!) ძიძო-ხილვაში იპოვნოთ, თუ მაინცადამაინც რთული არაა, სამაგიეროდ არც მაინცადამაინც უზარო, თუ მაინცადამაინც ახალი არაა, სამაგიეროდ არც მაინცადამაინც გაცვეთილი აზრები... თანაც რაღაც ფასი აქვს ხომ სიმართლეს, მიუდგომლობას, კეთილგანმზრახველობას... რაო, არა გჯერათ? — ზურგს მაქცევთ, თავს აკანტურებთ, ხელებს აქნევთ, ყურებს იცობთ?.. რას იზამ, ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ: არ შე-მოგვედრებით, გინდათ წაიკითხეთ, გინდათ ნუ წაიკითხავთ. აკი ნათქვამია კიდევ: იყოს ნება თქვენი!.. თუმცა, ნეტავი რას გევაჭრებით? არა—გთხოვთ ნუ განრისხდებით: გინდათ თუ არ გინდათ, მაინც უნდა წაიკითხოთ. მაშ წერა-კითხვა რისთვის გისწავლიათ? მაშ ასე, ღვთის ლოცვა-კურთხევით, შევეუდგეთ საქმეს!

თქვენ, პატივცემულნო მკითხველნო, შესაძლოა, მოეღიწოდებოდნენ, რომ მე, ჩვენი დიდად განსწავლული და მოცლილი არისტარხების²² სანაქებო ჩვეულებისამებრ, ჩემს ამ მიმოხილვას დავიწყებ ყველა დასაბამთა დასაბამით — ლედას კვერცხებით, რათა გიჩვენოთ, თუ რა გავლენა იქონია რუსულ ლიტერატურაზე ქვეყნიერების გაჩენამ, პირველი ადამიანის ცოდვით დაცემამ. შემდეგ საბერძნეთმა, რომმა, ხალხთა დიდმა გადასახლებამ, ატილამ, რაინდობამ, ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, კომპასის, თოფისწამლის გამოგონებამ, წიგნების ბეჭდვამ, ამერიკის აღმოჩენამ, რეფორმაციამ, ოცდაათწლიანმა ომმა და სხვამ და სხვამ? იქნებ, თქვენ უკვე მართლაც ელდა გეცათ იმის მოლოდინში, რომ მე სრულიად მოურიდებლად გწვდებით საყელოში, გემ „ჯონ-ბულზე“ შეგათრევთ და იმით, როგორც ჯადოსნური მფრინავი ხალიჩით, გაფრინდები პირდაპირ ინდოეთში, კაცობრიობის ამ საოცარ სამშობლოში, ჰიმალაების, სპილოების, ვეფხების, ლომების, მახრჩობელა გველების, მაიმუნების, ოქროს, თვალმარგალიტისა და ხოლერის ამ საკვირველ ქვეყანაში; იქნებ, თქვენ ფიქრობთ, რომ მე გადმოგცემთ „რამაიანას“ და „მაჰაბარა-

თის“ შინაარსს, გავარჩევ „საკონტალის“ სწორუბოვარ მშვე-
 ნება-სილამაზეს, თქვენს წინ გადავშლი მაგადღევის და შივის
 ქურუმთა ამ ერთობ რთული და წარმტაცი მითოლოგიის
 მთელ სიმდიდრეს და თანაც სანსკრიტული და სლავური
 ენების განსაცვიფრებელ მსგავსებაზე შევჩერდები? არა,
 მოწყალენო ხელმწიფენო, თავს ნუ მოიტყუებთ ესოდენ მომ-
 ხიბლველი იმედით; ეს იმედი არ გამართლდება და, ვგონებ,
 თქვენდა სასიხარულოდ, ვინაიდან—აშკარად გამოგიტყდე-
 ბით—ვედათა საღმრთო წერილი ჩემთვის ნამდვილი აჯამუ-
 რი ანბანია, ხოლო ინდიური პოემებისა და დრამების თარგმა-
 ნებიც კი თვალთ არ მინახავს. ნურც იმას მოელით, რომ
 წმინდა განგესის ნაპირებიდან წაგიყვანთ ტიგროსისა და ევ-
 ფრატის აყვავებულ ნაპირებზე, *სადაც ადამიანმა-ყრმამ კერ-
 პები დაამსხვრია და ცეცხლს ეთაყვანა; ნუ მოელით, რომ
 მოურიდებლად ჩამოვგლიჯო უმწიკვლოების საბურველი
 ძველი მოგვებისა და ოზირისისა და იზიდას ქურუმების საი-
 დუმლოებებს წყალუხვი ნილოსის ნაპირებზე; ნუ გგონიათ,
 რომ გზადაგზა სხვათა შორის შევივლით არაბეთის უდაბნო-
 ებში, რათა ქვიშნარის ოკეანეში, მოჩუხჩუხე წყაროსთან, გა-
 ნიერფოთლებიანი პალმის ჩრდილში ავიხსნათ შვიდი გან-
 თქმული მოალაკატი. მართალია, ამ ქვეყნებს მიმავალი გზა
 მე ყველა ჩვენს მიმომხილველზე ნაკლებად არ ვიცი, მაგრამ
 მეშინია თქვენთან ერთად ასეთ შორ გზას გავუდგე; მებრა-
 ლებით—ვაი თუ დაიდალოთ ან გზა აგებნეთ. ამაზე მეტს ჩემ-
 გან ვერ გაიგონებთ ვერც საბერძნეთზე და ვერც მის მშვენიერ
 და მდიდარ ლიტერატურაზე; ასევე საბედისწერო დუმილით
 გავივლი უკვდავ რომსაც. არა—ნუ გეშინიათ! არ მინდა,
 მსგავსად ჩვენი წარსული, ახლანდელი და, შესაძლოა, მომავალი
 მიმომხილველებისაც, რომლებიც მუდამ ერთი ჰან-
 გით—ლედას კვერცხებით—იწყებენ და სრული არარაობით
 ამთავრებენ, რომლებიც, თავიანთი ხანგრძლივი და მოკ-
 რძალებული დუმილით მობეზრებულნი, გონებრივ უნარს
 სძაბავენ და ერთბაშად ამზეურებენ თავიანთი უზარმაზარი
 და მრავალფეროვანი ცოდნის მთელ უღეველ მარაგს და მას

მეგობრის ჟურნალის ან ალმანახის რამდენიმე გვერდში ათავსებენ, — არ მინდა ხელი ავუერიო ჰომეროსებისა და ვირგილიუსების, დემოსთენებისა და ციცერონების ძელებში; უჩემოდაც საკმაოდ აწუხებენ ამ საწყლებს. არ შევუდგები არა თუ იმის გამოძიებას, თუ რა სახის ქმნილებებით დაიწყეს წერა ან სიმღერა პირველყოფილმა პოეტებმა: ჰიმნებით თუ ლოცვებით; არამედ არავითარ პრელუდიასაც კი არ გავითამაშებ შუა და ახალი საუკუნეების ლიტერატურაზე, დავიწყებ პირდაპირ რუსული ლიტერატურით. ეს კიდეც ცოტაა: არაფერს ვიტყვი თვით ნეტარხსენებული კლასიციზმისა და რომანტიზმის შესახებაც კი: საუკუნო ხსენება მათ!

მაშ, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ, საყვარელო მკითხველნო! განა ახირებული ვინმე არა ვარ მე, და სხვა არაფერი? როგორ, მიმომხილველის მნიშვნელოვანი თანამდებობის შესრულება ვიკისრო და ასეთი საუცხოო შემთხვევით არ ვისარგებლო იმისათვის, რომ გამოვაჩინო რუსული ჟურნალებისაგან ნასესხები ჩემი ღრმა განსწავლულობა, გამოვთქვა მრავლის უმრავლესი ცხადი, მწვავე, თუმცა დიდი ხანია უკვე ყველასათვის ცნობილი და მწარე ბოლოკივით თავმომამბეზრებელი ჭეშმარიტება; მთელი ეს მიქსტურა, მთელი ეს აჯაფსანდალი შევაზაფო ამა თუ იმ ქარაგმებით, შევალამაზო ზმებითა და ჭრელ-ჭრელი კალეიდოსკოპური აბდაუბდით, თუნდაც ეს საღი აზრის საწინააღმდეგო იყოს!.. რაო. მოწყალენო ხელმწიფენო, გიკვირთ? აკი იმიტომაც იყო, რომ გეუბნებოდით: წაიკითხეთ, ეგების არ ინანოთ-მეთქი... კარგად დაფიქრდით, ამასობაში კი ერთხელ კიდევ გაგიმეორებთ, რომ, თუმცა თქვენ ძალიან გეწყინებათ, მაგრამ არაფერი ამდაგვარი არ იქნება, — ხოლო თუ რატომ არ იქნება, ამაზე ქვევით წაიკითხეთ და გაოცდით.

ჯერ ერთი: იმიტომ, რომ არ მინდა გაწამოთ მთქნარებით, რითაც თავათაც საკმაოდ ვიტანჯები.

მეორე: იმიტომ, რომ არ მინდა ვითაღლითო, ესე იგი ამპარტავენულად ვილაპარაკო იმაზე, რაც არ ვიცი, ხოლო თუ ვიცი კიდეც, ვიცი ერთობ აბნეულად და ბუნდოვნად.

მესამე: იმიტომ, რომ ყველაფერი ეს მშვენიერია თავის ადგილზე, მაგრამ ჩემი მიმოხილვის საგანს — რუსულ ლიტერატურას — ოდნავადაც არ შეეხება: იმედი მაქვს ამ ამოცანას ბევრად უფრო უბრალოდ ამოვხსნი.

მეოთხე: იმიტომ, რომ მტკიცედ მახსოვს ჩვენი ყოფილი კრიტიკოსის, ნეტარხსენებულ ნიკოდიმ არისტარხის-ძე ნაღოუმკოს ის ფრიალ ბრძნული წესი, რომ პატარა ნავით წუმბეზე გადასასვლელად საზღვაო რუკის გაშლა სისულელეა²⁴. როგორც გენებოსთ, მე კი მზად ვარ დავიფიცო, რომ განსვენებული სიმართლეს ამბობდა. იყო დრო, როდესაც ყველანი ყურებში თითებს ციკობდნენ მაშინდელი გენიოსების წინააღმდეგ მისი არათავაზიანი გალაშქრების გამო, ახლა კი ყველანი ნანობენ, რომ აწინდელი გენიოსების ხეირიანად დაძფრთხობი კაცი აღარ მოიძებნება. მოდი და ახლა მთელ ქვეყნიერებას ასიამოვნე! თუმცა, ეს ისე ვთქვი, à propos—დაწყება მეჩქარება.

ფრანგები ლიტერატურას უწოდებენ საზოგადოების გამოხატულებას. ეს განსაზღვრა ახალი როდია; ჩვენ მას დიდი ხანია ვიცნობთ. მაგრამ მართებულია თუ არა ის? ეს უკვე სხვა საკითხია. თუ სიტყვა საზოგადოებად უნდა ვიგულისხმოთ უაღრესად განათლებულ ადამიანთა რჩეული წრე, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, მაღალი საზოგადოება, beau monde, მაშინ ამ განსაზღვრას ექნება თავისი მნიშვნელობა, თავისი აზრი, და ღრმა აზრიც, მაგრამ მხოლოდ მარტოოდენ ფრანგებში. თითოეული ხალხი, შესაბამისად თავისი ხასიათისა, რაც წარმოსდგება ადგილმდებარეობისაგან, იმ ელემენტების ერთიანობისა ან მრავალფეროვნებისაგან, რომლებისგანაც ჩამოყალიბდა მისი ცხოვრება, და შესაბამისად იმ ისტორიული ვითარებისა, რომელშიც ეს ცხოვრება განვითარდა, ადამიანთა მოდგმის დიდ ოჯახში თავის განსაკუთრებულ, განგებისგან მისთვის მიჩენილ როლს ასრულებს და თვითგაუმჯობესების სარბიელზე მისი წარმატებების საერთო საუნჯეში თავისი წვლილი, თავისი განძი შეაქვს; სხვა სიტყვებით: თითოეული ხალხი კაცობრიობის ცხოვრების ერთ

რომელიმე მხარეს გამოხატავს. ამრიგად, გერმანელებმა დაიპყრეს გონებით ჰერეტისა და ანალიზის უსაზღვრო სფერო, ინგლისელები განსხვავდებიან პრაქტიკული საქმიანობით, იტალიელები—მხატვრული მიმართულებით. გერმანელი ყველაფერს უფარდებს საზოგადო შეხედულებას, ყველაფერი გამორყავს ერთი საწყისიდან. ინგლისელი ზღვებზე დასცურავს, გზები და არხები გაჰყავს, მთელ მსოფლიოსთან ვაჭრობს, კოლონიებს იჩენს და ყველაფერში ეყრდნობა გამოცდილებას და ანგარიშს. წარსული ხანების იტალიელის ცხოვრება—ეს იყო სიყვარული და შემოქმედება, შემოქმედება და სიყვარული. ფრანგთა მიმართულებაა ცხოვრება, ცხოვრება პრაქტიკული, მჩქეფარე, მოუსვენარი, მარად მოძრავი. გერმანელი—ჰქმნის აზროვნებას, აღმოაჩენს ხოლმე ახალ ჰემარიტებას; ფრანგი მას იყენებს, მით არსებობს, მას ხარჯავს, ასე ვთქვათ. გერმანელები ამდიდრებენ კაცობრიობას იდეებით, ინგლისელები—გამოგონებებით, რაც ცხოვრების სიკეთეს ემსახურება. ფრანგები გვაძლევენ მოდის კანონებს, გვიკარნახებენ ურთიერთ მოპყრობის, თავაზიანობის, ზრდილობის წესებს. ერთი სიტყვით, ფრანგის ცხოვრება საზოგადოებრივი, პარკეტული ცხოვრებაა. პარკეტია მისი სარბიელი, რომელზედაც იგი ბრწყინავს თავისი გონების, ცოდნის, ნიჭის, ქუყამახვილობის, განსწავლულობის სხივით. ფრანგებისათვის ბალი, კრება იგივეა, რაც ბერძნებისათვის იყო მოედანი ან ოლიმპიური თამაშობანი: ესაა ჭიდილი, ასპარეზობა, სადაც, იარაღის ნაცვლად, იბრძვიან გონებით, სიმახვილით, განსწავლულობით, განათლებით; სადაც პატივმოყვარეობას პატივმოყვარეობითვე იგერიებენ; სადაც ბევრი შუბი იმტვრევა, მრავალი იმარჯვებს და მრავალი კიდევ მარცხდება. აი რატომ არის, რომ არც ერთ ხალხს არ შეუძლია გაუტოლდეს ფრანგებს ამ თავაზიანობაში, ამ კოხტაობასა და ზრდილობიან მოპყრობაში, რომელთა სიტყვებით გამოხატვა ისევ და ისევ მხოლოდ ფრანგულ ენაზე შე-

2. ბ. გ. ბ. ე. ლ. ი. ს. კ.

იძლება; აი რატომ იყო, რომ ევროპელ ხალხთა ყოველი ცდა — ამ მხრივ გატოლებოდნენ ფრანგებს, — მუდამ ფუჭი რჩებოდა; აი რატომ არის, რომ ყველა სხვა საზოგადოება მუდამ იყო, არის და მომავალშიაც იქნება ფრანგული საზოგადოების სასაცილო კარიკატურა, საცოდავი პაროდია, ბოროტი ეპიგრამა; აი რატომ არის-მეთქი სიტყვიერების ეს განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც სიტყვიერება უნდა წარმოადგენდეს საზოგადოების გამოხატულებას, ესოდენ ღრმა და სწორი ფრანგებში. მაფი ლიტერატურა მუდამ იყო საზოგადოების უტყუარი ანარეკლი, მისი სარკე, მუდამ ამ საზოგადოებასთან ხელახელჩაკიდებული მიდიოდა, ივიწყებდა რა ხალხის მასას, ვინაიდან მათი საზოგადოება არის უმაღლესი გამოვლინება მათი ხალხური სულია, — მათი ხალხური ცხოვრებისა. ფრანგი მწერლებისათვის საზოგადოება არის სკოლა, რომელშიაც ისინი სწავლობენ ენას, პოულობენ აზრებს და რომელსაც გამოხატავენ თავიანთ ქმნილებებში. სულ სხვა მდგომარეობაა სხვა ხალხებში. გერმანიაში, მაგალითად, სწავლულია არა ის, ვინც მდიდარია ან ძილებულია საუკეთესო ოჯახებსა და უბრწყინვალეს საზოგადოებებში; პირიქით, გერმანიის გენიოსებს უყვართ ღარიბთა სხვენები, სტუდენტთა ღარიბული კუთხეები, პასტორთა უბადრუკი ბინები. იქ ყველა სწერს ან კითხულობს, იქ საზოგადოება ანგარიშს უწევს მილიონებს, ხოლო მწერლები — ათასებს; ერთი სიტყვით, იქ ლიტერატურა გამოხატულებაა არა საზოგადოებისა, არამედ ხალხისა. ამგვარადვე, თუმცა არა ასეთივე მიზნების გამო, სხვა ხალხთა ლიტერატურაც საზოგადოების გამოხატულება კი არაა, არამედ ხალხის სულის გამოხატულებაა; ვინაიდან არ არის არც ერთი ხალხი, რომლის ცხოვრება უმთავრესად საზოგადოებაში მელავნდებოდეს, და შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საფრანგეთი ამ შემთხვევაში ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს. ამგვარად, ლიტერატურა უსათუოდ უნდა იყოს ხალხის შინაგანი ცხოვრების გამოხატულება — სიმბოლო. თუმცაღა, ეს სრულებით არაა მისი განსაზღვრა, არამედ მისი ერთ-ერთი

მეტად აუცილებელი კუთვნილება და პირობაა. მანამ, სანამ ამ მხრივ ვილაპარაკებდე რუსეთზე, საჭიროდ მიმაჩნია აქ გადმოვცე ჩემი გაგება ხელოვნებისა საზოგადოდ. მე მინდა მკითხველები ჭედავდნენ, თუ რა თვალსაზრისით ვუცქერი იმ საგანს, რომელზეც აზრის გამოთქმა გადავწყვიტე, და რა მიზეზთა გამო მესმის ესა თუ ის ამგვარად და არა სხვაგვარად.

მთელი უსაზღვრო, მშვენიერი სამყარო სხვა არაფერია, თუ არა სუნთქვა ერთიანი, მარადიული იდეისა (ერთიანი, მარადიული ღვთაების აზრისა), რომელიც მეღავენდება ურიცხვი ფორმების სახით, როგორც დიდებული სანახაობა აბსოლუტური ერთიანობისა უსასრულო მრავალფეროვნებაში. მხოლოდ მომაკვდავის მგზნებარე გრძნობას შეუძლია თავის ნათელ წუთებში ჩასწვდეს, თუ რაოდენ დიდია სამყაროს ამ ზღვის სხეული, რომლის გულს შეადგენენ უზარმაზარი მწეები, ძარღვებს — ცის იკანკლენდი, ხოლო სისხლს — წმინდა ეთერი. ამ იდეისათვის მოსვენება არ არის: იგი ცოცხლობს განუწყვეტლივ, ესე იგი ჰქმნის განუწყვეტლივ, რათა დაანგრეოს, და ანგრევს, რათა შეჰქმნას. იგი განსხეულდება კაშკაშა მზეში, დიდმშვენიერ პლანეტაში, ცთომილ კომეტაში; იგი ცოცხლობს და სუნთქავს ზღვათა მღვლვარე მოქცევებსა და მიქცევებშიაც, უდაბნოთა მძვინვარე გრივალშიაც, ფოთოლთა შრიალშიაც, ნაკადულის რაკრაკშიაც, ლომის ბრღღვინვაშიაც, ჩვილის ცრემლშიაც, სილამაზის ღიმღშიაც, ადამიანის ნებისყოფაშიაც, გენიოსის მწყობრ ქმნილებებშიაც... მიუწვდომელი სისწრაფით ბრუნავს ჩარხი დროისა. ცის თვალუწვდენელ სივრცეებში გამოფიტულ ვულკანებით ქრებიან მნათობნი და ენთებიან ახალი მნათობები; დედამიწაზე ჩნდებიან და ჰქრებიან გვარეულობანი და თაობანი და მათ ადგილს იკავებენ ახლები, სიკვდილი ანადგურებს სიცოცხლეს, სიცოცხლე სპობს სიკვდილს, ბუნების ძალები იბრძვიან, ერთმანეთს მტრობენ და დამშვიდდებიან ხოლმე შუათანა ძალებით, და ჰარმონია მეფობს ამ მარადიულ დუღილში, საწყისთა და ნივთიერებათა. ამ ბრძოლაში. მაშ—

იდეა ცოცხლობს: ნათლად ვხედავთ ამას ჩვენი სუსტი თვალებით. იდეა ბრძენია, რადგან ყოველივეს წინასწარ სკვრეტს, ყოველივეს აწონასწორებს: წყალდიდობისა და წინაღობის შემდეგ მოგვივლენს ხოლმე ნაყოფიერებას; გამატიანებელ ქექა-ქუხილს მოაყოლებს სუფთა და ახალ ჰაერს; არაბეთისა და აფრიკის ქვიშნარის უდაბნოებში მან ბინა მიუჩინა აქლემსა და სირაქლემას, ყინულოვანი ჩრდილოეთის უდაბნოებში — ირემს. აი მისი სიბრძნე, აი მისი ფიზიკური სიცოცხლე. სადღაა მისი სიყვარული? ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი და მისცა მას გონება და გრძნობა, რათა ჩასწვდეს ამ იდეას თავისი გონებითა და ცოდნით, რათა ეზიაროს მის სიცოცხლეს ცხოველი და მგზნებარე თანაგრძნობით, რათა გაეზიაროს მისი სიცოცხლე. უსასრულო, შემოქმედებითი სიყვარულის გრძნობაში! მაშ ასე: ის არა მარტო ბრძენია, არამედ მოსიყვარულეც! იამაყე, იამაყე, ადამიანო, შენი მალალი დანიშნულებით; მაგრამ არ დაივიწყო, რომ ღვთაებრივი იდეა, რომელმაც შენ გაგაჩინა, ხამართლიანი და მართლმსაჯულების მოყვარულია; რომ მან მოგანიჭა შენ გონება და ნებისყოფა, რომლებიც შენ ყველა ქმნილებაზე მალა გაყენებენ; რომ იგი შენში ცოცხლობს, ხოლო სიცოცხლე მოქმედებაა, მოქმედება კი ბრძოლაა; არ დაივიწყო, რომ შენი უსასრულო, უმაღლესი ნეტარებაა შენი მე-ს მოსპობა სიყვარულის გრძნობაში. ამგვარად, აი ეს ორი ბილიკი, ორი გარდუვალი გზა: უარჩყავ თავი შენი, ჩაახშე ეგოიზმი შენი, ფეხით გასთელე შენი ანგარებითი მე, იცოცხლე სხვათა ბედნიერებისათვის, მსხვერპლად მიიტანე ყველაფერი მოყვასის, სამშობლოს სასიკეთოდ, კაცობრიობის სასარგებლოდ, გეჟვარდეს ქვეშარიტება და სიკეთე არა ჯილდოსათვის, არამედ ქვეშარიტებისა და სიკეთისათვის, და მიიმე ტანჯვით მოიპოვე შენი შეერთება ღმერთთან, შენი უკვდავება, რომელიც უნდა მდგომარეობდეს შენი მე-ს მოსპობაში, უსაზღვრო ნეტარების გრძნობაში!.. რაო? ვერა ჰბედავ? ეს საგმირო საქმე გაშინებს, ვგონებ ის შენს ძალ-ღონეს აღემატება?.. მაშ, აჰა შენ მეორე გზა, ის უფრო ფართო, მშვიდი და ადვილია:

ყველაზე მეტად გიყვარდეს შენი თავი ქვეყნად; იტირე, სიკეთე უყავ მხოლოდ სარგებლობის გამო; ნუ შეუშინდები ბოროტებას, როდესაც მას შენთვის სარგებლობა მოაქვს. გახსოვდეს ეს წესი: იგი ყოველგან დაგიფარავს! თუ შენ დაბადებულხარ ძლიერად ამა ქვეყნისა, ქელი მოიდრჩე, გველივით ისრიალე ვეფხთა შორის, ვეფხივით შეიპყრ ცხვრებში, დაპლუბე, ჩაგრე, დალიე სისხლი და ცრემლი, დაიმშვენე შუბლი დაფნის გვირგვინებით, მოიდრჩე წელი დაუმსახურებელი პატივისა და დიდების ტვირთის ქვეშ. მხიარული და ბრწყინვალე იქნება ცხოვრება შენი. შენ ვერ შეიტყობ, რა არის სიცივე და შიმშილი, რა არის ჩაგვრა და შეურაცხყოფა, შენ ძრწოლას მოჰგვრი ყოველს, ყველგან შეგხედება მორჩილება და თავაზიანობა, ყოველგან ფიანღაზად გაგეშლება პირფერობა და ხობტა, და პოეტიც დაგწერს ქებას და ოდას, სადაც შეგადარებს ნახევარღმერთებთან, და ჟურნალისტიც საქვეყნოდ შეჰყვირებს, რომ შენა ხარ სუსტთა და უმწეოთა შემწე და მფარველი, სამშობლოს ბურჯი და იმედი. სახელმწიფოს მარჯვენა ხელი! რა გენაღვლება, რომ შენს სულში ყოველ წუთს გათამაშდება შემზარავი, სისხლიანი დრამა; რომ შენ მუდამ უთანხმოება გექნება საკუთარ თავთან; რომ შენს სულში დაისადგურებს საშინელი ცეცხლი, ხოლო გულში — საშინელი სიცივე; რომ ბრწყინვალე ლხინშიაც და ტკბილ ძილშიაც არასოდეს არ მოგშორდება შენგან ჩაგრულთა ღაღადისი; რომ შენს სასიკვდილო სარეცელს გარს შემოერტყმიან შენგან დაღუპულთა აჩრდილნი, ჯოჯოხეთურ ცეკვას გამართავენ იქ და უწყალო ხარხარში გაერთობიან შენი უკანასკნელი ტანჯვა-წამებით ეამსა აღსასრულისასა; რომ შენს თვალწინ გადაიშლება შემზარავი სურათი სიკვდილის შემდეგ ზნეობრივი განადგურებრსა, საუკუნო ტანჯვა-წამებისა!.. ჰო, შენ მართალი ხარ, ჩემო საყვარელო: სიცოცხლე სიზმარია, ვერც შეიტყობ, ისე გაივლის!.. სამაგიეროდ ცხოვრებას მხიარულებაში გაატარებ, ტკბილად გამოძლები, რბილ ლოგინში დაიძინებ, შენს მოყვასებზე იბატონებ, და ამას ხომ რაღაც ფასი აქვს!

ხოლო თუ შენი დაბადების დროს ბუნებამ შუბლზე გენიოსის დალი დაგასვა, წინასწარმეტყველის მისნური ენა და პოეტის ტკბილი ხმა მოგანიჭა, თუ სამყაროს მეუფე ბედმა კაცობრიობის მამოძრავებლად, ქეშმარიტებისა და ცოდნის მოციქულად ყოფნა გარგუნა, აი, შენს წინაშე კვლავ ორი გარდღევალი გზაა: ფანაუგრძნე ბუნებას, გიყვარდეს და შენსწავლეს, შექქმენ უანგაროდ, იღვაწე უსასყიდლოდ, განაღებ სულნი მოყვასთანნი აღსაბეჭდად კეთილისა და ქეშმარიტისა, ამხილე მანკიერება და უვიცობა, აიტანე დევნა ბოროტთაგან, სკამე პური, დანამული ცრემლებით, და არ მოაშორო ფიქრმორეულნი თვალნი მშვენიერ, მშობლიურ ზეცას შენსას. ძნელია? მძიმეა?.. მაშ, აბა ივაჭრე შენი ღვთაებრივი ნიჭით, ფასი დაადე ყოველ წინასწარმეტყველურ სიტყვას, რომელსაც ზეგარდმოგივლენს ღმერთი შთაგონების წმიდა წყობებში; მყიდველნი გამოჩნდებიან, უხვ საფასურს მოგცემენ, შენ კი მხოლოდ პირფერობის გუნდრუჟი უქმიე, მორჩილად დაჰხარე გვირგვინოსანი შუბლი შენი, დაივიწყე დიდება, უკვდავება, შთამომავლობა, იკმარე, თუ ჩარჩი ეურნალისტის მლიქვნელი ხელი შენს შესახებ გამოაცხადებს, რომ შენა ხარ დიდი პოეტი, გენიოსი, ბაირონი. გოეთე!..

აი ზნეობრივი ცხოვრება მარადიული იდეისა. მისი გამოვლინებაა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს, სიყვარულსა და ეგოიზმს შორის, როგორც ფიზიკურ ცხოვრებაში ურთიერთ ჭიდილი შემკუმშველი და გამაფართოებელი ძალებისა. თუ არ არის ბრძოლა, არ არის დამსახურება; თუ არ არის დამსახურება, არ არის ჯილდო; ხოლო თუ არ არის მოქმედება, არ არის სიცოცხლე! რასაც წარმოადგენენ ინდივიდები, იმასვე წარმოადგენს კაცობრიობაც; იგი მუდამყამს იბრძვის და მუდამყამს უმჯობესდება. ბარბაროსთა ნიაღვრებმა, რომელნიც აზიიდან ევროპას მოაწყდნენ, ნაცვლად იმისა, რომ ცხოვრება ჩაეკლათ, ააღორძინეს ის, განაახლეს მიხრწნილი მსოფლიო. რომის იმპერიის გახრწნილი გვამიდან აღმოცენდნენ მძლავრი ხალხები, რომელნიც სიკეთის ჭურჭლად იქც-

ნენ: რას ნიშნავს ალექსანდრეთა ლაშქრობანი, კეისართა და კარლოსთა მოუსვენარი მოქმედება?—მოძრაობას მარადიული იდეისას, რომლის სიცოცხლე განუწყვეტელ მოქმედებაში მდგომარეობს.

მაშ, როგორია ხელოვნების დანიშნულება და მიზანი?.. სიტყვით, ბგერით, ხაზებითა და საღებავებით გამოხატოს, ასახოს ბუნების საყოველთაო სიცოცხლის იდეა—აი ერთიანი და მარადიული თემა ხელოვნებისა! პოეტური გასულდგმულება არის ათინათი ბუნების შემოქმედი ძალისა. ამიტომ პოეტი უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, უნდა სწავლობდეს ფიზიკურსა და სულიერ ბუნებას, უყვარდეს და თანაუგრძნობდეს მას; უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, სულით წმინდა და უმანკო უნდა იყოს, ვინაიდან ბუნების საკუთრბეველში შესვლა შეიძლება მხოლოდ შიშველი ფეხებით, დაბანილი ხელებით. ვაეკაცის გონებითა და ყრმის გულით, რადგან მხოლოდ ესენი დაიმკვიდრებენ სასუფეველსა ცისას, რადგან მხოლოდ გონებისა და გრძნობის ჰარმონიაში მდგომარეობს უმაღლესი სრულქმნა ადამიანისა!.. რაც უფრო დიდია პოეტის გენია, მით უფრო ღრმად და ვრცლად სწვდება იგი ბუნებას და მით უფრო მეტი წარმატებით წარმოგვიდგენს მას მისი უმაღლესი კავშირისა და სიცოცხლის სახით. თუ კი ბაირონმა ასწონ-დასწონა საშინელება და ტანჯვა-წამება, თუ კი ის ჩასწვდა და გამოხატა მხოლოდ ვაება გულისა, ჯოჯონეთი სულისა ეს ნიშნავს, რომ ის ჩასწვდა სამყაროს ყოფიერების მარტოოდენ ერთ მხარეს, რომ მან ამოჰკლიჯა და დაგვანახა მისი მხოლოდ ერთი კაბადონი. შილერმა გადმოგვცა საიდუმლოებანი ცათა, დაგვანახა მხოლოდ მშვენიერება სიცოცხლისა ისე, როგორც ის მას თვითონ ესმოდა, გვიგალობა მხოლოდ თავისი იდუმალი ფიქრები და ოცნებანი; ბოროტი ცხოვრებისა მის შემოქმედებაში ან არასწორადაა წარმოდგენილი, ანდა დამახინჯებულია გაზვიადებით; ამ მხრივ შილერი ბაირონის ტოლია. მაგრამ შექსპირი, ლეთაებრივი, დიდი, უბადლო შექსპირი, ჯოჯოხეთსაც და დედამიწასაც ჩასწვდა და ზეცასაც მისწვდა. ბუნების

მეუფემ, მან თანაბარი ხარკი აიღო კეთილისგანაც და ბოროტისგანაც, და თავისი ზეშთაგონებული ნათელი გონებით განჰქვრივა სამყაროს მაჯისცემა! მისა-თითოეული დრამა—ეს არის სამყარო მინიატურაში. მას არა აქვს, როგორც შილერს, საყვარელი იდეები, არა ჰყავს საყვარელი გმირები. შეხედეთ, რა უღმობლად დასცინის იგი ამ საბრალო ჰამლეტს, გიგანტის ზრახვებითა და ბავშვის ნებისყოფით აღჭურვილ ადამიანს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ეცემა ისეთი ღვაწლის სიმძიმისაგან, რაც მის ძალ-ღონეს აღემატება. ჰკითხეთ შექსპირს, ჰკითხეთ ამ ჯადოქართა მეფეს: რისთვის გამოკვეთა მან ღირისაგან უღონო, ნახევრად შეშლილი მოხუცი და არა იდეალი მოსიყვარულე მამისა, როგორც დიუსისმა ანდა გნედიჩმა; რისთვის წარმოადგინა მან მაკბეტის სახით ისეთი ადამიანი, რომელიც ბოროტმოქმედად იქცა ხასიათის სისუსტის გამო და არა ბოროტებისადმი მისწრაფების გამო, ხოლო — ლედი მაკბეტის სახით წარმოგვიდგინა გრძნობით ბოროტმოქმედი ადამიანი; რისთვის გამოკვეთა მან კორდელიასაგან გრძნობიერი, მოსიყვარულე ქალიშვილი, ჩვილი ქალური გულის პატრონი ადამიანი, ხოლო მის ღებს შურის, პატივმოყვარეობისა და უმადურობის ფურიები წარმოუვლინა? იგი თქვენ გიპასუხებდათ, რომ ასე ხდება ქვეყნად, რომ სხვანაირად შეუძლებელია! დიახ, ეს პირუთვნელობა, ეს გულცივობა პოეტისა, რომელიც თითქოს გეუბნებათ: ასე იყო, თუმცა, მე რა მესაქმებაო, — არის უძალდესი მწვერვალი მხატვრული სრულქმნისა, ჰემმარიტი შემოქმედება, წილ-ხვედრი მცირეოდენი რჩეულებისა, რომლებზეც ამბობენ:

ბუნების სუნთქვას მისი სუნთქვა უერთდებოდა,
 ნაკადულების რაკრაკს ისმენდა,
 ნახი ჩურჩული ხის ფოთლების გაეგებოდა
 და ბალახების ამოსვლას გრძნობდა.
 მნათობთა წიგნის ამოკითხველთან —
 ზღვის ტალღა მასთან მუსაიფობდა 25.

მართლაც, განა თქვენ შეგიძლიათ ამა თუ იმ მოვლენას უწოდოთ მშვენიერი, ხოლო ამას და ამას კიდევ—უმსგავსი ყოველ შემთხვევაში?.. განა ერთმა და იმავე სულმა უფლისამ არ შექმნა უწყინარი ბატკანი და სისხლმწყურვალი ვეფხი, ტანადი ცხენი და უმსგავსი ვეშაპი, ტურფა ჩერქეზის ქალი და მახინჯი ზანგი? განა მას მტრედი უფრო უყვარს, ვიდრე ქორი, ბულბული უფრო, ვიდრე ბაყაყი, ჯეირანი უფრო, ვიდრე მახრჩობელა გველი? მაშ რისთვის უნდა დაგიხატოთ თქვენ პოეტმა მარტოოდენ მშვენიერი, მარტოოდენ სულისა და გულის ამჩვილებელი რამ? თუ კი შეიძლება ბუნებაში არსებობდეს ჰან ისლანდიელი, მაშინ მე, მერწმუნეთ, ვერ გამიგია, რით არის იგი რომელიმე კარლ მოორზე ან თუნდაც მარკო პოზაზე უარესი? მე მიყვარს კარლ მოორი, როგორც ადამიანი, ვეთაყვანები პოზას, როგორც გმირს, და მძულს ჰან ისლანდიელი, როგორც ურჩხული. მაგრამ როგორც ფანტაზიის ქმნილებანი, როგორც საერთო სიცოცხლის კერძო მოვლენები, ისინი ჩემთვის ერთნაირად მშვენიერნი არიან. თუ თქვენ პოეტი გიხატავთ, მსგავსად რომელიმე კაპიტან სულსის²⁴, მარტოოდენ ბუნების საშინელებას, მარტოოდენ ბოროტებას, ეს იმას ადასტურებს, რომ მისი გონების პოროზონტი ვიწროა, რომ მისი შემოქმედებითი გენია შეზღუდულია, მაგრამ ოდნავადაც არ ამქლავნებს მასში ცუდსა და უზნეო ადამიანს. აი, როდესაც იგი თავისი თხზულებებით ცდილობს გაიძულოს თქვენ ცხოვრებას უყუროთ მისი თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში იგი უკვე პოეტიც აღარაა, არამედ მოაზროვნეა, და მოაზროვნე ცუდი, ბოროტგანმზრახველი, ღირსი წყევლა-კრულვისა, ვინაიდან პოეზიას თავის გარეშე მიზანი არ გააჩნია. ვიდრე პოეტი ანგარიშში უცემლად მისდევს თავისი წარმოსახვის წამიერ აფეთქებას, მანამდე იგი ზნეობრივია, მანამდე იგი პოეტიცაა. მაგრამ როგორც კი მან მიზანი დაისახა, თემა მოიხაზა, იგი უკვე ფილოსოფოსი, მოაზროვნე, მორალისტი, იგი ჰკარგავს თავის ჯადოსნურ ზეგავლენას ჩემზე, ამსხვრევს მშვენიერებას და მაიძულებს შევიბრალო ჩემი თავი, თუ იგი ჰემმარიტი ნი-

ქის პატრონია და სანაქებო მიზანი დაუსახავს, და შევიძულო ჩემი თავი, თუ იგი ცდილობს ჩემი სული მავნე აზრების ბადეში გაახვიოს. მოგწონთ თქვენ დერჟავინის ოდა „ღმერთი“? მაგრამ იმავე დერჟავინმა დასწერა „ქეწისქვილე“²⁷. თქვეს ძრახავთ პუშკინს მრავალი პრიანისათვის „რუსლან და ლიუდმილაში“? მაგრამ იმავე პუშკინმა შეგიქმნათ „ბორის გოდუნოვი“. მაშ რატომ არის ასეთი წინააღმდეგობანი მათს მხატვრულ მიმართულებაში? იმიტომ, რომ მათ კარგად ახსოვთ წესი:

ახლა მისდევ სივოცხლეს ლამაზს,
შთაბერე სული მის ყოველ წაძსა
და ღიმღერებით გაეხმიაწე
მის შოწოდების თვითეულ ხმასა! 28

ღიად, ხელოვნება არის გამოხატულება სამყაროს ღიადი იდეისა მის უსასრულოდ მრავალფეროვან მოვლენებში! საუცხოოდ იყო სადღაც ნათქვამი, რომ მოთხრობა ადამიანის ბედის უსასრულო პოემის მოკლე ეპიზოდიაო. მოთხრობის ეს განსაზღვრა ყოველგვარ მხატვრულ ქმნილებაზე ვრცელდება. პოეტის მთელი ხელოვნება იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მკითხველი დააყენოს ისეთ თვალსაზრისზე, საიდანაც იგი დაინახავდა მთელ ბუნებას შემეცირებული, მინიატურული სახით, როგორც დედამიწას გეოგრაფიულ რუკაზე, რომ მან მკითხველს აგრძნობინოს ქროლვა, სუნთქვა ამ სივოცხლისა, რომელიც ასულდგმულებს სამყაროს, გადასცეს მის სულს ეს ცეცხლი, რომელიც ათბობს მას. ხოლო სილამაზით დატკობა უნდა მდგომარეობდეს ჩვენი მე-ს წუთიერ დავიწყებაში, ბუნების საერთო სივოცხლისადმი ცხოველ-თანაგრძნობაში. და პოეტი მუდამყამს მიაღწევს ამ მშვენიერ მიზანს, თუ მისი ნაწარმოები ნაყოფია მაღალი გონებისა და მგზნებარე გრძნობისა, თუ იგი თავისუფლად და ანგარიშმიუცემლად იშვა მისი სულისაგან...

(კიდევ არ დამთავრებულა.)

ლიტერატურული ოცნებანი

(გაგრძელება)

ეჰ, თუ ჩვენ მიტომ გავჩნდით ამ ქვეყანად,
რომ უცხოეთით ვზიღოთ ყოველი,
ჩინელებს მაინც მივბაძოთ მცირედ,
ვისწავლოთ ბრძნული არცოდნა სხვათა.
როდისღა ვიხსნით თავს ამ სენიდან,
რომ უცხოთ მოდებს აღარ მივიღოთ
და ჩვენს ჰკვიანს ხალხს, თუნდ ენით მაინც,
გერქანელები აღარ ვეგონოთ?

„ეპი კუჟისაგან“. მოქმედება III.

ამრიგად, ახლა უნდა გავარკვიოთ შემდეგი საკითხი: რა არის ჩვენი ლიტერატურა: საზოგადოების გამოხატულება თუ ხალხური სულის გამოხატულება? ამ საკითხის გარკვევა იქნება ისტორია ჩვენი ლიტერატურისა და ამასთანავე ისტორია ჩვენი საზოგადოების თანდათანობითი განვითარებისა პეტრე დიდის დროიდან მოკიდებული. მე ჩემი სიტყვის ერთგული ვარ და ამიტომ აღარ ვილაპარაკებ, თუ რით დაიწყო ყველა ხალხის ლიტერატურა, როგორ ვითარდებოდა ის, ვინაიდან ეს ცნობილი უნდა იყოს ყოველი მკითხველი ადამიანისათვის.

თითოეულმა ხალხმა, განგების უცვალებელი კანონის გამო, თავისი ცხოვრებით უნდა გამოხატოს მთელი კაცობრიობის ცხოვრების რომელიმე ერთი მხარე; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ხალხი კი არ ცოცხლობს, არამედ ბოგინობს მხოლოდ, და მისი არსებობა არაფრის მაქნისია. ცალმხრივობა მავნებელია ყოველი ადამიანისათვის, კერძოდ მავნებელია მთელი კაცობრიობისათვის. როდესაც მთელი მსოფლიო რომად იქცა, როდესაც ყველა ხალხმა რომაულად აზროვნება და შეგრძნება დაიწყო, მაშინ შეწყდა ადამიანის გონების განვითარება, რადგან მისთვის უკვე აღარ არსებობდა მიზანი, რადგან მას ეგონა, რომ უკვე მიაღწია თავისი სარბიელის ჰერკულესის ბოძებს. დაქანცული მეუფე სამყაროსი განცხრომას

მიეცა: მისი სიცოცხლე დასრულდა, რადგან დასრულდა მისი მოქმედება, რომლისადმი მისწრაფებას იგი მხოლოდ მარტოოდენ გარყვნილი ორგიებით ამჟღავნებდა. საშინელი შეცდომა ჩაიდინა მან, რადგან ფიქრობდა, რომ გარეშე რომისა, რომელმაც დაპყრობის უფლებით მემკვიდრეობად მიიღო ბერძნული სწავლა-განათლების საუნჯენი, არ არის ქვეყნიერება, არ არის სინათლე, არ არის განათლება! სავალალო შეცდომაა! ეს იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ამ დიდი გოლიათის ზნეობრივი სიკვდილისა. კაცობრიობის განახლებისათვის საჭირო იყო, რათა კვდომისა და განხრწნის ამ ქაოსში დაეგრავინა კაცის ძის მადლიან სიტყვას: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთძიმენი და მე განგისვენო თქვენ“. საჭირო იყო, რათა ბარბაროსთა ბრბოებს დაენგრიათ ეს უზარმაზარი სიმძლავრე, თავიანთი ხმლით დაეყოთ და გაემიჯნათ ის მრავალ სიმძლავრედ, ეს სიტყვა მიეღოთ და თითოეული თავისი განსაკუთრებული გზით წასულიყო ერთიანი მიზნისაკენ.

დიახ, მხოლოდ სხვადასხვა გზით მიმავალს, კაცობრიობას შეუძლია მიაღწიოს თავის ერთიან მიზანს; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითმყოფად ცხოვრობს, თითოეულ ხალხს შეუძლია თავისი წვლილი მიიღოს²⁰ საერთო საუნჯეში. მაშ რაში მდგომარეობს თითოეული ხალხის ეს თვითმყოფობა? განსაკუთრებულ, მარტოოდენ მისთვის დამახასიათებელ აზრთა წყობასა და შეხედულებაში, რელიგიაში, ენასა და უმეტესად ზნე-ჩვეულებებში. ყველა ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია, მჭიდროდ გადახლართულია ერთმანეთში და ურთიერთს განაპირობებს, და ყველა წარმოსდგება ერთი საერთო წყაროსაგან—ყველა მიზეზთა მიზეზის—ჰავისა და ადგილმდებარეობისაგან. თითოეული ხალხის ამ განმასხვავებელ თვისებათა შორის ზნე-ჩვეულებანი თითქმის ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, ამ ხალხთა თითქმის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენენ. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ხალხი, რომელსაც არა ჰქონდეს ღვთისმსახურების ფორმებით შემოსილი რელიგიური ცნე-

ბები; შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ხალხი, რომელსაც არა ჰქონდეს ყველა წოდებისათვის საერთო ერთი ენა; მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ხალხი, რომელსაც არა ჰქონდეს განსაკუთრებული, მარტოდენ მისთვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი. ეს ზნე-ჩვეულებანი მდგომარეობენ ტანსაცმელში, რომლის პირველსავე მოცემულია ქვეყნის ჰავაში; საშინაო და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებში, რომელთა მიზეზი იმალება ხალხის მოსაობასა, რწმენასა და წარმოდგენებში; დაუყოფელი სახელმწიფოების ურთიერთ მიმართვის ფორმებში, რომელთა ელფერი წარმოსდგება სამოქალაქო დადგენილებათაგან და წოდებათა სხვაობისაგან. ყველა ეს ზნე-ჩვეულება ხანდაზმულობით განმტკიცდება, დროთა ვითარებაში დაკანონდება ხოლმე და მოდგმიდან მოდგმაზე, თაობიდან თაობაზე გადადის, როგორც შთამომავალთა მიერ წინაპართაგან მიღებული მემკვიდრეობა. ეს ზნე-ჩვეულებანი შეადგენენ ხალხის სახეს, და უმათოდ ხალხი არის უსახო ხატება, არარსებული და განუხორციელებელი ოცნება. რაც უფრო ჩვილია ხალხი, მით უფრო გამოკვეთილი და ელფეროვანია მისი ზნე-ჩვეულებანი და მით უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს ის მათ. დრო და სწავლა-განათლება ამ ზნე-ჩვეულებებს ათანაბრებს, მაგრამ ისინი შეიძლება შეიცვალონ მხოლოდ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად და თანაც სათითაოდ. საჭიროა, რათა თვით ხალხმა ნებაყოფლობით აიღოს ხელი ზოგიერთ მათგანზე და ახალი მიიღოს. მაგრამ აქაც ადგილი აქვს საკუთარ ბრძოლას, საკუთარ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებს, აქაც არიან საკუთარი ძველმოსავნი და მწვალებელნი, კლასიკოსნი და რომანტიკოსნი. ხალხი დიდად უფრთხილდება ზნე-ჩვეულებებს, როგორც თავის უწმინდეს საკუთრებას, და თავისი თანხმობის მიუტეებლად მათი უცარი და გადაჭრითი რეფორმის შეცადებას სთვლის თავისი სიცოცხლის ხელყოფად. შეხედეთ ჩინეთს: იქ ხალხის მასობრივად აღიარებულ სხვადასხვა სარწმუნოებას აღიარებს. უმაღლესი

წოდება, მანდარინები, არავითარ სარწმუნოებას არ იცნობენ, და მხოლოდ მოსაჩვენებლად ასრულებენ რელიგიურ წესჩვეულებებს. მაგრამ რაოდენ საერთო და საზიაროა მათი ზნე-ჩვეულებანი, რაოდენ თვითმყოფი, განსაკუთრებული და დამახასიათებელია! რა მტკიცედ იცავენ ისინი ამ ზნე-ჩვეულებებს! დიახ, ზნე-ჩვეულება წმინდა, ხელუხლებელი რამაა, იგი არავითარ ძალაუფლებას არ ემორჩილება, გარდა გარემოებათა ძალისა და განათლების წარმატებისა! ყველაზე გარყვნილი ადამიანიც კი, რომელსაც ბიწიერება ძვალრბილში გასჯდომია და რომელიც ყოველივე წმინდათაწმინდას დასცინის, ისიც კი ემორჩილება ზნე-ჩვეულებებს, მაშინაც კი, როდესაც გულში დასცინის მათ. დაანგრეთ ისინი უეცრად, ისე რომ მაშინვე ნუ შესცვლით მათ ახალი ზნე-ჩვეულებებით, და თქვენ დაანგრევთ ყველა ბურჯს, დასწყვეტთ ყოველგვარ კუჭშირს საზოგადოებისას, ერთი სიტყვით, მოსპობთ ხალხს. რა მიზეზით ხდება ეს ასე? იმავე მიზეზით, რომლის გამოც თევზი თავს თავისუფლად გრძნობს წყალში, ფრინველი ჰაერში, ნადირი დედამიწაზე, ქვეწარმავალი კი მიწის ქვეშ. ხალხი, რომელიც ძალდატანებით შეუყვანიათ მისთვის უცხო სფეროში, წააგავს შებორკილ ადამიანს, რომელსაც შოლტით აიძულებენ გაიქცეს. ყოველ ხალხს შეუძლია მეორისაგან გადაილოს, მაგრამ იგი უსათუოდ საკუთარი გენიის დაღს ასვამს ამ ნასესხებს, რომელიც ამ ხალხში წაბაძვის ხასიათს ღებულწობს. აი სწორედ თვითმყოფისა და ორიგინალურისადმი ამ მისწრაფებაში, რაც მშობლიური ზნე-ჩვეულებებისადმი სიყვარულით მეღვენდება, მდგომარეობს მიზეზი ჩვილობის ასაკში მყოფი ხალხების ურთიერთ სიძულვილისა. ამ მიზეზის გამო, ოდესღაც, რუსი გერმანელს უწოდებდა ურჯულოს, ხოლო თურქებს ახლაც კი ყოველ ფრანკზე უწმინდურად სთვლის და მათთან ერთი ჯამიდან ჰამა არ უნდა: რელიგია ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მთავარ როლს არ ასრულებს.

აღმოსავლეთ ევროპაში, მსოფლიოს ორი ნაწილის საზღვარზე, განგებამ დაასახლა ხალხი, რომელიც მკვეთრად

განსხვავდება თავის დასავლეთელ მეზობელთაგან. მისი აკვანი იყო ნათელი სამხრეთი; აზიელი რუსის ხმალმა მისცა მას სახელი³⁰; სულთმობრძავემა ბიზანტიამ მას უანდერძა მადლიანი სიტყვა სსნისა; თათრის ხუნდებმა მაგრად შეაკავე-შირა მისი დაქუცმაცებული ნაწილები, ყაენთა ხელმა შეადულაბა ისინი მისივე სისხლით; ივანე III-მ შეასწავლა მას თავისი მეფისადმი შიში, სიყვარული და მორჩილება, აიძულა იგი მეფე მიეჩნია როგორც განგება, როგორც უზენაესი ბედი, რომელიც სჯიდა და იწყნარებდა თავისდ ერთიანი ნებით და აღიარებდა თავის თავზე ერთიანი ღვთის ნების ბატონობას. და ეს ხალხი გახდა ცივი და წყნარი, როგორც თოვლი მისი სამშობლოსი. როდესაც მშვიდობით ცხოვრობდა თავის ქოხში; სწრაფი და მრისხანე, როგორც ჭექა-ქუხილი მისი ზანმოკლე, მაგრამ მცხუნვარე ზაფხულისა, როდესაც მეფის ხელი მას მტერზე მიუთითებდა: მამაცი და ლალი. როგორც ქარბუქი და ავღარი მისი ზამთრისა. როდესაც ღრეობდა თავის ნებაზე; მოუქნელი და ზანტი. როგორც დათვი მისი გაუვალაი ტევრებისა, როდესაც მას ბევრი პური და რაზი ჰქონდა; საზრიანი, გულსხმიერი და ცბიერი, როგორც კატა, პენატი მისი კერისა. როდესაც გაჭირვება დედოფალთან აწვევდა ხოლმე. მტკიცედ იცავდა ის ღვთის ეკლესიას, წინაპართა სარწმუნობას, შეურყევლად ერთგულებდა მართლმორწმუნე მამა მეფეს. მისი საყვარელი ანდაზა იყო: ჩვენ ყველანი ღვთისანი და მეფისანი ვართო. მის წარმოდგენაში გაერთიანდა ღმერთი და მეფე, ნება ღვთისა და ნება მეფისა. წმინდად იცავდა ის მამა-პაპათა უბრალო და უხეშ ზნე-ჩვეულებებს და გულწრფელად სთვლიდა უცხოურ ზნე-ჩვეულებებს ეშმაკისეულ ცთუნებად. მაკრამ ამითვე იფარგლებოდა მისი ცხოვრების მთელი პოეზია: ვინაიდან გონება მისი წყნარად სთვლემდა და არასოდეს თავის მამაპაპურ მიჯნებს არ სცილდებოდა; ვინაიდან ის ქალის წინაშე მუხლს არ იდრეკდა, და მისი ამაყი და ველური ძალა ქალისაგან მოითხოვდა მონურ მორჩილებას და არა ტკბილ აღერსს; ვინაიდან მისი ყოფა-ცხოვრება ერთფეროვანი იყო; ვინაიდან

მხოლოდ ფიციხი თამაშობანი და ვაქეცური ნადირობა აფერადებდა ამ ყოფა-ცხოვრებას; ვინაიდან მხოლოდ მარტოოდენ ომი აღაგზნებდა ხოლმე მისი ცივი რკინისებური სულის მთელ ძალას, რადგან მხოლოდ ბრძოლათა სისხლის ღვრაში ბობოქრობდა და ლალობდა მისი სული. ეს იყო ცხოვრება დამოუკიდებელი და დამახასიათებელი, მაგრამ ცალმხრივი და იზოლირებული. მაშინ როდესაც ადამიანთა მოდგმის უძველესი წარმომადგენლების ქმედითი მჩქეფარე ცხოვრება გაუგონარი სიჭრელით წინ მიდიოდა, ისინი ახლოსაც არ გაჰკარებინან მის წინსვლას. ამრიგად, ეს ხალხი უხდა ზიარებოდა კაცობრიობის საერთო ცხოვრებას, ის უხდა გამხდარიყო ადამიანთა მოდგმის დიდი ოჯახის წევრი. და აი ამ ხალხს მოევიღნა მეფე ბრძენი და დიდი, უწყინარი, მაგრამ არა სუსტი, მრისხანე, მაგრამ არა ტირანი. მან პირველმა შენიშნა, რომ გერმანელი ადამიანები ურჯულოები არ არიან, რომ მათ ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც მის ქვეშევრდომთაც გამოადგებოდათ, ხოლო ბევრი რამ აქვთ ისეთი, რაც მათთვის სრულებით არაფრად არ ვარგა. და აი, იგი მოეფერა გერმანელ ადამიანებს, გაუშალა მათ თავისი პურმარილი, თავისიანებს მიუთითა მათგან გადმოეღოთ მათი ოსტატური დახელოვნება. მან კაპანო ააგო და უნდოდა გასულიყო ზღვაში, რომელიც აქამდე მისი ხალხისათვის შეძნარავი და უცნობი იყო; მან უცხოელ მსახიობებს უბრძანა გაერთოთ მისი მეფური უდიდებულესობა, თანაც, ცხვირის მოჭრის მუქარით, მართლმადიდებელ რუს ადამიანს სასტიკად უბრძანა მოეწია თუთუნის, ეს საზიზღარი და დაწყევლილი ბალახი. შეიძლება ითქვას, რომ მის დროში რუსეთმა პირველად იგრძნო თავის მიწა-წყალზე ზღვისიმიერი სიოსქროლვა, რომელიც მანამდე თვალით არ უხილავს და რომელზეც ყურით არ სმენია. და აი, ეს კეთილი მეფე მოკვდა, ხოლო ტახტზე ავიდა მისი ჭაბუკი ვაჟი, რომელიც, მსგავსად ვლადიმირის დროინდელ დევ-გმირებისა, ჯერ კიდევ ბავშვობისას ღრუბლებში ისროდა ასფუთიან კომბლებს, ხელით ღუნავდა და მუხლებზე იმტვრევდა მათ. ეს იყო განსახიერე-

ბული ძლიერება, განსახიერებელი იდეალი რუსი ხალხისა მისი ცხოვრების საქმიან წამებში; ეს იყო ერთი იმ გოლიათთაგანი, რომლებიც თავისი ხელით ათამაშებდნენ ხოლმე დედამიწის ბურთს. მისი რკინისებური ნებისყოფისათვის, რომელიც დაბრკოლებას არ იცნობდა, მხოლოდ ერთი მიზანი არსებობდა—ხალხის კეთილდღეობა. დიდი საქმე მოიფიქრა მან, ხოლო მოფიქრება და შესრულება მისთვის ერთი იყო. იხილა მან ზღვისიმიერი ქვეყნების სასწაულები და საკვირველებანი და მოისურვა მათი გადმონერგვა მშობლიურ ნიადაგზე, მაგრამ იმაზე კი არა ფიქრობდა, რომ ეს ნიადაგი უცხოური მცენარეებისათვის ჯერჯერობით გაუტეხელი და ყამირი იყო, რომ ეს მცენარენი რუსულ ზამთარს შეუჩვეველნი იყვნენ. იხილა მან საუკუნოებრივი ნაყოფი განათლებისა და მოინდომა მყისვე აღექურვა მით თავისი ხალხი. მოიფიქრა—სთქვა, სთქვა და—შეასრულა: რუსს ლოდინი არ უყვარს. აბა, რუსო ადამიანო, მოირთე და მოიკაზმე, განკარგულებისამებრ მეფისა, ბრძანებისამებრ ბოიარინისა, თანახმად გერმანული ყაიღისა...²¹ შორს ღირსპატივისაცემო ფართო წვერო! მშვიდობით შენც, უბრალოდ და კეთილშობილურად მრგვალად შემოკრეჭილო თმავ, შენ, რომელიც ესოდენ მოხდენილად ამშვენებდი ამ პატივისაცემ წვერს! შენი ადგილი დაიჭირა ფქვილში ამოგანგლულმა უზარმაზარმა პარიკმა! მშვიდობით, ჩვენი ბოიარების გრძელკალთებიანო სამოსნო, ოქრო-ვერცხლით გაწყობილნო და მოსირმულნო! თქვენი ადგილი დაიჭირეს ხიფთანებმა და კამხოლებმა მათივე შარვლებითა და ტყავის პაქიჭებით! მშვიდობით შენც, ჩვენი ბოიარების მეუღლეთა და ასულთა მშვენიერო პოეტურო სარაფანო, შენც-საუცხოო სახელოებიანო მარმაშის ხალათო, შენც. მაღალო, მარგალიტით მოჭედილო თავსაკრავო — უბრალო და მომხიბლველო სამკაულო, ასე დიდებულად რომ ამშვენებდი ჩვენი თეთრსახიანი და ცისფერთვალებიანი ლამაზმანების მაღალ მკერდსა და ლაყდაყა ლოყებს! შენი ადგილი დაიჭირა ფიფქებიანმა და რობრონდებიანმა რობმა, რომელსაც გრძე-

ლი, გრძელი კუდი აქვს! ფერუმარულო, ცოტა იქით მიიწი, ადგილი მიეცი შავ მალამოს! მშვიდობით თქვენც, სევდიანო რუსულო სიმღერებო, შენც, კეთილშობილო და ნარნარო ცეკვავე: აწ უკვე ველარ ილულუნებენ ჩვენი ლამაზები მტრედებივით, ველარ იგალობებენ ბულბულივით, ველარ გასჯურდებიან იატაკზე ფარშავანგივით! ველარ! გავრცელდა ძალალოტებზე დამღერებული არიები და რომანსები:

...ო, ზენარო!

ოქროს დარბაზში გელო, საქმაროვ! ³²

გავრცელდა წარმტაცი მანქვა-გრეხა მენუეტებში, ავხორცული ტრიალი ვალსებში...

და ყველაფერი დატრიალდა, ყველაფერმა ბრუნვა დაიწყო, ყველაფერი თავქუდგადაგლეჯით გაექანა. გეგონებოდათ, რუსეთს უნდოდა ოცდაათი წლის განმავლობაში მიედო ის, რაც ასეული წლების მანძილზე უძრაობის გამო დაჰკარგა. თითქოს ჯადოსნური კვერთხის დაქნევით ალექსი მეფის პატარა კაპანო იმპერატორ პეტრეს მრისხანე ფლოტად, ხოლო სტრელცთა ურჩი რაზმები მწყობრ პოლკებად იქცნენ. აზოვის კედელზე ბრძოლაში გამოიწვიეს პორტა: ვაი შენ, ორწვერა მთვარევ! ლესნოეს ველებზე და ვორსკლის ნაპირებზე სასტიკი შური იძიეს ნარვის ბრძოლის სირცხვილისათვის: მადლობა მენშიკოვს, მადლობა დანილიჩს! რუსეთის ხელუხლებელი მიწა-წყალი არხებითა და გზებით დაისერა, ვაჭრობა დაიწყო; ახმაურდნენ ჩაქუჩები და ჩარხები: ჩაისახა მრეწველობა!

დიახ, ბევრი დიდი, სასარგებლო და სასახლო საქმე გაკეთდა! პეტრე სავსებით მართალი იყო: მას ლოდინის დრო არა ჰქონდა. მან იცოდა, რომ იგი ორ საუკუნეს ვერ იცოცხლებდა, და ამიტომ ესწრაფვოდა სიცოცხლეს, ხოლო სიცოცხლე მისთვის შემოქმედება იყო. მაგრამ ხალხი ამას სხვანაირად უყურებდა. ხალხს დიდხანს ეძინა, და უცბად მძლავრმა ხელმა შესწყვიტა მისი დევგმირული ძილი: ძლივსძლივობით გაახილა მან ნამძინარევი თვალი და განცვიფრებით დაინახა,

რომ მის სახლში შემოპრილან უცხოური ზნე-ჩვეულებანი, როგორც დაუპატიებელი სტუმრები, რომელთაც შემოსვლისას წაღები არ გაუხდიათ, წმინდა ხატებზე არ ულოციათ, მასპინძელს თავის დაკვრით არ მისალმებიან; დაინახა, რომ ისინი ჩაფრენიან მას წვერში, რომელიც თავს ერჩივნა, და დაუგლეჯიათ; შემოუხვევიათ დიდებული სამოსი და ჩაუცმევიათ ტაკიმასხარის ტანსაცმელი, დაუმახინჯებიათ და აუჭრელეზობათ მისი წმინდა ენა და თავხედურად წაუბილწავთ მის მამა-პაპათა წმინდათაწმინდა ზნე-ჩვეულებანი, მისი გულითადი რწმენანი და ჩვევები. დაინახა და—ელდა ეცა... რუს ადამიანს ეუხერხულეზობდა, ეჩოთირებოდა ჯიბეში ხელჩაწყობილი სიარული, იგი ამას შეუჩვეველი იყო. მას ფეხი ეშლებოდა, როცა მანდილოსნების ხელთან საკოცნელად მიიწევდა; იგი ძირს ეცემოდა, როცა უნდოდა ვისმეს ფეხების ფრატუნით მისალმებოდა. ევროპეიზმის ფორმები რომ გადმოიღო, იგი მხოლოდ ევროპელის პაროდიად იქცა. განათლება, მსგავსად აღსარების იდუმალი სიტყვისა, კაცმა უნდა შეითვისოს კეთილგონივრული თანდათანობით, გულითადი რწმენით, ისე, რომ არ შეურაცხჰყოს წმინდა, მამა-პაპური ზნე-ჩვეულებანი. ასეთია განგების კანონი!.. მერწმუნეთ, რომ რუსი ხალხი არასოდეს არ ყოფილა მოსისხლე მტერი განათლებისა, იგი მუდამ მზად იყო ესწავლა; ოღონდ მას თავისი სწავლა ან-ბანით უნდა დაეწყო და არა ფილოსოფიით, სასწავლებლით და არა აკადემიით. წვერი ვარსკვლავების დათვლას ხელს არ უშლიდა; ეს კარვად იციან კურსკში²².

რა შედეგი მოჰყვა ყოველივე ამას? ხალხის მასა ჯიუტად დარჩა იმადვე, რაც იყო: მაგრამ საზოგადოება იმ გზით გაემართა, რომელზეც ის გენიოსის მძლე ხელმა დააყენა. რა საზოგადოებაა ეს საზოგადოება? არ მინდა თავი შეგაწყინოთ მასზე ლაპარაკით. წაიკითხეთ „უსწავლელა“, „ვაი ჰკუისაგან“, „ეკვენი ონეგინი“, „აზნაურული არჩევნები“ და ლაჟეჩნიკოვის ახალი რომანი, როდესაც ის გამოვა; წაიკითხეთ და თქვენ თვითონ ჩემზე უკეთ გაიგებთ ამ საზოგადოებას...²⁴

მაშ, ბარემ, მოიტათ ეს თქვენი მიმოხილვა რუსული ლი-

ტერატურისა, რომელსაც „მოღვის“ ყოველ ნომერში გვპირდებით და რომლის ნახვას დღემდე კიდევ ვერ ველირსემო! ესოდენ დიდ შესავალს რომ ვხედავთ, ვშიშობთ, ვაი თუ ეს მიმოხილვა ბარონ ბრამბეუსის „ფანტასტიკურ მოგზაურობაზე“ გრძელი და მოსაწყენი გამოდგეს.

მე თვითონაც არ ვიცი, საყვარელო მკითხველნო, რაოდენ გრძელი იქნება ეს მიმოხილვა. იქნებ, მისგან ერთობ სასაცილო გონჯი რამეც კი გამოვიდეს: ქათმის ფეხებზე შედგმული ქოხი, ნარგიზის მეფე, უშველებელი წვერები, სალუდე ქვაბისოდენა თავი. რას იზამთ, მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი; ეს ჩვენში დიდ მოდაშია. თუმცა, თუ ჩემმა შესავალმა დასკვნის ნახვის ხალისი არ დაგიკარგათ, თუ თქვენ იძდენი მოთმინება გაქვთ იკითხოთ, რამდენიც მე—ეწერო, მაშინ ჩემი მიმოხილვის დასაწყისს და, შესაძლოა, დასასრულსაც იხილავთ.

(შემდეგ ფურცელზე.)

ლიტერატურული ოცნებანი

(გაგრძელება)

წინ, წინ გასწი, ჩემო ისტორიავ!

პ უ შ კ ი ნ ი

ამრიგად, ხალხი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ხალხის მასა და საზოგადოება ჩვენში სხვადასხვა გზით წავიდა. პირველმა შეინარჩუნა თავისი წინანდელი ტლანქი და ნახევრად ველური ცხოვრება და თავისი სევედიანი სიმღერები, რომელნიც მისი სულის საარკე იყო ჭირსა და ლხინში; ხოლო მეორე, როგორც ჩანს, თუ არ უკეთესდებოდა, იცვლებოდა მაინც; მან დაივიწყა ყოველივე რუსული, დაივიწყა რუსული ენის ლაპარაკიც კი³⁵; დაივიწყა პოეტური თქმულებანი და სიჩქურენი თავისი სამშობლოსი, ეს საუცხოო სიმღერები, აღსაჯენი ღრმა სევ-

დით, ტყბილი კაეშნითა და ვაეკაცური ხალისით, და თავის-თვის შეჰქმნა ლიტერატურა, რომელიც მისი ნამდვილი სარკე იყო. საჭიროა შევნიშნოთ, რომ როგორც ხალხის მასა, ისე საზოგადოებაც, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, მრავალ სახედ, მრავალ საფეხურად დაიყო. პირველმა სიცოცხლისა და მოძრაობის ერთგვარი ნიშანწყალა გამოამჟღავნა იმ წოდებებში, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ საზოგადოებასთან, ქალაქელი ადამიანების, ხელოსნების, წვრილი ვაჭრებისა და მესარეწეთა წოდებებში. გაპირვებამ და რუსეთში დასახლებულ უცხოელთა ქიშობამ ისინი აქცია ცხოველმოქმედ და მოხერხებულ ადამიანებად, როცა საქმე სარფას შეეხებოდა; აიძულა ისინი მიეტოვებინათ ძველებური სიზარმაცე და მხართეძოზე კოტრიალი, ადძრა მათში ლტოლვა გაუმჯობესებისა და ახალი წესებისადმი, რომლებიც აქამდე მათთვის ესოდენ საძულველი იყო. მათი ფანატკური სიძულვილი გერმანელი ადამიანებისადმი დღითიდღე ნელდებოდა და, ბოლოს, აბლა მთლად გაჰქრა. ძლივსძლიევობით მათ წერა-კითხვაც კი ისწავლეს და წინანდელზე უფრო მაგრად ორივე ხელით ჩაებლაუქნენ ბრძნულ წესს, რომელიც მათ წინაპრებმა უანდერქეს: სწავლა სინათლეა, უსწავლელობა კი სიბნელიეო. ეს ბევრ კარგ რამეს გვიქადის მომავალში, მით უმეტეს, რომ ამ წოდებებს ოდნავადაც არ დაუკარგავთ თავისი ხალხური სახე. რაც შეეხება საზოგადოების ქვედა ფენას, ე. ი. საშუალო შეძლების ფენას, ის თავის მხრივ მრავალ გვარად და ფენად დაიყო, რომელთა შორის თავისი უმრავლესობის გამო ყველაზე თვალსაჩინო ადგილი ეგრეთწოდებულ უაზნოებს უჭირავთ. ამ წოდებამ ყველაზე მეტად გაუცრუა იმედები პეტრე დიდს: იგი წერა-კითხვას ყოველთვის გაპირვებით ნაშოვნი გროშებით სწავლობდა და თავისი რუსული საზრიაანობა და გულისხმიერება ბრძანებულებათა განმარტების საძრახის საქმეს მოახმარა; მან კარგად შეითვისა თავის დაკვრით მისალმება და მანდალოსანების ხელზე მთხევეა, მაგრამ ვერ დაივიწყა თავისი კეთილშობილური ხელებით არაკეთილშობილური ეგზეკუცაების შესრულება. ხოლო სა-

ზოგადოების უმადლესი ფენა მთელი თავისი არსებით გაიტაცა მიმბაძველობამ, ან, უკეთ რომ ვთქვათ, უცხოელთა გამოჯავრებამ...

მაგრამ საქმე ეს როდია. ამბობენ, რომ მუშებს სიწყნარე უყვართ და ზარბაზნების გრიალი აშინებთო. ყოვლად ყალბი აზრია! მაგრამ ყოველ შემთხვევაში, პეტრეს მეფობის ხანაში გაისმოდა მარტოოდენ ქადაგებანი, რომლებიც მხოლოდ სწავლულთა მეხსიერებაში დარჩა, ხალხმა კი დაივიწყა, ვინაიდან ეს იყო ჭრელი, მოზაიკური მჭევრმეტყველება ან, უფრო სწორად, ურთიერთ საწინააღმდეგო მრავალმეტყველება; ეს სხვა არა იყო რა, თუ არა ცუდი ნამყენი დასავლეთის სამღვდელოების კათოლიკური სქოლასტიციზმის დამპალი ხისა და არა ცოცხალი დამარწმუნებელი ხმა რელიგიის წმინდა ჭეშმარიტებისა. ჩვენში ის ჯერ კიდევ სათანადოდ არ განეხილათ და შეეფასებინათ. თუ ჩვენი ლიტერატურული მასწავლებლების წამოძახილებს დაეუჯერებთ, სასულიერო მჭევრმეტყველებით ჩვენ კინალამ ევროპის ყველა ხალხს ვჯობნით. მე არ ვაპირებ ამ საკითხის გადაწყვეტას, რადგან მასზე ვლაპარაკობ გაკვრით, à propos, როგორც ისეთ საქმეზე, რომელსაც ჩემი მიმოხილვის საგანთან პირდაპირი ურთიერთობა არა აქვს. ესეც არ იყოს, მე ნაკლებად ვიცნობ ჩვენი სასულიერო მჭევრმეტყველების ძეგლებს, ხოლო ამ მჭევრმეტყველებაში, რა თქმა უნდა, კარგი ცდებიც მოიპოვება.

დიდხანს არ ვილაპარაკებ აგრეთვე კანტემირზე; მხოლოდ ვიტყვი, რომ მის პოეტურ მოწოდებაში ძალიან დაეჭვებულნი ვარ. მე მგონია, რომ მისი სახელგანთქმული სწავლები უფრო გონებისა და ცივი დაკვირვებულობის ნაყოფი იყო, ვიდრე ცხოველი და მგზნებარე გრძნობისა. და ნუთუ გასაკვირველია, რომ მან დაიწყო სატირებით—შემოდგომის ნაყოფით და არა ოდებით—გაზაფხულის ნაყოფით? იგი უცხოელი იყო, მაშასადამე, არ შეეძლო ხალხისათვის თანაგვრძნო და მისი იმედები და შიში გაეზიარებინა; ამიტომ მას უნდა ეცინა კიდევ. იგი რომ პოეტი არ იყო, ამას ის ამტკიცებს,

რომ იგი დავიწყებულა. ძველებური სტილიო! რასა ბრძანებთ!..³⁶ შექსპირის წაკითხვა უკომენტარებოდ ინგლისელებსაც კი უჭირთ.

ტრედიაკოვსკის არც ჭკუა ჰქონდა, არც გრძნობა და არც ნიჭი. ეს კაცი გუთნისათვის ან ნაჯახისათვის იყო დაბადებული. მაგრამ ბედმა, თითქოს დაცინვით, იგი ფრაკში გამოაწყო; განა საკვირველია, რომ იგი ასე სასაცილო და მახინჯი იყო?³⁷

დიახ, პირველი ცდები მეტად სუსტი და უხეირო იყო. მაგრამ უეცრად, ერთი ჩვენი თანამემამულის საუცხოო გამოთქმით, ყინულოვანი ზღვის ნაპირებზე, მსგავსად ჩრდილოეთის ციალისა, ლომონოსოვმა გაიღვა³⁸. თვალისმომკრელი და საუცხოო იყო ეს მოვლინება! მან დაამტკიცა, რომ ადამიანი ყოველგვარ მდგომარეობასა და ყოველნაირ ჰაერში ადამიანია, რომ გენიოსს შეუძლია გადალახოს ყველა დაბრკოლება, როგორც კი უნდა დაუპირისპიროს მას მტრულმა ბედმა, რომ დაბოლოს, რუსს ყოველ ევროპელზე არანაკლებ შეუძლია ყოველგვარი დიდი და დიდებული საქმის ჩადენა. მაგრამ ამასთან ერთად, ვამბობ, ამ სანუგეშო მოვლენამ, ჩვენდა საუბედუროდ, ის უდავო ჭეშმარიტებაც დაადასტურა, რომ მოწაფე ვერასოდეს ვერ აჯობებს მასწავლებელს, თუ მასში ხედავს ნიმუშს და არა მოქიშპეს; რომ გენია ხალხისა მუდამ მხდალი და ხელფეხშეკრულია. როდესაც მოქმედებს არა თავისებურად, არა დამოუკიდებლად; რომ მისი ნაწარმოებნი ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ხელოვნური ყვავილების მსგავსი იქნება: ფერად-ფერადი, ლამაზი, საუცხოო, მაგრამ არა სურნელოვანი, არა არომატიანი, უსიცოცხლო. ჩვენი ლიტერატურა ლომონოსოვით იწყება; იგი იყო მისი მამამთავარი და ლალა; იგი იყო მისი პეტრე დიდი. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ ეს იყო დიდი და გენიოსის დაღით აღბეჭდილი ადამიანი? ყოველივე ეს უეჭვო ჭეშმარიტებაა. განა საჭიროა ამის მტკიცება, რომ მან მიმართულება მისცა, თუნდაც დროებითი, ჩვენს ენას და ჩვენს ლიტერატურას? ეს კიდევ უფრო უეჭვოა. მაგრამ როგორი მიმართულება? ეს სხვა საკითხია. მე ამ საგანზე ვერაფერს ახალს ვერ ვიტყვი და

მხოლოდ, შესაძლოა, ასე თუ ისე ცნობილ აზრებს გავი-
მეორებ.

მაგრამ უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი
შენიშვნის გაკეთება. ჩვენში, როგორც უკვე ვთქვი, ჯერ
კიდევ დღემდე მეფობს ლიტერატურაში რაღაც უბადრუკი,
ბავშვური მოკრძალება ავტორიტეტებისადმი. ჩვენ ლი-
ტერატურაშიც დიდ პატივსა ვსცემთ რანგების ნუსხას და
გვეშინია ხმამაღლა ვთქვათ სიმართლე დიდი გვამების შე-
სახებ. როდესაც განთქმულ მწერალზე ვლაპარაკობთ, ჩვენ
ყოველთვის მარტოოდენ ცარიელი წამოძახილებით და გაბე-
რილი ხოტბით ვკმაყოფილდებით; მის შესახებ მწვავე სიმარ-
თლის თქმა ჩვენში მკრეხელობად ითვლება. კიდევ კარგი იქ-
ნებოდა, რომ ეს მრწამსის შედეგად ხდებოდა. არა, ეს მხო-
ლოდ უაზრო და საზიანო ზრდილობის გამო ან იმის შიშით
ხდება, რომ მეტიჩარის, რომანტიკოსის სახელი არ გაუვარ-
დეთ. შეხედეთ, როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში უცხოელე-
ბი: იქ თითოეულ მწერალს მიეგების მისი საქმეების კვალობა-
ზე. ისინი არ კმაყოფილდებიან იმის თქმით, რომ ბ-ნ NeNe-ის
დრამებში ბევრი მშვენიერი ადგილაა, თუმცა უკეთილბოვნო
ლექსები და ზოგიერთი შეცოდებანიც არისო; რომ ბ-ნ NeNe-ის
ოდები ჩინებულაა, მაგრამ ელეგიები სუსტიაო. არა, ისინი
განიხილავენ ამა თუ იმ მწერლის მოღვაწეობის მთელ რკალს,
განსაზღვრავენ, თუ რა გავლენა მოახდინა მან თანამედრო-
ვეებსა და შთამომავლობაზე, არჩევენ მის ქმნილებათა არსს
საზოგადოდ და არა ცალკეულ მშვენიერებებს ან ნაკლოვანე-
ბებს, მხედველობაში ღებულობენ მისი ცხოვრების ვითარე-
ბას, რათა გაიგონ, შეეძლო თუ არა მას გაეკეთებინა იმაზე
მეტი, ვიდრე გააკეთა, და ახსნან, თუ რატომ აკეთებდა იგი ასე
და არა სხვანაირად; და უკვე, ყოველივე ამის აწონ-დაწონის
შემდეგ. სწყვეტენ, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს მას ლიტე-
რატურაში და როგორი სახელით უნდა სარგებლობდეს. „ტე-
ლესკოპის“ მკითხველები სახელგანთქმული მწერლების მრავალ
ამგვარ კრიტიკულ ბიოგრაფიას უნდა იცნობდნენ. მერე-
და სადა გვაქვს ისინი ჩვენ? ვაგლახ!..”³⁰ მაგალითად, რამდენ-

ჯერ გაგვიგონია ჩვენ, რომ ლომონოსოვის „სადამოს და დილის ფიქრები ღვთის სიღიადეზე“ მშვენიერია, რომ მისი ოდების სტროფები საუცხოოდ ჟღერს და დიდებულია, რომ მისი პროზის პერიოდები დასრულებული, ჩამოსხმული და წარმტაცია. მაგრამ გარკვეულია თუ არა საზღვარი მისი დამახვრებისა, ნაჩვენებია თუ არა მის ნათელ მხარეებთან ერთად შავი ლაქებიც? არა, როგორ შეიძლება! ეს—ცოდვაა, კადნიერებაა, უმადურობაა!.. სადღაა კრიტიკა, რომლის საგანია გემოვნების ჩამოყალიბება, სადაა გეშმარტება, რომელსაც მართებს ქვეყნად ყველა ავტორიტეტზე ძვირფასი იყოს?..

დიდი ცოდნა, გამოცდილება, გარჯა და დროა საჭირო ისეთი ადამიანის ღირსეული შეფასებისათვის, როგორც ლომონოსოვი იყო. დროსა და ადგილის სინტირის გამო, ხოლო იქნებ იმიტომაც, რომ საამისო ძალა არ შემწევს, საშუალება არა მაქვს ერთობ დაწვრილებითი გამოკვლევას შევუდგე; მხოლოდ ზოგადი თვალის გადავლებით დავკმაყოფილდები. ლომონოსოვი—ეს ჩვენი ლიტერატურის პეტრეა. ვფიქრობ, აი ესაა ყველაზე უტყუარი შეფასება მისი. მართლაცდა, განა ვერ ამჩნევთ თქვენ განსაცვიფრებელ მსგავსებას ამ დიდი ადამიანების მოქმედებაში, ისევე როგორც ამ მოქმედების შემდეგებში? ჩრდილოეთის ოკეანის ნაპირებზე, ზამთრისა და სიკვდილის საქმეფოში, ღარიბ მეთევზეს ვაჟი შეეძინა. ბავშვს სტანჯავს რაღაც უცნობი დემონი, არ ასვენებს მას არც დღისით და არც ღამით, ყურში უჩუჩჩულებს მას რაღაც ზომიბლველ სიტყვებს, რომელთაგან მას გული უფრო მძლავრად უფართქალებს, სისხლი უფრო მძაფრად უღვლს. რასაც კი შეხედავს ეს ბავშვი, მას სწავლია გაიგოს: საიდანაა ეს, რატომ და როგორ. დაუსრულებელი კითხვები სტანჯავენ და სწეწენ მის ყრმა სულს, და არსაიდან არ ისმის პასუხი! იგი გაჭირვებით სწავლობს წერა-კითხვას, მის სულში ვადიმის ზარის მაცთუნებელ წკრიალივით გაისმის მისი მამეზარი დემონის იღუმალი ჩაგონებანი. რომელნიც მას ბურუსით მოცულ შორეთისაკენ მოუხმობენ...⁴⁰ და აი, იგი სტოვებს მამამისს და თეთრი ქვისაგან ნაგებ მოსკოვს გარბის. გაიქე,

გაიქე: ჰაბუკო! იქ გაიგებ ყველაფერს, იქ ცოდნის წყაროთი მოიკლავ შენს მტანჯველ წყურვილს! მაგრამ, ვაგლას! იმედი გაგიცრუვდა: შენი წყურვილი გაძლიერდა, შენ მხოლოდ უფრო გააღიზიანე ის. წინ, წინ გასწი, თამამო ჰაბუკო! იქ, განსწავლულ გერმანიაში, იქაა ბალნი სამოთხისანი, ხოლო იმ ბაღებში ხარობს ხე ცხოვრებისა, ხე შემეცნებისა, ხე კეთილი-სა და ბოროტისა... ტკბილია ამ ხის ნაყოფი — იჩქარე გაიგო გემო მისი... და იგი გარბის, იგი შედის თვალწარმტაც ბაღებში, იქ ხედავს მაცთურ ხეს და ხარბად ეწაფება მის ნაყოფს. რამდენი სასწაულია, რამდენი მშვენიერებაა! რაჩრე ნანობს ის, რომ არ შეუძლია ყველაფერი ერთბაშად თან წამოიღოს და გადმოიტანოს ძვირფას მამულში, წმინდა სამშობლოში!.. მაგრამ... განა არ შეიძლება როგორმე სცადოს?.. იგი ხომ რუსია, მაშასადამე, მას ყველაფერი ძალუძს, ყველაფერი შეუძლია. მას ხომ შუვალოვი ხლოდება, მაშასადამე, მას ოღონავადაც არ უნდა ეშინოდეს ცრურწმენებისა, მტრებისა და მოშურნეებისა!.. და აი, რუსეთში გაისმის ოდები, იგი უცქერის ტრაგედიებს, აღტაცებულია ეპოპეით, დასცინის იგავანდაზებს, უსმენს ციცერონსა და დემოსთენს, დინჯად მსჯელობს ელექტრობასა და მეხთამრიდებზე. მაშ დაყოვნება რა საქირთა? ხომ მართალია, რომ თვით პეტრეც კმაყოფილებით შესძახებდა: აი ეს კი ჩვენებურია! მაგრამ ლომონოსოვსაც იგივე დაემართა, რაც პეტრეს. უცხოური განათლების სხივით მოხიბლულმა, მან თვალი დახუჭა მშობლიური განათლებისათვის. მართალია, მან ბავშვობაში ზეპირად დაისწავლა სიმონ პოლოცკის ბარბაროსული უხეირო ლექსები, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია ხალხურ სიმღერებსა და ზღაპრებს. მას თითქოს არც არაფერი გაუგონია მათ შესახებ. ამჩნევთ თუ არა თქვენ მის თხზულებებში რუსეთის მიწა-წყლის მატიანეთა და საზოგადოდ ხალხურ თქმულებათა გავლენის თუნდაც სუსტ კვალს? არა, არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა. ამბობენ, იგი ღრმად ჩაწვდა რუსული ენის თვისებებსო. უცილობელია: მისი გრამატიკა ჩინებული, დიდი საქმეა. მაგრამ რისთვისა და ჯიჯგნიდა და ღვლარჭნიდა იგი რუსულ ენას მსგავსად ლათინ-

ნურისა და გერმანულისა? რატომაა მისი მეტყველების ყოველი პერიოდი სრულიად უმაქნისოდ გავსებული ესოდენ დიდძალი ჩართული წინადადებებით და ბოლოში ზმნით გამახვილებული? განა ამას მოითხოვდა რუსული ენის გენია, რომელსაც ეს დიდი ადამიანი ჩაწვდა? ენის ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია, რადგან მას ჰქმნის ხალხი; ფილოლოგები მხოლოდ ენის კანონებს იკვლევენ და სისტემაში მოპყავთ ისინი, ხოლო მწერლები მარტოდენ ჰქმნიან ამ ენაზე, შესაბამისად ამ კანონებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც არ შეიძლება დიდად არ გვაკვირვებდეს ლომონოსოვს გენია: მას აქვს სტროფები და მთელი ლექსები, რომლებიც ენის სიწმინდითა და სისწორით ძალიან უახლოვდება ახლანდელ დროს. მაშასადამე, იგი დაღუბა ბრმა მიმბაძველობაში; მაშასადამე, მარტოდენ ეს მიმბაძველობაა მიზეზი იმისა, რომ მას არაეინ არ კითხულობს, რომ იგი ხალხმა არ იცნო და დივიწყა და რომ იგი ახსოვთ მხოლოდ გატაცებულ ლიტერატორებს. ზოგიერთები ამბობენ, იგი დიდი სწავლული და დიდა ორატორი იყო, მაგრამ პოეტობის არა ეცხო რაო. პირიქით, იგი უფრო მეტად პოეტი იყო, ვიდრე ორატორი; მეტსაც ვიტყვი: იგი იყო დიდი პოეტი და ცუდი ორატორი. ვინაიდან, რა არის მისი ქებანი?—გროვა მყვირალა სიტყვებისა და გაცეითილი აზრებისა, რომლებიც ნაწილობრივ ნასესხებია ძველი ენაშქვერებისაგან, ნაწილობრივ კი მისივე კუთვნილება; ნაყოფი შეკვეთით მუშაობისა, სადაც მხოლოდ მარტოდენ ხმაური და წამოძახილება და სრულიადაც არა გამოხატულება მგზნებარე, ცხოველი და წრფელი გრძნობისა, თუმცა მხოლოდ ასეთი გრძნობა წარმოადგენს ჰუმბარტი მკვერმეტყველების წყაროს. სტილის მხრივ საუცხოო ზოგიერთი ადგილი არაფერს არ ადასტურებს; საქმე ისაა, თუ რას წარმოადგენს მთელი. და განა საკვირველია, რომ ასე მოხდა? ჩვენ ახლაც ძალიან ნაკლებად გვესაჭიროება მკვერმეტყველება, ხოლო მით უფრო ნაკლებად გვესაჭიროებოდა ის ძაშინ. მაშასადამე, მკვერმეტყველება გაჩნდა ყოველგვარი საჭიროების გარეშე, მარტოდენ მიმბაძველობის გამო, და ანი-

ტომ არ შეიძლებოდა მას წარმატება ჰქონოდა. მაგრამ ლომონოსოვის ლექსებს გენიის ბეჭედი აზის. მართალია, მის ლექსებშიაც გონება სჭარბობს გრძნობას, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მთელი მისი არსება შეპყრობილი იყო ცოდნის წყურვილით, ეს წყურვილი მის უმთავრეს გატაცებას შეადგენდა. მას მუდამ მაგრად ჰქონდა ამოდებული ცივი გონების აღვირი თავისი ენერგიული ფანტაზიისათვის, რომელსაც დიდი აღმაფრენის ნებას არ აძლევდა. ვოლტერმა სთქვა, მგონი კორნელის გამო, რომ იგი თავისი ტრაგედიაების შეთხზვაში წააგავს დიდ კონდეს. რომელიც დინჯად მოიფიქრებდა ხოლმე ბრძოლების გეგმებს და ცხარედ იბრძოდაო. აი ლომონოსოვი! აი სწორედ ამიტომ აქვს მის ლექსებს ორატორული ხასიათი, აი სწორედ ამიტომ მათი ცისარტყელას ფერების პრიზმაში ხშირად მოჩანს ზალოგიზმის მშრალი ჩონჩხი. ეს ხდებოდა სისტემის გამო და სრულიადაც არა პოეტური გენიის სიმცირის გამო. სისტემამ და მონურმა მიმბაძველობამ აიძულა იგი დაეწერა პროზაული „წერილი მანის სარგებლობაზე“, ორი ცივი და მაღალფარდოვანი ტრაგედია და, ბოლოს, ეს ულაზათო „პეტრიადა“, რომელიც მისი მძლე გენიის ყველაზე სავალალო შეცდომა იყო⁴. იგი ლირიკოსად იყო დაბადებული, და მისი ქნარი იქ, სადაც იგი თავს სისტემით არ აზღუდავდა, ნარჩარად, ხმა-მადლა და დიდებულად ეღერდა...

რას უნდა ვთქვათ მისი მოქიშპის, სუმაროკოვის შესახებ? იგი სწერდა ყველანაირად, ლექსითაც და პროზითაც, და ფიქრობდა რუსი ვოლტერი გამხდარიყო. მაგრამ, ლომონოსოვის მონჯრად მიმბაძველს, მას ლომონოსოვის ნიჭის ნაპერწკალაც კი არ გააჩნდა. მთელი მისი მხატვრული მოღვაწეობა სწვდა არა იყო რა, თუ არა უსუსური და სასაცილო ვაინაჩრობა. იგი არა თუ პოეტი არ იყო, არამედ არც არავითარი იდეა გააჩნდა და არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა ხელოვნებაზე, და ყველაზე უკეთ უარჰყო თავისი თავით ის უცნაური აზრი ზაფუონისა, რომ თითქოს გენია უდიდესი მოთმინება იყოს. ინავე ღროს კი, ეს საცოდავი მწერალუკანა ასეთი ხალხური-

ბით⁴¹ სარგებლობდა! ჩვენმა სიტყვიერებისმეტყველებმა არც კი იციან, როგორ გადაუხადონ მას მადლობა იმისათვის, რომ იგი იყო მამამთავარი რუსეთის თეატრისა. მაშინ ჩატომ არ არიან ისინი მადლიერნი ტრედიაკოვსკისა იმისათვის, რომ იგი იყო მამამთავარი რუსული ეპოპისა? თუმცა, პირველი მეორეს ბევრით არ გასცილებია. ჩვენ მეტისმეტად არ უხდა დავესხათ თავს სუმაროკოვს იმისათვის, რომ იგი ჰქვებარა იყო: იგი თავის თავში ტყუედებოდა ისევე, როგორც ტყუედებოდნენ მასში მისი თანამედროვენი: სადაც თევზი არ არის, იქ კობოც თევზიაო. მაშასადამე, ეს მისატყევებელია, მთ უმეტეს, რომ იგი მხატვარი არ იყო. აი, სხვა საქმეა ამჟამად... რა თქმა უნდა, სასაცილო და სავალალოა, როდესაც ვხედავთ, თუ როგორ აიძულებენ ცუდ დრამებში ზოგიერთი ბიჭბუჭები დიდებულ პოეტებს იწინასწარმეტყველონ მათი მოვლინება ამ ქვეყნად...⁴²

(გთხოვთ ცოტა კიდევ მოითმინოთ.)

ლიტერატურული ოცნებანი

(გაგრძელება)

იყო დროჲში, საუკუნე ეკატერინეს,
 მასში გაცოცხლდა ძველ რუსეთის დიდება მთელი:
 ის დღენი, ოდეს ცარგრადს ფშვნიდა ოლეგი ჩენი-
 და სვიატოსლავმა შეანგრია დუნაის ბჰენი.
 რიმნიკი, ჩესმა, კაგულის ბრძოლა
 და არწივები ლეონიჯგრაღში,
 აღორძინება ჩენი თავრიდის
 და გამარჯვების ზეიზის მარში.
 საბედისწერო დღე იზმაილის,
 და აი, პრალა, სისხლით გათხერილი,
 სად მიიტანა მოსკოვმა თვისი
 შურისძიების ბასრი მახვილი!

ქ უ კ ო ვ ს კ ო

გამეფდა ეკატერინე მეორე, და რუსი ხალხისათვის ახალი, უკეთესი ცხოვრების ხანა დადგა. მისი მეფობა—ეს ეპოპეაა, ეპოპეა გიგანტური და ზეაური თავისი მოფიქრებით, დიდ-

ბული და გაბედულა თავისი ქმნილებით, ვრცელი და სრული თავისი გეგმით, ბრწყინვალე და საუცხოო თავისი გადმოცემით; ეპოპეა, ღირსი ჰომეროსისა ან ტასოსი! მისა მეფობა— ეს დრამაა, დრამა მეტად რთული და დახლართული თავისი კვანძით, ცოცხალი და სწრაფი თავისი მოქმედების მსვლელობით, ფერად-ფერადი და გამოკვეთილი თავისი ხასიათების მრავალფეროვნებით, ბერძნული ტრაგედია გმირთა მეფური სიდიადითა და ბუმბერაზული ძალით, ქმნილება შექსპირისა პერსონაჟთა ორიგინალობითა და ბუნებრივი ფერადოვნებით, სურათების მრავალფეროვნებითა და მათი კალეიდოსკოპური ცვლადობით; ბოლოს, იგია დრამა, რომლის სანახაობა უნებლიეთ გამოაწვევს თქვენში აღტაცებისა და სიხარულის შეძახილებს. გაკვირვებითა და ერთგვარი უნდობლობითაც კი ვუტყვართ ჩვენ ამ ხანას, რომელიც იმდენად ახლოა ჩვენთან, რომ ზოგიერთი მისი წარმომადგენელთაგანი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან; რომელიც იმდენად შორსაა ჩვენგან, რომ არ შეგვიძლია მისი ნათლად დანახვა, ისტორიის ტელესკოპის დაუხმარებლად; რომელიც ისე მშვენიერი და მომხიბლველია მსოფლიოს მატიანებში, რომ ჩვენ მზადა ვართ რაღაც ზღაპრულ საუკუნედ ჩავთვალოთ ის. მაშინ პირველად მეფე ალექსის შემდეგ ერთხელ კიდევ გამოვლინდა რუსული სული მთელი თავისი გოლიათური ძალით, მთელი თავისი ვაჟკაცური სილადით და, როგორც იტყვიან, ფრთა გაშალა. აი მაშინ რუსმა ხალხმა, რომელიც, დაბოლოს, როგორც იქნა, შეეთვისა ახალი ცხოვრების ვიწრო და მისთვის უჩვეულო ფორმებს, შეეჩვია და თითქმის შეურიგდა მათ, თითქოს დაეზორჩილა გარდუვალი და უძლეველი ბედის განაჩენს—პეტრეს ნება-სურვილს,—პირველად ამოისუნთქა თავისუფლად. გაიღიმა მხიარულად, გაშიხედა ამაყად, რადგან მას უკვე ძალით კი აღარ მიერეკებოდნენ დიადი მიზნისაკენ, არამედ მიჰყავდათ მასივე ნებათვითა და თანხმობით, რადგან მიუყრდა შრისხანე სიტყვა და საქმე, და მის ნაცვლად ტახტიდან გაისურს ხმა. რომელიც დაღადებს: სჯობს მიფუტევო ათ დამნაშავეს, ვიდრე დავსაჯო ერთი უდანაშაულო; ჩვენ ვფიქრობთ

და სასახელოდ მიგვაჩნია ვთქვათ, რომ ჩვენ ვცოცხლობთ ჩვენი ხალხისათვის; ღმერთმა ნუ ჰქნას, რომელიმე ხალხი რომ რუსეთის ხალხზე ბედნიერი იყოს; რადგან სარანგო წესდებას და სათაეადაზნაურო სიგელს დაემატა ხელშეუხებლობა კეთილშობილების უფლებებისა; რადგან, დასასრულ, რუსეთის ყურთასმენა ტკბება გამარჯვებათა და დაპყრობათა განუწყვეტელი ქექა-ქუხილით. მაშინ გაიღვიძა რუსეთის გონებამ, და აი—ჩნდება. სკოლები, გამოდის პირველდაწყებითი სწავლებისათვის საჭირო ყველა წიგნი, ითარგმნება ყოველივე კარგი რამ ყველა ევროპული ენიდან. გაიღვია რუსეთის ხმალმა, და აი—ძირფესვიანად ირყევა მონარქიები. ემზობა სამეფოები და ხდება მათი შემოერთება რუსეთთან!..

იციოთ თუ არა, რაში მდგომარეობდა განსხვავებული ხასიათი ეკატერინე II-ის საუკუნისა, ამ დიდი ეპოქისა, რუსი ხალხის ცხოვრების ამ ნათელი მომენტისა? მე მგონია, ხალხურობაში, დიას. ხალხურობაში, რადგან მაშინ რუსეთი, თუძცა წინანდებურად ცდილობდა უცხო წესწყობისთვის მიბაძვას, მაგრამ, თითქოს თავის ჯიბრზე, რუსეთად რჩებოდა. გაიხსენეთ ეს წარჩინებული გულუხვი ბოიარები, რომელთა სასახლეები წააგავდნენ მსოფლიოს სასტუმროებს. სადაც ზიდიოდა დაპატრონებული და დაუპატრონებელი, და, პურმარილიანი მასპინძლისთვის სალამის მიტყემადა. მიუჯდებოდა ხოლმე მუხის მაგიდას, მოქარგულ სუფრას, დაშაქრულ ტკბილეულს, თაფლის სასმელებს; ეს მედიდური და ამაყი დიდებულები, რომელთაც უყვარდათ შილიფად ცხოვრება, რომელთა ბინები წააგავდნენ რუსული ზღაპრების მეფურ სეფედარბაზებს; რომელთაც ჰყავდათ საკუთარი შტატი სამეფო კარისკაცთა, თაყვანისმცემთა და ზოსიყვარულეთა, ვინც შუშხუნებს ანთებდა წთავრობის ობლიგაციებისაგან; რომელთაც უნარი ჰქონდათ წადიმი გაემართათ და ზოელხინათ ძველი მამაპაპური ჩვეულებისამებრ, მთელი თავისი რუსული არსებით, მაგრამ იმის უნარიც შესწევდათ. რომ ხმლითაც და კალმითაც დაეცვათ თავისი დედა: ხომ არ იტყოდით თქვენ, რომ ეს იყო დამოუკიდებელი ცხოვრება, ორიგინალური საზოგადოება?

გაიხსენეთ ეს სუფოროვი, რომელიც ომს არ იცნობდა, მაგრამ რომელსაც იცნობდა ომი; პოტიომკინი, რომელიც ნადიმებზე ფრჩხილებს იკვნეტდა და ხუმრობის დროს გონებაში სწყვეტდა ხალხთა ბედობას; ეს ბეზბოროდკო, რომელიც, ამბობენ, ნაბახურევზე დედოფალს ცარიელ თეთრ ფურცლებზე უკითხავდა მის მიერ შეთხზულ დიპლომატიურ ქაღალდებს; ეს დერჟავინი, რომელიც თავის მეტიჰმეტად მონურ მიბაძვებშიც პორაციუსისადმი, წინააღმდეგ თავისი ნება-სურვილისა, დერჟავინად რჩებოდა და იმდენადვე ჰგავდა ავგუსტოსის პოეტს, რამდენადაც ძლიერი რუსული ზამთარი ჰგავს იტალიის სააუცხოო ზაფხულს: ხომ არ იტყოდით თქვენ, რომ თითოეული მათგანი ბუნებამ ჩამოასხა განსაკუთრებულ ყალიბში და, ჩამოსხმის შემდეგ, დაამსხვრია ეს ყალიბი?.. და განა შეიძლება ორიგინალური და დამოუკიდებელი იყო ისე, თუ არა ხარ ხალხური?.. მაშ რატომ იყო ეს ასე? იმიტომ, ვიმეორებ, რომ რუსულ გონებას გასაქანი მიეცა, იმიტომ, რომ რუსულმა გენიამ ხელებშეხსნილმა იწყო სიარული, იმიტომ, რომ დიდმა ქალმა იცოდა თავისი ხალხის სულთან შეთვისება, რომ იგი დიდ პატივს სცემდა ხალხის ღირსებას, იმდენად აფასებდა ყოველივე რუსულს, რომ თვითონვე სწერდა სხვადასხვა თხზულებებს რუსულ ენაზე, ხელმძღვანელობდა ჟურნალს, და დედა-ენისადმი სიძულვილისათვის საშინელი სასჯელით—„ტელემახილით“—სჯიდა ქვეშევრდომებს!..⁴⁴

დიად, მშვენიერი და მომხიბლველი ხანა იყო ეს, მაგრამ კიდევ უფრო მშვენიერი და მომხიბლველი იყო ეს საზოგადოება! რა ნაირგვარობა, სიჭრელე და მრავალფეროვნება! რამდენი სხვადასხვაგვარი, მაგრამ ურთიერთ დაკავშირებული და ერთიანი სულისკვეთებით აღფრთოვანებული ელემენტი! უღვთობა და ურჯუკობა, სიტლანქე და სინატიფე, მატერიალიზმი და ღვთისმოსავეობა, სიახლით გატაცება და ჯიუტი ფანატიზმი სიძველის მიმართ, ნადიმობანი და გამარჯვებანი, ფუფუნება და ბარაქა, გართობანი და ჰერკულესური გმირული საქმეები, ყველა ელფერისა და ნირის დიდი გონებასა

და მტკიცე ხასიათის პატრონი ადამიანები და მათ შორის—
ნედროსლები, პროსტაკოვები, ტარას სკოტინინები და ბრა-
გადირები; თავადაზნაურობა, რომელიც საფრანგეთის სამე-
ფო კარს აკვირებდა მალალი საზოგადოებისათვის დამახასია-
თებელი თავისი განათლებულობით, და თავადაზნაურობა,
რომელიც ყმებით გამოდიოდა საყაჩაღოდ!..

და ეს საზოგადოება აისახა ლიტერატურაში. მისი გამოხა-
ტულება იყო უმთავრესად ორი პოეტი, თუმცა თავიანთი გე-
ნიით მეტად არათანაბარნი: დერჟავინის მშვეპარე სიმღერები
რუსეთის ძლიერების, დიდებისა და ბედნიერების სიმბოლო
იყო; ფონ-ვიზინის შუვავე და მახვილგონიერი კარიკატურები
იმდროინდელ ადამიანთა უგანათლებულებსი კლასის ცნებათა
და აზრთა გამოხატულების საყვირი იყო.

დერჟავინი—რა დიდი სახელია!.. დიახ, ის მართალი იყო:
მსოლოდ ნავინი შეიძლებოდა შერთმებოდა მას! ⁴⁵ რარიგ
უხდება დერჟავინს ეს ნახევრად რუსული და ნახევრად თათ-
რული სამოსი, რომლითაც ხატავენ მას პორტრეტებზე ⁴⁶: მიე-
ციოთ მას ხელში ობერონის სოსანის სეკეტრა, მიუმატეთ ან
სიასამურის ქურქსა და წავის ქულს გრძელი ქალარა წვერი.
და ა—თქვენს წინაშეა რუსი ჯადოქარი, ვისი სულის შე-
ბერვითაც დნება თოვლი და მდინარეთა ყინულის საბურვე-
ლი, იფურჩქნება ვარდები; ვის მომხიბლველ სიტყვებსაც
ეწორჩილება დამჯერე ბუნება და ყველა სახესა და გამოხა-
ტულებას ლებულობს, რომელთაც კი იგი მოსტრავებს! სა-
ჩველი ამბავია! ღარიბმა აზნაურმა, თითქმის უცოდინარმა,
პალღმა თავისი წარმოდგენებით, გამოუცნობმა გამოცანამ
თავისი თავისთვისაც, საიდან მიიღო მან ეს ადამიანთა გუ-
ლის ამართოლოებელი და სულის აღმაფრთოვანებელი გრძნე-
ული, წინასწარმეტყველური სიჭევა. ეს დაკვირვებული და
ყოველისმხედვილი თვალი, რომელიც ჩასჭიდებია ბუნე-
ბას მთელი მისი უსასრულობით, ისე როგორც არწივის მარ-
თვე ჩაეჭიდება ხოლმე მძლავრი კლანჭებით მართოლოვარე
მსხვერპლს? თუ, იგი მართლაც შეხვდა გზაჯვარედინზე რო-
4. ბ. გ. ბ. ე. ლ. ი. ს. კ.

მელიმე ექვსფრთიან ქერუბიმს? ⁴⁷ თუ, ცეცხლოვანი გრძნობა ზოგჯერ მართლაც ადამაღლებს მოკვდავს, მის მხრივ სრულიად გაურჯელად, ბუნების დონემდე, და ბუნებაც, მორჩილი, გადაუხსნის მას თავის იდუმალ წიაღს, ნებას აძლევს მას თვალი შეავლოს მის გულისცემას და სიცოცხლას წყაროს წიაღში ჰპოვოს ეს უკვდავების წყალი, რომელიც სიცოცხლის ნამს აკურებს ლითონსაც და მარმარილოსაც? თუ, ცეცხლოვანი გრძნობა მართლაც ანიჭებს მოკვდავს ყოვლისმხილველ თვალებს და სპობს მას ბუნებაში, ხოლო მასში სპობს ბუნებას, და მძლეთა-მძლეთ მეუფე ბუნებასა, იგი განუყოფელად ბატონობს ბუნებაზე და მასთან ერთად ეფინება თავისი ნება-სურვილით, მსგავსად პროთეოსისა, ათასობით მშვენიერ მოვლენას, განსხეულდება ათასობით ჯადოსნურ სახეში და ამ სახეებს შემდეგ თავის ქმნილებებს უწოდებს?.. დერჟავინი—ეს არის ეკატერინეს საუკუნის სრული გამოხატულება, ცოცხალი მატრიანე, საზეიმო ჰიმნი, აღზნებული ღითირაძები, მისი ლირიკული აღფრთოვანებით, მისი აწმყოთი სიამაყითა და მომავლის იმედებით, მისი განათლებითა და უვიცობით, მისი ეპიკურეიზმითა და ღიად საქმეთა წყურვილით, მისი სანადიმო უქმად ყოფნითა და დაუცხრომელი პრაქტიკული მოღვაწეობით! ნუ დაეძებთ მისი სიმღერების ბგერებში,—სიმღერებისა, რომელნიც ხან მედგარი და საზეიმოა, როგორც გამარჯვების ჭეჭა-ქუხილი, ხან სამხიარულო და სალადობო, როგორც ჩვენი მამა-პაპების სანადიმო საუბარი, ხანაც ნაწი და ტკბილი, როგორც ხმა რუსი ქალწულებისა.—ნუ დაეძებთ მათში დახვეწილ ანალიზს ადამიანისას მისი სულისა და გულის ყველა ხვეულებით, როგორც შექსპირთან, ან ტკბილ კაეშანს ზეცის გამო და მაღალ ოცნებებს სიცოცხლის სიწმინდესა და სიდიადეზე, როგორც შილერთან, ანდა მოყირკებულის და მაინც კიდევ უძღობი სულის გაშმაგებულ ღაღადისს, როგორც ბაირონთან. არა, ჩვენ მაშინ არა გვცალოდა ადამიანის ბუნების გადასაშლელად, არა გვცალოდა ცისა და სიცოცხლის სწიდუმლოებებში ღრმად ჩასაწვდომად, რადგან ჩვენ მაშინ გაყრუებული ვიყავით გამარჯვებათა ჭეჭა-ქუხი-

ლით, დაბრმავებული ვიყავით დიდების შუქით, გართული ვიყავით ახალი წესებითა და გარდაქმნებით; რადგან ზამინ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვცალოდა ცხოვრებით მოსაყიჩქებლად, ჩვენ ის-ის იყო ვიწყებდით ცხოვრებას და ამიტომ გვიყვარდა ცხოვრება. მაშ ასე, ნურათერს ამას ნუ დაეძებთ დერეჟენთან! სჯობს მის ნაწერებში მონახოთ პოეტური ცნობა იმის შესახებ, თუ რაოდენ დიადი იყო შეუღარებელი, ღვთაებრივი ფელიცა ყირგიზ-ყაისაყის ურდოსი, თუ როგორ ყველგან აფრქვევდა და სთესდა ეს ხორცშესხმული ანგელოზი სიცოცხლესა და ბედნიერებას, და მსგავსად ღმერთისა, არარაისაგან ჰქმნიდა ყველაფერს; რაოდენ ბრძენნი იყვნენ მისი ერთგული მსახურნი, მისი გულმოდგინე მრჩეველნი⁴⁸; თუ როგორ აისვრიდა ხოლმე ღრუბლებში ციხე-კოშკებს შუალამის გშირი, სასწაულთმოქმედი გოლიათი, როგორ ანათებდა წყვილადს მისი შუბლი და იფანტებოდა მტვერა მისი მამაცური შეძახილით, როგორ ირყეოდნენ მის ფერხთაქვეშ მთები და დულდნენ უფსკრულები, როგორ ეცემოდნენ მის წინაშე ქალაქები და ინგრეოდნენ სამეფოები, როგორ შემუსრა მან, ქექა-ქუხილსა და ელვა-მეხთა ტეხაში, გამძვინვარებული სტიქიონების საზარელ ბრძოლაში, იზმაილის ციხე-სიმაგრენი, ან როგორ გადალახა სენტ-გოტარის უფსკრულები⁴⁹, როგორ ცხოვრობდნენ და რასა იქმოდნენ რუსი დიდებულები თავიანთი გამოუღვეელი პურ-მარილით, თავიანთი რუსული განცხრომითა და რუსული ჭკუა-გონებით; როგორ განუწონებენ რუსი ქალწულები თავიანთი ცეცხლოვანი თვალებითა და სიასამტრის წარბ-წამწამებით ისარს ლომთა და არწივთ და გაუბობენ მათ გულებს, როგორ ბრწყინავს მათი თეთრი შუბლები ოქროს ლენტებით, როგორ ასუნთქავს ძვირფასი მარგალიტის თვლებით მოოქვილი მათი ნაზი მკერდები, როგორ სჩქევს მათს ცისფერ ძარღვებში ვარდისფერი სისხლი, ხოლო ლოყები სიყვარულს აუღაყლაყებია! ⁵⁰

შეუძლებელია აღნუსხვა დერეჟენის ქმნილებების აურაცხელ მშვენიერებათა. ისინი მრავალფეროვანია, ისევე რო-

გორც რუსეთის ბუნება, მაგრამ ყველანი ერთი საზოგადო-
 კლორიტით განირჩევიან: ყველა ამ ქმნილებაში წარმოსახვა
 სჭარბობს გრძნობას, და ყველაფერი წარმოდგენილია გაზვიად-
 დებული, ჰიპერბოლური ოდენობით. იგი არ აგიძგერებთ
 მკერდს ძლიერი გრძნობით, არ აგატირებთ, მაგრამ, როგორც
 არწივი დავლას, უეცრად და მოულოდნელად ჩაგაჟრინდე-
 ბათ და თავისი მძლავრა სტროფების ფრთებით მიგაქროლებთ
 პირდაპირ მზისკენ, საშუალებას არ გაძლევთ გონს მოხვიდეთ
 და ისე დაგატირებთ ციხ უსაზღვრო სივრცეებში; თქვენ ვე-
 ლარ ხედავთ დედამიწას, გული გეკუმშებათ რაღაც საამურა
 შიშნარევი განცვიფრებისაგან და ასე გგონიათ, თითქოს გრი-
 გალის ქროლვამ განუზომელ ოკეანეში გადაგისროლათ;
 ტალღა ხან უფსკრულისაკენ გაგიტაცებთ, ხან ცაში აგ-
 ტყორცნით, და თქვენი სული სიამოვნებას და ხალვათობას
 გრძნობს ამ უსაზღვროებაში. რა ხმამაღალი და დიდებულია
 მისი საგალობელი ღვთაებისადმი! რა ღრმად განსჭვრიტა მან
 ბუნების გარეგანი მშვენიერება და რა სწორად გადმოსცა ის
 თავის მომხიბლველ ქმნილებაში! და მაინც, მან ამ ქმნილება-
 ში ქება-დიდება შეასხა მარტოოდენ სიბრძნეს და ძლიერე-
 ბას ღვთაებისას და მხოლოდ მოიარებით სთქვა სიყვარულზე
 ღვთაებისა, იმ სიყვარულზე, რომელიც ადამიანებს მოუწო-
 დებდა: მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძი-
 მენი და მე განგისვენოთ თქვენ; იმ სიყვარულზე, რომელიც
 წამების სამარცხვინო ჯვარზე გაკრული შეჭლადადებდა
 უფალს: მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან. რასა იქ-
 მან! მაგრამ ნუ დაძრახავთ მას ამის გამო: მაშინ ახლანდელი
 დრო არ იყო, მაშინ შეთვრამეტე საუკუნე იყო. ამასთან არც
 ის დაივიწყოთ, რომ დერკავინის გონება რუსული, დადები-
 თი გონება იყო, რომლისთვისაც უცხო იყო მისტიციზმი და
 იღუმალება; რომ მისი სტიქია და ზეიმი იყო გარეგანი ბუნე-
 ბა, ხოლო გაბატონებული გრძნობა—პატრიოტიზმი; რომ ამ
 შემთხვევაში იგი მხოლოდ თავისი შეუცნობელი მიმართულე-
 ბის ერთგული და, მამასადამე, კემარტი იყო. რა "შემსარა-
 ვია მისი ოდა „მეშჩერსკის სიკვდილზე“: ძარღვებში სისხლი

გეყინებათ, თმები, შექსპირის გამოთქმისა არ იყოს, თავზე შეშფოთებულ ლაშქარივით აიშლება, როდესაც თქვენს ყურებში გაისმის გრძნეული ზარი დროთა მეტყველებისა, როდესაც თვალებს ელანდება საზარელი ჩონჩხი სიკვდილისა ცელით ხელში! რა ენერგიული და ველური სილამაზება ჩაქსოვილი მის „ჩანჩქერში“: ეს არის პირაქუში ჩრდილოეთის სიმღერა, რომელსაც თმაშევერცხლილი სკალდი დეთაებრივი ტყოს სიღრმეში მღერის დამის წყვილიადში, მეხისგან ცეცხლწაკიდებულ მუხასთან, სადაც გამაყრუებელი ზათქით ვარდება ჩანჩქერი!

მისი ეპისტოლენი და სატირები სულ სხვა, არანაკლებ მშვენიერსა და მომხიბლველ სამყაროს წარმოადგენენ. მათში ჩანს რუსული გონების პრაქტიკული ფილოსოფია, ამიტომ მათი მთავარი განმასხვავებელი თვისება არის ხალხურობა, ხალხურობა, რომელიც მდგომარეობს არა ტექტიური სიტყვების შერჩევაში ანდა ნაძალადევ ნაყალბევეში სიმღერებისა და ზღაპრების ყაიდაზე, არამედ რუსული ჭკუის მოქნილობაში, საგნების მიმართ რუსული თვალსაზრისის გამოჩენაში. ამ მხრივ დერჟავინი უაღრესად ხალხური პოეტია. რა სასაცოლონი არიან ისინი, რომლებიც მას ქება-დიდებათ უწოდებენ რუს პინდარს, ჰორაციუსს, ანაკრეონს; ვინაიდან თვით ეს სამმაგობა მოწმობს, რომ იგი არ იყო არც ერთი, არც მეორე და არც მესამე, არამედ იგი იყო ყველა ისინი ერთად აღებული და, მაშასადამე, მალა იდგა ყველა მათგანზე, ცალკე აღებულიზე! განა ასეთივე უზარობა არ იქნებოდა პინდარისა ან ანაკრეონისათვის გვეწოდებინა ბერძენი დერჟავინი, ანდა ჰორაციუსისათვის დაგვერქმია ლათინელი დერჟავინი, ვინაიდან, თუ თვითონ იგი არავისთვის არ ყოფილა ნიმუში, სამაგიეროდ თავისთვისაც არავინ ჰყოლია ნიმუშად? ⁵¹ საზოგადოდ უნდა შევნაშნოთ, რომ მისი უცოდინარობა იყო მიზეზი მისი ხალხურობისა, რომლის ფასიც, სხვათა შორის, მან არ იცოდა. ამ უცოდინარობამ იხსნა იგი მიმბაძველობისაგან, და იგი ორიგინალური და ხალხური იყო, თუმცა ეს თვითონაც არ იცოდა. იგი რომ ლომონოსოვივით ყოველმხრივ განსწავლული ყო-

ფილიყო, მაშინ კი მშვიდობით, პოეტო! ვინაიდან, რა მოხდებოდა? მას, ალბათ, გაიტაცებდა ტრაგედია და, უფრო საფიქრებელია, რომ იგი ხელს მოჰკიდებდა ეპოპეას. მისი უხვირო ცდები დრამაში ადასტურებს ამგვარი ვარაუდის სამართლიანობას. მაგრამ იგი ბედმა იხსნა, და ჩვენ დერჟავინის სახით გვყავს დიდი, გენიალური რუსი პოეტი, რომელიც რუსა ხალხის ცხოვრების, ეკატერინე II-ის საუკუნის ნამდვილი გამოძახილი იყო.

ფონ-ვიზინი უჩვეულო ჭკუითა და ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო; მაგრამ დაბადებული იყო თუ არა იგი კომიკად—ამაზე დადებითი პასუხის გაცემა ძნელია. მართლაც—და, ხედავთ თუ არა თქვენ მას დრამატიულ ქმნილებებში მარადიული სიცოცხლის იდეას? აკი ცნობილია, რომ სასაცილო ანეგდოტი, გაკეთებული საუბრის სახით, რომელშიაც ზონაწილეობს განსაზღვრული რიცხვი პირუტყვებისა, ჯერ კიდევ არ არის კომედია. კომედიის საგანი არ არის ზნეობის გამოსწორება, ანდა საზოგადოების რაიმე მანკიერების გაკილვა. არა, კომედიამ მხატვრულად უნდა გამოსახოს ცხოვრების შეუსაბამობა მიწნისადმი, იგი უნდა იყოს ნაყოფი ადამიანის ღირსების დამცირებით გამოწვეულ საშინელი აღმფოთებისა, იგი უნდა იყოს სარკაზმი და არა ეპიგრამა, საზარელი ხარხარი და არა მხიარული ღიმილი, იგი დაწერილი უნდა იყოს ღვარძლით და არა უნიათოდ, ერთი სიტყვით, უნდა მოიცავდეს ცხოვრებას მისი უმაღლესი მნიშვნელობით, ესე იგი მისი მარადიული ბრძოლით კეთილსა და ბოროტს, სიყვარულსა და ეგოიზმს შორის. ვხვდებით თუ არა ამას ფონ-ვიზინის შეშოქმედებაში? მისი ბრწყინვანი მეტად სასაცილონი და საძაგელნი არიან, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ისინი ფანტაზიის ქმნილებებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მეტისმეტად ბეჯითად არიან გადახატული ნატურიდან; მისი ჭკვიანი პერსონაჟები არსებითად სხვა არაფერია, თუ არა სასიერო ტიკინები, რომლებიც კეთილზნეობის დაზეპირებულ წესებს გაიძახიან. და ყოველივე ეს იმიტომ, რომ ავტორს უნდოდა ესწავლებინა და გამოესწორებინა. ეს ადამიანი ბუნე-

ბით მეტად სასაცილო იყო: იგი სიცილით კინალან გაიგუდა, როდესაც თეატრში პოლონურ ლაპარაკს ისმენდა; იგი იყო საფრანგეთსა და გერმანიაში და იქ მხოლოდ სასაცილო რამ დაინახა. აი, ესეც მთელი მისი კომიზმი. დიახ, მისი კომედიები არსებითად სხვა არაფერია, თუ არა ნაყოფი გულკეთილი სიძნობიარულთა, რომელიც ყველაფერს დასციინას; ნაყოფი მახვილგონიერებისა, მაგრამ არა ქმნილება ფანტაზიისა და მგზნებარე გრძნობისა. ეს კომედიები თავის დროზე განოჩნდნენ და ამიტომ უჩვეულო წარმატება ჰქონდათ; ისინი განათლებულ ადამიანთა გაბატონებულნი აზრების გამოხატულებას წარმოადგენდნენ და ამიტომაც მოსწონდათ. თუნცა ისინი მხატვრული ქმნილებანი არ იყვნენ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაგრამ მაინც ყოველივე იმაზე შეუდარებლად უფრო მაღლა იდგნენ, რაც კი ჩვენში დღემდე ამ დარგში დაწერილა, გარდა პიესისა „ვაი ჭკუთაჲან“, რომელზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ნაჩოროდენ ეს უკვე ადასტურებს ამ მწერლის ნიჭს. მისი სხვა თხზულებებს, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტი ღირებულება ჰქონდეთ, მაგრამ ამ თხზულებებშიაც იგი ჭკვიანი მეთვალყურე და მახვილგონიერი მწერალია და არა მხატვარი. მათი განმასხვავებელი დამახასიათებელი თვისებაა გაკილვა და ოხუნჯობა. გარდა უზადო ნიჭისა, ისინი შესანიშნავია კიდევ სტილითაც. რომელიც ძალიან უახლოვდება კარამზინის სტილს; ხოლო განსაკუთრებით ძვირფასია ისინი იმიტომ, რომ მაშინდელი საინტერესო დროის სულის მრავალ მკვეთრ ნიშანს შეიცავენ.

როგორ შეიძლება დავიფიქსოთ ბოგდანოვიჩი? რა სახელი ჰქონდა მას სიცოცხლეში, როგორ აღტაცებულნი იყვნენ მით იმდროინდელი ადამიანები და ახლაც რაჩიგად აღტაცებულია ზოგიერთი მკითხველი? რა არის ამ წარმატების მიზეზი? წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაბრუებული ხართ საუცხოო სიტყვებისა და ფრაზების ჭექა-ჭუხილითა და რახარუხით, რომ თქვენს გარშემო მყოფნი ყველანი მონოლოგებით ლაპარაკობენ სრულიად უბრალო საგნებზე, და ამდროს უეცრად შეხვდით ადამიანს, რომელიც უბრალოდ და ჭკვიანურად ლა-

პარაკობს. ხომ მართალია, რომ თქვენ ძალიან აღტაცებული იქნებოდით ამ ადამიანით? ლომონოსოვის, დერჟავინისა და ხერასკოვის მიმბაძველებმა ხმამაღალი ოდებითა და ხოტბით გააბრუეს ყველანი. უკვე იწყებდნენ იმის ფიქრს, რომ რუსული ენა გამოუსადეგარია ეგრეთწოდებული მსუბუქი პოეზიისათვის, რომელიც ესოდენ გაიფურჩქნა ფრანგებშიო. და აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ადამიანი ზღაპრით, რომელიც დაწერილი იყო უბრალო, ბუნებრივი და საოხუნჯო ენით, იმ დროისათვის საოცრად მსუბუქი და ნარნარი სტილით: ყველანი განცვიფრებული და გახარებული იყვნენ. აი მიზეზი „სულიკოს“ უჩვეულო წარმატებისა, რომელსაც, სხვათა შორის, ერთგვარი ღირსება და ნიჭი სცხია. თავმდაბალ ხემნიცერს ვერ გაუგეს მისმა თანამედროვეებმა. ხემნიცერით ახლა სამართლიანად ამაყობს შთამომავლობა, რომელიც მას დმიტრიევის გვერდით აყენებს. ხერასკოვი კეთილი, ჭკვიანი, კეთილგანმზრახველი და თავისი დროის მიხედვით საუცხოო ვერსიფიკატორი იყო, მაგრამ სრულებით არ იყო პოეტი. მისი საშუალო ნაწარმოებნი „როსსიადა“ და „ვლადიმირი“ დიდხანს შეადგენდა გაკვარვების საგანს იმდროინდელი ადამიანებისა და შთამომავლებისათვის, რომლებიც მას ჰომეროსსა და ვირგილიუსს უწოდებდნენ და მისი გრძელი და მოსაწყენი პროემების ფართო მიაცილებდნენ უკვდავების ტაძარში. მის წინაშე მოკრძალებით ხრიდა თავს თვით დერჟავინი. მაგრამ, ვაგლახ! ვერაფერმა ვერ იხსნა იგი ყოვლისშთანთქმელ დავიწყების ტალღებისაგან! პეტროვი ჭეშმარიტი გრძნობის ნაკლებობას სცეკლიდა მაღალფარდოვანობით და საესებით მოულო ბოლო თავის თავს თავისი ბარბაროსული ენით. კნიაჟინი შრომისმოყვარე მწერალი იყო და ენასა და ფორმის მხრივ ერთგვარ ნიჰს იჩენდა, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია კომედიებში. თუმცა იგი ყველაფერს ფრანგი მწერლებისგან სესხულობდა, მაგრამ მას ისიც კი დიდ პატივსა სდებს, რომ შეეძლო ამ ნასესხებისაგან შეედგინა რაღაც მთელი და ბევრად გაუსწრო თავის თვისტომს სუმაროკოს.

კოსტროვი და ბობროვი თავის დროზე კარგი ვერსიფიკატორები იყვნენ.

აი ეკატერინე დიდის საუკუნის ყველა გენოსი. მათ ყველას დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი, და ყველანი, გარდა დერჟავინისა, ფონ-ვიზინისა და ხემნიცერისა, დავიწყებული არიან. მაგრამ ყველა ისინი შესანიშნავი არიან, როგორც პირველი მოღვაწენი რუსული სიტყვიერების სარბიელზე, თუ მაშინდელი დროისა და საშუალებების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათი წარმატებანი მნიშვნელოვანნი იყვნენ და უპირატესად წარმოსდგებოდნენ დროისაგან და იმ მონარქი ქალის მხრივ გამხნეებისაგან, რომელიც ყველგან დაეძებდა და ყველგან პოულობდა. ნიჭიერ ადამიანებს. მაგრამ მათ შორის მხოლოდ მარტოოდენ დერჟავინი იყო ისეთი პოეტი, რომლის სახელი სიამაყით შეგვიძლია დავაყენოთ ყველა საუკუნისა და ხალხთა პოეტების დიდი სახელების გვერდით, რადგან მარტოოდენ იგი იყო თავისუფალი და საზეიმო გამოხატულება თავისი დიდი ხალხისა და თავისი საკვირველი დროისა.

(შემდეგ ფურცლამდე)

ლიტერატურული ოცნებანი

(გაგრძელება)

Amicus Plato, sed magis amica veritas ⁶².

ლიტერატურული სარბიელის პირველი მოღვაწენი მუდამ დაუვიწყარნი არიან, ვინაიდან, ნიჭიერნი თუ უნაჭონი, ისინი ორივე შემთხვევაში ისტორიული პიროვნებანი არიან. მარტოდენ ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში როდი უსწრებს ყოველთვის რონსარებს, გარნიესა და ჰარდის სახელები კორნელებისა და რასინების სახელებს. ბედნიერი ადამიანები! რა იაფად შეიძინეს მათ უკვდავება! ჩემს წინა სტატიაში მიუტევებელი შეცდომა ჩავიდინე, რადგან, როდესაც ეკატე-

რინე II-ის საუკუნის პოეტებსა და მწერლებზე ვლადიმერ-ბოლშევიჩის მათგანი დამაფიქსელა. ამიტომ ახლა აუცილებელ მოვალეობად მიმაჩნია გამოვასწორო ჩემი შეცდომა და მოვიხსენიო პოპოვსკი, რომელიც თავისი დროის გვარიანი მოღვაწე და პროზაიკოსი იყო; მაიკოვი, ვინაც თავისი ქმნილებებით, რომლებიც მას უამსა შინა მთელი პიეტობით კომიკური პოემების რომელიღაც გვარს მიეკუთვნებოდნენ, კარგა გვარიანად შეუწყო ხელი ცუდი გემოვნების გავრცელებას რუსეთში და ჩვენი განთქმული დრამატურგი თავ. შახოვსკოი აიძულა დაეწერა საკმაოდ მდარე ლექსი სახელწოდებით: „დატაცებული ქურქები“; აბლესიმოვი, რომელმაც თითქოს უნებურად თუ შეცდომით, მრავალ ცუდ დრამას შორის, დასწერა საუცხოო ხალხური ვოდევილი „მეწისქვილე“, ნაწარმოები, რომელიც ესოდენ უყვარდათ ჩვენს კეთილ მამა-პაპებს და რომელსაც დღესაც კიდევ არ დაუკარგავს თავისი ღირსება; რუბანი, რომელმაც, წარსული დროის ჩვენი ლიტერატურული მსაჯულების წყალობითა და გულკეთილობით, ყველაზე იაფად შეიძინა უკუდავება; ნელედინსკი, რომლის სიმღერების სანტიმენტალურ შეფერაობაში ზოგჯერ გამოკრთოდა გრძნობა და ნიქის გაელვება; ეფიმიევი და პლავილშჩიკოვი, რომლებიც ოდესღაც კარგ დრამატურგებად ითვლებოდნენ, მაგრამ ახლა, ვაგლახს, სახეებით დაფიქსებულნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ თვით პატივცემული ნიკოლოზ ივანეს-ძე გრეჩიც კი არ უარპყოფდა მათს ერთგვარ თითქოსდა ღირსებებს. გარდა ამისა, ეკატერინე II-ის მეფობა აღინიშნა ისეთი საკვირველი და ჩვენში იშვიათი მოვლენით, რომელსაც, ეტყობა, კიდევ დიდხანს ვერ მოვესწრებით ჩვენ, ცოდვილნი. ვინ არ იცნობს, თუნდაც განაგონით, ნოვიკოვის სახელს? რა სამწუხაროა, რომ ჩვენ ესოდენ მცირე ცნობები მოგვეპოვება ამ უჩვეულო და, ვბედავთ: ქმას, დიდი ადამიანის შესახებ! ჩვენში ყოველთვის ასე ხდება: განუწყვეტლივ გაჰყვირიან ვიღაც სუმაროკოვზე, უნიკო მწერალზე, და იფიქსებენ იმ ადამიანის სასიკეთო თავგანწირვას, რომლის მთელი ცხოვრება, მთელი მოღვაწეობა საერთო სარგებლობისაკენ იყო მიმართული!..

ალექსანდრე კურთხეულას საუკუნე, ისევე როგორც ეკატერინე დიდის საუკუნეც, რუსი ხალხის ცხოვრების ნათელ გაეღვებებს მიეკუთვნება და, ერთგვარად, მისი გაგრძელება იყო. ეს იყო ცხოვრება უდარდელი და მზიარული, აღსავსე აწმყოთი გამოწვეული სიამაყით და ნომავლის იმედებით. ეკატერინეს მიერ შემოღებული ბრძნული კანონები და ახალი წესები დამკვიდრდა და, ასე ვთქვათ, განმტკიცდა; ახალი კეთილმყოფელი დაწესებულებანი ჰაბუკი და წყნარი მეფისა განამტკიცებდნენ რუსეთის კეთილდღეობას და სწრაფად მიჰყავდათ ის წინ წარმატების სარბიელზე. მართლაცდა, რამდენი რამ გაკეთდა განათლებისათვის! რამდენი უნივერსიტეტი, ლიცეუმი, გიმნაზია, სამაზრო და სამრევლო სასწავლებელი დაარსდა! და დაიწყო განათლების შექრა ხალხის ყველა კლასში, ვინაიდან ის ასე თუ ისე ხელმისაწვდომი გახდა ხალხს ყველა კლასისათვის. მფარველი ხელი განათლებული და განსწავლული მონარქისა, ეკატერინეს ღირსეული შეილიშვილისა. ყველგან პოულობდა ნიჭიერ ადამიანებს და მათ გზას და სახარებს აძლევდა მათ მაერვე არჩეულ სარბიელზე სამოქმედოდ. ჯერ კიდევ იმ ხანაში პირველად დაიბადა აზრი საკუთარი ლიტერატურის საჭიროების შესახებ. ეკატერინეს მეფობის დროს ლიტერატურა მხოლოდ სასახლესთან არსებობდა; ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ იმიტომ, რომ ამ მოღვაწეობას დედოფალი ეწეოდა. ცუდი დღე დაადგებოდა დერჟავინს, დედოფალს რომ არ მოსწონებოდა მისი „ეპისტოლე ფელიცსაადმი“ და „დიდკაცა“; ცუდი დღე დაადგებოდა ფონ-ვიზინს, დედოფალი რომ სიცილისგან არ აცრემლებულიყო მისი „ბრიგადირისა“ და „უსწავლელას“ გამო; ნაკლებ პატივს დაიმსახურებდა „ღმერთისა“ და „ჩანჩქერის“ მომღერალი, იგი რომ ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი და სხვადასხვა ორდენების კავალერი არ ყოფილიყო. ალექსანდრეს დროს ყველამ ხელი მოჰკიდა ლიტერატურას, და დაიწყო ტიტულის გამოყოფა ტალანტისაგან. თავი იჩინა ახალმა და მანამდე გაუგონარმა მოვლენამ: მწერლები გახდნენ საზოგადოების მამოძრავებელნი, ხელმძღვანელნი და განმანათლე-

ბელნი. თავი იჩინა ენისა და ლიტერატურის შექმნის ცდებმა. მაგრამ, ვაგლახ! ეს არ იყო მტკიცე და საფუძვლიანი ცდები; ვინაიდან ცდა ყოველთვის ჰგულისხმობს ვარაუდს, ვარაუდი კი ჰგულისხმობს ნებისყოფას, ხოლო ნებისყოფა ხშირად მიმართულია გარემოებათა საწინააღმდეგოდ და არ ეთანხმება საღი აზრის კანონებს. ტალანტი ბევრი იყო, მაგრამ გენიოსი არც ერთი, და ყველა ლიტერატურული მოვლენა იზადებოდა არა აუცილებლობის შედეგად, — იზადებოდა უნებლიეთ და შეუცნობლად; ისინი არ გამომდინარეობდნენ ამბებიდან და ხალხის სულიდან. არ კითხვლობდნენ: რა და როგორ უხდა ვაგვეკეთებინა. ამბობდნენ: გააკეთეთ ისე, როგორც აკეთებენ უცხოელები, და თქვენ კარგად გააკეთებთო. განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ, მიუხედავად ყოველგვარი მეცადინეობისა შეექმნათ ენა და ლიტერატურა, ჩვენში არა თუ მაშინ არ იყო არც ერთი და არც მეორე, არამედ ახლაც კი არ არის! განა საკვირველია, რომ სალიტერატურო მოძრაობის დასაწყისშივე ჩვენში ესოდენ დიდძალი ლიტერატურული სკოლები იყო, მაგრამ არც ერთი ჰემმარიტი და საფუძვლიანი სკოლა არ იყო; რომ ისინი ყველანი ჩნდებოდნენ როგორც სოკოები ნაწვიმარზე, და საპნის ბუშტებივით ჰქრებოდნენ; და რომ ჩვენ, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაგვაჩნდა არავითარი ლიტერატურა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უკვე მოვასწარით გავმხდარიყავით კლასიკოსებიც და რომანტიკოსებიც, ბერძნებიც და რომაელებიც, ფრანგებიც და იტალიელებიც, გერმანელებიც და ინგლისელებიც?..

ორმა მწერალმა გალაბიჯა ალექსანდრეს საუკუნეში და ორივე მართებულად ითვლებოდა ამ საუკუნის დასაწყისის საუკეთესო სამკაულად. ესენი იყვნენ კარამზინი და დმიტრიევო. კარამზინი — ი ჩვენი ლიტერატურის მსახიობი, რომელსაც ჯერ კიდევ თავისი პირველი დებიუტის დროს, სცენაზე თავისი პირველი გამოსვლისას მქუხარე ტაშითაც შეხვდნენ და ხმამაღალი სტვენითაც! აი სახელი, რომლისთვისაც ამდენი სისხლიანი ბრძოლა გაიმართა, ამდენი თავგანწირული შეტაკება მოხდა, ამდენი შუბი დაიმსხვრა! და განა დიდი ხანია

მას შემდეგ, რაც ეს საბრძოლო ყიჟინა და იარაღის ქლარუნი მიწყდა, დიდი ხანია, რაც მტრულმა პარტიებმა ხმლები ქარქაშში ჩააგეს და ახლა ცდილობენ გაერკვნენ, თუ რისთვის იბრძოდნენ ისინი? ამ სტრიქონების წამკითხველთაგან ვინ არ იყო მოწმე ამ ლიტერატურული ბრძოლებისა, ვის არ გაუგონია გაზვიადებული და უაზრო ქება—ეს გამაყრუებელი სადიდებელი ღრიანცელი, ეს ნაწილობრივ მართებული და ნაწილობრივ სულელური გაკიცხვა? და ახლა, დაუფიქარი დიდი ადამიანის საფლავზე, განა უკვე გადაწყვეტილია გამარჯვება, განა გამარჯვება ამა თუ იმ მხარემ? ვაგლახ! ჯერ კიდევ არა! ერთი მხრით ჩვენ, როგორც სამშობლოს ერთგულ შვილებს, მოგვიწოდებენ ვილოცოთ კარამზინის საფლავზე და ჩურჩულით წარმოვთქვათ მისი წმინდა სახელი¹; ხოლო მეორე მხრით—უნდობლობისა და დაცინვის გამომხატველი დიმილით ისმენენ ამ მოწოდებას. საინტერესო სანახაობა! ბრძოლა ორი თაობისა, რომელთაც ერთიმეორის არა გაეგებათ რა! და მართლაც, განა სასაცილო არ არის იმის ფიქრი, რომ გამარჯვება ბატონთ ივანჩინ-პისარეებს, სომოვებსა და სხვ. დარჩებათ? კიდევ უფრო დიდი სისულელეა იმის წარმოდგენა, რომ ამ გამარჯვებას განიმტკიცებენ ბ-ნი არციბაშევი და ძმანი მისნი².

კარამზინი... mais je reviens toujours à mes moutons... იცით თუ არა, რა ვნებდა ყველაზე მეტად. ვნებს და, როგორც ეტყობა, კიდევ დიდხანს აწეებს რუსეთში ლიტერატურის შესახებ საფუძვლიანი ცოდნის გავრცელებას და გემოვნების გაუმჯობესებას? ლიტერატურული კერპთაყვანისმცემლობა! ბავშვები, ჩვენ ჯერ კიდევ ვლოცვლობთ და თაყვანვცემთ ჩვენი ხალხმრავალი ოლიმპის მრავალრიცხოვან ღმერთებს და სრულდებათაც არ ვზრუნავთ იმისათვის, რომ უფრო ხშირად ჩაახედოთ ხოლმე მეტრიკებში, რათა გავიგოთ, მართლაც ციური წარმოშობის არიან თუ არა ჩვენი სათაყვანო საგნები. რა ექნათ? ბრმა თანატონში ბაღლობას ასაკში მყოფ საზოგადოებათა წილ-ხვედრია მუდამ. გახსოვთ თუ არა, რა დაუჯდა მერზლიაკოვს ნისი კრიტიკული აზრები

სერასკოვზე? ⁵⁶ გახსოვთ თუ არა, როგორ შეხვდნენ ბ-ნ კაჩენოვსკას შენიშვნებს „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაზე“? ამ მოხუცის შენიშვნებს, რომლებშიაც გამოთქმული იყო თითქმის ყველაფერი, რასაც შემდეგ კარამზინის ისტორიაზე კვებულები ლაპარაკობდნენ? დიახ, ჭეშმარიტებისადმი დიდი, ძალიან დიდი უანგარო სიყვარული და ხასიათის ძალაა საჭირო ჩვენში იმისათვის, რომ არა თუ ავტორიტეტს, არამედ თუნდაც რომელიმე ავტორიტეტუნასაც კი შეეხო. განა გესინამოვნებათ, როდესაც თქვენ საქვეყნოდ გამოგაცხადებებს სამშობლოს მოძულედ, ნიჭის მოშურნედ, უსულგულო ზოილად, ღვარძლიანად? ⁵⁷ მერე და ვინ? თითქმის უცოდინარი, უვიცი ადამიანები, რომლებიც გააფთრებით ამხედრებულან გონების წარმატებათა წინააღმდეგ, ჯიუტად ებლაუჭებიან თავიანთ ნიჟაროს ნაჭუქს, როდესაც მათ გარშემო ყველაფერი მიდის, გარბის. მიჰქრის! და მართალი არ არიან ისინი ამ შემთხვევაში? რაღას უნდა მოელოდნენ თავისთვის, მაგალითად, ბ-ნი ივანჩინ-პისარევი, ბ-ნი ვოეიკოვი ან თავ. შალიკოვი, როდესაც მათ ესმით, რომ კარამზინი არ არის მხატვარი, არ არის გენოსიო და სხვა ამგვარი უღმერთო აზრები? რას უნდა მოელოდნენ ისინი, რომლებიც ამ ადამიანის ტაბლიდან დაცვიფნული ნამცეცებით იკვებებოდნენ და ამ ნამცეცებზე ავებდნენ თავისი უკვდავების შენობას? აი გამოჩნდა ბ-ნი არციბაშევი უბადრუკი კრიტიკული სტატიებით, რომლებშიაც ამტკიცებს, რომ კარამზინი ხშირად და თანაც ყოველგვარი საჭიროების გარეშე უხვევდა მათიანეებიდან, რომლებიც მისთვის წყაროებს წარმოადგენდნენ. ხშირად თავისი ნებით ან ახირებით ამახინჯებდა მათს აზრსო. და მერე რა მოხდა?— თქვენ გგონიათ, კარამზინის თაყვანისმცემელნი მაშინვე შეუდგნენ შედარებას და ამხილეს ბ-ნი არციბაშევი ცილისწამებაში? სრულიადაც არა. რა უცნაური ადამიანები ხართ! რისთვის უნდა ილაპარაკოთ შურსა და ზოილებზე. კალატოზებსა და მოქანდაკეებზე, რისთვის უნდა დააცხრეთ შენიშვნებში გამოტანილ უაზრო უმნიშვნელო ფრაზებს, ებრძოლოთ ჩრდილს და იხმაუროთ არაფრის გამო? დე, ბ-ნ არციბაშევს

ჰშურდეს კიდევ კარამზინის სახელი. მერწმუნეთ, იგი ამით ვერ ზოჰკლავს კარამზინს, თუ ეს უკანასკნელი დამსახურებული სახელით სარგებლობს; დე, მან მედიდურად ამტკიცოს, რომ კარამზინის ენა შეუფერებლად უღერს. ღმერთმა ხელი მოუშართოს,—ეს მხოლოდ სასაცილოა, მაგრამ სრულიადაც საწყენი არ არის. განა არ აჯობებს თქვენთვის, ხელში აიღოთ მატთანეები და დაამტკიცოთ, რომ ან ბ-ნი არციბაშევი ცილს სწამებს, ანდა ისტორიკოსის შეცდომები სრულიად უმნიშვნელოა, და არა ის, რომ სრულებით არაფერი სთქვათ? მაგრამ თქვენ, საცოდავო. ამ შრომისათვის ძალ-ღონე არ შეგწევთ; თქვენ თვალითაც არ გინახავთ მატთანეები, თქვენ ცუდად იცით ისტორია:

შაშ, ეგრე საშინლად რატომ გაჰყვირით?

მაგრამ რაგინდრა სთქვი და, სამწუხაროდ. ასეთი ადამიანი ბევრია.

ჰა, საზოგადო აზრიც ეგ არის!
მასზე ტრიალებს სამყარო შარად!

კარამზინმა თავისი სახელით ჩვენს სიტყვიერებაში ეპოქა აღნიშნა: მისი გავლენა მის თანამედროვეებზე იმდენად დიდი და ძლიერი იყო, რომ ჩვენი ლიტერატურის მთელ პერიოდს ოთხმოცდაათიანი წლებიდან ოციან წლებამდე სამართლიანად ეწოდება კარამზინის პერიოდი. მართა ეს გარემოება საკმაოდ მოწმობს, რომ კარამზინი, თავისი განათლებით, მთელი თავით აღმატებოდა თავის თანამედროვეებს. მას დღესაც კი, თუმცა არამტკიცედ და ბუნდოვნად, გარდა ისტორიკოსის სახელისა, კიდევ შერჩენია სახელი მწერლისა, პოეტისა, მხატვრისა, ლექსთა მთხველისა. განვიხილოთ მისი უფლებები ამ ტიტულების მიმართ. კარამზინისათვის ჯერ კიდევ არ დაწყებულია შთამომავლობა. რომელი ჩვენგანი არ იყო გატაცებული ბავშვობაში მისი მოთხრობებით, რომელი ჩვენგანი არ ოცნებობდა და არ სტაროდა მის თხზულებათჳ კითხვას დროს? ხოლო ბავშვობის მოგონებანი ხომ ესოდენ ტკბილი

და ესოდენ მომხიბლველია. შეიძლება თუ არა აქ მიუდგომლობა? მაგრამ ვცადოთ მაინც.

წარმოიდგინეთ სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვაგვარი, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა ტომის საზოგადოება. მისი ერთი ნაწილი კითხულობდა, ლაპარაკობდა, აზროვნებდა და ღმერთს ევედრებოდა ფრანგულ ენაზე; მეორემ ზეპირად იცოდა დერჟავინი და მას არა მარტო ლომონოსოვის, არამედ პეტროვის, სუმაროკოვისა და ხერასკოვის გვერდითაც კი აყენებდა. პირველმა ნაწილმა ძალიან ცუდად იცოდა რუსული ენა; მეორეს შეთვისებული ჰქონდა „როსსიადის“ და „კადმუსისა და ჰარმონის“ ავტორის მაღალფარდოვანი, სქოლასტიკური ენა; ხოლო ორივეს ერთად ახასიათებდა ნახევრადველურობა და ნახევრად განათლებულობა. ერთი სიტყვით, ეს იყო საზოგადოება, რომელსაც კითხვის ხალისი ჰქონდა, მაგრამ არ გააჩნდა არავითარი ნათელი იდეა ლიტერატურაზე. და აი, გამოჩნდა ჭაბუკი, რომლის სულა ღია იყო ყოველივე კეთილისა და მშვენიერისათვის, თუმცა მას, ბედნიერი ნიჭისა და დიდი ჰკუთის პატრონს, აკლდა განათლება და განსწავლულობა. როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ. თუმცა იგი თავისი საუკუნის დონეზე არ ასულა, მაგრამ თავის საზოგადოებაზე შეუდარებლად უფრო მაღლა იდგა. ეს ჭაბუკი ცხოვრებას ისე უყურებდა, როგორც გმირობას, და, სიჭაბუკის ძალებით აღსაფხვანს, სწყუროდა ავტორის დიდება, სწყუროდა სახელი სამშობლოს წარმატებათა ხელშეწყობისა განათლებისაკენ მიმავალ გზაზე. და მთელი ღის ცხოვრება ამ წმინდა და მშვენიერ მამაცობას წარმოადგენდა. განა მართალი არ არის, რომ კარამზინი არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომ იგი ღირსია დიდი პატივისცემისა, და მოწიწებისა არა? მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ადამიანი არ უნდა ავურიოთ მწერალსა და მხატვარში. თუმცა, ეს უნდა ითქვას სრულიადაც არა კარამზინის მიმართ, არამედ ისე, სხვათა შორის! თორემ ასე რომ მცვევით, მაშინ როლენიც წმინდანებში მოხვდება. განხრახვად და შესრულება—ორი სხვადასხვა რამ არის. ახლა ენახოთ. როგორ შეასრულა კარამზინმა თავისი მაღალი მისია.

იგი ხედავდა, რა მცირე რამ იყო გაკეთებული ჩვენში, რა ცუდად ესმოდათ მის თანამოქალაქებს, რა უნდა გაკეთებულიყო, ხედავდა, რომ უმაღლეს წოდებას მიზენი ჰქონდა სიძულვილით მოპყრობოდა მშობლიურ ენას, ვინაიდან ადგილი ჰქონდა განხეთქილებას წყურლობითა ენასა და სალაპარაკო ენას შორის. მაშინ ფრაზეოლოგიის საუკუნე იყო, სიტყვებს ეტანებოდნენ და სიტყვებისათვის აზრებს მხოლოდ იმ მიზნით არჩევდნენ, რომ რაღაც აზრი გამოსულიყო. კარამზინი ბუნებით დაჯილდოებული იყო ენისათვის საჭირო უტყუარი მუსიკალური სმენით და მწყობრი და ლამაზი მეტყველების უნარით, მაშასადამე, მისთვის ძნელი არ იყო ენის გარდაქმნა. ამბობენ, მან ჩვენი ენა დაამსგავსა ფრანგულს, ისევე როგორც ლომონოსოვმა დაამსგავსა იგი ლათინურსო. ეს მხოლოდ ნაწილობრივ არის მართებული. ალბათ, კარამზინი ცდილობდა ეწერა ისე, როგორც ლაპარაკობენ. მისი შეცდომა ამ შემთხვევაში ის არის, რომ იგი არაფრად აგდებდა რუსული ენის იდიომებს, ყურად არ იღებდა უბრალო ხალხის ენას და ისაერთად არ სწავლობდა მშობლიურ წყაროებს. მაგრამ მან ეს შეცდომა გამოასწორა თავის „ისტორიაში“. კარამზინმა მიზნად დაისახა რუსულ საზოგადოებაში დანერგვა კითხვის სიყვარული და ჩვევა. გეკითხებით: შეუძლია თუ არა მხატვრის მოწოდებას დაეთანხმოს რაიმე წინასწარ ნაგერაუდევ მიზანს, რა მშვენიერიც უნდა იყოს ეს მიზანი? ეს ცოტაა: შეუძლია თუ არა მხატვარს დაქვეითდეს, ასე ვთქვათ: დაიხაროს საზოგადოებისაკენ, რომელიც მას მუხლამდე თუ მიწვდებოდა და ამიტომ ვერას გაუგებდა? ვთქვათ, რომ შეუძლია კიდევ. მაშინ მეორე კითხვა: შეუძლია თუ არა მას ასეთ შემთხვევაში მხატვრად დარჩეს თავის ქმნილებებში? აშკარაა, რომ არა. ის, ვინც ბავშვს რაიმეს უხსნის, ამ დროს თვითონვე ბავშვად იქცევა. კარამზინი სწერდა ბავშვებისათვის და სწერდა ბავშვურად. განა საკვირველია, რომ ამ ბავშვებმა, როცა ისინი დავაჟკაცდნენ, იგი დაივიწყეს და, თავის

მხრივ, მისი თხზულებანი თავიანთ შვილებს გადაულოცეს? ეს ბუნებრივია: ყრმა სრული ნდობითა და მხურვალე რწმენით უსმენდა თავის მოხუც გადიას, რომელიც მას ხელით დაატარებდა და მკვდრებისა და მოჩვენებების შესახებ მოუთხრობდა; ხოლო უკვე დავაყაატებული, იგი დასცინის მის ნაამბობს. თქვენ მოგანდეს ბავშვი. აცოდეთ, რომ ეს ბავშვი გახდება ყრმა, შემდეგ ჭაბუკი, მერმე კიდევ დავაყაატდება, და ამიტომ თვალყური ადევნეთ მისი ნიჭის განვითარებას და ამის შესაბამისად შეცვალეთ თქვენი სწავლების მეთოდი, ყოველთვის მასზე მაღლა იდექით; სხვანაირად თქვენი საქმე ცუდად წავა: ეს ბავშვი პირში დაგცინებთ თქვენ. როდესაც მას ასწავლით, კიდევ უფრო მეტად ასწავლეთ თქვენ თვითონ, თორემ იგი გაგისწრებთ: ბავშვები ჩქარა იზრდებიან. ახლა მითხარით, სინდისის ქვეშ, sine ira et studio, როგორც ჩვენი ცნობილი სწავლულნი ამბობენ: ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ, როგორც წინათ სტიროდნენ „საბრალო ლიზას“ გამო, ახლა ასევე დასცინიან მას? ნება თქვენია, ბატონო კარამზინის თაყვანისმცემელნო, მე კი უმალ ბარონ ბრამბეუსის მოთხრობების წაკითხვას ვამჯობინებდი, ვიდრე „საბრალო ლიზას“ ან „ბოიარის ქალიშვილ ნატალიას“ წაკითხვას! დროება გამოიცივალა და ზნე-ჩვეულებებიც შეიცვალა! კარამზინის მოთხრობებმა მიაჩვიეს საზოგადოება კითხვას, ბევრი ამ მოთხრობებით გავარჯიშდა კითხვაში. მაშ მადლიერი ვიყოთ მათი ავტორისა; მაგრამ თავი დავანებოთ მათ, თუნდაც ხელიდან გამოვტაცოთ ისინი ჩვენს ბავშვებს, რადგან ისინი დიდ ზიანს მიაყენებენ ბავშვებს: ფარისევლური გრძნობელობით გარყვნიან მათს გრძნობას.

გარდა ამისა, კარამზინის თხზულებანი ბევრ ღირსებას ჰკარგავენ ჩვენს ღრმში იმიტომაც, რომ იგი ამ თხზულებებში იშვიათად იყო გულწრფელი და ბუნებრივი. ფრაზეოლოგიის საუკუნე ჩვენთვის მთავრდება. ჩვენი გაგებით, ფრაზა უნდა შეიარჩეს აზრის ან გრძნობის გამოსახატავად; წინათ კი აზრსა და გრძნობას დაექებდნენ მაღალი ფრაზისათვის. ვიცა, რომ ჩვენ ახლაც არა ვართ უცოდველნი ამ მხრივ. ყოველ შემთხ-

ვევამი, ახლა, თუ ადვილია ზიზილ-პიპილებს გამოცხადება ოქროდ, გონჯი გონებისა და მახინჯი გრძნობის გამოცხადება მკვირცხლ გონებად და მგზნებარე გრძნობად,—ეს შეაძლება მოხდეს მცირე ხნით, და, რაც უფრო ძლიერია ცთუნება, მით უფრო შურისძაძიებელია ხოლმე გულგატეხილობა; რაც უფრო დიდია მოკრძალება ცრუ ღვთაებისადმი, მით უფრო უსასტიკესი გამობით ისჯება ცრუმოსახელე. საზოგადოდ ახლა რაღაც უფრო მეტია გულწრფელობა; ყოველი ჭეშმარიტად განათლებული ადამიანი უმალ აღიარებს, რომ მას არ ესმის ავტორის ესა თუ ის სილამაზე, მაგრამ ნაძალადევ აღტაცებას არ გამოამყლავნებს. ამიტომ დღეს ძნელად თუ მოძებნება ისეთი გულკეთილი ბრყვა, რომელიც დაიჯერებდა, რომ კარამზინის ცრემლთა ნიაღვარი სულიდან და გულიდან იფრქვეოდა და მისი ტალანტის საყვარელი კოპწიაობა, მისი საავტორო ჩვეული ორჩოფეხები არ იყო. ამგვარი ყალბი და ნაძალადევი გრძნობა მით უფრო სავალალოა, როდესაც ავტორი ნიჭიერი ადამიანია. არავინ გაიფიქრებს ამგვარი ნაყლის გამო გაკიცხოს, მაგალითად, გრძნობიერი თავ. შალიკოვი, რადგან არავის აზრად არ მოუვა მისი გრძნობიერი ქმნილებები იკითხოს. ამრიგად, აქ ავტორიტეტი არა თუ [არაა] გამართლება, არამედ ორმაგი დანაშაულიც არის. მართლაცდა, განა უცნაური არ არის მოწიფული ადამიანი, თუნდაც ეს ადამიანი თვით კარამზინი იყოს,—განა უცნაური არ არის მოწიფული ადამიანი, რომელიც ღაბაღუბით აფრქვევს ცრემლებს „გრამატიკას დიდი მამამთავრის“⁵⁸ ელამი თვალის დანახვაზეც, კაღვს გარემომცველი თვალუწვდენელი ქვიშნარის დანახვაზეც. ბალახის დანახვაზეც და ჭიანჭველების, მუშლისა და აბანოს ჭიების დანახვაზეც?.. ისიც ხომ სათქმელაა, რომ:

მუღამ რად ვღვართ ცრემლები მწარე
ჩვენ ამ ქვეყნიურ გაკირვებაზე!⁵⁹

ეს ცრემლები, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მტირალობა, ხშირად აფუტებს მისი ისტორიის საუკეთესო ფურცლებს. იტყვიან: მაშინ ეგეთი საუკუნე იყო. ტყუილია: მეთვრა-

მეტე საუკუნის წასიათი სრულებითაც არ მდგომარეობს მარტოოდენ მტირალობაში; თანაც საღი აზრი ყველა საუკუნეზე მაღლა დგას, ხოლო ის კრძალავს ტირილს, როდესაც გინდა იცინო, და სიცილს, როდესაც განდა იტირო. ეს იყო პირდაპირ სასაცილო და საცოდავი ბავშვობა, უცნაური და აუხსნელი მანია.

ახლა მეორე კითხვა: ამდენი კი გააკეთა მან, რამდენიც შეეძლო, თუ ნაკლები? ეუპასუხებ დადებითად: ნაკლები. იგი სამოგზაურად წავიდა: რა მშვენიერი შემთხვევა ჰქონდა თავის თანამემამულეთა თვალწინ გადაეშალა დიდი და მომხიბლველი სურათი განათლების მრავალსაუკუნოვანი ნაყოფისა, ცივილიზაციის წარმატებისა და ადამიანთა მოდგმის კეთილშობილ წარმომადგენელთა საზოგადოებრივი განათლებასა!.. მისთვის ესოდენ ადვილი იყო ეს! მისი კალამი ესოდენ მჭევრმეტყველი იყო! მას თანამედროვეთა შორის ესოდენ დიდი ნდობა ჰქონდა! და რა გააკეთა მან ყოველივე ამის ნაცვლად? რით არის აღსავსე მისი „რუსი მოგზაურის წერილები?“ ჩვენ მათგან მეტწილად ვტყობილობთ იმას, თუ სად ისაღილა მან, სად იუანშმა, რა საქმელები მიართვეს და რა გადაახდევინა მიკიტანმა; ვტყობილობთ, როგორ დასდევდა ბ-ნი ბ*** ქალბატონ Ne-ს და როგორ გაუკაწრა მას ციყვმა ცხვირი; როგორ ამოდიოდა მზე შვეიცარიის რომელიმე პატარა სოფელში, საიდანაც მწყემსი ქალი, მკერდზე ვარდების თაიგულით, მიდიოდა და ძროხას მიერეკებოდა... ღირდა კა ამისათვის ასე შორს მოგზაურობა?.. შეადარეთ ამ მხრივ „რუსი მოგზაურის წერილები“ ფონ-ვიზინის „წერილებს დიდკაცისადმი“, წერილებს, რომლებიც უფრო ადრეა დაწერილი. რა დიდი განსხვავებაა! კარამზინმა ინახულა გერმანიის მრავალი განთქმული ადამიანი, და რა შეიტყო მან ამ ადამიანებთან საუბრიდან? ის, რომ ისინი ყველანი კეთილი ადამიანები არიან, რომლებიც მშვიდი სინდისითა და სულის სინათლით ტკბებიან. და რა მოკრძალებული, რა ჩვეულებრივია მისი საუბრები ამ ადამიანებთან! საფრანგეთში იგი ამ შემთხვევაში, გარკვეული მიზეზის გამო, უფრო ბედნიერი

იყო: გაიხსენეთ რუსი სკვითის შეხვედრა ფრანგ პლატონთან⁶⁶. რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ იგი სათანადოდ არ მოემზადა სამოგზაუროდ, საფუძვლიანად არ იყო განსწავლული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი „რუსი მოგზაურის წერილების“ არარაობა უფრო მეტად მისი პირადი ხასიათისაგან წარმოსდგება, ვიდრე მცირე ცოდნისაგან: იგი არც თუ მთლად კარგად იცნობდა რუსეთის გონებრივ საჭიროებებს. მის ლექსებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი: ისინი ისევ ის ფრაზების, ოღონდ რითმებით. ამ ლექსებში კარამზინი, ისევე როგორც ყველგან, ენის გარდაქმნელა და სრულიადაც არა პოეტი.

აი კარამზინის თხზულებათა ნაკლოვანებანი, აი მიზეზი იმისა, რომ იგი ასე მალე დაავიწყეს, რომ მან კინაღამ უფრო მეტხანს იცოცხლა, ვიდრე მისმა სახელმა. სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ მისი თხზულებანი იქ, სადაც მას არ იტაცებს სენტიმენტალობა და სადაც ის მთელი თავისი არსებით ლაპარაკობს, აღსაყვება რაღაც გულითადა სითბოთი; ეს განსაკუთრებით შესამჩნევია იმ ადგილებში, სადაც იგი რუსეთზე ლაპარაკობს. დიდა, მას უყვარდა სიკეთე, უყვარდა სამშობლო, ემსახურებოდა მას რამდენადაც შეეძლო. მისი სახელი უკვდავია, მაგრამ მისი თხზულებანი, გარდა „ისტორიისა“, მოკვდნენ, და ისინი ვეღარ გაცოცხლდებიან, მიუხედავად ბატონების ივანჩინ-პისარევისა და ორესტ სომოვის მსგავს ადამიანთა ყოველგვარი წამოძახილისა!..

„რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ კარამზინის ყველაზე მნიშვნელოვანი ღვაწლია; ამ წიგნში ჰპოვა მან სრული გამოხატულება მთელი თავისი ღირსება-ნაკლოვანებებით. განზრახვა არა მქვს ვამსჯელო ამ ნაწარმოების მეცნიერულ ღირებულებაზე, ვინაიდან, ამკარად ვაღიარებ, ამას მე სრულიებითაც ვერ შევძლებდი. ჩემი აზრი (არც თუ ახალი) იქნება აზრი მოყვარულისა და არა მცოდნისა. თუ წარმოვადგენთ ყველაფერს, რაც სისტემატური ისტორიისათვის კარამზინამდე გაკეთდა, არ შეიძლება მისი შრომა უზარმაზარ ღვაწლად არ მივიჩნიოთ. ამ ნაშრომის მთავარი ნაკ-

ლია მისი შეხედულება საგნებსა და მოვლენებზე, შეხედულება, რომელიც ხშირად ბავშვურია და, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს ვაჟკაცური არ არის; მისი ორატორული აურზაური და ის უადგილო სურვილი, რომ დაარიგოს, ჭკუა ასწავლოს იქ, სადაც ფაქტები თვითონვე ლაპარაკობენ თავის თავზე; მისი დიდი მიდრეკილება თხრობის გამირებისადმი, რაც პატივსა სდებს ავტორის გულს, მაგრამ არა მის გონებას. მისა მთავარი ღირსებაა მიმზიდველი თხრობა და მოვლენების ოსტატური გადმოცემა, ხშირად კიდევ—ხასიათების მხატვრული ასახვა, ხოლო ყველაზე მეტად—ენა, რომელშიაც კარამზინი აქ გადაჭრით გამარჯვებულია. ამ უკანასკნელი მომენტის მხრივ თუ ვიმსჯელებთ, ჩვენშია დღემდეც კი ამგვარი რამ ჯერ არ დაწერილა. „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“ კარამზინის ენა უპირატესად რუსულა ენაა; მას შეიძლება მხოლოდ ლექსებში გვერდით დავუყენოთ პუშკინის „ბორის გოდუნოვი“. ეს სრულებითაც არ არის ის, რასაც მის მცირე თხზულებათა ენა წარმოადგენს; ვინაიდან აქ ავტორი საზრდოობდა მშობლიური წყაროებით, იგი გაჟღენთილია ისტორიული ძეგლების სულისკვეთებით. აქ მის ენას, გარდა პირველი ოთხი ტომისა, სადაც მეტწილად მარტოოდენ რიტორიკული ხმაურია, მაგრამ სადაც ენა მაინც საოცრად დამუშავებულია, მედიდური, ზვიადი და ენერგიული ხასიათი აქვს, და ხშირად ჭეშმარიტ მჭევრმეტყველებად იქცევა ხოლმე. ერთი სატყვიტ, ერთი ჩვენი კრიტიკოსის გამოთქმა რომ ვხმაროთ, „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში“ ჩვენს ენას ისეთი ძეგლი აქვს აღმართული, რომელზეც დრო თავის ცელს შეამსხვრევს“. ვიმეორებ: კარამზინის სახელი უკვდავია, მაგრამ მისი თხზულებანი, გარდა „ისტორიისა“, უკვე მოკვდნენ და არასოდეს აღარ გაცოცხლდებიან!..

თითქმის კარამზინთან ერთდროულად გამოვიდა ლიტერატურულ სარბიელზე დმიტრიევიც (ი. ი.). იგი სალექსო ენის ერთგვარი გარდამქმნელი აყო, და მისი თხზულებანი, ყუკოვსკისა და ბატიუშკოვის გამოსვლამდე, მართებულად

ითვლებოდნენ სანიმუშო თხზულებებად. თუმცა, მის პოეტურ ნიჭში ოდნავი ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება. მისი ტალანტის მთავარი ელემენტია მახვილგონიერება, ამიტომ „სხვათა ლაუბობა“ მისი საუკეთესო ნაწარმოებია. მისი იგავ-არაკები საუცხოოა; ამ იგავ-არაკებს აკლია მხოლოდ ხალხურობა, რომ ისინი სრულყოფილი იყოს. ხოლო ზღაპრებში დემიტრიევს მოქიშპე არა ჰყოლია. ამას გარდა, მისი ტალანტი ზოგჯერ ლირიზმის სიმალლეზე აღიოდა, რასაც ადასტურებს მისი მშვენიერი ნაწარმოები „ერმაკო“ და განსაკუთრებით თარგმანი, მიბაძვა თუ გადმოკეთება (უწოდეთ როგორც გენებოთ) გოეთეს იმ ნაწარმოებისა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით: „ფიქრები ჭექა-ქუხილის გამო“...

კრილოვმა ჩვენში იგავ-არაკი სრულყოფის *nec plus ultra*-მდე აიყვანა. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ეს არის გენიალური რუსი პოეტი, რომ იგი თავის ყველა მოქიშპეზე განუზომელად უფრო მაღლა დგას? ვფიქრობ, ამაში არავის ეჭვი არ ეპარება. მხოლოდ შევნიშნავ, თუმცა ამ მხრივ მე კი არა ვარ პირველი, რომ იგავ-არაკს იმიტომ ხვდა რუსეთში ესოდენ დიდი წარმატება, რომ იგი გაჩნდა არა შემთხვევით, არამედ შედეგად ჩვენი ხალხური სულისკვეთებისა, რომელსაც საშინლად უყვარს იგავები და სხარტი თქმები. აი ყველაზე უფრო დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ ლიტერატურა აუცილებლად უნდა იყოს ხალხური, თუ მას სურს იყოს მტკიცე და მარადიული. გაიხსენეთ, რამდენჯერ სცადეს უცხოელებმა კრილოვის გადათარგმნა, მაგრამ მარცხი განიცადეს. მაშასადამე, სასტიკად ცდებიან ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ მხოლოდ უცხოელებისადმი მონური მიბაძვით შეიძლება მიიპყრო მათი ყურადღება.

ოზეროვს ჩვენში რუსული თეატრის გარდამქმნელადაც სთვლიან და შემქმნელადაც. რასაკვირველია, იგი არც ერთია და არც მეორე, ვინაიდან რუსული თეატრი ჩვენი კეთილი პატრიოტების აღგზნებულ გონების ოცნებაა. მართალია ის, რომ ოზეროვი ჩვენი პირველი დრამატიული მწერალი იყო, დაჯილდოებული ჭეშმარიტო, თუმცა არც თუ დიდი ნიჭით.

მან კი არ შეჰქმნა თეატრი, არამედ ჩვენში შემოიღო ფრანგული თეატრი, ესე იგი პირველი ალაპარაკდა ფრანგ მელპომენას ჭეშმარიტი ენით. თუმცა, იგი არ იყო დრამატიკოსი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით: იგი არ იცნობდა ადამიანს. მოიყვანეთ შექსპირის ან შილერის დრამის წარმოდგენაზე ზაყურებელი, რომელსაც არავითარი ცოდნა, არავითარი განათლება არა აქვს, მაგრამ ბუნებით ჰკვიანია და ლამაზის შთაბეჭდილებათა მიღება შეუძლია: მან ისტორია არ აცის, მაგრამ კარგად გაიგებს, თუ რაშია საქმე; იგი ვერ გაუგებს ისტორიულ პირებს, მაგრამ მშვენივრად გაუგებს ადამიანურ სახეებს. ხოლო როდესაც იგი ოზეროვის ტრაგედიას ნახავს, პირდაპირ ვერაფერს ვერ გაიგებს და ვერ ჩაწვდება. შესაძლებელია, ეს იყოს საზოგადო ნაკლა ეგრეთწოდებული კლასიკური ტრაგედიისა. მაგრამ ოზეროვს სხვა ნაკლოვანებანიც აქვს, რომლებიც მისი პირადი ხასიათიდან წარმოსდგებოდნენ. დაჯილდოებულს სათუთი, მაგრამ არა ღრმა, ფიცხი, მაგრამ არა ენერგიული ბუნებით, მას არ შესწევდა უნარა ძლიერ ვნებების დახატვისა. აი რატომ არიან მისი ქალები მამაკაცებზე უფრო საინტერესონა; აი რატომ არის, რომ მისი ბოროტმოქმენი, არც მეტი არც ნაკლები, საზოგადო, გვარეობით მანკიერებათა განსახიერებას წარმოადგენენ; აი რატომ აქცია მან ფინგალი არკადიელ მწყემსად და აიძულა იგი შოინოას წინაშე ელაპარაკნა მადრიგალებით, რომლებიც უფრო მეტად ვინმე ერასტ ჩერტოპოლოხოვს დაშვენდებოდა, ვიდრე ოდენის მრისხანე თაყვანისმცემელს. უეჭველია, მისი საუბრეთესო პიესაა „ოდიპო“, ხოლო ყველაზე ცუდი — „დიმიტრი დონსკოი“, ეს გაბერილი ორატორული სიტყვა, დიალოგებანდ დალაგებული. ახლა არავინ შეუდგება ოზეროვის პოეტური ნიჭის უარყოფას, მაგრამ ამასთანავე საეჭვოა, რომ იგი ვინმემ წაიკითხოს და მით უმეტეს მისგან აღტაცებაში მოვიდეს.

ეუკოვსკის გამოჩენამ რუსეთი განაცვიფრა, და ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. იგი ჩვენი სამშობლოს კოლუმბი იყო: მან მიუთითა ჩვენს სამშობლოს გერმანულ და ინგლისურ

ლიტერატურაზე, რომელთა არსებობა რუსეთმა ექვითაც კი არ იცოდა. გარდა ამისა, მან სავსებით გარდაქმნა სალექსო ენა, პროზაში კი კარამზინზე შორს წავიდა*. აი მისი მთავარი დამსახურება. მისი საკუთარი თხზულებანი: ბევრი არაა; მისი ნაშრომები ან თარგმანია, ან გადმოკეთებულია, ანდა, უცხოურისადმი მიბაძვია. მისი ენა თამაში, ენერგიულია. თუმცა ყოველთვის შეწყობილი არაა გრძნობასთან. ცალმხრივი ოცნება, რაც, როგორც ამბობენ, მისი ცხოვრების ვითარების შედეგი იყო,—აი ეუკოვსკის თხზულებათა დახასიათება⁹⁹. ცდებიან ისინი, რომლებსაც იგი გერმანელებისა და ინგლისელების მიმბაძველად მიაჩნიათ: იგი არ დაიწყებდა სხვაგვარად წერას მაშინაც კი, ისინი რომ არ სცნობოდნენ, თუ კი მოისურვებდა თავისი თავის ერთგული ყოფილიყო. იგი არ იყო XIX საუკუნის შვილი, არამედ იყო, ასე ვთქვათ, პროზელისტი. ამას ისიც მიუმატეთ, რომ მისი ქმნილებანი, იქნებ, ზართლაც მისი ცხოვრების ვითარებიდან წარმოსდგებოდნენ, და თქვენ გაიგებთ, თუ რატომ არ არის მათში მსოფლიო იდეები, საკაცობრიო იდეები, რატომ არის, რომ მის ნაწერებში ხშირად უმშვენიერეს ფორმებში თითქოს იმალება კარამზინის იდეები (მაგალითად, „ჩემო მეგობარო, მფარველო, ჩემო ანგელოზო!“ და ა. შ.); რატომ არის, რომ მის საუკეთესო ქმნილებებში (როგორც, მაგალითად, ლექსში „მომღერალი რუს მხედართა ბანაკში“) სრულიად რიტორიკული ადგილება გვხვდება. იგი ჩაკეტილი იყო თავის თავში, და აა ეს არის მიზეზი მისი ცალმხრივობისა, რაც მისი უდიდესი ორიგინალობაა. თავისი თარგმანების სიმრავლით ეუკოვსკი ჩვენს ლიტერატურას მიეკუთვნება ისევე, როგორც ფოსი ან ავგ. შლეგელი გერმანულ ლიტერატურას. მცოდნე პირები ამტკიცებენ, რომ იგი კი არ თარგმნიდა, არამედ რუსულ სიტყვიერებაში აწნავდა შილერებს, ბაჩრონებისა და სხვათა ქმნილებებს. ამაში დაუქვების მიზეზი, ვგონებ, არ არსებობს. ერთი სიტყვით, ეუკოვსკი არაჩვეულებრივი ენერგიული ნი-

* აქ ვგულისხმობ კარამზინის მცირე თხზულებებს.

ქის პატრონი პოეტია, პოეტი, რომელმაც რუსულ ლიტერატურას ფასდაუღებელი ამაგი დასდო, პოეტი, რომელსაც არასოდეს დაივიწყებენ და მუდამ წაიკითხავენ. მაგრამ, ამასთან ერთად, იგი არც ისეთი პოეტია, რომლისთვისაც შეიძლება ბოდა საკუთრივ რუსი პოეტი გვეწოდებინა, რომლის სახელიც შეიძლება ბოდა გამოგვეცხადებინა ევროპის ტურნირზე, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან სახალხო სახელებითა და დიდებით.

ბევრი რამ, რაც ყუკოვსკის გაზო ითქვა, შეიძლება ბატიუშკოვზეც ვთქვათ. ეს უკანასკნელი გადაჭრით იდგა ორი საუკუნის მიჯნაზე; ხან მოხიბლული იყო წარსულით და ხანაც ეზიზღებოდა ის; არა სცნო აწმყო და არც აწმყომ სცნო იგი. ის გენიალური ადამიანი არ იყო, მაგრამ დაჯილდოებული იყო დიდი ნიჭით. ძალიან დასანანია, რომ იგი გერმანულ ლიტერატურას არ იცნობდა: მას ცოტა რამ აკლდა სრული ლიტერატურული მოქცევისათვის. წაიკითხეთ მისი სტატია რელიგიაზე დამყარებული მორალის შესახებ, და თქვენ გაგებთ ამ სულის კმუნვას და მის მისწრაფებას უსასრულოსადმი ავზორცობით განცხრომის შემდეგ, მისწრაფებას, რომლითაც აღსავსეა მისი ჰარმონიული ქმნილებანი. იგი სწერდა პოეტის ცხოვრებისა და შთაბეჭდილებების შესახებ, სადაც ბავშვურ აზრთა შორის აქა-იქ ნაპერწკალივით გაიღვებენ ხოლმე თითქოს ჩვენი დროის აზრები, და მაშინვე სწერდა რაღაც მსუბუქ პოეზიაზე, თითქოსდა მძიმე პოეზიაც ყოფილიყოს. განა მართალი არ არის, რომ იგი არც ერთ და არც მეორე საუკუნეს არ ეკუთვნოდა მთლიანად? ბატიუშკოვი, ყუკოვსკისთან ერთად, ლექსის ენის გარდამქმნელი იყო, ე. ი. სუფთა, ჰარმონიული ენით სწერდა. მისი პროზაც, აგრეთვე, სჯობს კარამზინის პატარა პროზაულ თხზულებათა ენას. თავისი ნიჭით ბატიუშკოვი ჩვენს მეორეხარისხოვან მწერლებს მიეკუთვნება და, ჩემი აზრით, ყუკოვსკიზე დაბლა დგას; ხოლო პუშკინთან მის გატოლებაზე ფიქრიც კი სასაცოლოა. ჩვენი სიტყვიერების მცოდნეთა მიერ ყუკოვსკისა, ბატიუშკოვისა და პუშკინისაგან შედგენილი ტრიუმვირატი შეიძლება ბოლოდ მხოლოდ ოციან წლებში ერწმუნებინათ.

მოსახსენებელი დამრჩა კიდევ მერზლიაკოვი, და ამით დავამთავრებ ჩვენი სიტყვიერების მთელ კარამზინის პერიოდს, დავამთავრებ ამ პერიოდის ყველა სახელგანთქმული პირის, მთელი მისი არისტოკრატიის ჩამოთვლას; დარჩებიან პლებეები, რომლებზეც სათქმელი ბევრა არაფერია, თუ არა მხოლოდ ის, რაც ჩვენი სახელმძღვანელო ავტორიტეტების უსაფუძვლობას დაასაბუთებს. მერზლიაკოვი არაჩვეულებრივი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო და თავისი დროის სულის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გულისამაჩუყებელ მსხვერპლს წარმოადგენს. იგი ასწავლიდა მშვენიერების თეორიას და, იმავე დროს, ეს თეორია მისთვის გამოუცნობელ გამოცანად რჩებოდა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე; იგი ჩვენში კრიტიკის მისნად ითვლებოდა და არ იცოდა, რას ემყარება კრიტიკა; დასასრულ, იგი მთელ თავის სიცოცხლეში ცდებოდა თავისი ნიჭის შესახებ, ვინაიდან მან დასწერა რამდენიმე უკვდავი სიმღერა, მაგრამ იმავე დროს დასწერა მრავალი ოდაც, რომლებშიაც ალაგ-ალაგ გაიღვებებს ხოლმე ნაპერწკალი მძლავრი ნიჭისა, რაც ვერ მოჰკლა სქოლასტიკამ, და რომლებშიაც ყოველივე დანარჩენი 'შიშველი რიტორიკაა. მიუხედავად ამისა, ვიმეორებ: ეს იყო მძლავრი, ენერგიული ნიჭის ადამიანი. რა ღრმა გრძნობა, რა განუზომელი სევდაა მის სიმღერებში! რა ცხოვლად თანაუგრძნობდა იგი ამ სიმღერებში რუს ხალხს და რა ქეშმარიტად გადმოსცა მათს პოეტურ ბეგრებში ამ ხალხის ცხოვრების ლირიკული მხარე! ეს დელევიგის სიმღერები როდია, ეს ხალხურ ყაიდაზე აწყობილი ნაყალბევი როდია, არა, ეს არის ცოცხალი, ბუნებრივი გადაშლა გრძნობისა, სადაც ყველაფერი ხალასი და ბუნებრივია. ხომ მართალია, რომ მისი რომელიმე სიმღერის წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ თქვენ უნებურად მზად ხართ შესძახოთ:

აჰ! საყვარელი სიმღერა იყო:

თუმც სევდის ჰანგით ვილაგებოდი,

მაინც ვისურვებ ვისმინო მუღამ,

მე მას არასდროს გავმორდებოდი! ¹³

და აი ეს ადამიანი, რომელიც იცნობდა გერმანულ ეხასა და ლიტერატურას, ეს ადამიანი პოეტური სულით და ღრმა გრძნობით, სწერდა საზეიმო ოდებს, სთარგმნა ტასო, კათედრიდან ლაპარაკობდა, რომ მხოლოდ გერმანელთა სასწაულთმოქმედ გენიას უყვარს სცენაზე სახრჩობელების აღმართვა; ეს ადამიანი პოულობდა გენიას სუმაროკოვში და გატაცებული, მოხიბლული იყო ფრანგების ყალბი და ფერუმარულწასმული პოეზიით მაშინ, როდესაც გოეთესა და შილერს კითხულობდა!.. იგი დაბადებული იყო პოეზიის პრაქტიკოსად, ბედმა კი იგი თეორეტიკოსი გახადა. მგზნებარე გრძნობა აზიდავდა მას სიმღერებისაკენ, სისტემაში კი აიძულა ოდები ეწერა და ტასო ეთარგმნა!..

ახლა ვნანოთ ნიჭით ან ავტორიტეტით შესანიშნავი სხვა ლიტერატორები კარამზინის პერიოდისა.

კაპნისტი საში მეფობის პერიოდს მიეკუთვნება. ოდესღაც მას არაჩვეულებრივად ნიჭიერი პოეტის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ბ-ნი პლეტნევი კიდევ ამტკიცებდა სადღაც და ოდესღაც, რომ კაპნისტს რაღაც ისეთი რამ აქვს, რაც თითქოს ლამარტინს აკლიაო: *le bon vieux temps!*⁵⁴ ახლა კაპნისტი სავსებით დავიწყებულია, ალბათ იმიტომ, რომ თავის ლექსებში სტიროდა თანახმად წესიერი ხრიისა, ხოლო ყველაზე უფრო იმიტომ, რომ ნიჭის ოდნავ შესამჩნევ ნაპერწკლებს კიდევ არ შეუძლია იხსნას მწერალი დავიწყების ყოვლისშთანმთქმელი ტალღებისაგან. მან დიდი ხმაური გაჰმოიწვია თავისი „ცილით“, მაგრამ ეს სახელგანთქმული „ცილი“, არც მეტი არც ნაკლები, თავისი დროისთვისაც კი ბარბაროსული ნიჭით დაწერილი ფარსია⁵⁵.

გნვდიჩი და მილონოვი ჭეშმარიტი პოეტები იყვნენ. თუ ახლა მათ ნაკლებად აფასებენ, ეს იმიტომ, რომ ისინი მეტისმეტად ადრე დაიბადნენ.

ბ-ნი ვოეიკოვი (ალექსანდრე თევდორევი-ძე, როგორც ეს აღნაშნულია ბ-ნ გრეჩის ლიტერატურულ ადრეს-კალენდარში, რომელიც ცნობილია „რუსული ლიტერატურის ისტო-

რიის“ სახელწოდებით) ჩვენს სიტყვიერებაში ოდესღაც შესანიშნავის როლს ასრულებდა. მან სთარგმნა დელილი (რომელსაც სთვლიდა არა მხოლოდ პოეტად, არამედ ღიდ პოეტადაც); იგი თვითონ აპირებდა დიდაქტიკური პოემის დაწერას (მაშინ ყველას უეჭველად სჯეროდა დიდაქტიკური პოეზიის შესაძლებლობა); იგი სთარგმნიდა (როგორც შეეძლო) ძველ მწერლებს; შემდეგ ხელი მოჰკიდა სხვადასხვა ჟურნალებს გამოცემას, რომლებშიაც დაუცხრომელი გულმოდგინებით ააშკარაებდა განთქმულ მეგობრებს, ბატონებს გრეჩსა და ბულგარინს (მაღალი მისია კია, თქვენმა მწემ!); ახლა, სიბერის ეამს, მორიგეობით, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ნომერგამოშვებით ლანძღავს ბარონ ბრამბეუსს და მუხლს იყრის მის წინაშე, ხოლო უფრო ხშირად ქება-დიდებას ასხამს ალექსანდრე ფილიპეს-დე სმირდინს იმიტომ, რომ იგი მეტ ფასს უხდის აეტორებს; 1831 წლის „მოლვიდან“ იღებს და თავის ჟურნალში ბეჭდავს ძველ ლექსებსა და სტატიებს. რა გაეწყობა! დიაღიდან სასაცილომდე მხოლოდ ერთი ნაბიჯიაო, სთქვა ნაპოლეონმა!..

თავადი ვიაზემსკი, რუსი კარლ ნოდინე, ლექსად და პროზად სწერდა ყველაფერზე და ყოველივეზე. მისი კრიტიკული სტატიები (ე. ი. სხვადასხვა გამოცემათა წინასიტყვაობანი) უჩვეულო მოვლენა იყო თავის დროზე. მის ურიცხვ ლექსთა შორის მრავალი განირჩევა მახვილგონიერების ელვარებით და ბუნებრიობითა და ორიგინალობით, ზოგიერთი კი—გრძნობითაც; ბევრი კიდევ—ნაძალადევიცაა, როგორც მაგალითად, „სხვა რამ!“ და სხვ. მაგრამ, საზოგადოდ რომ ვთქვათ, თავადი ვიაზემსკი ჩვენი შესანიშნავი პოეტებისა და ლიტერატორების რიცხვს მიეკუთვნება.

(შემდეგ ფურცლამდე.)

ლიტერატურული ოცნებანი

(გაგრძელება)

იყო დრო!..

ხ ა ლ ხ უ რ ი თ ქ მ უ ლ ე ბ ა

წინა სტატიისში მე განვიხილე ჩვენი სიტყვიერების კარამზინის პერიოდა, რომელიც მთელი მეოთხედი საუკუნე გრძელდებოდა. სიტყვიერების მთელი პერიოდი, მთელი მეოთხედი საუკუნე აღბეჭდილია ერთი ტალანტის, ერთი ადამიანის გავლენით, ხოლო მეოთხედი საუკუნე ხომ ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავს ისეთი ლიტერატურისათვის, რომელსაც თავისი მეორე საუკუნის დასაწყისის მიღწევამდე ხუთი წელიწადი კიდევ უკლია!* და რა წარმოშვა დიადი და მტკიცე ამ პერიოდმა? სად არიან ახლა გენიოსები; რომლებითაც მას ეგრე მოსწონდა თავი და ამაყობდა? ყველა მათგან უსათუოდ მხოლოდ ერთია დიადი და უკვდავი, და იმ ერთმაც არ მოუხადა ხარკი კარამზინს, ვინც თავის ჩვეულებრივ ხარკს ისეთი ადამიანებისგანაც კი იღებდა ხოლმე, რომლებიც ნიჭითაც და განათლებითაც მასზე მაღლა იდგნენ: მე ვლაპარაკობ კრილოვზე. ვიმეორებ: რა გაკეთდა ამ პერიოდში უკვდავებისა-

* ჩვენი ლიტერატურა, ყოველ ექვს გარეშეა, დაიწყო 1739 წელს, როდესაც ლომონოსოვმა საზღვარგარედიდან გამოგზავნა თავისი პირველი ოდა „ხოტინის აღების გამო“ განა საჭიროა გავიმეოროთ, რომ არა კანტეშირით და არა ტრედიაკოვსკით, ხოლო, მით უმეტეს, არა სიმეონ პოლოცკით დაიწყო ჩვენი ლიტერატურა? განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ „იგორის ლაშქრობის ამბავს“, „დონის ბრძოლის ამბავს“, მკვერმეტყველ „ბასიანეს ეპისტოლეს ივანე III-სადმი“ და სხვა ისტორიულ ძეგლებს, ხალხურ სიმღერებსა და სქოლასტიკურ სასულიერო მკვერმეტყველებას, — სწორედ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ ჩვენს სიტყვიერებასთან, როგორც წარღვნის წინაღობინდელი ლიტერატურის ძეგლებს, თუ მათ აღმოაჩენდნენ, სანსკრიტულ, ბერძნულ ან ლათინურ ლიტერატურასთან? ასეთი კეშმარტებანი საჭიროა ვუმტკიცოთ მხოლოდ ბატონებს გრეჩსა და პლასკინს, რომლებთანაც სამეცნიერო პაექრობის გამართვო განზრახული არა მაქვს.

თვის? ერთმა ჩვენ ნაწილობრივ და თანაც ცალმხრივად გავაცნო გერმანული და ინგლისური ლიტერატურა, მეორემ — ფრანგული თეატრი, მესამემ — XVII საუკუნის ფრანგული კრიტიკა, მეოთხემ... მაგრამ ლიტერატურა სადღაა? ნუ დაეძებთ მას: თქვენი შრომა ამოა იქნება; გადარგული ყვავილები მალე ჭკნება: ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მე ვთქვი, რომ ამ პერიოდის დამდეგს ჩვენში პირველად დაიბადა აზრი ლიტერატურაზე; ამის შედეგად გაჩნდნენ ჩვენში ჟურნალებიც. მაგრამ რას წარმოადგენდნენ ეს ჟურნალები? უწყინარ დროსტარებას, უსაქმობისგან გაჩენილ საქმეს, ზოგჯერ კი ფულის შოვნის საშუალებასაც. არც ერთი მათგანი თვალყურს არ ადევნებდა განათლების მიზდინარეობას, არც ერთი არ გადასცემდა ხოლმე თავის თანამემამულეებს კაცობრიობის წარმატებებს თვათგაუმჯობესების საარბიელზე. მახსოვს, რომელიღაც გულჩვილ ჟურნალში, მგონი 1813 წელს, დაიბეჭდა, რომ ინგლისში გამოჩნდა ახალი პოეტი ბირონი, რომელიც რაღაც რომანტიკულ ყაიდაზე სწერს და განსაკუთრებით სახელი გაითქვა თავისი პოემით „შილდ ჰაროლდიო“. ესაა და ეს. რასაკვირველია, მაშინ არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ნაწილობრივ ევროპაშიც ლიტერატურას უტკეროდნენ არა გონების სუფთა შუშით, არამედ ფრანგული კლასიციზმის მქრქალი მინით; მაგრამ მოძრაობა იქ უკვე დაწყებული იყო, და თვითონ ფრანგები, რესტავრაციით დაშოშმინებულნი, წინანდელთან შედარებით ბევრად უფრო დაჰკვიანდნენ და სრულიად გარდამიქმნენ კიდევ. იმავე დროს ჩვენი ლიტერატურული მეთვალყურენი სთვლემდნენ, და მხოლოდ მაშინ გაიღვიძეს, როდესაც მტერი მათს სახლებში შემოიჭრა და იქ თვითნებური ბატონ-პატრონობა დაიწყო; მხოლოდ მაშინ აღრიალდნენ ისინი: გვიშველეთ, გვკლავენ, ყაჩაღობენ, რომანტიზმი გაჩნდაო!..

ჩვენი სიტყვიერების კარამჭინის პერიოდს მოჰყვა პუშკინის პერიოდი, რომელიც თითქმის სრული ათი წელიწადი გაგრძელდა. ვამბობ, პუშკინის-თქო, რადგან ვინ არ დამეთანხმება, რომ პუშკინი იყო მეთაური ამ ათწლეულისა, რომ მაშინ

ყველაფერი მისგან გამოდიოდა და მისკენ მიდიოდა. თუმცაღა, მე აქ სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ პუშკინი თავისი დროისათვის საწესებით იგივე იყო, რაც კარამზინი თავისი დროისათვის. მარტოოდენ ის გარემოება, რომ მისი მოღვაწეობა იყო შეუცნობელი მოღვაწეობა მხატვრისა და არა პრაქტიკული და წინასწარ განზრახული მოღვაწეობა მწერლისა, დიდ განსხვავებას ჰქმნის პუშკინსა და კარამზინს შორის. პუშკინი გაბატონებული იყო მარტოოდენ თავისი ტალანტის ძალით და იმით, რომ იგი თავისი საუკუნის შვილი იყო; ხოლო კარამზინის გაბატონებული მდგომარეობა უკანასკნელ ხანებში ემყარებოდა მისი ავტორიტეტისადმი ბრმა პატივისცემას. პუშკინი არ ამბობდა, რომ პოეზია არის ეს ან ეს, ხოლო მეცნიერება ის ან ისო. არა: მან თავისი ქმნილებებით მოგვცა საზომი პირველისათვის და ერთგვარად დაგვანახვა თანამედროვე მნიშვნელობა მეორისა. მაშინ, ესე იგი ოციან წლებში (1817 — 1824), ჩვენში ყრუდ გაისმა ევროპაში მომხდარი გონებრივი გადატრიალების გამოძახილი; მაშინ, თუმცა ჯერ კიდევ გაუბედავად და ბუნდოვნად, დაიწყეს ლაპარაკი, რომ თითქოს გახელებული ველური შექსპირი განუზომელად უფრო მალლა დგას, ვიდრე ზიზილ-პიპილებიანი რასინიო; რომ შლეგელმა თითქოს მეტი იცის ხელოვნებაზე, ვიდრე ლაპარკმაო; რომ გერმანული ლიტერატურა არა თუ არ ჩამოუვარდება ფრანგულს, არამედ გაცილებით უფრო მალლაც კი დგასო; რომ პატივცემულმა ბატონებმა ბუალომ, ბატემ, ლაპარკმა და მარმონტელმა საშინელი ცილი დასწამეს ხელოვნებას, რადგან თვითონ ნაკლებად ერკვეოდნენ მასშიო. რასაკვირველია, ახლა ამაში ეჭვი არავის ეპარება, და ამგვარ ქვემარიტებათა მტკიცება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საყოველთაო დაცინვა გამოგვეწვია. მაგრამ მაშინ, მერწმუნეთ, სიცილის გუნებაზე არავინ იყო; რადგან მაშინ ევროპაშიც კი ამგვარი უღმერთო აზრების გამოთქმისათვის ინკვიზიტორული აუტოდაფე მოელოდათ. მაშ რასა ჰბედავდნენ რუსეთში ადამიანები, რომლებიც თამამად ამტკიცებდნენ, რომ სუმაროკოვი

პოეტი არ არის, რომ ხერასკოვი ცოტა მძიმეაო და სხვა? ამით ნათელია, რომ პუშკინის მეტისმეტი გავლენა იქიდან წარმოსდგებოდა, რომ რუსეთის მიმართ იგი თავისი დროის შვილი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რომ იგი თავისი სამშობლოს მხარდასახარ შიაბიჯებდა, მისი გონებრივი ცხოვრების განვითარების წარმომადგენელი იყო; მაშასადამე, მისი გაბატონებული მდგომარეობა კანონიერი იყო. კარამზინი, პირიქით, როგორც ზემოთ დავინახეთ, მეცხრამეტე საუკუნეში მეთვრამეტე საუკუნის შვილი იყო და, ერთგვარი აზრით, ვერც კი გამოხატა იმ სრული სახით, რაღვან თავისი იდეებით ამ საუკუნემდეც კი ვერ ამაღლდა. მაშასადამე, მისი გავლენა კანონიერი თუ იყო, მხოლოდ ეუკოვსკისა და ბატიუშკოვის გამოჩენამდე, ამათგან მოკიდებული კი მისი მძლავრი გავლენა მხოლოდ აფერხებდა ჩვენი სიტყვიერების წარმატებებს. პუშკინის გამოჩენა გრძნობის ანშლელი სანახაობა იყო: ჭაბუკი პოეტი, დალოცვილი მარონცხებული მოხუცის დერჟავინის მიერ, რომელიც სამარის პირად იდგა და მზად ყოო თავისი დაფნითმოსილი თავი კუბოში ჩაესვენებინა; პოეტი-ვაჟაკი, ვინაც თავისი ხელი გაუწოდა მას მთელი საუკუნის უძირო უფსკრულზე, საუკუნისა, რომელმაც ზნეობრივად გაჰყო ორი თაობა; დაბოლოს, პოეტი, რომელიც მას გვერდით აწოლდგა და მასთან ერთად შეჰქმნა ორმაგი, შარავანდელით მოსალი თანავარსკვლავედი ჩვენი ლიტერატურის უდაბურ ჰორიზონტზე!..“

კლასიციზმი და რომანტიზმი—აი ორი სიტყვა, რომლებმაც ჩვენი სიტყვიერების პუშკინის პერიოდში გაიხმიანეს; აი ორი სიტყვა, რომლებზეც დაწერა წიგნები, მსჯელობანი, საეურნალო წერილები და ლექსებიც კი; ორი სიტყვა, რომლებიც პირზე გვეკერა დაძინებისა და გაღვიძების დროს, რომელთა გამო საჰქედრო-სასიცოცხლოდ ვიბრძოდით, ატირებამდე ვდავობდით კლასებშიაც და სასტუმრო ოთახებშიაც. მოედნებზეც და ჭუჩებშიაც. ახლა ეს ორი სიტყვა რაღაც გაცვეთილ და სასაცილო სიტყვებად იქცა; რაღაც უცნაურობ. ბ. გ. ბელინსკი

ბად და უხიაკობად გვეჩვენება, როცა მათ ნაბეჭდ წიგნში ეხვდებით ან საუბარში ვისმენტ. მერე—და, განა დიდი ხანია, რაც ეს მაშინ დამთავრდა და ეს ახლა დაიწყო? როგორ არ იტყვი ამის შემდეგ, რომ ყველაფერი ქარის ფრთებით მიჰქრის წინ? მხოლოდ რომელიღაც დაღისტანში თუ შეიძლება ჯერ კიდევ დარბაისლური მსჯელობა ამ განსვენებულ წამებულლებზე—კლასიციზმსა და რომანტიზმზე, და ჩვენს შორის ახალ ამბად გასაღება იმისა, რომ რასინი ოდნავ გიძსუყებთ გულს, რომ ენციკლოპედისტები ცოტაოდენს სტყუოდნენ, რომ შექსპირი, გოეთე და შილერი დიდი მწერლები არიან, ხოლო შლეგელი სიმართლეს ამბობდაო, და სხვა. და ეს სრულებითაც გასაკვირველი არ არის: დაღისტანი ხომ აზიაშია⁵⁷.

ვეროპაში კლასიციზმი ლიტერატურული კათოლიციზმი იყო. ამ კათოლიციზმის პაპად რომელიღაც უკანონო კონკლავმა აარჩია განსვენებული არისტოტელე, რომელსაც საამისოდ ნებართვა და თანხმობა არ მიუცია. ამ კათოლიციზმის ინკვიზიცია იყო ფრანგული კრიტიკა; მისი დიდი ინკვიზიტორები იყვნენ: ბუალო, ბატე და ლაპარაზი ძმებიტურთ; მის სათაყვანო საგნებს წარმოადგენდნენ: კორნელი, რასინი, ვოლტერი და სხვები. ნებსით თუ უნებლიეთ, ბატონმა ინკვიზიტორებმა თავის კალენდარში გადაიბირეს ძველებიც, მათ შორის კი მარადიული მოხუცი ჰომეროსიც (ვირგილიუსთან ერთად), ტასო, არიოსტი, მილტონი, რომელთაც (გარდა, შესაძლოა, ჩართულისა) არც სულათა და არც ხორციტ ბრალი არ მიუძღვით კლასიციზმში, რადგან ბუნებრივი იყვნენ თავიანთ ქმნილებებში. ასე მიდიოდა საქმეები XVIII საუკუნემდე. ბოლოს ყველაფერი გადატრიალდა: თეთრი გაშავდა, შავი კი გათეთრდა. თვალთმაქცმა, გარყვნილმა, საზიზლარმა შეთვრამეტე საუკუნემ სული განუტევა, და ზეცხრამეტე საუკუნიდან გონება და გემოვნება ახალი, უკეთესი ცხოვრებისათვის აღორძინდა⁵⁸. მსგავსად საშინელი მეტეორისა, ამ საუკუნის დამდეგს გაჩნდა ძე ბედისა, აღჭურვილი მთელი მისი საზარელი ძლიერებით, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ. თვით ბედი მოველინა ქვეყანას ნაპოლეონის სახით, იმ ნა-

პოლეონისა, რომელიც ჩვენი ფიქრთა მპყრობელი გახდა და რომელზეც ლაპარაკისას საშუალო ნიჟიც კი პოეზიის სიძალეზე აღიოდა⁵⁰. საუკუნემ გიგანტური მასშტაბი მიიღო და გოლიათური სიდიადით შეიმოსა; საფრანგეთს თავისივე თავის შერცხვა, და ლანძღვა-გინებით აღსავსე სიცილით გაიშვირა თითი წარსული დროის უბადრუკი ნაშთებისაკენ, რომლებიც ბერეზინაზე საბედისწერო გადასვლის დროსაც კი თითქოს ვერ ამჩნევდნენ დიდ გადატრიალებებს, რაც მათ თვალწინ ხდებოდა, და ხის ტოტზე შემომსხდარნი გაშეშებული ხელით იხუჭუჭებდნენ კულულებს და სანუკვარ პუდრს აყრიდნენ ზედ, მაშინ როდესაც მათ გარშემო შურისმაძიებელი ჩრდილოეთის ზამთრის ქარბუქი ბობოქრობდა, და ათასობით ეცემოდნენ შიშითა და სიცივით გაშეშებული ადამიანებო... ამრიგად, ამ დიდი ამბებით მეტისმეტად თავზარდაცემული ფრანგები უფრო დადინჯდნენ და დარბაისელნი გახდნენ, ცალ ფეხზე ხტობას თავი დაანებეს; ეს იყო მათი პირველი ნაბიჯი ჰემმარტებისაკენ. შემდეგ ფრანგებმა გაიგეს, რომ მათს მეზობლებს, მოუქნელ გერმანელებს, რომლებსაც ისინი მუდამ ესთეტიკური ულახაობის ნიმუშად აცხადებდნენ, აქვთ ლიტერატურა, ლიტერატურა, რომელიც ღირსია ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისა, და ამასთან ერთად გაიგეს, რომ მათს ზედმეტად სახელმოხვეჭილ პოეტებსა და ფილოსოფოსთ სრულებითაც არ მიუღწევიათ ჰერკულესის მიჯნამდე ადამიანის გენიის განვითარებაში. ყველამ იცის, თუ როგორ ხდებოდა ყოველივე ეს. და ამიტომ არ მინდა დიდხანს ვილაპარაკო იმაზე, რომ შატობრიანი იყო საფრანგეთის ნორჩი რომანტიზმის ნათლია, ხოლო ქალბატონი სტალი—ბებიაქალი. მხოლოდ ვიტყვი, რომ ეს რომანტიზმი სხვა არა იყო რა, თუ არა ბუნებრივობისა და, მაშასადამე, თვითმყოფობისა და ხალხურობისაკენ დაბრუნება ხელოვნებაში, უპირატესობა, რაც იდეას მიენიჭა ფორმასთან შედარებით, და დამხოპა ძველი დროის უცხო და ვიწრო ფორმებისა, რომლებიც უახლესი ხელოვნების ნაწარმოებთ სწორედ ისევე ეწყობოდნენ, როგორც შეპუდრულ პარიკს, მოქარგულ

კამწოლსა და გაპარსულ წვერს დაშენდება ბერძნული კვართი ან რომაული ტოგა. აქედან გამოდის, რომ ეს ეგრეთწოდებული რომანტიზმი ძალიან ძველი სიახლე იყო და სრულებითაც არა პირმშო XIX საუკუნისა; ეს იყო, ასე ვთქვათ, ხალხურობა ევროპის ახალი ქრისტიანული სამყაროსი⁷⁰. გერმანია ოდითვე უპირატესად რომანტიკული ქვეყანა იყო როგორც თავისი მმართველობის ფეოდალური ფორმებით, ისე თავისი გონებრივი მოღვაწეობის იდეალური მიმართულებითაც. რეფორმაციამ ამ ქვეყანაში მოჰკლა კაპიტალიზმი, და მასთან ერთად—კლასიციზმიც. იმავე რეფორმაციამ, თუმცა რამდენადმე სხვა სახით, ხელ-ფეხი გაუხსნა ინგლისსაც: შექსპირი რომანტიკოსი იყო⁷¹. ცხადია, რომანტიზმი ახალი ძოვლენა იყო მარტოოდენ საფრანგეთისათვის და კიდევ იმ სახელმწიფოებისათვის, სადაც სრულებით არ იყო ლიტერატურა, ე. ი. შვეციისა, დანიისა და სხვებისათვის. და საფრანგეთი მთელი თავისი სიმკვირცხლით დააცხრა ამ ძველ სიახლეს და თან გაიტაცა სახელმწიფოები, რომელთაც ლიტერატურა არა ჰქონდათ. ნორჩი სიტყვიერება სხვა არაფერია, თუ არა ძველი სიტყვიერების რეაქცია; და რადგან საფრანგეთში საზოგადოებრივი ცხოვრება და ლიტერატურა ხელი-ხელჩაკიდებულნი მიდიან, ამიტომ ოდნავ გასაკვირველიც არ არის, რომ მათი ახლანდელი ლიტერატურა გადაჭარბებულობით განირჩევა: რეაქციები არასოდეს ზომიერი არ არის⁷². აქლა საფრანგეთში მხოლოდ მოდის გამო ყოველ კაცს უნდა ღრმა და ენერგიული იყოს, მსგავსად რომელიმე ფერაგუსისა⁷³, რადგან წინათ ყოველ კაცს მოდის გამო უნდოდა ფუქსავატი, უღარდელი, გულუბრყვილო და არარა ყოფილიყო.

მაგრამ მაინც, უცნაური ამბავია! არასოდეს ევროპაში თავი არ უჩენია ასეთ ერთსულოვან და ძლიერ მისწრაფებას—თავი გაეთავისუფლებინათ კლასიციზმის, სქოლასტიციზმის, პედანტიზმის ან სისულელიზმის (ყველა ეს ერთი და იგივეა) ბორკილებისაგან. ბაირონმა, ჩვენი ფიქრების მეორე მპყრობელმა⁷⁴, და ვალტერ-სკოტმა თავიანთი ქმნილებებით შემუსრეს პოპისა

და ბლერის სკოლა და ინგლისს დაუბრუნეს რომანტიზმი. საფრანგეთში გამოჩნდა ვიქტორ ჰიუგო სხვა მძლავრი ნიჭის აღამიანთა ჯგუფთან ერთად, პოლონეთში—მ-უკევიჩი, იტალიაში—მანკონი, დანიაში—ელენშლეგერი, შვეციაში—ტეგნერი. ნუთუ მარტოოდენ რუსეთის წილხვედრი იყო ისე დარჩენილიყო, რომ თავისა ლიტერატურული ლუთერი არა ჰყოლოდა?

ევროპაში კლასიციზმი სხვა არა იყო რა, თუ არა ლიტერატურული კათოლიციზმი. მაშ რას წარმოადგენდა [იგი] რუსეთში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის: რუსეთში კლასიციზმი იყო, არც მეტი არც ნაკლები, ევროპის ქუხილის სუსტი გამოძახილი, რომლის ასახსნელად ზრულეზით არ არის საჭირო ინდოეთს მოგზაურობა გემ „ჯონ-ბულით“⁷². პუშკინი თავს ძალას არ ატანდა, მისი გრძნობები ყოველთვის ქეშმარიტი და გულწრფელი იყო, იგი თავისი იდეებისათვის ჰქმნიდა თავისსავე ფორმებს: აი მისი რომანტიზმი. ამ მხრივ დერჟავინიც თითქმის ისეთივე რომანტიკოსი იყო, როგორც პუშკინი. ვიმეორებ, ამის მიზეზი დერჟავინის უცოდინარობაში იმალება. ეს კაცი რომ განსწავლული ყოფილიყო, ჩვენ გვეყოლებოდა ორი ხერასკოვი, რომელთა ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელი იქნებოდა.

ამრიგად, XIX საუკუნის მესამე ათწლედი პუშკინის გავლენით აღანიშნა. რა შემძლია ვთქვა ახალი ამ აღამიანზე? გამოვტყდები: პირველად ჯერ კიდევ მაშინ ჩავიგდე თავი გაჰკირვებულ მდგომარეობაში, როდესაც რუსულ ლიტერატურაზე მსჯელობა დავიწყე; ახლაც ერთხელ კიდევ ვნანობ იმას, რომ ბუნებამ არ დამაჯილდოვა პოეტური ნიჭით, რადგან ბუნებაში არის ისეთი საგნები, რომლებზეც უბრალო პროზით ლაპარაკი ცოდვას!

რამდენადაც ნელა და გაუბედავად მიდიოდა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, კოჭლობდა კარამზინის პერიოდის, იმდენად უფრო სწრაფად და ჩქარა მიმდინარეობდა პუშკინის პერიოდი. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მხოლოდ განვლილ ათწლეულში გამოჩნდა ჩვენს ლიტერატურაში ცხოვრება, და

მერე რა ცხოვრება! მღელვარე, მჩქეფარე, ცხოველმოქმედი ცხოვრება მოქმედებაა, მოქმედება ბრძოლაა, ხოლო მაშინ სამკედრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ და ჩხუბობდნენ. ჩვენში ზოგჯერ თავს ესხმიან პოლემიკას, განსაკუთრებით საუურნალო პოლემიკას. ეს მეტად ბუნებრივია. განა შეუძლიათ გონებრივი ცხოვრებისადმი გულგრილად განწყობილ ადამიანებს გაიგონ, თუ როგორ შეიძლება კაცმა ზრდილობას ამჯობინოს ჭეშმარიტება და ამ უკანასკნელისადმი სიყვარულის გამო სიძულვილი და დევნა დაიტეხოს თავზე? ო! ისინი ვერასოდეს ვერ ჩასწვდებიან იმას, თუ რა ნეტარება და სულისა რა ავხორცობაა, რომელიმე გადამდგარ უმუნდრო გენიოსს უთხრა, რომ იგი სასაცილო და საცოდავია თავისი ბავშვური პრეტენზიით—მოიხვეჭოს დიდი სახელი, განუმარტო მას, რომ იგი თავის ლიტერატურულ მნიშვნელობას უნდა უმადლოდეს არა თავის თავს, არამედ მყვირალა ჟურნალისტს; უთხრა რომელიმე ვეტერანს, რომ იგი თავისი ავტორიტეტით სარგებლობს კრედიტით, ძველი მოგონებების, ანდა ძველი ჩვევის მიხედვით; დაუმტკიცო რომელიმე ლიტერატურულ მასწავლებელს, რომ იგი ბეცია, რომ იგი ჩამორჩა თავის საუკუნეს და რომ მან ხელახლა უნდა შეისწავლოს ყველაფერი ან-ბანით დაწყებული; უთხრა ღმერთმა უწყის საიდან გამოძტყვრალ რომელამე ვიგინდარას, რომელიმე ყალთაბანდსა და ვიდოკს⁷⁶, რომელიმე ლიტერატურულ მეწვრილმანეს, რომ იგი შეურაცხჰყოფს იმ სიტყვიერებასაც, რომლისთვისაც ხელი მოუკიდნია, და იმ კეთილ ადამიანებსაც, რომელთა კრედიტითაც სარგებლობს; რომ მან აბუჩად აიგდო ჭეშმარიტების სიწმინდეც და ცოდნის სიწმინდეც; დაასვა ამ ვიგანდარის სახელს სამარცხვინო დადი განკიცხვისა, ჩამოგლიჯო მას ნილაბი, თუნდაც ეს იყოს ბარონის ნილაბი, და მთლად გაშიშვლებული დაანახო აგი ქვეყანას...⁷⁷ გეუბნებით, ყოველივე ამაში არის-მეთქი ნეტარება გამოუთქმელი, ავხორცობა განუსაზღვრელი! რა თქმა უნდა, ლიტერატურულ შეტაკებებში⁷⁸ ზოგჯერ ირღვევა ზრდილობისა და თანაცხოვრების კანონები. მაგრამ გონიერი და გა-

ნათლებული მკითხველი უყურადღებოდ დასტოვებს უხამს გადაკრულ სიტყვებს ღვარძლიანებზე, იხვნისკარტაზე, სემინარიელებზე, ხრაკზე, ნახევრად ხრაკზე, ვაჭრებსა და ჩარჩებზე⁷¹. იგი ყოველთვის შესძლებს განასხვავოს ჭეშმარიტება სიცრუისაგან, აღამიანი სისუსტისაგან, ტალანტი შეცდომისაგან; ხოლო უფიცი მკითხველები ამით არც უფრო მეტად გამოსულელდებიან და არც უფრო დაქვევანდებიან. ყველაფერი მშვიდად და ჯეროვნად რომ იყოს, ყველგან რომ კომპლიმენტებს ამბობდნენ და თავაზიანად იქცეოდნენ, მაშინ რადიდი გასაქანი ექნებოდა უსინდისობას, თაღლითობას, უმეცრებას: მამხილებელი და სიმაართლს მრისხანე სიტყვის მოქმელი კაცი აღარ იქნებოდა!..

ამრიგად, პუშკინის პერიოდი აღინიშნა ცხოვრების უღიდესი მოძრაობით. ამ ათწლეულში ჩვენ ხელახლა ვიგრძენით, ხელახლა გავიხარეთ და განვოცადეთ ევროპის მთელი გონებრივი ცხოვრება, რომლის გამოძახილია ჩვენში გაიხმა ბალტიის ზღვიდან. ჩვენ ყველაფერი ხელახლა განვსაჯეთ, ყველაფერზე ხელახლა ვიდავეთ, ყველაფერი შევიტვისეთ, მაგრამ არაფერი ჩვენ თვითონ არ გამოგვიზრდია, არაფერს არ ევლოლიავებოდით, არაფერი არ შეგვექმნია. ჩვენს მაგივრად სხვები შრომობდნენ, ჩვენ კი მხოლოდ გამზადებულს ვიღებდით და ვიყენებდით. აი სწორედ ეს არის საიდუმლოება ჩვენი საოცრად სწრაფი წარმატებებისა და მოზეზი მათი საოცარი სისუსტისა. მე მგონია, ამითვე შეიძლება აიხსნას ისიც, რომ ამ ათწლედიდან, რომელიც ესოდენ ცხოველი და მოქმედი, ტალანტებითა და გენიოსებით ესოდენ მდიდარი იყო, მარტოდენ მხოლოდ პუშკინი თუ გადაარჩა, და დაობლებული, ახლა სევდიანი ხედავს, თუ როგორ ზედიზედ იძირებიან დავიწყების ბორევეში სახელები, რომლებიც მასთან ერთად ამოვიდნენ ჩვენი სიტყვიერების ჰორიზონტზე, როგორ ჰქრებოდა, ჰაერში დაუმთავრებელი სიტყვა... მართლაცდა, სადღა არიან ახლა ეს საიმედო ახალგაზრდები, რომლებითაც ასე ვამაყობდით? სად არიან ეს სახელები, რომლებიც მუდამ გაისმოდა ხოლმე? რატომ ასე უეცრად დადუმდნენ ყველა ისი-

ნი? როგორც გენებოვსთ, მე კი მგონია, რომ აქ რაღაც ამბავია. ანდა, იქნებ, დრო ყველაზე მკაცრი, ყველაზე სამართლიანი არისტარხია?.. ვაგლახ!.. განა ოზეროვის, ანდა ბატიუშკოვის ნიჭი ნაკლები იყო, ვიდრე, მაგალითად, ბ-ნ ბარტინსკისა და ბ-ნ პოდოლინსკის ნიჭი? კაპნისტი, ვ. ჯა ა. იზმაილოვები, ვ. პუშკინი,—ეს ადამიანები რომ პუშკინთან ერთად გამოჩენილიყვნენ, სიჭაბუკის გაფურჩქვნის უფს, ისინიც კი, მერწმუნეთ, არ იქნებოდნენ სასაცილონი იმ მცირე ნიჭის პირაბებშია, რითაც ისინი ბუნებამ დააჯილდოვა. რით აიხსნება ეს? იმათ, რომ ამგვარი ნიჭის პატრონი ადამიანები შეიძლება იყვნენ და შეიძლება არც იყვნენ,—ეს დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე.

მსგავსად კარამზინისა, პუშკინსაც მქუხარე ტაშით და სტვენით შეხვდნენ, და ტაშიც და სტვენაც მხოლოდ ამ ცოტახნის წინათ შეწყდა. არც ერთ პოეტს რუსეთში ასეთი სახალხო სახელი არა ჰქონია, სიცოცხლეში ასეთი დიდებით არ შემოსილა, და არც ერთი ასე სასტიკად შეურაცხყოფილი არა ყოფილა. და მერე ვისგან? იმ ადამიანებისგან, რომლებიც თავდაპირველად მას ფეხქვეშ ეგებოდნენ მტვრად ქცეულნი, შემდეგ კი გაჰყვიროდნენ: *chûte complète*⁸⁰; იმ ადამიანებისგან, რომლებიც ხმამაღლა აცხადებდნენ თავის თავზე, რომ მათს ნეკში უფრო მეტი ჰქუაა, ვიდრე ყველა ჩვენი ლიტერატორის თავში. საკვირველი ნეკიანები, საინტერესო იქნებოდა მათი შეხედვა⁸¹. მაგრამ საქმე ეს როდია. გაიხსენებთ ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა ოციან წლებამდე. უუკოესკის მაშინ უკვე განვლალი ჰქონდა თავისი სარბიელის დიდი ნაწილი; ბატიუშკოვი სამუდამოდ დაღუპდა⁸²; დერჟავინით, სუმაროკოვთან და ხერასკოვთან ერთად, აღტაცებული იყვნენ მერზლიაკოვის ლექციაების მეოხებით. სიცოცხლე ჩაქრალიყო, ახალი არაფერი იყო; ყველაფერი ძველი კალაპოტით მიიზღაზნებოდა, როდესაც უეცრად გამოჩნდა „რუსლანი და ლაუდმილა“, ქმნილება, რომელსაც არც ლექსის ჰარმონიის, არც ფორმისა და არც შინაარსის მხრივ არავითარი ნიმუში არ მოეპოვებოდა. ადამიანები, რომელთაც გან-

სწავლულობას პრეტენზია არა ჰქონდათ, ადამიანები, რომელთაც სჯეროდათ თავისი გრძნობისა და არა პოტიკოსთა, ანდა, რომლებიც ასე თუ ისე იცნობდნენ თავის თანამედროვე ევროპას, — მოხიბლული იყვნენ ამ მოვლენით. ლიტერატურულმა მსაჯულებმა, რომელთაც ხელთ ეპყრათ კრიტიკის კვერთხი, დინჯად გადაშალეს ლაპარკის „ლიცეუმი“ (ბ-ნ მარტინოვის თარგმანით: „ლიკეუმი“) და ბ-ნ ოსტოლოპოვის „ძველი და ახალი პოეზიის სიტყვარი“ და, რაკი დაინახეს, რომ ახალი ნაწარმოები არც ერთ ცნობილ კატეგორიას არ უდგებოდა და რომ ბერძნულ და ლათინურ ენებზე მისი მსგავსი რამ არ იყო, ზემოთ გამოაცხადეს: ეს პოეზიის უკანონო შვილი და ტალანტის მიუტევებელი შეცდომააო. ცხადია, ყველა როდი დაიჯერა ეს. და აი დაიწყო სერიი. კლასიციზმი და რომანტიზმი ერთმანეთს ჩააფრინდნენ თმაში. მაგრამ ნუ დავარღვევთ მათს მყუდროებას და პუშკინზე ვილაპარაკოთ.

პუშკინი თავისი დროის სრულყოფილი გამოხატულება იყო. დიდი პოეტური გრძნობით და ყველა შესაძლებელი შეგრძნების მიღებისა და ასახვის საკვირველი უნარით დაჯილდოებულმა, მან თავისი საუკუნის ყველა ტონი, ყველა ჰანგი და ყველა აკორდი მოსინჯა; იგი გამოეხმაურა ყველა დიდ თანამედროვე ამბავს, მოვლენასა და აზრს, ყველაფერს, რაც კი ზაშინ შეეძლო ეგრძნო რუსეთს, რომელსაც უცვვე აღარ სჯეროდა დიდ გენიოსთა ნაწერებიდან თვით სიბრძნის მიერ ამოკრებილი საუკუნოებრივი წესების უქველობა³³, და რომელმაც გაკვირვებით შეიტყო, რომ არსებობენ აზრთა და ცნებათა სხვა სამყარონი და ახალი, მოსთვის დღემდე უცნობი შეხედულებანი მისთვის დიდი ხნის ნაცნობ საქმეებსა და მოვლენებზე. უმართებულოდ ლაპარაკობენ, თითქოს პუშკინი ჰბაძავდა შენიეს, ბაირონს ან სხვებს. ბაირონი მას ჰფლობდა არა როგორც ნიმუში, არამედ როგორც მოვლენა, როგორც საუკუნის ფიქრთა მპყრობელი, მე კა ვთქვი, რომ პუშკინი ყოველ დიდ მოვლენას გამოეხმაურა. დიახ, პუშკინი იყო თავისი თანამედროვე სამყაროს გამოხატულება, თავისი თანამედროვე კაცობრიობის წარმომადგენელი, მაგრამ გა-

მონათულება რუსული სამყაროსი, წარმომადგენელი რუსული კაცობრიობისა. რა ვქნათ? ჩვენ ყველანა თვითნაწაველი გენიოსები ვართ; ჩვენ ყველაფერი ვოცით ისე, რომ არაფერი გვისწავლია, ყველაფერი ისე შევიძინეთ, რომ არც ერთი წვეთი სისხლი არ დაგვიღვრია, შევიძინეთ გართობა-თამაშობაში; ერთი სიტყვით:

ხომ გვისწავლია ცოტა რამ ჩვენაც,
შაინცდამაინც ბევრი არავის #4.

პუშკინი ლალი ჭაბუკობის თავმუყავებელი ორგიების შემდეგ ხელს ჰკიდებდა მძიმე შრომას, რათა

განათლებითაც საუკუნეს გასწორებოდა #5,

შრომის შემდეგ კვლავ ეძლეოდა ახალგაზრდულ ღზინსა და ღრეობას, ტკბილ უსაქმურობასა და უღარდელ გართობას ნაბახურეზე. მას მხოლოდ გერმანული სამხატვრო აღზრდა აკლდა. ბუნებისგან განებივრებული, იგი ცელქობასა და თამაშობაში გამოსტაცებდა ხოლმე ბუნებას წარმტაც სახეებსა და ფორმებს, და თავისი საყვარელი არსების მწყალობელი ბუნებაც უხვად ასაჩუქრებდა მას იმ ფერებითა და ბგერებით, რისთვისაც სხვები ბუნებას სწირავენ სიჭაბუკის სიაძეს-ტკბოებას და რასაც მისგან ყიდულობენ ცხოვრებაზე უარის თქმის ფასად... როგორც ჯადოქარი, იგი ერთსა და იმავე დროს იწვევდა ჩვენში სიცილსაც და ტირილსაც, თავისუფლად ათამაშებდა ჩვენს გრძნობებს... იგი მღეროდა, და რა რიგად განაცვიფრეს რუსეთი მისი სიმღერების ჰანგებმა! ეს არც საკვირველია: რუსეთს არასოდეს არ გაუგონია ამგვარი ჰანგები. და რა ხარბად ისმენდა იგი ამ ჰანგებს! ეს არც საკვირველია: ამ ჰანგებში თრთოდა მთელი ნერვები მისი ცხოვრებისა. მე მახსოვს ეს დრო, ბედნიერი დრო, როდესაც მიყრუებულ პროვინციაში, მივარდნილ პატარა სამაზრო ქალაქში, ზაფხულის დღეს, გაღებული ფანჯრებიდან, ჰაერში გაისმოდა ეს ჰანგები, მსგავსნი ტალღათა ხმაურისა ან ნაკადულის რაკრაკისა...⁸⁰

მისი ყველა ქმნილების მიმოხილვა და თითოეულის ხასიათის განსაზღვრა შეუძლებელია: ეს იგივე იქნებოდა, რომ არმიდის ბაღის ყველა ხე და ყვავილი ჩამოგვეთვალა და აგვეწერათ: „პუშკინს ცოტა, ძალიან ცოტა აქვს პატარა ლექსები; მას მეტწილად სულ პოემები აქვს: მისი პოეტური ქელვნი დიდ ადამიანთა ლარნაკებზე, ესე იგი მისი „ანდრე შენიე“, მისი მძლე საუბარი ზღვასთან, მისი გრძნეული ფიქრი ნაპოლეონზე—პოემებია. მაგრამ მისი პოეტური გვირგვინის უძვირფასესი აღმასები, უეჭველია, არის „ევგენი ონეგინი“ და „ბორის გოდუნოვი“. მე ვერასოდეს ვერ დავაძთავრებდი, რომ ლაპარაკი დამეწყო ამ ნაწარმოებებზე.

პუშკინმა ათი წელიწადი იმეფა: „ბორის გოდუნოვი“ მისი უკანასკნელი დიდი ნაღვაწი იყო; მისი ლექსების სრული კრებულის მესამე ნაწილში მიწყდა ხმები მისი ჰარმონიული ქნარია. ახლა ჩვენ პუშკინს ვერა ვცნობთ; იგი მოკვდა, ანდა, შესაძლოა, მხოლოდ დროებით დაღუმდა. შესაძლოა, იგი უკვე აღარ არსებობს, ხოლო, შესაძლოა, კიდევ გაცოცხლდეს. ეს კითხვა, ეს პამლეტური ყოფნა—არ ყოფნა მომავლის ბურუსში იმალება. ყოველ შემთხვევაში, თუ მისი ზღაპრების, მისი პოემა „ანელოს“ და სხვა ნაწარმოებთა მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც დაბეჭდილია „ნოვოსელიეში“ და „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“, ჩვენ უნდა დავითიროთ მწარე და აუნაზღაურებელი დანაკარგი. სადღაა ახლა ეს ჰანგები, რომლებშიაც ხან გაბედული ნავარდი გაიხმოდა და ხანაც გულითადი სევდა; სადღაა ეს აფეთქებანი ცეცხლოვანი და ღრმა გრძნობისა, რომელიც გულს აათრთოლებდა, მკერდს ააძგერებდა და ააღელვებდა; ეს აფეთქებანი მოსწრებული და გესლიანი მახვილგონიერებისა, ამ ღვარძლიანი და თანაც ნაღვლიანი ირონიისა, რაც გონებას აცვიფრებდა თავისი ბრწყინვალეებით; სადღაა ახლა ცხოვრებისა და ბუნების ეს სურათები, რომელთა წინაშე უფერული იყო ცხოვრება და ბუნება?.. ვაგლახ! მათ ნაცვლად ახლა ჩვენ ვკითხულობთ სწორი ცეზურით, ზღიდარი და ნახევრად მდიდარი რითმებით, პიეტუკური მო-

პრიანებით დაწერილ ლექსებს, რომლებზეც ასე ვრცლად, ასე დამაკმაყოფილებლად და ასე ღრმააზროვნად მსჯელობდნენ არქიმანდრიტი აპოლოსი და ბ-ნი ოსტოლოპოვი!.. უცნაური ამბავია, გაუგებარი ამბავია ნუთუ პუშკინი, რომელიც ვერ მოჰკლა ვერც ერთი ენთუზიასტა გამმაგებულმა ქება-დიდება, ვერც მეწვრილმანეთა სახობო ჰიმნებმა, ვერც მისი ანტაგონისტების მხრივ ძლიერმა, ხშირად სამართლიანმა თავდასხმებმა და გაკიცხვამ, ნუთუ, ვამბობ მე, ეს პუშკინი მოჰკლა ბ-ნ სპირდინის „ნოვოსელიმ“? მაგრამ ძალიან ნაჩქარევ და მოუფიქრებელ დასკვნებს ნუ გამოვიტანთ; დროს მივანდოთ ამ დახლართული საკითხის გადაწყვეტა. პუშკინზე მსჯელობა ადვილი როდია. თქვენ, ალბათ, წაიკითხეთ მისი „ელეგია“ „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიას“ ოქტომბრის წიგნში? თქვენ, ალბათ, შეგადრწუნათ იმ ღრმა გრძნობამ, რომლითაც აღსაესა ეს ქმნილება? მოხსენიებული ელეგია, გარდა იმ სანუგეშო იმედებისა, რომლებსაც იგი პუშკინზე იძლევა, იმ მხრივაც შესანიშნავია, რომ შეიცავს პუშკინის, როგორც მხატვრის, ყველაზე სწორ დახასიათებას:

კიდევ დამათრობს ჰარმონიის ნაკადი ტბილი,
 ბევრჯერ ოცნებას დამისველებს ცრემლები თბილი.

დიალ, ჭეშმარიტად მჯერა, რომ იგი საესებით იზიარებდა შევთვალა ჩერქეზი ქალის, ანდა თავისი მომხიბლველი ტატიანას განკიცხული სიყვარულის უსიხარულო ტანჯვას, ტატიანასი, რომელიც მისი ფანტაზიის საუკეთესო და უსაყვარლესი იდეალია; რომ იგი, თავის პირკუშტ გირეისთან ერთად, იტანჯებოდა ამ სულის კაეშნით, სულისა, რომელსაც მოყირჭებული ჰქონდა განცხრომა, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ არ იცნობდა განცხრომას; რომ იგი ზარემასა და ალეკოსთან ერთად იწვოდა ეჭვიანობის შმაგი ცეცხლით და ტკბებოდა ზემფირას ველური სიყვარულით; რომ იგი სწუხდა და ხარობდა თავისი იდეალებისათვის; რომ მისი ლექსების რაკრაკი ეთანხმებოდა მის ქვითინსა და სიცილს... დე, სთქვან, რომ ეს არის მიკერძება, კერპთაყვანისმცემლობა, ბავშვობა, სისულელე, მაგრამ

მე მინდა უფრო მჯეროდეს ისა, რომ პუშკინი თვალთმაქცურად ექცევა „ბიბლიოტეკა დლია ჩტენიას“, ვიდრე ის, რომ მისი ნიჭი ჩაიფერფლა. მე მწამს და ვფიქრობ, და ჩემთვის სანუგეშოა მწამდეს და ვფიქრობდე, რომ პუშკინი დაგვასაჩუქრებს ახალი ქმნილებებით, რომლებიც წინანდელზე უკეთესნი იქნებიან...

პუშკინთან ერთად მრავალი ნიჭიერი პოეტი გამოჩნდა, რომლებიც ახლა მეტწილად დავიწყებული არიან და დასავლეთურულად ემზადებიან, მაგრამ რომელთაც ოდესღაც საკუთხვევლებიც ჰქონდათ და თავყანისმცემელნიც ჰყავდათ. ახლა იმათგან

ზოგი მკვდარია, ზოგი შორს არის,
ვით საადიმ სთქვა...⁸⁹

ბ-ნ ბარატინსკის პუშკინს ატოლებდნენ; მათი სახელები ყოველთვის განუყრელი იყო; ერთხელ ამ პოეტების ორი თხზულება ერთ წიგნადაც კი გამოვიდა, ერთი ყლით⁹⁰. როდესაც პუშკინზე ვლაპარაკობდი, დამაფიქვდა მეთქვა, რომ მის ღირსეულად დაფასებას მხოლოდ ახლა იწყებენ, რადგან რეაქცია უკვე დამთავრდა, პარტიები დამშუღდნენ. ამრიგად, ახლა ხუმრობითაც კი არავენ მოიხსენიებს ბ-ნ ბარატინსკის სახელს პუშკინის სახელის გვერდით. ეს იქნებოდა პირველის სასტიკი აბუჩად აგდება და მეორის ფასის უცოდინარობა. ბ-ნ ბარატინსკის პოეტური ნიჭი არავითარ ექვს არ იწვევს. მართალია, მან დასწერა ცული პოემა „ლხინი“, ცული პოემა „ედდა“ („საბრალო ლიზა“ — ლექსად), ცული პოემა „მხევალი“, მაგრამ ამასთან ერთად მანვე დასწერა ბუნებრივი გრძნობით გამთბარი რამდენიმე მშვენიერი ელეგია, რომელთაგან „გოეთეს სიკვდილის გამო“ დაწერილ ელეგიას შეიძლება სანიმუშო ეწოდოს; დასწერა აგრეთვე რამდენიმე ეპისტოლე, რომლებიც მახვილგონიერებით განირჩევიან. წინათ მას დაუმსახურებლად აღიდებდნენ; ახლა, მგონი, უსაფუძვლოდ ამცირებენ. კიდევ შევნიშნავ, რომ ბ-ნი ბარატინსკი იმ ხანებში კრიტიკული ნიჭისადმი პრე-

ტენზიებსაც ამქლავნებდა; ახლა, ვფიქრობ, თვითონ მასაც აღარ სჯერა ეს^ს.

კოზლოვი პუშკინის პერიოდის უშესანიშნავეს ნიჭიერ ადამიანებს მიეკუთვნება. თავის თხზულებათა ფორმით იგი ყოველთვის პუშკინის მიმბაძველი იყო, ხოლო მათი გაბატონებული გრძნობის მიხედვით, ვგონებ, უუყოფსკის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ყველამ იცის, რომ კოზლოვის პოეტური ნიჭი უბედურებამ გამოაღვიძა; ამიტომაც მისი ქმნილებების განმასხვავებელი თვისებაა რაღაც სევდიანი გრძნობა, განგების ნებისადმი მორჩილება და საიქიოში საზღაურის მიღების იმედი. ამ ცალმხრივი ხასიათით განსაკუთრებით განირჩევა მისი „ბერი“, რომელზეც უამრავი ცრემლები დაფრქვიეს მშვენიერმა მკითხველმა ქალებმა და რომელიც ბაირონის „ჯიაურის“ მინაგვარი იყო. ამის შემდეგ დაწერილი პოემები თანდათან უფრო და უფრო სუსტი იყო. კოზლოვის მცირე თხზულებანი ბუნებრივი გრძნობით, სურათების საუტყბოო დახატვით და ლამაზი, ჰარმონიული ენით განირჩევიან. ძალიან სამწუხაროა, რომ იგი ბალადებს სწერდა. ბალადა, თუ იგი ხალხურობის იერით არ ხასიათდება. ყალბია და თანაგრძნობას ვერ გამოიწვევს. ამასთან იგი ცდილობდა შეექმნა რაღაც სლაფური ბალადა. სლაფები დიდი ხნის წინათ ცხოვრობდნენ და ჩვენ მათ ნაკლებად ვიცნობთ. მაშ რისთვის-ღა უნდა გამოვიყვანოთ სცენაზე გაგერმანელებული ვსემილები და ოსტანები? კოზლოვმა ბევრი რამ ავნო თავის მხატვრულ სახელს იმიტაც, რომ ზოგჯერ თითქოს მოწყენილობის გამო სწერდა; განსაკუთრებით ითქმის ეს მის ახლანდელ ნაწარმოებებზე.

იაზიკოვსა და დავიდოვს (დ. ვ.) ბევრი რამ საერთო აქვთ. ორივე ისინი შესანიშნავი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში. ერთი, პოეტი-სტუდენტი, უდარდელი და ქარბი ჭაბუკური გრძნობით აღგზნებული, ხოტბას ასხამს სიცოცხლის დღესასწაულზე მომლხენი ახალგაზრდობის გართობას, ლამაზ-მანთა მეწამულ ბაგეებს, შავ თვალებს, ბროლის გულ-

მკერდსა და მშვენიერ წარბებს, ცეცხლოვან ღამეებსა და დაუფიწყარ მხარეებს,

სად უდარდელად გადიგრიალა
 იმისმა მკვირცხლმა ახალგაზრდობამ.

მეორე, პოეტი-მხედარი, მთელი მხედრული გულახდილობით, წლებითა და შრომით გაუნელებელი გრძნობის მთელი მგზნებარებით გვიამბობს მამაცურ ლექსებში ახალგაზრდობის ცელქობაზე, ვაჟკაცურ გართობაზე, მარჯვე თავდასხმებზე, ჰუსართა ღრეობაზე, თავის სიყვარულზე რომელიღაც ამაყი ტურფასადმი. როგორც ერთი, ისე მეორეც თავის ჩანგზე ხშირად დაამღერებს ხოლმე ძლიერს. მაღალსა და საზეიმო ჰანგებს; ხშირად გვალეღვებს ცხოველი და ცეცხლოვანი გრძნობის გამოხატვით. მათი ცალმხრივობა ამ ლექსებში — ორიგინალობაა, ურომლისოდაც ჭეშმარიტი ნიჭი არ არსებობს.

პოდოლინსკიმ ძალიან დიდი იმედები მოგვცა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ გაამართლა ისინი. იგი ჰფლობდა პოეტურ ენას და მოკლებული არ იყო პოეტურ გრძნობას. მე მგონია, მისი წარუმატებლობის მიზეზი ის არის, რომ მან ვერ შეიგნო თავისი დანიშნულება და თავისი გზით არ მიდიოდა.

თ. ნ. გლინკა... მაგრამ რა ეთქვა მის შესახებ? თქვენ იცით, რა სურნელოვანია მისი პოეზიის ყვავილები, რა ზნეობრივი და წმინდაა მისი მხატვრული მიმართულება: ეს განაიარაღებს კიდევ კაცს. მაგრამ, მისი პოეტური ნიჭის სრულ აღიარებასთან ერთად, არ შეიძლება იმავე დროს არ ვაღიაროთ, რომ ეს ნიჭი უკვე მეტისმეტად ცალმხრივია. ზნეობა ზნეობაა, მაგრამ ერთი და იგივე ხომ მოსაწყენია. თ. ნ. გლინკა ბევრს სწერდა, და ამიტომ, მრავალ საუცხოო პატარა ნაწარმოებთან ერთად, მას პირდაპირ მდარე ღირსების ნაწარმოებიც ძალიან ბევრი აქვს. ვფიქრობ, ამის მიზეზი ის არის, რომ იგი შემოქმედებას უყურებს როგორც ჩვეულებრივ საქმიანობას, როგორც უბრალო დროსტარებას და არა როგორც ზენაარ მოწოდებას, და საერთოდ რაღაც მარტივად

უყურებს მრავალ საგანს. იგი თავის საუკეთესო ლექსებს რელიგიურ შთაგონებას უნდა უმადლოდეს. მის პოემა „კარგ-ლიაში“ მრავალი სილამაზე და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტი ნაკლია.

დელვიგი... მაგრამ დელვიგს იაზიკოვმა მშვენიერი პოეტური საგალობელი დაუწერა, პუშკინი კი მას არაჩვეულებრივად ნიჭიერ ადამიანად სთვლის. სად შემიძლია მე ასეთ ავტორიტეტებს შევედავო? დელვიგი ოდესღაც გაბერძნებულ გერმანულად მიაჩნდათ; მართალია თუ არა ეს? *De mortuis aut bene aut nihil* ¹⁴, და ამიტომ არ მინდა ამ პოეტზე ჩემი საკუთარი აზრი გამოვამჟღავნო. აი რა იყო დაბეჭდილი ოდესღაც „მოსკოვსკი ვესტნიკში“ მისი ლექსების შესახებ: „ისინი შეიძლება კაცმა წაიკითხოს ოდნავი სიამოვნებით. ეს არის და ეს“. ასეთი პოეტი ბევრი იყო განვლილ ათწლეულში.

(კიდევ იქნება.)

ლიტერატურული ოცნებანი

(დასასრულის წინა ნაწილი)

ნაპირი ნაპირი..

გ ა ც ვ ე თ ი ლ ი გ ა მ ო თ ქ მ ა

პუშკინის პერიოდი იმით განსხვავდება, რომ მაშინ ერთობ ბევრი მელექსე-პოეტი მოღვაწეობდა; ეს პირდაპირ მელექსეობის პერიოდია, როდესაც მელექსეობა სრულ მანიად იქცა. რომ არაფერი ვთქვათ უნიჭო მელექსეებზე, ყირგიზელი, მოსკოველი და სხვა ტყვეების ავტორებზე, ევგენი ბელსკისა და სხვადასხვა სახელებით მონათლული სხვა ევგენების ¹⁵ ავტორებზე, კიდევ რამდენი იყო ისეთი ადამიანი, რომელთაც თუ ნიჭი არა, საკვირველი უნარი მაინც ჰქონდათ, თუ პოეზიის არა, მელექსეობის დარგში მაინც. ლექსებითა და

პოემების ნაწყვეტებით ავსებული იყო ჟურნალებისა და ალმანახების მრავალრიცხოვანი თაობა; საცდელ-სავარჯიშოდ დაწერილი ლექსებით, ლექსთა კრებულებითა და პოემებით გაჭედილი იყო წიგნის დუქნები. და ყოველივე ამაში დამნაშავე იყო მხოლოდ პუშკინი: აი მისი თითქმის ერთადერთი ცოდვა რუსული ლიტერატურის მიმართ, რაც მას განზრახ არ ჩაუდენია. ამრიგად, უნიკო მკვლახელებზე ბევრი სალაპარაკო არაფერია; სალანძღავიც მათ არაფერი აქვთ: შურისმაძიებელმა დავიწყებამ უკვე დიდი ხანია დასაჯა ისინი. სჯობს ვილაპარაკო იმ აღამიანებზე, რომლებმაც ერთგვარი ნიჭი, ან, ყოველ შემთხვევაში, უნარი მაინც გამოიჩინეს. რატომ ასე მალე დაჰკარგეს მათ თავიანთი სახელი? თუ მათ საწერი გამოეღიათ? სრულიადაც არა! ბევრი მათგანი ახლაც სწერს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, კიდევ შეუძლია ისევე კარგად სწეროს, როგორც წინათ სწერდა. მაგრამ, ვაგლახ! უკვე აღარ შეუძლია თავისი თხზულებებით წინანდელი ენთუზიაზმი გამოიწვიოს მკითხველებში. რატომ? იმიტომ, ვიმეორებ, რომ მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ და არც ყოფილიყვნენ, რომ მათ ჭაბუკობის სიფიცხე მიაჩნდათ შთაგონების განგაშად, მშვენიერების შთაბეჭდილებათა მიღების უნარი — მშვენიერების შთაბეჭდილებებით სხვების განცვიფრების უნარად. ყოველი მოცემული მატერიალის ერთგვარი მიზაძვიით გამონაგონის საშუალებით * ჰარმონიული ლექსებით აღწერის უნარი — ბუნების საყოველთაო ცხოვრების მოვლენების სიტყვით გამოხატვის უნარად. მათ პუშკინისგან გადაიღეს ეს ჰარმონიული და მელორი ლექსი, ნაწილობრივ კი — ეს გამოთქმის პოეტური სიმშვენიერეც, რაც მისი ქმნილებების მხოლოდ გარეგანი მხარეა; მაგრამ მისგან არ გადაუღიათ ეს ღრმა და ვნებიანი გრძნობა, რომლითაც აღსავსეა მისი ქმნილებანი და რომე-

* იხ. აპოლოლის „პიიტიკის წესები“.

ლიც მხატვრულ ნაწარმოებთა სიცოცხლის წყაროა. აი ამიტომაც ისინი თითქოს ბუნებისა და ცხოვრების მოვლენებზე დაცურავენ, როგორც ზამთრის მზის მიმქრალი სხივი დაცურავს საგნებზე, მაგრამ მთელი თავისი არსებით ვერ იჭრებიან ამ მოვლენებში; აი ამიტომაც ისინი თითქოს მხოლოდ აღწერენ საგნებს, ანდა მსჯელობენ მათზე, მაგრამ არ განიცდიან მათ. და სწორედ ამიტომაც თქვენ იმათ ლექსებს ზოგჯერ კმაყოფილებითაც კი წაიკითხავთ, თუ სიამოვნებით არა. მაგრამ ეს ლექსები არასოდეს თქვენს სულში მძაფრ შთაბეჭდილებას არ დასტოვებენ, არასოდეს თქვენს მეხსიერებაში არ გაცოცხლდებიან. ამას მიუმატეთ კიდევ მათი მიმართულების ცალმხრიობა და მათი გულითადი ოცნებებისა და ფიქრების ერთფეროვნება, და თქვენ მიიღებთ იმ მიზეზს, რომლის გამოც ეს ლექსები ოდნავადაც კი არ გითრთოლებთ გულს, თუმცა ოდესღაც ესოდენ გზიბლავდათ. ახლა ის დრო აღარაა, რაც წინათ იყო: ახლა მხოლოდ ისეთი ლექსებით შეიძლება აიძულო წაგიკითხოთ, რომლებსაც თუ გენიის არა, დიდი ნიჭის დალი მაინც აზის. ახლა არ მოითხოვენ ტანჯვით შექმნილ ლექსებს, ისეთ ლექსებს, რომლებშიაც არამიწიერი ტანჯვა-წამებით გამოწვეული სულის დაღადისი გაიხმის; ერთი სიტყვით, ახლა

ნაძალადევი მოთქმა-ტირილი სამწუხაროა

და მანქვა-გრეხით ღრიალი კი — სასაცილოა... 93

ჩვენმა ერთ-ერთმა მეტად შესანიშნავმა ახალგაზრდა ლიტერატორმა, ბ-ნმა შევიჩიოვემა, რომელმაც თავისი ცხოვრების ადრეული წლებიდანვე მეცნიერებას და ხელოვნებას დაუდო თავი და სიყრმითვე გამოვიდა საზოგადო სარგებლობისათვის მოქმედების კეთილშობილურ სარბიელზე, ძალიან კარგად გაიგო და იგრძნო ეს ნაკლოვანება, რაც ასე ერთნაირად ახასიათებს მის თითქმის ყველა თანამოხელე ტოლამხანაგს. პოეტური ნიჭით დაჯილდოებულმა, რასაც განსაკუთრებით ამტკიცებენ მისი თარგმანები შილერიდან, რომელთაგან ბევრს თვით ეუკოვსკიც კი თამაშად გამოაცხა-

დებდა თავის თარგმანად; ცოდნით გამდიდრებულმა და ლიტერატურათა მსოფლიო ისტორიის კარგად მცოდნემ, რასაც ამტკიცებს მისი მრავალი კრიტიკული შრომა და განსაკუთრებით მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა, რომელსაც იგი საუცხოოდ ასრულებდა, — მან, როგორც ეს მისი ორიგინალური ნაწარმოებებიდან ჩანს, გადასწყვიტა რეაქცია მოეხდინა იმდროინდელი ლიტერატურის საერთო მიმართულების წინააღმდეგ. მის თითოეულ ლექსს საფუძვლად უდევს ღრმა და პოეტური აზრი, ჩანს პრეტენზიები შილერისათვის და მახასიათებელი ფართო თვალსაზრისისა და ღრმა გრძნობისა, და, სიმართლე უნდა ითქვას, მისი ლექსი ყოველთვის განსხვავდებოდა ენერგიული სიმოკლით, სიმტკიცით და გამოხატვის ძალით. მაგრამ მიზანი ვნებს პოეზიას; ამასთან, რაკი ასეთ მაღალ მიზანს დაისახავ, დიდი საშუალებანიც უნდა გქონდეს იმისათვის, რომ ეს მიზანი ღირსეულად განახორციელო. ამიტომ ბ-ნ შევიჩიოვის ორიგინალურ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი, გარდა მეტად მცირერიცხოვანი ნაწარმოებებისა, რომლებშიაც ბუნებრივი გრძნობა მეღავენდება, მთელი მათი ღირსების მიუხედავად, ხშირად გონების დაძაბვას უფრო ამჟღავნებს. ვიდრე მგზნებარე შთაგონების გაღმოსვლას¹¹. მხოლოდ ვენევიტინოვს შეეძლო აზრის შეთანხმება გრძნობასთან, იდენისა — ფორმასთან, რადგან პუშკინის პერიოდის ყველა ახალგაზრდა პოეტს შორის მარტო იგი სწვდებოდა ბუნებას არა ცივი გონებით, არამედ შეეძლო მგზნებარე თანაგრძნობითა და სიყვარულის ძალით შესულიყო ბუნების საკურთხეველში, შეეძლო

იღუმალეებით მოსილ მის მკერდში

ჩაეხელა, ვით მეგობრის გულში¹².

და შემდეგ თავის ქმნილებებში გაღმოეცა დიდი საიდუმლოებანი, რომლებიც მან ამ მიუწვდომელ საკურთხეველში იხილა. ვენევიტინოვი ჩვენი ერთადერთი პოეტია, რომელიც მისმა თანამედროვეებმაც კი გაიგეს და ღირსეულად დააფასეს.

ეს იყო მშვენიერი ცისკარი, მომასწავებელი მშვენიერი დღისა; ამაში ყველა პარტია შეთანხმდა. სამართლიანობის მოვალეობა მაიძულებს მოვიხსენიო კიდევ პოლექაევი, თუმცა ცალმხრივი, მაგრამ მაინც შესანიშნავი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ვინ არ იცის, რომ ეს ადამიანი საბრალო მსხვერპლია თავისი სიჭაბუკის შეცდომისა, უბედური მსხვერპლია იმ დროის სულისა; როდესაც ნიჭიერი ახალგაზრდობა მთელი სისწრაფით მიეშურებოდა ცხოვრების გზაზე, ცდილობდა ცხოვრებით დამტკბარიყო და თავს არ იწუხებდა მის შესასწავლად; როდესაც იგი ცხოვრებას ისე უყურებდა, როგორც შმაგ ორგისა და არა როგორც მძიმე ღვაწლს? არ წაიკითხოთ მისი თარგმანები (გარდა ლამარტინის ნაწარმოებისა: **l'Homme à Lord Byron**), რომლებიც რაღაც არ ესაღბუნება სულს; არ წაიკითხოთ მისი სახუმარო ლექსები, რომლებშიაც მეტისმეტად ხმამაღლა გახმის სამიკიტნოს ღრიანცელი; არ წაიკითხოთ მისი შეკვეთილი ლექსები. მაგრამ წაიკითხეთ მისი ის ნაწარმოებნი, რომლებსაც ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულება აქვთ მის ცხოვრებასთან; წაიკითხეთ „ფიქრი ზღვის პირას“, მისი „დაისი“, მისი „განგება“ — და თქვენ შეიცნობთ პოლექაევში ნიჭს, დაინახავთ გრძნობას!..

ახლა სათქმელი დამრჩა ერთ პოეტზე, რომელიც ყველა ჩემგან მოხსენიებულთაგან არც ერთს არა ჰგავს, ორიგინალურ და დამოუკიდებელ პოეტზე, რომელმაც არ აღიარა თავის თავზე პუშკინის გავლენა და რომელიც თითქმის მისი ტოლია: ვლასარაკობ გრიბოედოვზე. ამ კაცმა ძალიან ბევრი იმედები თან ჩაიტანა კუბოში. იგი მოვლენილი იყო იმისათვის, რომ ყოფილიყო შემოქმედი რუსული კომედიისა, შემოქმედი რუსული თეატრისა.

თეატრი!.. გიყვართ თუ არა თქვენ თეატრი ისე, როგორც მიყვარს მე, ე. ი. მთელი თქვენი სულითა და გულით, მთელი ენთუზიაზმით, მთელი გაშმაგებით, როგორიც შეუძლია ფიცხ სიჭაბუკეს, რომელსაც სწყურია და იტაცებს მშვენიე-

რის შთაბეჭდილებანი? ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, შეგიძლიათ თუ არა თეატრი არ გიყვარდეთ ქვეყნად ყველაფერზე მეტად, გარდა სიკეთისა და ჭეშმარიტებისა? და, მართლაც, განა მასში თავს არ იყრის კაზმულ ხელოვნებათა მთელი მომხიბლველობა, მთელი მომგადობლობა და მთელი ცთუნება? განა ის არ არის ჩვენი გრძნობების განსაკუთრებით თვითმპყრობელი მფლობელი, რომელიც მზადაა ყოველ დროს და ყოველგვარ გარემოებაში აღძრას და ააფორიაქოს ეს გრძნობები, ისევე როგორც გრიგალი ამოაგდებს ხოლმე ქვიშნარის ქარბუქს არაბეთის თვალუწვდენელ სტეპებში?.. ყველა ხელოვნებიდან რომელს გააჩნია შთაბეჭდილებებით ადამიანის სულის აღფრთოვანებისა და მისი თავის ნებაზე ადამაშების ასეთი მძლავრი საშუალებანი?.. ლირიზმი, ეპოპეა, დრამა: გადაჭრით ირჩევთ თუ არა თქვენ რომელიმე მათგანს, თუ ყველა ისინი ერთნაირად გიყვართ? ძნელი არჩევახია. ხომ მართალია? აკი გოლიათ დერჟავინის მძლავრ სტროფებში და პუშკინის — ამ პროთეოსის მრავალფეროვან ჰანგებში წინასწარ მინიშნებულია იგივე ბუნება, რაც ბაირონის პოემებსა ან ვალტერ-სკოტის რომანებშიც, ხოლო ამ უკანასკნელებში კი იგივე, რაც შექსპირისა და შილერის დრამებში? და მაინც, მე დრამა უფრო მიყვარს, და, ვფიქრობ, ეს საერთო გემოვნებაა. ლირიზმი ბუნებას განუსაზღვრელად და, ასე ვთქვათ, მუსიკალურად გამოხატავს; მისი საგანია მთელი ბუნება მთელი მისი უსასრულობით; ხოლო დრამის საგანია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი და მისი ცხოვრება, რომელშიაც ვლინდება სამყაროს საყოველთაო სიცოცხლის უმაღლესი, სულიერი მხარე. ხელოვნებათა შორის დრამა იგივეა. რაც ისტორია მეცნიერებათა შორის. ადამიანი ყოველთვის ყველაზე უფრო საინტერესო მოვლენა იყო და იქნება ადამიანისათვის, ხოლო დრამა ამ ადამიანს წარმოადგენს მის მუდმივ ბრძოლაში თავის მე-სთან და თავის დანიშნულებასთან. მის მუდმივ მოქმედებაში, რომლის წყაროა მისწრაფება ნეტარების რაღაც ბუნდოვან იდეალისადმი, რასაც იგი იშ-

ვიათად სწვდება და კიდევ უფრო იშვიათად აღწევს. თვით ეპოპეა დრამისაგან სესხულობს თავის ღირსებას: რომანი, რომელშიაც დრამატიზმი არ არის, უსიცოცხლო და მოსაწყენია. ერთგვარი აზრით, ეპოპეა დრამის მხოლოდ განსაკუთრებული ფორმაა. მაშ ასე: ვთქვათ, რომ დრამა არის პოეზიის თუ საუკეთესო არა, ჩვენთან ყველაზე ახლო მდგომი დარგი მაინც. მაშ რაღაა თეატრი, სადაც ეს მძლავრი დრამა თავით ფეხამდე იმოსება ახალი ძლიერებით, სადაც ის კავშირს ამყარებს ყველა ხელოვნებასთან, თავის დასახმარებლად მოუხმობს მათ და მათგან იღებს ყველა საშუალებას, ყველა იარაღს, რომელთაგან თითოეული, ცალკე აღებული, ერთობ ძლიერია იმისათვის, რომ გამოგთიშოთ თქვენ ამაოებათა ვიწრო სამყაროდან და მაღალისა და მშვენიერის უსაზღვრო სამყაროში გადაგისროლოთ? მაშ რაღაა-მეთქი ეს თეატრი?.. ო, ეს არის ხელოვნების ჭეშმარიტი ტაძარი, რომელში შესვლისთანავე თქვენ მყისვე გამოეყოფით დედამიწას, თავისუფლდებით ყოველდღიური ურთიერთობისაგან. ეს ბგერები ორკესტრის საკრავებისა, რომელთაც მართავენ, რაღაც ზესთაბუნებრივის მოლოდინით გქანცავთ, გულს გითრთოლებთ რაღაც გამოუთქმელ-ტკბილი ნეტარების წინაგრძნობით; ეს ხალხი, რომლითაც გავსებულია უზარმაზარი ამფითეატრი, იზიარებს თქვენს სულსწრაფ მოლოდინს, ერთი გრძნობით შეერთებით თქვენ მას; ეს დიდმშვენიერი და ჩინებული ფარდა, ეს ურიცხვი სანთლები მოიარებით განიშნებენ მშვენიერ ღვთაებრივ ქმნილებაში გაფანტულ და სცენის ვიწრო სივრცეში თავმოყრილ სასწაულებსა და საკვირველებებზე! აჰა, აფუგუნდა ორკესტრი — და თქვენი სული მის ბგერებში წინასწარვე შეიგრძნობს იმ შთაბეჭდილებებს, რომლებიც ამ სულის დასატყვევებლად ემზადებიან. აჰა, ფარდა აიხადა — და თქვენს თვალწინ გადაიშლება უსასრულო სამყარო ადამიანთა ვნებებისა და ბედ-იღბლისა. აჰა, წყნარი და მოსიყვარულე დეზდემონას მავედრებელ გოდებასთან ერთად გაისმის ექვიანი ოტელოს შმაგი ღაღადი-

სი. აჰა, შუალამის წყვილიდში გამოჩნდება ლედი მაკბეტი მკერდგაღელილი, თმაგაწეწილი, და ამაოდ ცდილობს ხელიდან წარინოცოს სისხლის ლაქები, რომლებიც შურისმაძიებელი სინდისის ქენჯნისას ელანდებიან. აჰა, გამოდის საბრალო ჰამლეტი მისი განუყრელი კითხვით: ყოფნა—არ ყოფნა. აჰა, თქვენს წინაშე გაივლის ღვთაებრივი მეოცნებე პოზაც⁶⁶ და სამოთხის ორი ყვაილიც — მაქსი და თეკლე⁶⁷ — მათი ზეციური სიყვარულით; ერთი სიტყვით, შექსპირების, მილერების, გოეთეების, ვერნერების ნაყოფიერი ფანტაზიით შექმნილი მთელი დიდებული და უსაზღვრო სამყარო... თქვენ აქ ცხოვრობთ არა საკუთარი ცხოვრებით, ეტანჯებით არა თქვენი მწუხარებით, ხარობთ არა თქვენი ნეტარებით, ძრწით არა თქვენი საწინაშეობისათვის; აქ თქვენი ცივი შესწავარულის აღზნებულ ეთერში ჰქრება. თუ თქვენ გტანჯავთ მძიმე აზრი თქვენი ცხოვრების ძნელი დეაწლისა და თქვენი ძალების სასუსტის შესახებ, თქვენ აქ დაივიწყებთ ამ აზრს; თუ თქვენს სულს ოდესმე სწყუროდა სიყვარული და დატკბობა, თუ თქვენს გონებაში ოდესმე გაუღვებია, მსგავსად ღამის სწრაფი მოჩვენებისა, რაიმე მომხიბლველსახეს, რომელიც თქვენ დიდი ხანია დაივიწყეთ, როგორც განუხორციელებელი ოცნება, — აქ ეს წყურვილი ახალი დაუცხრომელი ძალით იფეთქებს თქვენში, აქ ეს სახე კვლავ გამოგეცხადებათ, და თქვენ იხილავთ თქვენსკენ სევდითა და სიყვარულით მოპყრობილ მის თვალებს, დატკბებით მისი მომხიბლველი სუნთქვით, ერთანტელი დაგივლით მისი ეცეხლოვანი ხელის შეხებისაგან... მაგრამ განა შესაძლებელია აღწერა თეატრის ყველა მშვენიერებისა, ადამიანის სულზე მთელი მისი ჯადოსნური ზეგავლენისა?.. ო, რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ გვქონოდა ჩვენი, ხალხური, რუსული თეატრი!.. მართლაცდა — სცენაზე გვენახა მთელი რუსეთი, მისი კეთილთა და ბოროტით, მისი დიადითა და სასაცილოთი, მოგვესმინა მძლავრი ფანტაზიის ძალით საფლავიდან გამოწვეულ მის მამაც გამირთა ლაპარაკი, გვენახა მაჯისცემა მი-

სი ძალოვანი ცხოვრებისა... ო, წადით, წადით თეატრში, იცხოვრეთ და მოკვდით იქ, თუ კი შეგიძლიათ!..

მაგრამ, ვაგლახ! ყოველივე ეს პოეზიაა და არა პროზა, ოცნებაა და არა სინამდვილე! იქ, ე. ი. იმ დიდ სახლში, რომელსაც რუსულ თეატრს უწოდებენ, იქ შეთქი, თქვენ ნახავთ პაროდებს შექსპირსა და შილერზე, სასაცილო და უხამს პაროდებს; იქ თქვენს წინაშე ტრაგედიად ასალებენ წარმოსახვის მანკვა-გრეხას; იქ თქვენ გთავაზობენ თავდაყირა დაყენებულ ცხოვრებას; ერთი სიტყვით, იქ

...მელომენა მოუსვენარა

განუწყვეტელად შფოთავს, ღრიალებს,
და იქ ვულკანი ხალხის წინ მდგარი,
ყალბ წამოსახმს ის აფრიალებს! *8

გეუბნებით: ნუ დადინართ იქ; ეს მეტად მოსაწყენი გართობაა!.. მაგრამ ნუ ვიქნებით თეატრის მიმართ ძალიან მკაცრი: მისი ბრალი არაა, რომ იგი ასე ცუდია. სადაა ჩვენს ში დრამატიული ლიტერატურა, სად არიან დრამატიული ტელანტები? სად არიან ჩვენი ტრაგიკოსები, ჩვენი კომიკოსები? ისინი ბევრნი, ძალიან ბევრნი არიან, მათ სახელებს ყველანაირად იცნობს. ამიტომაც არ მინდა ჩამოვთვალო ისინი, რადგან ჩემგან ხოტბა არაფერს შეკმატებს იმ დიდ სახელს, რომლითაც ისინი სამართლიანად სარგებლობენ. მაშ ასე, გადავდივარ გრიბოედოვზე.

დიდი ხანია გრიბოედოვის კომედია თუ დრამა (მე არც თუ ძალიან კარგად მესმის განსხვავება ამ ორ სიტყვას შორის; ხოლო სიტყვა ტრაგედიის მნიშვნელობა სრულებით არ მესმის) ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. გრიბოედოვზე, ისევე როგორც ყველა შესანიშნავ ადამიანზე, ბევრი მითქმამოთქმა და დავა იყო. მას შურით უყურებდა ზოგიერთი ჩვენი გენიოსი, რომლებიც იმავე დროს გაკვირვებული იყვნენ კაპნისტის „ცილით“. მისი სამართლიანი შეფასება არ უნდოდათ იმ ადამიანებს, რომლებსაც აკვირვებდნენ ბატონები AB, CD, EF და სხვანი. მაგრამ საზოგადოებამ სხვანაირად

განსაჯა: ჯერ კიდევ დაბეჭდვამდე და წარმოდგენამდე გრიბოედოვის ხელნაწერი კომედია აბოზოქრებულ ნიაღვრ-დ მოედო რუსეთს.

კომედია, ჩემი აზრით, ისეთივე დრამაა, როგორც ის, რასაც ჩვეულებრივად ტრაგედია ეწოდება. მისი საგანია ცხოვრების წარმოდგენა ცხოვრების იდეისადმი წინააღმდეგობაში; მისი ელემენტია არა ის უწყინარი მახვილგონიერება; რომელიც გულკეთილად დასცინის ყველაფერს მხოლოდ გაქირღვის სურვილის გამო. არა, მისი ელემენტია ეს ღვარძლიანი ჰუმორი, ეს მრისხანე აღშფოთება, რომელიც ხუმრობით კი არ იღიმება, არამედ სასტიკად ხარხარებს, რომელიც არარაობასა და ეგოიზმს სდევნის არა ეპიგრამებით, არამედ სარკაზმებით. გრიბოედოვის კომედია არის ჭეშმარიტი *divina comedia!* ეს სრულებითაც არ არის საუბრის სახით გაღმოცემული უბრალო სასაცილო ანეგდოტი, ეს არ არის ისეთი კომედია, სადაც მოქმედი პირები სახელდებული არიან დობრიაკოვებად, პლუტოვატინებად, ობირალოვებად და სხვ. მის პერსონაჟებს დიდი ხანია იცნობთ ნატურით, თქვენ გინახავთ ისინი, იცნობდით მათ ჯერ კიდევ „ვაი ჭკუისაგან“-ის წაკითხვამდე, და თქვენ მაინც გაკვირვებენ ისინი, როგორც თქვენთვის სრულიად ახალი მოვლენა: აი უმაღლესი ჭეშმარიტება პოეტური სიჩქურისა! გრიბოედოვის მიერ შექმნილი პირები გამოგონილი კი არ არიან, არამედ ნატურიდან არიან გადაღებული მთელი ტანით, აღებული არიან ნამდვილი ცხოვრების ფსკერიდან. მათ შუბლზე არ აწერიათ თავიანთი სათნოებანი და მანკიერებანი; მაგრამ მათ აზის საკუთარი არარაობის დალი, და ეს დალი მათ დაასვა ჯალათი მსატერის შურისმგებელმა ხელმა. გრიბოედოვის თითოეული ტაეპი სარკაზმია, რომელიც მხატვარს გულიდან აღმოხდა აღშფოთების აფეთქებისას. მისი ენა არის სალაპარაკო *par excellence*. ამასწინათ ჩვენმა ერთ-ერთმა მეტად შესანიშნავმა მწერალმა, რომელიც ძალიან კარგად იცნობს საზოგადოებას, შენიშნა, რომ მხოლოდ გრიბოედოვს შეეძლო ჩვენი სა-

ზოგადობების საუბრის ლექსად გადაღებო!"¹. უეჭველია, რომ ეს მას ოდნავადაც არ უჭირდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მაინც მისი უდიდესი დამსახურებაა, რადგან ჩვენი კომიკოსების სალაპარაკო ენა... მაგრამ მე უკვე შეგპირდით არ ვილაპარაკო ჩვენს კომიკოსებზე... რა თქმა უნდა, ეს არ არის თავისი მთლიანობის მხრივ უნაკლო ნაწარმოები; მაგრამ ეს იყო გრიბოედოვის ტალანტის პირველი ცდა, პირველი რუსული კომედია. კიდევ მეტი: როგორც უნდა იყოს ეს ნაკლოვანებანი, ისინი მას ხელს ვერ შეუშლიან სანიმუშო, გეხილური ნაწარმოები იყოს არა რუსულ ლიტერატურაშიაც კი, რომელმაც გრიბოედოვის სახით კომედიის შექსპირი დაჭკარვა...

კმარა ლაპარაკი პოეტ-მელექსეებზე, ვილაპარაკოთ პოეტ-პროზაიკოსებზე. იცით თუ არა, ვისი სახელია მათ შორის პირველი სიტყვიერების პუშკინის პერიოდში? სახელი ბ-ნ ბულგარინისა, მოწყალენო ხელმწიფენო. ეს არც საკვირველია. ბ-ნი ბულგარინი წამომწყები იყო, ხოლო წამომწყებნი, როგორც უკვე პატივი მქონდა თქვენთვის მომეხსენებინა, მუდამ უკვდავნი არიან, და ამიტომ ვბედავ დაგარწმუნოთ, რომ ბ-ნ ბულგარინის სახელი ისევე უკვდავია რუსული რომანის დარგში, როგორც სახელი მოსკოვის მცხოვრებ მატვეი კომაროვისა*. პეტერბურგელი ვალტერ-სკოტის — ფადეი ბენედიქტეს-ძე ბულგარინის სახელი, მოსკოველი ვალტერ-სკოტის — ალექსანდრე ანთიმოს-ძე ორლოვის სახელთან ერთად, მუდამ უუქმფინარ თანავარსკვლავედად იქნება ანთებული ჩვენი ლიტერატურის ჰორიზონტზე. მაწვილგონიერმა კოსიჩინმა უკვე შეაფასა, როგორც საჭიროა, ორივე ეს სახელგანთქმული მწერალი და შედარებით გვიჩვენა მათი ღირსებანი. ამიტომ, რადგან არა მსურს კოსიჩინის განმეორება, მე ბ-ნ ბულგარინის შესახებ გამოვთქვამ აზრს, რომელიც ახლა ყველასათვის საზოგადოა, მაგრამ დაბეჭდვით ჯერ არ-

* ავტორი „პოლიციონისა“, „ინგლისელი მილორდისა“ და სხვა ამგვარ განთქმულ ნაწარმოებთა.

სად არ დაბეჭდილა¹⁰¹. ნუთუ მართლაც ბ-ნი ბულგარინი სრული ტოლია ბ-ნ ორლოვისა? დაბეჭდვით ვამბობ, რომ არა, რადგან, როგორც მწერალი საზოგადოდ, იგი მასზე შეუდარებლად მაღლა დგას, მაგრამ, როგორც მხატვარი საკუთრივ, მასზე ოდნავ დაბლა დგას. გინდათ თუ არა იცოდეთ, რაში მდგომარეობს მთავარი განსხვავება ჩვენი სიტყვიერების ამ მნათობთა შორის? ერთს მათგანს ბევრი რამ უნახავს, ბევრი გაუგონია, ბევრი წაუკითხავს, ყველგან ყოფილა და დადის; მეორე, საბრალო, არა თუ ესპანეთში არ ყოფილა¹⁰², არამედ რუსეთის საზღვარსაც კი არ გასცილებია. ბულგარინმა იცის ლათინური ენა (თუმცა, ეს ცოდნა ვერ დაამტკიცა ჰორაციუსის ვერავითარმა გამოცემამ¹⁰³ ვერც საკუთარი და ვერც სხვისი შენიშვნებით), მაგრამ მთლად კარგად არც თავისი დედაენა იცის, და ეს არც გასაკვირია: მას შემთხვევა არა ჰქონია მოესმინა კარგი კომპანიის ენა¹⁰⁴. ამრიგად, მთელი საქმე ის არის, რომ ერთის თხზულებანი გაპრიანებულ-გაკრიანებულია, როგორც სასტუმრო ოთახის იატაკი, ხოლო მეორის თხზულებებს ბაზრის ელფერი დაჰკრავს. თუმცაღა, საკვირველი საქმეა: მიუხედავად იმისა, რომ ორივე ისინი მკითხველთა სხვადასხვა კლასისათვის სწერდნენ, მათ თავიანთი საზოგადოება ერთსა და იმავე კლასში ჰპოვეს. და საფიქრებელია, რომ ეს საზოგადოება უფრო მოწყალე თვალთ შეხედავს ალექსანდრე ანთიმოს-ძეს, რადგან იგი უფრო მეტად პოეტია, მაშინ როდესაც ფადეი ბენედიქტეს-ძე უფრო მეტად ფილოსოფოსია, ხოლო პოეზია ფილოსოფიაზე უფრო მისაწვდომია ყველა კლასისათვის.

თითქმის პუშკინთან ერთად გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე ბ-ნი მარლინსკიც. ეს ჩვენი ერთი ყველაზე შესანიშნავი ლიტერატორთაგანია. იგი ახლა უდავოდ ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს: ახლა ყველა მუხლმოყრელია მის წინაშე. თუ ჯერ კიდევ ყველანი ერთხმად არ უწოდებენ მას რუს ბალზაკს, მხოლოდ იმიტომ, რომ შიშობენ დაამცირონ იგი ამით და იმას უცდიან, რომ ფრანგებმა ბალ-

ზაკს ფრანგი მარლინსკი უწოდონ. ამ სასწაულის მოლოდინში ჩვენ უფრო ღინჯად განვიხილოთ მისი უფლება ასეთი უდიდესი ავტორიტეტისადმი. რა თქმა უნდა, საშინელია საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოსვლა და მისი იდეალების წინააღმდეგ აშკარად აჯანყება; მაგრამ მე ამას ჩავდივარ არა იმდენად გამბედაობის გამო, რამდენადაც ჭეშმარიტების უანგარო სიყვარულის გამო. თუმცაღა, ამ შემთხვევაში მე ისიც მამხნევებს, რომ ეს შემზარავი საზოგადოებრივი აზრი იწყებს ნელ-ნელა გონს მოსვლას იმ გამაბრუნებელი დარტყმის შემდეგ, რომელიც მას მიაყენა ბ-ნ მარლინსკის „რუსული მოთხრობების“ სრულმა გამოცემამ. იწყება საეჭვო მითქმა-მოთქმა რაღაც ნაძალადეობაზე, მოსაწყენ ერთფეროვნებაზე და სხვა ამგვარ ამბებზე. ამრიგად, მე გადავწყვიტე გამოვიღე როგორც ახალი საზოგადოებრივი აზრის საყვირი. ვიცი, რომ ამ ახალ აზრს ჯერ კიდევ ერთობ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, ჭეშმარიტება ქვეყნად ყველა ავტორიტეტზე ძვირფასია.

ჩვენს ლიტერატურაში ჭეშმარიტად ნიჭიერი ადამიანების უყოლობის დროს ბ-ნ მარლინსკის ნიჭი, რა თქმა უნდა, მეტად საყურადღებო მოვლენაა. იგი დაჯილდოებულია უზადო მახვილგონიერებით, უნარი აქვს არც თუ იშვიათად ცოცხალი და წარმტაცი თხრობისა, ხანდახან შეუძლია ბუნების საუცხოო სურათების გადმოხატვა. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ ვალიაოთ, რომ მისი ნიჭი მეტისმეტად ცალმხრივია, რომ მისი პრეტენზიები გრძნობის ცეცხლისადმი ფრიალსავე საეჭვოა, რომ მის ქმნილებებში არ არის არავითარი სიღრმე, არავითარი ფილოსოფია, არავითარი დრამატიზმი; რომ, ამის გამო, მისი მოთხრობების ყველა გმირი ერთ კალაპოტშია მოქცეული და ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელებით განსხვავდებიან; რომ იგი თავის თავს იმეორებს ყოველ ახალ ნაწარმოებში; რომ მას ფრაზები უფრო მეტი აქვს, ვიდრე აზრები, რიტორიკული შეძახილები უფრო მეტი, ვიდრე გრძნობის გამოხატულებანი. ჩვენში ცოტანი არიან მწერლები, რო-

მელთაც იმდენი დაეწეროთ, რამდენიც ბ-ნ მარლინსკის. მაგრამ ეს სიუხვე წარმოსდგება არა უდიდესი ნიჭისაგან, არა კარბი შემოქმედებისაგან, არამედ წერის ჩვეულებისაგან. თუ თქვენ გაქვთ ცოტადენი ნიჭი მაინც, თუ შეგიძენიათ ცოდნა კითხვით, თუ მოგიმარაგებიათ იდეების გარკვეული რაოდენობა და მათთვის თქვენი ხასიათის, თქვენი პიროვნების ერთგვარი ელფერი მიგიციათ, — მაშინ კალამი აიღეთ და თამაშად სწერეთ დილიდან დაღამებამდე. ბოლოს და ბოლოს, თქვენ ისე გავარჯიშდებით, რომ შეგეძლებათ ყოველ ჟამს, ყოველგვარი სულიერი განწყობილების დროს სწეროთ რაზედაც გნებავთ. თუ თქვენ მოფიქრებული გაქვთ რამდენიმე საუცხოო მონოლოგი, აღარ გაგიჭირდებათ მიაკეროთ მათ რომანი, დრამა, მოთხრობა; ოღონდ ფორმისა და სტილისათვის იზრუნეთ: ისინი ორიგინალური უნდა იყოს.

საგნების შეცნობა ყველაზე უკეთ შედარებით შეიძლება. თუ ორი მწერალი ერთსა და იმავეზე სწერს და რაიმე მსგავსება აქვთ ერთმანეთთან, მაშინ მათი ურთიერთის მიმართ შეფასება სხვაგვარად შეუძლებელია, თუ არა პარალელური ადგილების გამოტანით; ეს საუკეთესო საშუალებაა. შეხედეთ ბალზაკს: ამ კაცმა ძალიან ბევრი დასწერა, და, მიუხედავად ამისა, აბა თუ იპოვნით მის მოთხრობებში თუნდაც ერთ ხასიათს, თუნდაც ერთ პირს, რომელიც რამდენადმე წააგავდეს მეორეს? ო, ეს არის მიუწვდომელი ხელოვნება ხასიათების ასახვისა მათი ინდივიდუალობის მთელი ელფერით! განა თქვენ თან არა გღევთ ეს მრისხანე და ცივი სახე ფერაგუსისა, განა არ მოგლანდებიათ ის ძილშიაც და ცხადლივაც. განა ყველგან არ აგდევნებიათ აჩრდილივით? ო. თქვენ მას იცნობდით ათასთა შორის; და, იმავე დროს, ბალზაკის მოთხრობაში იგი ჩრდილში დგას, ოღნავ. გაკვირით არის მოხაზული და ამოფარებულია იმ პირებზე, რომელთა გარშემო თავს იყრის პოემის მთავარი ინტერესი. რატომ აღძრავს ეს პირი მკითხველში ესოდენ თანაგრძნობას და ასე ღრმად იჭრება მის გონებაში? იმიტომ, რომ ბალზაკმა იგი კი არ გამოიგონა,

არამედ შეჰქმნა; იმიტომ, რომ იგი მას მანამდე ეჩვენებოდა, ვიდრე მოთხრობის პირველი სტრიქონი დაიწერებოდა; რომ იგი მხატვარს მანამდე აწვალებდა, სანამ მან იგი თავისი სულის სამყაროდან არ გამოიყვანა და ყველასათვის მისაწვდომ მოვლენად არ აქცია. აი, ჩვენ ახლა სცენაზე ვხედავთ მეორესაც „ცამეტნი“-დან. ფერაგუსი და მონრივო, ეტყობა, ერთი ყალიბისა არიან: ადამიანები ღრმა სულით, როგორც ფსკერი ზღვისა, დაუძლეველი ნებისყოფის ძალით, როგორც ნებისყოფა ბედისა. და მაინც, გეკითხებით თქვენ: წააგავან თუ არა ისინი თუნდაც რამდენადმე ერთმანეთს, არის თუ არა მათ შორის საერთო რამ? რამდენი ქალის პორტრეტი დახატა ბალზაკის წაყოფიერმა ყალამმა, მაგრამ გაიმეორა თუ არა მან თავისი თავი თუნდაც ერთ მათგანში?.. ასეთია თუ არა ამ მხრივ ბ-ნ მარლინსკის ქმნილებანი? მისი ამაღლათ-ბეკი, მისი პოლკოვნიკი ვ***, მისი „საზარელი მკითხაობის“ გმირი, მისი კაპიტანი პრაეინი — ყველა ისინი ღვიძლი ძმები არიან, რომელთა გარჩევა თვით მათ მშობლებსაც კი გაუძნელდება. მხოლოდ პირველი მათგანი თუ განსხვავდება ცოტაოდნავ სხვებისაგან თავისი აზიური კოლორიტით. მაშ სადღაა შემოქმედება? ანადაც რამდენი ნაძალადეობაა! შეიძლება ითქვას, რომ ნაძალადეობა ბ-ნ მარლინსკის ფარ-ხმალია, რომელსაც იგი იშვიათად იშორებს. მისი მოთხრობების არც ერთი მოქმედ პირთაგანი სიტყვას უბრალოდ არ იტყვის, არამედ ლაპარაკობს მუდამ მანქვა-ღმეჭით, მუდამ ეპიგრამით, ან კალამბურით, ანდა მიმსგავსებით; ერთი სიტყვით, ბ-ნ მარლინსკის ნაწერებში ყველაფერი არაბუნებრივია, მისი ყოველი სიტყვა დაღვლარჯნილია. სიმართლე უნდა ითქვას: ბუნებამ ქარბად დააჯილდოვა იგი ამ მხიარული და გულკეთილი მახვილგონიერებით, რომელიც ჩხვლეტს, მაგრამ არ გესლავს, უღიტინებს, მაგრამ არ კბენს. მაგრამ იგი აქაც კი ხშირად აჭარბებს. მას აქვს მთელი უზარმაზარი მოთხრობები, როგორც, მაგალითად, „თავდასხმები“, რომლებიც არსებითად სხვა არაფერია, თუ არა უდიდესი ნაძალადეობა. მას აქვს

ნიჭი, მაგრამ არა დიდი ნიჭი; ნიჭი, დაუძღვრებელი *მედიკალი* იძულებით, გაცვეთილი და დანჯღრეული ნაძალადევი მრხტილგონიერების ჯირკვებსა და კუნძებზე. მე მგონია, რომანი მისი საქმე არ არის, რადგან იგი სრულებით არ იცნობს ადამიანის გულს და სავსებით მოკლებულია დრამატულ ტაქტს. რატომ აიძულა მან, მაგალითად, თავადი, რომლისთვისაც მთელი მიწიერი და ზეციური სიხარული ხაჰანაშკაში მდგომარეობდა და გემრიელი სუფრა მუდამ ცოლზე და მის პატიოსნებაზე ძვირფასი იყო, რატომ აიძულა მან იგი წაშლილი მოეთქვა პათეტიკური მონოლოგი მისი საქორწილო სარეცელის წამბილწველის წინააღმდეგ, მონოლოგი, რომელიც თვით პრავეინსაც კი პატივს დასდებდა? ეს უბრალო ძალდატანება და კულისებში მიმალული კონკილაა. ავტორს უნდოდა ყოფილიყო ზნეობრივი ბ-ნ ბულგარინის ყაიდაზე. საერთოდ იგი არ არის კულისებში გამართული იმ მანქანების დაფარვის ოსტატი, რომლებზეც მისი მოთხრობების შენობა ტრიალებს; მის მოთხრობებში ეს მანქანები ყოველთვის მოჩანს. თუმცა, მის მოთხრობებში ხანდახან გვხვდება ჰუმბოლტად მშვენიერი ადგილები, ჰუმბოლტად ოსტატური ნარკვევები. ასეთია, მაგალითად, უბრალო ხალხიდან გამოსული რუსი მეფისტოფელის აღწერა და საერთოდ სოფლის ყოფა-ცხოვრების ყველა სცენა „საზარელ მკითხაობაში“; ასეთია ბუნებიდან გადმოღებული მრავალი სცენა, გარდა „კავკასიის ნარკვევებისა“, რომლებიც იმდენად ნაძალადევია, რომ გულს აგირვთ, ნაძალადევია nec plus ultra-მდე. ჩემი აზრით, მისი საუკეთესო მოთხრობებია „განსაცდელი“ და „ლეიტენანტი ბელოზორი“. ამ მოთხრობებში შეიძლება სულითა და გულით დასტკბეთ მისი ნიჭით, რადგან აქ იგი თავის კალაპოტშია. იგი დასცინის თავის მელექსეობას. მაგრამ, მე მგონია, მისი თარგმანი მთივლების სიმღერებისა „ამალათ-ბეკში“ მთელ მოთხრობას სჯობს: ამ სიმღერებში იმდენად ბევრი გრძნობა და ორიგინალობაა, რომ პუშკინსაც კი არ შერცხვებოდა ისინი თავისად გამოეცხადებინა. სწორედ ასევე, მის „ანდრია პერეიასლავსკში“, განსაკუთ-

რებით მეორე თავში, გვხვდება ჭეშმარიტად პოეტური ადგილები, თუმცა მთელ ნაწარმოებში მეტად საგრძნობია მოუმწიფებლობა. ბ-ნ მარლინსკში ყველაზე უფრო უცნაურია, რომ მან ამასწინათ საკვირველი მორიდებით აღიარა ისეთი ცოდვა, რომელშიაც იგი სულიან-ხორციანად უდანაშაულოა: აღიარა, თითქოს მან თავისი მოთხრობებით კარი გაუღო ხალხურობას რუსულ ლიტერატურაში. აი ეს კი ნამდვილი ტყუილია! ეს მოთხრობები მის ყველაზე მარცხიან ცდებს მიეკუთვნება; ამ მოთხრობებში იგი ხალხურია არა უმეტეს კარამზინისა, რადგან მის რუსეთს მისი სანუკვარი და საყვარელი ლივონიის მძაფრი ელფერი დაჰკრავს. დრო და ადგილი საშუალებას არ მაძლევს ბ-ნ მარლინსკის თხზულებათა ამონაწერებით დავასაბუთო ჩემი აზრი მისი ნიჭის შესახებ, თუმცაღა, ეს ძალიან ადვილი საქმეა. მისი სტილის შესახებ არ ვლაპარაკობ. ახლა სიტყვა სტილი თანდათან ჰკარგავს თავის წინანდელ ფართო მნიშვნელობას, რადგან მას უკვე აღარ გამოჰყოფენ აზრისაგან. ერთი სიტყვით, ბ-ნი მარლინსკი უნიჭო მწერალი არაა, და გაცილებით უფრო მალლა იდგომებოდა, უფრო ბუნებრივი და ნაკლებად ნაძალადევი რომ ყოფილიყო¹⁰⁷.

პუშკინის პერიოდი ჩვენი სიტყვიერების ყველაზე მეტი აყვავების ხანა იყო. საჭირო იყო მისი ისტორიული და ქრონოლოგიური წესით მიმოხილვა. მე ეს არ მომიხდენია, რადგან ჩემი მიზანი სხვა იყო. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მაშინ ჩვენ გვქონდა, თუ ლიტერატურა არა, ყოველ შემთხვევაში, ლიტერატურის აჩრდილი მაინც; რადგან მაშინ ლიტერატურაში იყო მოძრაობა, სიცოცხლე და რაღაც თანდათანობითი განვითარებაც კი. რამდენი ახალი მოვლენა, რამდენი ტალანტი, რამდენი ცდა ერთისაც და მეორისაც! ჩვენ კინაღამ მართლაც გულწრფელად დავიჯერეთ, რომ გვაქვს ლიტერატურა, გვეყვანან ჩვენი ბაირონები, შილერები, გოეთენი, ვალტერ-სკოტები, ტომას მურები. ჩვენ ისე ვიყავით გახარებულნი და გაამაყებულნი, როგორც ბავშვები სადღესასწაუ-

ლო ახალი ტანსაცმლით. და ვინ იყო ჩვენი გულის გამტეხი, ჩვენი მეფისტოფელი? ვინ მოგვევლინა ძლიერი და მრისხანე რეაქციით და ბევრად შეანელა ჩვენი აღტაცება? გახსოვთ თუ არა ნიკოდიმ არისტარხის-ძე ნაღოშმკო; გახსოვთ თუ არა, როდესაც იგი სცენაზე გამოვიდა თავისი თიხის ფეხებით, როგორ გაფანტა ჩვენი ტკბილი ოცნებანი თავისი გულკეთილმზაკვრული ხითხითით: ხე! ხე! ხე!¹⁰⁶ გახსოვთ თუ არა, როგორ ჩავებლაუქეთ ყველანი ჩვენს დიდსა და პატარა ავტორიტეტებს და ხელებითაც და ფეხებითაც ვიცავდით მათ მრისხანე არისტარხის თავდასხმებისაგან? თქვენი არ ვიცოდა მე კი ძალიან კარგად მახსოვს, რომ ყველანი უჯავრდებოდნენ მას; მახსოვს, როგორ ვუჯავრდებოდი მე თვითონ. შერე რა მოხდა? დიდი ნაწილი მის ავისმომასწავებელ წინასწარმეტყველებათა უკვე ახდა, და ახლა უკვე არავინ უჯავრდება განსვენებულს!.. დიას! ნიკოდიმ არისტარხის-ძე შესანიშნავი პიროვნება იყო ჩვენს ლიტერატურაში: რამდენი განგაში ასტეხა მან, რამდენი სისხლისმღვრელი ომი მოახდინა, რა მამაცურად იბრძოდა, რა სასტიკად ამარცხებდა თავის მოწინააღმდეგეებს როგორც ამ სტილით, რომელიც ზოგჯერ უხამსობამდე ორიგინალური, მაგრამ ყოველთვის მკვახე და მარჯვე იყო, ისე ამ მტკიცე სილოგიზმითა და გულუბრყვილო და თანაც მომაკვდინებელი გაქირდვით...

სადღაა შენ, ვეამი, რაინდო,

რომელ საფლაფში განისვენებს ის?...¹⁰⁷

რას ვიტყვი იმდროინდელ ჟურნალებზე? ნუთუ არაფერს? ამ ჟურნალებმა მაშინ დიდი მნიშვნელობა მიიღეს საზოგადოების თვალში, თავის თავისადმი მეტად ცხოველ თანაგრძნობას იწვევდნენ, ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრუ-
8. ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

ლებდნენ!.. ვიტყვი, რომ თითქმის ყველა ისინი, ნებსით და უნებლიეთ, განზრახ და განუზრახველად, ხელს უწყობდნენ ჩვენში ახალი წარმოდგენებისა და შეხედულებათა გავრცელებას; ჩვენ ამ უურნალებით ვსწავლობდით და გავიწაფეთ. ყველა ამ უურნალმა გააკეთა ყოველივე, რის გაკეთებაც თითოეულს თავისი ძალების მიხედვით შეეძლო. რომელმა გააკეთა მეტი? ამაზე გადაჭრითი პასუხის გაცემა არ შემძლია, ვინაიდან, განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომლებიც, თუმცადა, მნიშვნელოვანია მხოლოდ ჩემთვის, არ შემძლია ვთქვა ყველაფერი, რასაც ვფიქრობ. მე კარგად მახსოვს კეთილგონიერული წესი მონტანისა და მშვენივრად მაქვს შეგნებული მრავალი ჭეშმარიტება. მთავარი ისაა, რომ მე მეტად გამოუცდელი ვარ ქამელეონისტიკაში და სულელური ჩვეულება მაქვს დავაფასო ჩემი აზრები, არა როგორც ლიტერატორისა და მწერლისა (მით უმეტეს, რომ მე ჯერ-ჯერობით არც ერთი ვარ. და არც მეორე), არამედ როგორც პატიოსანი და კეთილსინდისიერი ადამიანისა; და მე სინდისი როგორღაც ნებას არ მაძლევს ხოტბა შევასხა ერთ უურნალს და სამართლიანად არ მივუგო მეორეს...¹⁰⁸ რა ექნა, ჩემი წარმოდგენებით მე ჯერ კიდევ არკადიას ვეკუთვნი!.. მაშ ასე: არც ერთი სიტყვა უურნალებზე! ახლა ვუცქერი ჩემს უზარმაზარ მაგიდას, რომელზეც დასტებად აწყვია ეს განსვენებული უურნალები, აწყვია ისე, როგორც კუბოში, ერთიმეორესთან შერიგებულნი ჩემი სიზარმაცით და ჩემი ოთახის უწყესრიგობით, აწყვია არეულ-დარეული, ერთიმეორეზე, — სევდიანი ღიმილით ვუცქერი მათ და ვამბობ:

ეს ყოველივე სიმდიდრეა, სიკეთე არის!

ლიტერატურული ოცნებანი

(დასასრული)

კიდეც ერთი რამ აშბავი მცირე,
და — შატინე ზემი დამთავრდა!
პ უ შ კ ი ნ ი.

1

ხოლერიანი ოცდაათი წელი ჩვენი ლიტერატურისათვის ნამდვილი შავბნელი წელიწადი, ნამდვილი საბედისწერო ეპოქა იყო; ამ დროიდან დაიწყო ჩვენი ლიტერატურის არსებობის სრულიად ახალი პერიოდი, რომელიც თავისი დასაწყისითვე მკვეთრად განსხვავდებოდა წინა პერიოდისაგან. მაგრამ ამ ორ პერიოდს შორის არავითარი გარდამავალი ხანა არ ყოფილა; ამის ნაცვლად იყო რაღაც ძალდატანებითი შეწყვეტა. ბუნების საწინააღმდეგო მსგავსი ნახტომები, ჩემი აზრით, ყველაზე უკეთ ადასტურებენ იმას, რომ ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა, და, მაშასადამე, არც ლიტერატურის ისტორია გვაქვს; ვინაიდან ამ ლიტერატურაში არც ერთი მოვლენა არ ყოფილა შედეგი მეორე მოვლენისა, არც ერთი ამბავი არ გამომდინარეობდა მეორე ამბიდან. ჩვენი სიტყვიერების ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ისტორია უცხოური ლიტერატურებისადმი ბრმა მიბაძვის საშუალებით საკუთარი ლიტერატურის შექმნის ფუჭი ცდებისა; მაგრამ ლიტერატურას არა ჰქმნიან; იგი იქმნება ისევე, როგორც, ხალხის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად და მის ნებადაურთველად, იქმნება ენა და ზნე-ჩვეულება. ამრიგად, ოცდაათი წლით გათავდა, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, უეცრად შეწყდა პუშკინის პერიოდი, რადგან გათავდა თვით პუშკინიც, ხოლო მასთან ერთად შეწყდა მისი გავლენაც. მას შემდეგ თითქმის არც ერთი წინანდებური ბგერა არ მოსწყვეტია მის ქნარს. მისი თანამშრომელნი, მისი ამხანაგები მხატვრულ მოღვაწეობაში თავიანთ ძველ სიმღერებს იმეორებდნენ, თავიანთ ჩვეულებრივ ოცნებებს ეძლეოდნენ, მაგრამ მათ უკვე აღარავინ უსმენდა. სიძველე ყველას მოყირკდა და კბილი მოჰკვეთა, ხოლო ახალს მათგან ვერაფერს გაიგონებდით, რადგან

ისინი იმავე მიჯნაზე დარჩნენ, რომელსაც თავისი პირველი გამოჩენისთანავე მიაღწიეს, და იქიდან ფეხის მოცვლა არ უნდოდათ. ყველა ჟურნალი მოკვდა, თითქოს დამბლა დაეცათ ან ნამდვილად ხოლერა-მორბუსი შეეყარათ¹⁰⁰. ამ უეცარი სიკვდილის თუ ამ ჭირის მიზეზი იგივე იყო, რაც მიზეზი იმისა, რომ ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა. თითქმის ყველა ეს ჟურნალი სრულიად ზედმეტად გაჩნდა, ისე, უსაქმურობისაგან ან აურზაურის ატეხვის სურვილისაგან, და ამიტომ მათ არც თავისი ხასიათი ჰქონდათ, არც დამოუკიდებლობა, არც ძალა და არც საზოგადოებაზე გავლენა, და დაუტირებლად უდროოდ ჩავიდნენ საფლავეში. მხოლოდ ორი მათგანისთვის შეიძლება გამოჩინების გაკეთება; მხოლოდ ორი მათგანი წარმოადგენს საინტერესო, ჭკუის სასწავლ და მდიდარ შედეგს მეთვალყურისათვის. ერთი, მოხუცი, რომელიც ხელით დაატარებდა ხოლმე ჩვენს ჭაბუკ საზოგადოებას, ძველთაგანვე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და დესპოტურად მართავდა ლიტერატურულ შეხედულებებს; მეორე, ახალგაზრდა, სულით მგზნებარე, კეთილშობილური მისწრაფებით სწავრთო სარგებლობისადმი, რომელიც ყველა საშუალებით ცდილობდა თავისი მშვენიერი მიზნის მიღწევას და მაინც ვერ მიაღწია მას. ჟურნალმა „ვესტნიკ ევროპი“ რამდენიმე თაობა გამოიცვალა, რამდენიმე თაობა აღზარდა, რომელთაგან მის მიერ გამოზრდილი უკანასკნელი თაობა სასტიკად აუჯანყდა მასვე; მაგრამ იგი ყოველთვის ერთი და იგივე რჩებოდა, არ იცვლებოდა და უკანასკნელ ძალ-ღონემდე იბრძოდა. ეს იყო კეთილშობილური ბრძოლა, ღირსი ყოველგვარი პატივისა, ბრძოლა არა პირადი წვრილმანი სარგებლობის გამო, არამედ გულითადი და სისხლხორცეული შეხედულებებისა და რწმენის გამო. ეს ჟურნალი მოჰკლა დრომ და არა მოწინააღმდეგეებმა; და ამიტომაც მისი სიკვდილი იყო ბუნებრივი და არა ძალადური*. „მოსკოვსკი ვეს-

* საინტერესო ამბავია. ბ-ნმა კაჩენოვსკიმ, რომელმაც თავის წინააღმდეგ ააჯანყა პუშკინის თაობა და მისი უსასტიკესი თავდასხმებისა და მისგან დევნის საგანი გახდა, როგორც ლიტერატურული მოღვაწე და

ტნიკს“ დიდი ღირსებები, დიდი ჰკუა, დიდი ტალანტი და მგზნებარება ჰქონდა, მაგრამ მცირე, მეტისმეტად ცოტა გულისხმიერება და მიხვედრა გააჩნდა, და ამიტომ თვითონვე იყო მიზეზი თავისი ნაადრევი სიკვდილისა. სიცოცხლის ეპოქაში, აზრთა და შეხედულებათა ბრძოლისა და შეტაკების ეპოქაში, მან განიზრახა გაეტარებინა რაღაც ზომიერების სულისკვეთება და მწვავე მსჯელობისაგან განსე გამოდგარიყო. იგი გაქვდილი იყო საქმიანი და სამეცნიერო სტატიებით,

მსაჯული, შექვღომ თაობაში ჰყოვა თავგამოღებული მიმდევრები და დამცველები, როგორც მეცნიერმა, როგორც მშობლიური ისტორიის მკვლევარმა¹¹⁰. თუმცა, ეს სრულებით არაა გასაკვირველი: ერთ ადამიანს არ შეუძლია თავის თავში მოათავსოს ყველაფერი; ყოვლისშომკველა გონება და მრავალჭრივი ტალანტი მცირე რჩეულთა ხვედრია. ამიტომ ბ-ნ გოგოლთან წაიკიახეთ მისი მშვენიერი ზღაპრები, ხოლო ბ-ნ კაჩენოვსკისთან — მისი, ანდა მისი გავლენით და ხელმძღვანელობით დაწერილი, სტატიები რუსეთის ისტორიაზე, და გახსოვდეთ ლათინური ანდაზა *Suum cuique*¹¹¹, ხოლო ყველაზე მეტად დაიხსომეთ ბრძნული წესი ჩვენი დიდი ივავთმწერლისა:

აზი არის, ვინც ღალატობს
ხელობას და ბედისწერას!
წყალში მცურავ ღლავს რა რჯიდა
შშრაღზე თავგვირთხების ქერას?

მე მეცნიერი არ ვარ, და ისტორიისა ძალიან ცოტა მესმის; ვმსჯელობ არა როგორც მცოდნე, არამედ როგორც მოყვარული. მაგრამ განა საზოგადოებაც მოყვარულთაგან არ შესდგება? ამიტომ მოყვარულის ყოველგვარი კეთილსინდისიერი აზრი ეროვნური ყურადღების ღირსი უნდა იყოს, მით უმეტეს, თუ ეს აზრი საზოგადო, ე. ი. გაბატონებული აზრის, გამოძახილია. ახლა ჩვენში რაი ისტორიული სკოლაა: შლევცერისა და ბ-ნ კაჩენოვსკისა. ერთი ეყრდნობა მისი დამაარსებლის ავტორიტეტის სიძველეს, ამ ავტორიტეტისადმი შეჩვევას და პატივისცემას; მეორე. რაძღენდაც მე მესმის, ეყრდნობა საღ აზრსა და ღრმა მეცნიერულობას. თუმცა უქანასკნელში ვერ ვერკვევი, მაგრამ ერთგვარი პრეტენზია მაქვს პირველზე, რის გამოც მე მგონია მეტად ბუნებრივია ის. რომ ახლანდელმა თაობამ, რომლისთვისაც უცხოა ძველი ღრმის მოგონებანი და ავტორიტეტების წინასწარჩვენა, მხურვალედ მიიღო ბ-ნ კაჩენოვსკის ისტორიული შეხედულებანი. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურა ჩემი საქმე არაა: ეს ისე ვთქვი, სხვათა შორის, à propos. მთხზ.

მაგრამ მკლე იყო რეცენზიებითა და პოლემიკით, რომლებიც ჟურნალის სიცოცხლეს შეადგენენ; ღარიბი იყო მოთხოვნებით, ურომლისოდაც რუსული ჟურნალი წარმატებას ვერ მიაღწევს, და, რაც ყველაზე მეტად შემზარავია, იგი არ აწარმოებდა მოდების დაწვრილებითსა და გარკვეულ მათიანეს და თავის ნომრებს თან არ ურთავდა მოდურ სურათებს, უამისოდ კი რუს ჟურნალისტს ხელისმომწერთა იმედი არ უნდა ჰქონდეს. რა უნდა ექნათ? მცირე და, როგორც ჩანს, უბრალო დათმობათა გარეშე ხელსაყრელი ზავის დადება შეუძლებელია. „მოსკოვსკი ვესტნიკ“ მოკლებული იყო თანამედროვეობას, და ახლა შეგიძლიათ წაიკითხოთ ის, როგორც კარგი წიგნი, რომელიც არასოდეს არა ჰკარგავს თავის ფასს, მაგრამ ჟურნალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ის არასოდეს არ ყოფილა. ჟურნალისტები, ისევე როგორც პოეტები, იბადებიან და ჟურნალისტები არიან მოწოდებით. მე არ მინდოდა ჟურნალებზე მელაპარაკნა და რაღაც ძალაუუნებურად გავერთე. ამიტომ, რაკი მიცვალებულებზე ვლაპარაკობ, ორიოდ სიტყვას ვიტყვი ერთი ცოცხალის შესახებ, თუმცაღა არ მოვიხსენიებ მის სახელს, რომლის გამოცნობა მეტად ადვილია. იგი უკვე დიდი ხანია არსებობს: იყო ერთეული, შემდეგ დაწყვილდა და ბოლოს სამმაგი გახდა, და თავის თანამოძმეთაგან მუდამ განსხვავდებოდა რაღაცნაირი განსაკუთრებული უსახურობით¹². მაშინ როდესაც „ვესტნიკ ევროპი“ წმინდათაწმინდა სიძველეს იცავდა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდა საძულველ სიახლეს, მაშინ როდესაც ახალი ჟურნალების ნორჩი თაობა, თავის მხრივ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდა მოსაწყენი, მობეზრებული სიძველის წინააღმდეგ და კეთილშობილური თავგანწირულებით ცდილობდა საუკუნის დროშის აღმართვას,— ჟურნალმა, რომელზეც ვლაპარაკობ, თავისთვის შეიმუშავა ახალი ესთეტიკა, და ამ ესთეტიკის მიხედვით მაღალი და მშვენიერი იყო ის ქმნილება, რომელიც მრავალ ეგზემპლარად იბეჭდებოდა და კარგად იყიდებოდა. მან შეიმუშავა ახალი პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მწერალი დღეს ბაირონზე მაღლა

იღგა, ხვალ კი chute complète-ს¹¹⁸ განიცდიდა. ამ სწორედ ამ კეთილგონივრული პოლიტიკის შედეგად ზოგიერთი ჩვენი ვალტერ-სკოტი სწერდა მოთხრობებს ნიკანდრ სვისტუშკო-ნებზე, პოემების: „ურიების“ და „ქუჩაღების“ ავტორებს¹¹⁹ და სხვ. და სხვ.¹²⁰ ერთი სიტყვით, ეს ექსტრაორდინარული და უმაგალითო მოვლენა იყო ჩვენს ლიტერატურაში.

ამრიგად, დადგა სიტყვიერების ახალი ბეჭდოვანი გეგმა მეთაური ჩვენი მოუმწიფებელი სიტყვიერების ამ ასაკის. ამ მეოთხე პერიოდისა? ვინ მიიპყრო, მსგავსად ლონგინოსისა, კარამზინისა და პუშკინისა, საზოგადოებრივი ყურადღება და აზრი, ვინ მართავდა ამ უკანასკნელს თვითმპყრობელურად. ვინ დაასვა თავისი გენიის დალი თავისი დროის ნაწარმოებებს, ვინ შთაბერა მას სიცოცხლე და მიმართულება მისცა იმდროინდელ ტალანტებს? ვინ იყო-მეთქი, ამ ახალი მსოფლიო სისტემის მნათობი? ვაგლახ! არავინ, თუმცა ბევრი აცხადებდა პრეტენზიას ამ მაღალ ტიტულზე. პირველად მოგვევლინა ლიტერატურა ისე, რომ მას არა ჰყავდა უმაღლესი მეთაური, და იგი უზარმაზარი მონარქიიდან დაიშალა მრავალ წვრილ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომლებიც ურთიერთს შურით უცქეროდნენ და მტრობდნენ. ჭკვიანი ადამიანი ბევრი იყო, მაგრამ ისინი ისევე ჩქარა ემხოზობოდნენ, როგორც ჩქარა მალღებოდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, ეს პერიოდი არის პერიოდი ჩვენი ლიტერატურული ისტორიისა უმეფობისა და ცრუმოსახელეთა შავბნელ ხანაში.

როგორც პუშკინის პერიოდი წარმოადგენდა კარამზინის პერიოდის წინააღმდეგობას, ისევე ეს პერიოდი წარმოადგენდა პუშკინის პერიოდის წინააღმდეგობას. მოქმედება და სიცოცხლე დასრულდა; ზარბაზნების ჭექა-ქუხილი მიწყდა, და დაქანცულმა სახელმთხვეჭილმა მებრძოლებმა ხმლები ქარქაშში ჩააგეს, თანაც თითოეული თავის თავს მიაწერდა გამარჯვებას, თუმცა არც ერთს არ მოუპოვებია ის ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მართალია, თავდაპირველად, განსაკუთრებით პირველი ორი წლის დასაწყისს, კიდევ თავგან-

წირვით იბრძოდნენ, მაგრამ ეს უკვე ახალი ომი კი არ იყო, არამედ ძველის დასასრული: ეს იყო ოცდაათწლიანი ომი გუსტავ ადოლფის სიკვდილისა და ვალენშტაინის დაღუპვის შემდეგ. ახლა ეს სისხლისმღვრელი ომიც დამთავრდა, მაგრამ ვესტფალიის ზავის შეუკვრელად, ლიტერატურისათვის არადამაკმაყოფილებელი შედეგებით. პუშკინის პერიოდი განირჩეოდა რაღაც შმაგი მანიით მელექსეობისადმი; ახალმა პერიოდმა, ჯერ კიდევ თავის დასაწყისშივე, აშკარა მიდრეკილება გამოიჩინა პროზისადმი. მაგრამ, ვაგლახ! ეს იყო არა ნაბიჯი წინ, არა განახლება, არამედ შემოქმედებითი მოღვაწეობის გაღატაკება და გამოფიტვა. მართლაცდა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ახლა უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობენ, თითქოს ჩვენს დროში საუკეთესო ლექსებსაც კი არ შეუძლიათ რაიმე წარმატებას მიაღწიოსო. სულელური აზრია! ცხადია, რომ ეს აზრი, ისევე როგორც ყველაფერი, ჩვენ კი არ გვეკუთვნის, არამედ თავისუფალი მიბაძვაა ჩვენი ევროპელი მეზობლების აზრებისადმი. იქ ხშირად იმეორებდნენ, ჩვენს საუკუნეში ეპოპეა ვერ იარსებებსო, ახლა კი, ეტყობა, იმ აზრს ადგანან, რომ ჩვენს დროში დრამასაც ბოლო მოეღოო. ამგვარი აზრები მეტად უცნაური და უსაფუძვლოა. პოეზია ყველა ხალხში და ყოველ დროში თავისი არსებით ერთი და იგივე იყო; იცვლებოდა მხოლოდ ფორმები როგორც საზოგადოდ მთელი კაცობრიობის, ისე კერძოდ თითოეული ხალხის სულისკვეთების, მიმართულებისა და წარმატების კვალობაზე. პოეზიის გვარებად დაყოფა თვითნებობა როდია; ამ დაყოფის მიზეზი და საჭიროება თვით ხელოვნების არსში იმალება. პოეზიას მხოლოდ სამი გვარი აქვს და არ შეიძლება მეტი ჰქონდეს. ყოველი ნაწარმოები, რომელ გვარსაც უნდა ეკუთვნოდეს ის, ყველა საუკუნეში და ყოველ წუთს კარგია, როდესაც იგი თავისი სულისკვეთებითა და ფორმით თავისი დროის დაღს ატარებს და მის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. სადღაც ითქვა, რომ გოეთეს „ფაუსტი“ ჩვენი დროის „ილიადა“ არისო. აი აზრი, რომელსაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ! და მართლაც, განა ვალტერ-სკოტიც აგრე-

თვე ჩვენი ჰომეროსი არ არის როგორც ეპიკოსი, თუ როგორც დროის სრული სულისკვეთების გამომხატველი არა? ასეა ახლაც ჩვენში: ახალი პუშკინი რომ გამოჩენილიყო, მაგრამ არა 1835 წლის პუშკინი, არამედ პუშკინი 1829 წლისა, რუსეთიც ხელახლა დაიწყებდა ლექსების დაწებობას. მაგრამ აბა ვინ იქნება ისეთი, გარდა ex officio უბედური მკითხველებისა, რომელიც თუნდაც გულში გაივლებს თვალი გადაავლოს ჩვენი ახალი ლექსთმკეთებლების: ბბ. ერშოვების, სტრუგოვშიჩკოვების, მარკოვების, სნეგირევეებისა და სხვ. ნახელავს?..

რომანტიზმი — აი პირველი სიტყვა, რომელიც ხმამაღლა გაისმა პუშკინის პერიოდში; **ხალხურობა** — აი ახალი პერიოდის ალფა და ომეგა. როგორც მაშინ ყოველი მჯღაბნელი ტყავში ძვრებოდა, რათა რომანტიკოსის სახელი გაეარდნოდა, ისე ახლა ყოველი ლიტერატურული მასხარა სახალხო მწერლის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას. **ხალხურობა** — მშვენიერი სიტყვაა! რა არის მის წინაშე თქვენი რომანტიზმი! მართლაც, ეს ხალხურობისაყენ მისწრაფება ფრიად შესანიშნავი მოვლენაა. ჩვენს რომანისტებზე და საზოგადოდ ახალ მწერლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შეხედეთ, რას აკეთებენ ჩვენი სიტყვიერების დამსახურებული კორიფეები. ყუკოვსკიმ, ამ პოეტმა, რომლის გენია მუდამ მიჯაჭვული იყო ნისლიან ალბიონზე და ფანტასტიკურ გერმანიაზე, უცბად დაივიწყა თავით ფეხამდე აბჯარში ჩამჯდარი თავისი პალადინები, თავისი მშვენიერი და ერთგული პრინცესები, თავისი, ჯადოსნები და თვალწარმტაცი ციხე-კოშკები, და რუსული ზღაპრების წერას შეუდგა... განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ეს რუსული ზღაპრები ისევე არაა შეწყობილი რუსულ სულთან, რომელსაც მათში ვერც იგრძნობთ და ვერც დაინახავთ, როგორც არაა შეწყობილი რუსულ ზღაპრებთან ბერძნული ან გერმანული ჰეგზამეტრი?.. მაგრამ ნუ ვიჭნებით მეტად მკაცრი მძლავრი ტალანტის ამ შეცდომის მიმართ, ტალანტისა, რომელიც ეპოქის სულს გაუტაცნია. ყუკოვსკიმ სავსებით დაასრულა თავისი სარბიელი და ღვაწლი. ჩვენ უფლება აღარ გვაქვს რასმე მოველოდეთ მისგან. აი, სხვა საქმეა

პუშკინი: უცნაური ამბავია, რომ ეს არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელსაც სრულებით არ უჭირდა ყოფილიყო ხალხური მაშინ, როდესაც იგი არ ცდილობდა ხალხურობას, ესოდენ ნაკლებ ხალხურია ახლა, როდესაც გულით სწადია ხალხური იყოს; უცნაური ამბავია, რომ იგი ახლა ცდილობს რაღაც მნიშვნელოვან რამედ მოგვაჩვენოს ის, რასაც წინათ გზადაგზა ფანტავდა, როგორც ზედმეტს ან ფუფუნების საგანს. მე მგონია, ეს ხალხურობისადმი მისწრაფება იქიდან წარმოსდგა, რომ ყველამ ცხოვლად იგრძნო არასიმტკიცე ჩვენი მიბაძვითი ლიტერატურისა და მოინდომა შექმნა ხალხური ლიტერატურისა, როგორც წინათ მიბაძვითი ლიტერატურის 'შექმნას ცდილობდნენ. ამრიგად, ისევ მიზანი, ისევ ძალდატანება, ისევ ძველი სიმღერა ახალ ხმაზე? მაგრამ განა კრილოვი იმიტომაა უაღრესად ხალხური მწერალი, რომ ცდილობდა ხალხური ყოფილიყო? არა, იგი ამაზე სრულებითაც არ ფიქრობდა. იგი ხალხური იყო იმიტომ, რომ არ შეეძლო ხალხური არ ყოფილიყო; იგი ხალხური იყო შეუუგნებლად, და საეჭვოა სცოდნოდა ფასი ამ ხალხურობისა, რომლითაც სრულიად უშრომლად და ძალდაუტანებლად აღჭურვა თავისი ქმნილებები. ყოველ შემთხვევაში, მის თანამედროვეებს ნაკლებად შესწევდათ მისი ამ ღირსების დაფასების უნარი: ისინი ხშირად უსაყვედურებდნენ მას მდარე ბუნებას და მის გვერდით აყენებდნენ სხვა იგავთმწერლებს, რომლებიც მასზე 'შეუღარებლად უფრო დაბლა იდგნენ. მაშასადამე, ჩვენი ლიტერატორები, რომლებიც ესოდენ თავგამოდებით ზრუნავენ ხალხურობისათვის, ამაოდ ცდილობენ. და მართლაც, როგორ წარმოუდგენიათ ჩვენში საზოგადოდ ხალხურობა? ყველანი, პირდაპირ ყველანი ურევენ მას მდაბიოობაში და ნაწილობრივ—უხამსობაში. მაგრამ ამ შეცდომას თავისი მიზეზი და საფუძველი აქვს, და მას. სრულებითაც არ უნდა დავესხათ თავს გააფთრებით. მეტსაც ვიტყვი: რუსული ლიტერატურის მიმართ ხალხურობის სხვანაირი გაგება არ შეიძლება. რა არის ხალხურობა ლიტერატურაში?—ხალხური სახის ანაბეჭდი,

ხალხის სულისა და ხალხის ცხოვრების ტიპი. მაგრამ გვაქვს თუ არა ჩვენ ჩვენი ხალხური სახე? აი ძნელად გადასაწყვეტი საკითხი. ჩვენი ეროვნული სახე ყველაზე მეტად შენახულია ხალხის ქვედა ფენებში. ამიტომ ჩვენი მწერლები, რა თქმა უნდა, ნიჭით დაჯილდოებულნი, ხალხური არიან, როდესაც რომანში თუ დრამაში მდაბიოთა ზნე-ჩვეულებებს, წარმოდგენებსა და გრძნობებს გამოხატავენ. მაგრამ განა მართოდ მდაბიონი შეადგენენ ხალხს? სრულებითაც არა. როგორც თავი არის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ადამიანის სხეულისა. ასევე საშუალო და უმაღლესი წოდება შეადგენს ხალხს უპირატესად. ვიცი, რომ ადამიანი ყოველგვარ მდგომარეობაში ადამიანია, რომ მდაბიო ადამიანს ისეთივე ვნებები, გონება და გრძნობა აქვს, როგორც დიდკაცს, და ამიტომ ისევე, როგორც ის, პოეტური ანალიზის ღირსია; მაგრამ ხალხის უმაღლესი ცხოვრება უპირატესად გამოიხატება მის უმაღლეს ფენებში, ანუ, უფრო სწორად, ხალხის მთელ იდეაში. ამიტომ, აუ თქვენი ზემთაგონების საგნად მის ერთ ნაწილს აირჩევთ, თქვენ უსათუოდ ცალმხრივობაში ვარდებით. სწორედ ასევე, თქვენ ამ უკიდურესობას ვერც მაშინ აიცილებთ, თუ თქვენი შემოქმედებითი მოღვაწეობის მიჯნად დაიდებთ ჩვენს ისტორიას პეტრე დიდამდე. ხალხის უმაღლეს ფენებს კი ჩვენში ჯერ კიდევ არ მიუღიათ გარკვეული სახე და ხასიათი; მათი ცხოვრება არ კმარა პოეზიისათვის. განა მართალი არაა, რომ ბეზგლასნის საუცხოო მოთხრობა „თავადის ქალი მიმი“, ცოტა არ იყოს, წვრილმანი და უსიცოცხლოა? განსოვთ მისი ეპიგრაფი?—„ჩემი საღებავები უფერულია, სთქვა მხატვარმა: რა ვქნა? ჩვენს ქალაქში უკეთესი არ არის!“ აი, ინებეთ საუკეთესო გამართლება პოეტის მხრივ. და თანაც საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ამ მოთხრობაში იგი უადრესად ხალხურია. მაშ ნუთუ ჩვენი ხალხურობა ლიტერატურაში—ოცნებაა? თითქმის ასეა, თუმცა არც მთლად ეგრეა. რომელია უმთავრესი ელემენტი ჩვენი იმ ნაწარმოებებისა, რომელნიც ხალხურობით განირჩევიან? ნარკვევები ან ძველი რუსეთის ცხოვრებისა (პეტრე დიდამ-

დე), ან უბრალო ხალხის ცხოვრებისა, და აქედან გამომდინარეობს აუცილებელი მიმსგავსება მათიანეებისა და ხალხური სიმღერების ტონისადმი, ანდა ჩვენი უბრალო ხალხის ენის კოლოსადმი. მაგრამ ამ მათიანეებში, ამ დიდი ხნის განვლილ ცხოვრებაში ხომ ჩანს სუნთქვა საერთო ადამიანური ცხოვრებისა, რომელიც თავისი ერთ-ერთი ათას ფორმათაგანის სახით გვევლინება. მაშ შესძელით მისი გამოჭერა თქვენი გონებითა და გრძნობით და მისი გადმოცემა თქვენი ფანტაზიით თქვენს მხატვრულ ქმნილებაში. ამაშია მთელი ძალა და ძნიშვნელობა. მაგრამ თქვენ გენიოსი უნდა იყოთ, რათა თქვენს ქმნილებებში რუსული ცხოვრების იდეა თრთოდეს. ეს ყველაზე მოლიპული გზაა. ჩვენ იმდენად დაშორებული, ახუ, უკეთ რომ ვთქვათ, მოწყვეტილი ვართ პეტრე დიდის ეპოქით ჩვენი წინაპრების ყოფაცხოვრებისაგან, რომ თქვენს ნაწარმოებს უსათუოდ წინ უნდა უძღოდეს ამ ყოფაცხოვრების ღრმად შესწავლა. მაშ ასე, შეუფარდეთ თქვენი ძალები მიზანს და ნუ იქნებით თქვენი თავის დიდი მოიმედე, როდესაც სწერთ: რუსები ამა და ამ წელსო¹⁰. ამასთან ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რუსული ცხოვრება პეტრე დიდამდე მეტად მშვიდი და ცალმხრივი იყო, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იგი თავისი, ორიგინალური სახით ვლინდებოდა. თქვენ არ გაგიჭირდებათ ამ ცხოვრებას. ცილი დასწამოთ, თუ ვალტერ-სკოტს მიბაძავთ. მწერალი, რომელიც თავისი რომანის გეგმას სიყვარულზე ააგებს და გმირის მეცადინეობის მიზნად ერთგული ტურფას ხელსა და გულს დასახავს, აშკარად ცხადპყოფს, რომ მას რუსეთის არა გაეგება. მე ვიცი, რომ ჩვენი ბოიარები მესრებზე მიძვრებოდნენ და ისე მიდიოდნენ თავიანთ ტურფებთან, მაგრამ ეს დიადი, დინჯი და დარბაისლური რუსული ცხოვრების შეურაცხყოფა და დამახინჯება იყო და არა მისი გამოვლინება. ასეთ ღამის რაინდებს იქვენულნი კეთილშობილური ორთა ბრძოლით კი არ უსწორდებოდნენ, არამედ მათრახითა და კეტის ცემით სჯიდნენ; ასეთი ტურფები გარყვნილ დედაკაცებად ითვლებოდნენ და არა მსხვერპლად ვნებისა, რომელნიც შებრალებისა და თანა-

გრძნობის ღირსნი არიან. ჩვენი მამა-პაპანი ჰყვარობდნენ კანონის ნებართვით, ანდა გზადაგზა, ცელქობით, და გულს კი არ უშლიდნენ ფიანდაზად თავიანთ მომხიბლველთ, არამედ წინასწარ აჩვენებდნენ ხოლმე აბრეშუმის მათრახს და გახუხრელად იცავდნენ ბრძნულ წესს: გიყვარდეს ცოლი, ვითარცა სული, მაგრამ ანჯღრიე ის, ვითარცა მსხალი, ანდა; ბერტყე ის, ვითარცა ქურჭი. საერთოდ რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერაც კი არც თუ მთლად რაინდულად გვიყვარს, ხოლო გამძღნაკლისი არაფერს ამტკიცებს.

რაც შეეხება უბრალო ხალხის ცხოვრების სცენების ცოცხალ და ნატურის მსგავს გამოხატვას, ძალიან ნუ მოიხიბლებით ამ სცენებით. მე ძალიან მომწონს „როსლავლევი“ სცენა სასტუმრო-ბაკში, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ამ სცენაში კარგად არის გამოხატული ჩვენი ხალხის ერთ-ერთი კლასის ხასიათი, რომელიც სამშობლოსათვის გადამწყვეტ წუთში მელავნდება. ანდაზებსა, თქმებსა და დამტვრეულ ენაში, თავისთავად, საინტერესო არაფერია. ყოველივე იმისგან, რაც ზემოთ ვაქვი, გამომდინარეობს, რომ ჩვენი ხალხურობა ჯერჯერობით მდგომარეობს რუსული ცხოვრების სურათების სწორად გამოხატვაში და არა რუსული საქმიანობის განსაკუთრებულ სულსა და მიმართულებაში, რომლებიც ერთნაირად გამოვლინდებოდნენ ყველა ქმნილებაში, მიუხედავად მათი საგნისა და შინაარსისა. ყველამ იცის, რომ ფრანგი ტრაგიკოსები თავიანთ ტრაგედიებში ბერძენ და რომაელ გმირებს ფრანგებად აქცევდნენ. აი ქეშმარიტი ხალხურობა, რომელიც მუდამ თავისი თავის ერთგულია შექოქმედების დამახინჯებაშიაც კი! ეს ხალხურობა მდგომარეობს იმ აზრთა და გრძნობათა წყობაში, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის დამახასიათებელია. მე წმინდად მწამს გოეთეს გენიალობა, თუმცა, გერმანული ენის უცოდინარობის გამო, ძალიან ნაკლებად ვიცნობ მას. მაგრამ, ვალაირებ, ნაკლებად მწამს მისი „იფიგენიის“ ელინიზმი. რაც უფრო მალლა დგას გენიოსი, მით უფრო მეტად არის ის თავისი საუკუნის შვილი და თავისი სამყაროს მოქალაქე; და მისი ამგვარი ცდები მისთვის სრუ-

ლიად უცხო ხალხის გამოხატვისა — ყოველთვის ჰგულისხმობს ცოტად თუ ბევრად უვარგის ნაყალბევსა და მიმსგავსებას. ამრიგად, გვაქვს თუ არა ჩვენ ლიტერატურის ხალხურობა ამ აზრით? არა, და ჯერჯერობით, მიუხედავად განათლებული პატრიოტების დიდი კეთილშობილური სურვილისა, არც შეიძლება გვექონდეს. ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდაა, ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა, ჯერაც არ განთავისუფლებულა ევროპის მეურვეობისაგან; მისი სახე ჯერ კიდევ არაა გამორკვეული და გამოკვეთილი. „კავკასიის ტყვის“, „ბაჩჩისარაის შადრევის“, „ბოშების“ დაწერა ყოველ ევროპელ მწერალს შეეძლო. მაგრამ „ევგენი ონეგინი“ და „ბორის გოდუნოვი“ შეეძლო დაეწერა მხოლოდ რუს პოეტს. დამოუკიდებელი ხალხურობა მისაწვდომია მხოლოდ სხვა ქვეყნების უცხოური გავლენისაგან თავისუფალი ადამიანებისათვის. აი რატომაა ხალხური დერჟავინი. ამრიგად, ჩვენი ხალხურობა მდგომარეობს რუსული ცხოვრების სურათების გამოხატვის სისწორეში. ვნახოთ, რა წარმატება გამოიჩინეს ამ მხრივ ჩვენი სიტყვიერების ახალი პერიოდის პოეტებმა.

ეს ხალხური მიმართულება ლიტერატურაში ჯერ კიდევ პუშკინის პერიოდში დაიწყო; ოღონდ მაშინ მას ისე მკვეთრად არ უჩენია თავი. წამომწყები იყო ბ-ნი ბულგარინი. ძაგრამ რადგან ის არ არის მხატვარი, რაშიაც ახლა უკვე ეჭვი არავის ეპარება, გარდა მისი მეგობრებისა, ამიტომ მან თავისი რომანებით სარგებლობა მოუტანა არა ლიტერატურას, არამედ საზოგადოებას, ე. ი. თითოეული მათგანით დაამტკიცა რომელიმე პრაქტიკული ჩვეულებრივი ჭეშმარიტება, სახელდობრ კი:

I. „ივანე ვიჟიგინით“: ზიანი, რასაც რუსეთს აყენებენ უცხოელი ნაშიერნი და გაიძვერები, რომლებიც თავის ფასიან სამსახურს სთავაზობენ მას როგორც გუვერნიორები, მმართველები, ზოგჯერ კი როგორც მწერლებიც;

II. „დიმიტრი ცრუმოსახელით“: ვინც წვრილფეხა მატყუარებისა და თაღლითების გამოხატვის ოსტატია, მან ხელი არ უნდა მოჰკიდოს დიდ ბოროტმოქმედთა გამოხატვას¹¹⁷;

III. „პეტრე ვიეგინით“: ზაფხულის შემდეგ ტყეში ჟოლოს საკრეფად აღარ დადიან; სხვა სიტყვებით: სანამ თორნე ცხელია, პური მანამდე ჩააკარა“.

ვიმეორებ: ფადეი ბენედიქტეს-ძე პოეტი კი არ არის, არამედ პრაქტიკული ფილოსოფოსი, ნამდვილი ცხოვრების ფილოსოფოსია. მისი ქმნილებების პოეტური მხარე მეღავენდება მხოლოდ მატყუარობისა და თაღლითობის ცხოველი და სწორი გამოხატვით. სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ მან თავისი რომანების უჩვეულო წარმატებით, ე. ი. მათი უჩვეულოდ მარჯვე გასაღებით, ბევრად შეუწყო ხელი ჩვენი ლიტერატურული საქმიანობის გაცხოველებას და რომანების უსასრულო თაობა გააჩინა. მასვე უნდა უმაღლოდეს რუსი საზოგადოება ლიტერატურულ სარბიელზე ალექსანდრე ანთიმოს-ძე ორლოვის გამოჩენასაც.

ხალხურ მიმართულებას დიდად შეუწყო ხელი ბ-მა პოგოდინმა. 1826 წელს გამოვიდა მისი პატარა მოთხრობა „მათხოვარი“, ხოლო 1829 წელს—„შავი სენი“. ისინი ორივე შესანიშნავია რუსი უბრალო ხალხის ზნე-ჩვეულებათა სწორი გამოსახვით, თბილი გრძნობით, ოსტატური თხრობით, ხოლო უკანასკნელი მოთხრობა—იმ მშვენიერი, პოეტური იდეითაც, რომელიც მას საფუძვლად უძევს. ბ-ნი პოგოდინი რომ პროგრესულად ამალეებულებოთ თავის მოთხრობებში, რუსულ ლიტერატურას მისი სახით ეყოლებოდა ისეთი მწერალი. რომლითაც სამართლიანად იამაყებდა. თუმცაღა. მარტოოდენ მას როდი ეკუთვნის მოთხრობებში ხალხურობის წამოწყების პატივი; ამ პატივს მასთან ერთად. ასე თუ ისე, სხვა შესანიშნავი ნიჭის ადამიანებიც ინაწილებდნენა“.

„იური მილოსლავსკი“ პირველი კარგი რუსული რომანი იყო. მხატვრულ სისრულესა და მთლიანობას მოკლებული, იგი განირჩევა ჩვენი წინაპრების ყოფაცხოვრების გამოხატვის არაჩვეულებრივი ოსტატობით, როდესაც ეს ყოფაცხოვრება ახლანდელის მსგავსია და უჩვეულო თბილი გრძნობით არის გამსჭვალული. ამას მიუმატეთ წარმატაცი თხრობა, არჩეული სარბიელის სიახლე, რომელზეც მას არც ნიმუში

ჰქონდა და არც წინამორბედი ჰყავდა, და თქვენ გაიგებთ მისი უჩვეულო წარმატების მიზეზს. „როსლავლევი“ იმავე სილამაზით და იმავე ნაკლოვანებებით განირჩევა: სისრულისა და მთლიანობის უქონლობით და უბრალო ხალხის ყოფაცხოვრების ცოცხალი სურათებით.

ბ-ნ უმაკოვებს „ყირგიზ-ყაისაკი“.. საკვირველი და მოულოდნელი მოვლენა იყო. იგი განირჩევა ღრმა გრძნობითა და ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების სხვა ღირსებებით და, სხვათა შორის, ეკუთვნის „კოტ ბურმოსეკისა“ და თეატრზე, პოლონურ ლიტერატურაზე და ათასგვარ სხვადასხვა თემაზე დაწერილ იმ გრძელი და მოსაწყენი სტატიების ავტორს, რომლებიც უკბილო მახვილგონიერებით და კრიტიკული ნიჭისა და სწავლულობის სასაცილო პრეტენზიებით განირჩევიან. რას იზამთ! „ყირგიზ-ყაისაკი“, ამ მხრივ, ერთადერთი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურაში. განა აბლესი-მოვმა არ დასწერა, შეიძლება ითქვას, უნებურად, „მეწის-ქვილე“, ხოლო ბატონმა ვოეიკოვმა—„საგიყეთი“?..

უკანასკნელი პერიოდი აღინიშნა ორი ახალი შესანიშნავი ნიჭის გამოჩენით: ბ-ნ ველტმანისა და ბ-ნ ლაჟინიკოვისა. ბ-ნი ველტმანი სწერს ლექსად და პროზად, და ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტ ნიქს ამჟღავნებს. მისი პოემები: „ლტოლვილი“ და „მურომის ტყეები“ ანაქრონიზმი იყო და ამიტომ წარმატება არა ჰქონდა. თუმცადა, უკანასკნელი მათგანი. მიუხედავად მთელი თავისი ნაკლოვანებებისა, თვალწარმტაცი სილამაზით განირჩევა. ვინ არ იცის ზეპირად ყაჩაღის სიმღერა: რათ დანისლულხარ, დილაგ სისხამო? „მწირი“, ზედმეტი პრეტენზიის გამოკლებით, განირჩევა მახვილგონიერებით, რომელიც ბ-ნ ველტმანის ნიჭის უმთავრესი ელემენტია. თუმცა, ეს ნიჭი მასში მწვერვალსაც აღწევს: „ისკანდერი“ ჩვენი ლიტერატურის ერთ-ერთი უძვირფასესი აღმასია. ბ-ნ ველტმანის საუკეთესო ნაწარმოებია „კოშჩი ბეს-სმერტნი“. ამ ნაწარმოებიდან ჩანს, რომ მას ღრმად შეუსწავლია ძველი რუსეთი მატთანებისა და ზღაპრების მიხედვით და როგორც პოეტს გაუგჳა ის თავისი გრძნობით. ეს არის

მთელი რიგი მომხიბლველი სურათები, რომელთა ცქერით ვერ დატკბებით. საერთოდ, ბ-ნ ველტმანზე უნდა ითქვას, რომ იგი ერთობ ბევრს და დიდხანს ავარჯიშებს თავის ნიჭს, რომელშიაც არავის, გარდა „ბიბლიოტეკა დლია ჩტენიასი“, ეჭვი არ ეპარება. დროა მან საბოლოოდ გაავარჯიშოს თავისი ნიჭი, დროა აჩუქოს საზოგადოებას ისეთი ნაწარმოები, რომლის მოლოდინის უფლებაც ამ საზოგადოებას აქვს; იმიტომ რომ ბ-ნი ველტმანი დაჯილდოებულია ესოდენ დიდი ნიჭით. ესოდენ დიდი მახვილგონიერებითა და გრძნობით, ესოდენ დიდი ორიგინალობითა და თავისთავადობით!

ბ-ნი ლაჟეჩნიკოვი ახალ მწერლებს როდი მიეკუთვნება: იგი დიდი ხანია ცნობილი იყო თავისი „ოფიცრის სალაშქრო დღიურით“. ამ ნაწარმოებმა მას ლიტერატურული სახელი მოუხვეჭა. მაგრამ რადგან იგი კარამზინის გავლენით იყო დაწერილი, ამიტომ, მიუხედავად თავისი ზოგიერთი ღირსებისა, დღეს დავიწყებულია, და თვითონ ავტორიც მას თავის სიკბაბუკის შეცოდებას უწოდებს*. მაგრამ როგორც უნდა იყოს, ბ-ნი ლაჟეჩნიკოვი ამ ნაწარმოებით სარგებლობდა ლიტერატორის სახელით, და ამიტომ ყველანი მოელოდნენ მის „ნოვიკს“. ბ-მა ლაჟეჩნიკოვმა არა თუ გააცრუა ეს იმედები, არამედ საერთო მოლოდინსაც კი გადააჭარბა და სამართლიანად არის აღიარებული პირველ რუხ რომანისტად. მართლაც, „ნოვიკი“ არაჩვეულებრივი ნაწარმოებია, რომელიც აღბეჭდილია დიდი ნიჭით. ბ-ნ ლაჟეჩნიკოვს აქვს რომანისტის ყველა საშუალება: ნიჭი, განათლება, მგზნებარე გრძნობა და ხანდაზმულობისა და ცხოვრების გამოცდილება. მისი „ნოვიკის“ მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი ავტორის

* ამასთანავე ბოდიშს ვიხდი „ნოვიკის“ პატივცემული ავტორის წინაშე მის წინააღმდეგ უნებლოდ დანაშაულისათვის. მე ძალიან კარგად ვიცოდი, რომ მშვენიერი სიმღერა — „ტკბილად გალობდა ბულბული“ მას ეკუთვნის, რადგან პატივი მქონდა ეს თვითონ მისგანვე შემეტყუო; მთელი ჩემი დანაშაული ის არის, რომ მთლად დაწერილებით და ზუსტად ვერ გამოვთქვი ეს. მთხზ. 120

ერთდაგვარი პირველი ნაწარმოები იყო. აქიდან მომდინარეობს ორმაგი ინტერესი, ალაგ-ალაგ ზედმეტი ლაყბობა და ჟურიად შესამჩნევი დამოკიდებულობა უცხოური ნიმუშების გავლენისაგან. სამაგიეროდ, რა გაბედული და მდიდარი წარმოსახვაა, სახეებისა და ხასიათების რა უტყუარი მხატვრობაა, რა მრავალფეროვანი სურათები, რა სიცოცხლე და მოქმედებაა მოთხრობაში! ავტორის მიერ არჩეული ეპოქა ჩვენი ისტორიის ყველაზე რომანტიკული და დრამატიული ეპიზოდია, და ყველაზე მდიდარი მასალაა პოეტისათვის. მაგრამ, ბ-ნ ლაქეჩიკოვის პოეტური ნიჭის სავსებით სამართლიან დაფასებასთან ერთად, უნდა შევნიშნო, რომ მან კარგად ვერ მღახერხა მის მიერ არჩეული ეპოქის გამოყენება, რაც, მგონი, გამოწვეული იყო მისი არც თუ მთლად სწორი შეხედულებით ამ ეპოქაზე. ამას განსაკუთრებით ადასტურებს მისი რომანის მთავარი პირი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი სახეა მთელ რომანში. მითხარით, რა არის მასში რუსული, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ინდივიდუალური? ეს პირდაპირ უსახო გამოხატულებაა და უფრო ჩვენი დროის ადამიანია, ვიდრე XVII საუკუნისა. საერთოდ, „ნოვიკში“ მრავალი გმირია, მაგრამ არც ერთი არაა მთავარი. სხვებზე უფრო თვალსაჩინო და საინტერესოა პატკული: იგი დახატულია მთელი ტანით და დახატულია ოსტატის ყალმით. მაგრამ მწერლის ფანტაზიის ყველაზე საინტერესო, ყველაზე საყვარელი ნაყოფია, მგონი, შვეიცარიელი ქალი როზა. ეს არის ერთ-ერთი ისეთი ქმნილება, რომელიც თვით ბალზაკსაც კი შექმურდებოდა. დროისა და ადგილის უქონლობის გამო არ შევუდგები „ნოვიკის“ სრულ გარჩევას, თუმცა შემეძლო ბევრი რამ მეთქვა მის გამო. დავასკვნი: იგი ამჟღავნებს ავტორის დიდ ნიჭს, პირველი რუსი რომანისტის საპატიო ადგილს უნარჩუნებს მწერალს. მისი ნაკლოვანებანი წარმოსდგებიან ნაწილობრივ იქიდან, რომ, როგორც მე მგონია, ავტორი მთლად სწორი წერტილიდან არ უყურებდა პეტრე დიდის ეპოქას, ხოლო, რაც მთავარია, იქიდან, რომ „ნოვიკი“ მისი პირველი ნაწარმოები იყო. მისი

ახალი რომანის ნაწყვეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ იგი პირველზე გაცილებით უკეთესი იქნება და სავსებით გაამართლებს იმ ნდობას, რომელსაც საზოგადოება მისი ნიჭისადმი იჩენს¹²¹.

ახლა დამრჩა სათქმელი ჩვენი ლიტერატურის კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო პირის შესახებ. ეს არის ავტორი, რომელიც ხელს აწერს ბეზგლასნისა და **ხ, ხ, ჩ**-ს სახელით¹²². ამბობენ, რომ ეს არის... მაგრამ რა გვესაქმება ჩვენ ავტორის სახელთან, მით უმეტეს, როდესაც მას თვითონ არ სურს სახელის გამჟღავნება? რადგან მან ამასწინათ თვითონვე გამოაცხადა, რომ იგი არ არის არც **A**, არც **B** და არც **C**, ამიტომ ვუწოდებთ მას თუნდაც **ო**-ს. ეს **ო** უკვე დიდი ხანია სწერს, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მისი მხატვრული მოღვაწეობა მეტი ძალით გამოვლინდა. ეს მწერალი ჩვენში კიდევ არ არის ღირსეულად შეფასებული და განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს, მაგრამ საამისო ადგილი და დრო ახლა არა მაქვს¹²³. მის ყველა ქმნილებაში ჩანს მძლავრი და ენერგიული ნიჭი, ღრმა და ვნებიანი გრძნობა, სრულყოფილი ორიგინალობა, ადამიანის გულის ცოდნა, საზოგადოების ცოდნა, დიდი განათლება და დაკვირვებული გონება. მე ვთქვი: საზოგადოების ცოდნა-თქო. დავსძენ კიდევ: განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებისა, და, მე მგონია, ამ შემთხვევაში იგი მოღალატეა... ოო, ეს არის საშინელი და შურისმაძიებელი მხატვარი! რა ღრმად და სწორად გაზომა მან განუზომელი სიცალიერე და არარაობა ადამიანთა იმ კლასისა, რომელსაც ასეთი გააფთრებითა და ასეთი შეუსუსტებელი სიმტკიცით სდევნის! იგი ჰგმობს მათს არარაობას, იგი მათ სამარცხვინო დაღს ასვამს; იგი მათ ამათრახებს, როგორც ნემეზიდა; იგი მათ სიკვდილით სჯის იმიტომ, რომ მათ დაჰკარგეს სახე და მსგავსება ღვთისა, იმიტომ, რომ თავიანთი სულის წმინდა საუნჯე გასცვალებს მოოქროვილ ტალახზე, იმიტომ, რომ უარჰყვეს ცოცხალი ღმერთი და თაყვანი სცეს ამაოებათა კერპს, იმიტომ, [რომ]¹²⁴ გონება, გრძნობა, სინდისი, პატიოსნება შესცვალებს პირობითი ზრდილობით! იგი...

მაგრამ რაღა ბევრი გელაპარაკოთ მის შესახებ? თუ თქვენ გაიგებთ ჩემს ენთუზიასტურ გაკვირვებას მის მიმართ, მაშინ უკეთ გაიგებთ და შეაფასებთ მხატვარს; ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მინდა სიტყვები ტყუილუბრალოდ დაეკარგო... თქვენ ხომ, ალბათ, წაგიკითხავთ მისი „ბალი“, მისი „ბრიგადირი“, მისი „მკვდრის დაცინვა“, მისი „რა საშიშია ქალწულებისთვის ნევის პროსპექტზე სიარული“?..

ბ-ნი გოგოლი, ასე თავაზიანად რომ აჩვენებს თავს მეფუტკრედ, არაჩვეულებრივი ნიჭის მქონე ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება. ვინ არ იცნობს მის ნაწარმოებს „სალამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში“? რამდენი მახვილგონიერება, მხიარულება, პოეზია და ხალხურობაა მასში? ღმერთმა ჰქნას, რომ მან სავსებით გაამართლოს იმედები, რომლებიც აღძრა!..

ვილაპარაკო თუ არა ჩვენს სხვა რომანისტებსა და მეზღაპრეებზე: ბბ. მასალსკიზე, კალაშნიკოვზე, გრეჩსა და სხვებზე? ყველა ისინი ჩვენში თითქმის გენიოსებად ითვლებიან! და აბა სად შეუძლია მათთან გაჯიბრება ბ-ნ ო-ს, რომელზეც ახლახან ვლაპარაკობდი ზემოთ. მოკრძალებული და გაკვირვებული ვიკმენდ ხმას, ვინაიდან ვგრძნობ, რომ არ ძალმიძს ღირსეული ხოტბა შევასხა მათ.

ამრიგად, მე ჩამოვთვალე ჩვენი სიტყვიერების ოთხი პერიოდი: ლომონოსოვისა, კარამზინისა, პუშკინისა და პროზაულ-ხალხური; კიდევ უნდა მოვიხსენიო მეხუთე პერიოდი, რომელიც დაიწყო „ნოვოსელიეს“ პირველი ნაწილის გამოსვლით და რომელსაც შეიძლება და უნდა ეწოდოს სმირდინის პერიოდი. დიად, მოწყალენო ხელმწიფენო, მე სრულებითაც არ ვხუმრობ, და ვიმეორებ, რომ სიტყვიერების ამ პერიოდს უსათუოდ უნდა ეწოდოს სმირდინის პერიოდი. ვინაიდან ა. ფ. სმირდინი ამ პერიოდის მეთაური და განმკარგულებელია; იგია ყველაფრის თავი და ბოლო; იგი იწონებს და ამხნეებს ახალგაზრდა და მიხრწნილ ტალანტებს ფულის მომხიბლველი წკრიალით; იგი აძლევს მიმართულებას და აჩვენებს გზას ამ გენიოსებსა და ნახევრად გენიო-

სებს, ზარმაცობის საშუალებას არ აძლევს მათ, ერთი სიტყვით, სიცოცხლე და მოქმედება შეაქვს ჩვენს ლიტერატურაში. თქვენ გახსოვთ, როგორ გამოაცხადა საზოგადო სიკეთის გრძნობით ამოძრავებულმა დიდად პატივცემულმა ა. ფ. სმირდინმა კეთილშობილი ადამიანის მთელი გულახდილობით: ჩვენმა ჟურნალისტებმა იმიტომ ვერ მიადწიეს წარბატებას, რომ თავისი ცოდნის, ნიჭისა და მოქმედების იმედი ჰქონდათ და არა ცოცხალი კაპიტალისა, რომელიც ლიტერატურის სული და გულიაო; თქვენ გახსოვთ, როგორ მოუწოდა მან ჩვენს გენიოსებს, გადასძახა და ფულიც გააჩხრიალა, ყოველი გვარეობის ლიტერატურული წარმოების ნიხრი გამოაცხადა, და როგორ ჯგუფ-ჯგუფად შედიოდნენ ჩვენი მწარმოებლები მის კომპანიაში; თქვენ გახსოვთ, რა დიდსულოვნად და გულმოდგინედ აიღო მან იჯარით მთელი ჩვენი სიტყვიერება და მის წარმომადგენელთა მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა! ბატონების: გრეჩის, სენკოვსკის, ბულგარინის, ბარონ ბრამბეუსისა და განთქმული კომპანიის სხვა წევრთა გენიების შემწეობით, მან მთელ ჩვენს ლიტერატურას თავი მოუყარა თავის სქელტანიან ჟურნალში. და რა გამოვიდა ამ დიდი პატრიოტულ-სავაჭრო წამოწყებიდან? არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თითქოს ბ-მა სმირდინმა მოჰკლა ჩვენი ლიტერატურა, რადგან სარფით გადაიბირა მისი ნიჭიერი წარმომადგენლებიო. განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ესენი არიან ყოველგვარი ისეთი უანგარო წამოწყებისადმი ბოროტად და მტრულად განწყობილი ადამიანები, რომლის მიზანია სახალხო მრეწველობის ამა თუ იმ დარგის გამოცოცხლება? მე არ ვეკუთვნი ასეთ ადამიანებს, და სულითა და გულით მოხარული ვარ, მაგალითად, ენციკლოპედიური ლექსიკონისა, თუმცა ისიც ვიცი, რომ მის შედგენაში მონაწილეობენ ბატონები გრეჩი, ბულგარინი და სხვები, თუმცა წავიკითხე ლომონოსოვის ნაშახურობის ნუსხა, რომელსაც ამ დიდი ადამიანის ბიოგრაფიად ასალებენ¹²⁵. მე მაქვს საკვირველი უნარი ყველაფერში დავინახო მარტო კარგი მხარე და არ შევნიშნო ცუდი

მხარეები, და რასაც უნდა ვუცქეროდე, მუდამ ვიმეორებ ჩემს საყვარელ ლექსს:

ეს ყოველივე სიმდიდრეა, სიკეთე არის!

რადგან, გულითა და სულით დარწმუნებული ვარ, მტკიცედ და ურყევად მწამს, წინააღმდეგ ბ-ნ პროფესორ სენკოვსკისა, რომ ადამიანის მოდგმა, ნება-სურვილით მისი მხმილავი ღვთაებრივი სიყვარულისა, თავისი სრულყოფისაკენ მიდის და რომ მას ამ გზაზე ვერ შეაფერხებს ვერც ფანატიზმი, ვერც უვიცობა, ვერც ღვარძლი, ვერც ბარონი ბრამბეუსი, ვინაიდან სიკეთის ასეთი შემფერხებელნი არსებითად მისი ჭეშმარიტი მამოძრავებელნი არიან. მოსპეთ ბოროტება, და თქვენ მოსპობთ სიკეთესაც, ვინაიდან უბრძოლველად არ არის დამსახურება. ამრიგად, მე „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიას“ სულ სხვა თვალსაზრისით ვუყურებ: მან ოდნავადაც კი ვერ აამაღლა ჩვენი ლიტერატურა, მაგრამ იმავე დროს იოტის ოდენადაც კი ვერ დაამდაბლა ის. არაფრისაგან ყველაფრის შექმნა მარტოოდენ ღმერთს შეუძლია და არა „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიას“; გამოცოცხლება შეიძლება მომაკვდავისა და არა არარსებულისა. არ შეიძლება ტალანტის შექმნა ფულით, ისევე როგორც არ შეიძლება მისი მოკვლა ფულით. სადაც უნდა დასწერონ, რომელ ჟურნალშიაც უნდა მოათავსონ თავისი ნახელავი და რამდენიც უნდა მიიღონ ამაში ბატონებმა გრეჩმა, ბულგარინმა, მასალსკიმ, კალაშნიკოვმა, ვოეიკოვმა, ისინი ყოველთვის და ყველგან იმადვე დარჩებიან, რაც არიან; მაგრამ ბ-ნი ო თავის თავს არ უღალატებს არც „ნოვოსელიეში“ და არც „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“. ამრიგად, ჩემი აზრით, „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“ პრაქტიკულად, a posteriori, და, მაშასადამე, უეჭველად დაამტკიცა, რომ ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა, ვინაიდან მას ყველა საშუალება ჰქონდა, მაგრამ არსად არაფერი გამოუვიდა. ეს მისი ბრალი არაა, რადგან

როგორ იქნების ყინვის ორთქლისგან

შუა ზამთარში ხანძარი გაჩენა? 120

ვაი იმ მხატვარს, რომელიც ფულისთვის სწერს და არა წერის ანგარიშმიუცემელი მოთხოვნილების გამო! მაგრამ როდესაც მან თავისი სულის სამყაროდან გამოიყვანა ეს უსხეულო იდეალი, რომელიც მას აწვალებდა და სტანჯავდა, როდესაც თავისი ქმნილებით საკმაოდ გული იჯერა და დატკბა, მერმე რატომ არ უნდა გაჰყიდოს მან იგი?

არ იყიდება ზემთაგონება —

ძალგიძთ გაყიდვა ხელნაწერისა 127.

სხვა საქმეა ნახატი: თუ მას გაჰყიდის, მხატვარი ემშვიდობება თავის ქმნილებას, იგი ჰკარგავს თავისი ფანტაზიის საყვარელ პირმშოს. მაგრამ სიტყვეერი ნაწარმოები, გუტენბერგის გონებამახვილი გამოგონების წყალობით, მუდამ მასთან არის. მაშ რატომ არ უნდა ანაზღაურდეს ბუნების ჯილდოთი ფორტუნის უსამართლობა? განა ფულით არ მიაღწიეს ინგლისურმა და ფრანგულმა ჟურნალებმა მაღალი სრულყოფის იმ საფეხურს, რომელზეც ჩვენ ახლა მათ ვხედავთ? ამრიგად, „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“ დამნაშავეა არა იმაში, რომ ძვირს უხდის რუს ავტორებს, არამედ იმაში, რომ იმედი ჰქონდა, ცხადია თავისი საკუთარი ჯიბის კეთილდღეობისათვის, ტალანტები გამოეცხო ფულის საშუალებით. რუსული ჟურნალის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა ევროპული განათლება გააცნოს რუსულ საზოგადოებას. როგორ გვაცნობს ჩვენ ამ განათლებას „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“? იგი თავის ყაიდაზე ამოკლებს, სჩეხს, სჭიმავს და გადააკეთებს ხოლმე მის მიერ უცხოური ჟურნალებიდან თარგმნილ სტატიებს, იმასაც იკვებნის, რომ ამ მასალებს აძლევს განსაკუთრებულ, საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ საინტერესო სახეს. ამ ჟურნალს აზრადაც არ მოსდის, რომ საზოგადოებას სურს იცოდეს, რას ფიქრობენ ამა თუ იმ საკითხზე ევროპაში, და სრულიადაც არა ის, თუ რას ფიქრობს ამა თუ იმ საკითხზე „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“. და ამიტომ თარგმნილ სტატიებს „ბიბლიოტეკა დლია ჩტენიაში“ არავითარი ფასი არა აქვს. როგორ მოთხოვრებებს სთარგმნის, მაგალითად, ის? სთარგმნის ქალბატონების მიდფორდებისა და სხვათა ნახე-

ლავს, რომლებიც სწერენ მსგავსად განსვენებული დიუკრე-დიუ-მენილისა, ავგუსტ ლაფონტენისა და მათა მათთა. ახლა, როგორია ამ ჟურნალის კრიტიკა? თქვენ, ალბათ, იცნობთ მის აზრს ბატონების ბულგარინის, გრეჩის, კალაშნიკოვისა და ბატონების ხომიაკოვის, ველტმანის, ტეპლიაკოვისა და სხვათა თხზულებების შესახებ. „შავი ქალის“ გარჩევისას „ბიბლიოტეკის“ კრიტიკოსმა გადმოალაგა მთელი სისტემა ანატომიის, ფიზიოლოგიის, ელექტრობისა და მაგნეტიზმისა, რომლებიც ამ რომანში ნახსენებიც კი არ არის. ვაღიარებ — დიდებული კრიტიკაა!

მაშ ვინ არიან სიტყვიერების სმირდინის პერიოდის გენიოსები? ესენი არიან ბატონები: ბარონი ბრამბეუსი, გრეჩი, კუკოლნიკი, ვოეიკოვი, კალაშნიკოვი, მასალსკი, ერშოვი და მრავალი სხვა. რა უნდა ვთქვათ მათ შესახებ? მიკვირს, მოწიწებით ქედს ვიხრი და — ვსდუმვარ! პირველის შესახებ შევნიშნავ მხოლოდ, რომ „ტელესკოპში“ დაბეჭდილი ცნობილი სტატიის შემდეგ: „სალი გონება და ბარონი ბრამბეუსი“, პატივცემული ბარონი ჯერ მიყუჩდა, მერმე კი შეუდგა ზნეობის ქადაგებას ბ-ნ ბულგარინის ყაიდაზე, და „ნორჩი სიტყვიერების“ მიმბაძველიდან ვიჟიგინების ავტორის მიმბაძველად იქცა²⁸. ბარონი ბრამბეუსი მიზანტროპია, ესე იგი კაცთმოძულე: რუსოს ნარევი პოლ-დე-კოკთან და ბ-ნ ბულგარინთან. იგი ყველას დასცინის და აბუჩად იგდებს, და განსაკუთრებით სდევნის განათლებას. კაცთმოძულენი ორგვარი არიან: ერთ წყებას სძულს კაცობრიობა, იმიტომ რომ მეთისმეტად უყვარს ის; მეორეს იმიტომ რომ, გრძნობს რა თავის არარაობას, თითქოს თავისი შურისძიებისათვის თავის ღვარძლს ანთხევს ყველაფერს, რაც მასზე რამდენადმე მალა დგას... უეჭველია, ბარონი ბრამბეუსი პირველი სახის კაცთმოძულეებს ეკუთვნის...

უკანასკნელი, ესე იგი 1834 წელი, მხოლოდ ბ-ნ ველტმანის ორი რომანისა და ბ-ნ ხომიაკოვის „დიმიტრი ცრუმოსახელის“ გამოსვლით აღინიშნა; ყველა დანარჩენი მოსახსენებლადაც კი არ ღირს. ბ-ნი ხომიაკოვი პუშკინის პერიოდის

შესანიშნავი ნიჭის ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება; თუმცა-
ლა, მისი დრამა შესანიშნავი წინ გადადგმული ნაბიჯია ავტო-
რისათვის და არა რუსული ლიტერატურისათვის. იგი დიდი
ღირსების მრავალი ლირიკული სილამაზით განირჩევა, მაგ-
რამ ძალიან მცირე დრამატიზმით ხასიათდება.

ამრიგად, აი მე თქვენ გიამბეთ მთელი ისტორია ჩვენი
ლიტერატურისა, ჩამოგითვალეთ ყველა მისი სახელგანთქმუ-
ლი წარმომადგენელი ლომონოსოვიდან, მისი პირველი გენი-
იდან, ვიდრე ბ-ნ კუკოლნიკამდე, მის უკანასკნელ გენიამდე.
მე ჩემი სტატია იმით დავიწყე, რომ ჩვენ არა გვაქვს ლიტე-
რატურა. არ ვიცი, დაგარწმუნათ თუ არა ამ ჭეშმარიტებაში
ჩემმა მიმოხილვამ; ოღონდ ის კი ვიცი, რომ თუ ვერ დაგარ-
წმუნათ, ამაში დამნაშავეა ჩემი უუნარობა და სრულიადაც
არა ის, რომ თითქოს დებულება, რომელსაც მე ვასაბუთებ-
დი, ყალბი იყოს. მართლაც, დერჟავინი, პუშკინი, კრილოვი
და გრიბოედოვი — აი ამ ლიტერატურის ყველა წარმომად-
გენელი; სხვები ჯერჯერობით არ არიან და ნურც დაეძებთ
მათ. მაგრამ შეუძლია თუ არა ოთხ კაცს, რომლებიც სხვადა-
სხვა დროს მოგვევლინენ, მთელი ლიტერატურის შექმნა?
და თანაც განა ისინი შემთხვევითი მოვლენები არ იყვნენ?
შეხედეთ უცხოეთის ლიტერატურათა ისტორიას. საფრან-
გეთში კორნელის შემდეგ მალე გამოჩნდნენ რასინი, მოლი-
ერი, ლაფონტენი და მრავალი სხვა; შემდეგ ვოლტერის ეპო-
ქაშბ რამდენი იყო სახელგანთქმული ლიტერატორი! ახლა:
ჰიუგო, ლამარტინი, დელავინი, ბარბიე, ბალზაკი, დიუმა, ჟა-
ნენი, ევგენი სიუ, ჟაკობ ბიბლიოფილი და რამდენი სხვა.
გერმანიაში: ლესინგი, კლოპშტოკი, ჰერდერი, შილერი, გოე-
თე თანამედროვენი იყვნენ. ინგლისში, უკანასკნელ ხანებში,
ბაირონი, ვალტერ-სკოტი, ტომას მური, კოლრიჯი, სუტეი,
ვორდსვორტი და რამდენი სხვა თითქმის ერთდროულად გა-
მოჩნდნენ. ასეა თუ არა ჩვენში? ვაგლახ!.. „ბიბლიოტეკა
დღია ჩტენიამ“ დიდი და სავალალო ჭეშმარიტება დაამტკი-

ცა. გარდა ბ-ნ ო-ს ორი თუ სამი სტატიისა, რა წაიკითხეთ თქვენ ამ „ბიბლიოტეკაში“ თუნდაც ოდნავ საყურადღებო? სრულიად არაფერი. ამრიგად, ყველა ჩვენი ლიტერატორის შეერთებულმა შრომამ ვერაფერი შეჰქმნა საშუალო ღირებულებაზე ზევით! გეკითხებით, სად არის-მეთქი ლიტერატურა? ჩვენში ბევრი იყო დიდი და პატარა ნიჭის პატრონი ადამიანი, მაგრამ ცოტა, ძალიან ცოტა იყო მოწოდებით მხატვარი, ესე იგი ისეთი ადამიანი, ვისთვისაც წერა და სიცოცხლე, სიცოცხლე და წერა — ერთი და იგივეა, ვინც ისპობა ხელოვნების გარეშე, ვისაც არ ესაჭიროება პროტექცია, არ ესაჭიროება მეცენატები, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ვინც იღუპება მეცენატებისაგან, ვისაც ვერა ჰკლავს ვერც ფული, ვერც წარჩინება, ვერც უსამართლობა, ვინც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავისი წმინდა მოწოდების ერთგული რჩება. ჩვენში იყო სქოლასტიციზმის ეპოქა, იყო მტირალობის ეპოქა. იყო მელექსეობის ეპოქა, რომანებისა და მოთხრობების ეპოქა, ახლა კი დრამის ეპოქა დადგა; მაგრამ ჯერ არ ყოფილა ხელოვნების ეპოქა, ლიტერატურის ეპოქა. ჩვენი მელექსეობა დამთავრდა; რომანის მოღა, ეტყობა, გადადის; ახლა დრამას ვაწვალებთ. და ყველაფერი ეს ხდება უშიშვზოდ, ყოველივე ეს გამოწვეულია მიბაძვით. როდის-ღა დადგება ჩვენში ჰუმარითი ხელოვნების ეპოქა?

ეს ეპოქა დადგება, ამაში დარწმუნებული იყავით. მაგრამ ამისათვის საჭიროა, ჯერ ერთი, რომ ჩვენში შეიქმნას საზოგადოება, რომელშიაც გამოიხატებოდა მძლავრი რუსი ხალხის სახე; საჭიროა, რომ ჩვენში იყოს ჩვენი შრომით შექმნილი და მშობლიურ ნიადაგზე განვითარებული განათლება. ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა. მე ამას ვიმეორებ ალტაცებით, სიამოვნებით, რადგან ამ ჰუმარითებაში ვხედავ ჩვენი მომავალი წარმატების საწინდარს. კარგად დააკვირდით ჩვენი საზოგადოების განვითარებას, და თქვენ დამეთანხმებით, რომ მე მართალი ვარ. შეხედეთ ახალ თაობას, რომელიც, ჩვენს ლიტერატურულ ნაწარმოებთა გენიალობასა და უკვდავებაზე გულგატეხილი, ნაცვლად იმისა, რომ მოუმწიფე-

ბელი ქმნილებანი გამოამზეუროს, ხარბად ეწაფება მეცნიერებათა შესწავლას და თვით წყაროდან სვამს განათლების მაცოცხლებელ წყალს¹²⁰. ეტყობა, ბავშვობის საუკუნე მთავრდება. და ღმერთმა ჰქნას, რომ იგი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს! მაგრამ უფრო მეტად ღმერთმა ჰქნას, რომ რაც შეიძლება მალე ყველამ დაჰკარგოს ჩვენი ლიტერატურული სიმდიდრისადმი რწმენა! კეთილშობილური სიდატაკე სჯობს ოცნებით შეთხზულ სიმდიდრეს! დადგება დრო და განათლება ფართო ნაკადად მოეფინება რუსეთს, ხალხის გონებრივი სახე გამოირკვევა, და მაშინ ჩვენი მხატვრები და მწერლები თავიანთ ყველა ნაწარმოებში აღბეჭდავენ რუსულ სულს. მაგრამ ახლა ჩვენ გვესაჭიროება სწავლა! სწავლა! სწავლა! მითხარით, ღვთის გულისათვის, შეიძლება თუ არა ჩვენს დროში ყურადღება მიიპყროს რომელიმე სწავლამოუთავებელმა ბიჭმა, თუნდაც იგი ბუნებისგან დაჯილდოებული იყოს ჭკუითაც, გრძნობითაც და ნიჭითაც? ამ უკვდავ მოხუც ჰომეროსს, თუ იგი მართლაც არსებობდა ქვეყნად, ცხადია, არც აკადემიაში უსწავლია და არც პორტიკუსში. მაგრამ ეს იმიტომ, რომ მაშინ არც ეს სასწავლებლები იყო; ეს იმიტომ, რომ მაშინ ბუნებისა და ცხოვრების დიადი წიგნიდან სწავლობდნენ. ხოლო ჰომეროსი, თუ გადმოცემებს დაუფუერებთ, გულმოდგინედ სწავლობდა ბუნებას და ცხოვრებას, თითქმის მთელი მაშინ ცნობილი მსოფლიო მოიარა და თავისი სახით თავი მოუყარა მთელ იმდროინდელ სიბრძნეს. გოეთე—აი ჰომეროსი, აი ახლანდელი დროის პოეტის პროტოტიპი!

ამრიგად, ჩვენ გვინდა არა ისეთი ლიტერატურა, რომელიც ჩვენი ყოველი მეცადინეობის გარეშე მოგვევლინება თავის დროზე, არამედ განათლება. და ეს განათლება განვითარდება ბრძნული მთავრობის დაუცხრომელი მზრუნველობის მეოხებით. რუსი ხალხი საზრიანი და გულისხმიერია, ბეჯითი და გრძნობიერია ყოველივე კეთილისა და მშვენიერისადმი, როდესაც მეფე-მამის ხელი მიუთითებს მას ში-

ზანს, როდესაც მისი მბრძანებელი ხმა მას ამ მიზნისაკენ მოუწოდებს! და განა ჩვენ ვერ მივალწევთ ამ მიზანს, როდესაც მთავრობა განათლების გავრცელებისათვის ზრუნვის ასეთ ერთადერთ, ასეთ უმაგალითო ნიმუშს იჩენს, როდესაც ის ესოდენ დიდ თანხებს ხარჯავს სასწავლებლების შესანახად, ბრწყინვალე ჯილდოებით ამხნევენს მასწავლებელთა და მოსწავლეთ, რითაც განათლებულ გონებას და ნიჭს გზას უხსნის ყველა წარჩინებისა და სარგებლობის მისაღწევად! აბა თუნდაც ერთი წელიწადი თუ გადის ისე, რომ დაუცხრომელმა მთავრობამ ახალი ღვაწლი არ გასწიოს განათლების საკეთილდღეოდ, ანდა ახალი სასიკეთო საქმეები არ გააკეთოს, ახალი გულუხვობა არ გამოიჩინოს სწავლულთა წოდების სასარგებლოდ? მარტოდენ შინაურ დამრიგებელთა და მასწავლებელთა წოდების შექმნას უნდა მოჰყვეს უთვალავი სიკეთე რუსეთისათვის, რადგან მას უცხოური აღზრდის მავნე შედეგებისაგან ათავისუფლებს. დიალ! ჩვენ მალე გვექნება ჩვენი, რუსული, სახალხო განათლება; ჩვენ მალე დავამტკიცებთ, რომ არ გვესაჭიროება უცხოელთა გონებრივი მეურვეობა. ჩვენ ამას ადვილად გავაკეთებთ, როდესაც განთქმული დიდებულნი, მეფის თანამოსაგრენი სახალხო მმართველობის მძიმე ასპარეზზე, ცნობისმოყვარე ახალგაზრდობაში, რუსული განათლების ცენტრალურ ტაძარში გამოჩნდებიან, მას მონარქის, წმინდათაწმინდა ნება-სურვილს აუწყებენ და აჩვენებენ გზას განათლებისაკენ მართლმადიდებლობის, თვითმპყრობელობისა და ხალხურობის სულისკვეთებით...¹³⁰

ჩვენი საზოგადოებაც, აგრეთვე, ახლოს არის თავის საბოლოო ჩამოყალიბებასთან. კეთილშობილი თავადაზნაურობა, დაბოლოს, სავსებით დარწმუნდა, რომ საჭიროა თავის შვილებს მისცეს მტკიცე და საფუძვლიანი განათლება, სარწმუნოების, ერთგულებისა და ეროვნულობის სულისკვეთებით. ჩვენი კოხტა ყმაწვილკაცები, ჩვენი დენდები, რომელთაც არავითარი ცოდნა არა აქვთ, გარდა იმისა, რომ შეჩვეული არიან ადვილად ილაყბონ ყოველგვარი სისულელე ფრანგუ-

ლად, სასაცილო და საბრალო ანაქრონიზმები ხდებიან. მეორე მხრივ, განა ვერ ხედავთ, თუ როგორ სწრაფად იქმნება, თავის რიგად, ვაქართა წოდება და ამ მხრივ უახლოვდება უმაღლეს წოდებას? ო, მერწმუნეთ, ტყუილუბრალოდ როდი იცავდნენ ისინი ასე მტკიცედ თავიანთ საპატივცემლო, განიერ წვერებს, თავიანთ გრძელკალთებიან ხიფთანებს და მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებებს! მათში ყველაზე შეტად არის დაცული რუსული სახე, და, როცა განათლებას მიიღებენ, ისინი არ დაჰკარგავენ ამ სახეს, ისინი გახდებიან ხალხურობის ტიპი. შეხედეთ, აგრეთვე, ჩვენი სამღვდელოებაც რაცხოველი მონაწილეობის მიღებას იწყებს მშობლიური განათლების წმინდა საქმეში... დიად! აწმყოში მწიფდება თესლი მომავლისათვის! და ეს თესლი აღმოცენდება და გაიფურჩქნება, გაიფურჩქნება დიდებულად და ჩინებულად, მოწოდებისამებრ შვილთმოყვარული მონარქებისა! და მაშინ ჩვენ გვექნება ჩვენი ლიტერატურა, ჩვენ ვიქნებით არა ევროპელთა მიმბაძველნი, არამედ მათი მეტოქენი...



აჰა, მე უკვე ნაპირთან კი არა, თვით ნაპირზე ვარ და სიამაყითა და კმაყოფილებით გავსცქერი იქიდან ჩემს მიერ განვლილ სივრცეს. რა თქმა უნდა, შორი გზაა! სამაგიეროდ, როგორ დავიღალე, როგორ დავიქანცე! უჩვევი საქმეა, ხოლო გზა ძნელია. მაგრამ, საყვარელო მკითხველო, ვიდრე სავსებით გამოგეთხოვებოდეთ, ორიოდ სიტყვა კიდევ მინდა გითხრათ. ვინც სხვების განსჯას იწყებს, იგი თავს იგდებს კიდევ უფრო სასტიკ სამსჯავროში. ამასთანავე, ავტორის თავმოყვარეობა ყოველგვარ სხვა თავმოყვარეობაზე უფრო მიზეზიანი და შურისმგებელია. ამ სტატიის წერა რომ დავიწყე, განზრახული მქონდა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის გაქირდვა, და მე თვითონ არ ვიცი, როგორ შევეტოპე ეგრე შორს. სადღეგრძელოთი დავიწყე და სულის მოსახსენებლით კი დავამთავრე. ეს ხშირად ხდება ხოლმე ცხოვრების საქმეებში. მაშ ასე, გულწრფელად ვაღიარებ:

ნუ დაეძებთ ჩემს „ელეგიაში პროზად“ მკაცრ ლოგიკურ წყობას. ელეგისტები არასოდეს არ განირჩეოდნენ აზროვნების დიდი სიმწყობრივით. ჩემი მიზანი იყო გამომეტყვეა რამდენიმე ჭეშმარიტება, ნაწილობრივ უკვე გამოთქმული, ნაწილობრივ თვით ჩემს მიერვე შენიშნული. მაგრამ ჩემი სტატიის გულდასმით მოფიქრებისა და დამუშავების დრო არა მქონდა. მე მიყვარს ჭეშმარიტება და მსურს საერთო სიკეთე, მაგრამ, შესაძლოა, არა მქონდეს საფუძვლიანი ცოდნა. რას იზამ! ეს ორი თვისება იშვიათად თუ ახასიათებს ერთ პიროვნებას. თუმცაღა, მე კრინტიც არ დამიძრავს იმაზე, რაც ჩემს წარმოდგენას აღემატებოდა, და ამიტომ არ შევხებოვარ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურას. ვფიქრობ და მწამს, რომ მეცნიერებათა და სიტყვიერების წარმატებათა ხელის შესაწყობად ყოველ ადამიანს შეუძლია თამამად და გულახდილად გამოსთქვას თავისი აზრი, მით უმეტეს, თუ ეს აზრი, სამართლიანი თუ ყალბი, მისი რწმენის შედეგია და არა რაიმე ანგარებითი განზრახვისა. ამრიგად, თუ თქვენ დაინახავთ, რომ მე ვცდებოდი, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გამოსთქვით თქვენი აზრი და ამხილეთ ჩემი ყალბი შეხედულება საგნებზე. მე გთხოვთ ასე მოიქცეთ, რათა ამით დაამტკიცოთ თქვენი სიყვარული ჭეშმარიტებისადმი და პატივისცემა პირადად ჩემდამი, როგორც ადამიანისადმი. მაგრამ ნუ გამიჯავრდებით, თუ თქვენ სხვანაირად ფიქრობთ. ახლა კი, საყვარელო მკითხველო, მოგილოცავთ ახალ წელს და ახალ ბედნიერებას. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ჩემბარი, 1834, 12 დეკემბერი.

ზნეობრივი ფილოსოფიის სისწავლის ტრა



ახსულება მაგისტრ ალექსი დროზდოვისა. სანკტ-პეტერბურგი. დაბეჭ-
დულია ი. გლაზუნოვის სტამბაში, 1835. გამოსცა მღვ. თ. სილონსკიმ.
V, 78, (12). ეპიგრაფით:

Parvo... liber...

Vade, sed incultus.

Trist. Ovid. Nas. 1, 1¹

ჩვენში საზოგადოდ ფილოსოფიის ცოდნა არა თუ სრულ-
ლებით გავრცელებული არ არის, არამედ მისდამი მისწრა-
ფებაც კი მხოლოდ ახლა იღვიძებს, და ისიც ნაწყვეტ-ნაწყ-
ვეტ, შეუწყობლად, რაღაც გატაცებისა და ცვალებადი სა-
ხით. მაგრამ მაინც ეს მისწრაფება უკვე იღვიძებს, მიუხედა-
ვად მეცნიერების პროფანთა საშინელი გოდებისა, რომლე-
ბიც თავიანთი „მაღალი საზოგადოების“ დიალექტიკის მთელ
ძალ-ღონეს მიმართავენ „ლოგიკურ წყობათა“ წინააღმდეგ².
ეს მისწრაფება განსაკუთრებით შესამჩნევია ჩვენს სამღვდე-
ლოებაში, რომელიც სიყვარულითა და საგრძნობი წარმატე-
ბით მუშაობს ამ დიად მეცნიერებაში. ამის დამამტკიცებე-
ლია პატარა ბროშურა, რომლის სათაური ამოწერილია ამ
სტატიის დასაწყისში და რომელიც დაწერილი და გამოცე-
მულია სასულიერო პირთა მიერ.

ცხადია, მის შესახებ არსად არაფერი თქმულა და თვით
ჩვენც იგი შემთხვევით ჩაგვივარდა ხელში. ჩვენ იგი კმაყო-
ფილებით წავიკითხეთ და ვჩქარობთ ეს კმაყოფილება ჩვენს
მკითხველებსაც გავუზიაროთ. სწორი შეხედულება მრავალ
საგანზე, საუცხოო, გრძნობით გამსჭვალული გადმოცემა
იდეებისა, კეთილსინდისიერი მსჯელობა, სისადავე და

სიცხადე — ამ თხზულების ღირსებას შეადგენს; ხოლო ზუსტი სისტემის უქონლობა, რაც საზოგადო საწყისისადმი არაერთგულეობისაგან წარმოსდგება, და ამით გამოწვეული კერძო წინააღმდეგობანი, — აი მისი ნაკლოვანებანი. ორივე შემთხვევაში როგორც საგნის დიდი მნიშვნელობა, ისე კეთილსინდისიერი და უანგარო შრომისადმი პატივისცემა გვიკარნახებს უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ ამ თხზულებაზე.

პატივცემული ავტორი იწყებს, როგორც უნდა დაეწყოს კიდევ, „ზნეობრივი ფილოსოფიის“ იდეის განსაზღვრით, ფილოსოფიისა, რომელსაც იგი სხვანაირად „მოქმედს“ უწოდებს. მის განსხვავებას „გონებაჭვრეტითი“ ფილოსოფიისაგან იგი იმაში ხედავს, რომ ამ უკანასკნელის საგანია ჭეშმარიტება, ხოლო პირველისა — სიკეთე. ერთსა და მეორეს შორის იგი პოულობს „კოორდინაციას“, რომელიც მათ ცალ-ცალკე ცოდნად არ აქცევს და მათი ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად დამუშავების შესაძლებლობას ჰკულისხმობს.

ამის შემდეგ ავტორი ამბობს, რომ „ზნეობრივ ფილოსოფიას არ შეუძლია თავისი საწყისები გამოიყვანოს ისტორიული ცდებიდან, ანდა სიმაართლის მსგავსი რაიმე წესებიდან, მაგრამ იგი მოითხოვს იმის ზუსტ და საფუძვლიან ცოდნას, რაც თვით თავის თავში ჭეშმარიტი, კარგი და სამართლიანია“. მარტოდენ ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ ამ წიგნაკში დავინახოთ რაღაც ისეთი რამ, რაც ყურადღების ღირსია, ხოლო ავტორში — ისეთი ადამიანი, რომელსაც თავისი საგანი ესმის. არსებობს ჭეშმარიტების გამოკვლევის ორი წესი: **a priori** და **a posteriori**, ე. ი. წმინდა გონებიდან და ცდიდან. ბევრი დავა იყო ამა თუ იმ წესის უპირატესობის გამო, და ახლაც კი ამ ორი მტრული მხარის შერიგება ყოვლად შეუძლებელია. ერთნი ამბობენ, რომ შემეცნება, იმისათვის, რომ იგი უტყუარი იყოს, უნდა გამომდინარეობდეს თვით გონებიდან, როგორც ჩვენი ცნობიერების წყაროდან, მაშასადამე, სუბიექტური უნდა იყოს, იმიტომ რომ ყო-

ველივე არსებულს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში და არ არსებობს თვით თავისთვისო. მეორენი ფიქრობენ, რომ შემეცნება უტყუარია მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოყვანილია ფაქტებიდან, მოვლენებიდან, როდესაც იგი ცდას ეყრდნობა. პირველთათვის არსებობს მარტო ცნობიერება, და რეალობა მდგომარეობს მხოლოდ გონებაში, ყოველივე დანარჩენი კი უსულო, მკვდარი და უაზროა თავისთავად, ცნობიერებასთან მიმართების გარეშე; ერთი სიტყვით, მათთვის გონება არის მეფე, კანონმდებელი, 'შემოქმედი ძალა, რომელიც სიცოცხლეს და მნიშვნელობას ანიჭებს არარსებულსა და მკვდარს. მეორეთათვის რეალური მდგომარეობს საგნებში, ფაქტებში, ბუნების მოვლენებში, ხოლო გონება სხვა არაფერია, თუ არა მკვდარი სინამდვილის დღიური მუშა, მისი მონა, რომელიც ამ სინამდვილისაგან იღებს კანონებს და მისი ჟინის მიხედვით იცვლება; 'მაშასადამე, გონება არის ოცნება და აჩრდილი. მთელი სამყარო, ყოველივე არსებული სხვა არაფერია, თუ არა მთლიანობა მრავალფეროვნებაში, უსასრულო ჯაჭვი ერთი და იმავე იდეის მოდიფიკაციებისა. გონება, რომელიც ამ მრავალფეროვნებაში იკარგება, ისწრაფვის თავის ცნობიერებაში მიიყვანოს ის მთლიანობამდე, და ფილოსოფიის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა ისტორია ამ მისწრაფებისა. ლედას კვერცხები, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, რომლებიც მიღებული იყო ყოველივე არსებულის საწყისად და წყაროდ, ადასტურებენ, რომ ბავშვური გონებაც იმავე მისწრაფებაში მელავნდებოდა, რომელშიაც ის ამჟამადაც მელავნდება. წმინდა გონებიდან გამოყვანილ თავდაპირველ ფილოსოფიურ სისტემათა არასიმტკიცე მდგომარეობს სრულებითაც არა იმაში, რომ ისინი დაფუძნებული არ იყვნენ ცდაზე, არამედ, პირიქით, იმაში, რომ ისინი დამოკიდებული იყვნენ ცდაზე, იმიტომ რომ ბავშვური გონება თავისი გონებითი ჰერეტიკის ძირითად კანონად ყოველთვის იღებს არა იდეას, რომელიც თვით მასშია, არამედ ბუნების რომელიმე მოვლენას და, მაშასადამე,

იდეები გამოჰყავს ფაქტებიდან და არა ფაქტები იდეებიდან. ფაქტები და მოვლენები არ არსებობენ თავისთავად; ყველა ისინი ჩვენშია. აი, მაგალითად, წითელი ოთხკუთხედი მაგიადა. წითელი ფერი არის ნაწარმოები ჩემი მხედველობითი ნერვისა, რომელიც შეირხა მაგიდის კვრეტით; ოთხკუთხედი ფორმა არის ფორმის ის ტიპი, რომელიც წარმოქმნა ჩემმა სულმა, თვით ჩემშია და რომელსაც მე მაგიდას ვაკუთვნებ; ხოლო თვით მნიშვნელობა მაგიდისა ის ცნებაა, რომელიც ისევ ჩემშია და ჩემგანვე შექმნილია, იმიტომ რომ მაგიდის გამოგონებას წინ უსწრებდა მაგიდის საჭიროება, მაშასადამე, მაგიდა იყო შედეგი იმ ცნებისა, რომელიც თვით ადამიანმა შექმნა, და არა მის მიერ რომელიმე გარეგანი საგნიდან მიღებული ცნებისა. გარეგანი საგნები მხოლოდ ბიძგს აძლევენ ჩვენს მე-ს და მასში აღძრავენ ცნებებს, რომელთაც იგი ამ საგნებს ანიჭებს. ჩვენ ამით სრულებით არ გვინდა უარვყოთ ფაქტების შესწავლის საჭიროება; პირიქით, ასეთი შესწავლა სრულიად აუცილებელ რამედ მიგვაჩნია. მხოლოდ ამასთან ერთად გვინდა ვთქვათ, რომ ეს შესწავლა წმინდა გონებაკვრეტითი უნდა იყოს და ფაქტები აზრით უნდა აიხსნას და არა აზრები იქნას გამოყვანილი ფაქტებიდან. სხვა-ნაირად მატერია იქნება სულის საწყისი, ხოლო სული—მატერიის მონა. ასე იყო კიდეც მეთვრამეტე საუკუნეში, ცდიხა და ემპირიზმის ამ საუკუნეში. და სად მიიყვანა ამან ეს საუკუნე? სკეპტიციზმთან, მატერიალიზმთან, ურწმუნოებასთან. გარყვნილებასა და ჭეშმარიტების სრულ უცოდინარობასთან ისეთ პირობებში, როდესაც ღრმა ცოდნა ჰქონდათ. რა იცოდნენ ენციკლოპედისტებმა? როგორი იყო მათი სწავლულობის ნაყოფი? სად არის მათი თეორიები? ყველა ეს თეორიები მიმოიფანტა, საპნის ბუშტებივით გასკდა. ავიღოთ მართოდენ მშვენიერის თეორია, თეორია, რომელიც ფაქტებიდან გამოიყვანეს და ბუალოს, ბატეს, ლაჰარპის, მარმონტელის, ვოლტერის ავტორიტეტებმა დაამკვიდრეს. სად არის ეს თეორია, ან, უკეთ რომ ვთქვათ, რას წარმოადგენს ის ახლა? მხოლოდღა ადამიანის გონების უმწეობისა და არარაო-

ბის ძეგლს, გონებისა, რომელიც თავისი მოქმედების მარადიული კანონების მიხედვით კი არ მოქმედებს, არამედ ფაქტების ოპტიკურ ცთომილებას ემორჩილება. რა გამოიწვია ამ თეორიამ? თანამედროვე დაღუპვა^ა და მოსპობა ხელოვნებისა, რომელიც მან უბრალო ხელოსნობის დონემდე ჩამოაქვეითა. მერე და რატომ? იმიტომ, რომ ამ ადამიანებს უნდოდათ ხელოვნების იდეალის შექმნა ძველი დროის მიერ ნაანდერძევ უკვდავ ნიმუშთა მიხედვით და არა მისი გამოყვანა თავისი სულიდან. გვეტყვიან: ისინი მხოლოდ ბერძნულ და რომაულ სიტყვიერებას იცნობდნენ და ამიტომაც მხოლოდ ამ ლიტერატურათა ნაწარმოებების მიხედვით მსჯელობდნენ, მაგრამ არ იცნობდნენ შექსპირს, არ იცნობდნენ შუა საუკუნეთა ლიტერატურას, აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურებს, ისინი შილერზე, გოეთეზე, ბაირონზე აღრეცხოვრობდნენო. მერე და რა მოხდა? იმათ არც ესაჭიროებოდათ ყოველივე ამის ცოდნა, იმიტომ რომ მათ შილერის, გოეთეს და ბაირონის ნაწარმოებებზე უფრო საიმედო რამ ჰქონდათ, მათ ჰქონდათ გონება, მათში იყო თავისი თავის შემცნობი ადამიანური სული, ხოლო ამ გონებაში, ამ სულში მოცემული იყო ხელოვნების იდეალი, მოცემული იყო შემოქმედების ჰეშმარიტ ნაწარმოებთა ბუნდოვანი და მთრთოლვარე წინათგრძნობა. თუ ძველი დროის ნაწარმოებნი ამ იდეალს არ უდგებოდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ ან იმათ სათანადოდ არ ესმოდათ ეს ნაწარმოებნი, ანდა, რომ ეს ნაწარმოებნი ყალბნი და არა მხატვრულნი არიან. ეს რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, ავიღოთ რაიმე მაგალითი. მე დარწმუნებული ვარ, რომ პოეზია არის შეუცნობელი გამოხატულება შემოქმედი სულისა, და რომ, მაშასადამე, პოეტი შემოქმედების ქაშს ვნებით შეპყრობილი არსება უფროა, ვიდრე მოქმედი არსება, ხოლო მისი ნაწარმოები არის მიგნებული მოჩვენება, რომელიც მას მოევლინა ნათელი ზეშთაგონების ქაშს. მაშასადამე, იგი არ შეიძლება იყოს მისი გონების გამონაგონი, მისი ნებისყოფის შეგნებული ქმნალება. რაკი ეს მიმაჩნია აბსოლუტურ საფუძვლად, მე არა ვცნობ პოეზიას არაფერში,

რაც ამ კანონის მიხედვით არ არის შექმნილი, არაფერში, რასაც მიზანი ჰქონდა ან მიზაძვის შედეგი იყო. მაგრამ, მეტყვიან მე: აი, ესა და ეს ნაწარმოებები ამ კანონს რომ არ მიუღებო? — მაშასადამე, ისინი ყალბი ნაწარმოებნი არიან, მივეუგებ მე. — მაგრამ სწორია თუ არა თქვენი საწყისი? — უარპყავით ის! — ახლა წავიდეთ ქვევით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეპიკური პოემა, რათა იგი ქეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები იყოს, სარკესავით უნდა ასახავდეს მთელი ხალხის ცხოვრებას. შემდეგ, იმისათვის, რომ ასეთი იყოს, იგი უნდა შეიქმნას შემოქმედების იმ კანონის მიხედვით, რომელზეც უკვე ვილაპარაკე, ე. ი. უნდა იყოს შეუცნობელი გამოხატულება შემოქმედი სულისა, დამოუკიდებელი ადამიანის შეგნებული ნებისყოფისაგან, მაშასადამე, უაღრესად ორიგინალური, უაღრესად მტრული ყოველგვარი მიზაძვისადმი. ასეთია „ილიადა“ — ნაწარმოები მთელი ხალხისა თუ ვილაც ბრმა ჰომეროსისა, ნაწარმოები, რომელიც გმირული საბერძნეთის იდეის სიმბოლოა; ასეთია გოეთეს „ფაუსტი“ — ქმნილება ერთი ადამიანისა, რომელიც თვითონ იყო გერმანიის უაღრესად სრული გამოხატულება და რომელმაც თავის ქმნილებაში ორიგინალური და მისი საუკუნისათვის დამახასიათებელი ფორმით წარმოადგინა თავისი სამშობლოს სულის სიმბოლო. მაგრამ ასეთი არ არის „ენეიდა“, „განთავისუფლებული იერუსალიმი“, „დაკარგული სამოთხე“, „მესიდა“, იმიტომ რომ ისინი შექმნილია არა ანგარიშმიუხედავად, არა თავისთავად, არამედ „ილიადის“ შედეგად, მაშასადამე, ისინი ცოცხლობენ არა თავისი, არამედ სხვისი სიცოცხლით. იმიტომაც იმათში არ არის და არ შეიძლება იყოს არც იმ ხალხის ცხოვრების სრული სურათი, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, არც იმ დროის სულისკვეთების უტყუარი ასახვა, რომელშიაც ისინი შეიქმნენ. რასაკვირველია, მათში არის დიდი კერძო სილამაზენი; და მაინც, მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოებები ყალბი და მცდარია. — მაგრამ ისინი ხომ ყველა საუკუნემ სცნო? — ასეა; მაგრამ დაამტკიცონ, რომ ჩემი საფუძვლები ყალბია. ასეთ შემთხვევაში მე ვალია-

რებ, რომ საუკუნეები საფუძვლიანად ლაპარაკობდნენ. ოღონდ მაშინ ჩემთვის აღარ იქნება პოეზია: პოეზია გადაიქცევა ხელოსნობად, გასართობად, ტყუილუბრალო დროსტარებად, მსგავსად ბანქოს თამაშისა ან ცეკვისა. კიდევ მოვიტანოთ მაგალითი. ამასწინათ ერთ ყურნალში საღი გონების სასტიკი თავდასხმებისაგან იცავდნენ მეგობრის გონჯ წიგნაკს, რისთვისაც უკეთესი საშუალება ვერ გამოიხატეს, გარდა იმისა, რომ უარჰყვეს პოეზიის -შესაძლებლობა გაუნათლებელ და უვიც ხალხებში, თითქოს პოეზია იყოს ნაყოფი მეცნიერებისა და ცივილიზაციისა და არა თავისუფალი ნაყოფი ადამიანის სულისა. ამ მიზნით, მეგობრის წიგნაკის რაინდი ხელებითა და ფეხებით ჩაებლაუჭა რუსულ სიმღერას:

Как у нашего двора
Приукатана гора —

და ამ სიმღერით დაამტკიცა, როგორც $2 \times 2 = 4$, რომ რუსულ ხალხურ სიმღერებში არ არის პოეზია, იმიტომაც, რომ ისინი შეუთხზავთ უვიც გლეხებს და არა „მაღალი საზოგადოების“ ადამიანებსო, არა კანდიდატებს, მაგისტრებსა და დოქტორებსო; ხოლო ავტორმა თავიც კი არ შეიწუხა იმას მაინც მიმხვდარიყო, რომ მის მიერ მაგალითად მოტანილი სიმღერა სრულებითაც არ არის სიმღერა, არამედ ეს არის სიმღერის ზმა, ერთგვარი მისამღერი, სადაც ხშირად ისეთი სიტყვებია ზოლმე თავმოყრილი, რომელთაც არავითარი აზრი არა აქვთ. თავმოყრილია მხოლოდ ხმისთვის, როგორც მაგალითად, „ах люли, ах люли!“ და სხვ. აი, რას ნიშნავს ფაქტებზე დაყრდნობა უაზროდ! და ამიტომაც, ამ სტატიას რომ კითხულობ, არ იცი, რას კითხულობ: სტატიას პოეზიაზე, თუ კარტოფილის დასათესად მინდვრის გაპატივების ახალ წესზე... სასაცილო და სავალალოა!..⁴

მაგრამ მე ლაპარაკი დავიწყე მეთვრამეტე საუკუნესა და ფრანგებზე, და თავათვე ვერ შევნიშნე. როგორ გადავედი მეცნრამეტე საუკუნეზე და ჩვენზე, რუსებზე; ეს იმიტომ, რომ მეთვრამეტე საუკუნე ჯერ კიდევ ახლაც სცოცხლობს

ჩვენს მრავალ წიგნსა და ჟურნალში, განსაკუთრებით „მაღალი საზოგადოების“ წიგნებსა და ჟურნალებში⁶, ხოლო ფრანგები დღესაც ხელით გვატარებენ, როგორც ბავშვებს, თავისი ემპირიზმის ზედაპირზე და ამ ემპირიზმს ეკლექტიზმად ასაღებენ. კაცობრიობამ მხოლოდ გერმანელებისაგან გაიგო, რა არის ხელოვნება და რა არის ფილოსოფია, მაშინ როდესაც ფრანგებმა ხელოვნების ნაცვლად გვიჩვენეს რაღაც მეწადის ხელობის მსგავსი რამ, ხოლო ფილოსოფიის ნაცვლად — რაღაც რიკ-ტაფელას თამაშის მსგავსი რამ. გონებრივ ჰერეტიკა ყოველთვის ეყრდნობა აუცილებლობის კანონებს, ხოლო ემპირიზმი — მკვდარი სინამდვილის პირობითს შოვლენებს. ამიტომ პირველი — ქვაზე აგებული, ხოლო მეორე — ქვიშაზე ნაგები შენობაა, რომელიც მაშინვე ინგრევა, როგორც კი ქარი დაუბერავს ქვიშის-თუნდაც ერთ იმ ძარცვალთაგანს, რომლებიც ამ შენობის მერყევ საძირკველს შეადგენენ. მათემატიკა უპირატესად დადებითი და ზუსტი მეცნიერებაა და, იმავე დროს, სრულებითაც არა ემპირიული, არამედ წმინდა გონების კანონებიდან გამოყვანილი მეცნიერება, რაც ერთი და იგივეა: 2×2 რომ ოთხია, ეს ჭეშმარიტება გაგებულია არა ცდით, არამედ სულიდან გადატანილია ცდაში. რა არის ყველა ის ჰიპოთეზი, რომლებზეც დაფუძნებულია ასტრონომია, თუ არა გონებით ჰერეტიკა. ხოლო, იმავე დროს, განა ასტრონომია დადებითი მეცნიერება არ არის? ორი უდიდესი აღმოჩენა ჩვენი ცოდნის სფეროში — ამერიკა და პლანეტების სისტემა — *a priori* მოხდა. კოლუმბუსა და გალილეის დასცინოდნენ როგორც გიყებს, იმიტომ რომ ცდა აშკარად უარყოფდა მათ; მაგრამ მათ სწამდათ თავისი გონება, და მათ გაამართლეს გონება.

მაგრამ კიდევ უფრო უცნაურად გვეჩვენება აზრი ჭეშმარიტების გამოკვლევის გონებაჰერეტიკითი და ემპირიული წესის რაღაც თანამედროვე შეერთების შესახებ. რას ბრძანებთ, ეგ აშკარა უაზრობაა, რომლითაც ისპობა ცოდნის მთელი წრე, ისპობა ყოველგვარი მეცნიერების შესაძლებლობა, იმიტომ რომ ამით ხდება არა მხოლოდ გონებაჰერეტიკითი სინამ-

დვილის, არამედ თვით ცდის უარყოფაც: თუ გონებით ჰკრეტა საჭიროებს ცდის დახმარებას, მაშასადამე, იგი საკმარისი არ არის; თუ ცდა საჭიროებს გონებით ჰკრეტის დახმარებას. მაშასადამე, ისიც საკმარისი არ არის. ცდის არასაკმარისობის აღიარებით ჩვენ ვსპობთ ცნობიერებისაგან დამოუკიდებელ რეალობას ფაქტებისას, და ამით ვამტკიცებთ, რომ ცდის საშუალებით პირდაპირ არაფრის გაგება არ შეიძლება; გონებით ჰკრეტის არასაკმარისობის აღიარებით ჩვენს გონებას ვაქცევთ მოჩვენებად და ვამტკიცებთ, რომ გონების საშუალებითაც არაფრის გაგება არ შეიძლება. მაშასადამე, რას მოიტანს ეს შეერთება? მხოლოდ ორ ერთგვაროვან საგანს შეუძლია შეადგინოს ერთი მთელი. სხვაა გონებით ჰკრეტის შემოწმება ცდით, გონებით ჰკრეტის მიყენება ფაქტებისადმი; ეს შესაძლებელი საქმეა. თუ გონებით ჰკრეტა უტყუარია, მაშინ ცდამ უსათუოდ უნდა დაადასტუროს ის გამოყენებით, იმიტომ რომ, როგორც უკვე ვთქვით, თვით ყველაზე ცდისეული ცოდნაც კი აუცილებლად გონებჰკრეტითია, იმის გამო, რომ ფაქტს სიცოცხლე და მნიშვნელობა აქვს არა თავისთავად, არამედ მხოლოდ იმ ცნების მიხედვით, რომელსაც იგი ჩვენს ცნობიერებაში აღძრავს და რომელსაც ჩვენ მას მიუყუყენებთ. მაშასადამე, თუ ფაქტები გაგებულია სწორად, მათ უსათუოდ უნდა დაადასტურონ გონებით ჰკრეტა, იმიტომ რომ გონებით ჰკრეტა არ ეწინააღმდეგება გონებით ჰკრეტას...

სიძველე

წმინდანებისა და სწავლულების

1837-1841წწ.

ნერიცები 1837—1840 წ.

*

დ. პ. ივანოვის. 7 აპრილი 1837

(ნაწყვეტი)

პიტიგორსკი, 1837, აპრილი 7.

აზრი, ანუ იდეა, მისი განურჩეველი, მსოფლიო მნიშვნელობით — აი რა უნდა იყოს ადამიანის შესწავლის საგანი. აზრის გარეშე ყველაფერი მოჩვენება და ოცნებაა; მარტოდენ აზრია არსებული და რეალური. რა ხარ შენ თვითონ? სსეულით შემოსილი აზრი: შენი სხეული დაღებება, მაგრამ შენი მე ღარჩება, მამასადამე, შენი სხეული არის მოჩვენება, ოცნება, მაგრამ შენი მე არსებული და მარადიულია. ფილოსოფია—აი რა უნდა იყოს შენი მოქმედების საგანი. ფილოსოფია წმინდა, განყენებული იდეის მეცნიერებაა; ისტორია და ბუნებისმეტყველება არიან მეცნიერებანი იდეისა მოვლენაში. ახლა გეკითხები: რა უფრო მნიშვნელოვანია—იდეა თუ მოვლენა, სული თუ სხეული? იდეა არის მოვლენის შედეგი თუ მოვლენაა იდეის შედეგი? თუ ასეა, მშინ შეგიძლია თუ არა გაიგო შედეგი ისე, რომ არ იცოდე მისი მიზეზი? შეიძლება თუ არა შენთვის გასაგები იყოს კაცობრიობის ისტორია, თუ არ იცი, რა არის ადამიანი, რა არის კაცობრიობა? აი რატომ არის ფილოსოფია ყოველი ცოდნის დასაწყისი და წყარო, აი რატომ არის უფილოსოფიოდ ყოველგვარი მეცნიერება მკვდარი, გაუგებარი და უაზრო. მაგრამ შენ არ შეიძლება პირდაპირ ფილოსოფიით დაიწყო; შენ უნდა მოემზადო მისთვის ხელოვნების გზით. როგორც ქრისტიანი ემზადება ზიარების საშუალებით სულიერი განწმენდისათვის მარხვისა და მონანიების გზით, ასევე ხელოვნებით უნდა განაწმინდო შენი სული ამქვეყნიური ზრუნვის კეთრისაგან, გულ-

ცივი თავმოთნეობისაგან, გარეგანი ცხოვრების ცთუნებათაგან, და მოამზადო ის წმინდა ქეშმარიტების მისაღებად. ხელოვნება შენში განამტკიცებს და განავითარებს საყვარულს; იგი მოგცემს რელიგიას, ანუ ქეშმარიტებას ჭკრეტაში, იმიტომ რომ რელიგია არის ქეშმარიტება ჭკრეტაში, მაშინ როდესაც ფილოსოფია არის ქეშმარიტება ცნობიერებაში. ვინც ქეშმარიტებაში დარწმუნებულია გრძნობით და არ შეუძლია მისი გონებიდან გამოყვანა საკუთარი თავისუფალი თვითაზროვნებით, მისთვის ქეშმარიტება არსებობს მხოლოდ ჭკრეტაში. მაგრამ, თუ არა გვაქვს ქეშმარიტება ჭკრეტაში, შეუძლებელია ის გვქონდეს ცნობიერებაშიც. შენ ჯერ კიდევ ბავშვი იყავი, მაგრამ უკვე შეგეძლო ბოროტებისაგან სიკეთის, სიცრუისაგან ქეშმარიტების გარჩევა, — მაშასადამე, ქეშმარიტება ჭკრეტაში ყოველთვის წინ უსწრებს ქეშმარიტებას ცნობიერებაში. მაგრამ ბავშვობაში შენ შეგეძლო გეგრძნო მხოლოდ ცხოვრების, პრაქტიკული ქეშმარიტება, ახლა შენ უნდა შეიძინო ჭკრეტა განყენებული, წმინდა ქეშმარიტებისა, და ამ ჭკრეტას შენ გაძლევს ხელოვნება.

მე მუდამ გულს მტკენდა შენი გულგრილობა პოეზიისადმი; შენ მას ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდი, ხოლო თუ აქცევდი, ისიც არა სიამოვნებისათვის, არამედ თითქოს მოვალეობის გამო, რომ საშუალება გქონოდა რაიმე გეთქვა ამა თუ იმ მწერალზე, განათლებულობის გამო, რომ სხვებს არ ჩამორჩენოდი, მაშასადამე, ეგოიზმის გამო, ანდა თავის შესაქცევად, გასართობად. არა, ხელოვნებას უნდა ეპყრობოდე სასოებით, მოწიწებით, უმაღლესი სიამოვნებისათვის, ისეთი სიამოვნებისათვის, რაც მხოლოდ სულის დამახასიათებელი თვისებაა. თუ შენ გაიგე დიდი გენიის ქმნილება, უნდა გიხაროდეს ის, რომ გაიგე იგი, რომ ამით უფრო ბედნიერი გახდი, და არა ის, რომ შენ გაიგე, რომ შენ უფრო ბედნიერი გახდი. რა გესაქმება შენ იმასთან, რომ ყველანი ჩავთვლიდნენ ისეთ ადამიანად, რომელსაც არ შეუძლია უმაღლესი ქეშმარიტება გაიგოს, უმაღლესი სიამოვნება განიცადოს, ერთი სიტყვით, შეზღუდულ და უსულგულო ადამიანად.

რა გესაქმება შენ ამასთან? შენ გულგრილად უნდა მოეკიდო შენი პიროვნების შეურაცხყოფას; შენ გულგრილად არ უნდა მოეკიდო მხოლოდ იმ ჭეშმარიტების შეურაცხყოფას, რომელსაც ემსახურები, იმატომ რომ შენ გიყვარს ჭეშმარიტება და არა შენი თავი. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიტანჯებით, როდესაც ჩვენს თავმოყვარეობას შეურაცხყოფენ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩვენში მეტი ეგოიზმი და თავმოყვარეობაა, ვიდრე ღმერთისადმი სიყვარული. ხოლო ვისშიააც მეტია ღმერთისადმი სიყვარული, იგი ადვილად აიტანს თავისი თავმოყვარეობის შეურაცხყოფას ან, უკეთ რომ ვთქვათ, იგი ვერც კი მიიღებს ანეთ შეურაცხყოფას, იმიტომ რომ მას არა აქვს თავმოყვარეობა. სიყვარული ისეთი ძალაა, რომელიც სამსონის ძალას აღემატება. მაგრამ მარტოოდენ ხელოვნებაში მუშაობა განუწყვეტლივ არ შეიძლება, იმიტომ რომ იგი მოითხოვს თავისუფალ და არა იძულებითს მუშაობას, ხოლო ჩვენი სული შთაბეჭდილებათა სიმძიმით სუსტდება; და გონებაც აგრეთვე თავისუფალ მოქმედებას მოითხოვს. შენ იწერები, რომ გასურს წაიკითხო ჰეგელის ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია. ეს უსარგებლოა, — შენ იქ სრულებით ვერაფერს გაიგებ. იმისათვის, რომ ჰეგელი გაიგო, უნდა გაეცნო კანტს, ფიხტეს და შელინგსაც კი. ფიხტემ ორი წიგნი დასწერა პროფანებისათვის — იკითხე ისინი. შენ იმათ გაიგებ, და ისინი დაგაინტერესებენ და ფილოსოფიისადმი ხალხს აღგაძრავენ. მათ შესახებ მიმართე არამზადა ბაკუნინს. იშოვნე კიზევეტერის ფილოსოფია. კიზევეტერი კანტის მოწაფე და მიმდევარია და მასზე უფრო გასაგებია. დასაწყისისათვის ეს იკმარებს. მაშ ასე, შენ ხელს ჰკიდებ ფილოსოფიას! კარგი საქმეა! მხოლოდ ფილოსოფიაში იპოვნი პასუხს შენი სულის კითხვებზე; მხოლოდ ის მიანიჭებს მშვიდობას და ჰარმონიას შენს სულს და ისეთ ბედნიერებას გაჩუქებს, როგორზეც ბრბო გუმანსაც კი ვერ მიიტანს და როგორსაც გარეგანი ცხოვრება ვერც მოგანიჭებს და ვერც წაგართმევს. შენ იტყები არა სამყაროში, მაგრამ მთელი სამყარო იქნება შენში. შენს თავშივე, შენი სულის იღუმალ

საკუროთხვეველში ჰპოვებ უმაღლეს ბედნიერებას, და მაშინ შენი პაწია ოთახი, შენი ღარიბული და ვიწრო კაბინეტი ბედნიერების ჭეშმარიტი ტაძარი იქნება. შენ იქნება თავისუფალი, იმიტომ რომ არაფერსა სთხოვ ქვეყნიერებას, და ქვეყნიერებაც თავს დაგანებებს, როცა დაინახავს, რომ შენ მას არაფერსა სთხოვ. ყველაზე უფრო მიატოვე პოლიტიკა და გეშინოდეს ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისა შენს აზრთა წყობაზე. პოლიტიკას ჩვენში, რუსეთში, აზრი არა აქვს, და მას შეიძლება ხელი მოჰკადონ მხოლოდ უტვინო ადამიანებმა. გიყვარდეს სიკეთე, და მაშინ აუცილებლად სასარგებლო იქნები შენი სამშობლოსათვის ისე, რომ არ იფიქრებ და არ ეცდები სასარგებლო იყო მისთვის. თითოეულ ინდივიდთაგანს, რომლებიც რუსეთს შეადგენენ, სიყვარულის გზით რომ სრულყოფისათვის მიედწია, მაშინ რუსეთი ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე გახდებოდა მსოფლიოს უბედნიერესი ქვეყანა. განათლება—აი გზა მისი ბედნიერებისავენ. რუსეთს სულ სხვა ბედი უწერია, ვიდრე საფრანგეთს, სადაც როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების, ისე მცხოვრებთა ხასიათის პოლიტიკურ მიმართულებას თავისი აზრი, თავისი კანონიერება და თავისი კარგი მხარე აქვს. საფრანგეთი არის ცდის, ცხოვრებისადმი იდეების მიყენების ქვეყანა: სულ სხვაა რუსეთის დანიშნულება. თუ გინდა გაიგო მისი დანიშნულება—წაიკითხე პეტრე დიდის ისტორია, ის აგიხსნის ყველაფერს. არც ერთ ხალხს არა ჰყოლია ასეთი ხელმწიფე. სხვა ხალხთა ყველა დიდი ხელმწიფე პეტრეზე დაბლა დგას, ყველა ისინი თავისი ხალხების ცხოვრების გამოხატულებას წარმოადგენდნენ და მხოლოდ თავისი ხალხების ნება-სურვილს ასრულებდნენ, როდესაც დიადსა ჰქმნადნენ; ერთი სიტყვით, ყველა ისინი თავისი ხალხების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. პეტრე, პირიქით; თავისი ხალხიდან გამოსული კაცი იყო, მას თავიდანვე არ აღუზრდია ეს ხალხი, მაგრამ ხელახალი აღზრდა კი მისცა მას, არც შეუქმნია ეს, მაგრამ გარდაჰქმნა კი. ყველა ხალხთა მეფეები ავითარებდნენ თავის ხალხებს წარსულზე, გადმოცემაზე დაყრ-

დნობით. პეტრემ მოსწყვიტა რუსეთი წარსულს, დაამსხვრია რა მისი ტრადიციები, და ახლა სასაცილო და საცოდავი შესახედავი არიან ჩვენი უტყუარო სწავლულნი და პოეტნი, რომლებიც აზროვნებისა და ხელოვნებისათვის ხალხურობას დაეძებენ ისტორიაში რიურისიკიდან ვიდრე ალექსიმდე, რუსეთის ამ წარღვნის წინადროინდელ ისტორიაში. პეტრე აშკარა დადასტურებაა იმისა, რომ რუსეთი თავისი თავისაგან კა არ განავითარებს თავის მოქალაქეობრიობას და თავის თავისუფლებას, არამედ ერთსაც და მეორესაც მიიღებს თავისი მეფეებისაგან, რადგან უკვე ბევრი მიიღო მათგან ერთიც და მეორეც. მართალია, ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს უფლებები, ჩვენ ჯერ კიდევ მონები ვართ, თუ გნებავთ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ უნდა ვიყოთ მონები. რუსეთი ჯერ კიდევ ჩვილია, მისთვის საჭიროა გადია, რომლის მკერდშიაც თავისი გაზრდილსადმი სიყვარულით აღსავსე გული უნდა სცემდეს, ხოლო ხელში წკეპლა უნდა ეჭიროს, რათა ცელქობისათვის მყისვე დასაჯოს ის. ჩილი ბავშვისათვის სრული თავისუფლების მიცემა—მის დაღუპვას ნიშნავს. რუსეთისათვის მის ახლანდელ მდგომარეობაში კონსტიტუციის მიცემა—რუსეთის დაღუპვას ნიშნავს. ჩვენი ხალხის გაგებით თავისუფლება სილაღვა, ხოლო სილაღე—თავხედობაა. განთავისუფლებული რუსი ხალხი პარლამენტში კი არ წავიდოდა, არამედ სამიკიტნოში გაიქცეოდა, რომ ღვინო ესვა, მინები ჩაელეწა და ჩამოეხრჩო თავადაზნაურები, რომლებიც წვერს იპარსავენ, სერთუკებს იცვამენ და არა ზუბუნებს, თუნდაც ამ თავადაზნაურთა დიდ ნაწილს არც თავადაზნაურობის სიგელები ჰქონოდა და არც კაპიკი ფული. რუსეთის მთელი იმედი დამყარებულია განათლებაზე და არა გადატრიალებებზე, არა რევოლუციებზე და არა კონსტიტუციებზე. საფრანგეთში ორი რევოლუცია იყო და მათ შედეგად მოჰყვა კონსტიტუცია. და მერე რა გამოვიდა? ამ კონსტიტუციურ საფრანგეთში გაცილებით ნაკლებაა აზრის თავისუფლება, ვიდრე თვითმპყრობელურ პრუსიაში. და ეს იმიტომ, რომ კონსტიტუციური თავისუფლება პირობათა თავისუფლებაა, ხოლო

ქემმარტი, უცილობელი თავისუფლება დგება იმ სახელმწიფოებში, სადაც წარმატებას აღწევს განათლება, დაფუძნებული ფილოსოფიაზე, გონებაქვერებითა და არა ემპირიულ ფილოსოფიაზე, დაფუძნებული წმინდა გონების სამეფოზე და არა უხამსი საღი აზრის სამეფოზე. სამოქალაქო თავისუფლება უნდა იყოს ნაყოფი ხალხის შემადგენელი თითოეული ინდივიდის შინაგანი თავისუფლებისა, ხოლო შინაგანი თავისუფლება ცნობიერებით შეიძინება. და სწორედ ასეთი მშვენიერი გზით მიაღწევს თავისუფლებას ჩვენი რუსეთი. კიდევ მოგიტან მაგალითს. ჩვენი მთავრობა ბატონყმობის წინააღმდეგ წერის ნებას არ აძლევს, ხოლო, იმავე დროს, თანდათან ათავისუფლებს გლეხებს. შეხედე, როგორ თავისთავად ძვრება სული ჩვენს თავადაზნაურობას ყოველგვარი რევოლუციისა და შინაგან შერყევათა გარეშე ამის მეოხებით, რომ ჩვენში არ არის მაიორატობა. და თუ ჩვენ გვეყოლება შვილები, მაშინ, როცა ისინი ჩვენს ასაკს მიაღწევენ, მათ ბატონყმობა ეცოდინებათ როგორც ისტორიული ფაქტი, როგორც წარსული ამბავი. და ყოველივე ეს მოხდება შეთქმულებათა და ამბოხებათა გარეშე და ამიტომ მოხდება უფრო მტკიცედ და უკეთესად. განა დიდი ხანია რაც მე და შენ ქვეყნად ვცხოვრობთ, განა დიდი ხანია რაც ჩვენი თავი გვახსოვს? და აჰა, შეხედე, რარიგად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი: განა ბევრი დარჩა ახლა ტირანი-მემამულე? ხოლო ეინც კიდევ დარჩა, განა თვით მემამულეებს არა სძულთ ისინი? ხომ ხედავ, რომ რუსეთშიაც ყველაფერი უკეთესადსაქენ მიიღის? განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც სამეფო კარზე ჩამოქვეითებას თან სდევდა ციმბირში გადასახლება? ხოლო ახლა ამას თან სდევს დიდი, დიდი—საკუთარ სოფელში გადასახლება. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მინიხს, ფელდ-მარშალს, გმირს, შაყას კვრა მოუსაჯეს და მხოლოდ იშპერატორის ღმობიერების წყალობით გადასახლეს სამუდამოდ ციმბირში? ახლა კი უკვე ჩვენც, სამოქალაქო მხრივ სრულიად უმნიშვნელო ადამიანებს, შაყას კვრით არ დაგვსჯიან იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ჩვენ ამის ღირსნი ვყოფი-

ლიყავით. გახსოვს თუ არა, როგორ განიარჩეოდნენ, რა თავაზიანად იქცეოდნენ ბატონი სამხედრო პირები, განსაკუთრებით კავალერისტები, ალექსანდრეს მეფობის დროს, რომელიც ჩვენ საკუთარი თვალთ ვნახეთ მის სიკვდილამდე ერთი თუ ორი წლით ადრე? გახსოვს თუ არა, რა თავხედურად იქცეოდნენ ისინი ჯარის დაბინაუების ადგილებში, კმრებს ცოლებს სტაცებდნენ მარტოოდენ ვაჟკაცობის გამოჩენის გულისათვის, შიშის ზარსა სცემდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს და დაუსჯელად ყაჩაღობდნენ? ახლა ეჲ?.. ახლა ისინი გასუსული არიან. შენ აღარ გეშინია იმათი, თუ წილად გხვდა უბედურება ფრაკის ტარებისა, ან კიდევ, თუ გყავს დედა, და ცოლი ან ქალიშვილი. უნავერსიტეტში ჩვენს შესვლამდე არა უშეტეს ორი წლით ადრე სტუდენტები სამხედრო პირებზე უკეთესად როდი იქცეოდნენ, და ჯერ კიდევ ჩვენს დროს აკადემისტები ხანდახან სჩადიდნენ ამგვარ საგმირო საქმეებს. ახლა კი? ახლა ის სტუდენტი, რომელსაც შეუძლია ერთი ვედრო ღვინო დალიოს და ფეხზე იდგეს, კვლავინდებურად ველარ დაიმსახურებს თავისი ამხანაგების მოწიწებულ გაკვირვებას, არამედ თავის თავისადმი ზიზღსა და სიძულვილს აღძრავს. მერე რა არის ყოველივე ამის მიზეზი? საზოგადოებრივი აზრის შექმნა, განათლების გავრცელების შედეგად. და, შესაძლოა, ამაზე უფრო მეტად—თვითმპყრობელური ძალაუფლება. ეს თვითმპყრობელური ძალაუფლება სრულ თავისუფლებას გვაძლევს ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ, მაგრამ იგი გვიზღუდავს ხმამაღლა ლაპარაკისა და მის საქმეებში ჩარევის თავისუფლებას. იგი იძლევა საზღვარგარეთიდან ჩვენში ასეთი წიგნების შემოტანის ნებას, რომელთა გადმოთარგმნასა და გამოცემას არაფრით არ დაუშვებს. მერე რა,—ყოველივე ეს კარგი და კანონიერია მისი მხრით. იმიტომ რომ ის, რაც შეიძლება იცოდეს შენ, არ უნდა იცოდეს გლეხმა იმიტომ რომ ის აზრი, რომელმაც შეიძლება შენ უკეთესო გაგხადოს, დაღუპავდა გლეხს, რომელიც, ბუნებრივია, ამ აზრს ყალბად გაიგებდა. მთავრობა ჩვენ ნებას გვაძლევს

საზღვარგარეთიდან გამოვიწეროთ ყველაფერი, რასაც კი ჰქმნის ყველაზე თავისუფალი გერმანული აზროვნება, და ნების არ გვაძლევს გამოვიწეროთ პოლიტიკური წიგნები, რომლებიც მხოლოდ ზიანს მოიტანდნენ, რადგან ზერელე ადამიანებს თავბრუს დაახვევდნენ. ჩემს თვალში ეს ღონისძიება ჩინებული და საჩქებარია. მთავარი ისაა, რომ რუსეთის საზღვარი ევროპასთან არ არის აზრის საზღვარი, იმიტომ რომ აზრი თავისუფლად გადმოდის ამ საზღვარზე; მაგრამ ის აზრის საზღვარი რუსეთისათვის მავნე პოლიტიკური მიმართულებასა, ხოლო ამაში არავითარ აზრის შევიწროებას არა ვხედავ, არამედ, პირიქით, ამას აზრის გავრცელების ყველაზე კეთილგანზრახულ საშუალებად ვთვლი. დვინო სასარგებლოა მოწიფული ადამიანებისათვის, რომლებმაც მისი ხმარება იციან, მაგრამ დამლუპველია ბავშვებისათვის; ხოლო პოლიტიკა არის დვინო, რომელიც რუსეთში შეიძლება ოპიუმადაც კი იქცეს. არსებობს წიგნი, რომელმაც ევროპაში დიდი ხმაური გამოიწვია, თხზულება აბატ Lamennais-სი — „Les paroles d'un croyant“¹. ამ წიგნში ქრისტე წარმოდგენილია რაღაც პოლიტიკურ შეთქმულად, სამყაროს მომცველი მისი მოძღვრება გაგებულია პოლიტიკის კერძო და შეზღუდულაზრით, ყველაფერი წარმოდგენილია ყალბად, ერთიმეორის საწინააღმდეგოდ. 60 გვერდი ძლივს წავიკითხე და გადავაგდე, იმიტომ რომ ამ წიგნმა თავი შემაწყინა და გული გამიწვრილა. ხოლო მისი გადმოთარგმნისა და გამოცემის ნება რომ მიეცათ, რამდენი ახალგაზრდა ადამიანი ჰქუაზე შეიშლებოდა მისგან, მისი მალალი და მყვირალა ფრაზებით, მისი ტრაგიკული მანკვა-გრეხითა და უგვანო შეძახილებით მოტყუებული! მაშ ასე, მიეუშვათ საქმეები ისე, როგორც ვითარდებიან, და ურყევად და უეჭველად ვიწამოთ, რომ ყველაფერი უკეთესისაკენ მიდის, რომ არსებობს მარტოოდენ სიკეთე, რომ ბოროტება უარყოფითი ცნებაა და მხოლოდ სიკეთისათვის არსებობს, ხოლო ჩვენ თვითონ ყურადღება მიაქციოთ ჩვენს თავს, შევიყვაროთ სიკეთე და ჰეშმარტება, მცნეიერების გზით ვესწრაფვით ერთსაც და მეორესაც. რა

სარგებლობა იქნება შენთვის, თუ შენ მთელი ევროპის საქმეები თვით ტალეირანსა და მეტერნიხზე უკეთესად გეცოდინება, შენ თვითონ კი სენატის მაგიდის უფროსი ან საერობო სასამართლოს მდივანი იქნება? ხოლო მინისტრიც რომ გამხდარიყავ, მაშინაც კი შენ ნაკლებ სარგებლობას ნახავდი: შენ იმოქმედებდი შესაბამისად ხელმწიფის ნებასურვილსა და არა შენი იდეებისა, მაშასადამე, იქნებოდი იარაღი და არა მოქმედი. მაგრამ როდესაც შენ ამალღებდი იმ სიყვარულამდე, რომელიც სულს არ იშურებს თავისი მოძმისათვის, როდესაც შენ ნათლად ჩაწვდები შენს დანიშნულებას და გონებით მოიცავ მსოფლიო ჭეშმარიტებებს, მაშინ შენ ყოველთვის და ყოველგან სასარგებლო იქნები შენი სამშობლოსათვის. თუ შენ მონდობილა გექნება მოყვასთა ბედი—ეს იქნება ნამდვილი ბედი, იმიტომ რომ იგი ენდობა კეთილშობილ და განათლებულ ადამიანს, რომელაც ერთგულად ასრულებს თავის მოვალეობებს, და არა უნამუსოს, არა მექრთამეს. არა ბრიყვსა და უვიცს; თუ ოჯახს მოეკიდები—შენს პატარა წრეს მოჰტენ სიცოცხლესა და სიხარულს, საზოგადოებას აღუზრდი სიკეთის სიყვარულით ძლიერ, სულით ჯანსაღ ადამიანებს. თუ შენ გიწერია სიცოცხლის მარტობაში ვატარება, არ შეიძლება მაინც არ გეყოლოს შენი წრე, სადაც თუ შენი პირდაპირი გავლენა არა, შენი მაგალითი მაინც კეთილმოყოფელი იქნება. ჩვენი დანიშნულებაა ვიყოთ განათლების მოციქულნი. მაშ ასე, მივბაძოთ ქრისტეს მოციქულთ, რომლებიც თავიანთი ღვთაებრივი მასწავლებლის მოძღვრების გავრცელებისას არც შეთქმულებებს აწყობდნენ და არც ფარულ თუ აშკარა პოლიტიკურ საზოგადოებებს აარსებდნენ. მაგრამ არც უარყოფდნენ მას მეფეთა და მსაჯულთა წინაშე და არც ცეცხლსა და მახვილს უშინდებოდნენ. ნუ ეჩხირებთ იმ საქმეებში, რომლებიც შენ არ შეგეხება, მაგრამ იყავ ერთგული შენი საქმისა, ხოლო შენი საქმეა ჭეშმარიტების სიყვარული. მართლაცდა, შენ არავინ ხელს არ შეგიშლის ემსახურო ჭეშმარიტებას, თუ სხვის საქმეებში არ ჩაერევი. ამრიგად, სწავლა, სწავლა და კიდევ სწავლა! ეშმაკმა

წაიღოს პოლიტიკა, გაუმარჯოს მეცნიერებას! საფრანგეთში მეცნიერებაც, ხელოვნებაც და რელიგიაც გახდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყოველთვის იყო პოლიტიკის იარაღი და ამიტომ იქ არ არის არც მეცნიერება, არც ხელოვნება, არც რელიგია, და ამიტომ საფრანგეთის პოლიტიკაზე მეტად გეშინოდეს საფრანგეთის მეცნიერებისა, განსაკუთრებით ფრანგული ფილოსოფიისა! ხალხის უფლება უნდა გამოდიოდეს ადამიანის უფლებიდან, ხოლო ადამიანის უფლება უნდა გამოდიოდეს ყოველივე არსებულის მიზეზისა და მიზნის საკითხიდან, ეს საკითხი კი ფილოსოფიის ამოცანაა. ხოლო ფრანგებს ყველაფერი გამოჰყავთ საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობიდან, და ამიტომ მათ აქვთ არა მარადიული ჭეშმარიტებანი, არამედ ერთდღიური ჭეშმარიტებანი, ე. ი. ყოველდღე ახალი ჭეშმარიტებანი. მათ სურთ ყველაფერი გამოიყვანონ არა ადამიანის გონების მარადიული კანონებიდან, არამედ ცდიდან, ისტორიიდან,—ამიტომ არც გასაკვირველია, რომ მათ XVIII საუკუნის დამლევს უნდოდათ რომის რესპუბლიკის განახლება, ის კი დაივიწყეს, რომ ერთი და იგივე მოვლენა ორჯერ არ ჭეორდება და რომ რომაელები ფრანგებისათვის მაგალითს არ წარმოადგენენ.

ცდას მივეყვართ არა ჭეშმარიტებისაკენ, არამედ შეცდობისაკენ, იმიტომ რომ ფაქტები უსასრულოდ მრავალფეროვანია და იმდენად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, რომ ერთი ფაქტიდან გამოყვანილი ჭეშმარიტება შეიძლება მაშინვე გააბათილო სხვა ფაქტით, ხოლო ფაქტთა ამ მრავალფეროვნებასა და წინააღმდეგობაში შინაგანი კავშირისა და ერთიანობის პოვნა შეიძლება მხოლოდ ადამიანური სულისკვეთებით; მაშასადამე, ცდაზე დამყარებული ფილოსოფია უაზრობაა. უახლესი დროის ფრანგებმა ხელი ჩასჭიდეს გერმანელებს, მაგრამ ვერ გაუგეს მათ, იმიტომ რომ ფრანგს არასოდეს არ შეუძლია ამაღლდეს საყოველთაოდ და, თავის ჯიბრზე, მუდამ ფრანგად რჩება, ხოლო აზროვნების სფეროში ყველა ეროვნული განსხვავება უნდა გაჰქრეს და მარტოდენ ადამიანი უნდა დარჩეს.

ჩვენში ბევრია ბოროტება, ბევრია უთაურობა, ბევრია უცხო გავლენა, ცუდიც და კარგიც, მაგრამ აი სწორედ ეს უწყსრიგობაა ჩვენი მშვენიერი მომავლის თავდები, იმიტომ რომ ჯერ კიდევ არავითარი უცხო გავლენა, ცუდი თუ კარგი, ჩვენში გადაკრით არ გაბატონებულა. ჩვენ სამართლიანად ვართ მთელი ევროპის მემკვიდრენი. ამრიგად, ჩვენი (ე. ი. ჩვენი, ახალგაზრდა ადამიანების) დანიშნულება უკვე ახლაც ცხადია: ჩვენ უნდა დავიწყოთ ეს კავშირი გერმანიასთან, ჩვენ ერთგულად, პატიოსნად და გარკვევით უნდა მივიღოთ მისი გონებრივი ცხოვრების საუნჯენი და ვიყოთ მათი დამცველნი, მაგრამ არა ძუნწი დამცველნი, არამედ ისეთნი, რომლებიც მზად არიან თავიანთი საუნჯენი გაუზიარონ ყველას, ვინც კი მათ მოისურვებს. მაგრამ ჩვენ თავიდან უნდა მოვიშოროთ ყოველგვარი აზრი იმისა, რომ ვიყოთ სასარგებლონი, იმიტომ რომ სურვილი—ვიყოთ სასარგებლონი თავმოყვარეობისა და ეგოიზმისაგან წარმოსდგება. ადამიანი თავისუფალია, მისთვის არ არსებობს მოვალეობა. იგი სათნომყოფელი უნდა იყოს არა მოვალეობის, არამედ სიყვარულის გამო; მან უნდა მისდლოს სიკეთეს არა იმიტომ, რომ სიკეთე სასარგებლოა, არამედ იმიტომ, რომ სიკეთეში მდგომარეობს მისი ბედნიერება. ჭეშმარიტებას არა აქვს მიზანი თავისი თავის გარეშე; ასევეა მეცნიერება და ხელოვნებაც. შენ უნდა ისწავლო არა შენს სამშობლოში საღი ცნებების გავრცელების სურვილის გამო, არამედ ცოდნისადმი უზიზნო სიყვარულის გამო, ხოლო საზოგადოებრივი სარგებლობა შენი სურვილის გარეშეც იქნება. ვისაც უყვარს სიკეთე, იგი არ გაუშვებს შემთხვევას სიკეთე მოიმოქმედოს, მაგრამ ძებნას არ დაუწყებს ამ შემთხვევას. თუ მე სიკეთე მოიმოქმედე, რისთვისაც შენ მზად იყავი, შენ გული კი არ უნდა გეტკინოს, რომ კეთილი საქმის ჩადენის შემთხვევა ხელიდან გაუშვი, არამედ უნდა გიხაროდეს, რომ ეს სიკეთე გაკეთდა—შენს თუ ჩემს მიერ. შენი თავის გაუმჯობესებით შენ აუცილებლად გააუმჯობესებ ყოველივე იმასაც, რაც შენთან ახლოსაა. ადამიანი ტყუვდება, როდესაც ფიქრობს საზოგადოე-

ბას მიმართულება აძლიოს და ქვეყნისმპყრობელი განგების საქმეებში ჩაეროს. პეტრე დიდმა კა არ გარდაჰქმნა რუსეთი, არამედ განგებამ, რომლის წელშიაც პეტრე იარალი იყო, ისე რომ, შესაძლოა, თვითონაც არ იცოდა ეს. იგი მხოლოდ თავის შინაგან შეუგნებელ გულისთქმას მისდევდა, და მისდევდა მას ასე მტკიცედ, მიუხედავად ყოველი საშიშროებისა და დაბრკოლებისა, იმიტომ რომ ნეტარებას ჰპოვებდა იმაში, რომ ამ გულისთქმას აპყლოდა. მაგრამ განა მის ნებისყოფაზე აყო დამოკიდებული ეს შინაგანი გულისთქმა? ყოველი ადამიანი, ვინც დიდ საქმეს წამოიწყებს და ისე დაიღუპება, რომ მას ვერ დაასრულებს,—ცრუმოსახელეა, რაწელმაც თავის თავს ცილი დასწამა და უსაფუძვლოდ, ყალბად მიაწერა გმირული ღვაწლი. ვინც რაიმესთვის მოწოდებულია, ის თავის საქმეს გააკეთებს, ხოლო ნამდვილად მოწოდებულია თუ არა—ამას იგი თავისი შინაგანი მოწოდებით გაიგებს. რამდენ პოეტს ვხედავთ, რომლებიც იტანჯებიან, ჯახირობენ, სწერენ, თავიანთი მამულის საქმეებს სწეწენ, ჯანს იტეხენ, სიმშვიდეს ჰკარგავენ, ხოლო მერმე, სახელის მოხვეჭის ამოცდების შემდეგ, წერას თავს ანებებენ, მეურნენი ხდებიან და მშვიდად ატარებენ თავის სიცოცხლეს ცხოვრების ანგარიშებით გართულნი! განა ცხადი არ არის, რომ მათ თავის თავს პოეტური მოწოდება შესწამეს და მათში აღძრული წვრილმანი თავმოყვარეობა და მედიდურობა პოეტურ მოწოდებად მიიღეს? ვინც პოეტად დაიბადა, ის პოეტადვე მოკვდება. მისთვის წერის შესაძლებლობის წართმევა იმას ნიშნავს, რომ მას სიცოცხლის შესაძლებლობა წაართვან. აღრიგად, ღვთის გულისათვის, ნუ იფიქრებ იმაზე, თუ სად და როგორ შეიძლება იყო სასარგებლო, არამედ იფიქრე. შენი ადამიანური ღირსების დაცვასა და ამაღლებაზე, ამისათვის კი ერთი გზაა—მეცნიერება. იქნები თუ არა მეცნიერი, გაათვართოებ თუ არა ცოდნის არეს,—ეს შენი საქმე არაა. ადამიანი მეცნიერი შეიძლება იყოს ხოლოდ მოწოდებით და კერძო მოწოდებით, მაგრამ მეცნიერების საყვარული და მისა შესწავლა საერთო მოწოდებაა. თუ უცბად შენს თავში იგრძნობ დაუძლეველ

სიყვარულს სამხედრო წოდებისადმი—ყველაფერს თავი მიანებე და მუნდირა ჩაიცვი; დაიღუპები, თუ შენს შინაგან ხმაა ყურად არ იღებ. მაგრამ რას გააკეთებ, როდესაც მუნდირს ჩაიცვამ? სიყვარულით იმუშავებ შენს თანამდებობაზე. ჩინებულა! ხოლო შისგან თავისუფალ დროს? ნუთუ ბანქოს იძამამებ? არა, თანამდებობის შესრულების შემდეგ დარჩენილი შენი თავისუფალი წუთები ისევ მეცნიერებას უნდა მოხმარდეს, თუ არ გინდა პირუტყვი გახდე. ერთხელ კიდევ—დაივიწყე თვათ სიტყვა სარგებლობა, მაგრამ მტკიცედ გახსოვდეს სიტყვა სიყვარული; ხოლო სიყვარული არსებობს არა სარგებლობისათვის, არამედ თავისი თავისათვის. როდესაც დიდი გენიოსი თავის სამშობლოში ცოდნის შექსა ჰფენს,— ამით სამშობლოს კი არ შეეძინება ცოდნა, არამედ ცოდნას შეეძინება სამშობლო, იმიტომ რომ რა გიყვარს შენ შენს მოყვასში: გარკვეული სახე, გარკვეული პირი, თუ ის შეგნება, რომლის გამომხატველიც ის არის? სიკეთის გაკეთება უნდა გვაძულოს არა სამშობლოსადმი სიყვარულმა, არამედ სიკეთისადმი სიყვარულმა, არა სიკეთისგან სარგებლობამ, არამედ თვით სიკეთემ... *

მ. ა. ბაკუნინს. 12—24 ოქტომბერი 1838

(ნაწყვეტი)

მოსკოვი, 1838, ოქტომბრის 12 *

გესლიანი და ცოფიანი მახვილგონიერებით გამსჭვალული შენი წერილის დასაწყისში არის ფრაზა, რომელიც, როგორც ეტყობა, მეტად უმნიშვნელოა, მაგრამ მაგრად მომხვდა გულზე. „ცოცხალი, არსებული ქალი არ გახლავთ შილერის ტრაგედია, რომელიც, ხელოვნების ჯადოსნური სფეროთი გარემოცული, მარად მშვენიერი რჩება, მიუხედავად ყოველგვარი გაკილვისა იმათ მხრივ, ვისაც ვერ გაუგია მისი

ჩაწვდომის უნარი“. ღიშელ, დროა თავი დაეანებოთ ამ არაპირდაპირსა და უპირაზვნო მითითებებს პირაუბნებზე; დროა ერთმანეთს ნება მივცეთ ვიფიქროთ ისე, როგორც ვფიქრობთ. მჯერა შენძ პატივისცემა შილერისადმი; მაშ, შენც დაიჯერე ჩემი უპატივცემლობა მისდამი. თითოეულ ჩვენგანს თავისი მიზეზი აქვს, და ჩვენ ორივე მართალი ვართ. რასაკვირველია, ჭეშმარიტი აზრი, ან (უფრო სწორად) ჭეშმარიტი გაგება ამ საგნისა, უნდა არსებობდეს, და, იქნებ, რომელიმე ჩვენგანი უკვე კიდევ ჩასწვდა მას. მაგრამ ვიდრე შეთანხმება შეუძლებელია, მიეუშვათ საქმე ისე, როგორც არის. შეიძლება, მე კიდევაც ვცდებოდე (ადამიანს მოსდგამს ცთომა, ამბობს სახარება,—და ამასვე ამბობს ხალხი, რომელიც უბრალო ემპირიული ცდით ხელმძღვანელობს); შეიძლება, მე კიდევაც ვცდებოდე, მაგრამ, მერწმუნე, ზეინკლის ცოლი პოშლეპკინა², როგორც მხატვრული ქმნილება, ჩემთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე თეკლე, ეს მეათე, უკანასკნელი. გაუმჯობესებული, გასინჯული და შესწორებული გამოცემა შილერის ერთი და იმავე ქალისა³. ხოლო ორღეანელი ქალი—რა ვუყო ჩემს თავს! ორღეანელი ქალი, გარდა რაძდენიმე წმინდა ღირიკული ადგილისა, რომელთაც განსაკუთრებული, თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვთ, ჩემთვის უაზრობაა და მეტი არაფერი!⁴ ვიმეორებ: შეიძლება მე კიდევაც ვცდებოდე, და თუმცა შექსპირი და პუშკინი მესმის, მაგრამ ჯერ კიდევ არ ავმალლებულვარ შილერის გაგებაზე. მაგრამ მე შენზე არანაკლებ თავმოყვარე და ამაყი ვარ და შენზე არანაკლებ გულსავე და დაკმაყოფილებული ვარ ჩემი უშუალო გრძნობით ხელოვნების შთაბეჭდილებათა აღსაქმელად, ურომლისოდაც შეუძლებელია ხელოვნების გაგება. როდესაც ლაპარაკია ხელოვნებაზე, განსაკუთრებით კი მის უშუალო გაგებაზე, ან იმაზე, რასაც ეწოდება ესთეტიკური გრძნობა ანუ ამთვისებლობა მშვენიერისა, — მე გამბედავი და კადნიერი ვარ, და ჩემი გამბედაობა და კადნიერება, ამ მხრივ, იმდენად შორს მიდის, რომ თვით ჰეგელის ავტორიტეტიც კი მას ზღვარს ვერ დაუდებს. დიად, დე,

ჰეგელმა სცნოს მოლიერი მხატვრად; მე არ მინდა მისი გულსათვის უარყო სალი აზრი და გრძნობა, რომელიც ღმერთმა მომანიჭა. მესმის მოწაფის მისტიკური პატივისცემა თავისი მასწავლებლისადმი, მაგრამ ჩემ თავს შოვალედ არ ვთვლი, რადგან არა ვარ მოწაფე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სეიდის როლი შევასრულო. დიდ პატივსა ვცემ ჰეგელს და მის ფილოსოფიას, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ვიფიქრო (იქნებ, შეცდომით: მერე რა?), რომ მისი სახელით გამოტანილი ყველა განაჩენი ჯერ კიდევ არ არის ხელუხლებლად წმინდათაწმინდა და უცვალებელი. ჰეგელს ერთი სიტყვაც არ უთქვამს პირადი უკვდავების შესახებ, ხოლო მისმა მოწაფემ პიროვნულმა ეს დიდი ამოცანა, რომლის დაბრუნებას ვეძებოდა გადაჭრის გარეშე ფილოსოფიის საქმიანობის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია, განსაკუთრებული გადაწყვეტის საგნად აჩრჩია. რიოტშერმა ფილოსოფიურად, აბსოლუტური თვალსაზრისით, გააჩრჩია „ლირი“, ხოლო ბაუმანმა პოეტთა მეფის, ხელოვნებას ქრისტეს ამ უზარმაზარ ქმნილებას რამდენიმეჯერ შეავლო თვალი და გამოსთქვა საკუთარი შეხედულება, რომელმაც გაანადგურა რიოტშერის შეხედულება (სახელდობრ კორდელიას ხასიათზე). მაშასადამე, შეცდომები და გაუგებლობა შეიძლება აბსოლუტურად აღადგინოს, სპეკულატიური დარგის მოქალაქეებსაც მოუვიდეთ, და, მაშასადამე, ყველაფრის სახეებით დაჯერება არ ვარგა. დიდ პატივსა ვცემ და ძალიან მიყვარს შარბახი, ეს ფილოსოფოსი-პოეტი აზრის სფეროში; მაგრამ მისი მშვენიერი ახსნა-განმარტება „ფაუსტის“ მეორე ნაწილისა მე მიმჩნია ლოგიკურ ნაძალადეობად. უშუალო გრძნობის გვერდის ავლით, მისი ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე აღებულ აზრებად. კვლავ ვიმეორებ: მესმის შეცდომის შესაძლებლობა ჩემის მხრით ამ შემთხვევაშიაც; მაგრამ სიმბოლოები და ალევორიები ჩემთვის პოეზია კი არ არის, არამედ პოეზიის სრული უარყოფა და დამცირებაა. და ხომ იცი, მიშელ, მართლს ამბობს ანდაზა: არ არის ისეთი ბრწყინი. რომელიც თავის თავზე უფრო ბრწყინად ამიანს ვერ იპოვნისო. მარტოცა

მე კი არა ვარ ასეთი ერეტიკოსი. კულდრიაეცევს, რომლის ესთეტიკურ გრძნობას და მხატვრულ ინსტინქტს აგრეთვე თავისი ფასი აქვს და რომლის ჩათელი გონებისათვის ჩემსაზე უფრო მეტად მისაწვდომია აზრი, კულდრიაეცევს, რომელმაც ამასწინათ წაიკითხა მარბახი და ალტაცებაში პოვიდა თისგან, გაეხარდა, როდესაც ჩემგან გაიგონა ეს აზრი, იძიტომ რომ თვითონაც ამასვე ფაქრობდა. სასიამოვნოა კაცს ამხანაგები გყავდეს შეტაკებასა და შეცდომებში!

არ შევეუდგები პასუხის წერას შენს ანტილიბერტაციასზე ჩემი დისერტაციების წინააღმდეგ სინამდვილის შესახებ, არ შევეუდგები იმიტომ, რომ შენ ღუმილით აუარე გვერდი ჩემს მთავარ და ფაქტიურ საბუთებს და პასუხი გაეცა ზოგ რამეს, ხოლო ყველაზე მეტად იმას, რის თქმას მე არც კი ვფიქრობდი, ანდა, თუ ვამბობდი კიდევ, არა ისე და არა იმ აზრით. მაგრამ გაკვრით გავაკეთებ რამდენიმე შენიშვნას და პასუხს გაგცემ.

საქსებით გეთანხმები სინამდვილის მნიშვნელობისა და ღირსების განსაზღვრაში: ეს განსაზღვრა ისე კარგია, რომ ახლა უკეთესად მესმის ის, რასაც ამ საგანზე ვგრძნობდი და წინასწარ განვიცდიდი.

ტყუილად გამოგყავს ჩემი სიტყვებიდან ის დასკვნა, რომ „სინამდვილის გაგება ადვილია — საკმარისია მხოლოდ მას ყოველგვარი წინარწმენის გარეშე უყურებდე“. ეს ასეც არის და არც არის. მე ვგულისხმობდი სინამდვილეს არა მისი ზოგადი და აბსოლუტური მნიშვნელობით, არამედ ადამიანთა ურთიერთობაში. ჩაიხედე ჩემს წერილებში და დაინახავ, რომ შენ სხვანაირად გაგიგია ჩემი აზრი. ცხადია, ყოველ ადამიანს სინამდვილე ესმის იმდენად, რამდენადაც ესმის ის — არც მეტი და არც ნაკლები. მაგრამ ბევრია ისეთი ამოცანა და საქციელი, რომელთაც მიუდგება კრილოვას ლექსი: „თავსატეხი კი არაფერი იყო“, და არაფერია იმაზე უფრო სასაცილო, ვიდრე ხემნიცერას მეტაფიზიკოსი, რომელიც ორმოში დროსა და თოკზე მსჯელობს, ნაცვლად იმისა, რომ ერთიც და მეორეც თავის გადასარჩენად გამოიყენოს. ბევრია ისეთი

საგანი, რომლებსაც საკმარისია უფრო მარტივად შეხედო, რომ ისინი გაიგო, და განსაკუთრებით ბევრი ასეთი საგანია ცხოვრების საქმეებსა და ურთიერთობაში. აქ საჭირო იქნებოდა ფაქტების მოტანა, მაგრამ უკვე გწერდი მათ შესახებ. და რადგან შენ ამაზე ხმა არ ამოიღე, ვფიქრობ, რომ არცაა მაქვს უფლება განვაახლო დაუმთავრებელი დავა, რომელიც, გარდა ამისა, არც არასოდეს დამთავრდება. უსაჯოდ და უკომპასოდ ზღვაში გასვლა არ ვარგა. მაგრამ, ჩემი აზრით, სჯობს ზღვაში გასვლა სრულიად უსაჯოდ და უკომპასოდ, ვიდრე, უცოდინარობის გამო, საჯის ნაცვლად იხვის ფრთის, ხოლო კომპასის ნაცვლად კალის საათის ხელში აღება. მე პატივს ვსცემ აზრს და ვიცი მისი ფასი, მხოლოდ განყენებული აზრი ჩემს თვალში უფრო დაბლა დგას, უფრო უსარგებლო და უვარგისია, ვიდრე ემპირიული ცდა, ხოლო მოუთავებელი ფილოსოფოსი კარგ ბიჭზე უარესია. საჭიროა აზრის განვითარება, სწავლა. მაგრამ თუ სწავლა არ მოგითავებია, საჭირო არ არის სინამდვილისა და სხვა ადამიანების გარდაქმნა შენს ყაიდაზე. აქაც საჭირო იქნებოდა ფაქტების მოტანა, მაგრამ შენ უკვე გასენია მათ შესახებ ჩემგან...

ტყუილუბრალოდ გაიძახი განუწყვეტლოვ, რომ მე აზრი განზე გადავდე, სამუდამოდ უარყავ ის და სხვ. და სხვ. ეს იმას მოწმობს, რომ შენ უგულისყუროდ კითხულობდი ჩემს წერილებს. მოჩვენება გაიჩინე და ბევრავ მას სრული რწმენით, რომ მე მცემ. ეს, ბოლოს და ბოლოს, სასაცილო და მოსაწყენია. გიმეორებ: პატივს ვსცემ და ვაფასებ აზრს, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ და არა განყენებულ აზრს, და პატივს ვსცემ აზრს და არა ჩემს აზრს. მაგრამ ჩემს გრძნობას სრულ პატივს ვსცემ და აი რატომ: ჩემი ჰერეტიკა მუდამ უფრო დიდი იყო, ჩემი ჰემმარტივი წინაშეგრძნებანი და უშუალო შეგრძნება მუდამ უფრო უტყუარი იყო, ვიდრე ჩემი აზრი. ერთხელ და სამუდამოდ: ადამიანი, რომელიც ცხოვრობს გრძნობით სინამდვილეში, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის, ვინც ცხოვრობს აზრით მოჩვენებითობაში (ე. ი. სინამ-

დეილის გარეშე); მაგრამ ადამიანი, რომელიც ცხოვრობს აზრით (კონკრეტული აზრით) სინამდვილეში, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ის, ვინც ცხოვრობს სინამდვილეში მხოლოდ თავისი უშუალოებით. გასაგებია თუ არა? ცხადია თუ არა? კადეც განვმარტავ—მაგალითით (მაგალითებისა და ფაქტების გამოუყენებლად მე არაფერს ვაკეთებ, რადგან მათ გარეშე მე სრულებით არაფერი გამეგება). პეტრე დიდს (რომელიც ძალიან ცუდი ფილოსოფოსი იყო) უფრო მეტად და უკეთესად ესმოდა სინამდვილე, ვიდრე ფიხტეს; ყოველ ისტორიულ მოღვაწეს სინამდვილე ესმოდა ფიხტესზე უკეთესად. ჩემი აზრით, სინამდვილე რომ შეგნებულად გვესმოდეს, ის უნდა გვესმოდეს ისე, როგორც ჰეგელს ესმოდა; მაგრამ განა ბევრს ესმის ის ასე? ორმოცდაათ კაცს მთელ ქვეყანაზე. მაშ, ნუთუ ყველა დანარჩენი ადამიანები არ არიან?

ჩემი ემპირიული ცდა, მიშელ, არც მთლად ემპირიულია. შენ ოდნავ დააჩქარე შენი მსჯავრობს გამოტანა. ყველაფერი ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ვერ გამიგე. მე ვაზროვნებ (რამდენადაც შემოძლია), მაგრამ თუ ჩემი აზრი აღარ უდგება ჩემს ჰერეტას ან ეჯახება ფაქტებს,—მე ბიჭს ვუბრძანებ ნაგავთან ერთად გაჰხვეტოს ის. ავხსნი ამას ფაქტით. ოდესღაც ვფაქრობდი, რომ პოეტს არც ლექსისა და არც სიტყვის შეცვლა არ შეუძლია. მეუბნებოდნენ, პუშკინის შავად ნაწერი რვეულები საწინააღმდეგოს ამტკიცებსო. მე კი ვუპასუხებდი: თვითონ პუშკინიც რომ მარწმუნებდეს ამაში, არ დავოჯერებდი-მეთქი. ასეთი აზრი ახლა არ მინდა და არც არაფრად ვაგდებ.

ასევე ტყუილუბრალოდ უარპყოფ შენ ყოველგვარ წინსვლას ჩემში. ყოველ ადამიანს ვუსურვებ ისეთ წინსვლას. როგორც მე მივდიოდი წინ გასული წლის ყველიერიდან (ერთი თუ ორი დღით ადრე ბეერებთან შენს გამგზავრებამდე) იმ წუთამდე, როდესაც ამ წერილსა გწერ. ჩემი წერილები შენდამი, რომლებმაც ეგრე მოგხიბლეს, ჩემი ეურნალი?, რომელშიაც შენ აგრეთვე ბევრ რამეს (განსაკუთრებით ჩემსას) აღტაცებაში მოჰყევხარ, მოწმობენ, რომ ჩემი წინ-

სულა ჩემთვის საკმარისია. დიად, მიშელ, მე აღარ ვიქნებო, მაშინ იკმარებს უფრო დიდი წინსვლისათვის, და, თუ მომავალშიც ეგრე გაგრძელდა,—მე კმაყოფილი ვარ. ნუ შიშობ, რომ შევერიოვი ან პოგოდინი გავხდები. შენი შიში, რომელიც, ცხადია, ჩემდამი სიყვარულმა ჩაგაგონა, სრულიად ზედმეტია. ჩემთვის ეს ყოველად შეუძლებელია, და აი რატომ: ეს ადამიანები უხაშპანი გახდნენ იმიტომ, რომ მადლიანი ჭკრეტის უსასრულო სფეროდან გამოვიდნენ თავისი აზრის საბოლოო სფეროში. ანა. მიშელ, მე ვერ ვიქნები ვერც ასოკირკიტა და ვერც წიგნით სპეკულანტი. ვიმეორებ: ხელი აღდე შენს იმ აზრზე, როგორც ყალბსა და უსამართლოზე, რომ ჩემში მთავრდება ან ოდესმე დამთავრდება წინსვლა. მე მეტად დაუდგრომელი ვარ ამისათვის. არ მეშინია ჩემი მომავალი ხედრისა, რადგან ვიცი, რომ ვიქნები ის, რაც ვიქნები, და ანა ის, სრულებითაც არა ის, რად ყოფნასაც თვითონ მოვისურვებდა. არის მარტივი აზრი, რომელიც უაზრო ბრბოს ეკუთვნის: „ყველაფერი ღვთის ნებაა“. მე მწანს ეს აზრი, იგი ჩემი რელიგიის დოგმატია. „ნება ღვთისა“ არის აღმოსავლეთის ბედისწერა, ძველების fatum-ი, ქრისტიანობის განგება, ფილოსოფიის აუცილებლობა, დაბოლოს, სინამდვილე. მე ვცნობ პირადს, დამოუკიდებელ თავისუფლებას, მაგრამ ვცნობ უზენაეს ნებასაც. კოლიზია ამ ორი ნებისყოფის მტრული შეტაკების შედეგია. ამიტომ—ყველაფერი ისეა და ისე იქნება, როგორც არის და იქნება. გავუძლებ — კარგია, დავეციები და—რა გაეწყობა. მე ღმერთის ჯარისკაცი ვარ: იგი ბრძანებას იძლევა, მე მარშით დავდივარ. მე მაქვს ჩემი სურვილები, ჩემი მისწრაფებანი, რომელთა დაკმაყოფილება ღმერთს არ უნდა, თუმცა ისინი მე კანონიერი მგონია. მე ვბუზღუნებ, ვფიცავ, რომ აღარ დავუჯერებ მას, მაგრამ იმავე დროს ვუჯერებ, და ხშირად არ მესმის, როგორ ხდება ყოველივე ეს. მე არ მწადია ვუცქირო მომავალს; მთელი არსებით ვზრუნავ ამისათვის, რომ რამე ვაკეთო, ვიყო საზოგადოების სასარგებლო წევრი. ხოლო ვაკეთებ იმას, რაც შემიძლია. მე ბევრი მსხვერპლი შევწირე ამ კეთების მოთხოვნ-

ნილებას. მისი გულასათვის მე კონკეებში დავდივარ, გაჭირ-
 ეებას ვითმენ, მაშინ როდესაც ყოველთვის შემძლია ათი
 ათასი წლიური შემოსავალი მივიღო ჩემი ჭოფლიდან—ჩემი
 დაუცხრომელი კალმისგან. ამას საკვებნად კი არ ვამბობ,
 არამედ იმიტომ, რომ შენ შეეხე ჩემს მეტად სათუთ სიმს,
 არ დამიფასე სამართლიანად ის, რაშიაც მე უეჭველი და არც
 თუ მცირე მნიშვნელობა მაქვს. მე უკვე საზოგადოების წევ-
 რობის კანდიდატი კი არა ვარ, არამედ მისი წევრი ვარ, ჩემს
 თავს ვგრძნობ საზოგადოებაში და საზოგადოებას—ჩემს თავ-
 ში, შევეზარდე მის ინტერესებს, შევუერთდი მის ცხოვრე-
 ბას, ამ ცხოვრებასთან შევაკავშირე ჩემი ცხოვრება და მას
 ხარკად მივუტანე მთელი ჩემი თავი. მეც აგრეთვე მაქვს საქ-
 მე, რომელიც ყოველ სხვა საქმეზე არც დაბალია და არც
 უარესა. ვიცი, რაც მომივა მე, კეთილ, აბეზარ და სასაცილო
 ბიჭს, თუ ღმერთი არ მარგუნებს არც კარგ და კეთილ ცოლს,
 არც პატარა ბავშვებს, არც საკმაო ქონებას (მოქალაქის სა-
 პატიო სახელი მე არა მსურს, რადგან დარწმუნებული ვარ,
 ასეთი სახელი მექნება, და ერთგვარად ახლაც კი მაქვს ეს
 სახელი). დიახ, ვიცი, რაც მომივა მე, კეთილ, აბეზარ და სა-
 საცილო ბიჭს: ჩემთვის ცხოვრებაში არ იქნება ნეტარება,
 და ცხოვრებაც არ იქნება ნეტარება, მაგრამ ყოველთვის იქ-
 ნება ნეტარების წუთები—წვეთი თაფლი ერთ ჯამ შხამში. და
 ეს იმიტომ, რომ მე ვარ მე, რომ ამ სასაცილო იდილიური და
 დიდ ადამიანთათვის გაუგებარი პირობების გარეშე მე არ
 მესმის და არ მსურს არავითარი ნეტარება. დიად, მე კვლავ-
 ვინდებურად გავაკეთებ, ვიცოცხლებ, რათა ვიპროვო და
 ვიტანჯო, იქნებ ბევრს მივუთითო ნეტარების შესაძლებლო-
 ბა, ბევრს დავეხმარო მიაღწიოს მას, ბევრნი, რომლებიც მე
 პირადად არ მიცნობენ, ვაძულო უყვარდეთ და პატივი სცენ
 თავის თავს და ჩავთვალო ისინი ისეთ ადამიანებად, რომლე-
 ბიც თავის განვითარებას და თავისი ნეტარების წუთებს მე
 უნდა მიმადლოდნენ; მაგრამ ჩემი წილხვედრი, გარდა წამი-
 ერი სიტკბოებისა, მხოლოდ ტანჯვა იქნება. ჩანს, ასე მსურ-
 ვებია ღმერთს. ყველას ერთი გზა და ერთი ბელი როდი აქვს.

ამ შემთხვევაში ჩემს თავს ნებას მივცემ მიგიითო შენს საკუთარ ოჯახზე, იმიტომ რომ ეს ძითიება არ შეიძლება შეურაცხმყოფელი აყოს არც მისთვის და არც შენთვის. შენ ოთხი და გყავს. ყველა ისინი, ან თითოეული მათგანი, განსაკუთრებული მშვენიერი მოვლენაა, მაგრამ ერთი ყველას გამოეყო და გამოეყო მკვეთრად. ეს ისაა, რომელაც უკვე აღარ არის და რომელსაც თქვენ ყველანი ასე სამართლიანად უწოდებთ წმინდანს". იგი ისე სარგებლობდა ცხოვრების ნეტარებით, როგორც თავისი საკუთრებით: მადლა, ჰარმონია, სიმშვიდე, სიყვარული იყო არამისი შემამკობელი თვისებები, არამედ, ერთად აღებულია, წარმოადგენდნენ ცოცხალ მოვლენას, რომელსაც თქვენ ყველანი უწოდებდით თქვენს დას. ტანჯვა, შინაგანი გათიშვისა და ზომქანცველ სწრაფვათა შედეგად, უცხო იყო მისი ბუნებისათვის, მაგრამ სხვები: ისინი კარგად იცნობენ ტანჯვას, იგი მათი ინდივიდუალობის აუცილებელი პირობაა. ხომ ხედავ—ყველა ადამიანი ერთი ყადის არაა, და ხშირად ის, რასაც ერთი ყოველდღე ხმაობს, როგორც საქმელსა და ჰერს, მეორეს ეძლევა როგორც სადღესასწაულო კერძი—კვირადღეობით. ვიცი, რომ ეს შენ არ შეგაშფოთებს, შენ იტყვი, რომ ყოველი ადამიანი ნახულობს გამოსავალს აზრში, და ყოველ ადამიანს შეუძლია აბსოლუტურ, სრულ, განუწყვეტელ ნეტარებას მიალწიოს აზრის საშუალებით. ამაში არ გეწინააღმდეგები, იმიტომ რომ ეს ჩემს წარმოდგენას, ჩემს ჰერეტას აღემატება. მე გაჰოსავალად მიმაჩნია არა აზრი (მხოლოდ და მხოლოდ), არამედ ცხოვრება, როგორც სინამდვილეში დიდი ან მცირე მონაწილეობა არა ჰერეტით, არამედ მოქმედებით. მაგრამ საქმე ეგ კი არაა. ეუბრუნდები ჩემ შედარებას. მაგრამ დედამიწაზე ნეტარება გამონაკლისია, და ამ წმინდანს, ამ უმწაყვლო ციურ ანგელოზს დიდი საფასური უნდა გაელო თავისი ნეტარებისათვის: იმან, რასაც უნდა განემტკიცებინა მისი ნეტარება, განეხორციელებინა მისი იღუმალი წინათგრძნობანი, სწორედ იმან დაღუპა ის.—და მან ტანჯვა-წამებით დასტოვა ეს მშვენიერი, მაგრამ საცოდავი დედამიწა, როგორც ეს საუცხოოდ

და სწორედ გამოსთქვი შენს ერთ-ერთ წერილში ჩემდამი,— და გაფრინდა იქ, სადაც უკეთესია, ვიდრე აქ. ახლა მეორე შედარება, რომელიც კიდევ უფრო მეტად მიუღდება საქმეს. აი ორი ხასიათი—ბოტკინი და მე. ის მუდამ პარზონიაშია და მუდამ სულის ინტერესებს ეწყობა: ყველას ყურადღებით ეპყრობა, ყველას ეალერსება, ყველა აინტერესებს; კითხულობს შექსპირს, გერმანულ წიგნებს, ხშირად ჩემზე მეტად ზრუნავს „ნაბლიუდატელის“ ბედისა და წიგნების მდგომარეობისათვის, ყიდულობს ნარკვევებს შექსპირის დრამებზე, შაბათ-კვირაობით მართავს კვარტეტებს, რომლებშიაც პირადად მონაწილეობს, ნიკაპქევე ვიოლინოამოდებული, დადის რუსულ და ფრანგულ თეატრში, ერთი სიტყვით, ცოცხლობს პირდაპირ თავისი სასრული მე-ს გარეშე, ყოფიერების თავისუფალ ელემენტში, მუდამ მხიარული, გამოკვეთილი, ნათელი, აზრისთვის, გრძნობისთვის მისაწვდომი, და თუ ხანდახან მოიწყენს, მაინც ისე მოიწყენს, რომ სული მისი არ იტანჯება. ვუცქერა მას და მივიკრას. მე კი—არა მხოლოდ ჩემი ტანჯვა, თვით ჩემი ნეტარებაც სამძიმო, საძნელო და სამწუხაროა. სიყვარული და ზტორობა, ახალი აზრი, ახალი გარემოება — ყოველივე ეს ჩემში მძიმეა, ძნელიცაა და სამწუხაროც. მხოლოდ მცირეოდენ წუთებსა და საათებში, როდესაც მე კეთილი ბიჭი ვარ ხოლმე და როდესაც, ყოველგვარ ფიქრს მოკლებული, თითქოსდა უმიზეზოდ, მხიარული და რაღაც მუსიკალურ განწყობილებაზე ვარ, — მხოლოდ მაშინ ვსუნთქავ თავისუფლად და მხიარულად. ამასწინათ მან მითხრა, რომ მისთვის სავალალო იქნებოდა ჩემს საფლავზე დგომა, იმიტომ რომ ამ საფლავში დამარხული იქნებოდა საბრალო გატეხილი გული, რომელსაც ძალზე სწყუროდა ნეტარება და ვერასოდეს ვერ განიცადა ის. რა მოუხერხდება ამას? მას ღმერთმა არგუნა, მე კი არა—ღვთის ნებაა! იტყვი: აზრით უნდა მიაღწიო... მე კი გიპასუხებ... მაგრამ არა, არაფერს არ გიპასუხებ. ცხოვრების დრამა ისეა მოწყობილი, რომ აქ საჭიროა ყოველგვარი პერსონაჟები, ჩანს, საჭიროა ჩემი როლიც. ჩემგან რომ იყოს დამოკიდებული, მე სხვა

როლს მოვითხოვდი, მაგრამ ხომ ხედავ—ამ თხოვნას პატივს არა ღლებენ, მიბრძანებენ ვიყო ის, რაც მათ უნდათ, და არა ის, რაც მე მინდა ვიყო. ამრიგად, შევასრულე იმ როლს, რაც მოცემული მაქვს, და გავემართები იმ დასასრულისაკენ, რომელიც მე წინასწარ განკუთვნილი მაქვს. რაც შეეხება ჩემს განვითარებას,—თუ ეს აქამდე ხდებოდა, შემდეგშიც მოხდება, და შენ სცდები, როდესაც ფაქრობ, რომ ეს განვითარება შეჩერდა. არა, ის ისევე მიმდინარეობს, როგორც მიმდინარეობდა, და ისევე გაგრძელდება, თუ შენ არა სტყუი. რომ იგი მიმდინარეობდა. ჩემი დამოკიდებულება აზრისადმი ისეთივე დარჩება, როგორიც იყო ყოველთვის. მე კვლავინდებურად დამაინტერესებს ცხოვრების ყოველგვარი მოვლენა — ისტორიაშიც, ხელოვნებაშიც, სინამდვილეშიც; კვლავინდებურად ვიმსჯელებ, განვსჯი, ვიდავებ და ვიზრუნებ ყოველივე ამაზე, როგორც ჩემს საკუთარ საქმეებზე. ოღონდ უკვე არასოდეს უპირატესობას არ მივანიჭებ ჩემს საბოლოო ლოგიკას ჩემს უსასრულო ჭკრეტასთან შედარებით, ჩემი საბოლოო ლოგიკას დასკვნებს — სინამდვილის უსასრულო მოვლენებთან შედარებით. არის ჩემთვის მუდამ უფრო მაღლა იქნება, ვიდრე ვიცი, ხოლო ფრიად ბრძნული სიტყვები ყოველად ბრძენ შევირაოვისა: ლოგიკის მიხედვით ასეა, მაგრამ სინამდვილეში კი სხვანაირად, — ყოველთვის იქნება ჩემთვის ფრიად ბრძნული.

მხოლოდ უგუნებობას, უფრო გარკვევით—შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის შედეგად აღძრულ ჯავრს—შეეძლო ეიძულებინე შენ გეთქვა: *o bon vivant* და *bon camarade*“ და ბერანეუს რელიგია ჩემს რელიგიად გაგეხადნა. ამაში თავის გამართლებაც კი საჭიროდ არ მიმაჩნია. არა თუ ჩემი წერილებით არ მომცია საბაზი ამგვარი დასკვნისათვის, არა-შედ მარტოდენ ჩემი ინსტინქტური, უშუალო და ფანატიკური სიძულვილი ფრანგებისადმი და ყოველივე ფრანგულსადმი საკმარისია იმისათვის, რომ მე ამგვარი კომენტარებისაგან დამიცვას.

ჩემს შეხედულებას სინამდვილეზე შენ მექანიკურს უწოდებ. მე ამას არ ვფიქრობ, მაგრამ აღარაფერს გიპასუხებ. ლოგიკაში ძლიერი არა ვარ, ხოლო ფაქტები შენ არ გიყვარს. თუმცაღა, მესმის, რა ძნელი და გადასაწყვეტად შეუძლებელია ჩვენს შორის ამგვარი საკითხი. დავიცადოთ, ვნახოთ, — დე თითოეული ჩვენგანის თეორია ჩვენმა ცხოვრებამ გაამართლოს. ჩემი შეზღუდული გაგებით, ადამიანის სინამდვილე არის მისი ყოფნა სინამდვილეში, რომელიც გამოიხატება მისი სიტყვისა და საქმის იგივეობით, მასი წარმატებით იმაში, რაშიაც აგი საჭიროდ სთვლის თავის წარმატებას. მე მინახავს ადამიანები, რომლებიც ასე უშუალოდ წარმატებას აღწევდნენ არა მარტო ცხოვრების უგვანო საქმეებში, არამედ იმაშიაც, რაც მათი სიცოცხლის ადამიანურ არსს შეადგენს.

როდესაც თავს მესხმი იმისათვის, რომ მე თითქოს უარყოფ რღვევისა და განყენებულობის, როგორც განვითარების აუცილებელი მომენტების, საჭიროებას, — შენ კვლავ შენს მიერვე შექმნილ მოჩვენებას ურტყამ და გგონია თითქოს მე ღცემ. მაგრამ ამ ცემა-ტყეპით მე ტკივილს არა ვგრძნობ, შენ კი მხოლოდ დაიღლები და ხელებს დაიმტკრევ. თუ კი მე უარყოფდი რღვევისა და განყენებულობის, როგორც განვითარების მომენტების, საჭიროებას, მე უარყოფდი საღ გონებას და წარმოვსდგებოდი ისეთ ადამიანად, რომელთანაც სჯა და დავა ზედმეტია და დროის, ქალაღლისა და მელნის დახარჯვა დასაანანია. არა, შენ ვერ გაძაგე, ან—რაც უფრო სწორია—არ გინდოდა გაგეგე, იმიტომ რომ შენთვის ეს უფრო სასარგებლო და საჭირო იყო, ვიდრე ჩემი ნათქვამის გაგება. ჩემი რღვევისა და განყენებულობის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი იყო მაშინ, როდესაც მე ვიმყოფებოდი პრეტამუხინოში 1836 წელს. მაგრამ ეს რღვევა და ეს განყენებულობა საშინელი ბოროტება და საზარელი ტანჯვა იყო ჩემთვის მხოლოდ აწმყოში, ხოლო მომავალში ამან ბარაქიანი ნაყოფი გამოიღო, რადგან მაიძულა სერიოზულად კვლავ და კვლავ მომეფიქრებინა ყველაფერი, რაზედაც წინათ მხო-

ლოდ ზერელედ ვფიქრობდი, მაიძულა ჩემი აზრთა წყობისათვის ლოგიკური სისრულე და მთლიანობა მიმეცა. ამრიგად, მე სრულებით არ მაწუხებს ის აზრი, რომ მე განვიცდიდი რღვევას, განყენებულობას, როდესაც პრიაშინთან ვიმყოფებოდი. მაგრამ ჩემთვის მწარე და საწყენია იმის გახსენება, რომ მე, როდესაც ამ რღვევას, ამ განყენებულობას განვიცდიდი, ჯერ კიდევ არაკეთილსინდისიერად ვიქცეოდი, ვიპრანჭებოდი, ორჩოფენებზე ვდგებოდი. შენ გახსოვს, რა ფრაზა წარმოვსთქვი მაგინაზე და როგორ იმოქმედა მან ალექსანდრე მიხეილს-ძეზე. მაგრამ იცი რა?—მე სრულებითაც არ ვნანობ ამ ფრაზის გამო და სრულებითაც არ მერცხვინება მისი მოგონება. ამ ფრაზით მე სავსებით კეთილსინდისიერად და ჩემი ბოზოქარი ბუნების მთელი სისრულით გამოვხატე ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა¹². დიად, მე ასე ვფიქრობდი მაშინ, იმიტომ რომ ფიხტეიზმი გავიგე, როგორც რიბესპიერიზმი, და ახალ თეორიაში სიხსლის სუნი ვაყნოსე. რაც იყო—ის უნდა ყოფილიყო, და თუ აუცილებელი იყო, მაშინ კარგიც იყო და კეთილიც. ვიმეორებ: გულწრფელად და კეთილსინდისიერად გამოვხატე ამ ფრაზით ჩემი სულის დაძაბული მდგომარეობა, რომელშიაც აუცილებლად უნდა გამეელო. მაგრამ როდესაც მე დავივიწყე თავაზიანობა, როდესაც პატივცემული მოხუცის ალერსსა და ყურადღებას სამაგიერო მივუხლე მისი მრწამსისა და რწმენისადმი კანდიერი და შეურაცხმყოფელი სიძულვილით; როდესაც საჭიროდ არ ჩავთვალე, თუმცა მის სახლში ვცხოვრობდი და სულითა და გულით შემოთავაზებული მისი პურ-მარხლით ვსარგებლობდი, და მაინც საჭიროდ არ ჩავთვალე, თავაზიანობისა და ხალი აზრის გულისათვის, ერთგვარი ნეიტრალიტეტი დამეცვა და გარეგნულად დამეფარა ჩემი შინაგანი დამოკიდებულება მისადმი; როდესაც მასწავლებლის ტონით და ერთგვარი ირონიული ღიმილით ველაპარაკებოდი შენს დებს, რომლებიც, აზრებისა და მსჯელობათა გარეშე, თავიანთი ღრმა და წმინდა გრძნობით ცხოვრობდნენ იმ ჭეშმარიტებაში, რომელსაც მე იმ დროს წინასწარაც კი ვერ ვგრძნობდი,—მაშინ მე არა-

კეთილსინდისიერი, უხამსი, საზიზღარი ვიყავი. მაგრამ ეს კიდევ არაფერი იქნებოდა, ყოველივე ეს რომ უშუალოდ დნ შეუგნებლად გამომქლავებულყო,—მაშინ ეს ცხადყოფდა უხამს სულიერ მდგომარეობას. მაგრამ ცუდია ის, რომ მე ვგრძნობდი და შეგნებული მქონდა ჩემი ოინები და მანჭიაობა. სინდისი და საღი გონება (ხოლო ეს ერთ-ერთი ისეთი გარეშობა იყო, სადაც პატივცემული საღი გონება ყველაფერი), სინდისი და საღი გონება ხმამაღლა ჩამძახოდა ორივე ყურში, რომ მე მანჭია, ფრაზიორი და მასხარა ვარ, მაგრამ მე ტაკიმასხრული ქედმაღლობით საკუთარი ხელით ვიცობდი ყურებს ბამბით. ღმერთო ჩემო! რა ცოცხლად, რა ღრმად ვგრძნობდი, რომ მეორე სტატიის კითხვა ყველაზე უხამსი, მხეცური, მასხრული და საზიზღარი საქციელი იქნებოდა. მაგრამ... მე უნდა გამომეჩინა ჩემი ბრწყინვალე უნარი წერისა და კითხვისა... მე შემეძლო ეს სტატია მარტოოდენ იმათთვის წამეკითხა, ასე რომ, ის მხოლოდ შენ და იმათ გეცოდინებოდათ, ანდა, უფრო უკეთესი იქნებოდა, მიმეცა და თვითონ მათ წაეკითხათ. და რა მოხდა?—მე მეორეხელ წავიკითხე ის განსაკუთრებით ტატიანა ალექსანდრეს ასულისა და ლუბა ალექსანდრეს ასულისათვის, რომლებიც მოსკოვიდან დაბრუნდნენ. მე ვხედავდი, რა ძნელი იყო დროის შერჩევა ამ წყეული კითხვისათვის, ვხედავდი მათს გაუბედაობას, თითქმის უხალისობასაც კი, მესმოდა ყოველავე ამის მიზეზი... მაგრამ მე უნდა შემენარჩუნებინა ჩემი სულელური როლი, წინააღმდეგობა უნდა გამეწია ჩემი უშუალო გრძნობისა და საღი გონებისათვის, რათა არ მეღალატნა იმ თეორიისათვის, რომელიც შეჭმნა არა ფიხტემ, არამედ ჩემმა ფრაზიორობამ, ჩემმა არაკეთილსინდისიერებამ, ჩემმა მანჭიაობის წადილმა...¹² ჩემი ბუნებისა და უშუალობისათვის შეუფერებელი როლი იყო, მაგრამ მე თავი ზოვალედ ჩავთვალე დაფაბულიყავ და ჩემი თავისთვის ძალა დამეტანებინა... და აი, მეორეჯერ ვკითხულობ ჩემს სტატიას: მოხუცი ბოლთას სცემს—ღარბაზიდან საძინებელ ოთახში გადის ხოლმე, გზად კი გაივლის სასტუმრო ოთახში (სადაც მე დამაბული აღტა-

ცებით ვიჩენ ჩემს მკვერმეტყველებას, რადგან ჩემი საქციელის უხამსობის შეგნების გამო მოკლებული ვარ თავისუფალ აღტაცებას); ბოლთას სცემს და კრუსუნებს; შემდეგ კრმეტად თავაზიანად, მეტად წყნარად მითხრა მოიარებით, რომ ეს მას არ სიამოვნებს... მე ჩემი თავი შემძაგდა; მაგრამ შეფილოსოფოსი ვიყავი და სინდისი და სალი გონებაც კი მსხვერპლად შევწირე ფრაზიორობის ფილოსოფიას (იმიტომ რომ ჭეშმარიტი აზროვნება აქ უდანაშაულო იყო). ამრიგად, ხომ ხედავ, მიშელ, მე ჩემს თავს არ ვეუბნები საყვედურს სასტიკი აზრთა წყობისათვის, იმიტომ რომ მაშინ ის აზრთა წყობა მართლაც იყო ჩემი რწმენა, ჩემი განვითარების აუტორიტეტული მომენტი. ჩემს თავს მიუუტევებ მრავალ უხამსობას სხვა მხრივაც: იქ, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი იყო მიზეზი და შეიძლებოდა კაცი გაეგებებინა, თუმცა მეტი კეთილსინდისიერების შემთხვევაში შეიძლება მეტი წილი უხამსობა ამ მხრივაც თავიდან აშეცილებინა. მაგრამ ბევრი რამ ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, იმიტომ რომ ეს ბევრი სრულებით არ იყო მომენტი, არამედ აშკარა არაკეთილსინდისიერება, რომელიც გამართლებული იყო ლოგიკური ნაძალადეობით, და ამ ბევრის სავსებით თავიდან აცილება ადვილად შეიძლებოდა, თუ უშუალო გრძნობისა და სალი გონების კარნახს დავუჯერებდი. წარმოიდგინე ადამიანი, რომელსაც ცოცხალი სული, გრძნობა, გონება აქვს, ხმამაღალი ფრაზებისა და კომწიოობის უხამსობა ესმის,—უცბად შეიყვარებს ქალიშვილს და, მის სანაცვლო გრძნობას არ კითხულობს ისე, ყველა ადამიანთა თვალწინ მიდის მასთან და ეან-პოლის საუცხოო ფრაზებით ეფიცება მარადიულ სიყვარულს,—და ყოველივე ამას სჩადის ჩვეულებისა და თავაზიანობისადმი სიძულვილის გამო; განა არ დაემსგავსებოდა იგი ხლესტაკოვს, რომელიც თავის თავზე ამბობს, რომ „სურს ხელი მოკიდოს რაიმე მაღალ საქმეს, ხოლო მაღალი საზოგადოების ბრბოს მისი არა გაეგება რა?“—ეს მე ვარ, მიშელ, ეს არის ჩემი იმდროინდელი ისტორია და მიზეზი ჩემი მაშინდელი მეტი წილი ტანჯვა-წამებისა. მერე რატომ მოხდა ყოველივე

ეს? იმიტომ, რომ გრძნობა ერთს ლაპარაკობდა, ლოგიკა კი მეორეს, და კიდევ იმიტომ, რომ ჩემი თავმოყვარეობისადმი პირფერობის გაზო მე ნაძალადევად ვმორღებოდი ყველაფერს, რაშიაც ჩემთვის წკიპურტს ვხედავდი, და ჩემს თავს ვაიძულებდი უგვანო იდეები განმეხორციელებინა. ნუთუ ეს მომენტია? თუ გნებავს—მომენტი, მაგრამ ამ აზრით სიმთვრალეც ხომ აგრეთვე მომენტი. როდესაც მე ვლაპარაკობდი თავებზე, ჩემი გრძნობა და ჭკუა შეთანხმებული იყვნენ საშინელ რწმენაში, და განყენებული აზრი ამიტომ კონკრეტული იყო,—და მე ამას არ ვნანობ. მაგრამ თავს ძალა დაატანო და იწამო ის, რაც არ გწამს, დანებდე იმ აზრს, რომელიც არ არის ჭკრეტაში და რომელიც ეწინააღმდეგება ჭკრეტას,—ეს ნაშნავს დანებდე ლოგიკურ ქამანდებს. აქედან არაკეთილსინდისიერებამდე, ფრაზიორობამდე და მალაღფარდოვნებამდე ერთი ნაბიჯია, იმიტომ რომ, როდესაც ერთხელ სცდი შენი ნება-სურვილით ატრიალო შენი რწმენა და მრწამსი ლოგიკური ხრიკების საშუალებით, შემდეგ უკვე ისე ათამაშებ ჭეშმარიტებას, როგორც ბურთს. მე ოდნავადაც არ მაშფოთებს ჩვენი საერთო სურვილი ჭეშმარიტების გზაზე დავაყენოთ ყველანი—ვულფებიც და დიაკოვიც: ეს ფრიად სასურველიც არის, და სახელდობრ იმიტომ, რომ მომენტი იყო. ამის მოგონება მე მართობს. მაგრამ მაშინ, როდესაც გრძნობ სულში ჭეშმარიტების, მაღლის, სიყვარულის არარსებობას და შეიგრძნობ ხოლმე სიცარიელესა და უბადრუტობას, მაშინ მასწავლებლის ტონითა და საკუთარი უპირატესობის გრძნობით ლაპარაკი ისეთ არსებებთან, რომლებიც აღსაფსენი იყვნენ სიყვარულით, მაღლით, და თავისი წმინდათაწმინდა უშუალობით ცხოვრობდნენ ჭეშმარიტებაში, — ეს მომენტი კი არ არის, არამედ უხამაობა და მასხარაობა; შემდეგ მიხვიდე თავაზიანობის დავიწყებამდე, მეტად სასაცილო სისულელეებამდე, სხვის სახლში გამოიჩინო მკვერმეტყველება და სიამტკბილობის, ალერსისა და პურ-მარილას სამაგიეროდ მიუზლო კადნიერებით, — ესეც აგრეთვე მომენტი კი არ არის, არამედ ეშმაკმა იცის რა — ეს პირდაპირ საძაგლობაა.

ჩემდა სასახელოდ ვიტყვი, რომ ვერც ბოტკინი, ვერც კლიუჩნიკოვი და ვერც ვერავინ (რომ აღარაფერი ვთქვათ სტანკევიჩზე. რომელსაც უშუალო გრძნობა—მისტიციზმი, როგორც ჩვენ მას ოდესღაც ვუწოდებდით, და უტყუარი ტაქტი ამგვარი იდეალურობის უნარს ართმევდა), და ვერც ვერავინ ამგვარ მომენტამდე ვერ მივიღოდა. მომენტი განპირობებულია აუცილებლობით, ხოლო მოჩვენებითობა—შემთხვევითობით, და ამაში დიდი განსხვავებაა. ამრიგად, მიშელ, მე არც კი ვფიქრობდი ჩემი განვითარების მომენტებზე თავდასხმას. მე შევუბრუნე კიდევ ჩემი ცხოვრების კათოლიკურ პერიოდსაც კი, როდესაც მთელი არსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ მე არა მაქვს არც გრძნობა, არც ქვეუა, არც ნიჭი, არავითარი და არაფრის უნარი, არც სიცოცხლე, არც მგზნებარება, არც ცხელი სძახლი, არც კეთილშობილება, არც პატიოსნება, რომ ჩემზე უარესი ღმერთს არავინ ჰყავდა, რომ მე ვარ ყოვლად უგვანო და ყოვლად უბადრუკი ქმნილება სამყაროში, ცხოველი, უაზრო, ავხორცი და საზიზღარი პირუტყვი. დიად, მე ვაღიარე და შევიგნე ამ პერიოდის აუცილებლობაც და დიდი სარგებლობაც ჩემთვის: ჩემს ახლანდელ დარწმუნებულობას ჩემს თავში და ყველაფერს, რაც ჩემში ახლა კარგია, ყოველივე ამას მე ვუძადლი ამ პერიოდს, და უიმისოდ ჩემში არაფერი კარგი არ იქნებოდა. ივანე პეტრეს-ძე კლიუჩნიკოვს ეს მომენტი კიდევ უფრო საზარელი ჰქონდა, იმიტომ რომ იგი კინაღამ სიკვდილამდე ან გაგიყებამდე მიიყვანა. მაგრამ სამაგიეროდ ახლა ივანე პეტრეს-ძე განსახიერებული ჰარმონია, მაღლი და სიწმინდეა. ფიხტიევიშმა მე ძალიან დიდი სარგებლობა მომიტანა, მაგრამ ბევრი ბოროტებაც მიყო, იქნებ იმიტომ, რომ მე იგი სათანადოდ ვერ გავიგე: მან ჩემში აღძრა მკრეხელური შეცადება გრძნობის ქალწულებრივი სიწმინდის მიმართ ძალადობისადმი და მკვდარი, აბსტრაქტული აზრის რწმენა. ვისაც სინამდვილე განყენებულად, მაგრამ იმავე დროს ცოცხლადაც ესმის, მას ჯერ კიდევ არაფერი აქვს თავისი წარსულის საწყევარი და მისი დალოცვაც კი შეუძლია; მაგრამ მას, ვინც

აზრის გაუგებლად გატაცებულია მხოლოდ აზრის ლოგიკური აუცილებლობით მის ჭეშმარიტებაში. შინაგანი გრძნობადი დარწმუნების უქონლად, მას საფუძველი აქვს თავას თავზე ჯანვრი მოუვიდეს. და მაინც იტყვიან: შენს ფიხტიეზს სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ჩემსასო; შენ იგი უფრო ღრმადაც გესმოდა, და იგი შენთვის იყო თანმიმდევარი გადასვლა ერთი მომენტიდან მეორეში, მე კი იმით თავს ვირთობდი უფრო ხათრით, რათა შენ მარტოკას არ მოგეწყინაო. შენ სულ გაიძახი, რომ არც კი ფაქრობდი ძალით შეგეთრიე მასში; მართალია, იმიტომ რომ არც შეგეძლო ეს გექნა: მე ხომ ბავშვი არა ვარ და შენ კიდევ—საგიყეთიდან გაქცეული გიყა. აქ მე უნებლიეთ მივადექი მეორე საკითხს, რომელიც ამ საკითხს ეხება, საკითხს შენი ავტორიტეტის შესახებ ჩემი და ბოტკინის მიმართ გასულ გაზაფხულს. შენ ამბობ, ეს ბრალდება იმდენად უაზროა, რომ თავის გამართლებაც კი არა მსურსო. მესმის შენი იღუმალი, ფარულად აზრი: შენ გინდა სთქვა, რომ არა შენმა ნებისყოფამ, მოწადინებამ და მეცადინეობამ, არამედ შენმა უპირატესობამ ჩვენს მიმართ უნებურად განაპტოცა ჩვენზე ეს ავტორიტეტი. თუ გნებავს, ამაში არის ერთგვარი ჭეშმარიტება: ჩვენ მალა, ძალიან მალა გაყენებლით შენ, უნებურად გვიტაცებდა შენი სულის ძლიერი მოძრაობა, შენი აზრის სიმძლავრე, ეს ტონა საკუთარ აზრთა წყობისადმი ურყევი რწმენისა,—და ეს კარგი იყო. მაგრამ ჩვენ გავაფუჭეთ საქმე ჩვენივე თავის დამცარებით შენს წინაშე მორცხვი, ბავშვური კეთილსინდისიერებით. პირველი ჭეშმარიტა იყო, იმიტომ რომ შენში არის ყოველივე ეს, და ყოველივე ამისათვის შენ არ შეიძლება არ დაგაფასონ, დიდად, ძალიან დიდად,—და შენ სამართლიანად სარგებლობდი ჩვენი პატივისცემით და ამ პატივისცემას შენს საკუთრებად სთვლიდი. მაგრამ მეორე ყალბი იყო, და შენი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ შენ არასოდეს თავი არ შეგიწუხებია გაგექარწყლებინა ჩვენი ყალბი წარმოდგენა შენს წინაშე ჩვენი არარაობის შესახებ. შენ ამაზე, იქნებ, მხოლოდ სდუძლი შეუცნობლად და მხოლოდ შენი უშუალო-

ბით გამოსთქვამდი შენს ჭეშმარიტ აზრს ჩვენს შესახებ, ეს აზრი კი ასეთი იყო: „თქვენ თავისთავად გავლენიანი და ღირსებით აღჭურვილი, არაჩვეულებრივი ადამიანები ხართ, მაგრამ მე ვიცი ჩემი უპირატესობა თქვენს მიმართ“. კიდევ მეტი. ყველა დავის დროს შენს სახეზე და შენს უშუალოებაში იხატებოდა (და ძალიან ნათლად) ასეთი ფარული აზრი: „შენ შეგიძლია არ დამიჯერო, შეგიძლია არ დამეთანხმო კიდევ,—როგორც გენებოს. მაგრამ ამ შემთხვევაში შენ უგვანო ვინმე ხარ“. ხოლო ჩვენ არ გვინდოდა უგვანოები ვყოფილიყავით შენს თვალში, იმიტომ რომ ეს ჩვენთვის ნიშნავდა ნამდვილად ვყოფილიყავით უგვანოები,—და ჩვენ ჩვენს თავს ვაიძულებდით დავრწმუნებულყავით შენი იდეების უდავო ჭეშმარიტობაში. ცხადია, ეს იყო მძიმე უღელი, რომლის დიდხანს ტარება დამოუკიდებელი ბუნების პატრონ ადამიანებს არ შეეძლოთ. ასე (თუმცაღა ნაწილობრივ) მივიღე-შენგან ფიხტიეზმი; ასე დარწმუნდა ბოტკინი, რომ მან უნდა ისწავლოს ფილოსოფია, თავი მიანებოს ბელეს და არ გაპბედოს მუსიკაზე წერა. აქიდან წარმოსდგება მუდმივი მტრობა ჩვენს ურთიერთობაში შენდამი. მე არასოდეს დავივიწყებ (არის საგნება, რომლებსაც არასოდეს არ ივიწყებენ), რა აშკარა გულცივობისა და აშკარა სიძულვილის გამოჩენა დაიწყო შენ ჩემს მიმართ, როდესაც გადაჭრით გამოგიცხადე, რომ მსურს ვიცხოვრო ჩემი ცხოვრებით, ჩემი ჭკუით, განვიითარდე დამოუკიდებლად, მსურს გამოვცე ყურნალი და ვიქორავო შიგ ისე, რომ არც არაფერი ვიცოდე და არც არაფერი ვისწავლო. არასოდეს დამავიწყდება, რომ ერთხელ, როდესაც აბანოდან შინ მოხვედი და მე ბოტკინთან დაგხვდი, ჩემთვის ხმის გაცემა არ გინდოდა და ბოროტი და დამცინავ-შეურაცხმყოფელი ღიმილით დაიწყო წიგნის კითხვა, თუმცა, ჩემი წასვლის შემდეგ, მყისვე მიატოვე ის, ჩვეულებრისამებრ, ბოტკინთან სალაყბოდ. აი რაში მდგომარეობდა ჩვენს შიშობა შენი ავტორიტეტის საზიზღარი მხარე (მასში კი კარგი მხარეც იყო), რამაც გვაიძულა ასეთი გააფთრებითა და გამძვინვარებით ავმხედრებულყავით შენს წინა-

აღმდეგ და რამაც გამოიწვია პირველი პოლემიკური მიმოწერა. ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ შენ ორივენი გიყვარდი და პატივს გვცემდი კიდევაც, მაგრამ ობიექტურად და როგორც ისეთ მოვლენებს, რომლებიც ღირსნი იყვნენ ყურადღებისა, სიყვარულისა და პატივისცემისა, ოღონდ დაბლა იდგნენ შენთან შედარებით. ეს ყოველთვის მეღაენდებოდა შენს უშუალობაში და მეღაენდებოდა იმდენად მკვეთრად, რომ კეთილმა კეტჩერმაც კი, ჩვენი წრისა და ურთიერთობის მიმართ უცხო ადამიანმა, ერთხელ შენი თანდასწრებით სთქვა (ვითომდა ხუმრობით), რომ შენ ჩვენ გვატყუებ. და შენც, დაბოლოს, ესა სთქვი, თუ წამოგცდა. პირველად, მოსკოვს ჩამოსვლისას პოლემიკური მამოწერის შემდეგ, როდესაც ბოტკინთან ერთად სადილობდი: „ვასინკამ და ვისიაშამ განიზრახეს ჭკუა მასწავლონ მე“. მართლაც, ჩვენი მხრით ეს მიუტევებელი კადნიერება იყო! ჩვენ მხოლოდ უნდა გვესწავლა შენგან, ჩვენ კი განვიზრახეთ, ჩვენი მხრით, შენთვის გვესწავლებინა! მეორედ შენ ეს სთქვი (თუ წამოგცდა) ჩემთან პრიამუხინოში, შენს ოთახში, საღამო ეამს, გულითად საუბარში ჩემთვის მნიშვნელოვან საგანზე... გახსოვს?..

აქ ბარემ გიპასუხებ შენს აზრზე პროზელიტიზმის შესახებ. შენ ამბობ, რომ მე შენთან ერთად შეპყრობილი ვიყავი ამ, თუმცადა, ერთობ გასაგები გახელებით, რომ ჩემი წერილება შენდამი და ჩემი ჟურნალიზმი იზისგანვე გამომდინარეობენ. ეგრეთ, მაგრამ საქმე ხშირად საქმეში კი არ არის, არამედ იმ მანერაში, რომლითაც იგი კეთდება, ანდა ადამიანის უშუალობაში, რომელიც მარტოოდენ აძლევს საქმეს ელფერსა და ხასიათს და განაპირობებს მის ცუდ ან კარგ მოქმედებას სხვებზე. შემდეგ, ყველაფერში არის ზომიერება და ყველაფერს აქვს საზღვარი. ვიდრე ლაპარაკი იდევებზე, გარეშე მათი გამოყენებისა ცხოვრების მიმართ, მე შენზე ნაკლებ გაბუდულად როდი ვიყავი პროზელიტიზმის სარბიელზე; მაგრამ როდესაც საქმე შეეხებოდა გამოყენებას—მე კეთილგონიერება მქონდა—მაინცდამაინც არ ვიწუხებდი ამით თავს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, არასოდეს არც იმის სურვილი მქონია

და არც ძალ-ლონე, რომ ადამიანს მენტორად გავყოლოდი და მუდამ დავხმარებოდი არ გადაეხვია ჩემს მიერ მისთვის მითითებულ გზიდან. არა, მიშელ, მხოლოდ ჩემი განყენებულობის სისხლიან, უგუნურ პერიოდში, 1836 წელს, ვიძლეოდი გაბედულად ყველა სულიერი ავადმყოფობის რეცეპტებს და საზოგადოებრივ მოწოდებებს ცხოვრების მთელ განაზუგებაში მაგრამ მაშინაც კი, ცხოვრების მნიშვნელოვან გარემოებაში ჩემთვის რჩევა რომ ეკითხათ, და მე რომ მცოდნოდა, რომ ჩემი რჩევა ადამიანის ბედს გადაწყვეტს, მე... არა, საზარელია იმის ფიქრი, რომ მე ამ რჩევას მივცემდი. მაგრამ კიდევაც რომ მიზეცა, ამით ჩემს თავს მწველ ჯოჯოხეთს შეეუქმნოდი. ხოლო იქიდან მოკიდებული, რაც მე შენს წინააღმდეგ ავმხედრდი ჯერ კიდევ ამა წლის დიდ-მარხვაში, მე უკვე ვუთხარ ჩემს თავს—არა! უურნალი სხვა საქმეა: მისი მოქმედება საერთოა და ითვალისწინებს განსაზღვრული ადამიანის განსაზღვრულ ინდივიდუალობას. რაც შეეხება შენდამი გამოგზავნალ წერილებს, ქვემოთ ნახავ განმარტებებს, თუ რატომ ჩავიჭერი მე ამ წერილებით, ხოლო ჩაქრით კი საშინლად ჩავიჭერი...

„მე არ შევუდგები დებისა და საკუთრივ ჩემს შესახებ მისი (კლიუნიკოვის) და შენი აზრის სიყალბის მტკიცებას“. შენ, იქნებ, სთქვა, რომ ეს ზედმეტი გარჯა აქნებოდა და რომ ძნელი და შეუძლებელი იქნებოდა კაცმა შეგაცვლევინოს აზრი, დამყარებული ამდენ მონაცემებსა და ბრბოს შეხედულებაზე, იმ ბრბოსი, რომლის სულიერული ხმა, შენი ახლანდელი ფილოსოფიის მიხედვით, ჭეშმარიტების წმინდათაწმინდა ხმაა. ვინ იცის?—იქნებ, ტრანსცენდენტალობათა და ლოგიკური თინების ჩემს მარაგში შეპოვნა ისეთი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ფოლადის კბილებითა და კლანჭებით შეჭურვილ შენს საშინელ სინამდვილესაც კი შეაწყევდნენ“.

მიშელ, შენი წერილის ეს ადგილი ისე მომეწონა, რომ საჭიროდ მივიჩნიე მისი ამოწერა და შენს ლირიკულ საქციელზე ასეთივე საქციელთ პასუხის გაცემა. ჯერ ერთი: შენს გრძელ წერილში, რომლის პირველი და უმეტესი ნა-

ხევარი მართლაც მდიდარია ტრანსცენდენტალობითა და ლოგიკური ოინებით, მე სრულიად ვერაფერი, ვერც ერთი სიტყვა, ვერც ერთი ასო ვერ ვნახე ისეთი, რაც შეარყევდა ფოლადის კბილებითა და კლანჭებით შეჭურვილ ჩემს რკინის სინამდვილეს; მაგრამ ძალაან ბევრი რამ ვნახე ისეთი, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა ეს სინამდვილე. მეორე: არ მინდა და ამიერიდან უფლება არა მაქვს დავადასტურო ჩემე აზრი იმის შესახებ, რასაც მე შენზე ნაკლებ არა ვცემ პატივს; მაგრამ არ შემიძლია არ შევნიშნო, რომ ამ აზრს მე ვამყარებდი არა სულელი ბრბოს აზრზე, არამედ ჩემი და ისეთი ადამიანების აზრსა და უშუალო შთაბეჭდილებაზე, რომლებიც, სრულიად უეჭველია, შენზე ბევრად უფრო სულელები არიან და დაბლა დგანან; მაგრამ რომლებიც, მიუხედავად ამისა, ჩემს თვალში ყოველგვარი პატივისცემის ღირსი ადამიანები არიან და არა თუ არაფრით ჩემზე დაბლა არა დგანან და უარესნი არ არიან, არამედ უმაღლესნი, შესაძლოა, ჩემზე მაღლა იდგნენ და უკეთესნი იყვნენ. მესამე: მე არასოდეს არც კი მიფიქრია პატივი მეცა იმ ბრბოს აზრისათვის, რომელიც თავს იყრის სალონებში, მოედნებზე და სამიკიტნოებში და უაზრო ავყილობით ჰკლავს ქალის პატიოსნებას, მამაკაცის ბედნიერებას, ოჯახის კეთილდღეობას. არა, მაგრამ მე მუდამ დიდ პატივს ვსცემდი და მომავალშიაც პატივს ვსცემ იმ ხალხს, რომელზეც ნათქვამია: „ხმა ღვთისა—ხმა ერისა“ და რომელიც არის ცოცხალი, განსახიერებელი სუბსტანცია, რის განსაზღვრებანი არიან განათლებული ადამიანები; იმ ხალხს, რომელიც არის რეზერვუარი იდეებისა, მოქმედებისა, რასაც ახორციელებენ ინდივიდები და რაც შეგნებული აქვთ ინდივიდებს. არის განსხვავება ბრბოსა, საზოგადოებასა — და ხალხს შორის. ბარემ ამოგიწერ კიდევ ჰაინეს აზრს ამის შესახებ:

„მასას, ხალხს არ უყვარს გაქარდვა. ხალხი, ვითარცა გენია, ვითარცა სიყვარული, ვითარცა ტყე, ვითარცა ზღვა, ბუნებით დინჯია; იგი ერიდება სასტუმრო ოთახების მახვალგონიერ ავყილობას და დიდ მოვლენებს ხსნის ღრმად, მისტიკურად“...

ნ. ვ. სტანკევიჩის. 29 სექტემბერი—8 ოქტომბერი 1839

(ნაწყვეტი)

ოქტომბრის 2¹

„დაბოლოს, შენს სტატიებში, ო, ვინაშა, წინანდელი ღირსებები და ნაკლოვანებებია: წინანდლებში შენ რეზონორობ საზოგადოების წინაშე, როგორც შენს სახლში იცოდი ხოლმე მეგობრებთან, როდესაც ჩიბუხს აბოლებდი, და ყოველი თეორიული დებულების დროს მოგაქვს გრძელ-გრძელი მაგალითები და ამონაწერები, გინდა გოგოლის რამდენიმე სიტყვით მოიტანო შემოქმედების ნიმუშები... ეს მხოლოდ უცნაურია; მაგრამ...“² თუმცა ამაჲ ამბობ შენ, მაგრამ არ შემიძლია დაგეთანხმო და აი რა მიზეზის გაშო. ჯერ ერთი, საზოგადოებასთან ჩემს რეზონორობაში ზოგი რამ ისეთიც იყო, რაც ნატურის სისრულიდან გამოდიოდა და მას (საზოგადოებას) ისეთ ქეშმარიტებებს აუწყებდა, რომლებიც მისთვის ძალიან ახალი იყო, იმიტომ რომ მას ისინი პირველად და პირველი ადამიანისგან ესმოდა. რა ვუყოთ, თუ საზოგადოება ამ ქეშმარიტებებს კითხულობდა სიცრულსა და რეზონორობის გროვაში? რა ვუყოთ, თუ მას ამ ქეშმარიტებებს ეუბნებოდა უნივერსიტეტიდან ზარმაცობისათვის გაძევებული სტუდენტი, ჩიბუხით პირში, დაუბანელი,—ეს ქეშმარიტებანა საზოგადოებრივად მანც დარჩენენ გულახდილად, მგზნებარედ და მისთვის გასაგებად წარმოთქმულ ქეშმარიტებებად. ნუთუ საზოგადოება [მოასურვებს]³ ასეთ ახირებულ კაცზე გაცვალოს რომელიმე იდიოტი შევიწროვი მხოლოდ იმიტომ, რომ მან, პირში უჩიბუხომ (ჩიბუხი კი ეგრე რიგად შეურაცხყოფს შენს პატივისცემას თავაზიანობისადმი), თეთრხელთათმანებიანმა, დაშაქრული წყლის სურა რომ გვერდით მოუდგამს, გვარიანი სისულელები წამოროშოს ხოლმე საზოგადოების წინაშე და კვებოს ის თავისი საჭურისობის სიღამპლითა და მტვერით? ეჰ, ძმაო ნიკოლოზ, მე ძალიან მწყინს, რომ რეზონორობა და ჩიბუხი (ალბათ, კვამლის ბუდი — მე

მაშინ საშინლად ვურტყამდი ნაფაზს) ჩამოეფარა და შენ აღარ დაგანახა ქვეშარიტების ნაწილაკი, რომლის არსებობას ჩემს ნაწერებში შენ, ყოველ შემთხვევაში მაშინ, არ უარჰყოფდი. არ იფაქრო, ნიკოლოზ, რომ მე არა ვხედავდე „ტელესკოპიდან“ ჩემი ბრძოლის სასაცილო მხარეებს; მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია, როგორ შეეძლოთ ამ სასაცილო მხარეებს დაეჩრდილათ ჩემი ბრძოლის ქვეშარიტი და ნამდვილი მხარე⁴. ქვეშარიტება ოქროსავით არის: ერთი პაწია, ზარცვალის გულისათვის ერთი ფუთი ქვიშა უნდა გაჩხრიკონ. ჩემთვის სასიამოვნოა იმის ფიქრი, რომ მე, არა მხოლოდ მეცნიერებისმინაგვარ, არამედ ყოველგვარ განათლებასაც მოკლებულმა ადამიანმა, პირველმა ვთქვი რამდენიმე ქვეშარიტება მაშინ, როდესაც ყოვლადბრძენი უნივერსიტეტის სინედრიონი სისულელეს როშავდა. ქვეშარიტებას არავითარი გზა არა სძაგს, იგი ყოველგვარ გზაზე მიიწევეს წინ. რაც შეეხება სასაცილო მხარეს, არა მხოლოდ „ტელესკოპში“, არამედ „ნაბლიუდატელშიც“⁵ უკვე დიდი ხანია ვხედავ მას. მე საკმაოდ დაუდგრომელი ვარ და ერთ ადგილას დიდხანს არ ვჩერდები, და ამიტომ უკვე დიდი ხანია „ნაბლიუდატელზე“ წინა ვარ. მისი სასაცილო და ბავშვური მხარეა სრულიადაც არა შილერზე თავდასხმები, არამედ ეს სიუხვე მეტად ზერეულედ გაგებულ იფალოსოფიური ტერმინებისა, რომელთაც თვით გერმანიაშიც, პოპულარულ თხზულებებში, დიდი მომჭირნობით ხმარობენ. ჩვენ დავივიწყეთ, რომ რუსული საზოგადოება გერმანული საზოგადოება არაა, და როდესაც თავს ვესხმოდით გულუბრყვილობას, ჩვენ თვითონვე ვიყავით მისი ყველაზე სასაცილო მაგალითი. ბაკუნინის სტატიამ „ნაბლიუდატელი“ დალუპა არა იმით, რომ ეს სტატია მეტად ცუდი იყო, არამედ იმით, რომ გაგვიტაცა ჩვენ (განსაკუთრებით მე, რის გამოც მე გაბრაზებული ვარ ამ სტატიაზე), ცუდი მიმართულება მოსცა უურნალს. პირველ ხანებში საზოგადოება ჩამოაცილა მას და სამუდამოდ დალუპა ის საზოგადოების თვალში⁶. რაც შეეხება ამ სტატიის ღირსებას, რომელიც შენ მოგეჩვენა უურნალის საუკეთესო სტატიად, ისევე. როგორც კლიუჩნიკოვის ლექსი

პეტრესადმი—ჩინებულ ლექსად, აქაც არ გეთანხმები: „მინაარსზე არ ვდავობ, მაგრამ ფორმა ფრიად ულამაზოა, და მისი უშუალო შთაბეჭდილება მეტად არახელსაყრელია ფილოსოფიისთვისაც და ავტორის პიროვნებისთვისაც. კაცს უნდოდა ელაპარაკნა ისეთ საყურადღებო საგანზე, როგორც არის ჰეგელის ფილოსოფია, გონივრული სინამდვილის შეცნობის და არა თავისი სინამდვილის თვითნებურად და ფანტაზიით აგების აზრით,—და დაიწყო ლაპარაკი გაბედულად. კვებნითა და კადნიერად, როგორც თავისი მეგობრების წრეში. პირში ჩიბუხით და ტანზე ხალათით, ისე რომ ეს დიდი თავაზიანობა ვერ გამოისყიდა ვერც პოპულარული და ვერც საჩინო მხატვრული გადმოცემით. წარმოდგენების ნაცვლად სტატიამი მხოლოდ ცნებებია, ცოცხალი გადმოცემის ნაცვლად—მარტოოდენ მშრალი და მყვირალა განყენებულობა. აი რატომ გამოიწვია ამ სტატიამ საზოგადოებაში არა გულგრილობა, არამედ სიძულვილი და ზიზღი, თითქოს იგი თითოეული მკითხველისათვის პირადი შეურაცხყოფა ყოფილიყოს. შილერზე ჩემს თავდასხმებში ჩანს, თუ გაათრება არა. ერთგვარი ველური სიხარული მაინც იმის გამო, რომ მე შემიძლია კანონიერად ვჯაჯგნო ის. აქ პიროვნებანი ჩაერივნენ — შილერი მაშინ ჩემი პირადი მტერი იყო, და მე გამიჭირდა მისდამი ჩემი სიძულვილის ალაგმვა და ჩემთვის შესაძლებელი თავაზიანობის ფარგლებში დარჩენა. რის გამო გაჩნდა ეს სიძულვილი? — სუბიექტურ-ზნეობრივი თვალსაზრისის გამო, მოვალეობის საშინელი იდეის გამო, აბსტრაქტული გმირობის გამო, სინამდვილის წინააღმდეგ გულუბრყვილო ომის გამო, ყოველივე იმის გამო, რისგანაც მე ვიტანჯებოდი მისთვის. შენ იტყვი, შილერის ბრალი არ არის, თუ მე ყალბად, ცხადია, და ცალმხრივად გავივე დიდი გენიოსი და მისგან ავაღე მხოლოდ მისი ბნელი მხარეები, მაგრამ ვერ ჩაეწვდი გონივრულ მხარეებს. ეგრეა, მაგრამ ჩემი ბრალიც არ არის ის, რომ მე ვერ შევძელი მისი უკეთესად გაგება. მისმა „ყაჩაღებმა“ და „ვერაგობამ და ჰიყვარულმა“. „ფიესკოსთან“—გერმანელი ჰიუგოს ამ ნაწარმოებთან—ერთად, ჩემში

აღძრეს საშინელი ზტორობა საზოგადოებრივი წყობის მიმართ, იმ საზოგადოების აბსტრაქტული იდეალის გულისათვის, რომელიც მოწყვეტილია განვითარების გეოგრაფიული და ისტორიული პირობებისაგან და აგებულია ჰაერზე. მისმა „დონკარლოსმა“, ამ უსახო სახეებასა და რიტორიკულ განსახიერებათა უფერულმა ფანტასმაგორიამ, კაცობრიობისადმი სრულიად უშინაარსო აბსტრაქტული სიყვარულის ამ აპოთეოზმა, გადამისაროლა აბსტრაქტულ გმირობაში, რომლის გარეშე მე ყოველივე მეზიზღებოდა და მძულდა (და ნეტავ იცოდე, რა საშინლად და მტკივნეულად!) და რომელშიაც მე ძალიან კარგად, მიუხედავად ჩემი არაბუნებრივი და დაძაბული აღტაცებისა, ჩემი თავი მიმაჩნდა არაარად. მისმა „ორლენელმა ქალწულმა“—ამ დრამამ ერთიმეორისაგან მკვეთრად გაზოყოფილა ორი ელემენტით, როგორც ერთ ჭურჭელში ჩასხმული წყალი გამოეყოფა ზეთს,—მისტიკური და კათოლიკური ელემენტით (მე კი ახლა უფრო გულგრილი გავხდა პირველის მიმართ და მუდამ საშინლად მძულდა და სიკვდილამდე შეძლება მეორე), და შემდეგ ცუდი და უფერული დრამის ელემენტით (სადაც ჩნდება ანა დ'არკი—იქ მისტიციზმი და კათოლიციზმი და—ვალთარებ—მძლავრი რომანტიკული პოეზია; სადაც ჩნდებიან სხვა პირები—იქ მოწყენილობა, უფერულობა და წვრილმანობა, რაც ამის შედეგია, რომ შილერს ძალა არ შესწევდა ხასიათებისა და დრამატიული მოქმედების ობიექტურ ასახვამდე ამადლებულიყო),—„ორლენელმა ქალწულმა“ გადამადო იმავე აბსტრაქტულ გმირობაში, იმავე ცალიერში, უსახოში, სუბსტანციურში, გარეშე ყოველგვარი ინდივიდუალური განსაზღვრისა—ზოგადში. მისმა თეკლემ, შილერის ქალის ამ მეათე გაუმჯობესებულმა და შესწორებულმა გამოცემამ, მოძცა ქალას იდეალი, რომლის გარეშე ჩემთვის არ არსებობდა ქალი (ახლა ჩემთვის შენი ბერტა 100.000-ჯერ უფრო მაღლა დგას, იმიტომ რომ ცოცხალი, ნამდვილი სახეა და არა აბსტრაქტული იდეა) *. სადამდე მიმიყვანა შილერმა? გახსოვს თუ არა, ნიკოლოზ, როგორ გადაწყვეტილი იყო ყველა ჩვენთვის, რომ საზიზღ-

რობა და უნამუსობაა ქალიშვილთან დაკავშირება *con amore*, ვინაიდან, თუ ის ქალიშვილი უმანკოა, მაშინ მისთვის უმანკობის წართმევა—ბოროტმოქმედებაა, ხოლო თუ უმანკო არ არის, მაშინ შეიძლება ბავშვი შვას (ახალი ბოროტმოქმედება!), შეიძლება თავი მოგაბეზროს, და ის უნდა მიატოვო (კიდევ ბოროტმოქმედება!); და რახან ადამიანს უცოლოდ ცხოვრება არ შეუძლია და ყველა წესიერი კაცო სახსნილოს მოყვარულია,—ამიტომ ჩვენ ლოგიკურად მივედით შერიგებამდე და გამოსავალი ვპოვეთ ...სა და ...-ში, ყველა მათი მერკურიალური შედეგით⁹. ხედავ, სად მიგვიყვანა იდეალურმა შილერმა! და სადამდე მიდიოდა თვითონ ის და თავის წინააღმდეგობებში იხლართებოდა! მან ქალიშვილი შეიყვარა და შეირთო, მაგრამ მალე გულცივი გახდა მის მიმართ, ცუდად ეპყრობოდა მას და დასწერა თავისი „Die Ideale“¹⁰, სადაც გამოეთხოვა ცხოვრების ყველა მოჩვენებას — პოეზიას, ცოდნას, სახელს, სიყვარულს, და მხოლოდ შეგობრობასა და შრომასთან დარჩა. „Resignation“-ში¹¹ მან საზოგადოს მსხვერპლად შესწირა ყველაფერი კერძო და გამოვიდა სიცალიერეში, იმიტომ რომ მისი ზოგადი აყო მოლოხი, რომელიც თავისსავე საკუთარ შვილებს ნთქავდა, და არა მარადიული სიყვარული, რომელიც თავს იჩენს ყველაფერში. რაშიაც კი სიცოცხლეა. თავის „Der Kampf“-ში¹² იგი ეთხოვება თავის მტანჯველ სათნობას, სწყევლის მას და საძინელი გააფთრებით ამბობს: მიხდა შეეცოდო! აბა ეს რა სიცოცხლეა, სადაც რეფლექსია სწამლავს ცხოვრების სისრულიდან გამოსულ ყოველ ნეტარ წუთს, სადაც ზოგადი გიბრძანებს ყოველგვარ ადამიანურ განცხრომას უცქირო როგორც შეცოდებას. სადაც რელიგია შუა საუკუნეთა კათოლიციზმია, ხოლო კატონისებური სტოიციზმი გამოსყიდვას! მე ახლა მესმის ჰაინეს ფრაზა, რომ ქრისტიანულ რელიგია ყველაფერს სწირავს სულს და რომ საქირთა რელიგიის აბოლირება, რათა სხეულმა თვისი უფლებები განახორციელოს. მახსოვს, ამ ფრაზამ გაგაცოფა ჰაინეს წინააღმდეგ. ეს ახირებუ-

ლი კაცი კი თავისი თვალსაზრისით მართალი იყო, ამიტომ რომ ქრისტიანული რელიგია მას წარმოედგინა შუა საუკუნეთა აბსტრაქტული ფორმით. აი რატომ შემძულდა შილერი: ფილა აივსო—სული თავისუფლებასაქენ მისწრაფვოდა აუტანგლი სივიწროვიდან. კავკასიიდან მოსკოვში ჩამოვედა, ჩამოვიდა ბაკუნინი—ჩვენ ერთად ვცხოვრობდით. ზაფხულში მან გადახედა ჰეგელს რელიგიისა და სამართლის ფილოსოფიას. ჩვენს წინაშე გადაიშალა ახალი სამყარო: ძალა არის უფლება და უფლება არის ძალა. არა, არ შემიძლია ავიწერო, რა გრძნობით გავიგონე ეს სატყვები,—ეს იყო განთავისუფლება. მე გავიგე იდეა სამეფოების დაცემისა, კანონიერება დამპყრობლებისა, მე გავიგე, რომ არ არის უხეში მატერიალური ძალა, არ არის ხიშტიისა და ხმლის ბატონობა, არ არის თვითნებობა, არ არის შემთხვევეითობა,—და დამთავრდა ჩემი მძიმე მეურვეობა ადამიანის მოდგმისადმი, და მე ახალი სახით წარმომიდგა მნიშვნელობა ჩემი სამშობლოსი. მე გამოვემშვიდობე ფრანგებს. ჰანამდე კიდევ კატკოვმა გადმომცა, როგორც მოეხერხებოდა, მე კი ჩემს თავში მივიღე, როგორც შემეძლო, „ესთეტიკოს“ რამდენიმე შედეგი. ღმერთო ჩემო! რა ახალი, ნათელი, უსასრულო სამყარო! მაშინ გამახსენდა შენი უკმაყოფილება შენი თავით, შენი ზრუნვა ფანტაზიათა მისაბეგეავად, შენი კაეშანი ნორმალურობის გამო. სიტყვა „სინამდვილემ“ ჩემთვის სიტყვა „ღმერთის“ თანაბარი მნიშვნელობა მიიღო. და შენ ტყუილად მიჩივე უფრო ხშირად შეეხედო ხოლმე ლურჯ ცას—უსასრულოს სახეს, რათა სამზარეულოს სინამდვილეში არ ჩავვარდე. მეგობარო. ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია ცის სახეში დაინახოს უსასრულოს სიმბოლო, მაგრამ ცა ხომ ხშირად იფარება ლევა ღრუბლებით. და ამიტომ უფრო ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია სამზარეულოც კი გაანათოს უსასრულოს აზრით. უსასრულო უნდა აყოს სულში, ხოლო როდესაც ის სულშია,—ადამიანი სამზარეულოშიც კარგად გრძნობს თავს. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ შელინგში მეტი გენიალობა და სიღიბდეა, ვიდრე ჰეგელში, კათოლიციზმში მეტი, ვიდრე ლუთერა-

ნიშნში, მისტიციზმში ზეტი, ვიდრე რაციონალობაში (გონიერულობაში), ჰომეროსის ბრძოლებში მათი ეტლებით¹³, ფარებით, მახვილებათა და ისრებით—მეტე, ვიდრე ბოროდინოს ბრძოლაში მისი მოკლე მუნდირებით და პროზაული ხიშტებითა და ტყვიებითა. რატომ არაა ეს? იმიტომ, რომ უბრალოში უფრო ძნელია უსასრულო სინამდვილის გამოცნობა, ვიდრე გარეგნულად გრანდიოზულობით განმაცვიფრებელ ფორმაში; იმიტომ, რომ უსასრულოს სახის დანახვა უფრო ადვილია ცაში, ვიდრე სამზარეულოში... მაგრამ განუგრძობ ჩემი შინაგანი ისტორიის თხრობას. ბაკუნინმა პირველმა (მაშინვე) გამოაცხადა, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ ობიექტურობაშია და რომ პოეზიაში სუბიექტურობა არის პოეზიის უარყოფა, რომ უსასრულო უნდა ვეძიოთ ყოველ წერტილში; ხელოვნებაში იგი მკლავდება ფორმის საშუალებით და არა შინაარსის საშუალებით, იმიტომ რომ თვით შინაარსი ლაპარაკობს ფორმის საშუალებით, ხოლო სადაც პირიქითაა—იქ ხელოვნება არ არის. მე ამ იდეებისგან გავმძვინვარდა, გავბრუნდი—და ადამიანთა წინაშე კაცობრიობის კეთილშობილ დამცველს—შილერს თავს დაატყდა სასტიკი წყევალ-კრულვა. ჩემი მასწავლებელი სულიერად აღშფოთდა, როდესაც თავისი მოძღვრების მეტად ნაადრევია და მეტად უხვი და ნოყიერი ნაყოფი დაიანახა; უნდოდა შევეჩერებინე. მაგრამ გვიან იყო, მე უკვე ავიწყვიტე და გააფთრებული აყვირდი¹⁴. ცნობილია, რომ შილერი გოეთეს ურჩევდა კუთხეში დაეყენებინა ჰერკოგი ალბა, როდესაც მასი ვაჟი ეგმონტს ელაპარაკებოდა, რათა იმ ბოროტმოქმედს ან გული აჩვილებოდა და მოენანიებია, ანდა თავისი გაცოფებისაგან გატანჯულიყო—უღადესი გულუბრყვილობა, დრამატიული უმწეობის ნიშნები! მიშელს უნდოდა დაეძალა ჩემთვის ეს ფაქტი, და, ჩვეულებისამებრ, თვითონვე წამოაყრანტალა იმ ჩემთან—მე სიხარულისაგან ავღრიალდი. ამ დროს დაიწყო ლაპარაკი გოეთეზე—და რა მომივიდა, როდესაც წავიკითხე „დილის ჩივილი“, ხოლო შემდეგ—

მე ნიაღვარში ქვებზე ვწევარ... რა შიხარია!

მომავალ ტალღას ხელგაშლილი ვხვდები ძალიან, და სხვ.

ახალი სამყარო! ახალი ცხოვრება! ძირს მოვალეობის უღელნი, ეშმაკსაც წაუღია დამპალი მორალიზმი და იდეალური რეზონირობა! აღამიანს შეუძლია იცხოვროს—ყველაფერი მისი, ყოველი მომენტი ცხოვრებისა დიადი, ჭეშმარიტი და წმინდათაწმინდაა! აქ მომისწრო საყვარელი ჰაინეს თარგმანებმა, და მალე წავიკითხეთ „რომეო და იულია“, რათა გაგვეგო, რა არის ქალი... საბრალო შილერი!.. აქ დაიწყო ჩემი ომი მიშელთან, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, რომელიც წელიწადზე მეტი გაგრძელდა და სავსებით დამთავრდა სამი თვის წინათ. საქმე აი რაში იყო: ჩვენ ძალიან ცუდად გავიგეთ „სინამდვილე“, ვფიქრობდით კი, რომ ძალიან კარგად გავიგეთ ის. მართლაც, ჩვენ მის შესახებ, დაწყების კვალობაზე, არც თუ ცუდად. ჩინებულადაც კი ვმსჯელობდით და ეწერდით, მაგრამ საშინლად არანამდვილად ვახორციელებდით მას სინამდვილეში...

ბ. გ. ბოტკინს. 13 ივნისი 1840

(ნაწყვეტი)

სპბ. 1840, ივნისის 13

შენმა 21 მაისის წერილმა, საყვარელო ბოტკინ, კიდევაც გამახარა და კიდევაც ძალიან ამიჩვილა გული. მინდოდა ვრცლად დამეწერა მისი პასუხი, თხუთმეტიოდე ფურცელზე, ის-ის აყო დავიწყე კიდევ, მაგრამ გადამადებინა სტატიამ ლერმონტოვის შესახებ². არ შემიძლია ერთბაშად ორი საქმის კეთება, იმიტომ რომ ან არაფერს არ ვაკეთებ (და ეს მთავარი საქმეა ჩემს ცხოვრებაში), ანდა სავსებით მატაცებს ხოლმე ის საქმე, რომელსაც ვაკეთებ. მეგობარო, მესმის შე-

ნი მდგომარეობა, და არ გადანაშაულებ იმისათვის, რომ შენ აღამიანებს ვერ იტან და განმარტობასა და ბუნებას მოითხოვ. მესმის შენი სიხარული გრანოვსკის გამგზავრების გამოც. უხამსი აღამიანების თავიდან მოცილება ადვილია, მაგრამ წესიერი აღამიანებისა კი — ძნელი, და როდესაც ტანჯული სული თავის თავშივე ეძებს ხსნას, ხოლო შემთხვევა გახსთავისუფლებს სწორედ იმათგან, რომელთაც სხვებზე მეტად აქვთ უფლება შენი სიყვარულისა, პატივისცემისა და ყურადღებისა — ისე მსუბუქად ამოისუნთქავ, თითქო ლოდი მოგეშორებინოს. შენი ტანჯვა მტკივნეულია, მასში ბევრი სისუსტე და უმწიობაა, მაგრამ ამას ნუ აბრალებ ნურც შენს თავს და ნურც შენს ბუნებას. ჩვენ ამ მხრივ ყველანი ორა წვეთი წყალივით ვგვევართ ერთმანეთს: ცხოვრებაში საშინელი სულმდებლები ვართ, თუმცა ბუნებით არც თუ ისე უხამსი აღამიანები ვართ. ხომ ხედავ: ჩვენ თავს დაგვატყდა საზოგადოების დაუდევრობა, ჩვენში ანახა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოძენტი საზოგადოებისა, რომელიც ძალით არის მოწყვეტილი თავისი უშუალობისაგან და იძულებულია ეკლიან გზით იაროს გონივრული უშუალობის შეძენისაკენ. გაადამიანურებისაკენ. ჭეშმარიტად ტრაგიკული მდგომარეობაა! მასშია იმის მიზეზი, რომ ჩვენი სულები წააგავს კოჟრიანი ხისგან ნაგებ სახლებს — ყველგან ჭუჭყლუტანებია. ჩვენ არ შეგვიძლია ნაბიჯის გადადგმა ურეფლექსიოდ, ჭამას ვიწყებთ გაუბედავად, რადგან ვშიშობთ, რომ საქმელი მავნეა. რა ვქნათ? კერძოს დაღუპვა საზოგადოს სასარგებლოდ — მსოფლიო კანონია. (ჩვენი თავის სანუგეშოდ (თუმცა ეს ცუდი ნუგეშია) შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუმცა ჰამლეტი (როგორც ხასიათი) საძაგელიცაა, მაგრამ აგი ყოველ აღამიანში აღძრავს კიდევ უფრო მეტ თანაგრძნობას თავის თავისადმი, ვიდრე მძლავრი ოტელო და შექსპირის დრამების სხვა გმირები. იგი სუსტია და თავი საზიზღარი ჰგონა, მაგრამ მხოლოდ უხამს აღამიანებს შეუძლიათ მას უხამსი უწოდონ და მის არარაობაში არ დაინახონ ნაპერწყმები სიდიადისა. აღ-

ზრდამ ჩვენ წაგვართვა რელიგია, ცხოვრების გარემოებებმა (როდელთა მიზეზი საზოგადოების მდგომარეობაშია) არ მოგვცა დადებითი განათლება და მეცნიერებასთან შეთვისების ყოველგვარი საშუალება წაგვართვა; სინამდვილესთან ჩვენ წაჩხუბებული ვართ და სამართლიანად ვძულებს და გვეზიზღება ის, ისევე როგორც იმასაც სამართლიანად ვძულებართ და ვეზიზღებით ჩვენ. მაშ სადღაა ჩვენი ნავსაყუდელი? უდაბურ კუნძულზე, რომელსაც წარმოადგენდა კიდეც ჩვენი წრე. მაგრამ ჩვენმა უკანასკნელმა დავამ დაგვანახვა, რომ მოჩვენებებისათვის არც უდაბურ კუნძულზეა ხსნა. მე ცივად დაგშორდი შენ (წარსული საქმეა!), სიძულვილისა და ზიზღის გარეშე, მაგრამ სიყვარულისა და პატივისცემის გარეშეც, რადგან დაგკარგე ყოველგვარი რწმენა საკუთარი თავისადმი. პეტერბურგში, როდესაც უდაბური კუნძულიდან აღმოვიჩნდი დედაქალაქში, ყურნალმა პირისპირ დაძაყენა საზოგადოებასთან, და ღმერთმა იცის, რამდენი რამ გადავიტანე! შენთვის ჯერ კიდევ არ არის სავსებით გასაგები ჩემი მტრობა მოსკოვური სულისკვეთებისადმი, მაგრამ შენ მედალის ერთ მხარეს უყურებ, მე კი ორივე მხარეს ვხედავ. მე გული მომიკლა იმ საზოგადოების დანახვამ, რომელშიაც მოქმედებენ და როლებს ასრულებენ არამზადები და საშუალო წიჭის ადამიანები, ხოლო ყოველივე კეთილშობილი და ნიჭიერი სამარცხვინო უმოქმედობაშია უდაბურ კუნძულზე. აი, მაგალითად, შენ: რას გაკეთება შეგეძლო შენ და რას აკეთებ? პატარა მაგალითი: შენ გინდოდა დაგეწერა მოსკოვში გამართული კონცერტების თაობაზე, მაგრამ სულიერმა მდგომარეობამ საშუალება არ მოგცა. ბოტკინ, ნუ მიიღებ ჩემს სიტყვებს ბავშვურ საყვედურად ან მოსკოვური სულისკვეთების სახით წაშოყენებულ ბრალდებად. არა, შენ კი არა, არამედ შენი სახით მთელ თაობას ვღებ მე ბრალს. რატომ არის, რომ გატანჯული ევროპელი საზოგადოებრივ მოღვაწეობაში გადაეშვება ხოლმე და მასში ნახულობს გამოსავალს თვით სასოწარკვეთიდან? ო, ვაი ჩვენი ბრალი—

ჩვენ გვაგს და გვიყვარს სულ შემთხვევით, სიყვარულს
მაღალს
და მძულვარებას ჩვენ არათერს არ ვწირავთ გულთ, —
და სულში მეფობს იღუპალი სიცივე რაღაც,
როს სისხლში ცეცხლი გვაქვს ჩანთებულო 3.

ალბათ ამ მიზეზით არ ვიცი მე გერმანული, თუმცა
ვლაპარაკობ ხელოვნებაზე, გოეთესა და შილერზე. საცო-
დავი თაობა! მაგრამ აქ უნდა შევნიშნო: არ ვეთანხმები შენს
აზრს პეჩორინის ნაძალადეობისა და სინატიფის შესახებ
(ალაგ-ალაგ), ისინი გონივრულად საქიროა. ჩვენი დროის
გმირი ასეთი უნდა იყოს. მისი ხასიათია ან სრული უმოქმედო-
ბა, ანდა ამაო მოქმედება. თვით მის ძალასა და სიდიადეში
უნდა გამოკრთოდეს ორჩოფეხები, ნაძალადეობა და სინატი-
ფე. ლერმონტოვი დიდი პოეტია: მან გააობიექტურა თანა-
მედროვე საზოგადოება და მისი წარმომადგენლები. ამან ჩემ-
ში აღძრა აზრი, თუ რა განსხვავებაა პუშკინსა და გოგოლს
შორის. როგორც ნაციონალურ პოეტებს შორის. გოგოლი დი-
დია, როგორც ვალტერ-სკოტი, კუპერი; შესაძლოა, მისმა
შემდგომმა ქმნილებებმა დაამტკიცონ, რომ იგი მათზე უფრო
ბაღლაკ კი დგას. მაგრამ მხოლოდ პუშკინია ჩვენი ისეთი პოე-
ტი, რომლის ქრილობებში შეგვიძლია ჩავდეთ თითები, რათა
ჩვენი ქრილობების ტკივილი ვიგრძნოთ და მათ ვუმჯურნა-
ლოთ. ლერმონტოვიც ამის იმედს იძლევა.

დიაღ, ჩვენი თაობა—ესენი არიან ველზე მოხეტიალე ის-
რაელები, რომელთაც არასოდეს არ უწერიათ აღთქმული
ქვეყნის ხილვა. და ყველა ჩვენი ბელადები არიან მოსეები
და არა ნავინები. ბალე მოგვევლინება კი ეს ბელადი?

ყოველი ინდივიდუალობა იმდენადვე სიცრუეა, რამდენადაც
ქეშმარიტება—ადამიანია ეს თუ ხალხი, და მხოლოდ სხვა
ინდივიდუალობათა გაცნობით გამოდიან ისინი თავიანთი ინ-
დივიდუალური შეზღუდულობიდან. მაგრამ ამაზე შემდეგ.
ფრანგებს საესებით შევუარიგდი: არ მიყვარს ისინი, მაგრამ
პატივისა ვსცემ. მათი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა

დიდია. მათ არ ესმით აბსოლუტური და კონკრეტული, მაგრამ ამათ სფეროში ცხოვრობენ და მოქმედებენ. ჩემი სიყვარული მშობლიურისადმი, რუსულისადმი უფრო სევდიანია ვახლა: ეს უკვე აღარ არის ალტაცებითი ენთუზიანზმი, არამედ მტანჯველი გრძნობაა. ყველაფერი სუბსტანციური ჩვენს ხალხში დიადი და თვალუწვდენელია, მაგრამ განსაზღვრა საზიზღარი, ბინძური და ფლიდია.

ჩემი სულიერი მდგომარეობა აპათიას ჰგავს. თუ მოწმენდილი დღეა — მე ბედნიერი ვარ, მაგრამ ბედნიერი ვარ პირუტყვეულად, უაზროდ, ისე რომ არ განვიციდი სიყვარულის თრთოლვას და ტანჯვას. ბუნება ახალისებს ჩემს ორგანიზმს, მაგრამ არა სულს...

ქ. ს. აქსაკოვს. 23 აგვისტო 1840

სპბ. 1840, აგვისტოს 23¹

სავსებით გეთანხმები, საყვარელო კონსტანტინე, რომ ყველა არაპირადი განმარტება საშინელი სისულელეა, განსაკუთრებით წერილობითი. მაშ ასე, ეშმაკსაც წაუღია ეს განმარტებანი. მართლაც, დროა თავი დაეანებოთ ბავშვობას და ჩვენი ურთიერთობა გავიგოთ მარტივად, ისე რომ ოდნავადაც არ დავძაბოთ ის.

რა უნდა გითხრა ჩემი თავის შესახებ? ბევრი რამის თქმაც მანდა, მაგრამ ვერაფერი მითქვამს.

ვნახავთ ერთმანეთს და ვილაპარაკებთ. მაშძიმს, ძმაო, მიმძიმს: სულ მგონია, სიცოცხლე იმაღ არა ღირს, რომ მისთვის წვალობდე; ხოლო იმავე დროს კიდევ სიცოცხლობ, კიდევ იტანჯები, კიდევ გიყვარს, კიდევ ესწრაფვი და კიდევ გსურს. სტანკევიჩი მოკვდა — და რა დარჩა მის შეძღვე? — გვამი, რომელსაც ჭია-ღუები ახვევია. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, მაგრამ შედეგი კი ერთი და იგივეა:

და ცივის თვალთ რომ დახედავ, ცხოვრება ჩვენი
არის თამაში სულელური და ცარიელი...²

მართლაცდა, რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება? რაშია ის, სად არის? ჩვენ საზოგადოების გარეშე მყოფი ადამიანები ვართ, იმიტომ რომ რუსეთი არ არის საზოგადოება! ჩვენში არ არის არც პოლიტიკური, არც რელიგიური, არც სამეცნიერო, არც სალიტერატურო ცხოვრება. მოწყენილობა, აპათია, უნაყოფო მისწრაფებებით გამოწვეული ტანჯვა—აი ჩვენი ცხოვრება. აბა რა არის ადამიანის ცხოვრება საზოგადოების გარეშე! ჩვენ ხომ შუა საუკუნეთა ბერები არა ვართ. საზიზღარი სახელმწიფოა ჩინეთი, მაგრამ კიდევ უფრო საზიზღარია ის სახელმწიფო, რომელშიაც არსებობს მდიდარი ელემენტები ცხოვრებისათვის, მაგრამ რომელიც ჩაქვდილია რკინის ბალტეებში და ინგლისური ავადმყოფობით შეპყრობილ ჩვილ ბავშვს წარმოადგენს. საზიზღარი, საძაგელი, საზარელია ყოველივე ეს! აღარ არის მეტი ძალ-ღონე, აღარ არის მოთმინება!

გმადლობ ყურადღებისათვის ჩემი ძმისადმი, გეთაყვა, ნუ მიატოვებ მას³.

გავიგე, რომ სერგეი ტიმოტეს-ძე მალე პიტერში იქნება — ძალიან მესიამოვნება მისი ნახვა⁴. მშვიდობით.

შენი ბ. ბ.

მითხარი, ენახავთ თუ არა ერთმანეთს და სახელდობრ როდის.

3. 3. ბოტკინს. 10 — 11 დეკემბერი 1840

(ნაწყვეტი)

სპბ. 1840, დეკემბრის 11¹

ემზაკმა დალახვროს და, საშინლად ვიცვლები; მაგრამ ეს არ მაშინებს, ვინაიდან სულ უფრო და უფრო მეტად ვშორდები უხამს სინამდვილეს, სულში ვგრძნობ უფრო მეტ გაცეებას და ენერგიას, უფრო მეტად და-მეტად მზად ვარ მოეკდე და ვიტანჯო ჩემი რწმენისათვის. წარსულს რომ ვიგონებ, ორი აზრი მტანჯავს: პირველი ისა, რომ მე შემთხვე-

ვები მქონდა სიამოვნება განმეცადა, და ხელიდან ვუშვებდი ამ შემთხვევებს უგვანო იდეალურობისა და ჩემი მორცხვი ხასიათის გამო; მეორე—ჩემი საზიზღარი შერიგება საზიზღარ სინამდვილესთან. ღმერთო ჩემო, რამდენი უშვერი საძაგლობა ვთქვი საჯაროდ, მთელი გულწრფელობით, საშინელი რწმენის მთელი ფანატიზმით! ყველაზე მეტად ახლა მალონებს მიცკევიჩის წინააღმდეგ გალაშქრება საზიზღარ სტატიაში მენცელის შესახებ. როგორ! წავართვათ დიდ პოეტს წმინდა-თაწმინდა უფლება გამოიტიროს დაცემა იმისა, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია ქვეყნიერებაზე და მარადიულობაში — მისი სამშობლოსი, მისი მამულისა, და დასწყევლოს მისი ჯალათები, და შერე ჯალათები?—კაზაკები და ყალმუხები, რომლებიც ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებას იგონებდნენ, რათა თავის მსხვერპლთათვის ფული გამოეტყუებინათ (ბატის ფრთებს ურტყამდნენ-ზე“, კეთილშობილ ქალიშვილებს ნადიმ ცეცხლზე აწვენდნენ მათი მამების თვალწინ — ეს არის პოლონეთის წინააღმდეგ ჩვენი ევროპული ომის ფაქტები, ფაქტები, რომელთა შესახებ მე უშუალო მნახველთაგან გავიგონე). და აი, ამ კეთილშობილ და დიდ პოეტს საჯაროდ ვუწოდე მყვირალა, გარითმული პამფლეტების პოეტი! ამის შემდეგ ჩემთვის ყველაზე სამძიმოა მოგონება „ვაი ჰკუისაგანისა“, რომელიც დავემე მხატვრული თვალსაზრისით და რომელზედაც ქედმაღლურად, მედიდურად ვლაპარაკობდი და იმას კი ვერ ვხვდებოდი, რომ ეს არის უაღრესად კეთილშობილი ჰუმანური ნაწარმოები, ენერგიული (და თანაც ჯერ კიდევ პირველი) პროტისტი რუსეთის საზიზღარი სინამდვილის წინააღმდეგ, მოხელეების, მექრთაშეების, გარყვნილ ბატონკაცთა წინააღმდეგ, ჩვენი მაღალი საზოგადოების წინააღმდეგ, უვიცობის, ნებაყოფლობითი მონობისა და სხვათა და სხვათა წინააღმდეგ⁵. სხვა ცოდვების შესახებ: რა თქმა უნდა, ჩვენს ჩინურ-ბიზანტაურ მონარქიზმს პეტრე დიდამდე ჰქონდა თავისი მნიშვნელობა, თავისი პოეზია, ერთი სიტყვით, თავისი ისტორიული კანონზომიერება; მაგრამ ამ ღარიბი და კერძო ისტორიული მომენ-

ტიდან აბსოლუტური უფლებას გამოყვანა და მისი გამოყენება ჩვენი ღრრის მიმართ—ვაკ—ნუთუ მე ვამბობდი ანას?.. რა თქმა უნდა, იდეა, რომლის განვითარებასაც მე ვცდილობდი ბოროდინოს ბრძოლაზე გლანკას წიგნის განოღაწერილ სტატიასში, თავის საფუძვლებში სწორია, მაგრამ უნდა განმევითარებინა იდეაც უარყოფისა, როგორც ისტორიული უფლებისა, რომელიც პირველზე არანაკლებ წმინდათაწმინდაა და ურომლისოდაც კაცობრიობის ისტორია გადაიქცეოდა დამდგარ და აყროლებულ ქაობად, ხოლო თუ ამის თქმა არ შეიძლებოდა, მაშინ ღირსების ვალი ზოიბხოვდა, რომ სრულებით არაფერი აღარ დამეწერა. მიხმე და მტკიცნეულია ამის მოგონება! ხოლო სისულელე, რასაც მე ვროშავდი გაათრებით, პირზე დორბლნორეული, ფრანგები წინააღმდეგ—ამ ენერგიულა, კეთილშობილი ხალხის წინააღმდეგ, რომელიც თავის სისხლსა ღვრის კაცობრიობის ყველაზე წმინდათაწმინდა უფლებებისათვის, ვროშავდი წინააღმდეგ კაცობრიობის ამ მოწინავე კოლონისა au drapeau tricolore? გამოვიღვიძე—და ჩემთვის საზარელია ჩემი ძილის განხენება... ხოლო ეს ძალდატანებითი შერიგება რუსეთის საზიზღარ სინამდვილესთან, მატერიალური, პირუტყვეული ცხოვრების ამ ჩინურ სამეფოსთან, სადაც ფესვებგადგმულია ჩინის სიყვარული, ჯვრის სიყვარული, ფულის სიყვარული, მექრთამეობა, ურელიგიურობა, გარყვნილება; სადაც არ არსებობს არავითარი სულიერი ინტერესი; სადაც ზეიმობს უსირცხვილო და თავხედური სისულელე და უნიჭობა; სადაც ყველაფერი ადამიანური, რამდენადმე ჭკვიანური, კეთილშობილი, ნიჭიერი დასაჩაგრავად და სატანჯველად არის განწირული; სადაც ცენზურა გადაიქცა სამხედრო წესდებად გაწყეული ახალწვეულების შესახებ; სადაც აზრთა თავისუფლება იმდენად მოსპობილია, რომ პანაევის მოთხრობის ფრაზა: „უუკოვის სუნით აყროლებული იზმაილელი ოფიცერი“—ასეთი უწყინარი ფრაზაც კი ლიბერალურად ეჩვენებათ (ამ ფრაზამ აღაშფოთა მთელი პიტერი, იზმაილის პოლკმა ფორმალური საჩივარი მიართვა დიდ მთავარს შეურაცხყოფის

გამო, და ხმა გავრცელდა, პანაევი ციხეში ჩასვესო); სადაც პუშკინი სილატაკეში⁹ ცხოვრობდა და დაილუპა როგორც მსხვერპლი საზიზღრობისა, ხოლო გრეჩები და ბულგარინები ჯაშუშობის საშუალებით მთელ ლიტერატურას მართავენ და განცხრობით ცხოვრობენ... არა, დე, გახმეს ის ენა, რომელიც კრინტს დასძრავს ყოველივე ამის გამართლების მიზნით,—და თუ ჩემი ენა გახმება—არავის შეეჩივლებ. რაც არსებობს, ის გონივრულია: კი მაგრამ ჯალათიც ხომ არსებობს, და მისი არსებობა გონივრული და ნამდვილია, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი საზიზღარი და საძაგელია. არა, ამიერიდან ჩემთვის ლიბერალი და ადამიანი—ერთი და იგივეა; აბსოლუტისტი და მათრახით დამსჯელი—ერთი და იგივეა. ლიბერალიზმის რღვა უაღრესად გონივრული და ქრისტიანულია, ვინაიდან მისი ამოცანაა ადამიანს პირადი უფლებების დაბრუნება, ადამიანური ღირსების აღდგენა, და თვით მაცხოვარი დედამიწაზე ჩამოდიოდა და ჯვარცმული იტანჯებოდა ადამიანის პირადისათვის. რა თქმა უნდა, ფრანგებს არ ესმით აბსოლუტური არც ხელოვნებაში, არც რელიგიაში, არც ცოდნაში. ეს არც არის მათი დანიშნულება. გერმანია აბსოლუტური ერია: მაგრამ სამარცხვინო და მ. * სახელმწიფოა. რა თქმა უნდა, საფრანგეთში ბევრი მიხვანა და ფრაზიოროია. მაგრამ გერმანიაში ბევრია პოფრატი, ფილისტერი, მეძეხვე და სხვა უხამსნი. თუ ფრანგები პატივს სცემენ გერმანელებს მეცნიერებისათვის და მათგან სწავლობენ, სამაგიეროდ ბოლოს გერმანელებიც მიხვდნენ, ვინ არიან ფრანგები.—და მათში გაჩნდა თავისუფლების ენთუზიასტთა ეს კეთილშობილი რაზმი, ცნობილი „ახალგაზრდა გერმანიის“ სახელით. ამ რაზმის სათავეში დგას ისეთი მშვენიერი და საუცხოო პიროვნება. როგორცაა პაინე, რომელსაც ჩვენ ოდესღაც სიძულელით ვუცქეროდით, რადგან გატაცებული ვიყავით ჩვენი ბავშვური, ცალმხრივი რწმენით¹⁰. ეშმაკმა უწყის, როდესაც დაუფიქრდები, რა კლაკნილებით ხდებოდა ჩემი განვითარება, რა საშინელი შეცდომების ფასად შევიძინე ჭეშმარიტება და მერე რა მწარე ჭეშმარიტება: რომ ჭვეყნად ყველაფერი საზიზღარია,

განსაკუთრებით კი ჩვენს გარშემო... გახსოვს ჩემი პირველი წერილები პიტერიდან. შენ მწერდი, რომ იმ წერილებმა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინეს შენზე. რადგან მათგან შობი მოდა კბილთა ღრქენა და აუტანელი ტანჯვის გოდება. რის ვიტანჯებოდი ეგრე საშინლად?—სინამდვილით, რომელსაც გონივრულს ვუწოდებდი და რომლისთვისაც ვიბრძოდი. უცნაური წინააღმდეგობა! კატკოვის ჩამოსვლისათვის მე უკვე მომზადებული ვიყავი,—და მასთან პირველი შეტაკებისთანავე წინააღმდეგობის გაუწევლად დავნებდი მას ტყვედ¹¹. სასაცილო იყო: მინდოდა დავა გამემართა, და უცბად ვხვდავ, რომ უკვე არც ძალ-ღონე შემწივებს და არც გატაცება მაქვს, ხოლო $\frac{1}{4}$ საათის შემდეგ მასთან ერთად დავიწყე ბრძოლა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვისაც მევე ავუბნიე თავგზა...

მოუთმენლად მოველი შენგან ჯემსონის პორტრეტებს — ძალიან მაინტერესებს ისინი¹². „მეთორმეტე ღამე“ წავიკითხე—საუცხოოა, მშვენიერია, მხოლოდ ყველაზე მძიმე გენიოსს შეუძლია ასეთი მსუბუქი რამეების შექმნა. დიდად მაინტერესებს აგრეთვე რიოტშერის გარჩევა „ლირიას“, თუმცა, გამოვტყდები, არც ისე, როგორც ჯემსონი. გერცენი ყვირის „Wahlverwandschaften“-ის შესახებ რიოტშერის მიერ დაწერილი სტატიის წინააღმდეგ, და—იცი რა?—მინდა დავეთანხმო მას: მე არ მომწონს რიოტშერის პატრივისცემა ცხოვრების სუბსტანციური ელემენტებისადმი (იქნებ იმიტომ, რომ მე ახლა მეორე უკიდურესობაში ვარ). შექსპირის 4 დრამის შესახებ დაწერილ სტატიაში მე შეურაცხმყო კიდევ მისმა შეხედულებამ ამ ლიუციასზე, რომელიც ერთგული ცოლივით დასდევს ფლოუერდენს, თუმცა არ უყვარს იგი¹³. მე ბაიადერა და ჰეტერა მირჩევენია ერთგულ ცოლს. რომელსაც არ ვუყვარვარ, ისევე როგორც სენსიმონისტების შეხედულება ქორწინებაზე უფრო უკეთესი და ადამიანურია, ვიდრე ჰეგელის შეხედულება (ე. ი. ვიდრე ის, რომელიც მე ჰეგელის შეხედულებად მიმაჩნდა). რა მესაქმება იმათთან, რომ სახელმწიფო აბსტრაქტული ქორწინებით სძლებს? იგი ხომ იმითაც სძლებს, რომ მათრახიანი ჯალათი ჰყავს: მაგრამ ჯალათი

მაინც საზიზღარია. მე მზად ვარ კიდევაც დავეთანხმო გერცენს, რომ რიოტშერმა ვერ გაიგო გოეთეს რომანი, რომ ის აპოლოგის კი არ არის, არამედ უმაღლესი ეკლესიის ნებართვით შემოღებული ამ ძალღუერი შეუღლები წინააღმდეგ გაბოთქმული პროტესტია¹⁴. აკი ბაუმანმა გააწბილა რიოტშერი ამ სტატიის გამო და დაამტკიცა, რომ კოლიზია იმიტომ მოხდა, რომ ქორწინება არანამდვილი იყო გონიერულობის აზრით. შეაგულიანე კრონებერგი სთარგმნოს „ლირი“, რომელიც რუსეთში სახელგატეხილია იაკიმოვის თარგმანით და კარატიგინის გადმოკეთებით. კრონებერგი მწერს, არ ძალმიძს „რიჩარდ II“-ეს შეუღდეო. მან გამომიგზავნა „ჰამლეტის“ I მოქმედება, რომლის მოთავსება არ შეიძლება, რადგან ეს ნაწყვეტია ჩვენი სულელი საზოგადოებისათვის უკვე ცნობილი პიესისა¹⁵. შენ მთელი არსებით გაგიტაცა ბერძნულმა სამყარომ; ეს კარგია—მშვენიერი სამყარო! მე თვითონ ერთი სალამო ნეტარებას განვიცდიდი ამ სამყაროთი გატაცებული. არსებობს წიგნი, რომელიც სულელურია იქ, სადაც მოჩანს ავტორის პიროვნება, მაგრამ ძვირფასია ფაქტებით—შევერიოვის „პოეზიის თეორიის ისტორიული განვითარება“ ძველ და ახალ ხალხთა შორის“. ამ წიგნში (გვ. 17—19) თარგმნილია ჰეზოდეს ჰიზნი მუზებისადმი. ღმერთო ჩემო, რა არის ეს! არ შემიძლია თავი შევიკავო და ადგილები არ ამოვწერო: „ისინი დაუღუმებელი ხმით ადიდებენ, ჯერ ერთი, ღმერთების წმინდა მოდგმას, და თავდაპირველად ზოტბას ასხამენ იმათ, რომლებიც გააჩინეს დედამიწამ და ვრცელმა ურანოსმა, და იმათ, რომლებიც გაჩნდნენ ამათგან,—ღმერთები — სიკეთეთა მომნიჭებელნი; მეორედ ადიდებენ ზევებს, ღმერთებისა და ადამიანების მამას, და მთელი ზოტბის მანძილზე. თავიდან ბოლომდე, აქებენ მას, თუ ყველა ღმერთზე რაოდენ ძლიერი და დიდია ის თავისი ძალაუფლებით. შემდეგ უკვე უგალობენ ადამიანთა და ძალის ბუმბერაზთა მოდგმას და ოლიმპზე ამხიარულებენ დიოსის გონებას დიოს ეგიონოსის ოლიმპიელი ქალიშვილები, რომლებიც პიერიაში შესძინა მამა კრონიდეს მნემოზინამ, ელევთერის მინდორთა

მფლობელმა: ნუგეში უბედურებაში, შვება ჭმუნვარებაში. ცხრაჯერ შეუერთდა მას კეთილმოსურნე ზევესი, რომელიც უკვდავთაგან მოშორებით აღიოდა წმინდა სარეცელზე. ხოლო როდესაც საათებმა, დღეებმა და თვეებმა განვლეს და წელიწადი შესრულდა, მნემოზინამ ჰშობა ცხრა ქალიშვილი, აზრით შეწყობილნი, რომელთაც სიმღერა მუდამ პირზე აკერიათ, ხოლო მკერდში უდარდელი გული უცემთ (როგორც ვ. ი. კრასოვს)... ვისაც პატივს სცემენ დიდი დიოსის ქალიშვილები, რომელ კეთილშობილ მეფესაც ისინი ალერსით შეხედავენ,—მის ენას ტკბილ ცვარ-ნამს მოაფრქვევენ, მის ბაგეთაგან სიტყვები თაფლივით მოედინება“.—შენ თვითონ წაიკითხე წიგნში მთლიანად—ღვთაებრივად კარგადი დიდი ხალხია! აი, ეს კი მსოფლჭკვრეტაა! მიწიერ პოეზიას, მათი წარმოდგენით, შეეძლო ხოტბა შეესხა მხოლოდ წარსულისა და მომავლისთვის, ხოლო ციურ პოეზიას (მუზებს)—აწმყოსთვისაც, იმიტომ რომ ღმერთების თვით ცხოვრებაც—ნეტარებაა. ანდა, ხომ არ გინდა დასტკბე იმის გაგებით, თუ როგორ ესმოდა პლატონს სილამაზე: „მარტოოდენ სილამაზეს ერგო აქ ესეთი ხვედრი—ყოფილიყო მეტად ნათელი და სიყვარულის ღირსი. ვინც კარგად არ ჩასწვდომია სილამაზეს, ვინც გარყვნილია, იგი მიიწრაფვის თვით სილამაზისაკენ ზიუხედავად იმისა, თუ რა ატარებს ამ სილამაზის სახელს; იგი მოწიწებით კი არ ეპყრობა მას, არამედ, მსგავსად ოთხფეხისა, მარტოოდენ ხორციელ სიტკბობას დაეძებს, სურს მშვენიერი შეადუღოს თავის სხეულთან... პირიქით, როდესაც ახლად გაცნობილი დაინახავს ღმერთების მსგავს სახეს. რომელიც სილამაზეს გამოხატავს, თავდაპირველად ძრწის, მას შიში იპყრობს; შემდეგ, სჭკვრეტს რა მშვენიერს, იგი თაყვანს სცემს, როგორც ღმერთს, და იმის რომ არ ეშინოდეს, რომ მას უგუნურს დაუძახებენ, იგი მსხვერპლს შესწირავდა საყვარელ საგანს...“ მე მგონია, რომ პლატონი ბერძნულ ფილოსოფიაში იგივეა, რაც ჰომეროსი პოეზიაში—უზარმაზარი პიროვნება! ბედნიერია გაიძვერა კულტურაცვევი, რომ ელინური ან-ბანი იცის.

ღმთის გულისათვის, ბოტკინ, რაც შეიძლება მალე დასწერე „პრომეთეოსის“ შესახებ, ეს ჩვენში ახალიცაა და სასარგებლოც, მე კი ნამდვილად გავგიჟდები შენი სტატიისაგან — პატროსან სიტყვას გაძლევ წინასწარ (ჰო, მართლა: შენი სტატიები გადაეცეო ხოლმე გადამწერს და გადახედვის შემდეგ აგზავნენ—ეს ხომ შენ არ გაგაკოტრებს, იმავე დროს კი გაგათავისუფლებს საკუთარი ხელითვე გადაწერის უმძიმესა სამუშაოსა და იმ უსიამოვნებისაგან, რომ ნახო საშინელი შეცდომებითა და დამახინჯებებით დაბეჭდილი შენი სტატია. შენი ხელნაწერის წყობა შეუძლებელია). ვერ წარმოიდგენ, რა მიხარია, რომ შენ დაეთანხმე ჩემს შეხედულებას ჟურნალზე რუსეთში; მე მგონია, რომ ხელახლა შეგიძინე შენ¹⁰. ისტორიული სტატიების შესახებ ზომები მიღებულია, — და გერცენი უკვე სთარგმნის ტიერის წიგნიდან მეროვინგებზე და დაამუშავებს სხვა ამგვარსავე მასალებს. მის ცოცხალ, მოქმედ და პრაქტიკულ ბუნებას უაღრესად ემარჯვება ეს. აქვე შევნიშნავ: ეს კაცი მე სულ უფრო მეტად და მეტად მომწონს. მერწმუნე, იგი ყველა მათ¹¹ სჯობს; რა ამთვისებელი, მოძრავი, ინტერესებით აღსავსე და კეთილშობილი ბუნების ადამიანია! ხელოვნებაზე მე მას¹² ზერელედ ველაპარაკები, იმიტომ რომ ხელოვნება მისთვის მისაწვდომია მხოლოდ ზერელედ, მაგრამ ცხოვრებაზე მასთან ლაპარაკით ვერ ვძლები. ეტყობა, მისი წარმოდგენები იცვლება და უკეთესი ხდება. მასთან ლაღად და თავისუფლად ვგრძნობ თავს. იგი რომ მაძაგებდა მოსკოვში ჩემი აბსოლუტური სტატიებისათვის, — ამით ზედმეტად დაიმსახურა მისდამი ჩემი პატივისცემა და ერთგვარი მოწონება¹³. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ XII ნომერში წაიკითხავ ნაწყვეტს მისი „დღიურებიდან“—რა ცოცხლად და საინტერესოდ, თუმცა ზერელედაც, არის გადმოცემული ყველაფერი!¹⁴ ოგარილოვთან რომ არ დადიხარ—ეს შენი ნებაა, იქნებ შენ მართალიც იყო, შენი თვალსაზრისით; მაგრამ მე ახლა თეორიის მიხედვით მხარს ვუჭერ ურთიერთობას ადამიანებთან¹⁵...

22 მასში არც ნიადაგია და არც ჰაერი სულის ძაღლიანი თესლისათვის; იგი ყველაზე უკეთ მოწმობს, რომ ადამიანი შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივ ნიადაგზე ვითარდებოდეს და არა თავისთავად. არც ერთი ეს ადამიანი სისხლით არ იცლებოდა საზიზღარი სინამდვილის დანახვისას, ანდა თავისი არაჩაობის ჭვრეტისას. მესმის, რატომ ასე ნაკლებად შეგიყვარდა ანენკოვი: იგი არაფრით არ ჩამოუყვარდება პანაევსა და იაზიკოვს, მათზე უფრო მეტად გამოკვეთილი და თავისებურიც კია, მაგრამ მასაც აზის პიტერის დალი, რომელსაც მე კარგად შევეჩვიე, შენ კი ჯერ არ გინახავს. დიად, ბოტკინ, მხოლოდ პ.-ში (ჩასთვალე ეს ასო თუნდაც ...-დ²³ — შენ არ შესცდები) შევიგნე მე, რომ ადამიანი ვარ და რაიმედ მაინც ვღირვარ, მხოლოდ პიტერში დავაფასე სათანადოდ ჩვენი ადამიანური, წმინდა წრე. ჩემთვის ახლა თვით ჩვენი დავაც საყვარელია: ეს დავა იქიდან გამომდინარეობდა, რომ ჩვენ აღწვთებული ვიყავით ერთიმეორის საძაგელი მხარეებით. არა, მე ჯერ კიდევ არ შემხვედრია ადამიანები, რომელთა წინაშეც ჩვენ მოკრძალებით ვაღიარებდით ჩვენს უმნიშვნელობას. ბევრი ადამიანი გულითადად მიყვარს პიტერში, ბევრ ადამიანს იქ მეც ვუყვარვარ იმაზე მეტად, ვიდრე ამის ღირსი ვარ. მაგრამ, ჩემო ბოტკინ, შე მარტო ვარ, მარტო, მარტო! ჩემს ახლოს არავინაა! თანდათან ვატყობ, რომ გერცენთან ყოფნა შე მეტ სიამოვნებას მანიჭებს, ვიდრე იმათთან ყოფნა: იმათთან მე ან სისულელეზე ვლაპარაკობ, ან ამაოდ ვცდილობ საერთო საინტერესო საუბარი ჩამოვაგდო, ანდა ვქადაგებ და წინააღმდეგობას არავინ მიწევს, მერე კი სათქმელის დაუმთავრებლად დავდუშდები ხოლმე. ეს ცოცხალი ბუნების ადამიანი კი იწევს მთელი ჩემი რწმენის გამოძეგნებას; ვეკამათები მას და მაშინაც კი, როდესაც იგი აშკარად ტყუის, მაინც ვხედავ დამოუკიდებელ აზრთა წყობას. ზიუხედავად თავისი ჯერ კიდევ ბავშვობისა, კირიუშა²⁴ ჩემთვის უფრო ახლობელია, ვიდრე ისინი — მე მასში ვხედავ ღვთაებრივი ზადლის თესლს. მე ნიკოლსკისთან გაეა-

ტარე რამდენიმე სასიამოვნო წუთი, ვინაიდან ეს ყმაწვილიც, რომელიც ჩვენს წრეში არ ყოფილა, მოსკოვის სულითაა გაუღენთილი. როდესაც კოლცოვი ჩამოვიდა, მე ყველა ისინი დავივიწყე, თითქოს ისინი არც კი არსებულებოდნენ ქვეყნად. თითქოს რამდენიმე მეტად საუცხოო ადამიანის საზოგადოებაში აღმოვიჩნდი. კუდრაევცევმა აჩრდილივით გაიფლავა, რადგან ხანდახან მხედებოდა (მაგრამ მე არ დავივიწყებ ამ შეხვედრებს). კატკოვთან რაღაც მთლად თავისუფლად ვერ ვგრძნობდი თავს, რადგან მე ვიტანჯებოდი, იგი კი უფრო უარესად იტანჯებოდა, ასე რომ ყველასთვის სამძიმო იყო; მაგრამ მასთანაც კი მშვენიერი წუთები გავატარე. და აი, კვლავ არავინ არის ჩემთან, კვლავ მარტოა ვარ,—და ცარიელია ის ოთახი, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩემი საყვარელი ალექსი ვასილის-ძე დიდიდან დაღამებამდე ჩაის ეძალეებოდა და მეც მძალეებდა²⁵.

მაგრამ ვაი, რომ გვიმცირდება ჩვენი კრებული:
ზოგი მოვიყვდა, სხვა მარტოა მიტოვებული.

რატომ არ მძინავს კუბოში, როგორც სტანკევიჩის, რატომ მარტო ვარ მიტოვებული?.. ბოტკინ, შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე სტანკევიჩის დაკარგვამ მოახდინა. მაიძულაბს საფრთხობელასავით მეშინოდეს განშორებისა... დაუჩქარე ჩვენს შეხვედრას. თორემ, იქნებ, ერთმანეთი კი ვნახოთ, მაგრამ ველარ კი ვიცნოთ...

დიად, თუ ჩვენში საუკეთესო ადამიანები ასეთები არიან, დანარჩენებზე ლაპარაკიც აღარ ღირს. რა უნდა ვქნათ, როდესაც ამ საშინელ სინამდვილეს ვხედავთ? გულხელდაკრეფილნი კი არ უნდა დავტყბეთ მისი ცქერით. არამედ უნდა ვიმოქმედოთ შეძლებისამებრ, რომ შემდეგ სხვებს შეეძლოთ უკეთესად ცხოვრება, თუ ჩვენ არასგზით არ შეგვეძლო ცხოვრება. მაშ როგორ ვიმოქმედოთ? მხოლოდ ორს საშუალებაა: კაიფდრა და ეურნალი; ყველა დანარჩენი სისულელეა. ო, რა კარგი იქნება, რომ წელს „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ სამ ათასს მიატანდეს; მაშინ შეიძლებოდა კაცს დაევიწყნა მაროსეიკაც

კი²⁶, დაევიწყნა ქალიც და თავისი ხანმოკლე გაუხარელი სიცოცხლე, შეეძლო ებრძოდნა და სიცოცხლაც გაეწირა, თუ საჭირო იქნებოდა. ო, ამასთანავე, შესაძლებელი რომ იყოს თუნდაც იმის ბეჭდვა, რაც ამ ათიოდე წლის წინათ მოსკოვში იბეჭდებოდა! მაშინ მე თაბახ ქალაღდს დავაკედებოდი, და თუ მელანი მთლად გამომელეოდა, ძარღვს გავიჭირდი და სისხლით დაეწერდი... აქვე უნდა აღვნიშნო წერის შესახებ. მე თავს ვანებებ აბსტრაქტულ ზოგად დებულებებს, მინდა ცხოვრებაზე ვილაპარაკო იმ ფაქტის მიხედვით, რომელსაც საქმე შეეხება. მაგრამ ეს ძალიან ძნელია: აზრი ვერ პოულობს სიტყვებს, და ხშირად ისე მგონია, რომ საცოდავი პჯღაბნელი და საშუალო ნიჭის პატრონი ვარ. განსაკუთრებით ზაფხულში არ მასვენებდა ეს აზრი. ეკ, კატკოვისაგან რომ გადმოვიღებდე მის სტილს: მე უკეთესად გამოვიყენებდი მას. მართლა: გულწრფელად მითხარი, როგორ [მოგეწონა] ²⁷ მისი სტატია სარა ტოლსტაიაზე? ეს სტატია არავის არ მოსწონს. მე თვითონ ვხედავ, რომ შიგ ბევრი აზრია, მაგრამ ისინი ისევე უგზო-უკვლოდ გაივლიან ხოლმე წამკითხველის თავში, როგორც ცხავში. როდესაც კითხვას დავიწყებ—ჩინებულა; წიგნს დავხუროვ და—წაკითხულიდან აღარაფერი მახსოვს. შენ როგორ ფიქრობ?

გრცხვენოდეს ეგეთი მოკრძალება, რომ შენ თითქოს შეგიძლია სთარგმნო, გადააკეთო, შეადგინო პატარ-პატარა (?) სტატიები, სწერო პატარ-პატარა (?) კრიტიკული წერილები. არა თითქოს, არამედ ნამდვილად შეგიძლია. თუ შენ არ შეგიძლია, მაშ სადღა ვიშოვნოთ ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ? მე ძალიან დიდად ვაფასებ შენს სტატიებს და განსაკუთრებით აი რატომ: ამფაზის უქონლობისა, დინჯი ტონისა, სისადავისა და კიდევ იმისათვის, რომ შენ მათში გამოსთქვამ სწორედ იმას, რის გამოთქმაც გინდოდა, მაშინ როდესაც [მე] ²⁸ ან არაფერს არ გამოვთქვამ (თუმცა ხანდახან ვახერხებ კიდევ), ანდა ზოგად მსჯელობას ვიწყებ და გარეშე საგნებზე ვლაქლაქებ. მაგალითად, რა ცხოველი სიამოვნებით წავიკითხე შენი პატარა სტატია გამოფენის შესახებ: ყვე-

ლაფერი მეტად სადად არის გადმოცემული, ძალდაუტანებლად, და ნათქვამია ყველაფერი, რის თქმაც საჭირო იყო — მკითხველი ამაოდ არ ირჯება²⁰. შენი მოკრძალებით "შეხ ნამდვილი რეგვენი ხარ.

აკაკოვი ამბობდა, გოგოლი წერილებს მწერსო, დაერწმუნდი, რომ მას კლექი სჭირს და არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო. მაგრამ შეიძლება ამან ისევე განვლოს, როგორც სისულელემ. საყურადღებო აი რა არის: მასში თანდათან იღვიძებს ინტერესი რუსეთისადმი, მისი ბედისადმი, იგი დარდობს რუსეთზე, რადგან უკანასკნელად მან ნახა, რა ადამიანებიც არიან რუსეთში! მე კი ვზეიძობ: საზოგადოების სუბსტანციამ თავისი გაიტანა—კოსმოპოლიტი პოეტი დამთავრდა და თავის ადგილს უთმობს რუს პოეტს.

გადავწყვიტე ჩემთვის ზნიშენელოვანი საკითხი. არის პოეზია მხატვრული (უმადლესი—ჰომეროსი, შექსპირი, ვალტერ-სკოტი, კუპერი, ბაირონი, შილერი, გოეთე, პუშკინი, გოგოლი)²¹; არის პოეზია რელიგიური (შილერი, ჟან-პოლ რიხტერი, ჰოფმანი, თვით გოეთე); არის პოეზია ფილოსოფიური („ფაუსტი“, „პრომეტეოსი“, ნაწილობრივ „მანფრედი“ და სხვ.). მათ შორის გარკვეული საზღვრების დადება არ შეიძლება, იმიტომ რომ ისინი ერთმეორის მიმართ უცვლელ გულგრილ დამოკიდებულებაში კი არ არიან, არამედ, როგორც ელემენტები, ერთმეორეში შედიან, ურთიერთ მოდიფიცირებას ახდენენ. მაღლობა ღმერთს, როგორც იქნა ყველას თავისი ადგილი გამოუჩნდა. აი რატომაა „ფაუსტში“ მომხიბლველი ამბები (ე. ი. მე-2 ნაწილშიაც კი), როგორც, მაგალითად, „დედა“ („ნაბლიუდატელში“ მოთავსებული რიოტშერის სტატიის კატკოვისეული თარგმანის სქოლიოში),—არ შემოიძლია ამ ადგილის წაკითხვა ისე, რომ ღვთაებრივმა თრთოლამ არ შემოიპყროს²². მეტიც: არის პოეზია საზოგადოებრივი, ამქვეყნიური—ფრანგული, და ისეთი ადამიანი, როგორცაა ჰიუგო, მთელი მისი უცნაურობის მიუხედავად, დიდი ნიჭის პატრონია და უდიდესი პატივისცემის ღირსია; სხვებიც კი ფრიად და ფრიად საყურადღებონი არიან, გარდა ლამარტინისა. ამ ...²³, თევზისა, ამ წყალწყალა ელეგისა...

რეცენზიები

1840—1841 წ.წ.



ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ სისტემაში შემთხუთებით საუკუნის მიწურულიდან მომხდარ გადატრიალებათა გამოხატულება

თხზულება ფ. ანსილიონისა. თარგმანი ფრანგულიდან. ტომი მეორე. ს.-პ.-ბურგი 1.

გერმანელი ფრანგის, ანსილიონის, თხზულება გამოვიდა ბერლინში, ფრანგულ ენაზე, 1803 წელს. თუმცა მას შემდეგ ისტორიული ცოდნის სფეროში დიდი წინსვლა მოხდა და როგორც ისტორიაზე შეხედულება, ისე მისი ფორმაც ბევრად შეიცვალა, მაგრამ ანსილიონის ისტორიას, ჯერ ერთი, თავისი დამოუკიდებელი ღირსებები აქვს, რომლებიც კიდევ დღესაც არ მისცემენ მას დავიწყებას, ხოლო, მეორე, ის თვითონ ეკუთვნის იმ ისტორიულ თხზულებებს, რომლებითაც დაიწყო ისტორიული ცოდნის ახალი ერა და რომლებმაც ხელი შეუწყვეს ამ ცოდნის სფეროში გადატრიალების მოხდენას. ამ თვალსაზრისით ანსილიონის ქმნილებას მუდამ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. გადმოცემის ფრანგულ სიტყვადესთან და სურათოვნებასთან, რასაც არ აბუნდოვანებს განყენებული მსჯელობანი, ანსილიონი აერთებს გერმანულ საფუძვლიანობას და მეცნიერულობას. ბევრი მისი აზრთაგანი სწორი, სალი და იმ დროისათვის ღრმაც კი არის. ალაგ-ალაგ იგი რეზონირობს. ასე, მაგალითად, მას განსაკუთრებით უყვარს მსჯელობა იმაზე, თუ რა იქნებოდა, ისე რომ არ მომხდარიყო, როგორც ხდებოდა. ესაა ყველაზე უქმი კითხვა. რომელზეც ვერ

იმსჯელებ და იაზროვნებ, მაგრამ შეგიძლია ბევრი იყბედო. A priori გამოქყავთ იდეები, მაგრამ არა ფაქტები; ფაქტების ცოდნა შესაძლებელია მხოლოდ a posteriori. რომ ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა იქნება, ანდა იმაზე, თუ რა იქნებოდა, წინამორბედი გარემოება რომ სხვაგვარად მომხდარიყო, — იმისათვის საჭირო არ არის არც ცოდნა, არც განათლება, არც ჰკუთხა: ილაყბე შენთვის, რაც თავში მოგივა, — მორჩა და გათავდა. რა დაემართებოდა რეფორმატიკისა. ლუთერი რომ არ ყოფილიყო, ლუთერი რომ მყისვე მომკვდარიყო პაპის ბულისა და საეკლესიო სამართლის დაწვის შემდეგ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარი კითხვის საუკეთესო პასუხი შემდეგია: დაემართებოდა ის, რაც დაემართებოდა. ლუთერის არსებობა სრულიად უბრალო შემთხვევა იყო, იმიტომ რომ შეიძლებოდა ლუთერი ისევე არ დაბადებულიყო, როგორც დაიბადა, და შეიძლებოდა ბუნებას ისევე არ შთაებერა მისთვის გენიალური სული, როგორც შთაებერა კიდევ; და თუ იგი ქვეყნად გაჩნდა და გაჩნდა როგორც დიდი ადამიანი, — ეს სრულიად უბრალო შემთხვევაა. ხოლო აუცილებელი და გარდუვალი ლუთერის გამოჩენასა და ბედში არის მისი დროის სულიკვეთება. რაინდობამ უკვე თავისი დრო მოსჭამა და ქვეითდებოდა, იგი გზას უთმობდა ახალი სამოქალაქო წყობის განვითარებას, საშუალო წოდებისა და ქალაქების ამაღლებას. ამერიკის აღმოჩენამ, თოფისწამლისა და წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ დაამთავრა პირველის დაცემა და მეორის გამარჯვება. შუა საუკუნეები დამთავრდა — დაიწყო კაცობრიობის ცხოვრების ახალი დიადი პერიოდი. კათოლიციზმმა თავისი დიდი საქმე დაამთავრა. საზოგადოების თვალში პაპის ძალაუფლება დაეცა. დიდი გადატრიალება უკვე მომზადებული იყო; ის-ღა რჩებოდა, რომ შემთხვევას სცენაზე გამოეყვანა ადამიანი, რომელიც თავისი ბუნებისა და განვითარების მეოხებით შესაძლებელია საერთო აზრის გამომხატველი, მოძრაობის მეთაური, საუკუნის წარმომადგენელი, მისი დრამის გმირი გამხდარიყო. ასეთი ადამიანი გამოდგა ლუთერი ისე, რომ მან თვითონაც არ იცოდა ეს. იგი არ ფიქრობდა რეფორმატორი

გამხდარიყო, არ მოქმედებდა მოფიქრებული გეგმის მიხედ-
ვით. დროის სულისკვეთება ამოძრავებდა მის სულს, ხოლო
გარემოებანი, რომლებიც დროის სულისკვეთების შედეგს
წარმოადგენდნენ, მიუთითებდნენ მას გზასა და საშუალებებ-
ზე. რომში მოგზაურობამ მას თვალი აუხილა და ნათლად
დაანახა სასულიერო სამყაროს დედაქალაქი, მის სულში გა-
მოიწვია ის რელიგიური აღშფოთება, რომელმაც შემდეგ
რეფორმაცია მოახდინა. ლუთერი მშვიდად ცხოვრობდა,
ღვთისმეტყველებას ასწავლიდა ვიტემბერგის უნივერსიტეტ-
ში და საუცხოო პროფესორის სახელით სარგებლობდა. ინ-
დულგენციებს გაყიდვამ იგი ამხედრა ტეცელის წინააღმდეგ
და საღვთისმეტყველო პოლემიკაში ჩაება; ცხარე და ფიცხნი
ხასიათმა მას გააბედვინა პაპის ბულისა და საეკლესიო სა-
მართლის დაწვა, ხოლო რკინისებური ნებისყოფის ძალამ და
თავგაშობებამ მას ნება არ მისცა შუა გზაზე შეჩერებულიყო
და აძულა წინ წასულიყო. ადამიანის აზრის ჩვეულებრივი
სწრაფეთ გატაცებული, გარემოებებით ამოძრავებული და
ხელშეწყობილი, ლუთერი რეფორმატორი გახდა უფრო ად-
რე, ვიდრე ამას თვითონ შეიგნებდა. ლუთერი რომ ერთი სა-
უუქუნით გვიან დაბადებულიყო, მისი სახელი არავის არ ეცო-
დნებოდა. მიზეზი ცხადია: დიდი ადამიანები ყოველთვის
არიან. ოღონდ გარემოებანი ყოველთვის როდი იწვევენ მათ
საქვეყნო ასპარეზზე,—და ნეტავი იმათ, რომლებიც თავის
დროზე იბადებიან და თავის საქმეს პოულობენ! დიდი ადა-
მიანი არასოდეს არ გამოიგონებს ხოლმე თავისთვის საქმეს,
მაგრამ მას პოულობს დროთა სვლაში, აზრის დიალექტიკუ-
რი მოძრაობის განსაზღვრულ მომენტში, აზრისა, რომელიც
ისტორიულად ვითარდება მოვლენებში. მაშასადამე, დიდი
ადამიანი ახორციელებს არა თავის ნებისყოფას, არამედ მისი
წარმომგზავნის ნებისყოფას, ასე რომ ხშირად, როდესაც თა-
ვისი საკუთარი სურვილების შესრულებას ფიქრობს, იგი სი-
ნამდვილეში სხვა, უმაღლესი ნებისყოფის იარაღია მხოლოდ.
ამიტომ მოვლენების ფორმა ყოველთვის შემთხვევითია, და
აი რატომ არ შეიძლება მათი არც გათვალისწინება და არც

წინასწარმეტყველება. მაგრამ მოვლენების მიზეზი ყოველთვის აუცრლებელია, და აი ამიტომ: „რაც მოსახდენია, უნდა მოხდეს“. რა დათმობაზე, შეზღუდვასა და გარდაქმნებზეც უნდა დათანხმებულიყვნენ პაპები, გადატრიალება ძაიხც მოხდებოდა, თუმცა, შესაძლებელია, სხვა ფორმით. ლუთერი შეიძლებოდა მომკედარიყო რეფორმაციის დაწყებამდეც, მის დასაწყისშიაც და შუა პერიოდშიაც, მაგრამ საქმე მაინც თავისი გზით წავიდოდა. ეს საქმე შეიძლება დაყოვნებულიყო, შეიძლება სხვა ფორმით მომხდარიყო, შეიძლება სხვა ლუთერი გამოჩენილიყო, მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ეს საქმე მაინც მოხდებოდა, ხოლო სახელდობრ როგორ მოხდებოდა—ამაზე მსჯელობა უსარგებლოა. მაგრამ ყოველ შექმნევაში რელიგიური ომები ევროპაში გარდუვალი რომ იქნებოდა,—ეს ცხადია, ვინაიდან იდეა ხორციელდება საქმით, და ისეთი დიდი საქმე, როგორიც რეფორმაციაა, არ შეიძლებოდა შერყევათა გარეშე მომხდარიყო. ამასთან ეს საქმე მოხდა ადამიანთა საშუალებით, ხოლო სადაც ადამიანები ხრიან, იქ არის ვნებებიც, ეგოიზმის ანგარიშებიც და ფანატიზმიც.

ანსილიონის ისტორიის თარგმანი საშინლად ცუდია. ეტყობა, რომ ბ-ნმა მთარგმნელმა მაინცადამაინც კარგად არც ფრანგული ენა იცის და არც რუსული. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ მისი ენა მძიმე, უფერული და მკვდარია,—რამდენი უაზრობა და მეტად უხეში შეცდომაა დაშვებული სიტყვათა მნიშვნელობის გაგებაში! აი რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ადასტურებენ თარგმანის შესახებ ჩვენი აზრის სამართლიანობას: „მაგრამ კარლოსი ისევ მალავდა თავის ზრახვებს და თითქოს მოელოდა ტრიდენტის კრების გადაწყვეტილების განხეთქილების დამთავრებას, რომელმაც, ორივე პარტიის მიერ მოთხოვნილმა და ეკლესიის ყველა გაჭირვების განკურნების მოვალე (?), უკვე დაიწყო თავისი სხულები“ (გვ. 37). „ნან დაიწყო მოლაპარაკება, რომლისგანაც არავითარ სარგებლობას არ მოელოდა, რათა აღენთო მთელი ხალხის პატრიოტიზმი და დაერწმუნებინა ის ომის გარდუ-

ვალ აუცილებლობაში“ (გვ. 282). აქ აშკარა ორაზროვნებაა: მოლაპარაკება იყო უსარგებლო ხალხის პატრიოტიზმის გამო-საწვევად, თუ მოლაპარაკების დაწყება იყო უსარგებლო პატრიოტიზმის გამოსაწვევად ხალხში. „იაკობ არმინიუსი უარპყოფდა კალვინის მკაცრ დადგენილებებს წინასწარდანიშნულებისა და შეწყალების შესახებ“ (გვ. 344). რა მკაცრი დადგენილებებია ეს? აქ ლაპარაკია საწყისებზე, წესებზე და არა დადგენილებებზე. რა წინასწარდანიშნულება და რა შეწყალებაა? დედანში ლაპარაკია განგებაზე (prédestination) და მადლზე (grâce) აი როგორ: „Jacques Arminius avait mitigé les principes sévères et durs de Calvin sur la prédestination et la grâce“ (იხ. Tableau des révolutions du Système polit. de l'Europe, ტ. II, p. 467)². ასეთია საზოგადოდ ანსილონის წიგნის ბთელი თარგმანი. სამწუხაროა! ასეთი წიგნი უკეთესი თარგმანის ღირსი იყო!

საქმენი პეტრე დიდისა, რუსეთის ბრძენი
ბარდამშენელისა, ამოკრეფილნი სარწმუნო
წყაროებიდან და განლაგებულნი
წლების მიხედვით

თხზულება ი. ი. გოლიკოვისა. მეორე გამოცემა მოსკოვი.
1837 — 1840. ტომები I — XIII

პეტრე დიდის ისტორია

თხზულება ბენიამინ ბერგმანისა. გერმანულით სთარგმნა იაკობ ალადინმა მეორე შეკვეცილი (კოპიაქტური), შესწორებულ და გამრავლებული გამოცემა. სანკტ-პეტერბურგი. 1840. სამი ტომი 1.

მრავალ წელს რუსეთს წყვედადის ბნელი საბური ეფინა.
ღმერთმა სთქვა: გაჩნდეს პეტრეო — სინათლე გადმოეფინა!
ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ი ლ ე ქ ს ი

წვერი ველური ადამიანის მდგომარეობის დამახასიათებელია; კაცმა რომ წვერი არ მოიპაროს — ეს იგივეა, რომ ფრჩხილები არ მოიქნას. წვერი სიცივისაგან იფარავს სახის მხოლოდ მცირე ნაწილს; სამაგიეროდ, რამდენ უხერხულობას იწვევს ზაფხულში დიდი სიცხის დროს! რამდენი უხერხუ-

ლობა ზამთარშიაც, როდესაც სახეზე უნდა ატარო თრთვილი, თოვლი და ლოლუები! განა არა სჯობს კაცმა ატაროს მუფთა, რომელიც არა მარტო წვერს, არამედ მთელ სახეს ათბობს? ყველაფერში საუკეთესოს ამორჩევა — განათლებული ადამიანის მოქმედებაა; ხოლო პეტრე დიდს უნდოდა ადამიანის ყოველმხრივ განათლება. მონარქმა ომი გამოუცხადა ჩვენს ძველ ჩვეულებებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი უხეში და თავისი სჯულებისათვის შეუფერებელი ჩვეულებები იყო; მეორეც იმიტომ, რომ ისინი ხელს უშლიდნენ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და უფრო სასარგებლო უცხოური ახალი წესების შემოღებას. საჭირო იყო, ასე ვთქვათ, კიპარის მოგრება ძვალ-რბილში გამჯდარი რუსული ჯიუტობისათვის, რათა ჩვენ უფრო მოქნილი გავმხდარიყავით და სწავლისა და გადმოღების უნარი გვექონოდა...

მთელი საცოდავი იერემიადები რუსული ხასიათის შეცვლის შესახებ, რუსული ზნეობრივი სახის დაკარგვის შესახებ ან სხვა არაფერია, თუ არა ხუმრობა, ანდა გამოწვეულია საფუძვლიანი მოსაზრების ნაკლებობით. ჩვენ ისეთნი არა ვართ, როგორც ჩვენი წვერიანი წინაპრები იყვნენ: მით უკეთესი! გარეგანი და შინაგანი მოუხეშაობა, უვიცობა, უქმად ყოფნა, მოწყენილობა მათი ხვედრი იყო ყველაზე მაღალ მდგომარეობაშიაც კი. ჩვენთვის ხნულია ყველა გზა გონების გაფაქიზებისა და კეთილშობილი სულიერი კმაყოფილებისაყენ.

კ ა რ ა მ ზ ი ნ ი, რუსი მოგზაურის წერილები, ტ. III, გვ. 165 — 167.

წერილი მეორე

რუსეთისათვის შეგნების დრო დგება. მიუხედავად გულცივობისა და გულგრილობისა, რასაც ჩვენ, რუსები, სამართლიანად ვუსაყვედურებთ ხოლმე ჩვენს თავს, ჩვენში უკვე აღარ კმაყოფილდებიან გახუნებული აზრებითა და გაცვეთილი ცნებებით, არამედ ამჯობინებენ ყალბად და შემცდარად იმსჯელონ, ვიდრე გამზადებული და რწმენით ან სიზარმაცისა და აპათიის გამო მიღებული აზრები იმეორონ. ასე, მაგალითად, ბევრი, რომელთაც არ მოუსმენიათ ახალი აზრები პუშკინზე და ეკვი ეპარებათ უკვე დიდი ხნის წინათ გამოთქმული და მოძველებული აზრების სიმართლეში, პუშკინის პოეტურ სიდიადეშიც დაეკვებულა. და ეს მოვ-

ლენა სასიხარულოა: იგი გამოხატავს დამოუკიდებელი აზროვნების მოთხოვნილებას, იმ ჭეშმარიტების მოთხოვნილებას, რომელიც ყველაფერზე წინ და ყველაფერზე მაღლა, თვით პუშკინზე მაღლაც კი დგას. *Amicus Plato, sed magis amica veritas* — ფრიად ბრძნული გამოთქმაა! რაც ჭეშმარიტად დიადია, ის ყოველთვის გაუძლებს ეჭვს და არ დაეცემა, არ დაკნინდება და არ დაიჩრდილება, არამედ კიდევ უფრო განმტკიცდება, განდიდება და ნათელი გახდება ეჭვისა და უარყოფისაგან, რაც ყოველგვარი ჭეშმარიტებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი და ყოველგვარი სიბრძნის გამოსავალი პუნქტია. ეჭვისა და უარყოფის ეშინია მარტოოდენ სიცრუეს, ისევე როგორც ხელოვნურ ყვავილებსა და არაკეთილშობილ ლითონებს ეშინია წყლისა. ჩვენ უკვე არაერთხელ გავგიმეორებია ეს ჭეშმარიტება, როდესაც ვლაპარაკობდით იმ ადამიანებზე, რომლებიც უარყოფენ პუშკინის, როგორც პოეტის, სიდიადეს. ჩვენი აზრები დიამეტრულად ეწინააღმდეგება ასეთ ადამიანთა შეხედულებას. მაგრამ თუ მათი აზრი რაიმე გარეგანი და საძრახისი მიზეზებიდან არ გამომდინარეობს, ჩვენ მზად ვართ ვედავოთ მათ ჭეშმარიტების გულისათვის, და დარწმუნებული ვართ, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ ასეთი დავის შემდეგ დაიბადება და შევა საერთო შეგნებაში, გადაიქცევა საზოგადო რწმენად. მით უმეტეს შორსა ვართ ჩვენ იმისგან, რომ ასეთი ადამიანები მივიჩნიოთ მწვეალებლებად, ჭეშმარიტების დამმახინჯებლებად. რომლებიც შეურაცხყოფენ დიდი პოეტის ხსოვნას და ნაციონალური სიამაყის გრძნობას. მეტსაც ვიტყვით: ჩვენ ვიცით, რომ შეიძლება პუშკინის გენიის ისეთი უარმყოფელნიც იყვნენ, რომელნიც ათასჯერ მეტად ღირსნი არიან პატივისცემისა. ვიდრე დიდი პოეტის სახელის ბევრი უთუო თაყვანისმცემელი, სხვის სიტყვებს რომ იმეორებენ. ასეთ უარმყოფელთა არსებობა გოწმობს არა საზოგადოების გულგრილობას ჭეშმარიტებისადმი, არამედ უფრო იმ სიყვარულს მისდამი, რომელიც იბადება; ვინაიდან რისიმე უდავო აღიარება განუწყველად, გონებით

შეუმოწმებლად, ჭეშმარიტების საქმისადმი საზოგადოების ანათიური გულგრილობის უფრო მეტი ნიშანია, ვიდრე ეკვიანობა და უარყოფა. არა, ახალგაზრდა საზოგადოებაში ასეთ უარყოფელთა არსებობა იმის ნიშანია, რომ იქ ჩნდება აზროვნებითი ცხოვრება. ავტორიტეტებისა და სახელგანთქმული ადამიანებისადმი უთუო პატივისცემაში ზოგჯერ ნამდვილად გამოხატულია სიყვარულიც და ცხოვრებაც, მაგრამ შეუცნობელი, გულუბრყვილო და ბავშვური სიყვარული და ცხოვრება. სასაცილოა იმის მოთხოვნა ან მოწადინება, რომ საზოგადოება უძრავად რჩებოდეს ბავშვობის მდგომარეობაში, როდესაც ამას ადამიანისაგან არ მოითხოვენ და არ უსურვებენ; ხოლო თუ იგი, განვითარების კანონების საწინააღმდეგოდ, სამუდამოდ ბავშვი დარჩება, მაშინ იგი სძულთ, როგორც იდიოტი. ამბობენ, ეკვი ძირს უთხრის ჭეშმარიტებასო. ყალბი, სულელური [და ურჯუიკული] აზრია. თუ ჭეშმარიტება იმდენად დასუსტდა და უძლურია, რომ თვითონვე გაძლება არ შეუძლია და ეკვის წინააღმდეგ დამცავი კორდონები და კარანტინი ესაჭიროება, მაშ რის ჭეშმარიტებაა ის, მაშ რით სჯობს ის სიცრუეს და რით დგას მასზე მაღლა, და ვინლა იწამებს მას? ამბობენ: უარყოფა რწმენას ჰკლავსო. არა, კი არ ჰკლავს, არამედ სწმენდს მას. მართალია, ეკვი და უარყოფა მთელი ხალხების ზნეობრივი სიკვდილის უტყუარი ნიშნებია ხოლმე, მაგრამ როგორი არიან ეს ხალხები? — ისინი უკვე დაბერებულან, მთელი თავისი ცხოვრება მოუქამიათ, არსებობენ მხოლოდ მექანიკურად, როგორც ცოცხალი ლეში, მსგავსად ბიზანტიელებისა ან ჩინელებისა. და შეიძლება თუ არა ეს ითქვას რუს ხალხზე, ასე ახალგაზრდა, ნორჩ და ხელუხლებელ ხალხზე, თავისი-ცხოვრების გვაროვნული, პირველარსი სტიქიონებით ესოდენ მძლავრ ხალხზე, რომელმაც, თავისი ახალი ცხოვრების ას წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში, ამ ახალი ცხოვრებისაკენ გოლიათი მეფის ქმედითი სიტყვით მოწოდებულმა, თავი გამოიჩინა დიდი ხელმწიფეებითაც, დიდი მხედართმთავრებითაც, დიდი სა-

ხელმწიფო ადამიანებითაც, დიდი სწავლულებითაც და დიდი პოეტებითაც; ხალხზე, რომელმაც თავისი ახალი ცხოვრების ასი წლის მანძილზე უკვე შექმნა თავისი დიადი წარსული, შექმნა, პოეტის თქმისა არ იყოს, „ამაყი რწმენით აღსავსე სიმშვიდე“ აწმყოში და რომელსაც კიდევ უფრო დიდი, კიდევ უფრო სასახელო მომავალი აქვს? არა, ჩვენ დავამცირებდით ჩვენს ნაციონალურ ღირსებას, რომ შეგვშინებოდა სულიერი ვარჯიშობისა, რომელიც საზიანოა მხოლოდ მიხრწნილი საზოგადოებრის უძლური წევრებისათვის, მაგრამ სიმტკიცეს და ძალას ჰმატებს ჯანლონით აღსავსე და ბეჯით ახალგაზრდა საზოგადოებას! სიცოცხლე მკლავნდება ცნობიერებაში, ხოლო ეპვის გარეშე არ არის ცნობიერება, ისევე, როგორც სხეულისათვის მოძრაობის გარეშე შეუძლებელია ორგანული პროცესების მოქმედება და სასიცოცხლო განვითარება. სულს, ისევე როგორც სხეულსაც, თავისი ვარჯიშობა აქვს, ურომლისოდაც სული უმოქმედობის აპათიაში ვარდება და იფიტება.

წინა წერილში ჩვენ ვილაპარაკეთ, თუ რა მცირე რაჲ არის ჩვენში გაკეთებული პეტრე დიდის ისტორიისათვის და რა ბევრად რაჲ არის ნათქვამი მის შესახებ. მართლაც, მას ხოტბას ასხამდნენ, ლექსებსა და პროზაში აღიდიდებდნენ. ლომონოსოვმა იგი „ენეიდის“ ყაიდაზე დაწერილი ეპიკური პოემის გმირადაც კი გადააქცია. ლომონოსოვის თავისი მიზნით დიდად საქები და პატივსადები ნაშრომის მიბაძვით [ორმა] სხვა პოეტმა—[გრუზინცევმა და თავადმა შირინსკი-შიხმატოვმა]—არანაკლები წარმატებით შეასხა ხოტბა პეტრეს ლირიკულ-ეპიკურ პოემებში³. მაგრამ ყოველივე ეს, კარგიცა და საშუალოც, რაღაც არ ესალბუნებოდა სულს. პატივცემულ ავტორებს ყველანი უდავოდ ეთანხმებოდნენ პეტრე დიდის ხოტბაში, მაგრამ მათ ნაკლებად კითხულობდნენ, ანდა სრულებით არ კითხულობდნენ. ამის მიზეზი ის იყო — [რომ ყველა ეს ბატონი მოხსეველნი სწერდნენ]⁴ და

ხოტბას ასხამდნენ რალაც ერთნაირ ყაიდაზე და ერთი ხმით, და მათი ფრაზების ფორმაში შესამჩნევი იყო რალაც მოსაწყენი ერთფეროვნება, რაც შინაარსის, ე. ი. აზრის უქონლობას მოწმობდა. ყველაზე უფრო აღფრთოვანებული ხოტბა, ყველაზე უფრო ალტაცებული გამოვლინება პეტრე დიდით განცვიფრებისა — რალაც ოფიციალური ხასიათით განირჩეოდა. ასე გრძელდებოდა პუშკინის დრომდე. მხოლოდ პუშკინს, როგორც დიდ პოეტს და ხალხის შეგნების გამომხატველს, შეეძლო პეტრეზე ლაპარაკი პეტრეს საღარი ენით. მაგრამ მეცნიერული შინაარსის თხზულებებში ყველაფერს ძველებურად ლაპარაკობდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით წინანდელ დროსთან შედარებით, რომ ეს უკვე გულგრილ თანხმობას კი არა, არამედ უმაღლეს წყენას იწვევდა. დაბოლოს, რამდენიმე წლის წინათ თავი იჩინა რალაც ბნელმა ექვებმა პეტრეს უმთავრესი საქმის — რუსეთის გარდაქმნის — უდავო შეუმცდარობის მიმართ. ამბობდნენ, რომ ამ გარდაქმნის შენობა აგებული იყო უსაძირკვლოდ, რადგან მისი აგება დაიწყო ზემოდან და არა ქვემოდანო; რომ ეს გარდაქმნა მდგომარეობდა მარტოდენ გარეგნულ ფორმებში; რომ მან ჩვენში ვერ დაწერგა ნამდვილი ევროპეიზმი და მხოლოდ დაამახინჯა ჩვენი ხალხურობა და ფრთები შეუკვეცა ნაციონალურ გენიასო. ჩვენს წერილში ქვემოთ შევეხებით ამ შეხედულებებს, თუმცა ისინი არსებითად ზერელე და უშინაარსოა; ახლა კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ნაბეჭდი სახით მათი გამოქვეყნებისას ისინი ბევრს მოეწონა და მათ საზოგადო ყურადღება მიიპყრეს. ადამიანთა ერთმა წყებამ ამ შეხედულებებში თითქოს დაინახა საკუთარი აზრი, რომელიც აქამდე თვით მათთვისაც ბუნდოვანი იყო; მეორე წყება თუმცა პირველს არ ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც სთვლიდა ამ შეხედულებებს არა ზოგად ფრაზებად და მაღალფარდოვან წამოძახილებად, არამედ დამოუკიდებელ და თანაც ახალ აზრად, ხოლო ზოგიერთმა ისინი ენერგიული, თუმცა არაპირდაპირი პასუხის ღირსიც კი გახადა. ამრიგად, ექვმა, იმის ნაცვლად, რომ შეე-

სუსტებინა პეტრესადმი ერთგულება, მხოლოდ გააძლიერა საზოგადო ინტერესი მის, როგორც დიდი ისტორიული მოვლენის, მიმართ, ყველანი აიძულა უფრო მეტი ეფიქრათ, ელაპარაკნათ და ეწერათ კიდევ მის გამო. მაგრამ დრო და ეამმა მალე გადასწყვიტა ეჭვის საკითხი და ცხადპყო მისი უსაფუძვლოება. ახლა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც წარსულით ცხოვრობენ, [შეუძლიათ სერიოზულად ლანძღონ პეტრე დიდი იმის გამო, თუ რატომ დაიწყო მან თავისი გარდაქმნა]* ზემოდან და არა ქვემოდან, დიდებულებიდან და არა გლეხებიდან, თუ რატომ ანიჭებდა იგი დიდ მნიშვნელობას ფორმებს — ტანსაცმელს, წვერიან გაკრეჭას და სხვა, რატომ გააშენა პეტერბურგი და ა. შ. ამრიგად, ეჭვს არავითარი ზიანი არ მოუტანია, მან მხოლოდ სარგებლობა მოიტანა, რადგან, რაკი თავი იჩინა, თვითონვე მოსპო თავისი თავი და აღძრა მეორე ეჭვი, რაც, თავის მხრივ, გაივლის და ადგილს დაუთმობს, თუ ჯერ კიდევ ჭეშმარიტებას არა, მესამე ეჭვს მაინც. რომელიც უკვე ჭეშმარიტებასთან მიგვიყვანს. ამჟამად პეტრეს საკითხი აშკარა წინააღმდეგობაში გადავიდა: ბევრნი პეტრეს მიერ გატარებულ გარდაქმნებს იმდენადვე აუცილებლად სთვლიან, რამდენადაც დიდად, გარდაქმნელის ხსოვნის წინაშე მოწიწებით თავს ხრიან, [მაგრამ იმავე დროს, თავისდა შეუძინველად, მისი საქმის მთელ სიდიადეს აცამტვერებენ, რადგან ევროპეიზმს უარყოფენ]⁷ და ცდილობენ არა მხოლოდ დაიცვან და გაამართლონ ზოგიერთთაგან ეგრეთწოდებული ისტორიული განვითარება და ხალხურობა, რომლებიც პეტრემ მოსპო, არამედ კიდევაც დაუპირისპირონ ისინი ევროპეიზმს და მასზე უფრო მალლაც კი დააყენონ. ეს წინააღმდეგობა თუმცა უცნაურია, მაგრამ იგი უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია და წინანდელ მტკიცებითს ეჭვზე მალლა დგას, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ ამ ეჭვიდან გამომდინარეობს: სჯობს აშკარად ეწინააღმდეგებოდე საკუთარ თავს და ამით თითქოს უნებლიეთ აღიარებდე ჭეშმარიტების ძალას, ვიდრე, საყვარელი და ცალმხრივი

რწმენის გულისათვის, უარპყოფდე ერთიმეორის საწინააღმდეგო დამამტკიცებელი საბუთების ფაქტიურ უცილობლობას და აშკარად თვალს ხუჭავდე ამაზე.

წინააღმდეგობა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, ფრიად მნიშვნელოვანია; მის შერიგებაში მდგომარეობს ჭეშმარიტი წარმოდგენა პეტრე დიდზე. მარტოოდენ ეს მოწმობს ამ წინააღმდეგობის გონივრულობას. ამოცანის გადაწყვეტა იმაში მდგომარეობს, რომ ვაჩვენოთ და დავამტკიცოთ: 1) რომ თუმცა ხალხურობა მკიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ისტორიულ განვითარებასთან და საზოგადოებრივ ფორმებთან, მაგრამ რომ პირველი და მეორე სრულებით არ არის ერთი და იგივე; 2) რომ ვერც პეტრე დიდის მიერ გატარებულმა გარდაქმნამ და ვერც მის მიერ შემოღებულმა ევროპეიზმმა ოდნავდაც ვერ შეცვალა და არც შეეძლო შეეცვალა ჩვენი ხალხურობა, არამედ მხოლოდ ახალი და უმდიდრესი ცხოვრების სულისკვეთებით გამოაცოცხლა ის და უსაზღვრო სფერო მისცა მას გამოსავლინებლად და სამოქმედოდ.

[რუსულ ენაში იხმარება ორი სიტყვა, რომლებიც ერთნაირ მნიშვნელობას გამოხატავენ: ერთია ძირითადი რუსული სიტყვა — ხალხურობა, მეორეა ლათინური, ჩვენს მიერ ფრანგულიდან გადმოღებული სიტყვა — ნაციონალიზმი. მაგრამ ჩვენ მტკიცედ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთ ენაში არ შეიძლება არსებობდეს იმდენად ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ორი სიტყვა, რომ მათ შეეძლოთ ერთიმეორის სავესებით შეეცვლა და, მაშასადამე, ერთიმეორის გადაქცევა სრულიად ზედმეტ სიტყვად. მით უფრო ნაკლებად შესაძლებელია, რომ ენას შერჩეს უცხო სიტყვა, როდესაც არსებობს საკუთარი სიტყვა, რომელიც სავესებით გამოხატავს იმავე ცნებას: მათს მნიშვნელობაში უსათუოდ უნდა იყოს თუ დიდი არა, ცოტაოდენი განსხვავება მაინც. ასევე, სიტყვები ხალხურობა და ნაციონალიზმი მხოლოდ მსგავსია თავისი მნიშვნელობით, მაგრამ სრულებითაც არ არის ერთი და იგივე, და მათ შორის არა მარტო ცოტაოდენი, არამედ დიდი

განსხვავებაცაა. „ხალხურობა“ შეეფარდება „ნაციონალობას“ ისე, როგორც სახეობითი, უმდაბლესი ცნება—გვარეობითს, უმაღლესს, უფრო ზოგად ცნებას. ხალხად უფრო მეტად იგულისხმება სახელმწიფოს უმდაბლესი ფენა; ნაცია გამოხატავს სახელმწიფოს ყველა ფენის ერთობლიობის ცნებას. ხალხში ჯერ კიდევ არ არის ნაცია, მაგრამ ნაციაში ხალხიც არის. კირ-შა დანილოვის სიმღერა ხალხური ნაწარმოებია; პუშკინის ლექსი ნაციონალური ნაწარმოებია: პირველი მისაწვდომია საზოგადოების მაღალი (ფრიად განათლებული) კლასებისთვისაც, მაგრამ მეორე კი მისაწვდომია საზოგადოების მხოლოდ მაღალი (ფრიად განათლებული) კლასებისათვის და მიუწვდომელია ხალხის შეგნებისათვის ამ სიტყვის ვიწრო და საკუთარი მნიშვნელობით. ჩვენი დროის განათლებულ დიდებულს ესმის პეტრეს წინადროინდელი თავისი წვერიანი წინაპრის მეტყველებაც, საქმეებიც და ცხოვრების ნირიც; მაგრამ მისი წინაპარი რომ საფლავიდან წამოდგეს, იგი თავისი წვერგაკრეკილი შთამომავლის ცხოვრებას ვერაფერს გაუგებდა. ჩვენი დროის ყოველ განათლებულ ადამიანს, რაც უნდა დაშორებული იყოს ის თავისი ცხოვრების ფორმებითა და თუნდ არსითაც ხალხისაგან, კარგად გაეგება გლეხისა, ისე რომ არ სჭირდება მის დონემდე დაქვეითება; მაგრამ გლეხს შეუძლია მას გაუგოს ან მაშინ, თუ მის დონემდე ამალდდება, ანდა მაშინ, როდესაც ეს განათლებული ადამიანი გლეხის გაგებამდე დაქვეითდება. იმავე დროს უცხოელი, რომელიც რუსეთში არ დაბადებულა და არ აღზრდილა, ვერ გაუგებს რუს გლეხს, თუნდაც მან იმდენად კარგად იცოდეს რუსული ენა, რომ სახელის მოხვეჭა შეეძლოს რუსულ ლიტერატურაში. მაშასადამე, ჩვენს წარსულსა და ჩვენს აწმყოს შორის, „ოხაბეხში“ გამოწყობილ, ფართოწვერიან დიდებულსა და ფრაკით მორთულ, ნიკაპმოპარსულ დიდებულს შორის, გლეხსა, მეშხანინსა და წვერიან ვაჭარს შორის და ეგრეთწოდებულ ბატონს (ევეროპულად განათლებული ადამიანის აზრით) შორის არის

რადაც საერთო. მაგრამ ეს საერთო სრულებით არ არის ხალხურობა, არამედ ესაა ნაციონალიზმი. ეს უკანასკნელი თავისუფლად ჰგულისხმობს პირველს (რადგან, როგორც უმაღლესი, თვითონ შეიცავს მას), მაგრამ იმისათვის, რომ გასაგები ენით ელაპარაკოს ხალხს, ნაციონალიზმი ხალხის დონემდე უნდა დავიდეს. ხალხურობის სრული ბატონობა აუცილებლად ჰგულისხმობს სახელმწიფოში ბუნებრივი უშუალობის მდგომარეობას, პატრიარქალობის მდგომარეობას, როდესაც წოდებათა შორის განსხვავებაა არა თუ თუნდაც ფორმების მხრივ, არამედ მხოლოდ ფორმათა ელფერის მხრივ, მაგრამ უკვე არავითარი არსებითი განსხვავება აღარაა. ასეთ მდგომარეობაში იყო რუსეთი პეტრე დიდამდე. წაიკითხეთ კოშინინი — და თქვენ დაინახავთ, რომ როგორც უკანასკნელი სოფლელი გლეხი დაქორწინდა, პირველი ბოიარიც ისევე დაქორწინდა; განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ უხვ საქმელში, ძვირფას ტანსაცმელში, ერთი სიტყვით, ხარჯების მნიშვნელობასა და რაოდენობაში. ერთი და იგივე მათრახი აწუხებდა გლეხსაც და ბატონსაც, და ორივე მათგანისათვის ეს მათრახი იყო უბედურება და არა სახელის გატეხა. მონას ადვილად ესმოდა თავისი ბატონისა ისე, რომ ოდნავადაც არ ცდილობდა თავისი წარმოდგენების გაღრმავებას; ბატონს ესმოდა თავისი მონისა ისე, რომ არ ესაჭიროებოდა მისი შეგნების დონეს გათანაბრებოდა. ერთი და იგივე არაფერი ამხიარულებდა ორივეს გულს; განსხვავება ის იყო, რომ ერთი რახს სევამდა, მეორე კი — სუფთა არაფერი. ერთი და იგივე თავის სასმელი ატკობდა ორივეს; განსხვავება ის იყო, რომ ერთი მას სევამდა ჯამიდან ან რკინის ჩამჩიდან, ხოლო მეორე — ვერცხლის ან ოქროს აზარფეშიდან. და უცბად ყველაფერი ასე სწრაფად და ასე სასტიკად შეიცვალა პეტრეს ნება-სურვილით. როგორც ნაკლებად ესმოდა რუს მდაბიო აღამიანს სიტყვები: ვიქტორია, რანგი, არმია, გენერალ-ანშეფი, აღმირალი, ჰოფმარშალი და სხვა, — ისევე ნაკლებად ესმოდა მას ენაც და საქმეებიც არა მხოლოდ თავისი ხელმწიფი-

სა ან დიდებულისა, არამედ არმიის ყოველი ოფიცრისაც მისი ჭონორით, მისი მენუეტით, მისი რეიტუზებითა და სხვა ამისთანებით. უმაღლესს წინანდებურად ესმოდა უმაღლესისა, მაგრამ უმაღლესს უკვე აღარ ესმოდა უმაღლესისა. ხალხი გამოეყო ბატონკაცობას და ჯარს. მაგრამ სახელმწიფოებრივი აზრით ხალხი უკვე აღარ იყო — იყო ნაცია. ეს უცხო სიტყვა საჭირო გახდა, შეუგნებლად შემოვიდა საერთო ხმარებაში და მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა რუსული ენის ლექსიკონში.

ყოველი ნაციონალობის არსი მის სუბსტანციაში მდგომარეობს. სუბსტანცია არის ის წარუვალელი და მარადიული რამ ხალხის სულში, რომელიც, თვითონ არ იცვლება ისე. ყველა ცვლილებას უძლებს, მთლიანი და უვნებელი გაივლის ისტორიული განვითარების ყველა ფაზას. ეს არის მარცვალი, რომელიც მომავალი განვითარების ყოველგვარ შესაძლებლობას შეიცავს. როდესაც რკოს ვუყურებთ, ჩვენ არა მარტო ის ვიცით, რომ მისგან უთუოდ უზარმაზარი ასწლოვანი მუხა გამოვა, არამედ ვიცით ისიც, რომ მისგან შეიძლება გამოვიდეს უზარმაზარი მუხა და არა ვაშლის. ხე. თუ მას დარგავენ და ნაადრევად არ მოსჭრიან, ანდა თუ არ დაიღუპება სხვა შემთხვევითი გარემოებებისაგან, რომელთაც შეეძლება თხელი შეუშალონ მის თავისუფალ განვითარებას. და ჩვენ ეს ვიცით იმიტომ, რომ რკო შეიცავს მუხის სუბსტანციას, ე. ი. მისი მსხვილი ტანის, ფართო ფოთლებისა და მისი ფორმისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნების შესაძლებლობას. როდესაც ძუძუმწოვარ ბავშვს ვუყურებთ, ჩვენ ვიცით, რომ დროთა განმავლობაში მისგან შეიძლება დადგეს არა მხოლოდ მჩქეფარე ჭარბი ფიზიკური და სულიერი ძალების მქონე ჭაბუკი, არამედ მიხრწნილი, ჭალარა მოხუციც, და არა მხოლოდ უბრალო მოწიფული, არამედ გენიალური ადამიანიც. ვინაიდან ჩვილი ბავშვი, თვით მისი ორგანიზმის ფარული სიღრმეები, უკვე შეიცავს მის სუბსტანციას, ე. ი. ყოველივე იმის შესაძლებლობას. რაც შეიძლება იყო ის მომავალში, რაც უნდა

გახდეს ის ბუნებითვე დროთა განმავლობაში. კარგი ჯარისკაცი ან კარგი ოფიცერი შეიძლება იყოს თითქმის ყოველი ადამიანი; მაგრამ დიდი მხედართმთავარი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომლის სუბსტანცია დაბადებითვე შეიცავდა იმის შესაძლებლობას, რომ იგი დიდი მხედართმთავარი ყოფილიყო. სუბსტანციაში მოცემულია მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება ერთი დიდი პოეტი იყოს და არ შეიძლება თუნდაც საშუალო ნიჭის მათემატიკოსი იყოს, ხოლო მეორეს შეუძლია ორთქლის მანქანები გამოიგონოს და არ შეუძლია ერთი ქოთანი წვენი მოიდუღოს ან ტანსაცმელი დაიკეროს. თითოეულ ხალხს თავისი სუბსტანცია აქვს, ისევე როგორც თითოეულ ადამიანს, და ხალხის სუბსტანცია შეიცავს მთელ მის ისტორიას და მის განსხვავებას სხვა ხალხებისაგან. რომაელების სუბსტანცია სულ სხვა იყო, ვიდრე ბერძნების სუბსტანცია, და ამიტომ რომაელები უმთავრესად სამოქალაქო სამართლის ხალხია და არა მკვრეტელობითი, წმინდა პრაქტიკული ხალხი, ხოლო ბერძნები უმთავრესად მოქმედ-მკვრეტელობითი და არტისტული ხალხია. როგორც ცალკეულ პიროვნებებს აქვთ გენიალური სუბსტანციები, ასევე ზოგიერთი ხალხებიც ჩნდებიან ძალიან დიდი სუბსტანციებით აღჭურვილნი და სხვა ხალხებს შეეფარდებიან ისე, როგორც გენიოსები ჩვეულებრივ ადამიანებს.

ხალხურობა, როგორც უკვე ზემოთ ცხადვყავით, ჰგულისხმობს რაღაც უძრავს, ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულს, ისეთ რამეს, რაც წინ არ მიდის; ხალხურობა გვიჩვენებს მხოლოდ იმას, რაც ხალხში არსებობს მის ახლანდელ მდგომარეობაში. ნაციონალიზმა, პირიქით, შეიცავს არა მხოლოდ იმას, რაც იყო და არის, არამედ იმასაც, რაც იქნება ან შეიძლება იქნეს. თავის განვითარებაში ნაციონალიზმა ერთმანეთთან აახლოებს უაღრესად საწინააღმდეგო მოვლენებს, რომლების არც გათვალისწინება და არც წინასწარმეტყველება, როგორც ჩანს, არ შეიძლებოდა. ხალხურობა ნაციონალიზმის პირველი მომენტია, მისი პირველი გამოვლინებაა. მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ იქ, სადაც ხალხურობაა,

ნაციონალობა არ იყო. პირიქით, საზოგადოება ყოველთვის არის ნაცია, მაშინაც კი, როდესაც იგი არის მხოლოდ ხალხი, მაგრამ ნაცია შესაძლებლობაში და არა სინამდვილეში, როგორც ჩვილი ბავშვი არის მოწიფული ადამიანი შესაძლებლობაში და არა სინამდვილეში; ვინაიდან ნაციონალობა და ხალხის სუბსტანცია ერთი და იგივეა, ხოლო ყოველი სუბსტანცია, რომელსაც ჯერ კიდევ არც კი მიუღია თავისი განსაზღვრა, თავის თავში ატარებს მის შესაძლებლობას.

ამრიგად, რუსეთი პეტრე დიდამდე მხოლოდ ხალხი იყო და ნაცია გახდა, იმ მოძრაობის შედეგად, რომელიც რუსეთს მისმა გარდამქმნელმა მისცა].

არარაისაგან არ წარმოსდგების არარაი, და დიდი ადამიანი თავისას კი არა ჰქმნის, არამედ მხოლოდ ნამდვილ არსებობას ანიჭებს იმას, რაც მასზე ადრე შესაძლებლობაში არსებობდა. პეტრეს მთელი მეცადინეობა რომ რუსეთის ძველი წყობის წინააღმდეგ იყო მიმართული—ეს დღესავით ნათელია; მაგრამ ის აზრი, რომჭიგი ჩვენი სუბსტანციური სულის, ჩვენი ნაციონალობის მოსპობას ცდილობდაო, — ამგვარი აზრი სრულიად უსაფუძვლოა. იგი პირდაპირ სისულელეა! მართალია, თუ არიან ხალხები ძალიან დიდი სუბსტანციებით, სამაგიეროდ არიან ხალხები სრულიად უმნიშვნელო სუბსტანციებითაც, და თუ პირველნი არ იცვლებიან და არ ემორჩილებიან ერთი ადამიანის ნებისყოფას, რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს ის, სამაგიეროდ მეორენი შეიძლება არა მხოლოდ გენიოსის ნებისყოფით, არამედ თვით შემთხვევითი მოვლენებისაგან, თავისთავადაც კი მოისპონ. მაგრამ სამაგიეროდ ამ მეორეთაგან არავითარ გენიოსს არც არაფრის გამოყვანა შეუძლია. საუკეთესო რამ, რისი გაკეთებაც შეიძლება შაქრის ჰარხლისაგან, — ეს არის თავი შაქარი; მაგრამ მხოლოდ გრანიტისა, მარმარილოსა და ბრინჯაოსაგან შეიძლება მკვიდრი ძეგლის შექმნა. რუსი ხალხი რომ თავის სულში მდიდარი ცხოვრების მარცვალს არ შეი-

ცავდეს, პეტრეს რეფორმა მხოლოდ სასიკვდილოდ გასწირავდა და დააუძლურებდა მას და არა ახალი სიცოცხლითა და ახალი ძალებით გამოაცოცხლებდა და განამტკიცებდა. ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ უმნიშვნელო სულის მქონე ხალხიდან ვერც გამოვიდოდა ისეთი ბუმბერაზი, როგორცაა პეტრე: მხოლოდ ასეთ ხალხში შეიძლებოდა გამოჩენილიყო ასეთი მეფე, და მხოლოდ ასეთ მეფეს შეეძლო ასეთი ხალხის გარდაქმნა. ჩვენ რომ არცა გვყოლოდა არც ერთი დიდი ადამიანი, გარდა პეტრესი, მაშინაც კი ჩვენ უფლება გვექნებოდა პატივისცემითა და სიამაყით შეგვეხედნა ჩვენი თავისთვის, არ შეგვრცხვენოდა ჩვენი წარსულისა და გაბედულად, იმედით გვეცქირნა ჩვენი მომავლისათვის...

რატომ აქვს ერთ ხალხს ასეთი სუბსტანცია და მეორეს ისეთი, — ამის გადაწყვეტა თითქმის ისევე შეუძლებელია, როგორც იმისა, საქმე რომ ცალკეულ ადამიანს შეეხებოდეს. აუ იმ ჰიპოთეზს მივიღებთ, რომ ხალხები ოჯახებისაგან შეიქმნენ, მაშინ მათი სუბსტანცის პირველ მიზეზად უნდა მივიღოთ სისხლი და ჯიში (race). გარეგან გარემოებებს, ისტორიულ განვითარებას აგრეთვე გავლენა აქვთ ხალხის სუბსტანციაზე, თუმცა, თავის მხრივ, თვითონაც დამოკიდებული არიან მისგან. მაგრამ არ არის არც ერთი მიზეზი, რაზედაც შეიძლებოდეს ისე გაბედულად მითითება, როგორც იმ ქვეყნის ჰავასა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რომელიც ხალხს უჭირავს. ყველა სამხრეთელი ხალხი მკვეთრად განსხვავდება ჩრდილოეთის ხალხებისაგან. სამხრეთელთა გონება უფრო მკვირცხლი, მსუბუქი, ნათელია, გრძნობა უფრო ამთვისებულია, ვნებები უფრო აღგზნებადია; ჩრდილოეთელთა გონება უფრო ნელი, მაგრამ საფუძვლიანია, გრძნობა უფრო დინჯი, მაგრამ ღრმაა, ვნებები უფრო ძნელად აღენთება, მაგრამ უფრო მძიმედ მოქმედებს. სამხრეთის ხალხებში სქარბობს უშუალო გრძნობა, ჩრდილოეთის ხალხებში — აზრები და ჩაფიქრება; სამხრეთელები უფრო მოძრავნი არიან, ჩრდილოეთელები — უფრო მოქმედნი. უკანასკნელ ხანებში ჩრდი-

ლოეთმა ბევრად გაუსწრო სამხრეთს ხელოვნების, მეცნიერებისა და ცივილიზაციის წარმატებებით. დიდი განსხვავებაა მთის ხალხებსა და ბარის ხალხებს შორის, ზღვისპირა ან კუნძულელ ხალხებსა და ზღვებიდან დაშორებით მცხოვრებ ხალხებს შორის. და ეს განსხვავება გარეგანი კი არაა, არამედ შინაგანი; იგი შესამჩნევია თვით სულში და არა მარტო ფორმებში. გადავხედოთ ამ მხრივ რუსეთს. მისი აკვანი კიევში კი არ იყო, არამედ ნოვგოროდში, საიდანაც, ვლადიმირის მეშვეობით, იგი მოსკოვში გადავიდა. სუსხიანი ცა იხილა მისმა ჩვილმა თვალებმა, მონაგარდე ქარიშხლები უმღეროდნენ მას იავნანას, ხოლო სასტიკმა ყინვებმა ჯანი და სიმაგრე მისცა მის სხეულს. როდესაც თქვენ ზამთარში მარდად მიაქანებთ სამცხენიან ეტლს და თქვენი მარხილის კავების ქვეშ თოვლს ხრამა-ხრუმი გააქვს, გაყინული ცა გაჰედლია უთვალავი ვარსკვლავებით, და თქვენი თვალი სევდით გასცქერის განმარტოებით მოხეტიალე მთვარის სხივებით მოვერცხლილ და ალაგ-ალაგ კირხლით დაფარული ხეებით დასერილ უსაზღვრო თოვლიან ვაკეს, — თქვენს გულს საღბუნევით მოეფინება გაბმული, ნაღვლიანი სიმღერა თქვენი მეეტლისა, და ამ სიმღერას ჰარმონიულად შეეწყობა ერთფეროვანი წყარუნი ზანზალაქისა, რომელიც, პუშკინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გულის მომწყვეტია! სევდა საერთო მოტივია ჩვენი პოეზიისა — როგორც ხალხური, ისე მხატვრული პოეზიისა. რუსმა ადამიანმა ძველ დროში არ იცოდა სასაცილო და მხიარული ხუმრობა; იგი ხუმრობდა ან უმარილოდ, ან საარკასტულად, და ჩვენი საუკეთესო ხალხური სიმღერების შინაარსი სევდიანია, მათი საქცევი — გაბმული და ნაღვლიანი. არსად არ მოქმედებს პუშკინი რუსულ სულზე ისეთი აუცდენელი ძალით, როგორც იქ, სადაც მისი პოეზია იმსკვალება სევდით, და არსად იგი იმდენად ნაციონალური არ არის, როგორც თავისი პოეზიის სევდიან ჰანგებში. აი რას ამბობს თვითონ ის სევდაზე, როგორც რუსული პოეზიის ძირითად ელემენტზე:

გადატანით თუ ნამდვილი აზრით.
ჩვენ ნაღვლიანად ვმღერით ყველანი:
როგორც მეეტლე, ისე პოეტიც —
მაღალი მუზის ეს მომღერალი.

რუსული ჰანგი სევდით მოთქმეა,
ყველგან გაისმის შეუსვენებლივ.
და ცნობილია: სადღეგრძელოთი
ვიწყებთ, ვამთავრებთ განსასვენებლით.

ჩენი მუზეუმის და ქალწულების
ჰარმონიაში ურვა გაისმის,
მაგრამ ტკბილი და მიწიღველია
მათი ეს კილო შესაბრალისი.

მაგრამ ეს სევდა უძლური სულის ტენი როდია, უღონო სულის მოდუნებულობა როდია. არა, ეს არის ძლიერი, უსასარულო სევდა, დიადი და კეთილშობილი ადამიანის სევდა. რუსი ადამიანი სევდით ტკბება, მაგრამ მისი ტვირთის სიმძიმისაგან არ ეცემა, და არავის არ ახასიათებს ასეთი სწრაფი გადასვლები ყველაზე უფრო მოსაწყენი, სულის მომწყლველი ტევდიდან ყველაზე შმაგ და გააფთრებულ მხიარულებაზე! ამ შემთხვევაში [ც] პუშკინის პოეზია აგრეთვე დიდი ფაქტია. არ შეიძლება უსაზღვროდ არ მოგაჯადოოთ მისმა სწრაფმა გადასვლებმა „ონეგინში“ ამ ღრმა სევდიდან, რომლის წყარო [არის] სულის უსასრულობა, ამ მხნე და მძლავრ მხიარულებაზე, რომლის წყაროა სულის სიმტკიცე და სისაღე.

ამრიგად, აი ჩვენ უკვე გამოვნახეთ ის საერთო რამ, რაც ჩვენს ხალხურ პოეზიას ჩვენს მხატვრულ, ნაციონალურ პოეზიასთან აკავშირებს. მაშასადამე, გვაროვნული, სუბსტანციური საწყისი ჩვენში პეტრეს რეფორმამ კი არ ჩაასშო, არამედ ამ რეფორმის საშუალებით მან უმაღლესი განვითარება და უმაღლესი ფორმა მიიღო. მართლაცდა, განა პეტრეს დროიდან რუსეთის სივრცე შემცირდა და არა გაფართოვდა? განა ჩენი ველები ისევე ვრცელი და გაშლილი არაა, თოვლი, რომლითაც ისინი დაფარულია, ისევე თეთრი არაა, და განა

ისევე ვერცხლისფრად არ დასციმციმებს მას მკმუნვარე "შუქი მთვარისა?.. როგორია რუსი ადამიანის ის კარგი თვისებები, რომლებიც განასხვავებენ მას არა მარტო უცხო ტომის ადამიანებისაგან, არამედ მასთან ერთად ერთი სამეფო კვერთხის ქვეშ მყოფი სხვა სლავი ტომებისგანაც? მხნეობა, გამბედაობა, მოსაზრებულობა, გულისხმიერება, ხელის სიმარჯვე, — ნაჯახის ყუაზე ჭვავს გალეწავს, მარცვალი არ გაუვარდება, გაჭირვებაში იწრთობა, — ვაჟკაცობა, სილაღე, სიყოჩაღე, — ჰირშიაც და ლხინშიაც ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად! მაგრამ განა ევროპეიზმს შეუძლია მოსპოს რუსი ხალხის ეს ძირეული, სუბსტანციური თვისებები? განა განათლებული რუსი ადამიანი ჰირშიაც და ლხინშიაც ახლაც ისევე ლალი არ არის, როგორც წინათ იყო, და განა ღვიძლი ძმა არ არის იმისა, რომელიც ოდესღაც, ყურზე ხელმიდებულის, დევგმირის ხმით მთელი ქვეყნიერების გასაგონად მღეროდა:

ჰა, ციურნი სიმალენი,

ჰა, სიღრმენი ოქეანის.

ჰა, სილაღე ტურჟა მხარის,

ჰა, რა ღრმაა დნეპრი ჩვენის!

სასაცილოა იმის ფიქრი, თითქოს ევროპეიზმი რაღაც ისეთი დონე იყოს, რომელიც ყველაფერს ათანაბრებდეს, ასწორებდეს, აერთფეროვნებდეს! ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, პოლანდიელი, შვეიცარიელი — ყველა ისინი თანაბრად არიან ევროპელები, ყველა მათში ბევრია საერთო, მაგრამ მათ შორის შეურიგებლად მკვეთრი ნაციონალური განსხვავებაა, რომელიც არასოდეს არ წარიშლება: ამისათვის ჯერ საჭირო იქნებოდა მათი ისტორიის მოსპობა, მათი ქვეყნების ბუნების შეცვლა, თვით მათი სისხლის გარდაქმნა.

ნაციონალობის დახასიათება მთელ წიგნშიაც კი შეუძლებელია, არა თუ საყურნალო წერილში, განსაკუთრებით იმ ხალხის ნაციონალობისა, რომელმაც ცხოვრება ახლახან დაიწყო და ჯერ კიდევ მთლიანად თავისი აწმყოთია გართული.

[ნაციონალიზმი არის ხალხის ყველა სულიერ ძალთა ერთობლიობა; ხალხის ნაციონალიზმის ნაყოფია მისი ისტორია. და ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ სრულად და დამაკმაყოფილებლად აღვნიშნოთ, თუ სახელდობრ რაში მდგომარეობს რუსული ნაციონალიზმი, — ჩვენგან ამაზე გადაკერით მითითებაც საკმარისია. მაგრამ ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაციონალიზმი მდგომარეობს არა ქალამნებში, არა არმიებში, არა სარაფანში, არა რახში, არა წვერში, არა გაკვეთილულ და უსუფთაო ქოხებში, არა წერა-კითხვის უცოდინარობასა და უვიცობაში, არა სასამართლოებში გამეფებულ მექრთამეობაში, არა გონების სიზნანტეში. ესენი ხალხურობის ნიშნებიც კი არ არის, არამედ უმალ ამ ხალხურობის ხორცმეტეხია — ძვალ-რბილში გამჯდარი გარყვნილების, გათახსირების შედეგია. და ყოველივე ეს იყო რუსეთში პეტრე დიდამდე, ყოველივე ამას, როგორც თორმეტთავიან გველეშაპს, ებრძოდა ჩვენი ღვთაებრივი პერაკლე, რომელმაც სასტიკად დაამარცხა ის თავისი მძლავრი გენის ენჭერით.

სიმართლის თქმა (განსაკუთრებით ისეთი სიმართლისა, რომელიც ყველას კარგად ესმის და გრძნობს) და შეურაცხყოფის მიყენება — ყოველთვის ერთი და იგივე როდია. დე, სიმართლის ეშინოდეს რეგვენსა და მთვრალს, მაგრამ ჭკვიანი ადამიანისათვის უბედურება არაა იმის შეგნება, რომ იმასაც შეცდომები ჩაუდენია თავის სიცოცხლეში, ხოლო ფხიზელისათვის კიდევ იმის შეგნება, რომ ხანდახან ისიც გაუმხიარულებია ღვინოს. ნაციონალური სიამაყე დიდი და კეთილშობილი გრძნობა, ჭეშმარიტი ღირსების საწინდარია; მაგრამ ნაციონალური ბაქიაობა და ფხუკიანობა — წმინდა ჩინური გრძნობაა. უარყოფა ან დამცირება ხალხის სუბსტანციისა, მისი ნაციონალიზმისა ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, შეურაცხყოფაა ხალხისა (lèse-nation); მაგრამ ხალხურობის ნაკლოვანებებსა და მანკიერებაზე თავდასხმები (თუნდაც გაზვიადებული) — დანაშაული კი არაა,

არამედ დამსახურება და ჭეშმარიტი პატრიოტიზმია. რაც მე მთელი სულითა და გულით, მთელი ჩემი არსებით მიყვარს, მის მიმართ გულგრილი ვერ ვიქნები, მასში მე უფრო ძლიერი ვარ, ვიდრე სხვაში, მიყვარს კარგი და (იმავე კანონის მიხედვით) უფრო ძლიერ მძულს ცუდი].

ზოგიერთს ჩვეულებად აქვს მითითება ინგლისელებზე, რომელთაც უყვართ ბარბაროსული და უაზრო ნაციონალური ფარსების გამართვა და დღემდე არ სპობენ ველური და უციცი ძველი დროის ზოგიერთ ზნე-ჩვეულებას, დაწყებული მატყლით გატენილი ტომრით, რომელზედაც სხედან პარლამენტის წევრები, და დამთავრებული ბაზარზე საკუთარი ცოლის გაყიდვის უფლებით. ამ ვაებატონებს (ე. ი. მყვირალა პატრიოტებს) უყვართ ამგვარ რამეებზე მითითებით გვისაყვედურონ ეს გულგრილობა, რომლითაც ჩვენ, რუსები, ვეთხოვებით ჩვენი (გრძელკალთებიანი) ძველი დროის გადმოცემებს, და ის მზადყოფნა, რომლითაც ჩვენ ვღებულობთ და ვითვისებთ ყოველივე ახალს. [რაც შემეხება მე, — ვინანიებ ცოდვას: მე ვხედავ] * ამაში ჩვენი ნაციონალიზმის კარგ თვისებას, ჩვენი მომავალი სიდიადის და, ცხადია, არა დამცირების, არამედ უპირატესობის საწინდარს ინგლისელთა მიმართ, რომლებიც, სხვათა შორის, სხვა ყველაფერში დიდიერია, მაგრამ მხოლოდ ამაში არ შეუძლიათ და არც უნდა იყვნენ ჩვენთვის მაგალითის მომცემნი, და უკეთესადაც მოიქცეოდნენ, ჩვენ რომ წაგვბაძავდნენ. დიად, ეს რუსი ხალხის დიადი თვისებაა. იგი მოწმობს, რომ ჩვენ შეგვიძლია და გვსურს უყოყმანოდ უკუვაგდოთ ყოველივე ცუდი; რაც შეეხება კარგს, რომელიც ჩვენი ნაციონალური სულის საფუძველსა და არსს შეადგენს, — იგი მარადიული, წარუვალია, და ჩვენ ვერც უკუვაგდებდით მას, კიდევაც რომ მოგვესურებინა. მაგრამ ჩვენ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვისმეს, შესაძლებლობა და უფლება გვაქვს არ გვრცხვენოდეს ჩვენი ნაციონალური ნაკლოვანებებისა და მანკიერებისა და ხმამაღლა ვილაპარაკოთ მათზე. ნაციონალური მანკიერებანი ორგვარია; მა-

თი ერთი წყება გამომდინარეობს სუბსტანციური სულიდან, როგორც, მაგალითად, ინგლისელთა პოლიტიკური ანგარება და ეგოიზმი, ესპანელთა რელიგიური ფანატიზმი და ურჯუ-
 კობა, იტალიელთა შურისმაძიებლობა და ცბიერებისა და ვე-
 რაგობის მოყვარული ხასიათი. მათი მეორე წყება შედეგია
 ბედშევი ისტორიული განვითარებისა და სხვადასხვა გარეგა-
 ნი და შემთხვევითი გარემოებისა, როგორც, მაგალითად,
 იტალიელ ხალხთა პოლიტიკური არაარობა. და ამიტომ ნა-
 ციონალურ მანკიერებათა! ერთ წყებას შეიძლება ეწოდოს
 სუბსტანციური მანკიერებანი, ხოლო მეორე წყებას—დანერ-
 გილი. ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, თითქოს ჩვენი ნა-
 ციონალურობა სრულყოფის მწვერვალი იყოს. მზის ქვეშ
 სრულყოფილი არაფერია; ყოველი ღირსება რაიმე ნაკლოვა-
 ნებასაც განაპირობებს. ყოველი ინდივიდუალობა უკვე იმი-
 ტომ არის შეზღუდვა, რომ იგი ინდივიდუალობაა; ხოლო
 ყოველი ხალხი—ცალკეული ადამიანის მსგავსი ინდივიდუა-
 ლობაა. ჩვენგან ისიც საკმარისია, რომ ჩვენს ნაციონალურ
 ნაკლოვანებებს არ შეუძლიათ დაგვამცირონ კაცობრიობის
 უაღრესად კეთილშობილ ერთა წინაშე. რაც შეეხება დანერ-
 გილ მანკიერებებს, — რაც უფრო ხმამაღლა ვილაპარაკებთ
 იმათ შესახებ, მით უფრო მეტად ცხადვყოფთ პატივისცემას
 ჩვენი ღირსებისადმი; რაც უფრო მეტი ენერგიით შევებრძო-
 ლებით მათ, მით უფრო მეტად შევუწყობთ ხელს სიკეთისა
 და ჭეშმარიტების ყოველგვარ წარმატებას. შინაგანი მანკი
 ის ავადმყოფობაა, რომლითაც ერი იბადება, ავადმყოფობა,
 რომლის განდევნა ზოგჯერ შეიძლება სიცოცხლის ფასად
 დაჯდეს; დანერგილი მანკი ის ხორცმეტია, რომელიც, თუ
 მას თუნდაც ტკივილით მოსჭრიან, მაგრამ მოსჭრიან ოპერა-
 ტორის მარჯვე ხელით, სხეულს კი არაფერს წაართმევს, არა-
 მედ სიმახინჯისა და ტანჯვისაგან გაათავისუფლებს. ჩვენი
 ხალხურობის ნაკლოვანებანი წარმოსდგნენ არა ერის სუ-
 ლისა და სისხლისაგან, არამედ არახელსაყრელი ისტორიული
 განვითარებისაგან. ბარბაროსულ, ტექტონურ ტომებს, რომ-

ლებიც აბობოქრებული ნიაღვარივით მოაწყდნენ ევროპას, ბედნიერება ჰქონდათ პირისპირ შეჯახებოდნენ საბერძნეთისა და რომის კლასიკურ გენიას — ამ კეთილშობილ ნიადაგს, რომელზედაც გაიზარდა და გაიშალა ფართოფოთლებიანი და დიდებული ხე ევროპეიზმისა. მიხრწნილმა, დაუძღურებულმა რომმა, გადასცა რა მათ ჭეშმარიტი რწმენა, შემდგომ ხანებში მათვე გადასცა თავისი სამოქალაქო სამართალიც; გააცნო რა მათ ვირგილიუსი, ჰორაციუსი და ტაციტი, რომმა მათ გააცნო აგრეთვე ჰომეროსიც, ტრაგიკოსებიც, პლუტარქეც, არისტოტელეც. მრავალ ცომად დაყოფილნი, ისინი თითქოს ისეთ სივრცეზე შექუჩდნენ, რომელიც საკმარისი არ იყო მათი ხალხმრავლობისათვის და, ასე ვთქვათ, განუწყვეტლივ ეჯახებოდნენ ერთიმეორეს, როგორც ფოლადი კაქსა, რათა უმაღლესი ცხოვრების ნაპერწკლები აენთოთ. რუსეთის ცხოვრება, პირიქით, განცალკევებულად დაიწყო, უდაბურ ადგილას, რომლისთვისაც ადამიანის საზოგადო განვითარება უცხო იყო. თავდაპირველი ტომები, რომელთაგანაც შემდგომში ჩამოყალიბდა რუსეთის მოსახლეობის მასა და რომელთაც ერთფეროვანი სტეპების მსგავსი ერთნაირად ვაკე მხარეები ეჭირათ, არავითარ მკვეთრ განსხვავებას არ შეიცავდნენ და არ შეეძლოთ ერთიმეორეზე გავლენა მოეხდინათ სამოქალაქო წყობის განვითარების სასარგებლოდ. ბოჭემიას და პოლონეთს შეეძლოთ რუსეთი ევროპასთან ურთიერთობაში ჩაებათ და თავისთავად სასარგებლონი ყოფილიყვნენ რუსეთისათვის, როგორც დამახასიათებელი ტომები; მაგრამ ისინი სამუდამოდ ჩამოაშორა რუსეთს მტრულმა სარწმუნოებრივმა სხვადასხვაობამ. მაშასადამე, დასავლეთისაგან რუსეთი მოწყვეტილი იყო თავისი არსებობის დასაწყისიდანვე, [ხოლო ბიზანტიას, სამოქალაქო განათლების მხრივ, შეეძლო რუსეთისათვის გადაეცა მხოლოდ კბილების გაშავების, სახის გათეთრებისა და მტერთა და ბოროტმოქმედთათვის თვალების დათხრის ჩვეულება]. სამთავროები ურთიერთს მტრობდნენ, მაგრამ ამ მტრობაში გონივრული საწყი-

სი არ იყო, და ამიტომ მან არავეთარი მნიშვნელოვანი შედეგი არ გამოიღო. განა საკვირველია ამის შემდეგ, რომ საუფლისწულო შინაომი იმდენად უაზრო და მოსაწყენია, რომ თვით კარამზინის მკვერმეტყველმა თხრობამაც კი ის სრულიადაც ვერ გახადა საინტერესო?.. თათრები მოზღვადნენ და რუსეთის დაქუცმაცებული ნაწილები მისივე სისხლით შეადუღაბეს. ეს იყო თათართა ორი საუკუნის ბატონობის უდიდესი სარგებლობა. მაგრამ რამდენი ბოროტება მიაყენა ამ ბატონობამ რუსეთს, რამდენი მანკი დანერგა მასში? ქალთა კარჩაკეტილობა, [მონობა წარმოდგენებსა და გრძნობებში, მათრახი], ჩვეულება მიწაში ფულის დამარხვისა და კონკებით სიარულისა იმის შიშით, რომ არ გაემკლავებინათ [თავისი სიმდიდრე]¹⁰, მექრთამეობა [მართლმსაჯულების საქმეში], აზიატიზმი ცხოვრების ნირში, გონების სიზანტე, უმეცრება, საკუთარი თავის არად ჩაგდება, — ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც ძირფესვიანად სპობდა პეტრე დიდი, რაც რუსეთში პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ევროპეიზმს, — ყველაფერი ეს იყო არა ჩვენი შშობლიური, არამედ ჩვენში თათრების მიერ დანერგილი. თვით ის გარემოება, რომ რუსები ვერ იტანდნენ უცხოელებს, საზოგადოდ თათართა ბატონობის შედეგი იყო [და სრულიადაც არა რელიგიური ფანატიზმისა]. თათარმა რუსთა წარმოდგენაში საზარლად აქცია ყოველი ადამიანი, ვინც რუსი არ იყო, — და სიტყვა ბუსურმანი თათართაგან [გერმანელებზეც]¹¹ გავრცელდა. ჩვენი ხალხურობის ყველაზე უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანებანი რომ არა ჩვენი არსებითი, სისხლხორცეული, არამედ დანერგილი ნაკლოვანებანია, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს გავთავისუფლდეთ მათგან და უკვე ვიწყებთ განთავისუფლებას]¹². ყურადღება მიაქციეთ [ჩვენი ხალხურობის წყლულს—მექრთამეობას]...¹³ [რა თქმა უნდა, სევდის აღმძვრელ სანახაობას წარმოადგენს ცუდად ჩამოყალიბებული საზოგადოებრიობა, რომელიც

თავის ყველაზე უფრო კეთილშობილ წევრებშიაც კი სპობს და ახშობს მათს პირად, ადამიანურ მხნეობას იმით, რომ მათ აიძულებს ან არამკითხე მოამბენი იყვნენ, რომლებიც მთელ საზოგადოებას შეუტრაცხყოფას აყენებენ, ანდა, თავისდა სასარგებლოდ, სინდისის შეუწუხებლად, თითქოს კანონიერად, ოღონდ კი ფორმალურად, მართონ მართლმსაჯულების სასწორი და დაიტაცონ მათთვის დასაცავად და შესანახავად მინდობილი სახელმწიფო განძი. ჩინეთში ამას „სარფიანი ადგილი“ ეწოდება, და იქ ყოველი მანდარინი უსინდისოდ ლაპარაკობს საზოგადოებაში, რომ იგი „სარფიანად მსახურებს“, და, როგორც ძირითად ზნეობრივ დოგმატს, შვილს ანდერძად უტოვებს იმას, რომ უწინარეს ყოვლისა იყოს კარგი ქმარი და მამა, რათა ოჯახი არ გააჩანავოს და თავისი ხარისხი და წოდება არ დაამციროს, ხოლო ყველა ახალგაზრდა ადამიანს უმეტესად უჩჩევს —

იკითხონ, როგორ აკეთებდნენ მათი მამები,
ისწავლონ მათგან, უფროსებიდან¹⁴.

მაგრამ რაც შეგვეხება ჩვენ, ჯერ კიდევ არა გვაქვს მიზეზი იმისა, რომ ამ მანკის მოსპობის იმედი დავკარგოთ. დამპალ საზოგადოებაში არ არიან არამკითხე მოამბენი, იქ წინააღმდეგობას არ უწევენ და არ ებრძვიან საერთო გარყვნილებას: ჩინეთში ყველა მექრთამეა, და იმ ადამიანს, რომელიც მექრთამეობის წინააღმდეგ ამხედრებას განიზრახავდა და თავის ამხედრებას უძრახველი ქცევით განამტკიცებდა, რეგვენად ჩასთვლიდნენ. მაგრამ მანდარინების, მორალისტების საბედნიეროდ, იქ არც არიან ასეთი რეგვენები, არამედ ყველა ისინი ჭკვიანი და კეთილგანმზრახველი ადამიანები არიან. ჩვენში, პირიქით, პეტრეს გარდაქმნების შეოხებით, [დაუყოვნებლივ გაინდა ოპოზიცია საერთო ბოროტების მიმართ]¹⁵.

ჩვენი ლიტერატურის სასახლოდ, პირველად მასში გაჩნდა ეს კეთილშობილი, სასიკეთო ოპოზიცია. სუმაროკოვის მუზამ შეურიგებელი ომი გამოუტახა პოლიაჩებს, იგი სას-

ტიკად ჰგომობდა და ჰკიცხავდა მექრთამეობას და ხაზინის ქურდობას. გაკვრით შევნიშნავთ, რომ ამ მხრივ სუმაროკოვის ლიტერატურული მიმართულება, ასე ვთქვათ, უფრო ცხოველმყოფელი იყო, ვიდრე ლომონოსოვის წმინდა რიტორიკული მიმართულება, — და აი ეს არის მიზეზი იმისა, რომ უნიკო სუმაროკოვი უფრო უყვარდა იმდროინდელ საზოგადოებას, ხოლო ნიკიერ ლომონოსოვს იგი მხოლოდ პატივს სცემდა. კაპნისტის „ცილი“ მძლავრი ლახვარი იყო, რომელიც ცილისწამებას ჩასცეს. ნახიმოვმა თავისი დროის ლიტერატურაში დიდი სახელი მოიხვეჭა უსამართლობის წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლით. თუმცა ფონ-ვიზინის მახვილგონიერება უმთავრესად უმეცრების წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ გზადაგზა მისი მათრახი დავაქრობასაც საკმაოდ ხვდებოდა. ჩვენს დროში გოგოლის „რევიზორი“ გახდა ნამდვილი შოლტი ამ მანკისა, რომელიც, განათლების წარმატებათა და მთავრობის კეთილმყოფელ ღონისძიებათა მეოხებით, უკვე სოროებში იმალება [და მხოლოდ იქიდან ბედავს, და ისიც მალულად, თავისი გონჯი და უშნო სახის გამოჩენას]. როდესაც სატირის შოლტით მექრთამეობის დევნის წმინდა საქმეში ლიტერატურის დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გრიბოდოვიც არ მოვიხსენიოთ. თუმცა მისი უკვდავი კომედია პირდაპირ არც არის მიმართული ამ ასთავიანი გველშაპის წინააღმდეგ, მაგრამ ცეცხლოვანი დაღი დაასვა მან ამ გველშაპის ურცხვ შუბლს ისეთი ლექსებით, როგორიც არის შემდეგი:

ჯილდოს ვუშოვნი, ან ადგილს ვისმე, —
ბარემ ვაამო ჩემსავ ნათესავს!..¹⁶

და ლიტერატურის კეთილშობილ მეცადინეობას ამაოდ არ ჩაუვლია: საზოგადოება გამოეხმაურა ამას. აღსანიშნავია, რომ ამ სულისკვეთებითა და მიმართულებით დაწერილ საშუალო ღირსების თხზულებებსაც კი ჩვენი საზოგადოება მუდამ განსაკუთრებული აღტაცებით ღებულობდა, ნაცვლად იმისა, რომ შეურაცხყოფელად მიეჩნია ისინი. დასასრულ,

თანდათან გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც აღარ ეშინიათ შფოთიანი და საშიში ადამიანების სახელის დამსახურებისა, არ სცხვენიათ რევენების, ამპარტავნების, არამკითხე მოამბეთა და მეოცნებეთა სახელწოდებისა და ხმამალა ლაპარაკობენ, რომ მზად არიან უმალ შიმშილით მოკვდნენ, ვიდრე ქურდობით გამდიდრდნენ, — და შიმშილით არ კვდებიან, ხოლო თუ მდიდრებიან კიდევ, — პატიოსანი საშუალებით. [და] თუმცა ასეთი [თავისუფლად მოაზროვნეები] ათასობით არ არიან, მაგრამ მათი რიცხვი მაინც დღითიდღე მატულობს. ხოლო პეტრე დიდის დრომდე ისინი [არა თუ სინამდვილეში, არამედ ყველაზე უფრო ფიცხი ადამიანების ფანტაზიაშიც კი არ არსებობდნენ] ¹⁷. მაშასადამე, ჩვენი საზოგადოება წინ მიდის და, თავისი ნაციონალიზმის დაუკარგავად, მხოლოდ შორდება [ცუდ ხალხურობას] ¹⁸. და უკვე ახლოს არის ის დრო, როდესაც [ასეთი ხალხურობის] ¹⁹ კვალიც კი აღარ დარჩება. ხოლო ²⁰ ის, რასაც შეიძლება დავშორდეთ, რაზედაც შეიძლება ხელი ავიღოთ, — ის არ არის სისხლში გამჯდარი, ის სულში არ არის; ის მხოლოდ ცუდი ჩვეულებაა, ცუდ საზოგადოებაში, ცუდი აღზრდის დროს შექმნილი. ერს სახელს უტეხენ მხოლოდ ის მანკიერებანი, რომელთა მოსპობა ან გამოსწორება შეუძლებელია.

საერთოდ ჩვენი საზოგადოებრიობის ყველა ნაკლოვანება და მანკი უმეცრებიდან და გაუნათლებლობიდან გამომდინარეობდა; და ამიტომ ცოდნისა და განათლების შუქი ისე, ფანტავს მათ, როგორც მზის ამოსვლა ღამის ნისლს. ჩინელისა და სპარსელის მანკიერებანი შედუღებულია მათ სულთან; განათლება მათ მხოლოდ უფრო გამოაწრთობდა, გაავერაგებდა და გარყვნიდა, მაგრამ ვერ გააკეთილშობილებდა. განათლება საკეთილოდ მოქმედებს მხოლოდ ისეთ ხალხში, რომელშიაც სიცოცხლის მარცვალია. ჩვენ უკვე მოვიტანეთ ყველაზე უფრო საოცარი ფაქტი, როგორც უცილობელი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ რუსულ საზოგადოებაში

არის საღი და ნაყოფიერი სიცოცხლის მარცვალი. დავსძენთ, რომ შეიძლება დიდი იმედი ვიქონიოთ იმ ხალხისა, რომელმაც ნარეის ბრძოლის შემდეგ პოლტავისა და ბოროდინოს ბრძოლები გამართა, თურქეთის იმპერია შეარყია და, როგორც ამ ხალხის დიდმა პოეტმა სთქვა, „უფსკრულში გადასჩება სამეფოთა მტანჯველი კერპი და თავისი ღისხლით იხსნა ევროპის თავისუფლება, პატიოსნება და მშვიდობა...“ სასი-ცოცხლოდ ახალგამოღვიძებულმა, მან გამარჯვებათა ტექა-ქუხილით აცნობა ევროპას თავისი გამოღვიძება; ევროპაზე ახალმიყვდლებულმა, მან უკვე გადასწყვიტა ევროპის უდი-დესი საქმე და პასუხი გასცა თავსამტკრევ საკითხზე.

[ჩვენ თავისუფალი რწმენის მთელი გულწრფელობითა და პირდაპირობით გამოვთქვით ჩვენი გულითადი აზრი საჩოთი-რო საკითხზე და მზად ვართ პასუხი გავცეთ ყოველგვარ სა-წინააღმდეგო მოსაზრებას, რომელსაც ასეთივე გულწრფე-ლობითა და პირდაპირობით წამოგვიყენებენ. არა თუ არ გა-ეურბივართ დავას, არამედ ვიწვევთ მას ყოველი რუსი ადა-მიანისათვის ფსოდენ ახლობელი ჭეშმარიტების უფრო მე-ტად გარკვევის მიზნით. ჩვენი რწმენა ასევე შორს არის მკვდარი კოსმოპოლიტიზმისა და მეავე პატრიოტიზმისა-გან, — და ასეთი რწმენის გამოთქმა თამამად შეიძლება იმ ქვეყანაში, სადაც იდევნება არა აზრის თავისუფლება, არა-მედ თვითნებობა. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ გადავიდეთ იმ მიზეზებზე, რომლებმაც აუცილებელი და ძირფესვიანი გახადეს პეტრეს რეფორმა, გადავიდეთ ისე, რომ არ გვეშინოდეს, რომ ჩვენს ნათქვამს ყალბად გაიგებენ და ყალბად განმარტავენ.

წინა წერილში ჩვენ ვლაპარაკობდით ევროპის განსხვავე-ბაზე აზიისაგან; ახლა გვინდა ვაჩვენოთ რუსეთის დამოკიდე-ბულება პეტრე დიდამდე ევროპისა და აზიისადმი. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით რუსეთს შუა ადგილი უჭი-რავს ქვეყნის ამ ორ ნაწილს შორის. ბევრი აქედან დაასკვნის, რომ რუსეთს ზნეობრივადაც ეს შუა ადგილი უჭირავს. ამ-

გვარი აზრი ჩვენ არც თუ მთლად სამართლიანად მიგვაჩნია: გეოგრაფიული შუა ადგილი ყოველთვის არ არის ზნეობრივი შუა ადგილი, ხოლო ზნეობრივი შუა ადგილი ყოველთვის სასარგებლო როდია. როგორც უნდა იყოს, ძნელი წარმოსადგენია შუა ადგილი სინათლესა და წყვიდადს, განათლებასა და უმეცრებას შორის, ადამიანურობასა და ბარბაროსობას შორის; მაგრამ კიდევ უფრო ძნელია ასეთი შუა ადგილის სასარგებლოდ მიჩნევა და მით აღტაცება. რუხი ფერი 'შეიძლება კარგი იყოს ბუნების, ხელოვნებისა და ხელოსნობის ნაწარმოებებზე; მაგრამ ადამიანის სულში რუხი ფერი — განკიცხვისა და ზნეობრივი დამცილების ფერია „ვინც მე არ მემხრობა, ის ჩემი წინააღმდეგია“ — შუა ადგილი არ არის. თათართა ბატონობის შედეგად, გარდა რელიგიისა, რუსეთში არაფერი საერთო არ იყო ევროპასთან; მაგრამ იგი ბევრად განსხვავდებოდა აზიისაგან. ნისლიან ცისქვეშ, სუსხიან ჰავაში მყოფი, რუსეთი არ წარმოადგენდა იმ ფუფუნებას, გრძნობადი, ზანტი და ავხორცი ცხოვრების იმ პოეზიას, რომელიც აზიაში ევროპელისთვისაც ესოდენ მომხიბლველად მაცთუნებელია. ვნებები რუსეთში მძიმე, მაგრამ არა მძაფრი იყო; ისინი ადამიანს აბრუებდნენ, მაგრამ არ აღიზიანებდნენ, უფრო მეტად მიძინებული იყვნენ და იშვიათად იღვიძებდნენ. ვნებათა მრავალფეროვნებას იქ არ იცნობდნენ, იძიტომ რომ საზოგადოების საფუძვლები ერთფეროვანი, ინტერესები შეზღუდული იყო. აზიელისათვის არსებობს განცხრომა; იგი თავისებურად ეთაყვანება სილამაზეს, თავისებურად უყვარს ცხოვრება ფუფუნებითა და განცხრომით. არაფერი ამდაგვარი არ იყო რუსებში პეტრე დიდის დრომდე. მათში სილამაზეს შეადგენდა ახოვნება, სხეულის „წარმოსადგეობა“, რძისებური სითეთრე და ყირმიზა სახე—თეთრ-წითლად მოღაჟღაჟე სახე, როგორც ჩვენი მოხუცები იტყოდნენ და როგორც ახლა ჩვენი მდაბიონი ამბობენ. მართლაც, როდესაც შეხედავ იმას, რასაც ჩვენი დროის წვერიანი ვაჭრები სილამაზეს უწოდებენ, როდესაც შეხედავ მათი მომ-

ხიბლველი ქალების ფერუმარულით შეთითხნილ ლოყებს და შავ კბილებს, ჩვენი წინაპრების ესთეტიკურ გემოვნებაზე მაინცაღამაინც დიდ წარმოდგენას ვერ მიიღებ. და რა განსხვავებაა აზიელ სატრაპსა ან ფაშას შორის, რომელიც ბოროტად იყენებს თავის ძალაუფლებას მისდამი მინდობილ საფაშოს მიმართ და ზანტად და განცხრომით ტკბება მგრძობელობის მთელი მომხიბლველობით თავის ჰარამხანაში — ამქვეყნიურ სამოთხეში, რომელიც მას ზეცაში აღუთქვა მაჰმადმა, ტკბება მაცთუნებელ ხასათა, ამ მიწიერი ჰურებისა და პერების წრეში, შადრევნების მუდმივ ხმაურში, არაბული ყალიონის ტკბილ კვამლში, — რა განსხვავებაა-მეთქი მათსა და ძველ რუს ბოიარს შორის, რომელიც აგრეთვე წარგზავნილი იყო სარჩენად რომელიმე პროვინციაში და ბევრსა და უშნოდ სჭამდა სადილად, კიდევ უფრო მეტს სჭამდა, ხოლო ნასადილევს გოლიათივით ეძინა ხოლმე; შაბათობით ნეტარებდა აბანოთი, სადაც ჯოჯოხეთურ სიცხეში ცოცხით ოფლს იდენდა, უქეიფობის შემთხვევაში თაროზე გადაჰკრავდა ხოლმე წიწაკამოყრილ არაყს, შემდეგ კი თოვლის ნამქერში გაგორდებოდა; რომლისთვისაც, ჭამის, სმისა და აბანოს შემდეგ, უდიდესი სიამოვნება იყო მწყერაობა, დათვებთან ჭიდაობა ან ყმების დასჯა!.. აღმოსავლეთში არსებობს წარმოდგენა შთაგონებასა და შემოქმედებაზე; იქ დიდად აფასებენ „აღწერის ძაფზე მარგალიტის ასხმისა“ და „ხავერდზე მარგალიტის მიმობნევის“ ხელოვნებას, ესე იგი ლექსად და პროზად წერის ხელოვნებას. კურთხეულ რუსეთში კი ძველ დროს არც კი გაუგონიათ ამგვარ უცნაურ საქმიანობაზე, ხოლო რომ გაეგონათ კიდევაც, მას მაინც „წყლის ნაყვას“ დაუძახებდნენ. რა პროზაული წარმოდგენაა პოეზიაზე! აზიური სამყაროსაგან რუსული სამყაროს განმასხვავებელი მეორე მნიშვნელოვანი ნიშანია მისტიციზმისა და რელიგიური მკვრეტელობის უქონლობა. ჩვენი სლავური წარმართობა ისე სუსტი და უმწეო იყო, რომ თავისი არავითარი ხსოვნა არ დაუტოვებია. დიდმა მთავარმა ვლადიმირმა შესძლო მისი

მოსპობა ერთი სიტყვით, და ხალხი ყოველგვარი ფანატიკური წინააღმდეგობის გაუწევლად მოინათლა. მართალია, რამდენიმე ხმაჲ კინაღამ წაძოიძახა: „აღმოდ, უფალო!“ მაგრამ წაძოიძახა არა წარმართული სარწმუნოებრივი გრძნობის გამო, არამედ პერუნის ვერცხლის წვერისა და ოქროს უღვაშებისადმი პატივისცემის გამო. საზოგადოდ რუსეთი აზია იყო მხოლოდ სხვა მხრივ, რისი მიზეზი იყო ქრისტიანობაც, რომელიც ვლადიმირ წმინდამ ფორმალურად სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამიტომ ჩვენი თავადები თუმცა ერთმანეთს თვალებს სთხრიდნენ, მაგრამ ეს ბიზანტიური ზნე-ჩვეულების გავლენის შედეგი უფრო იყო, ვიდრე აზიატიზმი. რუსი გლეხი ახლაც კიდევ ნახევრად აზიელია, ოღონდ თავისებური ყაიდისა: მას უყვარს განცხრომა, მაგრამ განცხრომას ხედავს მხოლოდ და მხოლოდ „არაყში“, ჭამაში და ღუმელზე წოლაში. როდესაც კარგი მოსავალია და მას სამყოფი პური აქვს, იგი ბედნიერი და დამშვიდებულია: მას არ აწუხებს აზრი წარსულსა და მომავალზე, ვინაიდან თავის ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს არაფერზე ფიქრი არ შეუძლიათ, გარდა შიმშილის მოკვლასა და სხვა ამგვარ საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე ფიქრისა. მოდის ვაჭარი და გლეხს ქირაობს მისივე ფორნით ბაზარზე ტვირთის საზიდად. გაგიგონია! — ჩვენი გლეხი ამას მამასისხლად აფასებს, უხალისოდაც კი ელაპარაკება მას, და ისევ ისე ამაყად წამოწოლილია მხართედოზე. მოშვიდება და — იგი სულ უბრალო რამეზე ქირავდება, ოღონდ კი შინ არ იკვებოს და ცხენს თავისი ჩალა არ აჭამოს. მის მრგვალად შემოკრეჭილ და საქოჩრზე სქლად გამოკრეჭილ თავში არასოდეს არ დაბადებულა საკითხი მისი შეძლებისა, ამ შეძლების გადიდების და მომავლისათვის უზრუნველყოფის საშუალებებისა ხელსაყრელ გარემოებათა, მოსავლისა და სხვ. გამოყენების გზით. იგი ისევ ხნავს, როგორც ხნავდნენ მამა-

პაპანი, ერთ პალოსაც კი არ მიუშატებს კავს *. მისი ქოხი ბოსელს ჰგავს, და ზამთარში იგი გულთბილად უთმობს ამ ქოხს ხბოებს, ბატკნებს, გოჭებსა და ქათმებს და მათთან ერთად ცხოვრობს შიგ. და ეს ყოველთვის როდია საშუალებათა ნაკლებობის შედეგი, არამედ შედეგია დედა-ბუნების წიაღში ბუნებრივი მდგომარეობისა და ღრმააზროვანი მიზეზისა: „ასე ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ხოლო ისინი ჩვენზე სულელები არ იყვნენ—ჩვენზე ცუდად არ იცოდნენ ჰამასმა“. ამ უცნაურ ადამიანს მთელი არსებით სწამს, რომ პურის ჰამის ცოდნა დიდი სიბრძნეა!.. მართლმსაჯულებაზეც მას თავისი, სავსებით აზიური წარმოდგენა აქვს: „იგი სწორედ იმიტომ არის ალისტრატორი, რომ ქრთამი აილოს“, — ამბობს ჩვენი გლეხი პოლიაჩზე, და ხალისით ხსნიან ფულის ქისას, ოღონდ კი საქმე გაუკეთონ. ჯარიმების გადახდა მას არ უყვარს და სიკვდილზე მეტად ეშინია მათი; ხოლო თუ სახეს დაუჩიჩქავენ, კბილებს ჩაუმტვრევენ და ზურგზე ტყავს ააძრობენ, — ეგ არაფერია, — ეს გაივლის, ფულს კი ვერ დაიბრუნებ. „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა კი — სიბნელე“, — ამბობს ჩვენი გლეხი, მაგრამ წერა-კითხვის ცოდნას სიამოვნებით ანდობს მედავითნეს ან პოლიაჩს. და განა მართო გლეხებისაგან გაიგონებთ გულითად სიტყვებს: „ჩვენი მამა-პაპანი ჩვენზე ცუდად არ ცხოვრობდნენ, თუმცა უსწავლელები იყვნენო“; ამასვე ამბობს ჩვენი დროის ძველი პოლიაჩიც, რომელიც აღშფოთებულთა იმის გამო, რომ მამულ-დედულის მიმართ აკრძალვათა შესახებ გამოცემულმა წიგნებმა მას ცნობების გაცემით ლუკმა პურის შოვნის სახსარი წაართვა და რომ „კანონთა კრებული“ კანონების ცოდნის საშუალებას აძლევს ყოველ წერა-კითხვის მცოდნე

* ხოლო მალოროსი კიდევ უფრო მეტ პატივს სცემს ძველ ადათებს: მას არაფრით არ უნდა ნეხვით წაბილწოს მიწა, რომელზედაც ამოდის ღვთის ნაბოძვარი, ე. ი. პური. აი, ნამდვილი აზია!

ადამიანს, ისეთსაც კი, რომელსაც არავითარი ხარისხი არა აქვს; ამასვე ამბობს ძველი მემამულეც, რომელსაც ახალმა დროებამ მოუმზადებელს მოუსწრო მინდვრად გასულს, ხელში შოლტით, და რომელსაც საშინლად არ უნდა არც მიწის დახვნა ახალი თეორიების მიხედვით და არც შვილების წაყვანა დედაქალაქში განათლების მისაღებად.

როდესაც ბუმბერაზი მეფის რკინის ნებისყოფით დამსხვრეულ რუსეთის წარსულს ვუბრუნდებით, ჩვენს წინაშე სევდიან, გულშემწარავ სურათს ვხედავთ. იმდროინდელი ყოფაცხოვრება, კოშხინის მიერ გამოხატული, თრთოლვით იპყრობს გულს, რომელიც მით უფრო სიხარულით, ზეიმით და მძლავრად ფეთქავს ღვთით წარმოგზავნილი ადამიანის მოგონებაზე, ვინც თავისი მეფური შუბლის სისხლნარევი ოფლით გამოისყიდა რუსეთის შავბნელი დროის ტანჯვა და დამცირება. უძლურება ძლიერების პირობებში, სიღარიბე უდიდეს საშუალებათა არსებობის პირობებში, უაზრობა ბუნებრივი ჭკუით დაჯილდოების პირობებში, სიჩლუნგე ბუნებრივი საზრისიანობის პირობებში, ადამიანის ღირსების დამცირება და შერცხვენა ზნე-ჩვეულებებშიაც, ცხოვრების პირობებშიაც, სამართლის წარმოებაშიაც, დასჯაშიაც, და თანაც ადამიანის ღირსების დამცირება ქრისტიანული რელიგიის პირობებში;—აი პირველი, რაც თვალში გვხვდება, როდესაც პეტრე დიდამდე არსებულ რუსეთის საზოგადოებრივ და ოჯახურ ყოფაცხოვრებას გადავხედავთ]. ხალხის სული მუდამ დიადი და მძლავრი იყო. ამას ადასტურებს მოსკოვის სამეფოს სწრაფი ცენტრალიზაციაც, მამაის ბრძოლაც, თათართა ბატონობის დამხობაც, ყაზანის უვიცი სამეფოს დაპყრობაც და რუსეთის აღორძინებაც, მსგავსად ფენიქსისა, საკუთარი ფერფლიდან უმეფობის ემას, როდესაც, ლამის აწრდილებისა და ალიონის წყვდიადის გამფანტავი ამომავალი მზის მსგავსად, ხალხის ერთსულოვანი არჩევით ტახტზე ავიდა რომანოვთა კურთხეული გვარეულობა, რომელმაც რუსეთს აჩუქა პეტრე დიდი და მთელი რიგი განთქმული და

სახელოვანი ხელმწიფენი, რომლებმაც აღამაღლეს და გააბედნიერეს ღვთისგან მათი მზრუნველობისადმი მინდობილი ხალხი. ამასვე ადასტურებს მრავალრიცხოვანებაც ისეთი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებისა, როგორიც იყვნენ: ალექსანდრე ნეველი, ივანე კალიტა, სვიმონ ამაყი, დიმიტრი დონელი, ივანე III, ივანე მრისხანე, ანდრეი კურბსკი, ვოროტინსკი, შეინი, გოდუნოვი, ბასმანოვი, სკოპინ-შუისკი, მთავარი დიმიტრი პოჟარსკი, მეშჩანინი მინინი, მღვდელმთავრები ალექსი, ფილიპე, გერმოგენი, კელარი აბრაამ პალიცინი. ამასვე ადასტურებენ ნაწარმოებნიც ხალხური პოეზიისა, რომელიც ხასიათდება ფანტაზიის სიმდიდრით, გამოსახვის სიძლიერით, უსაზღვრო გრძნობით, რაც ხან საშინლად მზიარული და გაბედული, ხანაც სევდიან-კაემნიანი, მაგრამ მუდამ მაგარი და მძლავრია, გრძნობით, რაც არც ქუჩაში და არც მოედანზე არ ეტევა და სანავარდოდ მოითხოვს უღრან ტყეს, დედა ვოლგის გაშლილ სივრცეებს, ტრამალ ველს... მაგრამ ასეთია ხედრი დიდი ხალხისაც კი, თუ მტრულად განწყობილი ბედი ან არახელსაყრელი ისტორიული განვითარება მას ართმევს მისთვის საჭირო სფეროს და მის უსაზღვრო სულს არ აძლევს შესაფერ შინაარსს. განსაცდელის ეჟამს, როდესაც სულმოკლე ხალხები ეცემიან, იგი მონადირეებით გარშემორტყმულ ლომივით იღვიძებს, მრისხანედ შლის თავის ფაფარს და საზარელი ბრდღვინვით თავზარსა სცემს თავის მტრებს; [მაგრამ] ქარიშხალმა განვლო — და იგი კვლავ ღრმად ჩასთვლემს ისე, რომ მომხდარი შერყევებიდან [არავითარ] სასიკეთო დასკვნებს არ გამოიტანს თავისი ცივილიზაციისათვის. მართლაც, ყოველმა დიდმა გადატრიალებამ და მრავალმა განსაცდელმა რუსი ხალხის მხოლოდ დიდი ხასიათი გამოამყდავნა, [მაგრამ] ოღნავადაც ვერ განავითარა მისი სახელმწიფოებრივი ძალები და ბიძგი ვერ მისცა მის ცივილიზაციას; მაშინ როდესაც [საბედისწერო 1812 წელმა, რომელმაც რუსეთს ჭეჭა-ჭეხილის ღრუბელივით გადაუარა და მთელი მისი ძალები დაძაბა, არა

თუ არ შეასუსტა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა კიდევაც ის, და ეს წელი იყო პირდაპირი მიზეზი რუსეთის ახალი და უმაღლესი კეთილდღეობისა, ვინაიდან მან გადაშალა ახალი წყაროები სახალხო სიმდიდრისა, გააძლიერა მრეწველობა, ვაჭრობა, განათლება. აი რა განსხვავებაა ერთსა და იმავე ხალხს შორის მის უშუალო, ბუნებრივ და პატრიარქალურ მდგომარეობაში და მისი ისტორიული განვითარების გონივრულ მოძრაობაში! პირველ მდგომარეობაში დიდი მოვლენაც კი ხალხში წარმოიშობა თითქოს უმიზეზოდ და თავდება უშედეგოდ, და ამიტომ მისი ისტორია მოკლებულია ყოველგვარ საზოგადო, [გონივრულ] ინტერესს; მეორე მდგომარეობაში ყოველგვარ მოვლენასაც კი აქვს გონივრული მიზეზი და სწორედ გონივრული შედეგი [არის]”²¹ წინ გადადგმული ნაბიჯი, — და მისი ისტორია აღსავსეა დრამატიული ინტერესით, მოძრაობით, მრავალფეროვნებით, იგი პოეტურად საინტერესო, ფილოსოფიურად ჭკუის სასწავლო და პოლიტიკურად მნიშვნელოვანია. მაგრამ ხალხი ერთი და იგივეა, და პეტრეს ხელახლა კი არ შეუქმნია ის (ასეთ საქმეს ვერავინ გააკეთებდა, გარდა ღმერთისა), არამედ მხოლოდ გამოიყვანა დაკლავნილი, გატყეპნილი ბილიკებიდან მსოფლიო-ისტორიული ცხოვრების შარავჯაზე. შერემეტიევი, მენშიკოვი, რეპნინი, დოლგორუკი, აპრაქსინი, შაფიროვი, გოლიცინი (მიხეილი), გოლოვინი, გოლოვკინი — ყველა ეს ადამიანი, ასეთი ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებულნი, „ეს პეტრეს ბუდიდან აფრენილი ბარტყები“, პუშკინის გამოთქმა რომ ვისმართო, ბუნებით რუსები იყვნენ და დაიბადნენ ალექსი მიხეილის-ძის მეფობაში — რუსეთის კოშხინისეულ ხანაში. ამრიგად, პეტრე უარპყოფდა და სპობდა ხალხში არა არსებითსა და სისხლხორცეულს, არამედ ზედ მიზრდილსა და დანერგილს, და ამით მან ხალხის სულში გახსნა ახალი გზები, რომლებიც მანამდე დახშული იყო ახალი იდეებისა და ახალი საქმეების მისაღებად. პეტრეს სრული უფლება ექნებოდა იმ ადამიანისათვის, ვინც მას ბრალად

დასდებდა ხალხის სულის გათელვას და მოსპობას, ეპასუხნა: „არ იფიქროთ, რომ მოველ კანონთა ან წინასწარმეტყველებათა დასარღვევად; მე მოველ არა დასარღვევად, არამედ აღსასრულლებლად...“

ჩვენს მკითხველებს შეეძლოთ რუსეთის საზოგადოებრივი და ოჯახური ყოფაცხოვრების ნამდვილი სურათი დაენახათ ჩვენს მიერ წინა წერილში კოშიხინის წიგნიდან მოყვანილ ამონაწერებში, წიგნისა, რომელიც ჩვენმა განათლებულმა მთავრობამ გამოსცა. მათ შეეძლოთ დაენახათ, რომ რუსეთში პეტრე დიდამდე არ იყო არც ვაჭრობა, არც მრეწველობა, არც პოლიცია, არც სამოქალაქო უშიშროება, არც მრავალფეროვანი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, არც სამხედრო წყობა, ვინაიდან ყოველივე ეს სუსტი და უმნიშვნელო იყო, იმიტომ რომ იყო არა კანონი, არამედ ჩვეულება. ხოლო ზნეობა? — [რა სავალალო სურათია!] რამდენი რამ არის აქ აზიური, [ბარბაროსული], თათრული! [ადამიანის ღირსების დამამცირებელი რამდენი წესია, მაგალითად, დაქორწინებაში, და არა მხოლოდ მდაბიო ხალხის, არამედ სახელმწიფოს უმაღლეს პირთა შეუღლებაშიც]. რამდენი მდაბიური და უხეში რამ არის ნადიმებში! შეადარეთ ეს საშინელი ნაყოფანება, ეს წარმოუდგენელი სმა, ეს უხეში პროშტან-კოცნა, ეს შუბლის ხშირი დარტყმა იატაკზე, [ეს მიწაზე გორაობა], ეს ჩინური ცერემონიები, — შეადარეთ [ისინი] შუა საუკუნეთა ასპარეზობებს, ევროპის XVII საუკუნის ნადიმებს... გაიხსენეთ, როგორი იყვნენ ჩვენი წვერიანი რაინდები და კავალრები! როგორი იყვნენ ჩვენი კისკასი მანდილოსნები. რომლებიც „მწარეს“ ყლურჭავდენენ!.. [ქორწინდებოდნენ ისე, რომ არ იცოდნენ ვის ირთავდნენ! შეცდებოდნენ და — ცოლებს სცემდნენ და აწამებდნენ, რათა ძალდატანებით აღემალლებინათ ისინი ანგელოზობამდე, ხოლო თუ ეს არა სჭრიდა, — შხამით სწამლავდნენ; ჭამით სკდებოდნენ, სვამდნენ თითქმის გოვზაკებით, ცოლებს ჰმალავდნენ და მათ მხოლოდ მაშინ იწვევდნენ საკოცნელად, როდესაც ორმოცდა-

ათიოდ თავამდე პილპილიანი საკმელისა და რამდენიმე ვედრო არაყის და თაფლის ჩახეთქვის შემდეგ გახურდებოდნენ...] [ყოველივე ეს იმდენადვე ზნეობრივია, რამდენადაც ესთეტიკური]...? მაგრამ ყოველივე ეს მაინც ოდნავადაც არ ამცირებს ხალხს არც ზნეობრივად და არც ფილოსოფიურად, ვინაიდან ყოველივე ეს შედეგი იყო ევროპისაგან იზოლირებული ისტორიული განვითარებისა და თათართა ბატონობის გავლენის შედეგისა. გაულო თუ არა პეტრემ თავის ხალხს ქვეყნიერების კარები, უმეცრების წყველიანი თანდათან გაჰქრა — ხალხი არ გადაგვარდა, მან თავისი მშობლიური ნიადაგი სხვა ტომს არ დაუთმო, მაგრამ უკვე გახდა არა ის და არა ისეთი, რაც წინათ იყო... დიად, ბატონო ძველი დროის დამცველნო, როგორც გენებოსთ, მაგრამ პეტრე დიდისათვის ცოტაა ცხენიანი ქანდაკება ისააკის მოედანზე: საკურთხეველები უნდა აღუშართონ მას რუსეთის დიდი სამეფოს ყველა მოედანსა და ქუჩაზე!..

[თუ ბოიარობას გადავხედავთ მისი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მხრივ, — იგივე სურათია, რომელმაც შეიძლება ერთი წუთით მოატყუოს კაცი თავისი გარეგნობითა და სახელით, მაგრამ რომელიც არსებითად სულ სხვაა. წაიკითხეთ ისევ კოშიჩინი — და თქვენ უნებლიეთ წამოიძახებთ: „აჰა, აი ის ვითომცდა არისტოკრატია, რომლის დანახვასაც ოცნებობდნენ ძველი დროის ჩვენებური უთუო თაყვანისმცემელნი ძველი რუსეთის აზიელ ბოიარობაში!..“ მართლაც, ზოგიერთი ამ ვაჟბატონთაგანი, რომლებიც საზოგადოდ უკმაყოფილონი არიან პეტრე დიდის რეფორმით, მის წინააღმდეგ ერთ-ერთ უმთავრეს ბრალდებად იმას აყენებენ. თითქოს მან დაამცირა და მოსპო არისტოკრატია და ამით სამუდამოდ ბოლო მოუღო კანონიერების ყოველგვარ შეწონასწორებას თვითნებობის წინააღმდეგ. ისინი ამ ყოვლად ბრძნულ ბრალდებას ამყარებენ შემდეგ უშინაარსო, ფორმალურ გამოთქმაზე, რომელიც არც უფლებას, არც ძალას, არც აზრს არ შეიცავს და არც განსაკუთრებუ-

ლი მნიშვნელობა აქვს: „მეფემ ბრძანა, ბოიარებმა დაადგინეს“. პირიქით, პეტრე დიდმა ჩვენი დააარსა რაღაც არისტოკრატიის მსგავსი (რასაც უფრო მართებული იქნება დიდკაცობა ეწოდოს) და ძალით აიძულებდა მას საკუთარ თავსვე შებრძოლებოდა, რისთვისაც ზოგჯერ განზრახ გადაუხვევდა ხოლმე სამართლიანობიდან. მაგალითად, ერთხელ იგი საამირბაროს უფროსებს სთხოვდა, რომ ჩაერიცხათ იგი მაშინ განთავისუფლებულ ვიცე-ადმირალის ადგილზე; მას უარი უთხრეს და თანაც აღნიშნეს, რომ არის სამსახურში მასზე უფროსი სხვა ვიღაც, რომელსაც მეტი უფლება აქვს ეს ადგილი დაიკავოსო. როგორ მოიქცა პეტრე? — მან სთქვა: „ისინი რომ იმდენად მლიქვნელურად მოქცეულიყვნენ, რომ პირფერობით ჩემი თავი ჩემს ღირსეულ მოასაკეზე მალა დაეყენებინათ, მაშინ მართლაც მწარედ ვანანებდი მათ“. და საზოგადოდ რას ნიშნავს ეს უსუსური, ფორმალური, არა უფლებასა და კანონზე, არამედ ჩვეულებაზე დამყარებული „ბოიარებმა დაადგინეს“, რას ნიშნავს ის იმ წინააღმდეგობასთან შედარებით, რომელსაც თავადი იაკობ თევდორეს-ძე დოლგორუკოვი პეტრე დიდს უწევდა?.. დიად, პეტრე დიდმა დააარსა და შექქმნა ჩვენი დიდკაცობა, რომელიც ეკატერინე დიდის დროს ჩინებულად გაიფურჩქნა, წარჩინებული, ძლიერი, მდიდარი, განსწავლული, განათლებული და თანაც ნიჭიერი და შინაგანი ღირსებით შემკობილი გახდა. მხოლოდ აზიური სულისკვეთების ადამიანებს შეუძლიათ პეტრეს უსაყვედურონ ის, რომ მან დიდკაცობას ბიუროკრატიის ხასიათი მისცა, მისაწვდომი გახადა ის მდაბიური წარმოშობის, მაგრამ სულით მაღალი ადამიანებისათვის, ნიჭიერი და უნარიანი ადამიანებისათვის. თუ ჩვენს დიდკაცობას შეეძლო ოდესმე ნამდვილ ბიუროკრატიად გადაქცეულიყო, ამაში პეტრე სრულიადაც დამნაშავე არაა. მაშასადამე, საჭირო იყო და ასეც უნდა მოხდეს; მაშასადამე, სხვანაირად არ შეიძლება; მაშასადამე, დიდკაცობას არ გააჩნია სუბსტანციური ძალა, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემდა თავისი თავის

შეუცვლელად გადაეტანა რუსეთის სამოქალაქო წყობისა და ყოფაცხოვრების მთელი ცვლილებები. რა არის არისტოკრატია? ისტორიულად განვითარებული პრივილეგიური წოდება, რომელიც, სახელმწიფოს მწვერვალზე მდგომი, შუაწევლობას ეწევა ხალხსა და უმაღლეს ხელისუფლებას შორის და თავისი ყოფაცხოვრებითა და საქმიანობით ავითარებს იდეალურ წარმოდგენებს პირად ღირსებაზე, კეთილშობილებაზე, მათი უფლებების ხელუხლებლობაზე, მოდგმიდან მოდგმას გადასცემს უმაღლეს განსწავლულობას, ცხოვრების ფორმათა იდეალურ მშვენიერებას. ასეთი იყო არისტოკრატია ევროპაში, გასული საუკუნის ბოლომდე, ასეთია ახლაც არისტოკრატია ინგლისში. თუ შუა საუკუნეებში მეფეებს შეეძლოთ ბოროტად გამოეყენებინათ თავისი ძალაუფლება მძლავრი ვასალების მიმართ, მათ მხოლოდ ის-ღა შეეძლოთ, რომ სიცოცხლე მოესპოთ მათთვის, მაგრამ ღირსებას კი ვერ ახდიდნენ, შეეძლოთ თავი მოეკეთათ, მაგრამ ჯოხით, შოლტით ან მათრახით ვერ სცემდნენ. და თავისი ვასალისათვის სიცოცხლის მოსპობა მეფეს შეეძლო მხოლოდ სამართლის წარმოებისა და სასამართლოს განაჩენით (თუნდაც არა ყოველთვის სამართლიანი განაჩენით). წარმოდგენა ღირსებაზე. რომელიც ქრემპარიტი არისტოკრატის სულსა და სისხლს შეადგენდა, ევროპაში იქიდან შეიქმნა, რომ ყველა არისტოკრატი თავდაპირველად თვით იყო მფლობელი პირი, ხოლო რაინდობამ კიდევ უფრო კეთილშობილი და ადამიანური ხასიათი მისცა მათს წარმოდგენას ღირსებაზე. ჩვენი ბოიარებიც აგრეთვე თავდაპირველად მფლობელი პირები იყვნენ, მაგრამ როცა ხელმწიფობა დაჰკარგეს, მყისვე საპატიო მსახურნი გახდნენ. თათართა ბატონობა, რომელმაც ფეოდალური სისტემა დაამსხვრია, ჩვენი წარმოსახვითი ფეოდალებისათვის იგივე იყო, რაც რაინდობა დასავლეთის ფეოდალებისათვის. არახელსაყრელი მსგავსებაა!.. და ამიტომაც ჩვენი ბოიარი თავისი ღირსების შელახვად არა სთვლიდა წერა-კითხვის უცოდინარობას, ცოდნისა და განათლების უქონლობას. ყოველივე

ეს, ძველებური წარმოდგენების მიხედვით, უკანასკნელი მონის შესაფერისი უფრო იყო, ვიდრე ბოიარისა. ამავე წარმოდგენის გამო, იგი თავისი ღირსების შელახვად-სთვლიდა არა წყებლას, არა ჯოხს, არა შოლტს, არა მათრახს, არა დილეგში წამებას, არა საპატიმროს, — არამედ მეფის მაგიდაზე იმ ბოიარზე უფრო დაბალ „ადგილს“, რომელიც თავისი გვარიშვილობით მისი ტოლი იყო, მაგრამ თავისი წინაპრების ღირსებით მას ჩამოუყარდებოდა, ანდა დამსახურებით უფრო მაღლა იდგა, მაგრამ გვარიშვილობით მასზე ნაკლები იყო. ამავე წარმოდგენის გამო, ჩვენი ბოიარები, კოშიხინის გამოთქმით, ერთიმეორეს უყუფდნენ და არა რაინდულად ერკინებოდნენ იარაღით.

პატრიარქალურ ზნეობათა დამცველნი, რომელნიც ცივილიზებულ ზნეობათა წინააღმდეგ იბრძვიან, განსაკუთრებული ზეიმით მიუთითებენ უმაღლესი ხელისუფლებისადმი ხალხის ურყევ ერთგულებასა და უყოყმანო მორჩილებაზე ოდინდელ რუსეთში. მაგრამ ისტორიული ფაქტები მეტად მკვეთრად ეწინააღმდეგებიან ამ რწმენას და მეტად ნათლად ადასტურებენ ძველებურ ჭეშმარიტებას, რომ „უკიდურესობანი ერთმანეთს ხვდებიან“. პოლიტიკური უფოთიანობა, სტრელეცთა ამბოხებანი ჯერ კიდევ პეტრე დიდის მცირეწლოვანობის დროს, განუწყვეტელი თავდასხმები მისი მოკვლის მიზნით მისი ერთმპყრობელობის დროსაც კი, მოწმობენ, თუ რამდენად ნაკლებ მტკიცეა გაუნათლებელი ხალხის ბუნებრივი დამოკიდებულება კეთილმყოფელ ხელისუფლებისადმი; მოწმობენ, რომ გაცილებით უფრო მტკიცეა მათი ურთიერთობანი, რომლებიც გამსჭვალულია თავის მოვალეობათა და უფლებათა გონივრული შეგნებით. სპილენძის ფულის შემოღების შედეგად ფულის კურსის დაცემის გამო მომხდარი სახალხო ამბოხების დროს ბევრს, კოშიხინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფე ალექსი მიხეილის-ძე ღილებით ეჭირა, და „ერთი კაცი იმ ხალხიდან მეფეს ხელებზე ურტყამდა“. ეს სანკიულოტურ კანდიერებას აღემატება, ეს წარმოდგენათა

და გრძნობათა სფეროში გამოჩენილი საზიზღარი და საზარელი პირუტყვობაა].

ჩვენი პატრიარქალური ძველი დროების დამცველნი ჩვეულებრივად ამბობენ, ევროპაშიც, ბარბაროსობის დროს, ჩვენზე უკეთესი მდგომარეობა არ იყო. მაგრამ [მისი ბარბაროსობის დროს, ხოლო] ჩვენში XVIII საუკუნეში (ეკატერინე დიდის მეფობამდე) იყო ის, რაც ევროპაში IV და V საუკუნეებში იყო — ტანჯვა-წამება, ურჯულობა, ცრუმორწმუნეობა [(მაგრამ არ იყო მათრახი, რომელიც თათრებმა გვაჩუქეს)]²³. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ევროპაში იყო ცხოვრების განვითარება, იდეების მოძრაობა; შხამის გვერდით იქ შხამის საწინააღმდეგო საშუალებაც იზრდებოდა — საზოგადოების ყალბ ან არასაკმარის განსაზღვრას მყისვე მოპყვებოდა ამ განსაზღვრის უარყოფაც დროის მოთხოვნისათვის უფრო შესაფერისი სხვა განსაზღვრით. [და ამიტომაც უნებლიეთ ურიგდები ყველა იმ საშინელებას. რაც ამდროინდელ ევროპაში იყო, ურიგდები მათ მათი კეთილშობილი წყაროს გულისათვის, მათი სასიკეთო შედეგების გულისათვის. მაგრამ რუსეთი შებორკილი იყო უძრაობის ბორკილებით, მისი სული დახშული იყო ყინულის სქელი ქერქის ქვეშ და გამოსაველს ვერ პოულობდა].

ზოგიერთნი დიქრობენ, რომ რუსეთს შეეძლო ევროპასთან დაახლოება ძალდატანებითი რეფორმის მოუხდენლად, [თავისი ხალხურობისაგან]²⁴ თუნდაც დროებით ჩამოუცილებლად, მაგრამ საკუთარი განვითარებით, საკუთარი გენიით. ეს აზრი გარეგნულად მეტად ჭეშმარიტი და ამიტომ ბრწყინვალე და მაცთუნებელია, მაგრამ შინაგანად უშინაარსოა, [როგორც დიდი, ლამაზი, მაგრამ დამპალი კაკალი]; მას უარპყოფს თვით ცდა — ისტორიის ფაქტები.

რუსეთი არასოდეს არ შეხვედრია ევროპას ისე ახლოს, ისე პირისპირ, როგორც უმეფობის ეპოქაში. [დემიტრი ცრუმოსახელე თავისი მომხიბლველი მარინა მნიშეკითურთ, თავისი პოლონელებითურთ სხვა არა იყო, თუ არა გერმანული

ზნე-ჩვეულებების თავდასხმა რუსულ ზნე-ჩვეულებაზე; მაგრამ მისი დაღუპვის უმთავრესი მიზეზი, გარდა თავხედობისა, ის იყო, რომ მას ნასადილევს მერხზე კი არ ეძინა, არამედ საჯარო საძმუშაოებს ათვალეირებდა, ხბოას ხორცს სჭამდა და შაბათობით აბანოში არ დადიოდა. შვედი დე-ლა-გარდი მეგობარი იყო ქაბუკი რუსი გმიროს სკოპინ-შუისკისა; მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ იძულებული შეიქნა რუსების მტერი გამხდარიყო. მაგრამ] არის კიდევ უფრო მეტად განსაცვიფრებელი ფაქტი: ესაა ნოვგოროდი. მშვენიერია რუსული გამოთქმა: „თავისუფალი ნოვგოროდი“, და უცნაურია აზრი მრავალი მეცნიერისა, რომლებიც გულწრფელად, ე. ი. სერიოზულად ხედავდნენ ნოვგოროდის სახით [რესპუბლიკას და] პანზის კავშირის ცოცხალ წევრს. მართალია, ნოვგოროდელები „გერმანელთა“ მეგობრები იყვნენ, განუწყვეტლივი ურთიერთობა ჰქონდათ მათთან, მაგრამ გერმანული იდეები მათ არც კი შეხებია. ეს იყო [არა რესპუბლიკა, არამედ] „თავისუფალი მხარე“, [იქ არ იყო სამოქალაქო თავისუფლება, არამედ იყო კადნიერი თავისუფლება ყმებისა, რომლებიც როგორღაც გაუხსლტნენ თავიანთ ბატონებს,—და] ნოვგოროდის დაპყრობა ივანე III-ისა და ივანე შრისხანის მიერ არა მხოლოდ პოლიტიკით, არამედ ზნეობითაც გამართლებული საქმე იყო. ქვეყნიერების გაჩენის დღიდან არ არსებულა ამაზე უფრო უაზრო და კარიკატურული რესპუბლიკა. იგი გაჩნდა ისე, როგორც ჩნდება თავხედობა მონისა, რომელიც ხედავს, რომ მისი ბატონი დაავადებულია დამასუსტებელი ციებ-ციხელებით და უკვე აღარ ძალუძს სათანადოდ გაუძკლავდეს მას. ეს რესპუბლიკა გაჰქრა, ისე როგორც ჰქრება თავხედობა ამ მონისა, როდესაც მისი ბატონი განიკურნება. ორივე ივანეს ესმოდა ეს: ისინი კი არ იპყრობდნენ, არამედ ამშვიდებდნენ ნოვგოროდს, როგორც თავიანთ ამბოხებულ მამულს. ეს დამშვიდება მათგან არავითარ განსაკუთრებულ მეცადინეობას არ მოითხოვდა: ყაზანის დაპყრობა ათასჯერ უფრო ძნელი იყო მრისხანისთვის. არა! იყო კედელი, რომელიც რუსეთს ევროპისაგან ჰყოფდა. ამ კედლის დანგრევა შეეძლო მხოლოდ

რომელიმე სამზონს, რომელიც კიდევაც მოველინა რუსეთს მისი პეტრეს სახით. ჩვენი ისტორია სხვანაირად მიძღინა-რეობდა, ვიდრე ევროპის ისტორია, და ჩვენი გაადაზიანურება სულ სხვანაირად უნდა მომხდარიყო. არაცივილიზებული ხალხები ყალიბდებიან ცივილიზებულთ ხალხებისადმი უთუო მიბაძვით. ამას თვით ევროპა ადასტურებს: იტალია დანარჩენ ევროპას ბარბაროსებს უწოდებდა, და ეს ბარბაროსები უთუოდ ყველაფერში—მანკიერებაშიც კი—იტალიას კბაძავდნენ. შეეძლო თუ არა რუსეთს თავიდან დაეწყო, როდესაც მის თვალწინ უკვე ბოლო იყო? ნუთუ მას, მაგალითად, სამხედრო ხელოვნება იმ წერტილით უნდა დაეწყო, რომლითაც ის ევროპაში დაიწყო ფეოდალიზმის ხანაში, როდესაც რუსეთს ზარბაზნებსა და ზორტირებს ესროდნენ, ხოლო მისი არეულ-დარეული ბრბოს დამარცხება შეეძლოთ ხმშტებით შეიარაღებულ მწყობრ რიგებს, რომლებიც ერთი კაცის ბრძანებით მოქმედებდნენ? სასაცილო აზრია! ხოლო თუ რუსეთს სამხედრო ხელოვნება უნდა შეესწავლა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ეს ხელოვნება XVII საუკუნის ევროპაში იმყოფებოდა, მაშინ მას უნდა შეესწავლა მათემატიკაც, ფორტიფიკაციაც, საარტილერიო და საინჟინრო ხელოვნებაც, ნავიგაცია, მაშასადამე, შეეძლო თუ არა მას დაეწყო გეომეტრიის შესწავლა უფრო ადრე, ვიდრე არითმეტიკა და ალგებრა უკვე დამკვიდრდებოდა იქ და მათი შესწავლა სრულ და თანაბარ წარმატებებს მოიტანდა ხალხის ყველა წოდებაში. ჯარისკაცთა ერთფეროვანი ტანსაცმელი დაყენება კი არ იყო, არამედ აუცილებლობა. რუსული ტანისამოსი არ ვარგოდა ჯარისკაცის უნიფორმისათვის, მაშასადამე, აუცილებელი იყო ევროპული ტანისამოსის მიღება; ხოლო როგორღა შეიძლებოდა ამის გაკეთება მარტოკა ჯარისკაცების საშუალებით ისე, თუ მთელ ხალხში დაძლეული არ იქნებოდა უცხოური ტანისამოსისადმი ზიზღი? და რა ცალკე ერი უნდა ყოფილიყვნენ ხალხში ჯარისკაცები, თუ სხვას ყველას წვერი ექნებოდა და ხალათები და საზიზღარი

დიდი წაღები ეცმებოდა? ჯარისკაცების შესამოსავად საჭირო იყო ფაბრიკები, (ხოლო ისინი, [უხეშ პატრიარქალურ ჩვეულებათა მეოხებით], არ იყო); ნუთუ ამოსათვის მრეწველობის თავისუფალ და ბუნებრივ განვითარებას უნდა დალოდებოდნენ? ჯარისკაცებთან ერთად საჭირო იყვნენ ოფიცრები [(მგონი ეგრეა, ბატონო ძველმორწმუნენო და ანტიევროპელნო?)], [ხოლო ოფიცრები უნდა იყვნენ უმაღლესი წოდებიდან იმ წოდებასთან 'მედარებით]', რომლიდანაც ჰკრებდნენ ჯარისკაცებს, და ოფიცერთა მუნდირებისათვის საჭირო იყო ჯარისკაცის მაუღზე უფრო წმინდა მაუდი. მაშ, ნუთუ ეს მაუდი უცხოელებისაგან უნდა ეყიდნათ და ზასში რუსული ფული ეხადნათ, ანდა, ნუთუ უნდა დალოდებოდნენ, ვიდრე (50 წელიწადში) ჯარისკაცის მაუდის ფაბრიკები გაუმჯობესდებოდნენ და მათგან წმინდა მაუდის ფაბრიკები განვითარდებოდნენ? რა სისულელეა! არა, რუსეთში ყველაფერი ერთბაშად უნდა დაწყებულიყო და უმაღლესის წინაშე უპირატესობა უნდა მისცემოდა უმაღლესს: გლეხური მსხვილი მაუდის ფაბრიკების წინაშე—ჯარისკაცის მაუდის ფაბრიკებს, სამაზრო სასწავლებელთა წინაშე—აკადემიას, ორჩხომელის წინაშე—ხომალდებს. სამაზრო სასწავლებლის დაარსება არ კმაროდა — საჭირო იყო მისთვის მასწავლებლების მიცემა, რომლებიც ყველაზე უკეთეს განათლებას აკადემიაში მიიღებდნენ; საჭირო იყო სასწავლო სახელმძღვანელოთა შედგენა, რის გაკეთებაც ისევ მხოლოდ აკადემიას შეეძლო. რაც უნდა სთქვათ ჩვენი ლიტერატურის სიღარიბეზე და ჩვენი წიგნით ვაჭრობის არარაობაზე, ზოგიერთი წიგნი ჩვენში მაინც ხომ იყიდება, და ზოგიერთ წიგნით მოვაჭრეს ხომ მარტოკა პერიოდული გამოცემებისაგან ჰქონდა ყოველწლიურ ბრუნვაში 250.000 მანეთი! მერე რატომ მოხდა ეს?—იმიტომ, რომ ჩვენი დიდი იმპერატორი, [ჩვენი დედა] ეკატერინე II ზრუნავდა ლიტერატურისა და საზოგადოების შექმნისათვის, ზან წიგნის კითხვა დანერგა სასახლეში, საიდანაც კითხვის სურვილი უმაღლესი თავად-აზნაურობის მეშვეობით ნელ-ნელა გადაეცა საშუალო თა-

ვადაზნაურობას, ამ უკანასკნელისგან — მოხელე ხალხს, ხოლო ახლა უკვე ვაჭართა წრეშიაც ფეხს იკიდებს.

ღიად, ჩვენში ყველაფერი უნდა დაწყებულიყო ზევიდან ქვევითკენ და არა ქვევიდან ზევითკენ, ვინაიდან მაშინ, როდესაც ჩვენ ვიგრძენით, რომ საჭირო იყო დავძრულიყავით ადგილიდან, სადაც ამდენი საუკუნე ვთვლემდით, ჩვენ უკვე ვიხილეთ ჩვენი თავი იმ მწვერვალზე, რომელიც სხვებმა იერიშით აიღეს. ცხადია, ამ მწვერვალზე თავისი თავი დაიანახა არა ხალხმა (ასეთ შემთხვევაში მას არც დასჭირდებოდა ამალღება), არამედ მთავრობამ და ისიც მხოლოდ ერთი კაცის—თავისი მეფის სახით. პეტრეს დაყოვნების დრო არა ჰქონდა, რადგან საქმე შეეხებოდა უკვე არა რუსეთის მომავალ სიღაღეს, არამედ მის გადარჩენას აწმყოში. პეტრე თავის დროზე გამოჩნდა: მას რომ მეოთხედი საუკუნე დაეგვიანებინა, მაშინ—ვისაც შეეძლო ან სხვისთვის უნდა ეშველნა და ან თავისი თავისათვის!.. განგებამ იცის, როდის წარმოგზავნოს ქვეყნად ადამიანი. გაიხსენეთ, რა მდგომარეობაში იყვნენ მაშინ ევროპის სახელმწიფოები საზოგადოებრივი, სამრეწველო, ადმინისტრაციული და სამხედრო ძალის მხრივ და რა მდგომარეობაში იყო მაშინ რუსეთი ყოველივე ამის მხრივ! ჩვენ გაგვანებიერა ჩვენმა ძლიერებამ, გაგვაყრუა ჩვენი გამარჯვებების ჭეჭა-ჭუხილმა. შევეჩვიეთ ჩვენი ჯარების უზარმაზარი მწყობრი რიგების დანახვას, და ის კი გვაფიწყდება, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ 132 წლის საქმეა (თუ ვიანგარიშებთ ლესნოესთან გამარჯვებიდან—პირველი დიდი გამარჯვებიდან, რომელიც რუსეთის რეგულარულმა ჯარებმა შეედებზე მოიპოვეს). ჩვენ თითქოს ყველანი ვფიქრობთ, რომ ეს ჩვენში უძველესი დროიდან იყო და არა პეტრე დიდის დროიდან. ჩვენ ისიც კი დავივიწყეთ, რომ პეტრე დიდის დროს რუსეთს გამოუჩნდა საშიში მეზობელი—კარლოს XII, რომელსაც ესაჭიროებოდა ადამიანებიც და ფულიც და შეეძლო როგორც ერთის. ისე მეორის გამოყენება თანახმად რუსული ანდაზისა: „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებო“. სამშობლოსადმი სიყვარული, ხალხური სულის ძლიერება და

მატერიალურ საშუალებათა სიმდიდრე—მართლაც მძლავრი იარაღია. მაგრამ ვააცოცხლეთ თერმობილის, მარათონის, პლატეის გმირები, ლაქედემონის მეომრები, მაკედონელთა ფალანგები, რომის კოპორტები, შეადგინეთ ყველა ამათგან ერთი ჯარი, დანიშნეთ მილტიადე, თემისტოკლე, კიმონი, არისტიდი, პერიკლე, ფაბიუსი, კამილი, სციპიონი, მარიუსი რაზმების უფროსებად, ხოლო მათ მთავარსარდლებად მიეცით ალექსანდრე მაკედონელი და იულიუს კეისარი: გოლიათების ეს შემზარავი ჯარი ვერ გაუძლებს ჩვენი დროის ხუთ პოლქს არა ნაპოლეონის, არამედ თუნდაც მისი რომელიმე გენერლის სარდლობითაც კი. ძალა აღმართსა ხნავსო, ამბობს ანდაზა; ხოლო მეცნიერებით, ხელოვნებითა და ცხოვრების საუკუნოებრივი განვითარებით შეიარაღებული გონება ძალასაც სძლევეს, დავსძენდით ჩვენ. არა, პეტრე დიდის გარეშე რუსეთს არავითარი შესაძლებლობა არა ჰქონდა ბუნებრივად დაახლოებოდა ევროპას, [ვინაიდან რუსეთში არ იყო განვითარების ცოცხალი მარცვალი, და რომ პეტრე არა, რუსეთი დიდხანს დარჩებოდა კოშხინისა და ეელიბაზუსკის მიერ დახატული სურათების ორიგინალად. მართალია, პეტრეს რეფორმის გარეშეც რუსეთი, შესაძლოა, დაახლოებოდა ევროპას და მისი ცივილიზაცია მიეღო, მაგრამ სწორედ ისევე, როგორც ინდოეთი დაუახლოვდა ინგლისს]. ვიმეორებთ: პეტრეს დაყოვნებისა და ლოდინის დრო არა ჰქონდა. შორსმჭვრეტელ მესაქესავით, მან სიწყნარის დროს წინასწარ გამოიცნო საშინელი ქარიშხალი და თავის ეკიპაჟს უბრძანა არც შრომა, არც ჯანი და არც სიცოცხლე არ დაეზოგა, რათა მომზადებულიყო ტალღების მოვარდნისა და ქარის დაბერვისათვის,— და ყველანი მოემზადნენ, ნებით თუ უნებლიეთ,—და ამოვარდა ქარიშხალი, მაგრამ კარგად მომზადებულმა ხომალდმა ადვილად გაუძლო მის გააფთრებულ ძალას,—და გამოჩნდნენ წინდაუხედავი ადამიანები, რომლებიც აბუზლუნდნენ მესაქეს წინააღმდეგ, გაიძახოდნენ, რომ მან ასე ტყუილუბრალოდ შეაწუხა ისინი. მას არ შეეძლო თესლი მოეხნია და დამწვრდებით დალოდებოდა, როდის გალივდებოდა, აღმოცენდებო-

და და დამწიფდებოდა ეს თესლი; იგი ერთი ხელით თესლს აბნევდა, ხოლო მეორე ხელით უნდოდა იქვე მოემკა მისი ხაყოფი, რითაც არღვევდა ბუნებისა და შესაძლებლობის ჩვეულებრივ კანონებს,—და ბუნებამ მისთვის უკან დაიხია თავისი ძარადიული კანონებიდან, და შესაძლებლობაც მისთვის მისნობად იქცა. ახალი ნავინი, იგი მზეს აჩერებდა მის გზაზე, იგი ზღვას ართმევდა მის წინანდელ სამფლობელოებს, მან ქაობებში გააშენა მშვენიერი ქალაქი. იგი მიხვდა, რომ ნახევრული ღონისძიებები არაფრად ვარგა და მხოლოდ საქმეს აფუჭებს; იგი მიხვდა, რომ ძირფესვიანი გადატრიალება იმაში, რაც საუკუნეთა მანძილზე უკეთებიათ, არ შეიძლება სანახევროდ მოხდეს, რომ საჭიროა ან შესაძლებელზე მეტო გაკეთდეს, ანდა სრულებით არაფერი არ გაკეთდეს, და მიხვდა, რომ პირველისათვის მას ძალები ეყოფოდა. ლესნოესთახ ბრძოლის წინ ზან თავისი ჯარის უკან დააყენა კაზაკები [და ყალმუხები], რომელთაც სასტიკი ბრძანება მოსცა შეუბრალებლად მოეკლათ ყველა, ვინც უკან გაიქცეოდა, თვითონ ისიც კი, თუ იგი ამას ჩაიდენდა*. სწორედ ასევე მოიქცა იგი უმეცრების წინააღმდეგ ომშიაც: მთელი თავისი ხალხი დარაზმა უმეცრების წინააღმდეგ და უკანდახევისა და გაქცევის ყოველგვარი გზა მოუჭრა მას. იყავ სახელმწიფოსათვის სასარგებლო, ისწავლე—ან მოკვდი: აი რა იყო სისხლით წარწერილი ბარბაროსობის წინააღმდეგ მისი ბრძოლის დროშებზე. და ამიტომ ყოველივე ძველს უსათუოდ ადგილი უნდა დაეთმო ახლისათვის, [ყველაფერს—ტანსაცემელსაც, ვარცხნილობასაც, წვერსაც], ზნე-ჩვეულებებსაც, სახლებსაც, ქუჩებსაც და სამსახურსაც. ამბობენ, მთავარია საქმე და არა წვერიო; მაგრამ რას ძწამთ, [ბატონებო], თუ წვერი ხელს უშლიდა საქმეს? მაშ მოვსპოთ ეს წვერი [ძირფესვიანად], თუ თვითონ მას არ უნდა მოისპოს!

[შეუძლებელია კაცმა რაიმე გაიგოს კერძოში, საჭიროა ყველაფერი განხილულ იქნას საზოგადოსთან დაკავშირებით.

* გოლიკოვი, ტ. III, გვ. 20 ძველი გამოცემისა.

ევროპელთა ცხოვრების ნირი, ტანსაცმელი და ზოდების დიდი ცვალებადობა მჭიდროდ დაკავშირებულია მათ მეცნიერებასთან, განათლებასთან, ადმინისტრაციასთან, ომამდელ ძალასა და კანონებთან. ჩვენში ახლა არიან ადამიანები, რომლებიც წვერს ატარებენ, მაგრამ წიგნებსაც კითხულობენ და თვითონვე შეიძინეს ერთგვარი განათლება; მაგრამ შედით იმათ სახლში, კარგად გაეცანით იმათ ოჯახურ ურთიერთობას, მოპყრობას იმათი წრის ადამიანებისადმი,—გული გეტკინებათ და სევდა შეგიპყრობთ, თუ თქვენ წესიერი ადამიანი ხართ და ცხოვრების ფორმათა შინაგანი და გარეგანი მშვენიერება რაიმედ მიგაჩნიათ. მაგრამ ახლა წვერი მხოლოდ ძველი დროის გადმოცემათა მიმართ, წოდების ჩვეულებათა მიმართ პატივისცემის აბრანა; ზოგიერთს ვერ გაუბედია მისი გაკრეჟა, როგორც ვერ გაუბედია ხამანწყის პირველად ჭაბა: მას სცხვენია თავისუფალი შიშისა, მაგრამ მაინც ვერ გაუბედია. ეს, ყოველ შემთხვევაში, მოსათმენი მაინცაა, უმალ კი სასაცილოა, ვიდრე საზიანო. მაგრამ პეტრეს ხანაში ხალხის უმეტრება წვერს რაღაც რელიგიურ მნიშვნელობას აძლევდა. იგი წიგნსა და თვალს შორის გაჩხირულიყო და წაკითხვის საშუალებას არ იძლეოდა. სამართებელს ისე უყურებდნენ, როგორც უცხოური გარყვნილებისა და ბუსურმანული ურჯულობის იარაღს. მარლინსკის მოსწრებული გამოთქმა რომ ვიხმართ, რუსი ადამიანი ორივე ხელით ებლაუჭებოდა წვერს, თითქოს იგი მის გულს შეზრდიაო. დროშა სრულებითაც არ არის ის, რაც პოლკია; მაგრამ თუ დროშა ბრძოლაში დაიკარგა, პოლკი არარსებულად ითვლება, — და ამიტომ მტრისთვის დროშის წართმევა დიდად სასახელოა. წვერი უმეტრების დროშა იყო—და პეტრე მიხვდა, რომ უწინარეს ყოვლისა სწორედ მას უნდა შებრძოლებოდა.

ზოგიერთი პეტრე დიდის რეფორმას მიაწერს იმ საზიანო შედეგს, რომ მან ხალხი უცნაურ მდგომარეობაში ჩააყენა: ხალხში ჭეშმარიტი ევროპეიზმის დაუნერგავად ჩამოაცილა ის მშობლიურ სფეროს და სალი და მტკიცე ბუნებრივი აზრიდან გადააცდინაო. ამ აზრის სრული სიყალბის მიუ-

ხედავად, მას აქვს საფუძველი, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, უარყოფის ღირსი მაინც არის. მართლაც, თუ რეფორმა, ასე ვთქვათ, ხელ-ფეხს უხსნიდა შერეგმეტიევის, მენ-შოკოვისა და სხვათა მსგავსი ნიჭიერი ადამიანების სულიერ ძალებს, სამაგიეროდ უმრავლესობა მან რაღაცნაირ მანქიად და ფრატუნა ადამიანებად აქცია. გასაგებია, რომ ძველი ბოი-არები, რომელნიც ბუნებრივი ჭკუით და ჯიუტი ხასიათით გაწინაწინდნენ, რომელთაც არ უნდოდათ თავიანთ დარბაისლურ ტანსაცმელს გამოთხოვებოდნენ და ძველი დროის მკაცრი ჩვეულებანი დაეტოვებინათ, როგორც რომელიმე რომოდანოესკი,—გასაგებია, რა უღრმესი ზიზღის გრძნობით უყურებდნენ ისინი ამ ახალგამომცხვარ და შინგაზრდილ ევროპელებს, რომლებსაც შეუჩვევლობის გამო ფეხებში დაშნა ედებოდათ და ილლიდან თავისი ხომალდისმაგვარი ქუდები უქარდებოდათ; როდესაც მანდილოსნებთან ხელზე საკოცნელად მიდიოდნენ, მათ ფეხზე ფეხს ადგამდნენ; თუთიყუშივით უაზროდ ხმარობდნენ უცხოურ სიტყვებს, თავაზიანობის ნაცუელად იჩენდნენ უხეშ და კადნიერ მუსუსობას და—შესაძლოა—ზოგ ტანისამოსს უკულმაც იცვამდნენ. უკვე სხვა სახით, მაგრამ ახლაც კი ჩვენში შესამჩნევია ეს ყალბი, დამახინჯებული ევროპეიზმი, ეს უიდეო ფორმები, ეს თავაზიანობა, რომელსაც არ ახლავს საქუთარი თავისა და სხვებისადმი პატივისცემა, ეს ზრდილობიანობა, რომელსაც არ ახლავს ესთეტიკურობა, ეს პრანჭიანობა და მწვაობრობა, რომელსაც არ ახლავს სიკოხტავე. ცნობილი ივანე ალექსანდრეს-ძე ხლესტაკოვი, რომელსაც სახელი გაუთქვა გოგოლმა, ჩვენი დროის ერთ-ერთი ასეთი ევროპელია. ჩვენი გალომანები, ანგლომანები, ლომები, ონაგრები, პეტიმეტრები, აგრონომები, კომფორტისტები გულით თხოულობენ გოგოლის კომედიასი მოხვედრას: ვინ იმისათვის, რომ ანა ანდრიას ასულთან ერთად იმსჯელოს დედაქალაქის ცხოვრებაზე და ელჩებისა და მინისტრების წრეში ტრიალზე, ვინ იმისათვის, რომ ფოსტმაისტერ შპეკინთან და ლოსამართლე ლიაპკინტიპკინთან ერთად იმსჯელოს საფრანგეთისა და თურქეთის

პოლიტიკურ ურთიერთობაზე რუსეთთან. ხოლო პეტრე დიდის რეფორმის შედეგად, ლომონოსოვის გენიალური ჰკუა ასე უნაყოფოდ და რიტორიკულად გამოდის პოეზიაში, და, კრილოვის გამოკლებით, პუშკინამდე ჩვენი ლიტერატურა მონურ-მიბაძვითი, უფერული და უცხოელებისათვის ყოველგვარ ინტერესს მოკლებული ლიტერატურაა. დიად, ყოველივე ეს მართალია, მაგრამ ყოველივე ამაში პეტრეს გამტყუვნება ისეთივე სისულელეა, როგორც გამტყუვნება იმ ექიმისა, რომელიც, იმისათვის, რომ ადამიანი ხურვებისაგან განკურნოს, ჯერ უაღრესად ასუსტებს და აუძლურებს მას სისხლის გამოშვებით, ხოლო განკურნების პროცესში მყოფს სასტიკი დიეტით ტანჯავს. საკითხავი ის კი არ არის, ნახევრად ევროპელებად და ნახევრად რუსებად გვაქცია თუ არა ჩვენ პეტრემ, ხოლო, მაშასადამე, არც ევროპელები გავხდით და არც რუსები; საკითხავი ის არის, სამუდამოდ უნდა დავრჩეთ თუ არა ჩვენ ამ გაურკვეველ მდგომარეობაში? თუ სამუდამოდ არ უნდა დავრჩეთ, თუ ჩვენ უნდა გავხდეთ ევროპელი რუსები და რუსი ევროპელები, მაშინ ჩვენ პეტრეს კი არ უნდა ვუსაყვედუროთ, არამედ უნდა გვიკვირდეს, როგორ შესძლო მან ქვეყნიერების გაჩენიდან ასეთი გაუგონარი, ასეთი გოლიათური საქმის გაკეთება! ამრიგად, კითხვა მდგომარეობს სიტყვებში „გავხდებით თუ არა“,—და ჩვენ თამამად და თავისუფლად შეგვიძლია მივუგოთ ამ კითხვაზე, რომ არა თუ გავხდებით, არამედ უკვე კიდევაც ვხდებით ევროპელი რუსები და რუსი ევროპელები, ვხდებით ეკატერინე მეორის მეფობის დროიდან, და დღითიდღე წარმატებას ვაღწევთ ამ მხრივ ამჟამად. ჩვენ უკვე ახლა ვართ მოწაფეები, მაგრამ არა სეიდები ევროპეიზმისა; ჩვენ უკვე აღარ გვინდა ვიყოთ არც ფრანგები, არც ინგლისელები, არც გერმანელები, არამედ გვინდა ვიყოთ ევროპული ყაიღის რუსები. ეს შეგნება იჭრება ჩვენი საქმიანობის ყველა სფეროში და მკვეთრად გამოითქვა ლიტერატურაში მას შემდეგ, რაც გამოჩნდა პუშკინი—ტალანტი დიდი, დამოუკიდებელი და სავსებით ნაციონალური. რაც შეეხება იმას, რომ ევროპეიზმით ჩვენი ხალხუ-

რობის სრული გამსჭვალვის დიდი აქტი ჯერაც არ მომხდარა და საბოლოოდ კიდევ დიდხანს არ მოხდება, — ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ პეტრემ ოცდაათ წელიწადში ისეთი საქმე გააკეთა, რომელიც სამუშაოს აძლევს მთელ საუკუნეებს. სწორედ ამიტომ არის იგი ბუმბერაზთა შორის ბუმბერაზი, გენიოსთა შორის გენიოსი, მეფეთა შორის მეფე. თვით ნაპოლეონს ჰყავს მოქიშპე ძველ დროში—იულიუს კეისარი. ჩვენს პეტრეს ქვეყნიერების გაჩენიდან დღემდე არა ჰყოლია არც მოქიშპენი და არც მავალითის მიშცემნი; იგი მხოლოდ თავისი თავის მსგავსი და ტოლია. და მისი დიდი საქმე გაკეთებულია იმით, რომ უცილობლად იქნა მიღებული ფორმები და სიტყვები: ფორმა ყოველთვის არ არის იდეა, მაგრამ ხშირად წინ უძღვის იდეას; სიტყვა ყოველთვის არ არის საქმე, მაგრამ ხშირად წინ უძღვის საქმეს. ჩვენი ლიტერატურა დაიწყო ჟორმით აზრის გარეშე, იგი გამოვიდა არა ხალხის სულიდან, არამედ წმინდა მიმბაძველობიდან, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა გვძულდეს ჩვენი მიბაძვითი ლიტერატურა: ეს ლიტერატურა რომ არა, — ჩვენ არ გვეყოლებოდა პუშკინი. ლიტერატურის დარად შეიძლება ვიმსჯელოთ ყოველივე დანარჩენზეც. პეტრე დიდის ჯარისკაცებს არ ესმოდათ, თუ რისთვის ტანჯავდნენ მათ მარშირებითა და სხვადასხვა ვარჯიშობით; ამ შეშხვევაში ისინი უაზროდ ემორჩილებოდნენ მეთაურ-მამებს. და რა მოხდა! — მათი უაზრო მორჩილებისა და უცხოელი ჯარისკაცების მაიმუნური გამოჯავრების შედეგი იყო აზოვის აღება, ლესნოესა და პოლტავასთან მოპოვებული გამარჯვებანი, შვედეთის ბალტიისპირა მხარეების დაპყრობა. ჩვენი მძლავრი საზოგადოების პირველი წარმომადგენლები თავიანთი თათარიზმებით თავზარსა სცემდნენ ევროპის საზოგადოებას, მაგრამ მალე ჩვენში გაჩნდნენ ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ევროპის საზოგადოების დამშვენება და თავისი თავაზიანობითა და ზრდილობით თვით პარიზელებს აოცებდნენ].

პეტერბურგის გაშენებასაც ბევრი უსაყვედურებს მის დიდ დამაარსებელს. ამბობენ: უზარმაზარი სახელმწიფოს განა-

პირადაა, ჭაობებში, საშინელ ჰაეაში, [ბევრი მამგრალი დაიღუპა, ბევრს ძალით აშენებინებდნენო]²⁰ და სხვა, მაგრამ საკითხი ის არის, საჭირო იყო თუ არა ეს, და შეიძლებოდა თუ არა სხვანაირად მოქცევა? პეტრეს უნდა დაეტოვებინა მოსკოვი—იქ მის წინააღმდეგ წვერიანები სისინებდნენ; მას უშიშარი თავშესაფარი უნდა მიეცა ევროპეიზმისათვის, შინაურ, თავისიან კაცად გაეხადნა ეს სტუმარი, რათა მას შეუმჩნეველად და წყნარად მოეხდინა გავლენა რუსეთზე და უმეცრებრისა და ურჯულოების მეხთამრიდი ყოფილიყო. ასეთი თავშესაფრისათვის მას ესაჭიროებოდა სრულიად ახალი ნიადაგი, სადაც არ იქნებოდად გაღმოცემანი, სადაც მისი რუსები ჯერჯერობლივად ახალ სფეროში აღმოჩნდებოდნენ და აუცილებლობის გაზო თავისთავად შეიცვლიდნენ ცხოვრების ზნე-ჩვეულებებსა და ჩვევებს. მას უნდა დაეახლოვებინა და დაეკავშირებინა ისინი უცხოელებთან სამსახურითაც, ვაჭრობითაც და თანამოქალაქეობითაც, ჩაეყენებინა ისინი მუდმივს ურთიერთობაში უცხოელებთან. ამისათვის საჭირო იყო დაპყრობილი მხარე, საჭირო იყო ეს მხარე სამშობლოდ გამოსდგომოდან უცხოელებსაც, რომელთა დიდი რაოდენობით გადაბიკება და მოსკოვს გადაყვანა შეუძლებელი იყო, და რუსებსაც, რომლებიც მხოლოდ თავდაპირველად სახლდებოდნენ იქ უხალისოდ, მაგრამ შემდეგ, როდესაც იქ მთავრობის ცენტრი დაინახეს, ისე მიისწრაფვოდნენ იქითკენ, როგორც რკინა მაგნიტისაკენ. ხოლო სად შეიძლებოდა საამისო უკეთესი ადგილი ყოფილიყო, თუ არ „შვედისთვის წართმეულ მხარეში“? ხოლო ის დიადი იდეა, რომ შეექმნა ფლოტი და საზღვარგარეთთან ვაჭრობისათვის ჩაეყარა საძირკველი არა უცხოელთა შუამავლობით, როგორც არჩანგელსკში იყო, არამედ უშუალოდ, საკუთარი საქმიანობით, და ვაჭრობისათვის არა მარტო ინგლისელებთან, არამედ მთელ დედამიწასთან? სადღაა საუკეთესო ადგილი ამისათვის, თუ არ ნევის ოთხმაგ შესართავში? საკმარისია მხოლოდ ყურადღება მიაქციოთ კრონშტადტის მნიშვნელობას პეტერბურგისათვის, რათა დაინახოთ, რა გენიალური და შეუმცდარი იყო პეტრე დიდის მოსაზრებანი.

რატომ არ უნდა გადაეტანა მას დედაქალაქი, ვთქვათ, შავი ან აზოვის ზღვის ნაპირას? იმიტომ რომ მას, გარდა ფლოტი-სა და საზღვარგარეთთან ვაჭრობისა, ზღვა უსაჭიროებოდა აგრეთვე ევროპეიზმის წარმატებებისთვისაც ევროპელი ხალხის მეზობლობისაგან. აზოვის ან შავი ზღვა ჩვენ დაგვაახლოებდა თათრებთან, ყალმუხებთან, ჩერქეზებთან და თურქებთან და არა ევროპელებთან. ოდესისათვის მნიშვნელობა აქვს თურქეთის მეზობლობას, სადაც იგი-ღიღძალ ხორბალს გზავნის; მაგრამ ამ მეზობლობას მნიშვნელობა არ ექნებოდა პეტერბურგისათვის, ვინაიდან ოდესა მხოლოდ სანავსადგურო და სავაჭრო ქალაქია, პეტერბურგი კი, გარდა ამისა, დედაქალაქიც არის. და პეტრეს აზრი საქმით გამართლდა: მოსკოვს უდავოდ თავისი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის, მაგრამ პეტერბურგი რუსეთის ნამდვილი ევროპული დედაქალაქია, [და მოსკოვი მხოლოდ მაშინ გაუტოლდება პეტერბურგს, როდესაც მას თვისში მიიღებს]. პეტერბურგი რუსეთისათვის — ევროპეიზმის ბიძეა, საიდანაც ევროპეიზმი ვრცელდება რუსეთში. ყოველგვარი გაუმჯობესება, ყოველგვარი წინსვლა ცივილიზაციის დარგში ჩვენში პეტერბურგის მეშვეობით ხდება. იგია ევროპაში გამავალი კარი და ფანჯარა. [იქ წვერი არ გეუცხოებათ მხოლოდ მეეტლის მარხილებზე ან მსუბუქ ეტლებზე].

რაც შეეხება პეტერბურგის გაშენებისას გაღებულ მსხვერპლს, იგი გამოსყიდულია აუცილებლობითა და შედეგით. პეტრე თავისი საქმეებით სწერდა ისტორიას და არა რომანს, იგი მოქმედებდა როგორც მეფე და არა როგორც ოჯახის კაცი. [მთელი] რეფორმა [მისი]. იყო ხალხისათვის მძიმე გამოცდა, ავი და მრისხანე დრო. მაგრამ როდის და სად მომხდარა დიდი გადატრიალებანი წყნარად და თანამედროვეთა გაუჭირვებლად?.. განა ადვილი იყო რუსეთისათვის სახელოვანი თორმეტი წელი? მაგრამ ნუთუ ამისათვის უნდა [ვლანძლოთ] ²⁷ ეს წელიწადი და არ უნდა ვიამაყოთ იმით?.. მოსვენებული სახელმწიფო მსოფლიოში მხოლოდ ორის—ჩინეთი და იაპონია. მაგრამ საუკეთესო რამ, რასაც პირველი

ამზადდებს, უსაა ჩათ, ხოლო მეორე, მგონი, სანდალოზს უშვებს. სხვას მათზე ვერაფერს ვიტყვით. ვერხვი ქარში იღუნება და იმტკრევა; მუხა გრიგალში ვაჟკაცდება და მაგრდება.

ნორჩი რუსეთი
მედგარ ჭიდილში ძალებს აკრებდა,
პეტრეს გენით ვაჟკაცდებოდა
და განუხრელად წინ მიიწევდა.

დიდების გზაზე მკაცრი, სასტიკი
მასწავლებელი ერგო მას წილად —
და სისხლიანი მას გაკვეთილი
მრავალი მისცა შვედ პალადინმა.

მაგრამ ბედისგან თავზე დატეხილს
ძრავალს გაუძლო მან დიდ განსაცდელს,
და გამოიწროო რუსეთი ისე,
ვით ურო აწრობს გრდემლზე ჯავარდენს.

დიალ, ხალხს უმძიმდა თავისი ღუმელებიდან და ფიცარ-
ნაგებიდან ასეთ სამუშაოზე და ბრძოლაში გამოსვლა. იგი არ
იყო დამნაშავე, რომ უსწავლელი გამოიზარდა, და უკვე მომ-
წიფებულს მას შეუძლებლად ეჩვენა სწავლას ჩასჯდომოდა.
მაგრამ ყველაზე ცუდი მის მდგომარეობაში ის იყო, რომ მას
არ შეეძლო იმ ცვლილებათა არც აზრის, არც მიზნისა და
არც სარგებლობის გაგება, რომელთაც მასში გოლიათი მე-
ფის რკინისებური, ურყევი ნებისყოფა ახლენდა. აქ ჩვენ შე-
საფერისად მიგვაჩნია ამოვიწეროთ, ან, უკეთ რომ ვთქვათ,
ჩვენი წერილი შევამკოთ პეტრე დიდის შესახებ ერთ-ერთი
რუსი მეცნიერის * მკვევრმეტყველი სტრიქონებით:

„რალა აკლდა რუს ხალხს?—გარდაქმნა იგი აკლდა XVI!
საუკუნისათვის! გამოჩნდა მეფე, რომლის თვლებში ჰგზნე-
ბარე აზრი და შუბლზე თამამი ფიქრი აღბეჭდილიყო, ხოლო
ძალაუფლების გამომხატველი სიტყვა სკექდა და ჰქუხდა!

* თ. ლ. შოროშინის; მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის, სიტყვი-
დან: „ძეგლისდებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ“. სიტყვა
წარმოთქმულ იქნა უნივერსიტეტის სხდომაზე 1839 წლის 10 ივნისს 28.

მან საშინელი თვალთ გადახედა სამეფო ქალაქს, მკაცრად გაჰხედა წარსულის შორეთს, და დასძრა საძეფო იქიდან. რა არ მოეწონა მას წინაპართა შემკვიდრებაში? რამ აღაშფოთა პეტრე მის მამა-პაპათა ქმნილებაში? ეს მოცულია უდიდესი, უღრმესი სულის საიდუმლოთი, გენიოსის საიდუმლოთი! ჩვენ ვხედავდით მხოლოდ გარეგან მხარეს ამ სულისას, რომელმაც ქექა-ქუხილის ღრუბელივით გადაუარა რუსეთის მიწა-წყალს. ჩვენ ვხედავდით, როგორ თანაუგრძნობდა იგი ივანე მრისხანეს, რა მოკრძალებული იყო კარდინალ რიშელიეს წინაშე, როგორ ვერ იტანდა ბიზანტიის სასახლეს, იქაურ ფუფუნებას და სიზარმაცეს, იქაურ პირმოთნეებსა და ფარისევლებს. რა მრისხანედ აბობოქრებულა სტიქია მბრძანებლად და შეფედ დაბადებული მომაკვდავის სულში! და მისი ზნეობრივი ცხოვრების ამ ცეცხლოვან საწყისს შეუერთდა უღრმესი შეგნება საკუთარი ძალებისა. ცის მოციქული, თვითმპყრობელი მომაკვდავი, პირდაპირ დაბადებული გარდაქმნებისათვის! რომელ საუკუნეშიაც უნდა დაბადებულყო ის, რომელ ხალხშიაც უნდა აღზრდილიყო, იგი ყოველთვის და ყველგან გარდაქმნელი იქნებოდა. ეს მისი ბუნებაა. იგი რომ ძველი იაზონის თანამედროვე ყოფილიყო, მას ღვთაებრივი ჰერაკლეს ბედი ეწეოდა. იგი მეტად მძიმე იქნებოდა მსუბუქი ბერძნული არმადისათვის. მაგრამ განგებამ იცოდა, სად უნდა გაეჩინა ქვეყნად უჩვეულო მომაკვდავი. მხოლოდ რუსული ხომალდი თუ გაუძლებდა ასეთ საშინელ მგზავრს! მხოლოდ რუსული ზღვა თუ ატარებდა თავისი ქედით ესოდენ მედგარ ზღვაოსანს! მხოლოდ რუსეთი თუ გაუძლებდა ასეთ ადამიანს, რომელმაც დასძაბა იგი, რათა რუსეთის ძალები თავისი გოლიათური სიმძლავრისათვის გაეტოლებინა! საოცარი მოვლენაა! ქვეყნიერების გაჩენის დღიდან ასეთი ხელმწიფე არ ყოფილა! ამბობენ, მისი სასტიკი გონება და ნებისყოფა იქიდან წარმოასდგებოდა, რომ მას სათანადო აღზრდა არ მიუღიაო. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რომელ მეცნიერებას შეეძლო ამ ანდამატური სულის შებოჭვა, რომელ აღზრდას შეეძლო გონების ამ ურყევი ნერვების, ნებისყოფის ამ რკინისებური კუნ-

თების შერბილება? თუ ბუნება იძულებულია იყო დაეთმო მისთვის, მაშ რას გააწყობდა მასთან მეცნიერება? რომელ გერმანელს შეეძლო ყოფილიყო მისი გადია, რომელ ფრანგს შეეძლო ყოფილიყო მისი მასწავლებელი? ბუნებამაც და მეცნიერებამაც უკან დაიხია, როდესაც ამ დიადმა ადამიანმა რუსეთის ცხოვრება მსოფლიო ისტორიის გაშლილ ზღვაში გააქროლა! პეტრე დიდს არა სწამდა ადამიანის ბუნების სუსტი მხარეები; მან მხოლოდ სიკვდილის სარეცელზე იგრძნო, რომ ისიც მომაკვდავია: „ჩემით შეიძლება გაგება იმისა, თუ რაოდენ საბრალო ქმნილებაა ადამიანი“,—წარმოსთქვა მან სასიკვდილო ტანჯვის დროს! ასეთი იყო პეტრე დიდი. მას უნდა მოეხდინა გარდაქმნა, და მერე როგორი გარდაქმნა! სხეულის კიდურებიდან ვიდრე ადამიანის აზრის უკანასკნელ ნავსაყუდლამდე! იგი სამართებლით პარსავს წვერს და ნაჯახით სჩეხს უმეცრებას. ათასობით სტრელეცის თავი გაგორდა პრეობრაჟენსკის მინდორში. სატახტო ქალაქის ლიტანიამაც კი ვერ შეარბილა მისი მართლმსაჯულება! (გვ. 60—61)... გარდამქმნელი მთელ თავის სიცოცხლეში გულში ინახავდა იმ იდუმალ შეგნებას, რომ არა მარტო გვარიშვილობამ აიყვანა იგი ტახტზე, არამედ უზენაესმა ძალამ მოუწოდა მას ხალხებზე შეფობისათვის! იგი გრძნობდა, რომ მას წინ უნდა უძლოდეს არა სისხლი, არამედ სული. მან უარჰყო ვაჟიშვილი და მოისურვა თავის ადგილას დაეტოვებინა ყველაზე უფრო ღირსეული. მაგრამ დიდმა ადამიანმა არ გაიზიარა ჩვენი სუსტი მხარეები! მან არ იცოდა, რომ ჩვენ ვართ ხორციც და სისხლიც. იგი იყო დიდი და ძლიერი, ჩვენ კი პატარა და გაღეული დავიბადენით. ჩვენთვის საჭირო იყო საზოგადო წესდებანი კაცობრიობისა! პეტრე დიდს არ მოსწონდა ჩვენი ძველი სახელმწიფო წყობილება. ხელმწიფესთან არსებულ ბოიართა სათათბიროს ადგილი უნდა დაეთმო სენატისათვის; საოლქო სამმართველოებს — ლანდრატებისა და ლანდგერიხტებისათვის. მას არც ჩვენი ხამრები, ჩვენი დიაკები და პოლიაჩები ზოსწონდა. მას სურდა ამათ ადგილას დაესვა ტყვე შვედები. სამეფო სამსახურის მდივნები და შრაიბერები. მას არ მოს-

წონდა რუსეთის წარსული. მაგრამ ყველა ეს ცვლილება არაფერია სახელმწიფო სამსახურის გარდაქმნასთან შედარებით. თვითონ მან გვარდიის ჯარისკაცობით დაიწყო, თანდათან განვლო ხელქვეითობის კიბე და იგი თავის ქვეშევრდომთ უანდერძა. ხოლო რა იყო წინანდელი ჭამა-სმა, რა იყო მეფის პურ-მარილი? ოფლითა პირისა თვისითა ჩქამდნენ და სვამდნენ პეტრე დიდის მსახურნი. არსად ისე მრისხანე არ იყო იგი თავისი მართლმსაჯულებით, როგორც მუქთახორების, ღორმუცლებისა და ხაზინის ქურდების წინააღმდეგ. იგი პატივს არა სცემდა კერძო საკუთარებას მაშინ, როდესაც სამშობლოზე ფიქრობდა, მაგრამ შეუბრალებლად სჯიდა დამნაშავეს თითოეული კაპიკისათვის, რომელსაც ყალანის ამკრება ზედმეტად აიღებდა, ანდა კომისიონერი ჩარჩს გადასცემდა“ (გვ. 61—62).

დიად, ხალხს საფუძველი ჰქონდა ჩაფიქრებულყო, საფუძველი ჰქონდა გრძნობაზორეულს შოგონებინა გულუბრყვილო ძველი დრო და პოეტურად შეემკო ის ელეგიურ მიმართებებში ახალი და ძველი დროისადმი, მსგავსად შემდეგი სიტყვებისა, რითაც იწყება ალბათ იმ ეპოქაში შეთხზული ერთი ზღაპარი: „ინებეთ და მოისმინეთ, კეთილო ადამიანებო, ხმა ზაუწყებელი, უკანასკნელად აღწრსით მოწიგონოთ სიტყვა უბრალო, თუ როგორ ცხოვრობდნენ ძველ დროში, წარსულ წლებში, ძველი ადამიანები. ხოლო მაშინ, საყვარელნო, იყო ხანა ბრძნული, ხანა ბრძნული, ხალხი მთლად მართლმორწმუნე. ცხოვრობდნენ მოხუცნი არა ჩვენსავით, არა ჩვენსავით, ვით უცხოელნი, არამედ თავისებურად, ვით მართლმორწმუნენი. ხოლო ცხოვრება, ცხოვრება კი ლალი და თავისუფალი იყო. დგებოდნენ დილაადრიან, ალიონზე, ხელ-პირს იბანდნენ წყაროს წყლით, თეთრი ცვარით, [ლოცულობდნენ ყველა წმინდანსა და სათნომყოფელზე], თავის დაკვრით მიესალმებოდნენ ყველა ნათესავს აღმოსავლით დასავლამდე, გადმოდგებოდნენ ხოლმე ლამაზი პარმალის მოაჯირზე და კეთილ საქმეებზე იხმობდნენ ერთგულ მსახურთ. მოხუცნი სამართალს განუჩინდნენ, ყმაწვილნი უსმენდნენ; მოხუცნი დიდ საქმეებს

სწყვეტდნენ, ყმაწვილნი გასაგზავნ-გამოსაგზავნად ჰყავდათ. ყმაწვილი ქალები ოჯახს უვლიდნენ, ლამაზმანი ქალწულნი გვირგვინებს წნავდნენ მიცვალებულთა სულის მოხსენების დღესასწაულისათვის, დედაბრები კორაობდნენ და ზღაპრებს ამბობდნენ. იყო დიდი სიხარული დღესა დიდსა, იყო სევდიან-კაემნიანი უბედურება ჟამსა დიდი ობლობისასა. ხოლო რაც იყო, მას წარსული გადაეფარა, ხოლო რაც იქნება, ის იქნება არა ძველებურად, არამედ ახლებურად!

ღმ კარგია, რომ გადაეფარა! რა ლამაზადაც უნდა სთქვათ, რა ტკბილადაც უნდა იმღეროთ, მაინც ვერ მოგვხიბლავთ იმ თავისუფალი და ხალვათი ცხოვრებით. მიცვალებულთა სულის მოხსენების დღესასწაულისათვის გვირგვინების დაწვნას ჩვენ ვამჯობინებთ სეირნობას, თეატრსა და ბალ-მასკარადებს. რაც შეეხება ადრე ადგომას,—საქმე ის კი არ არის, რომ ადრე ავდგეთ, ჭრამედ ის, რომ ტყუილბრალოდ სრ ავდგეთ: ვისაც გასაკეთებელი არაფერი აქვს, ის კარგს იზამს, თუ მეტხანს იძინებს. ჩვენ არა თუ ოთხსავე მხარეს თავის დაკვრით თვალსუკან არ მივესალმებით ნათესავეებს, არამედ არ მივესალმებით მაშინაც კი, როდესაც მათ შევხვდებით, თუ ჩვენი ნათესაობა მათთან მხოლოდ სისხლით გამოიხატება და არა სიყვარულითა და სულისკვეთებით. ყმაწვილკაცები ჩვენშიაც ჰყავთ მოხუცებს „გასაგზავნ-გამოსაგზავნად“, მაგრამ სამაგიეროდ მოხუცებიც ჰყავთ ახალგაზრდებს „გასაგზავნ-გამოსაგზავნად“; ვინაიდან უფროსობის უფლება ჩვენში ეკუთვნის არა უხუცესს, არამედ ყველაზე ღირსეულს, ხოლო ღირსებას ჩვენ ვზომავთ არა ჭიკარით, არამედ ჭკუით, ნიჭითა და დამსახურებით. სუვოროვს გასაგზავნ-გამოსაგზავნად ჰყავდა არა მხოლოდ ახალგაზრდა ოფიცრები, არამედ გენერლებიც, რომლებიც სუვოროვზე უფრო ხნიერნი და გვარიშვილნი იყვნენ. დიახ, ჩვენ არ შეგვიძლია სიბრალულის ღიმილის გარეშე მოვიხმინოთ ეს საცოდავი ქება-დიდება დალოცვილი ძველი დროისა; მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ მაშინდელი გულბრყვილო ხალხი თავისებურად მართალი იყო. მაშ, მთელი სულითა და გულით ვუთხრათ მას: „საუკუნო იყოს ხსენება მისი და

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!“ თავისი ტანჯვა-წამებითა და დიდი მოთმინებით გამოისყიდა მან ჩვენი ბედნიერება და ჩვენი სიდიადე. ისტორიული სასაფლაოს კუბოებთან არ უნდა იყოს არც წყევა-კრულვა, არც უხამსი სიცილი, არც სიძულვილი, არც წამბილწველი მოქცევა, არამედ სიყვარული და კეთილანობიანობა, მოკრძალებული ფიქრი...

მაგრამ ასეთია თვით ქვეყნარტება, ასეთია უშუალო გავლენა გენიისა: ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც რეფორმის გატარება გაჩაღებული იყო, როცა ყველაზე მძიმე დრო იყო, პეტრეს თავყანისმცემლები ჰყავდა არა მარტო თავის მამდევართა შორის, არამედ იმ ადამიანთა შორისაც. რომლებიც აღზაცურად უყურებდნენ მის გარდაქმნას. თითქოს, ყველანი, წინააღმდეგ თავიანთი შეგნებისა, აღიარებდნენ ძირფესვიანი რეფორმის გატარების აუცილებლობას. და სხვანაირად არც შეიძლებოდა: პეტრე თავის დროზე გამოჩნდა. გარდაქმნის საჭიროება ძლიერ გამოჩეღავნდა ჯერ კიდევ ალექსი მიხეილ-ძის მეფობის დროს, და ადგილუფროსობის მოსპობა მეფე თევდორე ალექსის-ძის დროს აგრეთვე ამ საჭიროების შედეგი იყო. მაგრამ მთელი საქმე განისაზღვრებოდა ნახევრული ზომებით, რომელთაც მნიშვნელოვანი შედეგი არ გამოუღიანთ. საჭირო იყო ისრული, ძირფესვიანი რეფორმა—„სხეულის კიდურებიდან ადამიანის აზრის უკანასკნელ ნაესაყუდლამდე“; ხოლო ასეთი რეფორმის მოსახდენად საჭირო იყო ისეთი გოლიათის გენია, როგორსაც პეტრე წარმოადგენდა. პოლტავის ბრძოლას არ შეიძლებოდა ძლიერი ზნეობრივი გავლენა არ მოეხდინა ხალხზე: ძველი დროის ყველაზე თავგამოდებულ მოზხრეთაგან ამ ბრძოლაში ბევრს უნდა დაენახა რეფორმის გამართლება. მეფის მართლმსაჯულებამ და სამართლიანობამ, იმ გარემოებათ, რომ მასთან ადვილად მიესვლებოდა ყველას და თითოეულს, რომ იგი მზად იყო ეპატიებინა პირადი მტრებისა და ბოროტმოქმედთათვის, თუ ისინი მოინანიებდნენ, რომ იგი მზად იყო კიდევაც აღემაღლებინა ისინი, თუ მონანიებისა შენიშნავდა, რომ ისინი უნაჩიანი ადამიანები იყვნენ. ამ

ღვთაებრივმა თვითგანდგომამ თავისი პირადისაგან მარადიული სიძარტლის სასარგებლოდ, ამ მაღალმა თვითმოსპობამ თავისი ხალხისა და თავისი სამშობლოს იდეაში,—ყოველივე ამან პეტრეს მის სიკვდილამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე დაუ-მორჩილა ქვეშევრდომთა სული და გული. მაგრამ როდესაც იგი მოკვდა ისე, რომ თავის შემდეგ თავისი მსგავსი არავინ დაუტოვებია,—რუსეთი გაშეშდა, თითქოს მეხისტეხამ გააყრუაო. ხალხის საუკეთესო ნაწილი, რომელმაც დიდი და უნებური მსხვერპლი გაიღო გარდაქმნისათვის, უკვე ძრწოლა გარდაქმნის ბედის გამო და წინანდელი ბარბაროსობის აღდგენის ეშინოდა. რუსეთი თითქოს წინასწარ გრძნობდა ამ შეებნელ დროს, როდესაც მას მოუხდებოდა პეტრეს მიერ გაკაფულ გზაზე გაჭირვებით ჩანჩალი ისე, რომ წინ ვერ წაეიდოდა; იგი თითქოს გრძნობდა, რომ დიდი ხნით ჩაესვენა მისი უქმფინარი მზე, რომელიც კვლავ აღმობრწყინდა მის ჰორიზონტზე ეკატერინე დიდთან ერთად, რათა შემდეგ უკვე აღარ დაეტოვებინა ის. [მაგრამ რა ლახვარი იყო პეტრეს სიკვდილი მისი საყვარელი ადამიანებისათვის, მისი დამფუძნებელი სულით, მისი შემოქმედებითი გენიით შექმნილი და განათლებული ადამიანებისათვის! აი რასა სწერდა ნეპლიუევი იმ შთაბეჭდილებაზე, რითაც მას თავზარად დასცა ცნობამ პეტრეს სიკვდილის შესახებ: „1725 წელს, თებერვლის თვეში, მივიღე სამწუხარო ცნობა, რომ მამა სამშობლოსი, პეტრე დიდი, იმპერატორი პირველი, განშორდა ამა ქვეყანას. მე ის ქალღმერთი მწარე ცრემლებით დავასველე როგორც ჩემი ხელმწიფისადმი მოვალეობისა და იმის გამო, რომ იგი თავის ქვეშევრდომთა ქეშმარიტი მამა იყო, ისე იმის გამოც, რომ მან ბევრი წყალობა მიყო; და—ოი, ოი! არა ვტყუი—დღედაღამეზე მეტხანს უგონოდ ვიყავი, და სხვანაირად შევცოდავდი კიდევ. ამ მონარქმა ჩვენი სამშობლო გაუთანასწორა საუკეთესო სახელმწიფოებს. გვასწავლა ჩვენ შეცნობა ჩვენი ნიჭისა და უნარისა და ერთი სიტყვით: რასაც უნდა შეხედო რუსეთში. ყველაფრის დამწყები ის არის, და რაც უნდა გაკეთდეს მომავალში, ამ წყაროდან წარმოდინდების, ხოლო საკუთრივ ჩემთვის

იგი იყო ხელმწიფე და მამა გულმოწყალე. დე, შერაცხოს უფალმა სამშობლოს სარგებლობისათვის ამ დიდად მაშვრალი მონარქის სული მართალთა შინა**.

ერთ მოხუც ჯარისკაცს, კირილოვად წოდებულს, თანა პქონდა პეტრეს პატარა, მინანქრიანი პორტრეტი, რომელსაც იგი ხატების გვერდით დებდა, წინ სანთელს უნთებდა და მასზე ლოცულობდა ხოლმე. ეს ამბავი მოახსენეს ნიჟნი-ნოვგოროდის მღვდელმთავარს, რომელთანაც კირილოვი იზყოფებოდა. მღვდელმთავარმა ჯარისკაცის სენაკი გასინჯა, პეტრე, დიდის პორტრეტზე ანიშნა და უთხრა მას: „რაო, მოხუცო, ხატებს შორის დაგიდგია პეტრე დიდის პორტრეტი?“ — „დიად, უსამღვდელოესო მეუფევე, სახეა ჩვენი მამისა“. — „მართალია, თუმცა იგი დიდი და ღვთისმოშიში ხელმწიფე იყო და მთელი ჩვენი პატივის ღირსია, მაგრამ წმინდა ეკლესიას იგი არ ჩაუტოვებავს წმინდანთა დასში, და ამიტომ შენც არ უნდა მოათავსო მისი სურათი წმინდანთა ხატებს შორის. არ უნდა აუნთო მას სანთელი, ხოლო კიდევ უფრო ნაკლებ უნდა ილოცო მასზე“. — „არ უნდა ვილოცო? (უდიდესი აღშფოთებით შეაწყვეტინა მას სიტყვა ჯარისკაცმა) — არა? თქვენ მას არ იცნობდით, მე კი ვიცნობდი: იგი ჩვენი მფარველი ანგელოზი იყო; გვიცავდა და გვდარაჯობდა ჩვენ და მთელ სამშობლოს მტრებისაგან, ჩვენთან ერთად, იტანდა ლაშქრობათა მთელ სიმძიმეს, ჩვენთან ერთად სჭამდა ქაშს, ვევექცეოდა ისე, ვითარცა ჩვენი თანასწორი და ვითარცა მამა; თვით ღმერთმა გაუთქვა მას სახელი გამარჯვებებით, არ მიაკარა მას სიკვდილი და ჭრილობა. შენ კი ამბობ: არ უნდა ილოცო მის ხატზეო!“ — დაასკვნა ჯარისკაცმა, რომელიც ცხარე ცრემლს ღვრიდა. ბევრი არწმუნა იგი მღვდელმთავარმა, მაგრამ ჯარისკაცი მხოლოდ იმაზე დასთანხმდა, რომ სანთელი აღარ დაედგა პეტრეს პორტრეტის წინ, მაგრამ პორტრეტი კი ხატებთან დასტოვა**.

* „ანგელოზები პეტრე დიდის შესახებ“, გოლიკოვისა, გვ. 508.

** აქვე, გვ. 532 — 535.

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია-ეს სიმღერა, რომელსაც, გადმოცემის მიხედვით, მღერის პეტრე დიდის კუბოსთან გუშაგად მდგარი ჯარისკაცი:

ახ მთვარევ, ჩვენო დიღო მნათობო,
რად არ გვინათებ შენ ძველებურად,
რად არ გვინათებ წინანდებურად,
ავღრობის ღრუბელს რად ეფარები,
გამოკრთეს შუქი — გახსენ თვალები!

გაღიხსენ მკერდი, დეღაო შიწავ,
კუბოს ფიცარო, შენც გაღიხსენი,
გაიშრიალეთ, ოქროს ფარჩებო,
გამოადვიძეთ ოცნება ჩვენი
და აღსდევ მეფევ, მართლმორწმუნეო...

ახლა ჩვენ უნდა გადავიღეთ პეტრეს, როგორც ხელმწიფი-გარდამქმნელისა და ადამიანის პირად დახასიათებაზე. ამისათვის თვალი უნდა გადავაგლოთ მთელ მის ცხოვრებას და აღვნიშნოთ ამ ცხოვრების ყველაზე მკვეთრი ნიშნები. შიშითა და მოწიწებით შევეუდგებით ამ შრომას შემდეგ წერილნი და შევეცდებით ჩვენს მკითხველებს ვაგრძნობინოთ უდიდესი სიტკბოება ისეთი უზარმაზარი პიროვნების ქვრეტისა, როგორც პეტრეს პიროვნება იყო. ყოველი დიდი ადამიანის ქვრეტა გვაფხიზლებს დადებითი ცხოვრების თვლემისაგან; ყოველდღიური პროზაული ზრუნვითა და საჭიროებით გამოწვეულ აპათიური გულგრილობისაგან, მაღალი გრძნობებისა და კეთილშობილი აზრებისათვის განაწყობს გულს. განამტკიცებს ნებისყოფას საკეთილო მოქმედებისათვის და მკვდრული არსებობის სიცალიერისა და არარაობის მიმართ ამაყი სიძულვილისათვის, და ჩვენს სულს აღამაღლებს აღსაქმელად ყოველგვარი ცხოვრების საწყისისა, საუკუნო სიმაართლისა და საუკუნო სიყეთის წყაროსი... ხოლო ჩვენს პეტრეზე მეტად ვისა აქვს უფლება დიდისა და ღეთაებრივის წოდებაზე, და ვინ შეიძლება კიდევ ჩვენი ისტორიიდან უფრო ახლოს იდგეს ჩვენს სულსა და გულთან? 17.

ს რ ე უ ჯ ი

სტატისტიკის, სოციალური და
ეკონომიკური

1841-1845 წწ.

წერილები 1841 წ.

*

3. 3. ბოტკინს. 1 მარტი 1841

(ნაწყვეტი)

სპ. 1841, მარტის 1^ა

ახლა მივიღე შენი წერილი, ძვირფასო ვასილ პეტრეს-ძევ. და ახლავე თავს ძალა დავატანე, რომ პასუხი გაეცე. საზიზლარი ჩვეულება მაქვს—ვწერო ბევრი, დაწვრილებით, მკაფიოდ და სხვ. და სხვ.—ამით შენ ჩემი წერილების ხშირად მიღების. ხოლო ჩემს თავს შენთან ხშირად საუბრის სიამოვნებას ვართმევ. რადგან ბევრის საწერად საჭიროა დრო და დიდი მზადება. ნაწყვეტმა „Hallische Jahrbücher“-დან ძალიან გაძახარა, თითქოს კიდევ გამაცოცხლა და ერთი წუთით გული გამიმავრა,—მაღლობა მომხსენებია მისი გამოგზავნისათვის. ასევეც მაღლობა^ა. მე უკვე დიდი ხანია ვეჭვობდი, რომ ჰეგელის ფილოსოფია მხოლოდ მომენტია, თუმცა ძალიან დიდი მომენტი, მაგრამ რომ მისი შედეგების აბსოლუტურობა ...^ა არ ვარგა, რომ მასთან შერიგებას სიკვდილი სჯობს. ამ შენი წერილის მიღებამდე მინდოდა მომეწერა ეს შენთვის. რეგვიჩები სტყუიან, როდესაც ამბობენ, ჰეგელმა ცხოვრება მკვდარ სქემებად აქციაო; მაგრამ ის კი მართალია, რომ მან ცხოვრების პოვნები აქცია აჩრდილებად. რომ-

ლებსაც ძვლას. ხელები ჩაუკიდნიათ ერთმანეთისათვის და სასაფლაოზე ცეკვავენ ჰაერში. სუბიექტი მისთვის თავისთავად მიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა ზოგადის წამიერად გამოხატვისათვის, ხოლო მისი ეს ზოგადი სუბიექტის მიმართ წარმოადგენს მოლოხს, ვინაიდან ერთხანს კეკლუცობს მასში (სუბიექტში), შემდეგ კი ძველი შარვალივით გადაადგდება. მე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიზეზები მაქვს ჰეგელზე გასაბრაზებლად, რადგან ვგრძნობ, რომ მისი ერთგული ვიყავი (შეგრძნებაში), როდესაც ვურიგდებოდი რუსეთის სინამდვილეს, ვაქებდი ზაგოსკინსა და მსგავს სისაძაგლეებს და მძულდა შილერი. უკანასკნელის მიმართ თვით ჰეგელზე უფრო თანმიმდევარი, თუმცა მენცელზე უფრო რეგენი ვიყავი. ჰეგელის მთელი მსჯელობა ზნეობაზე--მტკნარი სისუფლელა, რადგან აზრის ობიექტურ სამეფოში არ არის ზნეობა, ისევე როგორც არ არის ის ობიექტურ რელიგიაში (როგორც, მაგალითად, ინდიურ პანთეიზმში, სადაც ბრამა და შივა—თანასწორი ღმერთებია, ე. ი. სადაც კეთილსა და ბოროტს თანასწორი ავტონომია აქვთ). ვიცი, სასაცილოდ ამოიღებ, ო, შე თავმოტულებილო!—მაგრამ იცინე, როგორც გვინებოს, მე კი ჩემს აზრს ვადგივარ: სუბიექტის, ინდივიდის, პიროვნების ბედი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთელი ექვეყნიერების ბედი და ჩინეთის იმპერატორის ჯანმრთელობა (ე. ი. ვიდრე ჰეგელის Allgemeinheit). მეუბნებიან: განვიითარე შენი სულის ყველა საუნჯე თავისუფალი სულიერი თვითგანცხრომისათვის, იტყვი, რათა თავი ინუგეშო, იურვე. რათა გაახარო, ესწრაფე სარულყოფას, აცოცდი განვითარების კიბის ზედა საფეხურზე, ხოლო თუ წაიფორხილებ—ჩამოვარდი, ეშმაკსაც წაუღიხარ—მაგის ღირსიც იყავი, შე ძ. შ დიდად გამდლობთ, 'ეგორ თევღორეს-ძევ', მივესალმები თქვენს ფილოსოფიურ ჩაჩს; მაგრამ მაქვს პატივი თქვენს ფილოსოფიური ფილისტერობის საკადრისი მთელი პატივისცემით მოგახსენოთ, რომ კიდევ რომ მოვახერხო განვითარების კიბის ზედა საფეხურზე აცოცება, იქაც კი გთხოვდით წარმოგედგინათ ჩემთვის ანგარიში ცხოვრების პირობებისა და

ისტორიის ყველა მსხვერპლის, შემთხვევითობათა, ცრუმორ-
წმუნეობის, ინკვიზიციის, ფილიპე II-ისა და სხვათა და სხვა-
თა ყველა მსხვერპლის შესახებ. თუ ასე არ იქნება, ზედა სა-
ფეხურიდან თავდაყირა გადმოვვარდები. მე არ მინდა ბედ-
ნიერება თუნდაც მუქთად, თუ დამშვიდებული არ ვიქნები
ჩემი თითოეული დიდი მოძმის შესახებ,—ჩემი სისხლი
სისხლთაგანისა და ხორცი ხორცთაგანისა შესახებ. ამბობენ,
დიაპარმონია პარმონის პარობაო. იქნებ, ეს ძალიან სასარ-
გებლო და სასიამოვნოა მუსიკის მოყვარულთათვის, მაგრამ,
ცხადია, არა იმათთვის. რომლებსაც უწერიათ დიაპარმონის
იდეა თავიანთი ბედით გამოხატონ. თუმცა, ამაზე რომ ვაძგამ
ყველაფერი აწეროს, ამას ბოლო არ ექნება. ეხტერპაიერიდან
ამონაწერმა გამახარა. როგორც ენერგიულმა ჩაკაკუნებამ
პეგელის ფილოსოფიურ ჩაჩში, როგორც იმის დამამტკიცე-
ბელმა ფაქტმა. რომ გერმანელებსაც შესაძლებლობა ექნებათ
აღაპიანები გახდნენ და აღარ იყვნენ გერმანელები. მაგრამ
საკუთრივ ჩემთვის აქ ყველაფერი სანუგეშო როდია. მე იმ
აღაპიანთა რიცხვს ვეკუთვნო, რომლებიც ყველა საგანზე
ეშმაკის კუდს ხედავენ,—ეს, მგონი, ჩემი უკანასკნელი
მსოფლქვერტაა. რომელიც სიკვდილამდე გამყვება. თუმცა,
ამით ვიტანჯები, მაგრამ არა მრცხვენია ამისა. აღაპიანმა თა-
ვისთავად არაფერი იცის,—ყველაფერი დამოკიდებულია სა-
თვალეზე, რომელსაც მას გაუკეთებს ხოლმე მისი ნებისყო-
ფისაგან დამოუკიდებელი მისი სულიერი განწყობილება, მი-
სი ბუნების კაპრიზი. ერთი წლია წინათ მე იმის დიაპეტრა-
ლურად ააწინააღმდეგოს ვფიქრობდი. რასაც ახლა ვფიქ-
რობ,—და, მერწმუნე, არ ვიცი, ჩემთვის ბედნიერებაა თუ
უბედურება ის, რომ ჩემთვის ერთი და იგივეა ვფიქრობდე
და ვგრძნობდე. მუსპოდეს და ვიტანჯებოდე. აი, საღ უნდა
მეშინოდეს ფანატრიზმისა. იცი თუ არა, რომ მე აწინდელს,
საშინლად მძულს ჩემი თავი უწინდელი. და ძალაუფლება
რომ მქონდეს,—მაშინ ვაი იმათ, ვინც ახლა ის არის, რაც მე
ამ ერთი წლის წინათ ვიყავი. ყველაფერზე ეშმაკის კუდს
დაინახავ. როდესაც შენს თავს ცოცხალს ხედავ შესუდრულსა

და კუბოში მდებარეს, ზურგზე ხელებგაკრულს. რას ვაქნევ იმას, რომ დარწმუნებული ვარ, რომ გონიერება გაიმარჯვებს, რომ მომავალში კარგი იქნება, თუ კი ბედმა მიბრძანა მოწმე ვიყო შემთხვევითობის, უგუნურების, პირუტყვული ძალის გამარჯვებისა? რას ვაქნევ იმას, რომ ჩემი ან შენი შვილები კარგად იქნებიან, თუ მე ცუდად ვარ, და თუ მე არ მიმიძღვის ბრალი იმაში, რომ მე ცუდად ვარ? ხომ არ მიბრძანებ, საკუთარ ნაჭუჭში ჩავიმალო? არა, სჯობს მოვკვდე, სჯობს ცოცხალი ლეში ვიყო! გამოჯანსაღება! მერე და რაშია ეს გამოჯანსაღება? სიტყვები! სიტყვები! სიტყვები! შენ მწერ, სიყვარული მოვილიე და სიყვარულის უნარი დავკარგეო; კრასოვიც ამასვე იწერება; ზეც ამასვე ვგრძნობ. ფილისტერები; უხამსი უშუალო სინამდვილის ადამიანები, დაგვიცინიან, თავიანთ გამარჯვებას ზეიმობენ... ო, ვაგლახ, ვაგლახ, ვაგლახ! მაგრამ ამაზე შემდეგ. ვშიშობ, რომ ვერ მანუგეშებ, მე კი სევდით აგივსებ გულს.

კარგია პრუსიის მთავრობა, რომელშიაც ჩვენ გონიერული მთავრობის იდეალის დანახვას ვფიქრობდით! რალა უნდა ვთქვათ—არამზადები, კაცობრიობის ტირანები არიან! წვერა თავისუფლებისა და გონების ჯალათების სამთა კავშირისა. აი, ესეც შენი ჰეგელი! აჰ მხრივ მენცელი ჰეგელზე უფრო ჰკვიანია, ხოლო ჰაინეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია! (მართლა: ანენკოვი იწერება, ჰაინეს 8 ტომი ჰამბურგში 7 ჩერვონეცი ღირსო). ყველაზე უფრო გონიერული მთავრობა არის ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში, მათ შემდეგ კი—ინგლისსა და საფრანგეთში.

რაც შეეხება კატკოვის ისტორიას, მგონი, ახლა ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ: მე თვითონ მისგანაც კი ცოტა რამ ვიცი ამ ისტორიის შესახებ, მაშასადამე, არა მაქვს ფაქტები მსჯელობისათვის რაც შეეხება პოლევოის—გეთანხმები. მაგრამ საიდან-ღა ჰქონდა იმას მას უამსა შინა ხასიათის ენერგია, ნებისყოფის ძალა? წარსულში მე დიდად ვაფასებ ამ ადამიანს. მან ძალიან დიდი საქმე გააკეთა, იგი ისტორიული პირია. ახლა ჩემი სტატიის შესახებ.

შენ ვერ გაიგე, თუ რას ვგულისხმობ „კატკოვის ენად“. ეს არის გარკვეულობა, რომელიც სახოვნობაში მდგომარეობს. შემეძლო ამის დასაბუთება ამონაწერით, მაგრამ მეზარება. რაც შეეხება კუდრიაეცევს, მილიონჯერ გეთანხმები მისი ენის შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიმშვიდე ჩემთვის არ არის. მე მინდა ის, რაშიაც მოჩანს ადამიანის სულის მდგომარეობა, როდესაც იგი მთრთოლვარე აღტაცების ტალღებში იხრჩობა და მკითხველსაც შიგ აცურავებს ისე, რომ გონს მოსვლის საშუალებას არ აძლევს. მიხვდი? სწორედ ეს კი არ არის, და აი ამიტომ გამოვიდის ბევრი რიტორიკა (რაც შენ მეტად მართებულად შენიშნე და რაც მე თვითონაც უკვე დიდი ხანია შევიგნე). ჩემს სტატიაში რიტორიკულ ადგილებს რომ წააწყდები, ფანქარი აიღე და მიაწერე: აქ უნდა ყოფილიყო პათოსი, მაგრამ რადგან ამ მხრივ ავტორი ღარბია,—ო, მკითხველო! — ეს რიტორიკული წყალიც იკმარე. მაგრამ ჩემს სტატიებში ერთიანობა და სისრულე რომ არ არის, ამის ერთადერთი მიზეზია ის, რომ მათი მეორე თავი ხი მაშინ იწერება, როდესაც პირველის კორექტურა უკვე სწორდება. თვითონ განსაჯე, ბოტკინ: ამას რა ეშმაკი გასწვდება? ხანდახან წერილსაც კი უნდა გადახედო, ზოგი რამ წაშალო და გადაწერო იმისათვის, რომ იგი უფრო დალაგებული გამოვიდეს. „ოტენჩესტვენნიე ზაპისკის“ № 3-ში ნახვე ჩემს სტატიას—ნამდვილი საშინელება! გეთაყვა, ნუ გამლანძღავ,—თვითონ ვიცი, რომ საძაგლობაა. ვგრძნობ. რომ მე არა ვარ ლოგიკური, სისტემატური აზროვნების პატრონი, ხოლო ხელი მოვკიდე ისეთ საქმეს. რომელიც უსასტიკეს თანმიმდევრობას, მეთოდსა და ბტკიცე აზროვნებას მოითხოვს. კატკოვმა დამიტოვა თავისი რვეულები—იქიდან მთლიანად ვიღებდი ადგილებს და ჩემს სტატიაში შემეჭონდა. ლირიკული პოეზიის შესახებ თითქმის ყველაფერი მისია—სიტყვა-სიტყვით. რაღაც ტლანქი და აკრელებული რამ გამოვიდა. თუმცა, რა! თუ პოეზიის თეორიას ვერ შევქმნი, სამაგიეროდ მოვკლავ ძველ თეორიებს, სულს გავაფრთხობინებ ჩვენს რიტორიკებს, პიიტეებსა და ესთეტიკებს,—განა ეს

სახეპარო საქმეა? და ამიტომ ხალხით ვალანძვინებ ჩემს პატიოსან სახელს. მაგრამ აი რა არის საწყენი: იმ ზომამდე, რომ ერთ ღამეს ცუდად მეძინა; ღორმა, გაუთლელმა სემინარიელმა ნიკიტენკომ (სხვანაირად ოსლენკომ) ორი საუკეთესო ადგილი ამოშიშალა: ერთი ტრაგედიის შესახებ; ამოგაწერ ამ ადგილს. მას შემდეგ რაც ვსტყუი „რომეოსა და ანულიას“ შესახებ და ჩემს ტყუილს ვამთავრებ სიტყვებით: „ო, ვაგლახ. ვაგლახ, ვაგლახ!“—ამის შემდეგ აი რას წაიკითხავდი სტატიაში. ის ჩემგან ხშირად დაწყევლილი პოდლენკო რომ არ ყოფილიყო: „ჩვენს აღშფოთებას იწვევს მაკეტის დანაშაული და დემონური ბუნება მისი ცოლისა; მაგრამ პირველს თუ ჰკითხავდნენ, როგორ ჩაიდინე შენი ავაზაკური საქციელიო, იგი, ალბათ, მზუგებდა: „მე თვითონაც არ ვიციო“; ხოლო მეორეს თუ ჰკითხავდნენ, ასეთ არაადამიანურ-საზარტელ ქმნილებად რათა ხარ გაჩენილიო, იგი, ალბათ, მიუგებდა: ამის შესახებ იმდენივე ვიცი, რამდენიც შემკითხველებმა, და თუ ჩემს ბუნებას მივდევი—ეს იმიტომ, რომ სხვა ბუნება არა მქონდაო... აჰ საკითხები. რომლებიც მხოლოდ სკედილის შემდეგ სწყდება, აი სამეფო ბედისწერისა, აი სფერო ტრაგედიისა!.. რიჩარდ II ჩვენში მის მიმართ მტრულ გრძნობას იწვევს თავისი საქციელით, რაც მეფისათვის დამამცირებელია. მაგრამ აი, ბოლინბროკმა მას გვირგვინი წაართვა—და მეფე, რომელიც უღირსი იყო, ვიდრე მეფობდა, დიდი მეფე ხდება, როცა სამეფოს ჰკარგავს. მას იპყრობს შეგნება თავისი წოდების სიღიადისა, თავისი მირონცხების სიწმინდისა, თავისი უფლებების კანონიერებისა,—და მის ბაგეთაგან ნიაღვარივით მოედინება დიადი აზრებით აღსავსე ბრძნული სიტყვები. ხოლო მისი მოქმედება ამჟღავნებს დიად სულსა და მეფურ ღირსებას. თქვენ უკვე არა მარტო პატივსა სცემთ მას—თქვენ მისდამი მოწიწება გიძყრობთ; თქვენ უკვე არა მარტო გებრალემათ იგი — გული შეგტივით მასთვის. ბედნიერების უამს არარაობა, უბედურების უამს დიადი—იგი გმირია თქვენს თვალში. მაგრამ თავისი სულის ბოული ძალები რომ გამოევილინებინა, გმირი რომ გამხდა-

რიყო, მას უნდა დაეცალა უბედურების ფიალა და დაღუპულიყო... რა წინააღმდეგობაა, და რა მდიდარი მასალაა ტრაგედისათვის, მაშასადამე, თქვენთვის დიდი სიამის მომგვრელი რა დაუშრეტელი წყაროს!..“⁸

მეორე ადგილი შეეხება „ვაი ჭკუისაგანს“: იქ მე ვაძბობდი; რუსეთის სინამდვილე საზიზღარია, და გრიბოედოვის კომედია ამ სინამდვილისათვის სიფათში გაწული სილა იყო-მეთქი.

ახლა კი გიპასუხებ ხარკოვიდან გამოგზავნილ 22 იანვრის წერილზე (მე წესიერი კაცი ვარ). იცი რა: შენს გულში ვკითხვლობ 700 და 1500 ვერსის მანძილზე: მე ვიცოდი, თუ რა ფანტაზიებით წახვედი ხარკოვში და რა იმედგაცრუებულ დაბრუნდი იქიდან, მაშასადამე, შენს წერილში ამ მხრივ ჩემთვის ახალი არაფერია. ეშმაკმა უწყის, — ალბათ. ან ჩვენა ვართ წამხდარნი, ანდა პოეზია ტყუილ ცხოვრების შესახებ, ცილსა სწამებს სინამდვილეს... მაგრამ სს! ჩუმაღ!.. იცი რა: მე ხომ შენზე კიდევ უფრო სასაცილო ვარ. როდესაც ვმსჯელობ ამ ქალაქზე, რომელიც მდინარეების ხარკოვისა და ლოვატის ნაპირას დგას (რომლებიც ერთიან მდინარე უღის, ხოლო ეს კიდევ — დონეცს; იხ. რუსეთის იმპერიის მიწაწყლის მოკლე აღწერა, გვ. 109); მე ხომ არც კი მინახავს ის, ამავე დროს კი შემძლია ვთქვა ჩრდილოეთის განედის რომელ გრადუსზე მდებარეობს ის და რა არის იქ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი... მაგრამ სს! ჩუმაღ! ჩუმაღ!..“ თუძცა. ორიენი კაი შვილები ვართ, და როდესაც შევხვდებით, ერთმანეთი გავამასხარათ. ამავე დროს კი ყოველივე ეს ადვილი გასაგებია: საშინლად მოსაწყენია მართლაც ცხოვრება. იმისათვის, რომ რაიმე ვაკეთო და არ ვიტანჯო მთელი დღეები შინ უნდა ვიჯდე; არა და, როდესაც საღამოს შინ ვბრუნდები და ჩემი ბინის ჩაბნელებულ ფანჯრებს ვუყურებ. ჩემში ვგრძნობ გოდებასა და კბილთა ღრქენას... საშინელი საზიზღრობაა ადამიანის ცხოვრება!..

3. 3. ბოტკინს. 27 — 28 ივნისი 1841

(ნაწყვეტი)

სპ. 1841, ივნისის 27¹

ჩემო ძვირფასო ვასილ², დიდი ხანია შენთვის აღარ მომიწერია და შენგან აღარ მიმიღია წერილები. 700 ვერსზე ჩვენ გვესმის ერთიმეორისა, როგორც ორიოდ ნაბიჯზე, და ამიტომ პრეტენზიას არ ვაცხადებთ სიჩუმეზე. მახსოვს, ერთხელ როგორღაც მწერდი, რომ ჩვენი მეგობრობა გვაძლევს იმას, რასაც საზოგადოება ვერასოდეს ვერ მოგვეცემდაო: დიდი უსამართლო აზრი და აშკარა სიცრუეა! ვაგლახ, ჩემო მეგობარო: თუ არ არის საზოგადოება, არ არის არც მეგობრობა. არც სიყვარული, არც სულიერი ინტერესები, არამედ არის მხოლოდ მისწრაფება ყოველივე ამისაკენ, მისწრაფება უწონსწორო, უძლური, წარუმატებელი, ავადმყოფური, უქში. მთელი ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ურთიერთობა ამ მწარე ჭეშმარიტების საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია. საზოგადოება ცხოვრობს გარკვეული რაოდენობის გარკვეული პრინციპებით, რომლებიც არსებითად მისი თითოეული წევრის ნიადაგი, ჰაერი, საზრდო და სიმდიდრეა და რომლებიც მისი თითოეული წევრის კონკრეტულ ცოდნასა და კონკრეტულ სიცოცხლეს შეადგენენ. კაცობრიობა აბსტრაქტული ნიადაგია ინდივიდუუმის სულის განსავითარებლად, ხოლო ჩვენ ყველანი ამ აბსტრაქტულ ნიადაგზე გავჩნდით, ჩვენ, უბედური ანახარსისნი ახალი სკეითისა³. ამიტომ არის, რომ ჩვენ ვამტყნაობთ. ვჯახირობთ, ვფუსფუსებთ, ყველაფერი გვინტერესებს და ვერაფერს ხელს ვერ ვკიდებთ, ყველაფერს ვნთქავთ და ვერაფრით ვერ ვძლებით. ძლიერი⁴, მაგრამ, საუბედუროდ, სწორი შედარებაა: სულიერი საზრდო, რომელსაც ჩვენ განურჩევლად ვნთქავთ, იქცევა არა ჩვენს ხორცად და სისხლად, არამედ წმინდა, სუფთა ექსკრემენტად. ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, გვიყვარს მხურვალედ და ღრმად—ამაში დარწმუნებული ვარ მთელი ჩემი სულის ძალით; მაგრამ რო-

გორ ვლინდებოდა და ვლინდება ჩვენი მეგობრობა? ჩვენ აღტაცებული და აღფრთოვანებული ვიყავით ერთმანეთით— ჩვენ გეძულდა ერთმანეთი, ჩვენ გაკვირვებული ვიყავით ერთმანეთით, ჩვენ გვეზიზღებოდა ერთმანეთი—ჩვენ ვლალატობდით ერთმანეთს, ჩვენ სიძულვილით და ცოფიანი გაბორბლებით ვუყურებდით ყოველ ადამიანს, ვინც მართებულად არ ეპყრობოდა რომელიმე ჩვენიანს, და ჩვენ ზურგს უკან ვლანძღავდით და ვაძაგებდით ერთმანეთს სხვების წინაშე, ჩვენ ვიჩხუბებდით, და შევრიგდებოდით ხოლმე, შევრიგდებოდით და ვიჩხუბებდით; ხანგრძლივი განშორების უამს ჩვენ ეჭვითინებდით და ვლოცულობდით. როგორც კი შეხვედრის აზრს გულში გავივლებდით, ერთმანეთის საცუვარულით ვდნებოდით და ვილეოდით, ხოლო ვიკრიბებოდით და ერთმანეთს ვხვდებოდით ცივად, მძიმედ განვიციდით ურთიერთ შეხვედრას და ერთმანეთს დაუნანებლად განვშორდებოდით ხოლმე. როგორც გენებოს, მაგრამ ეს ასეა. დროა ხელი ავიღოთ საკუთარი თავის მოტყუებაზე, დროა პირდაპირ, ორივე თვალთ, თვალის მოუჭუტავად და უყალთაბანდოდ ვუცქიროთ სინამდვილეს. ვგრძნობ, რომ მე მართალი ვარ. რადგან ამ ჩვენი მეგობრობის სურათში არც მისი ქვეშაობა, მშვენიერი მხარე დამიხატავს მუქი ფერებით. ახლა შეხედე ჩვენს სიყვარულს: რა არის ეს? ეს ყველასათვის სიხარული, ნეტარება და სიცოცხლის მშვენიერი ყვავილია; ჩვენთვის ეს ჯაფა, მუშაობა და მძიმე ნაღველია. ყველგან ვხედავთ მდიდარ და დიდებულ ფანტაზიას. მაგრამ ყველაფერში მოჩანს უბადრუკობა და სიღატაკე სინამდვილისა. ჩვენი სწავლული პროფესორები პედანტები არიან, საზოგადოების დამპალ ნაწილს შეადგენენ; მცირემცოდნი ვაჭარი პოლევოი ბიძგს აძლევს საზოგადოებას. ეპოქას ჰქმნის მის ლიტერატურასა და ცხოვრებაში. შემდეგ კი უცებ სრულიად უმიზეზოდ სამარცხვინოდ ლპება და ჰყარს⁹. არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება ჩემი თავიც მოვიხსენიო აქ. მაგრამ ჩემზეც ხომ ამბობენ, მე ბევრი მიცნობს ისეთი. ვისაც მე არ ვცნობ; მე, როგორც შენ თვითონ მეუბნებოდი უკანასკნელი შეხვედრის დროს.

რუსეთის ცხოვრების ფაქტი ვარ. მაგრამ შეხედე, რა მახინჯი, რა საშინელი ფაქტია ეს! მე გოეთე და შილერი მესმის იმათზე უკეთესად, რომლებმაც ისინი ზეპირად იცოდნენ, გერმანული კი არ ვიცი; მე ვწერ (და ზოგჯერ რიგიანადაც) კაცობრიობაზე, ხოლო ისიც კი არ ვიცი, რაც კაიდანოვმა იცის. მაშ, ბრალი დავდო თუ არა ჩემს თავს? ო, არა, ათასჯერ არა! მე გგონია, მე რომ მქონოდა თავისუფლება თუნდაც ათი წელიწადი მემუშავნა საზოგადოებისათვის,—ხოლო შემდეგ, თანახმა ვარ, თუნდაც ჩამომახრჩონ,—მე, შესაძლოა, სამ წელიწადში დავცბრუნებდი ჩემს დაკარგულ სიყმაწვილეს—შევისწავლიდი არა მარტო გერმანულს, არამედ ბერძნულსა და ლათინურსაც, შევიძენდი საფუძვლიან ცოდნას, შევიყვარებდი შრომას, ვპოვებდი ნებისყოფის ძალას. დიახ, ხანდახან ღრმად ვგრძნობ, რომ ეს არის ჩემი მოწოდების ნათელი შეგნება და არა ხმა წვრილმანი თავმოყვარეობისა, რომელიც თავისი სიზარმაცის, აპათიის, სუსტი ნებისყოფის, უმწეო და უსუსური ბუნების გამართლებას ცდილობს. ახლა შენზე ვთქვათ. შენ ხშირად ამბობდი, არ შემიძლია წერა, რადგან საამისო მოწოდება არა მაქვსო. მაგრამ რატომ სწერ და თანაც ისე, როგორც ცოტანი სწერენ? არა, შენ ყველაფერი გაქვს ამისათვის, ყველაფერი, გარდა ძალ-ღონისა და ბეჯითობისა, რომლებიც არა გაქვს იმიტომ, რომ არ არის ის, ვისთვისაც უნდა სწერო: შენ არა გრძნობ შენს თავს საზოგადოებაში, რადგან საზოგადოება არ არსებობს. შენ იტყვი, მაშ რატომ—ლა ვწერ მე, თუმცა მეც არა ვგრძნობ თავს საზოგადოებაში? იცი რა: მე დიდი თავმოყვარეობა მაქვს, რომელიც გამოსავალს დაეძებდა; მე ბუნდოვნად მესმოდა, რომ სამეფო სამსახურისათვის არ გამოვდგები, არც მეცნიერად, და რომ ერთი გზა დამრჩენია. მე რომ შენსავით უზრუნველყოფილი და თანაც შენსავით მიჯაჭვული ვიყო რომელიმე გარეშე საქმეზე. მეც იშვიათად დავესხმოდი თავს ეურნალებს; მაგრამ სიღარიბემ ჩემში განაუთარა ქალაქის ჯღაბნის ენერგია და მაიძულა შემეტოპა და ყელამდე ჩავფლულიყავ რუსული სიტყვიერების აყროლებულ წუმბეში. მე რომ მქონოდა 5000 წლიური

და უშრომელი შემოსავალი,—მაშინ რუსეთის ცხოვრებაში ერთი ფაქტით ნაკლები იქნებოდა. ამრიგად, ხომ ხედავ, — თავსატეხი არაფერი ყოფილა. ყოველივე ამის თავი და ბოლო ერთი რამ არის: ჩვენ ობლები ვართ, ცუდად აღზრდილნი, ჩვენ ვართ ადამიანები, რომელთაც არა აქვთ სამშობლო, და ამიტომაც ჩვენ, თუშეცა კარგი ადამიანები ვართ, მაგრამ მაინც არც ღვთისა ვართ და არც ეშმაკისა, და ამიტომაც იშვიათად ვწერთ ერთიმეორეს. ან კი რაზე უნდა ვწეროთ? არჩვენებზე? — მაგრამ ჩვენში არის მხოლოდ სათავადაზნაურო არჩვენები, ხოლო ეს უკაცრაული საგანი უფროა, ვიდრე საინტერესო. სამინისტროზე? — მაგრამ მასაც არა ესაქმება — რა ჩვენთან და არც ჩვენ მასთან, თანაც იქ უვაროვი ზის მართლმადიდებლობით, თვითმპყრობელობითა და ხალხურობით (ე. ი. წანდილით, მათრახითა და უწაწური ლანძღვა-გინებებით)?; მრეწველობის, ადმინისტრაციის, საზოგადოებრიობის მოძრაობაზე, ლიტერატურასა და მეცნიერებაზე? — მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ისინი. ჩვენს თავზე? — მაგრამ ჩვენ უკვე ზეპირად დავისწავლეთ ჩვენი ტანჯვა-წამება და საშინლად მოვაბუზრეთ ვით თავი ერთმანეთს. ამრიგად, ერთი რამ რჩება: ვისურვოთ მოვეკდეთ რაც შეიძლება მალე. ეს ყველას სჯობს. მაგრამ, ჯერჯერობით მშვიდობით. თვალები მებლიტება — მეძინება.

იენისის 28

კვლავ გამარჯვება, ბოტკინ⁸. რარიგად გამოცვლილა შენი ძმა — ველარ იცნობ. სადღაა ეს აპათიური, ბილიარდული გამომეტყველება სახისა, სადღაა უსიცოცხლო, მძინარა თვალები? იცი რა: აღმაფრთოვანა მისმა სახემ, — როდენი კეთილშობილება და ადამიანობაა მასში, განსაკუთრებით თვალებში, რაც თითქოს შენგან მოუპარავსო. მისი ხმა და მანერები რაღაც სინაზითა და შემპარაობით განირჩევა, რაც შენ გახასიათებს ხოლმე, როდესაც კარგ გუნებაზე ხარ. დიახ, 19. ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

ეს არის გარდაქმნა, სულის სასწაული, რომელიც ჩემი თვალთ ვნახე⁹.

შენ რჩევით შევიძინე და წავიკითხე დესტუნისის პლუტარქე. ამ წიგნმა გამაგიჟა. ღმერთო ჩემო, კიდევ რამდენი სიცოცხლე იფარება ჩემში, სიცოცხლე, რომელიც ტყუილუბრალოდ უნდა დაიღუპოს! ძველი დროის ყველა გმირთაგან სამმა დაიმსახურა მთელი ჩემი სიყვარული, თავყანისცემა და ენთუზიაზმი—ტიმოლეონმა და გრაკებმა. კატონის (უტიკელის და არა პირუტყვ კატონ უფროსის) ბიოგრაფიამ ტრაგედის პირქუში სიდიადის სურნელება მაგრძნობინა: რა უაღრესად კეთილშობილი პიროვნებაა. პერიკლეს და ალკიბიადეს გაკვირვებისა და აღტაცების სრული და უხვი ხარკი გადაუხადე. კეისარზე რაღას იტყვიო?—შემეკითხები. ვაგლახ, ჩემო მეგობარო, მე ახლა მომხიბლა ერთმა იდეამ, რომელმაც მთელი ჩემი არსებით შემიპყრო და გამიტაცა. შენ იცი, რომ მე არ მიწერია ჭეშმარიტების ცენტრში მოხვედრა, საიდანაც თანაბარ მანძილზე მოჩანს მისი წრის ყველა განაპირა წერტილი; არა, მე როგორღაც ყოველთვის ყველაზე განაპირა ადგილას აღმოვჩნდები ხოლმე. ახლაც ასეა: მე მთლიანად გატაცებული ვარ სამოქალაქო ჭველობის იდეით, სიმართლისა და პატიოსნების პათოსით, და მათ გვერდით ნაკლებად ვამჩნევ რაიმე სიდიადეს. ახლა მიხვდები, თუ რატომ დაჩრდილეს ჩემს თვალში კეისარიც და მაკედონელიც ტიმოლეონმა, გრაკებმა და კატონ უტიკელმა (და არა წითურმა პირუტყვმა კატონ უფროსმა). მე გამივითარდა რაღაც ველური, შმაგი, ფანატიკური სიყვარული ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, რაც შესაძლებელია მხოლოდ სიმართლესა და ჭველობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. პლუტარქეს კითხვას რომ ვიწყობდი, ვფიქრობდი, ჩემს თვალში ბერძენები რომაელებს დაჩრდილავენ-მეთქი,—ასე არ გამოვიდა. პერიკლეთი და ალკიბიადეთი უზომოდ აღტაცებული ვიყავი, მაგრამ ტიმოლეონმა და ფოკიონმა (ამ ბერძენ-რომაელებმა) თავიანთი მკაცრი კოლოსალობით დაჩრდილეს ჩემს თვალში მშვენი-

ერი და ტურფა სახეები ათენელთა წარმომადგენლებისა. მაგრამ რომაელთა ბიოგრაფიებს რომ ვკითხულობდი, ჩემი სული ოკეანეში დაცურავდა. პლუტარქეს საშუალებით ბევრი რამ გავიგე, რაც არ მესმოდა. საბერძნეთისა და რომის ნიადაგზე აღმოცენდა უახლესი კაცობრიობა. საბერძნეთი და რომი რომ არ ყოფილიყო, შუა საუკუნეები ვერაფერს გააკეთებდნენ. ჩემთვის გასაგები გახდა საფრანგეთის რევოლუციაც და მისი რომაული ზარ-ზეიმიც, რასაც წინათ დავცინობდი. გასაგები გახდა მარატის სისხლიანი სიყვარულიც თავისუფლებისადმი, მისი სისხლიანი სიძულვილი ყოველივე იმის მიმართ, რასაც უნდოდა კაცობრიობასთან ძმობას თუნდაც ღერბიანი ეტლით გამოჰყოფოდა. მომხიბლავია ძველი სამყარო. მის ცხოვრებაში არის მარცვალ ყოველივე დიადი, კეთილშობილისა, ქველისა, იმიტომ რომ მისი ცხოვრებას საფუძველია პიროვნების სიამაყე, პირადი ღირსების ხელშეუხებლობა. დიახ, ბერძნული და ლათინური ენები უნდა იყოს ქვაკუთხედი ყოველგვარი განათლებისა, საძირკველი სკოლებისა.

უცნაური ამბავია¹⁰: ჩემი ცხოვრება თვითონ აპათია, მთქნარება, ზარმაცობა, დამღვარი ჭაობია, მაგრამ ამ ჭაობის ფსკერზე ცეცხლის ზღვა გიზგიზებს. მე მუდამ მეშინოდა, რომ წელთა სრბოლაში მოვეკვდებოდი,—პირიქით გამოვლს. მე ყველაფერზე გული გამიტყდა. არაფერი არა მწამს, არაფერი და არავინ არ მიყვარს. და მაინც პროზაული ცხოვრების ინტერესები სულ უფრო და უფრო ნაკლებად მიზიდავს, და მე სულ უფრო და უფრო მეტად ვხდები მსოფლიოს მოქალაქე. სიყვარულის შმაგი წყურვილი სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლება ჩემს არსებას, სევდა უფრო მძიმდება და მაგრად მკიდებს ხელს. ეს ჩემია. და მხოლოდ ის არის ჩემი. მაგრამ მე ძალიან მაინტერესებს არა ჩემიც. ადამიანის პიროვნება იქცა იმ პუნქტად, რომელზეც მეშინია ჭკუიდან არ შევიშალო. ჩემში ფეხს იკიდებს მარატისებური სიყვარული კაცობრიობისადმი: იმისათვის, რომ ბედნიერი გავხადო კაცობრიობის სულ მცირე ნაწილი, მე, მგონი,

ცეცხლითა და მახვილით გავანადგურებდი დანარჩენ ნაწილს. რა უფლება აქვს ჩემს: მსგავს ადამიანს დადგუს კაცობრიობაზე მალა, გამოეყოს მას რკინის გვირგვინითა და ზეწამული მანტიით, [რომელზეც, როგორც ჩვენი საუკუნის ტიბერიუსს გრაკსმა—შილერმა სთქვა, პირველი კაცისმკვლელის სისხლი მოჩანს?]¹¹. რა უფლება აქვს მას დამამცირებელი ძრწოლა ჩამაგონოს? რატომ უნდა მოვიხადო ქუდი მის წინაშე? [ვგრძნობ: მეფე რომ ვყოფილიყავ, უთუოდ ტირანი გავხდებოდი. მეფედ შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ღმერთი, ვნებათუქონელი და ყოვლისმცოდნე]. შეხედე საუკეთესოებს იმათგან: [რა საძაგლები არიან, თუნდაც თვით ალექსანდრე ფილიპეს-ძე¹², როდესაც მათი ეგოიზმი ამოძრავდებოდა]—ადამიანის სიცოცხლე და ბედნიერება მათ არად მიაჩნიათ. ჰეგელი ოცნებობდა კონსტიტუციურ მონარქიაზე, როგორც სახელმწიფოს იდეალზე—რა ვიწრო ცნებაა! [არა, მონარქები არ უნდა იყვნენ, რადგან მონარქი არ არის ძმა, იგი ყოველთვის გამოეყოფა მათ თუნდაც ცალიერი ეტიკეტით. მას ყოველთვის მდაბლად დაუკრავენ თავს თუნდაც ფორმისათვის]. ადამიანები უნდა იყვნენ ძმები, და რაიმე გარეგანი და ფორმალური უპირატესობის აჩრდილითაც კი არ უნდა შეურაცხყოფდნენ ერთმანეთს. რა დიდებულია ძველი დროის ეს ორი ხალხი, რომელთაც გაჩენისას თან დაჰყვათ ესეთი ცნება! რა დიდებულნი არიან ფრანგები, რომლებიც გერმანული ფილოსოფიის დაუხმარებლად მიხვდნენ იმას, რასაც გერმანული ფილოსოფია ახლაც ვერ მიხვდარა! ეშმაკმა დალახვროს, სენსიმონისტებს უნდა გავეცნო. მე ქალს იმათი თვალებით ვუცქერი. ქალი მსხვერპლია, მხევალია უახლესი საზოგადოებისა...

3. 3. ბოტკინს. 8 სექტემბერი 1841

სპ. 1841, სექტემბრის 8¹

უკვე დიდი ხანია გწერდი და შენგან კი წერილები არ მიმიღია, ჩემო ძვირფასო ვასილ. ამის მიზეზები ნათელია: ხან გუნებაზე არა ხარ, ხანაც არა გცალიან, აი ხვალ, აი იმ კვი-

რაშიო — ფიქრობ, დღეს გეზარება, გუშინ კი "მეუძლოდ იყავი და ა. შ. მაშასადამე, ყოველგვარი მობოდიშება — გაცვეთილი აზრია, რომლის განმეორება საჭიროც არ არის. მაგრამ აი ეს კი ახალი ამბავი და სრულიად ახალი აზრია: შენ როგორღაც შენს მელოტ თავში ჩაიჭედე ის აზრი, რომ მე შენს მიმართ გულგრილი გავხდი. ბოტკინ—პირველადი გადიწერე—აბა რას ამბობ, ქრისტე იყოს შენი მფარველი! შენ ავად ხარ, მეგობარო! და ცუდ სიზმრებს ხედავ. ნუ დაუჯერებ შეშფოთებული წარმოსახვის ამ ყალბ მოჩვენებებს, — თავიდან მოიშორე ისინი, თორემ ისინი ხელს ჩაგჭიდებენ. მე ვიცი შენი წერილების სტრიქონებს შორის დაფარული აზრის ამოკითხვა, და ამიტომაც როგორღაც უშუალოდ შეხვდები რაღაც ამის მსგავსს შენს 18 ივლისის წერილში, რომელშიაც მადლობას მიხდი ჩემი ბარათისათვის და ამბობ: მხოლოდ არ მეამა ის, რომ შენ იგონებ ჩვენს ძველ კინკლაობას, რაც ჩვენი ცხოვრების შავბნელ დროს ეკუთვნისო? შენ სხვანაირად გაიგე ჩემს მიერ ძველი კინკლაობის გახსენება—შენ ეს ისე მიიღე, როგორც საყვედური წარსულისათვის. ამაში, ამ წარსულში, ბევრი სისაძაგლეა, ბოტკინ,—არა ვდავობ; მაგრამ მისი დავიწყება შეუძლებელია, რადგან მასთან მჭიდროდ დაკავშირებულია ყოველივე კარგიც, რაც ჩვენს ცხოვრებაში იყო და რაც სამარადისოდ წმინდაა ჩვენთვის. საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ არც ერთ ჩვენგანს არ შეუძლია ამ სისაძაგლის მეტი წილით დაიკვებნოს ან მის გამო თავის თავს უსაყვედუროს; რადგანობა ორივე მხრიდან თანაბარია, და ჩვენ არ შეგვიძლია გვეშურდეს ან გვრცხვენოდეს ერთიმეორისა. მაგრამ მე ამაზე კი არ გწერდი და ამის თქმა კი არ მინდოდა; შენ სხვანაირად გაიგე ჩემი აზრი. შევეცდები ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიო ეს გარემოება, რომ ამან მეტად აღარ შეგაწუხოს. შენ იცნობ ჩემს ბუნებას: იგი მუდამ უკიდურესობებში იმყოფება და არასოდეს იღდის ცენტრში არა ხდება. მე გაჭირვებულა და ტკივილით ვეთხოვები ძველ იდეას, სასტიკად უარ-

ყვოფ მძას, ხოლო ახალ იდეაში პროზელიტის მთელი ფანატიზმით გადავდივარ ხოლმე. ამრიგად, ახლა ახალ უკიდურესობაში ვარ,—ეს არის სოციალიზმის იდეა, რომელიც ჩემთვის განდა იდეათა იდეა, ყოფიერების ყოფიერება, საკითხთა საკითხი, რწმენისა და ცოდნის აღფა და ომეგა. ყველაფერი მისგან გამომდინარეობს, მისთვის არსებობს და მას ელტვის. ის არის საკითხი და საკითხის გადაწყვეტა. მან (ჩემთვის) შთანთქა ისტორიაც, რელიგიაც, ფილოსოფიაც. და ამიტომაც ახლა ამ იდეით ვხსნი ცხოვრებას ჩემსას, შენსას და ყველა იმისას, ვისაც ვხვდებოდი ცხოვრებისაქენ მიმავალ გზაზე. ხელავ თუ არა: ჩვენ ერთმანეთს ვმეგობრობდით, წავეჩხუბებოდით და შევირგდებოდით ხოლმე, ისევ წავეჩხუბებოდით და კვლავ შევირგდებოდით, ურთიერთს ვმტრობდით, გაშმაგებით გვიყვარდა ერთმანეთი, ვცხოვრობდით, განგვიცდია სიყვარული,—თეორიის მიხედვით, წიგნის მიხედვით, უშუალოდ და შეგნებულად. აი ეს არის, ჩემი აზრით, ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენი ურთიერთობის ყალბი მხარე. მაგრამ ჩვენს თავს უნდა დავდოთ თუ არა ამაში ბრალი? და ჩვენ ბრალსა ვდებდით საკუთარ თავს, ვფიცულობდით, ვიწყევლებოდით, ხოლო უკეთესი არ იყო, არ არის და არც იქნება. ჩვენი საყვარელი (და გონივრული) ოცნება მუდამ ის იყო, რომ სინამდვილემდე აგვემალღებინა მთელი ჩვენი ცხოვრება, ხოლო, მაშასადამე, ჩვენი ურთიერთობაც. და რა გამოვიდა! ოცნება ოცნება იყო და იმადვე დარჩება; ჩვენ მზოჩვენებანი ვიყავით და მოჩვენებებად მოკვდებით, მაგრამ ამაში ჩვენ არა ვართ დამნაშავე, და ჩვენ არაფერი გვაქვს ისეთი, რაშიაც შეგვეძლოს ჩვენს თავს ბრალი დავდოთ. სინამდვილე ნიადაგზე წარმოიშობა ხოლმე, ხოლო ყოველგვარი სინამდვილის ნიადაგი საზოგადოებაა. ზოგადი განსაკუთრებულისა და ინდივიდუალურის გარეშე ნამდვილია მხოლოდ წმინდა აზროვნებაში, ხოლო ცოცხალ, ხილულ სინამდვილეში ის ონანისტური, მკვდარი ოცნებაა. ადამიანი—დიადი სიტყვა და დიადი საქმეა, მაგრამ მაშინ, როდესაც ის არის ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი, რუსი. ხოლო

რუსები ვართ თუ არა ჩვენ?.. არა, საზოგადოება ჩვენ ისე გვიცქერის, როგორც თავის სხეულზე გაჩენილ მტკივნეულ ხორცმეტებს; ხოლო ჩვენ საზოგადოებას ისე ვუცქერით, როგორც მყრალი ნეხვის გროვას. საზოგადოება მართალია, ჩვენ კიდევ უფრო მართალნი ვართ. საზოგადოება ცხოვრობს განსაზღვრულ რწმენათა განსაზღვრული ჯამით, რომლებშიაც ყველა მისი წევრი ერთიანდება, როგორც მზის სხივები ასანთები მინის ფოკუსში, და ყველა წევრს უსიტყვოდ ესმის ერთმანეთისა. აი რატომ არის, რომ საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში აღამიანებს, რომელთაც ერთმანეთი არასოდეს არ უნახავთ და ერთიმეორისათვის უცხონი არიან, შეუძლიათ შეიგნონ თავიანთი ნათესაობა, ერთმანეთს გადაეხვიონ და იტირონ: ზოგიერთ მათგანს—მოედანზე, ადამიანობის უფლებისათვის დესპოტიზმის წინააღმდეგ აჯანყების უამს, ზოგს—თუნდაც პურის საკითხში, ზოგს—შიღერის ძეგლის გახსნის დროს. მიზნის გარეშე არ არის მოქმედება, ინტერესების გარეშე არ არის მიზანი, ხოლო მოქმედების [გარეშე] არ არის სიცოცხლე. ინტერესების, მიზნებისა და მოქმედების წყარო საზოგადოებრივი ცხოვრების სუბსტანციაა. ცხადია თუ არა, ლოგიკურია თუ არა, სწორია თუ არა? ჩვენ ვართ აღამიანები. რომლებსაც სამშობლო არა გვაქვს,—არა, უფრო უარესნი, ვიდრე ისინი, ვისაც სამშობლო არა აქვს: ჩვენ ვართ აღამიანები, რომელთა სამშობლო მოჩვენებაა,—და განა საკვირველია, რომ ჩვენ თვითონ მოჩვენებანი ვართ, რომ ჩვენი მეგობრობა, ჩვენი სიყვარული, ჩვენი მისწრაფებანი, ჩვენი მოქმედება—მოჩვენებაა. ბოტკინ, შენ გიყვარდა, და შენი სიყვარული უშედეგოდ დამთავრდა¹. ეს ჩემი სიყვარულის ისტორიაა არის². სტანკევიჩი ბუნებით ორივე ჩვენგანზე მაღლა იდგა, — და იგივე ისტორია შეემთხვა³. არა, ჩვენ არ გვიწერია სიყვარული, არ გვიწერია ვიყოთ მეუღლენი და ოჯახის უფროსები. არიან აღამიანები, რომელთა ცხოვრება არავითარი ფორმით არ შეიძლება გამოვლინდეს, იმიტომ რომ ყოველგვარ შინაარსს მოკლებულია; ჩვენ კი ისეთი აღამიანები ვართ, რომელთა

ცხოვრების თვალუწვდენელი შინაარსისათვის არც საზოგადოებას და არც დროს მზამზარეული ფორმები არა აქვს. მე ჩვენი წრის გარეთაც შემხვედრიან მშვენიერი ადამიანები, რომლებიც ჩვენზე უფრო ნამდვილნი არიან; მაგრამ არსად არ შემხვედრიან ადამიანები, რომლებიც შეპყრობილი ყოფილიყვნენ ისეთი დაუცხრომელი წყურვილით, ცხოვრების მიმართ ისეთი უდიდესი მოთხოვნებით, ისეთი თავდადების უნარით იდეის სასარგებლოდ, როგორც ჩვენ. აი რატომ არის, რომ ყოველივე ჩვენ გვეტანება და ჩვენს მახლობლად ყველაფერი იცვლება. უშინაარსო ფორმა—უხამსობაა, ხშირად საკმაოდ ლამაზი; უფორმო შინაარსი—სიმანჩინჯეა, რომელიც ხშირად კაცს ტრაგიკული სიდიადით აცვიფრებს, როგორც ძველი გერმანული სამყაროს მითოლოგია. მაგრამ ეს სიმანჩინჯე—რა დიდებულებიც უნდა იყოს ის—უფორმო შინაარსია, მაშასადამე, იგი არის არა სინამდვილე, არამედ მოჩვენებითობა. გადავდივარ ჩვენს მეგობრულ ურთიერთობაზე. გახსოვს: მე ხანდახან შენში სევდასა და მოწყენილობას ვიწვევდი ჩემს სიყვარულზე ლაპარაკით,—ხოლო ეს სიყვარული ზომ ხუმრობა და თვალთმაქცობა არ იყო (რადგანაც ახლაც კი მისი მხოლოდ მოგონებისას გული ტკივილით მეკუმშება), მასში ბევრი რამ იყო მშვენიერი და ადამიანური. მაგრამ განა მე ჩემს თავს ან შენ უნდა დაგდო ბრალი იმაში, რომ შენ ხანდახან გეზიზღებოდა ერთისა და იმავეს მოსმენა? არ ვიტყვი, რომ შენს ლაპარაკს მოწყენილი ვისმენდი-თქო, მაგრამ გამოგიტყდები და გეტყვი, რომ ხანდახან კი უგულოდ ვისმენდი მას; იმავე დროს კი პატივსა ვსცემდი შენს გრძნობას. რატომ ხდება ეს? იცი, რაშია საქმე, ჩემო კარგო: ჩვენ უშუალოდ მივხვდით, რომ ცხოვრებაში ჩვენთვის არ არის ცხოვრება, ხოლო რადგანაც, ჩვენი ბუნების გამო, ცხოვრების გარეშე სიცოცხლე ჩვენ არ შეგვეძლო, ამიტომაც მთელი არსებით გადავეშვიტ წიგნში და დავიწყეთ წიგნის მიხედვით ცხოვრება და სიყვარული, ცხოვრებიდან და სიყვარულიდან გავიჩინეთ საქმე, სამუშაო, საჯაფი და საზრუნავი. იმავე დროს ჩვენი ბუნება ყოველთვის ჩვენს ცნობი-

რებაზე მალა იდგა, და ამიტომაც ჩვენთვის ერთიმეორისაგან ერთისა და იმავეს მოსმენა მოსაწყენი და უხამსი ხდებოდა, და ჩვენ საშინლად მოვებუზრეთ თავი ერთმანეთს. მოწყენილობა იქცეოდა წყენად, წყენა—მტრობად, მტრობა—წაჩხუბებად. წაჩხუბება მუდამ წვიმა იყო ჩვენი ურთიერთობის მშრალი ნიადაგისათვის და ახალ და უძლიერეს სიყვარულს წარმოშობდა ხოლმე. მართლაცდა, წაჩხუბების შემდეგ ჩვენ როგორღაც ახალ და უფრო მხნე ადამიანებად ვიქცეოდით, თითქოს ახალი შინაარსის მარაგს ვქმნიდით, უფრო ჭკუიანები ვხდებოდით, და წაჩხუბება, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთს დავეშორებინეთ, კიდევ უფრო მკიდროდ გვაკავშირებდა ურთიერთთან. მაგრამ მარაგი მალე ილეოდა, და ჩვენ ისევ ძველს, ჩვენს პირად ინტერესებს ვუბრუნდებოდით, და ციურ მანანასავით გვწყუროდა ობიექტური ინტერესები; მაგრამ ეს ინტერესები არ იყო, და ჩვენ კვლავ ერჩებოდით მოჩვენებად. ხოლო ჩვენი ცხოვრება—ყოველგვარ განსაზღვრას მოკლებულ მშვენიერ შინაარსად. აი, რა მინდოდა მეტყვა შენთვის, და რა ვერ გაიგე შენ. მე ძველი გაეხსენე არა წყენის შედეგად და არა ჩივილის სახით, არამედ როგორც ძველი საგანი ახალი ცნობიერებისა. მე მინდოდა ჩვენი წინანდელი ურთიერთობისათვის არა უკმაყოფილების ჩრდილი მიმეყენებინა, არამედ ცნობიერების შემარიგებელი შუქი მომეფინა; მე მინდოდა არა შენი ან ჩემი გამტყუნება, არამედ გამართლება. გამოსავალის ძიებისას ჩვენ ხარბად დავეწაფეთ გერმანული მკვრეტელობის მომჯადოებელ სფეროს და ვფიქრობდით, ჩვენი გარემომცველი სინამდვილის გვერდით შეგვექმნა ჩვენთვის სითბოთი და სინათლით აღსავსე თვალწარმტაცი სამყარო შინაგანი ცხოვრებისა. ჩვენ არ გვესმოდა, რომ ეს შინაგანი, მკვრეტელობითი სუბიექტურობა შეადგენს გერმანული ეროვნების ობიექტურ ინტერესს, რომ ის გერმანელებისათვის იგივეა, რაც სოციალურობა ფრანგებისათვის. სინამდვილემ გამოგვაღვიძა და თვალი აგვიხილა ჩვენ, მაგრამ რასთვის?.. აჯობებდა სამუდამოდ დაეხუჭა მას ჩვენთვის თვალები, რათა არარა-

ობის ძილით დაეცხრო ცხოვრება[ს] მოწყურებული გულის
მშფოთუარე მისწრაფებანი...

უკანასკნელი და ცივი წყარო
დავიწყებისა, ეამთა სვლის ურვის,
ყველაზე ტკბილად და საამებლად
დააცხრობს კაცის გულისა წყურვილს... 7

ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, ბოტკინ. მაგრამ ჩვენი სიყვარული ცეცხლია, რომელმაც თვითონვე უნდა ჰკვებოს თავისი თავი, გარედან ხელის შეუწყობლად. ო, მას რომ გარეგანი საზოგადოებრივი ინტერესების ნავთი დაემატებოდეს! დიახ, მე ხშირად გულგრილი ვხდები შენს მიმართ, ხშირად და დიდ ხნით მავიწყდება შენი არსებობა, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი არსებობა მახსოვს მხოლოდ აპათიის, შიმშილისა და სიცივის, წყენისა და კბილთა ღრქენის მეოხებით. დამეთანხმე, რომ რაოდენ ძალიანაც უნდა გვიყვარდეს სხვა ვინმე, ჩვენი თავი მაინც ყველაზე მეტად გვიყვარს. მაშ, შეიძლება თუ არა მოვთხოვოთ სხვისი სიყვარული იმას, ვისაც თავისი თავი არ უყვარს?.. მაგრამ პირველი ნათელი წუთი სიყვარულისა და კავშირისა—და შენ პირველი ჩნდები აქ, ჩემთან—მე ვხედავ შენს მიმზიდველ ღიმილს, მესმის შენი ტკბილი ხმა, შენი შემპარავი, მსუბუქი, ქალური მანერები,—და შენ მომითხრობ „პიონერების“ შინაარსს, მჩხნი ბერძნულ მითებს ან მიაშობ ბანკალის პროცესს, შეკი გისმენ, ვერ ვძლები, გული შენკენ მოიწევს, თვალეებზე კი გაათტარების ცრემლები თრთის...⁶ გაიელვებს თუ არა თავში ახალი აზრი, შეიარხევიან თუ არა გულის სიმები ახალი შეგრძნებით,—მინდა შენ გადმოგცე ეს,—და რომ იცოდე, რამდენი აზრი და გრძნობა რჩება, რომლებიც ვერავისთვის ვერ გადამიცია, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ ჩემთან არა ხარ, რათა შემეძლოს ისინი მყისვე ახალთახალი გადმოგცე... მე მარტოკა არა ვარ, ეს მართალია; მე მყავს წრე, შემდგარი უაღრესად კეთილშობილი ადამიანებისაგან, რომლებიც სულითა და გულით მიყვარს და პატივსა ვსცემ და რომლებსაც,

შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად ვუყვარვარ და პატივსაცემენ მე, მაგრამ მე მარტოკა ვარ, იმიტომ რომ შენ ჩემთან არა ხარ...^o მაშინაც კი, როდესაც სიცოცხლის უაზრობით ვიტანჯები, როდესაც აპათიით შეპყრობილი ვწევარ ან დაღლივარ, როგორც კი ფანჯრიდან ფოსტალონს დავინახავ, გული აღტაცებით ამიძვრდება, გავრბივარ—და რომ იცოდე, რა საშინლად დამწყდება ხოლმე გული, როდესაც წერილი ჩემი არ არის ან შენგან გამოგზავნილი არ არის!.. დღეს კირიუშამ^u, როდესაც მარტოკა დავრჩით, რაღაც უცნაური სახით მომაწოდა შენი პორტრეტი,—მე სახე გამიბრწყინდა, გამოვცოცხლდი და—მაგრამ კმარა: კირიუშა დასცინოდა შენს უსაფუძვლო ეჭვებს. შენ კი, ო, მოსკოვეური სულსკვეთებით გაუღენთილო, შენ კი შეგეძლო გეფიქრა, რომ, იქნებ, შენი პორტრეტი არც კი მინდა!.. მაგრამ მე არ გიჯავრდება. პირიქით, ვაღიარებ ცოდვას (ო, ადამიანებო—ნაშობნო ნანგისანო!), ჩემთვის სასიამოვნოა, რომ შენ... მაგრამ სირცხვილია ფრაზის დაბთავრება—ვშიშობ გრძნობიერებაში არ გადავვარდე... შენთვის გამოსაგზავნი რამდენი წერილი მქონდა მოფიქრებული, და შესაძლებელი რომ ყოფილიყო მათი გამოგზავნა შენთვის, ხელში კალმის აუღებლად, რომლისგანაც ხელები მტკივა, მე რომ შეგეძლოს მოკლედ წერა,—არა ერთ მსურველად წერილს მიიღებდი ჩემგან ნიჟნიში. შენი პორტრეტი კარგი გამოსულა: ცოცხალივით ხარ ზედ გამოხატული—მთელი შენი არსება, შენი თვალები და სევდიანი, სასიყვარულოდ მოკუმული ტუჩები; საშინლად მინდოდა მეკოცნა, მაგრამ მე ველური ვარ (ან გავველურდი) გრძნობების მეტად ცხოვლად გამოვლინების მხრივ და კირიუშას თანდასწრებით ამის გაკეთება რატომღაც შემრცხვა.

სოციალურობა, სოციალურობა—ან სიკვდილი! აი ჩენი დევიზი. რას ვაქნევ იმას, რომ ცხოვრობს ზოგადი, როდესაც იტანჯება პიროვნება? რას ვაქნევ იმას, რომ დედამიწაზე გენიოსი ზეცაში ცხოვრობს, როდესაც ხალხი სიბინძურეშია ჩაფლული? რას ვაქნევ იმას, რომ მე მესმის იდეა, რომ ჩემთვის ღიაა იდეის საყვარო ხელოვნებაში, რელიგიაში, ის-

ტორიაში, როდესაც არ შემიძლია ეს გავუზიარო ყველას, ვინც ჩემი მოძმენი უნდა იყვნენ კაცობრიობის მხრივ, ჩემი მოყვასნი ქრისტეს მიერ, მაგრამ ვინც ჩემთვის უცხონი და თავიანთი უშეცრებით ჩემი მტრები არიან? რას ვაქნევ იმას, რომ რჩეულთათვის არის ნეტარება, როდესაც დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რომ ის შესაძლებელია? მაშ, შორს ჩემგან ნეტარება, თუ ის მისაწვდომია მხოლოდ ჩემთვის ათასთაგან! არ მინდა ის, თუ იგი იმე მეკუთვნის და ჩემს უშეცროს თანამოძმეთ ვერ გავუზიარებ! გული ცეცხლით მედაგვის და ტკივილით მეკუმშება, როდესაც ხალხსა და მის წარმომადგენლებს ვხედავ. სევდა, მძიმე სევდა მიპყრობს მაშინაც, როდესაც ვხედავ ქუჩაში კოჭობანას მოთამაშე ფეხშიშველა ბიჭებს, ჩამოკონკილ მათხოვრებს, მთვრალ მეეტლეს, ყარაულიდან მომავალ ჯარისკაცს, სიჩრბილით მიმავალ, იღლიაში პორტფელამოჩრილ მოხელეს, თავისი თავით კმაყოფილ ოფიცერს და ამაყ დიდებულს. ჯარისკაცს კაპიკს რომ მივცემ, თითქმის ვტირი, მათხოვარ ქალს რომ კაპიკს მივცემ, გავუბიჯარ მას, თითქოს ცუდი რამ გამეკეთებინოს და თითქოს ჩემი საკუთარი ფეხის ხმის გაგონება არ მინდოდეს. ესეც ცხოვრებაა: ჩამოკონკილი იჯდეს ქუჩაში, სახის იდიოტური გამომეტყველებით, დღისით სმოაგროვო რამდენიმე კაპიკი, საღამოს კი სამიციტნოში სასმელში დახარჯო. და ადამიანები ამას ხედავენ, მაგრამ ყურს არავენ იბერტყეს! არ ვიცი, რა მოჰდის, მაგრამ ხანდახან რამდენიმე წუთს საშინლად დანადვლიანებული ვუცქერი ხოლმე გოგოს" და მისი უაზრო ღიმილი, გსრყვნილების ბეჭედი მთელი უშუალობით მიკლავს გულს, განსაკუთრებით, თუ იგი ლამაზია. ჩემს გვერდით საკმაოდ შეძლებული მოხელე ცხოვრობს, რომელიც ისე გავგრობილდა, რომ, როდესაც მისი ცოლი აბანოში მიდის, იგი მისთვის ეტლს ქირაობს. ამასწინათ შევიტყე, რომ [მას] კბილები და ტუჩები დაუჩიქქვია ცოლისთვის, თმით უთრეფია იატაკზე და ცემით დაუოსებია იმიტომ, რომ ქალს ყავისთვის კარგი ნაღები არ მოუშხადებოა; იმ ქალმა კი ექვსი შვილი გაუჩინა, და მე ყოველთვის მიძიმ-

და შეხვედრა ამ ქალთან, დანახვა მისი გაფითრებულს, დაქანცული სახისა, რომელზეც ტირანიით გამოწვეული ტანჯვა იყო აღბეჭდილი. ეს ამბავი რომ გავიგე, კბილები დავადრკიალე,—და ნელ ცეცხლზე იმ ავკაცის დაწვა მეტისმეტად მსუბუქ სასჯელად მეჩვენებოდა, და მე დაწვევლე ჩემი უძლურება, რომ არ შემეძლო წავსულიყავ და იგი ჩამეძაღლებინა. და ეს საზოგადოება, არსებული გონივრულ საფუძველზე, სინამდვილის მოვლენაა! ხოლო რამდენია ასეთი ქმარი, ასეთი ოჯახი! რამდენია მშვენიერი ნაზი ქმნილება, რომლებიც ძვირფას მშობლებს გასარყვნელად მიუგდოათ პირუტყვთათვის ანგარიშის ან შეუღნებლობის შედეგად! და ამის შემდეგ უფლება აქვს თუ არა ადამიანს ხელოვნებაში, ცოდნაში ჩაიყურყუმალაოს! მე ამხედრებული ვარ ყველა სუბსტანციური საწყისის წინააღმდეგ, რომლებიც რწმენის სახით ჰბოჭავენ ადამიანის ნებისყოფას! უარყოფა—ჩემი ღმერთია. ისტორიაში ჩემი გმირები არიან ძველის დაძანგრეველნი — ლუთერი, ვოლტერი, ენციკლოპედისტები, ტერორისტები, ბაირონი („კაენი“) და ა. შ. ჩემთვის ახლა განსჯა უფრო მალა დგას, ვიდრე გონივრულობა (რასაც ვირველია. უშუალო გონივრულობა), და ამიტომ ჩემთვის ვოლტერის მკრეხელობა უფრო საამოა, ვიდრე რელიგიის, საზოგადოების ან ვისიმე ავტორიტეტის აღიარება! ვიცი, რომ შუა საუკუნეები—დიადი ეპოქაა, მესმის შუა საუკუნეთა სიწმინდე, პოეზია, რელიგიურობა—საგრანდიოზულობა; მაგრამ მე უფრო მეტ სიამოვნებას მგერის XVIII საუკუნე—ეპოქა რელიგიის დაცემისა: შუა საუკუნეებში კაცონებზე სწვავენდენ მწვალებლებს, თავისუფლად მოაზროვნეებს, ჯადოსნებს; XVIII საუკუნეში—გილიოტინაზე თავს ჰკვეთდენ არისტოკრატებს, ხუცებს და ღმერთის, გონებისა და ადამიანობის სხვა მტრებს. და დადგება დრო—მე მხურვალედ მწამს ეს—დადგება დრო, როდესაც არავის არ დაწვავენ, არავის არ მოჰკვეთენ თავს, როდესაც დამნაშავე, როგორც შებრალებას და ხსნას, ისე მოითხოვს ვედრებით სიკვდილით დასჯას, და ვერ ეღირსება იგი სიკვდილით დასჯას.

მაგრამ სიცოცხლე იქნება მისი სასჯელი, ისე როგორც ახლა სკვდილია; როდესაც არ იქნება უაზრო ფორმები და წეს-წვეულებანი, არ იქნება გრძნობის შებოჭვა ხელშეკრულებებითა და პირობებით, არ იქნება მოვალეობა და ვალდებულებანი, და ნებისყოფა დაუთმობს არა ნებისყოფას, არამედ ნარტოდენ სიყვარულს; როდესაც არ იქნებიან ქმრები და და ცოლები, არამედ იქნებიან საყვარელი მამაკაცები და საყვარელი ქალები, და როდესაც საყვარელი ქალი მივა საყვარელ მამაკაცთან და ეტყვის: „მე სხვა მიყვარსო“, მამაკაცი მიუგებს: „მე უშენოდ ბედნიერი ვერ ვიქნები, მთელ სიცოცხლეში დავიტანჯები; მაგრამ წადი იმასთან, ვინც გიყვარს“, და არ მიიღებს მსხვერპლს ქალისაგან, თუ, დიდსულოვნების გამო, ეს უკანასკნელი მოისურვებს ამ მამაკაცთან დარჩენას, არამედ, მსგავსად ღმერთისა, ეტყვის ქალს: მე მინდა მოწყალება და არა მსხვერპლი... ქალი არ იქნება საზოგადოებისა და მამაკაცის მონა, არამედ, მამაკაცის მსგავსად, თავისუფლად გაჰყვება თავის მიდრეკილებას ისე, რომ არ დაჰკარგავს კეთილ სახელს, ამ ურჩხულს — პირობითს ცნებას. არ იქნებიან მდიდრები, არ იქნებიან ღარიბები, არც მეფეები და ქვეშევრდომები, არამედ იქნებიან ძმები, იქნებიან ადამიანები, და, პავლე მოციქულის სიტყვით, ქრისტე თავის ძალაუფლებას მისცემს მამას, ხოლო მამა—გონება კვლავ გამეფდება, მაგრამ გამეფდება უკვე ახალ ზეცაში და ახალ დედამიწაზე. არ იფიქრო, თითქოს მე განსჯით ვაზროვნებდე. არა, მე არ უარვყოფ წარსულს, არ უარვყოფ ისტორიას, — მე მათში ვხედავ იდეის აუცილებელ და გონივრულ განვითარებას; მე მწადია ოქროს საუკუნე, მაგრამ არა წინანდელი, შეუგნებელი, პირუტყვეული ოქროს საუკუნე, არამედ საზოგადოებით, კანონებით, ქორწინებით, ერთი სიტყვით, ყოველივე იმით მომზადებული ოქროს საუკუნე, რაც თავის დროზე აუცილებელი იყო, მაგრამ რაც ახლა სისულელე და უხამსობაა. ბოტკინ, ხომ გჯერა, რომ მე, რა ცუდადაც უნდა მომეპყრო, სილას არ გაგაწნავ, როგორც კატკოვმა გააწნა ბაკუნინს¹² (რომელსაც შემდეგ ისევ დაუახლოვ-

და), და მეც მჯერა, რომ შენც არავითარ შემთხვევაში ასე არ მომეჩქევი. მაშ, რა გვაძლევს გარანტიას — ნუთუ პოლიცია და კანონები? — არა, ჩვენს ურთიერთობაში ისინი საჭირო არაა. ჩვენ გარანტიას გვაძლევს გონივრული შეგნება, სოციალობაში აღზრდა. ბუნება? — იტყვი შენ. არა, ყოველ შემთხვევაში, მე ვიცი, რომ ჩემი ბუნების პატრონს, ამ 50 წლის წინათ, თავი შენგან შეურაცხყოფილად რომ მიმიჩნია, შემეძლო მძინარე დამეკალი, სწორედ იმიტომ, რომ შეხსხვებზე მეტად მეყვარებოდი. მაგრამ ჩვენს დროში ოტელიოც კი არ დაახრჩობდა დეზდემონას მაშინაც, დეზდემონა თვითონვე რომ გამომტყდარიყო ღალატში¹². მაგრამ რატომღა გავხდით ჩვენ ეგზომ ადამიანები, როდესაც ჩვენს გარშემო მთელი მილიონები პირუტყვულად ცხოვრობენ? ისევ ბუნებაა? ასეა? მაშასადამე, მდაბალი ბუნების მქონეთათვის შეუძლებელია გაადამიანება? — სისულელეა, სულის ძაგებაა! მაღალი საზოგადოების ქარაფშუტა ადამიანი სიცოცხლეს სწირავს ღირსებისათვის, იგი, ლაჩარი, მამაცად იქცევა დუელში, ხელოსანს არ უხდის სისხლიანი ოფლით მონაგარ ფულს, ხოლო იმავე დროს ღატაკდება და ბანქოს ვაღს ისტუმრებს. რა აიძულებს მას ასე მოიქცეს? საზოგადოებრივი აზრი? — მაშ, რად გადააქცევს მას საზოგადოებრივი აზრი, თუ ეს აზრი სავსებით გონივრული იქნება? თანაც აღზრდა ჩვენ ყოველთვის გვაყენებს ხოლმე ან ჩვენს ბუნებაზე მალა. ან დაბლა, ხოლო, ამას გარდა, ზნეობრივ გაუმჯობესებას თან უნდა მოჰყვეს ადამიანის ფიზიკური გაუმჯობესებაც. და ეს მოხდება სოციალურობის საშუალებით. და ამიტომაც არაფერია იმაზე უფრო დიადი და კეთილშობილური, ვიდრე ხელის შეწყობა სოციალურობის განვითარებისა და მსვლელობისათვის. მაგრამ სასაცილოა იმის ფიქრიც კი, რომ ეს შეიძლება მოხდეს თავისთავად, დროთა ვითარებაში, ძალდატანებითი გადატრიალებების გარეშე. სისხლის გაუღებლად. ადამიანები ისეთი ბრიყვები არიან, რომ ისინი ძალით უნდა წაიყვანო ბედნიერებისაკენ. ან კი რა არის ათასობით ადამიანის სისხლი მილიონების დამცირე-

ბასა და ტანჯვასთან შედარებით. თანაც: fiat justitia — pe-reat mundus!¹⁴ მე ვკითხულობ ტიერს. როგორ—ხანენკოს-გან გაიგებ. ახალი სამყარო გაიშალა ჩემს წინაშე. მე მუდამ ვფიქრობდი, რომ მესმის რევოლუცია. სისულელეა,—მე მხოლოდ ვიწყებ მის გაგებას¹⁵. უკეთესს ადამიანები ვერაფერს გააკეთებენ. ფრანგები დიადი ერია. პოლონეთი იღუპება, მას სწვავენ, საშინელი წამებით სპობენ, — ევროპა კი აბა რას დაეძებს, ყველაფერი სდუმს, მხოლოდ მდაბიო ფრანგი ხალხი ქუჩებში გარს ერტყმის: ჯოჯოხეთის საზიზღარ მოციქულს ლუი-ფილიპეს გოდებით: la Pologne, la Pologne! მშვენიერი ხალხია!—მერე, რა არის ჰეკუბა მისთვის?¹⁶ ბოტკინ, შენი რჩევით მთლიანად წავიკითხე პლუტარქე. გამახარე, გამამხიარულე: შესწირე სამიოდე დღე ბერანჟეს — დიდი, მსოფლიო პოეტია, საფრანგეთის შილერი, რომელიც გერმანელ შილერად ღირს, უაღრესად ქრისტიანული პოეტი, ქრისტეს მოწაფეთაგან უსაყვარლესი! გონება და შეგნება— აი რა არის ადამიანის ღირსება და ნეტარება. ჩემთვის ადამიანის ხილვა უშუალოდის სამარცხვინო ბედნიერებაში იგივეა, რაც მლოცველი უმანკოების ხილვა ეშმაკისათვის. ურეფლექსიოდ, მოუნანიებლად ვამსხვრევ, სადაც და როგორც კი შემიძლია უშუალობას, — და მე ნაკლებად ვწუხვარ, თუ ეს ადამიანი უნდა დაიღუპოს მისთვის უცხო რეფლექსიის სფეროში. დე, დაიღუპოს!.. მე გლანძღავდი კულჩიციის გამო, რომ შენ მას დაუტოვე მტკიცე რწმენა წვერიანი კაცისადმი, რომელსაც [ფაფუკ ღრუბელზე შემჯდარს, თავის ქვეშ რომ ... სერაფიმთა და ქერუბიმთა გუნდებით გარშემორტყმულს]¹⁷ თავისი ძალა მიაჩნია უფლებად, ხოლო თავისი ჰეჟა-ქუხილი — გონივრულ დამამტკიცებელ საბუთებად. ჩემთვის სასიამოვნო იყო, კულჩიციის დასანახავად, ამ კაცისათვის მიმეფურთხებინა მის საზიზღარ წვერში.

აქვე უნდა აღვნიშნო კულჩიციის შესახებ. სამძიმო იყო თუ არა ჩემთვის მისი დანახვა ჩემსას? მე სულმდაბლობად ჩავთვლიდი, რომ არ მომეწვია იგი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს

შენთვის სასიამოვნო², ხოლო მისი ანგარიშით მნიშვნელოვანი იყო, და მე უცნაურად მეჩვენება, რომ ეს ამბავი შენ საკითხად გადააქციე. ფუ, ეშმაკმა დალახვროს, ბოტკინ, ამის შემდეგ მე მეშინიან, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფმა, მანეთი გთხოვო, მე კი ათასობით გამოძირთმევი. აბა ეს რა შეგობრობაა, რომელსაც არავითარი მსხვერპლის გაღება არ უნდა? არა თუ კულჩიციკი, არამედ შენ რომ მოგენდომებიან ჩემთვის თავს მოგეხვია ვინმე იმათთაგანიც, რომელთა დანახვას შენც კი ვერ შესძლებდი განსაკუთრებული კმაყოფილებით, მაშინაც კი, რა თქმა უნდა, არ გამეხარდებოდა, მაგრამ რა გაეწყობა; ხოლო კულჩიციკის შესახებ საკითხიც კი არ უნდა აღძრულიყო. თუ მე იგი პირველადვე არ მოვიწვიე, ეს იმიტომ, რომ ჩემთან უკვე ცხოვრობდა ორი—თავ. კოზლოვსკი და ხანენკო; მაგრამ იგი რომ კირიუშას დიასახლისთან არ დაბინავებულიყო, უსათუოდ მოვიწვევდი მას და თანაც იმნაირად, რომ უარს ვერ მეტყოდა. მშვენიერი ადამიანია — სულით და გულით შემყვარდა ის. რა თქმა უნდა. ადგილი ჰქონდა უკმეხობას, მაგრამ რა რჯის, რომ საძულველ უშუალობაში იმყოფება. იგი არ არის განვითარებული და გონებაგახსნილი ადამიანი; მაგრამ ღმერთმა ჰქნას და ასეთი ადამიანები გვიმრავლოს. მას ადამიანობა აქვს—ეს საკმარისია იმისათვის, რომ იგი გიყვარდეს. მას უყვარხარ, თაყვანს გცემს შენ, და მე მუდამ მზად ვარ სულითა და გულით ჩამოვართვა ხელი. რა შნოიანად იცის შენი გამოჯავრება—იმდენად კარგად, რომ შენი მანერები გადაუღია.

რა მშვენიერია კულჩიციციკის მოთხრობა — რა ოსტატობაა, რა მხატვრობაა; და ეს მოთხრობა მაინც არ მომეწონა. თანდათან მიპყრობს შიში: რალაც მტრობა მეზადება ხელოვნების ობიექტურ ქმნილებათა წინააღმდეგ. ამაზე სხვა დროს უფრო მეტს ვიტყვი. ახლა დრო არა მაქვს. მომიკითხე საყვარელი პეტრე ნიკოლოზის-ძე¹⁸ — აი კიდევ ერთი ადამიანი, რომლის მიმართ ჩემი სიყვარული გატაცებას წააგავს. დეკემბერში ორივეს გნახავთ. როდის მომიხდება საყვარელი

კოლცოვის ნახვა? მისი მდგომარეობა ცუდია. კლიუჩნიკოვის ჩამოსვლამ ისე გამახარა, როგორაც არ მოწველოდი.

რეკომენდაციას ვაძლევ შენს წინაშე ამ უსტარის მომტანს, ივანე ივანეს-ძე ხანენკოს. მშვენიერი, კეთილშობილი, ჩინებული ადამიანია, დაბადებული იდენისათვის, მაგრამ იღუპება ბუნებრივ უმსგავსობაში. ეს მით უფრო საწყენია, რომ ამ ავაზაკმა ჩინებულად იცის გერმანული. მიიღე ის, როგორც ჩემი გულითადი ძმა, და უფრო მეტად დააძალე გერმანული წიგნები, რომლებიც მას გააცნობენ ჰეგელის სულს. იგი შეძლებული კაცია და შეუძლია იყიდოს. მაგრად მოჰკიდე ხელი და აღვიძე, აღვიძე, ვიდრე არ გაიღვიძებს. ამ წერილის შემდეგ მეორეს მიიღებ ფოსტით. მშვიდობით. მოიწერე ხოლმე, ღვთის გულისათვის. რეევსკი პრიამუხინოში იყო; ამბობს, ალექსანდრა ალექსანდრეს ასული ჰყვავის — მსუქნად და ჯანსაღად არისო, ხოლო ტატიანა ალექსანდრეს ასული ქლეჩიანს დამსგავსებიაო¹⁰. ამან გული მატკინა. მშვიდობით.

შენი ბ. ბელინსკი.

ხელოვნების ირეა¹



ხელოვნება არის უშუალო ჰერეტიკა ჰუმბარიტებისა, ანუ სახეებით აზროვნება.

ხელოვნების ამ განსაზღვრის განვითარებაში მდგომარეობს ხელოვნების მთელი თეორია: მისი დედაარსი, მისი დაყოფა გვარებად, ისევე როგორც თითოეული გვარის პირობები და დედაარსი *.

პირველი, რამაც ხელოვნების ჩვენს განსაზღვრაში განსაკუთრებით უნდა გააკვირვოს მრავალი მკითხველი, როგორც უცნაურობამ, — უეჭველია ის არის, რომ ჩვენ ხელოვნებას ვუწოდებთ აზროვნებას, და ამით ერთმანეთს ვუერთებთ ორ სრულიად საწინააღმდეგო, ყოვლად შეუერთებელ წარმოდგენას.

მართლაც, ფილოსოფია მუდამ მტრულ განწყობილებაში იყო პოეზიასთან. თვით საბერძნეთშიც, როგორც პოეზიის, ისე ფილოსოფიის ნამდვილ სამშობლოში, ფილოსოფოსმა პროტებს მიუხაჯა თავისი იდეალური რესპუბლიკიდან გაძე-

* ეს განსაზღვრა ჯერ კიდევ პირველად იხმარება რუსულ ენაზე², და მას ვერ იპოვნით ვერც ერთ რუსულ ესთეტიკაში, პიტიკაში ანუ ეგრეთ-წოდებულ სიტყვიერების თეორიაში, — და ამიტომ, იმისათვის, რომ ეს განსაზღვრა უცნაურად, უხიაკად და ყალბად არ მოეჩვენოთ იმათ, ვისაც იგი პირველად ესმის, ჩვენ უალრესად დაწვრილებით უნდა განვმარტოთ ყველა წარმოდგენა, რომელთაც შეიცავს ჩვენი ეს სრულიად ახალი განსაზღვრა ხელოვნებისა, — თუნდაც ბევრი რამ აქ არც კი მიეკუთვნებოდეს საკუთრივ ხელოვნებას, ანდა, შეიძლება მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობასთან გაცნობილ აღამიანებს უმნიშვნელოდ, ზედმეტად და წვრილმანად მოეჩვენოთ.

ვება, თუმცა-ღა ისინი წინასწარ დაფნის გვირგვინით შემოსა. საზოგადო აზრი პოეტებს მიაწერს მკვირცხლსა და ვნებიან ბუნებას, რომელიც მათ აიძულებს გატაცებული იყვნენ აწმყოს წამიერი ხილვით, დაივიწყონ წარსული და მომავალი, სასიამოვნოს შესწირონ სასარგებლო. ეს აზრი პოეტებს მიაწერს მუდამ დაუკმაყოფილებელ და დაუოკებელ განცხრომის წყურვილს, რომელსაც ყოველთვის უპირატესობას ანიჭებენ ზნეობის წინაშე; სიმსუბუქეს, ცვალებადობას და დაუდგრომლობას გემოვნებასა და მისწრაფებებში; დასასრულ, მოუსვენარ ფანტაზიას, რომელიც ყოველთვის იტაცებს ხოლმე მათ ნამდვილიდან იდეალურისაკენ და მათს თვალში ფასს უკარგავს დღის [?] ნამდვილ ბედნიერებას მშვენიერი და განუხორციელებელი ოცნებისათვის. პირიქით, საზოგადო აზრი ფილოსოფოსებს მიაწერს მისწრაფებას სიბრძნისადმი, როგორც ცხოვრების უმაღლესი სიკეთისადმი, რომელიც გაუგებარია ბრბოსთვის და მიუწვდომელია ჩვეულებრივი ადამიანებისათვის. ამასთან ერთად ეს აზრი მათს განუყრელ თვისებებად სთვლის ნებისყოფის ურყევ ძალას, მტკიცე მისწრაფებას ერთიანი და უცვლელი მიზნისადმი, კეთილგონიერულ საქციელს, ზომიერ სურვილებს, სასარგებლოსა და ქვემარტისათვის უპირატესობის მინიჭებას სასიამოვნოსა და მაცთუნებლის წინაშე, იმის უნარს, რომ ცხოვრებაში მიაღწიონ მტკიცე, ნამდვილ სიკეთეებს და დასტკბენ იმით, რომ ამ სიკეთეთა წყაროს ჰპოვებენ თავის თავშივე, თავიანთი უკვდავი სულის საიდუმლო საუნჯეში და არა ამქვეყნიური ცხოვრების მატყუარა ცთუნებათა მოჩვენებითს გარეგნობაში და კალეიდოსკოპურ სიჭრელეში. და ამიტომ საზოგადო აზრი პოეტში ხედავს დედა-ბუნების გამორჩეულად საყვარელ შვილს, ბედნიერ განებივრებულ ბავშვს, გაფუჭებულ, ცელქ, უინიან ბავშვს, ხშირად ბოროტსაც კი, მაგრამ მით უფრო მომჯადოებელსა და საყვარელს; იგი ფილოსოფოსში ხედავს მარადიული ქვემარტებისა და სიბრძნის მკაცრ მსახურს, განსახიერებულ სიმართლეს სიტყვებში, სათნოებას — ქცევაში. და ამიტომაც იგი პირველს ხვდება სიყვარულით,

და თუ, მისი სიმჩატით შეურაცხყოფილი, ზოგჯერ მას თავის აღშფოთებას გაუმჟღავნებს ხოლმე, გაუმჟღავნებს არა სხვანაირად, თუ არ პირზე ღიმილმორეული; მეორეს იგი სვდება მოკრძალებული თავაზიანობით, რომელშიაც გამოსჰქვივის გაუბედაობა და გულგრილობა. ერთი სიტყვით, მარტივი, უშუალო, ემპირიული ცნობიერება პოეზიასა და ფილოსოფიას შორის იმავე განსხვავებას ხედავს, რასაც ცხოველ, მგზნებარე, წარმტაც, დაუდგარ ფანტაზიასა და მშრალ, ცივ, ბეჯითსა და მკაცრ ბუზღუნა გონებას შორის. მაგრამ იმავე საზოგადო აზრმა, რომელმაც პოეზიასა და ფილოსოფიას შორის ისეთივე ზღვარი გაავლო, როგორც ცეცხლსა და წყალს, სიცხესა და სიცივეს შორის,—იმავე საზოგადო აზრმა, ანუ უშუალო ცნობიერებამ, მიუთითა კიდევ მათ ერთნაირი მისწრაფება ერთი მიზნისაკენ—ზეცისაკენ. ეს აზრი პოეზიას მიაწერს ღვთაებრივ ძალას—ზეცად აღიტაცოს ადამიანის სული მაღალი შეგარძნებებით, რისთვისაც ადამიანში აღძრავს ამ შეგარძნებებს საზოგადო ცხოვრების მშვენიერი ხელთუქმნელი სახეებით; ამ აზრს ფილოსოფიის საქმედ მიაჩნია ადამიანის სულის დანათესავება იმავე ზეცასთან და იმავე მაღალი შეგარძნებებით, მაგრამ ფილოსოფია ამ შეგარძნებებს აღძრავს საზოგადო ცხოვრების კანონთა ცხოველი გონებრივი შეცნობით.

ჩვენ განზრახ მოვიტანეთ აქ მარტივი, ბუნებრივი ცნობიერება ბრბოსი: ეს ცნობიერება ყველასათვის მისაწვდომია და, თანაც, შეიცავს ღრმა ქვეშარიტებას, ასე რომ მეცნიერება სავსებით ადასტურებს და ამართლებს მას. მართლაც, ხელოვნებისა და აზროვნების თვით დედაარსში მდგომარეობს მათი მტრული დაპირისპირებაც და მათი მჭიდრო, ერთსისხლიერი ნათესაობაც ერთმანეთთან, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

ყოველივე არსებული, ყველაფერი, რაც არის, ყველაფერი, რასაც ჩვენ მატერიას და სულს, ბუნებას, ცხოვრებას, კაცობრიობას, ისტორიას, მსოფლიოს, სამყაროს ვუწოდებთ, — ყველაფერი ეს არის აზროვნება, რომელიც თავისთავად აზ-

როვნებს. ყოველივე არსებული, მსოფლიო ცხოვრების მოვლენებისა და ფაქტების მთელი ეს უსასრულო მრავალფეროვნება სხვა არაფერია, თუ არა აზროვნების ფორმები და ფაქტები. მაშასადამე, არსებობს მართო აზროვნება და, გარდა აზროვნებისა, არაფერი არ არსებობს.

აზროვნება არის მოქმედება, ხოლო ყოველი მოქმედება აუცილებლად გულისხმობს თან მოძრაობასაც. აზროვნება მდგომარეობს დიალექტიკურ მოძრაობაში, ანუ აზრის განვითარებაში თავის თავიდან. მოძრაობა ანუ განვითარება არის აზროვნების სიცოცხლე და დედაარსი: უამათოდ არ იქნებოდა მოძრაობა, არამედ იქნებოდა ახლად ფეხადგმული ცხოვრების პირველყოფილ ძალთა რაღაცა მკვდარი, უძრავი, დამდგარი მდგომარეობა, ყოველგვარი განსაზღვრის გარეშე, იქნებოდა სულის ქაოსური მდგომარეობის ცხადად ამხდარი სურათი, რომელიც ესოდენ შემზარავი სისწორით დახატა პოეტმა:

ეს იყო წყვილი, სადაც არ ბნელოდა,
 ეს იყო უფსკრული უსიცალიეროდ,
 სადაც არ იყო სიგრძე, საზღვრები,
 სად განფენილობა არა ძლიერობს.
 ეს იყო სახენი, მაგრამ უსახონი,
 ეს იყო სამყარო რაღაც საშინელი,
 სადაც არ იყო არც ცა, არც შუქი,
 არც მნათობები, დრო, ღლე და წელი,
 არცა განგება და არც სიკეთე,
 არ იყო არცა უბედურება,
 არცა სიცოცხლე, არცა სიკვდილი,—
 იყო კუბოთა დასადგურება,
 ვით ოკეანე მთლად უნაპირო,
 უძრავი, ქუში, უტყვი და მუნჯი,
 მძიმე ბურუსი რომ დასწოლია
 და არსად მოჩანს ტატნობი ლურჯი ³.

აზროვნების ამოსავალი წერტილი, გამოსავალი პუნქტი არის ღვთაებრივი აბსოლუტური იდეა; აზროვნების მოძრაობა მდგომარეობს ამ იდეის განვითარებაში თავის თავიდან-

ვე, თანახმად უმაღლესი (ტრანსცენდენტალური) ლოგიკის ანუ მეტაფიზიკის კანონებისა; იდეის განვითარება თავის თავიდან არის მისი გავლა საკუთარ მომენტებში, როგორც ამას ქვემოთ თვით მაგალითით ვაჩვენებთ.

იდეის განვითარებას თავის თავიდან ანუ თავისი თავის შიგნიდან ფილოსოფიურ ენაზე იმანენტური განვითარება ეწოდება. იმანენტური განვითარების პირობაა არარსებობა ყოველგვარი გარეშე დამხმარე საშუალებებისა და ბიძგებისა, რომლებიც შეიძლებოდა ცდას წარმოედგინა; თვით იდეის სასიცოცხლო შინაარსში მდგომარეობს იმანენტური განვითარების ორგანული ძალა, როგორც ცოცხალი მარცვალი თავის წიაღში შეიცავს ძალას მცენარედ განვითარებისათვის; და რაც უფრო მდიდარია მარცვლის წიაღში არსებული სასიცოცხლო შინაარსი, მით უფრო ძლიერი მცენარე ვითარდება მისგან, და პირიქით: რკოსგან და პაწია კაკლისგან ვითარდებიან უზარმაზარი მუხა და ვეება კედარი, რომელთა კენწეროები ღრუბლებს წვდება; და კარტოფილის ბოლქვისაგან, რომელიც, შესაძლოა, რკოზე 50-ჯერ და კედარის კაკალზე 1000-ჯერ მეტია, ვითარდება ბოსტნის ბალახი, რომელიც რამდენიმე გოჯზე ძლივს იყრის ტანს დედამიწიდან.

აზროვნება აუცილებლად გულისხმობს არსებობას სულის ორი მოპირდაპირე, როგორც მოვლენა. მხარისას, რომლებიც ორივე პოულობენ მასში თავის შერიგებას, ერთიანობას და იგივეობას: ეს არის სუბიექტური (შინაგანი, მოაზროვნე) სული და ობიექტური სული (პირველის გარეგანი, წარმოსადგენი, აზროვნების საგანი)¹. აქედან ნათლად ჩანს, რომ აზროვნება, როგორც მოქმედება, აუცილებლად გულისხმობს [ერთი]მეორის საწინააღმდეგო ორ საგანს — იმას, რაც აზროვნებს (სუბიექტს), და იმას, რასაც აზროვნებენ (ობიექტს), და რომ აზროვნება შეუძლებელია ისე, თუ არ არის გონიერი არსება — ადამიანი. ამის შემდეგ უფლება აქვთ შეგვეკითხოვნ: მშუ, რანაირად არის მთელი სამყარო და თვით ბუნება სხვა არაფერი, თუ არ აზროვნება?

სააზრებელი მოაზროვნესთან ერთად — ერთგვაროვანი, თანაარსი და იგივეობითია, ასე რომ პირველი მოძრაობა პირველყოფილი მატერიისა, რომელიც ისწრაფვოდა ჩვენი პლანეტი გამხდარიყო (werden), და უკანასკნელი გონივრული სიტყვა შემეცნებელი ადამიანისა — სხვა არაფერია, თუ არა ერთი და იგივე არსი, მხოლოდ თავისი განვითარების სხვადასხვა მომენტებში. შეცნობადის სფერო არის ნიადაგი, რომლიდანაც აღმოცენდება და იქმნება ცნობიერება.

როგორც ჩანს, არაფერი არ ეწინააღმდეგება და არ მტრობს ერთიმეორეს ისე, როგორც ბუნება და სული, და იმავე დროს არაფერი არ არის ერთიმეორის ისე მონათესავე და თანაარსი, როგორც ბუნება და სული. სული არის მიზეზი და სიცოცხლე ყოველივე არსებულისა; მაგრამ თავისთავად იგი არის მხოლოდ შესაძლებლობა ყოფიერებისა, მაგრამ არა მისი სინამდვილე; იმისათვის, რომ გამხდარიყო (werden) ნამდვილ ყოფიერებად, იგი უნდა მოვლენილიყო იმად, რასაც ჩვენ ვუწოდებთ სამყაროს, და უწინარეს ყოვლისა გამხდარიყო ბუნებად.

ამრიგად, ბუნება არის პირველი მომენტი სულისა, რომელიც ისწრაფვის შესაძლებლობიდან იქცეს სინამდვილედ. მაგრამ მისი ის პირველი ნაბიჯიც ნამდვილი ყოფიერებისა — კენ მას ერთბაშად კი არ გადაუდგამს, არამედ მრავალი ისეთი მომენტის თანმიმდევარი რიგით ხდებოდა, რომელთაგან თითოეული შექმნის განსაკუთრებული საფეხურით აღინიშნებოდა. უწინარეს, ვიდრე დედამიწის ბინადარი ქმნილებანი გაჩნდებოდნენ, თვით დედამიწა გაჩნდა და გაჩნდა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით, განვლო რა მრავალი გარდაქმნა და განიცადა რა მრავალი გადატრიალება, მაგრამ იმნაირად, რომ ყოველი შემდგომი გადატრიალება მისი სრულყოფის საფეხური იყო*. ყოველი განვითარების კანონი ის არის, რომ თითოეული შემდგომი მომენტი წინაზე ძალა

* ახალი პოლანდია ახლაც ისეთი კონტინენტია, რომელსაც თავისი განვითარებისათვის არ მიუღწევია.

დგას. მაგრამ აი ჩვენი პლანეტი მზად იყო, — და მისი წიაღი-დან წარმოიშვნენ მილიონობით ქმნილებანი, რომლებიც ბუნების სამ სამეფოს შეადგენენ. ჩვენ მათ ვხედავთ უწესრიგო და ქაოსური არევედარევის სახით: ხის კენწეროზე ზის ფრინველი, ძირში გველი თავის დავლას უდარაჯებს, მახლობლად ხარი ბალახსა სძოვს და ა. შ. ადამიანის ნებისყოფა ერთ მცირე სივრცეზე აერთებს ბუნების სულ სხვადასხვაგვარ მოვლენებს: პოლარული ყინულების ბინადარ თეთრ დათვს ცხელი ტროპიკული ქვეყნების ბინადარ ლომთან და ვეფხვთან; ევროპაში აშენებს ამერიკულ მცენარეებს—თამბაქოს და კარტოფილს, და ჩრდილოეთის ქვეყნებში, სათბურების საშუალებით, მოჰყავს მარადიული გაზაფხულის ქვეყნის — სამხრეთის საუცხოო ნაყოფები. მაგრამ ამ ქაოსურ უწესრიგობაში, ამ კრელ ნარევში, ამ უსასრულო მრავალფეროვნებაში მხოლოდ ადამიანის მოქანცული თვალი იკარგება და ჰქრება; მისი გონება კი ამ მოვლენებში ხედავს მკაცრ თანმიმდევრობას, უცვალებელ ერთიანობას. ბუნების ამ უსასრულოდ მრავალფეროვანი და უსასრულოდ ურიცხვი მოვლენებიდან იგი გამოჰყოფს მათს საზოგადო თვისებებს და ამნაირად მიდის გვარების და სახეების შემეცნებამდე და მის წინაშე ჰქრება არეულ-დარეული ქაოსი, რომელიც ადგილს უთმობს სრულყოფილ წესრიგს; მილიონობით შემთხვევითი მოვლენები იქცევიან აუცილებელ მოვლენათა ერთეულებად, რომელთაგან თითოეული არის თავისი ქროლვის გზაზე სამუდამოდ დამდგარი მომენტი განვითარების პროცესში მყოფი ღვთაებრივი იდეის განხორციელებისა! რა მკაცრი თანმიმდევრობაა! არსად არ არის ნახტომები — რგოლები რგოლებზეა აცმული და ჰქმნიან ერთიან უსასრულო ჯაჭვს, რომელშიაც ყოველი შემდგომი რგოლი წინანდელზე უკეთესია! მარჯნის ხეები მინერალურ სამეფოს აერთებენ მცენარეთა სამეფოსთან; სიპინები—ცხოველმცენარეები—ცოცხალი რგოლით აერთებენ მცენარეთა სამეფოს ცხოველთა სამეფოსთან, რომელიც იწყება უთვალავი მწერებით, ამ თითქოს თავისი ღეროებიდან მოწყვეტილი და მფრინავი ყვავილებით, თან-

დათანობით მიდის უმაღლეს-ორგანიზაციებამდე და თავდება ორანგუტანგით, ამ მოუთავებელი ადამიანით! ყველაფერს თავისი ადგილი და დრო აქვს, და თითოეული შემდგომი მოვლენა წინანდელის თითქოს აუცილებელი შედეგია: რა მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობაა, რა უთუო-სწორი აზროვნებაა! მაგრამ აი ჩნდება ადამიანი—და ბუნების სამეფო თავდება; იწყება სულის სამეფო, მაგრამ ისეთი სულისა, რომელიც ჯერ კიდევ ბუნებას ემონება, თუმცა უკვე თავისუფლებასაც ესწრაფვის ბუნებაზე გამარჯვების საშუალებით. ნახევრად მხეცი და ნახევრად ადამიანი, იგი მთლიანად ბალნითაა დაფარული, მისი უზარმაზარი ტანი წახრილია წინ, ქვედა ყბა წინ წამოწეულა, წვივებზე თითქმის არა აქვს ნაკუთალები, ფეხის ცერი განზე გაწეულა. მაგრამ ის უკვე იმედს ამყარებს არა მხოლოდ ძალაზე, არამედ მოხერხებულებასა და მოსაზრებულებაზეც: მისი ხელები შეიარაღებულია, მაგრამ არა უბრალო ჯოხით, არა კეტით, არამედ გრძელ ჯოხზე მიმაგრებული რალაც ქვის ნაჯახის მსგავსი რამით... ავსტრალიაში ჩვენ ვხედავთ ტომებად დაყოფილ ველურებს: ისინი სკამენ თავის მსგავსთ, — და ფიზიოლოგები ამბობენ, რომ ამ საშინელი შეცდომის მიზეზია მათი ორგანიზაცია, რომელიც მოითხოვს ადამიანის ხორცისგან შემდგარ საზრდოს, როგორც ისეთ მასალას, რაც ყველაზე უკეთ იქცევა მის მჭამელთა სისხლად და ხორცადო. აფრიკის მკვიდრი—ზანტი, მხეცისმაგვარი, გონებაჩლუნგი არსებაა, რომელიც განწირულია მუდმივი მონობისათვის და ჯოხის ცემისა და სასიკვდილო ტანჯვა-წამების ზეგავლენით მუშაობს. ამერიკაში მხოლოდ მის გარშემო არსებულ კუნძულებზე მობინადრე მცირერიცხოვანი ტომები სკამდნენ ადამიანის ხორცს; ხოლო ამერიკის კონტინენტზე იყო ორი უზარმაზარი მონარქია. პერუ და მეხიკა, წარმომადგენლნი უმაღლესი წყობისა, რის მიღწევაც კი შეეძლოთ სხვებთან შედარებით უმაღლესი ორგანიზაციის მქონე ველურებს. რა სწორი თანდათანობაა, რა მკაცრი უცვალებელი თანმიმდევრობაა ამ გადასვლებში უმდაბლესი მოდგმიდან უმაღლესზე, უმდაბლესი ორგანიზა-

ციიდან უმაღლესზე, სულის ამ უსასრულო მისწრაფებაში—
 ჰჰოვოს თავი თვისი, როგორც თვითშემქმეცნებელი პიროვნე-
 ბა. ახალი ფორმის მიძღვნი და თითქოს ამ ფორმით დაუქმა-
 ყოფილებელი, იგი კი არ ამსხვრევს მას, არამედ სტოვეს,
 როგორც თავისი განვითარების განხორციელებულ და სივრ-
 ცეზე სამუდამოდ მიჯაჭვულ მომენტს, და ღებულობს ახალ
 ფორმას, როგორც თავისი განვითარების ახალი მომენტის
 გამოხატულებას. ამერიკის საბრალო შვილები ახლაც ისეთი-
 ვე დარჩნენ, როგორიც მაშინ იყვნენ, როდესაც იქ ევროპე-
 ლები მივიდნენ. იმათ უკვე აღარ ეშინიათ ცეცხლმსროლელი
 იარაღისა, როგორც გაჯავრებული ღმერთების ხმისა, კიდევ
 ისწავლეს ამ იარაღის ხმარება, მაგრამ მაინც ისინი ოდნავაც
 არ გააღამიანებულან მას შემდეგ, და ადამიანის არსების
 შემდგომი განვითარება ჩვენ აზიაში უნდა ვეძიოთ. მხოლოდ
 აქ დამთავრდა შექმნა, ბუნებამ დაასრულა თავისი მთლიანი
 წრე და თავისი ადგილი დაუთმო ახალ წმინდა სულიერ გან-
 ვითარებას—ისტორიას. აქ კვლავ ადგილი ჰქონდა ადამიანის
 მოდგმის დაყოფას რასებად — და კავკასიური ტომი კაცობ-
 რიობის მშვენიებაა. მოდგმებისა და ტომებისაგან იქმნება
 ხალხები, ოჯახებისაგან — სახელმწიფოები, და თითოეული
 სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა მომენტი სულისა, რო-
 მელიც კაცობრიობაში ვითარდება, და თითოეული სახელ-
 მწიფოს გაჩენის დროც კი შეესაბამება მომენტს, თავისი თა-
 ვისაგან განვითარებადს აბსტრაქტულ ან ფილოსოფიურ აზ-
 როვნებას. და კაცობრიობისთვისაც იგივე კანონები არსებო-
 ბენ. რაც ადამიანის პიროვნებისათვის: მისთვისაც არსებობენ
 ბავშვობის, ყრმობისა და დავაყვაცების ეპოქები. თავის
 წმინდა აკვანში — აზიაში, კაცობრიობა — ბუნების შვილი,
 რომლის ხელ-ფეხი ბუნებას არტახებში გაუხვევია, გადმო-
 ცემის უშუალო სარწმუნოებას აღიარებდა და რელიგიური
 მითებით ცხოვრობდა მანამდე, სანამ მან საბერძნეთში თავი
 არ დააღწია ბუნების მეურვეობას, ხოლო ბრმა რელიგიური
 რწმენები სიმბოლოებიდან პოეტურ სახეებამდე არ აღამალ-
 ლა და გონივრული აზრის სხივით არ გააშუქა. ბერძენი ხალ-

ხის ცხოვრება იყო ძველი ცხოვრების გვირგვინი, მისი ელემენტების კონკრეტია, მდიდარი ნადიმი, რომელსაც ძველი მსოფლიოს დაქვეითება მოჰყვა. ბავშვობა დამთავრდა—დადგა ყრმობის პერიოდი, უმთავრესად რელიგიური პერიოდი, რაინდული, რომანტიკული⁵ პერიოდი, სიცოცხლით, მოძრაობით, რომანული საგმირო ამბებითა და განუხორციელებელი წამოწყებებით აღსავსე. ამერიკის აღმოჩენა, თოფისწამლისა და წიგნის ბეჭდვის გამოგონება გარეგანი ბიძგები იყო კაცობრიობის გადასასვლელად ყრმობის ასაკიდან მოწიფულობის ეპოქაში, რომელიც ახლაც გრძელდება. თითოეული საუკუნე მეორიდან გამომდინარეობდა, და ერთი აუცილებელი შედეგი იყო მეორისა.

დიდ საიდუმლოთ უცნობობით დაექვებულნი,
 საუკუნენი ბერდებიან ჯა ილევიან,
 ძრავალი კიოხეჲს გაღუწყვეტლად მისდევენ ერთურთს
 და უამთა სარბოლის უფსკრულებში იძირებიან.
 და ყოველ მათგანს ეკიოხება მარადისობა:
 სთქვე, რით დამთავრდა საქმე?
 საუკუნე კი კიოხებს
 პასუხს ვერ აძლევს, ამბობს:
 სხვა საუკუნეს ჰკიოხე!⁶

თითოეული მნიშვნელოვანი მოვლენა კაცობრიობაში ხდება თავის დროზე და არა ადრე ან გვიან. თითოეული დიდი ადამიანი აკეთებს თავისი დროის საქმეს, სწყვეტს თავის თანამედროვე საკითხებს, თავისი მოღვაწეობით გამოხატავს იმ დროის სულს, რომელშიაც იგი დაიბადა და განვითარდა. ჩვენს დროში არ შეიძლება არც ჯვაროსნული ლაშქრობანი, არც ინკვიზიცია, არც მსოფლიო ბატონობა⁷ ყოვლადძლიერი მღვდლისა; შუა საუკუნეებში არ შეიძლებოდა არც ეს პირადი უშიშროება, რომლითაც სარგებლობს უახლესი სამოქალაქო საზოგადოების თითოეული წევრთაგანი, არც ეს თავისუფალი განვითარება, რომლის შესაძლებლობასაც ანიჭებს უახლესი სამოქალაქო საზოგადოება თავის უკანასკნელ წევრსაც კი; არც ეს დიადი გამარჯვებანი სულისა ბუნებაზე,

ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სულისადმი ბუნების ეს სრული დამორჩილება, რაც გამოიხატა ორთქლის მანქანებით, რომლებმაც თითქმის მოსპეს დრო და სივრცე. კოლუმბის, კარლოს V, ფრანცისკო I, ჰერცოგ ალბას, ლუთერისა და სხვა არსებათა მსგავსი არსებანი შეიძლება იყვნენ ჩვენს დროშიაც, როგორც შესაძლებელნი იყვნენ ისინი ყოველთვის; ოღონდ, ჩვენს დროში რომ გაჩენილიყვნენ, ისინი სულ სხვანაირად იმოქმედებდნენ და სულ სხვა რაიმეს გააკეთებდნენ.

ამრიგად, სიცოცხლის პირვანდელი ძალებისა და ელემენტების პირველი გამოღვიძებიდან, მატერიაში მათი პირველი მოძრაობიდან შემოქმედებაში განვითარებადი ბუნების მთელ კიბეზე შემოქმედების გვირგვინამდე — ადამიანამდე. ადამიანთა პირველი შეერთებიდან საზოგადოებებად ჩვეხი დროის უკანასკნელ ისტორიულ ფაქტამდე — განვითარების ერთი ჯაჭვია, რომელიც არსად არ წყდება, მთლიანი კიბეა დედამიწიდან ცამდე აღმართული, რომლის უმაღლეს საფეხურზე ასევე შეუძლებელია მის ქვედა საფეხურზე დაუყრდნობლად! ბუნებაშიც და ისტორიაშიც ბატონობს არა ბრმა შემთხვევა, არამედ მკაცრი, უცილობელი შინაგანი აუცილებლობა, რომლის მიზეზითაც ყველა მოვლენა დაკავშირებულია ერთიმეორესთან ნათესაური კავშირით, უწყესრიგობაში ჩნდება მწყობრი წესრიგი, მრავალფეროვნებაში — ერთიანობა, და რომლის მიზეზითაც შესაძლებელია მეცნიერება. მაშ, რა არის ეს შინაგანი აუცილებლობა, რომელიც აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს ყოფიერების ყველა მოვლენას, და ეს მკაცრი თანმიმდევრობა და თანდათანობა, რომლითაც მოვლენები ერთიმეორეს მისდევენ, თითქოს ერთიმეორისაგან გამოდიანო? ეს არის აზროვნება, რომელიც თვით თავის თავს გაიაზრებს.

ბუნება თითქოს საშუალებაა სულისა იმისათვის, რომ იგი სინამდვილე გახდეს და თავისი თავი დაინახოს და შეიცნოს. ამიტომაც ბუნების გვირგვინია ადამიანი, რომლითაც დამთავრდა და რომელზეც შეჩერდა მისი შემოქმედებითი საქმიანობა. სამოქალაქო საზოგადოება საშუალებაა ადამიანთა

პიროვნებების განვითარებისათვის, რომლებიც არსებითად ყველაფერი არიან და რომლებშიაც ცოცხლობს ბუნებაც, საზოგადოებაც და ისტორიაც, რომლებშიაც კვლავ მეორდებიან მსოფლიო სიცოცხლის ყველა პროცესები, ესე იგი, ბუნებისა და ისტორიის პროცესები. როგორ-ღა ხდება ეს? აზროვნების საშუალებით, რომლის მეშვეობითაც ადამიანი თავის თავში გაატარებს ხოლმე ყველაფერს, რაც მის გარეთ არსებობს, — ბუნებასაც, ისტორიასაც, და, დასასრულ, თავის საკუთარ პიროვნებასაც, თითქოს ეს პიროვნებაც უცხო და მის გარეშე არსებული საგანი იყო.

ადამიანში სულმა ჰპოვა თავისი თავი, თავისი სრული და უშუალო გამოხატულება, მასში შეიცნო თავისი თავი, როგორც სუბიექტი, ანუ პიროვნება. ადამიანი არის ხორცშესხმული გონება, მოაზროვნე არსება — ტიტული, რომლითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა არსებისაგან და, როგორც მეუფე, ყველა ქმნილებაზე მალა დგას. მსგავსად ყველაფრისა, რაც ბუნებაში არსებობს, იგი არის აზროვნება უკვე მარტოდენ უშუალო არსებობის ფაქტით; მაგრამ კიდევ უფრო მეტად იგი აზროვნებაა მოქმედებით თავისი გონებისა, რომელშიაც, როგორც სარკეში, მეორდება მთელი ყოფიერება, მთელი სამყარო. მთელი მისი ფიზიკური და გონებრივი მოვლენებით. ამ აზროვნების ცენტრი და ფოკუსი არის ადამიანის მე, რომელსაც იგი უპირისპირებს ან რომლისადმიც აპირისპირებს და რომელზედაც იგი არეფლექსებს (ასახავს) მის მიერ წარმოდგენილ ყოველ საგანს, მათ შორის თავის თავსაც. მას ჯერ კიდევ არავითარი იდეები არ შეუძენია, მაგრამ იგი უკვე იბადება მოაზროვნე არსებად, ვინაიდან თვით მისი ბუნება უშუალოდ უმეცლავნებს მას ყოფიერების საიდუმლოებებს, — და ბავშვობის ასაკში მყოფ ხალხთა ყველა პირველდაწყებითი მითი მოგონილ-შეთხზული კი არ არის, არამედ უშუალო ვამოცხადებაა ჭეშმარიტებისა ღმერთზე, სამყაროზე და მათს ურთიერთობაზე, ვამოცხადებანი, რომლებიც თავიანთი სახოვნებით გავლენას ახდენდნენ ბალღის კკუაზე არა პირდაპირ, არამედ ფანტაზიის საშუალებით თავდაპირველად

გრძნობას გადაეცემოდნენ ხოლმე. აი რელიგია მისი ფილოსოფიური განსაზღვრით: უშუალო წარმოდგენა ჭეშმარიტებისა.

ბავშვობის ასაკში მყოფ ყოველ ხალხში შესამჩნევია ძლიერი მიდრეკილება — გამოხატოს თავისი ცნებების წრე ხილული მგრძნობელობითი სახით და, სიმბოლოთი დაწყებული, მიაღწიოს პოეტურ სახეებს. ეს არის აზროვნების მეორე ეჭა, მეორე ფორმა — ხელოვნება, რომლის ფილოსოფიური განსაზღვრაა ჭეშმარიტების უშუალო ჰერეტიკა. ჩვენ მალე დავუბრუნდებით მას, რადგან იგი ჩვენი წიგნის მთავარ საგანს შეადგენს.

დასასრულ სავსებით განვითარებული და მომწიფებული ადამიანი გადადის აზროვნების უმაღლეს და უკანასკნელ სფეროში — წმინდა აზროვნებაში, რომელიც ჩამოშორებულია ყოველივე უშუალოს, სულ უფრო და უფრო მალდება წმინდა ცნებამდე და თავის თავს ეყრდნობა.

ცხადია, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ სამი სხვადასხვა გზა, სამი სხვადასხვა ფორმაა ერთისა და იმავე შინაარსისა, რომელიც არის ყოფიერება. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ეს სამი გვარეობა აზროვნებისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულებით არ არის ის, რასაც ჩვენ ვუწოდებდით აზროვნებას ადამიანამდე, ვუწოდებდით ბუნებისა და ისტორიის სამყაროს. მართლაც, ეს ერთი და იგივე არ არის, თუმცა ერთი და იგივეც არის, სწორედ ისევე, როგორც ადამიანი-ბავშვი და ადამიანი-მამაკაცი არის არა ერთი და იგივე არსება, თუმცა უკანასკნელი მაინც სხვა არაფერია, თუ არა ახალი და უმაღლესი ფორმა პირველისა.

მკითხველებს არ დაავიწყდებოდათ, რომ ხელოვნების ჩვენს განსაზღვრაში ჩვენ ვიხმარეთ სიტყვა „უშუალო“; ალბათ, მათ ისიც შენიშნეს, რომ ამ სიტყვას ჩვენ შემდეგშიაც ხშირად ვხმარობდით. ამ სიტყვის მნიშვნელობა იმდენად დიდია, იგი იმდენად მრავალ სიტყვას სცვლის და ამიტომაც მისი ხშირად ხმარება იმდენად აუცილებელია, რომ ჩვენს მო-

ვალეობად მიგვაჩნია მისი ახსნა-განმარტებისათვის გადაუჭრავიოთ საგანს.

სიტყვა „უშუალო“ და მისგან წარმომდგარი „უშუალობა“ გერმანული ენიდან არის აღებული“ და უახლეს ფილოსოფიას ეკუთვნის. იგი ნიშნავს ყოფიერებასაც და მოქმედებასაც, პირდაპირ თავისი თავისაგან გამომდინარეს, გარეშე ყოველგვარი მეშვეობისა. ავხსნათ ეს მაგალითით⁹. თუ თქვენ იცნობთ ადამიანს მისი აზრთა წყობით და მისი ცხოვრების ნირით და მოქმედების ხასიათით, თუ გიყვართ იგი და პატივისცემთ მას ამათი გულისათვის, — თქვენ მას იცნობთ არა უშუალოდ, იმიტომ რომ [იგი] თქვენ გაგებას გადაეშალა არა უშუალოდ, არამედ თავისი აზრთა წყობის, ცხოვრების ნირისა და მოქმედების ხასიათის მეშვეობით. თქვენ შეგიძლიათ ასეთნაირად გადასცეთ კიდევ ის იმ მეორე ადამიანის გაგებასაც, რომელსაც იგი არასოდეს უნახავს, — და თქვენი სიტყვებით ამ მეორემ შეიძლება მის მიმართ ისეთივე პატივისცემა და ისეთივე სიყვარული იგრძნოს. მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არის მთელი ადამიანი, არამედ მხოლოდ ჩრდილია, რომელსაც იგი გამოსცემს; აქ არის არა თვით ადამიანი, არამედ მხოლოდ მისი აღწერა. როდესაც თქვენ სხვისგან ისმენთ ნაამბობს ასეთ ადამიანზე, — თქვენი გონება დაკავებულია სხვადასხვა კარგი თუ ცუდი თვისებების ასე თუ ისე ნათელი წარმოდგენით, მაგრამ თქვენი წარმოსახვა ცარიელია, — მასში არ აისახება, როგორც სარკეში, არავითარი ცოცხალი სახე, რომელიც თვითონ იმეტყველებდა თავის თავზე ან დაადასტურებდა იმას, რასაც თქვენ მის შესახებ გუუბნებთან. მაშ რას ნიშნავს ეს? — იმას, რომ როგორც ადამიანის ნიშნების აღწერა არ იძლევა მისი გარეგნობის ნათელ წარმოდგენას, ისევე გამოსახულებაც, მისი კარგი თუ ცუდი თვისებების განყენება, რაოდენ შესანიშნავიც უნდა იყვნენ ისინი, არ მოგვცემს ადამიანის პიროვნების ცოცხალ ჰერეტას; საჭიროა, რათა ადამიანი თვითონ მეტყველებდეს თავის თავზე, გარეშე თავისი კარგი თუ ცუდი თვისებებისა. არიან ისეთი პირები, რომლებიც, კარგნიც და ცუდნიც, ჩვენს მეხსიერე-

ბაში მკვეთრ კვალს არ სტოვებენ და მალე ჰქრებიან მეხსიერებიდან. პირიქით, არიან სხვა ადამიანები, რომლებსაც არაფერი განსაკუთრებული, ძალიან კარგი ან ძალიან ცუდი, არა აქვთ, მაგრამ რომლებიც, როგორც ჩანს, პირველი დანახვისთანავე სამუდამოდ რჩებიან ჩვენს წარმოსახვაში. ეს განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ქალთა სახეების მიმართ: ხშირად თვალისმომკრელი სილამაზე ჩვენს ჰქვეტაში ადგილს უთმობს მეტად სადა, თითქოს მეტად ჩვეულებრივ სახეს. ამა თუ იმ პიროვნების მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებათა ასეთი სხვადასხვაობის მიზეზი, უქვევლია, თვით ამ პიროვნებაში მდგომარეობს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მიზეზი, როგორც ყოველი საიდუმლოება, სიტყვიერად არ გამოითქმის. აი ადამიანი: თამამად და გაბედულად ლაპარაკობს იგი ყველაფერზე, მოხერხებულად და ოსტატურად [გატყობინებთ] თქვენ თავის მაღალ თვისებებს; მისი სიტყვების მიხედვით, იგი მხოლოდ მაღალი და მშვენიერი გრძნობებით ცხოვრობს, მზად არის სიცოცხლე გასწიროს ჰუმანიტებისათვის. თქვენ უსმენთ მას, ხედავთ მასში დიდ ჰქუას, არ უარყოფთ არც მის გრძნობებს; მისი აზრი თავის თავზე თქვენ დასაჯერი გგონიათ. და, იმავე დროს, თქვენ მის მიმართ გულგრილი რჩებით, იგი თქვენში არავითარ ცხოველ ინტერესს არ იწვევს. რას ნიშნავს ეს?—რა თქმა უნდა, იმას, რომ თქვენ შეუცნობლად გრძნობთ რაღაც წინააღმდეგობას მის სიტყვებსა და თვით მას შორის. თქვენი გონება იწონებს მის სიტყვებს, ლებულობს მათ, როგორც მონაცემებს მის შესახებ მსჯელობისათვის, ხოლო უშუალო შთაბეჭდილება, რომელსაც იგი თქვენზე ახდენს, თქვენ[ში] აღძრავს მისი სიტყვებისადმი უნდობლობას და იწვევს მისგან თქვენს ჩამოშორებას. მაგრამ აი მეორე ადამიანი: მისთვის მეტად უცხოა ყოველგვარი პრეტენზია, იგი მეტად უბრალო, მეტად ჩვეულებრივი ადამიანია; იგი იმაზევე ლაპარაკობს, რაზეც ყველანი ლაპარაკობენ, — ამინდზე, ცხენებზე, შამპანურზე, ხამანწყაზე; ხოლო იმავე დროს, თქვენ, მისი

პირველად მნახველი, თითქოს თქვენი გრძნობის რაღაც ახირების გამო, თქვენი გონების ჯიბრზე რწმუნდებით, რომ ეს ადამიანი არ არის ის, რაც გგონიათ, რომ იგი იცნობს უმაღლეს იდეალურ სფეროებს და ყოფიერების უღრმეს საიდუმლოებებს, და იგი გაბედულად და პირდაპირ, როგორც თავის საკუთრებას, ღებულობს თქვენს სიყვარულს და პატივისცემას მანამდე, ვიდრე თქვენ ამას შენიშნავდეთ. აქ კვლავ იგივე მიზეზია — ძალა და გავლენა უშუალო მთაბეჭდილებისა, რომელსაც თქვენზე ეს ადამიანი ახდენს. ყველაფერი, რაც მის ბუნებაში იმალება, ყველაფერი ეს გამოიხატება თვით მისი მოძრაობით, ეესტებით, ხმით, პირისახით, სახის თამაშით, ერთი სიტყვით — მისი უშუალოებით. სწორედ ასევე, ხანდახან გონებრივი, ესთეტიკური და საზოგადოებრივი განათლების მთელი სიდიადე, ხელსაყრელი გარეგნობის დროსაც კი, ჩვენში ქალის მიმართ არ აღძრავს იმ მთრთოლვარე, მუსიკალურ გრძნობას, რომელსაც ადამიანი განიცდის მაშინ, როდესაც მის გვერდით იმყოფება ქალი, არ აღძრავს იმ მოწიწებას, რომლითაც ეს მომენტი გვიპყრობს ხოლმე; ხოლო ყოველგვარ განათლებას მოკლებული, მაგრამ ღრმა და მდიდარი ბუნების პატრონი უბრალო გოგონა ერთი მშვიდი შემოხედვით გვაიძულებს დავხაროთ მისკენ უტიფრად მიპყრობილი თვალები, თითქოს ისინი მზის სხივებს მოექრათ. სწორედ იმავე მიზეზით თქვენთვის ხანდახან სამძიმო და მოსაწყენია მეტად მოსწრებული სიტყვები და მახვილი ოხუნჯობა, ამაში ვერაფერს პოულობთ გასართობს, გარდა იმის პრეტენზიისა, რომ ეს მოქმედება გასართობია; თქვენვე არ შეგიძლიათ სხვა ადამიანის არც ერთი სიტყვის მოსმენა და არც ერთი მოძრაობის დანახვა გაუცინებლად, თუმცა არც მის სიტყვებში და არც მის მოძრაობაში, ალბათ, სასაცილო არაფერია. ასე რომ, როდესაც ყოველივე ამის შესახებ უკვე სხვა ვისმეს უამბობთ და უეჭველი ეფექტის მოხდენას ფიქრობთ, თქვენდა განსაცვიფრებლად თქვენ თვითონვე ხედავთ, რომ ამაში სრულებით არაფერია საიმისო, და რომ ყო-

ველივე ამის მთელი მომხიბლველი ძალა იმ ადამიანის უშუალოებაში მდგომარეობდა¹⁰.

სწორედ აი ეს უშუალოება, რომელიც ყოველი ადამიანის პიროვნების ასეთი მნიშვნელოვანი პირობაა, ჩნდება ადამიანის მოქმედებაშიც. არის შემთხვევები, რომლებშიაც ჩვენი ბუნება თითქოს ჩვენს მაგივრად მოქმედებს ისე, რომ არ ელოდება ჩვენი აზრის ან ჩვენი ცნობიერების შუამავლობას, და ჩვენ თითქოს ინსტინქტურად ვმოქმედებთ იქ, სადაც, ალბათ, შეუძლებელია შეგნებული მოსაზრების გარეშე მოქმედება. მაგალითად, ხდება ხოლმე, რომ როცა ადამიანი ძალიან დაშავდება ან ძლიერი დაშავების საფრთხეში ჩავარდება იმიტომ, რომ უგულისყურობის ან ღრმა ფიქრებით გატაცების გამო ვერ შენიშნავს რაიმე საგანს, შემდეგ ყოველთვის, იმ ადგილის ახლოს რომ გაივლის, თუნდაც ღამით, შეუგნებლად იხრება. ასეთი მოქმედება სრულიად უშუალო მოქმედებაა. მაგრამ გაცილებით უფრო მაღლა დგანან და განსაცვიფრებელი არიან ადამიანის სულის ის უშუალო მოქმედებანი, რომლებშიაც მეღავენდება მისი უმაღლესი ცხოვრება. რაოდენ წმინდათაწმინდა და ქეშმარიტი უნდა იყოს ადამიანის რწმენა, რაოდენ კეთილშობილური და სპეტაკი უნდა იყოს მისი ზრახვები, მათი გამოთქმისა ან აღსრულებისათვის ჯერ კიდევ არ კმარა არც რწმენის ძალა და არც მისწრაფების კეთილგანზრახულება; ამისათვის აუცილებელია ის ზეშთაგონებული აღმაფრენა, რომელშიაც ერთ მთელად დულაბდება ადამიანის მთელი ძალები, მისი ფიზიკური ბუნება მსვევალავს მის სულიერ არსს, რომელიც, თავის მხრივ, აშუქებს მის ფიზიკურ ბუნებას, გონივრული მოქმედება იქცევა ინსტინქტურ მოძრაობად და, პირიქით, აზრი იქცევა ფაქტად, ადამიანის გონივრული და თავისუფალი ნებისყოფის მოქმედება — უშუალო მოვლენად. ისტორია გვაძლევს ჩვენ ადამიანის სულის ძალის ამგვარი უშუალო გამოვლინების განსაცვიფრებელ მაგალითს, სულისა, რომელიც ბუნების კანონებზეც კი იმარჯვებს: კრეზის ვაჟი დაბადებითვე მუნჯი იყო, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ მტრის ჯარისკაცს უნ-

დოდა მამამისის მოკვლა, — რადგან ამ ჯარისკაცმა არ იცოდა, რომ იგი მეფე იყო, — უცბად მან ენა ამოიღვა და შესძახა: „მეომარო, არ მოჰკლა მეფე!“ მაგრამ არც ეს მაგალითი, თუმცა დიდად განსაცვიფრებელი, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს უშუალო გონივრულობის ყველაზე მაღალ გამოვლინებას. ეს უშუალო გონივრულობა მისი დიადი მნიშვნელობის მთელი უსასრულობით შეიძლება დავინახოთ ადამიანის მხოლოდ იმ თავისუფალ და გონივრულ მოქმედებებში, რომლებშიაც მეღვაწეობა ადამიანის უმაღლესი სულიერი ბუნება და მისწრაფება უსასრულოსადმი. კაცობრიობის მთელი ისტორია, ერთი მხრით, სხვა არაფერია, თუ არა ამგვარ უშუალო-გონივრულ და გონივრულ-უშუალო მოქმედებათა სურათების უსასრულო რიგი, მოქმედებათა, რომლებშიაც პირადი სურვილი შეერწყმის პიროვნებისათვის გარეგნულ აუცილებლობას, ნებისყოფა იქცევა ინსტინქტად, სამოქმედოდ აღფრთოვანება — თვით მოქმედებად¹². მოქმედების უშუალობა სრულიადაც არ გამორიცხავს არც ნებისყოფას და არც ცნობიერებას, პირიქით, რაც უფრო მეტად მონაწილეობს ერთი და მეორეც მასში, მით უფრო ძალადი, ნაყოფიერი და ნამდვილია მოქმედება; მაგრამ ნებისყოფა და ცნობიერება, თავისთავად, როგორც ცალკე აღებული ელემენტები სულისა, არასოდეს არ გადადიან მოქმედებაში და ნაყოფს არ იძლევიან სინამდვილის უმაღლეს სფეროებში, ვინაიდან აქ ისინი მტრული ძალები არიან უშუალობისა, რომელშიაც მდგომარეობს ცოცხალი წარმოებითი ძალა. ბუნების გაჩენა და განვითარება, ისტორიისა და ხელოვნების ყველა მოვლენა უშუალოდ ხდებოდა.

შეიძლება ბევრ ჩვენს მკითხველთაგანს სიტყვა „უშუალო“ მოეჩვენოს სრულიად იმავე მნიშვნელობის მქონედ, რაც აქვს სიტყვას „შეუგნებელი“, ხოლო „უშუალობა“ კიდევ — „შეუგნებლობის“ ტოლმნიშვნელად, — და იქნებ იმათ გვისაყვედურონ, თითქოს ჩვენ ამაოდ გვსურდეს გამოვიგონოთ და მოდად შემოვიღოთ ახალი და სრულიად უცნობი სიტყვები ძველი და ყველასათვის ცნობილი ცნებებისათვის, რომლე-

ბიც უკვე დიდი ხანია გამოხატულია აგრეთვე ყველასათვის ცნობილი სიტყვებით, და ბრალი დაგვდონ იმაში, თითქოს ჩვენ პედანტურად გვწადდეს დავიწყოთ ზედმეტი ახსნა-განმარტება და მოვახდინოთ არასაკუირო გადახვევა, რაც საქმეს სინათლეს კი არ ჰტენს, არამედ მხოლოდ აბუნდოვანებს. თუ ეს მოხდება და თუ ამის მიზეზი იქნება არა დაუკვირვებელი მკითხველის განუსჯელი უყურადღებობა და, მაშასადამე, ცხადია, მისი ბრალდების უმართებულობაც, მაშინ ეს გამოწვეული იქნება მხოლოდ იმით, რომ ჩვენ არადამაკმაყოფილებლად განვმარტეთ ეს საგანი. უშუალოებაში შეიძლება იყოს შეუგნებლობა, მაგრამ ყოველთვის როდია ხოლმე,—და ეს ორი სიტყვა სრულიადაც არ არის ერთი და იგივე, ისინი სინონიმებსაც კი არ წარმოადგენენ. მაგალითად, ბუნება უშუალოდ და თანაც შეუგნებლად გაჩნდა; ხოლო ისტორიული მოვლენები, როგორცაა ენებისა და პოლიტიკურ საზოგადოებათა გაჩენა, უშუალოდ მოხდა და სრულიადაც არა შეუგნებლად. სწორედ ასევე, მოვლენის უშუალოება ძირითადი კანონი, უცილობელი პირობაა ხელოვნებაში, პირობა, რომელიც მას მაღალ და მისტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს; მაგრამ შეუგნებლობა არა თუ ხელოვნების აუცილებელ კუთვნილებას არ შეადგენს, არამედ მისდამი მტრული და მისი დამამკირებელია. სიტყვა „უშუალო“ მოიცავს და შეიცავს გაცილებით უფრო ვრცელ, უფრო ღრმა და უფრო მაღალ ცნებას, ვიდრე სიტყვა „შეუგნებელი“. ამას ჩვენ ნათლად დავამტკიცებთ ხელოვნების იდეის შემდგომს განვითარებაში.

ყოველი მოვლენის უშუალობის პირობაა ზეშთაგონებული აღფრთოვანება; ყოველი მოვლენის უშუალობის შედეგია ორგანიზაცია. მხოლოდ ზეშთაგონებული შეიძლება მოგვევლინოს უშუალოდ, მხოლოდ უშუალოდ მოვლენილი შეიძლება იყოს ორგანული, მხოლოდ ორგანული შეიძლება იყოს ცოცხალი. ორგანიზმი და მექანიზმი, ანუ ბუნება და ხელობა, — აი ორი სამყარო, რომლებიც მტრულად უპირისპირდებიან ერთიმეორეს¹². ერთია თავისუფალი, განუწყვეტილვ მოძრავე, ცვალებადი, მოციავე ფერებითა და საღებავებით

აელვარებული, ათასგვარი ხმებითა და ბგერებით აღსავსე; მეორეა მკვდრულ უძრაობაში გაშეშებული, მონურ-წესიერი და უსიცოცხლო-განსაზღვრული, ყალბი ბრწყინვალეობით, ხელოვნური სიცოცხლით, მუნჯი და უტყვი. პირველი სამყაროს მოვლენებს, რომლებიც ცოცხალნი და უშუალოდ წარმოშობილნი არიან, ეწოდება აგრეთვე ზეშთაგონებულის, ანუ შემოქმედებითი მოვლენები, ხოლო მეორე სამყაროს მოვლენებს—მექანიკური საგნები, ანუ ადამიანის ნახელავი. იგულისხმება, რომ ეს სიტყვა-სიტყვით არ უნდა გავიგოთ და პირველდაწყებითი მხატვრული მიზეზი არ უნდა ავუერიოთ მეშვეობითს მიზეზში: ყველა ქანდაკება და ყველა სურათი ადამიანის ხელით კეთდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არის ორგანული, ზეშთაგონებული, შემოქმედებითი ქანდაკებები და სურათები, და არის მექანიკური, არა შექმნილი, არამედ გაკეთებული ქანდაკებები და სურათები.

ცხადია, შექმნილი ანუ შემოქმედებითი ეწოდება ყოველივე იმას, რასაც ვერ გააკეთებს ადამიანის მოსაზრება, გაანგარიშება, განსჯა და ნებისყოფა, ყოველივე იმასაც კი. რასაც არც გამოგონება შეიძლება ეწოდოს, მაგრამ რაც უშუალოდ ჩნდება არყოფნიდან ყოფიერებაში ან წარმოადგენს ბუნების შემოქმედებითს ძალას, ანუ ადამიანის სულის შემოქმედებითს ძალას, და რასაც, წინააღმდეგ გამოგონებისა, შთაგონება უნდა ეწოდოს. ორგანიზაცია, რაც არსებით განსხვავებას შეადგენს შემოქმედებითს ნაწარმოებებსა და მექანიკურ ნაწარმოებებს შორის, ალბათ, შედეგია იმ პროცესისა, რომლის მეშვეობითაც იგი ჩნდება. ეს რომ მაგალითით ავხსნათ, ამისათვის დავუპირისპიროთ ბუნება ხელობას. როდესაც საათის გამომგონებელ ადამიანის თავში პირველად გაიღვა აზრმა ამ მანქანის შესახებ, საქმე ამ წამიერი გაელვებით არ დამთავრებულა: იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ [მას] ბევრი უნდა ეფიქრა და მოესაზრებინა, ვიდრე თავისი აზრის განხორციელებას შეუდგებოდა, მას აგრეთვე განუწყვეტლივ უნდა შეემოწმებინა კიდევ ეს აზრი ცდით და ცდაში ეძებნა თავისი აზრის დამატებანი. როდესაც ჰქმნიდა, იგი ისევ ან-

გრევდა, როდესაც აწყობდა, იგი შლიდა, ვინაიდან ყოველთვის ხედავდა, რომ რალაც აკლდა. მთავარი სულიერი მოღვაწე მისი გამოგონების აქტში იყო მოსაზრება, გაანგარიშება, ალბათობათა გამოანგარიშება. ფრთხილად, თითქოს სიბნელეში, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა, თავით მუშაობდა და თითებით ანგარიშობდა. ამიტომაც არ შეიძლებოდა მისი გამოგონება მაშინვე ყოფილიყო სრულყოფილი, არამედ საჭირო იყო ზუსტ მეცნიერებათა მრავალსაუკუნოვანი წარმატებანი, რომ მას სრულყოფისთვის მიეღწია. თუ ხელობას უნდა ბუნებას მიბადოს,—აქ კიდევ უფრო განსაცვიფრებლად მოჩანს ბუნების ძლიერება და ხელობის უძლურება. ადამიანს უნდა ყვავილი — ვარდი გააკეთოს. ამ მიზნით იგი იღებს ბუნებრივ ვარდს, დიდხანს და გულდასმით სწავლობს მას ყველა უმცირეს დეტალებში, — ფურცელს, ნაოქს, ფერების გადასვლას და ელფერს, საერთო ფორმას, და უკვე დიდი მოსაზრებისა და მრავალი გაანგარიშების შემდეგ გამოსჭირს და ჰკერავს თავის ყვავილს ბუნების ფერების მიხედვით შეღებილი ქსოვილისაგან. და მართლაც, რა დიდია მისი ოსტატობა: მის ხელოვნურ ვარდს თქვენ ათი ნაბიჯის მანძილზე ვერ გაარჩევთ ბუნებრივი ვარდისაგან; მაგრამ უფრო ახლოს მიდით, და თქვენ ბუნების მშვენიერი, სიცოცხლით სავსე ქმნილების გვერდით დაინახავთ ცივ, უძრავ გვამს, — და თქვენი გრძნობა შეურაცხყოფილი დარჩება მკვდარი ნაყალბევით. სინარულის გრძნობით შეპყრობილი, თქვენ მკვირცხლად იღებთ მომხიბლველ ყვავილს, სინჯავთ და ჰყნოსავთ მას. მისი ფოთლები და ფურცლები ისე სიმეტრიულად, ისე პროპორციულად არის განლაგებული, რომ მათ სისწორეს შეიძლება მხოლოდ ჩვენი გონება ჩასწვდეს, მაგრამ ამას ვერ შეამოწმებს ჩვენი ხელსაწყოები, რომლებიც საამისოდ მეტისმეტად არაზუსტია. და მერე, რა გულმოდგინედ, რა დიდი მზრუნველობით, რა უსასრულო სრულყოფით არის თითოეული მათგანი გამოყვანილი და გაფერადებული სულ უმცირეს დეტალებამდე... რა დიდებული და მშვენიერია მისი ყვავილი, რამდენი ძარღვი და ელფერია ზედ, რა ნაზი და ლაპლაპა

მტვერია... ო, თვით სოლომონ მეფე არ იცვამდა ასე საუცხოოდ ჟამსა თვისი დიდებისა!.. და, დასასრულ, რა დამატობელი სურნელებაა!.. მაგრამ მანამდე, ვიდრე ჩვენ ამ ვარდს ვუცქერით გარედან, ვტკბებით და გაკვირვებული ვართ ძისა შესახედაობით, ფერითა და სურნელებით, ხელოვნური ყვავილი კიდევ შეიძლება შევადაროთ ვას, ყოველ შემთხვევაში, თუნდაც როგორც მისი პაროდია, რომელიც ადამიანის გონების თავისებურ ძალასა და ძლიერებას ადასტურებს. მაგრამ? განა ვარდში მარტოოდენ ამით თავდება ყველაფერი? ო, არა! ეს მხოლოდ გარეგანი ფორმაა, შინაგანის გამოხატულება: ეს საკვირველი საღებავები მცენარის შიგნიდან გამოვიდა, ეს მომჯადოებელი სურნელება მისი ბალზამისებური სუნთქვაა... შეიხედეთ იქ, ამ ყვავილის შიგნით, — და ხელოვნური ვარდის ყოველგვარი შედარება მასთან თავისთავად მოისპობა, როგორც საღი აზრის შეურაცხმყოფელი უაზრობა. იქ, მწვანე ღეროს შიგნით, რომელზეც ეგრე გრაციოზულად ჰკიდია ეს მშვენიერი ყვავილი, იქ მთელი ახალი საქყაროა: იქ არის დამოუკიდებელი ლაბორატორია სიცოცხლისა. იქ საკვირველი სისწორით ნაკეთებ უწვრილეს ძარღვებში მიედინება სიცოცხლის ტენი, იქ კამკამებს უხილავი ეთერი სულისა... და, იმავე ღროს, ბუნებამ ამ საკვირველ ყვავილზე ღროც ნაკლები დახარჯა და უფრო სადა და იაფი მასალებიც გამოიყენა, და სრულიად შრომა არ გაუწევია, მოსაზრება ან გაანგარიშება არ დასჭირვებია: მიწაში ჩავარდა პაწია მარცვალი — და მიწიდან აღმოცენდა მცენარე, გაიკეთა ფოთლები და ფერებით მორითო გაზაფხულის საქორწინო ნადიმისათვის... უკვე მისი მარცვალი შეიცავდა ძირსაც, ღეროსაც, ლამაზ ფოთლებსაც, საუცხოო სურნელოვან ყვავილსაც და მცენარის მთელ არქიტექტურასაც მთელი მისი ფორმებითა და პროპორციებით! მაგრამ რაღა გააკეთა აქ ბუნებამ? რით აღნიშნა მან თავისი მონაწილეობა ამ ყვავილის შექმნაში? ვიმეორებთ: მას ამისათვის არავითარი შრომა არ გაუწევია. მშვიდად, სრულიად დაუძაბავად იმეორებს ის ახლა მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ შექმნილ მოვლენებს.

მაგრამ იყო წამი, როდესაც ის საშინლად მუშაობდა, მთელი თავისი ძალების დაძაბვითა და ბრძოლით... როდესაც ყოვლისშემძლე „იყავნ“-მა გამლაღვიდა წინადროინდელი ქაოსი, არყოფნამ მოუწოდა ყოველფერებისაკენ, შესაძლებლობამ სინამდვილისაკენ, იდეამ მოვლენისაკენ, — მაშინ მანამდე არსებული უსხეულო ღვთაებრივი აზრი არაარაობიდან იქცა ჩვენს პლანეტად, — და დიდხანს ბრუნავდა ეს პლანეტა ხან წყლის ოკეანეში, ხან ცეცხლის ოკეანეში, — და წინანდელი ზღვის ფსკერის ადგილას აღმართული მაღალი მთაგრეხილები, წყალთა და ცეცხლთა მიწისქვეშა ნიაღვრები, უძირო ზღვები, კუნძულები და ტბები, ცეცხლმფრქვევი ვულკანები მოწმობენ ამ პლანეტაზე მომხდარ საშინელ გადატრიალებებს, ვიდრე ის იქცეოდა იმად, რაც ახლა არის; მოწმობენ მის უდიდეს მუშაობას, რაც ჯერაც არ დამთავრებულა, თუ ვიმსჯელებთ მთელი უზარმაზარი კონტინენტის მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ აქამდე სრულყოფილი სახით არ ჩამოყალიბებულა*. დიად, ეს იყო უდიდესი მუშაობა! ბუნება აჩენდა მოვლენათა უსასრულო წყებებს, და თითოეული მათგანი იყო მძლავრი, წამიერი და უეცარი ამოქროლვა არყოფნის წყვდიადიდან სიცოცხლის სინათლეში. დიდებული და მშვენიერია სამყაროს შენობა! რა სწორია ეს მტრედისფერი ცის გუმბათი, რომელზეც ასეთი მკაცრი წესრიგით, ასეთი უცვლელი სისწორითა და ჰარმონიით ამოდის და ჩადის მზე, ჩნდება და იმალება მთვარე უთვალავი ვარსკვლავებითურთ! და, იმავე დროს, ფარგალს როდი უმაღლიან თავის არსებობას ეს წრეები და სფეროები, ქალაღზე როდი მოხაზეს წინასწარი გეგმა, და მათემატიკოსის მოსაზრებამ როდი განსაზღვრა წინასწარ ეს უსასრულო ურთიერთობანი უსასრულო სიდიდეებსა, სიმძიმეებსა და სივრცეებს შორის. სამყაროს არა აქვს დასასრული, ციურ სხეულებს არა აქვთ სათვალავი, ყველა ისინი იყოფა ერთიმეორისადმი დაქვემდებარებულ მსოფლიოებად, თითოეული მათგანი ნაწი-

* ახალი კოლანდია.

ლია მთელისა, რომელიც თითქოს ცოცხალ ორგანულ სხეულს შეადგენს, ისინი ურთიერთობაში იმყოფებიან და ურთიერთ დამოკიდებული არიან ყოველი სხვა მსოფლიოსაგან. და მთელი ეს უსაზღვრო სივრცე, მთელი ელემენტარული სიდიდე, მთელი ეს უთვალავი სიმრავლე, რომელიც ერთიანსა და მთელს შეადგენენ, გაჩნდა თავის თავისაგან და თავის თავშივე შეიკავდა თავის კანონებსაც. თავის მარადიულ უცვლელ რიცხვებსა და ხაზებსაც და თავისი ტოტალიტეტის მთელ მონახაზსაც. სამყარო არის ღვთაებრივი აზრი, რომელიც მარადისობიდან, წინააღობიდან არსებობდა, როგორც გონივრული შესაძლებლობა, და რომელიც ანაზღად ცხად სინამდვილედ იქცა ფორმად განსხეულების საშუალებით. მისი არსებობის სისრულეში ჩვენ ვხედავთ ორ, ალბათ, მოპირდაპირე, მაგრამ არსებითად მონათესავე და იგივეობითს მხარეს: სულსა და მატერიას. სული არის ღვთაებრივი აზრი, სიცოცხლის წყარო; მატერია არის ის ფორმა, ურომლისოდაც აზრს არ შეეძლო გამოვლინებულიყო. ცხადია, ორივე ამ ელემენტს ესაჭიროება ერთიმეორე: უაზროდ ყოველი ფორმა მკვდარია, უფორმოდ აზრი არის მხოლოდ ის, რაც შეიძლება არსებობდეს, მაგრამ არა ის, რაც არსებობს. მოვლენაში ისინი შეადგენენ ერთიანსა და განუყოფელს, ერთიმეორეს მსკვალავენ და ერთიმეორეში ქრებიან. მათი ერთად შერწყმის (კონკრეციის) პროცესი არის საიდუმლოება, რომელშიაც სიცოცხლე თითქოს თავის თავს დამალვია, რადგან არ სურს თავისი თავიც გახადოს მოწმედ თავისი უდიდესი აქტისა, თავისი უაღრესად საზეიმო მღვდელმოქმედებისა. ჩვენ ვიცნობთ აუცილებლობას, მაგრამ მხოლოდ ვგრძნობთ ან ვჭვრეტთ ამ პროცესის საიდუმლოებას. იგი არის აუცილებელი პირობა მოვლენათა სიცოცხლისა, და მისი შედეგი არის ორგანიზაცია, რომლის შედეგია თავისებურება, ინდივიდუალობა და პიროვნება.

ბუნების ყველა მოვლენა არსებითად სხვა არაფერია, თუ არა კერძო და განცალკევებული გამოვლინება საზოგადოსი. საზოგადო არის იდეა. რა არის იდეა? ფილოსოფიური გან-

საზღვრით იდეა არის კონკრეტული ცნება, რომლის ფორმა რაიმე მისთვის გარეგანი რამ კი არ არის, არამედ მისი განვითარების, მისივე საკუთარი შინაარსის ფორმაა. მაგრამ რადგანაც ჩვენთვის უცხოა საგნის ფილოსოფიური გადმოცემა, ამიტომაც შევეცდებით მის შესახებ ჩვენს მკითხველებს რაც შეიძლება ნაკლებ განყენებულად, რაც შეიძლება უფრო მხატვრულად მოვუთხროთ. გოეთეს „ფაუსტის“ მეორე ნაწილში არის ადგილი, რომელმაც შეიძლება ჩვენ ერთგვარად წინასწარ გვაგრძნობინოს „იდეის“ ისეთი მნიშვნელობა, რაც ჰემმარიტებას უახლოვდება. ფაუსტი, რომელიც იმპერატორს შეჰპირდა, რომ მის წინაშე გამოიძახებდა პარისსა და ელენეს, დახმარებას სთხოვს მეფისტოფელს, რომელიც უხალისოდ მიუთითებს მას ამ დაპირების შესრულების ერთადერთ საშუალებას. „მიუვალ სიცალიერეში, — ამბობს ის, — მეფობენ ქალ-ღმერთები; იქ არ არის სივრცე და კიდევ უფრო ნაკლებად არის ღრო. ისინი დედები არიან“. — დედები? — შესძახებს განცვიფრებული ფაუსტი; — დედები, დედები, — იმეორებს ის. — ეს მეტად უცნაურად გაისმის... — „ქალ-ღმერთები, — განაგრძობს მეფისტოფელი, — თქვენთვის, მომაკვდავთათვის, უცნობნი, რომლებსაც ჩვენ უხალისოდ ვასახელებთ. მზად ხარ თუ არა? შენ არ შეგაჩერებენ არც ციხე-კოშკები, არც ცხრაკლიტულები; შენ შემოგერტყმის სიცალიერე. წარმოდგენილი გაქვს თუ არა სრული სიცალიერე?“ — ფაუსტი მას არწმუნებს, რომ მზად არის. — „შენ რომ დაგჭირვებოდა ცურვა, — კვლავ განაგრძობს მეფისტოფელი, — უსაზღვრო ოკეანეში, შენ რომ დაგჭირვებოდა ჰერეტა ამ უსაზღვროებისა, — იქ დაინახავდი, ყოველ შემთხვევაში, ტალღის სრბოლას ტალღაზე, იქ დაინახავდი რაიმეს; შენ დაინახავდი დამშვიდებული ზღვის ლურჯ ზედაპირზე მოთქაფუნე დელფინებს; შენს თვალწინ იმოძრაებდნენ ღრუბლები, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მაგრამ ცალიერე, მარად ცალიერე შორეთში შენ ვერ დაინახავ ვერაფერს, ვერ გაიგონებ შენი საკუთარი ნაბიჯის ხმას, ვერაფერს ნახავ ისეთს, რაზედაც ფეხის დაყრდნობა შეგეძლება“. — ფაუსტი ურყევია.

შენს არააში, — ამბობს ის, — იმედი მაქვს ვიპოვნო ყველაფერი (In deinem Nichts hoff ich das All zu finden). ამის შემდეგ მეფისტოფელი ფაუსტს აძლევს გასაღებს. „გაპყე ამ გასაღებს, — ეუბნება ის ფაუსტს, — იგი მიგიყვანს დედებთან“. სიტყვა „დედები“ კვლავ ძრწოლას ჰკვრის ფაუსტს. — დედებთან, — წამოიძახებს იგი. — თავზარსა მცემს ვე სიტყვა! რა სიტყვაა ეგეთი, რომ მე მისი გაგონება არ შემიძლია? — „ნუთუ შენ ისე შეზღუდული ხარ, — ძიუგებს მას მეფისტოფელი, — რომ ახალი სიტყვა გაშფოთებს?..“ შემდეგ მეფისტოფელი არიგებს მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს თავისი საკვირველი მოგზაურობის დროს, და ფაუსტი, რომელმაც ჯადოსნური გასაღების შეხებით მკერდში ახალი ძალების მოზღვაება იგრძნო, ფეხს დაჰკრავს და უძირო სიღრმეში ეშვება. — „საინტერესოა, — ამბობს მარტოდ დარჩენილი მეფისტოფელი, — დაბრუნდება თუ არა იგი?“ — მაგრამ ფაუსტი დაბრუნდა და წარმატებითაც: მან უძირო სიცალიერიდან თან გამოიტანა ზედადგარი, ის ზედადგარი, რომელიც საჭირო იყო, რათა არსებულ სამყაროში გამოეწვია სილამაზე პარისისა და ელენეს სახით *.

დიახ, უცნაური რამ არის ეს სიტყვა „დედები“, და შეუძლებელია იგი კაცმა ისე წარმოსთქვას, რომ იღუმაღმა თრთოლვამ არ შეიპყროს, თითქოს ეს იყოს ერთი იმ მისტიკურ სიტყვათაგანი, რომლისგანაც მთვარე ფითრდება და მკვდრები თავიანთ კუბოებში შეირხევიან!.. მაგრამ კიდევ უფრო მეტად საჭიროა გამბედაობა იმისათვის, რომ უსაზღვრო სიცალიერეში გაემართო და „დედებთან“ მიაღწიო!.. მაგრამ ვინც არ ათრთოლდება, უკან არ დაიხევს და თავის საშინელ ღვაწლში არ დაიქანცება, — იგი დაბრუნდება და თან მოიტანს ჯადოსნურ ზედადგარს, რომლითაც შეიძლება

* მთელი ეს ადგილი, რომელშიაც მითითებულია „ფაუსტზე“, არის ამონაწერი ჩიოტურის სტატიისათვის: „მხატვრული ნაწარმოების ფილოსოფიური კრიტიკის შესახებ“. ამონაწერი გაკეთებულია ამ სტატიის მთარგმნელ ხ-ნ კატკოვის მიერ და აქ ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ. იხ. „მოსკოვსკი ნაბლოუდატელ“, 1838, ნაწილი XVIII, გვ. 187 და 188.

დიდი ხნის მიცვალებულთა აჩრდილების გამოწვევა და უსხეულო აზრების მშვენივრად განსხეულება... ეს „დედები“ არიან ის პირველარსი, წინადროინდელი იდეები, რომლებიც, ფორმებად ხორცშესხმულნი, სამყაროებად და სიცოცხლის მოვლენებად იქცნენ. სიცოცხლე არავის არ აშინებს; მაგრამ, როგორც ტურფა ასული მწველი თვალებით, ვარდისფერი ლოყებით და საკოცნელად მიმზიდველი ტუჩებით, იგი გვიზიდავს დაუძლეველი მომხიბლველი ძალით. თვალდახუჭულნი, გონდაკარგულნი, ჩვენ გულში ვეკონებით მას, — და ჩვენ ვუცქერით და ვერ ვძლებით მისი ცქერით, თვალი ვერ მოგვიშორებია... მაგრამ ჩვენში მიმაღულია ჭია, რომელიც სწამლავს სიტკბოების სისრულეს; ეს ჭიაა ცოდნის წყურვილი. გაინძრევა თუ არა ეს ჭია, ტურფას მომხიბლველი სახე თანდათან თვალთაგან გვეფარება. ჭია იზრდება, იქცევა გველად, რომელიც სისხლს გვწოვს გულიდან, ტურფა სავსებით ჰქრება, და იმისათვის, რომ იგი დავიბრუნოთ, ჩვენ თვალი უნდა მოვწყვიტოთ ფორმებსა და საღებავებს და მივაპყრათ უსიცოცხლო და სილამაზეს მოკლებულ ჩონჩხებს. მაგრამ მალე ჩვენ ამაზეც ხელი უნდა ავიღოთ და გადავეშვათ უსაზღვრო სიცალიერეში, სადაც არ არის სიცოცხლე, არ არის სახეები, არ არის ბგერები და საღებავები, არ არის სივრცე და დრო, სადაც არაფერია ისეთი, რასაც ადამიანი თვალს მიაპყრობდა, რაზედაც იგი ფეხს დააყრდნობდა, სადაც მეფობენ დედები ყოველივე არსებულისა — უსხეულო იდეები, რომლებიც არიან ის არააა, რისგანაც გაჩნდა ყველაფერი; რომლებიც არსებობდნენ მარადიულად, უადრეს სამყაროსი, რომლებისგანაც დაიძრა დრო და თავიანთ სამარადისო გზას გაუდგნენ სამყაროები...

ამრიგად, იდეები არიან სიცოცხლის დედები, მისი სუბსტანციური ძალა და შინაარსი, ის დაუშრეტელი რეზერვუარი. საიდანაც დაუდგრომლად მოედინებიან სიცოცხლის ტალღები. რდნა თავისი არსით ზოგადია, ვინაიდან ის არ მიეკუთვნება არც განსაზღვრულ დროს, არც განსაზღვრულ სივრ-

ეს. როდესაც მოვლენაში გადადის, იდეა ხდება განკერძოებული, ინდივიდუალური, პირადი. მთელი კიბე ქმნადობისა სხვა არაფერია, თუ არა განკერძოება ზოგადისა კერძოში, მოვლინება ზოგადისა კერძოს სახით. საერთო მსოფლიო მატერიიდან გამოვიდა ჩვენი პლანეტა და, თავისი ერთადერთი და კერძო ფორმის მიღების შემდეგ, თავის მხრივ გახდა საერთო სუბსტანციური მატერია, რომელიც განუწყვეტლივ ესწრაფვის უთვალავ არსებებად განკერძოებას. ლითონებისა და ქვების უსახო მასები, რომლებიც არაერთარ განსაზღვრულ ფორმას არ წარმოადგენენ, მიუხედავად ამისა მაინც განკერძოებული მოვლენებია, რომელთაც თავისი, თუმცა დაბალი და გარეგანი, ორგანიზაცია აქვთ. ზოგიერთი მათგანი პრიზმების განსაზღვრულ და სწორ ფორმასაც კი იღებს, და ეს პრიზმები თითქოს აღმოცენდებიან ხოლმე რაღაც ნიადაგიდან, რომელიც იმავე ნივთიერებისაგან შესდგება, რისგანაც ეს პრიზმები, და რომელიც მათს უსახო ბაზისს შეადგენს. მცენარეთა ორგანიზაცია უფრო მაღალია, და საერთოდ მცენარეები უკვე წარმოადგენენ რაღაც ისეთს, რაც კერძოზე მაღლა დგას, მაგრამ რასაც ჯერ კიდევ არ მიუღწევია ინდივიდუალობისათვის. თითოეულ მათგანში თანაბრად საჭიროა ფესვიც, ღეროც, ტოტიც, ფოთოლიც, მაგრამ მათი ფოთლების რიცხვი განუსაზღვრელია, და მოწყვეტილი ფოთლები არა სცვლიან ხის კერძობითს სახეს; რაც შეეხება ტოტებს, აუშმაცა ისინი...

1843 წლის რუსული ლიტერატურის უმთავრესი მოვლენების მიმოხილვა



(სტატია პირველი)¹

ჩვენ ვამბობთ: „რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“, „რუსული ლიტერატურის მდგომარეობა“ და სხვადასხვა ამგვარ ფრაზებს, რომლებშიაც სიტყვა „რუსული ლიტერატურა“ მუდამ მხოლოდობით რიცხვში იხმარება. ეს არის ჩვეულება, რომელსაც დროა სათანადო ყურადღება მიექცეს და დროა გადავეჩვიოთ. ჩვენში რამდენიმე ლიტერატურაა. როდესაც ყველა მათ ერთმანეთში ვურევთ სიტყვა „რუსული ლიტერატურის“ სახით და ამ სიტყვას სხვადასხვა ეპითეტებს ვურთავთ, ჩვენ ხშირად ვცოდავთ, რადგან ერთი ლიტერატურის ნიშნებს ვაკუთვნებთ მეორე ლიტერატურას, რომელიც ფრიად მოხარული იქნებოდა ეს ნიშნები თავიდან მოეშორებინა, იმიტომ რომ სრულებითაც არ მიაჩნია ისინი თავის წარჩინებად... ვეცდებით განვმარტოთ ეს.

ჩვენში არის ბინძური, იაფფასიანი ლიტერატურა, რომელიც ჩარჩო-ბაზრების გაუვალ მისახვევ-მოსახვევებში იმალება, ნესტიანი და ბნელი სარდაფების დამპალი ჰაერით სუნთქავს, ძონძებით დაფარული უმეცრების მიერ მიწოდებული მცირე ხარკით იკვებება. ამ ლიტერატურის არსებობის პირველი დღიდან აქამდე მას ერთი და იგივე იდეები, ერთი და იგივე ცნებები, ერთი და იგივე შეხედულებები აქვს, ესე იგი არც იდეები გააჩნია, არც ცნებები და არც შეხედულებები. მისი წარმომადგენლები არიან გაუნათლებელი, მცირემცოდნე ადამიანები, რომლებიც, სამაგიეროდ, ძალიან კარგად იცნობენ თავის საზოგადოებას და ამიტომ საკვირველი გამბედაობით არიან აღჭურვილნი: ისინი ამ საზოგადოების

ცნობისმოყვარე გონებას აწვდიან მეტად მრავალფეროვან საზრდოს და ხშირად მასთან ერთად იმაზეც კი მსჯელობენ, რაც თქვენს ბრძენთ არც კი დასიზმრებიათ. იაფფასიანი ლიტერატურის მეტად ღირსშესანიშნავ თვისებებს მიეკუთვნება, სხვათა შორის, საკვირველი სიმტკიცე, რომლითაც იგი მიემართება ერთხელ აღებული გზით, და პატრიარქალური, რაღაც მიაშიტური სიწირფელით გაჟღენთილი გულახდილობა, რითაც იგი თავის საზოგადოებას ეპყრობა. ამოდ იარაღდებიან ჟურნალები იაფფასიანი ლიტერატურის წინააღმდეგ თავიანთი შესაძლისი კვუამახვილობით, ამოდ მიმართავენ მას მუქარით, შეგონებითა და ლანძღვა-გინებით; ეს ლიტერატურა არ კითხულობს ჟურნალებში მოთავსებულ რეცენზიებს, ანდა კითხულობს მათ უსიტყვო და ამაყი ზიზლით, რაც ძალიან ნათლად ადასტურებს, რომ უკვე დაგვიანებულია უვიცობის უხეშ ქერქში ღრმად ჩამჯდარი ამ ლიტერატურის დაბრუნება კეშმარტების გზაზე — კრიტიკის შოლტით!.. მან დიდი ხანია დაჰკარგა სინდისიერების ის ნატამალიც კი, რომელიც „სხვებს — დანარჩენებს“ აიძულებს თავიანთი არც თუ მთლად სანაქებო მოქმედება დაფარონ საზოგადო სიკეთისადმი მისწრაფების, განათლების სიყვარულისა და ეგრეთწოდებული კეთილგანზრახულობის ნიღაბით; და იგი თავისი მიზნისაკენ მიემართება პირდაპირ და უტიფრად, გულგრილი თავხედობით მიდის იმ პირთან, რომელსაც იგი იცნობს მისი „სისუსტით ლიტერატურის მიმართ“, ჯიბიდან აცლის მას რამდენიმე გროშს, მათ ნაცვლად ჯიბეში აჩრის თავის ბინძურ ნაწარმს და ხმამაღალი ხარხარით გარბის, თანაც სრულებით არ ცდილობს მყიდველს დაუმალოს, რომ დიდებულად მოატყუა ის. შემდეგ იგი შედის „დაწესებულებებში“, იქ სტოვებს ამოგებულ ფულს და იმარაგებს მასალებს ახალი ნაწარმისათვის.

ჩვენში არის მეორენაირი ლიტერატურა — ღვიძლი და პირველისა, მაგრამ უფრო ფაქიზი, მოსაზრებული და ფრთხილი. იმასაც საერთო არა აქვს რა ხელოვნებასა და მეცნიერებასთან, მან კარგად ვერც კი გაუგია და ვერც გაიგებს ხე-

ლოვნებასა და მეცნიერებას, ვიდრე მას ვინმე გვარიან თანხას არ გადაუხდის. ამ ლიტერატურის მიზანიც იგივეა, რაც პირველისა — ფული, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ოდენობით. იქ, სადაც იაფფასიანი ლიტერატურა კაპიკებითა და უზალთუნებით კმაყოფილდება, ეს მეორენაირი ლიტერატურა ათასების მიღების შემთხვევებს დაეძებს. მისთვის ცოტაა შესაძლისი ხარკი, რასაც ესოდენი გულმოდგინებით სდებს „განათლების საკურთხეველზე“ საზოგადოება, რომელიც რეჟმენის არმიაკებსა და დათრიმლულ კურტაკებს იცვამს; იგი იცნობს ცხოვრების ფაქიზ კომფორტს და სურს რაღაც უნდა დაუჯდეს თავისი ეტლით იმგზავროს, ჰამბსის სავარძლებში იჯდეს, შამპანური სვას და ბანქო ითამაშოს დიდ ფულზე. და აი, მან ხელი ჩასჭიდა უფრო მდიდარ და ხელგაშლილ საზოგადოებას, — უცნაურ, კრელ საზოგადოებას, რომელიც ზოგჯერ ძალიან ჰკვიანი, ზოგჯერ მოყეყეჩო, მაგრამ მუდამ უაღრესად მიმნდობელი, კეთილი და შემწყნარებელია. და ვაი მას, ამ საწყალ, მიმნდობელ საზოგადოებას! სარფიანი ლიტერატურა ყოველი მხრიდან მახეში აბამს მას და, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, ძალიან ხშირად მეტად მოხერხებულადაც. რა შეუდარებელი ოინებით ახერხებს იგი, ეს სარფიანი ლიტერატურა, დროზე მოაჩვენოს თავი უანგარო ლიტერატურად, რომელიც თითქოს გრძნობიერია მშობლიური სიტყვიერების წარმატებათა მიმართ და მწვავედ იტანჯება მისი სნეულებებით! რა კარგად ახერხებს იგი თავისი კეთილგანმზრახველობისა და კეთილსინდისიერების უეჭველი ნიშნების საქვეყნოდ გამოჩენას! რა მოხერხებულად იკეთებს ხოლმე იგი, ხშირად ცინიზმამდე უხეში, სასწრაფო შემთხვევებში, ქედმაღლური სიმკაცრით გამომზიარალი ზრდილობის ნიღაბს!.. მაგრამ განსაკუთრებით ულევ ენერგიას იჩენს იგი მაშინ, როდესაც საქმე შეეხება საზოგადოების წინაშე მლიქვნელობას, მისი განუვითარებელი, რეჟმენის სიმცირის გამო ცვალებადი გემოვნებისათვის ხელის შეწყობას. საზოგადოების გართობას ყველაფრით, რაც კი ხელში მოხვ-

დება. ოღონდაც საზოგადოება ერთობოდეს და წესიერად იხდიდეს ფულს! დღეს რომანი, ხვალ მოთხრობა, ზეგ ალტაცებული დრამა, ერთი კვირის შემდეგ მთელი ტომი კრიტიკა, ერთი თვის შემდეგ ათიოდე ტომად დაწერილი. ისტორია! იგი არ დაეძებს, რომ რომანი ცუდი იქნება, რომ ალტაცებული დრამა დააძინებს ყველაზე თავგანწირულ მაყურებლებს, კრიტიკა მკითხველს გააცინებს თავისი შეზღუდული შეხედულებებით, ცალიერი შინაარსით და უხამსი მსჯელობით; იგი არ დაეძებს, რომ სხვისი აზრების ნაგლეჯებისა და გონებით განჭკვრეტილი ყოვლად უვარგისი აზრებისაგან კომპილირებული ისტორია მასში უკანონოდ შეწუხებულ გმირთა ძვლებს შეაძრწოლებს; იგი ამას არ დაეძებს, ოღონდ კი ფული აიღოს! სარფიანი ლიტერატურა მზად არის ყველაფერი ჩაიდინოს ფულის გულისათვის. იგი დაიჩოქებს უნიჭობის წინაშე და ტალახით გათხვრის პირველხარისხოვანი ნიჭის პატრონ ადამიანს, რომელიც მისი უსუსური ნაწარმის გასაღებას საფრთხეს უქმნის; იგი ათასგვარ ზღაპრებს მოჩმახავს; იგი პრესის საშუალებით ხელზე ეამბორება იმ ადამიანს, რომელიც იკისრებს გამაღატაკებელ როლს მისი „მასაზრდოებლისას“, და სერიოზულად, მთელი საზოგადოების წინაშე, უწოდებს მას ლიტერატურის მამოძრავებელს, თუნდაც ამ კაცს მთელ თავის სიცოცხლეში ერთი სტრიქონიც არ დაეწეროს, თუნდაც მას ლიტერატურის წინწაწევა ისევე სურდეს, როგორც ბუზს ეტლის წაყვანა?; იგი, ეს სარფიანი ლიტერატურა, ანგარებით დაბრმავებული, ხელჰყოფს დიდ და სახელოვან ადამიანებს, რომლებითაც ამაყობს კაცობრიობა, ოღონდ კი ასიამოვნოს უვიც ბრბოს, რომელიც არ შეიძლება არ გაახაროს იმათმა დამცირებამ, ვისი წარჩინებაც მას მანამდე თვალში ეკალივით ესობოდა; იგი მასხარის ჩაჩს დაიხურავს და, ენაგამოყოფილი, ტუტუცურად სახედაღმეჭილი, საზოგადოების წინაშე ყირაზე გადავა, ბუქნას დაუვლის და საშინელი ხმით იღრიალებს, ოღონდ კი ფული მიეცით!.. და ვინ იცის კიდევ რამდენ რამეს არ ჩაიდენს და არ სჩადის იგი იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც განუყრელად

მართავს მის მოქმედებას?.. ხოლო რა თავშესაქცევარი, რა საშინლად სასაცილო და თანაც რა აღმაშფოთებელია მისი განუწყვეტელი ურთიერთ ლანძღვა-გინება, გამოწვეული წვრილმანი, სამარცხვინო შურით, რომელსაც არ შეუძლია მოქიშპის ჯიბეში გადასული ზედმეტი მანეთი დაინახოს ისე, რომ არ დაიყვიროს: „გვაკოტრებენ, გვძარცვავენო!“ და ასე შემდეგ. ლანძღვა-გინებას, რაც განუწყვეტლივ მეორდება სარფიანი ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის, არ შეიძლება ლიტერატურული ლანძღვა-გინება ეწოდოს და ლიტერატურასთან მას საერთო არც არაფერი აქვს. და აი, უკვე ჩანს ერთგვარი შედეგები სარფიანი ლიტერატურის გაუფრთხილებელი ლანძღვა-გინებისა: არავის არ მიუყენებია მისთვის ისეთი საგრძნობი ზიანი, როგორც თვითონ მან მიაყენა თავის თავს. მისმა წარმომადგენლებმა განუწყვეტელი, ხანმოკლე, მაგრამ ფრიალ ცხარე დავის დროს საჯაროდ გამოსთქვეს პრესის საშუალებით ერთიმეორეზე იმდენი მწარე ჭეშმარიტება, რომ საზოგადოების თვალში უნებლიედ გადაიქცნენ სრულიადაც არა ისეთ პატიოსან და უანგარო ადამიანებად, როგორადაც მოჰქონდათ თავი თავიანთ თხზულებებში. სამართლიანად ამბობს ანდაზა: „ერთხელ ბრძენიც შესცდებო“, — და ეს დიდი სიკეთეა ლიტერატურისათვის, იმიტომ რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთმა უწყის, როდის-ღა შესუსტდებოდა სარფის მიმდევარი მთხზველების გავლენა რუს საზოგადოებაზე, რომლის ნდობით თამაში ასეთი შემოსავლიანია! ახლა კი ეს გავლენა, სარფიანი ლიტერატურის საკუთარი შეცდომისა და წინდაუხედაობის მეოხებით, თავისთავად კლებულობს...

ჩვენში არის კიდევ თავისი მიზნებით ნაკლებად დასაძრახისი, მაგრამ უალრესად უსუსური ლიტერატურა, — ლიტერატურა, რომელიც საგნებს დალოცვილი ძველი დროის თვალთ უცქერის, ახალი ფაქტების გამო ძველ იდეებს ქადაგებს და გააფთრებით უთვლის ანათემას ყოველივე ახალსა და საუკეთესოს, ეს გააფთრება კი მით უფრო სამწუხაროა, რომ ხშირად იგი გულწრფელია. მისი წარმომადგენლები

არიან ლიტერატურული ბებრუხანები, რომლებიც ზნეობრივად უფრო ადრე მომკვდარან, ვიდრე ფიზიკურად, — მაგრამ არა პატივისცემისა და თანაგრძნობის ღირსი

შვილები სხვა თაობისა,

„შვილები“, რომლებმაც დიდსულოვნად აღიარეს თავიანთ თავზე დროის გამარჯვება, რაც კანონიერად და გარდუვალად ხდება, მორჩილად დასტოვეს ასპარეზი, —

და პა, ცოცხლების გზაჯვარედინზე
დგანან ვით ძეგლნი სამარისანი,
ადამიანთა სავანეთ შორის, —

არ ერევიან სხვის საქმეში და ახალ თაობას თავზე არ ახვევენ იმ მრწამსსა და რწმენას, რაც თავის დროზე კარგი იყო და ასეთად დარჩა თავისი დროის ადამიანებისათვის, როგორც ცოცხალი შთაბეჭდილება სიცოცხლის საუკეთესო ასაკისა, მაგრამ რასაც უკვე აღარ შეუძლია დააკმაყოფილოს თანდათანობითი სრულყოფის გარდუვალი კანონით ამოძრავებული და წინ წასული ახალი თაობა. ბებრუხანული ლიტერატურის წარმომადგენლები და მოღვაწეები ის შეზღუდული, უძრავად გაყინული ბუნების ადამიანები არიან, რომელთაც იმის უნარიც კი არ შესწევთ, რომ კეთილშობილური და დიდსულოვანი შეგნების დონემდე ამალდნენ, ანდა არიან სარფიანი ლიტერატურის ის მოღვაწეთაგანი, რომლებმაც რატომღაც ხელსაყრელად მიიჩნიეს დალოცვილი ძველი დროის დამცველთა რიგებში ჩადგომა. ბებრუხანული ლიტერატურა ყოველ სასარგებლო ახალ საქმეში, ახალი მეცნიერების მიერ წინ გადადგმულ ყოველ ნაბიჯში ხედავს თავის პირად შეურაცხყოფას, ისეთ მოვლენას, რაც სრული დაღუპვით ემუქრება „მშობლიურ სიტყვიერებას“. პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოთქმულ ყოველ გაბედულ აზრს, ყოველ ახალ შეხედულებას, რომელიც ამ ლიტერატურის ვიწრო უბადრუკ ცნებებს ეწინააღმდეგება, ბებრუხანულ ლიტერატურაში მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ და ხშირად მტრულად განმარტავენ. ღმერთმა დაგიფაროთ იმის თქმისაგან, რომ უუკოვსკის, პუშკინის, ლერმონტოვის შემ-

დღე არ შეიძლება ამეამად კაცი უსათუოდ აღტაცებაში მოვიდეს დერეჟინის ლექსებით; რომ კარამზინმა რუსულ ენას, რუსულ ისტორიას, რუს საზოგადოებას ძალიან დიდი ამაგი დასდო, რაც მას უფლებას აძლევს ერთ-ერთი მეტად საპატიო ადგილი დაიკავოს რუსული ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ რომ იგი არ ეკუთვნოდა იმ პირველხარისხოვან გენიოსთა რიცხვს, რომელთა ქმნილებებს მუდამ ერთნაირი სიამოვნებით წაიკითხავენ. ღმერთმა დაგიფაროთ!.. ბებრუხანული ლიტერატურა ღრიანცელს ასტეხს; იგი თქვენი შეხედულებიდან გამოიყვანს დანაშაულს, რომელსაც მუხლობრივ ჩამოაყალიბებს ადამისდროინდელი ლექსების ან პოლიაჩური პროზის სახით და დაბეჭდავს იმ იმედით... მაგრამ, საბედნიეროდ, ამგვარი იმედები არ სრულდება ხოლმე!..² თუმცა-ღა, აქ ჯერ კიდევ ჩამოთვლილი არ არის იმ საქმიანობის მეთაური წილიც კი, რომელსაც ბებრუხანული ლიტერატურა თავის თავისუფალ ოქრო დროს ანდომებს. მისი საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანია. მის ერთ ნაწილს გოლიათის ძილით სძინავს ძველი უვარგისი ხარახურის გროვებზე და ცდილობს თავისი თავი და სხვებიც დაარწმუნოს, რომ რაღაც მასალების დამუშავებას ეწევა; დროდადრო იგი გამოიღვიძებს ხოლმე და საზოგადოებას აუწყებს, რომ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ყოველივე იმის თქმა, „რაც სათქმელი აქვს“, და ისევ დაიძინებს. მისი მეორე, უფრო მოქმედი ნაწილი, მთელ წიგნებსა სწერს ეგრეთწოდებული პატრიარქალური ცხოვრების დასაცავად. ბებრუხანული ლიტერატურის აზრით, ეს ცხოვრება იმაში მდგომარეობს, რომ ნასადილევს კაცმა უსათუოდ იძინოს, ყოველ შაბათს აბანოში წავიდეს და ხსნილში ჭამით გასკდეს. მესამე, ყველაზე ველური და არაზომიერი ნაწილი, გარდა მთელი ბებრუხანული ლიტერატურისათვის საზოგადო იდეებისა ლპობადი და გარყვნილი დასავლეთის შესახებ, ქადაგებს, რომ რუსული ლიტერატურა არა თუ ჩამორჩა სხვა ქვეყნების ლიტერატურას, არამედ წინ წავიდა და კიდევაც გადააბიჯა შესაძლებელი სრულყოფის მიჯნას, ასე რომ ურიგო

არ იქნება იგი ცოტათი უკან დაბრუნდეს — დაიწყოს გლახურ ყაიდაზე ლაპარაკი, პუშკინი აღიაროს უნიკო მწერლად, ხოლო ვინმე ნახატებიან ან-ბანთა შემდგენელი—უპირველეს რომანისტად, ფილოსოფოსად და პოეტად...⁴ საშინელებაა იმის ფიქრი, რომ ჩვენს დროში არიან ადამიანები, რომლებიც ამგვარად მსჯელობენ, მაგრამ ასეთი ადამიანები რომ არიან, ეს — ვაგლახ! — არავითარ ეჭვს არ იწვევს: ეს ძეგლისმეტად ახალი ფაქტია, რომელიც იცის ყველამ, ვინც რუსულ ჟურნალებსა და წიგნებში იხედება!.. საზოგადოდ ბებრუხანული ლიტერატურა განირჩევა უგუნური მსჯელობით და თავისი უნაყოფო საქმიანობით, რაც არ შეესაბამება საუკუნის სულსა და მოთხოვნებს და რასაც მისგან არავინ არ მოითხოვს. იგი მხოლოდ ხელს უშლის სწორ ლიტერატურულ განვითარებას, წინსვლას, რაც არ შეიძლება არ ვალია-როთ რუსული ლიტერატურის ახლანდელ პერიოდში. მაშინ როდესაც განათლების თანამედროვე მდგომარეობის შესაფერისი მრწამსითა და რწმენით აღჭურვილი ადამიანები გულმოდგინედ შრომობენ მომავლისათვის,—ძველი რწმენის მოსავეთ ლიტერატურა ჯერ კიდევ მხოლოდ შემოდგომის გრძელი საღამოების მოწყენილობის შემცირების საშუალებად მიაჩნიათ და, ამგვარი შეხედულების შედეგად, გულუბრყვილოდ ცდილობენ გაგვართონ გამოვონილი გმირების გამოვონილი თავგადასავლებით...

და ყველაზე უფრო სამწუხაროა იმის დანახვა, რომ ლიტერატურას ასეთი თვალთ უყურებენ არა მარტოდენ ლიტერატურული ძველი რწმენის მოსავენი, რომელთაც ვერ შეუგნიათ დროის გამარჯვება, რაც კანონიერად და გარდუვალად მოხდა. იმ მწერალთა დიდ ნაწილს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გამოვიდნენ ლიტერატურულ სარბიელზე და ასე თუ ისე ნიჭიერ მწერლებად არიან აღიარებულნი, აქამდე ვერ გაუგია და არც ცდილობს გაიგოს ამჟამად ჰემმარიტი მწერლის წოდებასთან დაკავშირებული მოვალეობანი, და ნაცვლად იმისა, რომ შესაძლებლობისამებრ ხელი შეუწყოს საერთო მუშაობას, წყალს ნაყავს,

მთვარეს, ქალწულს, შამპანურს უმღერის და გულუბრყვილო თვითკმაყოფილებით, სრულიად უირონიოდ ჰყვება ხოლმე მოგონილ ამბებს, რომლებიც ზოგჯერ მეტად საინტერესო, მაგრამ ყოველგვარ იდეას მოკლებულია.

დასასრულ, ჩვენში კიდევ არის ლიტერატურა, ლიტერატურა, რომელიც ეს-ესაა ჩნდება და ათიოდე კვამარიტ წარმომადგენელს ძლივს დაითვლის, მაგრამ უფრო ნაყოფიერი და ცხოველმყოფელია, ვიდრე ყველა დანარჩენი ლიტერატურა, რომლებზეც ზემოთ ითქვა. დიდსულოვანი თავდადებით, ანგარებითს ანგარიშებს ძალიან დამორებული კეთილი მიზნის გულისათვის, რუსეთის დიდი გარდამქმნელის მაღალი წამოწყებებით აღფრთოვანებულმა, მან აირჩია მარადიული და წმინდა კვამარიტების მიღწევისაკენ, დედამიწაზე იდეალის განხორციელებისაკენ მიმავალი ეკლიანი და ძნელი გზა, და იგი ნელა, მაგრამ მტკიცედ და დამოუკიდებლად მიემართება თავისი გზით და უჩინრად სწევს წინ საზოგადოებრივ განათლებას... ეხმაურება რა საერთო და კვამარიტი რუსული მეცნიერების ხმას, კეთილშობილური სიმპათიით უცქერის რა ყოველივე მაღალს, იგი ამუშავებს ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ანგრევს ძველ, ძირგადგმულ ცრურწმენას და აღშფოთებით იმაღლებს ხმას თანამედროვე ზნე-ჩვეულებათა სავალალო მოვლენების წინააღმდეგ, რითაც სინამდვილის მთელი შემაძრწუნებელი სახით აშიშვლებს და აზღუერებს „ყველაფერს, რაც ყოველ წუთს თვალწინ არის და რასაც ვერ ხედავენ გულგრილი ადამიანები: იმ წვრილმანთა მთელ საშინელ, შემაძრწუნებელ წუშპეს, რომლებშიც გახვეულია ჩვენი ცხოვრება, იმ ცივი, დაქსაქსული ყოველდღიური ხასიათების მთელ სიღრმეს, რომლებითაც სავსეა ჩვენი ქვეყანა“*. ეს ლიტერატურა ჩვენ არ მოგვაწერს იმ ღირსებებს, რომლებიც არ გაგვაჩნია, არ გვიმაღავს ჩვენს ნაკლოვანებებს, არამედ ცდილობს შესაძლებლობისამებრ გამოამჟღავნოს და გამოავლინოს ისინი, იმიტომ რომ, მისი აზრით, კვამარიტი პატრიოტიზმი ის კი

* „მკვდარი სულები“, გვ. 257.

არ არის, რომ სამშობლოს მივაკუთვნოთ ისეთი თვისებები, რომელთა შეთვისებაც მან, სრულყოფისაკენ სწრაფი ნაბიჯებით მიმავალმა, ჯერ კიდევ ვერ მოასწრო, არამედ ის, რომ კეთილშობილური და უანგარო მეცადინეობით მოვაახლოვოთ ის დრო, როდესაც სამშობლო ნამდვილად მიაღწევს შესაძლებელ სრულყოფას. სამაგიეროდ, რამდენ გაკიცხვას, პატრიოტიზმის ნაკლებობის შესახებ გამოთქმულ რამდენ საყვედურს იტანს ეს უანგარო ლიტერატურა გონებაშეზღუდული პედანტებისაგან, რომელთაც, განზრახ თუ განუზრახველად, ვერ გაუგიათ ეს ლიტერატურა და რომლებიც, მოსაბოდიშებელი მიზეზით თავიანთი უმოქმედობის დაფარვის მიზნით, ამტკიცებენ, რომ ჩვენში ყველაფერი უკვე გაკეთებულია, რომ ჩვენ არაფერში არ გვესაჭიროება გაუმჯობესება — სრულყოფა და ის-და დაგვრჩენია, რომ ხელები დავიკრიფოთ და ჩვენი შრომის ნაყოფით დავტკბეთ!..

ასეთია ის ელემენტები, რომლებისგანაც შესდგება რუსული ლიტერატურა ამჟამად. მისი მდგომარეობა ბრწყინვალე არ არის, მაგრამ არც ისეთია, რომ მისი მომავლის გამო სასოწარკვეთას მივეცეთ. განვლილი წელი, მსგავსად რამდენიმე წინა წლისა, მდიდარი არაა შესანიშნავი ნაწარმოებებით, მაგრამ იგი იძლევა რამდენიმე ფაქტს, რომლებიც უდავოდ ადასტურებენ, რომ რუსული ლიტერატურისათვის უკვე სამუდამოდ განვლო მისი არსებობის ბავშვობის პერიოდმა — უნაყოფო რომანტიზმის პერიოდმა, და დადგება მომწიფებისა და დავაყვაცების პერიოდი. და თუმცა ლიტერატურული ძველი რწმენის მოსავენი, სარფიანი მთხზველნი და საზოგადოდ მთელი ლიტერატურული „სიღამპლე“ ძალიან ცდილობენ და ათასგვარ მზაკვრულ ხრიკებს მიმართავენ რუსული ლიტერატურის გადასაცდენად ჭეშმარიტების გზიდან, რომელსაც იგი ასე ცოტა ხნის წინათ დაადგა, თუმცა ისინი ცდილობენ თავს მოახვიონ მას ძველი თავაწყვეტილობის ცოდვები, რომლებიც მას უკან დასწევდნენ, — რუსული ლიტერატურა მაინც წინ მიდის. მისი მცირერიცხოვანი ჭეშმარიტი წარმომადგენლების ხმა, სიმართლითა და ერთსუ-

ლოვნებით განმტკიცებული, ჰფარავს პირადი ინტერესებით ამოძრავებული მრავალრიცხოვანი, ჭრელი ბრბოს არეულ-დარეულ, ყურთასმენის წამლებ ხმებს. ახლა უკვე აღარ შეიძლება ლიტერატურული სახელის მოხვეჭა ორი-სამი ასეთ თუ ისე კარგი ლექსით, რომლებიც გარედან ბრწყინავენ, მაგრამ შინაგან შინაარსს მოკლებული არიან; ახლა უკვე გულს აღარ აგვიჩუყებს და აღარ დავიტაცებთ არც „აბადონას“, არც „ემმას“, არც „სიშმაგის ნეტარებას“³, კაპიტალურ ნაწარმოებებს არ მივაკუთვნებთ ისეთ ნაწარმოებთ, რომლებშიაც არც სინამდვილის უტყუარი ტაქტია და არც მომწიფებული და მტკიცე აზრები, არამედ არის პრაიმქვეყნიური ქალწული, ოცნება, რომელიც ეთერისაკენ მიისწრაფვის, სიყვარული, რომელიც ოხვრა-ხვნეშითა და სენტიმენტალური ფრაზებით საზრდოობს, და ბავშვური მისწრაფება უკულმა გაგებული რაღაც იდეალისადმი. ახლა ჩვენ უკვე აღარ ვცნობთ უგვანო რეზონიორს, რომელიც ცილს სწამებს მისთვის უცნობ ჩვენს ზნე-ჩვეულებებს, ამახინჯებს ჩვენს სინამდვილეს, ჰკუთას გვასწავლის ან-ბანთა წიგნებიდან ნასესხები სენტენციებით, — აღარ ვცნობთ მას ყურადღებისა და ქების ღირს ზნეობრივ-სატირიკულ მწერლად; აღარ ვუწოდებთ მეორე რეზონიორს, რომელსაც თავის სიცოცხლეში არც ერთი საღი საკუთარი აზრი არ გამოუთქვამს, — „თავისი სულის სიღრმეში წასულ ფილოსოფოსს“⁴. და თუ როგორღემ კრიტიკოსი, ყალბი თუ ნამდვილი ალტაცებით აღგზნებული, ფანტასტიკური სახის რაიმე საშუალო ნაწარმოების შემქმნელის წინაშე მუხლს მოიყრის, ჩვენ მხოლოდ ვიფიქრებთ, რომ იგი სრულ ჰკუაზე არაა, და მისი უგუნური გაფიცების გულგრილ მაყურებლებად დავრჩებით. ახლა ჩვენ უკვე თვით კრიტიკაში მალაღფარდოვან-ყბედური ლაქლაქით კი აღარ ვკმაყოფილდებით, არამედ ისეთ იდეებსა და განჩინებებს დავეძებთ, რომლებიც მშვენიერების მეცნიერების, ხელოვნების ფილოსოფიის კანონებზე იქნება დაფუძნებული... დიახ, ჩვენ ხანი გვემატება, ვვაკაცდებით — და ძაღლობა ღმერთს!..

თხზულებანი აღექსანდრა პუშკინისა

*

სანკტ-პეტერბურგი. თერთმეტ ტომად. MDCCCXXXVIII—MDCCCXLI 1

სტატია მე რვე²

„ევგენი ონეგინი“

ვალღარებთ: ერთგვარი შიშით ვიწყებთ ჩვენ ისეთი პოემის კრიტიკულ განხილვას, როგორცაა ევგენი ონეგინი. და ამ შიშს მრავალი მიზეზი ამართლებს. ონეგინი პუშკინის ყველაზე გულითადი ნაწარმოები, მისი ფანტაზიის ყველაზე საყვარელი პირმშოა, და შეიძლება ძალიან ცოტა ქმნილებებზე მივუთითოთ, რომლებშიაც პოეტის პიროვნება ისეთი სისრულით, ისე ნათლად და ცხადად ასახულიყოს, როგორც ონეგინში აისახა პუშკინის პიროვნება. აქ ჩაქსოვილია მისი მთელი ცხოვრება, მთელი სული, მთელი სიყვარული; აქ ჩაქსოვილია მისი გრძნობები, ცნებები და იდეალები. ასეთი ნაწარმოების შეფასება ნიშნავს თვით პოეტის შეფასებას, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელი მოცულობით. ონეგინის ესთეტიკურ ღირსებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ,—ამ პოემას ჩვენთვის, რუსებისათვის, უდიდესი ისტორიული და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით ისიც კი, რისთვისაც ახლა კრიტიკას შეეძლო საფუძვლიანად ეწოდებინა ონეგინში სუსტი ან მოძველებული,—ისიც კი აღსაყვსა ღრმა მნიშვნელობით და უდიდეს ინტერესს იწვევს. და ჩვენ მძიმე მდგომარეობაში გვაყენებს არა მარტო შეგნება

ჩვენი ძალების სისუსტისა ასეთი ნაწარმოების სწორი შეფასებისათვის, არამედ იმის აუცილებლობაც, რომ ერთსა და იმავე დროს ონეგინის მრავალ ადგილში ერთი მხრით დაინახოთ ნაკლოვანებანი, ხოლო მეორე მხრით—ღირსებები. ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ გასცილებია ამ განყენებული და ცალმხრივი კრიტიკის დონეს, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებებში სცნობს მხოლოდ უცილობელ ნაკლოვანებებს ან უცილობელ ღირსებებს და რომელსაც არ ესმის, რომ პირობითი და შედარებითი უცილობელის ფორმას შეადგენს. აი ამიტომ ზოგიერთი კრიტიკოსი გულუბრყვილოდ იყო დარწმუნებული, რომ ჩვენ პატივს არ ვსცემთ დერჟავინს, რადგან მისი დიდი ტალანტის აღიარებასთან ერთად მის ნაწარმოებთა შორის ვერ ვნახულობთ ვერც ერთ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც სავსებით მხატვრული იყოს და ჩვენი დროის ესთეტიკური გემოვნების მოთხოვნათა სავსებით დაკმაყოფილება შეეძლოს. მაგრამ ონეგინის მიმართ ჩვენი მსჯელობა ბევრს შეიძლება კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობათა შემცველად მოეჩვენოს, იმიტომ რომ ონეგინი ფორმის მხრივ უალრესად მხატვრული ნაწარმოებია, ხოლო შინაარსის მხრივ თვით მისი ნაკლოვანებანი მის უდიდეს ღირსებებს წარმოადგენენ. მთელი ჩვენი სტატია ონეგინის შესახებ ამ აზრის განვითარება იქნება. როგორადაც უნდა მოეჩვენოს ის ერთი შეხედვით ჩვენს მრავალ მკითხველთაგანს.

უწინარეს ყოვლისა ონეგინში ჩვენ ვხედავთ პოეტურად ასახულ სურათს რუსული საზოგადოებისას, რომელიც აღებულია მისი განვითარების ერთ-ერთ მეტად საინტერესო მომენტში. ამ თვალსაზრისით ავგენი ონეგინი ისტორიული პოემაა სიტყვის სრული მნიშვნელობით, თუმცა მის გმირთა შორის არც ერთი ისტორიული პირი არ არის. ამ პოემის ისტორიული ღირსება მით უფრო დიდია, რომ იგი რუსეთში პირველი და ბრწყინვალე ცდა იყო ამ დარგში. მასში პუშკინი არა მხოლოდ პოეტია, არამედ პირველად გამოღვიძებული

საზოგადოებრივი თვითშეგნების წარმომადგენელიც არის: უზომო დამსახურებაა! პუშკინამდე რუსული პოეზია სხვა არა იყო რა, თუ არ ევროპის მუზის გულისხმიერი და მიმბაძველი მოწაფე, — და ამიტომ რუსული პოეზიის ყველა ნაწარმოებნი პუშკინამდე მეტწილად რალაცნაირად ეტიუდებსა და ასლებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე თვითმყოფი ზეშთაგონების თავისუფალ ნაწარმოებებს. თვითონ კრილოვი—ეს ტალანტი, იმდენადვე ძლიერი და ნათელი, რამდენადაც ნაციონალურ-რუსულიც, დიდხანს ვერ ბედავდა უარი ეთქვა ლაფონტენის ხან მთარგმნელისა და ხან მიმბაძველის არასახარბიელო სახელზე. დერჟავინის პოეზიაში ბრწყინვალედ გაიელვებს ხოლმე რუსული მეტყველებაც და რუსული ჰკუაც, მაგრამ მხოლოდ გაიელვებს ხოლმე, რიტორიკულად გაგებული უცხოური ფორმებისა და ცნებების წყლით წალეკილი. ოზეროვმა დასწერა რუსული ტრაგედია, ისტორიულიც კი, — დიმიტრი დონსკოი, მაგრამ მასში „რუსული“ და „ისტორიული“ — მარტოოდენ სახელებია; ყოველივე დანარჩენი იმდენადვეა რუსული და ისტორიული, რამდენადაც ფრანგულია ან თათრული. ეუკოვსკიმ დასწერა ორი „რუსული“ ბალადა — ლიუდმილა და სვეტლანა; მაგრამ პირველი მათგანი გერმანული (და თანაც საკმაოდ ჩვეულებრივი) ბალადის გადაკეთებას წარმოადგენს, ხოლო მეორე, რომელიც რუსული საშობაო ჩვეულებებისა და რუსული ზამთრის ბუნების ნამდვილი პოეტური სურათებით განირჩევა, იმავე დროს მთლიანად გერმანული სენტიმენტალობითა და გერმანული ფანტაზმით არის გამსჭვალული. ბატიუშკოვის მუზას. რომელიც მუდამ უცხო ქვეყნებში დახეტიალებდა, ერთი ყვაილი არ მოუწყვეტია რუსულ ნიადაგზე. ყველა ეს ფაქტი საკმარისი იყო იმ დასკვნის გამოსატანად, რომ რუსულ ცხოვრებაში არავითარი პოეზია არ არის და არ შეიძლება იყოს. და რომ რუსმა პოეტებმა ზეშთაგონებისათვის მერანი უნდა გააქროლონ უცხო ქვეყნებში, არა მხოლოდ დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთშიაც კი. მაგრამ პუშკინის სახით რუსული პოეზია მორიდებული მოწაფიდან ნიჭიერ და

გამოცდილ ოსტატად მოგვევლინა. რასაკვირველია, ეს ერთ-ბაშად როდი მომხდარა, იმიტომ რომ ერთბაშად არაფერი არ ხდება. პოემებში: რუსლან და ლიუდმილა და ავაზაკი ძმები პუშკინი მხოლოდ მოწაფე იყო, მსგავსად თავისი წინამორბედებისა, — მაგრამ არა მარტო პოეზიაში, როგორც ისინი, არამედ რუსული სინამდვილის პოეტური გამოხატვის ცდებშიაც. სწორედ ამ მოწაფეობით აიხსნება ის, თუ რატომ არის რუსლან და ლიუდმილაში ასე ცოტა რუსული და ასე ბევრი იტალიური, ხოლო ავაზაკები ესოდენ წააგავს შფოთიან მელიოდრამას. პუშკინს აქვს რუსული ბალადა სასიძო, დაწერილი 1825 წელს, როდესაც ონეგინის პირველი თავიც გამოქვეყნდა. ეს ბალადა ფორმის მხრივაც და შინაარსის მხრივაც მთლიანად გამსჭვალულია რუსული სულისკვეთებით, და მის შესახებ ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე რუსლან და ლიუდმილას შესახებ, შეიძლება ითქვას:

აქ კი რუსული სული ტრიალებს და ჰქრის რუსეთის სიო.

ვინაიდან ამ ბალადამ მაშინაც ვერ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება, ხოლო ახლა თითქმის ყველას დავიწყებული აქვს, იქედან ამოვიწერთ მაჰანკლობის სცენას.

მაჰანკალი დილით ბაკეს
 მოადგება მობაასე.
 ჯერ ნატაშას რომ შეაქებს,
 შემდეგ მამას ეტყვის ასე:
 „თქვენი ნიჟაი — ჩვენი დახლი,
 ისეთ სიძეს შემოგახლით,
 თვალით, ტანით, გულით, წესით
 ვერსად ნახოთ უკეთესი.

ძლიდარი და გონიერი
 არ ყოფილა არვის მონად,
 ცხოვრობს მარჯვე, გონიერი
 თავის გულს მოსაფონად.
 ცოლსაც ბეწვის წამოასხამს
 მიართმევს და ბედში ჩასვამს.
 და დაყრის ცოლის თითებს
 იაგუნდს და მარგალიტებს.

აქვენი ქალი ნახა გუშინ,
 ჰიშკართან რომ ჩაიქროლა;
 ჩარჩენია ვაჟაკა ცა გულში
 და შეირთოს უნდა ცოლად...
 ასე ამბობს, მაგრამ თავად
 მისჯდომია ნამცხვარს სევად.
 ნატაშას კი ვინ დასძრახავს,
 რომ ადვილიც ვერ უნახავს.

„თანახმა ვარ, — ამბობს მამა, —
 ღმერთმა ხელი მოგიმართოს,
 დაგაფაროს კალთა ცაში;
 მოგეწყინა მარტოდ მარტოს,
 ეგ უმანკო სიარული,
 თუ ხარ ჩიტი მხიარული,
 ბარემ ბუდეს უნდა სდიო
 და ბარტყები დაარწიო“ .

და ასეთია მთელი ეს ბალადა, პირველიდან ვიდრე უკანასკნელ სიტყვამდე! ერთად აღებულ რუსულ ხალხურ სიმღერებში არ არის იმაზე მეტი რუსული ხალხურობა, რამდენიც ამ ბალადაშია! მაგრამ ასეთ ნაწარმოებებში კი არ უნდა ვხედავდეთ ნაციონალური სულისკვეთებით გამსჭვალულ პოეტურ ქმნილებათა ნიმუშებს, — და საზოგადოებამ არც თუ უსაფუძვლოდ არ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ამ საუცხოო ბალადას. მასში ესოდენ ჭეშმარიტად და ნათლად გამოსახული სამყარო ძალიან ადვილი მისაწვდომია ყოველი ტალანტისათვის უკვე მისი მეტისმეტად მკვეთრი თავისებურების გამო. ამას გარდა, ეს სამყარო ისეთი ვიწრო, წვრილმანი და მარტივია, რომ ჭეშმარიტი ტალანტი დიდ დროს არ დაჰკარგავს მის ასასახავად, თუ არ მოისურვებს, რომ მისი ნაწარმოებები ცალმხრივი, ერთფეროვანი, მოსაწყენი და, დასასრულ, უგვანო იყოს, მიუხედავად მათი ყველა ღირსებისა. აი რატომ ხდება, რომ ნიჭიერი ადამიანი ჩვეულებრივად არა უმეტეს ერთ ან, დიდი-დიდი, ორ ამნაირ ცდას აკეთებს ხოლმე: მისთვის ეს ისეთი საქმეა, რომელიც წამოიწყო უფრო იმიტომ, რომ სურდა თავისი ძალების გამოცდა ამ სარბიელზეც, ვიდრე ამ სარბიელის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემის გამო. ლერმონტოვის „სიმღერა“

მეფე ივანე ვასილის-ძის, ახალგაზრდა ოპრიჩნიკისა და მამაცი ვაჭრის კალაშნიკოვის შესახებ“, თუმცა ფორმის მხრივ ვერ სჯობნის პუშკინის სასიძოს, მაგრამ ძალიან და ძალიან სჯობნის მას შინაარსის მხრივ. ეს ისეთი პოემაა, რომელთაზე შედარებით კირშა დანილოვის მიერ შეკრებილი ყველა საგმნრო ხალხურ-რუსული პოემა უმნიშვნელოა. იმავე დროს კი ლერმონტოვის „სიმღერა“ მხოლოდ ტალანტის ცდა, კალმის მოსინჯვა იყო, და ცხადია, რომ ლერმონტოვი არასოდეს ამგვარს აღარაფერს დასწერდა. ამ სიმღერაში ლერმონტოვმა აიღო ყველაფერი, რაც კი შეეძლო მისთვის კირშა დანილოვის კრებულს მიეცა, — და ახალი ცდა ამ დარგში აუცილებლად იქნებოდა განმეორება ერთისა და იმავესი—ძველი სიმღერა ახალ ხმაზე. ამ სამყაროს ადამიანთა გრძნობები და ვნებები ისე ერთფეროვანია თავისი გამოვლინებით, ამ სამყაროს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა ისე მარტოვი და არართულია, რომ ყოველივე ამას ადვილად ამოსწურავს ფსკერამდე ძლიერი ტალანტის ერთი ნაწარმოები. ვნებათა მრავალფეროვნება, უსასრულობამდე ფაქიზი გრძნობათა სხვადასხვა ელფერი, ადამიანთა აურაცხელი, ფრიაღრთული საზოგადოებრივი და კერძო ურთიერთობა,—აი სად არის მდიდარი ნიადაგი პოეზიის ყვავილებისათვის, და ამ ნიადაგის მომზადება შეუძლია მხოლოდ ისეთ ცივილიზაციას, რომელიც ძლიერ ვითარდება ან ვითარდებოდა. ყორე ზანდის „Jeanne“-ას მსგავსი ნაწარმოებნი შესაძლებელია მხოლოდ საფრანგეთში შეიქმნას, იმიტომ რომ იქ ცივილიზაციამ, მისი ელემენტების დიდი სირთულით, ყველა წოდება ჩააყენა ერთიმეორის მიმართ მჭიდრო და ელექტრონულად ურთიერთმოქმედ დამოკიდებულებაში. ჩვენმა პოეზიამ, პირიქით, თავისთვის მასალები უნდა ეძიოს თითქმის მხოლოდ და მხოლოდ იმ კლასში, რომელიც, თავისი ცხოვრების ნირითა და ჩვეულებებით, უფრო მეტად წარმოადგენს განვითარებას და გონებრივ მოძრაობას. და თუ ნაციონალურობა პოეტურ ნაწარმოებთა ერთ-ერთი უდიდესი ღირსებაა, მაშინ, უეჭველია, ჩვენში ჰუმბარიტად ნაციონალური ნაწარ-

მოებები უნდა ვეძიოთ მხოლოდ ისეთ პოეტურ ქმნილებათა შორის, რომელთა შინაარსი აღებულია იმ წოდების ცხოვრებიდან, რომელიც პეტრე დიდის რეფორმით შეიქმნა და რომელმაც განათლებული ყოფაცხოვრების ფორმები შეითვისა. მაგრამ საზოგადოების უმრავლესობას დღემდე ეს საქმე სხვა-ნაირად ესმის. უწოდეთ ხალხური ან ნაციონალური ნაწარმოები რუსლან და ლიუდმილას, — და თქვენ ყველა დაგეთანხმებათ, რომ იგი მართლაც ხალხური ნაწარმოებიც არის და ნაციონალურიც. კიდევ უფრო მეტად დაგეთანხმებიან, თუ თქვენ ხალხურ ნაწარმოებს უწოდებთ ყოველ პიესას, რომელშიაც მოქმედებენ გლეხები და დედაკაცები, წვერიანი ვაჟრები და მეშხანინები, ანდა რომელშიაც მოქმედი პირების უბრალო ლაპარაკი აქრელებულია რუსული ანდაზებითა და თქმულებებით და, ამას გარდა, ამ ანდაზებსა და თქმულებებს შორის ხშირად გაისმის სემინარული მანერით წარმოთქმული რიტორიკული ფრაზები ხალხურობისა და სხვათა შესახებ. უფრო ჭკვიანი და განათლებული ადამიანები ხალისით (და თანაც სრულიად საფუძვლიანად) ხედავენ რუსულ ხალხურ პოეზიას კრილოვის იგავეებში და მზად არიან კიდევ დაინახონ ეს პოეზია (რაც უკვე არც ისე საფუძვლიანია) არა მხოლოდ პუშკინის ზღაპრებში (მეფე სალტანის, მკვდარ მეფის ასულისა და შვიდი დევ-გმირის შესახებ), არამედ (რაც უკვე სრულიად უსაფუძვლოა) ყუკოვსკის ზღაპრებშიაც (გრძელწვერა მეფე ბერენდისა და მძინარე მეფის ასულის შესახებ). მაგრამ ცოტანი დაგეთანხმებიან, და ბევრს უცნაურადაც მოეჩვენება, თუ თქვენ იტყვიან, რომ პირველი ჭეშმარიტად ნაციონალურ-რუსული პოემა ლექსად იყო და არის პუშკინის ვეგენი ონეგინი და რომ მასში უფრო მეტია ხალხურობა, ვიდრე რომელიც გნებავთ სხვა რუსულ ხალხურ თხზულებაში. ხოლო, იმავე დროს, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც ის, რომ ორჯერ ორი ოთხია. თუ ამ პოემას ყველა არ სცნობს ნაციონალურ პოემად, — ეს იმიტომ, რომ ჩვენში დიდი ხანია ფეხი მოიკიდა მეტად უცნაურმა აზრმა, თითქოს ფრაკში გამოწყობილი რუსი მამაკაცი ან კორსეტი-

ნი რუსი ქალი — უკვე აღარ არიან რუსები და რომ რუსული სული თავს იჩენს მხოლოდ იქ, სადაც არის ზუბუნი, ქალამანი, რახნი და მუავე კომბოსტო. ამ შემთხვევაში ჩვენში ბევრნი, ეგრეთწოდებულ განათლებულ ადამიანთა შორისაც კი, შეუგნებლად ბაძავენ რუს მდაბიობებს, რომლებიც ყოველ უცხო ქვეყნელს ევროპიდან, გერმანელს უწოდებენ. და აი სად არის წყარო ზოგიერთების ამოა შიშისა, რომ ჩვენ ყველანი არ გავგერმანელდეთ! ევროპის ყველა ხალხები ვითარდებოდნენ, როგორც ერთი ხალხი, ჯერ კათოლიკური ერთიანობის—სულიერისა (პაპის სახით) და საეროს (რომის საღვთო იმპერიის არჩეული მეთაურის სახით) — კალთის ქვეშ. ხოლო შემდეგ ცივილიზაციის უკანასკნელი შედეგებისადმი ერთისა და იმავე მისწრაფებების გავლენით,—მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფრანგსა, გერმანელსა, ინგლისელსა, იტალიელსა, შვედსა და ესპანელს შორის ისეთივე არსებითი განსხვავებაა, როგორც რუსსა და ინდოელს შორის. ესენი ერთისა და იმავე საკრავის — ადამიანის სულის სიმები არიან, მაგრამ სიმები სხვადასხვა მოცულობისა, თითოეული თავისი განსაკუთრებული ხმით, — და სწორედ ამიტომ ისინი სრულ ჰარმონიულ აკორდებს გამოსცემენ. ხოლო, თუ დასავლეთ ევროპის ხალხები, ყველანი თანაბრად წარმომდგარნი დიდი ტექტონური ტომისაგან, რომელიც მეტწილად აღრეულია რომანულ ტომებთან, ყველანი თანაბრად განვითარებულნი ერთისა და იმავე რელიგიის ნიადაგზე, ერთისა და იმავე ზნეჩვეულებათა, ერთისა და იმავე საზოგადოებრივი წყობის გავლენით, და შემდეგ ყველანი თანაბრად აღჭურვილნი ძველი კლასიკური მსოფლიოს მდიდარი მემკვიდრეობით,—თუ, ვამბობთ ჩვენ, დასავლეთ ევროპის ყველა ხალხები, რომლებიც ერთ ოჯახს შეადგენენ, მით უმეტეს მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშინ ბუნებრივია თუ არა, რომ რუს ხალხს, გაჩენილს სხვა ნიადაგზე და სხვა ცის ქვეშ, მქონეს თავისი ისტორიისა, რომელიც არაფრით არა ჰგავს დასავლეთ ევროპის არც ერთი ხალხის ისტორიას, ბუნებრივია თუ არა,

რომ რუს ხალხს, რომელიც ევროპულ ტანსაცმელსა და ზნე-ჩვეულებას შეითვისებდა, დაეკარგა თავისი ნაციონალური თვითმყოფობა და ორი წვეთი წყალივით დამსგავსებოდა თითოეულ ევროპელ ხალხთაგანს, რომელთაგან თითოეული მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან როგორც ფიზიკური, ისე ზნეობრივი სახით?.. დიად, ეს უაზრობათა უაზრობაა! ამაზე უარესს კაცი ვერაფერს გამოიგონებს! ტომის, ან ხალხის თავისებურების პირველი მიზეზი მდგომარეობს იმ ქვეყნის ნიადაგსა და კლიმატში, რომელიც მას უკავია; ხოლო ბევრია თუ არა დედამიწის სფეროზე გეოლოგიურად და კლიმატოლოგიურად ერთნაირი ქვეყნები? და იმისათვის, რომ ევროპული ზნე-ჩვეულებისა და იდეების მოძალებამ რუსებს დააკარგვინოს მათი ნაციონალურობა, ამისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა რუსეთის ვაკე, სტეპიანი კონტინენტის გადაქცევა მთა-გორიან კონტინენტად; საჭიროა მისი უსაზღვრო სივრცის შემცირება ათჯერ მაინც (ციმბირის გამოკლებით). და, გარდა ამისა, კიდევ ბევრი ისეთი რამ უნდა გაკეთდეს, რის გაკეთებაც არ შეიძლება და რაზედაც თავისუფალ დროს ოცნება მხოლოდ ბატონ მანილოვებს შეშვენით. შემდეგ: საცოდავია ის ხალხი, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის კანკალებს სხვა ხალხთან ყოველგვარი შეხებისას! ჩვენი ცრუმარქვია პატრიოტები თავიანთი ჭკუამოკლეობის მიზეზით ვერ ხედავენ, რომ, რუსული ნაციონალურობის გამო განუწყვეტელი შიშით შეპყრობილნი, ისინი ამით სასტიკად შეურაცხყოფენ მას. მაგრამ როდის გახდა რუსი ჯარი მუდამ ძლევამოსილი, თუ არა მაშინ, როდესაც პეტრე დიდმა მას ევროპული ტანსაცმელი ჩააცვა და ამ ტანსაცმლის შესაბამისი სამხედრო დისციპლინა შეასწავლა? როგორღაც ბუნებრივია დანახვა იმ გლეხთა ბრბოსი, რომლებიც ცუდად არიან შეიარაღებულნი, კიდევ უფრო ცუდად არიან შეჩვეული დისციპლინას და ომის გამო ახლახან არიან მოწყვეტილნი ქოხსა და კავს, — როგორღაც ბუნებრივია დანახვა, როდესაც ისინი უწესრიგოდ გარბიან ბრძოლის ველიდან; — სწორედ ისევე, როგორც ბუნებრივია დანახვა ჯა-

რისკაცთა პოლკებისა, სამხედრო მარცხის დროსაც კი, ანდა მაშინ, როდესაც ისინი მამაცურად კვდებიან ბრძოლის ველზე ან მრისხანე წესრიგით იხევენ უკან. ზოგიერთი თავგამოდებული სლავთა მოყვარულთაგანი ამბობს: „შეხედეთ გერმანელს, — იგი ყველგან გერმანელია: რუსეთშიც, საფრანგეთშიც, ინდოეთშიც; ფრანგიც აგრეთვე ყველგან ფრანგია, სადაც უნდა გადაისროლოს ის ბედმა; ხოლო რუსი ინგლისში — ინგლისელია, საფრანგეთში — ფრანგია, გერმანიაში — გერმანელია“. მართლაც, ამაში არის ერთგვარი ჭეშმარიტება, რომელსაც ვერ შევედავებით, მაგრამ რომელიც რუსთა დამამცირებელი კი არ არის, არამედ მათი ღირსების მაჩვენებელია. ყოველი ხალხისადმი, ყოველი ქვეყნისადმი მარჯვე შეგუების ეს თვისება სრულებითაც არ არის რუსეთის მხოლოდ განათლებულ წოდებათა განსაკუთრებული თვისება, არამედ იგი მთელი რუსი ტომის, მთელი ჩრდილოეთ რუსეთის თვისებაა. ამ თვისებით რუსი ადამიანი განსხვავდება ყველა სხვა სლავური ტომისგანაც, და, შესაძლოა, სწორედ ამ თვისებას უნდა უმაღლოდეს იგი თავის უპირატესობას დანარჩენი სლავური ტომების მიმართ. ცნობილია, რომ ჩვენი რუსი ჯარისკაცები საოცარი ბუნებითი ფილოსოფოსები და პოლიტიკოსები არიან და მათ არსად არაფერი არ აკვირვებთ, არამედ ყველაფერი მეტად ბუნებრივად მიაჩნიათ, როგორადაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეს ყველაფერი მათს ცნებებსა და ჩვევებს. ამ საგანზე ძალიან დიდხანს რომ არ ვილაპარაკოთ, სიმოკლისათვის მივუთითებთ ლერმონტოვის შენიშვნაზე იმის შესახებ, რომ რუსი ადამიანი აღჭურვილია გასაოცარი უნარით შეეგუოს იმ ხალხთა ზნე-ჩვეულებებს, რომელთა შორისაც მას ცხოვრება უხდებაო. „არ ვიცი (ამბობს „ჩვენი დროის გმირის“ ავტორი), დასაგმობია თუ შესაქები ეს თვისება გონებისა, მაგრამ იგი ადასტურებს მის გასაოცარ მოქნილობას და არსებობას ამ ნათელი საღი აზრისას, რომელიც ბოროტებას მიუტევენს ყველგან, სადაც ხედავს მის აუცილებლობას ან მისი მოსპობის შეუძლებლობას!“ აქ ლაპარაკია კავკასიაზე და არა ევროპაზე; მაგრამ რუ-

სი ადამიანი ყველგან იგივეა. მოუხეშავი გერმანელი, მოძძი-მო-ამაყი ჯონ-ბული უკვე თვით თავიანთი ქცევითა და მანერებით ვერასოდეს და ვერსად ვერ დამალავენ თავიანთ წარმოშობას; და ფრანგის შემდეგ მხოლოდ რუსს 'შეუძლია გარეგნობით იყოს უბრალოდ ადამიანი, რომელიც თავისი შუბლით არ ატარებს ნაციონალურ დაღს, ან პასპორტს. მაგრამ აქედან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ რუსი, რომელსაც შეუძლია ინგლისში დაემსგავსოს ინგლისელს, ხოლო საფრანგეთში — ფრანგს, თუნდაც ერთი წუთით აღარ იყოს რუსი, ანდა თუნდაც ერთი წუთით სერიოზულად გახდეს ინგლისელი ან ფრანგი. ფორმა და არსი ყოველთვის ერთი და იგივე როდია. კარგი ფორმა რატომ არ უნდა შევითვროსოთ, მაგრამ ჩვენი არსის უარყოფა არც თუ ისე ადვილია, როგორც ქურჩის შეცვლა ფრაკით. რუსებში ბევრია გალომანი, ანგლომანი, გერმანომანი და ათასი სხვადასხვა „მანი“. შეხედავ მათ: სწორედ ეგრეა — რომელი მხრიდანაც უნდა მიუდგე — ინგლისელი, ფრანგი, გერმანელია მხოლოდ, და მორჩა. თუ ანგლომანია, და მდიდარიც არის, მაშინ მას ცხენებიც ინგლისური ჰყავს, ყოკეებიც და გრუმებიც ინგლისური ყაიდის ხალხია, თითქოს ეს-ეს არის ლონდონიდან ჩამოუყვანიათო; მისი პარკიც ინგლისურ გემოვნებაზეა გაშენებული, ლუდსაც იგი წესიერად სვამს, უყვარს როსტბივი და პუდინგი, გაგიჟებულია კომფორტზე და ბოქსიც კი რომელიმე ინგლისელ მეეტლეზე ცუდად არ იცის. თუ გალომანია, — მოდაზე აცვია, ფრანგულად პარიზელზე ცუდად არ ლაპარაკობს, ყველაფერს გულგრილი ზიზღით უცქერის, ხოლო თუ შემთხვევა მიეცა, მოვალეობად ჩასთვლის თავაზიანიც იყოს და ჰკუამახვილიც. თუ გერმანომანია, — ყველაზე მეტად უყვარს ხელოვნება, როგორც ხელოვნება, მეცნიერება, როგორც მეცნიერება, რომანტიკოსია, ეზიზღება მდაბიო ხალხი, არ სურს გარეგნული ბედნიერება და ყველაფერზე მაღლა აყენებს თავისი შინაგანი სამყაროს მკვრეტელობითს ნეტარებას... მაგრამ გაგზავნეთ ყველა ეს ვაჟბატონები საცხოვრებლად: ანგლომანები — ინგლისში, გალომანები — საფრან-

გეთში, გერმანომანები — გერმანიაში, და ნახეთ, თქვენსავით ხალისით იცნობენ თუ არა ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები თავიანთ თანამემამულეებად ჩვენს ანგლომანებს, გალომანებსა და გერმანომანებს... არა, არ მოხვდებიან ისინი ამ ხალხთა თანამემამულეების რიცხვში, არამედ მხოლოდ უბადაღებულ ადამიანთა სახელს თუ მოიხვეჭენ მათ შორის, საყოველთაო შეურაცხყოფელი ყურადღებისა და გაკვირვების საგანი თუ გახდებიან. ვიმეორებთ, ეს იმიტომ, რომ უცხო ფორმის შეთვისება სულ სხვაა, ვიდრე საკუთარი არსის უარყოფა. რუსი საზღვარგარეთ შეიძლება ადვილად მიიჩნიონ იმ ქვეყნის მკვიდრად, სადაც იგი დროებით ცხოვრობს, იმიტომ რომ ქუჩაში, სამიკიტნოში, ბაღზე, დილიჯანსში ადამიანის შესახებ დასკვნა გამოაქვთ მისი გარეგნობის მიხედვით; მაგრამ სამოქალაქო, ოჯახურ ურთიერთობაში, ცხოვრების განსაკუთრებულ გარემოებებში — სხვა საქმეა: აქ უნებლიეთ გამომეტადვანდება ყოველი ეროვნება, და თითოეული ადამიანი უნებურად იქნება თავისი ქვეყნის შვილი და უცხო ქვეყნის გარი. ამ თვალსაზრისით რუსისათვის გაცილებით უფრო ადვილია ინგლისელის სახელი მოიხვეჭოს რუსეთში, ვიდრე ინგლისში. მაგრამ ცალკეულ პიროვნებათა მიმართ კიდევ შეიძლება ადგილი ექნეს უცნაურ გამონაკლისებს, ხალხთა მიმართ კი ეს არასოდეს არ მოხდება. ამის დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება გამოდგინდეს ის სლავური ტომები, რომელთა ისტორიული ზედ-იღბალი მჭიდროდ დაკავშირებული იყო დასავლეთ ევროპის ზედ-იღბალთან: ჩეხეთი ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია ტევტონური ტომით; მისი მბრძანებელნი მთელი საუკუნეების განმავლობაში გერმანელები იყვნენ; იგი, მათთან ერთად, განვითარდა კათოლიციზმის ნიადაგზე და რელიგიური განახლების სიტყვითაც და საქმითაც გაუსწრო მათ. და მერე რა მოხდა? — ჩეხები დღემდე სლავები არიან, დღემდე არა თუ გერმანელები არ არიან, არამედ არც თუ მთლად ევროპელები არიან...

ყველაფერი, რაც ჩვენ ვთქვით, აუცილებელი გადახვევა იყო იმ უსაფუძვლო აზრის უარყოფის მიზნით, თითქოს, ლი-

ტერატურის საქმეში, წმინდა რუსული ხალხურობა უნდა ვეძიოთ მხოლოდ იმ თხზულებებში, რომელთა შინაარსი აღებულია ჩვენი და გაუნათლებელი კლასების ცხოვრებიდან. ამ უცნაური აზრის შედეგად, რომელიც „არა-რუსულად“ აცხადებს ყველაფერს, რაც კი რუსეთში საუკეთესო და დიდად განათლებულია, ამ ქალამნურ-ხიფთანური აზრის შედეგად, რომელიმე უხეში ფარსი, სადაც გამოყვანილი არიან გლეხი მამაკაცები და დედაკაცები, ნაციონალურ-რუსული ნაწარმოებია, ხოლო „ვაი ჭკუისაგან“ აგრეთვე რუსული, მაგრამ უკვე არა ნაციონალური ნაწარმოებია; რომელიმე ქუჩური რომანი, როგორც მაგალითად „ვაჭრის შვილების ლხინი მარიამის ჭალაში“, თუმცა ცუდი, მაგრამ მაინც ნაციონალურ-რუსული ნაწარმოებია, ხოლო „ჩვენი დროის გმირი“, თუმცა ჩინებული, მაგრამ მაინც რუსული და არა ნაციონალური ნაწარმოებია... არა, და ათასჯერ არა! დროა, ბოლოს, ამ შეხედულების წინააღმდეგ შევიარაღდეთ საღი აზრის მთელი ძალით, უღმობელი ლოგიკის მთელი ენერგიით! ჩვენ უკვე შორსა ვართ იმ ნეტარი დროიდან, როდესაც ჩვენი ლიტერატურის ფსევდო-კლასიკური მიმართულება სიტყვა-კაზმულ ქმნილებებში უშვებდა მხოლოდ უმაღლესი წრისა და განათლებულ წოდებათა ადამიანებს, და თუ ხანდახან ნებას აძლევდა პოემაში, დრამაში ან ეკლოგაში გამოეყვანათ მდაბიონი, ისიც მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი დაბანილნი, დავარცხნილნი, მორთულ-მოკაზმულნი უნდა ყოფილიყვნენ და სხვისი ენით უნდა ელაპარაკნათ. დიახ, ჩვენ შორსა ვართ ამ ფსევდო-კლასიკური დროიდან; მაგრამ უკვე დროა დავშორდეთ ამ ფსევდო-რომანტიკულ მიმართულებასაც, რომელმაც, სიტყვა „ხალხურობით“ და პოემებსა და დრამებში არა მხოლოდ დაბალი წოდების პატიოსანი ადამიანების, არამედ აგრეთვე ქურდებისა და გაიძვერების გამოყვანის უფლებით გახარებულმა, წარმოიდგინა, რომ ჭეშმარიტი ნაციონალურობა იმალება მხოლოდ ზუბუნის ქვეშ, კერიან ქოხში, და რომ მუსტიკრივში გახეთქილი ცხვირი მთვრალი ლაქიისა ჭეშმარიტი შექსპირული ნიშანია, — მთავარი კი ის

არის, რომ განათლებულ ადამიანთა შორის ხალხურობის მი-
 ნაგვარი რაიმეს ნიშნების ძიებაც კი არ შეიძლებოდა³. დროა,
 ბოლოს, მივხედეთ, რომ, პირიქით, რუს პოეტს შეუძლია თავი
 გამოიჩინოს როგორც ქეშმარიტმა ნაციონალურმა პოეტმა
 მხოლოდ იმით, რომ თავის ნაწარმოებებში გამოსახოს განათ-
 ლებულ წოდებათა ცხოვრება; ვინაიდან, ნაციონალური ელე-
 მენტების საპოვნელად იმ ცხოვრებაში, რომელიც სანახევ-
 როდ დაფარულია წინათ მისთვის უცხო ფორმებით, — ამი-
 სათვის პოეტს დიდი ნიჭიც უნდა ჰქონდეს და თავისი სული-
 თაც ნაციონალური უნდა იყოს. „ქეშმარიტი ნაციონალურო-
 ბა (ამბობს გოგოლი) მდგომარეობს არა სარაფანის აღწერა-
 ში, არამედ თვით ხალხის სულში; პოეტი შეიძლება ნაციონა-
 ლური იყოს მაშინაც კი, როდესაც აღწერს სრულიად უცხო
 სამყაროს, მაგრამ მას უცქერის თავისი ნაციონალური სტი-
 ქის თვალთ, მთელი ხალხის თვალთ, როდესაც გრძნობს
 და ლაპარაკობს ისე, რომ მის თანამემამულეებს ჰგონიათ,
 თითქოს ამას თვითონ ისინი გრძნობენ და ლაპარაკობენ“⁴.
 ხალხის ფსიქეის საიდუმლოების გამოცნობა პოეტისათვის
 იმას ნიშნავს, რომ შეეძლოს ერთნაირად ერთგული იყოს სი-
 ნამდვილისა როგორც დაბალ, ისე საშუალო და მაღალ წო-
 დებათა გამოსახვის დროს. ის, ვისაც მხოლოდ მდაბიო ხალ-
 ხის უხეში ცხოვრების მძაფრი ელფერის მიგნება შეუძლია,
 მაგრამ განათლებული ცხოვრების უფრო ფაქიზი და რთული
 ელფერის მიგნება არ ძალუძს, — ის არასოდეს დიდი პოეტი
 არ იქნება და კიდევ უფრო ნაკლები უფლება აქვს ნაციონა-
 ლურ პოეტად იწოდებოდეს. დიდ ნაციონალურ პოეტს ერთნაი-
 რად შეუძლია ალაპარაკოს ბატონიც და გლეხიც მათი ენით.
 და თუ ნაწარმოები, რომლის შინაარსი განათლებულ წოდე-
 ბათა ცხოვრებიდან არის აღებული, ნაციონალურის სახელ-
 წოდების ღირსი არაა, — მაშასადამე, ის მხატვრულადაც
 არაფრად ვარგა, იმიტომ რომ მის მიერ გამოხატული სინამ-
 დვილის სულს არ შეესაბამება. ამიტომაც არა მარტო ისეთი
 ნაწარმოებნი, როგორიცაა ვაი ჭკუისაგან და მკვდარი სუ-
 ლები, არამედ ისეთებიც კი, როგორიცაა ჩვენი დროის გმი-

რი, იმდენადვე ნაციონალური ნაწარმოებნი არიან, რამდენადაც ჩინებული პოეტური ქმნილებანი.

და პირველი ასეთი ნაციონალური მხატვრული ნაწარმოები იყო პუშკინის ევგენი ონეგინი. ახალგაზრდა პოეტის ამ გაბედულ გადაწყვეტილებაში — ნათლად დაეხატა რუსეთის ყველაზე უფრო გაევროპელებული წოდების ზნეობრივი სახე — არ შეიძლება არ დავინახოთ იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ იგი ნაციონალური პოეტი იყო და ღრმად ჰქონდა შეგნებული ეს. მან შეიგნო, რომ ეპიკური პოემების დრო დიდი ხანია გავიდა, და რომ თანამედროვე საზოგადოების გამოსახატავად, საზოგადოებისა, რომელშიც ცხოვრების პროზა ესოდენ ღრმად შეიჭრა თვით ცხოვრების პოეზიაში, საჭიროა რომანი და არა ეპიკური პოემა. მან აიღო ეს ცხოვრება ისე, როგორც ის არის; ისე, რომ არ გამოურჩევია მარტოოდენ მისი პოეტური წამები; აიღო ის მთელი სიცივით, მთელი მისი პროზითა და უხამსობით. და ასეთი გამბედაობა უფრო ნაკლებ საკვირველი იქნებოდა, რომანი რომ პროზად ყოფილიყო წამოწყებული; მაგრამ ამგვარი რომანის ლექსად დაწერა მაშინ, როდესაც რუსულ ენაზე არც ერთი ხეირიანი პროზად დაწერილი რომანიც კი არ იყო, — უდიდესი წარმატებით გამართლებული ასეთი გამბედაობა პოეტის გენიალობის უეჭველი დამამტკიცებელი საბუთი იყო. მართალია, რუსულ ენაზე არსებობდა ერთი მშვენიერი (თავისი დროის მიხედვით) ნაწარმოები, მსგავსად ლექსად დაწერილი მოთხრობისა: ჩვენ ვლაპარაკობთ დმიტრიევის მოდურ ცოლზე; მაგრამ ამ ნაწარმოებსა და ონეგინს შორის საერთო არაფერია უკვე მხოლოდ იმიტომ, რომ მოდური ცოლი ისევე ადვილად შეიძლება ფრანგულიდან თავისუფლად თარგმნილ ან გადმოკეთებულ ნაწარმოებად ჩავთვალოთ, როგორც ორიგინალურ რუსულ ნაწარმოებად. თუ პუშკინის თხზულებებიდან თუნდაც ერთს შეიძლება საერთო რამ ჰქონდეს დმიტრიევის მშვენიერ და ჰკუჟამახვილ ზღაპართან, ეს, როგორც უკვე უკანასკნელ სტატიაში შევნიშნეთ კიდევ, არის გრაფი ნულინი; მაგრამ აქაც მსგავსება სრულებითაც

არ მდგომარეობს ორივე ნაწარმოების პოეტურ ღირსებაში. ონეგინის მსგავსი რომანების ფორმა ბაირონმა შექმნა; ყოველ შემთხვევაში, თხრობის მანერა, პროზისა და პოეზიის ნარევი გამოსახატავ სინამდვილეში, გადახვევანი, პოეტის მიმართები საკუთარი თავისადმი და, განსაკუთრებით, პოეტის სახის ეს მეტისმეტად საგრძნობი წარმოჩენა მის ძიერ შექმნილ ნაწარმოებში, — ყველაფერი ეს ბაირონის საქმეა. რასაკვირველია, საკუთარი შინაარსისათვის სხვისი ახალი ფორმის შეთვისება სულ სხვაა, ვიდრე მისი გამოგონება. — მაგრამ, მიუხედავად ამისა, პუშკინის ონეგინის ბაირონის დონ-ხუანსა, ჩაილდ-ჰაროლდსა და ბეკოსთან შედარებისას საერთოს ვერაფერს იპოვნით, გარდა ფორმისა და მანერისა. ბაირონის პოემების არა მარტო შინაარსი, არამედ სულისკვეთებაც სპობს ამ პოემებსა და პუშკინის „ონეგინს“ შორის არსებითი მსგავსების ყოველგვარ შესაძლებლობას. ბაირონი სწერდა ევროპაზე ევროპისათვის; ეს სუბიექტური სული, ესოდენ მძლავრი და ღრმა, ეს პიროვნება, ესოდენ უზარმაზარი, ანაყი და შეუდრეკელი, ესწრაფვოდა არა იმდენად თანაქდროვე კაცობრიობის გამოხატვას, რამდენადაც მისი წარსული და ახლანდელი ისტორიისათვის მსჯავრის გამოტანას. ვიძეორებთ: აქ რაიმე მსგავსების ნატამალის ძებნაც კი ზედმეტია პუშკინი სწერდა რუსეთზე რუსეთისათვის, — და ჩვენ მისი თვითმყოფი და გენიალური ტალანტის ნიშანს იმაში ვხედავთ, რომ ის, ერთგული თავისი ბუნებისა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ბაირონის ბუნებას, და თავისი მხატვრული ინსტინქტისა, შორს იყო ისეთი ცთუნებიდან, რომ ბაირონისებური რამ შეექმნა რუსული რომანის წერის დროს. ეს რომ გაეკეთებინა — ბრბოც მას უსაზღვრო ხოტბას შეასხამდა; წამიერი, მაგრამ უდიდესი სახელი იქნებოდა მისი ყალბი *tour de force*-ის^o ჯილდო. მაგრამ ვიძეორებთ, პუშკინი, როგორც პოეტი, მეტისმეტად დიდი იყო და არ ჩაიდენდა ამგვარ სამასხარო გმირობას, რაც ესოდენ მაცთუნებელია ჩვეულებრივი ნიჭის ადამიანებისათვის. იგი ზრუნავდა არა იმისათვის, რომ ბაირონს დამსგავსებოდა, არამედ

იმისათვის, რომ ყოფილიყო ის, რაც თვითონ იყო, ყოფილიყო ერთგული მის დრომდე ჯერ კიდევ ხელუხლებელი სინამდვილისა, რომელიც მის კალამს ნატრობდა. და სამაგიეროდ მისი ონეგინი უაღრესად ორიგინალური და ნაციონალურ-რუსული ნაწარმოებია. პუშკინის დროს დაწერილ გრიბოედოვის გენიალურ ქმნილება ვაი „კუისაგან“-თან ერთად, პუშკინის გაღექსილმა რომანმა მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ახალ რუსულ პოეზიას, ახალ რუსულ ლიტერატურას. ამ ორი ნაწარმოების შექმნამდე, როგორც უკვე ზემოთაც შევნიშნეთ, რუს პოეტებს კიდევ შეეძლოთ პოეტები ყოფილიყვნენ, როდესაც რუსული სინამდვილისათვის უცხო საგნებს უმღეროდნენ, და თითქმის არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ პოეტები, როდესაც ხელს ჰკიდებდნენ რუსული ცხოვრების სამყაროს გამოხატვას. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ დერჟავინი, რომლის პოეზიაში, როგორც უკვე არაერთხელ ვთქვით, რუსული ცხოვრების ელემენტთა ნაპერწკლები გაიელვებენ ხოლმე; აგრეთვე კრილოვი და, ბოლოს, ფონ-ვიზინი, რომელიც, თუმცა, თავის კომედიებში უფრო მეტად რუსული სინამდვილის ნიჭიერი ასლის გადამღები იყო, ვიდრე მისი შემოქმედებითი ამსახველი. მიუხედავად გრიბოედოვის კომედიის ყველა ნაკლოვანებისა, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია,—ეს კომედია, როგორც მძლავრი ნიჭის, ღრმა და დამოუკიდებელი გონების ნაწარმოები, იყო პირველი რუსული კომედია, რომელშიც არ არის არაფერი მიმბაძველობითი, არ არის ყალბი მოტივები და არაბუნებრივი საღებავები, მაგრამ რომელშიც მთლიანიც და დეტალურიც, სიუჟეტიც და ხასიათებიც, ვნებებიც და მოქმედებაც. აზრებიც და ენაც — ყველაფერი მთლიანად რუსული სინამდვილის ღრმა

* ვაი კუისაგან გრიბოედოვმა დაწერა თბილისში ყოფნის დროს, 1823 წლამდე, მაგრამ დაწერა შავად. 1823 წელს, რუსეთში დაბრუნების შეკდეგ, გრიბოედოვმა თავის კომედიაში მნიშვნელოვანი შესწორებანი შეატანა. მისი დიდი ნაწყვეტი პირველად დაიბეჭდა ტალის აღმანახში, 1825 წელს. ონეგინის პირველი თავი დაიბეჭდა 1825 წელს, როდესაც პუშკინს, ალბათ, ამ პოემის რამდენიმე თავი უკვე მზად ჰქონდა.

კეშმარტებით არის გამსჭვალული. რაც შეეხება ლექსს, რომლითაც დაწერილია ვაი ჭკუისაგან, — ამ მხრივ გრიბოდოვმა დიდი ხნით მოსპო რუსული კომედიის ლექსად დაწერის ყოველგვარი შესაძლებლობა. გენიალური ტალანტია საჭირო გრიბოდოვის მიერ დაწყებული საქმის წარმატებით განსაგრძობად: აქილესის ხმლის ხმარება მხოლოდ აიქსებ-სა და ოდისეებს ძალუძთ. იგივე შეიძლება ითქვას ონეგინის შესახებაც, თუმცა სწორედ მას უნდა უმადლოდეს თავის გაჩენას მასზე ბევრად ნაკლები, მაგრამ მაინც შესანიშნავი ზოგიერთი ნაწარმოები, მაშინ როდესაც ვაი ჭკუისაგან ჩვენს ლიტერატურაში დღემდე რჩება ჰერკულესის სვეტებად, რომლის იქით ჯერ კიდევ ვერავენ ვერ გადაიხედა. გაუგონარი მაგალითია: პიესა, რომელიც წერა-კითხვის მცოდნე მთელმა რუსეთმა ჯერ კიდევ ხელნაწერების საშუალებით დაისწავლა ზეპირად მის დაბეჭდვამდე ათ წელზე მეტი ხნით ადრე! გრიბოდოვის ლექსები ანდაზებად და თქმულებებად იქცნენ; მისი კომედია გადაიქცა ყოველდღიური ცხოვრბ-ს მოვლენათათვის გამოსაყენებელ დაუშრეტელ წყაროდ, ეპიგრამების უღვევლ მადნად! და თუმცა არაფრით არ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ გრიბოდოვის კომედიის ენასა და ლექსზე პირდაპირი გავლენა მოეხდინოს კრილოვის იგავ-არაკების ენასა და ლექსსაც კი, მაგრამ ამის არც სრული უარყოფა შეიძლება: ლიტერატურის ორგანულ-ისტორიულ განვითარებაში ასე გადაეჯაჭვება და უკავშირდება ხოლმე ერთიმეორეს ყველაფერი! ხემნიცერისა და დმიტრიევის იგავ-არაკები კრილოვის იგავ-არაკებთან ისეთსავე ურთიერთობაშია, როგორც ჩვეულებრივი ნიჭიერი ნაწარმოებნი გენიალურ ნაწარმოებებთან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კრილოვი ბევრს უნდა უმადლოდეს ხემნიცერს და დმიტრიევს. ასევე გრიბოდოვიც: იგი კრილოვისაგან არ სწავლობდა, მას არ ჰბაძავდა; მან მხოლოდ გამოიყენა კრილოვის მონაპოვარნი იმისათვის, რომ თვითონ წასულიყო წინ თავისი საკუთარი გზით. რუსულ ლიტერატურაში კრილოვი რომ არ ყოფილიყო — გრიბოდოვის ლექსი არ იქნებოდა ასე თავისუფლად,

ასე ნებისმიერად, თამამად ორიგინალური, ერთი სიტყვით, ასე ძალიან შორს ვერ წავიდოდა. მაგრამ მარტო ამით როდი განისაზღვრება გრიბოედოვის ღვაწლი: პუშკინის ონეგინთან ერთად მისი ვაი ჭკუისაგან რუსული სინამდვილის პოეტური გამოსახვის პირველი ნიმუში იყო სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ამ მხრივ ორივე ნაწარმოებმა დასაბამი მისცა შემდგომ ლიტერატურას, ისინი წარმოადგენდნენ იმ სკოლას, რომლიდანაც გამოვიდა ლერმონტოვიც და გოგოლიც. უონეგინოდ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი დროის გმირი, ისევე როგორც, ონეგინი და ვაი ჭკუისაგან რომ არ ყოფილყო, გოგოლი ვერ იგრძნობდა თავს მომზადებულად რუსული სინამდვილის ასეთი სიღრმითა და ქემშარიტებით გამოხატვისათვის. რუსული სინამდვილის გამოხატვის ყალბი მანერა, რომელიც ონეგინისა და ვაი ჭკუისაგანის შექმნამდე არსებობდა, ახლაც კიდევ არ გამქრალა რუსულ ლიტერატურაში. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია მხოლოდ თავი გავწიროთ და ის ახალი დრამატიული პიესები ვნახოთ ან წავიკითხოთ, რომლებიც ორივე დედაქალაქის რუსულ თეატრებში იდგმება. ეს სხვა არა არის რა, თუ არა დამახინჯებული ფრანგული ცხოვრება, რომლისთვისაც თვითნებურად დაურქმევიათ რუსული ცხოვრება; ესაა დამახინჯებული ფრანგული ხასიათები, რომლებიც რუსულ სახელებს ეფარებიან. რუსულ მოთხრობაზე გოგოლმა მძლავრი გავლენა მოახდინა, მაგრამ მისი კომედიები ობლად-დარჩნენ, ისევე როგორც ვაი ჭკუისაგან. მაშასადამე: უტყუარი გამოსახვა ჩვენი ღვიძლი გარემოსი, იმისა, რაც ჩვენ თვალწინ არის, რაც ჩვენ გარს გვარტყია, თითქმის უფრო ძნელია, ვიდრე უცხო რამის გამოსახვა. ამ სიძნელის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში ფორმა ყოველთვის დედაარსი ჰგონიათ, ხოლო მოდის კოსტუმი ევროპეიზმად მიაჩნიათ; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მიზეზი ის არის, რომ ხალხურობას ურევენ მდაბიურობაში და ფიქრობენ, რომ ვინც მდაბიო ხალხს არ ეკუთვნის. ესე იგი ვინც შამპანურს სვამს და არა ბურახს, ვინც ფრაკს ატარებს და არა რუხ ხიფთანს,—ის უნდა გამო-

სახონ ხან ფრანგად, ხან ესპანელად და ხანაც კიდევ ინგლისელად: ზოგიერთი ჩვენი ლიტერატორები, რომელთაც უნარი აქვთ ასე თუ ისე სწორად დახატონ პორტრეტები, მოკლებული არიან უნარს მათი ნამდვილი სახით დაინახონ ის პირნი, რომელთა პორტრეტებსაც ისინი ხატავენ: განა საკვირველია, რომ მათი პორტრეტები სრულებით არა ჰგავს ორიგინალებს, და რომ, როდესაც მათს რომანებს, მოთხრობებსა და დრამებს კითხულობ, უნებლიეთ ეკითხები საკუთარ თავს:

ვისგან ხატავენ ნეტავ პორტრეტებს?
 ან სად ისმენენ ამ ლაპარაკსა?
 და თუ მათ კიდევ გაუგონიათ,
 ჩვენ არ ვისურვებთ მათ მოსმენასა ?.

ამგვარი ტალანტები — ცუდი მოაზროვნეები არიან; მათი ფანტაზია ჭკუის ხარჯზეა განვითარებული. მათ არ ესძიოთ, რომ თითოეული ხალხის ეროვნულობის საიდუმლოება მდგომარეობს არა მის ტანსაცმელსა და სამზარეულოში, არამედ მის, ასე ვთქვათ, მანერაში გაიგოს საგნები: იძისათვის, რომ სწორად გამოვსახოთ რომელიმე საზოგადოება, საჭიროა ჯერ ჩავწვდეთ მის დედაარსს, მის განსაკუთრებულობას, — ხოლო ამის გაკეთება არ შეიძლება ისე, თუ ფაქტიურად არ გავიგებთ და ფილოსოფიურად არ შევაფასებთ იმ წესების, ჯამს, რომელთაც საზოგადოება იცავს. ყოველ ხალხს ორი ფილოსოფია აქვს: ერთი მეცნიერული, მწიგნობრული, საზეიმო და სადღესასწაულო, მეორე — ყოველდღიური, საშინაო, ცხოვრებაში გამოსაყენებელი. ხშირად ორივე ეს ფილოსოფია ცოტად თუ ბევრად ახლო თანაფარდობაშია ერთიმეორის მიმართ; და ვისაც საზოგადოების გამოსახვა სურს, ის ორივე ფილოსოფიას უნდა გაეცნოს, მაგრამ უკანასკნელის შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია. სწორედ ასევე, ვისაც სურს გაიცნოს რომელიმე ხალხი, მან უწინარეს ყოვლისა უნდა შეისწავლოს ეს ხალხი — მის ოჯახურ, საშინაო ყოფაცხოვრებაში. თითქოს, აბა რა დიდი მნიშვნელობა შეიძ-

ლება ჰქონდეს ორ ისეთ სიტყვას, როგორცაა რუსული **авось** და **живет**, ამავე დროს კი ისინი მეტად მნიშვნელოვანი სიტყვებია, და თუ კაცს მათი მნიშვნელობა არ ესმის, ხანდახან ზოგიერთ რომანს ვერც-კი გაიგებს, თვითონ კი ხომ ვერ დასწერს და ვერა. და აი ამ ყოველდღიური ფილოსოფიის ღრმა ცოდნამ აქცია კიდევ ონეგინი და ვაი ჭკუისაგან ორიგინალურ და წმინდა რუსულ ნაწარმოებებად.

ონეგინის შინაარსს ისე კარგად იცნობს ყველა და თითოეული, რომ მისი დაწვრილებით გადმოცემა სრულებით არ არის საჭირო. მაგრამ იმისათვის, რომ მის საფუძვლად დადებულ იდეამდე მივატანოთ, ჩვენ გადმოვცემთ ამ შინაარსს შემდეგი მცირეოდენი სიტყვებით. მივარდნილ სოფელში აღზრდილ ყმაწვილ, მეოცნებე ქალიშვილს შეუყვარდება ახალგაზრდა პეტერბურგელი — ახლანდელი ენით რომ ვთქვათ — ლომი, რომელიც, მაღალი საზოგადოების ცხოვრებით მოწყენილი, თავის სოფელში ჩავიდა მოსაწყენად. ქალიშვილმა გადასწყვიტა მისწეროს მას გულუბრყვილო ვნებით აღსავსე ბარათი; ვაჟი ქალს სიტყვიერ პასუხს აძლევს, რომ არ შეუძლია შეიყვაროს ის და რომ არ მიაჩნია თავისი თავი „ოჯახური ცხოვრების ნეტარებისათვის“ შექმნილად. შემდეგ, უბრალო მიზეზის გამო, ჩვენი შეყვარებული გპირი ქალის დის საქმრო დუელში იწვევს ონეგინს, რომელიც ჰკლავს მას. ლენსკის სიკვდილი დიდი ხნით დააშორებს ერთმანეთს ტატიანას და ონეგინს. თავის ახალგაზრდულ ოცნებებზე გულგატეხილი, საბრალო ქალიშვილი თავისი მოხუცი დედის ცრემლებსა და მუდარას ემორჩილება და ცოლად მიჰყვება გენერალს, იმიტომ რომ მისთვის სულ ერთი იყო, ვისაც უნდა გაჰყოლოდა, თუ კი აღარ შეიძლებოდა, რომ არავის არ გაჰყოლოდა. ონეგინი ტატიანას შეხვდება პეტერბურგში და ძლივს იცნობს: ისე გამოცვლილა ქალი, ისე ცოტა დარჩენილა მასში მსგავსება უბრალო სოფლელ გოგონასა და საუცხოო პეტერბურგელ ბანოვანს შორის. ონეგინს აღეგზნება ტატიანასადმი ვნება; იგი ქალს სწერს ბარათს, და ამჯერად უკვე ქალი სიტყვიერ პასუხს აძლევს

ვაქს, რომ თუმცა უყვარს ის, მაგრამ მაინც არ შეუძლია ეკუთვნოდეს მას — სათნოების სიამაყისა გამო. აი ონეგინის მთელი შინაარსი. ბევრი ფიქრობდა და ახლაც კიდევ ფიქრობს, რომ აქ არავითარი შინაარსი არ არის, იმიტომ რომ რომანი არაფრით არ თავდებაო. მართლაც, აქ არ არის არც სიკვდილი (არც ჭლექით, არც ხანჯლით), არც ქორწილი — ეს პრივილეგიური დასასრული ყველა რომანისა, მოთხრობისა და დრამისა, განსაკუთრებით კი რუსულისა. მეტიც: რაძღენი შეუსაბამობაა აქ! ვიდრე ტატიანა ქალიშვილი იყო, ონეგინი მის ვნებიან სიყვარულს გულცივად ხვდებოდა; მაგრამ როდესაც ის ქალი გახდა, ონეგინს გაგიჟებით შეუყვარდა ის, თუმცა დარწმუნებულიც კი არ იყო იმაში, რომ ქალს იგი უყვარს. არაბუნებრივია, სრულიად არაბუნებრივი! მერეღა რა უზნეო ხასიათი აქვს ამ კაცს: იგი გულგრილად უკითხავს მორალს მასზე შეყვარებულ ქალიშვილს, ნაცვლად იმისა, რომ მყისვე შეიყვაროს თვით ეს ქალიშვილი, შემდეგ წესისამებრ გამოსთხოვოს მის უძვირფასეს მშობლებს მათი მშობლიური, საუკუნოდ მტკიცე ლოცვა-კურთხევა, კანონიერი ქორწინებით შეუკავშირდეს მას და ქვეყნად უბედნიერესი ადამიანი გახდეს. შემდეგ: ონეგინი ტყუილ-უბრალოდ ჰკლავს საბრალო ლენსკის, ოქროს იმედებით და წარშტაცი ოცნებებით აღსავსე ამ ქაბუკ პოეტს, — და თუნდაც ერთხელ დასდენოდეს ცრემლი მის გამო, ანდა, ყოველ შემთხვევაში, პათეტიკური სიტყვა მაინც დასცდენოდეს, რომელშიც მოხსენიებული იქნებოდა გასისხლიანებული აჩრდილი და სხვ. ასე, ანდა თითქმის ასე, მსჯელობდა და ახლაც მსჯელობს ონეგინზე მრავალი „დიდად პატივცემულ მკითხველთაგანი“, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ბევრი ასეთი მსჯელობა მოგვისმენია, რომლებიც მას უამსა შინა ცოფსა გვევრიდა, ახლა კი მხოლოდ გვართობს ხოლმე. ერთმა დიდმა კრიტიკოსმა კიდევაც დაბეჭდა თავისი აზრი და სთქვა, რომ ონეგინში არ არის მთლიანობა, რომ ეს არის მხოლოდ პოეტური მიეთ-მოეთი ცისა და ბარის ამბებზე, უფრო კი — არაფერზე⁸. დიდი კრიტიკოსი თავის დასკვნაში ეყრდნობოდა, ჯერ-ერთი, იმას,

რომ პოემის დასასრულს არ არის არც ქორწილი, არც დაკრძალვა, და, მეორეც, თვით პოეტის დამამოწმებელ სიტყვებს:

მას შემდეგ ბევრი დღეა განვლილი,
რაც რომ პირველად მე ტატიანა,
და ონეგინიც იმასთან მხარში,
მეცხადებოდნენ მშფოთვარ სიზმარში —
და თავისუფალ სივრცეს რომანის
მხოლოდ მაგიურ ბრძოლაში ვცქერდი
და გარკვეულად ვერც კი ვარჩევდი *.

დიდი კრიტიკოსი ვერ მიხვდა, რომ პოეტს, თავისი შემოქმედებითი ინსტინქტის მეოხებით, შეეძლო სრული და დამთავრებული თხზულება დაეწერა მისი გეგმის წინასწარ მოუფიქრებლად, და შეეძლო სწორედ იქ გაჩერებულიყო, სადაც რომანი თავისთავად დიდებულად მთავრდებოდა და სადაც კვანძი იხსნება—ტატიანასთვის სიყვარულის გაცხადების შემდეგ თავგზააბნეული ონეგინის სურათზე. მაგრამ ამაზე თავის ადგილას ვიტყვი, ისევე როგორც იმაზეც, რომ არაფერი არ შეიძლება უფრო ბუნებრივი იყოს, ვიდრე ონეგინის ურთიერთობა ტატიანასთან მთელი რომანის მანძილზე და რომ ონეგინი სრულიადაც არ არის გულქვა და გარყენილი ადამიანი, თუმცა ამავე დროს არც სათნოების გმირია. პუშკინის უდიდეს დამსახურებათა რიცხვს ისიც მიეკუთვნება, რომ მან მოდიდან გამოიყვანა მანკიერების ურჩხულებიც და სათნოების გმირებიც და მათს ნაცვლად დახატა მხოლოდ ადამიანები.

ჩვენ სტატია იმით დავიწყეთ, რომ ონეგინი არის სინამდვილის მართალი პოეტური სურათი, რომელშიც ასახულია რუსული საზოგადოება განსაზღვრულ ეპოქაში. ეს სურათი თავის დროზე გაჩნდა, ე. ი. სწორედ მაშინ, როდესაც გაჩნდა ის, რისგანაც შეიძლებოდა მისი გადახატვა — გაჩნდა საზო-

* ადგილები „ევგენი ონეგინიდან“ მოყვანილია გ. ცეცხლაძის თარგმანის მიხედვით. იხ. ა. ს. პუშკინი, „ევგენი ონეგინი“, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1947 წ. — მთარგ.

გადოება. პეტრე დიდის რეფორმის შედეგად, რუსეთში უნდა შექმნილიყო თავისი ცხოვრების ნირით ხალხის მასისაგან სავსებით განცალკევებული საზოგადოება. მაგრამ მართოდენ განსაკუთრებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ წარმოშობს საზოგადოებას: მისი ჩამოყალიბებისათვის საჭირო იყო განსაკუთრებული საფუძვლები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მის არსებობას, და საჭირო იყო განათლება, რომელიც მას არა მხოლოდ გარეგან, არამედ შინაგან ერთიანობასაც მისცემდა. ეკატერინე მეორემ, წყალობის სიგელით, 1785 წელს განსაზღვრა თავადაზნაურობის უფლებამოვალეობანი. ამ გარემოებამ სრულიად ახალი ხასიათი მისცა დიდკაცობას — ერთადერთ წოდებას, რომელმაც ეკატერინე მეორის დროს მიაღწია თავის უმაღლეს განვითარებას და განათლებული წოდება იყო. 1785 წლის სიგელით გამოწვეული ზნეობრივი წინსვლის შედეგად, დიდკაცობის კვალდაკვალ დაიწყო საშუალო თავადაზნაურობის კლასის წარმოშობა. სიტყვა წარმოშობად ჩვენ ვგულისხმობთ სიტყვა შექმნას. ალექსანდრე კურთხეულის მეფობის დროს ამ ყოველმხრივ საუკეთესო წოდების მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, იმიტომ რომ განათლება სულ უფრო და უფრო მეტად იჭრებოდა მემამულეთა სამფლობელოებით მოფენილი უდიდესი პროვინციის ყველა კუთხეში. ამგვარად ყალიბდებოდა საზოგადოება, რომლისთვისაც ცხოვრების კეთილშობილური სიტკობებანი უკვე მოთხოვნილებად იქცეოდნენ, როგორც ნიშანი წარმოშობის პროცესში მყოფი სულიერი ცხოვრებისა. ამ საზოგადოებას უკვე აღარ აკმაყოფილებდა მართოდენ ნადირობა, ფუფუნება და ნადიმები და აღარც მხოლოდ ცეკვა-თამაში და ბანქო: იგი ფრანგულად ლაპარაკობდა და კითხულობდა, მუსიკა და ხატვაც უკვე აუცილებელ მომენტად შედიოდა მისი ბავშვების აღზრდის გეგმაში. დერჟავინი, ფონ-ვიზინი და ბოგდანოვიჩი — ეს პოეტები, რომელთაც თავის დროზე მართოდენ მეფის კარზე იცნობდნენ, მაშინ ცოტად თუ ბევრად ცნობილი გახდნენ

წარმოშობის პროცესში მყოფი ამ საზოგადოებისთვისაც. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ საზოგადოებას გაუჩნდა თავისი ლიტერატურა, უკვე უფრო მსუბუქი, ცოცხალი, საზოგადოებრივი და საერო, ვიდრე მძიმე, სასკოლო და მწიგნობრული ლიტერატურა იყო. თუ ნოვიკოვმა ყოველგვარი წიგნებისა და ჟურნალების გამოცემით კითხვის სურვილი აღძრა, წიგნით ვაჭრობა გაავრცელა და ამით მკითხველთა მასა შექქმნა, — კარამზინმა თავისი ენის რეფორმით, თავის თხზულებათა მიმართულებით, სულსკვეთებითა და ფორმით ლიტერატურული გემოვნება წარმოშვა და საზოგადოება შექქმნა. აი სწორედ მაშინ შევიდა პოეზია, როგორც ელემენტი, ახალი საზოგადოების ცხოვრებაში. ლამაზმანები და ჭაბუკები გუნდებად დაეწაფნენ ლიზას ტბას, რათა გრძნობიერების ცრემლით პატივი ეცათ გატაცებისა და ცთუნების უბედური მსხვერპლის ხსოვნისათვის. დმიტრიევის ლექსებს, ჭკუით, გემოვნებით, სიმახვილითა და გრაციით აღბეჭდილს, ისეთივე წარმატება და ისეთივე გავლენა ჰქონდა, როგორც კარამზინის პროზას. მათ მიერ წარმოშობილი სანტიმენტალობა და მეოცნებობა, მიუხედავად მათი სასაცილო მხარისა, ახალგაზრდა საზოგადოებისათვის წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. ოზეროვის ტრაგედიებმა კიდევ უფრო მეტი ძალა და ბრწყინვალება შესძინა ამ მიმართულებას. კრილოვის იგავ-არაკებს უკვე დიდი ხანია არა მხოლოდ მოწიფული ადამიანები კითხულობდნენ, არამედ ბავშვებიც ზეპირად სწავლობდნენ. მალე გამოჩნდა ჭაბუკი პოეტი, რომელმაც ამ სანტიმენტალურ ლიტერატურაში ღრმა გრძნობის, ფანტასტიკური მეოცნებობის და ზესთაბუნებრივისა და უცნობის სფეროსადმი ექსცენტრიკული მისწრაფების რომანტიკული ელემენტები შეიტანა და რუსულ მუზას გერმანიისა და ინგლისის მუზა გააცნო და დაუნათესავა. ლიტერატურის გავლენა საზოგადოებაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ამის შესახებ ჩვენში ფიქრობენ: ლიტერატურამ, რომელიც სხვადასხვა წოდების ადამიანებს გემოვნებითა და ცხოვრების კეთილშობილ სიტკბობათადმი მისწრა-

ფებით ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებდა და მათ შორის მეგობრობის ძაფებს აბამდა, წოდება საზოგადოებად გადააქცია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად უეჭველია, რომ უპირატესად თავადაზნაურული კლასი იყო როგორც საზოგადოების წარმომადგენელი, ისე მთელი საზოგადოების განათლების უშუალო წყარო. სახალხო განათლების საშუალებათა გადიდება, უნივერსიტეტების, გიმნაზიების, სასწავლებლების დაარსება საზოგადოებას აიძულებდა განვითარებულიყო არა დღითიდღე, არამედ საათობით. 1812 წლიდან 1815 წლამდე განვლილი დრო დიადი ეპოქა იყო რუსეთისათვის. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა მხოლოდ გარეგნულ დიდებასა და ბრწყინვალეობას, რომლითაც შეიმოსა რუსეთი ამ პისთვის დიად ეპოქაში, არამედ შინაგან წარმატებასაც სამოქალაქო საქმეებსა და განათლებაში, რაც ამ ეპოქის შედეგი იყო. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ რუსეთმა 1812 წლიდან დღემდე მეტი განიცადა და უფრო შორს წავიდა, ვიდრე პეტრეს მეფობიდან 1812 წლამდე. ერთი მხრით, 12-მა წელმა, რომელმაც მთელი რუსეთი კიდით კიდემდე შესძრა, მისი მიძინებული ძალები გამოაღვიძა და მას ახალი, მანამდე უცნობი ძალთა წყაროები გადაუშალა, საერთო საშიშროების გრძნობით ერთ უზარმაზარ მასად შეამკიდროვა განცალკევებული ინტერესების გრძნობაში გაყინული კერძო ნებისყოფანი, გამოაღვიძა ხალხის შეგნება და ხალხის სიამაყე, და ყოველივე ამით ხელი შეუწყო საჯაროობის, როგორც საზოგადოებრივი აზრის დასაწყისის, ჩასახვას; გარდა ამისა, 12-მა წელმა მძლავრი ლახვარი ჩასცა ძველ დამყაყებულ წესებს: მის შედეგად გაჰქრნენ არამსახური თავადაზნაურები, რომლებიც მშვიდად იბადებოდნენ და კვდებოდნენ თავიანთ სოფლებში ისე, რომ თავის სამფლობელოთა ნაკრძალ მიჯნას არ გასცილდებოდნენ ხოლმე; ძველი დროის ძირგამოთხრილ ნაშთებთან ერთად სწრაფად ჰქრებოდა უმეცრება და უვიცობა. მეორე მხრით. მთელმა რუსეთმა, მისი ძლევამოსილი ჯარის სახით, პირისპირ შეხედა ევროპას, რომელიც გამარჯვებისა და ზენიმის გზით განვლო. ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი წარმო-

შობილი საზოგადოების ზრდასა და განმტკიცებას. მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში რუსული ლიტერატურა მიმზადველობიდან თვითმყოფობისაკენ გაეშურა: გამოჩნდა პუშკინი. მას უყვარდა ის წოდება, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა; ეს თითქმის ერთადერთი წოდება იყო, რომელშიც გამოიხატა რუსული საზოგადოების პროგრესი. და მან გადასწყვიტა ონეგინში წარმოედგინა ჩვენთვის ამ წოდების შინაგანი ცხოვრება, მასთან ერთად კი საზოგადოებაც, იმ სახით, რომლითაც ის არსებობდა მის მიერ არჩეულ ეპოქაში, ე. ი. მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში. და აქ არ შეიძლება კაცი არ განაცვიფროს რუსული საზოგადოების წინსვლის სისწრაფემ: ჩვენ ონეგინს ვუცქერით როგორც იმ დროის რომანს, რომელსაც უკვე დაშორებული ვართ. ამ დროის იდეალები და მოტივები უკვე ძალიან უცხოა ჩვენთვის, ძალიან სცილდება ჩვენი დროის იდეალებსა და მოტივებს... ჩვენი დროის გმირი ახალი ონეგინი იყო: ოთხმა წელმა ძლივს განვლო, — და პეჩორინი უკვე თანამედროვე იდეალი აღარ არის. და აი რა აზრით ვთქვით ჩვენ, რომ ონეგინის თვით ნაკლოვანებანი არსებითად ანავე დროს მის უდიდეს ღირსებასაც შეადგენენ: ეს ნაკლოვანებანი შეიძლება გამოვხატოთ ერთი სიტყვით—„მოძველებულია“; მაგრამ განა პოეტის ბრალია, რომ რუსეთში ყველაფერი ასე სწრაფად მოძრაობს? და განა ეს უდიდესი დამსახურება არ არის პოეტის მხრივ, რომ მას უნარი ჰქონდა ასე სწორად აესაზა განსაზღვრული წამიერი მონაკვეთის სინამდვილე საზოგადოების ცხოვრებიდან? ახლა რომ ონეგინში არაფერი არ გვეჩვენებოდეს მოძველებულად ან ჩვენი დროისაგან ჩამორჩენილად, — ეს იმის აშკარა ნიშანი იქნებოდა, რომ ამ პოემაში ჭეშმარიტება არ არის, რომ მასში გამოსახულია არა ნამდვილად არსებული, არამედ გონებით წარმოდგენილი საზოგადოება: ამ შემთხვევაში აბა რა პოემა იქნებოდა ეს, და ეღირობოდა კი მის შესახებ ლაპარაკი?..

ჩვენ უკვე შევეხეთ ონეგინის შინაარსს; განვიხილოთ ამ რომანის მოქმედ პირთა ხასიათები. მიუხედავად იმისა, რომ რომანი თავისი გმირის სახელს ატარებს,—რომანში ერთი კი

არა, არამედ ორი გმირია: ონეგინი და ტატიანა. ორივე მათგანში უნდა ვხედავდეთ იმ ეპოქის რუსული საზოგადოების ორივე სქესის წარმომადგენლებს. მივმართოთ პირველს. პოეტი ძალიან კარგად მოიქცა, როდესაც თავისი გმირი საზოგადოების უმაღლესი წრიდან ამოირჩია. ონეგინი სრულებითაც არ არის დიდკაცი (უკვე იმიტომაც, რომ დიდკაცობის ხანა მხოლოდ ეკატერინე მეორის საუკუნე იყო); ონეგინი მაღალი საზოგადოების კაცია. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს ლიტერატორებს არ უყვართ მაღალი საზოგადოება და მისი ადამიანები, თუმცა გაგიჟებამდე გატაცებული არიან მათი გამოსახვით. რაც შეგვეხება პირადად ჩვენ, ჩვენ სრულებითაც არა ვართ მაღალი საზოგადოების ადამიანი და იქ არ ვტრიალებთ; მაგრამ არავითარი მდაბიური წინარწმენითაც არა ვართ გამსჭვალული მის მიმართ. როდესაც უმაღლეს საზოგადოებას გამოხატავენ ისეთი მწერლები, როგორიც არიან პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი, თავადი ოდოევსკი, გრაფი სოლოგუბი, — ჩვენ ისევე გვიყვარს მაღალი საზოგადოების ლიტერატურული გამოსახულება, როგორც ნიჰითა და ცოდნით შესრულებული ყოველგვარი სხვა საზოგადოებისა და არა საზოგადოების გამოსახულება. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვერ ვიტანთ მაღალ საზოგადოებას: სახელდობრ, როდესაც მას გამოსახავენ მთხზველნი, რომელნიც საშაქარლამოებისა და მოხელეთა სასტუმრო ოთახების ზნე-ჩვეულებებს ბევრად უფრო უკეთ უნდა იცნობდნენ, ვიდრე არისტოკრატიული სალონების ზნე-ჩვეულებებს. ნება მომეციტ კიდევ ერთი შენიშვნა გავაკეთო: ჩვენ სრულებითაც ერთმანეთში არ ვურევთ მაღალი საზოგადოებისადმი კუთვნილებას და არისტოკრატიზმს, თუმცა ყველაზე უფრო ხშირად ისინი ერთად გვხვდებიან ხოლმე. როგორიც გნებავთ ისეთი წარმოშობის ადამიანი იყავით, როგორიც გნებავთ ისეთი რწმენისა იყავით, — მაღალი საზოგადოებისადმი კუთვნილება თქვენ არ გაგრყვნით, არამედ მხოლოდ გაგაუკეთესებთ. ამბობენ: ამ ქვეყნად სიცოცხლე წვრილმანებზე იხარჯება, ყველაზე წმინდა გრძნობები მსხვერპლად ეწირება ანგარიშსა და ზრდილობასო. მართალია,

მაგრამ განა საზოგადოების საშუალო წრეში სიცოცხლე მართოდენ ღიადზე იხარჯება, ხოლო გრძნობა და გონება მსხვერპლად არ ეწირება ანგარიშსა და ზრდილობას? ო, არა, ათასჯერ არა! საშუალო საზოგადოების მთელი განსხვავება მაღალი საზოგადოებისაგან ის არის, რომ პირველში მეტია წვრილმანობა, პრეტენზიები, კულაბზიკობა, მანჭიანობა, წვრილმანი პატივმოყვარეობა, ნაძალადეობა და პირმოთნეობა. ამბობენ: მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში ბევრი ცუდი მხარეაო. მართალია, მაგრამ განა არა მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში მართოდენ კარგი მხარეები არის? ამბობენ: მაღალი საზოგადოება ჰკლავს ზეშთაგონებას, არც შექსპირი და არც შილერი მაღალი საზოგადოების ადამიანები არ იყვნენო. მართალია, მაგრამ ისინი არ იყვნენ არც ვაჭრები, არც მღაბიონი, — ისინი მხოლოდ ადამიანები იყვნენ, სწორედ ისევე, როგორც ბაირონი — არისტოკრატი და მაღალი საზოგადოების კაცი — თავისი ზეშთაგონებით ყველაზე მეტად დავალებული იყო იმით, რომ ის ადამიანი იყო. აი რატომ არ გვინდა მივბაძოთ ზოგიერთ ჩვენს ლიტერატორს, რომელთაც რაღაც უკუღმართი რწმენა აუკვიატებიათ მათთვის საშიში უჩინარი რამის — მაღალი საზოგადოების წინააღმდეგ; აი რატომ გვანარებს ჩვენ ასე ძალიან ის, რომ პუშკინმა თავისი რომანის გმირად მაღალი საზოგადოების კაცი აირჩია⁸. და რა არის აქ ცუდი? საზოგადოების მაღალი წრე მაშინ უკვე თავისი განვითარების მწვერვალზე იმყოფებოდა; ამასთან მაღალი საზოგადოებისადმი კუთვნილებამ ხომ არ შეუშალა ხელი ონეგინს დაახლოებოდა ლენსკის — მაღალი საზოგადოების თვალში ამ ყველაზე მეტად უცნაურ და სასაცილო არსებას. მართალია, ონეგინი უხერხულად გრძნობდა თავს ლარინების საზოგადოებაში, მაგრამ ამის მიზეზი უფრო მეტად იყო განათლებულობა, ვიდრე მაღალი საზოგადოებისადმი კუთვნილება. არ ვდავობთ იმაზე, რომ ლარინების საზოგადოება მეტად მომხიბლავია, განსაკუთრებით პუშკინის ლექსებში; მაგრამ ჩვენ, თუმცა სრულებითაც მაღალი საზოგადოების ადამიანები არა ვართ, ამ საზო-

გადოებაში არც თუ მთლად მოხერხებულად ვიგრძნობდით თავს, — მით უმეტეს, რომ ჩვენ სრულებით არ შეგვიძლია სათანადო მონაწილეობა მივიღოთ კეთილგონივრულ საუბარში მწვეარ-მეძებრების, ღვინის, სათიბისა და ნათესაეების შესახებ. საზოგადოების უმაღლესი წრე იმ დროს იმდენად ჩამოშორებული იყო ყველა სხვა წრეს, რომ ადამიანები, რომლებიც ამ უმაღლეს წრეს არ ეკუთვნოდნენ, უნებლიეთ ლაპარაკობდნენ მის შესახებ ისე, როგორც კოლუმბამდე ლაპარაკობდნენ მთელ ევროპაში ანტიპოდებისა და ატლანტიდის შესახებ. ამის შედეგად, ონეგინი რომანის პირველი სტრიქონებიდანვე უზნეო ადამიანად ჩასთვალეს. ეს აზრი მის შესახებ ახლაც კი ჯერ კიდევ სავსებით არ არის გამქრალი. ჩვენ გვახსოვს, რა ცხარედ გამოსთქვამდა მრავალი მკითხველი თავის აღშფოთებას იმის გამო, რომ ონეგინს უხარია თავისი ბიძის ავადმყოფობა და აშინებს იმის აუცილებლობა, რომ თავი უნდა მოაჩვენოს როგორც დამწუხრებულმა ნათესაემ, —

ობრავ და თანვე გულში ფიქრობ-კი:
როდის წაგიღებს ნეტა ეშმაკი?

ბევრი ამის გამო ახლაც მეტად უკმაყოფილოა. აქედან ჩანს, თუ რა ყოველმხრივ მნიშვნელოვანი ნაწარმოები იყო ონეგინი რუსული საზოგადოებისათვის და რა კარგად მოიქცა პუშკინი, როდესაც თავისი რომანის გმირად მაღალი საზოგადოების კაცი აირჩია. მაღალი საზოგადოების ადამიანთა თავისებურებებს მიეკუთვნება ის, რომ მათ არ ახასიათებს პირმოთნეობა, ერთსა და იმავე დროს უხეში და სულელური, გულკეთილი და კეთილსინდისიერი. რომელიმე ღარიბი მოხელე ანაზღად რომ მომაკვდავი მდიდარი მოხუცი ბიძის მემკვიდრეობას მოელოდეს, — ჰო როგორ ცრემლმორეული და რა დამამცირებელი თავაზიანობით მოეფერება ის ბიძას, თუნდაც ეს ბიძა, შესაძლოა, მთელ თავის სივოცხლემში ძმისწულს არცა სცნობდა, არც მისი დანახვა უნდოდა და მათ შორის საერთო არც არაფერი ყოფილა.

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ძმისწულის მხრივ ეს იყო ანგარიშზე აგებული პირმოთნეობა (ანგარიშზე აგებული პირმოთნეობა საზოგადოების ყველა, როგორც მაღალი, ისე დაბალი წრის მანკია): არა. მოსალოდნელი შემკვიდრეობის და ნახვით გამოწვეული მთელი ნერვული სისტემის სასიკეთო შერყევის შედეგად ჩვენს ნაცნობ ძმისწულს მართლაც გული აუჩვილდა და ბიძისადმი მგზნებარე სიყვარული იგრძნო, თუმცა მას შემკვიდრეობის უფლება მიანიჭა არა ბიძის ნებასურვილმა, არამედ კანონმა. მაშასადამე, ეს გულკეთილი, წრფელი და კეთილსინდისიერი პირმოთნეობაა. მაგრამ აბა ბიძამისს უცბად გამოჯანსაღება დაეტყოს: მაშინ სად გაჰქრებოდა ამ ჩვენი ნაცნობი ძმისწულის ნათესაური სიყვარული, და რა ანაზღად შეიცვლებოდა ყალბი მწუხარება ნამდვილი მწუხარებით, და მსახიობი ადამიანად იქცეოდა! მივმართოთ ონეგინს. ბიძამისი მისთვის ყოველმხრივ უცხო ადამიანი იყო. ან კი რა შეიძლება საერთო იყოს ონეგინსა და პატივცემულ მემამულეს შორის, მაშინ როდესაც პირველი უკვე —

... ყველა დარბაზში — ძველშიც, ახალშიც
მიმოდინდა და ამოქნარებდა,

ხოლო მეორე თავის მიყრუებულ სოფელში

ორმოც წელს
მეკუჭნავე ქალს ტუქსავდა ხშირად,
სარკმელთან იჯდა და სრესდა ბუზებს?

იტყვიან: ბიძა ონეგინის კეთილისმყოფელიაო. აბა რა კეთილისმყოფელია, თუ ონეგინი მისი მამულის კანონიერი მემკვიდრე იყო? აქ კეთილისმყოფელია არა ბიძა, არამედ კანონი, მემკვიდრეობის უფლება. როგორია იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც მოვალეა დანაღვლიანებული, გულშემატკივარი და მოსიყვარულე ნათესავის როლი შეასრულოს მისთვის სრულიად უცხო და გარეშე ადამიანის სიკვდილის სარეცელთან? იტყვიან: ვინ ავალებდა მას ასეთი საზიზღარი

როლის შესრულებასო? როგორ თუ ვინ? თავაზიანობის, ადამიანობის გრძნობა. თუ რაიმე მიზეზის გამო თქვენ არ შეგიძლიათ მიიღოთ ადამიანი, რომლის ნაცნობობა თქვენთვის მძიმეც არის და მოსაწყენიც, განა თქვენ ვალდებული არა ხართ თავაზიანად და ზრდილობიანად მოეპყრათ მას, თუმცა შინაგანად თქვენ მას ჯანდაბას იქით წასვლასაც კი უსურვებთ? ონეგინის სიტყვებში რომ რაღაც დამცინავი სიმსუბუქე გამოსჭვივის, — ეს მხოლოდ ჭკუას და ბუნებრიობას მოწმობს, იმიტომ რომ ცხოვრების ჩვეულებრივი ურთიერთობის გამოხატვაში დაძაბული, მძიმე საზეიმო განწყობილების უქონლობა ჭკუის ნიშანია. მაღალი საზოგადოების ადამიანებში ეს ყოველთვის ჭკუა როდია, არამედ უფრო ხშირად მანერაა, და არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ ეს მეტად ჭკვიანური მანერაა. საშუალო წრეების ადამიანებს, პირიქით, ახასიათებს მანერა — თავი გაძოჩინონ სხვადასხვა ღრმა გრძნობების მოჭარბებით ყოველი რამდენადმე, მათი აზრით, მნიშვნელოვანი შემთხვევის დროს. ყველამ იცის, რომ აი ეს ქალბატონი თავის ქმართან ისე ცხოვრობდა, როგორც კატა ძაღლთან, და რომ ის სიხარულით ცასა სწვდება ქმრის სიკვდილის გამო; და ქალბატონსაც თვითონ ძალიან კარგად ესმის, რომ ეს ამბავი ყველამ იცის და რომ ის ვერავის მოატყუებს; სწორედ ამიტომღა, რომ ის სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ოხრავს და ვიშვიშებს, კენესის და ქეითინებს, და მით უფრო ჩაცვივებით აწვალებს ყველას და თითოეულს განსვენებულის სათნოებათა და მისგან მინიჭებული და განცდილი ბედნიერების აღწერით, მით უფრო მეტს ლაპარაკობს იმ უბედურებაზე, რომელშიც ქმარმა ჩააგდო ის თავისი სიკვდილით. ეგ არაფერი: ეს ქალბატონი მზად არის იგივე ასჯერ გაიმეოროს კეთილგანმზრახი გარეგნობის ბატონის წინაშე, რომელსაც ყველა იცნობს, როგორც მის საყვარელს. მერე რა? — როგორც ეს კეთილგანმზრახი გარეგნობის ბატონი, ისევე დამწუხრებული, უნუგეშო ქვრივის ყველა ნათესავი, მეგობრები და ნაცნობები ყოველივე ამას ისმენენ სევდიანი და ნაღვლიანი სა-

ხით,—და თუ ზოგიერთები ჩუმ-ჩუმად იცინიან, სასამაგიეროდ სსკვები სულით და გულით დამწუხრებული არიან. და — ვიმეორებთ — ეს არ არის არც სისულელე და არც ანგარიშზე აგებული პირმოთენობა: ეს მხოლოდ მეშინაური, მდაბიო ხალხის მორალის პრინციპია. ამ ადამიანთაგან არავის აზრად არ მოსდის თავის თავსა და სხვებს შეეკითხოს:

მაშ ეგრე საშინლად რატომ გაჰყვირით?

მეტცი: ასეთი შეკითხვა მათ ცოდვად მიაჩნიათ. ხოლო რომ გაბედონ და ასე მოიქცნენ, მაშინ თავიანთ საქციელზე გადინხარხარებდნენ. ისინი ვერ მიმხვდარან, რომ თუ აქ არის რაიმე დამამწუხრებელი, ეს არის გულკეთილი პირმოთენობის უხამსი კომედია, რომელსაც ყველანი ასე გულმოდგინედ და ასე გულწრფელად თამაშობენ.

კვლავ ერთსა და იმავე საკითხს რომ აღარ დავუბრუნდეთ, ოდნავ გადავუხვიოთ საკითხს. იმის დასამტკიცებლად, თუ რა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, არა მხოლოდ ესთეტიკურად, ჩვენი საზოგადოებისათვის პუშკინის ონეგინი და რა ახალ, გაბედულ აზრებად წარმოგვიდგებოდა მაშინ ამ რომანის ახლა უკვე ყველაზე უფრო მოძველებული და გაუბედავი დაუთმავრებელი აზრებიც კი, — მოვიყვანთ იქიდან აი ამ კუპლეტს:

ჰმ! ჰმ! მკითხველო კეთილშობილო,
 კარგად გყავთ ყველა ნათესავები?
 ნება მიბოძეთ, ჩემო კეთილო,
 იქნება, კიდევ შემეკითხები:
 რას ნიშნავს სიტყვა აქ ნაკარანხი —
 ნათესავები? — ეს არის ხილხი,
 ვისაც ვეფეროთ ვართ ვალდებული,
 პატივი ვცეთ და გვიყვარდეს გულით
 და, წესისამებრ ჩვენი ხალხისა,
 შობა-ახალწელს ვეწვიოთ და ან
 მათ მივეულოცოთ ფოსტით შორიდან,
 რათა დანარჩენ თვეებში წლისა
 არ აწუხებდეთ მათ დარდი ჩვენი...
 ეჰ, ღმერთმა მისცეს მათ დიდი დღენი!

ჩვენ გვახსოვს, რომ ამ უწყინარი კუპლეტის გამო საზოგადოების უმეტესი ნაწილი უზნეობას უსაყვედურებდა. უკვე არა ონეგინს, არამედ თვით პოეტს. რა არის ამის მიზეზი, თუ არა ის გულკეთილი და კეთილსინდისიერი პირმოთნეობა, რომელზეც ახლა ვლაპარაკობდით? ძმები ძმებს მამულს ედავებიან და ხშირად ისეთ ცოფიან სიძულვილს განიცდიან ერთიმეორის მიმართ, რომელიც შეუძლებელია უცხო ადამიანთა შორის, მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ ნათესავთა შორის. ნათესაობის უფლება ხშირად სხვა არაფერია, თუ არა იმის უფლება, რომ ღარიბი ფლიდობდეს მდიდრის წინაშე გასაკითხისათვის, მდიდარს სძულდეს აბეზარი ღარიბი და თავიდან მოიშოროს ხოლმე ხელცარიელი; ასევე მდიდრებს — შურდეთ ერთმანეთის წარმატება ცხოვრებაში; საერთოდ კი — ეს არის სხვის საქმეებში ჩარევის, არასაპირო და უსარგებლო რჩევა-დარიგების მიცემის უფლება. სადაც არ უნდა მოიქცეთ, როგორც მტკიცე ხასიათის მქონე და საკუთარი ადამიანური ღირსების გრძნობით გამსჭვალული პიროვნება, — თქვენ ყველგან შეურაცხყოფთ ნათესაობის პრინციპს. თქვენ განიზრახეთ ცოლის შერთვა — რჩევა-დარიგება სთხოვეთ; არა სთხოვთ და — თქვენ საშიში მეოცნებე და თავისუფლად მოაზროვნე ხართ; სთხოვთ და — თქვენ დაგისახელებენ საცოლეს; თუ შეირთავთ მას და უბედური იქნებით, — თქვენვე გეტყვიან: „აბა რა გეგონა, ძმობილო, აი რას ნიშნავს ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქმის დაუყვირებლად გაკეთება; აკი გეუბნებოდი...“ თქვენი არჩევანით შეირთავთ ცოლს და — უფრო უარესი უბედურებაა. კიდევ როგორია ნათესაობის უფლებები? ვინ იცის რამდენია! აი, მაგალითად, ამ ბატონს, რომელიც ასე ძალიან წააგავს ნოზდრიოვს, იგი რომ თქვენთვის უცხო ვინმე იყოს, თქვენს საჯინიბოშიც კი არ შეუშვებდით თქვენი ცხენების ზნეობის შერყენის შიშით; მაგრამ იგი თქვენი ნათესავია — და მას თქვენს სადარბაზო ოთახში და კაბინეტში ღებულობთ, ის კი ყველგან გარცხვენთ, როგორც თქვენი

ნათესავი. ნათესაობა დროსტარებისა და გართობის საუცხოო საშუალებაა: თქვენ უბედურება შეგემთხვათ, — და აი, თქვენს ნათესავებს საუცხოო შემთხვევა ეძლევათ თავი მოიყარონ თქვენთან, ივალალონ და ივიშივიშონ, თავი აქნიონ, სჯა-ბაასი გამართონ, იჭორიკანონ, რჩევა-დარიგება მოგცენ, გისაყვედურონ, შემდეგ კი ყველგან მოჰფინონ ეს ახალი ამბავი, თანაც ზურგსუკან გაგკიცხონ და გლანძლონ. ხომ ცნობილია: ადამიანი გაჭირვებაში ყოველთვის დამნაშავეა, განსაკუთრებით თავისი ნათესავების თვალში. ყოველივე ეს არავისთვის ახალი ამბავი არ არის, ოღონდ უბედურება ის არის, რომ ამას ყველანი გრძნობენ, მაგრამ ცოტანდ ხვდებიან: გულკეთილი და კეთილსინდისიერი პირმოთნეობის ჩვეულება ამარცხებს გონებას. არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც საშინლად სწყინთ, როდესაც მათი ნათესავების დიდი ოჯახი დედაქალაქში ჩამოვა და მათთან არ დაბინავდება; ხოლო ეს ოჯახი რომ მათთან დაბინავდეს — ეს მათ არ გაეხარდებათ; ისინი დაიწყებენ ბუზღუნს, ლანძღვა-გინებას, ყველას შესჩივლებენ ჩუმ-ჩუმად, მაგრამ ნათესავების ოჯახს კი ფიანდაზად გაეშლებიან, თავაზიანობას არ დაიშურებენ და თანაც პირობას დაადებიან — მომავალშიც კვლავ მათთან დაბინავდეს და ნათესაობის გულისთვის კიდევაც დაეპატრონოს მათს საკუთარ სახლს. რას ნიშნავს ეს? სრულიადაც არა იმას, რომ ამგვარ ადამიანებში ნათესაობა არსებობს როგორც პრინციპი, არამედ მხოლოდ იმას, რომ ნათესაობა მათ შორის არსებობს როგორც ფაქტი: შინაგანად, რწმენით, მათგან არავინ არ სცნობს ნათესაობას, მაგრამ ჩვეულების, შეუგნებლობისა და პირმოთნეობის გამო მას ყველა სცნობს.

პუშკინმა ამგვარი ნათესაობა დაახასიათა იმ სახით, როგორც ის მრავალთა შორის არსებობს, როგორც ის ნამდვილად არის, მაშასადამე, დაახასიათა მართებულად და ჭეშმარიტად, — და მას გაუწყრნენ, უზნეო ადამიანი უწოდეს; მაშასადამე, მას რომ აეწერა ზოგიერთ ადამიანთა ნათესაო-

ბა იმნაირად, როგორადაც ის არ არსებობს, ე. ი. არასწორად და ყალბად, — მას ქება-დიდებას შეასხამდნენ. ყოველივე ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ზნეობრივია მარტოოდენ სიცრუე და ტყუილი... აი სად მიყვებართ გულკეთილ და კეთილსინდისიერ პირმოთნეობას! არა, პუშკინი ზნეობრივად მოიქცა, როდესაც პირველმა სთქვა ჭეშმარიტება, რადგან საჭიროა კეთილშობილური გამბედაობა იმისათვის, რომ პირველმა გაჰბედო ჭეშმარიტების თქმა. და რამდენი ასეთი ჭეშმარიტებაა გამოთქმული ონეგინში! ბევრი მათგანი ახლა არც ახალია და არც ძალიან ღრმა; მაგრამ პუშკინს რომ ისინი ოცი წლის წინათ არ გამოეთქვა, ახლა ისინი ახალიც იქნებოდა და ღრმაც. და პუშკინის დამსახურება დიდია იმიტომ, რომ მან პირველმა გამოსთქვა ეს მოძველებული და ახლა უკვე არაღრმა ჭეშმარიტებანი. მას შეეძლო მრავალი უფრო უდავო და უფრო ღრმა ჭეშმარიტება გამოეთქვა, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ნაწარმოები ჭეშმარიტობას მოკლებული იქნებოდა: ასახავდა რა რუსულ ცხოვრებას, იგი არ იქნებოდა მისი გამოხატულება. გენიოსი არასოდეს წინ არ უსწრებს თავის ღროს, მაგრამ ყდველთვის გამოიცნობს ხოლმე მის შინაარსსა და აზრს, რაც ყველასთვის ნათელი როდია.

საზოგადოების დიდი ნაწილი სავსებით უარჰყოფდა ონეგინში სულისა და გულის არსებობას, იგი მისი სახით ხედავდა გულცივ; მკაცრ და ბუნებით ეგოისტ ადამიანს. შეუძლებელია ადამიანის უფრო შემცდარი და უმართებულო შეფასება. მეტიც: ბევრს გულწრფელად სწამდა და სწამს, რომ თვითონ პოეტს უნდოდა გულცივ ეგოისტად დაეხატა ონეგინიო. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ თვალი გქონდეს და ვერაფერს ხედავდე. მაღალი საზოგადოების ცხოვრებამ ონეგინში ვერ ჩაჰკლა გრძნობები, მან მხოლოდ უფრო გულგრილი გახადა ის უნაყოფო გატაცებისა და წვრილმანი გართობის მიმართ. გავიხსენოთ ის სტროფები, რომლებშიც პოეტი აღწერს თავის ნაცნობობას ონეგინთან:

როგორც ვეგენიმ, მეც რომ დაეტოვე
 ზნე-ჩვეულება. სოფლის ფუსფუსი,
 აქლო მეგობრად მე იგი ეპოვე
 და ბევრი რამე მომწონდა მისი:
 თავისებური ფიჭვი, ოცნება,
 უღარებელი რამ საოცრება,
 ჰკუა ცივი და შემართებული.
 მე ბრაზზე ვიყავ, ის — შოღრუბლული.
 ვნებათა ლელვა გვექონდა განცილილი.
 ჩვენ ცხოვრებაზე ვიყავით მწყურალნი,
 აღარ გვიწვავდნენ გულს ცეცხლის აღნი.
 გაბოროტება ხმალამოწვდილი
 გველოდა ხალხის და ბრმა ფორტუნის
 პირველ აისზე ნორჩ სიყმაწვილის.
 ვინც სცნო ცხოვრების აე-კარგი მხარე,
 კაცს შეიძლება უთუოდ იგი;
 აჩვენებს სახეს მარად მწუხარეს
 წარსულის დღეთა ლანდების რიგი;
 მას აღარ ძალუძს მოლხენა ძველი,
 მას მოგონება შხამავს, ვით გველი,
 მას მონანება ცოდვების დასძლევს.
 შავრამ საუბარს ხშირად შნოს აძლევს
 ანარეკლებით იერი მათი.
 მე შეჩვევამდი, თავდაპირველად,
 მის ენას ვთელიდი განსაკვირველად,
 მცმდეგ მომწონდა მისი კამათი,
 მოსწრებულ სიტყვის მწვავე შხამები
 და დამცინავი ეპიგრამები.
 ძე მახსოვს ბევრი ზაფხულის ღამე,
 სუფთა, კრიალა, როდესაც ბრწყინავს
 გაშლილ ნევჩე ცა მოკაქკამე
 და მდინარისა მხიარულ მინას
 ღიანას ლანდი არ ატორტმანებს:
 მოვიგონებდით ჩვენ ძველ რომანებს,
 მოვიგონებდით პირველ სიყვარულს,
 გრძნობებისათვის გადავხსნიდით გულს.
 საამო სუნთქვას ღამის უბეში
 ეწვაფებოდით ჩვენ მდუმარენი
 როგორც ტყეე, სიზმრად გადანაფრენი
 პნელი ციხიდან შეფოთლილ ტყეში, —

ჩვენც ოცნებაში სიხარულს ვკრეფდით,
ტკბილ სიყმაწვილეს მოვიგონებდით.

ამ ადგილებიდან იმას მაინც ნათლად ვხედავთ, რომ ონეგინი არ იყო არც გულცივი, არც სასტიკი, არც გულქვა, რომ მის სულში დასადგურებული იყო პოეზია და რომ საერთოდ იგი არ ეკუთვნოდა ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანების რიცხვს. ოცნებებისადმი უნებლიე ერთგულება, გრძობიერება და უდარდელობა ბუნების მშვენიერებათა ჰერეტიკის და განვლილი წლების რომანებისა და სიყვარულის მოგონების დროს, — ყოველივე ეს უფრო გრძობასა და პოეზიაზე ლაპარაკობს, ვიდრე გულცივობასა და სისასტიკეზე. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ონეგინს არ უყვარდა უზომოდ გატაცება ოცნებებით, იგი მეტს გრძობდა, ვიდრე ლაპარაკობდა, და ყველას როდი გადაუშლიდა გულს. გაბოროტებული ჰკუყავ აგრეთვე უმაღლესი ბუნების ნიშანია, იმიტომ რომ გაბოროტებული ჰკუყის პატრონი არა მხოლოდ ადამიანების, არამედ საკუთარი თავის უკმაყოფილოც არის ხოლმე. ჩვეულებრივი ადამიანები მუდამ თავისი თავის კმაყოფილი არიან, ხოლო თუ მათ ბედი სწყალობს, — მაშინ ყველას კმაყოფილი არიან. ცხოვრება არ ატყუებს რეგენებს; პირიქით, იგი ყველაფერს აძლევს მათ, და ისინიც ბევრს არ მოითხოვენ ცხოვრებისაგან — საკმელს, სასმელს, სითბოს და ცოტადენ სათამაშოებს, რომელთაც უხამსი და წვრილმანი თავმოყვარეობის გართობა შეუძლიათ. ცხოვრებას, ადამიანების, საკუთარი თავის მიმართ იმედგაცრუება (თუკი ეს ნამდვილი და უბრალო იმედგაცრუებაა და თან არ სდევს ფრაზები და შელამაზებული სევდით კოპწიაობა) მხოლოდ იმ ადამიანებისთვისებაა, რომელთაც „ბევრი“ სურთ და არ კმაყოფილდებიან „არაფრით“. მკითხველებს ახსოვთ ონეგინის კაბინეტის აღწერა (VII თავში): მთელი ონეგინი ამ აღწერაშია მოცემული. განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ის, რომ ონეგინს არ შეუურისხავს ორი თუ სამი რომანი, რომლებიც

...იძლევიან ანარეკლს ხანის,
 და დღევანდელი ადამიანის
 საკმაოდ სწორი მოგვეცეს სურათი,
 დახატეს მისი უზნეო სული,
 თვითმოყვარე და გამოფიტული,
 განუსაზღვრელი ოცნებებითა,
 გაბოროტებულ კჳუა-გონებით,
 ფუჭ მოქმედებით და მღელვარებით.

იტყვიან: ეს ონეგინის პორტრეტიაო. დიახ, თითქმის ასეა. მაგრამ ეს კიდევ უფრო მეტად ლაპარაკობს ონეგინის ზნეობრივი უპირატესობის სასარგებლოდ, იმიტომ რომ მან თავისი თავი იცნო პორტრეტში, რომელიც წყლის ორი წვეთივით ჰგავს ესოდენ მრავალს, მაგრამ რომელშიც თავის თავს სცნობენ ესოდენ ცოტანი, დიდი ნაწილი კი „მალვით ანიშნებს პეტრეზე“. ონეგინი თავმოყვარეობის გრძნობით შეპყრობილი კი არ სტკებოდა ამ პორტრეტით, არამედ გულჩათხრობილი იტანჯებოდა იმის გამო, რომ პორტრეტი საოცრად ჰგავდა ახლანდელი საუკუნის შვილებს. არა ბუნებამ, არა ვნებებმა, არა პირადმა შეცდომებმა დაამსგავსა ონეგინი ამ პორტრეტს, არამედ საუკუნემ.

კავშირი ლენსკისთან — ამ ჭაბუკ მეოცნებესთან, რომელიც ასე ძალიან მოეწონა ჩვენს საზოგადოებას, ყველაზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს ონეგინის ვითომდაც გულცივობის წინააღმდეგ. ონეგინს სძულდა ადამიანები.

მაგრამ წესსაც აქვს გამონაკლისი:
 ზოგ-ზოგიერთებს პატივსა სცემდა
 და მათში გრძნობას დააფასებდა.

ლენსკის ღიმილით უსმენდა ისა:
 პოეტის სიტყვა აღელვებული,
 ჯერ კვლავ მერყევი მსჯელობა მისი
 და მზერა, მუდამ შთაგონებული,
 ონეგინისთვის იყო ახალი.
 მას არ უნდოდა დაეცხრო ალი

თავის გულგრილი გამოძახილით.
 „სისულელეა“, ბქობდა სიფრთხილით:
 „მოეუსპო წუთი ბედნიერების;
 მას უჩემოდაც დრო დაუდგება.
 დე, დატკბეს, სანამ ცხოვრებით ტკბება,
 სწამდეს სრულყოფა ქვეყნიერების.
 ახალგაზრდისთვის არ არის ცოდვა
 ახალგაზრდული ალი და ბოდვა“.

მათ შორის რა არ იწვევდა დავას,
 მსაჯელობას, ცხარე შეკამათებას?
 ტომი, რომ გაჰქრა და აღიგავა,
 სწავლა, სიკეთე და ბოროტება,
 ცრუმორწმუნება, ძველი ადათი,
 სიკვდილ-სიკოცხლის კითხვა ბედითი...
 ცხოვრებას, ბედსა და მთელ სამყაროს
 შეეხებოდა მათი სამსჯავრო.

საქმე თავისთავად მეტყველებს: ქედმაღლური გულცივობა, ამპარტაუნული უსულგულობა ონეგინისა, როგორც ადამიანისა, იქიდან წარმოსდგა, რომ მრავალშა მკითხველმა სრული უუნარობა გამოიჩინა პოეტის მიერ ესეთი სისწორით შექმნილი ხასიათის გაგებაში. მაგრამ ჩვენ ამაზე არ შევჩერდებით და მთელ საკითხს ამოვწურავთ.

ქარაოცია ის სარიდალი,
 ანგელოზია, ქმნილება ცისა,
 თუ ეშმაკია ჯოჯოხეთისა,
 ვინ არის იგი? და ვისი მსგავსი?
 თუ იცვამს იგი უცხო საშოსსა,
 ან, მოსკოველი, ბაძავს ჰაროლდსა,
 სხვათა აყილი არის უხამსი?
 ახალი მოდის თუა სიტყვარი?..
 ან პაროდია, იქნება, არი?

იხევე ისაა, არ დაცხრა ნეტა?
 უცნაურ კაცად მოაქვს კვლავ თავი?
 შითხარით, როგორ დაბრუნდა ჩვენთან?
 მოგვევლინება როგორ ნეტავი
 იგი ამჟამად? ნუთუ მელმოტად,
 კოსმოპოლიტად ან პატრიოტად,
 ფარისევლად თუ ჩაილდ პაროლდად?
 თუ სხვა რამ ნიღაბს ატარებს კოხტად?
 ან თუ უბრალო კაცი კეთილი
 გახდა, — როგორც მე, შენა და სხვები?
 ჩემის მხრივ მაინც მე მას ვურჩევდი:
 უარყოს მოდა აწ გაკვეთილი.
 რაც გააბეზრა ქვეყანა, კმარა...
 — თქვენ იმას იცნობთ? — „მოცა და არაც!“

— მაშ, რატომ სახელს მისას გულძვირად
 ეხმაურებით პასუხით ცივით?
 ნუთუ იმიტომ, რომ ძლიერ ხშირად
 ჩვენ ყველაფერზე ვდავობთ და ვჩივით,
 რომ ფიცხი სულის მოუთმენლობა
 ჩვენს თავმოყვარულ არარაობას
 ან გააცინებს, ან შეურაცხპყოფს,
 რომ ჭკუა, რადგან მოითხოვს ფართობს,
 ჩვენ გვავიწროებს, რომ ქაქანს ხშირად
 ჩვენ ვაძლევთ დიდ რამ საქმეთა იერს,
 რომ სისულელე ავია ძლიერ,
 რომ ფუჭ მიქარებებს ვაფასებთ დიდად,
 რომ ყოფნა გვხიბლავს ჩვენ შუათანა
 და მხოლოდ მისი ძალგვიძს ატანა?

ბედნიერია, სიკაპუქეში
 ვინც კაბუკობდა, გამოიწაფა,
 დამოწიფულდა შესაფერ წლებში
 და განიცადა ცხოვრების ჯაფა;
 ვინც არ გადაჰყვა ზმანებებს უცხოს,
 არ გაურბოდა განათლებულ ბრბოს;
 ოცი წლის გახდა ფრანტი ფხიანი
 და ოცდაათის — ცოლშვილიანი;
 არმოცდაათის როდესაც იყო,

აღარ ჰყოლია შევალეები;
 ეინაც სახელი, ფული, ჩინები
 მშვიდად, თავ-თავის დროზე მიიღო,
 ვისზეც ამბობდა თაობა მთელი:
 №. №. კაცია ქვიანი, ქველი!

მაგრამ სადარდო არის ის ფიქრი,
 რომ სიკაბუქე ვერ მოვიხმარეთ,
 რომ ვლალატობდით იმას ჩვენი მხრით,
 რომ გვატყუებდა იგი ჩვენ მწარედ;
 რომ უკეთესი ჩვენი ნდომანი,
 ნორჩნი იმედნი და ოცნებანი,
 გაიხრწნენ, როგორც ფურცელი ხისა,
 მსხვერპლნი დამპალი შემოდგომისა.
 აუტანელი არის, ხედავდე
 შენს წინ სადილთა მხოლოდ გრძელ წყებას,
 ეამს გრძნობდე, როგორც წეს-მსახურებას,
 ბრბოს ტალღას შენაც უკან მისდევდე,
 თუმც თქვენ საერთო არ გაქვთ სრულებით
 არც აზრები და არც სურვილები.

ეს სტრიქონები — ონეგინის ხასიათის საიდუმლოების გა-
 ალაღებია. ონეგინი არ არის არც მელმობტი, არც ჩაილდ-
 ჰაროლდი, არც დემონი, არც პაროდია, არც მოღუბრი ახირება,
 არც გენიოსი, არც დიდი ადამიანი, არამედ იგი არის მხო-
 ლოდ „კაცი კეთილი... როგორც მე. შენა და სხვები“. პოეტი
 სამართლიანად უწოდებს „გაცვეთილ მოდას“ ისეთ მოქმე-
 დებას, როდესაც ყველგან სულ მუდამ გენიოსებსა და არა-
 ჩვეულებრივ ადამიანებს პოულობენ ან დაეძებენ. ვიმეო-
 რებთ: ონეგინი კეთილი კაცია, მაგრამ, თანაც, განსაკუთრე-
 ბული ადამიანია. იგი გენიოსად არ გამოდგება, დიდ ადამიან-
 ნობას არ ჩემულობს, მაგრამ უსაქმურობა და ცხოვრების
 უხამსობა მას სულს უხუთავს; მან ისიც კი არ იცის, თუ რა
 უნდა, რა სწადია; მაგრამ მან იცის, და ძალიან კარგად იცის,
 რომ მას არ უნდა, არ სწადია ის, რითაც ასე კმაყოფილი და
 ბედნიერი თავმოყვარე საშუალო ადამიანი. და სამაგიერ-

როდ, აი ამ თავმოყვარე საშუალო ადამიანებმა არა თუ „უზნეოდ“ გამოაცხადეს იგი, არამედ წაართვეს კიდევ მას გულის გზნება, სულის სითბო, მისთვის მიუწვდომლად გამოაცხადეს ყველაფერი კეთილი და მშვენიერი. გაიხსენეთ, როგორ არის აღზრდილი ონეგინი, და დამეთანხმებით, რომ მისი ბუნება ერთობ კარგი იყო, თუ ასეთ აღზრდას ეს ბუნება სავსებით არ ჩაუკლავს. დიდებული ყმაწვილი, იგი გატაცებული იყო მაღალი საზოგადოებით, როგორც მრავალი სხვა; მას მალე მობეზრდა ეს საზოგადოება და მიატოვა იგი, როგორც იქცევიან ხოლმე ძალიან ცოტანი. მის სულში ღვივოდა იმედის ნაპერწკალი — გამოცოცხლებულიყო განმარტოების მყუდროებაში, ბუნების წიაღში; მაგრამ მან მალე დაინახა, რომ ადგილის გამოცვლა არ სცვლის ზოგიერთი აურიღებული და ჩვენი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი გარემოების დედაარსს.

ერთ-ორ დღეს ღზენით იყო აღვსილი,
 ატკობდა მყუდრო, გაშლილი ველი,
 ტყიდან მქროლავი ნიავი გრილი
 და სუფთა წყაროს ეღურტული ნელი;
 მესამე დღეს კი მთა და ველები
 აღარ ხიბლავდნენ უკვე სრულებით;
 შეძრევ მთქნარება ისევ მოუნდა,
 თანდათანობით იგი დარწმუნდა,
 რომ სოფელსაც ფლობს იგივე სევდა,
 თუმც არც ქუჩაა, არც პალატები,
 არც ბანქო, ბალი და არც ლექსები.
 ხანდრა სასტიკი იმას დასდევდა,
 როგორც მუდმივი თანაგამყოლი
 აჩრდილი ანუ ერთგული ცოლი.

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ონეგინი არ არის გულცივი, უსულგულო ადამიანი, მაგრამ ჩვენ აქამდე გავურბოდით სიტყვა ეგოისტს, — და რადგანაც ჭარბი გრძნობა, მშვენიერის მოთხოვნილება ეგოიზმს არ გამოორიცხავს, ამიტომ ახლა ვიტყვით, რომ ონეგინი ტანჯული ეგოისტია. ეგოისტი ორ-

გვარია. პირველი წყების ეგოისტები ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც არავითარი ქედმაღლური ან მეოცნებე პრეტენზიები არა აქვთ; მათ ვერ გაუგიათ, თუ როგორ შეიძლება ადამიანს ვინმე უყვარდეს, გარდა თავისი თავისა, და ამიტომ ისინი ოდნავაც არ ცდილობენ დამაღონ თავიანთი მგზნებარე სიყვარული საკუთარი თავისადმი; თუ მათი საქმეება ცუდად მიდის, ისინი ჩამომჰქნარნი, უფერულნი. გაბოროტებულნი, სულმდაბალნი, საზიზღარნი, გამცემნი და ცილისმწამებელნი არიან; თუ მათი საქმეები კარგად მიდის, ისინი ჩაფსკენილნი, ჩასუქებულნი, ლოყაწითელნი, მხიარულნი და კეთილნი არიან, სარფას არავის გაუყოფენ, მაგრამ მზად არიან არა თუ სასარგებლო, არამედ მათთვის სრულიად უსარგებლო ადამიანებსაც კი გაუმასპინძლდნენ. ესენი არიან ეგოისტები ბუნებით ან ცუდი აღზრდის მიზეზით. მეორე წყების ეგოისტები თითქმის არასოდეს არ არიან ჩაფსკენილნი და ლოყაწითელნი; მეტწილად ესენი ავადმყოფი, მუდამ მოწყენილი ადამიანები არიან. ისინი ყველაფერს ედებიან, ყველგან დაეძებენ ხან ბედნიერებას და ხან სევდის გაქარვებას, მაგრამ ვერც ერთს და ვერც მეორეს ვერსად ვერ პოულობენ იმ წუთიდან, როდესაც მათ ჭაბუკობის ცთუნებანი გაუვლით. ეს ადამიანები ხშირად აენტებიან ხოლმე კეთილი მოქმედების, ახლობელთა სასარგებლოდ თავგანწირვის წყურვილით; მაგრამ უბედურება ის არის, რომ მათ უნდათ სიკეთეშიც ეძიონ ხან ბედნიერება და ხან გართობა, მაშინ როდესაც სიკეთეში ისინი მხოლოდ სიკეთეს უნდა ეძიებდნენ. თუ ასეთი ადამიანები ცხოვრობენ საზოგადოებაში, რომელიც თავის თითოეულ წევრს სრულ შესაძლებლობას აძლევს თავისი მოღვაწეობით ჭეშმარიტებისა და სიკეთის იდეალის განხორციელებას ესწრაფვოდეს, — მათ შესახებ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამოებამ და წვრილმანმა თავმოყვარეობამ მათში კეთილი ელემენტები ჩაახშო და ისინი ეგოისტებად აქცია. მაგრამ ჩვენი ღნეგინი ეგოისტების არც პირველ და არც მეორე წყებას არ ეკუთვნის. მას შეიძლება ვუწოდოთ უნებლიეთ ეგოისტი;

მის ეგოიზმში უნდა ვხედავდეთ იმას, რასაც ძველები „fatuni“-ს უწოდებდნენ. სასიკეთო, კეთილნაყოფიერი, სასარგებლო მოღვაწეობაა! რატომ არ მოჰკიდა მას ხელი ონეგინმა? რატომ მასში არ ეძიებდა იგი თავის დაკმაყოფილებას? რატომ? — იმიტომ, მოწყალეო ხელმწიფენო, რომ უქნა ადამიანებს ასეთი კითხვის დაყენება უფრო ეადვილებათ, ვიდრე საქმიან ადამიანებს მასზე პასუხის გაცემა...

ონეგინ როცა თავის მამულში
მარტოა დარჩა, დროს გასართობად,
თავდაპირველად გაივლო გულში,
რომ შემოელო ახალი წუობა.
უდაბნოს ბრძენმა თვის ყრუ სოფელში
ხალხს ბატონყმობის მძიმე უღელს
სწრაფ შეუცვალა ბეგარით მცირით,
და მონამ ზეცას მადლი შესწირა.
სამაგიეროდ დიდად ეწყინა
ეს მის მეზობელს ანგარიშიანს,
რადგან ხედავდა მასში დიდ ზიანს.
ზოგს მზაკვრულადაც კი გაეცინა,
და ყველამ ერთხმად დაასვენა ასე:
ობროდიაო უსაშიშრესი.
პირველად ხშირი ჰყავდა სტუმარი,
მაგრამ შენიშნეს მასპინძელს გულლალს,
რომ მოართმევდნენ უკანა კარით
ჩვეულებრივად მას დონის ულაყს,
როს სტუმრის ეტლის მოახლოებას
დაინახავდნენ მოახლეები.
იუკადრისეს აგრე მოპყრობა,
უარჰყვეს მასთან კვლავ შეგობრობა.
ამბობდნენ: ბრიყველ ქევეით გვაოცებს,
ფარმაზონია, არავინ არ სწამს,
რეგვენი არის, მხოლოდ ღვინოს სვამს;
ჩვენს ქალებს ხელზე აღარ აკოცებს,
სულ „ჰო“ და „არას“ ამბობს უხეში,
„ღიანს“ — არ იტყვის ის თავის ღღეში.

რაიმეს გაკეთება შეიძლება მხოლოდ საზოგადოებაში, იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა საფუძველზე, რომელთაც

გეიკარნახებს თვით სინამდვილე და არა თეორია; მაგრამ რას გააკეთებდა ონეგინი ასეთ საუცხოო მეზობლებთან ერთად, ასეთ მშვენიერ მოყვასთა წრეში? გლეხის ხვედრის შემსუბუქება, ცხადია, ბევრს ნიშნავდა გლეხისათვის, მაგრამ ონეგინმა აქ ჯერ კიდევ ცოტა რამ გააკეთა. არიან ადამიანები, რომლებიც, თუ კი რაიმე რიგიანს გააკეთებენ, შემდეგ თვითკმაყოფილებით უამბობენ ამის შესახებ მთელ ქვეყანას, და ამრიგად მთელ თავიანთ სიცოცხლეში სასიამოვნო გასართობი აქვთ. ონეგინი ასეთ ადამიანებს არ ეკუთვნოდა: ის, რაც ბევრისთვის მნიშვნელოვანი და ღიადი იყო, მისთვის სულ უმნიშვნელო რამ იყო.

შემთხვევამ ონეგინი შეახვედრა ლენსკის; ლენსკის მეშვეობით ონეგინმა გაიცნო ლარინების ოჯახი. პირველი ვიზიტის შემდეგ მათგან შინ რომ ბრუნდება, ონეგინი ამთქნარებს; ლენსკისთან მისი საუბრიდან ვტყობილობთ, რომ ონეგინმა ტატიანა თავისი მეგობრის საცოლედ მიიღო და, როდესაც თავისი შეცდომა გაიგო, უკვირს ლენსკის არჩევანი; იგი ამბობს, მე თვითონ რომ ვყოფილიყავი პოეტი. ტატიანას ავირჩევდიო. საკმარისი იყო ამ გულგრილ, გრძნობადამცხრალ ადამიანს ერთხელ ან ორჯერ ზერელედ გადაეკრა თვალი, რომ გაეგო განსხვავება ორ დას შორის, — მაშინ როდესაც მგზნებარე, ალტაცებულ ლენსკის აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მისი შეყვარებული სულაც არ იყო იდეალური და პოეტური ქმნილება, არამედ მხოლოდ კარგი და უბრალო გოგონა იყო, რომლისთვისაც არც კი ღირდა მეგობრის სიცოცხლის ან საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. ამავე დროს კი, როცა ონეგინი ამთქნარებდა — ჩვეულებისამებრ, მისი საკუთარი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, და ოღნავაც არ ენადვლებოდა ლარინების ოჯახი, — მისმა მისვლამ ამ ოჯახში საშინელი შინაგანი დრამა გაჰკვანძა. საზოგადოების უმრავლესობა მეტად გაკვირვებული იყო იმით, თუ როგორ შეეძლო ონეგინს ტატიანას წერილის მიღების შემდეგ არ შეეყვარებინა იგი, და კიდევ უფრო მე-

ტად იმით, თუ რა მგზნებარედ შეიყვარა შემდეგ მაღალი საზოგადოების საუცხოო მანდილოსანი იმავე ონეგინმა, რომელიც ასე გულცივად უარჰყოფდა მშვენიერი ქალიშვილის უმანკო, გულუბრყვილო სიყვარულს? ეს მართლაც საკვირველია. ჩვენ ამ კითხვის გადაჭრას არ ვკისრულობთ, მაგრამ ცოტა რამ ვთქვათ მასზე. ამ ფაქტში ფსიქოლოგიური კითხვის შესაძლებლობას თუმცა კი ვცნობთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თვით ფაქტი ოდნავაც არ გვაკვირვებს. ჯერ ერთი, კითხვა: რატომ შეიყვარა, ან რატომ არ შეიყვარა, ანდა რატომ მაშინ არ შეიყვარა, — ასეთი კითხვა ჩვენ ასე თუ ისე მეტად დიქტატორულად მიგვაჩნია. გულს თავისი კანონები აქვს — ეს მართალია, მაგრამ არა ისეთები, რომელთაგან სრული სისტემატური კოდექსის შედგენა ადვილი იქნებოდა. ბუნებათა ნათესაობას, ზნეობრივ სიმჰათიას, ცნებათა მსგავსებას შეუძლია და კიდევაც უნდა შეისრულოს დიდი როლი გონიერ არსებათა სიყვარულში; მაგრამ ვინც სიყვარულში უარჰყოფს წმინდა-უშუალო ელემენტს, ინსტინქტუალურ, უნებლიე მიდრეკილებას, გულის ჟინს, რათა გაამართლოს რამდენადმე ტრივიალური, მაგრამ მეტად მარტილიანი ჩვენებური ანდაზა: „თუ შეგიყვარდა, ეშმაკიც კი ანგელოზს გირჩევნიაო“, — ვინც ამას უარჰყოფს, მას სიყვარული არ ესმის. სიყვარულში არჩევანი რომ მხოლოდ ნებისყოფითა და გონებით წყდებოდეს, მაშინ სიყვარული გრძნობა და ვნება არ იქნებოდა: უშუალობის ელემენტის არსებობა ყველაზე გონიერ სიყვარულშიც კი ჩანს, იმიტომ რომ რამდენიმე თანაბრად ღირსეულ პირთაგან აირჩევა მხოლოდ ერთი, და ეს არჩევანი გულის უნებლიე მიდრეკილებას ემყარება. მაგრამ ისედაც ხდება, რომ ადამიანები, თითქოს ერთმანეთისათვის შექმნილნი, ერთიმეორის მიმართ გულგრილნი რჩებიან, და თითოეული მათგანი თავის გრძნობას ისეთი არსებისაკენ მიმართავს, რომელიც მისი შესაფერისი სრულებით არ არის. ამიტომ ონეგინს სრული უფლება ჰქონდა სრულებით არ შინებოდა კრიტიკის სისხლის სამართ-

ლის სამსჯავროში მოხვედრისა და არ შეეყვარებინა ტატიანა — ქალიშვილი და შეეყვარებინა ტატიანა — ქალი. ორივე შემთხვევაში ის თანაბრად არც ზნეობრივად მოქცეულა და არც უზნეოდ. ეს სავსებით საკმარისია მისი გამართლებისათვის. მაგრამ ამას ზოგ რამეს კიდევ დავუმატებთ. ონეგინი ისეთი გონებამახვილი, გულზმიერი და გამოცდილი იყო, ისე კარგად იცნობდა ადამიანებსა და მათ გულს, რომ არ შეეძლო ტატიანას წერილიდან არ გაეგო, რომ ეს საბრალო ქალიშვილი დაჯილდოებულია საბედისწერო საზრდოს ძლიერ მოსურნე ვნებიანი გულით, რომ მისი სული ჩვილის სულივით წმინდაა, რომ მისი ვნება ბავშვურად გულწრფელია და რომ ის სრულებით არა ჰგავს იმ კობწია ქალებს, რომლებმაც ასე მოაბეზრეს თავი ონეგინს თავიანთი ხან მსუბუქი და ხან ყალბი გრძნობებით. იგი ძალიან ააღელვა ტატიანას წერილმა:

და ააღელვა ფიქრების ჯარი
 მასში ოცნებამ ნორჩი ასულის.
 მას გაახსენდა ქალი ნარნარი,
 ფერგამკრთალი და მშვიდი, მდუმარი,
 და ტკბილ, უცოდველ სიზმრების ტბაში
 მალად ჩაიძირა ევგენი მაშინ.

ადრინდელ გრძნობამ, შესაძლო არის,
 მის გულში წუთით ჰპოვა უფლება,
 მაგრამ არ სურდა მას მოტყუება
 მასზე შინდობილ უმანკო ქალის.

თავის წერილში ტატიანასადმი (VIII თავში) ის ამბობს, რომ როდესაც ტატიანაში სინაზის ნაპერწკალი შენიშნა, მას არ უნდოდა ეს დაეჯერებინა (ე. ი. თავისი თავი აიძულა არ დაეჯერებინა), გასაქანი არ მისცა საყვარელ ჩვევას და არ უნდოდა თავის მობეზრებულ თავისუფლებას განშორებოდა. მაგრამ თუ ონეგინმა დაათვა სატატიანას სიყვარულის

ერთი მხარე, ამავე დროს იგი ასევე ნათლად ხედავდა მის მეორე მხარეს. ჯერ-ერთი, ამგვარი ბავშვურად ლამაზი სიყვარულით მოხიბლვა და მით გატაცება იმდენად, რომ სანაცვლოს მიგების სურვილი გამოეჩინა, ონეგინისათვის ცოლის შერთვის გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავდა. მაგრამ თუ ის ჯერ კიდევ შეიქლებოდა დაინტერესებული ყოფილიყო. ვნების პოეზიით, სამაგიეროდ შეუღლების პოეზია მას არა თუ არ აინტერესებდა, არამედ ეზიზღებოდა. პოეტი, რომელმაც ონეგინში ბევრი რამ თავისი საკუთარი გამოხატა, ასეთ განმარტებას იძლევა ამის გამო, როდესაც ლენსკის შესახებ ლაპარაკობს:

ჰიმენეს ზრუნვას და მწუხარებას,
 ან რომ დადგება მთქნარების რიგი,
 სიზმარშიაც კი არ გრძნობდა იგი,
 იუმცა ჩვენ, მტრები ჰიმენისა,
 ოჯახურ წრეში ვხედავთ ყოველთვის
 დიდად მოსაწყენ სურათების რიგს,
 რომანს გემოზე ლაფონტენისა.

თუ შეუღლება არა, საოცნებო სიყვარული მაინც, თუ სხვა რამ უარესი არა; მაგრამ თავისი თავი საკუთარ თვალში რომ არ დაემტკირებინა, ამ უარესზე არც კი უფიქრობდა, ისე კარგად მიუხვდა ტატიანას. მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს სიყვარული ნაკლებად მომხიბლველი იყო მისთვის. როგორ! მას, ვნებებში დაფერფლილს, კაცს, რომელმაც ცხოვრება იგემა და ადამიანები გაიცნო, რომელიც ჯერ კიდევ აღსაქმე იყო რაღაც მისთვისვე ბუნდოვანი მისწრაფებებით, მას, რომელსაც მხოლოდ რაიმე ისეთი დაინტერესებდა და სრულიად მოიცავდა, რაც მის საკუთარ ირონიას გაუძღვებდა, — განა მას გაიტაცებდა ბავშვური სიყვარული მეოცნებე გოგონასი, რომელიც ცხოვრებას ისე უცქეროდა, როგორადაც ონეგინ უკვე აღარ შეეძლო ეცქირნა... და რას უქაღდა მას მომავალში ეს სიყვარული? რას ჰპოვებდა ის შემდეგ ტატიანაში? ან უნებურად ბავშვს, რომელიც ატირდებოდა იმის გამო, რომ ონეგინს არ შეუძლია, მსგავსად ტატიანასი, ბავშვურად უცქი-

როს ცხოვრებას და ბავშვურად ითამაშოს სიყვარულობია, — ეს კი, დამეთანხმებით, ძალზე მოსაწყენია; ანდა, ისეთ არსებებს, რომელიც, ონეგინის უპირატესობით მოხიბლული, თუმცა მას ვერას გაუგებდა, მაგრამ იმდენად დაემორჩილებოდა, რომ არც თავისი გრძნობა, არც თავისი აზრი, არც თავისი ნებისყოფა და არც თავისი ხასიათი არ ექნებოდა. ეს უკანასკნელი მდგომარეობა უფრო მშვიდია, მაგრამ საძმაგეროდ კრდევ უფრო მოსაწყენია. და განა ეს არის პოეზია და ნეტარება სიყვარულისა!..

ლენსკის სიკვდილის გამო ტატიანასთან განშორებულმა ონეგინმა დაჰკარგა ყველაფერი, რაც მას თუნდაც რამდენადმე აკავშირებდა ადამიანებთან.

მეგობარი რომ განგმირა ტყვიით,
 დარჩა უმიზნოდ, აჩაფრის მქნელა,
 ჰეოდაექვსე გაუხდა წელი,
 წუხდა მცონარე მოცალეობით;
 ვერც იმსახურა, ვერც დაცოლშვილდა,
 ხელი ვერაფერს ველარ მოჰკიდა.
 მოუსვენრობა დასჩემდა ავი,
 ადგილების ცვლია სურვილი დიდი.
 (თვისება იგი მეტად მტანჯავი,
 ზოგისთვის ჯვარი ნებით ნატვირთი).

სხვათა შორის, ის კავკასიაშიც იყო და მამუტის მკურნალ ჩქერების მახლობლად შეგჯუფებულთა აჩრდილების უფერულ გუნდს უცქეროდა.

მწარე ფიქრებით მთლად აღგზნებული,
 სევდით მოცულთა დაღვრემილ წრეში
 ეკენი მეტად მტკივნეულ გულით
 უცქერს აორთქლილ წყალს უნუგემოდ
 და ერთ ფიქრშია ის ჩაძირული:
 რად არ ვარ ტყვიით. მკერდგანგმირული?
 ანუ ბებერი, სუსტი, სპყარი,
 როგორც, აი, ეს იჯარადარი?
 ან, ვით ტულელი ძველი მსაჯული,

არა ვარ დამბლით დანაოსები
 და არ მაწუხებს რევმატიზმები?
 ო, ღმერთო! როგორ ვარ დატანჯული!
 კაბუჯურ ჯანში სიცოცხლე სჩქეფს და
 რაღას ველოდო? ო, სევდა, სევდა..

რა სიცოცხლე! აჰა ის, ტანჯვა, რომელზეც ასე ბევრს სწე-
 რენ ლექსებსა და პროზაში, რომელსაც ესოდენ ბევრს უჩი-
 ვიან, თითქოს მართლაც იცნობდნენ მას; აჰა ის, ტანჯვა,
 ტანჯვა ჭეშმარიტი, უორჩოფეხო, შეუფერადებელი, უფრა-
 ზო, ტანჯვა, რომელიც ხშირად არც ძილს გიკარგავს, არც
 მადას, არც ჯანმრთელობას გართმევს, მაგრამ მით უფრო სა-
 შინელია!.. ღამე იძინო, დღისით ამოქნარო, ხედავდე, რომ
 ყველა რაღაცაზე ზრუნავს, რაღაცით დაკავებულია: ერთი —
 ფულით, მეორე — ცოლის შერთვით, მესამე — ავადმყოფობით,
 მეოთხე — გაჭირვებით და მუშაობის სისხლიანი ოფლით,
 ხედავდე შენს გარშემო მხიარულებასაც, სევდასაც, სიცილ-
 საც და ცრემლებსაც, ხედავდე ყოველივე ამას და შენთვის
 უცხო იყოს ყოველივე ეს, მსგავსად ებრაელ აჰასფერისა, რო-
 მელიც მის გარშემო აბობოქრებულ ცხოვრებაში თავს უც-
 ზოდ გრძნობს და ოცნებობს სიკვდილზე, როგორც მისთვის
 უდიდეს ნეტარებაზე; ესაა ტანჯვა, რომელიც ყველასთვის
 ვასაგები როდია, მაგრამ ამის გამო ნაკლებ საშინელი არაა...
 ახალგაზრდობა, ჯან-ღონე, სიმდიდრე, ჭკუასთან და გულ-
 თან შეერთებული: თითქოს, კიდევ რაღა უნდა ინატროს
 კაცმა ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის? ასე ფიქრობს გო-
 ნებაჩლუნგი ბრბო და ამგვარ ტანჯვას მოღურ ახირებას
 უწოდებს. და რაც უფრო ბუნებრივი, მარტივია ონეგინის
 ტანჯვა, რაც უფრო შორსაა ეს ტანჯვა ყოველგვარი ეფექ-
 ტიანობისაგან, მით უფრო ნაკლებად შეიძლებოდა ის გაეგო
 და დაეფასებინა საზოგადოების უმრავლესობას. ოცდაექვსი
 წლის ასაკში ესოდენ ბევრის განცდა ისე, რომ ცხოვრების
 გემო არ გაეგოს, ესოდენ დაუძლურება და დაქანცვა ისე,
 რომ არაფერი გქონდეს გაკეთებული, ასეთ უყოყმანო უარ-
 ყოფამდე მისვლა ისე, რომ არავითარი რწმენა არ გქონდეს

გადალახული: ეს სიკვდილია! მაგრამ ონეგინს არ ეწერა ისე სიკვდილი, რომ ცხოვრების ფიალა არ ეგემნა: ძლიერმა და ღრმამ გრძნობამ დაუყოვნებლივ გამოაღვიძა სევდაში მიძინებული ძალები მისი სულისა. როდესაც პეტერბურგში ბაღზე შეხვდა ტატიანას, ონეგინმა ძლიერ იცნო ის: იმდენად გამოცვლილიყო ქალი!

ქალი არ იყო აჩქარებული,
არც ენაყბედი, არც მოღრუბლული.
არ ჰქონდა მხერა ურცხვი, თავნება,
არ ემჩნეოდა ამპარტავნობა,
არც კეკელობა, არც პრანკვა ოდნავ:
გარეშე ყველა მიმბაძველობის,
უბრალოებით თვალს ხიბლავდა ის.
ასლი არისო გეგონებოდათ
Du comme il faut-ს...

რა ტურფაო, არვინ იტყოდა
იქ ქალზე. მაგრამ ვერც თუ ვერავინ,
თავით ფეხამდე მისი მზვერავი,
ვერ უპოვნიდა ნაკლს, რასაც მოდა
შალალ წრეებში ლონდონის დიდის
უწოდებს vulgar-ს.

ტატიანას ქმარმა, რომელიც ასე ჩინებულად და სრულად, თავით ფეხამდე, ჰყავს პოეტს დახასიათებული ამ ორი სტრიქონით:

ყველაზე მაღლა
ცხვირს და მხრებს წვედა ის გენერალი,
ვისთანაც ერთად მოვიდა ქალი, —

ტატიანას ქმარმა მას წარუდგინა ონეგინი, როგორც თავისი ნათესავი და მეგობარი. მრავალი მკითხველი, ამ თავს პირველად რომ კითხულობდა, ხმამაღალ ოჰ-ის შეძახილს და გულის წასვლას მოელოდა ტატიანას მხრივ, რომელიც, გონს რომ მოვიდოდა, მათი აზრით, ონეგინს კისერზე უნდა ჩამოჰკიდებოდა. მაგრამ რარივ გაუცრუვდათ მოლოდინი!

კნეინა თვალში უცქერის იმას...
 თუმც სულის ღელვას ის გრძნობდა ძღაერა,
 თუმც ატორტმანდა იმისი გული,
 უეცარ ნახვით გაოცებული, —
 ღელვა არ აჩნდა გარეგნულ იერს:
 ჩვეულებრივი საღამით, დინჯად,
 ის მიესალმა ევგენის მშვიდად.

არა თუ თრთოლამ არ აიტანა,
 და არც ეცვალა უცებ ფერი მას —
 წარბებიც ოდნავ არ შეაქანა,
 ბაგეებიც კი არ მოუკუმავს.
 თუმც მიაჩერა ბეჯითად თვალი,
 მაგრამ წინანდელ ტანიას კვალი
 კელარ იპოვნა ევგენიმ მასში.
 გაშოეწვია სურდა ბაასში,
 მაგრამ ვერ შესძლო. ქალმა ჰკითხა ჳაჲ:
 „დიდიხანია აქ ხართ? საიდან?
 ხომ არ მოსულხართ ჩვენი სოფლიდან?“
 შემდეგ გულგრილად მიაჩერა ქმარს
 მოღლილი მზერა. გაეცალა და...
 ევგენი დარჩა უძრავად სახტად.

ნუთუ ეს მართლა ტანია არის,
 რომელსაც იგი განმარტოებით,
 სულ დასაწყისში ჩვენი რომანის,
 იმ ყრუ სოფელში, გულმოდგინებით,
 როს გაეტაცა ლობიერებას,
 აქლევდა რჩევას და დარიგებას,
 დ. ვისგანაც აქვს მას შენახულა
 ბართი, სადაც მეტყველებს გულო,
 სულის ღელვანი აშკარად ჩანან.
 იმ გოგონაა... ან თუ სიზმარში
 ხედავს... გოგონა, რომელსაც მაშინ
 არაფრად თვლიდა — ისაა განა?..
 ნუთუ ის იყო მის წინ ამ წამით
 ასე გულგრილი, ასე თამამი?

რა ბურანშია? რა ემართება?
 რამ შეარყია, რითი ენთება
 იმისი სული, ცივი და ზანტი?
 გულნაკლულობამ? ზრუნვამ ჩეუელმა?
 თუ გაიღვიძა კვლავ სიყვარულმა?

ტანია როგორ გამოიცვალა!
 რა მტკიცედ არის როლში შესული
 მაღალ წოდების წესი და ვალი
 რა-რიგ კარგად აქვს შეთვისებული
 ვინ გაბედავდა, ამ ქალბატონში,
 რომ მედიდური აქვს ქცევა, ტონი,
 ეცნო გოგონა სათუთი გულის?
 და გახსოვთ, წვაედა მას სიყვარული
 ევგენიადში! იგი მთელ ღამეს,
 სანამ მორფეოს მოფრინდებოდა,
 დაღონებული მართო ჯდებოდა,
 აულგანაბული უცქერდა მთვარეს
 და ოცნებობდა მუდმივად მასზე,
 ოდესმე მასთან შეერთებაზე.

ტრფობას მორჩილებს ყველა ასაკი;
 მაგრამ სიკეთე მისი სხვა არი,
 როცა აბორგებს ის გულს უმანკოს,
 ვით გაზაფხულზე მინდორ-ველს ქარი:
 ვნებათა წვიმით კვლავ ცოცხლებიან,
 კვლავ ახლებიან და მწიფდებიან,
 და მძლე ცხოვრება, ქვეყნის შესამკობს,
 გააძლევს უცხო ფერს და დამტკბარ ნაყოფს.
 მაგრამ როს ედგებით სიბერის გზაზე,
 უღელტეხილზე ჩვენი ცხოვრების,
 საბრალო არის კვალი ვნებების:
 ასე ქარბუქი შემოდგომაზე
 მშვენიერ მინდვრებს აატალახებს
 და გაატიტვლებს ტყეებს და ბალებს.

ჩვენ ულტრა-იდეალისტების რიცხვს არ ვეკუთვნით,
 ადვილად შეგვიძლია დავუშვათ მეტად მაღალ ვნებებში

წერილმანი გრძნობების შერევა, და ამიტომ ვფიქრობთ, რომ გულნაკლულობას და ზრუნვას ონეგინის ვნებაში თავისი წილი ედო. მაგრამ ჩვენ გადაჭრით არ ვეთანხმებით პოეტის ამ აზრს, რომელიც მან ასე საზეიმოდ გამოაცხადა და რომელმაც ასეთი გამონხმაურება ჰპოვა ხალხში, რადგან მისი გაგებისათვის მისაწვდომი იყო:

ადამიანო! თქვენ გავხართ ევას,
 მას ემსგავსებით, ვინაც დაგზადათ;
 რაც რამ გეძლევათ — არ ხართ მსურველი;
 თქვენ უსათუოდ გეძახით გველი
 აკრძალულ ხესთან, იქ მოვლით შადა;
 თქვენ გინდათ ხილი აკრძალული ხის,
 ისე არა გწამთ ფასი სამოთხის.

ჩვენ უკეთესი აზრისა ვართ ადამიანის ბუნების ღირსებაზე. და დარწმუნებული ვართ, რომ ადამიანი იზადება არა ბოროტისა, არამედ კეთილისათვის, არა დანაშაულისა, არამედ ცხოვრების სიკეთეებით გონივრულ-კანონიერი დატკბობისათვის; რომ მისი მისწრაფებანი სამართლიანია, ინსტირქტები — კეთილშობილური. ბოროტება ადამიანში კი არ იძალდება, არამედ საზოგადოებაში; რადგან საზოგადოებებმა, გაგებულმა ადამიანის განვითარების ფორმის აზრით, ჯერ კიდევ სრულიადაც ვერ მიაღწიეს თავიანთ იდეალს, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მხოლოდ მათში ხედავ მრავალ დანაშაულს. ამითვე აიხსნება ისიც, თუ რატომ ითვლება კანონიერად ახალ მსოფლიოში ის, რაც ძველ მსოფლიოში დანაშაულად ითვლებოდა, და პირიქით, რატომ აქვს ყოველ ხალხს და ყოველ საუკუნეს თავისი ცნებები ზნეობაზე, კანონიერსა და დანაშაულებრივზე. კაცობრიობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ მისულა სრულყოფის იმ სიმაღლემდე, რომელზეც ყველა ადამიანები, როგორც ერთგვაროვანნი და ერთნაირი გონებით დაჯილდოებული არსებანი, ერთმანეთს შეუთანხმდებიან ცნებებში ჭეშმარიტისა და ყალბის, სამართლიანისა და უსამართლოს, კანონიერისა და დანაშაუ-

ლებრივის შესახებ, ისევე ზუსტად, როგორც ისინი უკვე შეთანხმდნენ, რომ მზე კი არ ბრუნავს დედამიწის გარშემო, არამედ დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო, და მრავალ მათემატიკურ აქსიომაში. მანამდე კი დანაშაული მხოლოდ გარეგნულად იქნება დანაშაული, ხოლო შინაგანად, არსებითად—ის ამა თუ იმ კანონის სამართლიანობისა და გონივრულობის არცნობა იქნება. იყო დრო, როდესაც მშობლები თავის შვილებში თავის მონებს ხედავდნენ და თავს უფლებამოსილად სთვლიდნენ ძალა დაეტანებინათ მათი გრძნობებისა და ყველაზე წმინდათაწმინდა მიდრეკილებებისათვის. ახლა: თუ ქალიშვილი, როცა ის ზიზღსა გრძნობს კეთილგანმზრახველი გარეგნობის მქონე ვაჟბატონის მიმართ, რომელზეც მისი ძალით გათხოვება უნდათ, და გატაცებით უყვარს ადამიანი, რომელსაც მას ძალით აშორებენ,—თავის გულისთქმას აპყვება და შეიყვარებს იმას, ვინც მან აირჩია, და არა იმას, ვის ჯიბესა ან ჩინზე შეყვარებული არიან მისი ძვირფასი მშობლები,—ნუთუ ეს ქალიშვილი დამნაშავეა? არაფერი ისე არ ემორჩილება გარეგანი პირობების სიმკაცრეს, როგორც გული, და არაფერი ისე არ მოითხოვს უთუო ნებისყოფას, როგორც იგივე გული. თვით ნეტარებაც კი სიყვარულისა, — რა არის ის, თუ ის შეთანხმებულია გარეგან პირობებთან?—გალობა ოქროს გალიაში გამომწყვდეული ბულბულისა ან სიმღერა ტოროლასი. რა არის ნეტარება სიყვარულისა, რომელიც მხოლოდ გულის ძალაუფლებასა და ენის სცნობს?—საზეიმო საგალობელი ბულბულისა, მზის ჩასვლის ჟამს, მდინარეზე თავდახრილი ტირიფების იღუმალებით მოცულ ჩეროში; ლალი სიმღერა ტოროლასი, რომელიც, ყოფიერების გრძნობით გაოგნებული და მოხიბლული, ხან ისარჩევით ზევით ავარდება, ხან ციდან დაეშვება, ხან კიდევ, ფრთების ფრთხილით. აღგილიდან დაუძრავად, თითქოს ცისფერ ეთერში ბანაობს და იძირება... ფრინველს სილაღე უყვარს; ვნება სიცოცხლის პოეზია და მშვენებაა, მაგრამ რის მაქნისია ვნებები, თუ გულს სილამდე არ ექნება?..

ონეგინის წერილი ტატიანასადმი აღსავსეა ვნებით; ამ წერილში აღარ არის ირონია, არ არის მაღალი საზოგადოების ადამიანისათვის დამახასიათებელი ზომიერება და ნიღაბი. ონეგინმა იცის, რომ იგი, შესაძლოა, ბოროტი მხიარულების საბაბს აძლევს; მაგრამ ვნებამ მასში ჩაახშო სასაცილოდ გახდომის შიში, მტრისთვის თავისი სასიკვდილო იარაღის მიწოდების შიში. და მართლაც, აქ იყო ის, რისგანაც ადამიანი გაგიჟდებოდა. ტატიანას გარეგანი იერის მიხედვით შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ის შეუფრთხილად ცხოვრების არარაობას, სულით და გულით თაყვანი სცა ამოვების კერას, — და ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, ონეგინის როლი მეტად სასაცილო და უბადრუკი იქნებოდა. მაგრამ გარეგანი იერი მაღალ საზოგადოებაში ვერავის ვერაფერში ვერ არწმუნებს: იქ ყველა მეტისმეტად კარგად არის დაუფლებული ხელოვნებას — მხიარული იყოს და თავი ღირსეულად ეჭიროს მაშინ, როდესაც გული ჯავრისგან უსკდება. ონეგინს ერთგვარი საფუძველი ჰქონდა ისიც ეფიქრა, რომ ტატიანა შინაგანად ისევ ის დარჩა, რაც იყო, და მაღალმა საზოგადოებამ მას მხოლოდ შეასწავლა ხელოვნება — თავი დაიჭიროს და ცხოვრებას სერიოზულად უყუროს. მაღალი საზოგადოება მაღლიანი ადამიანის ბუნებას ვერ ჰკლავს, წინააღმდეგ მეშინაურ ფილოსოფოსთან აზრისა; სულისა და გულის დასაღუბავად დაბალ საზოგადოებასაც სწორედ იმდენივე საშუალება აქვს, რამდენიც მაღალს. განსხვავება მხოლოდ ფორმებშია და არა არსში. და ახლა, როგორ უნდა წარმოხდებოდეს ონეგინს ტატიანა, — უკვე არა მეოცნებე ქალიშვილი, რომელიც თავის გულითად აზრებს მთვარესა და ვარსკვლავებს გაანდობდა ხოლმე და სიზმრების ასახსნელად მარტინ ზადეკის წიგნს მიმართავდა, არამედ ქალი, რომელმაც იცის ყოველივე იმის ფასი, რაც მას მინიჭებული აქვს, რომელიც ბევრს მოითხოვს, მაგრამ ბევრის მიცემაც შეუძლია. მაღალი საზოგადოების შარავანდედს არ შეიძლებოდა არ აემადლებინა ის ონეგინის თვალში: საზოგადოებაში, ისევე როგორც ყველგან, ადამიანები ორგვარია — ერთნი

ფორმებს აიკვიატებენ ხოლმე და მათს შესრულებაში ხედავენ ცხოვრების დანიშნულებას,—ეს არის ბრბო; მეორენი საზოგადოებისაგან იძენენ ადამიანთა და ცხოვრების ცოდნას, სინამდვილის ტაქტს და იმის უნარს, რამ მთლიანად გამოიყენონ ყველაფერი, რაც მათთვის ბუნებას მიუნიჭებია. ტატიანა ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა, და მაღალი საზოგადოების მანდილოსნის მნიშვნელობა მხოლოდ აღამაღლებდა მის მნიშვნელობას, როგორც ქალისას. ამასთანავე ონეგინის თვალში სიყვარულს უბრძოლველად არავითარი სიმშვენიერე არ ჰქონდა, ხოლო ტატიანა იოლ გამარჯვებას არ უქაღდა. და ის ჩაება ამ ბრძოლაში ისე, რომ გამარჯვების იმედი არა ჰქონდა, ჩაება უანგარიშოდ, გულწრფელი ვნების მთელი სიშმაგით, ვნებისა, რომელიც ასე მძლავრად ფეთქავს მისი წერილის თითოეულ სიტყვაში:

არა, თქვენ გვირბივთ, თქვენთან რებული,
 ყველგან მიპლვოდეს წიხ თქვენი კვალი,
 იპერდეს თვალი შეყვარებული
 ბაგეთა ღიმილს და ელვას თვალის.
 გისმენდეთ თქვენ და გაეგებოდეს
 ჩემს სულს სრულქმნილი მშვენიერება,
 მე თქვენს წინაშე სული მხდებოდეს,
 მთლად ჩაეჭრე... აი ბედნიერება!

თქვენ რომ იცოდეთ, რა საშინელი
 არის, როცა გკლავს ტრფობის წყურვილი,
 შმაგობ — და კკუთი უნდა ანელო
 ყოველ საათში სისხლი ღელვილი;
 როცა მსურს თქვენს მუხლს მოვხვიო მკლავი,
 მსურს ავექვითინდე, მსურს თქვენს ფეხებთან
 ვღვარო ვედრება და სამღურავი,
 იფეთქოს ყველა გრძნობამ გულიდან. —
 ამ დროს სიშვეილით მოსაჩვენარით
 უნდა შევეჯავშნო სიტყვა და მზერა,
 გელაპარაკოთ დინჯად, სიწყნარით.
 მხიარულ ქცევით — თითქონა მსურს მღერა!.. 10

მაგრამ ამ ცეცხლოვანმა გზებამ ტატიანაზე ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. რამდენიმე ბარათის შემდეგ, ტატიანას რომ შეხვდა, ონეგინმა ვერ შენიშნა ვერც შეშფოთება, ვერც ტანჯვა-წუხილი და ვერც ცრემლის ლაქები სახეზე—მასზე მხოლოდ რისხვის კვალი აღბეჭდილიყო... ონეგინი მთელი ზამთარი შინ ჩაიკეტა და კითხვა დაიწყო:

შერე რა? თვალი თუმც კითხულობდა,
მაგრამ შორს ქროდა მისი გონება.
სულში ბორგაედა, ფორიაქობდა:
სევდა, სურვილი, ლალი ოცნება.
და დაბეჭდილსა სტრიქონებს შორის,
გონების თვალით იქ ხედავდა ის
სულ სხვა სტრიქონებს: სწორედ აი სად
ის ჩაძირული იყო უღრმესად.
აქ ძველ წარსულის გულითადისა
იყო ფარული გადმოცემები,
კვალბენული ბოდვა, სისმრები,
მუქარა, რწმენა წინასწართქმისა,
ან გრძელ ზღაპრების მიქარვა, ანდა
ნორჩი ასულის ბარათი ჩანდა.

თანდათანობით იგი დუნდება.
ღონემიხდილი გრძნობა-გონებით,
აქრელებულად მის წინ ბრუნდება
სხვადასხვაგვარი წარმოდგენები:
ხან დაინახავს, თეთრ, ფაფუკ თოვლში,
თითქოს მძინარე თავის საწოლში,
უტყვად, უძრავად მოჩანს ქაბუკი,
და ესმის ხმები: — „რა? მოკვდა უკვე?“
ხან დაინახავს დავიწყებულ მტრებს,
ულისმწამებლებს, ბორბტ მშიშარებს,
და ჯგუფ-ჯგუფობით მუხანათ ქალებს
ან მოძულებულ ამხანაგთა წრეს.
ხან — სოფლის ოდას, სად სარკმლის ახლოს
ტატიანა ზის... სულ ის, ყოველ დროს!..

ჩვენ ახლა აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით ტატიანასთან ონეგინის შეხვედრისა და ახსნა-განმარტების სცენაზე, რადგან მთავარი როლი ამ სცენაში ტატიანას ეკუთვნის, რომელზეც ჩვენ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი. რომანი მთავრდება ტატიანას მკვახე პასუხით, და მკითხველი სამუდამოდ ეთხოვება ონეგინს მისი ცხოვრების ყველაზე ბოროტ წუთს... რა არის ეს? სადღაა რომანი? როგორია მისი აზრი? და რა რომანია ეს, რომელსაც ბოლო არა აქვს? — ჩვენ ვფიქრობთ, რომ არის რომანები, რომელთა აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ არა აქვთ ბოლო, იმიტომ რომ თვით სინამდვილეში გვხვდება მოვლენები უდასასრულოდ. არსებობანი უმიზნოდ, არსებანი გაურკვეველნი, ყველასათვის, თავისთავისთვისაც კი, გაუგებარნი, ერთი სიტყვით, ის, რასაც ფრანგულად *les êtres manqués, les existences a vortées*²⁴ ეწოდება. და ეს არსებანი ხშირად დაჯილდოებული არიან დიდი ზნეობრივი უპირატესობით, დიდი სულიერი ძალებით: დიდი იმედის მომცემნი არიან, მაგრამ ასრულებენ ცოტას ან არაფერს არ ასრულებენ. ეს დამოკიდებულია არა თვითონ მათზე, აქ არის *fatum*-ი, რაც მდგომარეობს იმ სინამდვილეში, რომლითაც ისინი გარემოცული არიან, როგორც პაერით, და რომლისგან განთავისუფლება ადამიანს არ ძალუძს და არც მასზეა დამოკიდებული. სხვა პოეტმა ჩვენ სხვა ონეგინი წარმოგვიდგინა პეჩორინის სახელით: პუშკინის ონეგინი რაღაც თავგადაღებით გადაჰყვამთქნარებას, ლერმონტოვის პეჩორინი საძკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის ცხოვრებას და ძალით უნდა თავისი წილი გამოსტაცოს მას; გზები სხვადასხვაა, შედეგი კი ერთია: ორივე რომანი ისევე დაუმთავრებელია, როგორც ცხოვრება და მოღვაწეობა ორივე პოეტისა...

რა მოუვიდა ონეგინს შემდეგ? განახლდა თუ არა მისი ვნება ახალი, ადამიანური ღირსების უფრო შესაბამისი ტანჯვისათვის? თუ ამ ვნებამ ჩაჰკლა მისი სულის მთელი ძალები, და მისი უსიხარულო კაეშანი მკვდარ, უსულგულო აპათიად გადაიქცა? — არ ვიცით, და ან კი რათ გვინდა ვიცო-

დეთ ეს, როდესაც ვიცით, რომ ამ შლიდარი ბუნების ადამიანის ძალები გამოუყენებელი, სიცოცხლე უაზრო, ხოლო რომანი დაუმთავრებელი დარჩა? ესეც საკმარისია ვიცოდეთ იმისათვის, რომ მეტი არაფრის ცოდნა არ ვისურვოთ...

ონეგინი ნამდვილი ხასიათია, იმ აზრით, რომ მასში არაფერი არ არის ოცნებისებური, ფანტასტიკური, რომ ის შეიძლება ბედნიერი ან უბედური ყოფილიყო მხოლოდ სინამდვილეში და სინამდვილის მეშვეობით. ლენსკის სახით პუშკინმა დახატა ონეგინის ხასიათის სრულიად საწინააღმდეგო ხასიათი, სავსებით განყენებული, სინამდვილისათვის სრულიად უცხო ხასიათი. მაშინ ეს სრულიად ახალი მოვლენა იყო, და ამგვარმა ადამიანებმა მაშინ მართლაც იწყეს გამოჩენა რუსულ საზოგადოებაში.

მას ჰქონდა სული გეტინგენისა,

პოეტი, კანტის მალმერთებელი.
მას გერმანიის ნისლიან მხარით
მოჰყვა ნაყოფი მეცნიერების:
თავისუფალი, ლალი ოცნება,
სული ფიცხელი, თან საოცარი,
ალტაცებული მუდამ სიტყვები,
მხრებზე დაყრილი ხუჭუჭი თმები.

უმღერდა ტრფობას ტრფობის მორჩილი.
იყო ნათელი ლექსი ნარნარი,
როგორც ფიქრები მორცხვ ქალიშვილის,
სიზმარი ყრმისა და ბადრი შთვარე —
ცის უდაბნოში მცურავი გელი,
ტრფობის ქალღმერთი, დამწვართ იმელი.
ის უგალობდა გაყრას სევდიანს,
რადაცას სხვას და სივრცეს ნისლიანს,
და რომანტიკულ ვარდებს ლამაზებს.
შოიგონებდა შორეულ მხარეს,
სადაც მას ბევრჯერ მართოს, მღუმარეს,

დაქიდებოდა ცრემლები თვალზე.
 ჯერ თვრამეტიისა არც კი იყო და
 განვლილ ცხოვრებას ის დასტიროდა.

ლენსკი რომანტიკოსი იყო ბუნებითაც და დროების სულის-
 კეთებითაც. საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ ეს იყო
 არსება; რომლისთვისაც მისაწვდომი იყო ყოველივე მშვენი-
 ერი, მაღალი, რომ ეს იყო უმწიკვლო და კეთილშობილი სუ-
 ლის ადამიანი. ოღონდ იმავე დროს—„გულით სათუთი, არ
 იყო წვრთნილი“, მუდამ ცხოვრებაზე მსჯელობდა, მაგრამ
 არასოდეს ცხოვრება არ ესმოდა. სინამდვილეს მასზე გავლენ-
 ა არ ჰქონია: მისი სიხარული და სევდა მისი ფანტაზიის
 ქმნილება იყო. მას შეუყვარდა ოღლა და არ ანადვლებდა ია,
 რომ ოღლას მისი არ ესმოდა, რომ, გათხოვების შემდეგ,
 ის დედამისის მეორე შესწორებული გამოცემა გახდებოდა,
 რომ ოღლასთვის სულერთი იყო—ცოლად გაჰყვებოდა პო-
 ეტს, თავისი ბავშვობის თამაშობათა ამხანაგს, თუ თავისი
 თავითა და თავისი ცხენით კმაყოფილ ულანს? ლენსკიმ შეამ-
 კო ოღლა ღირსებებით, მიაწერა მას ისეთი გრძნობები და
 აზრები, რომლებიც მასში არ იყო და რომლებისთვისაც ის
 არც კი ზრუნავდა. კეთილი, საყვარელი, მხარული არსება—
 ოღლა მომხიბლველი იყო, როგორც ყველა „ქალიშვილი“,
 ვიდრე ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარან „ქალბატონები“, ხო-
 ლო ლენსკი მასში ხედავდა ფერიას, სილფიდას, რომანტი-
 კულ ოცნებას და სრულიადაც არა მომავალ ქალბატონს.
 მან დაუწერა „საფლავის მადრიგალი“ მოხუც ლარინს, რო-
 მელშიც, საკუთარი თავის ერთგულს, სრულიად უირონიოდ.
 შეეძლო ეპოვნა პოეტური მხარე. ონეგინის უბრალო სურ-
 ვილში—გახუმრებოდა მას, მან დაინახა ღალატიც, ცთუნებაც
 და საშინელი შეურაცხყოფაც. ყოველივე ამის შედეგი იყო
 მისი სიკვდილი, რომელსაც მან წინასწარ უმღერა ბუნდოვან
 რომანტიკული ლექსით. ჩვენ ოდნავაც არ ვამართლებთ
 ონეგანს, რომელსაც, როგორც პოეტი ამბობს,

უნდა ემსჯელნა დადინჯებულად,
 ვით სინდისიერ ვაქაყს შეშვენის,
 არ გარჯილიყო, ვით ბიჭი ცეტი,
 გონიერება ეხმარა მეტი!

მაგრამ მაღალი საზოგადოებისა და ცხოვრების ცრურწმენების ტირანია და დესპოტიზმი ისეთია, რომ თავისთავთან საბრძოლველად გამირებს მოითხოვენ. ლენსკისა და ონგენის დუელის დეტალები მხატვრულად უნაკლოა. პოეტს უყვარდა ეს იდეალი, მის მიერ ლენსკიში ხორცშესხმული, და საუცხოო სტრიქონებით გამოიტერა მისი სიკვდილი:

ძმებო, თქვენ სტირით პოეტს ნორჩს და წრფელს,
 სავსეს ოცნებით და იმედებით,
 რომ ვერ ეწია მიზანს საწადელს,
 დაჰკნა უდროოდ, განამეტები.
 სადღაა მისი მღელვარე გული
 და მისწრაფება აღფრთოვნებული,
 გრძნობის და ფიქრის კაბუკურისა,
 მაღალის, ნაზის, ვაქაყურისა?
 ტრფობის სურვილი სადღაა მძაფრა
 ანუ ცოდნისა და შრომის ნდომა,
 ან სირცხვილის და მწიკვლის წინ კრთომა.
 ან, შენ, ოცნების სახევ, სად გაჰჭრი,
 არ-ამქვეყნიურ ყოფნის აჩრდილო,
 შენ, პოეზიის ზმანებაე ტკბილო!

იგი ამ ქვეყნის, შესაძლო არის,
 საკეთილდღეოდ იყო შობილი;
 დაღუმებული იმისი ქნარს,
 იქნებ მრავალი სიმღერით ტკბილით,
 საუკუნეებს გადასცემოდა.
 შესაძლო არის, პოეტს ელოდა
 შარაევანდელი, ქება, დიდება;
 მისმა მწუხარე ლანდმა, იქნება,
 თან წარიტანა გამოუთქმელი
 წმინდა აზრები და ჩვენთვის გაჰჭრა

ცხოველყოფელი მისი ფიქრები,
და იქ, სადაც ჰფლობს საშარე ბნელი
ველარ მისწვდება ჰიპნი მადლობის,
ლოცვა-კურთხევა შთამოქაელობის.

ან, იქნებ, პოეტს, შესაძლო არის,
ჩვეულებრივი ბელი ელოდა:
როს გაივლიდა სიყრმის დრო ცხარი,
მასშიაც ცეცხლი გაგრილდებოდა;
ვიტყოდით: „არ ჰგავს, ვის წინათ ჰგავდა“.
დათობდა მუხას, ცოლს შეირთავდა;
ენახავდით ჩქოსანს და კჳყოფილსა,
და ჩაიკვამდა ის ხალაჟს თბილსა,
ჩაებმებოდა ცხოვრების რგოლში,
ნეკრესის ქარით შეწუხდებოდა.
გასქელდებოდა, დასუსტდებოდა,
უკანასკნელად, თავის საწოლში
როს მოკვდებოდა, სულთან მებრძოლი,
დაიტრებდა შვილი და ცოლი 12.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლენსკის ბოლო უსათუოდ ისეთი იქნებოდა, როგორც ამ უკანასკნელ სტრიქონებშია აღწერილი. მასში ბევრი რამ იყო კარგი, მაგრამ ყველაზე უკეთესია ის, რომ იგი ახალგაზრდა იყო და თავისი რეპუტაციისათვის დროულად მოკვდა. ის არ იყო ისეთი ბუნების ადამიანთაგანი, რომლებსთვისაც სიცოცხლე განვითარებასა და წინსვლას ნიშნავს. ის—ვიმეორებთ—რომანტიკოსი იყო, და მეტი არაფერი.

იგი რომ ცოცხალი დარჩენილიყო, პუშკინი მას ვერაფერს ვერ მოუხერხებდა, გარდა იმისა, რომ მთელ თავს მონდომებდა იმის გადმოცემას, რაც ზან ასე სრულად გამოსთქვა ერთ ტაეპში. ლენსკის მსგავსი ადამიანები, მიუხედავად მთელი მათი უდავო ღირსებებისა, ცუდნი არიან იმით, რომ ისინი ან ნაძღვილ ფილისტერებად გადაიქცევიან ხოლმე. ანდა, თუ თავიანთ პირვანდელ ტიპს სამუდამოდ შეინარჩუნებენ, ამით იქცევიან დახავსებულ მისტიკოსებად და მეოცნე-

ბეებად, რომელნიც ისევე არასასიამოვნო არიან, როგორც გაუთხოვრად დარჩენილი იდეალური ქალები, და რომელნიც უფრო მეტ მტრები არიან ყოველგვარი პროგრესისა, ვიდრე პირდაპირ, უპრეტენზიოდ უხამსი ადამიანები¹². ისინი მუდამ საკუთარ არსებაში იქეჭებიან, თავი ქვეყნიერების ცენტრად მიაჩნიათ და მშვიდად უცქერიან ყველაფერს, რაც ქვეყნად ხდება, და გაიძახიან, რომ ბედნიერება ჩვენშია, რომ ადამიანი სულით უნდა მიისწრაფვოდეს ოცნებათა ზევარსკვლავეთსაკენ და არ უნდა ფიქრობდეს ამოებაზე ამა სოფლისა, სადაც არის შიმშილიც, გაჭირვებაც, და... ლენსკები ახლაც არ გადაშენებულან; ისინი მხოლოდ გამოიცვალნენ. მათში უკვე აღარ დარჩა არაფერი, რაც ესოდენ მიმზიდველი და მშვენიერი იყო ლენსკიში; მათში არ არის ლენსკის გულის ქალწულებრივი უმანკობა, მათში მხოლოდ დიდკაცობის პრეტენზია და ქალაღლის ჯღაბნის წადილი დარჩენილა. ისინი ყველანი პოეტები არიან, და ეურნალებს ბალასტს ლექსების სახით მხოლოდ ისინი აწვდიან¹³. ერთი სიტყვით, ესენი ახლა ყველაზე აბეზარი, ყველაზე ქარაფშუტა და უგვანო ადამიანები არიან.

ტატიანა... მაგრამ მის შესახებ შემდეგ სტატიაში ვილაპარაკებთ.

თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა

სანკტ-პეტერბურგი. თერთმეტი ტომი. MDCCCXXXVIII—MDCCCXLI

ს ტ ა ტ ი ა მ ე ც ხ რ ე ¹⁵

„ეპგანი ონეგინი“

(დასასრული)

დიდა პუშკინის ღვაწლი იმიტომ, რომ მან პირველმა, თავის რომანში, პოეტურად წარმოსახა იმდროინდელი რუსული საზოგადოება და ონეგინისა და ლენსკის სახით დაგვანახვა მისი მთავარი, ე. ი. მამაკაცური მხარი; მაგრამ თითქ-

მის კიდევ უფრო დიდია ჩვენი პოეტის ღვაწლი იმიტომ, რომ მან პირველმა პოეტურად წარმოსახა, ტატიანას სახით, რუსი ქალი. მამაკაცი ყველა მდგომარეობაში, რუსული საზოგადოების ყველა ფენაში პირველ როლს ასრულებს; მაგრამ ჩვენ არ ვიტყვი, რომ ქალი ჩვენში მეორე და დაბალ როლს ასრულებდეს, იმიტომ რომ ის სრულიად არავითარ როლს არ ასრულებს. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ მაღალი წრე, ყოველ შემთხვევაში, განსაზღვრულ დონემდე. დიდი ხანია დროა ვალიართ, რომ, მიუხედავად ჩვენი გატაცებისა ყველაფერში წაებაძით ევროპულ წესჩვეულებებს, მიუხედავად ჩვენი მეჯლისებისა ცეკვებითურთ, მიუხედავად სლავთმოყვარეთა სასოწარკვეთილებისა, რომ ჩვენ მთლად გადაგვარდით და გერმანელებად გადავიქცით,— მიუხედავად ყოველივე ამისა, დროა, ბოლოს და ბოლოს, ვალიართ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ დღემდე ცუდი რაინდები ვართ, რომ ჩვენი ყურადღება ქალისადმი, ჩვენი მზაღყოფა— ვიცოცხლოთ და მოვკვდეთ მისთვის, დღემდე რაღაც თეატრალურია, მას მაღალი საზოგადოების მოდური ფრახის ელფერი დაჰკრავს, და თანაც არა ჩვენი საკუთარი გამონაგონისა, არამედ ნასესხებისა. აი, ინებეთ! ახლა წვერიან პატივცემულ სოვდაგრობასაც, რომელსაც ცოტად კომბოსტოს და ხახვის სუნი აქვს, იმასაც კი, ქუჩაში დიასახლისთან ერთად რომ მიდის, ეს უკანასკნელი ხელმკლავით მიჰყავს და ზურგში მუჯლუგუნს აღარ ჰკრავს იმისათვის, რომ გზა გაიგნოს და აქეთ-იქით თვალის ცეცებას თავი ანებოს; შინ კი... მაგრამ რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რაც შინ ხდება? რისთვის გამოვიტანოთ ნაგავი ქოხიდან?.. ჩვენ მზამზარეული სხვისი ფრახები დაგვიგროვებია და ლექსებშიაც და პროზაშიც გავიძახით: „ქალი—საზოგადოების მეფეა: მისი მომხიბლველობა ამშვენებს საზოგადოებას“ და სხვ. მაგრამ შეხედეთ ჩვენს საზოგადოებებს (გარდა უმაღლესი საზოგადოებისა): ყველგან მამაკაცები ცალკე არიან, ქალები—ცალკე. და ყველაზე თავგანწირული მოარშიყე, როდესაც ქალებთან ზის, თითქოს თავის თავსა სწირავს თავაზიანობის გულისათვის;

შეძლებე წამოდგება და დაღლილი გამომეტყველებით, როგორც მძიმე მუშაობის შემდეგ, მიდის მამაკაცთა ოთახში, თითქოს იმისათვის, რომ თავისუფლად ამოისუნთქოს და გამოცოცხლდეს. ევროპაში ქალი ზართლაც საზოგადოების დედოფალია: მზიარული და ამაყია მამაკაცი, რომელსაც ქალი სხვა მამაკაცებზე მეტად ელაპარაკება. ჩვენში პირიქითაა: ჩვენში ქალი მოწყალებასავით ელოდება მამაკაცის გამოლაპარაკებას; ის ბედნიერი და ამაყია მამაკაცის ყურადღებით. ან კი როგორ იქნება სხვანაირად, თუ ის, რასაც ტონი და თავაზიანობა ეწოდება, ჩვენში შეცვლილია მანჭიანობით, თუ კი ჩვენში ყველას უყვარს პოეზია მხოლოდ წიგნებში, ხოლო ცხოვრებაში ჭირსა და ხოლერაზე მეტად ეშინათ მისი. აბა როგორ გაუწვდით ხელს ქალიშვილს, თუ კი ის ვერ გაბედავს დაეყრდნოს მას ისე, რომ დედამზის ნებართვა არ გამოსთხოვოს? აბა როგორ გაბედავთ ბევრი რამ და ხშირად ელაპარაკოთ მას, თუ კი იცით, რომ ამის გამო თქვენ მასზე შეყვარებულად ჩაგთვლიან, ანდა მის საქმროდაც კი გამოვაცხადებენ? ეს ქალიშვილის სახელის გატეხა და საკუთარი თავის ხიფათში ჩაგდება იქნებოდა. თუ თქვენ ამ ქალიშვილის შეყვარებულად ჩაგთვლიან, თქვენ ველარსად დაეძალებით თქვენი მეგობრების მზაკერულ და ჭკუამახვილ ქარაგმებსა და დაცინვას, თქვენთვის სრულიად გარეშე ადამიანთა მიაშიტ და გულკეთილ შეკითხვებს. მაგრამ უფრო უარეს დღეში ჩავარდებით, როდესაც დაასკვნიან, რომ თქვენ მისი ცოლად შერთვა გინდათ: თუ მისი მშობლები თქვენ გამოსადეგ სასიძოდ არ მიგიჩნევენ, ისინი თავისი ოჯახიდან დაგითხოვენ და ქალიშვილს მკაცრად აუკრძალავენ თქვენთან თავაზიანობის გამოჩენას სხვა ოჯახებში; თუ ისინი თქვენ გამოსადეგ სასიძოდ მიგიჩნევენ—ახალ, წინანდელზე უარეს ხიფათს გადაეყრებით: ათასგვარ მახეს და ხაფანგს დაგიგებენ, და თქვენ, ალბათ, თქვენს თავს უმალ იხილავთ კანონიერი ქორწინებით შეუღლებულს, ვიდრე გონს მოსვლას მოასწრებდეთ და საკუთარ თავს შეეკითხებოდეთ: კი მაგრამ, როგორ და როდის მოხდა ყოველივე ეს? თუ თქვენ მტკი-

ცე ხასიათის ადამიანი ხართ და ნებას არ დაჰყვებით, ისეთ „ხათაბალას“ გადაეყრებით, რომელიც დიდხანს გეძახსოვრებათ. რატომ ხდება ყოველივე ეს?—იმიტომ, რომ ჩვენში ვერ გაუგიათ და არ უნდათ გაიგონ რა არის ქალი, არავითარ მოთხოვნილებას არ გრძნობენ მის მიმართ, არ ნატრულობენ და არ დაეძებენ მას, ერთი სიტყვით, იმიტომ, რომ ჩვენში არ არის ქალი. ჩვენში „მშვენიერი სქესი“ არსებობს მხოლოდ რომანებში, მოთხრობებში, დრამებსა და ელეგიებში; მაგრამ სინამდვილეში ის ოთხ თანრიგად იყოფა: გოგონები, საპატარძლონი, ქმრიანი ქალები და, ბოლოს, გაუთხოვრად დაჩენილი ქალები და ბებერი დედაკაცები. პირველნი, როგორც ბავშვები, არავის არ აინტერესებს; უკანასკნელთ ყველა უფროსის და ისინი ყველას სძულს (და ხშირად ზართებულადაც); მაშასადამე, ჩვენი მშვენიერი სქესი შესდგება ორი განყოფილებისაგან: გასათხოვარი ქალწულებისა და გათხოვილი ქალებისაგან. რუსი ქალიშვილი ქალი არ არის ამ სიტყვის ევროპული აზრით, ის ადამიანი არ არის: ის მხოლოდ და მხოლოდ **საპატარძლოა**. ჯერ კიდევ ბავშვი, ის თავის საქმროს ეძახის ყველა მამაკაცს, რომლებსაც თავის სახლში ხედავს, და ხშირად ცოლად გაყოლას ჰპირდება თავის მამას ან თავის ძმას; მას ჯერ კიდევ აკვანში ეუბნებოდნენ დედაც და მამაც, დებიც და ძმებიც, ძიძებიც და გადიებიც, და ყველა ადამიანები, ვინც მას გარს ერტყა, რომ ის გასათხოვარია, რომ მას საქმროები უნდა ეყოლოს. აი ის თორმეტი წლის არც კი შესრულებულა, და დედა, რომელიც მას სიზარმაცეს, თავის დაქვარის უნარის უქონლობას და ამის მსგავს ნაკლოვანებებს უსაყვედურებს, ეუბნება: „ნუთუ არა გრცხვენიათ, ქალბატონო: თქვენ ხომ უკვე გასათხოვარი ხართ!“ განა ამის შემდეგ საკვირველია, რომ მას უნარი არა აქვს, არ შეუძლია თავის თავს უყუროს, როგორც ქალურ არსებას, როგორც ადამიანს, და თავის თავში მხოლოდ გასათხოვარს ხედავს? განა საკვირველია, რომ ადრეული წლებიდან დაქალიშვილებამდე, ზოგჯერ ღრმა მოხუცებულობამდეც კი, მთელი მისი ფიქრები, მთელი ოცნებები, მთელი მოსწრაფებანი, მთელი ლოცვა-

ვედრება უტრიალებს ერთ *idée fixe*-ს — გათხოვებას; რომ გათხოვება — მისი ერთადერთი ზგზნებარე საწადელია, მისი არსებობის მიზანი და აზრია, რომ ამის გარეშე მას არაფერი არ ესმის, არაფერზე არ ფიქრობს, არაფერი არ სურს, და რომ ყოველ უცოლო მამაკაცს ის კვლავ უცქერის არა როგორც ადამიანს, არამედ მხოლოდ როგორც საქმროს? დამნაშავეა თუ არა ის ამაში? თვრამეტი წლიდან ის უკვე თანდათან გრძნობს, რომ ის — თავისი მშობლების შვილი, მათი გულის საყვარელი პირმშო, თავისი ოჯახის სიხარული და ბედნიერება, თავისი მშობლიური კერის შემამკობელი კი არ არის, არამედ მძიმე ტვირთი, საქონელია, რომელიც შეიძლება არ გასაღდეს, ზედმეტი ავეჯია, რომლის ფასმა ვაი თუ დაიკლოს და გაუყიდავი დარჩეს. რაღა უნდა ჰქნას მან, გარდა იმისა, რომ მთელი თავისი ნიჭი და უნარი საქმროების ხელში ჩაგდებას ხელოვნებას მოახმაროს? და მით უმეტეს, რომ „ძვირფასი მშობლების“, საყვარელი დეიდა-მამიდების, ბიძაშვილებისა და სხვათა გაცვეთილების მეოხებით მისი ნიჭი და უნარი მარტო ამ მხრივ ვითარდება კიდევ. ყველაზე მეტად რისთვის უსაყვედურებს და ლანძღავს ხოლმე თავის ქალიშვილს მზრუნველი დედა? — იმისთვის, რომ ის მოხერხებულად ვერ იქცევა, არ შეუძლია კარგ საქმროებს თვალი ჩაუკრას და დეჟმანჟოს, ანდა იმისთვის, რომ ზედმეტად თავაზიანია იმ ადამიანებთან, რომლებიც მისი შესაფერისი არ არიან. რას ასწავლის მას დედამისი ყველაზე მეტად? — ანგარიშით იკეკლუცოს, თავი მოაჩვენოს ანგელოზად, კატის თათის რბილ, პრიალა ბეწვებში დამალოს ხოლმე კატის კლანჭები. და როგორიც უნდა იყოს საბრალო ქალიშვილი თავისი ბუნებით, ის უნებლიეთ შედის როლში, რომელიც მას ცხოვრებამ არგუნა და რომლის სანიდუმლოებას მას ასე გულმოდგინედ, ასე საფუძვლიანად ასწავლიან. შინ იგი უსუფთაოდ, თაღდაუფარცხნელი დადის, გახუნებული ჩითის ქუჩყიანი, ვიწრო და მოკლე კაბით, მოღრეცილი ფეხსაცმლით, ქუჩყიანი. ჩაჩაჩული წინდებით: სოფელში შინაყმებს გარდა აბა ვინ დაგვინახავს, ხოლო მათთვის ღირს კი მორთვა-მოკაზმვა?

მაგრამ როგორც კი გზაზე გამოჩნდება ეტლი, როდლითაც შეიძლება მოულოდნელი სტუმრები მოდიოდნენ,—ჩვენი საპატარძლო ხელებს ასწევს, დიდხანს თავს ზემოთ უჭირავს და ფაცი-ფუცში გაჰყვირის: სტუმრები მოდიან, სტუმრები მოდიან! ამით მისი წითური ხელები თეთრდება: სოფლური ოხუნჯობაა! შემდეგ მთელი სახლი აჩოჩქოლდება: დედა და ქალიშვილი პირს იბანენ, თავს ივარცხნიან, ფეხთ იცვამენ და ჭუჭყიან თეთრეულზე ხუთი წლის წინ შეკერილ შალის ან აბრეშუმის კაბებს გადაიცვამენ. თეთრეულის სისუფთავეზე ზრუნვა სასაცილოა: თეთრეული ხომ კაბის ქვეშაა, და მას ვერავენ ხედავს, ხოლო მორთვა—ცნობილია—საჭიროა სხვებისთვის და არა თავისთვის. მაგრამ აი, ადრე თუ გვიან, ეღირსა, და იღუმალი მისწრაფებანი და ცხარე აღთქმანი საცნაუნდა აღსრულდეს: პატარძლობის კანდიდატი უკვე ნამდვილი პატარძალია და მხოლოდ საქმროსთვის ირთვება. ის დიდი ხანია იცნობდა საქმროს, მაგრამ იგი მხოლოდ იმ წუთიდან შეუყვარდა, როდესაც გაიგო, რომ ყმაწვილს მასზე თვალი უჭირავს. და ქალიშვილს ჰგონია, რომ მას ნამდვილად უყვარს ეს ყმაწვილი. გათხოვებისადმი ავადმყოფურ მისწრაფებას და ამის მიღწევის სიხარულს შეუძლია მყისვე აღძრას სიყვარული გულში, რომელიც ესე დიდი ხანია უკვე შეუფოთებულა ფარული და აშკარა ოცნებით გათხოვებაზე. თანაც, როდესაც საქმე საშური და აჩქარებენ, უნებლიეთ მყისვე შეგიყვარდებათ ისე, რომ დრო არა გაქვთ თქვენს თავს შეეკითხოთ, ნამდვილად გიყვართ თუ არა, თუ მხოლოდ გგონიათ, რომ გიყვართ... მაგრამ „უძვირფასესი მშობლები“ თავის ქალიშვილს მხოლოდ იმას ასწავლიდნენ, გინდა თუ არა გათხოვდიო; იმაზე კი არც უფიქრიათ, რომ მოემზადებინათ იგი გათხოვილი ქალის მდგომარეობისათვის, აეხსნათ მისთვის ცოლის. დედის მოვალეობანი, ალექურათ ის ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო უნარით. და კარგადაც მოიქცნენ: არაფერია იმაზე უფრო უსარგებლო და საზიანოც კი, როგორც თუნდაც საუკეთესო რჩევა-დარიგებანი, თუ ეს რჩევა-დარიგებანი განმტკიცებული არ არის მა-

გალითებით, თუ ისინი მოწაფის თვალში გამართლებული არ არის მისი გარემომცველი სინამდვილის მჯელი ერთობლიობით. „ჩემგან აიღეთ მაგალითი, ქალბატონო!“—განუწყვეტლივ უმეორებს დიქტატორული ტონით დედა თავის ქალიშვილს. და ქალიშვილიც მშვიდად ბაძავს დედამისს, რითაც თავისი სახით საზოგადოებას და მომავალ ქმარს დედამისის მეორე ეგზემპლარს უმზადებს. თუ მისი ქმარი მდიდარი კაცია, ის თავისი ცოლით კმაყოფილი იქნება: მათი სახლი საესე ფიალაა, ყველაფერი ბევრია, თუმცა ყველაფერი უგემური, უაზრო, ჭუჭყიანი, მტვრიანია, უწესრიგოდ ჰყრია და მხოლოდ დიდი დღესასწაულების წინ სწმენდენ (და მაშინ სახლში ერთი ფაცი-ფუცი და ორომტრიალი ატყდება ხოლმე); შინაყმები მრავალნი და მსახურნი უთვალავნი არიან, მაგრამ კაცი არ არის, რომ ჭიქა წყალი სთხოვო, ერთი ფინჯანი ჩაი მოგაწოდოს... ხოლო ამასწინანდელი საპატარძლო, ახლა კი ახალგაზრდა მანდილოსანი?—ო, ის „სრულ განცხრომაშია“! მან როგორც იქნა მიაღწია თავისი ცხოვრების წიხანს; ის უკვე აღარაა ობოლი, ნაშვილვევი, ზედმეტი ტვირთი მშობლების ოჯახში; ის თავისი ოჯახის დიასახლისია, თავისი თავის ქალბატონია და სრული თავისუფლებით სარგებლობს: მიდის სადაც და როდესაც უნდა, შინ ღებულობს იმას, ვინც სურს; მას უკვე აღარ სჭირდება თავი მოაჩვენოს ხან უმანკო კრავად, ხან უწყინარ ანგელოზად; მას შეუძლია გაჭირვეულდეს, გული შეუწყუხდეს, უბრძანოს, აწვალოს ქმარი, შვილები, მსახურნი. მას უამრავი საზრუნავი აქვს: კარეტა—კარეტას არ ჰგავს, შალი—შალს, ძვირფასი სათამაშოები უხვადაა; ის ცხოვრობს როგორც არისტოკრატი ქალბატონი, არავის არ ჩამოუვარდება, ყველას სჯობნის, და მისი ქმარი ძლივსძლივობით ასწრებს მამულის არაერთგზის დაგირავებას... ახალი თაობის შვილმა, მან რაც შეეძლო დიდებულად, თუმცა უგემურად მორთო დარბაზი და სასტუმრო ოთახი, დიდი ვაინაჩრობით იცავს იქ რალაც სისუფთავისა და სიფაქიზის მსგავსს; ეს ხომ სტუმრებისათვის განკუთვნილი ოთახებია, საზეიმო, გამოსაჩენი ოთახებია; სიბინძურე

შეიძლება გამეფებული იყოს მხოლოდ საძილე ოთახში, ბავშვების ოთახში, ქმრის კაბინეტში, — ერთი სიტყვით, შიგა ოთახებში, სადაც სტუმრები არ შედიან. მას კი განუწყვეტლივ ჰყავს სტუმრები, მუდამ გარს ახვევია თავისი წრე; მაგრამ ის თავის სტუმრებს ხიბლავს არა მაღალი გონებით, არა თავისი მანერების გრაციით, არა თავისი წარმტაცი საუბრის მშვენიერებით, — არა, ის მხოლოდ ცდილობს ზოაჩვენოს ამ ადამიანებს, რომ მას ყველაფერი საუკეთესო აქვს — ოთახების მორთულობაც, ხორაგეულიც, სტუმრებიც რჩეული ჰყავს, ცხენებიც, რომ ის ვიგინდარა როდია, რომ მისთანანი ცოტანი არიან... საუბრების შინაარსია ჭორები და მორთულობა, მორთულობა და ჭორები. ღმერთმა აკურთხა მისი გათხოვება — ყოველ წელიწადს თითო შვილი ეძლევა. როგორ აღზრდის ის თავის შვილებს? — სწორედ ისევე, როგორც თვითონ ის აღზარდა დედამისმა: ვიდრე პატარები არიან, ისინი საბავშვო ოთახში ერთ წერტილზე იყინებიან — ძიძებსა და გადიებს შორის, მოახლეთა შორის, წიადში მონობისა, რომელმაც მათ უნდა შთააგონოს ზნეობის პირველი წესები. განუვითაროს კეთილშობილური ინსტიტუტები, აუხსნას მათ, რა განსხვავებაა ავ სულსა და ქაჯს შორის, კუდიანსა და აღს შორის, განუმარტოს სხვადასხვა ნიშნები, უამბოს ათასნაირი ისტორია მკვდრებსა და მკვიციებზე, ასწავლოს მათ გინება და ჩხუბი, ტყუილის თქმა გაუწითლებლად, ასწავლოს განუწყვეტლივ ჰამონ ისე, რომ არასოდეს არ გაძღენ. და საყვარელი ბავშვები მეტად კმაყოფილი არიან იმ სფეროთი, რომელშიც ცხოვრობენ: მათ მსახურთა შორის ჰყავთ გამორჩეულნი და ათვალწუნებულნი; ისინი შეხმატკბილებულნი არიან პირველებთან, ლანძღვენ და სცემენ უკანასკნელთ. მაგრამ აი, ისინი წამოიზარდნენ: მაშინ მამა როგორც სურს ისე მოექცევა ბიჭებს, გოგონებს კი ხტუნაობას და კორსეტის შემოქერას, ფორტეპიანოზე ცოტადღენ ტყაუნს, ცოტა კიდევ ფრანგულად ლაყბობას შეასწავლიან, — და აღზრდა

დამთავრებულია; მაშინ მათ ერთი მეცნიერება და ერთი საზრუნავი აქვთ — მახეში გააბან საქმროები!

მაგრამ თუ ჩვენი საპატარძლო ცოლად გაჰყვება არამდიდარ, თუმცა არც თუ ღარიბ კაცს, რომელიც თავის შეძლებაზე ცოტა უფრო კარგად ცხოვრობს და თავისი უნარით ასე თუ ისე წესიერად გააქვს თავი, — მაშინ ვაი ქმრის ბრალი! მის ცოლს თავის სოფელში ხომ არასოდეს არათფერი არ უკეთებია (იმიტომ რომ ბანოვანი უბრალო გლეხუჭა ხომ არ არის, რომ რაიმე ეკეთებინა), ხელს არათფერს ჰკიდებდა, ოჯახის გაძლოლა არ იცის, ხოლო რა არის წესრიგი, სისუფთავე, სიფაქიზე შინ, — ეს მას არსად არ უნახავს, ამაზე არავისგან არ სმენია. მისთვის გათხოვება იმას ნიშნავს, რომ ქალბატონი გახდეს; დიასახლისად გახდომა იმას ნიშნავს, რომ სახლში ყველას მბრძანებლობდეს და თავისი საქციელის სრული ბატონ-პატრონი იყოს. მისი საქმეა არა დაზოგვა, არა მომკობრეობა, არამედ ყიდვა და დახარჯვა, მორთვა-მოკაზმვა და კოპწიაობა.

და ნუთუ თქვენ მას ბრალს დასდებთ ყოველივე ამაში? რა უფლება გაქვთ მოსთხოვოთ მას, რომ იგი იყოს არა ისეთი, როგორადაც ის თქვენ თვითონვე აქციეთ? განა შეგიძლიათ ბრალი დასდოთ თუნდაც მის შშობლებს? განა თქვენ თვითონ არ აქციეთ ქალი მხოლოდ საპატარძლოდ და ცოლად, და მეტად აზაფრად? განა რდესმე მოპყრობიხართ მას უანგაროდ, უბრალოდ, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, მხოლოდ იმ მიზნით, რომ დამტკბარიყავით ნაზი არსების ამ სურნელებითა და ჰარმონიით, ქალების წრეში ყოფნისა და მათთან თანაზიარობის ამ პოეტური მოწიბლველობით, ქალებისა, რომლებიც ესოდენ წყნარად, დამამშვიდებლად და მომჯადოებლად მოქმედებენ მაშაკაცის მკაცრ ბუნებაზე. გქონიათ თუ არა ოდესმე ისურვილი მეგობრად გყოლოდათ ქალი, რომელზეც თქვენ სრულებით არა ხართ შეყვარებული, დად გყოლოდათ თქვენთვის გარეშე ქალი? — არა! თუ თქვენ შედიხართ ქალთა წრეში, მხოლოდ ზრდილობის ჩვეულების, წესის შესასრულებლად; თუ ცეკვავთ ქალთან, მხო-

ლოდ იმიტომ, რომ მამაკაცთან მამაკაცის ცეკვა ძილებული არ არის. თუ თქვენ ერთ ქალს აქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას, მუდამ გარკვეული განზრახვით — ცოლად შერთვის ან მუსუსობის გულისათვის. თქვენ ქალს წმინდა უტილიტარული, თითქმის კომერციული თვალსაზრისით უყურებთ: ის თქვენთვის არის სარგებლიანი კაპიტალი, 'შემოსავლიანი სოფელი, სახლი; თუ ეს არაა, მაშინ მზარეულია, მრეცხავი, მეკუჭნავე, გაღია, დიდი-დიდი — ხასა.

ცხადია, ყოველივე ამას გამონაკლისიც აქვს; მაგრამ საზოგადოება შესდგება საერთო წესისაგან და არა გამონაკლისთაგან, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად ავადმყოფური ხორცმეტია ხოლმე საზოგადოების სხეულზე. ამ სამწუხარო ჭეშმარიტებას ყველაზე უკეთ ადასტურებენ ჩვენი ეგრეთ-წოდებული „იდეალური ქალწულნი“. ისინი, ჩვეულებრივად, კითხვის დიდი მოყვარულნი არიან და ბევრს და ჩქარა კითხულობენ, წიგნებს სკამენ. მაგრამ როგორ და რას კითხულობენ ისინი, ღმერთო დიდებულო!.. იდეალურ ქალწულებში ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ისინი დარწმუნებული არიან, რომ ესმით ის, რასაც კითხულობენ, და რომ კითხვას მათთვის დიდი სარგებლობა მოაქვს. ყველა ისინი პუშკინის თაყვანისმცემელნი არიან, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის ბ-ნ ბენედიქტოვის ნიქსაც სათანადო მიუზღან; ზოგი მათგანი გოგოლსაც კი სიამოვნებით კითხულობს, მაგრამ ეს მათ სრულებით ხელს არ უშლის ალტაცებაში მოვიდნენ ბბ. მარლინსკისა და პოლევოის მოთხრობებით. ყველაფერი, რასაც გასაავალი აქვს, რაზედაც ახლა წერენ და ლაპარაკობენ, ყველაფერი ეს მათ აგოყებს. მაგრამ ყოველივე ამამი ისინი ხედავენ თავის საყვარელ აზრს, თავისი განწყობილების გამართლებას, ე. ი. იდეალურობას, — ხედავენ მას იქაც კი, სადაც ის სრულებით არ არის, ანდა სადაც მას დასცილიან. მათ ყველას აქვთ სანუკვარი რვეულები, სადაც ჩაიწერენ ხოლმე იმ ლექსებს, რომლებიც მათ მოეწონებათ, იმ აზრებს, რომლებიც მათ განაცვიფრებს წიგნში. მათ უყვართ მთავარიან ღამეში სიარული, ვარსკვლავების ცქერა, ნაკადულის დინების

ყურება. მათ ძალიან იზიდავთ მეგობრობა, და თითოეულ მათგანს გაცხოველებული მიმოწერა აქვს თავის მეგობართან, რომელიც მასთან ერთად ერთ სოფელში, ზოგჯერ კი ერთ სახლშიაც ცხოვრობს, ოღონდ სხვა ოთახში. მიმოწერაში (ვეებერთელა რვეულებით) ისინი ერთმანეთს ატყობინებენ თავიანთ გრძნობებს, აზრებს, შთაბეჭდილებებს. მეტიც, თითოეული მათგანი აწარმოებს თავის დღიურს, რომელიც ავსებულა „ამოწერილი გრძნობებით“, მაგრამ ამ დღიურებში (როგორც მამრობითი და მდედრობითი სქესის იდეალური და შინაგანი ბუნების ადამიანთა ყველა დღიურში) არაფერია ცოცხალი და ჭეშმარიტი, არის მხოლოდ პრეტენზიები და იდეალებისადმი ტრფიალი. მათ ეზიზღებათ ბრბო და დედამიწა, ისინი შეურიგებელი სიძულვილით არიან გამსჭვალული ყოველივე მატერიალურის მიმართ. ეს სიძულვილი მათში ხშირად აღწევს იმის სურვილს, რომ სავესებით უარჰყონ მატერია. ამისათვის ისინი თავს იკლავენ შიმშილით, ხანდახან მთელი კვირა არაფერს ჭამენ, სანთელზე თითებს იწვავენ, კაბის ქვეშ მკერდზე თოვლს იდებენ, ძმარსა და ძელანს სვამენ, უნდათ ძილს გადაეჩვიონ,—და უმაღლესი, იდეალური არსებობისადმი ამ მისწრაფებით იმდენად მოიშლიან ხოლმე ნერვებს, რომ მალე მარტოოდენ ცოცხალ და უაღრესად მატერიალურ სნებად იქცევიან... უკიდურესობანი ხომ ერთმანეთს ეგუებიან! ყველა უბრალო ადამიანური, და განსაკუთრებით, ქალური გრძნობები, როგორც, მაგალითად, გრძნობათა ამშლელი ვნებიანობა, დედობრივი სიყვარული, მიდრეკილება მამაკაცისადმი, რომელშიც უჩვეულო და გენიალური არაფერია, რომელსაც უბედურება არ დევნის, რომელიც არ იტანჯება, ავად არ არის, ღარიბი არ არის,—ყველა ასეთი უბრალო გრძნობა იმათ უხაზსი, არარა, სასაცილო და საძულველი ჰგონიათ. განსაკუთრებით საინტერესოა „იდეალურ ქალწულთა“ წარმოდგენა სიყვარულზე. ყველა ისინი—სიყვარულის ქურუმები არიან, მხოლოდ სიყვარულზე ფიქრობენ, ოცნებობენ, ლაპარაკობენ და სწერენ. მაგრამ ისინი მხოლოდ წმინდა, არამიწიერ, იდეალურ, პლატონიურ სიყვარულს სცნობენ.

მათი აზრით, ქორწინება სიყვარულის პროფანაციაა; ბედნიერება — სიყვარულის წამურტვლაა. მათ უსათუოდ სწავლიათ შორით სიყვარული, და მათი უმაღლესი ნეტარება ის არის, რომ მთვარიან ღამეში იოცნებონ თავისი სიყვარულის საგანზე და იფიქრონ: „იქნებ, ამ წუთს ისიც მთვარეს შესცქერის და ჩემზე ოცნებობს; სიყვარულისთვის არ არსებობს განშორება!“ საცოდავ ცივისხლიან თევზებს, იდეალურ ქალწულებს თავი ფრინველებად მოაქვთ; ხელოვნური ნერვული ეგზალტაციის ამღვრეულ წყალში მოცურავენ, ისინი ფიქრობენ, რომ მაღალი გრძნობებისა და აზრების ღრუბლებში დანაგარდობენ. მათთვის უცხოა ყოველივე უბრალო, ქეშმარიტი, გულითადი, მგზნებარე; ისინი ფიქრობენ, რომ უყვართ ყველაფერი „მაღალი და მშვენიერი“, მაგრამ უყვართ მხოლოდ თავისი თავი; როდესაც ფიქრობენ იყონ სიყვარულისა და თავდადების ქურუმები, მათ ექვიც კი არ ეპარებათ იმაში. რომ მხოლოდ თავის წვრილმან თავმოყვარეობას ართობენ ფანტაზიის ტკაცუნა შუშხუნებით. ბევრი მათგანი გათხოვებაზეც კი უარს არ იტყვოდა, და პირველი შესაძლებლობისთანავე ერთბაშად იცვლის თავის რწმენას და იდეალური ქალწულიდან მალე სრულიად უბრალო დედაკაცად იქცევა; მაგრამ სხვებში ფანტაზიის აჩრდილებით თავის ზოტყუების უნარი იქამდე აღწევს, რომ ისინი მთელ სიცოცხლეში ალტაცებულ ქალწულებად რჩებიან და ამრიგად სამოცდაათ წლამდე ინარჩუნებენ სენტიმენტალური ეგზალტაციის, ნერვული იდეალიზმის უნარს. ამგვარი ქალებიდან საუკეთესონი ადრე თუ გვიან გონს მოდიან, მაგრამ მათი წინანდელი ყალბი მიმართულება სამუდამოდ იქცევა მათი ცხოვრების შავ დემონად და, მსგავსად ცუდად მოშუშებული წყლულისა, სიმშვიდესა და ბედნიერებას უწამლავს მათ. იდეალურ ქალწულთაგან ყველა სხვებზე საშინელი არიან ისინი, რომლებიც არა თუ არ გაურბიან გათხოვებას, არამედ თავისი სიყვარულის საგნთან შეუღლებებაში ხედავენ ამქვეყნიურ უმაღლეს ნეტარებას: გონების შეზღუდულობის. ყოველგვარი ზნეობრივი განვითარების უქონლობისა და წამხდარი ფანტაზიის პი-

რობებში, ისინი ქორწინებითი ბედნიერების საკუთარ იდეალს ჰქმნიან,—და როდესაც მათი უაზრო იდეალის განხორციელების შეუძლებლობას დაინახავენ, თავისი გულგატეხილობით გამოწვეულ ჯავრს ქმრებზე იყრიან.

ყველა ჯურის იდეალური ქალწულები მეტწილად ის ქალიშვილები არიან ხოლმე, რომელთა განვითარება თვით მათზე იყო მინდობილი. და როგორღა უნდა დაედოთ მათ ზრალი იმედი, რომ ცოცხალ არსებათა ნაცვლად მათგან ზნეობრივი მახინჯები გამოდიან? მათი გარემომცველი დადებითი სინამდვილე მართლაც მეტად უხამსია, და მათ უნებლიეთ ეუფლება აურიდალი რწმენა, რომ კარგია მხოლოდ ის, რაც არა ჰგავს, რაც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ამ სინამდვილეს. დამოუკიდებელ განვითარებას კი, რაც ხდება არა სინამდვილის ნიადაგზე, არა საზოგადოების სფეროში, ადამიანი ყოველთვის სიმახინჯემდე მიჰყავს. და ამრიგად მათ ორი უკიდურესობა მოელით: ან ჩვეულებრივად უხამსნი იყონ, უხამსნი, როგორც ყველანი, ანდა უხამსნი იყონ ორიგინალურად. ისინი უკანასკნელს არჩევენ, მაგრამ ფიქრობენ, რომ დედამიწიდან ღრუბლებს გადაუფრინეს, მაშინ როდესაც ნამდვილად დადებითი უხამსობიდან მხოლოდ მეოცნების უხამსობაში გადაეშენენ. და ყველაზე უფრო საეკლასიკო ის არის, რომ ასეთ უბედურ ქმნილებათა შორის მოიპოვებიან ქალწულები ასე თუ ისე ადამიანურად გონივრული არსებობის ქეშმარიტი მოთხოვნილებით, რომლებიც უკეთესი ბედის ღირსნი არიან.

მაგრამ ზნეობრივად მახინჯი მოვლენების ამ სამყაროში იშვიათად გამოერევა ხოლმე ქეშმარიტად კოლოსალური გამოჩინაკლისები, რომლებსაც თავისი გამოჩინაკლისობა ყოველთვის ძვირად უჯდებათ და თავისი საკუთარი უპირატესობის მსხვერპლი ხდებიან. გენიალურ ადამიანებს, რომლებსაც თავისი გენიალობის გუმანიც კი ვერ აუღიათ,—მათ შეუბრალებლად ჰკლავს შეუფხვებელი საზოგადოება, როგორც განმწმენდელ მსხვერპლს ამ საზოგადოების საკუთარი ცოდვებისათვის... ასეთია პუშკინის ტატიანა. თქვენ კარგად იცნობთ

ლარინების პატივცემულ ოჯახს. მამა—არც მთლად სულელია და არც მთლად ჭკვიანი; არც ადამიანია და არც მხეცი, არამედ რაღაც სიპინის მაგვარი რამ არის, რომელიც ერთდროულად ბუნების ორ — მცენარეულ და ცხოველურ—სამყაროს ეკუთვნის.

ბატონი იყო იგი გულლია.

და. იქ, სადაც ის დღეს განისვენებს,
სათლავის ძეგლი ასე მეტყველებს:

„ამა ლოდის ქვეშ დამარხულია
დმიტრი ლარინი, ცოდვილი მწირო,
მონა უფლისა და ბრიგადირი“.

ეს განსვენება სათლავის ლოდქვეშ გაგრძელება იყო იმავე განსვენებისა, რომლითაც გულლია ბატონი სიცოცხლეში ტკებოდა თათრულ ხალათგადაცმული. არიან ქვეყნად ისეთი ადამიანები, რომელთა სიცოცხლესა და ბედნიერებაში სიკვდილი სრულიად არავითარ ცვლილებას არ იწვევს. ტატიანას მამა ასეთ ბედნიერთა რიცხვს ეკუთვნოდა. მაგრამ დედამისი, თავის მეუღლესთან შედარებით, ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა. გათხოვებამდე ის რიჩარდსონს აღმერთებდა არა იმიტომ, რომ იგი წაუკეთხავს, არამედ იმიტომ, რომ თავისი მოსკოველი ბიძაშვილისაგან ბევრი რამ გაეგონა გრანდისონზე. ლარინზე დანიშნული. იგი ფარულად სხვაზე ოხრავდა; მაგრამ ის ჯვარსაწერად ისე წაიყვანეს, რომ არაფერი ჰკითხეს. ქმრის საოფელში ის პირველად იტანჯებოდა და ბორგავდა, შემდეგ კი თავის მდგომარეობას შეეჩვია და მით კმაყოფილიც კი გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ. რაც ქმარზე სრული ბატონობის სანიღუმლოებას ჩაწვდა.

სამუშაოებს ის თავმდეგობდა,
ზამთრისთვის სოკოს ბლომად ახმობდა,
ხარჯების დავთარს აწარმოებდა,
შაბათის სწორზე ის ბანაობდა,
გოგოებს ცემდა და უწყრებოდა,
ქმარს კი არაფერს ეკითხებოდა.

სისხლითაც წერდა, იყო შემთხვევა,
 ნარნარ ასულთა ალბომს ამკობდა,
 პოლეს არქმევდა ის პარასკევას
 და სიმღერის ხმით ლაპარაკობდა;
 კორსეტი ეცვა მას მორგებულ
 და რუსული H, ვით N ფრანგული,
 შეეძლო ცხვირში რომ გამოეთქვა.
 მაგრამ ყველა ეს დროთა სელას გაჰყვა:
 მოდა, ალბომი, კნაქენა პოლინა,
 ლექსთა რვეულიც დაავიწყდა მას
 და ეძახოდა ის აკულინას,
 ვისაც დაარქვა წინათ ხელინა,
 და შემდეგ, როცა გავიდა ხანი,
 დაბამბა თავის კაბა-ჯუბანი.

ერთი სიტყვით, ლარინები საუცხოოდ ცხოვრობდნენ, როგორც ცხოვრობენ ამ ქვეყნად მილიონობით ადამიანები. მათი ოჯახური ცხოვრების ერთფეროვნებას სტუმრები არღვევდნენ:

სლამოობით ეწვეოდნენ მას
 ნათესავეები და მეზობლები,
 დაურიდალა კვლავ შეგობრები,
 რომ ეთქვათ ჰორი, რაც რამ იცოდნენ.
 ზოგი ხუმრობდა, ზოგიც ჩიოდა.

ბკობა მათი ჰკვიანი
 რთველზე, ღვინოზე, წლის მოსავალზე,
 ძალზე, ნათესავ-შთამომავალზე,
 რაღა თქმა უნდა, აღარ ბრწყინავდა
 არც გრძნობით და არც პოეტურ აღიით
 და ვერც მახვილი გონების ძალით
 სოფლის ცხოვრებას ვერ ასახავდა.
 მაგრამ ცოლები ამ მეუღლეთა
 მსჯელობდნენ უფრო ჰკუამოკლავდა¹⁶.

აი წრე იმ ადამიანებისა, რომელთა შორისაც იშვა და აღიზარდა ტატიანა! მართალია, იქ იყო ორი არსება, რომლებიც

მკვეთრად გამოეყოფოდნენ ამ წრეს, — ტატიანას და ოლლა და ან უკანასკნელის საქმრო ლენსკი, მაგრამ ტატიანას გაგება არც ამ არსებათ შეეძლოთ. ტატიანას ისინი უყვარდა უბრალოდ, თვითონაც არ იცოდა რისთვის, ცალკერძ ჩვეულების გამო, ცალკერძ კიდევ იმიტომ, რომ ისინი გერ კიდევ არ იყვნენ უხამსნი; მაგრამ ტატიანა მათ არ უხსნიდა თავისი სულის შინაგან სამყაროს; რაღაც ბუნდოვანი, ინსტინქტური გრძნობა მას ეუბნებოდა, რომ ისინი სხვა სამყაროს ადამიანები არიან, რომ ისინი მას ვერ გაუგებენ. და მართლაც, პოეტურად განწყობილი ლენსკი იჭვითაც კი ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორია ტატიანა: ასეთი ქალი არ ეწყობოდა მის აღზაფრენ ბუნებას და შეიძლებოდა მას უმაღ უცნაურ და ცივ ადამიანად მოსჩვენებოდა, ვიდრე პოეტურ არსებად. ოლლას ლენსკიზე კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლო ტატიანას გაგება. ოლლა უბრალო, წრფელი არსებაა, რომელიც არასოდეს არაფერზე არ მსჯელობდა, არაფერზე შეკითხვებს არ იძლეოდა, რომლისთვისაც ყველაფერი ჩვეულებისამებრ ნათელი და გასაგები იყო და რომელიც მთლიანად ჩვეულებაზე იყო დამოკიდებული. ის მწარედ ტიროდა ლენსკის სიკვდილის გამო, მაგრამ მალე ინუგეშა თავი, ულანს მისთხოვდა და კოპწია, ეშხიან გოგონადან გადაიქცა ჩვეულებრივ ქალბატონად, დაეძვარა დედამისს, ოლონდ უმნიშვნელო ცვლილებებით, რომელთაც დროება მოითხოვდა. მაგრამ ასე ადვილი როდია ტატიანას ხასიათის განსაზღვრა. ტატიანას ბუნება რთული არაა, მაგრამ ღრმა და ძლიერია. ტატიანაში არ არის ეს ავადმყოფური წინააღმდეგობანი, რომლებითაც მეტად რთული ბუნების ადამიანები იტანჯებიან. ტატიანა თითქოს მთლიანად შექმნილია ერთი მთლიანი ნაჭრისგან, ყოველგვარი დანართისა და შენარევის გარეშე. მთელი მისი ცხოვრება გამსჭვალულია იმ მთლიანობით, იმ ერთიანობით, რომელიც ხელოვნების სამყაროში მხატვრული ნაწარმოების უმაღლეს ღირსებას შეადგენს. გატაცებით შეყვარებული, უბრალო სოფლელი გოგონა, შემდეგ მაღალი წრის მანდილოსანი, ტატიანა თავისი ცხოვრების ყველა მდგომარეობაში მუდამ ერთი და იგივეა;

მისი ბავშვობის პორტრეტი, რაც პოეტმა ასე ოსტატურად დაგვიხატა, შემდგომ მხოლოდ განვითარებულია, მაგრამ შეცვლილი არ არის.

მულამ მკმუნვარე, ენაუთქმელი
და მოშიშარი, ვით მინდერის შველი,
თავია ოჯახში წყნარი, მდუმარი,
გვეგონებოდათ ბავშვი სტუმარი.
მშობლებისადმი მან არ იცოდა
მიალერსება, ხვევნა ჩვეული;
ბავშვი, ბავშვებში გამოჩეული,
არ თამაშობდა, სხვებთან არ ხტოდა,
და ხშირად იგი მთელი დღე სრული
სარკმელთან იჯდა ჩაფიქრებული.

ჩაფიქრებულობა აკენიდანვე მისი მეგობარი იყო და მისი ცხოვრების ერთფეროვნებას ამშვენებდა; ტატიანას თითებს ნემსი არ უნახავს; ბავშვობაშიც კი მას არ უყვარდა თოჯინები, მისთვის უცხო იყო ბავშვური ცელქობა, მოსაწყენი იყო ბავშვური თამაშობის ხმაურიც და წკრიალა სიტყვიც; მას უფრო მოსწონდა შემაზარზენი ამბების თხრობა ზამთრის სიღამოს. ამიტომაც ის მალე გაიტაცა რომანებმა, და რომანებმა მთელი მისი ცხოვრება შთანთქმეს.

იმას უყვარდა, რომ აივანზე
შეგებებოდა ამოსვლას მზისას,
როდესაც დილის ფერგამკრთალ ცაზე.
ჰქრებიან გუნდნი ვარსკვლავებისა
და ეფინება მიწას ნათელი,
დილის შიკრიკი, ჰქრის სიო ნელი
და დღე იმარჯვებს უკვე დიადი.
ზამთარში, როცა ღამის წყვედიადი
უფრო გრძლად იპყრობს ნახევარსფეროს
და უფრო დიდხანს უქმ სიწყნარეში,
შავი ღრუბლებით მოცულ მთვარეში,
აღმოსავლეთი თვლემს, ნებიერობს,
ის ჩვეულ დროზე გაიღვიძებდა,
იხგებოდა და სანთლებს ანთებდა.

ამრიგად, ზაფხულის ღამეები მიჰქონდა ოცნებას, ზამთრისა—რომანების კითხვას,—და ეს იმ სამყაროში, რომელსაც კეთილგონიერული ჩვეულება ჰქონდა ხმამაღლა ეხვირნა ამ დროს! რა წინააღმდეგობაა ტატიანასა და მის გარემონცველ სამყაროს შორის! ტატიანა—ეს არის იშვიათი მშვენიერი ყვავილი, რომელიც შემთხვევით ამოსულა უდაბური კლდის ნაპრაღში.

ბალახებში რომ მართა ველად
და ვერ ნახულობს ვერც თვით პეველა.

ეს ორი სტრაქონი, პუშკინის მიერ ოღლაზე თქმული, გაცილებით უფრო მეტად მიუდგება ტატიანას. რომელ პეკლებს, რომელ ფუტკრებს შეეძლოთ ცოდნოდან ეს ყვავილი ან მით მოხიბლულიყვნენ? განა მახინჯ ტკიპებს, ბუზანკალებსა და ხოჭობებს, როგორიც არიან ბატონები პიხტინი, ბუიანოვი, პეტუშკოვი და მსგავსნი მათნი? დიახ, ისეთ ქალს, როგორცაა ტატიანა, შეუძლია მოხიბლოს მხოლოდ ადამიანები. რომლებიც ზნეობრივი სამყაროს ორ უკიდურეს საფეხურზე დგანან, ან ისეთები, რომლებიც მისი ბუნების დონეზე იდგომებოდნენ და რომლებიც ასე ცოტანი არიან ქვეყნად. ანდა სრულიად უხამსი ადამიანები, რომლებიც ასე ბევრნი არიან ქვეყნად. ამ უკანასკნელთ შეიძლებოდა ტატიანა მოსწონებოდანთ სახით, სოფლური სიჭორფითა და ჯანით, მისი უყარებელი ხასიათითაც კი, რომელშიც მათ შეეძლოთ დაენახათ უწყინარობა, მორჩილება და უსიტყვობა მომავალი ქმრის მიმართ,—თვისებები, რაც ძვირფასია მათი უხეში პირუტყვობისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ მზითვის, დანათესაებისა და სხვ. იმედებზე. ხოლო ამ ორი თანრიგის ადამიანთა შუა მდგომარეობა ყველაზე ნაკლებად შეეძლოთ ტატიანას დაფასება. უნდა ითქვას, რომ ყველა ეს შუათანა არსებანი, რომელთაც უჭირავთ ადგილი უმაღლესი ბუნების ადამიანთა და კაცობრიობის მდაბიო ნაწილს შორის, ეს ტალანტები, რომლებიც ბრბოსთან გენიალობის დაჰაკავშირებელნი არიან. მეტწილად

ყველანი „იდეალური“ ადამიანები არიან და იმ იდეალურ ქალწულებს შეეფერებებიან, რომლებზეც ზემოთ ვლაპარაკობდით. ეს იდეალისტები თავის თავზე ფიქრობენ, რომ ისინი აღსავსენი არიან ვნებებით, გრძნობებით, მაღალი მისწრაფებებით, მაგრამ არსებითად მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მათ ფანტაზია განვითარებული აქვთ ყველა სხვა უნარის ხარჯზე, უმთავრესად გონების ხარჯზე. მათ აქვთ გრძნობა, მაგრამ უფრო მეტი აქვთ სანტიმენტალობა და ხალისი და უნარი — დააკვირდნენ თავიანთ შეგრძნებებს და მუდამ მათ შესახებ ილაპარაკონ. მათ აქვთ ჭკუაც, მაგრამ არა საკუთარი, არამედ წიგნში ამოკითხული, და ამიტომ მათს ჭკუაში ხშირად ბევრია ბრწყინვალეობა, მაგრამ არასოდეს არ არის საქმიანობა. მთავარი კი, რაც მათში ყველაზე ცუდია, რაც მათი ყველაზე სუსტი მხარეა, მათი აქილევსის ქუსლია, — ეს ის არის, რომ მათ არა აქვთ ვნებები, გარდა მხოლოდ თავმოყვარეობისა, და ისიც წვრილმანი თავმოყვარეობისა, რომელიც მათში იმით განისაზღვრება, რომ ისინი უსაქმოდ და უნაყოფოდ არიან გართულნი თავიანთი შინაგანი ღირსებების ჭვრეტით. ამ გულთბილ, მაგრამ ერთნაირად არა ცივ და არა ფიცხ ადამიანებს მართლაც შესწევთ უსუსური უნარი ერთი წაბით აენტონ ხოლმე ყველაფრისგანაც და არაფრისგანაც. ამიტომაც ისინი ლაპარაკობენ მხოლოდ თავიანთ მგზნებარე გრძნობებზე, მათი სულის შთაბნობებელ ცეცხლზე, მათი გულის ამაღლევებელ ვნებებზე, და ვერც კი გრძნობენ, რომ ყოველივე ეს მართლაც ქარიშხალია, ოღონდ არა ზღვაში, არამედ ჭიქა წყალში ამოვარდნილი. და არ არიან ადამიანები, რომლებსაც მათზე ნაკლებად შეეძლოთ ჭეშმარიტი გრძნობის დაფასება, ნამდვილი ვნების გაგება, ღრმად მგრძნობიარე, ბუნებით მგზნებარე ადამიანის გამოცნობა. ასეთი ადამიანები ვერ გაიგებდნენ ტატიანას: ისინი ყველანი ერთხმად გადასწყვეტდნენ, რომ თუ ის უგევანო სულელი არაა, მეტად უცნაური არსება მაინც არის, და რომ, ყოველ შემთხვევაში, ის ყინულივით ცივია, მოკლებულია გრძნობას და ვნების უნარს. მაშ აბა როგორ? ტატიანა უსიტყვოა, უკარებელი, მას არაფერი იტაცებს,

არაფერი ახარებს, არაფერი აღაფრთოვანებს; ის ყველაფრის მიმართ გულგრილია, არავის არ ეალერსება, არავისთან არ შეგობრობს, არავინ არ უყვარს, არ გრძნობს იმის მოთხოვნილებას, რომ თავისი სული, თავისი გულის ნადები სხვას გაუზიაროს და გადაუშალოს, ხოლო რაც მთავარია—არ ლაპარაკობს არც გრძნობებზე საზოგადოდ, არც თავის საკუთარ გრძნობებზე კერძოდ?.. თუ თქვენ ჩაფიქრებული ხართ და თქვენს სახეზე თქვენი შთანმთქმელი შინაგანი ცეცხლის აძოკითხვა არ შეიძლება,—მშვენიერი წვრილმანი გრძნობებით ესოდენ მდიდარი წვრილმანი ადამიანები მყისვე გამოგაცხადებენ თქვენ გულცივ არსებად, ეგოისტად, წაგართმევენ გულს და დაგიტოვებენ მხოლოდ ჭკუას, განსაკუთრებით, თუ თქვენ საკუთარი გრძნობის მიმართ ირონიზირების შიდა რეკილება გაქვთ, თუნდაც ეს გამოწვეული იყოს ამ გრძნობის შენიღბვის უბიწო სურვილით, რაკი თქვენ არ გიყვართ არც თამაში და არც თავის მოწონება ამ გრძნობით...

ვიმეორებთ: ტატიანა განსაკუთრებული არსებაა, ღრმა, მოსიყვარულე, მგზნებარე ბუნების ადამიანია. მისთვის სიყვარული შეიძლებოდა ყოფილიყო ან უდიდესი ნეტარება, ან ცხოვრების უდიდესი უბედურება, გარეშე ყოველგვარი შემარეგებლური შუათანა მდგომარეობისა. თუ ადამიანს სანაცვლო გრძნობის გამოწვევის ბედნიერება ექნება, ასეთი ქალის სიყვარული — თანაბარი, ნათელი აღია; წინააღმდეგ შემთხვევაში—უქრობი აღია, რომელსაც ნებისყოფის ძალა, შესაძლოა, გაძომყდავენების საშუალებას არ მისცემს, მაგრამ რომელიც მით უფრო დამანგრეველი და მწველია, რაც უფრო ჩაკლულია გულში. ბედნიერ ცოლს, ტატიანას მშვიდად, მაგრამ მაინც გატაცებით და ღრმად ეყვარებოდა თავისი ქმარი, მთლიანად შესწირავდა თავს ბავშვებს, ზთელი არსებით შეეწირებოდა თავის დედობრივ მოვალებებს, მაგრამ არა გონების, არამედ ისევ ვნების კარნახით, და ამ მსხვერპლში, თავის მოვალეობათა ზუსტად შესრულებაში ჰპოვებდა თავია უდიდეს სიამეს, თავის უმაღლეს ნეტარებას. და ყველაფერი ეს მოხდებოდა ფრაზების წარმოუთქმელად, განუსჯელად..

ისეთი სიმშვიდით, ისეთი გარეგნული უშფოთველობითა და გულცივობით, რომლებიც ღრმა და ძლიერი ადამიანების ღირსებასა და სილიადეს შეადგენენ. ასეთია ტატიანა. მაგრამ ეს მისი პიროვნების მხოლოდ მთავარი და, ასე ვთქვათ, ზოგადი თვისებებია. გადავავლოთ თვალი იმ ფორმას, რომლითაც წარმოგვიდგა ეს პიროვნება, გადავხედოთ იმ თავისებურებებს, რომლებიც ხასიათს შეადგენენ.

ადამიანს ჰქმნის ბუნება, მაგრამ განავითარებს და განანათლებს საზოგადოება. ცხოვრების ვერავითარი გარემოება ვერ იხსნის და ვერ დაიცავს ადამიანს საზოგადოების გავლენისაგან, ის ვერსად ვერ დაემალება, ვერსად გაექცევა საზოგადოებას. თვით ცდა დამოუკიდებლად, საზოგადოების გარეშე განვითარებისა, ადამიანს სძენს ჩალაც უცნაურობას, რალაც სიმახინჯეს, რასაც ისევ იმავე საზოგადოების დაღი აზის. აი რატომ არის, რომ ჩვენში ნიჭიერი და კარგი ბუნებრივი მიდრეკილების მქონე ადამიანები ხშირად ყველაზე აუტანელნი არიან; აი რატომ არის, რომ ჩვენში მხოლოდ გენიალობა იხსნის ხოლმე ადამიანს უხამსობისაგან. სწორედ ამავე მიზეზის გამო ჩვენ ასე ცოტა გვაქვს ჭეშმარიტი და ასე ბევრი გვაქვს მწიგნობრული, ამოკითხული გრძნობები. ვნებები და მისწრაფებანი; ერთი სიტყვით, ასე ცოტაა ჭეშმარიტება და სიცოცხლე გრძნობებსა, ვნებებსა და მისწრაფებებში და ასე ბევრია ფრაზიორობა ყოველივე ამაში. კითხვას, რაც ყველგან ვრცელდება, უდიდესი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის; კითხვაშია ჩვენი ხსნა და ჩვენი მომავლის ბედი, მაგრამ მასშივე არის, მეორე მხრით, ბევრი ზიანიც. ისევე როგორც ბევრი სარგებლობაც აწმყოსათვის. განვმარტოთ ეს. ჩვენი საზოგადოება, რომელიც განათლებულ წოდებათაგან შესდგება, რეფორმის ნაყოფია. ამ საზოგადოებას ახსოვს თავისი დაბადების დღე, იმიტომ რომ ის ოფიციალურად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე ნამდვილ არსებობას დაიწყებდა: დასასრულ, იმიტომ რომ ამ საზოგადოებას დიდხანს ჰქმნიდა არა სული, არამედ ტანსაცმლის თარგი, არა განათლება, არამედ პრივილეგია. ის დაიწყო ისევე, როგორც ჩვე-

ნი ლიტერატურა: უცხოური ფორმების პირის გადმოღებით გარეშე ყოველგვარი, ჩვენი თუ სხვისი, შინაარსისა, იმიტომ რომ ჩვენსაზე უარი ვთქვით, ხოლო სხვისი შინაარსისა არა თუ მიღება, არამედ გაგებაც კი არ შეგვეძლო. ფრანგებს ჰქონდათ ტრაგედიები: მოდი, ჩვენც ვწეროთ ტრაგედიები, და ბ-ნმა სუმაროკოვმა თავის თავში შეათავსა კორნელიც, რასინიც, ვოლტერიც. ფრანგებს ჰყავდათ სახელგანთქმული იგავთმწერალი ლაფონტენი, და ისევ იმავე ბ-ნმა სუმაროკოვმა, მისი თანამედროვეების სიტყვით, თავისი იგავებით დიდად გაუსწრო ლაფონტენს. ზუსტად ამგვარადვე, სულ მოკლე ხანში, ჩვენ გავიჩინეთ ჩვენი შინგაზრდილი პინდარები, პორაციუსები, ანაკრეონები, ჰომეროსები, ვირგილიუსები და ა. შ. უცხოური ნაწარმოებები მთლიანად აღსავე იყო სასიყვარულო გრძნობებით, სასიყვარულო თავგადასავლებით, და ჩვენც ამითვე დავიწყეთ ჩვენი თხზულებების გავსება. მაგრამ იქ წიგნის პოეზია ცხოვრების პოეზიის ასახვა იყო, ლექსის სიყვარული გამოხატულება იყო სიყვარულისა, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას და პოეზიას შეადგენდა; ჩვენში სიყვარული მხოლოდ წიგნში შევიდა და იქვე დარჩა. ეს ასე თუ ისე ახლაც გრძელდება. ჩვენ გვიყვარს მგზნებარე ლექსების, რომანების, მოთხრობების წაკითხვა, და ახლა ამგვარი კითხვა საძრახისად არ ითვლება ქალიშვილისთვისაც კი. ზოგერთი მათგანი თვითონაც კი ცოდვილობს, უსუსურ ლექსებს სწერს. ხანდახან არც თუ ცუდს. ამრიგად, ჩვენში ბევრს უყვარს სიყვარულზე ლაპარაკი, მის შესახებ კითხვა და წერა: მაგრამ თვით სიყვარული... ეს სხვა საქმეა! თუ კი ის, რასაკვირველია, მშობლების ნებართვით არის. თუ გატაცება შეიძლება კანონიერი შეუღლებით დაგვირგვინდეს, მაშინ რატომაც არ უნდა უყვარდეს! ბევრი ამას არა თუ ზედმეტად არ სთვლის, არამედ საჭიროდაც მიაჩნია, და. მზითევზე დაქორწინებულნი, სიყვარულზე ლაპარაკობენ... მაგრამ გიყვარდეს მხოლოდ იმიტომ. რომ გულს სიყვარული სწყუროს. გიყვარდეს და დაქორწინების იმედი არ გქონდეს, ყველაფერი შესწირო მიმზიდველ ცეცხლს ვნებისას—რას ბრძანებთ, როგორ

შეიძლება? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ შექმნა „ისტორია“, ასტეხო ვაი-უშველებელი, გახდეს საზოგადოების საზღაპროდ, შეურაცხყოფელი ყურადღების, დაგმობის, სიძულვილის საგანი; მეტიც—ზრდილობა, ზნეობის წესები, საზოგადოებრივი მოჩაღი... ა! მაშ თქვენ რამდენადაც ფრთხილი და კეთილგონივრულად წინდახედული, იმდენადვე ზნეობრივი ადამიანები ხართ! ეს კარგია; მაგრამ რატომღა ეწინააღმდეგებით საკუთარ თავს თქვენი მისწრაფებით ლექსებისა და რომანებისადმი, თქვენი გატაცებით პათეტიკური დრამით?—მაგრამ ეს პოეზიაა, ის კი ცხოვრებაა: რატომ ავრიოთ ისინი ერთმეორეში, დე თითოეულმა თავისი გზით იაროს; დე ცხოვრება აპათიურად სთვლემდეს, პოეზია კი მას თავშესაქცევარ სიზმრებს აწვდიდეს. — აი ეს სხვა საქმეა!..

მაგრამ ცუდი ის არის, რომ ამ სხვა საქმიდან აუცილებლად წარმოსდგება მესამე, საკმაოდ მახინჯი საქმე. როდესაც ცხოვრებასა და პოეზიას შორის არ არის ბუნებრივი, ცოცხალი კავშირი, მაშინ მათი ცალცალკე მტრული არსებობისაგან წარმოსდგება ყალბი პოეტური და უაღრესად ავადმყოფური, მახინჯი სინამდვილე. საზოგადოების ერთი ნაწილი, თავისი ღვიძლი აპათიის ერთგული, მშვიდად სთვლემს უხეში მატერიალური არსებობის სიბინძურეში; სამაგიეროდ მეორე, რიცხოვრივად ჯერ კიდევ მცირე, მაგრამ უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველნაირად ცდილობს, მოიწყოს პოეტური არსებობა, შეახამოს პოეზია ცხოვრებასთან. ამას ისინი ძალიან მარტივად და ძალიან უბრალოდ აკეთებენ. რადგან საზოგადოებაში ვერავითარ პოეზიას ვერ ხედავენ, ისინი მას წიგნებიდან იღებენ და მას უფარდებენ თავის ცხოვრებას. პოეზია ამბობს, რომ სიყვარული ცხოვრების სული და გულია: მაშ—უნდა გვიყვარდეს! სწორი სილოგიზმია, თვითონ გული გვიკარნახებს ამას გონებასთან ერთად! და აი, ჩვენი იდეალური ჭაბუკი ან ჩვენი იდეალური ქალწული ეძებს ადამიანს, რომელიც უნდა შეიყვაროს. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ იმაზე, თუ რომელ თვალეში უფრო მეტია პოეზია—ციხფერ თუ შავ თვალეში, — საგანი ბოლოს არჩეულია.

იწყება კომედია—და სერიც! ამ კომედიაში ყველაფერია: ამოოხვრაც, ცრემლიც, ოცნებაც, მთვარიან ღამით გასეირნებაც, სასოწარკვეთაც, ეჭვიანობაც, ნეტარებაც, ახსნაც,—ყველაფერი, გარდა ქეშმარიტი გრძნობისა... განა საკვირველია, რომ ამ ტაკიმასხარული კომედიის უკანასკნელი აქტი ყოველთვის გულის გატეხით მთავრდება, და მერე რაზე?—თავის საკუთარ გრძნობაზე, საკუთარ სიყვარულის უნარზე?.. ამავე დროს კი, ამგვარი წიგნიერი მიმართულება ერთობ ბუნებრივია: განა წიგნმა არ აიძულა მანჩელი, გულკეთილი, ჭკვიანი და კეთილშობილი მემამულე რაინდ დონ-კიხოტად ქცეულიყო, ქაღალდის აბჯარი აესხა, მკლე როსინანტზე შესკუბებულიყო და გზას გასდგომოდა ამ ქვეყნად მშვენიერ დულცინეას საძებნად, თანაც გზადაგზა ცხვრებთან და წისქვილებთან ებრძოლნა? ხოლო რამდენი სხვადასხვა დონ-კიხოტი იყო ჩვენში ოციან წლებსა და ახლანდელ თაობებს შორის განვლილ პერიოდში? ჩვენში იყვნენ და არიან სიყვარულის, მეცნიერების, ლიტერატურის, რწმენის, სლავიანოფილობისა და კიდევ ღმერთმა უწყის რის დონ-კიხოტები, ყველას ვერ ჩამოსთვლი! ზემოთ ვლაპარაკობდით იდეალურ ქალწულებზე; ხოლო რამდენი საინტერესო რამ შეიძლება ითქვას იდეალურ ჭაბუკებზე! მაგრამ საგანი იმდენად მდიდარი და დაუშრეტელია, რომ სჯობს მას არ შევებხოთ, პუშკინის ტატიანა რომ მთლად არ მიგვაიწყდეს.

ტატიანა ვერ გაექცა სამწუხარო ბედს და იმ იდეალურ ქალწულთა წყებაში მოჰყვა, რომლებზეც ჩვენ ვლაპარაკობდით. მართალია, ჩვენ ვთქვით, რომ ის უდიდესი გამოჩაქვითია მსგავს მოვლენათა სამყაროში—თქო,—და ახლაც ჩვენ სიტყვებზე უარს არ ვამბობთ: ტატიანა სიცოცხს კი არ იწვევს, არამედ ცხოველ თანაგრძნობას.—მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ იგი თითქოს სრულებით არ ჰგავდეს „იდეალურ ქალწულებს“, არამედ იმიტომ, რომ მისმა ღრმა, მგზნებარე ბუნებამ მასში დაჩრდილა ყველაფერი ის, რაც ამგვარ იდეალურობაში სასაცილო და უხამსია, და ტატიანა ბუნებრივად სადა

დარჩა თვით იმ ფორმის ხელოვნურობისა და სიმახინჯის პირობებშიც, რომელიც ამ ქალიშვილს მისმა გარემომცველმა სწამდვილემ მიანიჭა. ერთი მხრით —

ვადმოცემები ძველი დროების
ტანიას სწამდა. ის უჯეროდა
ნახულ ზმანებებს და მკითხაობას,
მთვარიასაც დიდი იმედი ჰქონდა.
მას აზინებდა ხოლმე ნიშნები:
მისთვის ფარულად ყველა საგნები
რალაცა უცხოს მოასწავებდა
და წინაგრძნობით გულს უწვრილებდა.

შეორე მხრით, ტატიანას უყვარდა მინდვრად ხეტიალი, როდესაც მას

კაეშნიანი თვალი უბრწყინავს,
ხელში ფრანგული წიგნი უჭირავს.

უხეშ ვულგარულ ცრურწმენათა ეს საკვირველი შეერთება ფრანგული წიგნების სიყვარულთან და მარტინ ზადეკის ღრმა ქმნილებებისადმი პატივისცემასთან, შესაძლებელია მხოლოდ რუს ქალში. ტატიანას მთელი შინაგანი სამყარო სიყვარულის წყურვილი იყო; მის სულს სხვა არაფერი ელაპარაკებოდა; მის გონებას ეძინა, და მხოლოდ ცხოვრების მძიმე სევდას თუ წეეძლო ამ გონების გამოღვიძება შემდეგ, და ისიც იმისათვის, რომ ვნება შეეკავებინა და იგი კეთილგონივრული მორალის ცივი ანგარიშისადმი დაემორჩილებინა... მისი ქალწულობის დღეები სრულ უსაქმურობაში გადიოდა; ამ დღეებში ერთმანეთს არ სცვლიდა შრომა და მოცალეობა, არ იყო განათლებული ცხოვრების დამახასიათებელი ის რეგულარული მეცადინეობა და გართობა, რაც ადამიანის ზნეობრივ ძალებს წონასწორობას აძლევს. მთლიანად თავისი თავის აშარად მიტოვებულმა ველურმა მცენარემ, ტატიანამ თვითონ შეიქმნა თავისი საკუთარი ცხოვრება, რომლის სიცარიელე-

ში მისი დამწველი შინაგანი ცეცხლი მით უფრო ბობოქრობდა, რომ მის გონებას სამუშაო საგანი არა ჰქონდა.

— დიდიხანა მის წარმოდგენას
სწვავდა ალერსი და ნაზი სევდა.
საბედისწერო საზრდოს ეძებდა.
დიდიხანა გულის მოწყენა
მკერდს უხუთავდა, გრძნობდა სიმძიმეს,
და მისი სული ელოდა... ვიწმეს.

და ის ეღირსა. თვალი თვალს ეცა,
და მან სთქვა: „სწორედ აი ის არის!“
მაგრამ, ვაჰ, ფიქრი ღლეც და ლამეცა
და ცეცხლოვანი მისი სიზმარი
უპყრია იმ ვაქს. და ასულს სათუთს
ჯადოსნურ ძალით მუდამ. ყოველ წუთს
ია აგონდება

სამაგიეროდ იგი როჰანებს
კითხულობს, მათში რომ ჰპოვოს შვება
თავდავიწყებით, თითქოს ნეტარებს,
მაცდურ ტყუილებს რომ ეწაფება.
ბედნიერ ძალით — ფრთიან ოცნებით
ანაზღვეულად განაცოცხლები
შეყვარებული იულია ვოლმარის,
მალეკ-ადელი და დე-ლინარის,
ვერტერი, ტრფობით განაწამები
და გრანდისონი, ტოლი რომ არ ჰყავს
(რომელიც ახლა უკვე გვაწყენს თავს), —
ჩვენს ტატიანას სულ ეს გმირები
წარმოედგინა ერთ პიროვნებად,
იგი ონეგინს ადარებდა მათ.

ტანიამ თავი წარმოიდგინა
ჩიეულ ავტორთა გმირ-ჟალთა დარად. —
არის კლარისა, იულია, დელფინა.
განმარტობით წყნარ ტყეში მარად

დადის, საშიშარ წიგნებს კითხულობს,
მათში ეძებს და კიდევ ნახულობს
ქალწული გულის სისავსის ნაყოფს,
რაც ფარულ ზრახვებს ოცნებით ამკობს.
ხხრავს და წუთით ისაკუთრებს მათს
აღფრთოვანებას და გასაჭირსა,
თავდავიწყებით ზეპირობს ისა
ძვირფას გამირისთვის მისაწერ ბარათს...

აქ ვნება წიგნმა როდი აღძრა, მაგრამ ვნება მაინც არ შეიძლებოდა რამდენადმე მწიგნობრული სახით არ გამოჩენილიყო. რატომ უნდა წარმოედგინა ონეგინი ვოლმარად, მალეკ-აღელად, დე-ლინარად და ვერტერად (მალეკ-აღელი და ვერტერი: განა იგივე არაა, რაც ერუსლან ლაზარევიჩი და ბაირონის მეკობრე)?—იმიტომ, რომ ტატიანასთვის არ არსებობდა ნამდვილი ონეგინი, რომლის მას არც გაგება შეეძლო და არც ცნობა; მაშასადამე, ტატიანას აუცილებლად უნდა მიეცა მისთვის რაიმე მნიშვნელობა, წიგნიდან ნასესხები და არა ცხოვრებიდან აღებული, იმიტომ რომ ტატიანას არც ცხოვრების გაგება და ცოდნა გააჩნდა. რატომ უნდა წარმოედგინა ტატიანას თავისი თავი კლარისად, იულიად, დელფინად? იმითომ, რომ მას თავისი თავისაც ისევე ნაკლებად გაეგებოდა, თავის თავსაც ისევე ნაკლებად იცნობდა, როგორც ონეგინს. ვიმეორებთ: ვნებიანი, ღრმად მგრძნობიარე, და იმავე დროს განუვითარებელი, თავისი ინტელექტუალური არსებობის ბნელ სიცარიელეში მაგრად ჩაკეტილი არსება, ტატიანა, როგორც პიროვნება, ჩვენ წარმოგვიდგება მსგავსად არა ნატიფი ბერძნული ქანდაკებისა, რომელშიც ყოველგვ შინაგანი ესოდენ გამჭვირვალედ და მკვეთრად გამოხატულა გარეგან სილამაზეში, არამედ მსგავსად უძრავი, მძიმე და შეკრული ეგვიპტური ქანდაკებისა. უწიგნოდ ის სრულიად მუნჯი არსება იქნებოდა, და მისი მგზნებარე და გამშრალი ენა ვერცერთ ცოცხალ, ვნებიან სიტყვას ვერ იპოვნიდა, რომლითაც მოზღვავებულ გრძნობათა სიმძიმეს შეიმსუბუქებდა. და თუმცა ონეგინისადმი ტატიანას ვნების უშუალო წყარო

იყო მისი მგზნებარე ნატურა, მისი უსაზღვრო წყურვილი თანაგრძნობისა, — ეს ვნება მაინც რამდენადმე იდეალურად დაიწყო. ტატიანას არ შეეძლო ლენსკი შეეყვარებოდა და კიდევ უფრო ნაკლებად შეეძლო შეეყვარებოდა ვინმე მისთვის ცნობილ ზამაქაცთაგან: ისე კარგად იცნობდა იგი მათ და იმდენად ნაკლებ საზრდოს აძლევდნენ ისინი მის ეგზალტირებულ, ასკეტურ წარმოდგენას... და უეცრად გამოჩნდება ონეგანი. იგი მთლიანად გარშემორტყმულია საიდუმლოებით: მისმა არისტოკრატიზმმა, მისმა საზოგადოებაში გამოსულობამ, უდავო უპირატესობამ მთელი ამ წყნარი და უხამსი სამყაროს მიმართ, რომელსაც იგი ასეთ მეტეორად მოევლინა, მისმა გულგრილობამ ყველაფრისადმი, ცხოვრების უცნაურობამ, — ყოველივე ამან წარმოშვა ჩუმი მითქმა-მოთქმა, რომელსაც არ შეიძლებოდა ზეგავლენა არ მოეხდინა ტატიანას ფანტაზიაზე, არ შეიძლებოდა არ განეწყო, არ მოემზადებინა იგი ონეგინთან პირველი შეხვედრის გადამწყვეტი ეფექტისათვის. და ტატიანამ დაინახა იგი, და ონეგინი მის წინაშე წარსდგა უხალგაზრდა, ლამაზი, მარჯვე, ბრწყინვალე, გულგრილი, მოწყენილი, გამოუცნობი, მიუწვდომელი, წარსდგა როგორც სრულიად აუხსნელი საიდუმლოება ტატიანას განუვითარებელი გონებისათვის, როგორც მთლიანი ცთუნება მისი უცნაური ფანტაზიისათვის. არიან არსებანი, რომელთა ფანტაზია გაცილებით მეტ გავლენას ახდენს გულზე, ვიდრე ჰგონიათ. ტატიანა ასეთი არსება იყო. არიან ქალები, რომელთაც საკმარისია აღტაცებული, აღზნებული ეჩვენოთ, და ისინი თქვენია; მაგრამ არიან ქალები, რომელთა ყურადღებას მამაკაცი მიიზიდავს მხოლოდ გულგრილობით, გულცივობითა და სკეპტიციზმით, როგორც ცხოვრებისადმი უდიდეს მოთხოვნათა ნიშნებით ან როგორც ბოზოქრად და სრულად გატარებული ცხოვრების შედეგით: საბრალო ტატიანა ასეთ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა...

ტანიას დენის სევდა ტრფობისა,
და ბალში გადის, რომ იწუხაროს,
წამს უძრავ თვალებს ძირს დახრის ისა,

ჩერდება, უკირს რომ გაიაროს.
 ამოებურთა მკერდი, ლაწვები
 უეცარ ცეცხლით თითქოს ეწვება,
 ბაგეზე სუნთქვა მას გაეყინა,
 ყური უბეუს, თვალი უბრწყინავს...
 დაღამდება და დაუვლის მთვარე,
 როგორც გუშაგი, თავანებს ცისას,
 ზომაჯადოები ხმა ბულბულისა
 შეარხევს ჰანგით ღამის სიწყნარეს.
 ტანის მინც ჯერ კიდევ ღვიძავს,
 ესაუბრება ის თავის ძიძას.

ტატიანას საუბარი გამდელთან—მხატვრული სრულქმნილების სასწაულია! ეს არის ღრმა ჭეშმარიტებით გამსჭვალული მთელი დრამა. ამ დრამაში საოცარი სისწორით არის გამოსახული რუსი ქალიშვილი მისი გულისდამლევი ვნების გავლივების ჟამს. გულში ჩახშობილი გრძნობა ყოველთვის გამელავენებას მოითხოვს, განსაკუთრებით ჯერ კიდევ ახალი, ჯერ კიდევ გამოუცდელი ვნების პირველ პერიოდში. ვის გადაუშალოს გული?—დას?—მაგრამ იგი ისე ვერ გაუგებს ტატიანას. გამდელი სრულებით ვერ ჭაუგებს; მაგრამ სწორედ ამიტომ უმელავენებს მას ტატიანა თავის საიდუმლოებას, ან, უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ არ უმალავს იგი გამდელს თავის საიდუმლოებას.

...„შიამბე, ჩემო გამდელო,
 გაშაგებინე შენი წარსული,
 გამოგიცდია შენ სიყვარული?“
 — რას ამბობ, ტანია! მაშინ, იმ დროში,
 არც კი გვსმენია ჩვენ სიყვარული,
 თორემ მისროდა საიჭიოში
 შე ღედამთილი, განსვენებული.
 „როგორ გათხოვდი აბა, მითხარი?“
 — ჩანს უფალს სურდა. ის ჩემი ქმარი,
 უმცროსი იყო ჩემზე, საწყალი.
 მე ცამეტი წლის ვიყავი ქალი.
 საქმეს მიწყობდა მე მაქანკალი.

ვხედავდი: ხშირად წავა და მოვა.
 შემდეგ კი შამა გამომეტხოვა,
 დამლოცა. — ვიგრძენ გულის კანკალი;
 დაშლილ დალალთ, ცრემლებით თვალში,
 მე შემეყვანეს ეკლესიაში.
 და უცხო ოჯახს იქ გავეცანი...

აი როგორ სწერს ჭეშმარიტად ხალხური, ჭეშმარიტად ეროვნული პოეტი! გამდელის უბრალო და ხალხურ სიტყვებში, სადაც არ გვხვდება ტრივიალობა და უხამსობა, მოცემულია ხალხის შინაგანი ოჯახური ცხოვრების სრული და ნათელი სურათი, ხალხის შეხედულება სქესთა ურთიერთობაზე, სიყვარულზე; ქორწინებაზე... და ეს დიდ პოეტს გაკეთებული აქვს გაკვრით, გზადაგზა გავლებული ერთი ხაზით!.. რა კარგია ეს უბრალო და წრფელი სტრიქონები:

— რას ამბობ, ტანია! მაშინ, იმ დროში,
 არც კი გვქმენია ჩვენ სიყვარული,
 თორემ მისროდა საიქიოში
 მე დედამთილი; განსვენებული 17.

დიდად დასანანია, რომ სწორედ ამგვარი ხალხურობა არ გააჩნია მრავალ ჩვენს პოეტს, რომლებიც ასე ზრუნავენ ხალხურობისათვის — და მხოლოდ ქუჩური უხამსობა გამოუდით...

ანაზღად ტატიანა გადასწყვეტს ბარათი გაუგზავნოს ონეგინს: ეს გულუბრყვილო და კეთილშობილური გულისთქმაა; მაგრამ მისი წყაროა არა ცნობიერება, არამედ ცნობიერების უქონლობა: საბრალო ქალიშვილმა არ იცოდა რას აკეთებდა. შემდეგ, როდესაც იგი დიდგვაროვანი ქალბატონი გახდა, მისთვის სრულებით გაჰქრა ასეთ გულუბრყვილო და დიდსულოვან გულისთქმათა შესაძლებლობა... ტატიანას ბარათმა კჳუიდან შეშალა ყველა რუსი იკითხველი, როდესაც „ონეგინის“ შესაბამე თავი გამოქვეყნდა. ჩვენ, ყველასთან ერთად, ეფიქრობდით მასში დაგვენახა ქალის გულწრფელობის უმაღ-

ლესი ნიმუში. თვითონ პოეტი, ეტყობა, ყოველგვარი ირონიის, ყოველგვარი ფარული აზრის გარეშე, სწერდა და კითხულობდა კიდევ ამ ბარათს. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ტატიანას ბარათი ახლაც ჩინებულია, თუმცა ოდნავ რაღაც ბავშვურის, რაღაც „რომანტიკულის“ ელფერი დაჰკრავს. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ვნებათა ენა ესოდენ ახალი და მიუწვდომელი იყო ზნეობრივად შეურყვნელ ტატიანასათვის; ის თავის საკუთარ შეგრძნებათა ვერც გაგებას და ვერც გამოხატვას ვერ შესძლებდა, იმ შთაბეჭდილებათა დანმარებისათვის რომ არ მიემართნა, რომლებიც მის მენსიერებაში დასტოვა მის მიერ უაზროდ და განურჩევლად წაკითხულმა ცუდმა და კარგმა რომანებმა... ბარათის დასაწყისი ჩინებულია: ის გამსჭვალულია უბრალო გულწრფელი გრძნობით; მასში ტატიანა თავისი-ნამდვილი სახით წარმოგვიდგება.

ჰა, ჩემი წიგნი — და ამის მეტი
რა უნდა გიოხრათ, რა მაქვს სათქმელი?
თქვენ ჩემი ბედის ხართ ვადამწყვეტი,
ნება გაქვთ გმობით მომცეთ საბჯელი.
მაგრამ თუნდ წვეთი სიბრალულისა
ჩაგრულმა ხვედრმა თქვენში თუ ჰპოვა,
თქვენ არ გამწირავთ და არ დამტოვებთ.
პირველად ძლიერ მსურდა სიჩუმე,
და, დამიჯერეთ: თქვენ ვერასოდეს
ვერ გაიგებდით, რა მტანჯავდა მე,
რომ იმედები მაინც მქონოდეს
კვირაში ერთხელ თქვენთან შეხვედრის.
მე ვიქნებოდი მორჩილი ხვედრის,
მხოლოდ ხმა თქვენი რომ მომესმინა,
საუბარის დროს მეც მეთქვა რამე,
მერე, მოფიქრალს თქვენზე დღე-ღამე,
კვლავ შეხვედრადის ვერ დამეძინა.
მაგრამ, ამბობენ, ხართ უკარელი
და ყრუ სოფელი მეტად გაღონებთ.
ჩვენ კი... თავს, აბა, რით მოგაწონებთ,
თქვენა სტუმრობის თუმც ვართ მსურველი.

თქვენ ჩვენთან რატომ შემოიარეთ?..
 აჰ დავიწყებულ და ყრუ სოფელში
 ვერ დამტანჯავდნენ გრძნობები მწარედ,
 ვერ გაგიცნობდით მე თქვენ ჩემს დღეში.
 და გამოუცდელ ჩემს სულს, მღელვარეს,
 დავიწყნარებდი, მწამს, როგორმე და
 ვინმეს ვნახავდი შიშენდო გული,
 შევიქნებოდი ცოლი ერთგული,
 კეთილშინახველი და სათნო დედა ¹⁴.

ჩინებულია აგრეთვე ბარათის ბოლო სტრიქონები:

მაინც მე ბედი
 შენ ჩავაბარე. ხსნას შენგან ველი,
 თვალცრემლიანის შენ ხარ იმედი.
 წარმოიდგინე: სიობლე ძნელი
 ჩემი არავის არ გაეგება,
 ულაჯოა ქუუა-გონება
 და უნდა მოვკვდე სიტყვაუთქმელი.

ტატიანას ბარათში ყველაფერი ჭეშმარიტია, მაგრამ ყვე-
 ლაფერი უბრალო როდია: ჩვენ ამოვიწყრეთ მხოლოდ ის,
 რაც ჭეშმარიტიცაა და უბრალოც ერთად. ჭეშმარიტებასთან
 უბრალოების შეთავსება უმაღლესი სილამაზეა გრძნობისაც,
 საქმისაც და გამოსხატვისაც...

შესანიშნავია, რა დიდი მონდომებით ცდილობს პოეტი გა-
 მართლოს ტატიანას გამბედაობა — დაეწერა და გაეგზავნა ეს
 ბარათი; ეტყობა, პოეტი ძალიან კარგად იცნობდა იმ საზოგა-
 დოებებს, რომლისთვისაც სწერდა...

ვიცნობდი ტურფებს, მიუკარებლებს,
 ცივებს, ფაქიზებს — მსგავსებს ზამთრისა,
 შოუსყიდველებს, შეუბრალებლებს,
 მიუწვდომელებს გონებრისთვისა.
 მიკვირდა მათი თავმოწონება
 და ბუნებრივი კვლავ სათნოება.
 უნდა გამოვტყდე, მათ გაეუბრბოდი

და, მახსოვს, შიშით მე ვკითხულობდი
 მათ შუბლზე ნაწერს ჯოჯოხეთისას:
 გამოეთხოვე ყოველგვარ იმედს!
 ტრფობას უტკეპრდნენ, ვით რისხევას ბედის,
 მათრთხობელები იყვნენ კაცისა.
 ნევაზე ასეთ ქალთა მნახველი,
 ზქნება, თქვენც კი იყოთ, მკითხველო.

მე შევხვედრივარ კიდევ სხვა ქალებს,
 თაყვანისმცემელ ჰაბუთა შორის
 თავმოყვარულად მუდამ გულგრილებს,
 რომელნიც ოხვრას და კრთომას შრრით
 ხედებოდნენ ცივად და, საკვირველად
 აღმოჩნდებოდა, ამ საქციელით
 აშინებდნენ რა სათუთ სიყვარულს,
 კვლავ იზიდავდნენ ჰაბუკების გულს
 თუნდ დანანებით და სიბრალულით;
 ასე თუ იპე, სიტყვა იმათი
 ეჩვენებოდათ უფრო სათუთად,
 და მოარშიყე დაბრმავებული
 მათ სიახლოვით კვლავ გრძნობდა შეებას,
 კვლავ სდევდა ნარნარ ამაოებას.

ტანიას შეტი დანაშაული
 რაში მიუძღვის? რომ გატაცებას
 ემორჩილება იმისი გული
 და ის ენდობა რჩეულ ოცნებას?
 რომ ვაჟი უყვარს მას წრფელი გულით,
 ახალგაზრდულად, გრძნობებით სრულით,
 რომ მოქმედებას არ ზომავს ფრთხილად,
 რომ ზეციდან აქვს თანდაყოლილი
 ოცნება მუდამ შემფოთებელი,
 ნებისყოფა და კეჟა ცოცხალი,
 თავისებური რომ არის ქალი
 და აქვს მღელვარე, სათუთი გული?
 არ აპატიებთ, ნუთუ, თქვენ იმას
 უნებათა ღელვის განუსჯელობას?

ეკლუცი მსგელობს მუდამ გულგრილად,
 ტატიანას უყვარს ძლიერი ტრფობით
 და ტრფიალებას იგი ნამდვილად
 ეძლევა წრფელი, ბავშვური გრძნობით.
 იგი არ ამბობს: ჯერ დავიცადოთ,
 სიყვარულს ფასი მით მოვემატოთ;
 რომ გაადვილდეს ვაჟის დაქერა,
 თავმოყვარებას ვუჩქმებოთ ჯერა,
 ხან იმედებით, ხანაც გაწყრომით
 ვაწამოთ ის და ისევე მალე
 გამოვაცოცხლოთ ეკვების ალით;
 თორემ მოიწყენს მეტი განცხრომით
 და ტყვე ვერაგი და არამზადა
 ბორკილს გაექცეს, იქნებ, მზადაა.

აი კიდევ „ონეგინის“ ნაწყვეტი, რომელიც ავტორმა ამ
 პოემიდან ამოიღო და ცალკეა დაბეჭდილი მის თხზულებათა
 კრებულის IX ტომში (გვ. 460):

ო, თქვენ, რომელთაც გაყვარდათ ისე,
 რომ მშობლებს არც კი ეცითებოდით,
 ნაზ გულს სათუთად თქვენ ინახავდით
 და სიყმაწვილის გრძნობით სტკებებოდით,
 სტკებოდით ლხენით, საამო შებებით, —
 ქალწულნო! ოდეს ფარულად ტკბილი
 ბარათი თქვენი თუ გაგისხნიათ,
 ამოგიკითხავთ სატრფოს ჩივილი,
 ან სანუკვარი თქვენი კულული
 მორცხვად ჩავიდევთ თამამის ხელში,
 ან კიდევ უხმოდ, სევდით შეპყრობილთ,
 განშორების ჟამს, ცრემლების თქემში,
 გაგიბედნიათ კოცნა ტრფობისა,
 თუმცაღა თართოდით, მწარედ ლელავდით, —
 თქვენ ნუ დასძრახავთ ჩემს ტატიანას,
 ქალს თავქარიანს (?), მართალს ყელამდის.
 ნუ იმეორებთ ასე გულცივად
 ზვიად მსაჯულთა განჩინებასა.
 თქვენ კი, ქალწულნო უმუნათონო!
 მანკია სიტყვაც რომ ისე გაშინებთ

დღეს, როგორც გველი, უხსენებელი,
 თქვენც მოისმინეთ ეს რჩევა ჩემი,
 სიტყვა მართალი ნუ შეგაშინებთ:
 ვინ იცის? იქნებ, ცეცხლოვან სევდით
 თქვენც ჩაიფერფლოთ, დაგწვათ ვაებამ. —
 და ხვალ კორების ჩქარმა სამსჯავრომ
 მოდაში შესულ გმირს მიაწეროს
 გამარჯვებანი საბედისწერო:
 თქვენ სიყვარულის გეძებთ ღვთაება.

ოღონდ საექვოა რომ იპოვნოს, დავსძენთ ჩვენის მხრივ პროზით. შეუძლებელია არ გებრალეობდეს პოეტი, რომელიც თავს იძულებულად სთვლის ამნაირად გაამართლოს თავისი გმირი ქალი საზოგადოების წინაშე—და მერე რაში? — იმაში, რაც შეადგენს ქალის არსს, მის საუკეთესო უფლებას არსებობისას—რომ მას აქვს გული და არა კორსეტი დაფარული ცარიელი ორმბი!.. მაგრამ კიდევ უფრო შეუძლებელია არ გებრალეობდეს საზოგადოება, რომლის წინაშე პოეტი თავს იძულებულად სთვლიდა გაემართლებინა თავისი რომანის გმირი იმაში, რომ იგი ქალია და არა ქალის მსგავსად გამოთლილი მორი. და ყველაზე სავეალალო ამაში ის არის, რომ პოეტი განსაკუთრებით ცდილობს გაამართლოს თავისი ტატიანა ქალების წინაშე... და სამაგიეროდ, რა სიმწარით ლაპარაკობს იგი ჩვენს ქალებზე ყველგან, სადაც ეხება საზოგადოებრივ უსიტუაციულობას, გულცივობას, ქედმაღლობასა და უგულობას. როგორ გამოირჩევა აი ეს სტროფი „ონეგინის“ პირველ თავში:

ბანოვანებო მაღალ წრეების,
 მისგან თქვენ ადრე დარჩით მარტონი.
 და თუ სიმართლე გნებავთ, ჩვენს წლებში
 მოსაწყენია მაღალი ტონი.
 შესაძლო არის, ზოგიერთ დამას
 კარგად ესმოდეს სეი, ბენტამი,
 მაგრამ საერთოდ მოგაწყენს მათი
 გულუბრყვილო და ფშუტე კამათი.

მეორეც, ისე უმანკოები
 არიან ყველა და ჰკვიანები,
 კეთილმორწმუნე და სათნოები,
 წინდახედულნი, რიგიანები,
 რომ ვაჟი გრძნობებს ვერ განუცხადებს,
 ჰათი დანახვა ყველგან სკლისს ბადებს.

ეს სტროფი უნებლიეთ მოგვაგონებს შემდეგ სტრიქონებს.
 რომლებიც პოემაში არ შესულა და ცალკე დაიბეჭდა (ტ. IX:
 გვ. 190):

ყინვა და მზეა — დღე დიდებული!
 ჩვენს ბანოვნებს კი, ჩანს, ეზარებათ
 ძირს ჩამოსვლა და წვეის ნაპირად
 ცივ სილამაზით გაბრწყინვალება:
 სხედან — ამაოდ მოუხმობს იმათ
 გრანიტი, ქვიშით გამოფენილი.
 ჰკვიანურია აღმოსავლური
 სისტემა, ქვეყნად გადმოვლენილი.
 და მართალია მოხუცთ ადათი,
 ცნობილია და ხშირად ქებულა:
 ეს ბანოვანი ჰარამხანისთვის
 ან მონობისთვის დაბადებულან..

მაგრამ აღმოსავლეთშიც არის პოეზია ცხოვრებაში, ვნება
 შეიპარება ხოლმე ჰარამხანაშიც... სამაგიეროდ ჩვენში მე-
 ფობს სასტიკი ზნეობა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულა,
 ხოლო მის ღიღმა ხანდახან ცხოვრების ისეთი არა პოეტური
 პოეზიაა, რომელსაც, თუ გამოიყენებს პოეტი, ცხადია, უკვე
 არა პოემისათვის...

ჩვენ რომ პუშკინის პოემის მთელ სილამაზეს გამოვდგო-
 მოდით, მაღალი მხატვრული ოსტატობის ყველა ნიშანზე რომ
 მიგვეთითებინა, ამ შემთხვევაში არც ჩვენს ამონაწერებს,
 არც ჩვენს სტატიას დასასრული არ ექნებოდა. მაგრამ ეს ზედ-
 მეტად მიგვაჩნია, იმიტომ რომ ეს პოემა დიდი ხანია შეაფა-
 სა საზოგადოებამ და მისი ყოველი საუკეთესო რამ ყველას
 ახსოვს. ჩვენ სხვა მიზანი დავისახეთ: შესაძლებლობისამებრ
 გამოგვევლინებინა პოემის დამოკიდებულება იმ საზოგადოე-
 ბისადმი, რომელსაც იგი ასახავს. ამჯერად ჩვენი სტატიის.

საგანია ხასიათი ტატიანასი, როგორც რუსი ქალის წარმომადგენლისა. ამიტომ ვტოვებთ მთელ მეოთხე თავს, რომელშიც ჩვენთვის მთავარია ონეგინის საუბარი ტატიანასთან ამ უკანასკნელის ბარათის საპასუხოდ. გასაგებია, როგორ იმოქმედა ტატიანაზე ამ საუბარმა: საბრალო ქალიშვილის მთელი იძულები იმსხვრეოდა, და ტატიანა კიდევ უფრო ღრმად ჩაიკეტა საკუთარ არსებაში გარეშე სამყაროსათვის. მაგრამ დამსხვრეულმა იმედმა ტატიანაში ვერ ჩააქრო ცეცხლი, რომელიც მას სწვავდა: ეს ცეცხლი მით უფრო გაღვივდა და გაძლიერდა, რაც უფრო ღრმა და გამოუვალი გახდა. უბედურება ვნების ახალ ენერჯიას ჰმატებს აღგზნებული წარმოსახვის მქონე ადამიანებს. მათ მოსწონთ კიდევ თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა; მათ უყვართ თავიანთი სევდა, შეფრთხიანი თავიანთ ტანჯვას, მას, შესაძლოა, უფრო მეტადაც აფასებენ, ვიდრე თავიანთ ბედნიერებას დააფასებდნენ, ბედნიერება რომ წილად ხედომოდათ... და თანაც ჩვენი საზოგადოების უსიერ ტყეში სად და ან კი მალე შეხვდებოდა ტატიანა სხვა არსებას, რომელიც, მსგავსად ონეგინისა, შესძლებდა მისი წარმოსახვის მონადირებას და მისი სულის ცეცხლის სხვა საგნისაკენ წარმართვას? საზოგადოდ უბედური, გაუზიარებელი სიყვარული, რომელიც დაჟინებით შეუპყრია იმედს, საკმაოდ ავადმყოფური მოვლენაა, რომლის მიზეზი, მეტად იშვიათ და, ალბათ, წმინდა ფიზიოლოგიურ მიზეზთა გამო, სულის სხვა უნართა ხარჯზე. ერთობ განვითარებული ფანტაზიის ეგზალტაცია უნდა იყოს. მაგრამ როგორც უნდა იყოს. ფანტაზიისაგან წარმომდგარი ტანჯვა გულს მძიმედ ხვდება და ზოგჯერ უფრო ძალუმადაც ღრღნის, ვიდრე ის ტანჯვა, რომლის ფესვები თვით გულშია. ტატიანას შინაგანი, ვისთვისმე გაუზიარებელი ტანჯვის სურათი გამოხატულია მუხუთე თავში გასაოცარი ჭეშმარიტებითა და სისადავით. ონეგინის დაცარიელებულ სახლში ტატიანას მისვლა (მეშვიდე თავში) და ამ მიტოვებული ბინისაგან მასში აღძრული გრძნობები, ბინისა, რომლის ყველა ნივთს მისი მიმტოვებელი პატრონის სულისა და ხასიათის ესოდენ მკვეთრი დალი აჩნდა,—

პოემის საუკეთესო ადგილებს და რუსული პოეზიის უძვირფასეს საუნჯეებს მიეკუთვნება. ტატიანამ არაერთხელ განიმეორა ეს მისვლა, —

ისევ ეწვია იმ ყრუ სასახლეს.
და საღ სიჩუმე სუფევდა მკედრული,
მან დაივიწყა ქვეყანა სრული.
ოთახში მარტო დარჩა თუ არა,
დაჯდა და დიდხანს ცრემლები ღვარა.
შემდეგ კი წიგნებს იქ ხელი მიჰყო.
თუმც არ ფიქრობდა მათზე პირველად,
მაგრამ ეჩვენა ქალს საკვირველად
მათი შერჩევა. კითხვა დაიწყო,
დაინტერესდა და თანდათანა
მან დაინახა ხულ სხვა ქვეყანა.

და ტატიანა ახლა მარტოკა
იწყებს იმ კაცის ნელ-ნელ გაცნობას,
ვინც მისი გული ასე ატოკა,
ვინაც აღლევება მის სათეთ გრძნობას;
ვისზედაც ოხრავს ავბედით ქალი...

ნეთუ მან ახსნა ეს ამოკანა?
რასაც ეძებდა ნეთუ იპოვა?

ამრიგად, ბოლოს, ტატიანაში მოხდა შემეცნების აქტი: მისმა გონებამ გაიღვიძა. მან გაიგო, ბოლოს, რომ ადამიანისათვის კიდევ არსებობს სხვა ინტერესები, არსებობს ტანჯვა და ურვა, გარდა სიყვარულის ტანჯვისა და ურვის ინტერესისა. მაგრამ გაიგო თუ არა მან, სახელღობრ რაში ზღგომარეობს ეს სხვა ინტერესები და ტანჯვა, და თუ გაიგო, შეამსუბუქა თუ არა ამან მისი საკუთარი ტანჯვა? რა თქმა უნდა, გაიგო, მაგრამ გაიგო მხოლოდ ჭკუით, გონებით, იმიტომ რომ არის იდეები, რომლებიც, იმისათვის რომ ისინი სავსებით გაიგო, სულითაც და ხორცილთაც უნდა განიცადო და რომელთაც წიგნში ვერ შეისწავლი. ამიტომაც ურვა-წუხილის ამ ახალი სამყაროს მწიგნობრული გაცნობა ტატიანასთვის აღმოჩენა თუ იყო, ამ აღმოჩენამ მასზე მძიმე, უსიხარულო

და უნაყოფო შთაბეჭდილება მოახდინა; ამ აღმოჩენამ ტატიანა დააფრთხო, შეადრწუნა და აიძულა ვნებისთვის ეცქირნა, როგორც სიცოცხლის დაღუპვისთვის, დაარწმუნა იგი, რომ აუცილებელია დაემორჩილოს სინამდვილეს იმ სახით, როგორც ეს უკანასკნელი არსებობს, და თუ გულის დეღვათა აყოლით იცოცხლებს, მხოლოდ თავისთვის, თავისი სულის სიღრმეში, განმარტოების მყუდროებაში, კაეშნითა და ქვითინით აღსავსე ღამის წყვილიაღში. ონეგინის სახლში მისვლამ და მისი წიგნების კითხვამ მოამზადა ტატიანა იმისათვის, რომ იგი სოფლელ გოგონადან მაღალი წრის მანდილოსნად გარდაქმნილიყო, რამაც ასე გააკვირვა და განაცვიფრა ონეგინი. წინა სტატიაში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ონეგინის ბარათზე ტატიანასადმი და ყველა ამ ვნებიანი მიმართვის შედეგებზე.

ერთ-ერთ საღამოს გაემგზავრა ის
წვეულებაში, შეალო კარი...
და ტატიანა წინ შეეფეთა,
მაგრამ ონეგინს არც კი შეხედა.
რა უკარელი და ცივი არის,
თითქოს მოსაედეს ყინვა ზამთარის!
რისხვის მოთმენას, თავშეკავებას
რარიგ ცდილობენ ურჩინი ბაგენი!
ძახილი თვალით უცქერს ევგენი:
სად არის ძრწოლა ან შებრალება?
სად არის ცრემლი?.. მარტოდენ რისხვა
ჩანს მის სახეზე, — არაფერი სხვა...
იქნება ჰქონდა შიში ფარული,
რომ არ გაეგო ქმარს ან გარეშეს
მისი სისუსტე: ტრფობა წარსული...
ევგენიმ კარგად იცოდა ხომ ეს.

ახლა გადავიდეთ პირდაპირ ტატიანას უკანასკნელ საუბარზე ონეგინთან. ამ საუბარში ტატიანას მთელი არსება სრულად გამოისახა. ამ საუბარში გამოვლინდა ყველაფერი, რაც საზოგადოების მიერ განუითარებელი ღრმა ბუნების რუსი ქალის არსს შეადგენს, — ყველაფერი: ცეცხლოვანი ვნებაც, უბრალო, წრფელი გრძნობაც, კეთილშობილი ბუნების ადამიანის

მიამიტ გულისთქმათა სისპეტაკე და უმწიკვლობაც, რეზონიორობაც, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობაც, მედიდურობაც სათნოებით, რომლის ქვეშ იმალება მონური შიში საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ოსტატური სილოგიზმებიც გონებისა, რომელსაც მაღალი წრის მორალით ჩაუკლავს დიდსულოვანი გულისღელვანი... ტატიანას სიტყვა იწყება საყვედურით, რომელშიც გამოთქმულია შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისათვის შურისძიების სურვილი:

თქვენ ხეივანი გახსოვთ თუ არა,
 სადაც ერთმანეთს ბედმა შეგვეყარა,
 და მე მორჩილად და ისე მშვიდად
 თქვენს გაკვეთილებს ვისმენდი წუნარი?
 ამჟამად ჯერი ჩემზედაც არი.
 მე ახალგაზრდა ვიყავი უფრო
 და, ვგონებ, უფრო ლამაზიც სახით;
 მე თქვენ მიყვარდით წრფელად... მაგრამ რა?
 თქვენს გულში მე რა გრძნობები ვნახე?
 რით მიპასუხეთ? სიგმაცრით მხოლოდ.
 ხომ მართალია? თქვენთვის ახალი
 არ იყო ტრფობა მორცხვი ასულის?
 ო, ღმერთო, ახლაც კანკალებს გული,
 რომ მაგონდება გულგრილი მზერა
 და ქადაგება...

მართლაც, ონეგინი ტატიანას წინაშე დაძნაშავე იყო იმაში, რომ იგი არ შეიყვარა მაშინ, როდესაც ტატიანა უფრო ახალგაზრდა და ლამაზიც იყო და ონეგინი უყვარდა! სიყვარულისათვის ხომ მხოლოდ ახალგაზრდობა. სილამაზე და ურთიერთ გრძნობაა საჭირო! აი ცნებები, რომლებიც ნასესხები აცუდი სენტიმენტალური რომანებიდან! უტყვი სოფლელი გოგონა ბავშვური ოცნებებით—და მაღალი წრის მანდილოსანი, ცხოვრებასა და ტანჯვაში გამობრძმედილი, ქალი, რომელიც თავისი გრძნობებისა და აზრების გამოსახატავად ამეტყველებულა: რა დიდი განსხვავებაა! და მაინც, ტატიანას აზრით, მას მაშინ უფრო შეეძლო ჩაენერგა სიყვარული, ვიდ-

რე ამჟამად, იმიტომ რომ მაშინ იგი უფრო ახალგაზრდა და ლამაზი იყო!.. რარიგ ჩანს საგნებზე ამ შეხედულებაში რუსი ქალი! მერე ეს საყვედური, რომ მაშინ მას ონეგინმა მხოლოდ სიმკაცრით უპასუხა. „თქვენთვის ახალი არ იყო ტრფობა მორცხვი ასულის?“ ეს ხომ სისხლის სამართლის დანაშაულია—არ დაათვასო ზნეობრივი ემბრიონის სიყვარული!.. მაგრამ ამ საყვედურს იქვე მოსდევს გამართლებაც:

მაგრამ მე მასში

არ გამტყუნებთ თქვენ; იმ სასტიკ წამში
თქვენ მოიქეციით სინდისიერად,
მაშინ იყავით სიმართლის მოქმედი:
სულით და გულით ვარ მადლობელი...

ტატიანას საყვედურის მთავარი აზრი ის რწმენაა, რომ ონეგინმა მხოლოდ იმიტომ არ შეიყვარა იგი მაშინ, რომ ამაში ონეგინისათვის არ იყო ცთუნების მომხიბლველობა; ახლაც იგი ტატიანას ფერხთა წინაშე მიჰყავს სამარცხვინო საქმით სახელის მოხვეჭის წყურვილს... ყოველივე ამაში ნათლად გამოსჭვივის შიში საკუთარი სათნოების გამო...

ხომ მართალია? იმ ყრუ სოფელში,
სადაც არ იყო ფუსფუსი, შეხლა,
თქვენ არ მოგწონდით... რა მოხდა თქვენში,
ასე კვალდაკვალ რად დამდევთ ესლა?
რად ამოიღეთ თქვენ მიზანში დღეს?
მიტომ ხომ არა, რომ მე მალალ წრეს
ვკუთვნი, ხალხში დღეს გამოვდივარ,
რომ მე მდიდარი და ცნობილი ვარ,
რომ ქმარი ომის ხეიბარი მყავს,
რომ მას, როგორც გმირს, უძღვნიან ქებას?
მიტომ ხომ არა, რომ გაბახებას
ჩემსას ამჟამად ყველა შენიშნავს,
და ირგვლივ ხალხში იგი ბეჯითად
შაცდურ სახელსაც თქვენ მოგიხვეჭდათ?
მე ვტირი... თუ თქვენ ტანია თქვენი
აჰდენი ხანი არ დაგავიწყდათ,
იკოდეთ: თქვენი ბოროტი ენა,
ყვედრება, ლანძღვა, სასტიკი დიდად,
რომ ხელთ მქონოდა ამისი ნება,

მე მირჩევნოდა ამ ჯაბან ვნებას,
 ამ დაღვრილ ცრემლებს და ამ ბარათებს.
 მაშინ ყმაწვილურ ჩემს წრფელ ოცნებებს
 თქვენ იბრალებდით მაინც ცოტათი,
 პატივისცემა გქონდათ თქვენ მათი...
 მაგრამ რად გხედავთ დღეს ჩემს ფეხებთან?
 რა სიმდაბლეა ეს მუხანათი!
 განა შეფერის თქვენს გულს, გონებას
 წერილმანი გრძნობის ასე მონება?

ამ სტრიქონებში პირდაპირ გაისმის თრთოლვა საკუთარი უმწიკვლო სახელისათვის მაღალ საზოგადოებაში, ხოლო მომდევნო სტრიქონებში წარმოდგენილია უდავო დამამტკიცებელი საბუთები მაღალი საზოგადოებისადმი უღრმესი ზიზღისა... რა წინააღმდეგობაა! ხოლო ყველაზე სავალალო ის არის, რომ ერთიც და მეორეც ტატიანაში გულწრფელია...

და მე, ონეგინ, ფუფუნებანი —
 აბეზარ ყოფის საქაულები,
 თუნდ ხალხში ჩემი წარმატებანი,
 მოდის ოჯახი, საღამოები,
 აბა, რად მიღირს? გაცვლიდი ყველას,
 მასკარადების ამ საფრთხობელას,
 ამ ბრწყინვალეებს, გავლენას ხალხზე, —
 ერთ თარო წიგნზე და ველურ ბაღზე,
 და უღარიბეს იმ ჩვენ ბინაზე,
 იმა ადგილზე, სადაც პირველად,
 ონეგინ, მე თქვენ თვალი შეგავლეთ,
 და მივიწყებულ მყუდრო საფლავზე,
 სად ტირიფს და ჯვარს ხედავს გამვლელი,
 სადაც მარხია ჩემი გამდელი...

ვიმეორებთ: ეს სიტყვები ისევე პირუთვნელი და წრფელია, როგორც მათზე წინ ნათქვამი სიტყვებიც. ტატიანას არ უყვარს მაღალი საზოგადოება და ბედნიერებად ჩასთვლიდა სამუდამოდ გასცლოდა მას და სოფლისთვის მიეშურებინა; მაგრამ ვიდრე ტატიანა მაღალ საზოგადოებაშია, საზოგადოების აზრს იგი მუდამ კერპივით ეთაყვანება და მისი სამსჯავროს შიში მუდამ ტატიანას სათნოება იქნება...

ბედი კი ისე შესაძლებელი
 და ახლო იყო... მაგრამ გადაწყდა
 ჩემი იღბალი... ბრალსადებელი
 იქნება ვიყო, იქნებ გადავცდი:
 მე დედა ცრემლით, ფიცით, ვედრებით
 შეხვეწებოდა; ყოველი ხვედრი
 ჩემთვის ერთი და იგივე იყო,
 და მე გავთხოვდი. თქვენ დამივიწყეთ,
 გთხოვთ, სამუდამოდ. ონეგინ, მჯერა
 მე ძლიერ კარგად, რომ თქვენს გულში ცემს
 სიამაყე და სინდისი მტკიცე.
 ისევ მიყვარხართ (რად ვიცბიერო?),
 მაგრამ დღეს უკვე მე ვიკუთვნი სხვას
 და სიკვდილამდე ვუერთგულვებ მას.

უკანასკნელი ტაეპი საოცარია—მართლაც რომ ბოლო აგ-
 ვირგვინებს საქმეს! ეს პასუხი შეიძლებოდა გვერდით ამოგვე-
 ყენებინა კლასიკური „მაღალი“ (sublime) პასუხისათვის,
 როგორც პასუხი მედეასი: μοι! და ძველი ჰორაციუსისა:
 qu'il mourût¹⁰. აი ჭეშმარიტი სიამაყე ქალური სათნოებისა!
 მაგრამ მე სხვას ვეკუთვნი, სწორედ რომ ვეკუთვნი, და არა
 მივეკუთვნე! საუკუნო ერთგულება—ვისადმი და რისადმი?
 ერთგულება ისეთი ურთიერთობისადმი, რომელიც შეადგენს
 ქალური სინარჩარის გრძნობისა და უმწიკველობის პროფანა-
 ციას, იმიტომ რომ ზოგიერთი ურთიერთობა, რომელიც სიყ-
 ვარულით ნაკურთხი არ არის, უადრესად უზნეოა...²⁰ მაგრამ
 ჩვენში ყოველივე ეს როგორღაც ერთად თავსდება: პოეზია—
 და ცხოვრება, სიყვარული—და ანგარიშით ქორწინება, სი-
 ცოცხლე გულით—და ზუსტი აღსრულება გარეგნული მოვა-
 ლეობისა, რომელიც შინაგანად ყოველ წამს ირღვევა... ქალის
 სიცოცხლე უმთავრესად იგივე გულის სიცოცხლეა; მისთვის
 სიყვარული ნიშნავს სიცოცხლეს, ხოლო თავისა შეწირვა—
 სიყვარულს. ამ როლისათვის შექმნა ბუნებამ ტატიანა; მაგ-
 რამ საზოგადოებამ გარდაქმნა იგი... ტატიანამ უნებლიეთ
 მოგვაგონა ვერა ჩვენი დროის გამირიდან, სუსტი გრძნობის
 ქალი, რომელიც ყოველთვის უთმობს გრძნობას, მაგრამ თავ-

ვის სისუსტეში მშვენიერი მალალი არსებაა. მართალია, ჭლი უზნეოდ იქცევა, როცა ერთსა და იმავე დროს ორ მამაკაცს ეკუთვნის—ერთი უყვარს, ხოლო მეორეს ატყუებს; ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ არავითარი დავა არ შეიძლება. მაგრამ ვერაში ეს ცოდვა გამოსყიდულია თავისი უბედური როლის შეგნებით გამოწვეული ტანჯვით. ან კი როგორ შეეძლო უფრო მტკიცედ ემოქმედნა ქმრის მიმართ, როდესაც ხედავდა, რომ იგი, ვისაც ზან თავი ანაცვალა, სავსებით როდი ეკუთვნოდა მას, და თუმცა ვერა უყვარდა, მაგრამ მაინც არ ისურვებდა ამ ქალთან შეესისხლხორცებინა თავისი არსებობა? ეს სუსტი ქალი თავს გრძნობდა ამ დემონური ბუნების მამაკაცის საბედისწერო ძალის გავლენის ქვეშ და არ შეეძლო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. ტატიანა ვერაზე მალა დგას თავისი ბუნებითა და ხასიათით, რომ აღარაფერი ვთქვათ უდიდეს განსხვავებაზე ამ ორი ქალის სახის მხატვრულ გამოხატვაში: ტატიანა ზთელი სისრულით დახატული პორტრეტია; ვერა — მხოლოდ სილუეტია. და მაინც, ვერა უფროა ქალი... მაგრამ სამაგიეროდ უფრო მეტი გამოჩაყლისიც არის, მაშინ როდესაც ტატიანა—რუსი ქალის ტიპია... აღტაცებული იდეალისტები, რომლებსაც ცხოვრება და ქალი მარლინსკის მოთხრობებით შეუსწავლიათ, არაჩვეულებრივი ქალისაგან მოითხოვენ საზოგადოებრივი აზრისადმი ზიზღს. ეს სიყალბეა: ქალს არ შეუძლია ეზიზღებოდეს საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ შეუძლია დასთმოს ეს აზრი წყნარად, ფრაზების წარმოუთქმელად, დაუტრიაბახებლად და იმავე დროს ესმოდეს გაღებულ მსხვერპლის მთელი სიდიადე, მთელი სიმძიმე იმ წყევაკრულვისა, რომელსაც კისრად იღებს, როცა ემორჩილება სხვა უმაღლეს კანონს—თავისი ბუნების კანონს, მისი ბუნება კი—სიყვარული და თავგანწირვაა...

მაშ ასე: ონეგინის, ლენსკისა და ტატიანას სახით პუშკინმა დაგვიხატა რუსული საზოგადოება მისი ჩამოყალიბების, მისი განვითარების ერთ-ერთ ფაზისში, და მერე რა ჭეშმარიტებით. რა სიზუსტით, რა სრულად და მხატვრულად დაგვიხატა იგი! ჩვენ არ ვლაპარაკობთ მის პოემაში ჩართულ მრავალ სხვა

პორტრეტებსა და სილუეტებზე, რომლებიც ამთავრებენ უმაღლესი და საშუალო რუსული საზოგადოების სურათს; არ ვლაპარაკობ სოფლის წვეულებათა და დედაქალაქის მეჯლისთა სურათებზე: ყოველივე ამას ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს და დიდი ხანია ჯეროვნად შეაფასა... შევნიშნავთ ერთს: პოეტის პიროვნება, რომელიც ასე სრულად და ნათლად აისახა ამ პოემაში, ყველგან ესოდენ შშვენიერი, ესოდენ ჰუმანურია, მაგრამ იმავე დროს უმთავრესად არტისტულია. მასში ყველგან ხედავთ ადამიანს, რომელიც სულითა და ხორციტ ეკუთვნის მის მიერ გამოხატული კლასის დედა-არსის შემადგენელ ძირითად პრინციპს; მოკლედ, ყველგან ხედავთ რუს მემამულეს... იგი ამ კლასში თავს ესხმის ყველაფერს, რაც ჰუმანურობას ეწინააღმდეგება; მაგრამ კლასის პრინციპი მისთვის მარადიული ჭეშმარიტებაა...” ამიტომაც მის სატირაშიც კი ესოდენ ბევრი სიყვარულია, მისი თვით უარყოფა ასე ხშირად ჰგავს მოწონებას და სიყვარულიტ ცქერას... გაიხსენეთ ლარინების ოჯახის აღწერა მეორე თავში და განსაკუთრებით თვით ლარინის პორტრეტი... ეს იყო იმის მიზეზი, რომ „ონეგინში“ ახლა ბევრი რამ მოძველდა. მაგრამ უამისოდ, შესაძლოა, „ონეგინიდან“ არც კი გამოსულიყო რუსული ცხოვრების ესოდენ სრული და დაწვრილებითი პოემა, ასეთი გარკვეული ფაქტი იმ აზრის უარსაყოფად, რომელიც ავით ამ საზოგადოებაში ასე სწრაფად ვითარდება...

„ონეგინი“ რამდენიმე წლის განმავლობაში იწერებოდა და ამიტომ პოეტიც მასთან ერთად იზრდებოდა, და ყოველი ახალი თავი უფრო საინტერესო და უფრო მომწიფებული იყო. მაგრამ უკანასკნელი ორი თავი მკვეთრად გამოიყოფა პირველი ექვსისაგან: ეს ორი თავი უკვე აშკარად მიეკუთვნება პოეტის მხატვრული განვითარების უმაღლეს, სიმწიფის ეპოქას. ცალკე ადგილების სილამაზეზე ლაპარაკით გულს ვერ მოიჯერებთ; თანაც ისინი ესოდენ ბევრია! საუკეთესო ადგილებს მიეკუთვნება: ღამის სცენა ტატიანასა და გამდელს შორის, ონეგინისა და ლენსკის დუელი და მეექვსე თავის მთელი დასასრული. უკანასკნელ ორ თავში არც კი ვიციტ რა შევაქოტ

განსაკუთრებით, იმიტომ რომ იქ ყველაფერი ჩინებულია; მაგრამ მეშვიდე თავის პირველი ნახევარი (გაზაფხულის აღწერა, მოგონებანი ლენსკის შესახებ, ტატიანას მისვლა ონეგინის სახლში) როგორღაც განსაკუთრებით გამოირჩევა ყველა დანარჩენიდან სევდიანი გრძნობის სიღრმითა და საოცრად მომხიბლველი ტაეპებით... პოეტის გადახვევანი თხრობიდან, მისი მიმართვანი საკუთარი თავისადმი აღსავსეა არაჩვეულებრივი გრაციით, გულწრფელობით, გრძნობით, ჭკუითა და სიმახვილით; პოეტის პიროვნება აქ ეგოდენ მოსიყვარულე, ეგოდენ ჰუმანურია. თავის პოემაში იგი ბევრ ისეთ რამეს შეეხო და მოიარებით სთქვა ბევრ ისეთ რამეზე, რაც მხოლოდ და მხოლოდ რუსული ბუნების სამყაროს, რუსული საზოგადოების სამყაროს ეკუთვნის! „ონეგინს“ შეიძლება ვუწოდოთ რუსული ცხოვრების ენციკლოპედია და უაღრესად ხალხური ნაწარმოები. და განა საკვირველია, რომ ეს პოემა ასეთი ალტაცებით მიიღო საზოგადოებამ და ასეთი უდიდესი გავლენა ჰქონდა როგორც თავის თანამედროვე, ისე შემდგომდროინდელ რუსულ ლიტერატურაზე? ხოლო მისი გავლენა საზოგადოების ზნეობაზე? იგი იყო შემეცნების აქტი რუსული საზოგადოებისათვის, თითქმის პირველი, მაგრამ სამაგიეროდ რადიდი წინგადადგმული ნაბიჯი მისთვის!.. ეს იყო გოლიათური გაქანების ნაბიჯი, და მის შემდეგ ერთ ადგილზე დგომა უკვე შეუძლებელი შეიქნა... დე, იდინოს დრომ და თან მოიტანოს ახალი მოთხოვნილებანი, ახალი იდეები, დე, იზარდოს რუსული საზოგადოება და გაუსწროს „ონეგინს“: რა შორსაც უნდა წავიდეს ეს საზოგადოება, მას მაინც ყოველთვის ეყვარება ეს პოემა. მუდამ სიყვარულით და მადლობის გრძნობით აღსავსე თვალს მიაპყრობს მას... ეს სტროფები, რომლებიც ასე დაჟინებით მოითხოვენ ადგილს ჩვენი სტატიის დასასრულს, მკითხველის სულზე თავიანთი უშუალო შთაბეჭდილებითაა ჩვენზე უკეთესად იტყვიან იმას, რის თქმაც გვწადს:

ესი ამ ცხოვრების ფართო ყანაში
 წუთის სამკალსა ჰგავს თაობები
 და საიდუმლო განგების ნებით

.მოდის, მწიფდება და ისევ ცვივა,
და სხვა ახალიც იმა გზით მივა..
აბრიალ, ჩვენი ქერქეტი ტომი
იზრდება, ღელავს, ღულს და ენთება,
ძველებს კუბოსკენ მიერეკება.
ჩვენი დროც მოვა, ჩვენც გველის ომი,
შვილიშვილები ჩვენც მოგვიზღავენ,
ჩვენც ამ ქვეყნიდან გადაგვრეკავენ.

მაგრამ ჯერ დატკბით, თქვენ, მეგობრებო,
მსუბუქ ცხოვრების ნახეთ სიამე!
მისი სიმუხთლე რომ გაშეგება,
არც ისე დიდად ვენდობი მას მე;
მოჩვენებისთვის დავხუკე თვალი,
მაგრამ იშედი მე მომავალის
გულს ამიჩქროლებს კვალად და კვალად
და ვგრძნობ გაქრობა, წასვლა უკვალოდ
მე ამ ქვეყნიდან, მეწყინებოდა.
მე ვწერ და ვცხოვრობ არა ქებისთვის,
მაგრამ მკმუნვარე ჩემი ხვედრისთვის
სახელის განთქმა, ეგონებ, მინდოდა,
რომ თუნდაც ერთი ამოძახილი
მომიგონებდეს, როგორც ძმობილი.

ის ხომ შეარხევს ვინმეს გულისთქმას,
და, ბედისაგან შემონახული,
ალარ გადაჰყვეს, იქნებ, წელთასვლას
სტროფი ლექსისა, ჩემი შეთხზული;
იქნება (არის კარგი იმედი),
შემდეგში ვინმე რეგვენიცეტი.
წინ რომ ექნება ჩემი პორტრეტი,
იტყვის: „აი, ეს იყო პოეტი!“
მიიღე ჩემი მადლობა, ტაში,
შენ, მოყვარულო აონიდების.
ჩემი მფრინავი შემოქმედების
ვინც შეინახავ ნაყოფს ხსოვნაში,
შენ, ვინაც მეტად შემწყნარებელით
მოხუცის დაფნებს შეჭფურჩქნი ხელით.

რეცენზიები

1842—1845 წწ.

ისტორიის წიგნებზე

*

მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო

თბილისი უნივერსიტეტის ლოგოსი. ნაწილი I. სანქტ-პეტერბურგი, 1841¹

ჩვენი საუკუნე—უპირატესად ისტორიული საუკუნეა. ისტორიულმა ჰერეტამ მძლავრად და აუჩინებლად გამსჭვალა თანამედროვე შემეცნების ყველა სფერო². ისტორია ახლა თითქოს საერთო საფუძველი და ერთადერთი პირობა გახდა ყოველგვარი ცოცხალი ცოდნისა: უიშისოდ შეუძლებელი შეიქნა ხელოვნებასა და ფილოსოფიაში ჩაწვდომა. მეტიც: თვით ხელოვნება ახლა უპირატესად ისტორიული გახდა: ისტორიული რომანი და ისტორიული დრამა ახლა ყველას და თითოეულს მეტად აინტერესებს, ვიდრე იმავე სახის ნაწარმოებნი, რომელნიც წმინდა გამოგონების სფეროს ეკუთვნიან. გონებაშეზღუდულ ადაშიანებს ვერაზგზით ვერ ძალუძთ თავიანთ გამოფიტულ და ვიწრო წარმოდგენაში ფანტაზიის თავისუფალი გამონაგონი შეარიგონ ისტორიულ სინამდვილესთან, — და ზოგიერთი მათგანი, უმეცრების დამახასიათებელი გულუბრყვილობით, ხმამაღლა, ყველას გასაგონად, დასცინის ისტორიულ რომანს, როგორც სისულელეს, რომელიც შეურაცხყოფს საღ აზრს და ჩრდილს აყენებს შოტლანდიელი რომანისტის გენიის სახელს: თავიანთი სიბრძავის გამო ეს საცოდავი ჰკუის კოლოფები ვერ ხედავენ, რომ ვალტერ-

სკოტის გენიის მთელი ზიდადღე სწორედ იმაში მდგომარეობა, რომ იგი იყო იმ საუკუნის გამომხატველი და მაუწყებელი, რომელმაც ხელოვნებას ისტორიული მიმართულება მისცა. ფერწერის დაქვეითება ჩვენს დროში ხდება სრულიადაც არა იმიტომ, რომ ამ ხელოვნებამ მთელი თავისი შინაარსი ამოწურა და თავისი დრო მოსჭამა; არა, ყოველი ხელოვნების შინაარსი არის სინამდვილე; მაშასადამე, ხელოვნება ამოწურავი და დაუშრეტელია, როგორც თვით სინამდვილე... შეიძლება სავსებით საფუძვლიანად ვამტკიცოთ, რომ ფერწერა კი არ მომკვდარა, არამედ მხოლოდ დაძაბუნდა ჩვენს დროში, რადგან ცდილობს ჩაებლახოს ძველ გადმოცემებს, იაროს შუა საუკუნეთა დიდი ოსტატების მიერ ერთხელ და თითქოს საბუღალროდ გაკვალული გზით, შეჩერდეს ოდესღაც ძლიერი და დიდი, მაგრამ ამჟამად უკვე მკვდარი ინტერესების სფეროში და არ ხდება უპირატესად ისტორიულ ხელოვნებად. დიახ, მხოლოდ ისტორიულ ფერწერაში შეიძლება ახლა მოგვევლინონ დიდი შემოქმედნი, რადგან მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეს შეუძლია ახლა მისცეს ფერწერას ცოცხალი შინაარსი და თანამედროვე ინტერესიც... ასეთია ისტორიის გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე!

ცოდნაში ისტორიული მკვრეტელობა თითქმის კიდევ უფრო მეტად შესამჩნევია. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ესთეტიკა თავისი განსაკუთრებული გზით მიდიოდა და ისტორიას არაფერს ეკითხებოდა, მასთან ურთიერთობა არა ჰქონდა? დღესაც კი ბევრი კეთილი ადამიანი სხვის ძველ აზრებს იმეორებს და მეტად გულუბრყვილოდ ირწმუნება, რომ ხელოვნება თავისთვის, ხოლო ცხოვრება თავისთვის არისო, რომ მათ შორის საერთო არაფერიაო, და რომ ხელოვნება თავს დაიმცირებდა, თანამედროვე ინტერესებამდე რომ დასულიყო? მართლაც, თუ „თანამედროვე ინტერესებად“ ვიგულისხმებთ მოდებს, ბირჟის კურსს, მაღალი წრის ჭორებსა და წერილმან ამბებს, მაშინ ხელოვნება მეტად უზადრუკროლს შეასრულებდა, ასეთი „თანამედროვე ინტერესებისადმი“ სიმპათიამდე რომ დაქვეითებულიყო. სწორედ ასე და-

ემართა ხელოვნებას საფრანგეთში, როდესაც იგი ბერძენ და რომაელ გმირებს აიძულებდა თანამედროვე სასახლის ქორეზი გამოეხატათ. არა, ეს როდი იგულისხმება ხელოვნების ისტორიულ მიმართულებად; ეს არის ან თანამედროვე შეხედულება წარსულზე, ან საუკუნის აზრი, კაემნიანი ფიქრი, ანდა ნათელი სიხარული დროისა; ეს არის არა წოდების ინტერესები, არამედ საზოგადოების ინტერესები; არა საბელმწიფოს ინტერესები, არამედ კაცობრიობის ინტერესები; ერთი სიტყვით, ეს არის ზოგადი, ამ სიტყვის იდეალური და ამალღებული მნიშვნელობით... ჩვენ ახლა უკვე ვიცით, რომ ხელოვნება, როგორც გამოხატულება ამა თუ იმ ხალხის ან მთელი კაცობრიობის შემეცნებისა განსაზღვრულ ეპოქაში, — თითქოს მისი სიცოცხლის მაჯისცემაა, და ამიტომ. ხელოვნების განვითარებაც და ისტორიაც მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხის ან კაცობრიობის განვითარებასა და ისტორიასთან. ამის შედეგად ახლა ვიცით, რომ ევროპის უახლეს ხალხებს, მას შემდეგ, რაც ისინი გაეცნენ ძველ ლიტერატურას, არ შეიძლებოდა ჰქონოდათ და არც არასოდეს ექნებათ „ილიადასა“ და „ოდისეას“ მსგავსი ეპოპეები და რომ „განთავისუფლებული იერუსალიმი“, „დაკარგული სამოთხე“, „მესიდა“ და სხვანი ნიჭიერ, მაგრამ სულაც არა გენიალურ ადამიანთა ნაწარმოებნი არიან, — ნაწარმოებნი ბრწყინვალენი, მაგრამ იმავე დროს ყალბნიც... ჩვენ ახლა ვიცით, რომ სატირა არ არის მანკიერებათა გაკილვა ზნეობის გამოსასწორებლად, არამედ რომ ეს არის უმაღლესი სამსჯავრო ზნედაცემული საზოგადოების მიმართ, მისი სულთაბრძოლის გოდება, გულშემზარავი ღალადისი და რომ პერსიასები და იუვენალები რომაულ ლიტერატურას მოეკლინენ არა შემთხვევით, არამედ აუცილებლობით, და თანაც თავის დროზე, ასე რომ უფრო ადრე არ შეიძლებოდა მოვლინებოდნენ... ჩვენ ახლა ვიცით, რომ ჩვენს დროში პოეზიის ყველა სხვა სახის წინაშე უპირატესობა უნდა ჰქონდეთ რომანსა და დრამას, როგორც ყველაზე უფრო მართებულ და მარჯვე ფორმებს თანამედროვე სინამდვილის გამოსახატავად. ჩვენ ახლა ვიცით, რომ ჩვენი ეპოქის

პოეტები ვერ იქნებიან ვერც კლასიკოსები, ვერც რომანტიკოსები, მაგრამ რომ მათი ნაწარმოებნი უნდა შეიცავდნენ კლასიციზმსაც და რომანტიზმსაც, როგორც აწმყო შეიცავს წარსულს. და ყოველივე ეს ჩვენ იმიტომ ვიცით, რომ ვიცით კანონები ადამიანის სულის განვითარებისა ისტორიაში...

საკუთრივ მეცნიერებაში ისტორიული მქვრეტელობის გავლენა ისევე საგრძნობია, როგორც ხელოვნებაში. ჩვენ აქ ვგულისხმობთ უმთავრესად ფილოსოფიას, როგორც იმ ცოცხალ ქეშმარიტებათა მეცნიერებას, რომლებიც სამყაროს ქვაკუთხედია. თუმცა, აქ ადგილი ჰქონდა ურთიერთ გავლენას: ისტორიის; როგორც მეცნიერების, წარმატებამ შესაძლებელი გახადა საბოლოო წარმატება ფილოსოფიისა, რომელიც, თავის მხრივ, საკუთარ წარმატებათა შესაბამისად, ამდღებდა ისტორიის, როგორც მეცნიერების, ღირსებას. [შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფია არის ისტორიის სული და აზრი, ხოლო ისტორია არის ფილოსოფიის ცოცხალი, პრაქტიკული გაპოვლინება მოვლენებასა და ფაქტებში. ჰეგელის მიხედვით, აზროვნება არის თითქოს ისტორიული მოძრაობა სულისა, რომელიც თავს შეიცნობს თავის მომენტებში; და არც ერთ ფილოსოფოსს არ მიუცია ისტორიისათვის ისეთი უსასრულო და ყოვლისმომცველი მნიშვნელობა, როგორც ფილოსოფიის ამ უდიდესმა და უკანასკნელმა წარმომადგენელმა მისცა⁴.

ისტორიული მქვრეტელობით განიმსქვეალა მთელი თანამედროვე სინამდვილე—ჩვენი ყოფაცხოვრებაც კი. საზოგადოებრიობის გრძნობა ახლა ყველგან უფრო ძლიერია, ვიდრე წინათ ოდესმე ყოფილა. თითოეული ადამიანი თავს უფრო ცოცხლად გრძნობს საზოგადოებაში და საზოგადოებას თავის თავში, და თითოეული ადამიანი ყოველ შემთხვევაში პრეტენზიას აცხადებს ემსახუროს საზოგადოებას, ემსახურება რა თავის თავს. წოდებათა შორის მტრობა ჰქრება, და ისინი ერთმანეთს ურიგდებიან, რადგან აღიარებენ, რომ ურთიერთ საჭირონი და ურთიერთ მნიშვნელოვანნი არიან საზოგადოებისათვის. შური ადგილს უთმობს შეჯიბრებას. საზოგადოებრივი წამოწყებანი იწვევენ საერთო ინტერესს, როგორც ისე-

თი საქმე, რომელიც თითოეულს პირადად შეეხება. რომელიმე რკინიგზის გაყვანა მტკიცდება წარსულის გამოცდილების საფუძველზე, მომავალში მოსალოდნელ შედეგთა წინასწარ განჭვრეტით. საზოგადოებათათვის თითქოს გაჰქრა განსხვავება წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის: საზოგადოებანი ახლა თანაბრად ცხოვრობენ ამ სამივე დროში,—და აწმყო მათთვის წარსულის ის შედეგია, რომლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მათი მომავალიც. პროგრესი და მოძრაობა ახლა ყოველდღიურ სიტყვებად იქცა. სიახლე არავის არ აშინებს; გაუმჯობესებათა ზღვარს არავინ ხედავს. თითოეული საზოგადოება ახლა, თავისი არსებობის ყოველ ჟამს, წარმოდგენილია ჩამდენიმე თაობით, რომლებიც წარსულის ცოცხალი მატრიანენი, აწმყოს მოწმენი და მომავლის წინასწარმეტყველნი არიან: ესაა საზოგადოების ისტორიული მოძრაობის საფეხურები, რომლებიც ერთმანეთს რაღაც ხუთწლეულებით თუ არიან დაშორებულნი!.. ასე სწრაფად მოძრაობს ახლა ყველაფერი...

რა არის ამ სწრაფი მოძრაობის მიზეზი?—მომწიფებულნი ისტორიული ცნობიერება, რაც შედეგია ისტორიის, როგორც მეცნიერების, წარმატებისა უკანასკნელ ხანებში.

ისტორია ყოველთვის იყო და ყველა ხალხს ჰქონდა: ერთს—როგორც გადმოცემა, მეორეს—როგორც ზღაპარი, მესამეს—როგორც პოემა, მეოთხეს—როგორც ქრონიკა და ა. შ. ბერძნებს მხატვრული ისტორიაც კი ჰქონდათ, სადაც მოვლენების კრიტიკულ ანალიზთან შეერთებული იყო მხატვრული თხრობაც. ჰერამ ეს ჯერ კიდევ მაინც არ არის ის ისტორია, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ: ეს არის ჯერ კიდევ მარტივი ისტორია, როგორც მოთხრობა ხალხის ცხოვრების მოვლენებზე, და არა ისტორია, როგორც მეცნიერება. ხალხი თავისთავად ჯერ კიდევ ცოტას ნიშნავს, და ჩამდენი ისეთი ხალხია დედამიწაზე, რომელთა შესახებ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი არიან, მეტი კი მათ შესახებ არც არაფერი გვინდა ვიცოდეთ. ამასთანავე იმის თხრობა, რაც იყო,—ჯერ კიდევ არ არის ისტორია. შუა საუკუნეები მდიდარი იყო

ქრონიკებით, რომელთა გულუბრყვილო ავტორები იმას, რაც ნახეს და როგორც ნახეს, თავისი თვალსაზრისით აღწერდნენ. ახლა ისტორია ქრონიკიდან „მემუარებად“ იქცა. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ისტორიის მასალაა, ის ჯერ კიდევ არ არის ისტორია. ისტორიის, როგორც მეცნიერების, არსი იმაში მდგომარეობს, რომ აღამაღლოს კაცობრიობის ცნება იდეალურ პიროვნებად; რომ ამ „იდეალური პიროვნების“ გარეგან ბედში აჩვენოს აუცილებლის, გონივრულისა და მარადიულის ბრძოლა შემთხვევითის, თვითნებურისა და წარმავალის წინააღმდეგ, ხოლო ამ „იდეალური პიროვნების“ წინსვლაში აჩვენოს აუცილებლის, გონივრულისა და მარადიულის გამარჯვება შემთხვევითსა, თვითნებურსა და წარმავალზე. დიახ, ისტორიის ამოცანაა წარმოადგინოს კაცობრიობა როგორც ინდივიდი, როგორც პიროვნება და ამ „იდეალური პიროვნების“ ბიოგრაფია იყოს. კაცობრიობა სწორედ „იდეალური პიროვნებაა“: პიროვნება—იმიტომ რომ მას აქვს თავისი მე, აქვს თავისი ცნობიერება, თუმცა ამ ცნობიერებას გამოავლინებს ხოლმე არა ერთი, არამედ მრავალი პირი; აქვს თავისი სხვადასხვა ასაკი, როგორც ადამიანს, აქვს განვითარება, წინსვლა; იდეალური—იმიტომ რომ არ შეიძლება მისი არსებობის ემპირიულად დამტკიცება ურწმუნოსათვის თითის ჩვენებით და თქმით: „აი კაცობრიობა—შეხედე!“¹⁵

და მაინც რამდენია ეს ურწმუნო, რომლებიც არასოდეს არ სცნობენ იმის არსებობას, რაზეც მითითება შეუძლებელია, რის თვალთ დანახვა, ცხვირით ყნოსვა, ენით გემოს გასინჯვა, ყურით გაგონება, ხელით შეხება შეუძლებელია!.. ასეთია ყოველი ცოცხალი ჭეშმარიტების თვისება: რამდენად ხმამაღლა ელაპარაკება ეს ჭეშმარიტება ცოცხალ სულს, იმდენად უტყვია მკვდარი სულისათვის! არავის ეჭვი არ შეეპარება იმაში, რომ არსებობს კაცობრიობა როგორც რიცხობრივი კრებადობა ორფეხა ქმნილებებისა, რომლებიც დედამიწაზე ცხოვრობენ; მაგრამ განა ბევრს შეუძლია გაიგოს, რომ კაცობრიობა არის არა მხოლოდ შემკრებლობითი, არამედ აგრეთვე პირადი სახელიც.—სახელწოდება ერთი პირისა, რო-

მელსაც, რამდენიმე ათასი წლის სიცოცხლის შემდეგ, მსგავსად ცალკე აღებული თითოეული ადამიანისა, არ ახსოვს თავისი დაბადება და თავისი შეუცნობელი არსებობის პირველი წლები; რომელიც, მსგავსად ცალკე აღებული თითოეული ადამიანისა, ჩვილი, ყრმა, ახალგაზრდა იყო და ახლა თავის სრულ შესაძლებლობას ესწრაფვის; რომელიც, მსგავსად ცალკე აღებული თითოეული ადამიანისა, მუდამ ელტვოდა დადებით რწმენასა და ცოდნას და მუდამ უარყოფდა თავის რწმენასა და ცოდნას, რათა მის ნანგრევებზე დაეფუძნებინა ქეშმარიტებასთან უფრო ახლო მყოფი რწმენა და ცოდნა; რომელიც, მსგავსად ადამიანისა, სცდებოდა, მხედრდებოდა, იტანჯებოდა და ნეტარდებოდა და როშლის სიცოცხლე მუდამ ის იქნება, რომ შესცდეს და ამხედრდეს, იტანჯოს და ინეტაროს... მაგრამ აქედან სრულებით არ გამოძვინარეობს, რომ კაცობრიობა ერთ ადგილზე იდგეს, ანდა რომ იგი ერთი სიცრუიდან მეორისკენ მიისწრაფოდეს: კაცობრიობისათვის არ არსებობს სიცრუე, არამედ არსებობს მხოლოდ ძველი ქეშმარიტება, რომელიც, ირღვევა რა, კშობს ახალ, უმაღლეს ქეშმარიტებას, მსგავსად ფენიქსისა, რომელიც, როგორც ალქოსავლური თქმულება ამბობს, ახალი სილამაზით აღსდგება ხოლმე საკუთარი ფერფლიდან... კაცობრიობა მოძრაობს არა პირდაპირი ხაზით და არა ზიგზაგებით, არამედ სპირალური წრით, ასე რომ მის მიერ გაცდილი ქეშმარიტების უმაღლესი წერტილი იმავე დროს უკვე ამ ქეშმარიტებიდან მისი შემობრუნების წერტილიც არის,—მართალია, შემობრუნებისა არა ზევითკენ, არამედ ქვევით, მაგრამ ქვევით იმიტომ, რომ ახალი, უფრო ვრცელი წრე მოხაზოს და ახალ, წინანდელზე მაღალ წერტილში გაჩერდეს, და შემდეგ კვლავ გაემართოს, ქვევით დაშვებით, ზევითკენ... აი რატომ არის, რომ კაცობრიობა არასოდეს არა დგას ერთ ადგილზე, არამედ უკან დაიხევს ხოლმე და ამგვარად უსარგებლოს ხდის წინათ განვლილ გზას: ეს მხოლოდ უკანდახევითი მოძრაობაა იმისათვის, რომ მით უფრო მეტი ძალით გაქანდეს წინ... თავდაპირველად ცოდნისა და ცივილიზაციის შუქმა ეფერატის, ტიგროსისა და

ნილოსის ნაპირებზე გაშრანათა, მაგრამ, საბერძნეთში გადასული, ჩაქრა; შემდეგ იგი ისევ საბერძნეთმა დააბრუნა, და უკვე არა იმ სახით, როგორც მიიღო, არამედ უფრო დიდი და უკეთესი სახით; მაკედონელმა გმირმა ეს უქუჩი მოჰფინა განგესის ნაპირებამდე, დაამკვიდრა სირიაში, ეგვიპტესა და მცირე აზიაში... დაიღუპა ძველი მსოფლიო, მისი ცივილიზაციითა და განათლებით, მისი ხელოვნებითა და სამართლით; და რა მოხდა?—ტევტონთა ბარბაროსული ტომები, რომლებმაც დასაველეთ რომის იმპერია დაანგრეს, ახლა ქარბად უბრუნებენ ჰომეროსისა და პლატონის ქვეყანას იმას, რაც მისგან აიღეს, ხოლო რომაელებში შერეული ვანდალები და გუთები ხომ მუდამ არ იქნებიან შეპყრობილნი სამარცხვინო უმოქმედობის რულით. კაცობრიობის მოძრაობა და განვითარება ცალკეულ პირთა სიკვდილის უბრალო კანონს ემყარება: წარმოიშობა თაობა, ჩამოყალიბდება განსაზღვრული ფორმით, შეიძენს ან პირდაპირ ჩვეულებით შეითვისებს განსაზღვრულ აზრთა წყებას, განსაზღვრულ რწმენასა და ცნებებს, რომლებითაც კვდება კიდევ, რომლებთანაც განშორება ისევე უჭირს, როგორც სიცოცხლის გამოთხოვება. მაგრამ აი, მისი ზომდევნო თაობა უკვე განსხვავდება მისგან: იგი ხარბად ეწაფება ყველაფერს ახალს, ყოველ ახალ აზრს; ძველი თაობა ჩვეულებრივად უსაყვედურებს ხოლმე ახალ თაობას თავისუფალ აზროვნებასა და გარყვნას, ხოლო ახალი ჩვეულებრივად ქვეშქვეშად დასცინის ძველს, ყურს არ უგდებს მას მანამ, სანამ ბოლოს, თვითონ არ დაბერდება და ისეთსავე როლს არ შეასრულებს მისი შემცვლელი თაობის მიმართ; ის კი, რაც თავდაპირველად თავისუფალ აზროვნებად და გარყვნილებად ეჩვენებოდათ, შემდგომში აღიარებულ იქნება როგორც კეთილი, ქვემარტივი და სასარგებლო რამ... აკი იყო დრო, როდესაც ერეტიკოსთა, თავისუფალ მოაზროვნეთა და ჯადოსანთა დაწვა კოცონზე ღვთისსათნო საქმედ ითვლებოდა, და როდესაც კეთილგანმზრახი და კეთილმსახური აუტოდაფეს აუცილებლობასა და სიწმინდეში დაეჭვება შეიძლებოდა უდიდეს უღმერთობად ჩაეთვალიათ. ხოლო ახლა?.. რამდენი თაობა

ჩაწვა მიწაში, რომლებმაც ჭაჯვის რგოლებივით დააკაფირეს ერთმანეთთან „მაშინ“ და „ახლა“! ხომ არ შეიძლებოდა აზრთა წყობაში ასეთი გადატრიალება ჩქარა მომხდარიყო! დაწვის შესახებ თავისუფლად მოაზროვნე რამდენი ადამიანი დასწვეს!.. მაგრამ მარტოოდენ თაობისაგან თაობის შეცვლა ჯერ კიდევ არ კმარა კაცობრიობის მოძრაობისათვის განვითარებისა და სრულყოფის გზით: მოძრაობის მიმართ ახალგაზრდა თაობანი მხოლოდ იმ ნოყიერი ნიადაგის როლს ასრულებენ, რომელშიც წარმატების თესლი მალე ხარობს, ხოლო ამ თესლს ნოყიერ ნიადაგში სთესენ გენიოსები — ეს რჩეულნი და ზეგარდმო მირონცხებულნი, რომლებიც მათი წარმომგზავნის ნებას ასრულებენ... ზოგჯერ ერთი ასეთი გენიოსი კმარა იმისათვის, რომ ცოცხალი აზრით გაანწყფიეროს მთელი საუკუნე, — და, თუ იგი ხელისუფალია, ვითარცა ალექსანდრე მაკედონელი, იულიოს კეისარი, კარლოს დიდი, პეტრე დიდი, ნაპოლეონი, — იგი იმორჩილებს მასას; ხოლო თუ იგი უბრალო ადამიანია, ვითარცა ათასობით წარმომადგენელი იდეისა, მაშინ იგი მეტწილად ცხოვრების უბედურებითა და უდროო, ნაადრევი სიკვდილით დაამკვიდრებს მასებში თავის იდეას, — და ხშირად იგივე ადამიანები, რომლებიც მას სიცოცხლეში სდევნიდნენ, შემდეგ მზად არიან ჯვარს აცვან ყველა, ვინც არ მოისურვებს უაზროდ და უყოყმანოდ გააღმერთოს მათი უმეცარი გამქვინვარების კეთილშობილი მსხვერპლი... მაგრამ გენიოსის თანამედროვე თაობა გარდავა, — და მისი მომდევნო თაობანი უზრუნველად სწყვეტენ ქეშმარიტების ციურ ყვავილებს გენიოსის საფლავზე და მათი ღვთაებრივი სურნელებით სტკბებიან. თითქოს ეჭვიც კი არ ეპარებოდეთ იმაში, რომ ეს ყვავილები მათი დამთესის სისხლით არის აღმოცენებული... მაგრამ გენიოსი იშვიათი მოვლენაა; ყოველი ძლიერი ნატურა; ყოველი ადამიანი, რომელიც მის გარემომტველ ადამიანებზე მალლა დგას, მაშოდრავებულია თავისი მოღვაწეობის სფეროში, — და ამრიგად იმ მრავალი კერძო მოძრაობის ერთობლიობისაგან, რომელთა საწყისია

ერთი დიდი მამოძრავებელი, სდგება მასების საერთო მოძრაობა. ექვისა და უარყოფის პირქუში სული, როგორც ელემენტი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, როგორც სიცოცხლის მთლიანი და მარადიული სულის მხარე, უდიდეს როლს ასრულებს მოძრაობაში, რადგან ცალკეულ პირებს ან მთელ მასებს მოსწყვეტს ხოლმე უშუალო და ჩვეული მდგომარეობიდან და მათ ახალი და შეგნებული რწმენისაკენ მიაქანებს...*

ყოველი ზემოთქმული იმდენადვე უეჭველი ქეშმარიტებანია, რაღდენადაც ახალი; მაგრამ განა ყველასთვის და განა ბევრისთვის?.. ვიმეორებთ: ისტორიული მჭკრეტელობა საფუძველია ყოველგვარი ცოდნისა, ყოველი ქეშმარიტებისა ჩვენს დროში. უიმისოდ ვერც გავიგებთ, როგორც საჭიროა, ვერც ხელოვნებას, ვერც ფილოსოფიას, ვერც სამართალს... თვით ბუნებისმცოდნეობა უიმისოდ ფაქტების მკვდარი კრებული იქნება და არა ცოცხალი ცოდნა. ტყუილად როდი ეწოდება მას სხვანაირად „ბუნების ისტორია“!.. დიახ, ბუნებისმცოდნეობა არის ისტორია შემოქმედი ბუნებისა, მოთხრობა მისი მოვლენების აღმავალი კიბის შესახებ, სურათი უენო ბუნებაში მარადიული სიცოცხლის იმავე სულის განვითარებისა, რომელიც ისტორიაში ვითარდება,—რაც შელინგმა ორი მრავალმეტყველი სიტყვით გაძოხატა: „Deus fit“... ისტორიული მჭკრეტელობის გარეშე, კაცობრიობის პროგრესის ცნების გარეშე, იმ გონივრული განგებისადმი რწმენის გარეშე, რომელიც მარად ზეიმობს თვითნებობასა და შემთხვევითობაზე,—ჩვენს დროში არ არის ქეშმარიტი და ცოცხალი ცოდნა. იყავით ორიენტალისტი, შეისწავლეთ მთელი აღმოსავლური სიბრძნე, ბრწყინვალედ გამოიჩინეთ თავი ფაქტიური ცოდნით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, განცვიფრებაში მოიყვანეთ ქვეყანა უდიდესი ნაკითხობითა და ბრწყინვალე მახვილგონიერებით; აბუჩად აიგდეთ, ბრბოს საამებლად, ყოველგვარი ეგრეთწოდებული აპრიორული ცოდნა და ხოტბა შეასხით მუნჯ, მკვდარ ემპირიზმს,—თქვენ ამით ზაინც ვერ იქნებით სწავლული ადამიანი, ვერ იქცევით საუყუნის გამომხატველად, მაგრამ მხოლოდ ბრბოს გააკვირ-

ვებთ და ბრძენთ აიძულებთ სინანული გამოსთქვან ეგოდენ ბრწყინვალე და ასე ცუდად გამოყენებული ნიჭის გამო, თუ თქვენ არ გესმით, რომ კაცობრიობის თანამედროვე მდგომარეობა გონივრული განვითარების აუცილებელი შედეგია, და რომ მისი ახლანდელი მდგომარეობიდან შეიძლება განვკვირვოთ მისი მომავალი მდგომარეობა, რომ სინათლე დაამარცხებს წყვილადს, გონება დაამარცხებს ცრურწმენას, თავისუფალი შემეცნება ადამიანებს გადააქცევს სულიერ ძმებად, და—იქნება ახალი დედამიწა და ახალი ცა...⁷

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს იდეა ნათელი და ხელშესახებად უტყუარია, მისი შეთვისება არც ისე ადვილია, როგორც ეს შეიძლება კაცს ერთი შეხედვით მოეჩვენოს. აი რატომ არის, რომ ბუნებით მეტად კვიანი ბევრი ადამიანი რაღაც სოჯიუტითა და გააფთრებით არა სცნობს მას. თუ ემპირიული მკვრეტელობიდან განყენებულ ცნებებზე გადასვლა ძნელია, მაშინ, ვგონებ, კიდევ უფრო ძნელია განყენებული ცნებებს წარმოდგენა ცოცხალ იდეალურ უპიროვნო სახეებად. მაგალითად, ყველას როდი შეუძლია თვითონ მოახდინოს განყენება ადამიანებისა და ხალხებისაგან და მას კაცობრიობა უწოდოს; მაგრამ კიდევ უფრო ნაკლებად მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ სული ჩაუდგან ამ განყენებას აზრით, მისცენ მას ინდივიდუალობა და პიროვნება. ამგვარ უუნარობაზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანებს, რომლებიც ასეთ საკითხს უკვე სიმწიფის ასაკში წააწყდნენ, როდესაც ჩვეულება, სიზარმაცე და გონების უკვე ერთხელ დამკვიდრებული მოუქნელობა მათ აიძულებს მაგრად ჩაებლაუქონ ერთხელ და სამუდამოდ მიღებულ შთაბეჭდილებებსა და ცნებებს. სულ სხვა მდგომარეობაა ბავშვობისა და ყრმობის ასაკში, როდესაც სავსებით ამოქმედებულია მოსწავლის უნარი—უშუალოდ და თავისდა შეუძინევლად შეითვისოს იდეები. და სწორედ ამიტომ პირველდაწყებითი სწავლა ადამიანისათვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იგი, შეიძლება ითქვას, მთელი მისი ცხოვრების ბედსა სწყვეტს. სწავლისათვის კარგად და მკვიდრად ჩაყრი-

ლი საძირკველი იმის საწინდარია, რომ ეს ქვეშაირიტი და საფუძვლიანი სწავლა იქნება. სწავლების სულს შეადგენს სისტემა და მეცნიერული გადმოცემა. ყველაზე ცუდი სწავლება—ეს არის სწავლება თამაშის, გართობის საშუალებით, მარტივი და ბუნებრივი სწავლება. ამიტომ ადამიანი, რომელსაც ბავშვობაში ცუდად, მაგრამ სისტემატურად და მეცნიერულად უსწავლია, ყოველ თვითნასწავლზე უფრო ბედნიერია, რადგან ის, რაც მან იცის,—იცის მტკიცედ, ხოლო რაც მთავარია—ყოველთვის შეუძლია თვითონ ისწავლოს და მის მიერ შეძენილი ცოდნა მუდამ განსხვავებული იქნება სისრულით, სიღრმით, საფუძვლიანობით, თუ ამასთან ერთად ყოველთვის მრავალმხრივი არ იქნება, მაშინ როდესაც თვითნასწავლი ყოველთვის და ყველაფერს ჩქარა და მკვირცხლად წაატანს ხელს, მაგრამ ამასთანავე წაატანს ზერელედ, არასაფუძვლიანად, არამტკიცედ, არეულდარეულად, კალეიდოსკოპურად. რაც შეეხება ცრურწმენას, რომელიც სწავლებაში იპარება, უნდა ითქვას, რომ თავის ანაბარად მიტოვებულ გონებას თითქმის უფრო მეტი მიდრეკილება აქვს ცრურწმენისადმი, ვიდრე წიგნის ან მასწავლებლის ავტორიტეტით წარმართულ გონებას.

ზემოთ ჩვენ ვილაპარაკეთ ისტორიის, როგორც მეცნიერების, მნიშვნელობაზე თანამედროვე განათლებისათვის, რომელიც აუცილებელია თითოეული ადამიანისათვის, არა მარტო სწავლულისათვის, არამედ უბრალო გონიერი ადამიანისათვისაც. და განა ზემოთქმულიდანვე ნათლად არა ჩანს, რადიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის სწავლებას საშუალო სასწავლებლებში? 14 წელზე უფრო ნაკლები ხნის ბავშვებისათვის ისტორიას მხოლოდ დევგმირული ზღაპრების მნიშვნელობა თუ ექნება, და ბევრი მათგანი დიდი ხალისით წაიკითხავს კვინტ კურციუსის ნაშრომს „ალექსანდრე მაკედონელის შესახებ“ და რომაელთა სამხედრო ისტორიას. საკუთრივ ისტორია კი მათთვის არ არსებობს. მიუხედავად ამისა, 12-დან 14 წლამდე პერიოდი ყველაზე მარჯვე დროა ისტორიის შესასწავლად მოსამზადებელი მეცადინეობისათვის,

ფაქტების, მოვლენების, რიცხვების, ადგილების, სახელებისა და სხვ. სისტემატური კავშირურთიერთობითა და თანმიმდევრობით შესწავლისათვის. მარტოოდენ მეხსიერებაზე დაყრდნობა საზიანო და დამლუპველია, მაგრამ მეხსიერების დაუხმარებლადაც ფონს ვერ გახვალ; ხოლო რადგან ამ უნარს მხოლოდ ბავშვებზე შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად, ინტერესისა და შეგნების განსაკუთრებული მონაწილეობის გარეშე, ამიტომაც ყველაზე უმჯობესია ასაკის ამ ეპოქაში ჩაეყაროს საძირკველი ისტორიის მტკიცე, საფუძვლიან ცოდნას. რასაკვირველია, ეს იქნება ფაქტიური ცოდნა, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი შეხედულებანი და უშუალო მსჯელობა; მაგრამ კარგად შედგენილი სასწავლო ისტორიან არასოდეს არ შეიძლება იყოს მხოლოდ ფაქტობრივი წიგნი, ამ სიტყვის ცუდი მნიშვნელობით. ასეთ წიგნში მოვლენები (რა თქმა უნდა, მშრალი და მკვდარი უკვე იმის გამო, რომ გადმოცემული არიან მოკლედ) წარმოდგენილია ორგანულ კავშირსა და შესაბამისობაში, ერთი მოვლენის მეორეზე, ერთი ხალხის მეორეზე ურთიერთ ზეგავლენასა და საწინააღმდეგო მოქმედებებში, ასე რომ მოწაფე თავისდა შეუძინევლად ჰფლობს კაცობრიობის ბედის მთლიან, თუმცა სრულიადაც არა დაწვრილებითსა და არა სრულ ნარკვევს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ იგი უშუალოდ, თავისდა შეუძინევლად და ანგარიშმიუცემლად, ეჩვევა განჭვრიტოს ხალხი და კაცობრიობა, როგორც იდეალური პიროვნება; მამასადამე, მას შეუძლია ადვილად და განყენებული მეცადინეობის გაუწევლად შევიდეს ისტორიაში, ვითარცა მეცნიერებაში, რომელმაც უფრო მეტად, ვიდრე სხვა რამემ, მისგან უნდა გამოიყვანოს ადამიანი როგორც თანამედროვე განათლებულობის მხრივ, ისე ჰუმანურობის მხრივაც. ამრიგად, რაკი ხელთაქვს არჩიადნას ძაფი, რომლითაც შეუძლია ურიცხვი ფაქტების დაბირინთში იაროს ისე, რომ გზის დაკარგვის არ ეშინოდეს, რაკი იცის, თუ სად და როგორ მოათნვესოთ თითოეული ფაქტთაგანი, მოწაფე ზომზადებულობა უფრო ვრცელი და დაწვრილებითი კურსისათვის, სადაც მოვლენათა აზრი არა მხოლოდ

უშუალოდ წარმოგიდგება, არამედ ავტორის შეხედულებებითაც გაშუქებულია. საძირკველი საჭიროა სახლისათვის, რომელიც ამ საძირკველმა უნდა დაიჭიროს; მაგრამ თავისთავად იგი ყოვლად გამოუსადეგარი და სრულიად უსარგებლოა: ისტორიის კურსი საშუალო სასწავლებლებში მოწაფისათვის უნდა იყოს მოსამზადებელი ისტორიის საძირკველზე აგებული სახლი. აქ მოწაფე უკვე აზროვნებს იმ ფაქტების საფუძველზე, რომლებიც მას თავდაპირველად შეუცნობლად, მოწაფური რუტინით შეუძენია, და იმავე საფუძველზე აფართოებს თავისი ფაქტიური ცოდნის წრეს. თუ იგი უნივერსიტეტის კურსს აღარც კი მოისმენს, მან მაინც დიდი რამ შეიძინა: მას თვითონ შეუძლია ისწავლოს ისტორია, როგორც მეცნიერება, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლია ნაყოფიერად იკითხოს დიდი ისტორიული თხზულებანი არა როგორც „მოთხრობები ქვეყნიერების შესანიშნავ ამბებზე“, არამედ როგორც იმ გზებისა და მსვლელობის ცოცხალი სურათი, რომლებითაც კაცობრიობა თითქმის ცხოველური შეუცნობლობიდან თანამედროვე მდგომარეობამდე მოვიდა...

აქედან ჩანს ისტორიის კარგი სახელმძღვანელოების უდიდესი მნიშვნელობა საშუალო სასწავლებლებისათვის. პროფესორ ლორენცის „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ თავისი დარგის საუკეთესო მოვლენაა არა მარტო რუსულ ლიტერატურაში; ეს არის თანამედროვე ევროპული თხზულება, რომელიც მოგვაგონებს უკანასკნელი დროის საუკეთესო გერმანულ სახელმძღვანელოებს, როგორც, მაგალითად, ლეო და სხვები. ცხადია, ბ-ნ ლორენცის წიგნი საკუთრივ საშუალო სასწავლებლების კურსი არ არის; იგი შესდგება მის მიერ პედაგოგიურ ინსტიტუტში წაკითხული ლექციებისაგან, მაგრამ იგი გამოდგება გიმნაზიებისა და სემინარიებისთვისაც და შეიძლება სასარგებლო იყოს განსაკუთრებით იმ მოსწავლეთათვის, რომელთაც უნივერსიტეტებში შესვლის შესაძლებლობა არა აქვთ*. ჩვენ ძალიან შორსა ვართ იმ გაბედული აზრისაგან, რომ ფაქტიური მხარის თანადროულობის, სიახლისა და სისწორის მხრივ შევამოწმოთ იმ ავტორის თხზულება, რომელიც ევროპაში ცნობილია თავისი სწავლულობით...!

მალოროსიის ისტორია ნიკოლოზ მარკევიჩისა

მოსკოვი. 1842. ოთხ ტომად ¹

(ნაწევები)

ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია გონებრივი ცხოვრების დღემდე დაქსაქსული ელემენტების ერთიანობისა და ნათესაობისადმი მისწრაფება. ცხოვრება, ცხადია, ახლა ცდილობს ერთიანი და მთლიანი გახდეს. და თუ იგი დღემდე ვლინდებოდა ათასგვარი ცალმხრივობით, განცალკევებული და დაქსაქსული უსასრულოდ მრავალ მხარეებად, რომელთაგან თითოეული პრეტენზიას აცხადებდა განსაკუთრებული მონოპოლიის უფლებაზე სულიერ სფეროში, ყველა დანარჩენ მხარეზე მალა აყენებდა თავის თავს და ამაყად უარპყოფდა მათს მნიშვნელობას, — ორგანული ერთიანობის საწინააღმდეგო ეს მისწრაფება საჭირო იყო თვით ამ ორგანული ერთიანობისათვის, რომელს მზე უკვე ამოდის კაცობრიობის ჰორიზონტზე. საჭირო იყო, რომ გონებრივი ცხოვრების თითოეული ელემენტი სავსებით გამომუშავებულიყო და განვითარებულიყო, ხოლო ამისათვის საჭიროა, რომ ცხოვრების ყოველი ელემენტი ცალკე განვითარდეს. ამრიგად, განცალკევება არის ერთიანობის გარდუვალი პირობა, პირველი მომენტი ერთიანობის პროცესში. მხოლოდ ცალკე განვითარებულ ელემენტებს შეეძლოთ სავსებით განვითარებულიყვნენ, და მხოლოდ სავსებით განვითარებულ ელემენტებს შეეძლოთ შეეცნოთ თავისი ნათესაობა და ერთმანეთში დაენახათ არა საშიში მტრები, არამედ მეგობრები, რომლებსაც თანაბრად სჭირდებათ ერთიმეორე და თანაბრად სასარგებლონი არიან ერთმანეთისათვის. ამ ჰემმარიტების დამამტკიცებელია ხალხთა ისტორია, საზოგადოებათა ისტორია, მეცნიერების, ხელოვნების მატრიანეები, ხელოსნობის მატრიანე კი. თითოეული ხალხის ხვედრი იყო განვითარებინა

ცხოვრების ერთი რომელიმე მხარე, და ამიტომ ერთმა ხალხმა უდიდესი წარმატებანი გამოიჩინა ომში, მეორემ—მეცნიერებაში, მესამემ—ხელოვნებაში, მეოთხემ—ვაჭრობაში და ა. შ. და თითოეული ამ ხალხთაგანი, თავისი დავაუკაცების პერიოდამდე, სიძულვილითა და ათვალწუნებით უცქერის ყველა სხვა ხალხს და მხოლოდ თავის თავს სთვლის ჭკვიან, კეთილ და საქმიან ხალხად. აქედან წარმოსდგება მთელი ეროვნული სიძულვილი, აქედან წარმოსდგება ქიშობა, რომელიც გაბორბლებას ჰგავს, შეჯიბრება, რომელიც შურსა ჰგავს. ასე, მაგალითად, მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ევროპის ისტორიას ამოძრავებდა და წარმართავდა პოლიტიკური წონასწორობის აზრი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ არც ერთი სახელმწიფოსათვის საშუალება არ მიეცათ სხვებზე ძლიერი გამხდარიყო, თუნდაც რომ მისი ძლიერება წმინდა შინაგანი ყოფილიყო და ვაჭრობის, მრეწველობის, ცივილიზაციის, განათლების წარმატებათაგან წარმომდგარიყო, — და როგორც კი ერთი სახელმწიფო კეთილდღეობითა და პოლიტიკური სისადით გაძლიერდებოდა, ყველა სხვა სახელმწიფო მის დაუძლურებას ჩქარობდა; ამის საშუალებას წარმოადგენდა მეტწილად დიდი სისხლისღვრები, და ომი ჩვეულებრივად თავდებოდა როგორც შურის საგნის, ისე თვით მოშურნეთა საერთო გამოფიტვითა და დაუძლურებით... აი აზრი, რომელიც ახლა სასაცილო და ბავშვურია, მაგრამ მაშინ ადამიანის დიდძალი სისხლის, მისი დიდძალი ცრემლის ფასად ჯდებოდა!.. ეს იყო კრიზისის მომენტი, ბავშვობიდან დავაუკაცებაში გადასვლის მომენტი. იმ აზრში, რომ სახელმწიფოებმა იქვენულად უნდა უცქირონ ერთიმეორეს და რომ მათ უფლება აქვთ ერთმანეთი შეზღუდონ,—უკვე თვით ამ აზრში ჩანს ერთიანობის, თუმცა ცუდად გაგებული ერთიანობის დასაწყისი. ახლა ეს ერთიანობა სხვაგვარად არის გაგებული და იმაში მდგომარეობს, რომ ნაციონალური ინდივიდუალობის დიადი იდეა დაემორჩილოს კაცობრიობის კიდევ უფრო დიად იდეას². ხალხები იწყებენ იმის შეგნებას, რომ ისინი კაცობრიობის დიდი ოჯახის წევრები არიან, და უკვე

თანდათან ძმურად უზიარებენ ერთიმეორეს თავისი ეროვნების სულიერ საუნჯეებს. ერთი ხალხის ყოველ წარმატებას სწრაფად ითვისებენ სხვა ხალხები, და თითოეული ხალხი მეორისაგან იღებს განსაკუთრებით იმას, რაც უცხოა მისი საკუთარი ეროვნებისათვის, და სამაგიეროდ სხვებს აძლევს იმას, რაც მისი ისტორიული ცხოვრების განსაკუთრებული საკუთრებაა და რაც სხვების ისტორიული ცხოვრებისათვის უცხოა. ახლა მხოლოდ სუსტი, შეზღუდული ჰკუის ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ კაცობრიობის წარმატებანი საზიანოა ეროვნების წარმატებებისათვის და რომ ეროვნების დასაცავად საჭიროა ჩინური კედელი. ნათელი და მტკიცე გონების ადამიანებს ესმით, რომ ეროვნული სული სრულებითაც არ არის ეროვნული ზნე-ჩვეულებანი და ძველი დროის გადმოცემები, რომელთაც ასე დიდად უფრთხილდება უვიცი საშუალო ადამიანი; მათ იციან, რომ უცხოელებთან ურთიერთობისა და ახალ იდეათა და ახალ ზნე-ჩვეულებათა შემოქრის მეშვეობით ეროვნული სული ისევე არ შეიძლება გაჰქრეს და გადაგვარდეს, როგორც არ შეიძლება ადამიანის ფიზიონომია და ბუნება გაჰქრეს ან გადაგვარდეს მეცნიერების ან ადამიანებთან ურთიერთობის მეშვეობით. და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ეგრეთწოდებული პოლიტიკის წვრილმანი, ეგოისტური ანგარიშები გაჰქრება, და ხალხები ძმურად გადაეხვევიან ერთმანეთსა გონების მზის საზეიმო ბრწყინვალებაში და შემწყნარებელ ზეცასთან მოზვიამე დედამიწის შერიგების ჰიმნი დაიგუგუნებს! თუ ახლანდელი ისტორიული მდგომარეობა ასე მკვეთრად ეწინააღმდეგება ამ სურათს და იგი გახურებული ფანტაზიის განუხორციელებელ ოცნებად წარმოუდგენია, სამაგიეროდ მოაზროვნე ადამიანებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ საგანთა არსს ჩასწვდნენ, კაცობრიობის ეს ახლანდელი ისტორიული მდგომარეობა, როდენ არასასიხარულოც უნდა იყოს ის, შეიცავს ყველა ელემენტსა და ყველა მონაცემს, რომელთა საფუძველზე ყველაზე უფრო გაბედული ოცნებები აწმყოში ყველაზე უფრო დადებით სინამდვილედ იქცევა მომავალში.

თუ „საზოგადოებებად“ უნდა იგულისხმებოდნენ რჩეული, ე. ი. ყველაზე განათლებული, განსწავლული და ცივილიზებული კლასები და წოდებანი სახელმწიფოებში, მაშინ ჰუმანური დაახლოება უკვე დიდი ხანია მოხდა საზოგადოებათა სახ-თ. განათლებული ევროპელი ახლა თავის სამშობლოს გარეთაც ისევე ცხოვრობს, როგორც შინ, იგი არ სტოვებს თავის ჩვეულებებს, იგი კვლავ თავისი მიწაწყლის შვილია და ყველგან პატივისცემით სარგებლობს. სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები ქორწინდებიან, მაგრამ ამით არ აღდევენ თავთავისი სამშობლოს არც ზნე-ჩვეულებებს, არც კანონებს და არც ზნეობრივ ცნებებს. ამასთანავე, ინგლისელი საფრანგეთშიც ინგლისელად დარჩება, ფრანგი გერმანიაშიც ფრანგად დარჩება, და პირიქით, ყოველი მათგანი,—თუმცა იგი სრული სიმბათიით უცქერის სხვის ქვეყანას და, ასე ვთქვათ, თავს გრძნობს მის მოქალაქედ,—კვლავ რჩება თავისი ქვეყნის შვილად, არც ერთი მათგანი არ ჰკარგავს თავისი ეროვნების სულიერ სახეს. აქ უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ევროპეიზმის მოძულენი ჩვენში თავიანთ თანამემამულეებს უსაყვედურებენ მოგზაურობით გატაცებას, იმას, რომ მათ ასე ადვილად და გულმოდგინედ გადმოაქვთ დასავლეთის ზნე-ჩვეულებანი (ე. ი. განათლებულ და განსწავლულ ადამიანთა ზნე-ჩვეულებანი). ამ ყალბი პატრიოტების უმეცარი ფანატიზმი იქამდე მიდის, რომ რუსული საზოგადოების განათლებულ ნაწილში კინალამ რენეგატებსა და მახინჯებს ხედავენ, რომლებშიც რუსული არაფერია, და მათ გაურყვენელი რუსული ეროვნულობის მისაბამ ნიმუშად უსახელებენ უსუფთაო და ბინძურ ბრბოს¹. „შეხედეთ,—გაიძახიან ისინი:—ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, სადაც და რამდენიც უნდა იცხოვროს მან თავისი სამშობლოს გარეთ, ყველგან ფრანგი, ინგლისელი და გერმანელია; ჩვენები კი საფრანგეთში—ფრანგები არიან, ინგლისში—ინგლისელები. გერმანიაში—გერმანელები; ხოლო შინ—ერთნიც არიან, მეორენიც და მესამენიც, და ამიტომ არც ერთნი არიან და არც მეორენი“. ცხადია, ამ ბრალდებაში არის ჰუმპარიტების

ნაწილი, მაგრამ სრული ჰუმანიტებიდან იგი ისე შორსაა, როგორც წყვედიანი სინათლიდან, და მთლიანად ეს სრულიად უაზრო ბრალდებაა. აბა როგორ შეეძლო რუსეთს, რომელიც პეტრე დიდის რეფორმამ სამუდამოდ მოსწყვიტა თავის წარსულს, ას წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში ერთბაშად გაზრდილიყო და დავაეკაცებულებო, დაზოუციდებელი და ორიგინალური ცხოვრება დაეწყო და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა შეეძინა. იმის ნაცვლად, რომ შეუძლებელი ვისურვოთ, უმჯობესია გვიხაროდეს ის გიგანტური წარმატებანი ცივილიზაციაში, რომელთაც რუსეთმა ისედაც მიაღწია ასე მოკლე დროში. პირდაპირ სასაცილოა, რომ უცხოურისადმი მიბაძვის ამ ბრალდებას უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია იმეორებენ სხვადასხვა ფორმით. თავდაპირველად ამ ბრალდებით გაილაშქრეს გალომანიის წინააღმდეგ ზნე-ჩვეულებებსა და ლიტერატურაში და შერისხავდნენ ფრანგულ ენასაც და იმ რუსებსაც, რომლებიც ფრანგულად უფრო მეტს ლაპარაკობდნენ და კითხულობდნენ, ვიდრე თავიანთ მშობლიურ ენაზე. კარამზინის წინააღმდეგ მთელი ლიტერატურული პარტიაც კი შეიქმნა, რომელიც რუსული ენის სახელოვან გარდამქმნელს უსაყვედურებდა რუსული ენის შერყვნას გალიციზმებით, თუმცა გალიციზმებით აღსავსე კარამზინის ენა ათასჯერ უფრო ბუნებრივი და ცოცხალი რუსული ენაა, ვიდრე ლოზონოსოვის მწიგნობრული ენის გრძელი ლათინურ-გერმანული პერიოდები. მაგრამ დროთა ვითარებამ გამოავლინა მთელი შეზღუდულობა და სრული არარაობა ამ ყალბი პატრიოტული გალაშქრებებისა იმის წინააღმდეგ, რაც რუსეთის ღირსებასა და დიდებას შეადგენდა. თუ განათლებული რუსული საზოგადოება რუსულად არ ლაპარაკობდა და არ კითხულობდა, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა: მაშინ იყო მხოლოდ მწიგნობრული და მდაბიური ენა და არ იყო სალაპარაკო რუსული ენა; მაშასადამე, განათლებულ საზოგადოებას არ ჰქონდა ისეთი ენა, რომლითაც ილაპარაკებდა, კიდევაც რომ მოესურვებინა რუსულად ლაპარაკი. ხოლო თუ რუსეთში დღესაც კიდევ სრულად არ გამოუმუშავებულა საზოგადოებრი-

ვი და სალაპარაკო ენა, სამაგიეროდ იგი უკვე არსებობს, როგორც სანახევროდ დამუშავებული მასალა, და ამიტომ ამ ენით უკვე დიდი ხანია ლაპარაკობს საშუალო განათლებული საზოგადოება (რომელიც ახლახან ჩამოყალიბდა) და ლაპარაკს იწყებს მალალი საზოგადოება (რომელიც დიდი ხანია არსებობს). ხოლო ფრანგული ენის ცოდნა რომ სრულებით არ ეწინააღმდეგებოდა ნამდვილ პატრიოტიზმს და ზიანს არ აყენებდა მას,—ამ ჭეშმარიტების საუკეთესო დამაბტკიცებელი საბუთია 1812—1814 წლების დიდი ომი: ფაქტიურად ცნობილია, რომ რუსეთის არა მხოლოდ გვარდიაში, არამედ არმიაშიც მრავალი განათლებული ოფიცერი იყო, რომლებიც ფრანგულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამას მათთვის ხელი არ შეუშლია სისხლი დაეღვარათ და გმირულად მომკვდარიყვნენ თავისი სამშობლოსათვის, რომლის ენას მათ სიმამაცით ღირსეული თავიანთი მტრების ენა ერჩივნათ. აქვე უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ახლაც, მიუხედავად რუსების გატაცებისა საზღვარგარეთ მოგზაურობითა და წასვლით,—საზღვარგარეთ სამუდამოდ დარჩენილი რუსი თითქმის არჩახული მოვლენაა; მაშასადამე, უცხო ზნე-ჩვეულებანი რუს ადამიანებში არ სპობენ მათს სისხლხორცეულ კავშირს თავის სამშობლოსთან, და იმ მცირერიცხოვან ადამიანებსაც კი, რომლებიც ბედმა უცხო ნიადაგზე და უცხო ცის ქვეშ გადაისროლა, იმათაც კი, ბუნებისა და ცივილიზაციის სასწაულთა შორის,—ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ,— შეუძლიათ სულის საუნჯეგესავით ატარონ თავისი სამშობლოს ველ-მინდვრებისა და ზოფელ-ქალაქების მოგონებით აღძრული წმინდა კაემანი...

რაც შეეხება წინანდელი საზოგადოების გულგრილობას მშობლიური ლიტერატურისადმი,—ეს გარდუვალი იყო: საზოგადოება არ კითხულობდა რუსულად იმიტომ, რომ წასაკითხავი არაფერი იყო; ორ-სამ, თუნდაც შესანიშნავი ნიჭის ძალით დაჯილდოებულ მწერალს, რომლებიც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ენით სწერდნენ, არ შეეძლო იმ ადამიანთა მთელი თავისუფალი დროის შევსება და მთელი გონებრივი

მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელთა წინაშე ღია იყო ევროპის მდიდარ და მომწიფებულ ლიტერატურათა დაუშრეტელი საუნჯენი. ახლა განათლებული და თვით ნახევრად-განათლებული საზოგადოების ყველა კლასი წინანდელზე მეტად კითხულობს რუსულად, იმიტომ რომ რუსული ლიტერატურა, წინანდელთან შედარებით, მეტ საზრდოს იძლევა საკითხავად, თუმცა წინანდებურადვე ოდნავაც ვერ ამცირებს უცხოურ ლიტერატურაზე მოთხოვნის დონას. უმაღლეს საზოგადოებას, როგორც რუსეთში ყველაზე განათლებულს, რუსული ლიტერატურის ყალბი დამცველები სხვებზე მეტად უსაყვედურებდნენ და უჩიოდნენ ამ, ლიტერატურისადმი გულგრილობას... მაგრამ სამართლიანია თუ არა ეს საყვედურები და ჩივილი? ჯერ-ერთი, დერჟავინი, თუ წარმოშობით არა, თავისი მდგომარეობით მაინც თვითონ ეკუთვნოდა საზოგადოების უმაღლეს წრეს; ფონ-ვიზინი ამ წრეში დაშვებულ იქნა მისი ჰუუსისა და ტალანტის გამო; კრილოვი, ჟუკოვსკი და ბატიუშკოვი მეგობრული ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი ამ საზოგადოების მრავალ ადამიანთან; გრიბოედოვი, პუშკინი და ლერმონტოვი უფრო მას ეკუთვნოდნენ, ვიდრე საზოგადოების რომელიმე სხვა წრეს. მეორეც, უმაღლესი საზოგადოება მფარველობდა ლომონოსოვს ელიაბედის მეფობის დროს; თითქმის მხოლოდ ეს საზოგადოება კითხულობდა დერჟავინსა და ფონ-ვიზინს ეკატერინეს მეფობის დროს; ეს საზოგადოება იცნობდა და კითხულობდა კრილოვს, ოზეროვს, ჟუკოვსკის, ბატიუშკოვს, პუშკინსა და გრიბოედოვს ალექსანდრეს მეფობის დროს; ახლა იგი იცნობს და კითხულობს ლერმონტოვსა და გოგოლს... დღემდეც კი ჩვენს ლიტერატურაში არიან სახელები, რომლებიც უმაღლეს წრეს ეკუთვნიან, მაშასადამე, მათ აქ იცნობენ არა მხოლოდ მაღალ წრეებთან ურთიერთობით. უმაღლესი საზოგადოება რომ მრავალ სხვა „დიდ“ რუს მწერლებს არ იცნობს და მათი სახელი არ გაუგონია, ეს იმიტომ, რომ ისინი მეტად ბევრნი არიან, და რომ ჩვენში—რუსეთში ასე ადვილია ერთი საწყალი ლექსისათვის, ერთი უბრალო მოთხრობისათვის, ერთი უბადრუკი

საყურნალო სტატიისათვის კაცი დიდ მწერლად გამოაცხადონ: აბა ვინ წაიკითხავს და დაიმახსოვრებს მათ ყველას?.. ზოგჯერ მშვიდ გულგრილობაში უფრო მეტი ღრმა აზრია, ვიდრე განუხჯელ, მაგრამ ბავშვურ უნარში—გაგიტაცოს ყოველივე იმან, გენია დაინახო ყოველივე იმაში, რაც ჩვეულებრივ ნიქსაც კი ძლივს ამქლავნებს, დიდი მნიშვნელობა მიანიჭო იმას, რაც არსებითად არარაობაა, და იაბაყო იმ სიმდიდრით, რომელიც მალე ფუჭდება და ღებება მივარდნილ საყუქნაოებში. რუსულ ლიტერატურაში, უეჭველია, არის ზოგი რამ ისეთი, რაც საყურადღებოა უცხოელებისთვისაც კი და, მაშასადამე, ღირსია მთელი ჩვენი სიყვარულისა და ჩვენგან პატრივისციემისა; მაგრამ აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ უფლება გვქონდეს ჩვენი ნორჩი ლიტერატურის სათუთი ღამწვანე ღეროები შევადაროთ ევროპის ლიტერატურათა დიდებულ და უზარმაზარ ხეებს. უკვე თვით ის აზრი, რომ ჩვენ ჩვენიც გვეყოფაო,—აზრი, რომელსაც ასეთი მშობლიური სინაზით თავს ევლებიან ადამიანები, რომლებმაც თვითონვე მიისაკუთრეს „პატრიოტთა“ მოკრძალებული სახელი,—უკვე მარტოოდენ ეს აზრი მოწმობს ჩვენი განათლების ბავშვობასაც და ჩვენი ლიტერატურის ბავშვობასაც. ფრანგული, გერმანული და ინგლისური ლიტერატურები ერთმანეთზე ღარიბები არ არიან,—და იმავე დროს, რომელიმე მათგანის ყოველ ახალ, თუნდაც რამდენადმე რითიმე შესანიშნავ ნაწარმოებს მყისვე სთარგმნიან სხვა ენებზე. ნაციონალური სულის საუნჯეთა ამ ძმური გაცვლა-გამოცვლით თითოეული ლიტერატურის სიმდიდრე მხოლოდ იზრდება.

მეცნიერებასა და ხელოვნებაში ასევე მკვეთრად მქლავნდება ახლა ერთიანობისადმი ეს მისწრაფება სხვადასხვაგვარი ელემენტების ურთიერთობის გზით. იყო დრო, როდესაც საერთო აზრი პოეტს უტოვებდა მგზნებარე გულს, ხოლო ფილოსოფოსს ცივ გონებას და პირველს ართმევდა გონებას, მეორეს კი—გულს. პოეზია ითვლებოდა რაღაც ბორგნილ აღმაფრენათა გამოცხადებად, ხოლო პოეტური ნაწარმოები—

რადაც ისეთ სიტყვებად, რომლებსაც პითია კრუნჩხვით წარმოსთქვამდა ხოლმე წმინდა სამფეხზე ჰჯდომი. პოეტს მხოლოდ აღტაცებული უგუნურებისა და უგუნური აღტაცების უფლება დაუტოვეს, და მას წაართვეს მოაზროვნე არსების უფლება—ადამიანის ყველაზე უფრო წმინდა უფლება; მის უღაწვო გამგებლობაში დასტოვეს სიყვარული და მას წაართვეს გონების უფლება, თითქოს სიყვარული და გონება მტრულად დაპირისპირებული ელემენტები იყოს და არა ერთისა და იმავე სულის ორი მხარე. ფილოსოფოსად გულდისხმობდნენ ცივ, მშრალ და ბუნებით უგრძობელ, გულგრილ არსებას. მართლაც, მთელი გარეგნული მხარე ასეთი აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. ვიდრე ფილოსოფია მხოლოდ იწყებდა თავის დიად საქმეს, ბუნებრივია, რომ მაშინ იგი ცხოვრებას განშორდა და თავის განსაკუთრებულ სფეროში მოექცა, იგი ღრმად ჩაეფლო გონების, როგორც მოქმედი ძალის, და აზრის, როგორც გონების საგნის ანალიზში. ამით აიხსნება მისი ასკეტიზმი, მისი ცივი და სასტიკი ხასიათი, მისი მკაცრი მარტოობა. კანტი, უახლესი ფილოსოფიის დამამთავარი, დამამთავრებელი იყო აზროვნების ამ პირველი შრომისა, რომლის საგანია თვით აზროვნება. ხოლო მოქმედი ძალაა გონება. ფიხტეს ფილოსოფიის შინაარსი უკვე უფრო ზოგადია და იგი ამ ფილოსოფიაში მგზნებარე ტრიბუნია სუბიექტური სულის უფლებებისა, რომლებიც მან განსაკუთრებულ ცალმხრივობამდე მიიყვანა. შეღწევა, იგივეობის დიად იდეაში, აღმოაჩინა ფიხტესეული მე-ს შერიგება ობიექტურ საწყაროსთან. ბოლოს, ჰეგელის ფილოსოფიამ მოიცვა საყოველთაო ცხოვრების ყველა საკითხი და, თუ ღისი პასუხები ამ საკითხებზე ზოგჯერ უკვე განვილილ. კაცობრიობის მიერ სავსებით განცდილ პერიოდს მიეკუთვნება. სამაგიეროდ მისმა მკაცრმა და ღრმა მეთოდმა შარავნა გაუხსნა ადამიანის გონების ცნობიერებას და სამუდამოდ გაათავისუფლა ის მიხვეულობილი შემოსავლელი გზებისაგან, რომლებზეც მას მანამდე ასე ხშირად ებნეოდა თავისი მიზნისაკენ მიმავალი გზა. ჰეგელმა ფილოსოფია აქცია მეცნიერებად, და ახალი საზ-

ყაროს ამ უდიდესი მოაზროვნის უდიდესი დამსახურება მდგომარეობს სპეკულატიური აზროვნების მის მეთოდში, რომელიც იმდენად სწორი და ბტკიცეა, რომ მხოლოდ მისსავე საფუძველზე შეიძლება მისი ფილოსოფიის იმ შედეგთა უარყოფა, რომლებიც ახლა არასაკმაო ან არასწორია: ჰეგელი მხოლოდ მაშინ ცდებოდა გამოყენებაში, როდესაც საკუთარ მეთოდს ღალატობდა. ჰეგელის სახით ფილოსოფიამ ზიადწია თავის უმაღლეს განვითარებას, მაგრამ იგი მასთან ერთად დამთავრდა კიდევაც, როგორც იღუმალი და ცხოვრებისათვის უცხო ცოდნა: დაეაყვაცებულო და განმტკიცებულო, ამიერიდან ფილოსოფია ბრუნდება ცხოვრებაში, რომლის ზომბებურებელ ხმაურს ოდესღაც იძულებული იყო გასცლოდა, რათა განმარტობით და მყუდროებაში შეეცნო თავისი თავი. პრაქტიკასთან ფილოსოფიის ეს კურთხეული შერიგება დაიწყო ახლანდელი ჰეგელიანიზმის მემარცხენე მიმართულებაში. ეს შერიგება გამომყდავდა იმ საკითხების ცხოველყოფელობითაც, რომლებზეც ახლა ფილოსოფია მუშაობს, იმითაც, რომ იგი თანდათანობით თავს ანებებს თავის მძიმე სქოლასტიკურ ენას, რომელიც მისაწვდომია მხოლოდ მისი ადებტებოათვის, და იმითაც, რომ მან თავის წინააღმდეგ აამხედრა გააფთრებული მტრები უკვე არა მხოლოდ სკოლებსა და წიგნებში. ახლა უკვე ეს არის არა სასკოლო, არა მწიგნობრული ფილოსოფია, რომელიც მხოლოდ თავს იცნობს და პატივს სცემს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს, არა ფილოსოფია, გულცივი და გულგრილი სამყაროს მიმართ, რომლის შემეცნებაც მის შინაარსს შეადგენს; არა, ახლა იგი უნდა იყოს მკაცრი, სასტიკი და გულცივი, როგორც გონება, მაგრამ, ამათთან ერთად, შთაგონებულცი, როგორც პოეზია, მგზნებარე და სიმპათიური, როგორც სიყვარული, ცხოველი და ამაღლებული, როგორც სარწმუნოება, მძლავრი და მეღვარი, როგორც გმირობა...⁶

თავის მხრივ, ხელოვნებაშიც ახლა ასეთივე ნაბიჯი გადადგა. ახლა იგი აღარ კმაყოფილდება იმ პასიური როლით, რომ მსგავსად სარკისა გულგრილად და სწორად ასახოს

ბუნება, არამედ თავის მოსაზრებებში შეაქვს ცხოველი პირადი შეხედულება; რომელიც მას აძლევს მიზანსაც და აზრსაც. ჩვენი დროის პოეტი იმავე დროს მოაზროვნეც არის. ჩვენი დროის მხატვრულ ნაწარმოებზე ფილოსოფოსი ვერ იტყვის იმას, რაც უთხრა, როგორც მახსოვს, დეკარტემ თავის მეგობრებს, რომლებიც მას სთხოვდნენ თავისი აზრი გამოეთქვა რასინის ტრაგედიაზე: „ვთქვათ, რომ იგი კარგია, მაგრამ რას ამტკიცებს იგი?“ სუბიექტური საწყისის სიჭარბეს უნდა მიეწეროს ჩვენი დროის პოეტურ ნაწარმოებებში ესოდენ დიდძალი გადახვევანი პოეტის მხრივ, რომელიც კედევაც სჯის, კითხვებსაც აყენებს და პასუხსაც იძლევა. ერთი სიტყვით, პოეზია და ფილოსოფია უკვე არა თუ არ ეუცხოვებიან, არამედ განუწყვეტლივ ხელს უწვდიან ერთიმეორეს, რათა ერთმანეთს მხარი დაუჭირონ, და ხშირად იმდენადაც შეიძლება ხოლმე ერთიმეორეში, რომ ზოგიერთ ფილოსოფიურ თხზულებას თქვენ უწინარეს ყოვლისა პოეტურს უწოდებთ, ხოლო პოეტურ თხზულებას—ფილოსოფიურს.

პოეზია ახლა იჭრება ცხოვრების პროზაშიც, რომელიც წინათ ასე ეზიზღებოდა,—და მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია-საგულისხმო ფაქტს არ ხედავდეს იმაში, რომ ახლა ავეჯიც და ოთახების დასამშვენებელი სათამაშოებიც არა თუ ლაშათით არის აღსაავსე, არამედ მათ შემოქმედების ბეჭედიც კი აწის...

ცოტა ხნის წინათ წარმოიშვა მეცნიერება, რომელიც იმავე დროს ხელოვნებაც არის და რომელშიც თავს იყრის მშრალი ფაქტიური ცოდნა, ცივი გონებრივი ანალიზი, უმაღლესი ფილოსოფიური ჭკრეტა, სინამდვილისადმი მონური მორჩილება, ცოცხალი პოეტური გრძნობა და შემოქმედებითი ფანტაზია. ეს მეცნიერებაა ისტორია. მისი შემადგენელი პირობები იმდენად დიდი და რთულია, ერთსა და იმავე პირში მათი შეერთება ისე იშვიათია, რომ დღემდე ისტორიისა და საზოგადოდ სხვადასხვაგვარ ისტორიულ თხზულებათა ცდა უფრო გვექონდა, ვიდრე ის, რასაც „ისტორია“ ეწოდება. ამ მხრივ საუ-

კეთესო ცდები ფრანგებს ეკუთვნით, რომლებსაც, როგორც მწერლებს, გარდა სხვა მიზეზებისა, სხვებზე უფრო კიდევ იმიტომაც შეუძლიათ ისტორიის წერა, რომ სხვებზე მეტად, როგორც ხალხი, ჰქმნიან ისტორიას თავისი ნაციონალური ცხოვრებით. პირიქით, გერმანელებს გაცილებით უკეთ ესმით ისტორიის თეორია, ვიდრე ისტორიას სწერენ, იმიტომ რომ ისინი უფრო გონებრივი და მკვრეტელობითი ცხოვრებით ცხოვრობენ, ვიდრე ისტორიული ცხოვრებით. ამრიგად, აი კიდევ ახალი პირობა იმისათვის, რომ კარგი ისტორიკოსი იყო, — პირობა, რომელიც ისტორიკოსზე არ არის დაძოკიდებული!

ისტორიას ჰყოფენ მსოფლიო და კერძო ისტორიად, და პირველში გულისხმობენ კაცობრიობის მთელი ხალხის ისტორიას, ხოლო მეორეში — ერთი რომელიმე ხალხის ისტორიას. ეს დაყოფა არც ისე მნიშვნელოვანი და არსებითია, როგორც ფიქრობენ; ვინაიდან, თუმცა „მსოფლიო“ ისტორიის მოცულობა შეუდარებლად უფრო ფართო და ღრმაა, ვიდრე ეგრეთწოდებული „კერძო“ ისტორიის მოცულობა, მაგრამ პირობები, რომლებიც როგორც ერთის, ისე მეორის ისტორიკოსს მოეთხოვება, სავსებით ერთნაირია: ვისაც არ ძალუძს განჭვრიტოს კაცობრიობა, როგორც იდეალური პიროვნება, და ამიტომ ყოველ ხალხს, თავისთავად აღებულს, უყურებს როგორც რაღაც ცალკე არსებულს, რომელსაც კაცობრიობასთან თითქოს ცოცხალი კავშირი არ ჰქონდეს, მას ერთი რღმელიმე ხალხის კარგი ისტორიის დაწერაც არ შეუძლია. მაშასადამე, გაცილებით აჯობებს „კერძო“ ისტორიად ვიგულისხმოთ არა ერთი რომელიმე ხალხის ისტორია, არამედ ისტორია ერთი იმ მრავალ ელემენტთაგანისა, რომლებსგანაც შესდგება კაცობრიობის ცხოვრება და ყოველი ხალხის ცხოვრება. ამიტომ რელიგიის, ხელოვნების, მეცნიერების, სამართლის, ვაჭრობის, მრეწველობის ისტორია, პოლიტიკური, სამხედრო და სხვ. ისტორია „კერძო“ ისტორია იქნება. ასეთი ისტორიან, თავისი სიმარტივის გამო, ისტორიკოსისაგან ნაკლებ პირობებს მოითხოვს და ნამდვილ (მსოფლიო) ისტორიას-

თან ისეთ დამოკიდებულებაშია, როგორც მასალა, თუმცა იმავე დროს მას შეიძლება სრული და მწყობრად აგებული ისტორიის ღირსება ჰქონდეს. ამგვარი ისტორიები მეტად მნიშვნელოვანია: მხოლოდ მათი არსებობის პირობით შეიძლება არსებობდეს მსოფლიო ისტორია*. ისტორიული კრიტიკა, რომელიც მასალების შედარებასა და შემოწმებაში, ფაქტების განხილვაში და სხვ. მდგომარეობს, იმას, ვინც ამ დარგში მუშაობს, უფლებას აძლევს იწოდებოდეს „მეცნიერად“, მაგრამ არა ისტორიკოსად, თუმცა, თუ ასეთი „მეცნიერი“ არ იქნებიან, არც ისტორია შეიძლება არსებობდეს როგორც მეცნიერება და როგორც ხელოვნება ერთად.

ჩვენი სტატიის საგანია საკუთრივ ისტორია (მსოფლიო ისტორია—იმ აზრით, რომელსაც ჩვენ ამ სიტყვას ვანიჭებთ), და ამიტომ მხოლოდ მის შესახებ ვილაპარაკებთ. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ისტორია არის მეცნიერებაც და ხელოვნებაც ერთად, მეცნიერული თხზულება და მხატვრული ნაწარმოები ერთსა და იმავე დროს. ასეთი მნიშვნელობა ისტორიამ ძალიან ცოტა ხნის წინათ მიიღო იმ ელემენტების ერთიანობისა და

* აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ ჩვენ მანამდე არ გვექნება დამაკმაყოფილებელი ისტორია რუსეთისა, ვიდრე ჩვენი ისტორიკოსები არ შეუდგებიან კერძო ისტორიების შედგენას იმ საგნებში, რომლებსაც თითოეული მათგანი განსაკუთრებით სწავლობდა, როგორცაა: ეკლესიის ისტორია, სამხედრო საქმის, ზნეობის, ვაჭრობის, მრეწველობის, სამართლის, პოლიტიკის, საფინანსო სისტემისა და სხვ. ისტორია. ყველა ეს საგანი მოითხოვს ცალკე და კერძო დამუშავებას, ფაქტიურ, კრიტიკულ და ფილოსოფიურ დამუშავებას, მოითხოვს ტრაქტატებსა და სრულ ისტორიებს. გარდა ამისა. სასარგებლო თითოეული მნიშვნელოვანი მოვლენა ცალკე იქნას დამუშავებული, როგორც, მაგალითად, თათართა ბატონობა, უმეფობის ხანა, ცალკეული მეფობანი და სხვ. მაგრამ ჩვენი „სლავიანოფილები“ და „პატრიოტები“ ნაცვლად ამისა კმაყოფილდებიან წყლის ნაყვით, როცა ისეთ საკითხებს, როგორცაა რუსეთის წარმოშობა, თვითნებური ჰიპოთეზებით განიხილვენ და სწყყეტენ⁷. სხვები, უფრო გამბედავები, სწერენ რუსეთის ისტორიას, რომლისთვისაც ფაქტიური მასალები დაუმუშავებელია; ჯანა საკვირველია, რომ ისტორიის ნაცვლად ისინი აქვეყნებენ კომპილაციებს და ისიც დაუმთავრებელ კომპილაციებს?..

სისრულისადმი მისწრაფების შედეგად, რომლებიც წინათ განმარტოებით ვითარდებოდნენ. ეს მისწრაფება უახლესი დროის დამახასიათებელია და მის შესახებ სტატიის დასაწყისში ვილაპარაკეთ. ისტორიის ამ ახალ მიმართულებას დიდად შეუწყობ ხელი გენიალურმა ადამიანმა, რომელმაც მხოლოდ ერთი და ისიც ცუდი ისტორია და მრავალი ჩინებული რომანი დაწერა. ვალტერ-სკოტი იყო შემქმნელი პოეზიის ახალი გვარისა, რომელიც შეიძლებოდა მხოლოდ XIX საუკუნეში წარმოშობილიყო,—ისტორიული რომანისა. ვალტერ-სკოტის რომანში ისტორია და პოეზია პირველად შეხვდა ერთმანეთს, როგორც მონათესავე და არა მტრული საწყისები. და ამაში არაფერია უცნაური და არაბუნებრივი: პოეზია უწინარეს ყოვლისა არის ცხოვრება, ხოლო შემდეგ უკვე ხელოვნება; მაშ რაში ვლინდება ცხოვრება ასეთი სისრულით, სიღრმითა და მრავალფეროვნებით, თუ არა ისტორიაში? მარტინის კართაგენის ნანგრევებზე—არა მხოლოდ ისტორიული, არამედ ღრმად პოეტური ფაქტიცაა; ნაპოლეონი პოეტური პიროვნებაა არა მარტო ტულონთან, ეგვიპტეში, აუსტერლიცთან, მარენგოსთან, არამედ მოსკოვშიც, კუნძულ ელბაზეც, ვატერლოოსთანაც, წმინდა ელენეს კუნძულზეც და პარიზის ინვალიდთა სახლშიც... მხოლოდ გონებაშეზღუდულ და გულცივ ადამიანებს შეუძლიათ ისტორიულ მოძრაობაში დაინახონ პოლიტიკა და ომები, მოსაწყენი სერიოზული და მშრალი მნიშვნელოვანი საქმეები; დიდი ჭკუისა და ცოცხალი გულის მქონე ადამიანები მასში მსოფლიო ცხოვრების მაჯისცემას ხედავენ... იტყვიან: ამნაირად ისტორია შეიძლება პოეტური აზრებით აღსავსე, მაგრამ ფაქტიური მხრით ყალბ ზღაპრად ვაქციოთო. სრულიადაც არა! ისტორიული ტალანტის პირობების სიძნელეც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ისტორიული ფაქტებისა და მასალების ზუსტი შესწავლა, კრიტიკული ანალიზი, დინჯი პირუთვნელობა შეერთებული უნდა იყოს პოეტურ აღტყინებასა და შემოქმედებითს უნართან—შეახამოს მოვლენები და მათგან დახატოს ცოცხალი სურათი, სადაც პერსპექტივისა და შუქ-ჩრდილის

ყველა პირობა დაცულია. ისტორიული მოვლენების მოძრაობაში, გარდა გარეგანი მიზეზობრიობისა, კიდევ არის შინაგანი აუცილებლობაც, რომელიც მათ ღრმა შინაგან აზრს აძლევს: თვით მოვლენათა მოძრაობა სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკურად განვითარებადი იდეის მოძრაობა თავის თავიდან და თავის თავში. ამიტომაც ისტორიის საერთო მსვლელობაში, ისტორიულ მოვლენათა ჯამში შემთხვევითობა და თვითნებობა კი არ არის, არამედ ყველაფერს აუცილებლობისა და გონივრულობის ბეჭედი აზის. ისტორიაზე ასეთი შეხედულება დაშორებულია ყოველგვარ ფატალიზმს: იგი დასაშვებად სთვლის თვითნებობასაც და შემთხვევითობასაც, ურომლისოდაც ცხოვრება მექანიკურად არათავისუფალი იქნებოდა, მაგრამ თვითნებობასა და შემთხვევითობაში იგი ხედავს ღრობითსა და წარმავალ ბოროტებას, ხედავს ძალას, რომელიც მუდამ ებრძვის გონივრულ აუცილებლობას და მუდამ მარცხდება მისგან. ისტორიკოსი უწინარეს ყოვლისა უნდა ამალღდეს კერძოში ზოგადის განჭვრეტამდე, სხვა სიტყვებით, ფაქტებში იდეის განჭვრეტამდე. აქ მის წინაშეა არანაკლებ ძნელი ამოცანა—ღირსეულად გაიაროს ორ უკიდურესობას შორის ისე, რომ არც ერთმა მათგანმა არ გაიტაცოს: იმ საფრთხეს შორის, რომ შეიძლება დაიბნეს და გაიზღაროს მოვლენათა მრავალფეროვნებაში და მათ კერძო ხასიათს იქით მხედველობიდან დაჰკარგოს მათი დიალექტიკური ურთიერთკავშირი, მათი დამოკიდებულება მთელისა და ზოგადისადმი (იდეისადმი),—და იმ საფრთხეს შორის, რომ შეიძლება თვითნებურად მიუყენოს მოვლენები რომელიმე საყვარელ იდეას და აიძულოს ისინი ცრუ ჩვენება მისცენ ან ცალმხრივი ანდა სავსებით ყალბი დოქტრინის სასარგებლოდ. ამ უკიდურესობათა თავიდან აცილება ყველაზე ნიჭიერ ისტორიკოსს შეუძლია მხოლოდ უტყუარი პოეტური აღღოს და თანამედროვე ფილოსოფიური განათლების დახმარებით. ყალბისაგან ჰემმარიტის, უტყუარისაგან საეჭვოს გარჩევა ისტორიული კრიტიკის საქმეა; მაგრამ ისტორია, რომელიც მხოლოდ ისტორიულ კრიტიკას ეყრდნობა და მხო-

ლოდ ამ მხრივ უცოდველია, შეიძლება მშრალი, მოძქანცველი და მკვდარი იყოს; ფაქტები, მთელი მათი დამაჯერებლობის დროსაც კი, შეიძლება მასში გადმოცემული იყოს უპერსპექტივოდ, არა სურათოვნად, არამედ თანმიმდევრულად, ასე რომ, მომდევნო გვერდის წაკითხვისას მკითხველს წინა გვერდი ავიწყდება. ასეთ ისტორიებს თავისი ფასი და თავისი ღირსება აქვს, როგორც მხატვარ ისტორიკოსისათვის მეცნიერის მიერ დამუშავებულ მასალებს. ფაქტების მნიშვნელობის გაგება და მათი სასიცოცხლო მხარის ჩაწვდომა მხოლოდ პოეტური ალლოთი შეიძლება. აი რატომ არის, რომ როდესაც კითხულობ ზოგიერთ ისტორიას, რომლისთვისაც ყოველგვარი გამონაგონი უცხოა და რომელიც სავსეა ყველაზე სარწმუნო ფაქტებით, ფიქრობ, რომ კითხულობ ცუდ ზღაპარს, სადაც ყველაფერი ხდება არა გონივრული. აუცილებლობის კანონების მიხედვით, არამედ ნატურის თვალის საშუალებით. და აი რატომ არის, რომ როდესაც კითხულობ ვალტერ-სკოტის რომანს, სადაც ერთი რომელიმე ისტორიული მოვლენა გადახლართულია მრავალ გამოგონილ მოვლენასთან, ფიქრობ, რომ კითხულობ ისტორიას: ყველაფერი ისე ბუნებრივი, ცოცხალი და ნამდვილია რომანში. მატიაწეები და სხვა ისტორიული მასალები არსებითად მხოლოდ ის ქვებია, რომლებითაც ლამაზი, ლაზათიანი შენობის აგება მხოლოდ მხატვრის შემოქმედებითს გენიას შეუძლია. როდესაც კითხულობ ოგიუსტენ ტიერის შრომას — „ისტორია ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობისა“, ან მისივე „მოთხრობებს მეროვინგების ხანაზე“, ფიქრობ, რომ ვალტერ-სკოტის რომანს კითხულობ; იმავე დროს კი, განთქმული ფრანგი ისტორიკოსის ამ თხზულებებში არ არის არც ერთი ისეთი ნიშანი, რომელიც ფაქტებს არ ეყრდნობოდეს და ქრონიკებით არ დასტურდებოდეს; მაგრამ ისინიც კი, რომლებიც ამ ქრონიკებს ახლო და მეცნიერულად იცნობდნენ, — ტიერის ქმნილებებში პირველად გაეცნენ როგორც ერთ, ისე მეორე ეპოქას და გაკვირვებულნი დარჩნენ იმით, რომ ამ ეპოქებში ამდენი სიცოცხლე, პოეზია და გონიერება აღმოჩნდა. აქედან

ჩანს, რომ ისტორია შემოქმედებას მოითხოვს, ისე როგორც პოეზია. რატომ არის, რომ პოეტური ნაწარმოები, რომელიც ზოგჯერ ესოდენ ცხოვლად მოგვაგონებს ჩვენს საკუთარ მდგომარეობას წარსულში, უფრო ძლიერად მოქმედებს ჩვენზე, ვიდრე ეს წარსული მოქმედებდა მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ აწმყო იყო? სხვა სიტყვებით: რატომ მოქმედებს პოეზია ჩვენზე უფრო ძლიერად, ვიდრე ის სინამდვილე, რომელიც მის შინაარსს შეადგენს?— იმიტომ, რომ პოეტურ ნაწარმოებში მოცილებულია ყოველივე შემთხვევითი და გარეშე და წარმოდგენილია მხოლოდ აუცილებელი და დიდ-მნიშვნელოვანი, ერთობლიობა მწყობრ სურათში, რომელსაც ერთიანობისა და მთლიანობის ბეჭედი აზის. იგივე პირობა მოეთხოვება ისტორიასაც, ეს პირობა კი შემოქმედებას მოითხოვს. და ამიტომაც ისტორია ჩვენს დროში იმავე მნიშვნელობას იღებს, როგორც ძველ ხალხებში ეპოსს ჰქონდა...

სახელმძღვანელო ახალი ისტორიის შემეცნებისათვის

საშუალო სასწავლებლებისათვის, შეთხზული ს. სმარაგლოვის,
ალექსანდრეს საიმპერატორო ლიცეუმის ადიუნქტ-პროფესორის
მიერ. სანქტ-პეტერბურგი, 1844¹

ბ-ნ სმარაგლოვის შრომა დაძთავრდა: ჩვენს წინაშეა უკანასკნელი ტომი მისი მსოფლიო ისტორიისა სასწავლებელთათვის. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენი აზრი გამოვთქვათ მის ღირსებაზე, როგორც მთლიანსა და სრულ ნაწარმოებზე. მკითხველებმა იციან, რომ ბ-ნ სმარაგლოვის ისტორიის პირველ ორ ტომს ჩვენ იმ გულთბილი ყურადღებით შევხვდით, რის ღირსიც არის ყველაფერი, რაც თუნდაც რამდენადმე სცილდება ჩვეულებრივის ფარგლებს, რაშიც ჩანს ახლისა და უკეთესისადმი ლტოლვა, ჩანს იმ ძველი, გათელილი გზიდან გადახვევისადმი მისწრაფება, რომელზეც ასე ზნიარულად და თავისუფლად დასეიარნობს მცონარა და გონებაჩლუნგი

ადამიანზე. მეტსაც ვიტყვით: ბ-ნ სმარაგდოვის შრომამ, რაც ასე მოულოდნელად მოგვევლინა ბ-ნ კაიდანოვის ისტორიის შემცვლელად, რომელმაც გასაოცარი აბეზრობით კინაღამ საბოლოოდ გადაწყვიტა ჩვენს სასწავლო ლიტერატურაში მუდმივი როლის შესრულება,—ბ-ნ სმარაგდოვის შრომამ ჩვენში ისეთი გრძნობა აღძრა, რომელიც გატაცებას უფრო წააგავს, ვიდრე ცუდი თვალით ცქერას ან ცივ გულგრილობას. გარდა ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებული გარემოებისა, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ბ-ნ სმარაგდოვის ისტორიის პირველი ტომი ბ-ნ ლორენცის ისტორიის პირველ ტომზე ადრე გამოვიდა, ისევე როგორც მისი შუა საუკუნეების ისტორიაც ბ-ნ ლორენცის შუა საუკუნეების ისტორიაზე ადრე გამოქვეყნდა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ სმარაგდოვის ისტორია ბევრად ჩამოუვარდება ბ-ნ ლორენცის ისტორიას,—მას თავისი უდავო ღირსება აქვს და იგი მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი სასწავლო-ისტორიული ლიტერატურისათვის, რომელიც ასე ღარიბია კარგი თხზულებებით. თუმცა ერთმა სწავლულმა სამართლიანადაც კი უსაყვედურა ბ-ნ სმარაგდოვის შუა საუკუნეების ისტორიას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი და შეცდომებიც კი, მიუხედავად ამისა ჩვენს ლიტერატურაში მას სრული უფლება აქვს შემწყნარებელი ყურადღება მოითხოვოს, განსაკუთრებით, თუ წარმოვიდგენთ, რომ შუა საუკუნეების ისტორია თვით ევროპაშიც ნაკლებად დამუშავებული და დალაგებულია, ვიდრე ძველი და ახალი ისტორია. ყოველივე ამის გამო ჩვენ განსაკუთრებული მოუთმენლობით მოველოდით იმავე ავტორის „ახალი ისტორიის“ გამოსვლას, მოველოდით მას, როგორც იმ იმედების გამართლებას, რაც ახალმა თანამოსაგრემ მოგვცა სასწავლო-ისტორიული ლიტერატურის ძნელსა და მოლიპულ ასპარეზზე, ანდა... თუ არა როგორც ამ იმედების გაცრუებას, როგორც მათს შენელებას მაინც. ახალი ისტორია უმთავრესად ყოველგვარი ისტორიული ტალანტის კიდონტია: ახალ ისტორიაში უფრო მეტად, ვიდრე ძველსა და შუა საუკუნეების ისტორიაში, უნდა გამოამყდონდეს ისტორიკოსის მთელი

სიმპათიები, რწმენა, მთელი მიუკერძოებლობა და, მასთან ერთად, მთელი ენთუზიაზმი, მთელი ცოცხალი ადამიანური მხარე. ვიდრე ვიტყოდეთ, გაამართლა თუ არა ჩვენი იმედები ბ-ნ სმარაგდოვის ახალმა ისტორიამ, საჭიროდ ვთვლით კვლავ გადმოვცეთ ჩვენი შეხედულება ისტორიაზე, როგორც თანამედროვე მეცნიერებაზე, რათა მკითხველმა დაინახოს, თუ რას მოვითხოვთ ჩვენ ისტორიის ყოველი სახელმძღვანელო-საგან და, მაშასადამე, ბ-ნ სმარაგდოვის ისტორიისგანაც.

ისტორიის უმარტივესი განსაზღვრაა მისი შინაარსის შემოფარგვლა ფაქტების გადმოცემის ისტორიული სისწორით. ამ განსაზღვრის მიხედვით, ისტორიკოსი კრიტიკის მხრივ ყოველგვარი მოთხოვნისაგან თავისუფალი უნდა იყოს, თუ ის მოვლენებს კარგად იცნობს და სწორად გადმოსცემს. ბევრა ისტორიას მართლაც ასე უყურებს. ამის შედეგად, ისინი დაჟინებით უარყოფენ მოვლენების გადმოცემაში ყოველგვარ ჩარევას იმის მხრივ, რასაც ეწოდება შეხედულება, თვალსაზრისი, ცნება, რწმენა და—მეტეც—ფილოსოფია, იმიტომ რომ, მათი აზრით, ყოველივე ეს მხოლოდ აბუნდოვნებს და ამახინჯებს ფაქტების სინამდვილეს, არღვევს ისტორიული ქეშმარიტების სიწმინდეს. თავისი აზრის დასასაბუთებლად ისინი ამაყად მიუთითებენ იმ ისტორიკოსებზე, განსაკუთრებით გერმანელ ისტორიკოსებზე, რომლებიც ისტორიას სწერენ მათ მიერ წინასწარ მიღებული იდეის მიხედვით და, რადგან სურთ რაღაც უნდა დაჯდეს მოათავსონ ფაქტები თავიანთი შეხედულების პროკრუსტეს სარეცელზე, ძალაუნებურად ამახინჯებენ მათ. მართლაცდა, ასეთი ისტორიკოსები ძალიან ბევრნი იყვნენ, და ის, რაც მათს ნაკლად მიჩინიათ, მართლაც არ არის ღირსება. მაგრამ საკითხავია: შეუძლია თუ არა ისტორიული ფაქტების სწორად გადმოცემა იმ ადამიანს, რომელსაც ამ ფაქტებზე არავითარი საკუთარი შეხედულება არ გააჩნია? შეუძლია, თუ ფაქტების ისტორიულ ქეშმარიტებად უნდა ვიგულისხმობთ მხოლოდ გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ქეშმარიტება. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა ჩინებული ისტორიკოსები თითქმის ათასობით დაგ-

ვეთვალა,—ვინაიდან, აბა რა საოცრება იქნებოდა, რომ შრომისმოყვარეობისა და ვულგარული ემპირიული სწავლულობის პირობებში, არა მხოლოდ შეგვესწავლა, არამედ დაგვეზეპირებინა კიდევ მრავალი მათიანე და სხვა სრულიად უეჭვო ისტორიული წყაროები. ხომ იყვნენ ახირებული ადამიანები, რომლებსაც მოთმინება ჰყოფნიდათ გამოეთვალათ, თუ რამდენი ასოა ბიბლიაში. განა ძნელია იმის გაგება, თუ რომელ სახელმწიფოში, რომელ საუკუნეში დაიბადა, ცხოვრობდა და მოკვდა ალექსანდრე მაკედონელი, განა ძნელია დაწვრილებით მოუთხრო, თუ რას აკეთებდა იგი დღიდან დღემდე? განა შეუძლებელი საქმეა ასჯერ გადაიკითხო თითოეული ძველი და ახალი მწერალი, რომელმაც ალექსანდრე მაკედონელზე დასწერა ათი ტომი ან ათი სტრიქონი, ერთმანეთს შეადარო და შეუჯერო ყველა ეს მწერალი; ბოლოს, შეიძლება ძველი მსოფლიოს ამ გიგანტის ცხოვრების ყველა თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ფაქტის კრიტიკული უცილობლობა? ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს ადვილი იყოს და რომ ამგვარ ერუდიციას არავითარი ფასი არა ჰქონდეს; არა, ეს ერუდიცია უსათუოდ უნდა შეადგენდეს ისტორიკოსის ერთ-ერთ საშუალებას, მაგრამ მხოლოდ ერთს სხვა საშუალებათაგან; ვინც მხოლოდ მარტო ამაზე გაჩერდება, მისთვის ძნელი არ არის ცოდნის სასწაული გახდეს და თავისი თავი აქციოს უზარმაზარ ბიბლიოთეკად, სადაც მთელ ქვეყანას შეუძლია მივიდეს ცნობების მისაღებად. ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ აქ საჭიროა ძალიან ცოტა ჰკუა და ძალიან ბევრი მოთმინება და წვრილმანი პედანტური ჯანჯლობა. და აი, წარმოვიდგინოთ, რომ ამა და ამ კაცმა შეიძინა ეს უდიდესი ფაქტიური ცოდნა და სხაპასუხით შეუძლია გიპასუხოთ, რომელ წელს, რომელ თვესა და რა რიცხვს დაიბადა ალექსანდრე მაკედონელი, რომელ მხარეზე იქცევდა კისერს, რა ფერის თვალები ჰქონდა მას, რომელ მხარეზე ჰქონდა ხალი (თუ კი ჰქონდა) და, ბოლოს, რას აკეთებდა იგი, როცა ოცდაოთხი წლისა გახდა, თებერვლის თვეში, შვიდ რიცხვში, სადილობიდან ერთი საათის შემდეგ. წარმოვიდგინოთ, რომ ეს კაცი

ვერ ითმენს ფილოსოფიას და პატივს სცემს მხოლოდ და მხოლოდ ფაქტების უდავო უცილობლობას, რომ იგი ცოდვად სთელის წარსულის დიდი მოვლენების გამოხატვის დროს თავისი პიროვნების შენარჩუნებას. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ თუ იგი ხელს მოჰკიდებს ისტორიის დაწერას,—ეს ისტორია უსათუოდ იქნება ყველაზე მართალი მოთხრობა ხალხთა საქმეებისა და ისტორიულ პიროვნებათა შესახებ? არა და ათასჯერ არა: მის ისტორიაში თქვენ გაცილებით ნაკლებ ისტორიულ ჭეშმარიტებას ნახავთ, ვიდრე იმ ისტორიაში, რომელიც რაიმე ცალმხრივი და მიკერძებული თვალსაზრისის სასარგებლოდ ფაქტების განზრახვი დამახინჯებითაც კი განსხვავდება. უცილობლად სარწმუნო ფაქტების გულგრილბა და პირუთენელმა მოხსენიებამ—ჩვენს მიერ მაგალითისათვის მოყვანილი „სწავლულის“ ისტორიის ამ ერთადერთმა დირსებამ—შეიძლება კარგად შედგენილი ისტორიული ლექსიკონი წარმოგიდგინოთ. თქვენ იტყვიან: ლექსიკონი ისტორია არ არის, იმიტომ რომ ისტორიაში ფაქტები წარმოდგენილია ისტორიული კავშირითა და თანმიმდევრობით. საქმეც ის არის, რომ იმ ისტორიაში, რომელზეც აქ ვლაპარაკობთ, ფაქტები გადმოიციემა არა ისტორიული, არამედ მხოლოდ ქრონოლოგიური კავშირითა და თანმიმდევრობით და, ამის შედეგად, ისინი არა მხოლოდ საშინლად დამახინჯებულნი, არამედ ყოველგვარ აზრსაც მოკლებულნი არიან, და ვინც ასეთი წიგნიდან შეიძენდა ამ ფაქტების ცოდნას, ის ერთ ნაბიჯსაც კი ვერ წადგამდა წინ ისტორიის ცოდნაში, თუნდაც მანამდე ამ მეცნიერებაზე არავითარი წარმოდგენა არა ჰქონოდა. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ არსებობს არა მხოლოდ მოვლენების გადმოციემა, არამედ მოვლენათა განსჯაც,—არა იმიტომ, სხვათა შორის, რომ ისტორიკოსს უსათუოდ უნდოდა თავისი აზრი გადოეთქვა ამ მოვლენებზე, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მან ხელი მოჰკიდა მათს გადმოციემას. ავხსნათ ეს მაგალითით. თუ ვინმე საზოგადოებაში ლაპარაკს დაიწყებს რაიმე წინშენელოვან, თუმცა კერძო ხასიათის ამბავზე, რომელიც ვისმეს შეემთხვა,—რაც უფრო უჩვეულოა ეს შემთხ-

ვევა, მით უფრო ჩქარა შეეკითხებიან მსმენელები მთხრობელს, თუ რატომ ჩაიდინა ეს და არა სხვა რამ, ან რატომ ასე მოიქცა და არა სხვანაირად ის პირი, რომელზეც იგი ლაპარაკობს? ბუნებრივია, რომ თუ მთხრობელი უარს იტყვის ყოველგვარ ახსნა-განმარტებაზე,—მაშინ როდესაც მისთვის საკმარისი იყო მხოლოდ ეთქვა, თუ რა კაცია ის ადაშიანი, რომელზეც იგი ლაპარაკობს, როგორია მისი ხასიათი, განათლება, რა მდგომარეობაში ჩააყენა ის აღზრდამ, აზრთა წყობაში, მიდრეკილებებში, ჩვეულებებში და სხვ.,—ბუნებრივია, რომ მსმენელები მომხდარ ამბავში სრულებით ვერაფერს ვერ გაიგებენ, რაოდენ საინტერესოც უნდა იყოს ის თავისთავად; ხოლო ეს მოთხოვნილება გაიგონ—ისე თანდაყოლილია ადამიანებისათვის და ისე ახასიათებს მათ ბუნებას, რომ ისინი მუდამ ამჯობინებენ თუნდაც რაიმე სრულიად დაუსაბუთებელი ვარაუდით მაინც დაკმაყოფილდნენ, ვიდრე მიიღონ ფაქტი, როგორც ის არის, მისი უაზრო უცილობლობით. ხოლო თუ მთხრობელი ერთ ფრაზას მაინც იტყვის, როგორც ნაგალითად: მე ვფიქრობ, ეს იმიტომ მოხდა, ანდა: ეს არ მოხდებოდა, რომ,—იგი უკვე უბრალოდ კი არ ჰყვება ამბავს, არამედ კიდევაც განსჯის მას. მთხრობელს რომ შეეძლოს ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და განსჯის გარეშე უამბოს იმნაირად, რომ ყველამ გაიგოს უჩვეულო შემთხვევის ბუნებრიობა,—ეს იმის აშკარა ნიშანი იქნებოდა, რომ განსჯა მის თხრობაში გაცილებით მეტ როლს ასრულებდა, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს: ეს განსჯა დაფარული იყო თვით თხრობაში, გამჯდარი იყო მასში, აზრსა და ხასიათს აძლევდა მას; ცხადია, მთხრობელი ჩაწვდა შემთხვევის მიზეზებს და უკვე შეიმუშავა მის შესახებ თავისი აზრი. რასაკვირველია, რაც უფრო ახლოა ეს აზრი ქვეშაირიტებასთან, მით უფრო უკეთესია ის, და პირიქით. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მთხრობელის პიროვნება აქ დიდ როლს ასრულებს: როგორც კი მთხრობელმა გამოამყლავნა განსჯა, მან ამასთანავე გამოამყლავნა თავისი თანხი—თავისი შეხედულება საგნებზე. თავისი განათლება, თავისი ხასიათიც კი. ყოველივე

ცოცხალს მრავალი მხარე აქვს, და ერთი ხელს ჩაავლებს ხოლმე საგნის მხოლოდ ერთ მხარეს, მეორე—ორ მხარეს, მესამე — რამდენიმეს, მეოთხე — მრავალ მხარეს. თითოეული მათგანი მართალია საგნის იმ მხარის მიმართ, რომელიც მისთვის უფრო ხელმისაწვდომია, თუმცა, შესაძლოა, სწორედ ამით მართალი არ იყოს იმავე საგნის სხვა მხარეთა მიმართ. მაგრამ მან, ვინც საგანს ხედავს და მას არც ერთი თვალსაზრისით არ უყურებს, მან ცოტა რამ მოიგო იმით, რომ თვალეები აქვს. თუ ასეთი ადამიანი ლაპარაკს დაიწყებს საგანზე, რომელსაც იგი ხედავს,—იგი იქნება მხოლოდ სარკე და თანაც მრუდი სარკე, მხოლოდ მოლაპარაკე მანქანა,—ხოლო ცნობილია, თუ რა ეწოდება იმ ადამიანებს, რომელთაც სხვა მნიშვნელობა არა აქვთ, გარდა მანქანისა...

ძალიან კეთილსინდისიერიც რომ იყოს, ფაქტების სწორად გადმოცემას ძალიან გულმოდგინედაც რომ ცდილობდეს, რაწინაირად, როგორ მოგვეთხრობს ისტორიკოსი მართებულად, მაგალითად, ჯვაროსანთა ლაშქრობაზე ისე, თუ ამ დიდი მოვლენის აზრისა და მნიშვნელობის შესახებ არ იმსჯელა? და განა ბევრ რამეს გავიგებთ მისგან, თუ იგი იტყვის, რომ ჯვაროსანთა ლაშქრობანი დაიწყო XI საუკუნეში, გრძელდებოდა XIV საუკუნემდე და ზათ ესა და ეს ვითარება მოყვაო? არა, ჩვენ მოვისურვებთ გავიგოთ ისიც, თუ რატომ მხოლოდ XIV საუკუნემდე აწყობდა ევროპა ჯვაროსანთა ლაშქრობებს? და რატომ გახდა ისინი უკვე სრულიად შეუძლებელი XV და შემდგომ საუკუნეებში? თუ ისტორიკოსი გვიპასუხებს, რომ მაშინ რელიგიური დრო იყო, ჩვენ შევეკითხებით: რატომ არის, რომ რელიგიურმა მოძრაობამ, რომელმაც XI საუკუნეში ჯვაროსანთა ლაშქრობანი მოახდინა, რატომ არის, რომ იმავე რელიგიურმა მოძრაობამ XVI საუკუნეში რეფორმაცია მოახდინა? ასეთი მოვლენები ხომ არ შეიძლებოდა შეძახევიითი ყოფილიყო, არამედ აუცილებელ მიზეზთა შედეგებს წარმოადგენდნენ. გაუნათლებელმა მატროსმა, რომელმაც დედამიწას ხომალდით შემოუარა, იცის, რომ არის ქვეყნები, სადაც ზაფხული თითქმის არ იცის, და არის ქვეყნები,

სადაც ზამთარი თბილ შემოდგომას ჰგავს; რა თქმა უნდა, მან იმაზე მეტი იცის, ვინც ფიქრობს, რომ მთელი ქვეყნიერება, როგორც წყლის ორი წვეთი, ჰგავს იმ მიყრუებულ ადგილს, სადაც იგი ფეხმოუცვლელად ცხოვრობს; მაგრამ შეიძლება თუ არა ვუწოდოთ ამას ცოდნა, თუ იგი შეერთებულია ჰავის სხვადასხვაობის იმ მიზეზთა სრულ უცოდინარობასთან. რომლებსაც მათემატიკური გეოგრაფია გვიხსნის. ასეთი მატროსები არიან განათლებულ და თვით „სწავლულ“ ადამიანთა შორისაც კი,—და აი სწორედ მათ ასე, ძალიან არ უყვართ ფილოსოფია ისტორიაში. გონების უდიდესი სისუსტე წდგომარეობს გონების ძალებისადმი უნდობლობაში. ყოველი ადამიანი, რაოდენ დიდი უნდა იყოს ის, შეზღუდული არსებაა, და მასში თვით გენიალობა შეზღუდულობასთან ხელიხელჩაკიდებული მიდის, რადგან ხშირად იგი ერთ რამეში ძლიერია და ღრმად იხედება, მაგრამ მეორის გაგება მით უფრო ნაკლებად შეუძლია. დიახ, ადამიანის გონება შეზღუდულია, მაგრამ საბაგიეროდ უსაზღვროა ადამიანური გონება, ესე იგი კაცობრიობის გონება. და, სხვათა შორის, ყველაფერს. რასაც ჩასწვდა კაცობრიობა—ეს იდეალური პიროვნება. იგი ჩასწვდა ადამიანთა მეშვეობით, რეალურ პიროვნებათა მეშვეობით. საქმე ის არის, რომ ზოგადკაცობრიული ცხოვრების პროცესში თითოეული ადამიანის ყველაფერი ყალბი და შეზღუდული უგზოუკვლოდ ჰქრება, ხოლო ყველაფერი ჭეშმარიტი და გონივრული ასევეც ნაყოფს იძლევა. ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე მრავალ ხალხს სისხლისა და ცრემლების მდინარეთა ფასად დაუჯდა მისი გძირული მისწრაფება დიდებისადმი, ჩვენ ახლა ის არაფრად გვიღირს, იმავე ღროს კი, ჩვენ ამ მისწრაფების მეოხებით გავხდით იმ ძველი ცივილიზაციისა და სიბრძნის მთელი საუნჯის მემკვიდრენი, რომელიც პტოლომეების სატახტო ქალაქში მოვიდა იმისათვის, რომ მისი სანთელი იქ ჩამქრალიყო. მეტსაც ვიტყვით: ზოგადკაცობრიული ცხოვრების პროცესში ხშირად სასარგებლოდ და კეთილად იქცევა ხოლმე ისიც კი, რის წყაროც სიცრუე ან ანგარებითი ანგარიში იყო: ფილო-

სოფიური ქვის ძიებამ საფუძველი ჩაუყარა მნიშვნელოვან მეცნიერებას — ქიმიას და გაამდიდრა იგი ბუნების დიდ საიდუმლოებათა აღმოჩენით; ლუი XI-ის ანგარჰბიანი და მზაკვრული პოლიტიკა იყო ადამიანთა მოდგმისათვის ერთ-ერთი უაღრესად სასიკეთო დაწესებულებების—მუღმივი ფოსტის წყარო. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის გონების ცდებზე—შეჭქმნას მეცნიერება იმ დიდი პიროვნების ბიოგრაფიიდან, რომელსაც კაცობრიობა ეწოდება. მიუხედავად ერთსა და იმავე საგანზე შეხედულებათა დაუსრულებელი წინააღმდეგობისა, მიუხედავად მთელი იმ ცალმხრივობისა, რაც მიკერძებისა და შეზღუდულობისაგან წარმოსდგება, ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ჯერ კიდევ არ არის რამდენადმე შესანიშნავი ორი ისეთი ისტორიული თხზულება, რომლებიც ერთისა და იმავე მოვლენების გადმოცემაში ერთმანეთს სავსებით ეთანხმებოდეს,—მიუხედავად ამისა ისტორიაში უკვე არსებობს საკუთარი ურყევი საფუძვლები, არის იდეები, რომლებმაც აქსიომათა მნიშვნელობა მიიღეს. ვინაიდან ყოველივე იმას, რაც ისტორიულ შრომებში ადამიანის გონების შეზღუდულობას წარმოადგენს, ყოველივე ამას, ასე ვთქვათ, ასწორებს და ავსებს კაცობრიობის გონება. ამ თვალსაზრისით, ცალკეულ პიროვნებათა თვით ზნეობრივი შეზღუდულობა კაცობრიული გონების უსაზღვროებისა და ჭეშმარიტების ზეიმის წყაროდ და მიზეზად იქცევა. გატაცებული ფანტიკოსი კათოლიკე სწერს, მაგალითად, რეფორმაციის ისტორიას: თუ ის ჭკვიანი, მცოდნე და ნიჭიერი ადამიანია, მისი ისტორიან, მიუხედავად მისი აშკარა, აღმაშფოთებელი მიკერძებისა, არ შეიძლება სასარგებლო არ იქნეს, იმიტომ რომ თვით პარციალობის სული, რომელიც მას აღაფრთოვანებს, აიძულებს მას ჰპოვოს და გამოამზეუროს მომაკვდავი კათოლიციზმის კარგი ნიშნები, ისევე როგორც ის ფაქტები, რომლებიც პროტესტანტული პარტიის სასარგებლოდ არ ლაპარაკობენ და რომლებიც ლუთერანიზმის ბრძა დამცველებს განზრახ დაუშალავთ ან დაუმახინჯებიათ. სწორედ ასევე უწყობს ხელს ჭეშმარიტების იმავე ზეიმს პრო-

ტესტანტული მწერალიც, რომელიც აღფრთოვანებულია კათოლიციზმისადმი ბრმა სიძულვილით და თავისი პარტიისადმი ბრმა ერთგულებით. ასეთ თხზულებათა ყალბ მხარეს, უკვე თვით მისი სიაშკარავის გამო, ჭეშმარიტების დამახინჯება რა ძალუძს; სიყალბე ჩქარა კვდება, იგი თავის თავშივე ატარებს სიკვდილს თავისი გაჩენის წუთიდან,—ჭეშმარიტება კი რჩება. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველა ისტორიული თხზულება ცალმხრივად და მიკერძებით უნდა იწერებოდეს; ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ ყველაზე ცალმხრივი და მიკერძებული თხზულებანიც კი ხშირად ჭეშმარიტების გამარჯვებას ემსახურებიან. გამოჩნდებიან ხოლმე, თუმცა არც ისე ხშირად, ნათელი და მაღალი გონების ადამიანები,— ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ თავისი რწმენისადმი სიყვარული თავის არსებაში შეათავსონ არა მხოლოდ პირუთვნელობასთან, არამედ მოწინააღმდეგეთა მიმართ პატივისცემასთანაც, ერთი სიტყვით, ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ განსაზღვრული პარტიისათვის მებრძოლნი, ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქენი, მაგრამ იმავე დროს შეუძლიათ იყვნენ ადამიანებიც—ადამიანთა მოდგმის დიდი ოჯახის წევრები. თუ ადამიანის ეს კეთილშობილური და მრავალმხრივი პირუთვნელობა, რომელიც დიდსულოვნებას მოწმობს, შეერთებულია დიდ ტალანტთან ან გენიალობასთან, მაშინ ამ ადამიანთა შრომებში ისტორიიძენს ისეთი მეცნიერების ყველა ღირსებას, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია თავისი დანიშნულებით, რამდენადაც ურყევად მტკიცეა თავისი უთუო საწყისებით, რომლებიც დამოკიდებული არაა ადამიანთა ვნებებისა და შეზღუდულობის თვითნებობისაგან. ადამიანის გონებას არ შეუძლია შეჭქმნას რაიმე სრულყოფილი, და ხშირად მისი შრომის თვით ღირსებებშიც აუცილებლად თავს იჩენენ, როგორც უკანა მხარე, მისი ნაკლოვანებანიც; მაგრამ სრულყოფასთან ცოტად თუ ბევრად მიახლოება, უეჭველია, ადამიანის გონების ერთ-ერთი ხელშეუვალი უფლებაა. და ან კი რისთვის მოქმედებს ერთსა და იმავე სარბიელზე სხვადასხვა ხასია-

თისა და თვისების მქონე მრავალი ადამიანი, თუ არა იმისათვის, რომ ერთის შეცდომები ან ნაკლოვანებანი მეორემ გაასწოროს და შეავსოს, და რომ თითოეული პიროვნების ყოველივე ჭეშმარიტი და მშვენიერი მტანილ იქნას კაცობრიობის საკურთხეველზე, ხოლო ყველაფერი ყალბი ან ნაკლოვანი სამსხვერპლს განსაწმენდელ ცეცხლში ჩაიფარფლოს? მიუკერძოებლობა ისეთივე თვისებაა ადამიანის სულისა, როგორც მიკერძობა; ამაში შეიძლება ეჭვი შეეპარათ მხოლოდ სულმდაბალ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნად ყველაფერს საკუთარი სიზღაბლით ზომავენ. ამით განსაკუთრებით განიარჩევიან შეგნებით სკეპტიკოსები, რომლებიც ამაყობენ ყოველივე ჭეშმარიტისა და ღიადისადმი თავისი ურწმუნოებით, როგორც ძველი ცინიკოსები ამაყობდნენ თავიანთი ცხოველური საბინძურით. მათ თვალში გონების ყოველგვარი მისწრაფება ჭეშმარიტებისადმი სხვა არაფერია, თუ არა იმის ახალი ცდა, რომ ჭეშმარიტების სახე მიეცეს ახალ სიყალბეს ანგარებითი ანგარიშის ან წვრილმანი თავმოყვარეობისათვის. მათ თვალში ისტორია იმ ტყუილების ხლართია, რომლებიც ადამიანის ვნებებს თავისი გამართლების ან სარფიანი სპეკულაციისათვის შეუთხზავს. ასეთ ადამიანებს დაეაში სიტყვას ვერ მოუგებ და ისინი დავის ღირსნიც არ არიან. ამათზე ნაკლებად დამნაშავენი, მაგრამ მათზე კიდევ უფრო უბადრუკები არიან ის სუსტი გონების ადამიანები, რომლებიც რწმენისათვის ნიშნებს მოითხოვენ და ჭეშმარიტებას გულმხურვალედ მხოლოდ მაშინ აღიარებენ, როდესაც გარეგანი გარემოებანიც კი ჭეშმარიტების ზეიმს ხელს უწყობენ და მატერიალური ძალის უფლებაც მის მხარეზეა; მაგრამ როგორც კი ბოროტისა და სიცრუის ეპი დადგება, როგორც კი თანამედროვე სინამდვილე ჭეშმარიტებისა და სიკეთის მტრებს ძალის კვერთხს მისცემს,—ეს გულკეთილი ენთუზიასტები, რომლებიც თუმცა შორს არიან იმისაგან, რომ წყევდიადის მხარეზე გადავიდნენ, მაინც ჰკარგავენ იმის უცილობლობისა და ნამდვილობის იმედს, რასაც ცოტა ხნის წინათ თა-

ვიანთ სისხლხორცეულ რწმენად სთვლიდნენ! სულმოკლეობით შეპყრობილნი, ისინი მზად არიან ყოველი ჭეშმარიტება აღიარონ თავისი ფანტაზიის აჩრდილად, თავისი გულის მტყუენებად, გონების შეცდომად; რაკი არ ძალუძთ ერთ რომელიმე მხარეს მიემხრონ, ისინი საცოდავად იწყებენ მოთქმა-გოდებას მწარე იმედგაცრუებაზე, ადამიანის გონების სისუსტეზე, მათი საკუთარი გამოგონების რაიმე ტკილი ფანტაზიისადმი რწმენის ნეტარებაზე, ფანტაზიისა, რომელსაც ისინი გულკეთილად სთავაზობენ ყველას, როგორც ხსნის იწედს ცხოვრების მღელვარე ზღვაში*.

იდეისადმი რწმენა ყოველი ცოდნის ერთადერთი საფუძველია. მეცნიერებაში იდეებს უნდა ვეძიებდეთ. თუ იდეები არ არის,—არც მეცნიერებაა! ფაქტების ცოდნა ძვირფასია მხოლოდ იმიტომ, რომ ფაქტებში იდეები იმალება; უიდეო ფაქტები ნაგავია გონებისა და მეხსიერებისათვის. ნატურალისტის თვალს, როცა ის ბუნების მოვლენებს აკვირდება, მათს მრავალფეროვნებაში აღმოაჩენს ზოგადსა და უცვლელ კანონებს, ე. ი. იდეებს. ხელმძღვანელობს რა იდეით, იგი ბუნების მოვლენების კლასიფიკაციაში ხედავს უკვე არა ხელოვნურ შემსუბუქებას მეხსიერებისათვის, არამედ დაბალი სახეებიდან მაღალ სახეებამდე განვითარების თანდათანობას, მაშასადამე, ხედავს მოძრაობას, სიცოცხლეს. მაშ, ნუთუ საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის აუცილებელ ფორმას შეადგენენ, ნაკლებად საინტერესონი, ნაკლებად გონივრულნი არიან, ვიდრე ბუნების მოვლენები? იყვენ და არიან სკეპტიკოსები, რომლებიც ამტკიცებდნენ და ამტკიცებენ, რომ ბუნება შემთხვევით წარმოიშვა რალაც ატომებისაგან, რომლებიც ღმერთმა უწყის საიდან გაჩნდნენ; მაგრამ უკვე დიდი ხანია აღარ არიან სკეპტიკოსები, რომლებიც გრძნობათა მცდარობას ეყრდნობოდნენ და იმ კანონების წესრიგს, ჰარმონიასა და უცვლელობას უარპყოდნენ, რომელთა მიხედვითაც ბუნება არსებობს. ნუთუ ადამიანთა საზოგადოება, შეუგნებელი ბუნების უმაღლესი მოვლენის—ადამიანის—გონივრულობის ეს უმაღლესი გამოვლი-

ნება, — ნუთუ საზოგადოება შემთხვევითობათაგან წარმოიშვა და მას შემთხვევითობა მართავს? და, სხვათა შორის, არიან ადამიანები, რომლებიც ასე ფიქრობენ, თუმცა, შესაძლოა, თვითონაც არ იცოდნენ, რომ ასე ფიქრობენ! ვინაიდან ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესაძლებლობის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ უარყოფილ იქნას უცვლელი კანონები საზოგადოების განვითარებაში, და ადამიანის ბედში დანახულ იქნას მხოლოდ ბრმა შემთხვევის უაზრო თვითნებობა. ვიდრე ფაქტიური ცოდნა ჯერ კიდევ განუვითარებელი იყო, ასე ფიქრი კაცს ებატიებოდა; მაგრამ როდესაც ფაქტების ცოდნამ მათ შორის კავშირი და თანმიმდევრობა აღმოაჩინა, ხოლო ფილოსოფიამ ამ კავშირისა და თანმიმდევრობის აზრი და მნიშვნელობა გამოავლინა, დაგვანახვა რა მათში განვითარება და პროგრესი,—მაშინ ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესაძლებლობასა და მის უდიდეს მნიშვნელობას შეიძლება არ ხედვდეს მხოლოდ ქკუანაკლებობა და შარლატანობა. რომელიც უმალ ურცხვ, ვიდრე გაბედულ პარადოქსებში დაეძებს წვრილმანი თავმოყვარეობის დამაკმაყოფილებელ უბადრუკ სახელს...

ისტორია ჩვენი დროის მეცნიერებაა და ამიტომ ახალი მეცნიერებაა. მიუხედავად ამისა, მან უკვე მოასწრო გამხდარიყო დროის გაბატონებული მეცნიერება, საუკუნის აღფა და ომეგა. მან ახალი მიმართულება მისცა ხელოვნებას, ახალი ხასიათი—პოლიტიკას, იგი შეიჭრა კერძო ადამიანთა ცხოვრებასა და ჩვეულებებში. მისი საკითხები სიკვდილს იცოცხლის საკითხებად იქცა ხალხებისა და კერძო ადამიანებისათვის. ეს ისტორიული მიმართულება უდიდესი დამამტკიცებელი საბუთია იმ უდიდესი ნაბიჯისა, რომელიც კაცობრიობამ უკანასკნელ ხანებში გადადგა წინ სრულყოფის გზაზე: იგი მოწმობს, რომ ცალკეული პირები თანდათან გრძნობენ თავს საზოგადოების ცოცხალ ორგანოებად—კაცობრიობის ცოცხალ წევრებად, და რომ, მაშასადამე, თვით კაცობრიობა ახლა უკვე ცხოვრობს არა მხოლოდ ობიექტუ-

რად, არამედ როგორც ცოცხალი, თავისი თავის "შემცნობი პიროვნება".

არსებობს ორი ისტორია: ერთი უშუალო, მეორე—შეგნებულ. პირველი—ეს არის თვით კაცობრიობის ცხოვრება, რომელიც თავისი თავისგან ვითარდება გონივრული აუცილებლობის კანონებით; მეორე—ეს არის კაცობრიობის ცხოვრების ფაქტების გადმოცემა, დაწერილი ისტორია—შეცნობა უშუალო ისტორიისა. ყოველივე გონივრულს თავისი გამოსავალი წერტილი და თავისი მიზანი აქვს; მოძრაობა არის სიცოცხლის გამოვლინება, მიზანი—სიცოცხლის აზრია. კაცობრიობის უშუალო ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ მისწრაფებას გონივრული შედეგებისადმი, მისწრაფებას—უშუალო გადააქციოს იმავე დროს შეგნებულადაც, ვინაიდან გონების სრული ზეიმი მდგომარეობს უშუალო არსებობის შეგნებულ არსებობასთან ჰარმონიულ შეერთებაში. ცხოველის სიცოცხლეს აგრეთვე ემორჩილება ბუნების უცვლელსა და ზოგად კანონებს; მაგრამ ცხოველს არ შეუძლია დასტკბეს თავისი არსებობის შეგნებით, არ შეუძლია დაინახოს და შეიცნოს თავი არა მხოლოდ როგორც რაღაც ისეთმა, რომელიც თავის თავშია, არამედ როგორც ისეთმა, რომელიც თავის გარეთაც არსებობს. ცხოველი გრძნობს თავის განცალკევებას მისი გარემომცველი საგნებისაგან, გრძნობს თავის ინდივიდუალობას, მაგრამ მას არ გააჩნია პიროვნება, მას არ შეუძლია თავის თავს უთხრას: ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ. უშუალო სიცოცხლეს თავისი საფეხურები აქვს და იგი ხან დაბალი და ხან მაღალი სიცოცხლეა, მაგრამ მისი კანონები ყველგან ერთნაირია: ადამიანი თავისი ყოფიერების უშუალობაშიც კი ცხოველზე მაღლა დგას, მაგრამ სრული ადამიანი იგი შეიძლება იყოს მხოლოდ როგორც შეგნებული არსება. ჰეგელმა სთქვა: „ადამიანი ცხოველია, რომელიც უკვე იმიტომ აღარ არის ცხოველი, რომ მან იცის, რომ იგი ცხოველია“. ზერელე გონების ადამიანს ეს განსაზღვრავს შეიძლება ფილოსოფიურ კალამბურად მოეჩვენოს; ჩვეულებრივი ოხუნჯები მას ბუნდოვანსაც კი უწოდებენ, ხოლო თავისი თავით მოამაყე უვი-

ცი ადამიანი მასში მკლე-ხელოვნურ გერმანულ სიტყვას დაინახავს. ამ ვაჟბატონებთან სადავოდ ჩვენ არც დრო გვაქვს და არც ხალისი. შოაზროვნე ადამიანები გაიგებენ ამ გამოთქმის მთელ სიღრმეს, რომელიც, როგორც ჩანს, მეტად მარტივიც, მაგრამ სხარტად და გარკვეულად გადმოსცემს დიდ აზრს. მართლაც, ველური, რომელიც მისგან მოკლული მტრის ხორცს სჭამს, სწორედ იმიტომ არის მხეცი, რომ მან არ იცის, რომ იგი მხეცია. მისი ტლანქი წარმოდგენა რომ იმ შეგნებამ გაანათოს, რომ იგი მხეცია, მაშინ, თუ იგი მაინც მხეცად დარჩებოდა, იმის შესაძლებლობა მაინც ექნებოდა, რომ მხეცობის მდგომარეობიდან გამოსულიყო. ეს შეიძლება ბევრ რამეს მიუყუენოთ. ორი ავაზაკიდან რომელს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს კეთილი ადამიანი გახდეს: იმას, რომელსაც შეუგნია, რომ იგი ავაზაკია, თუ იმას, რომელიც თავის ავაზაკობაში ცხოვრების კანონიერ ფორმას ხედავს და კიდევაც ამაყობს მით, როგორც სასახლო საქმით? ოღონდ საქმე ის არის, რომ შეგნებად არ უნდა ვიგულისხმოთ აზრის მხოლოდ გულცივი ლოგიკური პროცესი, არამედ მგზნებარე რწმენა, რომელიც ცხოვრებაში ხორციელდება. ადამიანის სიცოცხლის საყვობა უნდა მდგომარეობდეს მისი ზნეობრივი არსებობის ყველა მხარის თანაბარ მონაწილეობაში. უგრძობო აზრსა და უაზრო გრძობაში ჩანს მხოლოდ შემეცნებისადმი ლტოლვა, შეშეცნების ნახევარი, მაგრამ ჯერ კიდევ არა ჩანს შემეცნება; ეს არის მანქანა, რომელიც გაჭირვებით მოქმედებს თავისი თვლების ნახევრით და ამიტომ სუსტად და არასწორად მოქმედებს.

ჩვენ ვიცით, რომ შორეულ წარსულში და ტლანქ უმეცარ ხალხთა შორისაც კი გამოდიოდნენ გენიალური პიროვნებანი, რომლებიც ადამიანური შემეცნების მნიშვნელოვან საფეხურებამდე მალდებოდნენ. მაგრამ ადამიანი თავისთავად მიზანი არ არის: იგი ცხოვრობს სხვა ადამიანთა შორის და სხვა ადამიანებისათვის, ისევე როგორც სხვებიც ცხოვრობენ მისთვის. ხალხიც აგრეთვე პიროვნებაა, ისე როგორც ადამიანი, მხოლოდ პიროვნება კიდევ უფრო მაღალი; კაცობრიობა იგი-

ვე პიროვნებაა, რაც ხალხი, მხოლოდ პიროვნება კიდევ უფრო მაღალი. ამრიგად, თუ ცალკე აღებული ყოველი ადამიანის სიცოცხლის მიზანია შემეცნება, მაშინ რა უნდა იყოს, თუ არა შემეცნება, როგორც თითოეული ხალხის, ისე მთელი კაცობრიობის არსებობის მიზანი? ეს მით უფრო ნათელია, რომ რა დიდიც უნდა იყოს ადამიანი, ხალხი ყოველთვის მასზე მაღლა დგას და მრავალი ადამიანის შეერთებული ძალებით თავისი შედეგებით ყოველთვის გადააჭარბებს მის ძალებს.

იმავე დროს კი, ჩვენ ვხედავთ, რომ შემეცნების წარმატებები დღემდე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ეს წარმატებანი ინდივიდებისაგან წოდებებში გადავიდა. მაშასადამე, კაცობრიობამ სრულყოფის ანუ შემეცნების გზაზე კიდევ უფრო გრძელი გზა უნდა განვლოს, ვიდრე გაიარა; მაგრამ ეს გზა უკვე უფრო სწორი და ფართო იქნება; ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს — ტევრებიდან და ულრანებიდან ბოლოს გამოხვიდე შარაგზაზე. აი რატომ მიგვაჩნია კაცობრიობის უდიდეს წარმატებად ჩვენი საუკუნის ისტორიული მიმართულება. თუ კაცობრიობამ უკვე დაიწყო იმის შეგნება, რომ იგი კაცობრიობაა, მაშასადამე, ახლოს არის ის დრო, როდესაც იგი იქნება კაცობრიობა არა მხოლოდ უშუალოდ, როგორც აქამდე იყო, არამედ შეგნებულადაც. და ამ შეგნების საწყისი მას შეეძლო მხოლოდ ისტორიაში ეპოვნა.

ისტორია აღმოსავლეთში დღესაც კი ზღაპარია, რადგან იგი იქ ჯერ კიდევ არ გამოჰყოფია პოეზიას. სწორედ რომ ვთქვათ, აღმოსავლეთში არც კი შეიძლება იყოს ისტორია: ისტორიის წერა შეუძლია მხოლოდ იმ ხალხს, რომელიც თავისი ცხოვრებით ჰქმნის ისტორიას, ე. ი. ავსებს [ავროებს?] იმ გონივრული და არა შემთხვევითი მოვლენების მასას, რომლებიც ისტორიის შინაარსს შეადგენენ; აღმოსავლეთი კი ბავშვობისას მოკვდა, იმ დროს, როდესაც მისი შეგნება შეიძლებოდა მხოლოდ პოეზიაში გამოხატულიყო. ძველებს ჰქონდათ ისტორია, მაგრამ მათი სულისკვეთების შესაფერი და მხოლოდ მათთვის დამაკმაყოფილებელი ისტორია. მათ შე-

ედლოთ საოცარი მხატვრული ოსტატობით გადმოეცათ მოვლენები; შეედლოთ ისინი ორგანულ კავშირსა და თანმიმდევრობაშიც კი დაენახათ; მაგრამ მათ არ ჰქონდათ (და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ) პროგრესის იდეა, კაცობრიობის განვითარების იდეა. ბერძენი და რომაელი კაცობრიობას მხოლოდ თავის თავში ხედავდნენ, ხოლო ყველა იმას, ვინც ბერძენი და რომაელი არ იყო, ისინი ბარბაროსებს უწოდებდნენ. განჰქვრეტა, რაც საფუძვლად ედო მათ ისტორიას, წმინდა ძველებური, ტრაგიკული განჰქვრეტა იყო, რომელშიც სქარბობდა აზრი ადამიანისა და ხალხების ბრძოლაზე ბედისწერასთან და ამ უკანასკნელის გამარჯვებაზე პირველთა მიმართ. ძველი დროის ადამიანები გულში ატარებდნენ თავისი ცხოვრების ფორმათა ხანმოკლეობის ბუნდოვან წინათგრძნობას, — და ეს არის წყარო მათი წარმოდგენისა ბედის ბნელ სამეფოზე, რომლისაც მათს ღმერთებსაც კი ეშინოდათ. ასეთი ვიწრო შესვლულება ვერ ამალდებოდა ისტორიამდე, როგორც მეცნიერებამდე, და ამიტომაც ძველ დროში ისტორია მხოლოდ ხელოვნება იყო და მკვერმეტყველების სფეროს მიეკუთვნებოდა. ისტორიის ქეშპარიტი ცნება შეიძლებოდა მხოლოდ ქრისტიან ხალხებში წარმოშობილიყო, რომელთა ღმერთი ყველა ადამიანის ღმერთია, განუზრუნველად ეროვნებისა. და ზაინც, კაცობრიობის ეს იდეა, რომელიც ისტორიის სული და გულია და რომელმაც იგი მეცნიერების მნიშვნელობამდე აამალა, ცოტა ხნის წინათ გაჩნდა და კიდევ უფრო გვიან განვითარდა. გენიალური ბოსიუეტის განთქმული სიტყვა (რომელიც 1681 წელს გამოვიდა) მსოფლიო ისტორიის შესახებ პირველი თხზულება იყო, რომელმაც აღძრა აზრი — განეხილათ ყველა ისტორიული მოვლენა ერთი თვალსაზრისით, ეძიათ მათში ერთი იდეა *. ეს იყო ჯერ კიდევ მხოლოდ ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი იდეა და მისი განვითარება დაიწყო გასული საუკუნიდან (ვიკო, კანტი, შლეცერი, ჰერდერი) და სწრაფად მიმდინარეობს ახლანდელ საუკუნეში. ჩვენ აქ ვგულისხმობთ ამ იდეის მხოლოდ თეორიულ განვითარებას, და ამ მხრივ ის თითქმის ყველაზე მეტად ამა

ჰეგელს უნდა უმადლოდეს. ცხადია, პრაქტიკაც ცდილობდა თეორიას გატოლებოდა, და ახლა ისტორიას, რომლისთვისაც პროგრესის იდეა უცხოა, არაეინ არ სცნობს ისტორიად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თეორიამ დიდად გაუსწრო პრაქტიკას, და ისტორიის იდეალი, რაც ნათელი და გარკვეულია შემეცნებაში, დღემდე განხორციელებული არ არის ფაქტებით. თუ ისტორიული ცდების მხრივ რაიმე შესანიშნავი იყო, ეს იყო ან ცალკეულ ხალხთა ისტორია, ან მსოფლიო ისტორიის რომელიმე ცალკე ეპოქის გადმოცემა. საუკეთესო ისტორიკოსები ინგლისელი და ფრანგი ისტორიკოსები არიან; მაგრამ მათი სახელები ცოტაა: იუმი, რობერტსონი, გიბონი, გიზო, ტიერი, მიშლე, ბარანტი, ტიერრი; პირველი სამი წარსულ საუკუნეს ეკუთვნის, ხოლო უკანასკნელნი—ახლანდელ საუკუნეს; გერმანელთაგან აღსანიშნავი არიან: იოჰან მიულერი, შილერი, რაუმერი, რანკე და ლეო. უნდა ითქვას, რომ ეს რიცხვი მეტად მცირეა. რაც შეეხება მსოფლიო ისტორიის დაწერის ცდებს, აქ არც კი შეიძლება რაიმეზე მივუთითოთ, გარდა როტეკისა და შლოსერის, განსაკუთრებით უკანასკნელის, შრომებისა, რომლებიც შესანიშნავი უფროა, ვიდრე დამაკმაყოფილებელი. ამის მიზეზი ცხადია: საჭიროა ერთ ადამიანში განსაცვიფრებლად იყოს შეერთებული მეტად ბევრი და მეტად დიდი პირობები, რათა მას შეეძლოს კარგი მსოფლიო ისტორიის დაწერა: უზარმაზარი ერუდიცია, ფართო სიმპატიები, მრავალმხრივი განჭვრეტა, მაღალი ფილოსოფიური განათლება, შეერთებული ადამიანებისა და ცხოვრების ღრმა ცოდნასთან, სინამდვილის უტყუარ ტაქტთან, სიდიადე და ძალა პირადი რწმენისა, რომელიც რელიგიურ ხასიათს ატარებს და შეერთებულია იმ ჰუმანურ შემწყნარებლობასთან, რაც აუცილებლობის კანონთა ცოცხალი შეგნებიდან გამომდინარეობს; ბოლოს, უდიდესი მხატვრული ტალანტი, რომელშიც ეპიკური ელემენტი ორგანულად იქნებოდა შერწყმული მის მოპირისპირე დრამატიულ ელემენტთან. ისტორიისათვის, ამ სიტყვის ჰუმანიტი მნიშვნელობით, დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა: გარდამავალი ეპოქები, როდეს-

საც ძველი ან ჭეჭა-ჭუხილით ინგრევა, ან ნელნელა ძირი ეთხრება, ხოლო ახლის ცისკარს მხოლოდ ის მტიროდენი რჩეულნი ხედავენ, რომლებიც დაჯილდოებული არიან უნარით—აწმყოს ბუნდოვანი, სხვებისთვის უხილავი ნიშნებით განჭვრიტონ მომავალი,—გარდაზავალი ეპოქები, როგორც უნაყოფონი და დიად და ცხოველ რწმენას მოკლებულნი, ხელსაყრელი არ არიან ისტორიისათვის, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებისათვის ერთად.

იმათ შორის, ვინც დიდად შეუწყო ხელი ისტორიაზე ჭეშმარიტი შეხედულების განვითარებას, საპატიო აღგილი უპირავს ადამიანს, რომელმაც ერთი ძალიან ცუდი ისტორია და მრავალი საუცხოო რომანი დასწერა: ჩვენ ვლაპარაკობთ ვალტერ-სკოტზე. უვიცებმა მისი რომანები გამონაგონთან ისტორიის შეერთების უკანონო ნაყოფად გამოაცხადეს. ეტყობა, მათ ვიწრო წარმოდგენაში ისტორია ვერასგზით ვერ თავსდება და გამონაგონთან. მაგალითად, არიან ადამიანები, რომელთაც არასგზით არ შეუძლიათ გაიგონ ოპერის, როგორც მხატვრული ნაწარმოების აზრი, იმიტომ რომ ოპერაში მოქმედი პირები კი არ ლაპარაკობენ, არამედ მღერიან, რაც სინამდვილეში არ ხდება. მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც ლექსებს სისულელედ სთვლიან და მართებულად შენიშნავენ. ლექსებით არავინ ლაპარაკობსო. ადამიანები სხვადასხვანაირი არიან და გონებაშეზღუდულობაც სხვადასხვაგვარია! ისინი, ვინც რომანთან ისტორიის შეხამებას ცთუნებაში შეჰყავს, ისტორიას ისე უყურებენ, როგორც სამხედრო და დიპლომატიურ ქრონიკას, და ამ თვალსაზრისით ისინი, ცხადია, მართალი არიან. მათ არ ესმით, რომ ისტორია ზნე-ჩვეულებებისა, რომლებიც ყოველ ახალ თაობასთან ერთად იცვლება, კიდევ უფრო საინტერესო ისტორიაა, ვიდრე ომებისა და ხელშეკრულებების ისტორია, და რომ ზნე-ჩვეულებათა განახლება თაობათა განახლების მეშვეობით ერთი იმ მთავარ საშუალებათაგანია, რომლებითაც განგებას კაცობრიობა სრულყოფისაკენ მიჰყავს. მათ არ ესმით, რომ ადამიანთა ისტორიული და კერძო ცხოვრება ისე გადახლართული

და შედუღებულია ერთმანეთში, როგორც უქმეები ჩვეულებრივ დღეებთან. ვალტერ-სკოტი მიხვდა ამას, როგორც გენიალური ადამიანი—ინსტინქტით. ქრონიკების მცოდნეს, მას შეეძლო მათში ამოეკითხა არა მარტო ის, რაც სტრიქონებში სწერია, არამედ ისიც, რაც სტრიქონებს შორისაა. მის რომანებში თავმოყრილი არიან ადამიანები, ღელავენ ვნებანი, ბობოქრობენ დიდი და მცირე, მაღალი და მდაბალი ინტერესები, და ყოველივე ამაში ჩანს ეპოქის პათოსი, რაც გასაოცარი ოსტატობითაა მიგნებული. მისი რომანის წაკითხვა იმას ნიშნავს, რომ განიცადო მის მიერ აღწერილი ეპოქა, დროებით გახდეს მის მიერ გამოხატულ პირთა თანამედროვე, ერთხანს აზროვნობდე მათი აზრით, გრძნობდე მათი გრძნობით. მას, როგორც გენიალურ ადამიანს, შეეძლო დაენახა ძველი ინგლისის სისხლიანი შინაგანი მღელვარებანიც, ახალი ინგლისის მღელვარებანიც, რომლებმაც კონსერვატიულობისა და ოპოზიციის ფორმა მიიღეს, და აღმოაჩინა მათი აზრი და მნიშვნელობა ნორმალურ ელემენტთან ანგლო-საქსური ელემენტის ბრძოლაში. აი რატომ უწოდებს გიზო ვალტერ-სკოტს თავის მასწავლებელს ისტორიაში, და თვითონ მანაც საფრანგეთის რევოლუციის წყარო ახსნა ფრანკულ და გალურ ელემენტებს შორის ცამეტი საუკუნის ბრძოლის შედეგით.

მსოფლიო ისტორიას საფუძვლად უნდა ედოს იდეა კაცობრიობისა, როგორც ერთიანი, ინდივიდუალური და პიროვნული საგნისა. მსოფლიო ისტორიის ამოცანაა დახატოს იმ განვითარების სურათი, რომლითაც კაცობრიობა ველური მდგომარეობიდან გადავიდა იმ მდგომარეობაში, რომელშიც ახლა მას ვხედავთ. ეს აუცილებლად გულისხმობს ცოცხალ კავშირს თანადროულსა და ძველს შორის, რომელიც უამთა წყვილიაღში იკარგება,—ერთი სიტყვით, გულისხმობს უწყვეტ ძაფს, რომელიც ყველა მოვლენას გასდევს და ერთმანეთთან აკავშირებს, რითაც მათ რაღაც მთლიანისა და ერთიანის ხასიათს აძლევს. ეს ძაფი არის იდეა შემეცნებისა, რომელიც მოვლენებში დიალექტიკურად ვითარდება, ასე რომ ყოველი შემდგომი მოვლენა აუცილებლად გამომდინარეობს წინამავალი

მოვლენიდან, ხოლო ყოველი წინამდებარე შეზღვევის წყაროა, სწორედ ისევე, როგორც ლოგიკურ მსჯელობაში ერთი დასკვნა. მეორიდან გამომდის და მესამეს წარმოშობს. ეს ქვეშეა-რიტება ნათელია: მას ამტკიცებს ის, რომ ბევრი რამ ჩვენს საუკუნეში სრულიად გაუგებარი იქნებოდა თავისი წარმო-შობის მხრივ, ჩვენ რომ ძველი ისტორია არ გვეცოდნოდა. კაცობრიობის ბედს რომ თვალს გავადევნებთ, მის ისტორიულ ეპოქათა რიგში ჩვენ ვხედავთ მკაცრ, უწყვეტ თანმიმდევრობას, ისე როგორც მოვლენებში ვხედავთ ცოცხალ, ორგანულ კავშირს. ჩვენ ვხედავთ, რომ თითოეული ადამიანი, არსებობს რა თავის თავისათვის, იმავე დროს არსებობს საზოგადოებისათვის, რომელშიც დაიბადა; რომ იგი ამ საზოგადოებასთან ისეთ დამოკიდებულებაშია, როგორც ნაწილი მთელთან. როგორც ასო სხეულთან, როგორც მცენარე ნიადაგთან, რომელიც მას წარმოშობს და ასაზრდოებს კიდევაც. ამიტომ არის, რომ თითოეული ადამიანი ცხოვრობს ამ საზოგადოების სულისკვეთებით, გამოხატავს მის ღირსება-ნაკლოვანებებს, მასთან ერთად იზიარებს მის ქვეშეაჩივრებებსა და შეცდომებს. ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოება, როგორც კრებადობა მრავალი ადამიანისა, რომლებსაც, მიუხედავად ერთიმეორისაგან მთელი მათი განსხვავებისა, თავიანთ აზრთა წყობაში, გრძნობებში, რწმენაში მაინც აქვთ რაღაც საერთო,— არის რაღაც ერთიანი, ორგანულად მთლიანი, ერთი სიტყვით, რომ საზოგადოება არის იდეალური პიროვნება. ჩვენ ვხედავთ, რომ თითოეული საზოგადოება (ტომი, ხალხი, სახელმწიფო), ცხოვრობს რა თავისი თავისათვის და თავისი საკუთარი ცხოვრებით, როგორც ცალკეული ადამიანი, იმავე დროს ცხოვრობს კაცობრიობისათვის და მასთან ისეთ დამოკიდებულებაშია, როგორც ნაწილი მთელთან, როგორც ასო სხეულთან, როგორც მცენარე ნიადაგთან, რომელიც მას წარმოშობს და ასაზრდოებს კიდევაც თავისი წევრით. როგორც მრავალი ადამიანის ხასიათის, უნარისა და ნებისყოფის მრავალფეროვნებისაგან, რომელზეც, სხვათა შორის, მაინც აღბეჭდილია რაღაც საერთო, იქმნება პოლიტიკური სხეულის ორგანული

ერთიანობა—ხალხი ან ქახელმწიფო, ისე ხალხთა ხასიათის მრავალფეროვნებისაგან იქმნება კაცობრიობის ერთიანობა. თითოეული ადამიანი გარეგნულადაც და შინაგანადაც იმიტომ განსხვავდება რაიმეთი ყველა დანარჩენი ადამიანისაგან, რომ მხოლოდ უნართა მრავალფეროვნებისაგან იქმნება შეერთებული მოქმედების ჰარმონია; და თითოეული ხალხიც ცოტად თუ ბევრად იმიტომ განსხვავდება ყველა სხვებისაგან, რომ კაცობრიობის საერთო საგანძურში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. საზოგადოებაში ერთი მიწათმოქმედი, მეორე—ხელოსანი, მესამე—მეომარი, მეოთხე—მხატვარი და ახე შემდეგ, თითოეული თავისი ნიჭისა და ზოწოდებისამებრ, — და სწორედ ამიტომ თითოეული ადამიანი აუცილებელი ბორბალია საზოგადოებრივი მანქანის მოძრაობისათვის. იგივე ითქმის ხალხებზე კაცობრიობის მიმართ: ეგვიპტეში წარმოიშვა მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ცოდნა; საბერძნეთმა განავითარა იდეა ხელოვნებისა და სამოქალაქო მამაცობისა, რომელიც სამშობლოსადმი თავისუფალი სიყვარულის კეთილშობილებას ემყარება; რომმა განავითარა სამართლის იდეა და ძველ მსოფლიოს სამოქალაქო წყობა მისცა; ებრაელები—უპირატესად ღვთის ხალხი—განგებებისაგან მოწოდებული იყვნენ დაეცვათ ღმერთის ქეშმარიტი რწმენის წმინდა ცეცხლი, იმ რწმენისა, რომლის საფუძველი იყო მწველი ერთგულება ღმერთისადმი; და ამ ქეშმარიტად ღვთისგან რჩეულმა ხალხმა იხსნა ქვეყნიერება, მისგან გამოვიდა ღმერთკაცი, ვინაც ქვეყნიერებას აუწყა ის სარწმუნოება, რომელიც ერთი ხალხის სარწმუნოება კი არ არის, არამედ ყველა ადამიანის სარწმუნოებაა და რომელმაც ადამიანებს ასწავლა ღმერთს თაყვანი სცენ არა მარტო იერუსალიმში, არამედ ყველგან და ყოველგან, სულით და ჭეშმარიტებით. ძველმა მსოფლიომ დაასრულა თავისი არსებობა: დაეცა საბერძნეთი, ბაბილონის მსხვერპლი გახდა მსოფლიოს მპყრობელი რომი და დედამიწის პირზე გაიფანტნენ ნაშთები ოდესღაც ღვთისგან საყვარელი და რჩეული ხალხისა; თითქოს, მთელი მსოფლიოს აღსასრული დადგა, განათლების ლამპარი სამუდამოდ

ჩაქრა და კაცობრიობა ბარბაროსობას უნდა ჩაენთქა. მაგრამ ორი სამყაროს—მომაკედავი ძველი და აღორძინების გზაზე დამდგარი ახალი სამყაროს მიჯნაზე, შუა საუკუნეთა ქაოსში, ველური უმეცრების, სისხლისმღვრელი ომების, უწესრიგობისა და აღრევის ამ ეპოქის ქაოსში განუწყვეტლივ გაისზოდა ყოვლისშემძლე სიტყვა სიცოცხლისა: აღსრულდესი და აღსრულდა!.. ახალი სარწმუნოება განმტკიცდა და გავრცელდა დედამიწის საუკეთესო ნაწილში, პოლიტიკური უწესრიგობა იქცა მონარქიულ ერთიანობად, ქალაქთა მუნიციპალური სისტემა, რომელიც რომაელებმა შემოიღეს ესპანეთში, გალიაში, ბრიტანეთსა და გერმანიაში, დარჩა და განვითარდა; როძაულმა სამართალმა შესცვალა ბარბაროსთა კანონმდებლობა, და, ბოლოს, ევროპისათვის მკვდრებით აღსდგა ძველი ელადის სიბრძნეც, ხელოვნებაც და სამოქალაქო ცხოვრების ჰუმანური ფორმებიც! ამოდ არ დაკარგულა არაფერი. რაც კაცობრიობამ შეჰქმნა, ყველაფერი დარჩა, რათა ახალი უფრო რთული და სრული ფორმებით გაცოცხლებულიყო, რათა მასაზრდოებელი წვენივით შესულიყო ახალ საზოგადოებრივ სხეულში და, მასთან შეთვისებულს, ამ სხეულისათვის ახალი ჯანი და ახალი ღონე მიეცა! და ახლაც კი, ჩვენს საუკუნეში, გულცივისა და ანგარიშიან, დადებითსა და მანუფაქტურულ საუკუნეში, ჩვენს საუკუნეში, რომელშიც სულმოკლე ადამიანი მხოლოდ ღობასა და მოახლოებულ სიკვდილს ხედავს, და რომელშიც, მართლაც, დიდი ვნებანი წვრილმანმა თავმოყვარეობამ შესცვალა, ხოლო დიდი ადამიანები—კაცუნებმა,—განა ჩვენს საუკუნეშიც კი კაცობრიობის განვითარება შეჩერდა? დიახ, თუ გნებავთ, ის შეჩერდა, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ ძალღონე მოიკრიბოს და მატერიალური საშუალებანი მოიმარაგოს, რომლებიც ისევე საჭიროა მისთვის, როგორც სულიერი საშუალებანი! და ეს ორთქლის მანქანები, ეს რკინიგზები, ელექტრონის ტელეგრაფი—ყოველივე ეს მაშ რა არის, თუ არა სულის გამარჯვება ტლანჭ მატერიაზე, თუ არა მომასწავებელი იმისა, რომ მოახლოვდა ადამიანის განთავისუფლება სულის დამამდაბლებელ და ნე-

ბრსყოფის მომდუნებელ მატერიალურ სამუშაოთაგან, განთავისუფლება გაჭირვებისა და ნივთებისადმი მონობისაგან! მაგრამ, კიდევ უფრო უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ახლა განვითარება უნდა შეჩერდეს, იმიტომ რომ უკიდურეს ხარისხს შიალწია და შემდგომი წინსვლა არ შეუძლიაო. კაცობრიობის განვითარებას საზღვარი არა აქვს, და კაცობრიობა არასოდეს არ ეტყვის თავის თავს: შესდეგ, კმარა, წასასვლელი აღარსად არისო! ის, რასაც ჩვენ კაცობრიობას ვუწოდებთ, არ არის რაღაც რეალური პიროვნება, რომელიც თავის სულიერ მხარეშიც შეზღუდულია მატერიალური პირობებით და იმისთვის ცოცხლობს, რომ მოკვდეს: კაცობრიობა არის იდეალური პიროვნება, რომლისთვისაც სიკვდილი არ არსებობს, რადგან კვდებიან ადამიანები, მაგრამ კაცობრიობა ამით არა თუ არ კვდება,—არც კი ქვეითდება. კაცობრიობა—ეს ადამიანის სულია, ხოლო ყოველგვარი სული უკვდავი და მარადიულია! და აბა რაღა იქნებოდა კაცობრიობის მარადიული სიცოცხლე, რით აღივსებოდა ის, მისი განვითარება რომ სამუდამოდ შეჩერებულიყო? სიცოცხლე მხოლოდ მოძრაობაშია; უძრაობაში—სიკვდილია. რით იქნება გამოხატული კაცობრიობის განვითარება ათასი წლის შემდეგ?—ამგვარი კითხვა უაზროა, იმიტომ რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია. მაგრამ იმ ელემენტების საყოველთაო დაშლის ეპოქაში, რომლებიც დღემდე საზოგადოების სიცოცხლეს შეადგენდნენ. იმ ძველი საწყისების უარყოფის ეპოქაში, რომლებსაც ეს სიცოცხლე ეყრდნობოდა, განახლების საყოველთაო კაემნის და ახალი იდეალისადმი საყოველთაო მისწრაფების ეპოქაში.— შეიძლება წინასწარ ვიგრძნოთ და განვკვირიტოთ კიდევაც მომავალი ეპოქის საფუძველი, რადგან თვით უარყოფა მიუთითებს მოთხოვნაზე, და ძველის დანგრევა ყოველთვის ახალი იდეების გაჩენის მეშვეობით ხდება. თუ დღემდე კაცობრიობამ ბევრს მიაღწია, ეს იმას ნიშნავს, რომ მან კიდევ უფრო მეტს უნდა მიაღწიოს უახლოეს ხანში. მან უკვე დაიწყო იმის გაკება, რომ იგი კაცობრიობაა; იგი მალე მოისურვებს ნამდვილად იქცეს კაცობრიობად...

ამაყი და დიადი აზრია! შემთხვევითობა აღარ არის: ღვთა-
ებრივი სული ამოძრავებს, მას მიჰყავს ადამიანური სული მი-
სი მიზნისაკენ! ისტორიული ფაქტალიზმი ღვთისმგმობლო-
ბაა; პროგრესის ცხოველი რწმენა და მისი შედეგი—თავისი
ადამიანური ღირსების შეგნება — აი ნაყოფი ისტორიის შე-
სწავლისა, აი დიადი მნიშვნელობა დიადი მეცნიერებისა!..

აქედან ჩანს ისტორიის სახელმძღვანელოს დიდი მნიშვნე-
ლობა. თითოეული ადამიანის ცხოვრებაში არის იდეების
უშუალო აღქმის ეპოქა, და არის ეპოქა, როცა ახალი იდეე-
ბის შიღება ან ძველი იდეების შემდგომი განვითარება შესა-
ძლებელია მხოლოდ პირველი ეპოქის შრომის საფუძველზე.
იმ ადამიანებისგან, რომლებმაც დავაუკაცებას მიაღწიეს, ძა-
ლიან ცოტას აქვს უნარი გაიგოს ჭეშმარიტებანი, რომლებიც
ყველაზე მარტივი და მისაწვდომია ბავშვობისა და ახალგაზრ-
დობის წლებში, როცა ადამიანი სწავლობს. ეს იმიტომ ხდე-
ბა, რომ ბავშვობისას ადამიანი ერწმუნება, უშუალოდ იღებს
იმ იდეებს, რომლებიც თავდაპირველად თითქოს განყენებუ-
ლი არიან, ხოლო შემდეგ, უფრო მომწიფებულ ასაკში, ხელ-
შესახები სინამდვილის ხასიათს იღებენ და რომლებსაც
ცნობიერება ამოწმებს და ავითარებს. ვინც ისტორიის პირვე-
ლი ახალგაზრდობის ეპოქაში სწავლობდა, იგი თავდაპირვე-
ლად უშუალოდ აღიქვამს ხალხის ან კაცობრიობის განქვერე-
ტას, როგორც იდეალური პიროვნებისას. ის ადამიანი კი,
რომელიც აზროვნებას და სწავლას დავაუკაცების ეპოქაში
იწყებს, ამგვარ იდეებს ზოგჯერ გონების დიდი დაძაბვით
ითვისებს, ხოლო ხშირად სრულებით ვერ ითვისებს, რადგან
გონება, რომელიც ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლებში
სწავლით არ განვითარებულა და ამის შედეგად მოქნილი არ
გამზდარა, ტლანქი ხდება და განყენებულა ცნებების მიღე-
ბის უნარი აღარა აქვს; მისთვის მისაწვდომია მხოლოდ ის,
რაც მატერიალურად ნათელი და განსაზღვრულია. მაგრამ
ნორჩი გონების სწორედ ეს მოქნილობა და ფაქიზი შთაბეჭ-
დილებიანობა, რაც ასე დიდად უწყობს ხელს იდეების
სწრაფად და ადვილად აღქმას და რასაც ემყარება მეცნიერე-

ბის შინაარსის—ქეშმარიტების—შეთვისების შესაძლებლობა,—სწორედ ეს არის იმის მიზეზიც, რომ ადამიანის ნიჭი და უნარი ტლანქი ხდება და ქეშმარიტების ჩაწვდომა აღარ ძალუძს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ქეშმარიტებანი შეეხებიან პირველად ახალგაზრდის ტვინს და როგორ გადაეცემა ისინი მას. აქედან გამომდინარეობს ყოველგვარი სახელმძღვანელოს და, მაშასადამე, ისტორიის სახელმძღვანელოს უდიდესი მნიშვნელობაც.

ისტორიის სახელმძღვანელოსათვის, წინააღმდეგ საზოგადოდ მიღებული ყალბი შეხედულებისა, სულაც არ უნდა იყოს უცხო ყოველგვარი მსჯელობა ავტორის მხრივ. საქმე ის არის, რომ ეს მსჯელობა მართებული იყოს და იმუნსავე აზრს შეიცავდეს, რამდენსაც სიტყვას. ის უნდა იყოს მეტყველი და სხარტი, შეკუმშული და ნათელი, მჭევრმეტყველი და უბრალო, ძლიერი და სადა. მისი მიზანი ის უნდა იყოს, რომ ახალგაზრდის გონება შეაჩვიოს მსჯელობას რეზონანობის გარეშე, აზროვნებას — სიმშრალის გარეშე, შეაჩვიოს იმას, რომ იგი ჩაწვდეს უდიდესი მსოფლიო მოვლენების არა მარტო აზრს, არამედ პოეზიასაც. მაგრამ ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორს კიდევ უფრო მეტად მოეთხოვება იმის უნარი, რომ ცოცხლად და თანაც მარტივად გადმოსცეს მოვლენები, გადმოსცეს ისე, რომ ისინი პირდაპირ აღიბეჭდოს გონებასა და ფანტაზიაში და ამიტომ ადვილად ჩაჩჩეს მეხსიერებაში. ამას სხვანაირად ვერ მიაღწევ, თუ ცოცხალ აზრს არ გაატარებ მოვლენათა მთელ წყებაში სახელმძღვანელოს მთლიანი აგების თვალსაზრისით, თუ ყოველ განსაკუთრებულ მოვლენას აზრით არ გააცოცხლებ. ის პირები, რომლებიც მოვლენებში ჩაოლს ასრულებენ, უნდა იყვნენ არა მხოლოდ ისტორიული სახელები, არამედ ისტორიული იდეებიც; თითოეული მათგანი ნაჩვენები უნდა იყოს მისი იმ საკუთარი აზრის მხრივაც, რომლისთვისაც იგი მოქმედებდა, და იმ ხალხის საერთო იდეისადმი დამოკიდებულების მხრივაც, რომელშიც იგი მოღვაწეობდა, ისე, რომ მოწაფეს ესმოდეს, რომ ისეთი პირი, როგორიცაა, მაგალითად, ალკიბიადე, შესაძლე-

ბელი იყო მხოლოდ ათენში, და ისეთი, როგორცაა, მაგალითად, მარტუსი,—მხოლოდ რომში, თუმცა ორივე ეს პირი იმდენადვე იყო თავისი სამშობლოს მეგობარი, რამდენადაც მტერიც იყო. ისტორიის კარგმა სახელმძღვანელომ არა მარტო განმარტებებით (თუმცა მასში ისინიც აუცილებელია), არამედ თავისი გადმოცემას თვით ტონითაც მოწაფეს უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად უნდა შეასწავლოს ის, რომ იგი ცალკე აღებულ თითოეულ ხალხში და მთელ კაცობრიობაში ხედავდეს არა სტატისტიკურ რიცხვებს, არა ხელოვნურ მანქანებს, არა განყენებულ იდეებს, არამედ ცოცხალ ორგანიზმებს, იდეალურ პიროვნებებს, რომლებიც თავისი თავის შემეცნებისადმი მარადიული განუწყვეტელი მისწრაფებით ცხოვრობენ. ხალხისა და კაცობრიობის, როგორც იდეალური პიროვნებების, ამ განჭვრეტის გარეშე შეუძლებელია ისტორია, როგორც მეცნიერება, რადგან მაშინ ის იქნებოდა უშინაარსო მეცნიერება, უგმირო თხრობა, დაუკავშირებელ და უაზრო მოვლენათა გროვა. ცნება პროგრესისა, როგორც მოვლენათა შექმნელი და წარმომშობი ისტორიული მოძრაობის წყაროსი და მიზნისა, უნდა წარმოადგენდეს პირდაპირსა და უშუალო დასკვნას იმ შეხედულებიდან, რომელიც ხალხსა და კაცობრიობას ისე უცქერის, როგორც იდეალურ პიროვნებებს. მაგრამ ეს მოძრაობა და მისი შედეგი—პროგრესი — განსაზღვრულ და დახასიათებულ უნდა იქნას რაც შეიძლება ღრმად და მრავალმხრივად. არიან ადამიანები, რომლებიც პროგრესად გულისხმობენ მხოლოდ შეგნებულ მოძრაობას, რასაც კეთილშობილი მოღვაწენი ახდენენ, და თუ სცენაზე ასეთ მოღვაწეებს ვერ დაინახავენ. მაშინვე სასოწარკვეთილებას ეძლევიან, და განგებლისადმი მათი ცოცხალი რწმენა ადგილს უთმობს მტრული ბედისწერის, ბრმა შემთხვევითობის, ვილური თვითნებობის აღიარებას. ასეთი ადამიანები ყოველმატერიალურ მოძრაობაში ხედავენ საზოგადოების დაცემას და ლობობას, იმ ადამიანური ღირსების დამცირებას, რომელმაც მუხლი მოიდრიკა ოქროს კერპისა და ბაალის სამსხვერ-

პლას წინაშე. არიან სხვა ადამიანები, რომლებიც, პირიქით, ფიქრობენ, რომ ისაერთო პროგრესი შეიძლება იყოს საზოგადოების მასის ხარჯზე რამდენიმე წოდების მხოლოდ კერძო სარფის, ანგარებიანი ანგარიშისა და ეგოისტური საქმიანობის შედეგი, და ამის გამო მთელი ძალღონით ზრუნავენ ფაბრიკებისა, მანუფაქტურებისა, ვაჭრობისა, რკინიგზებისა და მანქანებისათვის, ზრუნავენ სააქციო საზოგადოებათა დაარსებისა და ამგვარი საარსებო და სასარგებლო საქმეებისათვის. ასეთი ადამიანები ყოველგვარ მაღალ აზრს, ყოველგვარ დიდსულოვან გრძნობას, ყოველგვარ კეთილშობილურ მოღვაწეობას სთვლიან დონ-კიხოტობად, მეოცნებობად, გონების უსარგებლო მღელვარებად, იმიტომ რომ ყოველივე ეს პროცენტებს არ იძლევა. როგორც ჩანს, ეს არის ორი უკიდურესობა, რომლებსაც ყველაზე მეტად უნდა ეშინოდეს ახალგაზრდობის სწავლებისათვის ისტორიის კურსის შემდგენელს. პირველი უკიდურესობა იძლევა ქარაფშუტა იდეალისტებს, მაღალფარდოვან მეოცნებებს, რომლებიც გონიერნი არიან მხოლოდ უნაყოფო თეორიებში და რომლებისთვისაც უცხოა ყოველგვარი პრაქტიკული ტაქტი. მეორე უკიდურესობა იძლევა სციენტიფურ სპეკულანტებსა და ვაჭრებს, შეზღუდულ და უხამს უტილიტარისტებს. ამ უკიდურესობათა თავიდან აცილების მიზნით ისტორიის სახელმძღვანელომ უნდა აჩვენოს საზოგადოება, როგორც მრავალმხრივი საგანი, როგორც ფრიალ რთული ორგანიზმი, რომელიც სულისა და სხეულისაგან შესდგება და რომელშიც, მამასადამე, ზნეობრივი მხარე მჭიდროდ უნდა იყოს შერწყმული პრაქტიკულ მხარესთან და სულიერი ინტერესები—მატერიალურ სარგებლობასთან. საზოგადოება მაშინ ეყრდნობა მტკიცე საფუძველს, როდესაც იგი ცხოვრობს მაღალი რწმენით, რაც დიად მოძრაობათა და დიად საქმეთა წყაროა. რწმენაში იდეები იმალება; იდეების გავრცელებითა და განზოგადებით საზოგადოებანი წინ მიდიან. მაგრამ იდეები ჰაერში როდი დაფრინავს, ისინი ვრცელდება საზოგადოებათა შორის კომუნიკაციების წარმატებათა შესაბამისად, ხოლო კომუნიკაციები მატერიალურ გზებს მო-

ითხოვენ. აქედან გამომდინარეობს, მაგალითად, რკინიგზების უდიდესი ზნეობრივი მნიშვნელობა, გარდა მათი უდიდესი მატერიალური მნიშვნელობისა, როგორც საზოგადოებათა მატერიალური კეთილდღეობის გაძლიერების საშუალებისა. ისტორიკოსმა უნდა აჩვენოს, რომ ზნეობრივი სრულყოფის გამოსავალი პუნქტი უწინარეს ყოვლისა მატერიალური მოთხოვნისა და რომ მატერიალური საჭიროება ზნეობრივი მოღვაწეობის უდიდესი ბერკეტია. ადამიანს რომ არ ესაჭიროებოდეს საზრდო, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ბინა, ცხოვრების მოწყობილობანი,—იგი სამუდამოდ ცხოველურ მდგომარეობაში დარჩებოდა. ამ ქეშმარიტებამ შეიძლება მხოლოდ ბავშვური გრძნობა ან უხამსი იდეალიზმი დააფრთხოს. მაგრამ ეს ქეშმარიტება საქმიან ადამიანს გულს არ გაუტეხს; საქმიანი ადამიანი მასში მხოლოდ იმის დამამტკიცებელ საბუთს დაინახავს, რომ სული არავითარ გზას არ ერიდება და მატერიას მისივე საკუთარი დახმარებით, მისივე საკუთარი საშუალებებით ამარცხებს. და ამიტომაც ისტორიაში: აუცილებელი არიან არა მხოლოდ კეთილისა და გულითადი რწმენის გვირგვინი, არამედ პატივმოყვარე ეგოისტები და თვით ბოროტმოქმედნიც კი; არა მხოლოდ სოლონები, არისტიდები და ტიმოლეონები, არამედ პიზისტრატებიც, ალკიბიადებიც, ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელებიც; არა მხოლოდ ალფრედები და კარლოს დიდები, არამედ ლუი XI-ნიც და ფერდინანდ-კათოლიკენიც; არა მხოლოდ ჰენრიხ VI-ნი და პეტრე დიდები, არამედ ნაპოლეონებიც. და ყველა ისინი თანაბრად ემსახურებოდნენ ერთსა და იმავე კაცობრიულ სულს, ოღონდ ერთნი ემსახურებოდნენ შეგნებულად, რადგან მოქმედებდნენ მისთვის მისი გულისათვის, ხოლო მეორენი—შუუგნებლად, რადგან მოქმედებდნენ თავისი თავისთვის, საკუთარი მე-ს გულისათვის. და არსად, არაფერში ისე ნათლად არ ჩანს არსებობა ქვეყნის მპყრობელი ღვთის განგებისა, როგორც კეთილთა, ეგოისტთა და ბოროტთა მხრივ სულისადმი ამ თანაბარ მსახურებაში, რაშიაც სკეპტიკოსები იმის უცილობელ დამამტკიცებელ საბუთს ხედავენ, რომ კაცობრიობას ბრძა

შემთხვევა მართავს: ვინაიდან სადღა იქნებოდა პროგრესის უზრუნველყოფა, იმ მაღალი მიზნის საწინდარი, რომელსაც კაცობრიობა ესწრაფვის, თუ ხალხის ან კაცობრიობის ბედი დაპოკიდებული იქნებოდა მხოლოდ იმ პატივმოყვარე პიროვნებათა გაჩენაზე, რომლებიც მომავლადენიც არიან და ყველა შემთხვევითობასაც ემორჩილებიან? ბირიქით, რადგან პროგრესის წყარო თვით ადამიანური სულია, რომელიც განუწყვეტლივ ცოცხლობს, ე. ი. განუწყვეტლივ მოძრაობს, პროგრესი საზოგადოებათა ლბობისა და სიკვდილის ეპოქებშიც კი არ წყდება, ვინაიდან ეს ლბობა აუცილებელია, როგორც ნიადგის მომზადება ახალი სიცოცხლის ყვავილისათვის, და თვით სიკვდილიც ისტორიაში, როგორც ბუნებაში, მხოლოდ ახალი სიცოცხლის ამალორძინებელია. დასავლეთ რომის იმპერიაში ზნეობის გახრწნა, რამაც უკიდურეს ფარგლებს მიაღწია, ძველი სამყაროს აღსასრულის მაუწყებელი იყო და მან მოამზადა გამარჯვება ახალი რწმენისა, რომლის ფრთეთა ქვეშე მიაშურა ყველაფერმა, რასაც განახლება და აღორძინება სწყურადა,—რომი, წარმართული სამყაროს დედაქალაქი, ქრისტიანული სამყაროს დედაქალაქად იქცა. დიდი ისტორიული პიროვნებანი მხოლოდ იარაღია სულის ხელში: მათი ნებისყოფა მათთან არის, მაგრამ ეს ნებისყოფა, მათდა უკითხვად, შეზღუდულია ეპოქის, ქვეყნის სულით და მიმდინარე მოძებტის მოთხოვნილებებით და ამ მაგიურ წრეს ვერ სცილდება. ზოლო როდესაც ეს ნებისყოფა ამ წრეს გაარღვევს და უძალღეს ნებისყოფას განშორდება, მაშინ განცვიფრებული კაცობრიობის თვალწინ მეორდება წმინდა თქმულება ძველ ისრაილზე, რომელიც უხილავ მებრძოლთან ჭიდილში დაკოქლდა... სულის ნებისყოფისაგან თვითნებურად გამოყოფილი ნებისყოფა ადამიანისა ისე ისპობა, როგორც ზიდან ჩამოვარდნილი ფოთოლი, სულერთია, სიკეთის მიზნით მოქმედებს ეს ნებისყოფა თუ ბოროტების მიზნით. ახლაც ჯერ კიდევ ცოცხალი არიან თაობანი, მოწმენი ბედის შვილის დაცემისა, რომელმაც თავისი მისიის შესრულებისას არ შეისმინა სულის ღოწოდება, და დაეცა მის მიერვე ატეხილი ქარიშხლისაგან,

დაეცა არა დაუძღვრებულნი, არა ქანცგამოღებული, არა დაღლილი, არამედ თავის ძალთა გაფურჩქვნის მომენტში, თავისი ძლიერების მწვერვალზე ასული,—და მისმა დაცემამ ქვეყნიერება ისევე განაცვიფრა, როგორც თვითონ ის: ისე ნათლად ჩანდა ადამიანის თვალისათვის მიუწვდომელი, მაგრამ გონებისათვის გასაგები უხილავი ხელი, რომელმაც იგი გახგმირა... ისტორიაში არის ეპოქები, როდესაც, გგონია, საზოგადოებებში სადაცაა უნდა ჩაქრეს მაცოცხლებელი იდეის უქანასკნელი ნაპერწკალი, როდესაც ქვეყნად არააობა და ეგოიზმი მეფობს, როდესაც, გგონია, ხსნა აღარსად არის, მაგრამ ის სწორედ აქვე ახლოსაა,—და ჩასაქრობად გამზადებული სიცოცხლის სუსტი ნაპერწკალი ანაზღად ცეცხლის ზღვად აენტება, და ამ ცეცხლით გასხივოსნებული ქვეყნიერება განცვიფრებულია იმით, თუ საიდან მოველინა მას ხსნა...

ყველა ამ იდეის განვითარება ისტორიის სახელმძღვანელოში მით უფრო ადვილია, რომ მთელი ეს სახელმძღვანელო შესდგება ფაქტებისაგან, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა თვით ამავე იდეების გამოვლინება. მაშასადამე, საკმარისია მხოლოდ მათი გადმოცემა ამ თვალსაზრისით, რომ იდეა თავისთავად მეტყველებდეს. სინანულით უნდა ვთქვათ, რომ, ჩვენი შეხედულებით, ბ-ნ სმარაგდოვის ახალი ისტორია სრულიადაც არ აკმაყოფილებს კარგი სახელმძღვანელოს მოთხოვნებს.

უწინარეს ყოვლისა ვიტყვით, რომ თვით მისი მოცულობა არ ამჟღავნებს ავტორში თანამედროვე თვალსაზრისს ახალ ისტორიაზე. როგორც ისტორიის სახელმძღვანელოთა ყველა ჩვენი ავტორი, ბ-ნ კაიდანოვის ჩათვლით, ბ-ნი სმარაგდოვი ახალ ისტორიას ჰყოფს სამ პერიოდად: რელიგიური, მერკანტილური და რევოლუციური. მას სრული უფლება აქვს ეს დაყოფა საფუძვლიანად ჩასთვალოს თავისი თვალსაზრისით; მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს, როგორ ვერ შენიშნა მან, რომ ამ დაყოფაში ახალი ისტორია, თუ მას გადმოვცემთ ფაქტების მნიშვნელობისა და სირთულის შესაბამისად, ისეთი კაცუნაა,

რომელსაც პაწია ფეხები და უზარმაზარი თავი აქვს, ანდა, თუ უკანასკნელ პერიოდს გადმოვცემთ მოკლედ, გაჭირვებით, — მაშინ ის დაემსგავსება მახინჯს, რომელსაც თავის ნაცვლად კუდი გამოზმია. საქმე ის არის, რომ უკანასკნელი პერიოდი სრულებით არ მიეკუთვნება ახალ ისტორიას, რომელიც უნდა მოიცავდეს დროს მხოლოდ XV საუკუნის დამლევადან, ანუ ამერიკის აღმოჩენიდან, XVIII საუკუნის დამლევამდე, ანუ საფრანგეთის რევოლუციამდე, რითაც იწყება უახლესი ისტორია, რომელსაც ახალი ისტორიისადმი სწორედ ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც ახალ ისტორიას შუა საუკუნეთა ისტორიისადმი, ვინაიდან ისტორიის პერიოდებად დაყოფა უნდა ემყარებოდეს არა ავტორის თვითნებობას, არა ჩვეულებას, არამედ მოვლენათა სულს. ჩვენი აზრის სამართლიანობას ადასტურებს შემდეგი: ბ-ნ სმარაგდოვს საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მომხდარი მოვლენების გადმოცემა იმავე მოცულობით, ე. ი. ისევე დაწვრილებით რომ განეგრძო, როგორც წინა მოვლენების გადმოცემა, მაშინ მისი წიგნი, 611 გვერდის ნაცვლად, უსათუოდ 1200 გვერდი მაინც უნდა გამოსულიყო. მაგრამ მან რევოლუციის შემდეგ მომხდარი მოვლენები გაჭირვებით გადმოსცა, მოგვცა ამ მოვლენების რაღაც მშრალი ჩამოთვლა, რომელშიც იმ ადამიანისათვის, ვინც ისტორიას ბ-ნ სმარაგდოვის ისტორიაზე უკეთესი წყაროებიდან არ იცნობს, ყველაფერი ბუნდოვანი, გაუგებარი, არეულდარეული და უაზროა; ამიტომ არის, რომ მთელი ახალი ისტორია მის ერთ წიგნში მოთავსებულა: იმისათვის, რომ ახალი ისტორია ამ წიგნში ჩაეწერა, მას თავი წააცალა და თავის ადგილას ბუნიკი გაუკეთა.

კაცობრიობის ისტორია მრავალი მხარისაგან სდგება: ეს ერთად არის ისტორია ომებისა, ხელშეკრულებებისა, ფინანსებისა, ადმინისტრაციისა, სამართლისა, ვაჭრობისა, გამოგონებებისა, მეცნიერებისა, ხელოვნებისა, ლიტერატურისა, ზნე-ჩვეულებებისა; მაგრამ რადგან პოლიტიკური მნიშვნელობა შეადგენს სამოქალაქო საზოგადოებათა:

ცხოვრების მთავარ ფორმას, და რადგან ყველა იმ იდეის ბრძოლა, რომლებიც საზოგადოებათა სულიერი ცხოვრების საფუძველს შეადგენენ, დღემდე ომებში გამოვლინდა,—ამიტომ კაცობრიობის ისტორია უპირატესად პოლიტიკური ისტორია უნდა იყოს. ამასთან ომების, ხელშეკრულებებისა და მთავრობათა ისტორია ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩარჩო უნდა იყოს ისტორიული თხრობისათვის, ჩარჩო, რაც მოიცავს ხალხთა ცხოვრების ყველა მხარეს და ყველა იდეას, რომლებიც მათ ცხოვრებაში ვითარდებოდნენ. მაგრამ ბ-ნი სძარაგდოვი ამ მხრივ გათელილი გზით წავიდა; იგი გაკვირით აღნიშნავს ომების მიზეზებს და მთელ ყურადღებას აქცევს თვით ომებს, ესე იგი ბრძოლების ნაკლებად საინტერესო ჩამოთვლას. ასე, მაგალითად, იგი საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს ყველა ომზე, რომლებიც ევროპის პოლიტიკურ წონასწორობაზე ოცნებამ წარმოშვა, და მეტად არადამაკმაყოფილებლად გადმოსცემს რეფორმაციის სურათს. ევროპის პოლიტიკურ წონასწორობაზე ოცნებას იგი უყურებს, როგორც თავისი პრინციპითა და შედეგებით რაღაც მნიშვნელოვანს; იმავე დროს კი ეს მხოლოდ ოცნება იყო, რომელიც ევროპის სახელმწიფოებს აიძულებდა განუწყვეტლივ დაეძაბათ თავიანთი ძალები. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ წონასწორობისათვის წარმოებული მთელი რიგი სისხლისმღვრელი ომების შედეგად გამოვიდა სრული უწონასწორობა და რომ ისეთი პირველხარისხოვანი სახელმწიფოები, როგორც იყვნენ, მაგალითად, ესპანეთი და შვეცია, მეორეხარისხოვან სახელმწიფოებად ჩამოქვეითდნენ, ხოლო მეორეხარისხოვანნი, როგორც ინგლისი და პრუსია, პირველხარისხოვან სახელმწიფოთა დონემდე ამაღლდნენ. წონასწორობის დარღვევას ხედავდნენ არა მრეწველობის, ვაჭრობის, განათლების წარმატებებში, არამედ სამფლობელოთა გაფართოებაში, მაშინ როდესაც სწორედ ის იყო მიზეზი გარეგნულად გაძლიერების გზაზე შემდგარი სახელმწიფოს დასუსტებისა: რადგან სხვადასხვაგვარი და ხშირად ერთმანეთისადმი მტრული ქვეყნების ერთი ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება მხო-

ლრდ ადიდებდა შექნილ ქვეყანაში ჯარის შენახვის ხარჯებს და სამაგიეროდ არ იძლეოდა არავითარ არსებით სარგებლობას, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ სისხლისმღვრელ ომებს იწვევდა მოშურნე უცხო სახელმწიფოებთან. საფრანგეთი ლუი XIV-ის დროს ევროპის პირველ სახელმწიფოდ იქცა არა დაპყრობის საშუალებით, არამედ ფეოდალიზმზე მონარქიზმის გამარჯვებით, გამარჯვებით, რაც კარდინალმა რიშელიემ მოამზადა, — და ყველა ომმა, რომლებიც ლუი XIV-ის პატივმოყვარეობამ გამოიწვია და საფრანგეთს უსაშინელესი გამოფიტვის ფასად დაუჯდა, ვერ შესძლო ამ ქვეყნის ჩამოქვეითება მეორეხარისხოვან სახელმწიფოთა რიგში, რადგან მან უკვე მოასწრო შინაგანად განმტკიცება, და სხვა სახელმწიფოებზე სუსტი არ იყო არც რეგენტობის სამარცხვინო ხანაში, არც ლუი XV-ის უბადრუკი მართვაგამგეობის დროს, ხოლო ნაპოლეონის დროს კვლავ ევროპის უძლიერეს სახელმწიფოდ წარმოსდგა; და ახლაც კი, მას შემდეგ, რაც ნაპოლეონის მთელი შენაძენი დაჰკარგა, საექვეოა, რომ საფრანგეთი ევროპის რომელიმე სახელმწიფოზე სუსტი იყოს. ინგლისიც ამაღლდა არა დაპყრობით, არამედ თავისი შინაგანი ძალების განვითარებით, თავისი პოლიტიკური წყობის განმტკიცებით და ეგოისტური პოლიტიკით, რომელიც პირდაპირ მისი ეროვნული ხასიათიდან გამომდინარეობდა. პრუსიის სიდიადე აღმოცენდა პროტესტანტიზმის პრინციპზე, რომელიც მან თავისი პოლიტიკური ცხოვრების პრინციპად მიიღო, მაშინ როდესაც კათოლიკურმა საწყისმა დაღუპა ესპანეთი თავისი დამბეჩავებელი ბატონობით სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სხვა ელემენტზე. შვეციის სწრაფწარმავალი დიდება გუსტავ ადოლფის, კარლოს X-ისა და კარლოს XII-ის დროს გამოწვეული იყო არა მისი შინაგანი ძალებით, არამედ ამ სამი ხელმწიფის პირადი ხასიათით. მართოდენ ავსტრია ჩამოყალიბდა გარეგანი მიზიდულობის ძალით და განმტკიცდა ხელოვნურ საფუძვლებზე, ჯერ-ერთი, გერმანიის დაქუცმაცების მეოხებით, მეორე, თავისი მნიშვნელობის მეოხებით, როგორც კარლოს დიდის იმპერიის

აჩრდილისა, და, ბოლოს, იმ მისიის მეოხებით, რომ თურქთა შემოჭრის საწინააღმდეგო ბურჯი ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური წონასწორობისათვის გაჩაღებული ომობანას უცნაური თამაშიდან სარგებლობა მხოლოდ ავსტრიამ ნახა. საზოგადოდ კი ეს ომები გამომდინარეობდა, ჯერ ერთი, ბავშვური წარმოდგენებიდან პოლიტიკაზე, და მეორეც — ევროპის მაშინდელ მბრძანებელთა პატივმოყვარეობიდან. თავდაპირველად ეს იყო ჯერ კიდევ არა მთლად მკვდარი რაინდობის რაღაც ბრძოლა ჩამოუყალიბებელ ახალ პოლიტიკასთან (კარლოს VIII-ის, ლუი XII-ისა და ფრანცისკო I-ის ომები ესპანეთთან და ავსტრიასთან მილანისა და ნეაპოლისათვის), ხოლო შემდეგ — საღი პოლიტიკის სისტემის შემუშავების ცდა. ევროპის ხალხები ერთმანეთთან სისხლისმღვრელ შეტაკებათა ქვაბში უნდა გადახარშულიყვნენ, და ამ შემთხვევაში ყოველგვარი მიზეზი გამოსადეგი იყო; მაგრამ წონასწორობისათვის ამ ომებიდან არავითარი შედეგი არ გამოვიდა, იმიტომ რომ რომელიმე სახელმწიფოს მხრივ ჰეგემონია ყოვლად შეუძლებელი იყო. ბ-ნი სმარაგდოვი კარლოს V-ის წინააღმდეგ ფრანცისკო I-ის ომებში ხედავს დიდსულოვანსა და კეთილშობილურ ხასიათს, ხედავს ბრძოლას ევროპის დამოუკიდებლობისათვის ჰაბსბურგთა გვარის წინააღმდეგ და არა იტალიის ომების გაგრძელებას (გვ. 36); მაგრამ ფრანცისკო I-ის უკვე მარტოოდენ პირადი ხასიათი საკმარისია ამ აზრის გადაჭრით უარსაყოფად. ფრანცისკო I რაინდი იყო და არა პოლიტიკოსი; თუ მან მაინც მიაღწია რაიმე კარგ შედეგს ევროპის საერთო სარგებლობისათვის, ეს მოხდა სრულიად შეუგნებლად და სულ სხვა მიზნებისადმი მისწრაფების პირობებში. საერთოდ ჰენრიხ IV-მდე ევროპაში არ გამოჩენილა არც ერთი ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი გონების ადამიანი, არც ერთი პოლიტიკოსი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მაგრამ ჰენრიხ IV-ის პოლიტიკა, რაც სასიკეთო იყო საფრანგეთისათვის, არ შეიძლებოდა სასიკეთო ყოფილიყო ევროპისათვის, იმიტომ რომ თავისი დროისათვის ეს პოლიტიკა მეტისმეტად მაღალი,

კეთილშობილური და ადამიანური იყო. იმ ვრცელი გეგმების მიხედვით, რომლებიც აღსავსეა გენიალური მოსაზრებით და შესაძლებლობისა და სინამდვილის უტყუარი ტაქტით, ევროპის პირველი ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკოსი იყო კარდინალი რიშელიე. მუშაობდა რა თავისი დროისათვის, იგი მუშაობდა საუკუნეებისათვის; მან საშინელი და უკანასკნელი მახვილი ჩასცა ფეოდალიზმს და აიძულა ის გადაგვარებულიყო უსუსურ არისტოკრატად, რომელსაც შემდეგ ლუი XIV-ის მხოლოდ შეხედვაც კი ძრწოლას ჰგვრიდა. წონასწორობისათვის ომები მხოლოდ ისტორიული კომედია იყო, განსაკუთრებით რეფორმაციამდე, რომელმაც მათ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ხასიათი მისცა. მაგრამ რეფორმაცია ხომ ლუთერთან ერთად ერთ დღეს არ გამოჩენილა; იგი ასეული წლების მანძილზე მზადდებოდა, და მისი დასაწყისი შუა საუკუნეებში იმალება. ლუთერის გამოჩენამდე ასი წლით ადრე ცეცხლზე დაწვეს იოან ჰუსი და მისი თანამოსაგრე იერონიმე პრალელი. მაგრამ არც ეს არის მწვალებლობათა დასაწყისი: XII საუკუნეში, იოან ჰუსამდე ორასზე მეტი წლით ადრე, იმავე მიზნით თავისი მოძღვრება შექმნა პეტრე ვალდომ, — მოძღვრება, რომელმაც ალბიგოსის ომები წარმოშვა. ლუთერის რეფორმა სხვა არა იყო რა, თუ არა იმ საქმის წარმატებით დამთავრება (იმიტომ რომ უკვე დრო დადგა), რომელიც არც ვალდომს და არც ჰუსს არ გამოუვიდათ. მაგრამ იტალიის ომების დრო, 1494-დან 1517 წლამდე, იტალიაში ფრანგთა ლაშქრობებით, პაპების ინტრიგებითა და ესპანეთის წინააღმდეგობით ხომ არ ამოიწურება მხოლოდ; ამ გარეგნულ მოვლენებს ქვეშ, რომლებიც საზოგადოდ ნაკლებად საინტერესოა და რომელთა გავლენა შემდგომ მოვლენებზე სრულიად შეუმჩნეველია, იმალებოდა სულის სხვა მუშაობა, გარეგნულად ნაკლებად შესამჩნევი, იმიტომ რომ იგი იყო ნაკლებად ბრწყინვალე, მაგრამ სამაგიეროდ მისი მნიშვნელობითა და შედეგებით უფრო არსებითი და დიადი. წიგნის ბეჭდვის გამოგონება, რამაც მოამზადა რეფორმაციის წარმატება, სწრაფად ვრცელდებოდა და მან რჩეულ ადამიანებს შესაძ-

ლებლობა მისცა გავლენა მოეხდინათ მასებზე. ლუთერის გამოსვლას, რომელმაც 1517 წლის 31 ოქტომბერს 95 თეზისით პროტესტი განაცხადა ინდულგენციების გაყიდვის წინააღმდეგ, წინ უძღოდა ფარული, მაგრამ მით უფრო ძლიერი და დრამატიული ბრძოლა, და რეფორმაცია მხოლოდ ამ ბრძოლის კვანძის გახსნა იყო. ამასთან ლუთერმა ეს საქმე სხვა შესანიშნავ ადამიანთა დახმარებით მოახდინა. რეფორმაციის დაწყება დროის მხრივ ემთხვევა ევროპის ცხოვრების უდიდეს ზნეობრივ მოვლენას — მეცნიერებათა აღორძინებას. თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების (1453) შემდეგ მრავალმა ბიზანტიელმა თავისი სამშობლო დასტოვა და თავშესაფარი ჰპოვა იტალიაში; მათ თან მოიტანეს ძველ ლიტერატურათა საგანძურნი ამ ქვეყანაში, რომელიც უკვე ძველთაგანვე იცნობდა ლათინურ ლიტერატურას. ამ გარემოებამ მძლავრი ბიძგი მისცა ევროპის განათლებას: კლასიკურმა სწავლულობამ ბრძოლა გაუმართა შუა საუკუნეთა სქოლასტიციზმს. გერმანია, ამ სქოლასტიციზმის მთავარი ბუდე, თავისი უნივერსიტეტების სახით, ფანატიკურად ამხედრდა ახალი მოძრაობის სულის წინააღმდეგ. ბერძნული ენისა და ლათინური ენის პროფესორებს ისე სდევნიდნენ, როგორც ერეტიკოსებსა და უღმერთოებს. ისინი ერთი ქალაქიდან მეორეში გარბოდნენ, მახვილითა და საწამლავით იღუპებოდნენ. მიუხედავად ამისა, სული თავის საქმეს აკეთებდა, — და ველური უვიცობა მას ნაბიჯ-ნაბიჯ უთმობდა ადგილს. ახალი მეცნიერების ენთუზიაზმმა იმდენად შეიპყრო ახალი თაობა, რომ ახალგაზრდებისგან ზოგიერთები, ვისაც პროფესორებისთვის ფულის გადახდა არ შეეძლო, მათ მსახურებად უდგებოდნენ; მეორენი პოლიციის მეთვალყურეობას არად აგდებდნენ, სიცივეს არ უშინდებოდნენ და ისე იკრიბებოდნენ ღამლამობით რომელიმე დაშორებულ მინდორსა ან ტყეში, რათა ციკრონი აეხსნათ და ჰომეროსი ეთარგმნათ. უნივერსიტეტები გააფთრდნენ: პაპს გამოსტყუეს ბულა, რომელიც კრძალავდა ებრაული ენის სწავლას და ებრაული წიგნების კითხვას; იმ დროის განთქმული და კეთილშობილი

მეცნიერი რაიხლინი კინალამ კოცონზე დასწვეს ძველი და ებრაული ენების ცოდნის გამო. მაშინ გამოჩნდა ფონ-გუტენის მახვილგონიერი პამფლეტი — „Litterae Obscurorum Virorum“, რომელშიც ველური უვიცობა და ფანატიზმი გესლიანი ოსტატობით განგმირა მათმავე საკუთარმა იარაღმა. ამან განამტკიცა განათლების გამარჯვება ევროპაში. ჰერდერმა სთქვა, რომ არც გუდიბრასს ინგლისში, არც გარგანტუას საფრანგეთში, არც ღონ-კიხოტს ესპანეთში ისეთი ძლიერი გავლენა არ მოუხდენიათ კაცობრიობის გაუმჯობესებაზე, რამდენიც მოახდინეს გუტენის წერილებმა, რომლებმაც დალწეს ბარბაროსობის უკანასკნელი ზღუდე — კოლეგიების სქოლასტიციზმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუნდაც ისეთი ადამიანების ღვაწლი და დამსახურება, როგორიც იყვნენ: კონრად ცელტი, გერმან ბუშიი, იოჰან რეგვი, ესტიკაძპიანი, ერაზმ როტერდამელის მასწავლებელი გეგვი, მელანქტონის განმანათლებელი დრინაგერბერგი, აგრიკოლა და სხვები იმად ღირდნენ, რომ პატივით ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი ისტორიის სახელმძღვანელოში, თუმცა ისინი მხედართმთავრები არ ყოფილან. და კიდევ უფრო მეტად ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ რაიხლინი, ერაზმ როტერდამელი, გუტენი: მათი მნიშვნელობა, მათი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბარბაროსობასთან და მათი გამარჯვებანი მასზე — ღირსი იყო ისტორიის სახელმძღვანელოში უფრო ვრცლად გადმოცემისა, ვიდრე ჩვენ ამ სტრიქონებში გადმოვეციით; რადგან ყოველივე ეს ათასჯერ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, ვიდრე უშინაარსო იტალიური ომების უშინაარსო წვრილმანები. მაგრამ ყოველივე ამაზე ბ-ნი სმარაგდოვი კრინტს არა სძრავს: ის აღწერს მხოლოდ იმას, რაც უკვე ბ-ნმა კაიდანოვმა აღწერა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ იტალიის ომებისათვის დუმილით უნდა აევლო გვერდი-თქო; არა, პოლიტიკური მოვლენების ჩარჩო დე ჩარჩოდ დარჩეს და შეკუმშულად გადმოიციეს პარაგრაფებში მსხვილი შრიფტით; მაგრამ შინაგანი აზრით აღბეჭდილი მოვლენები, მოვლენები, ურომლისოდაც კაცობრიობის მოძრაობა გაუგებარია, დე

უფრო დაწვრილებით იქნეს გადმოცემული პარაგრაფებში წვრილი შრიფტით. ბ-ნ სმარაგდოვს ისიც კი საჭიროდ არ მიუჩნევია, რომ სასწავლო წიგნში აუცილებელი ეს შრიფტის მრავალფეროვნება გამოეყენებინა.

საზოგადოდ, ბ-ნ სმარაგდოვის ახალ ისტორიაში ჩვენ ვპოულობთ, მაგალითად, ოცდაათწლიანი ომის, ვესტფალიის ზავისა და სხვათა ისტორიას, ყოველივე იმას და სავსებით ისე, როგორც ბ-ნ კაიდანოვის ისტორიაში,—არც მეტი, არც ნაკლები, არც უკეთესად და არც უარესად; მაგრამ ვერ ვპოულობთ კაცობრიობის განვითარებას, პროგრესის მიზეზებს და თვით პროგრესსაც კი. ისტორიის გმირები, როგორც, მაგალითად, ვალენშტეინი, გუსტავ-ადოლფი, რიშტილიე და სხვები, სუსტად და მკრთალად არიან მოხაზულნი. გვეტყვიან: სახელმძღვანელო ვრცელი ისტორია არ არის; მასში მთავარია არსი და საქმე და არა პოეზიაო. ეს ძველი ჰანგებია, რომლებიც დამაჯერებელია მხოლოდ ზარმაცებისა, უმეტრებისა და უნიჭოებისათვის. ამის დასამტკიცებლად ასეთი აზრის დამცველებს მივუთითებთ რუსულ ენაზე და რუსული ასოებით დაბეჭდილ წიგნზე—ბ-ნ ლორენცის „შუა საუკუნეთა ისტორიაზე“ და ვთხოვთ მასში წაიკითხონ, მაგალითად, კარლოს დიდის მეფობის გადმოცემა: ეს სასარგებლო იქნება იმაში დასარწმუნებლად, რომ ღრმა ერუდიცია და ფაქტების უაღრესად საქმიანი გადმოცემა სრულებით ხელს არ უშლის თხრობის იმ პოეზიას, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს მოვლენათა იდეების ცოცხალი განპყრეტიდან...

მაგრამ ყოველივე ეს კიდევ მოსათმენი იქნებოდა. ჩვეულებრივად ამბობენ, დასასრული საქმის დამაგვირგვინებელიაო, ხოლო სწორედ დასასრული სმარაგდოვის წიგნში არაფრად ვარგა.

ნაპოლეონის ისტორია ამ წიგნში—ნამდვილი პამფლეტია. შეიძლება იფიქროთ, რომ ბ-ნი სმარაგდოვი მოგვითხრობს თანამედროვე ამბებს, რომლებისთვისაც შეუძლებელია დინჯი პირუთვნელობა. ნაპოლეონის მოქმედებებს იგი უწოდებს.

ხან კადნიერს, ხან თავხედურს, ხან საზიზღარს, ერთი სიტყვით, პირდაპირ ილანძღება... ეგვიპტის ექსპედიციაში იგი ნაპოლეონს მიაწერს არაადამიანურ მოქმედებას. მოკლედ, მისი აზრით, ისეთი საზარელი ადამიანი, როგორც ნაპოლეონი, კვყენად არც კი გაჩენილა... *Sic transit gloria mundi!** ხოლო, როდესაც ბრაუნშვეიგის ჰერცოგის სიკვდილზე ლაპარაკობს, იგი ჰერცოგს ამთავრებინებს ხანგრძლივ ასპარეზს სახელისას, რაც მან, ალბათ, მოიხვეჭა განთქმულ ლაშქრობაში საფრანგეთის წინააღმდეგ, 1792 წელს... „*Et voilà comme on écrit l'histoire*“*.

ბ-ნ სმარაგდოვის ახალი ისტორია მანამდე არსებულ ყველა ისტორიაზე სრულია: იგი 1839 წლამდე მოდის. ეს იქნებოდა მისი დიდი დამსახურება, რომ შემდეგი გარემოება არა: რაც უფრო უახლოვდება დასასრულს, მით უფრო იქცევა ის მშრალ ჩამოთვლად, საიდანაც კაცი ვერაფერს გაიგებს. იმედი ვიქონიოთ, რომ თავისი „ახალი ისტორიის“ მეორე გამოცემისას ბ-ნი სმარაგდოვი მას ძნიშვნელოვნად შეასწორებს. ვფიქრობთ, იგი კიდევ უფრო უკეთესად მოიქცეოდა, თუ მას სავსებით მოსპობდა და სრულიად ახალს დასწერდა...

პაიჭის საიღუმელოებანი



რომანი ეჟენ სიუსი

თარგმანი ვ. სტროვისა. სანქტ-პეტერბურგი. 1844.
ორ ტომად, რვა ნაწილად 1.

ევროპის ლიტერატურათა ისტორია, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, იმ ბრწყინვალე წარმატების მრავალ მაგალითს იძლევა, რასაც ზოგიერთი მწერალი ან ზოგიერთი თხზულება აღწევდა. ვის არ ახსოვს ის დრო, როდესაც, მაგალითად, მთელი ინგლისი ხელიდან ხელში იტაცებდა ბაირონის პოემებს და ვალტერ-სკოტის რომანებს, ისე რომ თითოეული ამ მწერლის ახალი ქმნილების გამოცემა რამდენიმე დღეში ვრცელდებოდა არა ერთი ათასი ეგზემპლარის რაოდენობით. ამგვარი წარმატება ფრიად გასაგებია: გარდა იმისა, რომ ბაირონი და ვალტერ-სკოტი დიდი პოეტები იყვნენ, მათ ამასთანავე სრულიად ახალი გზები გაკაფეს ხელოვნებაში, შეჰქმნეს მისი ახალი სახეები, ახალი შინაარსი მისცეს მას; თითოეული მათგანი კოლუმბი იყო ხელოვნების სფეროში. და განცვიფრებული ევროპა აფრავაშლილი მიეშურებოდა მათ მიერ ახალ აღმოჩენილ შემოქმედებითი სამყაროს კონტინენტებზე, რომლებიც არანაკლებ მდიდარი და შესანიშნავი იყვნენ, ვიდრე ამერიკა. ამრიგად, ამაში არაფერი საკვირველი არ ყოფილა. საკვირველი არც ისაა, რომ ამგვარი, თუმცა სწრაფწარმავალი, წარმატებით ჩვეულებრივი ნიჭის ადამიანებიც სარგებლობდნენ: ხალხს უნდა ჰყავდეს თავისი გენიოსები, როგორც კაცობრიობას ჰყავს თავისი. მაგალი-

თად, საფრანგეთში რესტავრაციის ბოლო ხანებში ლიტერატურის სცენაზე რომანტიზმის დროშით გამოვიდა საშუალო ღირსების მწერალთა მთელი ფალანგა, რომლებშიც ხალხმა თავისი გენიოსები დაინახა. მათ კითხულობდა და მათგან განცვიფრებული იყო მთელი საფრანგეთი, ხოლო მასთან ერთად, როგორც მიღებულია, მთელი ევროპაც. ჰიუგოს რომანს—„Notre Dame de Paris“²—ისეთი წარმატება ჰქონდა, რითაც იმ უდიდეს გენიოსთა უდიდესი ნაწარმოებნი უნდა სარგებლობდნენ, რომლებიც ქვეყნიერებას განახლებისა და აღორძინების ცოცხალი სიტყვით მოველინებიან ხოლმე. მაგრამ აი, რაღაც თოთხმეტი წელი ძლივს გავიდა,—და ამ რომანს უკვე ყველა ისე უყურებს, როგორც შესანიშნავი, მაგრამ წმინდა გარეგნული და ეფექტური ტალანტის tour de force-ს³, როგორც ძლიერი და მგზნებარე, მაგრამ შემოქმედებითს გონებასთან არა კეთილგანწყობილი ფანტაზიის ნაყოფს, როგორც ბრწყინვალედ მოელვარე, მაგრამ ნაძალადევ ნაწარმოებს, რომელიც მთლიანად გაზვიადებულია, მთლიანად აღსავსეა არა სინამდვილის სურათებით, არამედ გამონაკლისთა სურათებით, როგორც ნაწარმოებს, რომელიც მახინჯია სილიადის გარეშე, უზარმაზარია სიმწყობრისა და ჰარმონიის გარეშე, უძლურია და უაზრო. ბევრნი ახლა მის შესახებ სულაც არ ფიქრობენ არაფერს, და არავინ ცდილობს გამოსტაცოს იგი დავიწყებას, რომლის სიღრმეშიც იგი ტკბილად და საუკუნოდ განისვენებს. და ასეთი ბედი ეწია ვიქტორ ჰიუგოს, ci-devant⁴ მსოფლიო გენიის საუკეთესო ქმნილებას: მაშასადამე, მის ყველა სხვა, და განსაკუთრებით უკანასკნელ ნაწარმოებთა ბედზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამ მწერლის მთელი სახელი, რაც ცოტა ხნის წინათ ესოდენ უზარმაზარი და საქვეყნო იყო, ახლა ადვილად შეიძლება კაკლის ნაკუჭში მოთავსდეს. განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ბალზაკის მოთხრობები, სალონური ყოფაცხოვრების ეს სურათები, მათი ოცდაათწლიანი ქალებით, საყოველთაო აღტაცების მიზეზი და ყოველი საუბრის საგანი იყო? განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ამ მოთხრობებით

თავს იწონებდნენ ჩვენი რუსული ჟურნალები? მთელმა მკითხველმა მსოფლიომ სამჯერ ხარბად წაიკითხა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, პირდაპირ ჩაყლაპა „ერთი ცამეტთაგანის“ ისტორია, რადგან ფიქრობდა მასში უახლესი საზოგადოების „ილიადა“ დაენახა. ხოლო ახლა ვის ეყოფა გამბედაობა და მოთმინება კვლავ გადაიკითხოს ეს სამი გრძელი ზღაპარი? ჩვენ ამით არ გვინდა ვთქვათ, რომ ახლა არ შეიძლებოდეს რაიმე კარგის პოვნა ბალზაკის თხზულებებში და რომ ის უნიჭო კაცი იყო-თქო; პირიქით, მის მოთხრობებში ახლაც შეიძლება ვიპოვნოთ მრავალი სილამაზე, მაგრამ სილამაზე დროებითი და შედარებითი; მას ჰქონდა ტალანტი და შესანიშნავი ტალანტიც კი, მაგრამ ტალანტი განსაზღვრული დროისათვის. ეს დრო წავიდა, და ტალანტიც დაივიწყეს,— და ახლა იგივე ხალხი, რომელიც მისგან გიჟდებოდა, სულაც არ დაეძებს არა თუ იმას, არსებობს თუ არა იგი ამჟამად, არამედ იმასაც კი, არსებობდა თუ არა ოდესმე“.

ყოველივე ამასთან ერთად, საეჭვოა რომელიმე ლიტერატურის რომელიმე ეპოქა იძლეოდეს იმ წარმატების რამდენადმე მსგავს მაგალითს, როგორიც ჩვენს დღეებში წილად სედა ყბადაღებულ „Les Mystères de Paris“-ს“. ჩვენ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ეს რომანი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ეს ევროპული შეხერაზადა, რომელიც ყოველდღიურ გაზეთში ფელეტონებად დაბეჭდილი ნაგლეჯებია, პარიზის და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოს საზოგადოების ყურადღებას იქცევდა იქ, სადაც ფრანგულ გაზეთებს იღებენ (ხოლო მათ სადღა არ იღებენ?); არც იმას ვიტყვით, რომ ამ რომანის ცალკე გამოცემა მოკლე დროში დაიტაცეს, წაიკითხეს, გადაიკითხეს, გადმოიკითხეს, დაფლითეს და დაგლიჯეს დედამიწის ყველა კუთხეში, სადაც კი ფრანგულ ენაზე ლაპარაკობენ (ხოლო სად არ ლაპარაკობენ ამ ენაზე?), სთარგმნეს ყველა ევროპულ ენაზე; რომ ამ რომანმა გამოიწვია მრავალი მითქმა-მოთქმა, უფრო მეტად არალიტერატურული, ვიდრე ლიტერატურული, და წარმოშვა უდიდესი სურვლი

34. ბ. ვ. ბელინსკი

მისი მიბაძვისა; არც იმას ვიტყვით, რომ პარიზში მზადდება მისი ახალი საუცხოო გამოცემა საუკეთესო მხატვრების ხამუშევარი სურათებით. ყოველივე ეს ჩვენს დროში ჯერ კიდევ არ არის ქეშმარიტი, ნამდვილი წარმატების საზომი. ჩვენს დროში მოცულობა გენიისა, ტალანტისა, სწავლულობისა, სილამაზისა, სათნოებისა და, მაშასადამე, წარმატებისა. რაც ჩვენს საუკუნეში გენიაზე, ტალანტზე, სწავლულობაზე, სილამაზესა და სათნოებაზე მალა ითვლება, — ეს მოცულობა ადვილად იზომება ერთი საზომით, რომელიც ყველა სხვა საზომს განაპირობებს და შეიცავს: ეს არის ყაზ-ლი. ჩვენს დროში გენიოსი, მკოდნე, ლამაზი, სათნოიანი არ არის ის, ვინც ჯიბე არ გაისქელა და არ გამდიდრდა. ძველ გულკეთილსა და უმეცარ დროში გენია თავის დიად მოღვაწეობას ან კოცონზე ამთავრებდა ან დავრდომილთა თავშესაფარში, თუ საგიჟეთში არა; სწავლულობა 'შიშშილით კედებოდა; სათნოება გენიის ბედს იზიარებდა, სილამაზე კი ბუნების საშიშ ჯილდოდ ითვლებოდა. ახლა ასე არაა; ახლა ყველა ეს თვისება ზოგჯერ გაჭირვებით იწყებს თავის ასპარეზს, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ამთავრებს მას: გამოფიტულნი, კაფანდარა, ფერმკრთალნი ახალგაზრდობისას, ისინი, გამოცდილებით დავაჟაკაცების წლებში, ჩასკენილნი, ჩასუქებულნი, ლოჭებდაწითლებულნი, ამაყად და უდარდელად განისვენებენ ოქროს ტომრებზე. თავდაპირველად ისინი მიზანტროპებიც არიან და ბაირონისტებიც, შემდეგ კი თავისი თავითა და ქვეყნით კმაყოფილ მეშჩანებად იქცევიან. ეიულ ჟანენმა თავისი მოღვაწეობა დაიწყო „მკვდარი სახედრით და თავმოკვეთილი ქალით“, ხოლო მას ამთავრებს უსინდისო ფელეტონებით „Journal des Débats“-ში, სადაც გახსნა შემოსავლიანი ღუქანი ხოტბისა და ლანძღვისა, რაც საჯაროდ იყიდება. ევენ სიუ, თავისი მოღვაწეობის დაწყებისას, ცხოვრებას და კაცობრიობას შავი სათვალთ უცქეროდა და ცდილობდა თავი ეჩვენებინა ლიტერატურის სატანური სკოლის მომხრედ: მაშინ ის მდიდარი არ იყო. ახლა იგი მორალის ქადაგებას შეუდგა, იმიტომ რომ გამდიდრდა...

გარდა იმ დიდი თანხისა, რაც „პარიზის საიდუმლოებათა“ საფასურად მიიღო, ახალი ჟურნალისტი, რომელსაც თავისი ჟურნალის წარმატება სურს, „პარიზის საიდუმლოებათა“ ავტორს ას ათას ფრანკს სთავაზობს მისი ახალი, ჯერ კიდევ დაუწერელი რომანისათვის... აი ეს წარმატება! და ვისაც სურს ეყენ სიუს გენიალობით გადააჭარბოს, მან უნდა დასწეროს რომანი, რომელშიც ჟურნალისტი ორას ათას ფრანკს მისცემდა: მაშინ ყოველი პირი, ისიც კი, ვინც კითხვა არ იცის, მაგრამ ანგარიში იცის, გაიგებს, რომ ახალი რომანისტი ეყენ სიუსზე ზუსტად ორჯერ უფრო გენიალურია. ესეთიკური კრიტიკა, როგორც ხედავთ, ძალიან მარტივია: ყოველი წვერიანი რუსი მოიჯარადრე, რომელსაც ხელში საახგარიშე უჭირავს, შეიძლება ჩვენი დროის უდიდესი კრიტიკოსი იყოს...

„პარიზის საიდუმლოებათა“ საკითხი ამით, თითქოს, მოკლედაც გადაწყდებოდა და დამაკმაყოფილებლადაც; მაგრამ რადგან ჩვენ ერთგული ვრჩებით ჩვენი რწმენისა, რომელიც ყველა ადამიანმა, ვისაც ზნეობის მნიშვნელოვანი კაპიტალი აქვს, შეიძლება წინაზრახვად ჩასთვალოს, — ამიტომ გვინდა „პარიზის საიდუმლოებებს“ სხვა თვალსაზრისით შევხედოთ და ის სხვა საზომით გაეზომოთ, გარდა მისი წარმატებისა, ე. ი. გარდა მასში გადახდილი ფულისა. ეს ჩვენს მოვალეობადაც კი მიგვაჩნია, იმიტომ რომ „პარიზის საიდუმლოებებს“ რუსეთშიც ისევე დიდი წარმატება ჰქონდა, როგორც ყველგან. ბ-ნ სტროევის კარგი, თუმცა არასრული თარგმანის მეოხებით, ამ რომანს ახლა შეიძლება გაეცნოს რუსული საზოგადოების ის ნაწილიც, რომელსაც უცხოურ ნაწარმოებთა ორიგინალში წაკითხვა არ შეუძლია. „პარიზის საიდუმლოებათა“ შესახებ ჩვენში ლაპარაკობენ და მსჯელობენ პროვინციაშიც, ხოლო სატახტო ქალაქის ზოგიერთი ჟურნალი მყვირალა ფრაზებით ლაპარაკობს ეყენ სიუს გენიალობასა და მის „პარიზის საიდუმლოებათა“ უკვდავებაზე, თუმცა თავისი მკითხველებისათვის წყვილიადით მოცულ საიდუმლოებად სტოვებს ასეთი გენიალობისა და ასეთი

უკვდავების მიზეზებს? თავის დროზე ჩვენ უკვე გაძოვ-
თქვით ჩვენი აზრი და „უცხოური სიტყვიერების“ განყოფი-
ლებაში მოვიყვანეთ საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო
თანამედროვე კრიტიკოსის შეხედულება „პარიზის საიდუმ-
ლოებებზე“. ეს საკმაოდ იქნებოდა; მაგრამ მაშინ რას ვი-
ფიქრებდით, რომ „პარიზის საიდუმლოებანი“ ამდენად და-
აინტერესებდა რუსულ საზოგადოებას? საერთო ინტერესის
საგნებზე ლაპარაკი ხომ ყურნალის საქმეა. მაშ ასე: ერთხელ
კიდევ ვილაპარაკოთ „პარიზის საიდუმლოებათა“ შესახებ.

ამ რომანის ძირითადი აზრი ჭეშმარიტი და კეთილშობი-
ლურია. ავტორს უნდოდა გარყვნილი, ეგოისტური, ოქროს
კერპის მოთაყვანე საზოგადოებისათვის ეჩვენებინა უვიცო-
ბისა და სილატაკისათვის, ხოლო უვიცობითა და სილატა-
კით — მანკიერებისა და ბოროტმოქმედებისათვის განწი-
რულ უბედურთა ტანჯვა-წამების სურათი. არ ვიცი, გამო-
იწვია თუ არა ამ სურათმა, რაც ავტორმა ისე დახატა, რო-
გორც შეეძლო, გამოიწვია თუ არა მან ძრწოლა ამ საზოგა-
დობაში, რომელიც გართულია მისი სავაჭრო და სამრეწვე-
ლო ორგიებით; მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ სურათმა გა-
აღიზიანა ეს საზოგადოება, და მან ავტორს ბრალად დასდო
უზნეობა! ჩვენს დროში სიტყვები „ზნეობა“ და „უზნეობა“
ძალიან მოქნილი გახდა, და ახლა მათ ადვილად მიუყენებთ
თვითნებურად ყველაფერს, რასაც გინდათ. შეხედეთ, მაგა-
ლითად, ამ ვაჟბატონს, ასე ამაყად რომ დაატარებს თავის
ლიპს, რომელმაც უმწეო უმანკოების ამდენი ცრემლი და
სისხლი შთანთქა, — ამ ვაჟბატონს, რომლის სახეზე ისეთი
თვითკმაყოფილება აღბეჭდილა, რომ არ შეგიძლიათ ერთი
შეხედვისთანავე არ დარწმუნდეთ, რომ დატენილი აქვს
ღრმა სკივრები, რომლებშიც ჩამარხულია ღარიბის მუქტი
შრომაც და ობლის კანონიერი მემკვიდრეობაც. იგი, ეს ვაჟ-
ბატონი, რომელსაც ხარის ტანზე ვირის თავი აბია, ყველაზე
ხშირად და განსაკუთრებული კმაყოფილებით ლაპარაკობს
ზნეობაზე და განსაკუთრებული სიმკაცრით ჭგომბს ახალ-
გაზრდობას მისი უზნეობისათვის, რაც დამსახურებული

(ე. ი. გამდიდრებული) ადამიანებისადმი უპატივცემლობაში მდგომარეობს, და მისი თავისუფალი აზროვნებისათვის, რაც იმით გამოიხატება, რომ ახალგაზრდობას არ უნდა დაიჯეროს სიტყვები, რომლებიც საქმეებით არ დასტურდება. ასეთი მაგალითები შეიძლება ათასობით ვიპოვნოთ, და სულაც არ არის საკვირველი, რომ ჩვენს დროში არიან ადამიანები, რომლებიც სოკრატეს მატყუარას, თაღლითს და ახალგაზრდობის ზნეობისათვის საშიშ გიჟს უწოდებენ*. ჩვენი დროის ხასიათის განსაკუთრებულ ნიშანს მიეკუთვნება ის, რომ ყოველი სიმართლისათვის, ყოველი კეთილშობილური მოძრაობისათვის, ყოველი პატიოსანი ქცევისათვის, რომელიც უშუალოდ და ფაქტიურად განმარტავს ზნეობის მნიშვნელობას და განუზრახველად ამხილებს გარყვნილ მორალისტებს, — თქვენ მყისვე მოგნათლავენ უზნეო ადამიანად. ამ საშინელი სიტყვით შეხვდნენ პარიზში ეყენ სიუს რომანსაც: მაშასადამე, ავტორმა მიაღწია თავის მიზანს — მისი წერილი დანიშნულებისამებრ მივიდა... „პარიზის საიდუმლოებანი“ დეპუტატთა პალატაში ადმინისტრაციული კამათის საბაბიც კი გახდა: ასეთი იყო ამ რომანის წარმატება...

რუსული საზოგადოების უმრავლესობისათვის „პარიზის საიდუმლოებათა“ განსაკუთრებული წარმატება უფრო გასაგები რომ გახდეს, საჭიროა ასეთი წარმატების ადგილობრივი და ისტორიული მიზეზების ახსნა. ეს მიზეზები ახლა ისტორიის კუთვნილებაა; მათ შესახებ პოლიტიკა აღარ ლაპარაკობს; მაშასადამე, ისინი უკვე ისტორიული კრიტიკის საგნად იქცა. მეფის ბრძანებებით 1830 წელს შეცვლილ იქნა საფრანგეთის ქარტია; მუშათა კლასი პარიზში ხელოვნურად ამხედრა საშუალო წოდების (bourgeoisie) პარტიამ. ხალხსა და მეფის ჯარებს შორის ბრძოლა გაჩაღდა. ბრმა და უგუნური თავგანწირულებით აღტყინებული ხალხი თავს არ იზოგავდა იმ უფლებათა დარღვევისათვის ბრძოლაში, რომლებიც მას არავითარ ბედნიერებას არ მატებდნენ და, მაშასადამე, ისევე ნაკლებად შეეხებოდნენ, როგორც ჩინეთის ბოგდიხანის ჯანმრთელობის საკითხი. ხალხი იბრძოდა ცალ-

კე ჯგუფებად, იბრძოდა ბარიკადებზე, იბრძოდა ისე, რომ არ ჰქონდა საერთო გეგმა, არ ჰქონდა ღროშა, არ ჰყავდა წინამძღოლნი, ცუდად იცოდა ვის წინააღმდეგ იბრძოდა, და სრულებით არ იცოდა ვისთვის და რისთვის იბრძოდა; იგი ამოდ მიმართავდა ერის წარმომადგენლებს, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ სხდომები ჰქონდათ აბონირებულ კამერაში: ამ წარმომადგენლებს ამისთვის არ ეცალათ, ისინი კინალამ სარდაფებში იმალებოდნენ ფერდაკარგულნი და აკახკალებულნი. როდესაც ბრმა ხალხის თავგამოდებით საქმე დამთავრდა, წარმომადგენლები თავთავისი ბუნაგებიდან გამოძვრნენ და გვამებზე გავლით მოხერხებულად მიაღწიეს ხელისუფლებას, რომელსაც ყველა პატიოსანი ადამიანი ჩამოაშორეს, ნარი სხვისი ხელით დაგლიჯეს, მზამზარეულ სუფრას შემოუსხდნენ და ზნეობაზე მსჯელობა დაიწყეს. ხოლო ხალხმა, რომელიც უგუნური თავგამოდებით ღვრიდა თავის სისხლს იმ ცარიელი სიტყვისათვის, რომლის მნიშვნელობა თვითონ არ ესმოდა, რა მოიგო თავისთვის ამ ხალხმა?—ვაგლახ! ივლისის ამბების შემდეგ ამ საწყალმა ხალხმა მყისვე ძრწოლით დაინახა, რომ მისი მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესდა, არამედ მნიშვნელოვნად გაუარესდა წინანდელთან შედარებით. იმავე დროს კი მთელი ეს ისტორიული კომედია გათამაშდა ხალხის გულისათვის და ხალხის კეთილდღეობისათვის! არისტოკრატია საბოლოოდ დაეცა; მეშჩანობამ მტკიცედ დაიკავა მისი ადგილი, მემკვიდრეობად მიიღო მისი უპირატესობანი, მაგრამ არ მიუღია მისი განათლებულობა, მისი ცხოვრების ნატიფი ფორმები, ხალხისადმი არისტოკრატიული ზიზღი, ქედმაღლური დიდსულოვნება და მედიდური ხელგაშლილობა. ფრანგი პროლეტარი კანონის წინაშე თანასწორია ყველაზე მდიდარ მესაკუთრესა (propriétaire) და კაპიტალისტთან; ერთსაც და მეორესაც ერთნაირი სასამართლო ასამართლებს და, დანაშაულისამებრ, ერთნაირად სჯის; მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ თანასწორობით პროლეტარის მდგომარეობა სულაც არ შემსუბუ-

ქებულა. მესაკუთრისა და კაპიტალისტის მუდმივი მუშაკი, პროლეტარი მთლიანად მის ხელშია, მთლიანად მისი მონაა, ვინაიდან იგი აძლევს პროლეტარს სამუშაოს და თვითხებურად უნიშნავს მისთვის ქირას. ეს ქირა საწყალ მუშას არასოდეს არ ჰყოფნის დღიური ლუკმაპურისათვის და თავისთვის და თავისი ოჯახისთვის ძონძების საყიდლად; ხოლო ძდიდარ მესაკუთრეს ამ ქირით გამომუშავებულის ასი პროცენტიდახ 99 თვითონ მიაქვს... კარგი თანასწორობა კია! და თითქოს უფრო ადვილი იყოს სიკვდილი ზამთარში, ცივ სარდაფში ან ცივ სხვენზე, სადაც სამი დღის უკმელ-უსმელი ცოლ-შვილი ყინვისაგან კანკალებს; თითქოს უფრო ადვილი იყოს ასე სიკვდილი ქარტიით, რომლისთვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა, ვიდრე უქარტიოდ, მაგრამ იმ მსხვერპლის გაუღებლადაც, რომელსაც ეს ქარტია მოითხოვს?.. მესაკუთრე. როგორც ყოველი მეტიჩარა, ხალათიან და ხის ფეხსაცმლიახ მომუშავეს ისე უყურებს, როგორც პლანტატორი ზანგს. მართალია, მესაკუთრეს არ შეუძლია ძალით აიძულოს პროლეტარი იმუშაოს მისთვის, მაგრამ მას შეუძლია პროლეტარს სამუშაო არ მისცეს და შიმშილით მოჰკლას. მეშჩანი მესაკუთრეები პროზაულად დინჯი ადამიანები არიან. მათი საყვარელი წესია: ყოველი თავის ნაჭუჭში და თავისთვის. მათ სურთ მართალი იყონ სამოქალაქო კანონით და არაფრის გაგონება არ სურთ ადამიანობისა და ზნეობის კანონებზე. ისინი პატიოსნად უხდიან მომუშავეს მათ მიერვე დანიშნულ ქირას, და თუ ეს ქირა მომუშავისა და მისი ოჯახის შიმშილით სიკვდილისგან გადასარჩენად არ კმარა და სასოწარკვეთილი პროლეტარი ქურდი ან მკვლელი გახდება,—მესაკუთრეთა სინდისი დამშვიდებულა: კანონით ხომ ისინი მართალი არიან! არისტოკრატია ასე არ მსჯელობს; იგი დიდსულოვანია მედიდურობაშიც კი. თანახმად მიღებული ჩვეულებისა. სწორედ ამიტომაც არისტოკრატიას ყოველთვის უყვარდა ჭკუა, ტალანტი, მეცნიერება და ხელოვნება და აზიჟობდა იმით, რომ მათ მფარველობდა. თანამედროვე აზურანგეთის მეშჩანობა არისტოკრატიას ბაძავს მხოლოდ ფუ-

ფუნებასა და მედიდურობაში, რასაც იგი ტლანქად და უხმოსად ამქლავნებს, როგორც მოლიერის გააზნაურებული მდაბიო (bourgeois-gentilhomme). და აი ვისთვის გასწირა ხალხმა თავისი სიცოცხლე! საფრანგეთის ქარტიის თანახმად, ამომრჩეველი და კანდიდატი შეიძლება იყოს მხოლოდ ის მესაკუთრე, რომელიც თავისი უძრავი ქონებისათვის წელიწადში ოთხას ფრანკ გადასახადს მაინც იხდის. მაშასადამე, მთელი ძალაუფლება, მთელი გავლენა სახელმწიფოზე თავმოყრილია მფლობელთა ხელში, რომლებსაც ქარტიისათვის წვეთი სისხლიც კი არ დაუღვრიათ, ხალხი კი სავსებით ჩამოშორებული დარჩა იმ ქარტიის უფლებებისაგან, რომლისთვისაც იტანჯებოდა. ჩვენში, რუსეთში, სადაც გამოთქმა—„შიმშილით სიკვდილი“ ჰიპერბოლასავით იხმარება, იმიტომ რომ რუსეთში არა თუ შრომისმოყვარე ღატაკს, არამედ აშკარად ზარმაც მათხოვარსაც კი პირდაპირ არავითარი შესაძლებლობა არა აქვს შიმშილით მოკვდეს, — ჩვენში, რუსეთში, ყველა ადვილად როდი დაიჯერებს, რომ ინგლისსა და საფრანგეთში შიმშილით სიკვდილი სავსებით შესაძლებელი და სრულიად ჩვეულებრივი საქმეა. რამდენიმე კვირის, ორი-სამი თვის ავადმყოფობა ან სამუშაოს უქონლობა — და საბრალო პროლეტარი ოჯახიანად უნდა მოკვდეს, თუ არ ჩაიდენს დანაშაულს, რომელმაც იგი გილიოტინაზე უნდა აიყვანოს. აი რატომ შევჩერდით ვრცლად ამ საგანზე, რომელიც ასე მკიდროდ დაკავშირებულია „პარიზის საიდუმლოებათა“ შინაარსთან. ხალხის უბედურება პარიზში განუზომელად აღემატება ფანტაზიის ყველაზე გაბედულ გამონაგონს.

მაგრამ სიკეთის ნაპერწკლები საფრანგეთში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა — ისინი ფერფლშია გახვეული და ხელსაყრელ ქარს ელოდებიან, რომელიც მათ ნათელ და წმინდა ცეცხლის ალად აქცევს. ხალხი — ყრმაა; მაგრამ ეს ყრმა იზრდება და ძალდონითა და გონებით აღსავსე ვაჟკაცი დადგება. გაჭირვებამ მას ჭკუა ასწავლა და კონსტიტუციური ზიზილ-პიპილები მათი ჭეშმარიტი სახით დაანახვა. ის უკვე აღარ უჯერებს ენაჭარტალებსა და კანონთა მეფაბრიკებს და აღარ და-

ღვრის თავის სისხლს იმ სიტყვებისათვის, რომელთა მნიშვნელობა მისთვის ბუნდოვანია, და იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც იგი მხოლოდ მაშინ უყვართ, როდესაც მათ სხვისი ხელით ნარის დაგლეჯა უნდათ, რათა ისარგებლონ იმით, რაც საკუთარი გარჯით არ შეუძენიათ. ხალხში უკვე სწრაფად ვითარდება განათლება, და მას უკვე ჰყავს თავისი პოეტები, რომლებიც მას მის მომავალს მიუთითებენ, მის ტანჯვას იზიარებენ და არც ტანსაცმლით და არც ცხოვრების წესით მათ არ გამოეყოფიან. იგი ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ მხოლოდ იგი ინახავს ეროვნული სიცოცხლის ცეცხლს და რწმენის ცხოველ ენთუზიაზმს, რომელიც „განათლებული“ საზოგადოების ფენებში ჩაქრა. მაგრამ მას ახლაც ჰყავს ჰემმარიტი მეგობრები: ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავისი აღტქმები და იმედები მის ბედთან შეაერთეს და ნებაყოფლობით აიღეს ხელი ძალაუფლებისა და ფულის ბაზრობაში ყოველგვარ მონაწილეობაზე. ბევრი მათგანი, რომლებიც ევროპაში განთქმულნი არიან როგორც მეცნიერნი და ლიტერატორნი და კონსტიტუციური ბაზრის პირველ რიგში დგომის ყველა საშუალება აქვთ, ნებაყოფლობითსა და პატიოსან სიღარიბეში ცხოვრობენ და იღწვიან. მათი კეთილსინდისიერი და ენერგიული ხმა ძრწოლას ჰგვრის ადმინისტრაციის გამყიდველებს, მყიდველებსა და აქციონერებს,—და ეს ხმა, ღარიბი, მოტყუებული ხალხის დასაცავად ამაღლებული, ადმინისტრაციულ ანტრეპრენიორთა ყურში სამსჯავროს საყვირივით გაისმის. ხალხის კვნესა-გოდება, რასაც ეს ხმა საქვეყნოდ გადმოსცემს, საზოგადოებრივ აზრს აღვიძებს და ამიტომ აშფოთებს ძალაუფლების სპეკულანტებს. ამ პატიოსან ხმებთან ერთად გაისმის სხვა, უფრო მრავალრიცხოვანი ხმები, რომლებიც ხალხის ქომავლობაში ხედავენ ძალაუფლებით უტყუარი სპეკულაციის საშუალებას, სამინისტროს ჩამოგდებისა და მისი ადგილის დაკავების საიმედო საშუალებას. ამრიგად, ხალხი საფრანგეთში საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ საკითხად იქცა. გასაგებია, რომ ასეთ ხანაში არ შეიძლება წარმატება არ

ქმონდეს ლიტერატურულ ნაწარმოებს, რომლის გმირია ხალხი. და საკვირველია, რატომ ადრე ვერ მიხვდა სპეკულაციის სული, რომელიც ფრანგულ ლიტერატურას ჰფლობს, ხელი ჩაეჭიდა საიმედო შემოსავლის ამ დაუშრეტელი წყაროსთვის!..

ეყენ სიუ იყო ის ბედნიერი, რომელსაც პირველად დაებადა აზრი სარფიანი ლიტერატურული სპეკულაცია მოეხდინა ხალხის სახელით. ეყენ სიუ არ ეკუთვნის იმ მცირეოდენ ფრანგ ლიტერატორთა რიცხვს, რომლებმაც საზოგადოებრივი ზნეობის მოოხრების სისაძაგლეზე ხელი ჩაიქნიეს, ნებაყოფლობით სთქვეს უარი აწმყოზე და თავი გასწირეს მომავლის უნგარო მსახურებისათვის, მომავლისა, რომელსაც ისინი, ალბათ, ვერ მოესწრებიან, მაგრამ რომლის მოახლოებასაც სწორედ მათ შეუწყეს ხელი. არა, ეყენ სიუ—დარბაისელი კაცია, რომელიც სავსებით თანაუგრძნობს თანამედროვე საფრანგეთის მატერიალურ სულისკვეთებას. მართალია, ოდესღაც მას უნდოდა ბაირონის როლი შეესრულებინა და იმანჭებოდა ისეთ სატანურ რომანებში, როგორიცაა „ატარგიული“, „ხიტანო“, „კრაო“; მაგრამ ეს იმიტომ, რომ მაშინ წიგნით მოვაჭრენი და ჭურნალისტები ჯერ კიდევ არ დასდევდნენ მას უკან ოქროს ტომრებით ხელში. მეტიც, ყალბი ბაირონიზმის მოდა უკვე გადავიდა, და ეყენ სიუს წლებსაც უკვე დიდი ხანია მისთვის კეთილგონიერება უნდა ესწავლებინა და ორჩოფეხებიდან ჩამოეყვანა. იგი ყოველთვის კარგი ბიჭი იყო და მხოლოდ თავი მოჰქონდა საშუალო ღირსების დემონად, ახლა კი იგი მთლად კარგი ბიჭია, ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, პატივცემული მეშჩანინი სიტყვის სრული მნიშვნელობით. ფილისტერი კონსტიტუციურ-მეშჩანური მოქალაქეობრიობისა, და დეპუტატად გახდომა რომ შეეძლოს, სწორედ ისეთი დეპუტატი იქნებოდა, როგორიც ახლა ქარტიას ესაჭიროება. გამოხატავს რა ფრანგ ხალხს თავის რომანში, ეყენ სიუ მას უყურებს როგორც ჭეშმარიტი მეშჩანინი (bourgeois), უყურებს მას ძალიან მარტივად — როგორც დამშეულ, ჩამოფლეთილ ბრბოს, რომე-

ლიც უვიცობისა და სილატაკის გამო განწირულია ბოროტ-მოქმედებისათვის. იგი არ იცნობს ხალხის არც ჭეშმარიტ მანკიერებებს, არც ჭეშმარიტ სათნოებებს, ექვადაც ვერ წარმოუდგენია, რომ ხალხს აქვს მომავალი, რომელიც უკვე არა აქვს გამარჯვებულ და გაბატონებულ პარტიას, იმიტომ რომ ხალხში არის რწმენა, არის ერთუზიანობა, არის ზნეობის ძალა. ეყენ სიუ თანაუგრძნობს ხალხის უბედურებას: რატომ უნდა წაეართვათ მას თანაგრძნობის კეთილშობილური უნარი, მით უმეტეს, რომ ამ უნარმა მას ასეთი ნაღდი სარფა აღუთქვა? მაგრამ როგორ თანაუგრძნობს — ეს სხვა საკითხია. მას სურს, რომ ხალხი გაჭირვებული არ იყოს, რომ იგი აღარ იყოს მშიერი, ჩამოფლეთილი და ხშირად უნებლიეთ ბოროტმოქმედი ბრბო, რომ იგი გახდეს მაძლარი, სუფთა და თავაზიანი ბრბო, ხოლო მეშჩანები, კანონთა ახლანდელი მეფაბრიკენი საფრანგეთში, წინანდებურად დარჩნენ საფრანგეთის ბატონ-პატრონებად, სპეკულანტთა უგანათლებულეს წოდებად. ეყენ სიუ თავის რომანში გვიჩვენებს, თუ როგორ შეუგნებლად მფარველობენ ზოგჯერ თვით საფრანგეთის კანონები გარყვნილებასა და ბოროტმოქმედებას. და, უნდა ითქვას, იგი ამას მეტად მარჯვედ და დამაჯერებლად გვიჩვენებს; მაგრამ მას ეკვიც კი არ ეპარება, რომ ბოროტება იმალება არა რომელიმე ცალკეულ კანონში, არამედ საფრანგეთის კანონმდებლობის მთელ სისტემაში, საზოგადოების მთელ წყობაში...

თეორიულ-მათერიალური ფილოსოფიის შემეცნების სახელმძღვანელო

თბულუბა ალექსანდრე პეტრეს-ძე ტატარინოვისა.

სანქტ-პეტერბურგი. ედუარდ პრაციის სტამბა. 1844.

თბაბის მერვედი ნაწილი. 40 გვ. ¹

გერმანია ახალი მსოფლიოს ფილოსოფიის საქმობლოა. როდესაც ფილოსოფიაზე ლაპარაკობენ, ყოველთვის გერმანულ ფილოსოფიას გულისხმობენ, იმიტომ რომ კაცობრი-

ობას არავითარი სხვა ფილოსოფია არ გააჩნია. ყველა სხვა ქვეყანაში ფილოსოფია არის კერძო პირის ცდა გადასწყვიტოს ყოფიერების გარკვეული საკითხები; გერმანიაში ფილოსოფია მეცნიერებაა, რომელიც ისტორიულად ვითარდება; მისი დამუშავება თანდათანობით გადაეცემა თაობიდან თაობას. კანტმა პირველმა ჩაუყარა მტკიცე საძირკველი უახლეს ფილოსოფიას და მას მეცნიერული ფორმა მისცა. ფიხტემ თავისი მოძღვრებით გამოხატა ფილოსოფიის განვითარების მეორე მომენტი: თუმცა კანტისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა და მის მიმართ პოლემიკური პოზიციაც კი დაიკავა, მაგრამ იგი მაინც კანტის მიერ დაწყებული საქმის განმგრძობი იყო. შელინგი და ჰეგელი ფილოსოფიის შემდგომი მოძრაობის წარმომადგენლები არიან. ახლა ჰეგელიზმი სამ მხარედ გაიყო: მემარჯვენე, რომელიც ჰეგელიზმის უკანასკნელ სიტყვაზე შეჩერდა და წინ აღარ მიდის; მემარცხენე, რომელიც ჰეგელს ჩამოშორდა და თავის პროგრესად მიაჩნია ცოცხალი შერიგება ფილოსოფიისა ცხოვრებასთან, თეორიისა პრაქტიკასთან; და ცენტრალური, რომელიც რაღაც საშუალოა მემარჯვენე მხარის მკვდარ უძრაობასა და მემარცხენე მხარის სწრაფ მოძრაობას შორის. თუ ჩვენ ვთქვით, რომ ჰეგელიზმის მემარცხენე მხარე თავის მასწავლებელს ჩამოშორდა-თქო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან უარყო ჰეგელის უდიდესი დამსახურება ფილოსოფიის სფეროში და მისი მოძღვრება ფუჭ და უნაყოფო მოვლენად აღიარა. არა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას სურს წინ წავიდეს და, თუმცა დიდ ფილოსოფოსს უაღრესად პატივს სცემს, მაგრამ კაცობრიული სულის ავტორიტეტს ჰეგელის სულის ავტორიტეტზე მალლა აყენებს. ასე ჩამოშორდა კანტს ფიხტე; ასე დაუპირისპირდა თავისი მოძღვრების სულისკვეთებით კანტსა და ფიხტეს შელინგი; ასე ჩამოშორდა შელინგს მისი მოწაფე ჰეგელი. მაგრამ არც ერთი მათგანი არ ფიქრობდა უარყოფა თავისი წინამორბედის დამსახურება, და თითოეული მათგანი თავის წარმატებას წინამორბედის შრო-

მას უმაღლიდა. გერმანული ფილოსოფიის ამგვარი მსგელობა შეუძლებელს ხდის პირადი ფილოსოფოსობის თვითნებურად წარმოშობას. ფილოსოფიის სარბიელზე სამოღვაწეოდ გერმანიაში არ კმარა ის, რომ საქვეყნოდ გამოაცხადო წერილობით: „მე ასე ვფიქრობ“, არამედ მძიმე შრომის მთელი წლები უნდა მოახმარო ყოველივე იმის საქმიან და საფუძვლიან შესწავლას, რაც ფილოსოფიის დარგში გაკეთებულა, — უნდა იდგე თანამედროვე დონეზე².

ამ თვალსაზრისით იმაზე უფრო სასაცილო არაფერია, ვიდრე რუსული ფილოსოფია და ამ დარგში გამოსული რუსული წიგნები. ფილოსოფიაზე, როგორც მეცნიერებაზე, ჩვენში არავინ არ ზრუნავს; მაგრამ ყველა ჩვენი ფილოსოფოსი ფიქრობს, რომ ფილოსოფოსად გახდომისათვის საკმარისია მხოლოდ ეს მოისურვო. ფილოსოფიის შესწავლას ისინი საჭიროდ არ სთვლიან; მათთვის უფრო ადვილია გამოაცხადონ, რომ ყველა გერმანელი ფილოსოფოსი სტყუის, ვიდრე ერთი მათგანი მაინც წაიკითხონ. ჩვენს ფილოსოფოგებს არ ესმით, რომ ჩვენში ფილოსოფიისათვის ჯერჯერობით არც ნიადაგია და არც მოთხოვნილება. ჩვენს ფილოსოფოსს ანაზღად, სრულიად უმიზეზოდ, მოეგუნებება წაიფილოსოფოსოს, და რადგან ყბედობისათვის ბაჟს არ ახდევინებენ, წაფილოსოფოსების ამ მოულოდნელი წადილის შედეგად გამოჩნდება პაწია წიგნი, რომელშიც ყველაფერი ნათქვამია, ყველაფერი ახსნილია, ყველაფერი გადაწყვეტილია, გარდა ერთისა მხოლოდ — რისთვის და ვისთვის არის დაწერილი მთელი ეს სისულელე...³

ყველა ჩვენს სხვა ფილოსოფოსზე თითქმის უფრო გამბედავია ბ-ნი ალექსანდრე პეტრეს-ძე ტატარინოვი: გაკრულად და უმსგავსოდ დაბეჭდილ ორმოც გვერდზე იგი გადმოსცემს რალაც მანამდე არარსებულ თეორიულ-პრაქტიკულ ფილოსოფიას, და პირწმინდად - სწყვეტს, რა არის ჭეშმარიტება, სიკეთე და მშვენიერება: მისი მიხედვით ჭეშმარიტება არის ჭეშმარიტება, სიკეთე არის სიკეთე, ხოლო მშვენიერე-

ბა — მშვენიერებაა. მოკლედ და ნათლად არის ნათქვამი! მის დრომდე არსებულ ფილოსოფოსთაგან მან რაღაც იცის მხოლოდ ლოკის, ლაიბნიცისა და კანტის შესახებ, ხოლო ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე პირდაპირ არაერთად ცხობა არ მოეპოვება. რისთვის და ვისთვის არის დაწერილი ეს რვეული (მას არ შეიძლება არც წიგნი ეწოდოს და არც წიგნაკი)? იმათთვის, ვისაც თუნდაც რაიმე წარმოდგენა აქვს ფილოსოფიაზე, ბ-ნ ტატარინოვის რვეული მხოლოდ სასაცილო იქნება: ხოლო ისინი, ვისაც ფილოსოფიაზე არაერთად წარმოდგენა არა აქვს, მასში, ამ რვეულში, სრულიად ვერაფერს ვერ გაიგებენ.

ნაილი ა. ი. გერცენს

26 იანვარი 1845 წ.

*

სპბ. 26 იანვარი, 1845¹

გმადლობთ, ჩემო კეთილო გერცენ, მეგობრის მოგონებით-
სათვის. შენი წერილები მუდამ დიდ კმაყოფილებას მანიჭე-
ბენ. ამ წერილებში მუდამ ესოდენ ბევრია რაღაც გულკეთი-
ლი იუმორი, რომელიც ერთი წუთით მაინც გამოიყვანს კაცს
აპათიიდან და გულკეთილად გააცინებს. მხოლოდ უკანასკნე-
ლი წერილით გულნაკლული ვარ შენგან. ერთ მშვენიერ დი-
ლას, როდესაც დილის თერთმეტ საათზე ოთახში ისე ბნე-
ლოდა, როგორც სარდაფში, ზარის ხმა მომესმა — მზარე-
ულმა ქალმა (იგი კამერდინერიცაა) მომახსენა, რომ მე მკით-
ხულობს ბ-ნი გერცი. გული ამითრთოლდა: როგორ, გერცე-
ნი? შეუძლებელია — აკრძალული სუბიექტია, პეტერბურ-
გიდან გაქვევებული დარაჯთა? შესახებ თავისუფალი აზრე-
ბის გამოთქმისათვის; თანაც, იგი ზარს ჩამოწყვეტდა, ახარ-
ხარდებოდა და ქურჭის გახდისას მზარეულ ქალს მადიანად
გაეხუმრებოდა, — არა, ეს ის არ არის! შემოვიდა მოსკოვი-
რად ლოყებდაწითლებული ყმაწვილი და გერცენისა და გრა-
ნოვსკის წერილი და სალამი გადმომცა. წერილი გავხსენი,
ვფიქრობდი, პირველივე სტრიქონები მამცნობდნენ, რა კა-
ცია წერილის მომტანი. თქვენც არ მომიკვდეთ—მის შესახებ
ციებზე, იმ ფურორზე, რომლებიც მათ მოახდინეს მოსკოვის
ციებზე, იმ ფურორზე, რაც მათ მოახდინეს მოსკოვის

კრელ საზოგადოებაში, ტაშზე, რითაც ამ ავციას ყოველ სიტყვას აწყვეტინებენ,—ყოველივე ამან ოდნავაც ვერ გამაკვირვა. მე ამაში დავინახე გრანოვსკის ლექციების ისტორიის განმეორება. ჩვენი საზოგადოება — გააზნაურებული მდაბიოა: ოღონდ კი იგი საპარადოდ გაჩახჩახებულ დარბაზში მიიწვიონ, და იგი უსათუოდ ყველაფრით კმაყოფილი დარჩება, რადგან მადლობელია, რომ იგი, მონა, ბატონის სახლში შეუშვეს. მისთვის გრანოვსკიც კარგია, მაგრამ არც შევირიოვია ცუდი; საინტერესოა ვილმენი, მაგრამ საგულისხმოა გრეჩიც. იგი ყოველთვის იმას სთვლის საუკეთესოდ, ვინც უკანასკნელად წაიკითხა ლექცია. სხვანაირად არც შეიძლება, და მას ამაში ბრალს ვერ დავდებთ. ფრანგული საზოგადოება ჭკვიანია, მაგრამ მას ხომ ათასობით ჟურნალი ემსახურება, რომელთაც უფლება აქვთ არა მარტო შეაქონ, არამედ აგინონ კიდევ; თვით ამ საზოგადოებას უფლება აქვს არა მხოლოდ ტაში დაუკრას, არამედ უსტვინოს კიდევ. აბა სინჯე, რომ საფრანგეთში საჯაროობა პოლიციის ავტორიტეტით შეიცვალოს, და საზოგადოებას, თეატრსა და საჯარო ლექციებზე, მხოლოდ ტაშის დაკვრის უფლება ჰქონდეს და შეყვირებისა და დასტვენის უფლება არ ჰქონდეს: იგი მალე ისევე გამოყეყეჩდებოდა, როგორც რუსული საზოგადოება. შენ რომ უფლება გქონდეს შევირკის პირველ და მეორე ლექციას შუა სტატია გამოაქვეყნო, მეორე ლექციას, უთუოდ, ნაკლები ალტაცებით შეხვდებოდნენ. ჩემი აზრით, სირცხვილია იმის ქება, რისი გინების უფლება არა გაქვს: აი რატომ არ მომეწონა შენი სტატიები გრანოვსკის ლექციებზე³. მაგრამ ამაზე კმარა. მოსკოვმა, როგორც იქნა, გაბედული პრონუნციამენტო მოახდინა: კარგი ქალაქია! არც პიტერია ცუდი. და საერთოდ ყველაფერი კარგია. შენი მადლობელი ვარ იაზიკოვის ლექსებისათვის⁴. ვწუხვარ, რომ ყველა არ გამომიგზავნე. გამომიგზავნე პასკვილიც. კალაიდოვიჩი, ამ წერილის მომტანი (ძალიან კარგი ყმაწვილი, რომელსაც, იმედი მაქვს, გულთბილად შეხვდებით), გაჩვენებთ ნეკრასოვის პაროდის იაზიკოვზე. ჯერ-ერთი, გაავრცელეთ ის,

ხოლო მეორეც, — გაგზავნეთ დასაბეჭდად „მოსკვიტიანინ-ში“. ახლა ნეკრასოვი ხომიაკოვს მისდგება. ხოლო შენ რომ სწერ კრაევსკის, თითქოს ჩემმა სტატიამ ფარისევლებზე შთაბეჭდილება არ მოახდინა და რომ ისინი ამ სტატიით ამაყობენო, — სისულელეა; თუ ეს დაიჯერე, მაშინ შენ ცუდად იცნობ ადამიანის გულს და სრულებით არ იცნობ ლიტერატორის გულს — შენ პრესაში არასოდეს არ უგინებინართ. ოინებია, ჩემო ბატონო, საიდანაც ნათლად ვხედავ, რომ დარტყმა საშინელი იყო. ახლა ამ მუდრეგებს აღარ მოვასვენებ².

კეტჩერი გწერდა შენ „პარიზის იარბიუხერზე“, და რომ თითქოს მე ამან გამაცოცხლა და გამომცვალა³. სისულელეა! მე ისეთი ადამიანი არა ვარ, რომელსაც რვეული დაკმაყოფილებს. ამ ყურნალმა ორი დღე გამამხნევა და გამახალისა, — ეს არის და ეს. ქეშმარიტება შევითვისე, — და სიტყვებში: ღმერთი და რელიგია ვხედავ ბნელს, წყვილადს, ბურკილებსა და მათრახს, და ახლა ეს პირველი ორი სიტყვა ისევე მიყვარს, როგორც მათი მომდევნო ოთხი. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ მე ხომ კვლავინდებურად არც ახლა შემიძლია პრესაში ვთქვა⁴ ყოველივე ის, რასაც ვფიქრობ და როგორც ვფიქრობ. ხოლო რა დოზანაა ჭეშმარიტება, თუ მისი პოპულარიზაცია და სახალხოდ გამოთქმა არ შეიძლება? — მკვლარი კაპიტალია!

ფასი, რაც თქვენ კრაევსკის დაუსახელები სტატიისათვის, მას ძვირი ეჩვენა. მართლაცდა, თქვენც გიპოვნიათ შესავიწროვებელი და გასაძარცვავი ვინმე, — ღარიბი კაცია — მისი მთელი შემოსავალი წელიწადში რაღაც ას ათას მანეთს აღემატება.

მოვიკითხავ ნატალია ალექსანდრეს ასულს და ვულოცავ ახალშობილს⁵. ჩემი მეუღლეც მოკითხვას უთვლის და მადლობას მოახსენებს მისდამი ყურადღებისათვის. რას იტყვი, ძმობილო, მე თვითონ, შესაძლოა, გაზაფხულზე pater familiae ვიყო: ჩემი მეუღლე იმ ბედნიერ მდგომარეობაშია,

35. ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

რომელშიც ინგლისის დედოფალი ვიქტორია ყოველ წელიწადს ორ-სამჯერ მაინც იმყოფება. ენამოჩლეკილ გრახოვსკის ცალკე არ მოვიკითხავ, რადგან ჩემი წერილები "შენდაში" მისდამი წერილებიცაა. საყვარელ კორუს და მის საყვარელ ოჯახს ჩემი დიდი დაბალი სალამი; წარმოდგენილი მაქვს, რომ მისი ვაჟი ფედია ახლა ყოჩალი ბიჭი იქნება, 43 წლის ზაფხულში კი ისეთი დოყლაპია იყო, და ეს მისი ბრალი იყო და არა ჩემი, თუმცა დედამისი და მარიამ თევდორეს ასული ჩემზე გაჯავრებული იყვნენ, რადგან ვამბობდი, ფედია აპოლონ ბელვედერელს არა ჰგავს-მეთქი. მიხეილ სვიძონის-ძეს, განთქმულ მოსკოველ ჯადოქარს—არც ვიცი რა ვუთხრა⁹. ჰო, რასა იქს: Armance?¹⁰ ჩემმა მეუღლემ უკვე დიდი ხანია უპასუხა მის უკანასკნელ ბარათს, მისგან კი არაფერი ისმის. ჩემი მეუღლე სწუხს, ვაი თუ მისი წერილი Armance-სადმი მისამართით არ მივიდა.

ხოლო აკსაკოვი კი — თქვენი ნება იყოს და — თუ სულელი არა, საცოდავად გონებაშეზღუდული კაცია¹⁰. ახლა მშვიდობით. შენი და თქვენი

ბ. ბელინსკი

ს რ ე უ ჯ ი
ს ტ ა ტ ი ე ბ ი, ს ე ვ ე ნ ო ე ბ ი ლ ა
წ ე რ ი ლ ე ბ ი
1846-1848 წ წ.

უზრები და შენიშვნები რუსულ ლიტერატურაზე¹

*

როგორც უნდა იყოს ჩვენი ლიტერატურა, ყოველ შემთხვევაში მას ჩვენთვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს შეიძლება გვეგონოს: ამ ლიტერატურაში, მხოლოდ მასშია განსახიერებული მთელი ჩვენი გონებრივი ცხოვრება და მთელი პოეზია ჩვენი ცხოვრებისა. მხოლოდ მის სფეროში ჩვენ ივანეები და პეტრეები კი აღარა ვართ, არამედ საერთოდ ადამიანები ვხდებით, ადამიანებს მივმართავთ და ადამიანებთან გვაქვს ურთიერთობა.

ჩვენს საზოგადოებაში გათიშვის სულისკვეთება სქარბობს: ჩვენს თითოეულ წოდებას ყველაფერი თავისი, განსაკუთრებული აქვს — ტანსაცმელიც, მანერებიც, ყოფაცხოვრებაც, ზნე-ჩვეულებაც და ენაც კი. ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია მხოლოდ ერთი ისეთი სადამო გაატაროთ, რომელზედაც უცაბედად შეკრებილან მოხელე, სამხედრო პირი, მემამულე, ვაჭარი, ქალაქელი მდაბიო, საქმეთა რწმუნებული ან მოურავი, სასულიერო პირი, სტუდენტი, სემინარიელი, პროფესორი, მხატვარი; თქვენს თავს ასეთ საზოგადოებაში რომ დაინახავთ, შეიძლება იფიქროთ, რომ ენათა აღრევის მოწმე ხართ... ესოდენ დიდია გათიშვა, რომელიც ერთი და იგივე საზოგადოების სხვადასხვა კლასების ამ წარმომადგენელთა შორის მეფობს! გათიშვის სულისკვეთება საზოგადოების მტერია: საზოგადოება აერთებს ადამიანებს, კასტა კი მათ სთიშავს. ბევრნი ფიქრობენ, რომ ქედმაღლობა, ძველი სლა-

ვური ნაშთი, სპობს ჩვენში სოციაბელობას (sociabilité). თუ ეს მართალია, მხოლოდ ნაწილობრივ. ვთქვათ, აზნაური უხალისოდ უახლოვდება დაბალი წოდების ადამიანებს; მაგრამ დაბალი წოდების ადამიანები ხომ არაფერს დაიშურებენ აზნაურთან დაახლოებისათვის? ეს მათი წყურვილია! მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს დაახლოება ყოველთვის გარეგნული, ფორმალურია, საღმით ნაცნობობას წააგავს; მდიდარ ვაჭარს ღარიბ აზნაურთან ნაცნობობაც კი ესახელება, მაგრამ, მდიდარ აზნაურებსაც რომ გაიცნობს, შემდეგ მაინც თავისი, ესე იგი ვაჭართა წოდების ჩვეულებათა, შეხედულებათა, ენის, ყოფაცხოვრების ერთგული რჩება. ეს განკერძოებულობის სულსკვეთება ჩვენში ისე ძლიერია, რომ ახალმა წოდებებმაც კი, რომლებიც პეტრე დიდის მიერ შემოღებული ახალი წესწყობის საფუძველზე წარმოიშვნენ, დაუყოვნებლივ განსაკუთრებული ელფერი მიიღეს. რაღა საკვირველია, რომ აზნაური სრულებით არ ჰგავს ვაჭარს. ხოლო ვაჭარი აზნაურს, თუ კი ხანდახან მეცნიერსა და მხატვარს შორისაც თითქმის იგივე განსხვავებაა? ჩვენში ჯერ კიდევ არ გამქრალან ისეთი მეცნიერები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთგულად იცავენ იმ კეთილშობილურ გადაწყვეტილებას, რომ არ ესმოდეთ, რა არის ხელოვნება და რა საჭიროა იგი; ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მხატვარი, რომელთაც ვერც კი წარმოუდგენიათ მათი ხელოვნების ცხოველი კავშირი მეცნიერებასთან, ლიტერატურასთან, ცხოვრებასთან. და ამიტომაც, შეახვედრეთ ასეთი მეცნიერი ასეთ მხატვარს,—და თქვენ დაინახავთ, რომ ისინი ან ხმას არ ამოიღებენ, ანდა ერთ-ორ ზოგად ფრაზას დასჯერდებიან, და ეს ფრაზებიც მათთვის საუბარი კი არ იქნება, არამედ მუშაობა. ზოგი ჩვენი მეცნიერი, განსაკუთრებით თუ ის ზუსტ მეცნიერებათა დარგში მუშაობს, ირონიული ღიმილით უცქერის ფილოსოფიასა და ისტორიას და ამ დარგებში მომუშავეებს, ხოლო პოეზიას, ლიტერატურას, ჟურნალისტიკას პირდაპირ ისე უყურებს, როგორც სისულელეს. ეგრეთწოდებული ჩვე-

ნი „სიტყვიერების მცოდნე“ ათვალწუნებით უცქერის მათემატიკას, რომელიც მას სკოლაში ვერ დაუძღვევია. მეტყვიან: ყოველივე ეს გათიშვის სულსკვეთება კი არ არის, არაჰედ სანახევრო განათლების სულიაო. სწორია! ყველა ამ ადამიანს ხომ პირველდაწყებითი განათლება მიუღია, თუ საკმაოდ ღრმა არა, საკმაოდ მრავალმხრივი მაინც: სიტყვიერების მცოდნე ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა მათემატიკას, ხოლო მათემატიკოსი — სიტყვიერებას. ბევრი მათგანი ძალიან კარგადაც კი მსჯელობს, როცა შემთხვევა მიეცემა, იმაზე, რომ არსებობს მეცნიერებათა მხოლოდ ხელოვნური დაყოფა, არსებითი დაყოფა კი არ არის და არც შეიძლება იყოს, იმიტომ რომ ყველა მეცნიერება შეადგენს ერთ ცოდნას ერთი საგნის — ყოფიერების შესახებ; რომ ხელოვნება, ისევე როგორც მეცნიერება, იგივე ყოფიერების შემეცნებაა, მხოლოდ სხვა ფორმით, და რომ ლიტერატურა სიაშოვნება და გონების ფუფუნება უნდა იყოს ყველა განათლებული ადამიანისათვის თანაბრად. მაგრამ როდესაც ეს საუცხოო მსჯელობა მათ საქმეში უნდა გამოიყენონ, — მაშინ ისინი მყისვე დაიყოფიან ხოლმე საამქროებად, რომლებიც ერთმანეთს უცქერიან ან ერთგვარი ირონიული ღიმილით და საკუთარი ღირსების გრძნობით, ანდა რაღაც უნდობლობით... აბა როგორ უნდა მოვითხოვოთ აქ სოციაბელობა იმ სხვადასხვა წოდების ადამიანთა შორის, რომელთაგან თითოეული თავისებურად ფიქრობს, ლაპარაკობს, იცვამს, სჭამს და სვამს?..

და მაინც, მიუხედავად ამისა, იმის თქმა, რომ ჩვენ სრულებით არ გვქონდეს საზოგადოება, სიმაართლე არ იქნებოდა. უეჭველია ის, რომ ჩვენში არის საზოგადოების ძლიერი მოთხოვნილება და საზოგადოებისადმი მისწრაფება, ეს კი უკვე დიდმნიშვნელოვანია! პეტრე დიდის რეფორმამ ვერ მოსპო, ვერ დაანგრია ის კედლები, რომლებიც ძველ საზოგადოებაში ერთ კლასს მეორისგან ჰყოფდნენ; მაგრამ ამ რეფორმამ ძირი გამოუთხარა ამ კედლებს, და თუ ვერ წააქცია, წააფერდა მაინც ისინი, — და ახლა ისინი დღითიდღე სულ

უფრო და უფრო ფერდღებიან, ინგრევიან, მათ ზედ აცვივა მათივე საკუთარი ნამსხვრევები, საკუთარი ღორღი და ხაშალი, ასე რომ მათი შეკეთება მათთვის ისეთი სიმძიმის შემატება იქნებოდა, რომელიც, რაკი მათ ძირი გამოთხრილი აქვთ, მხოლოდ დააჩქარებდა ამ კედლების ისედაც გარდუვალ წაქცევას. და თუ ახლა ამ კედლებით გათიშულ წოდებებს არ შეუძლიათ მათი გადალახვა ისე, როგორც სწორ ფენილზე გადასვლა, სამაგიეროდ ადვილად შეიძლება მათზე გადახტომა იქ, სადაც ისინი განსაკუთრებით ჩამონგრეულან ან შენგრეულან. ყოველივე ეს წინათ ნელნელა და შეუმჩნევლად ხდებოდა, ახლა კი უფრო ჩქარა და უფრო შესამჩნევადაც ხდება, — და ახლოა ის დრო, როდესაც ყველაფერი ეს ძალიან მალე და სრულად მოხდება. რკინიგზები გაივლიან კედლებქვეშაც და კედლებშიც, გვირაბებითა და ხიდებით, მრეწველობისა და ვაჭრობის გაძლიერებით ისინი ერთმანეთს გადაახლართავენ ყველა წოდებისა და კლასის აღამიანთა ინტერესებს და აიძულებენ მათ ისეთი ცხოველი და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან, რომელიც ძალაუვნებურად წაშლის ყველა მკვეთრ და არასაკუთარ განსხვავებას.

მაგრამ წოდებათა ამ ურთიერთდაახლოების დასაწყისი, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საზოგადოების დასაწყისია, სრულიადაც არ მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს დროს: ის შეერთვის ჩვენი ლიტერატურის დასაწყისს. სხვადასხვაგვაროვანი საზოგადოება, ერთ მასად შემჭიდროებული მარტოოდენ მატერიალური ინტერესებით, უბადრუკი და არაადამიანური საზოგადოება იქნებოდა. როდენ დიდიც უნდა იყოს რომელიმე საზოგადოების გარეგნული კეთილდღეობა და გარეგნული ძალა, — თუ ამ საზოგადოებაში ვაჭრობა, მრეწველობა, ნაოსნობა, რკინიგზები და საზოგადოდ მთელი მატერიალური მამოძრავებელი ძალები თავდაპირველ, მთავარ და პირდაპირ და არა მხოლოდ სწავლა-განათლების დამხმარე საშუალებებს შეადგენენ, — მაშინ სეკვოა, რომ ასეთი საზოგადოება სახარბიელო იყოს... ამ

მხრივ ჩვენ ბედს ვერ დავემდურებით: საზოგადოებრივი სწავლა-განათლება ჩვენში თავდაპირველად პაწია, ოდნავ შესამჩნევი ნაკადულის სახით დაიძრა, მაგრამ სამაგიეროდ უმაღლესი და უკეთილშობილესი წყაროდან — თვით მეცნიერებიდან და ლიტერატურიდან. მეცნიერება ჩვენში ახლაც მხოლოდ მკვიდრდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა, მაშინ როდესაც განათლება ჯერ კიდევ არ გაფურჩქვნილა, მაგრამ უკვე დამკვიდრდა. მისი ფოთოლი პატარა და ინვიათია, ღერო მაღალი და მსხვილი არაა, მაგრამ ფესვი უკვე ისე ღრმად აქვს გადგმული, რომ ვერავითარი ქარიშხალი, ვერავითარი ნიაღვარი, ვერავითარი ძალა ვერ მოგლეჯს: გასჩეხეთ ეს ტყე ერთ ადგილას—ფესვები სხვაგან ამოიყრის, და თქვენ უმალ დაილღებით გაჩეხვით, ვიდრე ტყე ახალი ამონაყრის მოცემით და ზრდით დაილღებოდეს...

ჩვენი საზოგადოების განათლების წარმატებებზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენი ლიტერატურის წარმატებებზე ვლაპარაკობთ, იმიტომ რომ ჩვენი განათლება ჩვენი ლიტერატურის უშუალო მოქმედებაა საზოგადოების შეხედულებებსა და ზნე-ჩვეულებებზე: ჩვენმა ლიტერატურამ შექმნა ჩვენი საზოგადოების ზნე-ჩვეულებანი, უკვე აღზარდა ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებული რამდენიმე თაობა, დასაწყისი მისცა წოდებათა შინაგან დაახლოებას, შექმნა ერთგვარი საზოგადოებრივი აზრი და საზოგადოებაში წარმოშვა რაღაც განსაკუთრებული კლასის მაგვარი რამ, რომელიც ჩვეულებრივი საშუალო წოდებისაგან იმით განსხვავდება, რომ მარტო ვაჭრებისა და ქალაქელ მდაბიოთაგან კი არ შესდგება, არამედ ყველა იმ წოდების ადამიანთაგან, რომელნიც ერთმანეთს დაუახლოვდნენ განათლების საშუალებით, რაც ჩვენში მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურისადმი სიყვარულით გამოიხატება.

თუ გსურთ გაიგოთ და შეაფასოთ ჩვენი ლიტერატურის გავლენა საზოგადოებაზე, შეხედეთ ამ ლიტერატურის სხვადასხვა ეპოქის წარმომადგენლებს, გამოელაპარაკეთ მათ ახ

აიძულეთ ისინი ერთმანეთს გამოელაპარაკონ. ჩვენი ლიტერატურა ისე ნორჩია, ისე ახალი აღმოცენებულია, რომ ახლაც კიდევ შეიძლება შეხვდეთ საზოგადოებაში ყველა მის წარმომადგენელს. პირველი შესანიშნავი რუსული ლექსი, წესიერი ზომით დაწერილი, ლომონოსოვის ოდა ხოტინის ადების გამო, შეიქმნა 1739 წელს, სწორედ 107 წლის წინათ, ხოლო ლომონოსოვი გარდაიცვალა 1765 წელს, 80 წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ. ახლა, ცხადია, აღარ არიან ადამიანები, რომლებსაც ლომონოსოვი თუნდაც თავიანთ ბავშვობაში ენახოთ, ანდა, ენახოთ და ახსოვდეთ; მაგრამ ახლაც კი რუსეთში ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებმაც ლომონოსოვის თხზულებებით ისწავლეს პოეზიისა და ლიტერატურის სიყვარული და რომლებიც მას ახლაც ისეთსავე დიდ პოეტად სთვლიან, როგორაც იგი ყველას მიაჩნდა მათს დროს. კიდევ უფრო მეტია ადამიანები, რომლებსაც კარგად ახსოვთ დერჟავინის სახეც და ხმაც, და მისი სრული დიდების ეპოქა თავიანთი ცხოვრების საუკეთესო ხანად მიაჩნიათ. ბევრ მოხუცს დღესაც სულით და გულით სწამს ხერასკოვის პოეზიის დიდი ღირსება, ჭა განა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც მხცოვანი პოეტი დმიტრიევი საქვეყნოდ უჩიოდა ახალგაზრდა-თაობათა უპატივცემლობას როსიადისა და ვლადიმირის შემქმნელის ნიჭისადმი? ჯერ კიდევ მრავლად არიან მოხუცები, რომლებიც გრძნობამორეულნი იგონებენ სუმაროკოვის ტრაგედიებს და, დავის დროს, მზად არიან ზეპირად წარმოსთქვან მათი აზრით საუკეთესო ტირალები ცრუ დიმიტრიდან. ზოგი მათგანი, ვინც უკვე ეთანხმება იმ აზრს, რომ სუმაროკოვის ენა მართლაც ძალიან მოძველდა, განსაკუთრებული მოკრძალებით მიგიითითებს კნიაჟინინის ტრაგედიებსა და კომედიებზე, როგორც დრამატიული პათოსისა და რუსული ენის სიწმინდის ნიმუშზე. კიდევ უფრო მეტს შეხვდებით ახლა ისეთებს, რომლებიც არაფერს არ იტყვიან სუმაროკოვისა და კნიაჟინინზე, მაგრამ მით უფრო მეტი გატაცებით და მეტი დაჯერებით დაიწყებენ ლაპარაკს ოზეროვზე. რაც

შეეხება კარამზინს, — არა მარტო ძველი, არამედ მოხუცებულობაში შემავალი თაობანიც სულით და ხორციით მისი ერთგულნი არიან, გრძნობენ, ფიქრობენ და ცხოვრობენ მისი სულისკვეთებით, მიუხედავად იმისა, რომ მათ არა მარტო წაუკითხავთ ჟუკოვსკი, ბატიუშკოვი, პუშკინი, გრიბოედოვი, გოგოლი, ლერმონტოვი, არამედ ცოტად თუ ბევრად ალტაცებაც გამოუთქვამთ მათი ნაწარმოებების გამო... შემდეგ, არიან ახლა ადამიანები, რომლებიც ირონიულად ეღიბებიან პუშკინის სახელის გაგონებისას და მოწიწებით და აღტაცებით ლაპარაკობენ ჟუკოვსკიზე, თითქოს ამ უკანასკნელისადმი პატივისცემა შეუთავსებელი იყოს პირველისადმი პატივისცემასთან. ხოლო რამდენია ახლა ისეთი ადამიანი, რომლებსაც გოგოლი ვერ გაუგიათ და თავიანთ წინასწარ აკვიატებულ აზრს მის შესახებ იმით ამართლებენ, რომ პუშკინი გვესმისო!.. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ყოველივე ეს წმინდა ლიტერატურული ფაქტები იყოს: არა, თუ მეტი ყურადღებით დააკვირდებით და მოუსმენთ ჩვენი ლიტერატურის სხვადასხვა ეპოქისა და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ეპოქის ამ წარმომადგენლებს, — არ შეიძლება არ შეამჩნიოთ ცოტად თუ ბევრად ცხოველი ურთიერთობა მათს ლიტერატურულ და მათს ცხოვრების შეხედულებებსა და მრწამსს შორის. რაც შეეხება საკუთრივ მათს ლიტერატურულ განათლებას, — ესენი ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც ერთმანეთისაგან თითქოს საუკუნეებით იყვნენ გათიშულნი, იმიტომ რომ ჩვენმა ლიტერატურამ ას წელზე ცოტა მეტ ხანში არა ერთი საუკუნის მანძილი განვლო. ამიტომაც იყო დიდი განსხვავება მაღალფარდოვანი ოდებისა და მძიმე ეპიკური პოემების აჩხორვილი ფრაზებით აღტაცებულ საზოგადოებასა და იმ საზოგადოებას შორის, რომელიც ცრემლის საღვრელად ლიწას ტბაზე მიდიოდა; იმ საზოგადოებასა, რომელიც ხარბად კითხულობდა ლიუდმილა და სვეტლანას, თორმეტი მძინარე ქალწულის ფანტასტიკური საშინელებებით ტკბებოდა ან რომანტიკულად ჩაფიქრებული ნებივრობდა ეოლოსის-

ქნარის იდუმალი ხმებით გატაცებული, — და იმ საზოგადოებას შორის, რომელმაც ევგენი ონეგინის გულისათვის დაივიწყა კავკასიელი ტყვეც და ბახჩისარაის შადრევანიც, ვაიჰკუისაგან-ის გულისათვის — ფონ-ვიზინის კომედიები, ბორის გოდუნოვის გულისათვის — ოზეროვის დიმიტრი დონსკოი (როგორც ოდესღაც ამ უკანასკნელის გულისათვის მან დაივიწყა სუმაროკოვის ცრუ დიმიტრი), ხოლო შემდეგ პუშკინისა და ლერმონტოვის გულისათვის თითქოს გულცივი გახდა მათი წინამორბედი პოეტების მიმართ; გოგოლის გულისათვის სავსებით დაივიწყა ყველა რომანისტი და ნუველისტი, რომლებითაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ესოდენ აღტაცებული იყო... აბა დაუფიქრდით, დროის რა განუზომელი მანძილია 1829 წელს გამოსულ² ივანე ვიჟიგინსა და შკვდარ სულეებს შორის, რაც 1842 წელს გამოვიდა... საზოგადოების ლიტერატურული განათლების ეს განსხვავება ცხოვრებაში გადავიდა და აღამიანები გაპყო სხვადასხვანაირად მოქმედ, მოაზროვნე და სხვადასხვა რწმენის მქონე თაობებად, რომელთა ცხოველი დავა და პოლემიკური ურთიერთობა, რაც პრინციპებს ეყრდნობა და არა მატერიალურ ინტერესებს, საზოგადოებაში აღმოცენებისა და განვითარების პროცესში მყოფი სულიერი ცხოვრების ნიშნებს წარმოადგენენ. და ეს დიადი საქმე ჩვენი ლიტერატურის საქმეა!..

ლიტერატურა ჩვენი საზოგადოებისათვის თვით პრაქტიკული ზნეობრივი იდეების ცხოველი წყარო იყო. იგი დაიწყო სატირით, და კანტემირის სახით დაუნდობელი ომი გამოუცხადა უვიცობას, ცრურწმენას, დავაქრობას, მამუზღარობას, შარის მოდებას, მექრთამეობასა და სახელმწიფოს გაქურდვას, რაც ლიტერატურას ძველ საზოგადოებაში დახვდა არა როგორც მანკიერება, არამედ როგორც ცხოვრების წესები, როგორც მორალური მრწამსი. როგორიც უნდა იყოს სუბარაკოვის ტალანტი, მისი სატირული თავდასხმები „კინკრის მოდგმაზე“ მუდამ ღირსი იქნება იმისა, რომ რუსული ლიტერატურის ისტორიკოსმა პატივისცემით მოიხსენიოს. ფონ-

ვიზინის კომედიები საზოგადოების წინაშე დამსახურება უფრო იყო, ვიდრე ლიტერატურის წინაშე. ნაწილობრივ იგივე შეიძლება ითქვას კანინისტიის მამუზლარას შესახებ. იგავ-არაკი ჩვენში სწორედ იმიტომ დამკვიდრდა ანე კარგად, რომ იგი პოეზიის სატირულ გეარეობას მიეკუთვნება. თვით დერჟავინი, უპირატესად ლირიკოსი პოეტი, ამავე დროს სატირიკოსი პოეტიც იყო, როგორც, მაგალითად, ფელიცაში, დიდკაცსა და სხვა ნაწარმოებებში. დასასრულ, დადგა დრო, როდესაც ჩვენს ლიტერატურაში სატირა იქცა იუმორად, რომელიც ცხოვრების სინამდვილის მხატვრული წარმოქმნით გამოიხატება. რასაკვირველია, სსსაცილო იქნებოდა გვეფიქრნა, რომ სატირას, კომედიას, მოთხრობას ან რომანს შეეძლოს მანკიერი ადამიანის გამოსწორება; მაგრამ ეკვი არ არის, რომ ისინი, თვალს უხევენ რა საზოგადოებას თავის თავზე, ხელს უწყობენ მისი თვითშეგნების გაღვიძებას და ამით ზიზღისა და სირცხვილის დაღს ასვავენ მანკიერს. ტყუილად ჩაიღია, რომ ჩვენში ბევრს არ შეუძლია სიძულვილით არ განიძსკვალოს გოგოლის სახელის გაგონებისას, და მის რევიზორს უწოდებენ „უზნეო“ თხზულებას, რომელიც უნდა აიკრძალოსო. ასევე, ახლა არაეინ აღარ იქნება ისე გულუბრყვილო, რომ იფიქროს, კომედიას ან მოთხრობას შეუძლია მექრთანე პატიოსან ადამიანად აქციოსო,—არა, გაღუნულ ხეს, როცა ის უკვე გაიზარდა და გამსხვილდა, ვეღარ გაასწორებ; მაგრამ მექრთამეებსაც ხომ ისევე ჰყავთ შვილები, როგორც არა მექრთამეებს: ერთნიც და მეორენიც, სანამ ჯერ კიდევ არა აქვთ იმის მიზეზი, რომ უზნეობად ჩასთვალონ მექრთამეობის მკაფიო გამოხატულება, აღტაცებული არიან ამ გამოხატულებით და თავისდა შეუძინეველად მდიდრდებიან ისეთი შთაბეჭდილებებით, რომლებიც არც თუ ყოველთვის უნაყოფო რჩებიან მათს შემდგომ ცხოვრებაში, როცა ისინი საზოგადოების ნამდვილი წევრები ხდებიან. ჭაბუკობის შთაბეჭდილებანი ძლიერა, და ჭაბუკობა სწორედ იმას იღებს უეჭველ ქეშმარიტებად, რამაც ყველაზე ადრე იმოქმედა მის გრძნობაზე, წარმოსახვასა და გონებაზე. და აი როგორ მოქმედებს

ლიტერატურა უკვე არა მარტო განათლებაზე, არამედ საზოგადოების ზნეობრივ გაუმჯობესებაზეც! რაც უნდა იყოს, სავსებით შექველი ფაქტია, რომ მხოლოდ ბოლო ხანებში ხდება ჩვენში შესამჩნევი იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც ცდილობენ ზნეობრივი მრწამსი საქმით განახორციელონ, თავიანთი პირადი საარგებლობის საზარალოდ და თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობის საზიანოდ...

ამაზე არანაკლებ უდავოა ის ფაქტიც, რომ ჩვენში ლიტერატურა იმ ადამიანთა შეერთების პუნქტს წარმოადგენს, რომლებიც ყველა სხვა მხრივ შინაგანად გათიშული არიან. ბღაბით ლომონოსოვმა თავისი ნიჭისა და განსწავლულობის მეოხებით მიაღწია დიდ ხარისხს, და დიდებულებმა იგი თავიანთ წრეში დაუშვეს. მეორე მხრით, იმავე ლიტერატურამ დაუახლოვა იგი ღარიბ და სამოქალაქო თვალსაზრისით უმნიშვნელო ადამიანებს. ღარიბი აზნაური დერჟავინი, თავისი ნიჭის მეოხებით, თვითონ გახდა დიდებული, — და იმ ადამიანთა შორის, რომლებთანაც იგი ლიტერატურამ დაახლოვა, მან ჰპოვა არა მარტო მეცენატები, არამედ მეგობრებიც. ყაზანელი ვაჭარი კამენევი, რომელმაც დასწერა ბალადა გრომვალი, მოსკოვს ჩამოვიდა საქმეების გამო და კარამზინის გასაცნობად წავიდა, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებით მოსკოვის მთელი ლიტერატურული წრე გაიცნო. ეს ამ ორმოციოდე წლის წინათ იყო, როდესაც ვაჭრები თავადაზნაურთა სახელების დერეფანში თუ შევიდოდნენ და ისიც საქმეების გამო, როცა საქონელი მიჰქონდათ ან დარჩენილი ვალი უნდა მიეღოთ, რომლის გადახდისთვისაც თავმდაბლად აწუხებდნენ. პირველ რუსულ ჟურნალებს, რომელთა სახელებიც კი ახლა დავიწყებულია, იმ ახალგაზრდათა წრეები სცემდნენ, რომლებიც ერთმანეთს დაუახლოვდნენ ლიტერატურით გატაცების გამო, რაც ყველა იმათი საერთო თვისება იყო. განათლება ათანაბრებს ადამიანებს. და ჩვენს დროში სრულებითაც იშვიათი აღარ არის მეგობრული წრე, რომელშიც ნახავთ წარჩინებულ ბატონსაც, უაზნოსაც, ვაჭარსაც და მდაბიოსაც, — წრე, რომლის წევრებსაც სავსებით დაუვიწყებიათ მათი გამ-

მიჯვენელი გარეგანი განახვევა და ერთიანობაში პატივს სცემენ საერთოდ ადამიანებს. აი განათლებული საზოგადოებრიობის ჭეშმარიტი დასაწყისი, რომელიც ჩვენში ლიტერატურამ შექმნა! იმათგან, ვისაც უფლება აქვს ადამიანის სახელი ატაროს, ვინ არ ისურვებს სულით და გულით, რომ ეს საზოგადოებრიობა იზრდებოდეს და დიდდებოდეს არა დღეობით, არამედ საათობით, როგორც იზრდებოდნენ ჩვენი ზღაპრული დევგმირები! როგორც ყოველივე ცოცხალი, საზოგადოება ორგანული უნდა იყოს, ესე იგი უნდა იყოს იმ ადამიანთა სიმრავლე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან შინაგანად. ფულის ინტერესები, ვაჭრობა, აქციები, ბალები, კრებები, ცეკვა—ესეც კავშირია, მაგრამ მხოლოდ გარეგნული, მაშასადამე, არა ცოცხალი, არა ორგანული, თუმცაღა საჭირო და სასარგებლო. ადამიანებს შინაგანად აკავშირებს საერთო ზნეობრივი ინტერესები, მსგავსი შეხედულებები, თანასწორი განათლება და ამასთან ერთად—თავისი ადამიანური ღირსებისადმი ურთიერთპატივისცემა. მაგრამ მთელი ჩვენი ზნეობრივი ინტერესები, მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრება აქამდე თავმოყრილი იყო და კიდევ დიდხანს იქნება თავმოყრილი მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურაში: ის არის ცხოველი წყარო, საიდანაც საზოგადოებაში აღწევენ ყველა ადამიანური გრძნობანი და შეხედულებანი...

გარეგნულად არაფერია იმაზე ადვილი, ხოლო არსებითად არაფერია იმაზე ძნელი, ვიდრე ჩუხულ ლიტერატურაზე წერა. ეს იმიტომ, რომ ჩუხული ლიტერატურა ჯერ კიდევ ჩვილი ბავშვია, თუმცა ჩვილი ალკიდე, მაგრამ მაინც ჩვილი. ხოლო ბავშვებზე საზოგადოდ გაცილებით უფრო ძნელია რაიმე დადებითის, გარკვეულის თქმა, ვიდრე მოწიფულ ადამიანებზე. ამასთანავე, ჩვენი ლიტერატურა ჩვენს საზოგადოებას ჰგავს, იგი ყოველნაირ წინააღმდეგობათა, დაპირისპირებათა, უკიდურესობათა, უცნაურობათა სანახაობას წარმოადგენს. ეს იმიტომ, რომ იგი თავისთავად კი არ დაწყებულა, არამედ თავდაპირველად ჩვენს ნიადაგზე ჩვენთვის უცხო ნიადაგიდან

გადმორგული იყო. ამიტომ ჩვენს ლიტერატურაზე ლაპარაკი ყველაზე ადვილია უკიდურესი აზრების გაშთქმით. ამტკიცეთ, რომ იგი სიმდიდრითა და სიმწიფით ევროპის არც ერთ ლიტერატურას არ ჩამოუვარდება და რომ ჩვენ შეგვიძლია ათობით ჩამოვთვალოთ ჩვენი გენიოსები და ასობით ჩვენი ნიჭიერი მწერლები; ანდა ამტკიცეთ, რომ ჩვენ სრულებით არა გვაქვს ლიტერატურა, რომ ჩვენი საუკეთესო მწერლები—ან შემთხვევითი მოვლენებია, ან კიდევ არაფერს არ წარმოადგენენ: ორივე შემთხვევაში თქვენ გაგიგებენ მაინც, და თქვენი აზრი მხურვალე მიმდევრებს ჰპოვებს. მსჯელობაში უკიდურესობათა სიყვარული ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი რუსული ბუნების ერთ-ერთი თვისებაა. რუს ადამიანს უყვარს ან უზომო ტრაბახი, ან უზომო თავმდაბლობა. ამიტომაც ჩვენში ისე ბევრნი არიან, ერთი მხრივ, ქარაფშუტა ევროპელები, რომლებიც აღტაცებით ლაპარაკობენ გამოწერილი ფრანგი ბელეტრისტის უკანასკნელ სანფელეტონო ზღაპარზე, ანდა ამფაზით მღერიან პარიზელთა მიერ დიდი ხნის დავიწყებულ ახალი ვოდვეილის კუპლეტს,—და ზიზღით აღსაწესე გულგრილობით ან შეურაცხყოფელი უნდობლობით უყურებენ რუსი პოეტის გენიალურ ნაწარმოებს; რომლებისთვისაც რუსეთს მომავალი არ მოეპოვება, და იქ ყველაფერი ცუდია და წესიერი არაფერი შეიძლება იყოს; ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენში ასე ბევრნი არიან მყვირალა პატრიოტები, რომლებიც მთელ ძალ-ღონეს ძაბავენ იმისათვის, რომ სძულდეთ ყოველივე ევროპული—განათლებაც კი, და უყვარდეთ ყოველივე რუსული—რახი და ხელჩართული დუელიც კი. მიემხრეთ ერთ-ერთ ამ პარტიას,—იგი მყისვე გამოგაცხადებთ დიდ ადამიანად და გენიოსად, მაშინ როდესაც მეორე პარტია შეგიძულდებთ და უნიჭო ადამიანად მოგნათლავთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მტრები რომ გეყოლებათ, მეგობრებიც გეყოლებათ. ხოლო თუ ამ საგანზე მიუდგომელ, ფხიზელ აზრს იქონიებთ, თქვენს წინააღმდეგ აიძხვდრებთ ორივე მხარეს. ერთი მათგანი დაგიწყებთ ყურებას თავისი მოდური, თუთიყუშური ზიზღით; მეორე კიდევ მოუსვენარ, საშიშ, სა-

ექვო აღამიანად, რენეგატად გამოგაცხადებთ და შეუდგება თქვენზე ლიტერატურული დაბეზღებების წერას—რასაკვირველია, საზოგადოების წინაშე... ყველაზე არასასიამოვნო აქ ის არის, რომ თქვენ ვერ გაგიგებენ, და თქვენს სიტყვებში იპოვნიან ხან უზომო ქება-დიდებას, ხან უზომო ლანძღვა-გინებას, მაგრამ მათში არ დაინახავენ ღინამღვილის ფაქტის სწორ დახასიათებას, ისე როგორც ეს ფაქტი არის, მთელი მისი ავ-კარგით, ღირსებითა თუ ნაკლით, ყველა წინააღმდეგობით, რომლებსაც იგი შეიცავს. ეს განსაკუთრებით შეეხება ჩვენს ლიტერატურას, რომელიც იმდენ უკიდურესობასა და წინააღმდეგობას წარმოადგენს, რომ, თუ მის შესახებ რაიმე დადებითი სიტყვი, მაშინვე უნდა გააკეთო შენიშვნა, რაც საზოგადოების უმრავლესობას, რომელსაც მსჯელობაზე მეტად კითხვა უყვარს, ადვილად შეიძლება მოეჩვენოს უარყოფად ან წინააღმდეგობად. ასე, მაგალითად, თუ რაიმე ვთქვით ჩვენი ლიტერატურის ძლიერი და კეთილმყოფელი გავლენის შესახებ საზოგადოებაზე და, მაშასადამე, მის უდიდეს მნიშვნელობაზე ჩვენთვის, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გავლენას და ამ მნიშვნელობას არ მიაწერონ იმაზე მეტი ოდენობა, ვიდრე ჩვენ ვგულისხმობდით, და ამგვარად ჩვენი სიტყვებიდან ისეთი დასკვნა არ გამოიყვანონ, რომ ჩვენ არათუ გვაქვს ლიტერატურა, არამედ მდიდარი ლიტერატურაც კი, რომელსაც თამამად შეუძლია გვერდში ამოუდგეს ევროპის ყოველ ლიტერატურას. ამგვარი დასკვნა ყოველნაირად ყალბი იქნებოდა. ჩვენ გვაქვს ლიტერატურა და თანაც ნიჰიური მწერლებითა და ნაწარმოებებით მდიდარი ლიტერატურა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის საშუალებებსა და ახალგაზრდობას,— მაგრამ ჩვენი ლიტერატურა მხოლოდ ჩვენთვის არსებობს: უცხოელებისათვის კი ის ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის ლიტერატურა, და მათ სრული უფლება აქვთ არ სცნობდნენ მის არსებობას, იმიტომ რომ მათ არ შეუძლიათ ამ ლიტერატურის საშუალებით შეგვისწავლონ და გავვიცნონ ჩვენ,

როგორც ხალხი, როგორც საზოგადოება. ჩვენი ლიტერატურა მეტად ახალგაზრდა, უსახო და უფერულია საიმისოდ, რომ უცხოელებს მასში ჩვენი გონებრივი ცხოვრების ფაქტის დანახვა შეეძლოთ. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ იგი გაუბედავი, თუმცა ნიჭიერი შეგირდი იყო, რომელსაც სასახელოდ მიაჩნდა ევროპული ნიმუშების პირის გადმოღება და რომელიც ევროპული ცხოვრების სურათების პირებს რუსული ცხოვრების სურათებად ასაღებდა. და ეს არის ხასიათი ჩვენი ლიტერატურის მთელი ეპოქისა კანტემირიდან და ლომონოსოვიდან პუშკინამდე. შემდეგ, როცა თავისი ძალა იგრძნო, იგი შეგირდიდან ოსტატად იქცა, და, ნაცვლად იმისა, რომ ევროპული ცხოვრების მზამზარეული სურათების პირები გადმოეღო და ისინი გულუბრყვილოდ გაესაღებინა რუსული ცხოვრების ორიგინალურ სურათებად, მან გაბედულად დაიწყო როგორც ევროპული, ისე რუსული ცხოვრების სურათების შექმნა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ მხოლოდ ევროპული ცხოვრების სურათებში გამოდიოდა დასრულებულ ოსტატად, რუსული ცხოვრების სურათებში კი მხოლოდ ცდილობდა, და არც თუ ყოველთვის უნაყოფოდ, ოსტატი გამხდარიყო. და ეს არის ხასიათი ჩვენი ლიტერატურის პერიოდისა პუშკინიდან გოგოლამდე. გოგოლის გამოჩენის შემდეგ ჩვენმა ლიტერატურამ მიმართა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ცხოვრებას, რუსეთის სინამდვილეს. შესაძლოა, ამით ის უფრო ცალმხრივი და ერთფეროვანიც კი გახდა, მაგრამ სამაგიეროდ უფრო ორიგინალური, უფრო დამოუკიდებელი და, მაშასადამე, უფრო ჭეშმარიტი შეიქნა. ახლა თვალი გადავაელოთ რუსული ლიტერატურის ამ პერიოდებს არა ჩვენთვის, არამედ უცხოელთათვის მათი მნიშვნელობის თვალსაზრისით. სრულიადაც არ ესაჭიროება მტკიცება იმას, რომ ლომონოსოვსა და კარამზინს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ; მაგრამ სცადეთ და მათი თხზულებები სთარგმნეთ რომელიმე ევროპულ ენაზე—და თქვენ დაინახავთ, წაიკითხავენ თუ არა ევროპე-

ლები მათ, ხოლო თუ წაიკითხავენ კიდევ, თავისთვის ბევრ საინტერესოს იპოვნენ თუ არა ამ თხზულებებში. ისინი იტყვიან: „ჩვენ უკვე დიდი ხანია წავეკითხეთ ყოველივე ეს შინ; მოგვეცით რუსი მწერლები“. ამასვე იტყოდნენ ისინი დემიტრიევის, ოზეროვის, ბატიუშკოვის, ყუკოვსკის თხზულებებზეც. მთელი ამ პერიოდის მათთვის საინტერესო იქნებოდა მხოლოდ ერთი მწერალი—ივანოვსკი კრილოვი; მაგრამ მისი თარგმნა მსოფლიოს არც ერთ ენაზე არ ხერხდება, და მისი დაფასება მხოლოდ იმ უცხოელებს შეუძლიათ, რომლებმაც რუსული ენა იციან და რუსეთში დიდხანს უცხოვრიან. ამრიგად, რუსული ლიტერატურის მთელი პერიოდი პირდაპირ არ არსებობს ევროპისათვის. რაც შეეხება მეორეს;—იგი მათთვის შეიძლება არსებობდეს, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში. პუშკინის ისეთი ნაწარმოებნი, როგორც, მაგალითად, მოცარტი და სალიერი, ძუნწი რაინდი, ქვის სტუმარი, ღირსეულად თარგმნილი რომ იყოს რომელიმე ევროპულ ენაზე,—უცხოელებს არ შეიძლება არ ეღიარებინათ ისინი პოეზიის საუცხოო ქმნილებებად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ პიესებს მათთვის თითქმის არავითარი ინტერესი არ ექნება, როგორც რუსული პოეზიის ქმნილებებს. იგივე შეიძლება ითქვას ლერმონტოვის საუკეთესო ნაწარმოებებზეც. არც პუშკინის, არც ლერმონტოვის თხზულებებმა არ შეიძლება რამდენადმე ღირსება არ დაჰკარგოს თარგმანში, რა კარგიც უნდა იყოს ეს თარგმანი. მიზეზი აშკარაა: თუმცა პუშკინისა და ლერმონტოვის ქმნილებებში ჩანს რუსული სული, ნათელი, დადებითი რუსული ჰუმანობა, გრძნობის ძალა და სიღრმე, — მაგრამ ეს თვისებები უფრო თვალსაჩინოა ჩვენთვის, რუსებისათვის, ვიდრე უცხოელებისათვის, იმიტომ რომ რუსული ეროვნულობა ჯერ კიდევ იმდენად საკმაოდ არ გამოუმუშავებულა და განვითარებულა, რომ რუს პოეტს შეეძლოს თავის ნაწარმოებებს მისი მკვეთრი ბეჭედი დაასვას, როცა მათში საერთო ადამიანურ იდეებს

გამოხატავს. ხოლო ევროპელთა მოთხოვნები ამ მხრივ ძალიან დიდია. და არც საკვირველია: ევროპის ხალხთა ნაციონალური სული იმდენად თვითმყოფია და მკვეთრად არის ასახული მათს ლიტერატურაში, რომ, რა დიდიც უნდა იყოს მხატვრულად ნაწარმოები, თუ მას ეროვნულობის მკვეთრი ბეჭედი არ აზის,—იგი ევროპელთა თვალში უკვე ჰკარგავს თავის მთავარ ღირსებას. რომელიმე მარიეტეში, ბულვერში ან კიდევ უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან ინგლისელ ბელეტრისტში თქვენ ისევე ზუსტად ხედავთ ინგლისელს, როგორც შექსპირში, ბაირონში, ვალტერ-სკოტში. ყოჩა ზანდი და პოლდე-კოკი ფრანგული სულის უკიდურეს მხარეებს წარმოადგენენ, და თუმცა პირველი გამოხატავს ფრანგული ეროვნულობის ყოველივე მშვენიერს, ადამიანურსა და მაღალს, ხოლო უკანასკნელი—შეზღუდულსა და უხამსს,—მაგრამ თქვენ მაშინვე ხედავთ, რომ ისინი ორნივე თანაბრად შეიძლებოდა გაჩენილიყვნენ მხოლოდ საფრანგეთში. რომელიმე კლაურენი ან ავგუსტ ლაფონტენი ისევე არიან გერმანელები, როგორც გოეთე და შილერი. თითოეულ ამ ლიტერატურათაგანში მწერალი თავისი თხზულებებით გამოხატავს თავისი მშობელი ეროვნების კარგ ან სუსტ მხარეს, და ეროვნული სული საბაჟოს შტემპელივით აზის იქ როგორც გენიოსის ნაწარმოებს, ისე უნიჭო მჯღაბნელის ნაწარმოებსაც. ფრანგები უადრესად ეროვნულნი იყვნენ მაშინაც, როდესაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ბაძავდნენ ბერძნებსა და რომაელებს. ვილანდი გერმანელი დარჩა, როცა ფრანგებს ბაძავდა. ეროვნულობის ბარიერი ევროპელებისათვის გარდუვალია. იქნებ, ჩვენთვის უადრესად ხელსაყრელი იყოს, რომ ჩვენთვის თანაბრად მისაწვდომია ყველა ეროვნება, და ჩვენი პოეტები ასე ადვილად და თავისუფლად იქცევიან თავიანთ ნაწარმოებებში ბერძნებადაც, რომაელებადაც, ფრანგებადაც, გერმანელებადაც, ინგლისელებადაც, იტალიელებადაც და ესპანელებადაც. მაგრამ ეს არის ხელსაყრლობა მომავლისათვის, როგორც

იმის ნიშანი, რომ ჩვენი ეროვნულობა ფართოდ და მრავალფეროვნად უნდა გამოემუშავდეს. ამჟამად კი ჯერჯერობით ეს ნაკლი უფროა, ვიდრე ღირსება, იმდენად ფართო გაქანება და მრავალფეროვნება კი არ არის, რამდენადაც თავისი საკუთარი პირადი საწყისის გამოუმუშავებლობა და გაურკვეველობა.

და ამიტომ უცხოელებსათვის სხვებზე უფრო საინტერესო იქნებოდა პუშკინისა და ლერმონტოვის იმ ქმნილებათა კარგი თარგმანი, რომელთა შინაარსი აღებულია რუსეთის ცხოვრებიდან. ამრიგად, ევგენი ონეგინი უცხოელებისათვის უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე მოცარტი და სალიერი, ძუნწი რაინდი და ქვის სტუმარი. აი რატომ არის, რომ უცხოელებისათვის ყველაზე საინტერესო რუსი პოეტი გოგოლია. ეს ვარაუდი კი არ არის, არამედ ფაქტია, რასაც ადასტურებს ამ მწერლის იმ ხუთი მოთხრობის თარგმანის შესანიშნავი წარმატება საფრანგეთში, რომლებიც შარშან გამოსცა პარიზში ბ-ნმა ლუი ვიარდომ⁴. ეს წარმატება გასაგებია: გარდა თავისი უდიდესი მხატვრული ნიჭისა, გოგოლი თავის თხზულებებში მტკიცედ რჩება რუსული ცხოვრების სინამდვილის სფეროში. უცხოელებისათვის კი სწორედ ზი ეს არის ყველაზე საინტერესო: მათ სურთ პოეტის საშუალებით გაიცნონ ის ქვეყანა, რომელმაც იგი წარმოშვა. ამ მხრივ გოგოლი ყველაზე ნაციონალური რუსი პოეტია, და მას არ შეიძლება ეშინოდეს თარგმნისა, თუმცა, მისი თხზულებების თვით ეროვნულობის მიზეზით, საუკეთესო თარგმანშიც კი მათი კოლორიტი არ შეიძლება არ შესუსტდეს.

მაგრამ ამ წარმატებითაც მეტიმეტად გამპარტავნება არ შეიძლება. პოეტისათვის, რომელსაც სურს, რომ მისი გენია აღიარონ ყველგან და ყველამ და არა მარტოდენ მისმა თანამემამულეებმა, ეროვნულობა არის პირველი, მაგრამ არა ერთადერთი პირობა: საჭიროა აგრეთვე, რომ პოეტი, როდესაც იგი ეროვნულია, იმავე დროს იყოს მსოფლიო პოეტიც,

ესე იგი, საჭიროა, რომ მის ქმნილებათა ეროვნულობა ზოგად-ადამიანური იდეების სულიერი და უსხეულო სამყაროს ფორ-მა, სხეული, სისხლი და ხორცი, მისი სახე და გამოხატულება იყოს. სხვანაირად რომ ვთქვათ: საჭიროა, რომ ეროვნულ პოეტს დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს არა მარტო თავისი სამშობლოსათვის, არამედ მის გამოჩენას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს. ასეთი პოეტები შეიძლება გაჩნდნენ მხოლოდ იმ ხალხებში, რომლებიც მოწოდებული არიან მსოფლიო-ისტორიული როლი შეასრულონ კაცობრიობის ბედ-იღბალში, ესე იგი თავიანთი ეროვნული ცხოვრებით გავლენა მოახდინონ მთელი კაცობრიობის ძსვლელობა-განვითარებაზე. და ამიტომ, თუ, ერთი მხრივ, ბუნებითვე მინიჭებული დიდი გენიის გარეშე არ შეიძლება მსოფლიო-ისტორიული პოეტი იყო, სამაგიეროდ, მეორე მხრივ, დიდი გენიით დაჯილდოებული პოეტიც ზოგჯერ შეიძლება მსოფლიო-ისტორიული არ იყოს, ესე იგი მნიშვნელობა ჰქონდეს მხოლოდ თავისი ხალხისათვის. აქ პოეტის მნიშვნელობა დამოკიდებულია უკვე არა თვით მასზე, არა მის მოღვაწეობაზე, მიმართულებაზე, გენიაზე, არამედ იმ ქვეყნის მნიშვნელობაზე, რომელმაც იგი წარმოშვა. ამ თვალსაზრისით ჩვენ არ გვყავს არც ერთი ისეთი პოეტი, რომ უფლება გვქონდეს გვერდით ამოვუყენოთ იგი ევროპის პირველ პოეტებს,—იმ შექთხვევაშიც კი, ნათლად რომ ვხედავდეთ, რომ იგი ნიჭით არ ჩამოუვარდება რომელიმე მათგანს. პუშკინის პიესები: მოცარტი და სალიერი, ძუნწი რაინდი და ქვის სტუმარი იმდენად კარგია, სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ისინი თვით შექსპირის გენიის ღირსნი არიან; მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ პუშკინი შექსპირის ტოლი იყოს. იმაზე თუ აღარაჲს ვიტყვით, რომ შექსპირის გენიასა და პუშკინის გენიას შორის ძალისა და მოცულობის მხრივ დიდი განსხვავებაა,—პუშკინს იმდენივე და ისევე საუცხოო რომ დაეწერა, რამდენიც შექსპირმა დასწერა, მაშინაც

კი მისი შექსპირთან გათანასწორება მეტად გაბედული ჰიპოთეზი იქნებოდა. მით უმეტეს ითქმის ეს ახლა, როცა ჩვენ ვიცით, რომ მისი საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვი და მოცულობა ასე ღარიბია შექსპირის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვსა და მოცულობასთან შედარებით. საერთოდ, ჩვენ უფრო ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ლიტერატურაში არის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც შეგვიძლია მათი მხატვრული ღირსებით დავუპირისპიროთ ევროპული ლიტერატურის. ზოგიერთ გენიალურ ნაწარმოებს; მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვყავდეს პოეტები, რომლებიც შეიძლებოდას პირველი სიდიდის ევროპულ პოეტებს დავუპირისპიროთ. ღრმა აზრია იმაში, რომ ჩვენ გვჭირდება უცხოეთის ლიტერატურათა დიდი პოეტების გაცნობა, და რომ უცხოელებს არ სჭირდებათ ჩვენი პოეტების გაცნობა. ჩვენი დიდი პოეტების დამოკიდებულება ევროპის დიდ პოეტებთან შეიძლება ასე გამოვხატოთ: პუშკინის ზოგიერთ პიესაზე შეიძლება ითქვას, რომ თვით შექსპირს არ შერცხვებოდა თავისი ეწოდებინა მათთვის, ისევე როგორც თვით ბაირონს არ შერცხვებოდა თავისი ეწოდებინა ლერმონტოვის ზოგიერთი პიესისათვის; მაგრამ უაზრობაში გადავარდნის რისკის გაუწეულად არ შეიძლება პირიქით სთქვა, რომ პუშკინსა და ლერმონტოვს არ შერცხვებოდათ თავისი სახელი ზოგიერთ შექსპირისა და ბაირონის ზოგიერთი თხზულებისათვის. ჩვენ შეგვიძლია ჩვენს პოეტებს ვუწოდოთ შექსპირები, ბაირონები, ვალტერ-სკოტები, გოეთეები, შილერები და სხვა. მხოლოდ მათი ნიჭის ძალის ან მიმართულების საჩვენებლად, მაგრამ არა მთელი განათლებული მსოფლიოს თვალში მათი მნიშვნელობის აღსანიშნავად. ვისაც თავის სახელს არ უწოდებენ, ის არ შეიძლება იმის ტოლი იყოს, ვის სახელსაც მას უწოდებენ. ბაირონი გოეთესა და შილერის შემდეგ გაჩნდა—და ბაირონადვე დარჩა, ხოლო მისთვის ინგლისელი გოეთე ან ინგლისელი შილერი არ უწოდებიათ. როცა რუსეთისათვის დადგე-

ბა დრო მსოფლიო მნიშვნელობის პროექტები წარმოშვას,—ამ პროექტებს მათს საკუთარ სახელებს უწოდებენ, და ასეთი პროექტის თითოეული სახელი, დარჩება რა საკუთარ სახელად, იმავე დროს საზოგადოც იქნება, მას მრავლობით რიცხვშიც იხმარენ, იბრტომ რომ ტიპიური იქნება.

როდესაც ვამბობთ, რომ დიდი რუსი პროექტი, ბუნებით დაჯილდოებული და ნიჭით დიდი ევროპელი პროექტის ტოლი, ამჟამად მაინც ვერ მიაღწევს მის თანაბარ მნიშვნელობას, — ამით იმის თქმა გვინდა, რომ მას შეუძლია ამ ევროპელ პროექტს მეტოქეობა გაუწიოს თავისი პროექტის მხოლოდ ფორმით და არა შინაარსით. პროექტს შინაარსს აძლევს მისი ხალხის ცხოვრება, მაშასადამე, ამ შინაარსის ღირსება, სიღრმე, მოცულობა და მნიშვნელობა პირდაპირ და უშუალოდ დამოკიდებულია არა თვით პროექტზე და არა მის ნიჭზე, არამედ მისი ხალხის ცხოვრების ისტორიულ მნიშვნელობაზე. მხოლოდ ეს ოცდათექვსმეტი წელიწადი გავიდა იმ მარადსახსოვარი დღიდან, როცა რუსეთმა პოლტავის ბრძოლის ჭეჭა-ქუხილით ამცნო მსოფლიოს, რომ იგი ეზიარა ევროპის ცხოვრებას, რომ იგი გამოვიდა მსოფლიო-ისტორიული არსებობის ასპარეზზე,—და წარმატებისა და დიდების რა ბრწყინვალე გზა განვლო მან დროის ამ მოკლე მანძილზე! ეს რაღაც საარაკოდ დიადი, უმაგალითო რამ არის, რაც არსად და არასოდეს არ მომხდარა! რუსეთმა გადასწყვიტა თანამედროვე მსოფლიოს ბედი, რადგან მან „უფსკრულში გადაუძახა კერპს, რომელიც სამეფოებს მძიმე ტვირთად აწვა“, და ახლა, როცა ევროპის პირველხარისხოვან სახელმწიფოთა შორის დაიკავა ადგილი, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნოდა, მას, მათთან ერთად, ხელთ უპყრია მსოფლიოს ბედ-იღბალი თავისი ძლიერების სასწორზე...⁶ მაგრამ ეს მოწმობს, რომ ჩვენ არავის არ ჩამოვრჩენივართ, ხოლო ბევრს კიდევაც გავუსწართ პოლიტიკურ-ისტორიული მნიშვნელობით, რაც ცხოვრების დიდ-მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს, მაგრამ არა ერთად-

ერთს, არა გამონაკლისს იმ ხალხისათვის, რომელიც მოწოდებულია დიდი როლი შეასრულოს. ჩვენი პოლიტიკური სიდიადე უეჭველი საწინდარია ჩვენი მომავალი უდიდესი მნიშვნელობისა სხვა მხრივაც; მაგრამ მაინც მარტო ამით როდი იქნება საბოლოოდ მიღწეული ყველა იმ მხარის განვითარება, რომლებიც დიდი ხალხის ცხოვრების სისრულესა და მთლიანობას უნდა შეადგენდნენ. მომავალში ჩვენ, გარდა ძლევამოსილი რუსული მახვილისა, ევროპის ცხოვრების სასწორზე დავდებთ რუსულ აზრსაც... მაშინ ჩვენ გვეყოლება ისეთი პოეტებიც, რომ უფლება გვექნება ისინი პირველი სიდიდის ევროპელ პოეტებს გავუტოლოთ. ახლა კი დავჯერდეთ იმას, რაც გვაქვს, ნურც გავაზვიადებთ და ნურც დავაძვირებთ იმას, რაც მოგვეპოვება. დროის მანძილის კვალობაზე ჩვენმა ლიტერატურამ მოიპოვა უდიდესი წარმატებანი, რომლებიც უეჭველად მოწმობენ რუსული სულის ნიადაგის ნაყოფიერებას. თუ ჯერ კიდევ ჩვენი ლიტერატურა არა, ზოგი რამ მაინც ჩვენს ლიტერატურაში უკვე აინტერესებს უცხოელებსაც კი. ეს ინტერესი ჯერჯერობით საკმაოდ ცალმხრივია, იმიტომ რომ რუს პოეტთა ნაწარმოებებში უცხოელებს შეუძლიათ იპოვნონ იმ ქვეყნის მხოლოდ ადგილობრივი კოლორიტი და ზნე-ჩვეულებათა მხატვრული სურათი, რომელიც ესოდენ მკვეთრად განსხვავდება მათი ქვეყნებისაგან...

1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა ¹



აწმყო შედეგის წარსულისა და მითითება მომავალზე. კამიტომ 1846 წლის რუსულ ლიტერატურაზე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ ვილაპარაკოთ საერთოდ რუსული ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობაზე, რაც შეუძლებელია ისე, თუ არ შევეხეთ იმას, თუ რა იყო ის და რა უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ არ გამოვუდგებით არავითარ ისტორიულ დეტალს, რომლებიც შორს წაგვიყვანდა. ჩვენი სტატიის მთავარი მიზანია წინასწარ გააცნოს „სოვრემენიკის“ მკითხველებს მისი შეხედულება რუსულ ლიტერატურაზე, მამასადამე, მისი არსი და მიმართულება, როგორც ეურნალისა. პროგრამები და განცხადებები ამ მხრივ არაფერს შეტყვევებენ: ისინი მხოლოდ დაპირებას იძლევიან. ამიტომაც „სოვრემენიკის“ პროგრამა, შეძლებისამებრ მოკლე და სიტყვამცირე, მხოლოდ წმინდა გარეგნული დაპირებებით განისაზღვრა. განზრახული სტატია, თვით რედაქტორის სტატიასთან ერთად, რომელიც დაბეჭდილია აშავე ნომრის მეორე განყოფილებაში, „სოვრემენიკის“, ასე ვთქვათ, მეორე შინაგანი პროგრამა იქნება, რომლითაც მკითხველებს შეუძლიათ ერთგვარად თვითონ შეამოწმონ დანაპირების შესრულება.

ჩვენთვის რომ ეკითხნათ, რაში მდგომარეობს თანამედროვე რუსული ლიტერატურის განმასხვავებელი ხასიათი, ჩვენ ვუპასუხებდით: უფრო და უფრო მკიდრო დაახლოებაში ცხოვრებასთან, სინამდვილესთან, უფრო და უფრო მეტ სიახლოვეში სიმწიფესთან და დავაყვაცებასთან. თავისთავად

იგულისხმება, რომ ამგვარი დახასიათება შეიძლება მიეცეს მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინანდელ, ახალგაზრდა და თანაც არა დამოუკიდებლად, არამედ მიმბაძველობის შედეგად წარმოშობილ ლიტერატურას. დამოუკიდებელი, თვითმყოფი ლიტერატურა საუკუნეობით მწიფდება, და მისი სიმწიფის ეპოქა ამავე დროს მის შესანიშნავ ნაწარმოებთა (chefs d'oeuvre) რიცხოვრივი სიმდიდრის ეპოქაც არის. რუსულ ლიტერატურაზე ამას ვერ ვიტყვით. მისი ისტორია, როგორც თვით რუსეთის ისტორია, არც ერთი სხვამ ლიტერატურის ისტორიას არა ჰგავს. ამიტომაც წარმოადგენს იგი ერთადერთ, განსაკუთრებულ სახანაობას, რომელიც მაშინვე უცნაური, გაუგებარი, თითქმის უაზრო ხდება, რა წამს მას ყურებას დაუწყებენ როგორც ყოველ სხვა ევროპულ ლიტერატურას. როგორც ყოველივე ის, რაც კი თანამედროვე რუსეთში ცოცხალი, მშვენიერი და გონივრულია, ჩვენი ლიტერატურაც პეტრე დიდის რეფორმის შედეგია. მართალია, პეტრე ლიტერატურისათვის არ ზრუნავდა და მისი აღმოცენებისათვის არაფერი გაუკეთებია, მაგრამ იგი ზრუნავდა განათლებისათვის, რადგან რუსული სულის ნაყოფიერ ნიადაგში მეცნიერებისა და განათლების თესლი დათესა,—და ლიტერატურა მისგან დამოუკიდებლად გაჩნდა შემდგომში თავისთავად, როგორც მისივე მოღვაწეობის აუცილებელი შედეგი. ვაკვრით ვიტყვით, რომ პეტრე დიდის გარდაქმნის ორგანული სიცოცხლისუნარიანობა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ამ გარდაქმნამ ბევრი რამ ისეთიც წარმოშვა, რაზედაც პეტრე, შესაძლოა, არც კი ფიქრობდა, რასაც იგი წინასწარ არც კი გრძნობდა. ნიჟიერი და ჰკვიანი კანტემირი, ნახევრად მიმბაძველი, ნახევრად კიდევ რუსულ ყაიდაზე გადამღლები რომაელი პოეტების (უმთავრესად ჰორაციუსის) და მათი მიმბაძველის და ფრანგულ ყაიდაზე გადამღლების—ბუალოს სატირები, კანტემირი თავისი სილაბური ზომით, თავისი ნახევრადმწიგნობრული, ნახევრად-ხალხური ენით, რომელიც თვით ამ აღრევის გამო იმდროინდელი განათლებული საზოგადოების ენა იყო, კანტემირი და მის შემდეგ ტრედიაკოვსკი, თავისი

უნაყოფო განსწავლულობით, თავისი უნიჭო შრომისმოყვარეობით, თავისი სქოლასტიკური პედანტიზმით, თავისი ამაო ცდებით — სწორი ტონური ზომა და ძველი ჰეგზამეტრები შემოეტანა რუსულ ლექსწყობაში, თავისი ბარბაროსული ვარშებით და როლენის ორგზის ბარბაროსული გადმოღებებით, — კანტემირი და ტრედიაკოვსკი იყვნენ, ასე ვთქვათ, პროლოგი, წინასიტყვაობა რუსული ლიტერატურისა. პირველის გარდაცვალებიდან ასორ წელზე ცოტა მეტი ხანი გავიდა (ის გარდაიცვალა 1744 წლის 31 მარტს); მეორის გარდაცვალებიდან მხოლოდ 77 წელზე ცოტა მეტმა ხანმა განვლო (ის გარდაიცვალა 1769 წლის 6 აგვისტოს). ტრედიაკოვსკი ჯერ კიდევ თავისი სახელის გაფურჩქვნის პერიოდში იმყოფებოდა და ჯერ კიდევ მხოლოდ ექვს წელიწადს უწოდებდა თავის თავს „ელოკვენციისა და პიიტკური ოსტატობის პროფესორს“; ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ ავადმყოფი, სუსტი და უკვე სიკვდილს მიახლოებულად, კანტემირი ცოცხალი იყო*, როცა 1739 წელს, ოცდარვა წლის ლომონოსოვმა — რუსული ლიტერატურის პეტრე დიდმა, გერმანიიდან გამოგზავნა თავისი სახელგანთქმული „ოდა ხოტინის აღებაზე“, რომლიდანაც, სრულიად სამართლიანად, უნდა ვანგარიშობდეთ რუსული ლიტერატურის დასაწყისს. ყველაფერი, რაც კანტემირმა გააკეთა, წიგნის სამყაროში უკვალოდ და გავლენის მოუხდენლად დარჩა; ყველაფერი, რაც ტრედიაკოვსკიმ გააკეთა, ამაო გამოდგა, — მისი ცდებიც კი რუსულ ლექსში სწორი ტონური მეტრების შემოტანისა... ამიტომ ლომონოსოვის ოდა ყველას მოეჩვენა რუსულ ენაზე დაწერილ პირველ ლექსწყობილ ნაწარმოებად, რომელიც დაწერილი იყო სწორი ზომით. ლომონოსოვის გავლენა რუსულ ლიტერატურაზე სწორედ ისეთივე იყო, როგორც პეტრე დიდის გავლენა რუსეთზე საზოგადოდ: ლიტერატურა დიდხანს მიდიოდა ლომონოსოვის მიერ მისთვის დასახული გზით, მაგრამ, ბოლოს, სავსებით განთავისუფლდა მისი გავლენისაგან და იმ გზით წავიდა, რომლის არც გათვალისწინება და არც წინას-

* კანტემირი მაშინ 31 წლისა იყო, ხოლო ტრედიაკოვსკი 36 წლისა.

წარ შეგრძნობა თვით ლომონოსოვს არ 'შეეძლო. მან ლიტერატურას მისცა მწიგნობრული, მიმბაძველობითი და ამიტომაც, როგორც ჩანს, უნაყოფო და უსიცოცხლო, მაშასადამე, მავნე და დამღუპველი მიმართულება. ეს სრული სიმართლეა, რომელიც, მიუხედავად ამისა, ოდნავაც არ ამცირებს ლომონოსოვის უდიდეს დამსახურებას, ოდნავაც არ ართმევს მას უფლებას რუსული ლიტერატურის მამად იწოდებოდეს. გახა აზასვე არ ლაპარაკობენ პეტრე დიდზე ჩვენი ლიტერატურული ძველი სარწმუნოების მოსაზვნი? და უნდა ითქვას, რომ მათი შეცდომა ის კი არ არის, რასაც ისინი ამბობენ პეტრე დიდზე და მის მიერ შექმნილ რუსეთზე, არამედ ის, თუ რა შედეგი გამოჰყავთ მათ აქედან. მათი აზრით, პეტრეს რეფორმამ ჩაჰკლა რუსეთში ხალხურობა, ხოლო, მაშასადამე, სიცოცხლის ყოველგვარი: სულიც, ასე რომ რუსეთს თავისი ხსნისთვის სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ კვლავ დაუბრუნდეს კოშიხინის ეპოქის კურთხეულ ნახევრადპატრიარქალურ ზნე-ჩვეულებებს. ვიმეორებთ: მათი დასკვნა მცდარია, მაგრამ დებულება მართალია, და პეტრე დიდის რეფორმით შექმნილი ყალბი, ხელოვნური ევროპეიზმი რუსეთისა მართლაც შეიძლება კაცს მოეჩვენოს შინაგან შინაარსს მოკლებულ გარეგან ფორმად. მაგრამ განა არ შეიძლება იგივე ვთქვათ ლომონოსოვის ყველა პოეტურ და ორატორულ ცდებზეც? მაშ რატომ, თავის საკუთარ შეხედულებასთან რა უცნაური წინააღმდეგობის გამო ხრიან თავს მოწიწებით სწორედ ეს ადამიანები ლომონოსოვის სახელის წინაშე და უცნაური გულფიცხობით სთვლიან დანაშაულად ყოველგვარ თავისუფალ აზრს ამ რიტორზე პოეზიაშიც და მჭევრმეტყველებაშიც? განა, მათის მხრივ, გაცილებით უფრო თანმიმდევრული და ლოგიკისა და სალი აზრის შესაბამისი არ იქნებოდა, რომ ლომონოსოვისთვისაც სწორედ ისევე შეეხედნათ, როგორც ისინი პეტრე დიდს უყურებენ? "

უცხო, გარედან აღებულ შინაარსს არავსოდეს არ შეუძლია არც ლიტერატურაში, არც ცხოვრებაში გასწიოს თავისი საკუთარი, ეროვნული შინაარსის მაგივრობა; მაგრამ ეს უცხო.

შინაარსი დროთა ვითარებაში შეიძლება ეროვნულ შინაარსად გარდაიქმნას, ისე როგორც ადამიანის მიერ გარედან მიღებული საზრდო მის სისხლად და ხორცად გარდაიქმნება და ადამიანს ძალას, ჯანსა და სიცოცხლეს უნარჩუნებს. დაწვრილებით არ შევჩერდებით იმაზე, თუ როგორ მოხდა ეს პეტრეს მიერ შექმნილ რუსეთსა და ლომონოსოვის მიერ შექმნილ რუსულ ლიტერატურაში; მაგრამ ეს რომ ნამდვილად მოხდა და ხდება იქ,—ეს ისტორიული ფაქტია, ფაქტიურად აშკარა ქეშმარიტებაა. შეადარეთ კრილოვის იგავ-არაკები, გრიბოედოვის კომედია, პუშკინის, ლერმონტოვის და განსაკუთრებით გოგოლის ნაწარმოებნი,—შეადარეთ ისინი ლომონოსოვისა და მისი სკოლის მწერალთა ნაწარმოებთ, და მათ შორის ვერ ნახავთ ვერაფერს საერთოს, ვერავითარ კავშირს, იფიქრებთ, რომ რუსულ ლიტერატურაში ყველაფერი შემთხვევითია—ტალანტიც და გენიაც; ხოლო განა შეიძლება შემთხვევითს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს: ხომ არ არის ეს მოჩვენება, ოცნება? და მართლაც, იყო დრო, როდესაც კითხვა: გვაქვს თუ არა ჩვენ ლიტერატურა? — პარადოქსად როდი ეჩვენებოდათ და ბევრმა ეს კითხვა უარყოფითად გადასწყვიტა. და ასეთი გადაწყვეტა ბუნებრივი და გარდუვალია, თუ რუსულ ლიტერატურას განვსჯით იმ საფუძველებზე, რომელთა მიხედვითაც უნდა განვსაჯოთ ევროპულ ლიტერატურათა ისტორია. მაგრამ ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი გონებრივი წარმატება სწორედ ის არის, რომ ჩვენ, ბოლოს, მივხვდით, რომ რუსეთს ჰქონდა თავისი ისტორია, რომელიც ოდნავაც არ წააგავს ევროპის არც ერთი სახელმწიფოს ისტორიას, და რომ ეს ისტორია უნდა შევისწავლოთ და განვსაჯოთ თვით მისსავე საფუძველზე და არა ევროპის ხალხთა ისტორიის საფუძველზე, რომელთაც მასთან საერთო არა აქვთ რა. იგივე ითქმის რუსული ლიტერატურის ისტორიაზეც. ერთი მხრივ, ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებულ მწერლებსა და, მეორე მხრივ, ლომონოსოვისა და მის სკოლას შორის მართლაც არაფერია სწავრთო, არ არსებობს არავითარი კავშირი, თუ მათ ერთმანეთს შევადარებთ, როგორც ორ უკიდურესობას; მაგრამ

თქვენ მყისვე წარმოგიდგებათ ცოცხალი სისხლხორცეული კავშირი მათ შორის, თუ ქრონოლოგიური რიგით შეისწავლით ყველა რუს მწერალს ლომონოსოვიდან გოგოლაძემდე. მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ პუშკინამდე რუსული ლიტერატურის მთელი მოძრაობა მდგომარეობდა მისწრაფებაში—თუმცაღა შეუგნებელ მისწრაფებაში—განთავისუფლებულიყო ლომონოსოვის გავლენისაგან და დაახლოებოდა ცხოვრებას, სინამდვილეს, მაშასადამე, გამხდარიყო დამოუკიდებელი, ნაციონალური, რუსული. თუ ხერასკოვისა და პეტროვის ნაწარმოებებში, რომლებიც ასე დაუმსახურებლად განადიდეს თანამედროვეებმა, ამ მხრივ პროგრესის ნატამალსაც კი ვერ ვნახავთ,—სამაგიეროდ პროგრესი არის უკვე სუმაროკოვში, მწერალში, რომელიც მოკლებული იყო გენიას, გემოვნებას, თითქმის ნიქსაც კი, მაგრამ რომელსაც თანამედროვენი უყურებდნენ, როგორც ლომონოსოვის მეტოქეს. სუმაროკოვის ცდები, თუმცაღა ამაო, — შეექმნა კომედია რუსულ ზნე-ჩვეულებაზე, მისი სატირები, უმთავრესად კი მისი გულუბრყვილო-გესლიანი გალაშქრება „ჰინკრის მოღმის“ წინააღმდეგ, ისევე როგორც ზოგიერთი პროზაული სტატია. რომლებიც ასე თუ ისე შეეხება მისი თანამედროვე სინამდვილის საკითხებს,—ყოველივე ეს მოწმობს რაღაც მისწრაფებას დაეახლოებინა ლიტერატურა ცხოვრებასთან. და ამ მხრივ სუმაროკოვის თხზულებანი, ყოველგვარ მხატვრულ თუ ლიტერატურულ ინტერესს მოკლებულნი, შესწავლის ღირსნი არიან, ისევე როგორც მისი სახელი, თავდაპირველად დაუმსახურებლად განდიდებული. ხოლო შემდეგ ამდენადვე უმართებულოდ დამცირებული, ღირსია შთამომავლობის მხრივ პატივისცემისა. არ შეიძლება უსარგებლო მოვლენებად მივიჩნიოთ თუნდაც ხერასკოვი და პეტროვი: თანამედროვენი მათში გენიოსებს ხედავდნენ, ცამდე აჰყავდათ ისინი, მაშასადამე. კითხულობდნენ მათ, ხოლო თუ მათ კითხულობდნენ, მაშასადამე, ამ მწერლებს დიდად შეუწყიათ ხელა რუსეთში ლიტერატურით გატაცებისა და დატკობის გემოვნების გავრცელებისათვის. სუმაროკოვის უგვანი იგავები შეიცვალნენ

ხემნიცერისა და დმიტრიევის იგავ-არაკებით, რომლებიც ფრანგული იგავ-არაკების იმ დროისათვის საუცხოო თარგმანებს წარმოადგენდნენ, ხოლო შემდეგში ისინი კრილოვის იგავ-არაკების სახით ჩინებულ ხალხურ ნაწარმოებებად მოგვევლინენ. ლომონოსოვის მიმბაძველი, ხერასკოვისა და პეტროვის წინაშეც კი თავმდაბლად მოკრძალებული დერჟავინი, თუ თვითმყოფი რუსი პოეტი არ იყო, მარტო რიტორიც აღარ იყო. ბუნებითვე დიდი პოეტური გენიით დაჯილდოებულს, მას მხოლოდ იმიტომ არ შეეძლო დამოუკიდებელი რუსული პოეზიის შექმნა, რომ სააზისოდ დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა, და არა ბუნებრივ ძალთა და საშუალებათა ნაკლებობის გამო. რუსული ენა მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამომუშავებული, ლიტერატურაში მწიგნობრულობისა და რიტორიკის სული მეფობდა; მაგრამ მთავარი ისაა, რომ მაშინ იყო მხოლოდ სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მაგრამ არ იყო საზოგადოებრივი ცხოვრება, [იმიტომ რომ მაშინ არ იყო საზოგადოება, იყო მხოლოდ სამეფო კარი, რომელსაც ყველა შესცქეროდა, მაგრამ რომელსაც მხოლოდ ისინი იცნობდნენ, ვინც მას ეკუთვნოდა. საზოგადოება არ იყო, და არც საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებრივი ინტერესები იყო] ³; პოეზია და ლიტერატურა ვერსაიდან აღებდნენ შინაარსს, და ამიტომ ისინი არსებობდნენ და თავი გაჰქონდათ არა თავისთავად, არამედ ძლიერთა და დიდებულთა მფარველობით, და ოფიციალურ ხასიათს ატარებდნენ. ასე უნდა ვუყურებდეთ ამ ეპოქას, როცა მას ჩვენს ეპოქას ვადარებთ; მაგრამ ასე როდი უნდა ვუყურებდეთ მას, როცა ლომონოსოვის ეპოქას ვადარებთ: აქ, შედარებით, დიდი პროგრესი იყო. თუ იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო საზოგადოება, სამაგიეროდ სწორედ იმ დროს ხდებოდა მისი ჩასახვა, იმიტომ რომ სამეფო კარის ბრწყინვალეობა და განათლება მაშინ უკვე გავლენას ახდენდა საშუალო თავადაზნაურობაზეც, და სწორედ მაშინ დაიწყო მასში იმ ზნე-ჩვეულებათა ჩამოყალიბება, რომელთაც ახლავხედავთ. და ამიტომ, გარდა უდიდესი განსხვავებისა პოეტური გენიის მხრივ, დერჟავინს ლომონოსოვის წინაშე უკვე

დიდი უპირატესობა ჰქონდა შინაარსის მხრივაც თავისი პოეზიისათვის, თუმცა იგი არა მარტო განუსწავლელი, არამედ გაუნათლებელი კაციც იყო. ამიტომ დერჟავინის პოეზია გაცილებით უფრო მრავალფეროვანი, უფრო ცხოველი, უფრო აღსანიშნურია შინაარსის მხრივ, ვიდრე ლომონოსოვის პოეზია. ამის მიზეზი მარტოდენ ის როდია, რომ ლომონოსოვი უმეტესად ჩინებული მოღვაწე იყო, ვიდრე პოეტი, მაშინ როდესაც დერჟავინს პოეტური გენია ბუნებითვე. ჰქონდა მინიჭებული, არამედ ისიც, რომ ეკატერინე დიდის დროინდელ საზოგადოებას ერთგვარი წარმატება ჰქონდა დედოფლების ანასა და ელისაბედის საზოგადოებასთან შედარებით.

ამავე მიზეზით ეკატერინეს დროინდელი ლიტერატურა გადაჭრით ჩრდილავს მის წინამორბედ ლიტერატურას. გარდა დერჟავინისა, ამ დროს იყო ფონ-ვიზინი — პირველი ნიჭიერი კომიკოსი რუსულ ლიტერატურაში, მწერალი, რომლის შესწავლაც ამჟამად არა მარტო განსაკუთრებით საინტერესოა, არამედ რომლის წაკითხვაც კეშმარიტად დამატკობელია. მისი სახით რუსულმა ლიტერატურამ თითქოს ნაადრევადაც კი გადადგა უდიდესი ნაბიჯი სინამდვილესთან დაახლოებისაკენ: მისი თხზულებანი იმ ეპოქის ცოცხალი მატანეა. იმავე ხანაში ჩვენმა ლიტერატურამ ძველ ლიტერატურათაგან, რომელთაც სემინარიებში და სემინარიულ ყაიდაზე სწავლობდნენ, იწყო გადახრა მხოლოდ და მხოლოდ ფრანგული ლიტერატურისაკენ. ამის შედეგად შეუღვნენ ზრუნვას ეგრეთწოდებული მსუბუქი ლიტერატურისათვის, რომელშიაც ბოვლანოვიჩი ბრწყინავდა. ეკატერინეს მეფობის დასასრულს გამოჩნდა კარაძინი, რომელმაც რუსულ ლიტერატურას ახალი მიმართულება მისცა. არ ვილაპარაკებთ მისი დიდი დამსახურების, მისი დიდი გავლენის შესახებ ჩვენს ლიტერატურაზე და ამ უკანასკნელის მეშვეობით—ჩვენი საზოგადოების განათლებაზე. დაწვრილებით არ შეეცხებით აგრეთვე მის მოძღვენო მწერლებს. მოკლედ ვიტყვით, რომ თითოეულ მათგანში ჩანს თანდათანობითი განთავისუფლება მწიგნობრული, რიტო-

რიკული მიმართულებისაგან, რომელიც ჩვენს ლიტერატურას ლომონოსოვმა მისცა, და ლიტერატურის თანდათანობითი დაახლოება საზოგადოებასთან, ცხოვრებასთან, სინამდვილესთან. ჩაიხედეთ პუშკინის ლიცეუმის პერიოდის ლექსებში, თუნდაც მის თხზულებათა პირველი ნაწილის მრავალ პეესაში, რომლებიც მან თვითონვე მოგვცა,—და მათში დაინახავთ თითქმის ყველა მისი წინამორბედი პოეტის გავლენას: ლომონოსოვით დაწყებული და ჟუკოვსკითა და ბატუშკოვით დამთავრებული. იგავთმწერალმა კრილოვმა, რომლის წინამორბედნი ხემნიცერი და დმიტრიევი იყვნენ, ასე ვთქვათ, მოამზადა ენა და ლექსი გრიბოედოვის უკვდავი კომედიისათვის. მაშასადამე, ჩვენს ლიტერატურაში ყველგან ცოცხალი ისტორიული კავშირია, ახალი გამოდის ძველიდან, მომდევნო აიხსნება წინამორბედით, და არაფერი არ გვევლინება შემთხვევით. „მაგრამ,—შეიძლება შეგვეკითხონ,—მაშ რა იყო ლომონოსოვის მნიშვნელოვანი დამსახურება, თუ შემდგომი მწერლების მთელი დამსახურება მდგომარეობდა რუსული ლიტერატურის თანდათანობითს ემანსიპაციაში ლომონოსოვის გავლენისაგან, მაშასადამე, იმაში, რომ ისინი ცდილობდნენ ეწერათ არა ისე, როგორც იგი სწერდა? და განა უცნაური წინააღმდეგობა არ არის ეს: მოწიწებით ლაპარაკობდეთ იმ მწერლის დამსახურებასა და გენიაზე, რომელსაც თვითონვე რიტორს უწოდებთ?“

ჯერ-ერთი, ლომონოსოვი ისულაც არ იყო რიტორი თავისი ბუნებით: საამისოდ ის მეტისმეტად დიდი იყო; მაგრამ იგი რიტორი გახდა მისგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა. მისი თხზულებანი იყოფა მეცნიერულ და ლიტერატურულ ნაწარმოებებად; ამ უკანასკნელთ ჩვენ ვაკუთვნებთ ოდეს. პეტრიადას, ტრაგედებს, ერთი სიტყვით, მთელ მის ცდებს ლექსწყობაში და ზოტბაშესხმას. მისი მეცნიერული თხზულებანი ასტრონომიის, ფიზიკის, ქიმიის, მეტალურგიის, ნავიგაციის დარგში რიტორიკას როდი შეიცავენ, თუმცა ისინი დაწერილია გრძელ პერიოდებზე ლათინურ-გერმანული კონსტრუქციის მიხედვით, ზმნებით ბოლოში; მაგრამ მისი ლექსე-

ბი და ხოტბები აღსავსეა რიტორიკით. რატომ არის ეს? — იმით, რომ თავისი მეცნიერული თხზულებებისათვის მას ჰქონდა მზამზარეული შინაარსი, რომელიც მეცნიერების შესწავლით და შრომით მოიპოვა გერმანიაში და რომელსაც იგი თავისი სამშობლოსაგან არ მოელოდა და არ ითხოვდა. სწავლითა და შრომით შექმნილი მან საკუთარი გენიით განავითარა და გააღიდა. მაშასადამე, მან იცოდა, რასაც სწერდა, და რიტორიკა არ ესაჭიროებოდა. ხოლო თავისი პოეზიისათვის შინაარსის პოვნა თავისი სამშობლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ შეეძლო, იმიტომ რომ აქ არ იყო არა თუ შეგნება, არამედ მისდამი მისწრაფებაც კი, და, ამრიგად, არ იყო არავითარი გონებრივი და ზნეობრივი ინტერესები; მაშასადამე, მას თავისი პოეზიისათვის უნდა აეღო სრულიად უცხო, მაგრამ სამაგიეროდ მზამზარეული შინაარსი და თავის ლექსებში გამოეხატა არა ჩვენი ცხოვრებისა და ჩვენს მიერ, არა ჩვენს ნიადაგზე გამომუშავებული გრძნობები, ცნებები და იდეები. ეს იმას ნიშნავდა, რომ უნებლიეთ გამხდარიყო რიტორი, იმიტომ, რომ უცხოური ცხოვრების ცნებები, რომელთაც შენი ცხოვრების ცნებებად ასაღებ,—ყოველთვის რიტორიკაა. კიდევ უფრო მეტი რიტორიკა იყო მაშინ ევროპული ხიფთანები, კამპოლები, მაშიები, პარიკები, რობროხდები, ხელოვნური ხალები, ასამბლეები, მენუეტები და ა. შ. მაგრამ აბა ვინ იტყვის, გარდა თეორეტიკოსებისა და ფანტაზიორებისა, რომ ახლა ევროპული ტანსაცმელი და ზნე-ჩვეულება ნაციონალური არ გამხდარა რუსული საზოგადოების საუკეთესო, ე. ი. ყველაზე განათლებული ნაწილისათვის, თუმცა ეს მას სულაც არ უშლის ხელს რუსული საზოგადოება იყოს ნამდვილად და არა მხოლოდ სახელწოდებით? მეტსაც ვიტყვით: რუსული საზოგადოების არა მარტო უგანათლებულესი ნაწილისათვის, არამედ მთელი რუსი ხალხისთვისაც ახლა ნამდვილ რიტორიკად იქცა პეტრეს წინადროინდელი რუსული ყოფაცხოვრების ყველა ცნება, განსაზღვრა და ზიტყვა, და ჩვენს სამხედრო და სამოქალაქო წოდების პირებს ახლა სახელები რომ შეუცვალონ და უწოდონ სტრატეი-

გოსები, ბოიარები, სტოლნიკები და ა. შ.,—უბრალო ხალხი აქ სრულიად ვერაფერს ვერ გაიგებს. იგივე მოხდა, ლომონოსოვის მეოხებით, ლიტერატურულ სამყაროშიც: ყველაფერს, რაც ყალბად მიმსგავსებულა ხალხურისადმი, ახლა მდაბიურობის, ე. ი. უხამსობის სუნი ასდის, და უადრესად ნიჭიერი მწერლების ყველა ამგვარ ცდას რიტორიკის დაღი აწის.

„მაგრამ რა სასწაულით შეეძლო, — შეგვევითხებიან ჩვენ, — უცხოურის გარეგნულ, აბსტრაქტულ სესხებას და მშობლიურ ნიადაგზე ხელოვნურად მის გადმოტანას, — რა სასწაულით შეეძლო მას ცოცხალი, ორგანული ნაყოფის მოცემა?“ — ამის პასუხად იმასვე ვიტყვი, რასაც უკვე ვამბობდით: ამ საკითხის გადაწყვეტა, უეჭველია, საინტერესოა; მაგრამ ჩვენ მასთან არა გვესაქმება რა: ჩვენთვის საკმარისია ვთქვათ, რომ ასე, სწორედ ასე იყო, რომ ეს არის ისტორიული ფაქტი, რომლის უცილობლობის უარყოფა ფიქრადაც კი არ ღოუვა იმას, ვისაც აქვს თვალნი ხედვად და ყურნი — სმენად. ის მწერლები, რომლებშიც ლომონოსოვის გავლენისაგან რუსული ლიტერატურის განთავისუფლების მეშვეობით გამოიხატა პროგრესული მოძრაობა, სრულებითაც არ ფიქრობდნენ ამაზე; ამას ისინი შეუგნებლად აკეთებდნენ; მათ ნაცვლად მუშაობდა იმ დროების სული, რომლის გამომხატველნიც ისინი იყვნენ. ისინი ღიდად სცემდნენ პატივს ლომონოსოვს, როგორც პოეტს, მოწიწებით იხრიდნენ ქედს მისი გენიის წინაშე, ცდილობდნენ მისთვის მიებაძათ და მაინც უფრო და უფრო მეტად შორდებოდნენ მას. ამის განსაცვიფრებელი მაგალითია დერჟავინი. მაგრამ ჩვენს ეროვნებაში პეტრე დიდის მიერ დანერგილი ევროპული საწყისის სიცოცხლისუნარიანობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მკვდრული უძრაობა კი არ არის, არამედ მოძრაობს, წინ მიდის, ვითარდება. ლომონოსოვს რომ არ განეზრახა ეწერა ოდები მსგავსად მისი თანამედროვე გერმანელი პოეტებისა და ფრანგი ლირიკოსის ჟან-ბატისტ რუსოსი, არ განეზრახა დაეწერა თავისი პეტრიდა მსგავსად ვირგილიუსის „ენეიდისა“, სადაც თავისი პოემის გმირ პეტრე დიდთან ერთად მოქმედ პირად გამოი-

ყვანა ნებტუნიც, რომელიც ტრიტონებთან და ნაიადებთან ერთად ცივი თეთრი ზღვის ფსკერზე ზოათავსა; რომ მას, ვამბობთ ჩვენ, ყველა ამ მწიგნობრული, მოწაფური შეუსაბამობის ნაცვლად გამოეყენებინა ჩვენი ხალხური პოეზიის წყაროები: ამბავი იგორის ლაშქრობისა, რუსული ზღაპრები (რომლებიც ახლა ცნობილია კირმა დანაილოვის კრებულთ), ხალხური სიმღერები და, ამ წყაროებით შთაგონებულსა და გამსჭვალულს, მათს წმინდა ხალხურ საფუძველზე, გადაეწყვიტა ახალი რუსული ლიტერატურის შენობის აგება, — რა მოხდებოდა მაშინ? — კითხვა, როგორც ჩანს, დიდმნიშვნელოვანია, მაგრამ არსებითად ყოველად უაზროა, ისეთ კითხვას ჰგავს, როგორიცაა, მაგალითად, შემდეგი: რა მოხდებოდა, პეტრე დიდი საფრანგეთში რომ დაბადებულყო, ნაპოლეონი კი — რუსეთში, ანდა, რა მოხდებოდა, ზამთარს პირდაპირ ზაფხული რომ მოსდევდეს და არა გაზაფხული? და ა. შ. ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ ის, რაც იყო და რაც არის, მაგრამ საიდან უნდა ვიცოდეთ ის, რაც არ ყოფილა და რაც არ არის? რასაკვირველია, ისტორიის სფეროშიც ყოველგვარ წვრილმანი, სრულიად უმნიშვნელო, შემთხვევითი, შეიძლებოდა ისეთიც არ ყოფილიყო, როგორიც იყო; მაგრამ ისტორიის დიდი მოვლენები, რომელთაც გავლენა აქვთ ხალხთა მომავალზე, არ შეიძლება სხვანაირი იყვნენ, თუ არა სახელდობრ ისეთი, როგორიც არიან, რასაკვირველია, მათი მთავარი აზრის და არა გამოვლინების დეტალების მხრივ. პეტრე დიდს შეეძლო აეშენებინა პეტერბურგი, ვთქვათ, იქ, სადაც ახლა შლისელბურგია, ანდა, ყოველ შემთხვევაში, თუნდაც ცოტა უფრო ზემოთ, ე. ი. ზღვიდან დაშორებით, ვიდრე ახლა; შეეძლო ახალ სატახტო ქალაქად გადაექცია რეველი ან რიგა. ყოველივე ამაში დიდ როლს ასრულებდა შემთხვევითობა, სხვადასხვა გარემოება; მაგრამ საქმის დედაარსი იყო არა ეს, არამედ აუცილებლობა ახალი სატახტო ქალაქის აშენებისა ზღვის პირად, რაც საშუალებას მოგვცემდა ადვილად და მარჯვედ დავკავშირებოდით ევროპას. ამ აზრში უკვე აღარაფერი იყო შემთხვევითი, ისეთი, რაც თანაბრად შეიძლებოდა ყოფილი-

ყო და არ ყოფილიყო, ანდა ყოფილიყო სხვანაირად, ვიდრე ნამდვილად იყო. მაგრამ იმათთვის, ვისთვისაც არ არსებობს დიდი ისტორიული მოვლენების გონივრული აუცილებლობა, ჩვენ, თუ გნებავთ, მზად ვართ ვალიაროთ დიდი მნიშვნელობა კითხვისა: რა მოხდებოდა, ლომონოსოვს რომ ახალი რუსული ლიტერატურა დაეფუძნებინა ხალხურ საწყისზე? — და მათ ვუპასუხებთ, რომ აქედან სრულიად არაფერი არ გამოვიდოდა. ჩვენი ღარიბი ხალხური პოეზიის ერთფეროვანი ფორმები საკმარისი იყო ძველი რუსეთის ტომობრივი, ბუნებრივი, უშუალო, ნახევრად-პატრიარქალური ცხოვრების უკზლდული შინაარსის გამოსახატავად; მაგრამ ახალი შინაარსი არ ეგუებოდა ამ ფორმებს, არ თავსდებოდა მათში; მისთვის ფორმებიც ახალი იყო საჭირო. მაშინ ჩვენი ხსნა დამოკიდებული იყო არა ხალხურობაზე, არამედ ევროპეიზმზე; ჩვენი ხსნის გულისათვის მაშინ საჭირო იყო ჩვენი ხალხურობის არა ჩახშობა, არა მოსპობა (ეს ან შეუძლებელი საქმეა, ანდა, თუ შესაძლებელია, — დამლუპველია), არამედ მისი მსვლელობისა და განვითარების, ასე ვთქვათ, დროებით შეჩერება (suspendre), რათა მის ნიადაგზე დანერგილიყო ახალი ელემენტები. ვიდრე ეს ელემენტები ჩვენს ღვიძლ და მშობლიურ ელემენტებთან ისეთსავე ურთიერთობაში იყო, როგორც ზეთი წყალთან, — ჩვენში, ბუნებრივია, ყველაფერი რიტორიკა იყო — ზნე-ჩვეულებაც და მისი გამოხატულება — ლიტერატურაც. მაგრამ აქ იყო ცხოველი საწყისი ორგანული შეზრდისა, შეთვისების (assimilation) პროცესის მეშვეობით, და ამიტომ ლიტერატურა მკვდარი მიმბადველობის აბსტრაქტული საწყისიდან სულ უფრო და უფრო მიიწევდა თვითმყოფობის ცხოველი საწყისისაკენ. და, ბოლოს, ჩვენ მოვესწარით იმას, რომ ფრანგულ ენაზე გოგოლის რამდენიმე მოთხრობის თარგმნამ რუსულ ლიტერატურას მიაპყრო მთელი ევროპის განცვიფრებული ყურადღება, — განცვიფრებული-თქო ვამბობთ, იმიტომ რომ რუსული რომანები და მოთხრობები უცხო ენებზე წინათაც ითარგმნებოდა, მაგრამ ყურადღების ნაცვლად ისინი უცხოელებში იწვევდნენ

ჩვენთვის სრულიად არასაამაყო უყურადღებობას ჩვენი ლიტერატურისადმი იმ მიზეზის გამო, რომ ამ რუსულ მოთხრობებსა და რომანებს, მათს ენებზე თარგმნილს, ისინი სთვლიდნენ, პირიქით, მათი ენებიდან თარგმნილად: იმდენად უცხო იყვნენ ეს რომანები და მოთხრობები ყოველივე რუსულისათვის, იმდენად მოკლებული იყვნენ ყოველგვარ თვითმყოფობასა და ორიგინალობას.

კარამზინმა საბოლოოდ გაათავისუფლა რუსული ლიტერატურა ლომონოსოვის გავლენისაგან, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ მან სავსებით გაათავისუფლა ის რიტორიკისაგან და ნაციონალურ ლიტერატურად აქცია: მან ბევრი რამ გააკეთა ამისათვის, მაგრამ ეს ვერ გააკეთა, იმიტომ რომ ეს ჯერ კიდევ შორს იყო. პირველი რუსი ნაციონალური პოეტი იყო პუშკინი *; პუშკინით დაიწყო ჩვენი ლიტერატურის ახალი ხანა, რომელიც კიდევ უფრო მეტად ეწინააღმდეგება კარამზინის ხანას, ვიდრე ეს უკანასკნელი ლომონოსოვისას. კარამზინის გავლენა ჩვენს ლიტერატურაში დღემდე საგრძნობია, და მისგან სრული განთავისუფლება რუსული ლიტერატურის მიერ წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. მაგრამ ეს არა მარტო იოტისოდენადაც არ ამცირებს კარამზინის დამსახურებას. არამედ, პირიქით, ამ დამსახურების სიდიადეს მოწმობს: მწერლის გავლენაში საზიანოა მოძველებული, ჩამორჩენილი რამ, ხოლო იმისათვის, რომ ეს გავლენა ბატო-

* შეიძლება შეგვნიშონ, ჩვენს საკუთარ სიტყვებზე მითითებით, არა პუშკინი, არამედ კრილოვი; მაგრამ კრილოვი ზომ მხოლოდ იგავთმწერალი პოეტი იყო, მაშინ როდესაც ძნელი იქნებოდა ამნაირადვე ერთი სიტყვით განგვესაზღვრა, როგორი პოეტი იყო პუშკინი. კრილოვის პოეზია — საღია აზრის, ცხოვრების სიბრძნის პოეზიაა. და მისთვის უმაღლ, ვიდრე ყოველი სხვა პოეზიისათვის, შეიძლებოდა მზამზარეული შინაარსის პოვნა რუსეთის ცხოვრებაში. ამასთანავე თავისი ყველაზე კარგი, მაშასადამე, ყველაზე ხალხური იგავ-არაკები კრილოვმა დასწერა უკვე პუშკინის მოღვაწეობის ეპოქაში და, მაშასადამე, იმ ახალი მოძრაობის ეპოქაში, რომელიც პუშკინმა მისცა რუსულ პოეზიას.

ნობდეს სხვა დროშიც, საჭიროა იგი თავის დროში იყოს ახალა, ცხოველი, მშვენიერი და დიადი.

ლიტერატურის როგორც ხელოვნების, პოეზიის, შემოქმედების მიმართ, კარამზინის გავლენა ახლა სავსებით გაჭკრა ისე, რომ არავითარი კვალი არ დაუტოვებია. ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა ყველაზე უფრო ახლოა იმ სიმწიფესა და დავაყვაცებასთან, რაზედაც ლაპარაკით დავიწყეთ ეს სტატია. არ შეიძლება ეგრეთწოდებულ ნატურალურ სკოლას ვუსაყვედუროთ რიტორიკა, ვიგულისხმებთ რა ამ სიტყვით სინამდვილის ნებისთ თუ უნებლიეთ დამახინჯებას, ცხოვრების ყალბ გადვალებას. ამით ჩვენ სრულებითაც არ გვინდა ვთქვათ, თითქოს ყველა ახალი მწერალი, რომელთაც (მათდა საქებად თუ საძრახისად) ნატურალურ სკოლას აკუთვნებენ, ყველანი გენიოსები ან არაჩვეულებრივი ტალანტები იყვნენ; ამგვარი ბავშვური თავისმოტყუებისაგან ჩვენ შორსა ვართ. გოგოლის გამოკლებით, რომელმაც რუსეთში შექქნა ახალი ხელოვნება, ახალი ლიტერატურა და რომლის გენიალობაც უკვე დიდი ხანია აღიარებულია არა მარტო ჩვენ მიერ და არა მარტო რუსეთშიც კი, — ჩვენ ნატურალურ სკოლაში ვხედავთ საკმაო ტალანტებს, დაწყებული ფრიად შესანიშნავით და დამთავრებული სრულიად ჩვეულებრივით. მაგრამ არა ტალანტებში, არა მათს რიცხვში ვხედავთ ჩვენ საკუთრივ ლიტერატურის პროგრესს, არამედ მათს მიმართულებაში, მათი წერის მანერაში. ტალანტები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ წინათ ისინი ამკობდნენ ბუნებას, აიდეალებდნენ სინამდვილეს, ე. ი. გამოხატავდნენ არარსებულს, მოგვეთხრობდნენ მოგონილის შესახებ; ახლა კი ისინი წარმოსახვენ ცხოვრებასა და სინამდვილეს მათი ქეშმარიტი სახით. ამის გამო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საზოგადოების თვალში. ეურნალში რუსული მოთხრობა ურჩევნიათ თარგმნილს, და ისიც კი არ კმარა, რომ მოთხრობა რუსი ავტორის დაწერილი იყოს, არამედ საჭიროა, რომ რუსეთის ცხოვრებას გვიხატავდეს. თუ რუსულ მოთხრობებს არ ბეჭდავს, ახლა არც ერთ ეურნალს არ შეიძლება წარმატება ჰქონდეს. და ეს ახირება

ან მოდა კი არ არის, არამედ გონივრული მოთხოვნილებაა, რომელსაც ღრმა აზრი, ღრმა საფუძველი აქვს: მასში გამოიხატება რუსული საზოგადოების მისწრაფება თვითშეგნებისადმი, მამასადამე, ამ საზოგადოებაში ზნეობრივი ინტერესების, გონებრივი ცხოვრების აღძვრა. უკვე სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა ყოველი უცხო მდარე მწერალიც კი ყოველ რუსულ ტალანტზე მაღალი ეგონათ. რუსულმა საზოგადოებამ, რომელმაც იცის უცხოურის სამართლიანი დაფასება, უკვე საკუთარის დაფასებაც იცის, და მისთვის ერთნაირად უაზროა როგორც მკვებარობა, ისე თავის დამცარება. მაგრამ თუ რუსულ საზოგადოებას კარგი რუსული მოთხრობა უფრო აინტერესებს, ვიდრე ჩინებული უცხოური რომანო, —ამაში ჩანს მის მიერ წინ გადადგმული უდიდესი ხაბიჯი. ერთსა და იმავე დროს შეგეძლოს დაინახო უცხოურის უპირატესობა საკუთარის წინაშე და მაინც საკუთარს შესტრფოდე, —ეს ყალბი პატრიოტიზმი როდია, შეზღუდული მიკერძება როდია: ეს არის მხოლოდ კეთილშობილური და კანონიერი მისწრაფება საკუთარი თავის შეცნობისადმი...

ნატურალურ სკოლას ბრალად სდებენ მისწრაფებას—ყველაფერი გამოხატოს ცუდი მხრით. როგორც საერთოდ ხდება, ზოგის მხრივ ეს ბრალდება განზრახი ცილისწამებაა, ზოგის მხრივ—გულწრფელი სამღურავი. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ბრალდების შესაძლებლობა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ნატურალური სკოლა, მოუხედავად თავისი ძალიან დიდი წარმატებებისა, ჯერ კიდევ ცოტა ხანია არსებობს, რომ მას ჯერ კიდევ ვერ შეეჩვივნენ და რომ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია კარამზინისებური განათლების აღამიანები, რომელთაც რიტორიკა ანუგეშებს, ხოლო ქვემარტება აწუხებს. რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ ყველა ბრალდება ნატურალური სკოლის წინააღმდეგ ხელაღებით ყალბი იყოს, ხალხო ეს სკოლა ყველაფერში უცოდველად მართალი იყოს. მაგრამ მისი ჭარბი უარყოფითი მიმართულება ცალმხრივი უკიდურესობაც რომ იყოს, ამაშიც კი არის ერთგვარი სარგებლობა, ერთგვარი სიკეთე: ცხოვრების უარყოფითი მოვლე-

ნების ქეშმარიტად გამოხატვის ჩვეულება საშუალებას მისცემს იმავე ადამიანებს ან მათ მიმდევრებს, როცა დრო დადგება, ქეშმარიტად გამოხატონ ცხოვრების დადებითი მოვლენებიც ისე, რომ არ შეაყენონ ისინი ორჩოფეხაზე, არ გააზვიადონ, ერთი სიტყვით, რიტორიკულად არ გააიდვალონ ისინი.

მაგრამ საკუთრივ ბელეტრისტული სამყაროს გარეთ კარამზინის გავლენა დღემდე ჯერ კიდევ ძალიან საგრძნობია. ამას ყველაზე უკეთ მოწმობს ეგრეთწოდებული სლავიანოფილური პარტია. ცნობილია, რომ კარამზინი ივანე III-ეს პეტრე დიდზე მალლა აყენებდა, ხოლო პეტრეს წინააღმდეგ რუსეთს ახალ რუსეთზე უკეთესად სთვლიდა. აი წყარო ეგრეთწოდებული სლავიანოფილობისა, რომელსაც ჩვენ, თუშცადა, მრავალმხრივ ფრიად მნიშვნელოვან ძოვლებად ვთვლით, რაც, თავის მხრივ, მოწმობს, რომ ჩვენი ლიტერატურის სიმწიფისა და დავაყვაცების დრო ახლოა. ლიტერატურის ყრობის ხანაში ყველას ყურადღებას იპყრობს ისეთი საკითხები, რომლებიც თავისთავად დიდმნიშვნელოვანიც კი არის, მაგრამ რომელთა საქმიანად გამოყენება ცხოვრებაში შეუძლებელია. ეგრეთწოდებული სლავიანოფილობა, საეცებით უეჭველია, ჩვენი საზოგადოებრიობის ყველაზე საარსებო, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. როგორ ეხება ის ამ საკითხებს და როგორ უცქერის მათ—ეს სხვა საქმეა. მაგრამ უწინარეს ყოვლისა სლავიანოფილობა არის რწმენა, რომელიც, როგორც ყოველი რწმენა, სრული პატივისცემის ღირსია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ მას სრულებით არ ეთანხმებით¹⁰. სლავიანოფილები ჩვენში ბევრხი არიან, და მათი რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს: ეს არის ფაქტი, რომელიც აგრეთვე სლავიანოფილობის სასარგებლოდ მეტყველებს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ჩვენი ლიტერატურა, ხოლო მასთან ერთად საზოგადოების ნაწილიც, თუ მთელი საზოგადოება არა, ორ მხარედ გაიყო—სლავიანოფილებად და არა-სლავიანოფილებად. ბევრი რამ შეიძლება ითქვას სლავიანოფილობის სასარგებლოდ, როცა

მის გამომწვევ მიზეზებზე ვლაპარაკობთ; მაგრამ როცა მას ახლოს გავსინჯავთ, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამ ლიტერატურული წრის არსებობა და მნიშვნელობა სავსებით უარყოფილია, რომ ის გაჩენილია და ცოცხლობს არა თავისი თავისათვის, არამედ სწორედ იმ იდეის გამართლებისა და დამკვიდრებისათვის, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც გასწირა თავისი თავი. ამიტომ სრულიად საინტერესო არ არის ველაპარაკოთ სლავიანოფილებს იმაზე, რაც მათ სურთ, და თვითონ ისინიც უხალისოდ ლაპარაკობენ და სწერენ ამაზე. თუმცა სულაც არ მალავენ ამას. საქმე ისაა, რომ მათი დოქტრინის დადებითი მხარე მდგომარეობს დასავლეთზე აღმოსავლეთის გამარჯვების რაღაც ბუნდოვან. მისტიკურ წინათგარძნობებში, რომელთა უსაფუძვლოებას მეტონიმულად ნათლად ამჟღავნებენ სინამდვილის ფაქტები, ყველანი ერთად და თითოეული ცალცალკე. მაგრამ მათი მოძღვრების უარყოფითი მხარე გაცოლებით მეტი ყურადღების ღირსია, არა იმიტომ, რასაც ის ლაპარაკობს თითქოსდა ღობადი დასავლეთის წინააღმდეგ (დასავლეთი სლავიანოფილებს სრულებით ვერ გაუგიათ, იმიტომ რომ მას აღმოსავლეთის არშინით ზომავენ), არამედ იმიტომ, რასაც ისინი რუსული ევროპეიზმის წინააღმდეგ ლაპარაკობენ, ამის შესახებ კი ისინი ბევრ საქმიან რამეს ამბობენ, რასაც აქ შეიძლება თუნდაც სანახევროდ არ დავეთანხმოთ, როგორც, მაგალითად, იმას, რომ რუსეთის ცხოვრებაში არის რაღაც ორმაგობა, მაშასადამე, არ არის ზნეობრივი ერთიანობა; რომ ეს ჩვენ გვიკარგავს მკვეთრად გამოხატულ ნაციონალურ ხასიათს, რითაც, მათდა სასახელოდ, განიჩევა ევროპის თითქმის ყველა ხალხი; რომ ეს ჩვენ გვაქცევს რაღაც ჭკუამოკლე ადამიანებად, რომელთაც ემარჯვებათ ფრანგულად, გერმანულად და ინგლისურად აზროვნება, მაგრამ სრულებით არ შეუძლიათ რუსულად აზროვნება; და რომ ყოველივე ამის მიზეზია პეტრე დიდის რეფორმა. ყველაფერი ეს ერთგვარად მართალია. მაგრამ არ შეიძლება შევჩერდეთ რაიმე ფაქტის სიმართლის აღიარებაზე, არამედ საჭიროა გამოვარკვიოთ მისი მიზეზი იმ იმედით,

რომ თვით ბოროტებაში ვიპოვნოთ მისგან გამოსასვლელი საშუალებებიც. ამას სლავიანოფილები არ აკეთებდნენ და ვერ გააკეთეს; მაგრამ სამაგიეროდ სლავიანოფილებმა თავიანთი მოწინააღმდეგენი აიძულეს თუ არ გააკეთონ, აკეთონ მაინც ეს. და აი სად არის მათი ჭეშმარიტი დამსახურება. პატივმოყვარე ოცნებებში ჩაძინება, — რასაც უნდა შეეხებოდეს ეს ოცნება — ჩვენს სახალხო დიდებას, თუ ჩვენს ევროპეიზმს. — ერთნაირად უნაყოფო და საზიანოა, ვინაიდან ძილი ცხოვრება კი არ არის, არამედ მხოლოდ ოცნებაა ცხოვრებაზე; და არ შეიძლება ზადლობა არ უთხრა იმას, ვინც ასეთ ძილს შეგაწყვეტინებს. მართლაცდა, რუსეთის ისტორიის შესწავლას არასოდეს ისეთი სერიოზული ხასიათი არა ჰქონია, როგორც უკანასკნელ ხანს მიიღო. ჩვენ ვეკითხებით და ვიკვლევთ წარსულს იმისათვის, რომ მან აგვიხსნას ჩვენი აწმყო და გადაკვრით მიგვიტოლოს ჩვენს მომავალზე. ჩვენ თითქო შიშმა შეგვიპყრო ჩვენი ცხოვრების, ჩვენი მნიშვნელობის, ჩვენი წარსულისა და მომავლის გამო, და გვინდა რაც შეიძლება ძალე გადაეწყვიტოთ ყოფნა — არყოფნის დიდი კითხვა. აქ უკვე საქმე ეხება არა იმას, თუ საიდან მოვიდნენ ვარაგები — დასავლეთიდან თუ სამხრეთიდან, ბალტიის ზღვის თუ შავი ზღვის გაღმიდან; არამედ იმას, გასდევს თუ არა ჩვენს ისტორიას რაიმე ცხოველი ორგანული აზრი, და, თუ გასდევს, სახელდობრ რა, როგორია ჩვენი დამოკიდებულება ჩვენს წარსულთან, რომელსაც ჩვენ თითქოს მოწყვეტილი ვართ, და დასავლეთთან, რომელთანაც ჩვენ თითქოს დაკავშირებული ვართ. და ამ ჰაპანსაწყვეტი და მშფოთვარე გამოკვლევების შედეგად თანდათან ცხადი ხდება, რომ, ჯერ-ერთი, ჩვენ არც ისე მკვეთრად ვყოფილვართ მოწყვეტილი ჩვენს წარსულს, როგორც გვეგონა, და არც ისე მკიდროდ დაკავშირებული ვყოფილვართ დასავლეთთან, როგორც წარმოგვედგინა. როდესაც რუსი საზღვარგარეთ იმყოფება, მას უსმენენ, მისდამი ინტერესს იჩენენ არა მაშინ, როცა იგი ჭეშმარიტ-ევროპულად მსჯელობს ევროპის საკითხებზე, არამედ მაშინ, როცა ამ საკითხებზე მსჯელობს როგორც რუსი,

თუნდაც ამ მიზეზით მისი მსჯელობა ყალბი, მიკერძებითი, შეზღუდული, ცალმხრივი იყოს. და ამიტომ იგი იქ გრძნობს, რომ საჭიროა თავისი ეროვნების ხასიათი შიილოს და, რაკი უკეთესი რამ არ გააჩნია, ზოგჯერ სლავიანოფილა ხდება", თუნდაც დროებით და თანაც არაგულწრფელად, რათა რაიმედ მაინც მოჩანდეს უცხოელთა თვალში. ძვირე მხრივ, როცა ჩვენს ნამდვილ მდგომარეობას მივმართავთ და მას ეჭვისა და კვლევის თვალთ ვუცქერით, არ შეგვიძლია არ დავინახოთ, თუ რა მრავალმხრივ სასაცილოდ და სავალალოდ დაგვამშვიდა ჩვენმა რუსულმა ევროპეიზმმა ჩვენს რუსულ ნაკლოვანებათა თაობაზე, როგორ მიჩქმალა და შეალამაზა, მაგრამ სრულებითაც ვერ წაშალა ეს ნაკლოვანებანი. და ამ მხრივაც საზღვარგარეთ მოგზაურობა ფრიად სასარგებლოა ჩვენთვის: მრავალი რუსი მიემგზავრება იქ როგორც თავგამოდებული ევროპელი, ხოლო იქიდან ისე ბრუნდება, რომ თვითონ აღარ იცის ვინ არის, და სწორედ ამიტომ გამსჭვალულია იმის გულწრფელი სურვილით, რომ რუსი გახდეს. რას ნიშნავს ყოველივე ეს? — ნუთუ სლავიანოფილები მართალი არიან, და პეტრე დიდის რეფორმამ ჩვენ მხოლოდ ეროვნულობა წაგვართვა და ჰქუამოკლე ადამიანებად გვაქცია? და ნუთუ ისინი მართალი არიან, როცა ამბობენ, რომ საჭიროა დავებრუნდეთ ზღაპრული გოსტომისლისა თუ მეფე ალექსი მიხეილის-ძის დროინდელ საზოგადოებრივ წყობასა და ზნე-ჩვეულებებს?.. (ამის თაობაზე თვითონ ბატონი სლავიანოფილები ჯერ კიდევ ვერ შეთანხმებულან ერთმანეთთან).

არა, ეს სულ სხვა რამეს ნიშნავს, სახელდობრ იმას, რომ რუსეთმა სავსებით ამოსწურა, განვლო გარდაქმნის ეპოქა. რომ რეფორმამ შეასრულა იქ თავისი საქმე, გააკეთა მისთვის ყველაფერი, რაც შეეძლო და უნდა გაეკეთებინა, და რომ რუსეთისათვის დადგა დრო დამოუკიდებლად, თვითონ ვითარდებოდეს. მაგრამ რეფორმის ეპოქისათვის გვერდის ავლა, მასზე, ასე ვთქვათ, გადახტომა და მის წინამორბედ დროებაზე დაბრუნება,—ნუთუ ეს ნიშნავს დამოუკიდებლად განვი-

თარებას? ასე ფიქრი სასაცილო იქნებოდა უკვე მარტოდენ იმიტომ, რომ ეს ისევე შეუძლებელია, როგორც წლის დროთა-რიგის შეცვლა, როგორც ის, რომ ზამთარი აიძულო გაზაფხულს მოჰყვეს, ხოლო ზაფხული—შემოდგომას. ეს იმის მომსწავებელი იქნებოდა, რომ გველიარებინა პეტრე დიდის გამოჩენა, მისი რეფორმა და რუსეთში მომხდარი მომდევნო მოვლენები (შესაძლოა, თვით 1812 წლამდე—იმ ეპოქამდე, რომლითაც რუსეთისათვის დაიწყო ახალი ცხოვრება), — გველიარებინა ისინი შემთხვევითად, რაღაც საშინელ სიზმრად, რომელიც მაშინვე ჰქრება და ისპობა, როგორც კი გამოღვიძებული ადამიანი თვალს გაახელს. მაგრამ ასე ფიქრი მხოლოდ ბატონ მანილოვებს სჩვევიათ. ამგვარი მოვლენები ხალხის ცხოვრებაში იმდენად დიდია, რომ არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, და ხალხის ცხოვრება უმწეო ნავი როდია, რომ ყოველ ადამიანს შეეძლოს ნიჩბის მსუბუქი მოსმით ის მიმართულება მისცეს მას, როგორსაც მოისურვებს. ნაცვლად იმისა, რომ შეუძლებელზე ვიფიქროთ და ისტორიულ ბედობაში ჩვენი პატივმოყვარე ჩარევით ყველა გავაცინოთ, გაცილებით უკეთესიკ ვადიაროთ არსებულის გარდუვალი და უცვლელი სინამდვილე და ვიმოქმედოთ მის საფუძველზე, ვიხელმძღვანელოთ გონებითა და საღი აზრით და არა მანილოვისებური ფანტაზიებით. ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ არა იმის შეცვლაზე, რაც ჩვენს დაუკითხავად მოხდა, და რაც ჩვენს ნებისყოფას დასცინის, არამედ იმაზე, რომ ჩვენზე უმაღლესი ნებისყოფის მიერ ჩვენთვის უკვე ნაჩვენები გზის საფუძველზე შევცვალოთ ჩვენი თავი. საქმე ის არის, რომ დროა მოჩვენებითნი კი აღარ ვიყოთ, არამედ არსებულნი გავხდეთ. დროა მივატოვოთ, როგორც ცუდი ზნე, ის წესი, რომ სიტყვებით ვკმაყოფილდებით და ევროპულ ფორმებსა და გარეგნობას ევროპეიზმად ვთვლით. მეტსაც ვიტყვით: დროა თავი დავენებოთ ევროპულით აღტაცებას მხოლოდ იმიტომ, რომ ის აზიური არ არის, მაგრამ გვიყვარდეს ის, პატივს ვსცემდეთ, ვესწრაფოდეთ მას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ადამიანურია, და ამ საფუძველზე ყველაფერი ევროპული, რაშიაც არ არის

ადამიანური, იქეთივე ენერგიით უკუვაგდოთ, როგორცაც უკუვაგდებთ ყოველივე აზიურს, რაშიაც ადამიანური არ არის. ევროპული ელემენტები რუსულ ცხოვრებაში, რუსულ ზნე-ჩვეულებებში იმდენად ბევრი შემოვიდა, რომ ჩვენი მოთხოვნილებების შესაგნებად სრულებით არ გვესაჭიროება განუწყვეტლივ მივმართავდეთ ევროპას: იმის საფუძველზეც, რაც უკვე შეგვითვისებია ევროპისაგან, საკმაოდ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, რაც გვესაჭიროება.

ვიმეორებთ: სლავიანოფილები მრავალმხრივ მართალი არიან; მაგრამ მიუხედავად ამისა მათი როლი აშკარად უარყოფითია, თუმცა ერთხანს სასარგებლო. მათი უცნაური დასკვნების მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დროს თვითნებურად უსწრებენ, განვითარების პროცესს მის შედეგად იღებენ, უნდათ ნაყოფი იხილონ ყვავილზე ადრე, და, რაკი ფოთლები უგემური აღმოჩნდა, ნაყოფს დამპლად აცხადებენ და წინადადებას გვაძლევენ თვალუწვდენ სივრცეზე გაშლილი უზარმაზარი ტყე სხვა ადგილას გადავრგოთ და მას სხვანაირად მოვუაროთ. მათი აზრით, ეს ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია! მათ დაივიწყეს, რომ ახალი პეტრესეული რუსეთი ისევე ახალგაზრდაა, როგორც ჩრდილოეთი ამერიკა, რომ მას გაცილებით უფრო დიდი მომავალი აქვს, ვიდრე წარსული. მათ დაივიწყეს, რომ გაჩაღებული პროცესის დროს ხშირად განსაკუთრებით გეცემათ თვალში სწორედ ის მოვლენები, რომლებიც, პროცესის დამთავრების შემდეგ, უნდა გაქრნენ, და ხშირად სწორედ ის არა ჩანს. რაც შემდგომში პროცესის შედეგად უნდა მოგვევლინოს. ამ მხრივ სრულებითაც არ არის საჭირო რუსეთის შედარება ევროპის ძველ სახელმწიფოებთან, რომელთა ისტორია ჩვენი ისტორიის დიამეტრალურად საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა და უკვე დიდი ხანია ყვავილიც გამოიღო და ნაყოფიც. სანებით უეჭველია, რუსს უფრო ეადვილება ფრანგის, ინგლისელის ან გერმანელის შეხედულების შეთვისება, ვიდრე დამოუკიდებლად, რუსულად აზროვნება, იმიტომ რომ ის მზამზარეული შეხედულებაა, რომელსაც ერთნაირად იოლად

აქნობს მას მეცნიერებაც და თანამედროვე სინამდვილეს; მაშინ როდესაც რუსი თვით თავისი თავის მიმართ ჯერ კიდევ გამოცანაა, იმიტომ რომ მისთვის მისი სამშობლოს წინაშე ენობა და ბედი ჯერ კიდევ გამოცანაა, სამშობლოსი, სადაც ყველაფერი ჩანასახს, დასაწყისს წარმოადგენს და არაფერი არ არის გარკვეული, განვითარებული, ჩამოყალიბებული. ცხადია, ამასი არის რაღაც სევდის მომგვრელი, მაგრამ რა ბევრი რამ არის ამასივე სასურველი! მუხა ნელა იზრდება, მაგრამ სამაგიეროდ საუკუნეებს ცოცხლობს. ადამიანს სჩვევია თავისი სურვილების მალე აღსრულების წადილი, მაგრამ ნადრევი მომწიფება საიმედო როდია; ჩვენ უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, უნდა დავრწმუნდეთ ამ ქეშმარიტებაში. ცნობილია, რომ ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები იძღენად ნაციონალურნი არიან თითოეული თავისებურად, რომ არ ძალუძთ ერთმანეთს გაუგონ, მაშინ როდესაც რუსისათვის თანაბრად მისაწვდომია ფრანგის სოციალურობაც, ინგლისელის პრაქტიკული საქმიანობაც და გერმანელის ბუნდოვანი ფილოსოფიაც. ზოგი ამასი ხედავს ჩვენს უპირატესობას ყველა სხვა ხალხის წინაშე; სხვებს აქედან გამოჰყავს მეტად სავალალო დასკვნები უნებისყოფობის შესახებ, რაც ჩვენ პეტრეს რეფორმამ ჩაგვინერგა; ვინაიდან, ამბობენ ისინი, ვისაც თავისი ცხოვრება არა აქვს, მას ვადვილება სხვისი ცხოვრების მიბაძვა, ვისაც თავისი ინტერესები არა აქვს, მისთვის ადვილია სხვისი ინტერესების გაგება; მაგრამ სხვისი ცხოვრების მიბაძვა ცხოვრებას არ ნიშნავს, სხვისი ინტერესების გაგება მათს შეთვისებას არ ნიშნავსო. ამ უკანასკნელ აზრში ბევრი სიმართლეა, მაგრამ ქეშმარიტებას მთლად მოკლებული არ არის პირველი აზრიც, რარიც ქედმაღლურიც უნდა იყოს იგი. უწინარეს ყოვლისა ვიტყვით, რომ გადაჭრით არა გვწამს იმ ხალხთა მტკიცე პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი არსებობის შესაძლებლობა, რომლებიც მოკლებული არიან ეროვნულობას, მაშასადამე, წმინდა გარეგნული ცხოვრებით ცხოვრობენ. ევროპაში არსებობს ერთი ასეთი მრავალი ეროვნებისაგან შეკოწიწებული ხელოვნური სახელმწი-

ფო", მაგრამ ვინ არ იცის, რომ მისი სიმტკიცე და ძალა დროებითია?.. ჩვენ, რუსებს, ჩვენს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაში დასაქვებელი არაფერი გვაქვს: ყველა სლავური ტომიდან მხოლოდ ჩვენ ჩამოვყალიბდით მტკიცე და მძლავრ სახელმწიფოდ, და როგორც პეტრე დიდამდე, ისე მის შემდეგაც დღევანდლამდე, სასახლოდ გავუძელებთ არა ერთ მკაცრ განსაცდელს, არა ერთხელ ვყოფილვართ დალუპვის პირად და ყოველთვის მოგვისწრია გადარჩენა, ხოლო შემდეგ ახალი და მეტი ძალითა და სიმტკიცით გამოვიჩენილვართ. იმ ხალხში, რომელიც მოკლებულია შინაგან განვითარებას, არ შეიძლება იყოს ეს სიმტკიცე, ეს ძალა. დიახ, ჩვენში არის ნაციონალური ცხოვრება, ჩვენ მოწოდებული ვართ ვუთხრათ მსოფლიოს ჩვენი სიტყვა, ჩვენი აზრი; მაგრამ რა სიტყვაა ეს, რა აზრია,—ამაზე თავის მტკიცე ჯერ ნადრევიანა. ჩვენი შვილიშვილები ან შვილთა შვილიშვილები გაიგებენ ამას სრულიად დაუძაბავად, იმიტომ რომ ამ სიტყვას, ამ აზრს ისინი იტყვიან... რადგან რუსული ლიტერატურა ჩვენი სტატიის მთავარი საგანია, ამ შემთხვევაში სავსებით ბუნებრივი იქნება ის დავიმოწმეთ. სულ რაღაც ასშვიდი წელია, რაც ეს ლიტერატურა არსებობს, მაგრამ მასში უკვე არის რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც უცხოელებს მხოლოდ იმიტომ აინტერესებთ, რომ თავიანთ ლიტერატურათა ნაწარმოებებს არ ამსგავსებენ, მაშასადამე, ორიგინალურ, თვითმყოფ, ე. ი. ეროვნულ-რუსულ ნაწარმოებებად სთვლიან. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს რუსული ეროვნულობა,—ამის განსაზღვრა ჯერ კიდევ არ შეიძლება; ჩვენთვის ჯერჯერობით ისიც კმარა, რომ მისი ელემენტები უკვე იწყებენ გამოჩენას და გამოაშკარავენას იმ უფერულობისა და მიმბაძველობის პირობებში, რომელშიაც პეტრე დიდის რეფორმამ ჩაგვაგდო...

რაც შეეხება იმ მრავალმხრივობას, რომლითაც რუს ადამიანს გაეგება მისთვის უცხო ეროვნებებისა, — ეს ერთსა და იმავე დროს მისი სუსტი მხარეცაა და ძლიერიც. სუსტია

იმიტომ, რომ ამ მრავალმხრივობას მართლაც ბევრად უწყობს ხელს მისი ნამდვილი დამოუკიდებლობა საკუთარი ნაციონალური ინტერესების ცალმხრივობისაგან. მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ ხელს უწყობს ამ მრავალმხრივობას, ხოლო საეკვივოა ასე თუ ისე დარწმუნებით ვთქვათ, რომ ეს დამოუკიდებლობა წარმოშობდეს ამ მრავალმხრივობას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვგონია, მეტიმეტი გამბედაობა იქნებოდა მდგომარეობას მივაწეროთ ის, რაც ყველაზე უფრო უნდამიეწეროს ბუნებრივ ნიჭიერებას¹³. რადგან მკითხაობა და ოცნება არ გვიყვარს და ყველაზე უფრო გვეშინია თვითნებური დასკვნებისა, რომელთაც მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობა აქვთ¹⁴, ჩვენ არ ვამტკიცებთ, როგორც უცილობელ რამეს, რომ რუსი ხალხი მოწოდებულია თავისი ნაციონალიზმით¹⁵ გამოხატოს ყველაზე მდიდარი და მრავალმხრივი შინაარსი, და რომ ეს არის მიზეზი მისი განსაცვიფრებელი უნარისა — აღიქვას და შეითვისოს ყოველივე ის, რაც მისთვის უცხოა; მაგრამ ვბედავთ ვიფიქროთ, რომ ამგვარი აზრი. როგორც ვარაუდი, ბაქიბუქისა და ფანატიზმის გარეშე გამოთქმული, საფუძველს მოკლებული როდია...¹⁶

ბ-ნ სლავიანოფილებს ვთხოვთ გვაპატიონ, თუ მათ ისეთი რამ მივაწერეთ, რასაც ისინი არ ფიქრობდნენ ან არ ლაპარაკობდნენ; თუ მათ შეუძლიათ გვისაყვედურონ რაიმე ამგვარი, ჩასთვალონ ეს ჩვენს უბრალო და უნებლიე შეცდომად. როგორიც უნდა იყოს მათი წარმოდგენები, ანუ; ჩვენებურად, შეცდომები, ჩვენ პატივსა ვსცემთ მათს წყაროს. ჩვენ შეგვიძლია თანავუგრძნოთ ყოველგვარ გულწრფელ, დამოუკიდებელ და კეთილშობილურ რწმენას, მის საწყისში, ისე. რომ არათუ არ გავიზიაროთ ის, არამედ დავინახოთ კიდევ მასში ჩვენი რწმენისადმი დიამეტრალური წინააღმდეგობა. თუ ვის მხარეზეა ჭეშმარიტება — ამას განსჯის დრო—ყველა გონებრივი და თეორიული დავის დიდი და შეუმცდარი მსაჯული. ეურნალმა, რომელიც ახლა ერთადერთი დარჩა სლავიანოფილური მიმართულების ორგანოდ, ოდესღაც „შე-

ურიგებელი მტრობა“ გამოუცხადა ყოველგვარ საწინააღმდეგო მიმართულებას¹⁷. რაც შეგვეხება ჩვენ, გვაქვს რა ჩვენი გარკვეული მიმართულება, ჩვენი მტკიცე რწმენა, რომელიც ქვეყნად ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია, ჩვენც მზად ვართ მთელი ჩვენი ძალებით დავიცვათ ისინი და ამასთან ერთად შევებრძოლოთ ყოველგვარ საწინააღმდეგო მიმართულებასა და რწმენას; მაგრამ ჩვენ გვინდა ღირსეულად დავიცვათ ჩვენი აზრები, ხოლო საწინააღმდეგო აზრებს შევებრძოლოთ მტკიცედ და მშვიდად, ყოველგვარი მტრობის გარეშე. რა საჭიროა მტრობა? ვინც მტრობს, ის ბრაზობს, ხოლო ვინც ბრაზობს, ის გრძნობს, რომ მართალი არ არის. ჩვენ თავმოყვარეობა გვაქვს იმდენად მართალი მიგვაჩნდეს ჩვენი თავი ჩვენი რწმენის მთავარ საფუძვლებში, რომ სრულებით არ გვესაჭიროება ვუმტროთ ვისმე და გავბრაზდეთ, ერთმანეთში ავრიოთ იდეები და პიროვნებანი და აზრთა კეთილშობილური და მართებული ბრძოლის ნაცვლად პიროვნებათა და თავმოყვარეობათა უსარგებლო და არასაკადრისი ბრძოლა ავტეხოთ...

ქვეყნად არა არის რა უცილობლად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო¹⁸. ამ ჭეშმარიტების წინააღმდეგ დავა შეუძლიათ მხოლოდ იმ განსაკუთრებულად თეორიული ბუნების ადამიანებს, რომლებიც მანამდე არიან ჭკვიანნი, სანამ ზოგად განყენებულ სფეროებში დაჰქრიან, ხოლო როგორც კი ზოგადის კერძოს მიმართ გამოყენების სფეროში, ერთი სიტყვით, სინამდვილის სამყაროში დაეშვებიან, მათი ტვინის ნორმალური მდგომარეობის მხრივ მყისვე საექვონი აღმოჩნდებიან¹⁹. ასეთ ადამიანებზე ჩვენებურად იტყვიან, ტვინი ეღრძოთო,— და ეს იმდენადვე ღრმავროვანი თქმაა, რამდენადაც სამართლიანი, იმიტომ რომ იგი ადამიანებში ჭკუა-გონებას როდი უარჰყოფს, არამედ მხოლოდ მიუთითებს მათს არასწორ, უკულმართ მოქმედებებზე, თითქოს მანქანის ორ გაფუჭებულ თვალზე, რომლებიც ერთიმეორის მაგივრად მოქმედებენ, წინააღმდეგ თავისი დანიშნულებისა, და ამით მთელ მანქანას სახმარად უვარგისს ხდიან. მაშ ასე: ამ ქვეყნად ყველა-

ფერი მხოლოდ შეფარდებით არის მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, დიდი თუ მცირე, ძველი თუ ახალი. „როგორ,— გვეტყვიან,— ჭეშმარიტება და სათნოება შეფარდებითი ცნებებია?“ — არა, როგორც ცნებები, როგორც აზრი, ისინი უცილობელი და მარადიული არიან; მაგრამ როგორც განხორციელება, როგორც ფაქტი, ისინი შეფარდებითი არიან. ჭეშმარიტებისა და სიკეთის იდეას ყველა ხალხი სცნობდა. ყველა საუკუნეში; მაგრამ რაც ერთი ხალხისათვის ან საუკუნისათვის უცილობელი ჭეშმარიტება და სიკეთეა, ის სხვა ხალხისათვის, სხვა საუკუნეში ხშირად სიცრუე და ბოროტებაა ხოლმე. ამიტომ მსჯელობის უცილობელი ანუ აბსოლუტური წესი ყველაზე ადვილია, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე არასაიმედოც არის; ახლა მას აბსტრაქტული ანუ განყენებული ეწოდება. იმაზე ადვილი არაფერია, ვიდრე იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა იყოს ადამიანი ზნეობრივი მხრით: მაგრამ იმაზე ძნელი არაფერია, ვიდრე იმის ჩვენება, თუ რატომ იქცა აი ეს ადამიანი იმად, რასაც ის წარმოადგენს, და არა იმად, რადაც იმ ზნეობრივი ფილოსოფიის თეორიის მიხედვით უნდა გამხდარიყო.

აი თვალსაზრისი, რომლითაც ჩვენ თანამედროვე რუსული ლიტერატურის სიმწიფის ნიშნებს ვპოულობთ, როგორც ჩანს, სრულიად ჩვეულებრივ მოვლენებში. შეხედეთ, ყური დაუგდეთ: ყველაზე მეტად რაზე ლაპარაკობენ ჩვენი ჟურნალები? — ხალხურობაზე, სინამდვილეზე. ყველაზე მეტად რას ესხმიან თავს ისინი? — რომანტიზმს, შეოცნებებობას, განყენებულობას. ზოგიერთ ამ საგანზე წინათაც ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ მას სხვა აზრი, სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. „სინამდვილის“ ცნება სრულიად ახალია. რომანტიზმს წინათ ისე უყურებდნენ, როგორც ადამიანური სიბრძნის აღფასა და ომეგას, და მარტოოდენ მასში ეძებდნენ ყველა საკითხის გადაწყვეტას; „ხალხურობის“ ცნებას წინათ მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული მნიშვნელობა ჰქონდა, ცხოვრებაში რაიმე გამოყენების გარეშე. ის, თუ გნებავთ, ახლაც უმთავრესად ლიტერატურის სფეროში ტრიალებს;

მაგრამ განსხვავება ის არის, რომ თვით ლიტერატურა ახლა ცხოვრების გამოძახილი გახდა. სხვა საკითხია, თუ როგორ მსჯელობენ ახლა ამ საგნებზე: ჩვეულებისამებრ, ზოგნი უკეთესად, ზოგნი—უარესად, მაგრამ თითქმის ყველანი ერთნაირად იმ მხრივ, რომ ამ საკითხების გადაწყვეტაში თითქოს საკუთარ ხსნას ხედავენ. განსაკუთრებით „ხალხურობის“ საკითხი საყოველთაო საკითხად იქცა და ორი უკიდურესობით გამოვლინდა. ზოგმა ხალხურობაში აურია ძველი ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც ახლა მხოლოდ მდაბიო ხალხშია დარჩენილი, და მათ არ უყვართ, რომ მათთან უპატივცემლოდ მოიხსენიონ გაჭვარტლული და ბინძური ქოხი, ბოლოკი და ბურახი, თუნდაც რახი; ზოგნი, რომელთაც შეგნებული აქვთ უმაღლესი ნაციონალური საწყისის საჭიროება და სინამდვილეში მას ვერ პოულობენ, თავს იტყვენ, რომ საკუთარი გამოიგონონ და ბუნდოვნად, ქარაგმებით მიგვითითებენ თავმდაბლობაზე, როგორც რუსული ეროვნულობის გამოხატულებაზე. პირველებთან დავა სასაცილოა; მეორეთ კი შეიძლება შევნიშნოთ, რომ თავმდაბლობა, გარკვეულ შემთხვევებში, ფრიად საჭებური სათნობაა ყოველი ქვეყნის ადამიანისათვის, ფრანგისთვისაც ისე, როგორც რუსისთვის. ინგლისელისთვისაც ისე, როგორც თურქისთვის, მაგრამ საეჭვოა, რომ მარტოოდენ მას შეეძლოს შეადგინოს ის, რასაც „ხალხურობა“ ეწოდება. ამასთან ეს თვალსაზრისი, შესაძლოა, თეორიულად ჩინებული, არც თუ სავსებით შეესაბამება ისტორიულ ფაქტებს. ჩვენი სამთავრო პერიოდი ამპარტავნობითა და მოჩხუბრობით უფრო განირჩევა, ვიდრე თავმდაბლობით. თათრებს ჩვენ დავნებდით სრულიადაც არა თავმდაბლობის გამო (რაც ჩვენთვის ღირსება კი არ იქნებოდა, არამედ სირცხვილი, ისევე როგორც ყოველი სხვა ხალხისათვის), არამედ უძლურების მიზეზით, იმის შედეგად, რომ ჩვენი ძალები დაქსაქსული იყო გვაროვნული²⁰ ტომობრივი საწყისით, რომელიც საფუძვლად ედო იმდროინდელი მართვა-გამგეობის სისტემას. ივანე კალიტა ცბიერი იყო და არა თავმდაბალი; სიმონს „ამაყიც“ კი უწოდეს; ეს მთავრე-

ბი კი მოსკოვის სამეფოს ძალის მამამთავრები იყვნენ; დიმიტრი დონსკოიმ ხმლით და არა მორჩილებით უწინასწარმეტყველა თათრებს რუსეთზე მათი ბატონობის აღსასრული. ივანე III და IV, ორივე „მრისხანედ“ წოდებული, თავმდაბლობით როდი ხასიათდებოდნენ. მხოლოდ სუსტი თევდორე წარმოადგენს წესის გამონაკლისს. და საზოგადოდ, რაღაც უცნაურია თავმდაბლობაში ვხედავდეთ იმ მიზეზს, რომლის გამოც სრულიად უმნიშვნელო მოსკოვის სამთავრო შემდგომში იქცა ჯერ მოსკოვის სამეფოდ, ხოლო მერმე რუსეთის იმპერიად, რომელმაც ორთავიანი არწივის ფრთები გადააფარა, როგორც თავის საკუთრებას, — ციმბირს, ძალორსიას, ბელორუსიას, ნოვოროსიას, ყირიმს, ბესარაბიას, ლიფლანდიას, ესტლანდიას, კურლანდიას, ფინეთს, კავკასიას... რასაკვირველია, რუსეთის ისტორიაში შეიძლება ვიპოვნოთ გასაოცარი ნიშნები თავმდაბლობისა, ისე როგორც სხვა სათნოებისაც, მთავრობისა და კერძო პირთა მხრივ; მაგრამ რომელი ხალხის ისტორიაში არ შეიძლება ვიპოვნოთ ისინი, და რით ჩამოუვარდება რომელიმე ლუი IX თავმდაბლობაში თევდორე ივანეს-ძეს?.. ლაპარაკობენ აგრეთვე სიყვარულზე, როგორც ეროვნულ საწყისზე, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სლავ ტომებს ახასიათებს გალური, ტევტონური და დასავლეთის სხვა ტომებისაგან განსხვავებით. ზოგს ეს აზრი ნამდვილ მონომანიად გადაექცა, ასე რომ ამ „ზოგთაგან“ ვილაცამ პრესაშიც კი გაბედა იმის თქმა, რომ რუსეთის მიწაწყალი, ცრემლით არის მორწყული და არა სისხლით, და რომ ცრემლით და არა სისხლით დავაღწიეთ ჩვენ თავი არა მარტო თათრების, არამედ ნაპოლეონის შემოსევასაც...²¹ განა ცხადი არ არის, რომ ამ სიტყვებში ჩანს მაღალი ნიშნის ტვინის ღრძობისა, რაც იმის შედეგია, რომ ამის მთქმელი გატაცებულია სისტემით, თეორიით, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება?.. ჩვენ, პირიქით, ვფიქრობთ, რომ სიყვარული საზოგადოდ თვისებაა ადამიანის ბუნებისა, და ისევე არ შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ხალხსა და ტომს, როგორც სუნთქვა, მხედვე-

ლობა, შიმშილი, წყურვილი, ქკუა, სიტყვა... შეცდომა აქ იმაშია, რომ შედარებითი მიღებულია უცილობლად. დაპყრობითმა სისტემამ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის სახელმწიფოებს, მყისვე წარმოშვა იქ ნამდვილი იურიდიული ყოფა, რომელშიც თვით ძალმომრეობამ და ჩაგვრამ მიიღო²² სახე არა თვითნებობისა, არამედ კანონისა. სლავებში კი, პირიქით, მშვიდი და მეგობრული პატრიარქალური ურთიერთობიდან გამოსული ზნე-ჩვეულება ბატონობდა. მაგრამ დიდხანს გრძელდებოდა თუ არა ეს პატრიარქალური ყოფა, და რა ვიციტ ჩვენ საჩწმუნოდ მის შესახებ? ჯერ კიდევ სამთავრო პერიოდამდე ვხვდებით რუსეთის ისტორიაში ცბიერი მეომრის ოლეგის, სასტიკი მეომრის სვიატოსლავის სრულიადაც არა მეგობრულ თვისებებს, შემდეგ სვიატოპოლკს — ბორისისა და გლების მკვლელს; ვლადიმირის შვილებს, რომლებიც მამას აუჯანყდნენ, და ა. შ. გვეტყვიან, ეს ჩვენში ვარიაგებმა შემოიტანესო, და—ჩვენის მხრით დავძენთ — ამით დასაწყისი მისცეს მეგობრული პატრიარქალური ყოფის დამახინჯებას. მაშ ამ შემთხვევაში რისთვისაა გავისარჯოთ? სამთავრო პერიოდი ისევე ნაკლებად არის სიყვარულის პერიოდი, როგორც თავმდაბლობისა; ეს ჩვეულებად ქცეული სისხლისღვრის პერიოდი უფროა. თათართა პერიოდზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: მაშინ თვალთმაქცური და გამცემლური თავმდაბლობა სიყვარულზეც უფრო საჭირო იყო და ნამდვილ თავმდაბლობაზეც. მოსკოვის სამეფოსა და შემდგომი დროის სისხლის სამართლის კანონები²³, წამება, სიკვდილით დასჯა ვიდრე ეკატერინე დიდის მეფობამდე, კვლავ გვაიძულებენ სიყვარული ვეძიოთ სლავების წინაისტორიულ დროში. სადღაა აქ სიყვარული, როგორც ეროვნული საწყისი? ეროვნული საწყისი ის არც ყოფილა როდისმე, მაგრამ იყო ადამიანური საწყისი, რომელიც ტომში შენარჩუნებული იყო მისი ისტორიული, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მისი არაისტორიული მდგომარეობით. მდგომარეობა შეიცვალა, და პატრიარქალური ზნე-ჩვეულებანიც შეიცვალნენ, ხოლო მათთან ერთად გაჰქრა

სიყვარულიც, როგორც ცხოვრების ყოფითი მხარე. ხომ არ დაუბრუნდეთ იმ დროებს? რატომაც არა, თუ კი ეს ისევე ადვილია, როგორც მოხუცის გახდომა ჭაბუკად, ხოლო ჭაბუკისა — ჩვილ ბავშვად?..

ბუნებრივია, რომ ამგვარი უკიდურესობანი იწვევენ ასეთ-სავე, მათს საწინააღმდეგო უკიდურესობებს. ზოგნი გადავარდნენ ფანტასტიკურ ხალხურობაში; ზოგნი—ფანტასტიკურ კოსმოპოლიტიზმში, კაცობრიობის გულისათვის. უკანასკნელთა აზრით, ეროვნულობა წარმოსდგება წმინდა გარეგნული გავლენისაგან, ის გამოხატავს ყველაფერს, რაც ხალხში უძრავი, უხეში, შეზღუდული, არაგონივრულია, და დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ყოველივე საკაცობრიოს. მაგრამ რაკი გრძნობენ, რომ არ შეიძლება ხალხში უარყოფილ იქნას საკაცობრიოც, რომელიც, მათი აზრით, ეროვნულს ეწინააღმდეგება, ისინი ხალხის განუყოფელ პიროვნებას ჰყოფენ უმრავლესობად და უმცირესობად და უკანასკნელს მიაწერენ ისეთ თვისებებს, რომლებიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება პირველის თვისებებს. ამრიგად ისინი განუწყვეტლივ რომ თავს ესხმიან რალაც დუალიზმს, რომელსაც ყველგან ხედავენ, იქაც კი, სადაც ის სრულებით არ არის, თვითონვე ვარდებიან ყველაზე განყენებული დუალიზმის უკიდურესობაში. დიდი ადამიანები, მათი წარმოდგენით, თავიანთი ეროვნების გარეშე დგანან, და მთელი მათი დამსახურება, მთელი სიდიადე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პირდაპირ მიდიან თავიანთი ეროვნების წინააღმდეგ, ებრძვიან და ამარცხებენ მას. აი ჭეშმარიტი რუსული და, ამ მხრივ, მკვეთრად ნაციონალური აზრი, რომელიც არ შეიძლებოდა თავში მოსვლოდა ევროპელს! ეს აზრი პირდაპირ წარმოსდგა ყალბი შეხედულებიდან პეტრე დიდის რეფორმაზე, პეტრესი, რომელმაც, რუსეთში არსებული საერთო აზრით, თითქოს მოსპო რუსული ხალხურობა. ეს იმათი აზრია, ვინც ხალხურობას ზნე-ჩვეულებებსა და ცრურწმენებში ხედავს და ვისაც არ ესმის, რომ მათში ნამდვილად გამოიხატება ხალხურობა, მაგრამ მარტო ისინი სულაც

არ შეადგენენ ხალხურობას. ხალხურისა და კაცობრიულის გაყოფა ორ სრულიად უცხო საწყისად, რომლებიც ერთმანეთისადმი მტრულადაც კი არიან განწყობილი, ყველაზე აბსტრაქტულ, ყველაზე მწიგნობრულ დუალიზმში გადავარდნას ნიშნავს²⁴.

რა შეადგენს ადამიანში მის უმაღლეს, მის უკეთილშობილეს სინამდვილეს?—ცხადია, ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ მის სულიერ მხარეს, ე. ი. გრძნობა, გონება, ნებისყოფა, რომლებშიც გამოიხატება მისი მარადიული, წარუვალაი, აუცილებელი არსი. ხოლო რა ითვლება ადამიანში მდაბიოდ, შემთხვევითად, შეფარდებითად, წარმავალად? — ცხადია. მისი სხეული. ცნობილია, რომ ჩვენ ბავშვობიდანვე შეჩვეული ვართ გვძულდეს ჩვენი სხეული, შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ, მუდამ ვცხოვრობთ რა ლოგიკურ ფანტაზიებში²⁵, ნაკლებად ვიცნობთ სხეულს. ექიმები, პირიქით, სხვებზე მეტად პატივს სცემენ სხეულს, იმიტომ რომ სხვებზე მეტად იცნობენ მას. აი რატომ არის, რომ წმინდა ზნეობრივ სწავლებებს ისინი ზოგჯერ მკურნალობენ წმინდა მატერიალური საშუალებებით, და პირიქით²⁶. აქედან ჩანს, რომ პატივს სცემენ რა სხეულს, ექიმებს არა სძულთ სული: მათ მხოლოდ არა სძულთ სხეული, პატივს სცემენ რა სულს. ამ მხრივ ისინი ჰგვანან ჭკვიან აგრონომს, რომელიც პატივისცემით უყურებს არა მარტო მის მიერ მიწიდან მიღებულ მარცვლეულ სიმდიდრეს, არამედ თვით მიწასაც, რომელმაც მარცვლეული აღმოაცენა, და ბინძურ, უსუფთაო და მყარალ ნეხვსაც კი, რომელმაც გააძლიერა ამ მიწის ნაყოფიერება. — თქვენ, რასაკვირველია, დიდად აფასებთ ადამიანში გრძნობას? — ჩინებულია!—მაშ დააფასეთ ხორცის ეს ნაჭერიც, რომელიც მის მკერდში თრთის, რომელსაც თქვენ გულს უწოდებთ და რომლის შენელებული ან აჩქარებული ფეთქვა უტყუარად შეესაბამება თქვენი სულის თითოეულ მოძრაობას.—თქვენ, რასაკვირველია, დიდ პატივს სცემთ ადამიანში ჭკუას?—ჩინებულია! — მაშ შესდგეით მოწიწებული განცვიფრებით მისი ტვინის მასის წინაშე, სადაც ხდება ყვე-

ლა გონებრივი მოქმედება, საიდანაც ხერხემლის საშუალებით მთელ ორგანიზმში ვრცელდება ძაფები ნერვებისა, რომლებიც შეგრძნებათა და გრძნობათა ორგანოები არიან და რომლებიც ავსებული არიან რაღაც იმდენად წმინდა სითხეებით, რომ ისინი მატერიალური დაკვირვებისათვის მიუწვდომელი და თვალთ შუშმჩნეველი არიან. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ადამიანში გაგაკვირვებთ შედეგი მიზეზის გარეშე, ან—რაც კიდევ უარესია — შეთხზავთ ბუნებაში არარსებულ თქვენს მიზეზებს და მით დაკმაყოფილებით. ფსიქოლოგია, რომელიც ფიზიოლოგიას არ ეყრდნობა, ისევე უმწეოა, როგორც ფიზიოლოგია, რომელმაც ანატომიის არსებობა არ იცის. თანამედროვე მეცნიერება ამითაც არ დაკმაყოფილდა: მას სურს ქიმიური ანალიზით შეიკვრას ბუნების საიდუმლო ლაბორატორიაში, ხოლო ემბრიონზე (ჩანასახზე) დაკვირვებით გაარკვიოს ზნეობრივი განვითარების ფიზიკური პროცესი²⁷. მაგრამ ეს არის ადამიანის ფიზიოლოგიური სიცოცხლის შინაგანი სამყარო; ჩვენგან ფარული ყველა მისი მოქმედება, როგორც შედეგი, გარეგნულად მქლავნდება სახით, გამოხედვით, ხმით, ადამიანის მანერებითაც კი. ხოლო რა არის სახე, თვალები, ნმა, მანერები? — ყველაფერი ეს ხომ სხეულია, გარეგნობაა, მაშასადამე, ყველაფერი წარმავალია, შემთხვევითი, არაა, იმიტომ რომ ყველაფერი ეს ხომ არც გრძნობაა, არც გონება, არც ნებისყოფა? დიახ, ასეა! მაგრამ ყოველივე ამაში ჩვენ ხომ ვხედავთ და ვისმენთ გრძნობასაც, გონებასაც, ნებისყოფასაც. ადამიანში ყველაზე შემთხვევითია მისი მანერები, იმიტომ რომ ისინი ყველაზე მეტად დამოკიდებულია აღზრდაზე, ცხოვრების ყაიდაზე, იმ საზოგადოებაზე, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს; მაშ რატომღაა, რომ ზოგჯერ გლეხის ტლანქ მანერებშიც კი თქვენი გრძნობა გამოიცნობს კეთილ ადამიანს, რომელსაც თამამად შეგიძლიათ ენდოთ, და ამავე დროს მაღალი წრის ადამიანის დახვეწილი მანერები ზოგჯერ გაიძულვით უნებლიეთ ერიდებოდეთ მას?²⁸ — რამდენია ქვეყნად გულწრფელი, გრძნობიერი ადამიანი, მაგრამ

თითოეულ მათგანში ამ გრძნობას თავისი ხასიათი, საკუთარი თავისებურება აქვს. რამდენია ქვეყნად ქვეიანი ადამიანი, და, ამავე დროს, თითოეულ მათგანს თავისი ჭკუა აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანებს სხვადასხვა ჭკუა აქვთ: ასეთ შემთხვევაში ადამიანები ერთმანეთს ვერ გაუგებდნენ; მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ჭკუას აქვს თავისი ინდივიდუალობა. ამაშია მისი შეზღუდულობა, და ამიტომ უდიდესი გენიოსის ჭკუა ყოველთვის განუზომლად უფრო დაბლა დგას, ვიდრე მთელი კაცობრიობის ჭკუა. მაგრამ სწორედ ამაშია მისი ნამდვილობა, მისი რეალობა. ჭკუა უსხეულოდ, უსახოდ, ჭკუა, რომელიც სისხლზე არ მოქმედებს და სისხლის მოქმედებას არ განიცდის, ლოგიკური ოცნებაა. მკვდარი აბსტრაქტია. ჭკუა არის ადამიანი სხეულში, ახ, უკეთ რომ ეთქვათ, ადამიანი სხეულის საშუალებით, ერთი სიტყვით — პიროვნება. სწორედ ამიტომაც ქვეყნად ამდენი ჭკუა, ამდენი ადამიანი, და მხოლოდ კაცობრიობას აქვს ერთი ჭკუა. შეხედეთ, რამდენი ზნეობრივი ელფერია ადამიანის ბუნებაში: ერთის ჭკუა თითქმის სრულიად დაჩრდილულია გულით, მეორეს გული თითქოს ტვინში აქვს მოთავსებული; ერთი საშინლად ქვეიანია და საქმის უნარი აქვს, მაგრამ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, იმიტომ რომ ნებისყოფა არ გააჩნია; ხოლო მეორეს საშინელი ნებისყოფა, მაგრამ სუსტი თავი აქვს, და მისი საქმიანობიდან ან სისულელე გამოდის, ან ბოროტება. ამ ელფერთა ჩამოთვლა ისევე შეუძლებელია, როგორც სახეების სხვაობათა ჩამოთვლა: რამდენი ადამიანიცაა, იმდენივე სახეა, და ორი სავესებით მსგავსი სახის პოვნა კიდევ უფრო შეუძლებელია, ვიდრე ერთმანეთის სავესებით მსგავსი ორი ხის ფოთლის პოვნა. როდესაც თქვენ ქალი გიყვართ, ნუ ამბობთ, რომ თქვენ მოხიბლული ხართ მისი ჭკუისა და გრძნობის მშვენიერი თვისებებით: თორემ, როდესაც მიგიითებენ სხვა ქალზე, რომლის ზნეობრივი თვისებები უფრო მაღლა დგას, ვალდებული იქნებით ხელახლა შეიყვართო ეს სხვა ქალი და მიატოვოთ თქვენი სიყვარულის პირველი საგანი ახლის გულისათვის, ისევე

როგორც კარგ წიგნს მიატოვებენ ხოლმე უკეთესის გული-სათვის. არ შეიძლება უარყოფილ იქნას ზნეობრივ თვისებათა გავლენა სიყვარულის გრძნობაზე, მაგრამ როდესაც ადამიანი უყვართ, ის უყვართ მთლიანად, არა როგორც იდეა, არამედ როგორც ცოცხალი პიროვნება; მასში უყვართ განსაკუთრებით ის, რის არც განსაზღვრა შეუძლიათ და არც დასახელება. მართლაც, როგორ განსაზღვრავდით და რას უწოდებდით თქვენ, მაგალითად, მისი სახის, მისი ხმის იმ შეუძენველ გამომეტყველებას, იმ იღუმალ თამაშს, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც შეადგენს მის განსაკუთრებულ თავისებურებას, რაც მას განასხვავებს სხვებისაგან და სწორედ რისთვისაც—მერწმუნეთ³⁰—ყველაზე მეტად გიყვართ კიდევ ის? თუ არა და—მაშ რატომ უნდა დაჰქვიითინებდეთ სასოწარკვეთით თქვენი საყვარელი არსების ცხედარს? მასთან ერთად ხომ არ მომკვდარა ის, რაც მასში საუკეთესო, უკეთილშობილესი იყო, რასაც თქვენ მასში სულიერსა და ზნეობრივს უწოდებდით,—არამედ მოკვდა უხეში მატერიალური, შემთხვევითი?.. მაგრამ სწორედ ამ შემთხვევითის გამო მოსთქვამთ კიდევ თქვენ მწარედ, იმიტომ რომ ადამიანის მშვენიერ თვისებათა მოგონება ვერ გაგიწევთ ადამიანის მაგივრობას, როგორც შიმშილით მომაკვდავს ვერ გააძლებს მოგონება უხვი სუფრისა, რომლითაც ის ცოტა ხნის წინათ ტკბებოდა. მე სიამოვნებით დავეთანხმები სპირიტუალისტს, რომ ჩემი შედარება უხეშია, მაგრამ სამაგიეროდ ეს შედარება სწორია, ეს კი ჩემთვის მთავარია. დერჟავინმა სთქვა:

მთლად არ მოკვდები, ნაწილი ჩემი
დიდი, სხეულის ფერფლს განშორდება,
შთამომავლობას გადაეცემა
და იქ განაგრძობს თავის ცხოვრებას³¹.

ასეთი უკვდავების სინამდვილის წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვით, თუმცა ის ვერ ანუგეშებს პოეტის ახლობელ ადამიანებს; მაგრამ რას გადასცემს პოეტი შთამომავლობას თავის ქმნილებებში, თუ არ თავის პიროვნებას? იგი რომ არ

იყოს უფრო დიდი პიროვნება, ვიდრე სხვა ვინმე, პიროვნება უპირატესად,—მისი ქმნილებები უფერული და უღიმღამო იქნებოდა. ამიტომაც წარმოდგენენ ყოველი დიდი პოეტის ქმნილებანი სრულიად განსაკუთრებულ, ორიგინალურ სამყაროს, და ჰომეროსსა, შექსპირსა, ბაირონსა, სერვანტესსა, ვალტერ-სკოტსა, გოეთესა და ყოველ ზანდს შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ისინი ყველანი დიდი პოეტები არიან.

მაგრამ რა-არის ეს პიროვნება, რომელიც რეალობას აძლევს გრძნობასაც, ჭკუასაც, ნებისყოფასაც, გენიასაც და ურომლისოდაც ყველაფერი ან ფანტასტიკური ოცნებაა, ანდა ლოგიკური განყენება? მე შემეძლო ამის შესახებ ბევრი რამ მეთქვა თქვენთვის, მკითხველნო; მაგრამ ვამჯობინებ გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ რაც უფრო ცხოვლად ვეკრებ საკუთარ თავში პიროვნების არსს, მით უფრო ნაკლებად შემიძლია მისი განსაზღვრა სიტყვებით. ესწისეთივე საიდუმლოებაა, როგორც სიცოცხლე: მას ყველა ხედავს; ყველა შეიგრძნობს თავის თავს მის სფეროში²², და ვერავინ ვერ გეტყვით, თუ რა არის ის. სწორედ ასევე მეცნიერთ, რომლებმაც კარგად იციან ბუნების ფაქტორთა მოქმედება და ძალები, როგორცაა ელექტრობა, გალვანიზმი, მაგნეტიზმი, და ამიტომ არავითარი ეჭვი არ ეპარებათ მათს არსებობაში, მაინც არ შეუძლიათ სთქვან, რას წარმოდგენენ ისინი. ყველაფერზე უცნაური ის არის, რომ ყველაფერი, რის თქმაც შეგვიძლია პიროვნების შესახებ, იმით განისაზღვრება, რომ პიროვნება უმნიშვნელო რამეა გრძნობის, გონების, ნებისყოფის, სათნოების, სილამაზისა და მათი მსგავსი მარადიული და წარუვალაი იდეების წინაშე; მაგრამ რომ უმისოდ, ამ წარმავალი და შემთხვევითი მოვლენის გარეშე, არც გრძნობა იქნებოდა, არც გონება, არც ნებისყოფა, არც სათნოება, არც სილამაზე, ისევე როგორც არ იქნებოდა არც უგრძნობლობა, არც სისულელე, არც უნებისყოფობა, არც მანკიერება, არც უმსგავსობა...

რაც პიროვნება არის ადამიანის იდეის მიმართ, ის არის ეროვნება კაცობრიობის იდეის მიმართ. სხვა სიტყვებით:

ეროვნებანი კაცობრიობის პიროვნებანი არიან. ეროვნებათა გარეშე კაცობრიობა მკვლარი ლოგიკური აბსტრაქტი, უშინაარსო სიტყვა, მნიშვნელობას მოკლებული ბგერა იქნებოდა. ამ საკითხში მე მზად ვარ უფრო სლავიანოფილების მხარე დავიჭირო, ვიდრე ჰუმანისტური კოსმოპოლიტების მხარეზე დავრჩე, იმიტომ რომ თუ პირველნი კიდეც ცდებიან, ისინი ცდებიან როგორც ადამიანები, როგორც ცოცხალი არსებანი, ხოლო მეორენი ჰუმანისტებასაც კი ისე გამოსთქვამენ, როგორც ამა და ამ ლოგიკის ამა და ამ გამოცემას...²⁹ მაგრამ, საბედნიეროდ, მე ვიმედოვნებ ჩემს ადგილზე დავრჩე, არავის არ მივემხრო...

ადამიანს ადამიანური ახასიათებს იმიტომ, რომ იგი ადამიანია; მაგრამ ადამიანური მასში გამოვლინდება, ჯერ-ერთი, მხოლოდ მისი საკუთარი პიროვნების საფუძველზე და იმდენად. რამდენადაც პიროვნებას შეუძლია დაიტოს თავის თავში ეს ადამიანური, ხოლო მეორე მხრივ—მისი ეროვნების საფუძველზე. ადამიანის პიროვნება არის სხვა პიროვნებათა გამორიცხვა, და სწორედ ამიტომ არის ადამიანის არსის შეზღუდვა: ვერც ერთი ადამიანი, რაოდენ დიდიც უნდა იყოს მისი გენიალობა, ვერასოდეს ვერ ამოსწურავს თავისი თავით არა მარტო ცხოვრების ყველა სფეროს, არამედ მის ერთ რომელიმე მხარესაც კი³⁰. არც ერთ ადამიანს არათუ არ შეუძლია შესცვალოს ყველა ადამიანი (ე. ი. არასაჭიროდ აქციოს მათი არსებობა), არამედ არ შეუძლია შესცვალოს ერთი კაციც კი, რაოდენ დაბლაც უნდა იდგეს მასთან შედარებით ის ზნეობრივად თუ გონებრივად; მაგრამ ყველა და თითოეული საჭიროა ყველასა და თითოეულისათვის. ამაზეა კიდევ დაფუძნებული ადამიანთა მოღვაწის ერთიანობა და ძმობა. ადამიანი ძლიერი და უზრუნველყოფილია მხოლოდ საზოგადოებაში; მაგრამ თავის მხრივ საზოგადოებაც ძლიერი და უზრუნველყოფილი რომ იყოს, მისთვის აუცილებელია შინაგანი, უშუალო, ორგანული კავშირი—ეროვნება. ეროვნება თავისთავადი შედეგია ადამიანთა შეერთებისა. მაგრამ არ არის მათი ნაწარმოები: არც ერთ ხალხს არ შეუქ-

მნია თავისი ეროვნება, როგორც არ შეუქმნია თავისი თავი. ეს მიგვიტოთებს ყველა ეროვნების ტომობრივ, გვაროვნულ წარმოშობაზე. რაც უფრო ახლოა ადამიანი ან ხალხი თავის საწყისთან, მით უფრო ახლოა ის ბუნებასთან, მით უფრო მეტად ემონება ბუნებას; მაშინ ის ადამიანი კი არ არის, არამედ ბავშვია; ხალხი კი არ არის, არამედ ტომია. ერთშიც და მეორეშიც ადამიანური ვითარდება ბუნებრივი უშუალობისაგან მათი განთავისუფლების შესაბამისად. ამ განთავისუფლებას ხშირად ხელს უწყობს სხვადასხვა გარეგანი მიზეზები; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანური ხალხთან შიღის არა გარედან, არამედ თვით ხალხიდან, და ყოველთვის ვლინდება მასში ეროვნულად.

კაცმა რომ სთქვას, ადამიანურის ბრძოლა ეროვნულთან მხოლოდ რიტორიკული ფიგურაა, სინამდვილეში კი ის არ ხდება. მაშინაც კი, როდესაც ერთი ხალხის პროგრესი მიმდინარეობს მეორე ხალხისგან სესხების საშუალებით, ის მაინც ეროვნულად ხდება. სხვანაირად პროგრესი არ არის. როდესაც ხალხი მისთვის უცხო იდეებისა და ზნე-ჩვეულებების გავლენის ქვეშ ექცევა, ხოლო თავის თავში არ მოეპოვება ძალა, რათა საკუთარი ეროვნულობის ძალით³³ საკუთარსავე არსებად გადაამუშაოს ისინი, — მაშინ ის პოლიტიკურად იღუპება. ქვეყნად ბევრი არიან ადამიანები, რომლებიც ცნობილი არიან „ქარაფშუტათა“ სახელით: ისინი ჭკვიანი არიან სხვისი ჭკუით, არაფერზე თავისი აზრი არა აქვთ, ხოლო, იმავე დროს, კიდევ სწავლობენ და ქვეყნად ყველაფერს თვალყურსაც ადევნებენ. მათი ქარაფშუტობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სესხულობენ მთლიანად, და მათი ტვინი სხვის აზრს კი ვერ ინელებს, არამედ ენით გადმოსცემს იმავე სახით, როგორც მიიღო. ესენი უპიროვნო ადამიანები არიან, იმიტომ რომ, რაც უფრო პიროვნულია ადამიანი, მით უფრო მეტად შესწევს მას უნარი გადააქციოს უცხო რამ თავისად, ე. ი. თავისი პიროვნების ზეჰედი დაასვას მას. რაც მეობას მოკლებული ადამიანია, ის არის ეროვნებას მოკლებული ხალხი. ეს დასტურდება იმით,

რომ ყველა ერი, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში პირველ როლებს ასრულებდა და ასრულებს, ყველაზე მკვეთრი ეროვნულობით განირჩეოდა და განირჩევა. გაიხსენეთ ებრაელები, ბერძნები და რომაელები; შეხედეთ ფრანგებს, ინგლისელებს, გერმანელებს. ჩვენს დროში ხალხთა მტრობა და ანტიპათიები სავსებით ჩაქრა. ფრანგი აღარ გრძნობს ინგლისელისადმი სიძულვილს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ინგლისელია, და პირუკუ. პირიქით, ჩვენს დროში დღითიდღე უფრო და უფრო მეტად მელავენდება ხალხისადმი ხალხის თანაგრძნობა და სიყვარული. ეს სანუგეშო, ჰუმანური მოვლენა განათლების შედეგია. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ განათლება ეროვნულობის წამშლელი იყოს და ყველა ხალხს ორი წვეთი წყალივით ამსგავსებდეს ერთმანეთს. პირიქით, ჩვენი დრო უმთავრესად ეროვნებათა ძლიერი განვითარების დროა. ფრანგს სურს ფრანგი იყოს და გერმანელისაგან მოითხოვს, რომ ის გერმანელი იყოს, და მხოლოდ ამ საფუძველზე აინტერესებს კიდევ ის. სწორედ ასეთსავე ურთიერთობაშია ახლა ერთმანეთთან ყველა ევროპელი ხალხი. ამავე დროს კი ისინი გამალებით სესხულობენ ერთმანეთისაგან და სულაც არ შიშობენ, რომ ამით თავიანთ ეროვნულობას ზიანს მიაყენებენ. ისტორია მოწმობს, რომ ამგვარი საფრთხე შეიძლება ნამდვილი იყოს მხოლოდ ზნეობრივად უძლური და ყოვლად უმნიშვნელო ხალხებისათვის. ძველი ელადა მთელი მისი წინამორბედი ძველი სამყაროს მემკვიდრე იყო. მის შემადგენლობაში, გარდა ძირითადი პელაზგურისა, შევიდნენ ეგვიპტური და ფინიკიური ელემენტები. რომაელებმა აითვისეს, ასე ვთქვათ, მთელი ძველი სამყარო, და მაინც რომაელები დარჩნენ, ხოლო თუ დაეცნენ, არა გარედან სესხების მიზეზით, არამედ იმიტომ, რომ უკანასკნელი წარმომადგენლები იყვნენ ძველი სამყაროსი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ამოსწურა და რომელიც ქრისტიანობისა და ტევტონელი ბარბაროსების მეშვეობით უნდა განახლებულიყო. ფრანგული ლიტერატურა დიდხანს მონურად ბაძავდა ბერძნულსა და ლათინურს,

გულუბრყვილოდ ძარცვავდა მათ სესხებით, და მაინც ეროვნულ-ფრანგულ ლიტერატურად რჩებოდა. XVIII საუკუნის ფრანგული ლიტერატურის მთელი უარყოფითი მოძრაობა ინგლისიდან გამოვიდა; მაგრამ ფრანგებს იმდენად ჰქონდათ მისი შეთვისების, მისთვის თავისი ეროვნულობის ბეკდის დასმის უნარი, რომ არავინ არც კი ფიქრობს სადავოდ გახადოს მათი ლიტერატურის თავისთავადი განვითარების პატივი. გერმანული ფილოსოფია ფრანგ დეკარტესგან მომდინარეობს, მაგრამ ამით ის ოდნავაც არ გამხდარა ფრანგული.

ხალხის დაყოფა მოწინააღმდეგე და თითქოს ერთმანეთისადმი მტრულ უმრავლესობად და უმცირესობად, შესაძლოა, ლოგიკის მხრივ სამართლიანიც იყოს, მაგრამ სავსებით ყალბია სალი აზრის მხრივ. უმცირესობა მუდამ გამოხატავს უმრავლესობას კარგი ან ცუდი აზრით. კიდევ უფრო უცნაურია ხალხის უმრავლესობას მიეაწეროთ მხოლოდ ცუდი თვისებები, უმცირესობას კი მარტოოდენ კარგი. კარგი კი იქნებოდა ფრანგი ერი, მის შესახებ რომ ლუი XV-ის დროის გარყვნილი თავადაზნაურობის მიხედვით ემსჯელნათ! ეს მაგალითი მიგვითითებს, რომ უმცირესობა უფრო შეიძლება გამოხატავდეს ხალხის ეროვნულობის უფრო ცუდ, ვიდრე კარგ მხარეებს, ვინაიდან უმცირესობა ცხოვრობს ხელოვნური ცხოვრებით, როცა თავის თავს უპირისპირებს უმრავლესობას, როგორც რაღაც მისგან განცალკევებულსა და მისთვის უცხოს. ამას ვხედავთ ჩვენს თანამედროვე საფრანგეთშიც bourgeoisie-ს, ამჟამად იქ გაბატონებული წოდების სახით. რაც შეეხება დიდ ადამიანებს, — ისინი უპირატესად თავისი ქვეყნის შვილები არიან. დიდი ადამიანი მუდამ ნაციონალურია, ისე როგორც მისი ხალხი, რადგან ის დიდია სწორედ იმიტომ, რომ თავის ხალხს წარმოადგენს. გენიის ბრძოლა ხალხთან არ არის კაცობრიულის ბრძოლა ნაციონალურის წინააღმდეგ, არამედ ეს მხოლოდ ახლის ბრძოლაა ძველთან, იდეისა ემპირიზმთან, გონებისა ცრურწმენასთან. მასა მუდამ ჩვეულებით ცხოვრობს, და გონიერულად, ჭეშ-

მარიტად და სასარგებლოდ სთვლის მხოლოდ იმას, რასაც შეჩვეულია. იგი გააფთრებით იცავს იმ ძველს, რომლის წინააღმდეგაც იგი, ერთი საუკუნის ან ნაკლები ხნის წინათ, ასევე გააფთრებით იბრძოდა, როგორც ახლის წინააღმდეგ. გენიისადმი მასის წინააღმდეგობა საჭიროა; ეს არის მასის მხრივ გენიის გამოცდა: თუ გენია თავისას გაიტანს, მიუხედავად ყოველივესი, მაშასადამე, ის მართლაც გენიაა, ე. ი. თვითვე ატარებს თავის უფლებას—გავლენას ახდენდეს თავისი სამშობლოს ბედზე. თორემ ყოველი რეზონიორი, ყოველი მეოცნებე, ყოველი ფილოსოფოსი, ყოველი პატარა დიდი ადამიანი ხალხს ისე მოექცეოდა, როგორც ცხენს, და მას თავისი უინისა და ფანტაზიისამებრ ხან ერთი მხრით წარმართავდა და ხან მეორე მხრით...³⁰

ხალხს სრულებითაც არ ესაჭიროება თვითონვე დაიყოს. რათა ახალი იდეებინ წყარო მოიპოვოს. ყოველივე ახლის წყაროა ძველი; ყოველ შემთხვევაში, ახალს ძველი ამზადებს. გენიოსში განსაცვიფრებელია არა იმდენად ახლის ჩაწვდომა, რამდენადაც გამბედაობა—დაუპირისპიროს ახალი ძველს და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლება გააჩალოს. რუსეთში ახალი წესების შემოღების საჭიროებას ჯერ კიდევ პეტრეს წინამორბედნი გრძნობდნენ; ამ საჭიროებაზე მიუთითებდა სახელმწიფოს მაშინდელი მდგომარეობა; მაგრამ რეფორმის გატარება მხოლოდ პეტრეს შეეძლო. ამისათვის მას სრულებითაც არ ესაჭიროებოდა თავი წარმოდგინა თავისი ხალხისადმი მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანად; არამედ, პირიქით, საჭირო იყო სცნობოდა და ჰყვარებოდა ხალხი, შეგნებული ჰქონოდა თავისი სისხლხორცეული ერთიანობა მასთან. რაც ხალხში შეუცნობლად ცოცხლობს, როგორც შესაძლებლობა, ის გენიაში წარმოდგენილია როგორც განხორციელება, როგორც სინამდვილე. ხალხი ისეთ დამოკიდებულებაშია თავის დიდ ადამიანებთან, როგორც ნიადაგი მცენარეებთან, რომელთაც ის წარმოშობს. აქ არის ერთიანობა და არა დაყოფა, არა გაორმაგება. და, წინააღმდეგ სილოგისტებისა (ახალი სიტყვა!),

დიდი პოეტისათვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი პატივი, ვიდრე ის, რომ იყოს უაღრესად ნაციონალური, იმიტომ რომ სხვანაირად იგი არც შეიძლება დიდი იყოს. ის, რასაც რეზონორები კაცობრიულს უწოდებენ და ნაციონალურს უპირისპირებენ, არსებითად წარმოადგენს ახალს, რომელიც უშუალოდ და ლოგიკურად გამომდინარეობს ძველიდან, თუნდაც იგი ამ ძველის ნამდვილი უარყოფა იყოს. როდესაც რომელიმე პრინციპის უკიდურესობა უაზრობამდე მიდის, მისგან ერთი ბუნებრივი გზა რჩება — საწინააღმდეგო უკიდურესობაში გადასვლა. ეს ადამიანსაც ახასიათებს და ხალხებსაც. მაშასადამე, ყოველი პროგრესის, ყოველი წინსვლის წყარო მდგომარეობს არა ხალხთა ორმაგობაში, არამედ ადამიანის ბუნებაში, რომელშიც იმავე დროს მოცემულია ჭეშმარიტებიდან გადახვევის, დამყაყებულობისა და უძრაობის წყაროც.

თეორიული საკითხების მნიშვნელობა დამოკიდებულია სინამდვილისადმი მათს ურთიერთობაზე. ის, რაც ჩვენთვის, რუსებისათვის, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი საკითხებია, ევროპაში უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია, იქ უკვე დიდი ხანია შეადგენს ცხოვრების უბრალო ჭეშმარიტებებს, რომლებშიც არავის ეჭვი არ ეპარება, რომლებზეც არავინ დავობს და რომლებშიც ყველანი შეთანხმებული არიან. და — რაც ყველაზე უკეთესია — ეს საკითხები იქ გადაწყვეტილია თვით ცხოვრების მიერ, ანდა თუ მათ გადაჭრაში კიდევ მონაწილეობდა თეორია, მონაწილეობდა სინამდვილის დახმარებით. — მაგრამ ამან სულაც არ უნდა წაგვართვას ჩვენ ასეთი საკითხების გადაწყვეტის გამბედაობა და სურვილი, იმიტომ რომ ვიდრე მათ თვითონ ჩვენ და ჩვენთვის არ გადაწყვეტთ, ვერავითარ სარგებლობას ვერ ვპოვებთ იმაში, რომ ისინი ევროპაში გადაწყვეტილია. ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე გადმოტანილი ეს საკითხები იგივეა, მაგრამ არც მთლად იგივე, და სხვაგვარ გადაწყვეტას მოითხოვს. — ახლა ევროპას ახალი დიდი საკითხები აფიქრებს³⁷. ამ საკითხებით ჩვენ შე-

იძლება დავინტერესდეთ და უნდა დავინტერესდეთ, მათ ჩვენ შეიძლება თვალყური ვადევნოთ და უნდა ვადევნოთ, რადგან არაფერი ადამიანური ჩვენთვის უცხო არ უნდა იყოს, თუ გვსურს ადამიანები ვიყოთ. მაგრამ ამავე დროს ჩვენთვის სრულიად უნაყოფო იქნებოდა ეს საკითხები ისე მიგველო, როგორც ჩვენი საკუთარი საკითხები. ამ საკითხებში ჩვენი მხოლოდ ის არის, რაც ჩვენს მდგომარეობას მიუდგება; ყოველივე დანარჩენი ჩვენთვის უცხოა, და ჩვენ დონ-კიხოტების როლს შევასრულებდით, ამ საკითხების ²⁸ [გამო] რომ გავცხარებულყავით. ამით ჩვენ ევროპელთა მხრივ დაცინვას უფრო დავიმსახურებდით ²⁹, ვიდრე მათს პატივისცემას. ჩვენთან, ჩვენში, ჩვენს გარშემო, — აი სად უნდა ვეძებდეთ საკითხებსაც და მათ გადაწყვეტასაც. ეს მიმართულება ნაყოფიერი მაინც იქნება, თუ ბრწყინვალე არ გამოდგება. და ამ მიმართულების ყლორტებს ვხედავთ თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში, ხოლო ამ ყლორტებით ჩანს მისი სიმწიფისა და დავაჟკაცების მოახლოება. ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ მისი წარმატებანი მომავალში, მისი წინსვლა უფრო მეტად დამოკიდებულია მისთვის ხელმისაწვდომი საგნების მოცულობასა და რაოდენობაზე, ვიდრე თვით მასზე. რაც უფრო ფართო იქნება მისი შინაარსის საზღვრები, რაც უფრო მეტი იქნება საზრდო მისი მოღვაწეობისათვის, მით უფრო სწრაფი და ნაყოფიერი იქნება მისი განვითარება. რაც უნდა იყოს, თუ მას ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია თავისი სიმწიფისათვის, მან მაინც უკვე ჰპოვა, ასე ვთქვათ, მიაგნო აქეთკენ მიმავალ პირდაპირ გზას, ეს კი მისი უდიდესი წარმატებაა.

თანამედროვე რუსული ლიტერატურის სიმწიფის ერთ-ერთო ყველაზე განსაცვიფრებელი ნიშანია ის როლი, რომელსაც მასში ლექსადწყობილი პოეზია ასრულებს. მომხდარა ხოლმე, რომ დიდი და მცირე ლექსები ჩვენი საზოგადოების შევებასა და ნუგეშს შეადგენდნენ. მათ კვლავ და კვლავ კითხულობდნენ, იზებირებდნენ, ფულის დაუშურებლად ყი-

დულობდნენ, ან რვეულებში იწერდნენ. ახალი პოემა ლექსად, პოემის ნაწყვეტი, ჟურნალში ან ალმანახში დაბეჭდილი ახალი ლექსი, — ყოველივე ეს იმ პრივილეგიით სარგებლობდა, რომ გამოეწვია ხმაური, მითქმა-მოთქმა, აღტაცება, კამათი და ა. შ. უთვალავი მოლექსე ჩნდებოდა, ისე იზრდებოდნენ, როგორც სოკო ნაწვიმარზე. ახლა ასე როდია. ლექსები პროზასთან შედარებით მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. მათ თითქოს უხალისოდ კითხულობენ, ძლივს ამჩნევენ, გულგრილად აქებენ კარგს და არაფერს ამბობენ მდარეზე. მოლექსეთა რაოდენობა, წინააღმდეგ წარსულისა, ახლა შეუდარებლად შემცირდა. აქედან ბევრმა დაასკვნა, თითქოს რუსული ლიტერატურისათვის პოეზიის საუკუნემ განვლო, რომ პოეზია თითქოს სამუდამოდ გამოგვეთხოვა. ჩვენ კი, პირიქით, ამაში რუსული პოეზიის გამარჯვებას უფრო ვხედავთ⁴⁰, ვიდრე დაქვეითებას. რამ შეარყია, ხოლო შემდეგ საესებითაც განდევნა ლექსის წერისა და ლექსის კითხვის მანია? — უწინარეს ყოვლისა გოგოლის გამოჩენამ, მერმე კი პუშკინის თხზულებათა გამოქვეყნებამ მისი სიკვდილის შემდეგ, და, ბოლოს, ლერმონტოვის გამოსვლამ. პუშკინის პოეტური მოღვაწეობა შეიძლება ორ პერიოდად გავეყოთ: პირველ პერიოდში ეს მოღვაწეობა მშვენიერია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ღრმა, ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ მისაწვდომია გადაღებისა და მიბაძვისათვის; მეორე პერიოდში ჩვენ მას მხატვრული სიმწიფის, სიღრმის, ძლიერების მიუვალ სიმადლეზე ვხედავთ; აქ უკვე შეუძლებელია მისგან გადაღება, შეუძლებელია მისი მიბაძვა. ლერმონტოვის ტალანტმა თავისი პირველი დებიუტიდანვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, ყველას და ყოველს დაუკარგა მისდამი მიბაძვის ხალისი. ამის შემდეგ პოეტური სახელის მოხვეჭა მეტად ძნელი გახდა, ასე რომ ტალანტი, რომელსაც წინათ შეეძლო ბრწყინვალე როლი შეესრულებინა, ახლა უფრო ზომიერი მდგომარეობით უნდა დაკმაყოფილდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების გემოვნება ლექსებისადმი⁴¹ უფრო დაიხვეწა, მისი მოთხოვნები უფრო

მკაცრი გახდა; ხოლო ეს, რა თქმა უნდა, წარმატებაა და არა გემოვნების დაქვეითება. ახლა ახალი პუშკინი, ახალი ლერ-მონტოვია საჭირო იმისათვის, რომ ლექსების წიგნმა აღტაცებაში მოიყვანოს მთელი საზოგადოება, აამოძრაოს მთელი ლიტერატურა. მაგრამ უკვე ამყამად ბატონ პოეტებისათვის პირდაპირ შეუძლებელი გახდა თუნდაც იოტისოდენად იმაზე მეტი ყურადღება მიიპყრონ ან დიდება და სახელი მოიხვეჭონ, რის ღირსნიც ისინი ნამდვილად არიან თავიანთი ტალანტის მიხედვით. ტალანტი ახლა ყოველთვის დაფასდება და მისი წარმატება დამოკიდებული აღარ არის არც მფარველობაზე და არც უურნალებისგან დევნაზე (თუ უურნალებს კიდევ შეუძლიათ ტალანტს რაიმე ზიანი მიაყენონ, — ეს მხოლოდ დუმილით, მაგრამ უკვე არა ხოტბის შესხმით და არც გინებით); მას შეამჩნევენ და დააფასებენ, მაგრამ მხოლოდ მისი ჭეშმარიტი ღირსების მიხედვით — არც შეტად და არც ნაკლებად.

გასულ 1846 წელს გამოვიდა ბატონების: გრიგორიევის, პოლონსკის, ლიზანდერის, პლემჩიევის, ქალბატონ იულია ჟადოვსკაიას ლექსები, ბ-ნ ველტმანის ტროიანი და ანგელიცა — საბავშვო ზღაპრისმაგვარი რალაც ლექსად თუ წყობილ პროზად; ამბავი იგორის ლაშქრობისა, ბ-ნ მინაევის მიერ პოემად გადაკეთებული არა ძველი დროის, არა შორეული წარსულის, არამედ იმ ახლო წარსულის გემოვნებისა-მებრ, როცა პოემები მოდაში იყო. არსებითად ეს საკმაოდ მოკლე და სხარტი იგორის ლაშქრობის ამბის მხოლოდ განვრცობა ან გაწყალწყალავებაა საკმაოდ გამართული ლექსით. ჩვენ გაგვიხარდება, თუ ბ-ნ მინაევის ცდას საზოგადოება მოიწონებს, მაგრამ ჩვენ თუ გვკითხავთ, ჩვენ ისე მოგვწონს იგორის ლაშქრობის ამბავი მისი ნამდვილი სახით, რომ არ შეგვიძლია მის გადაკეთებას არასასიამოვნო გრძნობით არ ვუყურებდეთ. ჩვენ გვგონია, რომ სრულებით არ არის საჭირო მისი არც შეცვლა, არც გადათარგმნა და არც გადაკეთება; არამედ საკმარისია მასში მეტისმეტად მოძველებული და გაუგებარი სიტყვების შეცვლა უფრო ახალი და გა-

საგები სიტყვებით, თუნდაც ეს სიტყვები ხალხური ენიდან-ვე იყოს აღებული. ჩვენ ბ-ნ მინაევის ლექსებს გამართული ვუწოდეთ; ამას დავძენთ, რომ ეს ლექსები ამავე დროს იმდენადვე ფრაზოვანია, რამდენადაც ალტაცებულიც, და რომ მათში რიტორიკა მეტია, ვიდრე პოეზია. ბ-ნი მინაევი იგორის ლაშქრობის ამბის ენთუზიასტი მოთაყვანეა, მის თვალში ეს ნაწარმოები თითქმის უფრო მაღლა დგას, ვიდრე მთელი რუსული პოეზია ლომონოსოვიდან ლერმონტოვამდე ამ უკანასკნელის ჩათვლით. ის ამას განმარტავს თავისი ლექსად დაწერილი შრომის ბოლოსიტყვაობაში, რომელიც შემდეგ გულუბრყვილო-სემინარიულ სახელწოდებას ატარებს: „ცნობისმოყვარე ყრმა ქალთა და ვაჟთათვის“.

ქალბატონ იულია ყადოვსკაიას ლექსები თითქმის ყველა ჩვენმა ჟურნალმა ცამდე აიყვანა. მართლაც, არ შეიძლება უარვყოთ ის, რომ ამ ლექსებში პოეტური ტალანტის მსგავსი რაღაც არის. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ ტალანტის შთაგონების წყარო არა ცხოვრება, არამედ ოცნება, და რომ ამიტომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ცხოვრებასთან და ღარიბია პოეზიით. თუმცა, ეს სცილდება ქალბატონ ყადოვსკაიას, როგორც ქალის, დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი. აი ლექსი, რომელიც სავსებით განმარტავს ამ დებულებას:

სევდამ შეიპყრო ჩემი არსება
 დ- კეშანი მკლავს, მეგობარო.
 მოწყენილი ვარ ამ ქვეყნად მარტო
 და გულს მიღონებს მე ეს სამყარო.
 მომბეზრდა კორი, უსაგნო შფოთი —
 მითქმა-მოთქმანი მამაკაცების;
 მომბეზრდა ქალთა მე სასაცილო
 და თან უაზრო ათასი ხმები;
 მათი ნაქარგი ხვერდი, ფარჩა,
 ქარაფშუტობა, სიტყვის სიმკვახლე,
 ქუის და გულის სიცალიერე
 და ხელოვნური ლამაზი სახე.
 მე ამა ქვეყნის ამოვბას

ვერ ვიტან, გული არ ეკარება;
 მაგრამ კეყყანა, ღვთის გაჩენილი,
 მთელი არსებით კვლავ მეყვარება.
 და ჩემთვის მარად ტკბილი იქნება:
 ვარსკვლავთ ციმციმი, ხეთა შრიალი,
 მღელღოს ბიბინი, ბულბულთ გალობა,
 ცოცხალ ნაკადულის ანკარა წყალი.

მეტად დიდი გამბედაობა და გმირობაა საჭირო იმისათვის, რომ ქალი, რომელიც ამგვარად ჩამოაშორეს ან ჩამოშორდა საზოგადოებას, ოცნებათა შეზღუდულ წრეში კი არ ჩაიკეტოს, არამედ გადაეშვას ცხოვრებაში მასთან ბრძოლისათვის, თუ განცხრომისათვის არა, რომლის შესაძლებლობასაც იგი ამ ცხოვრებაში ვერ ხედავს. ქალბატონმა ჟადოვსკაიამ ამ მძიმე ნაბიჯს-ამჯობინა უშფოთველად უცქიროს ცასა და ვარსკვლავებს. თითქმის ყველა თავის ლექსში იგი თვალს არ აშორებს ცასა და ვარსკვლავებს; მაგრამ ახალი იქ ვერაფერი შენიშნა. ეს ლევერიე როდია, ვინაც აღმოაჩინა პლანეტა ნებტუნი, რომელსაც მანამდე არავინ იცნობდა. ლევერიე უფროა პოეტი, ვიდრე ქალბატონი ჟადოვსკაია, თუმცა ლევერიე ლექსებს არა სწერს. სიამოვნებით დავეთანხმებით იმას, ვინც ჩვენს შედარებას უადგილოდ ან ნაძალადევად ჩასთვლის; მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ უცქირო ცას და იქ ვერაფერი დაინახო, გარდა ზოგადი ფრაზებისა, რითმებით თუ ურითმოდ, — ეს ცუდი პოეზიაა! ან კი სასიკეთო რა შეიძლება დაინახოს ცაში ჩვენი დროის პოეტმა, თუ მისთვის სრულიად უცხოა სრულიად ზოგადი ფიზიკური და ასტრონომიული ცნებები და თუ მან არ იცის, რომ მისი თვალის მომხიბლველი ეს მტრედისფერი გუმბათი სინამდვილეში არ არსებობს, არამედ ქმნილებაა მისივე საკუთარი მხედველობისა, რომელიც მისთვის ხილული სფერული ამოზნექილობის ცენტრი გახდა; რომ იქ, მაღლა, საითქენაც ის ასე მიისწრაფვის, სიცარიელე და სიცივე და სასუნთქავი ჰაერი არ არის, რომ ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე ათასი წლის განმავლობაშიც კი ვერ მიაღწევ საუკეთესო აეროსტატი... სულ სხვა

საქმეა დედამიწა: — აქ ჩვენ სინათლეს გვაქვს და სითბოც, აქ ყველაფერი ჩვენია, ყველაფერი ჩვენთვის მახლობელი და გასაგებია, აქ არის ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი პოეზია... სამაგიეროდ, ვინც დედამიწას ზურგს აქცევს, ვისაც მისი გაგების უნარი არ შესწევს, ის არ შეიძლება პოეტი იყოს და ცივ სიმაღლეში მარტოოდენ ცივსა და ცარიელ ფრაზებს ჰპოვებს...⁴¹

ჩვენს მიერ დასახელებული ლექსთა წიგნებიდან, რომლებიც გასულ წელს გამოვიდა, სხვებზე უფრო შესამჩნევია აპოლონ გრიგორიევის ლექსები. მათში ნაპერწკლები მაინც მოიპოვება ვარგისი პოეზიისა, ე. ი. ისეთი პოეზიისა, რომელსაც სირცხვილი არ არის ხელი მოჰკიდო, როგორც საქმეს. დასაანანია, რომ ეს ნაპერწკლები ცოტაა; ეს ნაპერწკლები გამოწვეული იყო ლერმონტოვის გავლენით ბ-ნ გრიგორიევიზე; მაგრამ ეს გავლენა მასში სულ უფრო და უფრო მეტად ჰქრება და იქცევა თვითმყოფობად, რაც მთლიანად მდგომარეობს ბუნდოვან-მისტიკურ ფრაზებში, რომელთა კითხვის დროს უნებლიეთ გაგონდებათ ეს ძველი ეპიგრამა:

ბიბრესი ღმერთთა ვნით მღეროდა, —
მომაკვდავთ არა გაეგებოდათ.

აი თვითმყოფობა, რომელსაც მიმბაძველობაც კი სჯობია!

მაგრამ საერთოდ რუსული ლიტერატურისათვის ქეშმარიტი შენაძენი იყო გასულ წელს გამოსული კოლცოვის ლექსები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ლექსი უკვე აღმანახებდა და ეურნალებში დაბეჭდილი და წაკითხულია, — ისინი სიახლის შთაბეჭდილებას ახდენენ, სახელდობრ იმიტომ, რომ ერთად არიან შეკრებილნი და მკითხველს წარმოდგენას აძლევენ კოლცოვის მთელ პოეტურ მოღვაწეობაზე, წარმოადგენენ რაღაც მთლიანს. ეს წიგნი რუსული ლიტერატურის კაპიტალური, კლასიკური შენაძენია; მას საერთო არა აქვს რა იმ ეფემერულ მოვლენებთან, რომელთაც, ერთგვარი ღირსებებით აღჭურვილთაც კი, გადაფურცლავენ ხოლმე

როგორც ახალ წიგნს და შემდეგ ივიწყებენ. ჩვენს დრო-ში ლექსის თხზვის ტალანტი მაინცა და მაინც დიდი არა-ფერია, — იგი მეტად ჩვეულებრივი მოვლენაა; იმისა-თვის, რომ იგი რამედ ღირდეს, იგი უნდა იყოს არა მხოლოდ ტალანტი, არამედ დიდი ტალანტიც, დამოუკიდებელი აზ-რით, ცხოვრებისადმი მხურვალე თანაგრძნობით, მისი ღრმად გაგების უნარით აღჭურვილი. ყურნალების მითქმა-მოთქმის მკობებით, ზოგიერთმა პატარა ტალანტმა ასე თუ ისე გაიგო ეს თავისებურად და თავისი წიგნების თავფურცლებზე მოპ-ყავთ ეპიგრაფები იმის დასადასტურებლად, რომ მათი პოე-ზია თანამედროვე მიმართულებით განირჩევა, ისიც ლათი-ნური ეპიგრაფებისა, როგორც მაგალითად: *Homo sum, et nihil humani a me alienum puto*“. მაგრამ ვერც გახსწავ-ლულობა, ვერც ლათინური ეპიგრაფები, ვერც ლათინური ენის თუნდაც ნამდვილი ცოდნა ვერ მისცემს ადამიანს იმას, რაც მისთვის ბუნებას არ მიუხიქებია, და ცნობილი რიგის პოეტთა ეგრეთწოდებული „თანამედროვე მიმართულება“ მუდამ მხოლოდ „დატყვევებული აზრის გაღიზიანება“ იქ-ნება...

აი რატომ არის, რომ მცირემცოდნე ჩოღარმა კოლცოვმა მეცნიერებისა და განათლების დაუხმარებლად ჰპოვა საშუა-ლება უჩვეულო და თავისებური პოეტი გამხდარიყო. მან თვითონაც არ იცოდა, როგორ გახდა პოეტი, და მოკვდა იმ წრფელი რწმენით, რომ თუ კიდევაც შესძლო ორი-სამი რი-გიანი პიესა დაეწერა, იგი მაინც მდარე და უბადრუკი პოეტი იყო... მეგობრების აღტაცება და ხობტა ნაკლებ გავლენას ახდენდა მის თავმოყვარეობაზე... ახლა ცოცხალი რომ იყო, იგი პირველად იგრძნობდა თავის თავში დარწმუნებულნი ღერსების სიამოვნებას; მაგრამ ბედმა არ არგუნა მას² ეს კა-ნონიერი ჯილდო ამდენი ტანჯვისა და ეჭვის სანაცვლოდ...

რადგან ჩვენ კოლცოვის პოეზიაზე ვერაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რაც ამ საგანზე უკვე ითქვა სტატიის კოლცო-ვის ცხოვრებისა და თხზულებათა შესახებ, რომელიც მის თხზულებათა გამოცემის შემადგენლობაში შევიდა, ამიტომ

ამ სტატიებზე მივუთითებთ იმათ, ვისაც ის არ წაუყითხავს, მაგრამ სურს იცოდეს ჩვენი აზრი კოლცოვის ტალანტსა და მის მნიშვნელობაზე რუსულ ლიტერატურაში¹³.

იმ ლექსითი ნაწარმოებებიდან, რომლებიც შარშან გამოქვეყნდა არა ცალკე, არამედ სხვადასხვა გამოცემებში, აღსანიშნავია: ბ. ტურგენევის მემამულე, მოთხრობა (პეტერბურგსკი სბორნიკში) და ანდრია, პოემა (ოტენესტვენნიე ზაპისკიში); მაშენკა, პოემა ბ-ნ მაიკოვისა (პეტერბურგსკი სბორნიკში); შექსპირის მაკბეტი, ბ-ნ კრონებერგის თარგმანი; ლექსად და პროზად. შესანიშნავი მცირე ლექსები შარშან, ისე როგორც საერთოდ უკანასკნელ ხანებში, ძალიან ცოტა იყო. მათგან საუკეთესონი ეკუთვნიან ბატონებს მაიკოვს, ტურგენევს და ნეკრასოვს.

ამ უკანასკნელის ლექსთა შესახებ შეიძლებოდა მეტი გვეთქვა, ამას რომ გადაჰკრით ხელს არ უშლიდეს მისი დამოკიდებულება სოფრემენნიკისადმი...

აქვე უნდა ითქვას კლასიკურ ნაწარმოებთა ლექსად თარგმანების შესახებ. გ. ა. გრიგორიევმა სთარგმნა სოფოკლეს ანტიგონე (ბიბლიოტეკა დღია ჩტენია № 8). ბევრ ჩვენს ლიტერატორს ზნედ სჭირს იღუმალი გაბლენძილობით ილაპარაკოს იმ საგნებზე, რომლებიც დიდი ხანია ცნობილი არიან, და გულდაჯერებით მოჰკიდოს ხელი მისთვის სრულიად უცხო საქმეს. გ. გრიგორიევი თავისი თარგმანის მოკლე წინასიტყვაობაში აცხადებს, რომ იგი თავის დროზე „გადმოსცემს შეხედულებას ბერძნულ ტრაგედიაზე“, შეხედულებას, „რომლის განსაკუთრებული საწყისია, სხვათა შორის, ძისი უშუალო კავშირი ძველნი მისტერიების მოძღვრებასთან“. ეს ბავშვებმაც კი იციან გიმნაზიის დაბალ კლასებში! აი, მაგალითად, ის იღეა, რომ მარტოოდენ ანტიგონეში არის მოცემული ბრძოლა ადამიანის სიცოცხლის ორი საწყისისა—პირადი უფლებისა და მოვალეობის ბრძოლა საერთო უფლებისა და მოვალეობის წინააღმდეგ, და რომ, მაშასადამე, ანტიგონეში ძველი ფორმებიდან სხვა ცხოვრების წინათგრძობის სიო ჰქრისო, — ეს იღეა მხოლოდ და მხოლოდ ბ-ნ გრი-

გორიეცს ეკუთვნის და ჩვენ მზად ვართ სიამოვნებით დავუტოვოთ მას იგი. რაც შეეხება თვით ანტიგონეს, საეჭვოა, რომ სოფოკლემ — „სტიკელმა ფუტკარმა“ — იცნოს თავისი თავი ბ-ნ გრიგორიეცის ამ ნაუცბათევე, პრეტენზიებით აღსავსე და მეტად არასწორ თარგმანში. დიდებული ძველი სენატორი (ექვსმუხლიანი იამბიკო) გადაიქცა რალაც დაკუწულ, არასწორ პროზად, რომელიც მოგვაგონებს ჩვენი უხეში დრამატურგების უახლეს „დრამატიულ წარმოდგენებს“; მცლოდიური გუნდები ხშირად გვევლინებიან ყოველგვარ აზრს მოკლებული ცარიელი სიტყვების რახარუხად; ძველი კოლორიტის, თითოეული ცალკე პირის დახასიათების ნატამალიც არა ჩანს*. იბადება კითხვა: რისთვის და ვისთვის შრომობდა ბ-ნი გრიგორიევი? ნუთუ იმისთვის, რომ ჩვენს შორის ჩაეკლა ისედაც არც თუ ძლიერი მისწრაფება ძველი კლასიკური ლიტერატურისადმი, რომელსაც იგი ასე ქარაფშუტულად მოეპყრო?..

ბელეტრისტიკული* პროზის დარგში შარშან ცალკე გამოცემად გამოვიდა მხოლოდ ორი თხზულება: ბ-ნ ზაგოსკინის რომანი — ბრინის ტყე, ეპიზოდი პეტრე დიდის მეფობის პირველი წლებიდან, და ბ-ნ ბუტკოვის პეტერბურგის მწვერვალების მეორე ნაწილი.

ბ-ნ ზაგოსკინის ახალი რომანი განირჩევა მისი წინანდელი რომანების ყველა როგორც ცუდი, ისე კარგი მხარით. ნაწილობრივ ეს არის ბ-ნ ზაგოსკინის ახალი, აღარ გვახსოვს უკვე მერამდენე, მიბაძვა მისი პირველი რომანის — იური მილოსლავსკისადმი. მაგრამ უკანასკნელი რომანის გმირი კიდევ უფრო უფერული და უპიროვნოა, ვიდრე პირველი რომანის გმირი. გმირ ქალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ეს სულაც არ არის ქალი, და მით უმეტეს XVII საუკუნის დასასრულის რუსის ქალი. თავისი კვანძით ბრინის ტყე მოგვაგონებს გასული საუკუნის სენტიმენტალურ რომანებსა და მოთხრო-

* აღარაფერს ვამბობთ უამრავ შეცდომებზე; ბ-ნ გრიგორიეცის აზრით, რუსი (მარსი) უნდა წარმოითქვას მახვილით მეორე ხმოვანზე და სხვა.

ბებს. სტრელეცთა ასისტავი ლიოვშინი რომანიულად შეიყვარებეს ვილაც არაამქვეყნიურ ქალწულს, რომელსაც მას ბედრი სასტუმროში შეახვედრებს. რომანის პირველივე ნაწილიდან შეიტყობთ, რომ ბოიარ ბუინოსოვს მცირეწლოვანი ქალიშვილი დაეკარგა ბრინის ტყეში, სადაც იგი დასასვენებლად შეჩერდა თავისი ამალითურთ, რომელიც ორმოცდაათი ყმისაგან შესდგებოდა. ამას რომ შეიტყობთ, მაშინვე მიხვდებით, რომ იდეალური ქალწული, რომელმაც ლიოვშინი მოხიბლა, ბუინოსოვის ქალიშვილია, ხოლო ამასთან ერთად გაიგებთ, რა მოხდება რომანში შემდეგ და რით დამთავრდება: ის. ორი მტრედის სიყვარული გამოხატულია გასული საუკუნის ჩვეულებრივი⁴⁷ რომანების გაცვეთილი ფრაზებით, — ფრაზებით, რომლებიც არასგზით არ მოუვიდოდა თავში რუს ადამიანს XVII საუკუნის უკანასკნელ ნახევარში, როდესაც ჯერ კიდევ გამოსული არ იყო განთქმული წიგნი, წოდებული ასე: დარიგებანი, თუ ვითარ იწერების ყოველგვარი კომპლიმენტები და სხვ.⁴⁸ რომანის სუსტ მხარეებს მიეკუთვნება მისი მიმართულებაც, რაც იქიდან წარმოსდგება, რომ ავტორს დიდი მიდრეკილება აქვს აღტაცებაში მოვიდეს ძველი ზნე-ჩვეულებებით⁴⁹, ყველაზე უაზრო, უციცლური და ბარბაროსული⁵⁰ ზნე-ჩვეულებებითაც კი, და ისინი წარამარა თავის მომაბეზრებლად დაუპირისპიროს თანამედროვე ზნე-ჩვეულებებს. თუმცადა, ეს ნაკლი მნიშვნელოვანი არაა: სადაც ავტორი არაადამაჯერებლად, არასწორად, სუსტად ხატავს ძველ დროს, იქ იგი, რასაკვირველია, მკითხველზე ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, გარდა მოწყენილობისა; იქ კი, სადაც იგი გამოხატავს დალოცვილ ძველ დროს მისი კეშმარტი სახით, როგორც ნიქიერი მწერალი, — იქ იგი ყოველთვის აღწევს თავისთვის სრულიად საწინააღმდეგო შედეგს, ე. ი. მკითხველს აჯერებს სწორედ იმის საწინააღმდეგო რამეში, რაშიაც სურს დააჯეროს, და პირიქით. და ეს არის რომანის საუკეთესო ფურცლები, რომლებიც დაწერილია შესანიშნავი ნიჭით და დიდად საინტერესოა, როგორც, მაგალითად, ზემსკი პრიკაზისა და ღირ-

სეული პოდიაკის ანუფრი ტრიფონიჩის სურათი; პრიკაზის მოხელე ბუინოსოვის ნაამბობი მისი ქალიშვილის დაკარგვის შესახებ შვიდი გამდელისა და ორმოცდაათი შინაყმის თვალწინ, ხოლო რაც მთავარია—სურათი თათრული ყაიდის სამედიკატორო²¹ სასამართლოსი, სადაც ბოიარ კუროდავლევისა და მასთან გასამართლებისათვის მისულ ორი გლეხის სახით ჩანს ზოგიერთი ძველი ზნე-ჩვეულების მთელი მშვენიერება. ბ-ნ ზაგოსკინის ახალი რომანის კარგ მხარეებს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე საზოგადოდ გვარიანად, ალაგ-ალაგ კი ჩინებულად მოხაზული სახეები რასკოლნიკებისა: ანდრია პომორიანინისა, მამა პაფნუტისა, მამა ფილიპესი და მამა ვოლოსატისა, ბოიარ კუროდავლევისა, ადგილუფროსობისათვის ქედმაღლური გრძნობის ნებაყოფლობითი მოწამისა. მაგრამ ყველა ამათზე უკეთესად დახატულია ანდრია პომორიანინი. არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ ბ-ნი ზაგოსკინი თავის რომანში მკითხველის ყურადღებას თავისი გმირის უფერულ და მოსაწყენ სიყვარულს უფრო აპყრობს, ვიდრე ამ საინტერესო ეპოქის ზნე-ჩვეულებათა და ისტორიულ მოვლენათა სურათებს. ბ-ნ ზაგოსკინის ახალი რომანის ენა, ისე როგორც ყველა მისი წინანდელი რომანისა, ყველგან მკაფიო, სადა, მწყობრი, აქა-იქ მეტყველი და ცოცხალია.

ბ-ნ ბუტკოვის პეტერბურგის მწვერვალების მეორე წიგნი ჩვენ პირველზე გაცილებით უკეთესი გვეჩვენა, თუმცა პირველიც არ იყო ცუდი. ჩვენი აზრით, ბ-ნ ბუტკოვის რომანისა და მოთხრობისათვის ნიჭი არა აქვს, და იგი ძალიან კარგად იქცევა, როდესაც მუდამ მის მიერვე შექმნილი თავისებური²² სახის დაგეროტიკური ამბებისა და ნარკვევების ფარგლებში რჩება. ეს შემოქმედება და პოეზია არ არის, მაგრამ ამაში არის თავისებური შემოქმედება, თავისებური პოეზია²³. ბ-ნ ბუტკოვის ამბები და ნარკვევები რომანსა და მოთხრობასთან ისეთსავე დამოკიდებულებასთან, როგორც სტატისტიკა ისტორიასთან, როგორც სინამდვილე პოეზიასთან. მათში ფანტაზია ცოტაა, სამაგიეროდ ბევრია ჭკუა და გრძნობა; ცო-

ტაა იუმორი, მაგრამ ბევრია ირონია და ჭკუამახვილობა, რომლის წყაროა სიმპათიური სული. შესაძლოა, ბ-ნ ბუტკოვის ნიჭი ცალმხრივი იყოს და განსაკუთრებული მოცულობით არ ხასიათდებოდეს; მაგრამ საქმე ის არის, რომ შეიძლება კაცს ბ-ნ ბუტკოვის ნიჭზე უფრო მრავალმხრივი და დიდი ტალანტი ჰქონდეს და ამით მოგვაგონებდეს ხან ერთი და ხან მეორე კიდევ უფრო დიდი ტალანტის არსებობას; მაშინ როდესაც ბ-ნ ბუტკოვის ნიჭი არავის არ მოგვაგონებს, — ის სავსებით თავისებურია. იგი არავის არ ჰბაძავს, და ვერავინ შესძლებდა დაუსჯელად მიებაძა მისთვის⁵⁴. აი რატომ განსაკუთრებით ვაფასებთ და პატივს ვსცემთ ბ-ნ ბუტკოვის ნიჭს. ბ-ნ ბუტკოვის ამბები, ნარკვევები, ანეგდოტები, — უწოდეთ მათ რაც გინდათ, — ლიტერატურის რაღაც განსაკუთრებული, აქამდე არარსებული სახეა.

ჩვენ დიდი კმაყოფილებით შევნიშნეთ, რომ ამ მეორე წიგნში ბ-ნი ბუტკოვი უფრო იშვიათად მიმართავს კარიკატურას, უფრო ნაკლებად ხმარობს უცნაურ სიტყვებს, რომ მისი ენა უფრო ზუსტი, უფრო გამოკვეთილი გახდა და შინაარსი უფრო მეტად განიმსჭვალა აზრითა და ჭეშმარიტებით, ვიდრე ყოველივე ეს პირველ წიგნში იყო. ეს წინსვლაა. სულით და გულით ვისურვებთ, რომ პეტერბურგის მწვერვალების მესამე წიგნი რაც შეიძლება მალე გამოსულიყოს.

ბელეტრისტიკული პროზის იმ შესანიშნავ ნაწარმოებთ თუ მიემართავთ, რომლებიც გასული წლის კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნდა, — ჩვენ უწინარეს ყოვლისა თვალს მივაპყრობთ საბრალო ადამიანებს, რომანს, რომელმაც ერთბაშად დიდი სახელი მოუხვეჭა⁵⁵ ლიტერატურაში მანამდე სრულიად უცნობ ადამიანს. თუმცა, ამ ნაწარმოებზე იმდენი რამ ითქვა ყველა ჟურნალში, რომ მისი ახალი დაწვრილებითი განხილვა აღარ შეიძლება საინტერესო იყოს საზოგადოებისათვის. ამიტომაც ამ საგანზე ძალიან ვრცლად არ ვილაპარაკებთ. რუსულ ლიტერატურაში ჯერ არავის ასე მალე და ასე სწრაფად არ მოუხვეჭნია სახელი, როგორც მოიხვეჭა დოსტოევსკიმ⁵⁶. ბ-ნ დოსტოევსკის ტალანტის

ძალა, სიღრმე⁵⁷ და ორიგინალობა მაშინვე ყველამ აღიარა და — რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია — საზოგადოებამ მყისვე გამოიჩინა ის არაზომიერი მომთხოვნელობა ბ-ნ დოსტოევსკის ტალანტის მიმართ და ის წრეგადასული შეუწყნარებლობა მისი ნაკლოვანებებისადმი, რასაც მხოლოდ არაჩვეულებრივი⁵⁸ ტალანტი იწვევს ხოლმე. ბ-ნ დოსტოევსკის საბრალო ადამიანებში თითქმის ყველამ ერთსულოვნად ჰპოვა ის თვისება, რომ იგი ჰქანცავს მკითხველს მაშინაც კი, როცა ალტაცებაში მოჰყავს იგი, და ეს თვისება ზოგმა ნაწარმოების გაქიანურებას მიაწერა, ზოგმა კი — უზომო ნაყოფიერებას. მართლაც, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ შემდეგ აზრს: საბრალო ადამიანები თუნდაც მეთედით ნაკლები მოცულობისა რომ ყოფილიყო და ავტორს წინდახედულება ჰქონოდა დაეხვეწა თავისი რომანი ერთი და იგივე ფრაზებისა და სიტყვების ზედმეტ განმეორებათაგან, — ეს ნაწარმოები უნაკლო მხატვრული⁵⁹ იქნებოდა. ოტეჩესტვენნიე ზაპისკის მეორე წიგნში ბ-ნი დოსტოევსკი მის მიერ დაინტერესებული⁶⁰ საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიდა თავისი მეორე რომანით: ორეული. ბატონ გოლიადკინის თავგადასავალი. თუმცა პირველმა დებიუტმა ახალგაზრდა მწერალს უკვე საკმაოდ გაუკაფა წარმატების გზა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ორეულს საზოგადოებაში არავითარი წარმატება არ ჰქონია. თუ ამ საფუძვლით ჯერ კიდევ არ შეიძლება ბ-ნ დოსტოევსკის მეორე ნაწარმოები დავგმოთ როგორც ისეთი, რომელმაც მარცხი განიცადა, და კიდევ უფრო ნაკლებად — როგორც ისეთი, რომელსაც არავითარი ღირსება არა აქვს, — მაშინ არც ის შეიძლება, რომ საზოგადოების მსჯავრი უსაფუძვლოდ მივიჩნიოთ. ორეულში ავტორმა შემოქმედების უდიდესი ძალა გამოამჟღავნა; გმირის ხასიათი იმ ყველაზე ღრმა და გაბედული კონცეპციების რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც კი სასიქადულოა რუსული ლიტერატურისათვის; ჰკუა და ჰეშმარიტება ამ ნაწარმოებში უამრავია, ასევე მხატვრული ოსტატობაც⁶¹; მაგრამ ამასთან ერთად აქ ჩანს იმის საშინელი უუნარობა, რომ ჰფლობდეს და მომჭირნეო-

ბით იყენებდეს საკუთარ ქარბ ძალებს. ყველაფერი, რაც საბრალო ადამიანებში პირველი ცდისთვის მისატყვებელ ნაკლს წარმოადგენდა, ორეულში საშინელ ნაკლოვანებებად მოგვევლინა, და ეს ყველაფერი ერთ რამეში მდგომარეობს: ძალებით მეტად მდიდარ ტალანტს⁴² უნარი არ შესწევს განსაზღვროს მის მიერ მოფიქრებული იდეის მხატვრული განვითარების გონივრული ზომა და საზღვრები. ვცადოთ ჩვენი აზრის ახსნა მაგალითით. გოგოლმა ისე ღრმად და ცხოვლად მოახდინა ხლესტაკოვის სახის იდეის კონცეპცირება, რომ ადვილად შეეძლო გაეხადა იგი გმირად კიდევ მთელ ათეულ კომედიაში, სადაც ივანე ალექსანდრეს-ძე ერთგული იქნებოდა თავისი თავისა, თუმცა სრულიად ახალ მდგომარეობებში: როგორც სასიძო, ქმარი, ოჯახის უფროსი, მემამულე, მოხუცი და ა. შ. ეს კომედიები, უეჭველია, ისევე ჩინებული იქნებოდა, როგორც რევიზორი, მაგრამ რევიზორივით წარმატება აღარ ექნებოდათ, არამედ მოსაწყენი უფრო იქნებოდნენ, ვიდრე მოსაწონი, იმიტომ რომ განუწყვეტლივ ერთი და იგივე კერძი, თუნდაც ის ღემიანისა იყოს, მოსაბეზრებელია. რაკი პოეტმა თავისი ნაწარმოებით იდეა გაძოხატა, მისი საქმე დამთავრებულია, და მან თავი უნდა დაანებოს ამ იდეას, რათა მოსაწყენი არ გახადოს იგი. აი მეორე მაგალითი ამავე მხრივ: რა შეიძლება იყოს იმ ორ სცენაზე უკეთესი, რომლებიც გოგოლმა თავისი კომედიიდან ამოიღო, როგორც მისი მსვლელობის შემანელებელი? შედარებით, ისინი ღირსების მხრივ კომედიის არც ერთ დანარჩენ სცენას არ ჩამოუვარდებიან; მაშ რატომ ამოიღო მან ისინი? — იმიტომ, რომ მას გააჩნია მხატვრული ზომიერების უმაღლესი ტაქტი და არა მარტო ის იცის, თუ რით დაიწყოს და სად გაჩერდეს, არამედ იმის უნარიც შესწევს, რომ საგანი ზუსტად იმდენად განავითაროს, რამდენადაც საჭიროა. ჩვენ ვიცით, რომ ბ-ნმა დოსტოვესკიმ ორეულიდან ამოიღო ერთი მშვენიერი სცენა, რადგან თვითონვე გრძნობდა, რომ მისი რომანი მეტისმეტად გრძელი გამოვიდა, და ჩვენ დარ-

წმუნებული ვართ, მას რომ თავისი ორეული მთელი ერთი მესამედით მაინც შეემოკლებინა და კარგის ამოგდებაც კი არ დანანებოდა, მაშინ მისი წარმატება სხვაგვარი იქნებოდა.⁶⁴ მაგრამ ორეულში მეორე არსებითი ნაკლიც არის: ეს არის მისი ფანტასტიკური კოლორიტი. ფანტასტიკურს ჩვენს დროში შეიძლება ადგილი ექნეს მხოლოდ საგიჟეთში და არა ლიტერატურაში, და ექიმების გამგებლობაში იმყოფებოდეს და არა პოეტებისა. ყველა ამ მიზეზების გამო, ორეული დააფასა ხელოვნების მხოლოდ რამდენიმე დილექტანტ-მ: ⁶⁴, რომლებისთვისაც ლიტერატურული ნაწარმოებები არა მარტო სიამოვნების, არამედ შესწავლის საგანიც არის. საზოგადოება კი შესდგება არა დილექტანტებისაგან, არამედ ჩვეულებრივი მკითხველებისაგან, რომლებიც მხოლოდ იმას კითხულობენ, რაც მათ უშუალოდ მოსწონთ, არ მსჯელობენ იმაზე, თუ რატომ მოსწონთ ეს, და მაშინვე ხურავენ წიგნს, როგორც კი იგი მათთვის მომქანცველი ხდება, აგრეთვე იმის განუსჯელად, თუ რატომ არ დაუჯდათ ჰკუაში. ნაწარმოებს, რომელიც საქმის მცოდნე ადამიანებს მოსწონთ და უმრავლესობას არ მოსწონს, შეიძლება თავისი ღირსებები ჰქონდეს; მაგრამ ჰეშმარიტად კარგი ნაწარმოები ის არის, რომელიც ორივე მხარეს მოსწონს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, პირველს მოსწონს, მაგრამ მეორეც კითხულობს. გოგოლი ყველას როდი მოსწონდა, მაგრამ წაკითხვით ყველამ წაიკითხა... ⁶⁵

ოტეჩესტვენნიე ზაპისკის მეათე წიგნში გამოქვეყნდა ბ-ნ დოსტოევსკის მესამე ნაწარმოები, მოთხრობა ბატონი პროხარჩინი, რომელმაც ბ-ნ დოსტოევსკის ნიჭის ყველა⁶⁶ თაყვანისმცემელი არასასიამოვნოდ განაცვიფრა. ამ მოთხრობაში დიდი ტალანტის ნათელი⁶⁷ ნაპერწკლები ბრწყინავენ, მაგრამ ისინი ბრწყინავენ⁶⁸ ისეთ საშინელ წყვილადში, რომ მათი შუქი მკითხველს არაფრის დანახვის საშუალებას არ აძლევს... ჩვენ გვგონია, რომ ეს უცნაური მოთხრობა წარმოშვა არა შთაგონებამ, არა თავისუფალმა და ალაღმა 'მეძოქმედებამ, არამედ რაღაც... — როგორ სჯობს ითქვას? —

ქუთისთვის ძალის დატანებამ თუ პრეტენზიის მაგვარმა რამემ... იქნებ ჩვენ კიდევაც ვცდებოდეთ, მაგრამ მაშ რატომ არის ის ამ შემთხვევაში ასეთი ღვლარქნილი, მანერული, გაუგებარი, თითქოს რომელიმე ნამდვილი, მაგრამ უცნაური და დახლართული შემთხვევა იყოს და არა პოეტური ქმნილება? ხელოვნებაში არაფერი არ უნდა იყოს ბუნდოვანი და გაუგებარი; ხელოვნების ნაწარმოებში სწორედ იმით ღვანან ეგრეთწოდებულ „ნამდვილ შემთხვევებზე“ მალა, რომ პოეტი თავისი ფანტაზიის გზებით აშუქებს თავისი გმირების მთელ სულის ხვეულებს, მათი მოქმედების ყველა ფარულ მიზეზს, ჩამოაცლის თავის ნამბობს ყოველივე შემთხვევითს და წარმოგვიდგენს მხოლოდ აუცილებელს, როგორც საკმარისი მიზეზის გარდუვალ შედეგს. აღარას ვამბობთ ავტორის იმ მიდრეკილებაზე, რომ ხშირად იმეორებს თავისი რომელიმე განსაკუთრებით მარჯვე გამოთქმა (როგორც, მაგალითად, პროხარჩინი ბრძენია!) და ამით შეასუსტოს მისი შთაბეჭდილების ძალა; ეს უკვე მეორეხარისხოვანი ნაკლია, და, რაც მთავარია, ისეთი ნაკლია, რომლის გამო-სწორება შეიძლება. გაკვრით შევნიშნავთ, რომ გოგოლს ასეთი განმეორებანი არა აქვს. რა თქმა უნდა, ჩვენ უფლება არა გვაქვს დოსტოვესკის ნაწარმოებებს გოგოლის ნაწარმოებთა სრულქმნილება მოვთხოვოთ; მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ დიდი ტალანტისათვის ფრიად სასარგებლოა კიდევ უფრო მეტი ტალანტის მაგალითი გამოიყენოს⁷⁹.

გასული წლის მსუბუქი ლიტერატურის შესანიშნავ ნაწარმოებთ მიეკუთვნება ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში მოთავსებული მოთხრობები: არყოფილი ყოფილში, ანუ ყოფილი არყოფილში ლუგანსკისა და სოფელი ბ-ნ გრიგოროვიჩისა. ორივე ამ ნაწარმოების საერთო თვისება ის არის, რომ ისინი საინტერესოა არა როგორც მოთხრობები, არამედ როგორც ცხოვრების ყოფითი მხარის ოსტატური ფიზიოლოგიური ნარკვევები. არ ვიტყვით, რომ საკუთრივ ლუგანსკის მოთხრობა საინტერესო არ იყოს; ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ იგი ბევრად უფრო საინტერესოა თავისი გადახვე-

ვებითა და აქსესუარებით, ვიდრე თავისი რომანული კვანძით. მაგალითად, მოჩუქურთმებულ ფანჯრებიანი ქოხის საუცხოო სურათი, მალროსიულ ქოხთან შედარებით, მთელ მოთხრობაზე უკეთესია, თუმცა მასში მხოლოდ ეპიზოდად შედის და მისი შინაარსის დედააზრთან შინაგანად არაფრით დაკავშირებული არ არის. საერთოდ ლუგანსკის მოთხრობებში ყველაზე საინტერესოა დეტალები, და არყოფილი ყოფილში, ანუ ყოფილი არყოფილში განსაკუთრებით მდიდარია საინტერესო წვრილმანებით, გარდა მოთხრობის საერთო ინტერესისა, მოთხრობისა, რომელიც აქ მხოლოდ ჩაჩჩოა და არა სურათი, საშუალებაა და არა მიზანი. ამის შესახებ შეიძლებოდა მეტი გვეთქვა, მაგრამ რადგან ძალე შემთხვევა გვექნება ჩვენი აზრი გამოვთქვათ ამ მწერლის მთელ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე, ამიტომ ჯერჯერობით ამ რამდენიმე სტრიქონს დავჯერდებით⁷¹.

ბ-ნ გრიგოროვიჩზე ახლავე ვიტყვით, რომ მას მოთხრობისათვის არავითარი ნიჭი არა აქვს, მაგრამ შესანიშნავი ნიჭი აქვს საზოგადოებრივი ყოფის იმ ნარკვევებისათვის, რომლებმაც ახლა ლიტერატურაში ფიზიოლოგიური ნარკვევების სახელწოდება მიიღეს. მაგრამ მას უნდოდა თავისი სოფელი მოთხრობად გაეხადა, და აქედან წარმოსდგა მისი ნაწარმოების ყველა ნაკლი, რომლებსაც იგი ადვილად აიცდენდა, გლეხთა სოფლური ყოფის გარეგნულად დაუკავშირებელი, მაგრამ ერთი აზრით გაქლენთილი სურათებით რომ დაკმაყოფილებულიყო. ამათა მისი ცდაც — ჩაიხედოს თავისი მოთხრობის გმირი ქალის შინაგან სამყაროში, და საერთოდ მისი აკულინა საკმაოდ უფერული და ბუნდოვანი სახე გამოვიდა, სწორედ იმიტომ, რომ იგი ცდილობდა მისგან განსაკუთრებით საინტერესო სახე გამოეყვანა. მოთხრობის ნაკლია აგრეთვე ბუნების ნაძალადევი, ღვლარქნილი და ალაგ-ალაგ ხელოვნურად გართულებული აღწერა. მაგრამ რაც შეეხება საკუთრივ გლეხთა ყოფის ნარკვევებს, ეს ბ-ნ გრიგოროვიჩის ნაწარმოების ბრწყინვალე მხარეა. მან აქ გამოამჟღავნა დიდი დაკვირვება და საქმის ცოდნა, და შესძლო

შესანიშნავი ნიჭით გამოეჩინა ერთიც და მეორეც სადა, ჭეშმარიტი და მართალი სახეებით. მისი სოფელი — გასული წლის ერთ-ერთი საუკეთესო ბელეტრისტიკული ნაწარმოებია⁷².

ლუგანსკის სტატია: რუსი გლეხი, რომელიც ნოვოსელიეს მესამე ნაწილში გამოქვეყნდა, აღსავსეა ღრმა მნიშვნელობით, განიჩქევა გადმოცემის არაჩვეულებრივი ოსტატობით და საერთოდ ერთ-ერთი საუკეთესო ფიზიოლოგიური ნარკვევია ამ მწერლისა, რომლის არაჩვეულებრივ ტალანტს ამ სახის ლიტერატურაში მეტოქე არა ჰყავს.

ბიბლიოტეკა დღია ჩტენიას მეექვსე წიგნიდან იბეჭდება ბ-ნ ველტმანის რომანი: წუთისოფელში განცდილი თავგადასავალი, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ამ ჟურნალის გასული წლის უკანასკნელ წიგნში. ბ-ნმა ველტმანმა თავის ახალ რომანში თითქმის კიდევ უფრო მეტი ნიჭი გამოამჟღავნა, ვიდრე თავის წინანდელ ნაწარმოებებში, მაგრამ ამასთან ერთად გამოავლინა ისიც, რომ კვლავ აკლია თავისი ნიჭის გამოყენების უნარი. მის თავგადასავალში საშინლად ბევრი მოქმედი პირია, რომელთაგან ბევრი დახატული არიან არაჩვეულებრივი ოსტატობით; ბევრია თანამედროვე რუსული ყოფის საოცრად მართალი სურათები; მაგრამ ამასთან ერთად არიან არაბუნებრივი პირობები, ნაძალადევი მდგომარეობანი, და მოვლენების მეტისმეტად დახლართული კვანძები ხშირად deus ex machina-ს საშუალებით არის გახსნილი. ყველაფერი, რაც კი ამ რომანში მშვენიერია, ბ-ნ ველტმანის ნიჭს ეკუთვნის, რომელიც, უდავოდ, ჩვენი დროის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნიჭიერი ადამიანია; ხოლო ყველაფერი, რაც თავგადასავალის სუსტ მხარეებს შეადგენს, ბ-ნ ველტმანის იმ განზრახვიდან და სურვილიდან გამომდინარეობს, რომ დაემტკიცებინა ძველი ზნე-ჩვეულების უპირატესობა ახლანდელის წინაშე. უცნაური მიმართულება! ჩვენ სრულებითაც არ ვეკუთვებით რუსული საზოგადოების თანამედროვე ზნე-ჩვეულების უყოყმანო თაყვანისმცემ-

ლებს, არც ერთ სხვა⁷⁴ პირზე ნაკლებად არ ვხედავთ ამ ზნე-ჩვეულების უცნაურობებსა და ნაკლოვანებებს და გვსურს მათი გამოსწორება. როგორც სლავიანოფილებს, ჩვენც გვაქვს ზნეობის ჩვენი იდეალი, რომლის გულისთვისაც მისი გამოსწორება გვსურს; მაგრამ ჩვენი იდეალია არა წარსულში, არამედ მომავალში, აწმყოს საფუძველზე. წინსვლა შეიძლება, უკუსვლა არა, და რაც უნდა გვიზიდავდეს წარსულში, იგი სამუდამოდ წასულია. ჩვენ მზად ვართ დავეთანხმობთ იმას, რომ ახალგაზრდა ვაჭრუკანები, რომლებიც ახალ ყაიდაზე ქეიფობენ და მამების მონაგარის განიავება უკეთ ეტერხებათ, ვიდრე ახლის შექენა, — ჩვენ თანახმა ვართ, რომ ისინი უფრო უცნაურები და სულელები არიან, ვიდრე მათი მამები, რომლებიც მაგრად ჩასკიდებიან ძველს. მაგრამ ვერასგზით ვერ დავეთანხმებით იმ აზრს, რომ მათი მამები არ იყვნენ⁷⁵ უცნაურნი და შეუსაბამონი⁷⁵. თვით ვაჭრუკანების ახალი თაობანი გამოხატავენ თავიანთი წოდების გარდამავალ მდგომარეობას, გარდამავალს უარესიდან უკეთესისაკენ, მაგრამ ეს უკეთესი კარგი აღმოჩნდება მხოლოდ როგორც გადასვლის შედეგი, ხოლო როგორც გადასვლის პროცესი, იგი, რასაკვირველია, ძველზე უარესი უფროა, ვიდრე უკეთესი. იმოქმედეთ ზნე-ჩვეულების გამოსწორებაზე სატირით, ან — რაც ყოველგვარ სატირაზე უკეთესია — მისი სწორად გამოხატვით; მაგრამ იმოქმედეთ არა ძველის⁷⁶ გულისათვის, არამედ გონებისა და სალი აზრის გულისათვის, არა წარსულისადმი მეოცნებე და შეუძლებელი მიმართვის გულისათვის, არამედ აწმყოდან მომავლის შესაძლებელი განვითარების გულისათვის. მიკერძება, რის მიმართაც უნდა იქნას ის გამოყენებული⁷⁷ — ძველისა თუ ახლის მიმართ, ყოველთვის უშლის ხელს მიზნის მიღწევას, იმიტომ რომ უნებლიეთ სიცრუეს ათქმევინებს იმ ადამიანსაც კი, რომელიც ჭეშმარიტების ყველაზე მხურვალე მომხრეა და ყველაზე კეთილშობილური რწმენით მოქმედებს. სწორედ ასე მოუვიდა ბ-ნ ველტმანს მის ახალ რომანში. თავისი რომანის

უზნეო ადამიანებს მან ისეთი კოლორიტი მისცა, თითქოს ისინი უზნეონი იყვნენ ახალი ზნეობის მიზეზით, ხოლო კოშიხინის ხანაში რომ ეცხოვრათ, საუცხოო ადამიანები იქნებოდნენო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიგვაჩნია, ვთვლით, რომ უფლება გვაქვს ასეთი⁷ დასკვნა გავაკეთოთ იქიდან, რომ ავტორი არსად არც კი ფიქრობს შენიღბოს თავისი სიმპათია ძველისადმი, თავისი ანტიპათია ახლისადმი. ასე, მაგალითად, კეშმარიტებას რომ მიჰყვა, მან პირუთვნელად გვიჩვენა დიდვაჰარ ზახოლუსტიევის საშინელი სიმდიდრის ბუნებრივი მიზეზები; მაგრამ ამავე დროს საჭიროდ ჩასთვალა დაეპირისპირებინა მისთვის სელიფონტ მიხეიჩი, რომელიც აგრეთვე საშინლად გამდიდრდა, მაგრამ პატიოსნებისა და წესიერების გზით, ხოლო, რაც მთავარია — იმიტომ, რომ „ძველი რუსული ჩვეულებისამებრ ცხოვრობდაო“. ნეტავი ვიცოდეთ, რას იტყოდნენ ჩვენი ვაჟრები უზარმაზარი მამულის პატიოსნად შექტენის ამ უტოპიაზე... ბ-ნ ველტმანის აზრით, რუსი ადამიანი, რომელმაც საუბედუროდ ფრანგული ენა იცის, დაღუპული ადამიანია... უცნაურია, რა ცრურწმენას არ იჩენენ ისეთი ადამიანებიც კი, რომლებსაც ჰქუა და ნიჰი მოეპოვებათ!..

რომანის გმირი დმიტრიცკი — ახალი დროის ვანკა კაინს ჰგავს ან იმას მოგვაგონებს, ვისაც ფრანგები *chevalier d'industrie*-ს⁸ უწოდებენ; იგი სავსებით შესაძლებელი პირია და საზოგადოდ ავტორს იგი ოსტატურად დაუხატავს. სამაგიეროდ გმირი ქალი სალომეა პეტროვნა, რომელსაც წილად ხვდა უახლესი ზნე-ჩვეულების და ფრანგული ენის ცოდნის წარმომადგენლისა და მსხვერპლის არახელსაყრელი როლი, სრულიად ზღაპრული პირია. თავდაპირველად იგი გვევლინება მანჭიად, გულცივ ფარისევლად, საშინლად უხამს და უხეირო მსახიობად, შემდეგ კი ყველაზე ვნებიან ქალად, როგორც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს. რომანის მოქმედება მეტად აბნეულ-დაბნეულია; მასში იმდენი ეპიზოდია, რამდენიც მოქმედი პირი, ხოლო ეს პირები, როგორც

ვთქვით, უთვალავია. როგორც კი ახალი პირი გამოჩნდება, ავტორი უცერემონიოდ ანებებს თავს გმირს — კაცსაც და ქალსაც — და მკითხველს მოუთხრობს ამ ახალი პირის ისტორიას მისი დაბადების დღიდან, ზოგჯერ კი მისი მშობლების დაბადების დღიდანაც, რომანში მისი გამოჩენის დღემდე. ამ შემოყვანილ პირთა უმეტესი ნაწილი დახატული ახ მოხაზულია დიდი ოსტატობით. რომანის განვითარება ძალიან საინტერესოა, ამბებში ბევრი სიმართლეა, მაგრამ ამავე დროს დაუჯერებელიც ბევრია. როდესაც ავტორს საშუალება არა აქვს ბუნებრივად გახსნას კვანძი, ან ახალი კვანძი შექმნას, მისთვის მყისვე გამოჩნდება *deus ex machina*™. ასეთია, მაგალითად, სალომეას მოტაცება კიევის გუბერნიის მემამულის ფილიპე სავიჩის ყმებისაგან, — ყველაზე დაუჯერებელი რომანული ამბავი, როგორც კი ოდესმე ნიჭიერ მწერალს გამოუყენებია. ასეთი ზღაპრული დაუჯერებელი ამბები განსაკუთრებით ბევრია დმიტრიცკის ცხოვრებაში; ის ყველაფერს ახერხებს, ყოველთვის ხელსაყრელად აღწევს თავს ყველაზე ძნელ, ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობას. მოსკოვში მიდის ისე, რომ საბუთები არა აქვს და მხოლოდ ერთი ოქრო მოეპოვება, სასტუმროში დგება, ხელგამლილად სვამს და ჭამს, — და უცბად ბედი მასთან გზავნის ვიგინდარა მჯღაბნელს, რომელმაც იგი სასტუმროს ამავე ნომერში ჯერ კიდევ გუშინ მცხოვრებ ლიტერატორად მიიღო, შინ წაიყვანა, ბინა და ფული შესთავაზა. ყოველივე ეს ისე უსრულდება, თითქოს ნატურის თვალი აქვსო. ეს ამტკიცებს, რომ ბ-ნ ველტმანს წვრილმანების, დეტალების გამოხატვის ნიჭი უფრო აქვს, ვიდრე რაიმე მთლიანის შექმნისა, ზღაპრისკენ მეტი მიდრეკილება აქვს, ვიდრე რომანისკენ, და რომ სისტემები და თეორიები დიდად ვნებენ მის შესანიშნავ ნიჭს...

აქ კიდევ მოვიხსენიებთ უნგრელებს, ფიზიოლოგიურ ნარკვევს ფინსკი ვესტნიკში, და ამით დავამთავრებთ ყოველივე იმ განსაკუთრებით აღსანიშნავის ჩამოთვლას, რაც კაზმული სიტყვიერების დარგში შარშან მოგვევლინა. ეს ჩამოთვლა

დიდი არ გამოვიდა *; მაგრამ ბევრი რამ სრულებით არ გვინდა მოვიხსენიოთ, არა იმიტომ, რომ ყველაფერში, რაზედაც არაფერს ვამბობთ, მხოლოდ ცუდი დავინახეთ და კარგი არაფერი გვინახავს, არამედ იმიტომ, რომ საჭიროდ ვთვლიდით მხოლოდ განსაკუთრებით შესანიშნავზე გველაპარაკნა.

პეტერბურგსკი სზორნიკის მაგალითისამებრ, მოსკოვში გამოიცა მოსკოვსკი ლიტერატურნი ი უჩენი სზორნიკი, რომელიც, მიუხედავად თავისი სლავიანოფილური მიმართულებისა, რამდენიმე საინტერესო სტატიას შეიცავს; მათგან გონივრული შინაარსითა და ოსტატური გადმოცემით განსაკუთრებით შესანიშნავია სტატია „ტარანტასი“, რომელიც ხელმოწერილია ასოებით: მ. ზ. კ.⁸⁰.

ფადეი ბულგარინის მოგონებანი (ცხოვრებაში ნახულის, გაგონილისა და განცდილის ნაწყვეტები) საკუთრივ არც სამეცნიერო ლიტერატურას მიეკუთვნება და არც პოეტურს, არამედ ეგრეთწოდებულ მსუბუქ ლიტერატურას, მაგრამ იგი მრავალმხრივ საინტერესო და შესანიშნავი წიგნია. ამ თხზულების მესამე ნაწილზე, რომელიც ახლახან გამოვიდა, ჩვენს აზრს ქვემოთ გამოვთქვამთ, ჯერჯერობით კი მხოლოდ მისი მოხსენიებით დავკმაყოფილდებით ⁸¹.

ამავე სახის ნაწარმოებთ მივაკუთვნებდით ჩვენ აგრეთვე ექიმის დღიურებს, ბ-ნ მალინოვსკის თხზულებას, ეს დღიურები რომ უფრო მეტად შეესაბამებოდეს თავის მშვენიერ მიზანს და უფრო ჰგავდეს დღიურებს, ვიდრე უნიჭოდ, უუნაროდ და უტაქტოდ დაწერილი ფუჭი რომანის ფორმის მელოდრამას.

* ეს მოხდა ნაწილობრივ იმიტომ, რომ მრავალი შესანიშნავი ბელეტრისტიკული ნაწარმოები, განსაკუთრებით მოთხრობები, შარშან უნდა გამოქვეყნებულიყო ერთ მეტად დიდ კრებულში, რომლის გამოცემაც განზრახული იყო. მაგრამ „სოვრემენნიკის“ გამო ლიტერატორმა, რომელიც მეტად დიდი ⁸¹ კრებულის გამოცემას აპირებდა, ამჯობინა ამ საქმისათვის თავი მიენებებინა და მის მიერ შეკრებილი სტატიები „სოვრემენნიკისათვის“ გადაეცა ⁸².

წმინდა-ლიტერატურული ნაწარმოებებიდან გადავიდეთ სამეცნიერო ანუ სერიოზული შინაარსის თხზულებებზე და დავიწყოთ იმით, რაც გასულ წელს რუსეთის ისტორიის დარგში გაკეთდა. აქვე ვიტყვით, რომ სოვრემენნიკში ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. გარდა რუსეთის ისტორიის საკითხებზე სტატიების გამოქვეყნებისა, ჩვენი ჟურნალი, რომელიც თავის მკითხველებს არ აღუთქვამს სრულ ბიბლიოგრაფიას სხვა საკითხებზე, გამოეხმაურება ყველაფერს, რაც კი რამდენადმე შესანიშნავი იქნება რუსული ისტორიის დარგში⁴⁵

ისტორია რუსული სიტყვიერებისა, უმთავრესად ძველისა — ბ-ნ შევირიოვის XXXIII საჯარო ლექცია (დღემდე ორი ნაწილი გამოვიდა), გასული წლის სამეცნიერო რუსული ლიტერატურის შესანიშნავ მოვლენებს მიეკუთვნება. ამ თხზულებაში ავტორმა გამოამჟღავნა წყაროების კარგი ცოდნა, დიდი ნაკითხობა, ერთი სიტყვით, ისეთი ერუდიცია, რომელიც ყველაზე ბეჯით გერმანელ გელერტერსაც კი პატივს დასდებდა. ამასთანავე ეს თხზულება ხასიათდება ღრმა და წრფელი რწმენით, უალრესად გულუბრყვილო კეთილსინდისიერებით, და, ყოველივე ამის მიუხედავად, შრომისმოყვარე და პატივცემულმა პროფესორმა ფაქტები უალრესად არა-ქეშმარიტი-სახით წარმოგვიდგინა. ეს უცნაური მოვლენა ადვილი გასაგები იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რა საშინელ გავლენას ახდენს ადამიანის საღ აზროვნებაზე სისტემის სული, მიმზიდველობა მზამზარეული იდეისა, რომელიც ჯერ კიდევ ფაქტების შესწავლამდე აღიარებულია უცილობელ ქეშმარიტ იდეად. აი იმის მიზეზი, თუ რატომ არის, რომ ბ-ნ შევირიოვს უძველესი და ძველი რუსეთის სასულიერო თხზულებებში სურს უსათუოდ დაინახოს რუსული ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებნი, ხოლო რუსულ ზღაპრულ ბუმბერაზ ილია მურომეცში ხედავს რაღაც საერთოს სიდთან, ნაციონალური ესპანური რომანსების რაინდ გმირ-

თან... მეცნიერი და შრომისმოყვარე ვენელინი ატილას ხომ სლავად სთვლიდა, ფრანკთა მეროვინგები კი, მისი აზრით, იყვნენ სლავური „МИРОВЫЕ“ თუ „МІРОВЫЕ“ — აღარც კი გვახსოვს...⁵⁶ ეს მოწმობს, რომ ბატონი მეცნიერნი ადამიანურ სისუსტეს ხარკს უხდიან და ისეთსავე უცნაურობას სჩადიან ხოლმე, როგორსაც სრულიად უბრალო, ყოველად გაუნათლებელი ადამიანები... შესაძლოა, ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი, როგორც უბრალო ხალხი ამაბობს, ბევრი კითხვისაგან გამოყვეჩდებიან ხოლმე და ტვინი ელრძობათ; შესაძლოა, ეს სხვა მიზეზითაც ხდებოდეს — არ ვიცით; ძაგრამ ის კი ვიცით, რომ სისტემისა და დოქტრინის სულს ყველაზე ნათელი გონების დაბნელებისა და ფანტაზიებში შეცურების საოცარი თვისება აქვს... თუმცა, ბ-ნ შევირიოვის წიგნს, თავი რომ დავანებოთ მის სლავიანოფილურ⁵⁷ მიმართულებას, მრავალი ღირსება გააჩნია, როგორც სამაგალითო შრომისმოყვარეობისა და კეთილსინდისიერი, თუმცა კი ცალმხრივი, სწავლულობის ძეგლს. ყველაზე მნიშვნელოვანია წიგნისათვის დართული შენიშვნები, სადაც ავტორს შეუტანია ყველაზე საინტერესო ფაქტები, რომლებმაც განსაკუთრებული სიჯიუტით უარი განაცხადეს ავტორის საყვარელი იდეების დადასტურებაზე. ბ-ნ შევირიოვის წიგნი აღსანიშნავია კიდევ იმიტ, რომ საბაბი გახდა ოთხი მშვენიერი კრიტიკული სტატიისა (ოტეჩესტვენნიე ზაპისკი №№ 5 და 12, ბიბლიოტეკა დლია ჩტენია და ფინსკი ვესტნიკ)⁵⁸.

საზოგადოდ რუსული მეცნიერული ლიტერატურის და არამხოლოდ გასული წლის უბრწყინვალესი შენაძენია შარშან გამოსული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის მეორე კარი — თხზულება პროფესორ ლორენცისა. ამ წიგნით მთავრდება შუა საუკუნეთა ისტორია. მოუთმენლად მოველით ამ ჩინებული შრომის გაგრძელებას და დასასრულს.

ტიერის კონსულოლობისა და იმპერიის ისტორია ორი თარგმანით გამოვიდა. გამოვიდა ბეკერის მსოფლიო ისტორიის მეექვსე ნაწილი.

დედამიწის ყველა ხალხის ზნე-ჩვეულებებმა და ძეგლებმა, ბბ. სემენისა და სტოიკოვიჩის გამოცემამ, ჩინებული ილუსტრირებული სურათებითა და პოლიტიკაეებით და საერთოდ სასტამბო ლაზათით დაჩრდილა რუსეთში ოდესმე გამოშვებული ყველა ეგრეთწოდებული საუცხოო და მდიდრული გამოცემა. წიგნის შინაარსი შეესაბამება მის გარეგნულ ღირსებას და — რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს — იგი თარგმანი კი არ არის, არამედ [თითქმის] ორიგინალურად ნაშრომია ორი რუსი ლიტერატორისა, რომლებმაც უცხოური წყაროების გამოყენებით შესძლეს მისთვის ერთი იდეით შთაგონებული თხზულების ღირსება მიეცათ. გამოსული წიგნი შეიცავს ინდუსტანიის აღწერას, რაც შეუსრულებია ბ-ნ ტიუტჩევს, და ზაგანის ნახევარ-კუნძულის აღწერას, შესრულებულს ბ-ნ სტოიკოვიჩის მიერ. გამომცემლნი გვპირდებიან მეორე წიგნში მოგვცენ ჩინეთისა და იაპონიის აღწერა.

გასული წლის ეურნალებში ძალიან ბევრი მეცნიერული შინაარსის საინტერესო ორიგინალური და თარგმნილი სტატია დაიბეჭდა. ორიგინალური სტატიებიდან განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს: მეშვიდე და მერვე წერილები ბუნების შესწავლაზე ისკანდერიისა; ასტრახანის გუბერნიის შომთაბარე და ბინადარი სხვაერისანნი ბარონ ფ. ა. ბიულერისა; ევროპის რკინიგზები ისტორიული, გეოგრაფიული და სტატისტიკური თვალსაზრისით (ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში); ადამიანის ხელ-ფეხი ს. ს. კუტორგისა (ბიბლიოტეკა დლია ჩტენიაში); გველთა ცხოვრება და ზნე; ობობათა ცხოვრება და ზნე ბ-ნ უშაკოვისა (ფინსკი ვესტნიკში). თარგმნილი სტატიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია — ოლივერ კრომველი (ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში). ჰუმბოლდტის განთქმული მეცნიერული შრომა ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში ითარგმნა კოსმოსის სახელწოდებით, ხოლო ბიბლიოტეკა დლია ჩტენიაში კოსმოსის სახელწოდებით. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ორივე ეურნალი შეეცადა მალე გაეცნო რუსული საზოგადოებისათვის დიდი მეცნიე-

რის ნაწარმოები, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია თავისი საგნით და დაწერილია პოპულარულად; მაგრამ საეკვოა, რომ ამ უურნალებს თავისი მიზნისათვის მიეღწიოთ. ჰუმბოლდტის გადმოცემის პოპულარობა წმინდა-გერმანულია, მაშასადამე, სავსებით მისაწვდომია მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც სპეციალურად სწავლობენ ბუნებისმეტყველებასა და ასტრონომიას. ამ მხრივ ორივე უურნალის თარგმანზე ბევრად უფრო სასარგებლო იყო სტატია სევერნაია პჩელაში (№№ 175 — 180): ალექსანდრე ჰუმბოლდტი და მისი „სამყარო“ (Kosmos). არ ვიცით, საიდან ითარგმნა ან ვინ დასწერა ეს სტატია, მაგრამ მეცნიერების საიდუმლოებებში ჩაუხედავ ადამიანებს იგი ჰუმბოლდტის წიგნს უფრო მეტად და უკეთესად აცნობს, ვიდრე ამ წიგნის თარგმანები ორივე უურნალში. ფინსკი ვესტნიკში ითარგმნება ტიერის განთქმული შრომა: ინგლისის დაპყრობა ნორმანებისაგან. ამ თხზულებას, რა თქმა უნდა, ყველგან იცნობენ. გარდა რუსეთისა, და ამიტომ ფინსკი ვესტნიკის მიერ მისი თარგმნა ქებისა და მადლობის ღირსია.

უკანასკნელ ხანს გამოდის ბევრი წიგნი⁸⁸, ბროშურა და სტატია სპეციალურ საგნებზე. ცხადია, ნამდვილად კარგი მათ შორია ჯერ კიდევ ცოტაა, მაგრამ ყველა ისინი მნიშვნელოვანია, როგორც ლიტერატურის საქმიანი მიმართულების დამამტკიცებელი საბუთი. მაგალითად, შარშან გამოვიდამეტად შესანიშნავი წიგნები, რომლებსაც ჩვენ მხოლოდ დავასახელებთ, რადგან მათ შესახებ უკვე ბევრი ითქვა უურნალებში: პირველი წიგნი რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მოამბისა; მესამე ნაწილი ბ-ნ ბუტურლინის შფოთიანი ხანის ისტორიისა⁸⁹; სტატისტიკური ცნობების წყაროებისა და გამოყენების შესახებ ბ-ნ უურავსკისა; ნიჟნი-ნოვგოროდის 1843, 1844 და 1845 წლების ბაზრობა ბ-ნ მელნიკოვისა და სხვები. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ საკმაოდ ბევრი წიგნი, ბროშურა და სტატია იბეჭდება ისეთი, რომლებიც შეეხებიან არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას მისი ტექნიკური მნიშვნელობის მხრივ, არამედ ადა-

მიანთა იმ მრავალრიცხოვანი კლასის ყოფაცხოვრებასაც, რომელიც ესოდენ დიდ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის მიმართ, როგორც ცოცხალი და გონიერი მწარმოებელი ძალა. განსაკუთრებით საყურადღებოა მოსკოვისკი ვედომოსტის 103-ე ნომერში გამოქვეყნებული საუცხოო სტატია ს. ა. მასლოვისა — სიცხე და პურის მკა (ზაფხულის ჩანაწერები-მოსკოვის გუბერნიაში). ეს შესანიშნავი სტატია, რისთვისაც პატივცემულ ავტორს კაცობრიობის ყველა მეგობარი დალოცავს, გადაბეჭდილ იქნა თითქმის ყველა ჟურნალში, რომლებსაც მთავრობის უწყებები უშვებენ¹².

ჩვენ არ მოვიხსენიეთ გასული წლის დამლევს გამოსული რამდენიმე შესანიშნავი წიგნი, იმიტომ რომ გვინდა ამ წიგნებით დავიწყოთ სოვრემენნიკის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება. მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით ჩვენი ჟურნალის ამ განყოფილებაზე. თითქმის ყველა სხვა ჟურნალში კრიტიკა ბიბლიოგრაფიისაგან გამოყოფილი ცალკე განყოფილებაა. ამ სტრიქონების დამწერმა შეიძლია წლის მძიმე გამოცდილებით შეიგნო, რომ ასეთი გაყოფა სასარგებლო არ არის¹³. კრიტიკად იგულისხმება განსაზღვრული მოცულობის სტატია, რომლის კილოც კი განსხვავდება რეცენზიის კილოსაგან. შესანიშნავი წიგნები, რომლებიც სერიოზული კრიტიკის საგანია, ჩვენში იმდენად ცოტა გამოდის, რომ ყოველ თვეში კრიტიკული სტატიის წერის მოვალეობა ძალაუვნებურად რაღაც მძიმე ხარკად იქცევა, რადგან ჟურნალებში ბევრი შესანიშნავი რამ იბეჭდება. ამიტომ, ახლა, როდესაც საზოგადოებას ჩვენს ანგარიშს ვუდგენთ რუსული ლიტერატურის ყველა ცოტად თუ ბევრად შესანიშნავ მოვლენაზე, ჩვენ ოდნავაც არ ვიზრუნებთ იმაზე, თუ რა გამოვა ჩვენი განხილვიდან — კრიტიკა თუ რეცენზია. დე თვით ჩვენმა მკითხველებმა განსაჯონ ეს, თითოეულმა თავისი გემოვნებისა და გავების მიხედვით. იმედოვნებ, რომ ამით სამსახური გავუწიოთ მათ, რადგან ჩვენს ჟურნალს გავათავისუფლებთ მრავალსიტყვაობისა და გაზვიადების ზედმეტი ბარგისაგან, რომელიც ზოგჯერ გარდუ-

ვალთა მაშინ, როდესაც კრიტიკას ორად ვყოფთ: დიდ ანუ საკუთრივ კრიტიკად, და მცირე კრიტიკად ანუ რეცენზიად. ჩვენი კრიტიკა, როგორც ზემოთ ვთქვით, ყურადღებას მიაქცევს ყველა რამდენადმე შესანიშნავ თხზულებას რუსული ისტორიის დარგში; შემდეგ, იგი ყველაზე მეტად თავის ყურადღებას მიაპყრობს წმინდა ლიტერატურულ ნაწარმოებებს: მაგრამ მათ მიმართაც სრული ბიბლიოგრაფიის დაპირებას არ ვიძლევი, რადგან, ჩვენი აზრით, უარყოფითადაც კი სრულიად უმნიშვნელო წიგნებზე არც წერა ღირს და არც კითხვა. საზოგადოებისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის გამო, იმასაც კი ჩავთვლით ჩვენს მოვალეობად, რომ დუმილით აეუაროთ გვერდი იმ მდარე მწერლების მდარე ნაწარმოებებს, რომლებმაც უკვე მოიხვეჭეს სამარცხვინო სახელი და რომლებიც, ფიქრობენ რა სწორად გამოხატონ ცხოვრება ისე, როგორც ის არის, ამის ნაცვლად სწორად ხატავენ მხოლოდ თავის თავს ისე, როგორც ისინი არიან, ე. ი. გამოხატავენ მთელი [სისრულით] თავიანთ პრეტენზიებს, გონებაშეზღუდულობას, უნიკობას, უხამსობასა და კუჟანაკლებობას⁵⁵. მეორე მხრივ, რადგან ჩვენ მრავალმხრივი ეხცილოპედიური ცოდნის რაიმე პრეტენზია არა გვაქვს, არაფერს ვიტყვი სპეციალურ თხზულებებზე, რარიც შესანიშნავიც უნდა იყოს ისინი, თუ ჩვენი საგნის ფარგლებს სცილდებიან⁵⁶. მსუბუქ და უმნიშვნელო წიგნებზე ვილაპარაკებთ სოფრემენნიკის ფელეტონში, ნარევის განყოფილებაში, და დროდადრო ჟურნალში გამოვაქვეყნებთ რუსეთში რუსულ ენაზე გამოსული უკლებლივ ყველა წიგნის სრულ ბიბლიოგრაფიულ ნუსხებს, სადაც აღნიშნული იქნება სტამბა, ფორმატი, გვერდების რიცხვი და, შესაძლებლობისამებრ, ფასიც.

1847 წლის რუსული დიპლომატიის მიმოხილვა¹

*

დრო და პროგრესი. — ფელეტონისტები. — პროგრესის მტრები. — უცხო სიტყვების ხმარება რუსულ ენაში. — რუსული ლიტერატურის წლიური მიმოხილვები 20-იანი წლების აღმანახებში. — „1814 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“ ბ-ნ გრეჩისა². ჩვენი დროის მიმოხილვანი. — ნატურალური სკოლა. — მისი წარმოშობა. — გოგოლი. — თავდასხმები ნატურალურ სკოლაზე. — ამ თავდასხმათა განხილვა.

როდესაც დიდხანს არ ხდება ის შესანიშნავი მოვლენები, რომლებიც რითიმე მკვეთრად სცვლიან საქმეთა ჩვეულებრივ მიმდინარეობას და მძაფრად მიაბრუნებენ ხოლმე მას სხვა მიმართულებით, ყველა წელიწადი ერთიმეორის მსგავსი გეჩვენებათ. ახალ წელს უქმობენ, როგორც პირობითს კალენდარულ უქმე დღეს, და ადამიანებს ჰგონიათ, რომ მთელი ცვლილება, ყოველივე ახალი, რაც განვილიშა წელმა მოიტანა, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული მათგანი კიდევ ერთი წლით მოხუცდა, —

და გუნდად ისმის ხმა ბებიების:
როგორ გარბიან ეს ჩვენი წლები!

მაგრამ როგორც კი კაცი უკან მოიხედავს და რამდენიმე ასეთ წელს თავისი მეხსიერების თვალს გადაავლებს, დაინახავს, რომ მას შემდეგ ყველაფერი როგორღაც გამოცვლი-

ლი და იმას აღარა ჰგავს, რაც წინათ იყო. რასაკვირველია, აქ თითოეულს აქვს თავისი კალენდარი, თავისი დღეობა, ოლიმპიადები, ათწლეულები, დროებანი, ეპოქები, პერიოდები, რომელთაც მისი საკუთარი ცხოვრების მოვლენები განსაზღვრავენ და აწესებენ. და ამიტომაც ერთი ამბობს: „როგორ შეიცვალა ყველაფერი უკანასკნელ ოც წელიწადში!“ მეორისთვის ცვლილება მოხდა ათ წელიწადში, მესამისთვის—ხუთ წელიწადში. რაში მდგომარეობს იგი, ეს ცვლილება, — ყველა ვერ განსაზღვრავს, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ აი, ამა და ამ დროიდან, მართლაც მოხდა რაღაც ცვლილება, რომ თვითონ ისიც თითქოს გამოიცვალა, რომ სხვებიც გამოიცვალნენ, და საერთოდ ქვეყნად დიდად შეიცვალა სრულიად ჩვეულებრივი საქმეების მსვლელობა და რიგი. და აი ზოგი ჩივის, რომ ყველაფერი გაუარესდა; ზოგი კი აღტაცებულია, რომ ყველაფერი უმჯობესდება. რასაკვირველია, აქ ბოროტი და კეთილი მეტწილად განისაზღვრება თითოეულის პირადი მდგომარეობით, და თითოეული თავის საკუთარ პიროვნებას მოვლენების ცენტრად სახავს და ამ ქვეყნად ყველაფერს მას უფარდებს: თუ მისი მდგომარეობა გაუარესდა, იგი ფიქრობს, რომ ყველაფერი და ყველასათვის გაუარესდა, და პირიქით. მაგრამ ასე ესმის საქმე უმრავლესობას, მასას; დაკვირვებული და მოაზროვნე ადამიანები კი ცხოვრების საქმეთა ჩვეულებრივი მიმდინარეობის „შეცვლაში“ ხელავენ, პირიქით, არა მარტო მათი საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას ან გაუარესებას, არამედ საზოგადოების წარმოდგენათა და ზნე-ჩვეულებათა შეცვლას, მაშასადამე, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. განვითარება მათთვის არის წინსვლა, მაშასადამე, გაუმჯობესება, წარმატება, პროგრესი.

ფელეტონისტებმა, რომლებიც ჩვენში ახლა ასე ძალიან გავრავლდნენ და რომლებსაც, თავიანთი იმ მოვალეობის გაშო, რომ ყოველკვირეულად იმსჯელონ გაზეთებში პეტერბურგის განუწყვეტლივ ცუდ ამინდზე, თავისი თავი ღრმა მოაზროვნე-
41. ბ. გ. ბელინსკი

ნებად და უდიდეს კეშმარიტებათა მლალადებლებად ძიან ნიათ, — ამ ჩვენმა ფელეტონისტებმა ძალიან აითვალწუნე სიტყვა „პროგრესი“ და მას ისეთი სასახელო და ბრწყინვალე გონებამახვილობით სდევნიან, რომ ამაში მათ მხოლოდ ჩვენივე ვოდვეილისტები თუ გაუწევენ მეტოქეობას. რატო ასე განსაკუთრებით სდევნიან ეს გონებამახვილი ვაებატონები სიტყვა „პროგრესს“? მიზეზი მრავალია და სხვადასხვა ერთს ეს სიტყვა არ მოსწონს იმიტომ, რომ ის არ გაისმოდ მაშინ, როდესაც იგი ახალგაზრდა იყო და როგორმე კიდე შესძლებდა გაეგო ის. მეორეს იმიტომ, რომ ამ სიტყვის ხმარება შემოიღო არა მან, არამედ სხვებმა, — იმ ადამიანებმა რომლებიც არც ფელეტონებს სწერენ და არც ვოდვეილებს იმავე დროს კი ლიტერატურაში ისეთი გავლენა აქვთ, რომ შეუძლიათ ახალი სიტყვების ხმარება შემოიღონ. მესამეს ეს სიტყვა ეზიზღება იმიტომ, რომ იგი შემოიღეს მის ნებადურთველად და უკითხავად, მაშინ როდესაც იგი დარწმუნებულია, რომ თუ მან მონაწილეობა არ მიიღო, ისე ლიტერატურაში მნიშვნელოვანი არაფერი უნდა კეთდებოდეს. ამ ვაებატონებში ბევრია ისეთი, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ რაიმე ახალი გამოიგონონ, მაგრამ ისინი ამას ვერასოდეს ვერ ახერხებენ. კიდევაც იგონებენ, მაგრამ მუღამ უხეიროდ, და ყოველ მათ ახალგამონაგონს ჯადოსნობის სუნი ასდის და სიცილს იწვევს. სამაგიეროდ, როგორც კი ვინმე ახალ აზრს გამოსთქვამს ან ახალ სიტყვას იხმარს, მოყოველთვის ჰგონიათ, რომ უსათუოდ სწორედ ამ აზრს გამოსთქვამდნენ და სწორედ ამ სიტყვას გამოიგონებდნენ ისინი, მათთვის რომ არ დაესწროთ და ამით ახლის შემოღებით თავის გამოჩენის შემთხვევა არ წაერთმიათ. ამ ვაებატონთა შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც ჯერ არ გაუვლიათ იქეპოქა, როდესაც ადამიანს კიდევ აქვს სწავლის უნარი, და თავისი ხნოვანების მიხედვით შეეძლოთ გვეგოთ სიტყვა „პროგრესი“, მაგრამ სხვა, „მათზე დამოუკიდებელ გარემოებათა“ გამო არ ძალუძთ ეს. თუმცა ბატონ ფელეტონისტებ-

სა და ვოდვეილისტებს და მათს დადასტურებულ ბრწყინვალე კჳუამახვილობას დიდ პატივს ვსცემთ, მაგრამ მათ დავას ირ დაეუწყებთ, რადგან ვშიშობთ, რომ ბრძოლა მეტად უთანასწორო იქნებოდა, რასაკვირველია — ჩვენთვის... არის კიდევ „პროგრესის“ მტრების განსაკუთრებული სახე; ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ამ სიტყვისადმი მით უფრო მეტ სიძულვილს გრძნობენ, რაც უკეთ ესმით მისი აზრი და მნიშვნელობა. აქ უკვე სიძულვილი მიმართულია არა საკუთრივ სიტყვის, არამედ იმ იდეის წინააღმდეგ, რომელსაც იგი გამოხატავს, და უდანაშაულო სიტყვაზე ჯავრს იყრიან მისი მნიშვნელობის გამო. მათ, ამ ადამიანებს, სწაღიათ თავისი თავიც და სხვებიც დაარწმუნონ, რომ უძრავობა მოძრაობაზე უკეთესია, რომ ძველი ყოველთვის სჯობია ახალს და რომ წარსულით ცხოვრება ბედნიერებითა და ზნეობით აღსავსე ნამდვილი, ჳეშმარიტი ცხოვრებაა. ისინი, თუმცა გულისტკივილით, ეთანხმებიან იმას, რომ სამყარო მუდამ იცვლებოდა და არასოდეს არ მდგარა დიდხანს ზნეობრივი გაყინვის წერტილზე; მაგრამ სწორედ ამაში ზედავენ ისინი ამ ქვეყნად ყველა ბოროტების მიზეზს. ამ ვაებატონებთან ყოველგვარი დავის ნაცვლად, მათი საწინააღმდეგო ყოველგვარი დამამტკიცებელი საბუთისა და მოსაზრების ნაცვლად, ჩვენ ვიტყვით, რომ ისინი ჩინელები არიან... ასეთი სახელწოდება უკეთ სწყვეტს საკითხს, ვიდრე ყოველგვარი გამოკვლევა და მსჯელობა...

სიტყვა „პროგრესს“ ბუნებრივად უნდა გამოეწვია მისდამი განსაკუთრებული მტრობა რუსული ენის პურისტების მხრივ, რომლებიც აღმთოთებული არიან ყოველგვარი უცხო სიტყვით, როგორც ერესით ან დედაენის ორტოდოქსიაში მომხდარი განხეთქილებით. ამგვარ პურიზმს თავისი კანონიერი და საქმიანი საფუძველი აქვს; მაგრამ მიუხედავად ამისა ის უკანასკნელ უკიდურესობამდე მისული ცალმხრივობაა. ზოგიერთი ძველი მწერალი, რომელსაც თანამედროვე რუსული ლიტერატურა არ უყვარს (იმიტომ - რომ ამ ლიტე-

რატურამ შორს გაუსწრო მას, ის კი მას დიდად ჩამორჩა და ამრიგად მასში რამდენადმე მნიშვნელოვანი როლის შესრულების ყოველგვარი შესაძლებლობა დაჰკარგა), პურიზმს ეფარება და განუწყვეტლივ გაიძახის, ჩვენს დროში მშვენიერი რუსული ენა ყოველნაირად მახინჯდება და გონჯდება, განსაკუთრებით უცხო სიტყვების შემოტანით. მაგრამ ვინ არ იცის, რომ პურისტები კარამზინის ეპოქაზეც ამასავე ამბობდნენ? მაშასადამე, ჩვენს დროს აქ ნამდვილად ცილს ჰწამებენ, და თუ ის დამნაშავეა იმაში, რასაც მას ბრალად სდებენ, დამნაშავეა სრულებითაც არა იმაზე მეტად, ვიდრე მისი წინამორბედი ყოველი სხვა დრო. რუსულ ენაში უცხო სიტყვების ხმარება ბოროტებაც რომ იყოს, ეს აუცილებელი ბოროტებაა, და მას ღრმად ააქვს გადგმული ფესვი პეტრე დიდის რეფორმაში, რამაც გაგვაცნო მანამდე ჩვენთვის სრულიად უცხო მრავალი ცნება, რომელთა გამოსახატავად ჩვენ სიტყვები არ გვქონდა. ამიტომაც საკირო იყო უცხო ცნებები უცხო მზამზარეული სიტყვებითვე გამოგვეხატა. ზოგიერთი ასეთი სიტყვა უთარგმნელი და შეუცვლელიც დარჩა და ამიტომ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა რუსულ ლექსიკონში. მათ ყველა შეეჩვია, ყველას ესმის. მაშ რატომ უნდა განვდევნოთ ისინი? რა თქმა უნდა, მდაბიო ადამიანი ვერ გაიგებს სიტყვებს: „ინსტინქტი“, „ეგოიზმი“, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი უცხო სიტყვებია, არამედ იმიტომ, რომ მისი გონებისათვის უცხოა ამ სიტყვებით გამოხატული ცნებები, და სიტყვები: „понудка“ და „ячество“ მისთვის სულაც არ იქნება უფრო ნათელი, ვიდრე „ინსტინქტი“ და „ეგოიზმი“. მდაბიოს არ ესმის წმინდა რუსული სიტყვები, რომელთა აზრი მისი ჩვეულებრივი ყოველდღიური ცნებების ვიწრო წრეს სცილდება, მაგალითად: „მოვლენა“, „თანამედროვეობა“, „აღმოცენება“ და ა. შ., და კარგად ესმის უცხო სიტყვები, რომლებიც გამოხატავენ მისი ყოფის ამსახველ ან ამ ყოფისთვის არა უცხო ცნებებს, მაგალითად: „პაჩპორტი“, „ბილეთი“, „ასიგნაცია“, „კვიტანცია“ და ა. შ.

რაც შეეხება განათლებულ ადამიანს, „ინსტინქტი“ მისთვის — რას იზამთ — უფრო ნათელი და გასაგებია, ვიდრე „побудка“, „ეგოიზმი“ უფრო — ვიდრე „ячество“, „ფაქტები“ უფრო — ვიდრე „нытъя“. მაგრამ თუ უცხო სიტყვათა ერთი ნაწილი რუსულ ენაში დარჩა და იქ მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა, სამაგიეროდ მეორე ნაწილი, დროთა ვითარებაში, მოხერხებულად შეიცვალა რუსული, მეტწილად ახლად შედგენილი სიტყვებით. მაგალითად, ამბობენ, რომ ტრედიაკოვსკიმ შემოიღო სიტყვა „предмет“ (საგანი), ხოლო კარამზინმა — „промышленность“ (მრეწველობა). ასეთი რუსული სიტყვები, რომლებმაც მოხერხებულად შესცვალეს უცხო სიტყვები, მრავალია. და ჩვენ პირველი ვიტყვით, რომ უცხო სიტყვის ხმარება მაშინ, როდესაც მისი ბადალი რუსული სიტყვა არსებობს, საღი აზრისა და საღი გემოვნების შეურაცხყოფას ნიშნავს. მაგალითად, არაფერი არ შეიძლება იყოს იმაზე უაზრო და უხეირო, როგორც სიტყვა „უტრირების“ ხმარება „გადაქარბების“ ნაცვლად. რუსული ლიტერატურის თითოეული ეპოქა უცხო სიტყვათა მოზღვავეებით აღინიშნებოდა; რასაკვირველია, ამას ვერც ჩვენი ეპოქა ასცდა. და ეს არც მალე დამთავრდება: ჩვენთვის უცხო ნიადაგზე გამომუშავებული ახალი იდეების გაცნობას ყოველთვის თან მოჰყვება ჩვენში ახალი სიტყვების შემოტანაც. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გავა, ეს მით უფრო ნაკლებად შესამჩნევი იქნება, იმიტომ რომ დღემდე ჩვენ ერთბაშად ვეცნობოდით მანამდე ჩვენთვის უცხო ცნებების მთელ წრეს. რაც უფრო მეტ წარმატებას მივალწევთ ევროპასთან დაახლოებაში, ჩვენთვის უცხო ცნებების მარაგი მით უფრო და უფრო მეტად ამოიწურება, და ჩვენთვის ახალი იქნება მხოლოდ ის, რაც თვით ევროპისთვისაც ახალია. მაშინ, ბუნებრივია, გადმოვლევაც უფრო ნელა, ნაკლებად მოხდება, იმიტომ რომ ჩვენ იმას კი აღარ ვეცდებით, რომ ევროპას დავეწიოთ, არამედ იმას, რომ მის მხარდამხარ ვიაროთ, იმაზე თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ დროთა ვითარებაში რუსული

ენაც სულ უფრო და უფრო მეტად გამომუშავდება, განვითარდება, უფრო მოქნილი და ჩამოყალიბებული გახდება.

უქველია, უცხო სიტყვებით რუსული მეტყველების აქრელების წადილი, როცა ამის საჭიროება და საკმაო საფუძველი არ არსებობს, ეწინააღმდეგება საღ აზრსა და საღ გემოვნებას; მაგრამ იგი ვნებს არა რუსულ ენას და არა რუსულ ლიტერატურას, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც ამ წადილს შეუპყრია. მაგრამ საწინააღმდეგო უკიდურესობა, ე. ი. წრეგადასული პურიზმი, იმავე შედეგებს იწვევს, იმიტომ რომ უკიდურესობანი ერთმანეთს ხვდებიან. ენის ბელი არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ამა თუ იმ პირის თვითნებობაზე. ენას საიმედო და ერთგული მცველი ჰყავს: ეს არის მისივე საკუთარი სული, გენია. აი იმიტომ არის, რომ შემოტანილი მრავალი უცხო სიტყვიდან მხოლოდ მცირეოდენი რჩება, დანარჩენი კი თავისთავად ჰქრება. იმავე კანონს ემორჩილებიან ახალშედგენილი რუსული სიტყვებიც. ზოგი მათგანი რჩება, სხვები — ჰქრებიან. უცხო ცნების გამოსახატავად უხეიროდ გამოგონილი რუსული სიტყვა არათუ უკეთესი არ არის უცხო სიტყვაზე, არამედ აშკარად უარესია. ამბობენ, რომ სიტყვა „პროგრესისათვის“ ახალი სიტყვის გამოგონებაც არ არის საჭირო, იმიტომ რომ იგი დამაკმაყოფილებლად გამოიხატება სიტყვებით: „წარმატება“, „წინსვლითი მოძრაობა“ და ა. შ. ამას ვერ დავეთანხმებით. პროგრესი შეეხება მხოლოდ იმას, რაც თვით თავისი თავიდან ვითარდება. პროგრესი შეიძლება იყოს ისიც, რაშიაც სრულებით არ არის წარმატება, შეძენა, წინგადადგმული ნაბიჯიც კი; და პირიქით, ზოგჯერ შეიძლება პროგრესი იყოს წარუმატებლობა, დაქვეითება, უკუსვლა. ეს სწორედ ისტორიულ განვითარებას ეხება. ხალხებისა და კაცობრიობის ცხოვრებაში არის ხოლმე უბედური ეპოქები, როდესაც მთელი თაობები თითქოს მსხვერპლად ეწირება შემდგომ თაობებს. მძიმე ეპოქაში გაივლის—და ბოროტისაგან კეთილი წარმოიშობა. სიტყვა „პროგრესი“ განსხვავდება მეცნიერული ტერმინის მთელი

გარკვეულობითა და სიზუსტით, და ზოლო დროს ეს სიტყვა გავრცელდა, მას ხმარობს ყველა — ისინიც კი, ვინც მისი ხმარების წინააღმდეგ ილაშქრებს. და ამიტომ, ვიდრე მისი სავსებით შემცვლელი რუსული სიტყვა არ გამოჩენილა, ჩვენ ვინმართ სიტყვა „პროგრესს“.

ყოველი ორგანული განვითარება პროგრესის საშუალებით ხდება, ორგანულად კი ვითარდება მხოლოდ ის, რასაც თავისი ისტორია აქვს, თავისი ისტორია კი აქვს მხოლოდ იმას, რაშიაც ყოველი მოვლენა წინა მოვლენის აუცილებელი შედეგია და მით აიხსნება. თუ შეიძლება წარმოვიდგინოთ ლიტერატურა, რომელშიაც დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე შესანიშნავი, მაგრამ ყოველგვარ შინაგან კავშირსა და დამოუკიდებლობას მოკლებული თხზულებანი, რომელთა წარმოშობა გამოწვეულია გარეშე გავლენებით, მიმბაძველობით, — ასეთ ლიტერატურას არ შეიძლება ისტორია ჰქონდეს. მისი ისტორია წიგნების კატალოგია. ასეთი ლიტერატურის მიმართ სიტყვა „პროგრესი“ არ გამოდგება, და ამ ლიტერატურაში ახალი, რაიმე მხრივ შესანიშნავი ნაწარმოების გამოჩენა პროგრესი არ არის, იმიტომ რომ ამ ნაწარმოებს ფესვი არა აქვს წარსულში და ნაყოფს არ გამოიღებს მომავალში. აქ დრო და წლები არაფერს არ ნიშნავენ: შეიძლება ისე გადიოდეს, რომ არაფერს არ სცვლილეს. მაგრამ ასე როდი ხდება იმ ლიტერატურაში, რომელიც ისტორიულად ვითარდება: აქ ყოველ წელს რაიმე მაინც მოაქვს თან და ეს რაიმე პროგრესია. მაგრამ ყოველ წელიწადს როდღა შეიძლება ნათლად დაინახოთ და განსაზღვროთ ეს პროგრესი; ხშირად იგი მხოლოდ შემდგომ იჩენს თავს. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დიდად სასარგებლოა განსაზღვრულ ვადებში, მაგალითად, ყოველი წლის დამთავრების შემდეგ, თვალი გადავაკლოთ მთლიანად ლიტერატურის განვითარებას, მის შენაძენს, მის სიმდიდრეს თუ სიღარიბეს. ასეთი მიმოხილვა სასარგებლოა აწმყოსათვის და შეიძლება მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ გამოადგეს ლიტერატურის მომავალ ისტორიკოსს.

ყოველი განვლილი წლის ლიტერატურული მოღვაწეობის ანგარიში ჩვენში ჩვეულებად შემოვიდა 1823 წლიდან. მაგალითი მოგვცა მარლინსკიმ იმდროინდელ განთქმულ ალმანახში. და მას შემდეგ ლიტერატურის წლიური მიმოხილვები თითქმის განუწყვეტლივ იბეჭდებოდა ალმანახებში ათი წლის მანძილზე. ჟურნალებში კი ასეთი მიმოხილვები იშვიათად იბეჭდებოდა, მაგრამ ბოლო დროს უკვე ზედიზედ შვიდი წელია მუდამ იბეჭდება ერთ ცნობილ ჟურნალში¹. გასული წლის „სოვრემენნიკის“ კრიტიკის განყოფილება დაიწყო 1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვით, და მის ყოველ საახალწლო პირველ წიგნში ყოველთვის მოთავსდება გასული წლის ლიტერატურული მოღვაწეობის ასეთი მიმოხილვა.

ამგვარი მიმოხილვა დროთა ვითარებაში ლიტერატურის ნამდვილ მატთანად, მისი ისტორიკოსისათვის მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ იქცევა. ალმანახებში დაბეჭდილი მიმოხილვები, რომლებზეც ახლა ვლაპარაკობთ, ამემად ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ როგორც სიძველე, მიუხედავად იმისა, რომ მათი ბეჭდვა სულ რაღაც 24 წლის წინათ დაიწყო! ასე სწრაფად მიდის წინ ჩვენი ლიტერატურა! მაგრამ რა შორეული, რა დიდი სიძველის ფერი დაჰკრავს „1814 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვას“, რომელიც ბ-ნ გრეჩს დაუწერია და 1815 წლის „სინ ოტეჩესტვა“-შია მოთავსებული! რამდენიმე წყალწყალა გვერდზე ჩამოთვლილია 1814 წლის მთელი მეცნიერული და ლიტერატურული შენაძენ-საუნჯენი. ეს წელი მართლაც აღინიშნა რამდენიმე შესანიშნავი სერიოზული წიგნის გამოსვლით, როგორც, მაგალითად: „რუსეთის სახელმწიფო სიგელთა და ხელშეკრულებათა კრებული“, რომელიც გრაფმა ნ. პ. რუმიანცევმა გამოსცა; რიხტერის „მედიცინის ისტორია რუსეთში“ და დესტუნისის თარგმანი პლუტარქეს წიგნისა — „ცხოვრების აღწერანი...“ მაგრამ რა საშინელი სიღარიბეა საკუთრივ ეგრეთწოდებული სიტყვა-კაზმული მწერლობის დარგში! დელილის პოემა „ბაღების“ თარგმანი ბ-ნ პალიცინისა, თავად შიხმატოვის აღწერილობი-

თი პოემა „სოფლის მცხოვრებნი“, დერეჟინის ლექსი „ქრისტე“, თავად შინმატოვის „ერთი ღამე მოსაფიქრებლად“ და თავად დოლგორუკოვის „ფიქრები ბედზე“. ყველა ეს ლიტერატურული გვარეობის პოემებია, ხოლო ლიტერატურა მათში განსაკუთრებით გავრცელებული იყო, ახლა კი უკვე დიდი ხანია ანტიპოეტურად არის აღიარებული და სრულიად დავიწყებულია. შემდეგ ბ-ნ გრეჩის მიმოხილვაში მოხსენებულია ალექსანდრე იზმაილოვის იგავეებისა და ზღაპრების გამოცემა და ვილაც ბ-ნ აგაფის ზღაპრები, და დასასრულ აღნიშნულია, ეურნალებში კრილოვის იგავარაკები თავსდებოდაო. ეს არის და ეს! მიმოხილვის ავტორი აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის პირველი ხუთი წლის განმავლობაში მეტი თხზულება გამოვიდა, ვიდრე მანამდე ათი წლის მანძილზე, მაგრამ იმდროინდელ პოლიტიკურ გარემოებათა მიზეზით, 1806 წლიდან 1814 წლამდე, ლიტერატურული მოძრაობა რუსეთში თითქმის სავსებით შეჩერდაო. 1812 წლის მეორე და 1813 წლის პირველი ხანებრის განმავლობაში არათუ არ გამოქვეყნებულა, არამედ არც დაწერილა არც ერთი ფურცელი, რომლის საგანი მაშინდელი ამბები არ ყოფილიყოსო. „ბოლოს, 1814 წელს, — ამბობს მიმოხილვის ავტორი, — რომლითაც განვლილი წლების ძთელი დაძაბულობა და შრომა დაგვირგვინდა, რუსული ლიტერატურა, რომელმაც პოეზია და მქვერმეტყველება პატივსაცემად და სადიდებლად თავის დიდ მონარქს მიუძღვნა, კვლავ დაადგა მშვიდობიან, სწორ და სამუდამოდ განსაზღვრულ გზას. ამ წლის განმავლობაში გამოვიდა მრავალი თხზულება და თარგმანი, რომლებიც დაუვიწყარი დარჩება ჩვენი ლიტერატურის მატრიანეში“. ეს ნაწილობრივ მართალია, მაგრამ არა პოეზიის ნაწარმოებთა მიმართ... აღსანიშნავია, რომ ავტორს, რომელიც აღიარებს თავისი მიმოხილვის ზოგიერთი ნაწილის სიღარიბეს, როგორც რუსული ლიტერატურის მიღწევა ახარებს ის, რომ 1814 წლის განმავლობაში პეტერბურგსა და მოსკოვს გამოვიდა მხოლოდ თითო რომანი (ორივე თარგმნილია გერმანულიდან) და ორი ისტორიული მოთხ-

რობა! მაშინ იგი არ ფიქრობდა, რომ რომანი და მოთხრობა მალე სათავეში ჩაუდგებოდა პოეზიის ყველა გვარს და რომ თვითონ ის ოდესმე დასწერდა „გერმანიაში მოგზაურობას“ და „შავ ქალს“! მაგრამ აი კიდევ დამახასიათებელი ნიშანი ჩვენი ლიტერატურისა ან, უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენი საზოგადოებისა, — ნიშანი, რომელზეც, სამწუხაროდ, არ ითქმის, რომ ახლა მას სიძველის ელფერი დაჰკრავს: კრუზენშტერნის ცნობილი მოგზაურობა დედამიწის გარშემო, რაც 1809 — 1813 წლებში გამოიცა რუსულ და გერმანულ ენებზე, და ლისიანსკის მოგზაურობა დედამიწის გარშემო, 1812 წელს გამოცემული რუსულ და ინგლისურ ენებზე, რუსეთში, — ამბობს მიმოხილვის ავტორი, — ორას-ორასი ეგზემპლარი ძლივს გავრცელდა, მაშინ როდესაც გერმანიაში კრუზენშტერნის მოგზაურობის სამი გამოცემა გამოვიდა, ხოლო ლონდონში ლისიანსკის წიგნის ეგზემპლარების ნახევარი ორ კვირაში გაიყიდა.

აღმანახებში წლიური მიმოხილვები შემოიღეს იმ კრიტიკული სულის შედეგად, რომელიც მაშინ იბადებოდა. განსაზღვრული წლის ლიტერატურის მიმოხილვას კრიტიკოსი ზოგჯერ რუსული ლიტერატურის მთელი ისტორიის ნარკვევით იწყებდა. ამ მიმოხილვების წერა მაშინ ძალიან ადვილიც იყო და ძალიან ძნელიც. ადვილი იმიტომ, რომ ყველაფერი განსაზღვრებოდა მიმომხილველის პირადი გემოვნების გამოხატველი ზერელე მსჯელობით; ძნელი, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოსაწყენი იმიტომ, რომ ეს საკირკიტო, წვრილმანი სამუშაო იყო: უნდა ჩამოეთვალათ უკლებლივ ყველაფერი, რაც განსახილველი წლის მანძილზე გამოქვეყნდა ცალკე გამოცემად, ჟურნალებსა და აღმანახებში, ორიგინალურიც და თარგმნილიც. ხოლო რა იბეჭდებოდა მაშინ სიტყვაკაზმული მწერლობის ხაზით ჟურნალებსა და აღმანახებში? — მეტწილად პაწაწინტელა ნაწყვეტები პატარა პოემებიდან, რომანებიდან, მოთხრობებიდან, დრამებიდან და ა. შ. მთლიანი თხზულებანი მეტწილად არც არსებობდა: ნაწყვეტს ისე

სწერდნენ, რომ არავითარი განზრახვა არ ჰქონდათ მთლიანი რამ დაეწერათ. ყოველი ასეთი უმნიშვნელო რამ უნდა მოეხსენიებიათ და თავისი აზრი ეთქვათ, იმიტომ რომ მაშინ, ეგრეთწოდებული რომანტიზმის დასაწყისში, ყველაფერი ახალი, ყველაფერი საინტერესო იყო, ყველაფერი მნიშვნელოვან მოვლენად ითვლებოდა — არარსებული პოემის სულ რაღაც ოცსტრიქონიანი ნაწყვეტიც, ელეგიაც, ლამარტინის რომელიმე პიესის მეასე მიბაძვაც, ვალტერ-სკოტის რომანის თარგმანიც და რომელიღაც ფან-დერ-ფელდეს რომანის თარგმანიც.

ამ მხრივ ახლა მიმოხილვის წერა გაცილებით სჯობს. ახლა ლიტერატურის კუთვნილებად როდიღა ითვლება ყოველივე ის, რაც სასტამბო დაზვიდან გადმოდის. ახლა ბევრი რამ განვიცადეთ, ბევრ რამეს დავაკვირდით და შევეჩვიეთ. რა თქმა უნდა, ისეთი რომანის თარგმნა, როგორცაა „დომბი და შვილი“, ახლაც შესანიშნავი მოვლენაა ლიტერატურაში, და მიმოხილველს უფლება არა აქვს იგი უყურადღებოდ დასტოვოს; მაგრამ სამაგიეროდ სიუს, დიუმას და სხვა ფრანგი ბელეტრისტების თარგმანები, რომლებიც ახლა დასტობით ქვეყნდება, ყოველთვის როდიღა შეიძლება ლიტერატურულ მოვლენებად ჩაითვალოს. ისინი სახელდახლოდ იწერება; მათი მიზანი — სარფიანი გასაღება, სიამოვნება, რასაც ისინი ასეთი ლიტერატურის მოყვარულთა განსაზღვრულ წრეს ანიჭებენ, რა თქმა უნდა, გემოვნებას მიეკუთვნება, მაგრამ არა ესთეტიკურ გემოვნებას, არამედ იმას, რომელსაც ზოგი სიგარებით იკმაყოფილებს, ზოგი კი — თხილის კნატუნით... ჩვენი დროის საზოგადოება ის აღარ არის, რაც წინათ იყო. კრიტიკის თვითნებობას აღარ შეუძლია კარგი წიგნი მოჰკლას და ცუდს გასაქანი მისცეს. ჩვენი უურნალები სავსეა ფრანგული რომანებით; ეს რომანები ცალკეც გამოდის; ორივე შემთხვევაში ისინი მრავალ მკითხველს პოულობენ. მაგრამ ამ მიზეზით სრულებითაც არ შეიძლება მკვეთრი დასკვნები გავაკეთოთ საზოგადოების გემოვნების შესახებ. ბევრი დიუმას რომანს ხელში იღებს როგორც ზღაპარს, წინასწარ იცის, თუ

რას წარმოადგენს იგი, კითხულობს მას იმისათვის, რომ კითხვის დროს გაერთოს უჩვეულო თავგადასავლით, შემდეგ კი სამუდამოდ დაივიწყოს. რასაკვირველია, ამაში ცუდი არაფერია. ერთს საქანელათი ქანაობა უყვარს, მეორეს — ცხენით სეირნობა, მესამეს — ცურვა, მეოთხეს — თამბაქოს წევა, ბევრს კიდევ უყვარს კარგად ნაამბობი უაზრო ზღაპრების კითხვა. ამიტომ თარგმნილი რომანები და მოთხრობები ვეღარ ჩრდილავენ ორიგინალურს; პირიქით, საზოგადოების საერთო გემოვნება უქანასკნელთ აშკარა უპირატესობას ანიჭებს, ასე რომ ყურნალებში უმთავრესად თარგმნილი რომანებისა და მოთხრობების მოთავსებას ყურნალისტებს მხოლოდ უკიდურესობა, ე. ი. ამგვარ ორიგინალურ ნაწარმოებთა სიმცირე აიძულებს. და საზოგადოების გემოვნების ამგვარი მიმართულება წლითიწლობით უფრო და უფრო შესამჩნევი და გარკვეული ხდება; ხოლო ორიგინალურ ნაწარმოებთა ავტორების სახელებით მოხიბლვა სრულიად გაქრა. დიდი სახელი, რა თქმა უნდა, ახლაც ყოველ ადამიანს ხელში ააღებინებს ახალ თხზულებას, მაგრამ ეს თხზულება ვერავის ვეღარ ალაფრთოვანებს, თუ მასში კარგი მხოლოდ ავტორის სახელია. მდარე, სუსტი თხზულებანი შეუმჩნეველი რჩებიან, საკუთარი სიკვდილით კვდებიან და არა კრიტიკის დარტყმებით. ლიტერატურის ასეთ მდგომარეობას, რაც დიდად განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რომელშიაც ლიტერატურა ოცი წლის წინათ იმყოფებოდა, უნდა შეესაბამებოდეს კრიტიკაც. ლიტერატურული მოღვაწეობის წლიური ანგარიშის ჩაბარებისას, ახლა საჭირო აღარ არის ყურადღება მივაქციოთ ნაწარმოებთა რაოდენობას ან თავი ვიტეხოთ თითოეული მოვლენის შეფასებისათვის იმის შიშით, რომ თუ ასეთი კრიტიკა არ იქნა, საზოგადოებას არ ეცოდინება, რა ჩასთვალოს კარგად და რა — ცუდად. ისიც კი არ არის საჭირო, რომ თითოეულ რიგიან ნაწარმოებზე შევჩერდეთ და მთელი მისი სილამაზე და ნაკლი დაწვრილებით განვიხილოთ. ასეთი ყურადღების ღირსი ახლა მხოლოდ ის ნაწარმოებია, რომე-

ლიც განსაკუთრებით აღსანიშნავია დადებითი ან უარყოფითი აზრით. აქ კი ძირითადი ამოცანაა ვაჩვენოთ უმთავრესი მიმართულება, ლიტერატურის საერთო ხასიათი ამჟამად, აღმოვაჩინოთ მის მოვლენებში მისი მაცოცხლებელი და მამოძრავებელი აზრი. მხოლოდ ამნაირად შეიძლება, თუ ვერ განვსაზღვრავთ, ვაკვრით მაინც ვთქვათ, რამდენად წინ წასწია ლიტერატურა გასულმა წელმა, რა პროგრესი მოახდინა მან ამ წელს.

საკუთრივ ახალი რამ 1847 წელს ლიტერატურაში არაფერი აღნიშნულა. სახეშეცვლილი მოგვევლინა ზოგიერთი ძველი პერიოდული გამოცემა. ერთი ახალი ფურცელიც კი გაჩნდა სიტყვაკაზმული მწერლობის თვალსაჩინო ნაწარმოებებით გასული წელი, წინა წლებთან შედარებით, განსაკუთრებით მდიდარი იყო; გამოჩნდა რამდენიმე ახალი სახელი, ახალი ტალანტები და ლიტერატურის სხვადასხვა დარგში მოქმედნი. მაგრამ არ გამოჩენილა არც ერთი ისეთი ბრწყინვალედ შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც თავისი გამოჩენით ეპოქას ჰქმნის ლიტერატურის ისტორიაში, ახალ მიმართულებას აძლევს მას. აი რატომ ვაპბობთ, რომ საკუთრივ ახალი რამ შარშან ლიტერატურაში არაფერი აღნიშნულა. ლიტერატურა მიდიოდა წინანდელი გზით, რომელსაც არ შეიძლება ეწოდოს არც ახალი, იმიტომ რომ იგი უკვე მოხაზულია, არც ძველი, იმიტომ რომ იგი სულ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა ლიტერატურისათვის, — სახელდობრ, იმაზე ცოტა ხნით ადრე, როდესაც ვიღაცამ პირველად წარმოსთქვა სიტყვა „ნატურალური სკოლა“¹. მას შემდეგ რუსული ლიტერატურის პროგრესი ყოველ ახალ წელს იმაში მდგომარეობდა, რომ იგი უფრო მტკიცე ნაბიჯს სდგამდა ამ მიმართულებით. გასული 1847 წელი, მია წინამორბედ წლებთან შედარებით, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო როგორც ამ მიმართულების ერთგულ ნაწარმოებთა რიცხვითა და თვალსაჩინოობით, ისე თვით მიმართულების მეტი გარკვეულობით, შეგნებულობით, ძალით და საზოგადოების მეტი ნდობით.

ნატურალური სკოლა ამჟამად რუსული ლიტერატურის პირველ რიგში დგას. ერთი მხრით, რაიმე მიკერძებითი გატაცების გამო საქმის სრულიად გაუზვიადებლად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოება, ე. ი. მკითხველთა უმრავლესობა, მის მხარეზეა: ეს ფაქტია და არა ვარაუდი. ახლა მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა ეურნალებშია, ხოლო რომელი ეურნალია უფრო ცნობილი, რომელს ჰყავს მკითხველთა უფრო დიდი წრე და მეტი გავლენა აქვს საზოგადოების აზრზე, თუ არა იმათ, რომლებშიაც ნატურალური სკოლის ნაწარმოებები იბეჭდება? რომელ რომანებსა და მოთხრობებს კითხულობს საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით, თუ არა იმათ, რომლებიც ნატურალურ სკოლას ეკუთვნიან, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, კითხულობს თუ არა საზოგადოება იმ რომანებსა და მოთხრობებს, რომლებიც ნატურალურ სკოლას არ ეკუთვნიან? რომელ კრიტიკას აქვს მეტი გავლენა საზოგადოების აზრზე, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, რომელი კრიტიკა უფრო შეესაბამება საზოგადოების აზრსა და გემოვნებას, თუ არა ის, რომელიც ნატურალურ სკოლას იცავს რიტორიკული სკოლის წინააღმდეგ? მეორე მხრით, ვისზე ლაპარაკობენ და დავობენ განუწყვეტლივ, ვის ესხმიან თავს განუწყვეტლივ გააფთრებით, თუ არა ნატურალურ სკოლას? პარტიები, რომელთაც ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ, ნატურალურ სკოლაზე თავდასხმების დროს შეთანხმებულად, ერთსულოვნად მოქმედებენ, ამ სკოლას მიაწერენ მისთვის უცხო აზრებს, განზრახვებს, რომლებიც მას არასოდეს არა ჰქონია, ყალბად განმარტავენ ყოველ მის სიტყვას, ყოველ ნაბიჯს, ხან კი თავაზიანობას ივიწყებენ და გაანჩხლებული აგინებენ მას, ხან კიდევ თითქმის თვალზე ცრემლმორეულნი უჩივიან. რა არის საერთო გოგოლის მოსისხლე მტრებსა — დამარცხებული რიტორიკული მიმართულების წარმომადგენლებსა — და ეგრეთწოდებულ სლავიანოფილებს შორის? — არაფერი! და მაინც ეს უკანასკნელნი, აღიარებენ რა გოგოლს ნატურალური სკო-

ლის დამფუძნებლად, პირველებთან შეთანხმებულნი, იმავე კილოზე, იმავე სიტყვებით, იმავე საბუთებით ესხმიან თავს ნატურალურ სკოლას, და მათ საჭიროდ მიიჩნიეს თავისი ახალი მოკავშირეებისაგან განსხვავებულ იყვნენ მხოლოდ ლოგიკური არათანმიმდევრობით, რის შედეგადაც გოგოლს დამსახურებად ჩაუთვალეს სწორედ ის, რისთვისაც მის სკოლას სდევნიან, იმ საფუძველით, რომ იგი რაღაც „შინაგანი განწმენდის მოთხოვნის“⁷ სწერდაო. ამას უნდა დავძინოთ, რომ ნატურალური სკოლისადმი მტრულად განწყობილ სკოლებს არ ძალუძთ წარმოადგინონ არც ერთი რაჭდენადმე შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც საქმით დაამტკიცებდა, რომ კარგად წერა შეიძლება მაშინაც, როდესაც ნატურალური სკოლის მიერ აღიარებული წესების საწინააღმდეგო წესებით ხელმძღვანელობ. ყველა ამგვარი მათი ცდამ ნატურალიზმის გამარჯვებით და რიტორიზმის დამარცხებით დასრულდა. ამის შემხედვარე, ნატურალური სკოლის ზოგიერთი მოწინააღმდეგე ცდილობდა ამ სკოლისადმი მისივე მწერლები დაეპირისპირებინა. მაგალითად, ერთი გაზეთი ფიქრობდა ბ-ნ ბუტკოვით მოესპო თვით გოგოლის ავტორიტეტი...⁸

ყოველივე ეს ჩვენს ლიტერატურაში სულაც არ არის ახალი ამბავი, არამედ არაერთხელ მომხდარა და ყოველთვის მოხდება. კარამზინმა პირველმა მოახდინა დაყოფა მაშინ ახალშობილ რუსულ ლიტერატურაში. მანამდე ყველა ლიტერატურულ საკითხში ყველანი შეთანხმებული იყვნენ, და თუ უთანხმოება და დავა იყო კიდევ, ის გამოწვეული იყო ანა შეხედულებებითა და რწმენით, არამედ ტრედიაკოვსკისა და სუმაროკოვის წვრილმანი და დაუდგარი თავმოყვარეობით. მაგრამ ეს შეთანხმებულობა მაშინდელი ეგრეთწოდებული ლიტერატურის მხოლოდ უსიცოცხლობას მოწმობდა. კარამზინმა პირველმა გამოაცოცხლა ეს ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი წიგნიდან ცხოვრებაში, სკოლიდან საზოგადოებაში გადაიტანა. მაშინ, ბუნებრივია, გაჩნდნენ პარ-

ტიებიც, დაიწყო კალმით ომი, გაისმა გოდება, კარამზინი და მისი სკოლა რუსულ ენას ღუპავენ და დალოცვილ რუსულ ზნე-ჩვეულებებს ზიანს აყენებენო. მის მოწინააღმდეგეთა სახით თითქოს კვლავ აღსდგა ჯიუტი რუსული ძველი დრო, რომელიც ასეთი საშინელი, და მით უმეტეს უნაყოფო, თავგამოდებით იცავდა თავს პეტრე დიდის რეფორმისაგან. მაგრამ უმრავლესობა სამართლის, ე. ი. ტალანტისა და თანამედროვე ზნეობრივ მოთხოვნილებათა მხარეზე იყო, მოწინააღმდეგეთა ღრიალს კარამზინის თაყვანისმცემელთა საზოგადოებო ჰიმნები ჰფარავდა. ყველანი მის გარშემო ჯგუფდებოდნენ, და ყველაფერს მისგან იღებდა თავის მნიშვნელობასა და გავლენიანობას, ყველაფერი — მისი მოწინააღმდეგენიც კი. ის იყო გმირი, იმდროინდელი ლიტერატურის აქილევსი. მაგრამ რას წარმოადგენს მთელი ეს განგაში იმ ქაჩიშხალთან შედარებით, რომელიც ლიტერატურულ სარბიელზე პუშკინის გამოჩენის შემდეგ ამოვარდა? ეს ქარიშხალი ყველას ისე კარგად ახსოვს, რომ საჭირო არ არის მის შესახებ სიტყვა გავაგრძელოთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ პუშკინის მოწინააღმდეგენი მის თხზულებებში ხედავდნენ რუსული ენის, რუსული პოეზიის დამახინჯებას, უეჭველ ზიანს არა მარტო საზოგადოების ესთეტიკური გემოვნებისათვის, არამედ — განა ახლა ამას დაიჯერებს ვინმე? — საზოგადოების ზნეობისთვისაც!! რადგან ძველი კინკლაობის გახსენება არ გვსურს, ყოველგვარი მითითებისაგან თავს ვიკავებთ, მაგრამ თუ მოგვთხოვენ, ყოველთვის მზად ვართ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები წარმოვადგინოთ. „გრაფ ნულინის“ ერთ კრიტიკაში პუშკინს ბრალად სდებდნენ ცინიზმამდე მისულ უმართებულობას! ამ კრიტიკას ახლა ხელახლა რომ კითხულობ, უნებლიეთ გავიწყდება, როდის და რაზეა ის დაწერილი; ასე გგონია, რომ ეს არის ახლანდელი ნატურალური სკოლის რომელიმე ნაწარმოების წინააღმდეგ ამჟამად დაწერილი სტატია: იგივე ენა, იგივე საბუთები, საქმის წამოწყების იგივე მანერა, რასაც ამჟამადაც იყენებენ ნატურალურ სკოლაზე თავდასხმების დროს⁹.

რა მიზეზია, რომ ყოველგვარი წინსვლის მოწინააღმდეგენი ჩვენი ლიტერატურის ყველა ეპოქაში ერთსა და იმავეს გაიძახოდნენ და თითქმის ერთი და იგივე სიტყვებით?

ამის მიზეზი იქვე იმალება, სადაც ნატურალური სკოლის წარმოშობასაც უნდა ვეძებდეთ, — ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. იგი ნატურალიზმით დაიწყო: პირველი საერო მწერალი მოხუცი კანტემირი იყო. მიუხედავად ლათინელი სატირიკოსებისა და ბუალოსადმი მიბაძვისა, მას შეეძლო ორიგინალური ყოფილიყო, იმიტომ რომ ნატურის ერთგული იყო და იქიდან სწერდა. საუბედუროდ, მის მიერ არჩეული გვარეობის ერთფეროვნებამ, ენის მოუქნელობამ და დაუხვეწაობამ, ჩვენი პოეზიისათვის უჩვეულო სილაბურმა ზომამ კანტემირს საშუალება არ მისცა რუსული პოეზიის ნიმუში და კანონმდებელი გამხდარიყო. ეს როლი ლომონოსოვს ხვდა. მაგრამ რადგან კანტემირი მაინც არაჩვეულებრივი ტალანტის მქონე ადამიანად რჩება, არც შეიძლება გამოვტოვოთ იგი რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, როგორც დროის მიხედვით მისი პირველი პოეტი. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს ფაქტების დაუმახინჯებლად და ძალდაუტანებლივ ვთქვათ, რომ რუსული პოეზია თავისი დასაწყისიდანვე წარიმართა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთმანეთის პარალელური ორი კალაპოტით, რომლებიც, რაც უფრო შორს მიდიოდნენ, მით უფრო ხშირად ერთიანდებოდნენ ერთ ნაკადად, შემდეგ კი ისევ ორ ნაკადად იშლებოდნენ, მანამდე, სანამ ჩვენს დროში ერთი მთლიანი სახე არ მიიღეს. კანტემირის სახით რუსულმა პოეზიამ გამოამჟღავნა მისწრაფება სინამდვილისადმი, ცხოვრებისადმი. როგორც იგი არის, თავისი ძალა დააფუძნა ნატურისადმი ერთგულებაზე. ლომონოსოვის სახით მან გამოამჟღავნა მისწრაფება იდეალისადმი, შეიცნო თავი, როგორც უმაღლესი, მაღალფარდოვანი სიცოცხლის მისანმა, როგორც ყოველივე ამაღლებულისა და დიადის მქადაგებელმა. ორივე ეს მიმართულება კანონიერი

იყო და ორივე გამოვიდა არა ცხოვრებიდან, არამედ თეორიიდან, წიგნიდან, სკოლიდან. მაგრამ მანერა, რომლითაც კანტემირი საქმეს შეუდგა, პირველ მიმართულებას უმკვიდრებს ჰუმმარიტებისა და რეალობის უპირატესობას. დერჟავინში, როგორც უმაღლეს ტალანტში, ორივე ეს მიმართულება ხშირად ერთიანდებოდა, და მისი ოდები „ფელიცასადმი“, „დიდ-კაცისადმი“, „ბედნიერებისათვის“ მისი თითქმის საუკეთესო ნაწარმოებებია, ყოველ შემთხვევაში, სრულიად შექვევლია, რომ მათში მეტია ორიგინალური, რუსული, ვიდრე მის საზეიმო ოდებში. ხემნიცერის იგავარაკებსა და ფოხვიზინის კომედიებში გამოხმაურება ჰპოვა იმ მიმართულებამ, რომლის წარმომადგენელიც, დროის მიხედვით, კანტემირი იყო. მათი სატირა უკვე უფრო იშვიათად იქცევა გაზვიადებულ და კარიკატურად, უფრო ნატურალური ხდება, იმის კვალობაზე, რაც უფრო პოეტური ხდება. კრილოვის იგავარაკებში სატირა სავსებით მხატვრული ხდება; ნატურალიზმი მისი პოეზიის განმასხვავებელ დამახასიათებელ ნიშნად იქცევა. ეს იყო პირველი დიდი ნატურალისტი ჩვენს პოეზიაში. სამაგიეროდ სწორედ მას პირველს უსაყვედურეს „მდაბალი ბუნების“ გამოხატვის გამო, განსაკუთრებით იგავარაკისათვის — „ლორი“. შეხედეთ, რა ნატურალური არიან მისი ცხოველები: ესენი არიან ნამდვილი ადამიანები მკვეთრად მოხაზული ხასიათით, თანაც რუსი ადამიანები და არა სხვა ვინმე. ხოლო მისი იგავარაკები, რომლებშიაც მოქმედი პირები რუსი გლეხები არიან? განა ეს უკიდურესი ნატურალიზმი არაა? მაგრამ ახლა კრილოვს აღარ უსაყვედურებენ არც ლორის გამო, რომელმაც „დინგი არ დაიშურა და მთელი უკანა ეზო გადათხარა“, არც იმის გამო, რომ თავის იგავარაკებში გლეხები გამოჰყავდა და თანაც მათ ნამდვილ გლეხურ კილოზე ალაპარაკებდა. იტყვიან: ეს იგავარაკია, ეს პოეზიის ასეთი გვარიაო. მაგრამ განა სიტყვაკაზმულობის კანონები ყველა მისი გვარისათვის ერთნაირი არ არის? დმიტრიევიც სწერდა იგავარაკებს და მათში იშვი-

თად, ეპიზოდურად გლეხები შეჰყავდა; მაგრამ მისი იგავ-არაკები, რომლებსაც თავისი განუყრელი ღირსებები აქვთ, სრულებითაც არ გამოირჩევიან ნატურალიზმით, და ამ იგავ-არაკებში მისი გლეხები რაღაც საერთო ენით ლაპარაკობენ, რომელიც არც ერთი წოდების განსაკუთრებული საკუთრება არ არის. ამ განსხვავების მიზეზი ის არის, რომ დმიტრიევის პოეზია მის იგავარაკებშიც, ისევე როგორც ოდებში, ლომონოსოვიდან მომდინარეობდა და არა კანტემირიდან, იგი იდეალს მისდევდა და არა სინამდვილეს. ლომონოსოვის თეორია ძველი დროის შემოქმედთა ეყრდნობოდა, როგორც ისინი მაშინ ევროპაში ესმოდათ. კარამზინი და დმიტრიევი, განსაკუთრებით უკანასკნელი, ხელოვნებას XVIII საუკუნის ფრანგების თვალთ უყურებდნენ. ხოლო ცნობილია, რომ იმდროინდელ ფრანგებს ხელოვნება ესმოდათ როგორც არა ხალხის, არამედ საზოგადოების ცხოვრების გამონატულებაც, თანაც მხოლოდ უმაღლესი, სამეფო კარის საზოგადოებისა, და ზრდილმართებულება პოეზიის მთავარ და პირველ პირობად მიაჩნდათ¹⁰. ამიტომ იყო, რომ მათს პოეზიაში ბერძენი და რომაელი გმირები გრიმებით დადიოდნენ და გმირ ქალებს ასე მიმართავდნენ: madame! ეს თეორია ღრმად შემოიჭრა რუსულ ლიტერატურაში და, როგორც შემდეგ დაეინახავთ, მისი გავლენის კვალი მთლიანად ჯერაც არ გამქრალა...

ოზეროვი, ყუკოვსკი და ბატიუშკოვი იმ მიმართულებას განაგრძობდნენ, რომელიც ჩვენს პოეზიას ლომონოსოვმა მისცა. ისინი იდეალის ერთგულნი იყვნენ, მაგრამ ეს იდეალი მათს შემოქმედებაში სულ უფრო და უფრო ნაკლებად განყენებული და რიტორიკული ხდებოდა და სულ უფრო მეტად და მეტად უახლოვდებოდა სინამდვილეს ან, ყოველ შემთხვევაში, ამ დაახლოებისაკენ მიისწრაფოდა. ამ მწერლების, განსაკუთრებით ორი უკანასკნელის ნაწარმოებებში, პოეზიის ენით ალაპარაკდა უკვე არა მარტოდენ ოფიციალური აღტაცება. არამედ ისეთი ვნებებიც. გრძნობები და მისწრაფებანი,

რომელთა წყარო იყო არა განყენებული იდეალები, არამედ ადამიანის გული, ადამიანის სული. ბოლოს, გამოჩნდა პუშკინი, რომლის პოეზია ისე შეეფარდება ყველა მისი წინამორბედი პოეტის პოეზიას, როგორც მიღწევა მისწრაფებას. პუშკინის პოეზიაში ერთ ფართო ნაკადად შეერთდა რუსული პოეზიის ორივე ნაკადი, რომლებიც მანამდე ცალცალკე მიედინებოდნენ. რუსის ყურს მის რთულ აკორდში წმინდა რუსული ბგერებიც ესმოდა. მიუხედავად პუშკინის პირველი პოემების უპირატესად იდეალური და ლირიკული ხასიათისა, მათში უკვე შევიდა ნამდვილი ცხოვრების ელემენტები, რასაც მოწმობს იმის გაბედვა, რამაც მაშინ ყველა გააკვირვა, — მან პოემაში შეიყვანა არა კლასიკური იტალიელი ან ესპანელი, არამედ რუსი ავაზაკები, არა ხანჯლიან-დამბაჩიანი, არამედ ფართო დანიანი და მძიმე ხელკეტიანი ავაზაკები და ერთი მათგანი ბოდვის დროს მათრახსა და მრისხანე ჯალათებზე ალაპარაკა¹¹. ბოშათა ბანაკიც, სადაც ურძების თვლებს შუა დაუდგამთ დაფხრეწილი კარგები, დათვი ცეკვავს და სახედრებზე გადაკიდულ კალათებში შიშველი ბავშვები სხედან, მანამდე გაუგონარი სცენა იყო სისხლიანი ტრაგიკული ამბავისათვის. მაგრამ „ევგენი ონეგინში“ იდეალებმა კიდევ უფრო მეტად დაუთმეს ადგილი სინამდვილეს, ან, ყოველ შემთხვევაში, ერთიც და მეორეც იმდენად შეერწყა ერთმანეთს რაღაც ახალი სახით, რასაც მათ შორის საშუალო ადგილი ეჭირა, რომ ეს პოემა სამართლიანად უნდა ჩაითვალოს იმ ნაწარმოებად, რომელმაც დასაწყისი მისცა ჩვენი დროის პოეზიას. აქ ნატურალობა გამოდის უკვე არა როგორც სატირა, არა როგორც კომიზმი, არამედ როგორც სინამდვილის სწორი ასახვა მთელი მისი კეთილითა და ბოროტით, მთელი მისი ყოველდღიური ჭირ-ვარამით; პოეტიზირებული ან ერთგვარად გაიდეალებული ორი თუ სამი პირის გვერდით გამოყვანილი არიან ჩვეულებრივი ადამიანები, მაგრამ არა სასაცილოდ, როგორც მანინჯები, როგორც საერთო წესიდან გამონაკლისი, არამედ როგორც ისეთი პირები,

რომლებიც საზოგადოების უმრავლესობას შეადგენენ. და ყოველივე ეს ხდება ლექსად დაწერილ რომანში

რას აკეთებდა ამ დროს პროზაული რომანი?

იგი მთელი ძალღონით ცდილობდა დაახლოებოდა სინამდვილეს, ნატურალობას. გაიხსენეთ ნარეჟნის, ბულგარინის, მარლინსკის, ზაგოსკინის, ლაეჩნიკოვის, უშაკოვის, ველტშანის, პოლევის, პოგოდინის რომანები და მოთხრობები. აქ დრო არ არის ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რომელმა მათგანმა გააკეთა მეტი, ვისი ტალანტი უფრო მაღლა იდგა; ჩვენ ვლაპარაკობთ ყველა მათთვის საერთო მისწრაფებაზე — დაეხლოებიანთ რომანი სინამდვილესთან, ექციათ იგი სინამდვილის უტყუარ სარკედ. ამ ცდებს შორის ზოგიერთი ფრიად შესანიშნავი იყო, მაგრამ მათ მაინც გარდამავალი ეპოქის იერი დაჰკრავდა, ისინი ახლისაკენ მიისწრაფოდნენ, მაგრამ არც ძველ კვალს სტოვებდნენ. მთელი წარმატება იმაში მდგომარეობდა, რომ, მიუხედავად ძველმორწმუნეთა გოდებისა, რომანში გამოსვლა დაიწყეს ყველა წოდების პირებმა, და ავტორები ცდილობდნენ თითოეული მათგანის ენისათვის შეებამათ. ამას მაშინ ხალხურობა ეწოდებოდა. მაგრამ ამ ხალხურობას მეტისმეტად დაჰკრავდა მასკარადული ელფერი: დაბალ წოდებათა რუსი ადამიანები გადაცმულ ბატონებს ჰგვანდნენ, ბატონები კი მხოლოდ სახელებით განსხვავდებოდნენ უცხოელებისაგან. საჭირო იყო გენიალური ტალანტი, რომელიც რუსულ ზნე-ჩვეულებათა, რუსული ყოფის გამომხატველ რუსულ პოეზიას სამუდამოდ გაათავისუფლებდა მისთვის უცხო გავლენისაგან. პუშკინმა ბევრი რამ გააკეთა ამისათვის; მაგრამ საქმის დამთავრება, მისი დაგვირგვინება წილად ხვდა მეორე ტალანტს. 1829 წლის „სევერსიე ცვეტში“ გამოქვეყნდა პუშკინის რომანის — „პეტრე დიდის ზანგის“ ნაწყვეტი სათაურით: „IV თავი ისტორიული რომანიდან“. ეს პატარა ნაწყვეტი ნატურალობის მწვერვალი იყო! ასეთ ვიწრო ჩარჩოში პეტრე დიდის ეპოქის ზნე-ჩვეულებათა ასეთი დიდი სურათის მოთავსება! მაგრამ, სამწუხა-

როდ, ამ რომანის სულ მხოლოდ ექვსი თავი და მეშვიდის დასაწყისი დაიწერა (ისინი მთლიანად დაიბეჭდა უკვე პუშკინის სიკვდილის შემდეგ).

„მირგოროდის“ და „არაბესკების“ (1835 წელს) და „რევიზორის“ (1836 წელს) გამოქვეყნებით გოგოლმა სრული სახელი მოიხვეჭა და აქედან იწყება მისი ძლიერი გავლენა რუსულ ლიტერატურაზე. ამ მწერლის ტალანტის თაყვანისმცემელთა მიერ მის შესახებ გამოთქმული ყველა აზრიდან ყველაზე შესანიშნავი და ჭეშმარიტებასთან მიახლოებული აზრი ვგონებ იმ ადამიანს ეკუთვნის, რომელიც სრულებით არ ითვლება მის თაყვანისმცემელთა შორის; თითქოს რაღაც უეცარი აღმაფრენის ჟამს, თვითონაც არ იცოდა როგორ, იგი ერთი წუთით ამოვარდა თავისი ჩვეულებრივი კალაპოტიდან, რომლის ერთგული იყო მთელ სიცოცხლეში, და შემდეგი დითირამბი წამოსცდა გოგოლის შესახებ:

„გოგოლის ყველა ნაწარმოები ცხადპყოფს მის რწმენას, თვითმოქმედებისადმი მისწრაფებას, წინანდელი ცოდნის, გამოცდილებისა და ნიმუშების რაღაც განზრახ, დამცინავ უგულებელყოფას, იგი კითხულობს მხოლოდ ბუნების წიგნს, სწავლობს მხოლოდ ნამდვილ სამყაროს; ამიტომ მისი იდეალები მეტად ბუნებრივი და უაღრესად მარტივია; ეს იდეალები, მისი ერთ-ერთი ქმნილების ივანე ნიკიფორეს-ძის გამოთქმით, მკითხველის წინაშე ნატურით წარსდგებიან. მის ქმნილებათა სილამაზე მუდამ ახალი, ცხოველი, გასაოცარია; შეცდომები თითქმის საზარელია(?); იგი, თითქოს ისტორია დაავიწყდაო, მსგავსად ძველებისა, იწყებს ხელოვნების ახალ სამყაროს, რომელიც არარსობიდან გამოქყავს უბრალო(?) ქაოსურ(!?) მდგომარეობაში; სწორედ ამიტომ მისი ხელოვნებისათვის თითქოს უცნობი, გაუგებარია სირცხვილი; იგი უდიდესი მხატვარია, რომელმაც ისტორია არ იცის და რომელსაც ხელოვნების ნიმუშები არ უნახავს“¹².

ამ ლირიკული დომხალით აღსავსე დითირამბში, ავტორის უნებლიეთ და მისთვის შეუგნებლად, გამოთქმულია გოგოლის ტალანტის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი — ორიგინალობა და თავისებურება, რაც მას ყველა რუსი მწერლისაგან განასხვავებს. ეს რომ უცაბედად, აღმაფრენით მოხდა,

მტკიცდება იმ პარალელითაც, რომელიც ავტორს გაჰყავს გოგოლსა და — როგორ ფიქრობთ, ვის შორის? — ბ-ნ კუკოლნიკს შორის!!—და თვით დითირამების უცნაური, ერთმანეთის საწინააღმდეგო სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც მოწმობენ, რომ ადამიანს არ ძალუძს თუნდაც ერთი წუთით, და ისიც აღმაფრენის ეჟამს, სავსებით მოსწყდეს თავისი ეხოვრების ჩვეულებრივ კალაპოტს. უნდა ითქვას, რომ ავტორი თეორეტიკოსია და მთელი სიცოცხლე გაატარა იმ სხვადასხვა რიტორიკებისა და პიტიკების შედგენა-სწავლებაში, რომლებმაც, როგორც ყველა ამგვარმა წიგნმა, ვერასოდეს და ვერავის კარგად შეთხზვა ვერ ასწავლა, მაგრამ თავგზა კი ბევრს აუბნია. აი რატომ არის, რომ გოგოლის თხზულებებში იგი განსაკუთრებით გააკვირვა მათმა სრულმა ჩამოშორებამ და დამოუკიდებლობამ ყოველგვარი სასკოლო წესებისა და გადმოცემებისაგან, და თუ მას არ შეეძლო, ერთი მხრით, ეს გოგოლის დამსახურებად არ ჩაეთვალა, სამაგიეროდ, მეორე მხრით, არ შეეძლო იგივე გარემოება მისთვის არ ესაყვედურებინა. ამიტომაც დაინახა მან გოგოლის თხზულებებში „თითქმის საზარელი შეცდომები“ და „ხელოვნების უბრალო, ქაოსური მდგომარეობა“. შეეკითხეთ მას, თუ რა შეცდომებია ეს,—და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი უწინარეს ყოვლისა მიგითითებთ ქუჩის დარაჯზე, რომელიც თავის ფრჩხილზე მხეცს სიკვდილით სჯის („მკვდარ სულელებში“), და ამ ფაქტით საბოლოოდ დაამტკიცებს, რომ გოგოლმა „ისტორია არ იცის და ხელოვნების ნიმუშები არ უნახავს“. ამავე დროს კი გოგოლმა, ალბათ, მძს კრიტიკოსზე უკეთ იცის, რომ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ გალერეაში, როგორც ძვირფასი განძი, დაცულია დიდი მურილიოს სურათი, სადაც წარმოდგენილია ბიჭი, რომელიც გულმოდგინედ და ზუსტად აკეთებს იმას, რაც ქუჩის დარაჯმა ნამძინარეგმა და სხვათა შორის გააკეთა.

როგორც უნდა იყოს, თეორიებისა და სკოლების გავლენა მართლაც ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომლის გამოც

მრავალი ადამიანი თავდაპირველად მშვიდად, სრულიად არა მტრულად განწყობილი, გულწრფელად და კეთილსინდისიერად ხედავდა გოგოლში მხოლოდ სასიერო, მაგრამ ტრივიალურ და უმნიშვნელო მწერალს, და ისინი საშინელება გააფთრებამ შეიპყრო უკვე იმ აღტაცებული ხოტბის შემდეგ, რომელსაც გოგოლს მეორე მხარე უხვად შეასხამდა, და იმ დიდი მნიშვნელობის შედეგად, რომელსაც იგი სწრაფად იძენდა საზოგადოებრივ აზრში. მართლაც, თუმცა თავის დროზე კარამზინის მიმართულება ძალიან ახალი იყო, მაგრამ იგი გამართლებული იყო ფრანგული ლიტერატურის ნიმუშებით. თუმცა ჟუკოვსკის ბალადებმა ყველანი საოცრად გააკვირვა თავისი პირქუში კოლორიტით, თავისი სასაფლაოებითა და მკვდრებით, მაგრამ ამ ბალადებს გერმანული ლიტერატურის კორიფეთა სახელები იცავდნენ. თვით პუშკინი, ერთი მხრით, მომზადებული იყო მისი წინამორბედი პოეტების მიერ და მის პირველ ცდებს ოდნავ აჩნდა მათი გავლენის კვალი, ხოლო, მეორე მხრით, მის მიერ შემოტანილ სიახლეს ამართლებდა ევროპის ყველა ლიტერატურის საერთო მოძრაობა და ბაირონის—ამ უზარმაზარი ავტორიტეტის გავლენა. მაგრამ გოგოლს ნიმუში არ ჰქონია, წინამორბედნი არ ჰყოლია არც რუსულ და არც უცხოეთის ლიტერატურაში. ყველა თეორია, ყველა ლიტერატურული გადმოცემა მის წინააღმდეგ იყო, იმიტომ რომ გოგოლი მათ წინააღმდეგ მიდიოდა. გოგოლის გასაგებად საჭირო იყო ამ თეორიებისა და გადმოცემების სავესებით გულიდან ამოღება, მათი არსებობის დავიწყება, ეს კი ბევრისათვის გარდაქმნის, სიკვდილისა და კვლავ მკვდრეთით აღდგომის მოძასწავებელი იქნებოდა. ჩვენი აზრი უფრო ნათელი რომ გავხადოთ, ვნახოთ, რა დამოკიდებულებაშია გოგოლი სხვა რუს პოეტებთან. რა თქმა უნდა, პუშკინის იმ თხზულებებშიც, რომლებიც რუსული სამყაროსათვის უცხო სურათებს წარმოგვიდგენენ, სრულიად შეჭველია, არის რუსული ელემენტები, მაგრამ ვინ ზიუთითებს მათზე? როგორ დავამტკიცოთ, რომ,

მაგალითად, პოემები: „მოცარტი და სალიერი“, „ქვის სტუმარი“, „ძუნწი რაინდი“, „გალუბი“ შეიძლება მხოლოდ რუს პოეტს დაეწერა, და რომ მათ სხვა ერის პოეტი ვერ დასწერდა? იგივე შეიძლება ითქვას ლერმონტოვზე. გოგოლის ყველა თხზულება მხოლოდ და მხოლოდ რუსული ცხოვრების სამყაროს გამოხატავს, და მას მეტოქე არა ჰყავს ამ ცხოვრების სრული ქვემარტებით ასახვის ხელოვნებაში. იგი არაფერს არბილებს, არ აღამაზებს იდეალების სიყვარულის შედეგად, ან რაჟე წინასწარ მიღებული იდეების, ანდა ჩვეულებრივი მაკერძების შედეგად, როგორც, მაგალითად, პუშკინი „ონეგინში“ აღივსებდა მემამულურ ყოფას¹². რა თქმა უნდა, მის თხზულებათა უმთავრესი ხასიათი უარყოფაა; ყოველგვარი უარყოფა, იმისათვის რომ იგი ცხოველი და პოეტური იყოს, იდეალის გულისათვის უხდა ხდებოდეს, — და ეს იდეალიც გოგოლს ისევე არა თავისი, ე. ი. არა აქაური აქვს, როგორც ყველა სხვა რუს პოეტს, იპიტომ რომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ ისე არ ჩამოყალიბებულა და არ დადუღებულა, რომ ლიტერატურისათვის ამ იდეალის მიცემა შეეძლოს. მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმას, რომ გოგოლის თხზულებათა გამო უკვე ყოვლად შეუძლებელია კითხვის დასმა: როგორ დაეამტკიცოთ, რომ მათი დაწერა მხოლოდ რუს პოეტს შეეძლო და სხვა ერის პოეტი მათ ვერ დასწერდა? რუსეთის სინამდვილის გაზოხატვა და ისიც ასეთი განსაცვიფრებელი სისწორითა და ქვემარტებით, რასაკვირველია, მხოლოდ რუს პოეტს შეუძლია. და აი, ჯერჯერობით ყველაზე მეტად სწორედ ამაში მდგომარეობს კიდევ ჩვენი ლიტერატურის ხალხურობა.

ჩვენი ლიტერატურა შეგნებული აზრის ნაყოფი იყო, იგი მოგვევლინა როგორც სიახლე, მიმბაძველობით დაიწყო. მაგრამ იგი ამასზე არ შეჩერებულა, არამედ მუდამ მიისწრაფოდა თვითმყოფობისაკენ, ხალხურობისაკენ, ცდილობდა რიტორიკულიდან გადაქცეულიყო ბუნებრივ, ნატურალურ ლიტერატურად. სწორედ ეს მისწრაფება, რაც შესამჩნევი და

განუწყვეტელი წარმატებებით აღინიშნა, შეადგენს ჩვენი ლიტერატურის ისტორიას აზრსა და სულს. და ჩვენ უყოყმანოდ ვიტყვი, რომ არც ერთ რუს მწერალში ამ მისწრაფებას ისეთი წარმატებისათვის არ მიუღწევია, როგორც გოგოლში. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ იმის შედეგად, თუ ხელოვნება მიმართავდა სინამდვილეს, ყოველგვარი იდეალების გვერდის ავლით, ამისათვის საჭირო იყო მთელი ყურადღების მიქცევა ხალხზე, მასაზე. გამოხატვა ჩვეულებრივი ადამიანებისა და არა მხოლოდ საერთო წესიდან სასიამოვნო გამონაკლისებისა, რომლებიც ყოველთვის ატუნებენ პოეტებს გასაიდევალებად და უცხო დაღს ატარებენ. ეს გოგოლის უდიდესი დამსახურებაა, მაგრამ სწორედ ამას უთვლიან მას ძველი განათლების მქონე ადამიანები ხელოვნების კანონთა წინაშე უდიდეს დანაშაულად. ამით მან სრულიად შესცვალა შეხედულება თვით ხელოვნებაზე. თითოეული რუსი პოეტის თხზულებებს შეიძლება, თუმცა გაჭირვებით, მიუყენო ძველი და გაცვეთილი განსაზღვრა პოეზიისა, როგორც „შემკული ბუნებისა“, მაგრამ გოგოლის თხზულებათა მიმართ ეს უკვე შეუძლებელია. მათ მიუდგება სხვა განსაზღვრა ხელოვნებისა, როგორც სინამდვილის ასახვა მთელი მისი ჰემიარტიკებით. აქ მთელი საქმე ტიპებშია, ხოლო იდეალი აქ გაგებულია არა როგორც სამკაული (მაშასადამე, ტყუილი), არამედ როგორც ურთიერთობა, რომელშიც ავტორი ერთიმეორის მიმართ აყენებს მის მიერ შექმნილ ტიპებს, შესაბამისად იმ აზრისა, რომელიც სურს თავისი ნაწარმოებით განავითაროს.

ჩვენს დროში ხელოვნებამ გაუსწრო თეორიას. ძველმა თეორიებმა მთელი თავისი კრედიტი დაჰკარგეს; ამ ძველი თეორიებით აღზრდილი ადამიანებიც კი მათ კი არ მისდევენ, არამედ ძველი და ახალი ცნებების რაღაც უცნაურ ნარევს. ასე, მაგალითად, ზოგიერთმა მათგანმა, უარჰყო რა ძველი ფრანგული თეორია რომანტიზმისათვის, პირველმა აჩვენა მაცუთუნებელი მაგალითი და რომანში გამოიყვანა დაბალ წოდებათა პირები, არამზადებიც კი, რომლებსაც ევროვატინე-

ბისა და ნოჟოვების სახელი შეშვენით, მაგრამ ისინივე შეძლებდნენ ამაში თავს იმართლებდნენ იმით, რომ უზნეო ადამიანებთან ერთად გამოჰყავდათ ზნეობრივი პირებიც პრავდოლიუბოვებისა, ბლაგოტვოროვებისა და სხვ. სახელწოდებით¹. პირველ შემთხვევაში ჩანდა ახალი იდეების გავლენა, მეორეში— ძველი იდეებისა, იმიტომ რომ ძველი პიიტის რეცეპტით საჭირო იყო რამდენიმე ბრყვითან ერთად ერთი კვიციანი ძაისც გამოყვანათ, ხოლო რამდენიმე არამზადის გვერდით— თუნდაც ერთი სათნო ადამიანი*. მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს ქუუამოკლენი სრულიად უშვებდნენ მხედველობიდან უძთავრესს, ე. ი. ხელოვნებას, რადგან აზრადაც კი არ მოსდიოდათ, რომ მათი როგორც სათნო, ისე მანკიერი პირები იყვნენ არა ადამიანები, არა ხასიათები, არამედ განყენებულ სათნობათა და მანკიერებათა რიტორიკული განსახიერებანი. სწორედ ამით საუკეთესოდ აიხსნება, რატომ არის მათთვის თეორია, წესი საქმზე, დედაარსზე უფრო მნიშვნელოვანი: ეს უკანასკნელი მათი გაგებისათვის მიუწვდომელია. თუმცაღა, თეორიის გავლენას ყოველთვის ვერც ტალანტები, გენიალური ტალანტებიც კი ვერ იცდენენ. გოგოლი ეკუთვნის იმ მცირერიცხოვანთა წრეს, რომლებმაც სრულიად აიცლეს თავიდან ყოველი თეორიის ყოველგვარი გავლენა. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების გაგებისა და სხვა პოეტების ნაწარმოებთა ხელოვნებით გაკვრებების უნარი აქვს, იგი მაინც თავისი გზით წავიდა, იმ ღრმა და უტყუარ მხატვრულ ინსტინქტს გაჰყვა, რომლითაც იგი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა, და სხვისმა წარმატებებმა მიბაძვისათვის ვერ აცთუნა. რასაკვირველია, ამან როდი მოუტანა მას ორიგინალობა, მაგრამ შესაძლებლობა მისცა სავსებით შეენარჩუნებინა და გამოეკლინებინა ის ორიგინალობა, რომელიც მისი პიროვნების კუთვნილება და თვისება იყო და, მამასადაძვე, მსგავსად ტა-

* მაშინ სიტყვა რეზონორი კომედიისათვის ისეთივე ტექნიკური სიტყვა იყო. როგორც jeune premier, საყვარელი ან პრიმადონა ოპერისათვის.

ლანტიას, ბუნების მიერ მინიჭებული ჰქონდა. სწორედ ამიტომ ბევრს იგი რუსულ ლიტერატურაში თითქოს გარედან შემოსულად ეჩვენა, მაშინ როდესაც სინამდვილეში იგი ამ ლიტერატურის აუცილებელი მოვლენა იყო, რომელსაც მთელი მისი წინანდელი განვითარება მოითხოვდა.

რუსულ ლიტერატურაზე გოგოლის გავლენა უდიდესი იყო. არა მარტო ყველა ახალგაზრდა ტალანტმა მის მიერ ნაჩვენებ გზას მიაშურა, არამედ ზოგიერთმა უკვე სახელმძოხვეჭილმა მწერალმაც თავისი წინანდელი გზა მიატოვა და ამავე გზით წავიდა. ამით აიხსნება იმ სკოლის გამოჩენა, რომლის დამცირებასაც მისი მოწინააღმდეგენი სახელწოდება ნატურალურის მიცემით ფიქრობდნენ. „მკვდარი სულების“ შემდეგ გოგოლს არაფერი დაუწერია. ლიტერატურის სცენაზე ახლა მხოლოდ მისი სკოლაა. მთელი საყვედური და ბრალდება, რაც წინათ მის წინააღმდეგ იყო მიმართული, ახლა მიმართულია ნატურალური სკოლის წინააღმდეგ, და თუ გოგოლის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ილაშქრებენ ხოლმე, ეს ამ სკოლის გამო ხდება. რა ბრალს სდებენ ამ სკოლას? ბრალდება ბევრი არაა და ყოველთვის ერთი და იგივეა. თავდაპირველად ამ სკოლის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ იმიტომ, თითქოს იგი განუწყვეტლივ თავს ესხმოდა მოხელეებს. ამ წოდების ყოფაცხოვრების სურათებში, რომლებსაც ნატურალური სკოლა ხატავდა, ერთნი გულწრფელად, მეორენი კი განგებ ხედავდნენ ბოროტგანზრახულ კარიკატურებს. ეს ერთი ხანია ამ ბრალდებებს თავი მიანებეს. ახლა ნატურალური სკოლის მწერლებს ბრალად სდებენ იმას, რომ მათ უყვართ დაბალი წოდების ადამიანთა გამოხატვა, თავიანთი მოთხოვნების გმირებად გამოჰყავთ გლეხები, შეეზოვენ, მეეტლენი, აღწერენ დამშეულთა სიღატაკისა და ხშირად ყოველნაირი უზნეობის კუნჭულებსა და თავშესაფრებს¹⁵. ახალი მწერლები რომ შეარცხვინონ, ბრალდებლები ამაყად მიუთითებენ რუსული ლიტერატურის მშვენიერ დროებაზე, კარამზინისა და დმიტრიევის სახელებზე, რომლებმაც თავიანთი თხზულებებისათვის მაღალი და კეთილშობილი საგნები აირჩიეს, და ამყამად

დავიწყებული სიტყვაკაზმულობის მაგალითად მოჰყავთ მგრძნობიარე სიმღერა: „ყველა ყვავილზე მეტად ვარდი ძიყვარდა“. ჩვენ კი მათ მოვაგონებთ, რომ პირველი შეჰანიშნავი რუსული მოთხრობა კარამზინმა დასწერა და მისი გმირი იყო პეტიმეტრის მიერ შეცდენილი გლეხი ქალი—საბრალო ლიზა... მაგრამ იქ, იტყვიან ბრალმდებლები, ყველაფერი ფაქიზი და სუფთაა და მოსკოვის ახლოს მცხოვრები გლეხი ქალი ყველაზე ზრდილობიან ბანოვანს არ ჩამოუვარდებაო. და აჲ, ჩვენ დავის მიზეზსაც მივაღექით: აქ დამნაშავეა, როგორც ხედავთ, ძველი პიიტია. იგი ნებას იძლევა ზოგჯერ გამოხატულ იქნან გლეხებიც, მაგრამ მხოლოდ თეატრალურ ტანსაცმელში გამოწყობილნი. გლეხები, რომლებიც მათი ყოფისა, მღვდმარეობისა და განათლებისათვის უცხო გრძნობებსა და ცნებებს ამეღვენებენ და ისეთი ენით ლაპარაკობენ, რომლითაც არავინ არ ლაპარაკობს, ხოლო მით უფრო ნაკლებად—გლეხები; ლაპარაკობენ ლიტერატურული ენით, რომელიც შემკულია ისეთი სიტყვებით, როგორცაა: „ესე, ვიეთნი, ვითარმე“ და ა.შ. ან კი ამას რა სჯობია: XVIII საუკუნის ფრანგი მწერლების მწყემსი გოგო-ბიჭები მზამზარეული და საუცხოო ნიმუშია რუსი გლეხი მამაკაცებისა და ქალების გამოსახატავად; ინებეთ მთლიანად, აჲა მიირთვიეთ: ცისფერი და ვარდისფერი ბაფთებით მორთული ჩალის ქუდები, პუდრი, ხელოვნური ხალები, ფიქმები, კორსეტები, რეტრუსმანიანი კაბები, მაღალ წითელქუსლიანი ქოშები. ოღონდ ენის მხრივ დაიცავით შინაური ლიტერატურული ჩვევები, რადგან ფრანგებს არასოდეს არ უყვარდათ გაცვეთილი, არასასაუბრო სიტყვებით კოპწილობა. ეს წმინდა რუსული ზნეა; ჩვენში პირველხარისხოვან ტალანტებსაც კი უყვართ „*нрега, младость, перси, очи, выю, стопы, чело, главу. глаз*“ და ეგრეთწოდებულა „მაღალი სტილის“ ამგვარი კუთვნილებანი. მოკლედ: ძველი პიიტია ნებას იძლევა გამოხატოთ ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ ამასთან ერთად წესად გიდებთ გამოსახატავი საგანი ისე შეალამაზოთ, რომ ყოვლად შეუძლებელი იყოს იმის გაგება, თუ რისი გამო-

ხატვა გინდოდათ. თუ მის გაკვეთილებს ზუსტად გაჰყვა, პოეტს შეუძლია უფრო შორს წავიდეს, ვიდრე დმიტრიევის მიერ სახელგანთქმული მღებავი ეფრემი, რომელიც არხიპს სიღორად სწერდა, ხოლო ლუკას — კუზმად: მას შეუძლია არხიპს ისეთი პორტრეტი გადაუღოს, რომელიც არათუ სიღორას, არამედ ქვეყნად არაფერს არ დაემსგავსება, მიწის გორიანსაც კი. ნატურალური სკოლა სრულიად საწინააღმდეგო წესს მისდევს: მის მიერ გამოხატულ პირთა რაც შეიძლება ახლო მსგავსება მათს ნამდვილ ნიმუშებთან ამ სკოლაში ყველაფერი არ არის, მაგრამ მისი პირველი მოთხოვნაა, რომლის შეუსრულებლად უკვე არ შეიძლება თხზულებაში კარგი რამე იყოს. მძიმე მოთხოვნაა, რომლის შესრულება მხოლოდ ტალანტს ძალუძს! და ამის შემდეგ აბა როგორ არ უყვარდეთ და არ ეთაყვანებოდნენ ძველ პიტიკას ის მწერლები, რომლებსაც ოდესღაც შეეძლოთ უტალანტოდაც წარმატებით ემოღვაწნათ პოეზიის ასპარეზზე? როგორ არ მიაჩნდეთ მათ ნატურალური სკოლა თავიანთ უსაშინელეს მტრად, როცა ამ სკოლამ წერის ისეთი მანერა შემოიღო, რომელიც მათთვის მიუწვდომელია? რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ იმ ადამიანებს შეეხება, რომლებისთვისაც ეს საკითხი თაემოყვარებობის საქმედ იქცა; მაგრამ ბევრი მოიძებნება ისეთი ადამიანიც. რომლებსაც გულწრფელად არ უყვართ ბუნებრიობა ხელოვნებაში, რაც ამ ადამიანებზე ძველი პიტიკის გავლენის შედეგია. ეს ადამიანები განსაკუთრებული სიმწარით უჩივიან იმასაც, რომ ახლა ხელოვნებამ თავისი წინანდელი დანიშნულება დაივიწყაო. „იყო დრო, — ამბობენ ისინი, — როდესაც პოეზია ღკითხველს ჭკუას არიგებდა, ართობდა, ცხოვრების სიძიმესა და ტანჯვა-ვაებას ავიწყებდა, მხოლოდ სასიამოვნო და მხიარულ სურათებს უხატავდა. წინანდელი პოეტები სიღარიბის სურათებსაც ხატავდნენ, მაგრამ ეს იყო ფაქიზი, პირდაბანილი სიღარიბე, რომელიც მორიდებულად და კეთილშობილურად გამოიხატებოდა; თანაც მოთხრობის დასასრულს ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე გრძნობიერი ახალგაზრდა მანდილოსანი ან ქალწული. მდიდარი და კეთილ-

შობილი მშობლების ასული, ანდა სათნო ყმაწვილი,—და საყვარელი ადამიანით კბაყოფილება და ბედნიერება დაისადგურებდა იქ, სადაც გაჭირვება და სიღატაკე იყო, კეთილშობილური ცრემლები რწყავდა კეთილისმყოფელ ხელს, — და მკითხველი უნებლიეთ მიიტანდა თავის ბატისტის ცხვირსახოცს თვალთან და გრძნობდა, რომ იგი უფრო კეთილი და გრძნობიერი ხდებოდა... ახლა კი!—შეხედეთ, რას სწერენ ახლა! გლეხებს ქალამნები და ხამი ქსოვილი აცვიათ, ხშირად რახის სუნი ასდით, დედაკაცი კენტავრსა ჰგავს, ტანსაცმლით უცბად ვერც კი იცნობ, რომელი სქესის არსებაა; კუნჭულები—სიღატაკის, განწირულებისა და გარყვნილების თავშესაფრებია, რომლებთანაც მუხლამდე ატალახებული ეზოთი უნდა მიატანოთ; რომელიღაც ლოთი პოდიაჩი ან სამსახურიდან გამოგდებული სემინარიელი მასწავლებელი, — ყოველივე ამას ნატურიდან ხატავენ, საშინლად აშიშვლებენ, ასე რომ, თუ წაიკითხავ, ღამე მძიმე სიზმრებს უნდა მოელოდე“... ასე, ან თითქმის ასე, ლაპარაკობენ ძველი პიტიკის მსცოვანი მიმდევარნი. კაცმა რომ სთქვას, ისინი იმას უჩივიან, თუ რატომ დაანება თავი პოეზიამ უსიცოცხლო სიცრუეს, რატომ იქცა ის საბავშვო ზღაპრიდან არც თუ ყოველთვის სასიამოვნო ნამდვილ ამბად, რატომ სთქვა უარი იმაზე, რომ ყოფილიყო ელარუნა, რომლის ხმაზე ხტუნაობაც სასიამოვნოა და დამინებაც. უცნაური, ბედნიერი ადამიანები არიან! მათ შესძლეს სამუდამოდ დარჩენილიყვნენ ბავშვებად და მოხუცებულობის ეამსაც კი ზრდადაუზღავრებელ მცირეწლოვანებად მოგველინებოდნენ,—და ისინი მოითხოვენ, რომ ყველა მათი მსგავსი იყოს! ჰოდა, იკითხეთ თქვენი ძველი ზღაპრები—ხელს არავინ გიშლით; სხვებს კი დაანებეთ საქმე, რომელიც სრულწლოვანთა დამახასიათებელია. თქვენ სიცრუე—ჩვენ ჭეშმარიტება: გავიყაროთ უდავიდარაბოდ, კიდევ კარგი, რომ თქვენ ჩვენი პაი არ გესაჭიროებათ, ჩვენ კი თქვენსას მუქთადაც არ წავიღებთ... მაგრამ ამ სიამტკბილობით გაყრას ხელს უშლის სხვა მიზეზი—ეგოიზმი, რომელსაც თავი სათნობად მიაჩნია. მართლაცდა, წარმოიდგინეთ უზრუნველყო-

ფილი, შესაძლოა, მდიდარი კაცი; მან ეს-ეს არის მაღიანად, გეძრეილად ისადილა (მზარეული ჩინებული ჰყავს), ვოლტერის რბილ სავარძელში ჩაჯდა აგიზგიზებულ ბუხრის წინ და ხელში ფინჯანით ყავა უჭირავს; თბილა, თავს კარგად გრძნობს, კეთილდღეობის გრძნობა ამხიარულებს. და აი წიგნს იღებს, ზანტად ფურცლავს,—და უცბად წარბები ეკმუხნება, წითელ ბაგეებზე ღიმილი უქრება, იგი ალელვებულისა, შეშფოთებული, გაჯავრებული... და მიზეზიცა აქვს! წიგნი მას ეუბნება, რომ ქვეყნად ყველა როდი ცხოვრობს ისე კარგად, როგორც ის, რომ არის კუნძულები, სადაც კონკებში სიცივისაგან კანკალებს მთელი ოჯახი, რომელიც შეიძლება ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ კმაყოფილი ცხოვრობდა; რომ ქვეყნად არიან ადამიანები, რომლებიც დაბადებითვე ბედისაგან განწირული არიან სილატაკისათვის; რომ უკანასკნელი კაპიკი არაყში იხარჯება არა ყოველთვის ცუდად, ხისა და სიზარმაცის, არამედ სასოწარკვეთილების გამოც. და ჩვენი ბედნიერი კაცი უხერხულობას გრძნობს, თითქოს თავისი კომფორტი ერცხვინება. ყველაფერი კი ამ ცუდ წიგნის ბრალია: მან წიგნი თავისი სიამოვნებისათვის აიღო, შიგ კი სევდა და მოწყენილობა ამოიკითხა. უნდა მოიშოროს ეს წიგნი! „წიგნმა სასიამოდ უნდა გაართოს კაცი; მე ისედაც ვიცი, რომ ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება და უბედურებაა, და თუ წიგნს ვკითხულობ, იმისათვის, რომ ეს დავივიწყო!“— წამოიძახებს იგი.—აი ასე, ძვირფასო, კეთილო სიბარიტო, შენი სიმშვიდისათვის წიგნებმაც უნდა იტრუნონ და ღარიბმაც თავისი დარდი დაივიწყოს, დაივიწყოს მშვიერმა თავისი შიმშილი, ტანჯვის კვნესა შენთან მუსიკის ბგერებად უნდა აღწევდეს, რათა მადა არ გაგიფუჭდეს, ძილი არ დაგიფრთხეს... ახლა ასეთსავე მდგომარეობაში წარმოიდგინეთ სასიამოვნო კითხვის მოყვარული მეორე კაცი. მას ბალი უნდა გაეძარტა, ეადა ზოახლოვდა, ფული კი არ ჰქონდა; მისმა მოურავმა, ნიკიტა თევდორეს-ძემ, რაღაც დააყოვნა გამოგზავნა. მაგრამ დღეს ფული მიღებულია, ბალის გამართვა შეიძლება; პირში სიგარით, მხიარული და კმაყოფილი განისვენებს იგი დი-

ვანზე და უსაქმურობის გამო ზანტად ჰკიდებს ხელს წიგნს. კვლავ იგივე ამბავი. წყეული წიგნი მოუთხრობს, რა საქმეები ჩაიღინა მისმა ნიკიტა თევდორეს-ძემ, საზიზლარმა ყმაბ, რომელიც ბავშვობიდანვე შეჩვეულია მლიქვნელურად ემსახუროს სხვის სურვილებსა და ეინს და ცოლად ჰყავს თავისი ბატონის მამის ყოფილი საყვარელი. და აი სწორედ ამ კაცს, რომელიც არავითარ ადამიანურ გრძნობას არ იცნობს, აბარია ყველა ანტონის¹⁰ ბედ-იღბალი. ჩქარა მოიშოროს ეს საზიზლარი წიგნი!.. ახლა კიდევ წარმოიდგინეთ ასეთ კომფორტულ მდგომარეობაში ადამიანი, რომელიც ბავშვობისას ფეხშიშველა დარბოდა, მას აქეთ-იქით გზავნიდნენ, ხოლო ორმოცდაათი წელს მიღწეული როგორღაც ჩინ-მედლებში აღმოჩნდა, „ცოტა რამ“ მოეპოვება. ყველა კითხულობს—და ამანაც უნდა წაიკითხოს; მაგრამ რას ნახულობს წიგნში?—თავის ბიოგრაფიას, თანაც ესოდენ სწორად ნაამბობს, თუმცა, მისი ცხოვრების ბნელი საქმეები ყველასთვის საიდუმლოებაა, ისინი მხოლოდ მან იცის და არც ერთ შემთხვეულს არ შეეძლო გაეგო... და აი, რგი უკვე აღელვებული კი არა, არამედ პირდაპირ გაცოფებულია, და სიამაყის გრძნობით იმსუბუქებს წყენას ასეთი მსჯელობით: „აი როგორ სწერენ ახლა! აი სანამდღე მივიდა თავისუფალი აზროვნება! განა ასე სწერდნენ წინათ? სწერდნენ მწყობრი, გამართული შტილით, მუდამ სათუთ და მაღალ საგნებზე, წაკითხვაც გესიამოვნებოდა და საწყენიც არაფერი იყო!“

არის მკითხველთა განსაკუთრებული წყება, რომელსაც, არისტოკრატიზმის გრძნობის გამო, წიგნებშიც კი არ უყვარს შეხედეს დაბალი კლასების ადამიანებს, რომლებმაც ჩვეულებრივ ზრდილობის წესები და კარგი ქცევა არ იციან, არ უყვარს სიბინძურე და სილატაკე, რაც დიდებულ სალონებს. ბუდუარებსა და კაბინეტებს უპირისპირდება. ასეთი მკითხველები ნატურალურ სკოლაზე მხოლოდ ქედმაღლური სიძულვილით და ირონიული ღიმილით ლაპარაკობენ... ვინ არიან ისინი, ეს ფეოდალური ბარონები, რომელთაც ეზიზ-

ღებათ „საძაგელი ბრბო“, რომელსაც მათს თვალში კარგ ცხენზე ნაკლები ფასი აქვს? ნუ ჩქარობთ მათი ვინაობის გაგებას პერალდიკურ წიგნებში ან ევროპის სასახლეთა კარზე: თქვენ იქ მათს გერბებს ვერ იპოვნით, ისინი სასახლეში წარდადიან, და თუ მაღალი წრე უნახავთ, მხოლოდ ქუჩიდან, გაჩირაღდნებული ფანჯრებიდან, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ფარდები იძლეოდა... წინაპრებს ვერ დაიკვეხნიან; ჩვეულებრივად ისინი ან მოხელეები არიან, ან ახალი თავდაზნაურობიდან გამოსულნი, რომელიც მდიდარია მხოლოდ პლებეურად გადმოცემებით ზოურავ ბაბუაზე, მოიჯარე ბიძაზე, ხოლო ზოგჯერ—სეფისკვერის მცხობელ ბებიასა და ვაჟარ მამიდაზე. ამ სტატიის ავტორს ამასთან თავის მოვალეობად მიაჩნია თავის მკითხველებს შეატყობინოს, რომ მას სრულებით არ სჩვევია მოყვასს დაბალი შთამომავლობა უსაყვედუროს და ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მთელ მის რწმენას, და რომ თვითონაც სრულებით ვერ დაიკვეხნის დიდ გვარიშვილობას და სულაც¹⁷ არ ერცხვინება ამის აღიარება. მაგრამ იგი ფიქრობს—და ალბათ მისი მკითხველებიც დაეთანხმებიან,—რომ იმაზე სასიამოვნო არაფერია, როცა ყვავს ფარშავანგის ფრთებს დააწყვეტ და დაუმტკიცებ, რომ იგი იმ მოდგმას ეკუთვნის, რომლის შეძლებაც განიზრახა. უბრალო წოდების ადამიანი ჯერ კიდევ არ არის ყვავი იმიტომ, რომ იგი უბრალო წოდებისაა; ყვავად აქცევს არა წოდება, არამედ ბუნება, და ყვავები ისევე მოიპოვებიან ყველა წოდებაში, როგორც ყველა წოდებაში მოიპოვებიან არწივებიც; მაგრამ, რა თქმა უნდა, ფარშავანგის ფრთებით ზორთვა და მით ქედმაღლობა მხოლოდ ყვავის დამახასიათებელი თვისებაა. მაშ რატომ არ ვუთხრათ ყვავს, რომ იგი ყვავია? დაბალ წოდებათა მიზართ ზიზღი ჩვენს დროში სულაც არ არის მაღალ წოდებათა მანკი; პირიქით, ეს არის მეტიჩართა ავადმყოფობა, უმეტრების, უხეშ გრძნობათა და ცნებათა ნაყოფი. ჭკვიანი და განათლებული ადამიანი, ამ სენით შეპყრობილიც რომ იყოს, არასოდეს არ გამოამჟღავნებს მას, იმიტომ რომ ეს სენი დროის სულისკვეთებას არ შეეფერება, იმიტომ

რომ მისი გამოჩენა ნიშნავს ყველის მთელი ხმით დაიხზავლო და საკუთარი თავი გაამელაუნო. ვეფქრობთ, თუმცა პირფერობა დიდი საზიზღრობაა, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ყვავის გულახდილობასაც კი სჯობს, იმიტომ რომ ჭკუას მოწმობს. ფარშავანგი, რომელიც ამაყად შლის თავის დიდებულ ბოლოს სხვა ფრინველთა თვალწინ, ცნობილია როგორც ლაშაზი, მაგრამ არა ჭკვიანი ფრინველი. ხოლო რა უნდა ითქვას ყვავზე, რომელიც მედიდურად გამოაჩენს ხოლმე ნასესხებ მორთულობას? ამგვარი მედიდურობა ჭკუისათვის ყოველთვის უცხოა და უმთავრესად პლებეური მანკია. სად არის უფრო მეტი მანკვა-გრეხა და პრეტენზიები, თუ არა საზოგადოების იმ ფენებში, რომლებიც უშუალოდ ყველაზე დაბალი ფენების შემდეგ იწყება? ეს კი იმიტომ ხდება, რომ იქ ყველაზე მეტი უმეცრებაა. შეხედეთ, რა ღრმად ეზიზღება ლაქიას გლეხი, რომელიც მასზე ყოველმხრივ უკეთესი, უფრო ყეთილშობილი და უფრო ადამიანურია! საიდან წარმოსდგება ლაქიის ეს სიაზაყე?—მას გადაუღია თავისი ბატონის მანკიერებანი და ამიტომ თავი მიიჩნია გლეხზე ბევრად უფრო განათლებულად. გარეგანი პეწი ტლანქ ადამიანებს ყოველთვის განათლება ჰკონიათ.

„რა საჭიროა ლიტერატურა ავაესოთ გლეხებით?“—გაიძახიან განსაზღვრული წყების არისტოკრატები. მათ თვალში მწერალი ხელოსანია, რომელიც რასაც შეუქვეთენ, იმას აკეთებს. მათ აზრადაც არ მოსდით, რომ თხზულების საგნების არჩევის მხრივ მწერალი არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს არც მისთვის უცხო ნებასურვილით, არც საკუთარი თვითნებობითაც კი; ეს იმიტომ, რომ ხელოვნებას თავისი კანონები აქვს და თუ მათ პატივს არა სცემ—შეუძლებელია კარგად სწერო. ხელოვნება უწინარეს ყოველისა მოითხოვს, რომ მწერალი თავისი ბუნების, თავისი ნიჭის, თავისი ფანტაზიის ერთგული იყოს. მაშ რით ავხსნათ ის, რომ ერთს მზიარული, მეორეს კი დარდიანი ამბების გამოხატვა უყვარს, თუ არა პოეტის ბუნებით, ხასიათითა და ნიჭით? ვისაც რა უყვარს და აინტერესებს, უკეთესადაც ის იცის, ხოლო რაც უკეთესად

იცის, იმას უკეთესადაც გამოხატავს. აი ყველაზე კანონიერი გამართლება პოეტისა, რომელსაც საგნების არჩევანს უსაყვედურებენ; ეს გამართლება არადამაკმაყოფილებელია მხოლოდ იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც ხელოვნების არაფერი გაეგებათ და ტლანქად ურევენ მას ხელოსნობაში. ბუნება ხელოვნების მარადიული ნიმუშია, ბუნებაში კი უდიდესი და უკეთილშობილესი საგანი ადამიანია. და განა გლენხი ადამიანი არ არის?—მაგრამ რა შეიძლება იყოს საინტერესო ტლანქ, გაუნათლებელ ადამიანში?—როგორ თუ რა?—მისი სული, გონება, გული, ვნებები, მიდრეკილებანი, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც განათლებულ ადამიანში. ეთქვათ, ეს უკანასკნელი პირველზე მაღლა დგას; მაგრამ განა ბოტანიკოსს მხოლოდ ბაღის, ხელოვნურად გაუმჯობესებული მცენარეები აინტერესებს, მათი მინდვრის, გარეული პირველსახეები კი სძულს? განა ანატომისა და ფიზიოლოგისათვის ველური აესტრალიელის ორგანიზმი ისევე საინტერესო არ არის, როგორც განათლებული ევროპელის ორგანიზმი? მაშ რა საფუძვლით უნდა განსხვავდებოდეს ასე ხელოვნება ამ მხრივ მეცნიერებისაგან? და შემდეგ—თქვენ ამბობთ, განათლებული ადამიანი გაუნათლებელზე მაღლა დგასო. ამაში არ შეიძლება არ დაგეთანხმოთ, მაგრამ არა უშენიშვნოდ. რა თქმა უნდა, მაღალი წრის ყველაზე ქარანტშუტა ადამიანი გლენხზე გაცილებით უფრო მაღლა დგას, მაგრამ რა მხრივ? მხოლოდ ამ მაღალი წრის შესაბამისი განათლებით, ეს კი ზოგიერთ გლენხს ოდნავაც ვერ შეუშლის ხელს მასზე მაღლა იდგეს, მაგალითად, ჭკუით, გრძნობით, ხასიათით. განათლება მხოლოდ ავითარებს ადამიანის ზნეობრივ ძალებს, მაგრამ როდი იძლევა მათ: ამ ძალებს ადამიანს ბუნებან ანიჭებს. და თავისი ამ უძვირფასესი საბოძვარის მინიჭებისას ბუნება ბრმად მოქმედებს, წოდებათა განურჩევლად... თუ საზოგადოების განათლებული კლასებიდან მეტი შესანიშნავი ადამიანი გამოდის, ეს იმიტომ ხდება, რომ იქ განვითარების მეტი საშუალებაა, და სულაც არა იმიტომ, რომ ბუნება დაბალი კლასების ადამიანებისათვის თავისი საბოძვარის გაცემა-

ში უფრო ძუნწი იყოს. „რა უნდა ძსწავლო იმ წიგნიდან, რომელშიაც აღწერილია რომელიმე ლოთი ბედშავი?“—ამბობენ კიდევ ეს საშუალო არისტოკრატები.—როგორ თუ რა? რასაკვირველია, არა მაღალი წრის ქცევა და არა კარგი ტონი, არამედ განსაზღვრულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ცოდნა. ერთი გალოთდება სიზარმაცის, ცუდი აღზრდის, სუსტი ხასიათის გამო, მეორე—ცხოვრების უბედურ გარემოებათა გამო, რომლებშიაც მას, შესაძლოა, არავითარი ბრალი არ მიუძღოდეს. ორივე შემთხვევაში, ეს ქკუისსაწავლი და დაკვირვებისათვის საინტერესო მაგალითებია. რა თქმა უნდა, დაცემული ადამიანისათვის ზიზლით ზურგის შექცევა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე სანუგეშოდ და დასახმარებლად მისთვის ხელის გაწოდება, ისევე როგორც მისი სასტიკად დაგმობა, ზნეობის სახელით, ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მისი მდგომარეობის თანაგრძნობითა და სიყვარულით განიარება, მისი დაცემის მიზეზის ღრმად გამოკვლევა და მისი შებრალება, როგორც ადამიანისა, მაშინაც კი, როდესაც იგი თავის დაცემაში დღვად დამნაშავე აღმოჩნდება. ადამიანთა მოდგმის მხსნელი ქვეყნიერებას მოველინა ყველა ადამიანისათვის; არა ბრძენთა და განათლებულთ, არამედ კკუითა და გულთ უბრალო მეთევზეებს მოუწოდა მან ყოფილიყვნენ „მებადურნი ადამიანისანი“, არა მდიდართა და ბედნიერთ, არამედ ღარიბთ, ტანჯულთ და დაცემულთ დაეძებლა იგი, რათა ერთნი ენუგეშებინა, მეორენი გაემხნეებინა და ფეხზე დაეყენებინა. ბინძური კონკებით ძლიეს დაფარულ ტანზე დაყრილი ჩირქიანი წყლულები არ შეურაცხყოფდა სიყვარულითა და მოწყალებით აღსავეს მის გულს,—მას—ძეს ღვთისას, ადამიანურად უყვარდა ადამიანები და თანაუგრძნობდა მათს სილატაკეში, სიბინძურეში, [შერაცხვენაში, გარყენილებაში, მანკიერებაში, ბოროტმოქმედებაში; მანება მისცა ქვით ჩაექოლათ მეძავი ქალი იმათ, რომელნიც თავიანთ სინდისს ვერაფერს უსაყვედურებდნენ, მან შეარცხვინა გულქვა მსაჯულნი, და ნუგეში სცა დაცემულ ქალს,—და ავაზაკმა, მის მიერ დამსახურებული სასჯელის

იარაღზე სულს რომ ლევდა, ერთი წუთი მონანიებისათვის მოისმინა მისგან მიტევებისა და მშვიდობის სიტყვები... ²⁸ ჩვენ კი—ადამიანის 'მვილებს — გვინდა ჩვენს ზოძმეთაგან გვიყვარდეს მხოლოდ ჩვენი თანასწორნი, ზურგს ვაქცევთ დაბლა მდგომთ, როგორც პარიებს, როგორც დაცემულთ, როგორც კეთროვანთ... რა სათნოებამ და დამსახურებამ მოგვცა ამის უფლება? სწორედ ყოველგვარი სათნოებისა და დამსახურების უქონლობამ ხომ არა?.. მაგრამ] სიყვარულისა და ძმობის ღვთაებრივი სიტყვა ამოდ რომელი გაისმა ქვეყნად. ის, რაც წინათ მხოლოდ [საკურთხეველის სამსახურად] მოწოდებულ პირთა მოვალეობა ან მცირეოდენ რჩეულთა სათნოება იყო, — სწორედ ის ახლა იქცევა საზოგადოებათა მოვალეობად, ნიშანია კერძო პირთა უკვე არა მარტო სათნოებისა, არამედ განათლებულობისაც. შეხედეთ, როგორ აფიქრებს ყველას და ყველგან ჩვენს საუკუნეში დაბალ კლასთა ხვედრი, როგორ იქცევა კერძო ქველმოქმედება ყველგან საზოგადოებრივ ქველმოქმედებად, როგორ ყველგან არსდება კარგად მოწყობილი, საიმედო სახსრებით მდიდარი საზოგადოებანი დაბალ კლასებში განათლების გასავრცელებლად, გაჭირვებულთა და ტანჯულთა დასახმარებლად, სიდატაკისა და მისი გარდუვალი შედეგის: — უზნეობისა და გარყვნილების თავიდან ასაცილებლად და აღმოსაფხვრელად. ამ საერთო მოძრაობამ, ესოდენ კეთილშობილურმა, ესოდენ ადამიანურმა, ესოდენ ქრისტიანულმა, თავისი გამკიცხველნი ჰპოვა ჩლუნგი და დამყაყებელი პატრიარქალობის თაყვანისმცემელთა სახით. ისინი აშბობენ, აქ მოდები, გატაცება, დიდების მაძიებლობა მოქმედებს და არა კაცთმოყვარეობაო. დე აგრე იყოს, მაგრამ როდის და სად არ მონაწილეობდა ადამიანის საუკეთესო მოქმედებაში ამგვარი წვრილმანი წადილი? მაგრამ როგორ შეიძლება ითქვას, რომ მარტო ამგვარი წადილი შეიძლება იყოს ასეთ მოვლენათა მიზეზი? როგორ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი მოვლენების შთავარ წამომწყებთ, რომლებიც თავიანთი მაგალითით იტაცებენ ხალხს, უფრო კეთილშობილური და მაღალი გრძნობები არ ასულდგმულებთ?

ცხადია, სრულებით არ უნდა გაგვაკვირვოს იმ ადამიანთა სათნოებამ, რომლებიც ქველმოქმედებას ეწევიან არა ზოგჯერ სიყვარულის გრძნობით, არამედ მოდის, მიძბადველობის, დიდების მაძიებლობის გამო; მაგრამ ეს სათნოებაა საზოგადოების მიმართ, რომელიც ისეთი სულისკვეთებით არის გამსჭვალული, რომ შეუძლია ამოვებით გართულ ადამიანთა საქმიანობაც სიკეთისაკენ წარძარტოს! ¹⁰ ნუთუ ეს უახლესი ცივილიზაციის, გონებისა და განათლების წარმატებათა უაღრესად სასიამოვნო მოვლენა არ არის?

განა შეიძლებოდა ეს ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა არ ასახულიყო ლიტერატურაში, — ლიტერატურაში, რომელიც ყოველთვის საზოგადოების გამოხატულებაა! ამ მხრივ ლიტერატურამ, შეიძლება ითქვას, მეტიც კი გააკეთა: ზან არა მარტო ახსნა ასეთი მიმართულება, არამედ ხელიც შეუწყო საზოგადოებაში მის აღძვრას, არა თუ ჩამორჩა, არამედ გაუსწრო კიდევ მას. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, ღირსეული და კეთილშობილურია თუ არა ასეთი როლი; მაგრამ სწორედ ამიტომ ესხმის თავს ლიტერატურას უგერბო არისტოკრატია. ეფიქრობთ, საკმაოდ ცხადვყავით, რა წყაროებიდან მომდინარეობენ ეს თავდასხმები და რა ფასი აქვს მათ...

დაგვრჩენია მოვიხსენიოთ კიდევ თანამედროვე ლიტერატურასა და საერთოდ ნატურალიზმზე თავდასხმები ესთეტიკური თვალსაზრისით, წმინდა ხელოვნების გულისათვის, რომელიც თვით არის მიზანი და თავის გარეშე არავითარ მიზანს არ სცნობს. ამ აზრს საფუძველი აქვს, მაგრამ მისი გაზვიადებულობა ერთი შეხედვითაც შესამჩნევია. ეს აზრი ნამდვილი გერმანული წარმოშობისაა; იგი შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ მკვრეტელ, მოაზროვნე და მეოცნებე ხალხში და არასგზით არ შეიძლებოდა გაჩენილიყო პრაქტიკულ ხალხში, რომლის საზოგადოებრიობა ცხოველი მოღვაწეობის ფართო ასპარეზია ყველასათვის და თითოეულისათვის. რა არის წმინდა ხელოვნება—ეს კარგად არც მისმა დამცველებმა იცაან; ამიტომაც არის, რომ მათ იგი რაღაც ადელად წარმოუდგენიათ, ფაქტიურად კი არ არსებობს.

არსებითად იგი ცუდი უკიდურესობაა მეორე ცუდი უკიდურესობისა, ე. ი. დიდაქტიკური, ჭკუის დამრიგებელი, ცივი, შშრალი, მკვდარი ხელოვნებისა, რომლის ნაწარმოებნი სხვა არაფერია, გარდა მიცენულ თემებზე რიტორიკული ვარჯიშისა. სრულიად უეჭველია, ხელოვნება უწინარეს ყოვლისა ხელოვნება უნდა იყოს, ხოლო შემდეგ ის უკვე შეიძლება იყოს განსაზღვრულ ეპოქაში საზოგადოების სულისკვეთებისა და მიმართულების გამოხატულება. რა მშვენიერი აზრებითაც უნდა იყოს აღსავსე ლექსი, რა მძლავრადაც უნდა გაისმოდეს მასში თანამედროვე საკითხები, თუ მასში პოეზია არ არის,—მასში არ შეიძლება იყოს არც მშვენიერი აზრები და არც არაფეთარი საკითხი, და მასში შეიძლება შეამჩნიოთ მხოლოდ ჩინებული განზრახვა, ისიც ცუდად შესრულებული. როცა რომანში ან მოთხრობაში არ არის სახეები და პირები, არ არის ხასიათები, არ არის არაფერი ტიპაჟური.—რა სწორად და ბეჯითადაც უნდა იყოს გადმოხატული ნატურიდან ყოველივე, რაც მასში მოთხრობილია, მკითხველი იქ ვერავითარ ნატურალობას ვერ ნახავს, სწორად შენიშნულს, მარჯვედ მიგნებულს ვერაფერს შეამჩნევს. მის თვალში პირები ერთმანეთში აირევიან; თხრობაში იგი გაუგებარ შემთხვევათა ზღარბს დაინახავს. შეუძლებელია დაუსჯელად დაარღვიო ხელოვნების კანონები. ნატურიდან სწორად რომ ვადმოილო, არ კმარა წერის ცოდნა, ე. ი. ვადამწერის ხელობის ცოდნა; უნდა შეგეძლოს გაატარო სინამდვილის მოვლენები საკუთარ ფანტაზიაში, შთაბერო მათ ახალი სიცოცხლე. კარგად და სწორად ვადმოცემული საგამომძიებლო საქმე; რომელსაც რომანიული ინტერესი გააჩნია, რომანი არ არის და მხოლოდ რომანის მასალად თუ გამოდგება, ე. ი. პოეტს რომანის დაწერის საბაბს თუ მისცემს. მაგრამ ამისათვის პოეტი გონებით უნდა ჩასწვდეს საქმის შინაგან არსს, გამოიცნოს ფარული სულიერი მიზეზები, რომლებმაც ეს პირები აიძულეს ასე ემოქმედნათ, ხელი ჩასჭიდოს ამ საქმის იმ წერტილს, რომელიც ამ მოვლენათა წრის ცენტრს წარმოადგენს და მათ რაღაც ერთიანის, სრულის, მთლიანის, დასრუ-

ლებულის აზრს აძლევს. ეს კი მხოლოდ პოეტს შეუძლია. თითქოს რა უნდა იყოს იმაზე ადვილი, რომ სწორად გადმოხატო ადამიანის პორტრეტი. ზოგი ვინმე კი მთელი საუკუნე ვარჯიშობს ამგვარ ფერწერაში და მაინც ისე ვერ გადმოუხატავს თავისი ნაცნობი სახე, რომ სხვებმაც გაიგონ, ვისი პორტრეტია ეს. პორტრეტის სწორად გადმოხატვის უნარი უკვე თავისებური ნიჭია, მაგრამ ამით ყველაფერი როდი მთავრდება. ჩვეულებრივმა მხატვარმა დიდი მსგავსებით გააკეთა თქვენი ნაცნობის პორტრეტი; მსგავსებაში იოტისოდენი ეჭვაც არ შეგაქვთ იმ მხრივ, რომ არ შეგიძლიათ მისივე არ მიხვდეთ, თუ ვისი პორტრეტია ეს, მაგრამ პორტრეტით მაინც როგორღაც უკმაყოფილო ხართ, გგონიათ, თითქოს ის კიდევ ჰგავს თავის ორიგინალს და არცა ჰგავს. მაგრამ აბა მისივე პორტრეტი დახატოს ტირანოვმა ან ბრიულოვმა—და თქვენ მოგეჩვენებათ, რომ სარკე სულაც ვერ გადმოსცემს ისე სწორად თქვენი ნაცნობის სახეს, როგორც ეს პორტრეტი, იმიტომ რომ ეს უკვე არა მარტო პორტრეტი იქნება, არამედ მხატვრული ნაწარმოებიც, რომელშიც მიგნებულა ორიგინალის არა მარტო გარეგანი მსგავსება, არამედ მთელი მისი სულიც. ამრიგად, სინამდვილიდან სწორად გადმოღება მხოლოდ ტალანტს შეუძლია, და რაოდენ უმნიშვნელოც უნდა იყოს ნაწარმოები სხვა მხრივ, რაც უფრო მეტად გვაოცებს იგი იმით. რომ სწორად შესაბამება ნატურას, მით უფრო უეჭველია მისი ავტორის ტალანტი. ყველაფერი ნატურისადმი სწორი შესაბამისობით რომ არ უნდა მთავრდებოდეს, განსაკუთრებით პოეზიაში,—ეს სხვა საკითხია. ფერწერაში, ამ ხელოვნების თვალსაზრისით და არსის გამო, მარტოდენ ნატურიდან სწორი გადმოღების უნარი შეიძლება ხშირად უჩვეულო ტალანტის ნიშანი იყოს. პოეზიაში ეს მთლად ასე არ არის: თუ ნატურიდან სწორად გადმოღების უნარი არა გაქვს, არ შეიძლება პოეტი იყო, მაგრამ მარტოდენ ეს უნარიც არ კმარა იმისათვის, რომ პოეტი იყო, ყოველ შემთხვევაში, შესანიშნავი პოეტი. ჩვეულებრივად ამბობენ, რომ საზარელი ამბების (მაგალითად მკვლელობის, სიკვდი-

ლით დასჯისა და სხვ.) ნატურიდან სწორად გადმოღება, თუ მას აზრი და მხატვრულობა არ ახლავს, ზიზღს იწვევს და არა სიამოვნებას. ეს უსამართლობაზე მეტია, ეს სიიცრუეა. მკვლევლობის ან სიკვდილით დასჯის სანახაობა ისეთი ამბავია, რომელიც თავისთავად სიამოვნებას ვერ მოგანიჭებთ, და დიდი პოეტის ნაწარმოებში მკითხველი სტკბება არა მკვლევლობით, არა სიკვდილით დასჯით, არამედ იმ ოსტატობით, რომლითაც პოეტს ერთი ან მეორე გამოუხატავს, მაშასადამე, ეს ესთეტიკური სიამოვნებაა და არა უნებლიე შეძრწუნებასა და ზიზღთან შერეული ფსიქოლოგიური სიამოვნება, მაშინ როდესაც დიდი გმირობის ან ბედნიერი სიყვარულის სურათი უფრო რთულ და ამიტომ უფრო სარულ, იმდენადვე ესთეტიკურ, რამდენადაც ფსიქოლოგიურ სიამოვნებას იწვევს. მაგრამ უნიკო ადამიანი ვერასოდეს სწორად ვერ გამოხატავს მკვლევლობას ან სიკვდილით დასჯას, თუნდაც მას ათასჯერ ჰქონოდა შესაძლებლობა სინამდვილეში შეესწავლა ეს საგანი; მას მხოლოდ ის შეუძლია, რომ ცოტად თუ ბევრად სწორად ასწეროს ეს საგანი, მაგრამ ვერასოდეს ვერ წარმოგვიდგენს მის სწორ სურათს. მისმა აღწერამ შეიძლება დიდი ცნობისმოყვარეობა აღძრას, მაგრამ სიამოვნებას ვერ გამოიწვევს. ხოლო თუ მას ნიჭი არა აქვს და მაინც ხელი მოჰკიდა ასეთი მოვლენის დახატვას, ეს სურათი მუდამ მხოლოდ ზიზღს გამოიწვევს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ნატურიდან სწორად გადმოღებულია, არამედ საწინააღმდეგო მიზეზით, იმიტომ რომ მელოდრამა დრამატული სურათი არ არის, თეატრალური ეფექტი გრძნობის გამოხატულება არ არის.

ჩვენ სავსებით ვალიარებთ, რომ ხელოვნება უწინარეს ყოვლისა ხელოვნება უნდა იყოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ აზრი რაღაც წმინდა, განყენებულ ხელოვნებაზე, რომელიც თავის საკუთარ სფეროში ცოცხლობს და ცხოვრების სხვა მხარეებთან საერთო არაფერი აქვს, განყენებული, მეოცნებე აზრია. ასეთი ხელოვნება არასდროს და არსად არ ყოფილა. სრულიად უეჭველია, რომ ცხოვრება მრავალ მხარედ იყოფა, რომლებსაც თავისი დამოუკიდებლობა

აქვთ; მაგრამ ეს მხარეები ერთიმეორეს ცოცხლად შეერწყმიან და მათ შორის მკვეთრად გამყოფი ხაზი არ არსებობს. რაც უნდა დააქუცმაცოთ ცხოვრება, იგი ყოველთვის ერთიანი და მთლიანია. ამბობენ: მეცნიერებისათვის საჭიროა ჭკუა და გონება, შემოქმედებისათვის—ფანტაზიაო, და ფიქრობენ, რომ ამით საქმე სავსებით გადასწყვიტეს, ასე რომ შეიძლება იგი არქივს ჩაბარდეს. და განა ხელოვნებისათვის საჭირო არ არის ჭკუა-გონება? და განა მეცნიერს შეუძლია უფანტაზიოდ იმუშაოს? ტყუილია! ქვეშარიტება ის არის, რომ ხელოვნებაში ყველაზე ქმედით და უპირველეს როლს ფანტაზია ასრულებს, მეცნიერებაში კი—ჭკუა და გონება. რა თქმა უნდა, არიან პოეზიის ისეთი ნაწარმოებნი, რომლებშიც არაფერი ჩანს, გარდა ძლიერი ბრწყინვალე ფანტაზიისა; მაგრამ ეს სულაც არ არის საერთო წესი მხატვრულ ნაწარმოებთათვის. შექსპირის ქმნილებებში არ იცი რა უფრო გაკვირვებს—შემოქმედებითი ფანტაზიის სიმდიდრე თუ ყოვლმომცველი გონების სიმდიდრე. არის მეცნიერების სახეები, რომლებიც არათუ არ მოითხოვენ ფანტაზიას, არამედ ამ დარგებში ეს უნარი მხოლოდ ზიანს მოიტანდა; მაგრამ ამის თქმა არასგზით არ შეიძლება საერთოდ მეცნიერებაზე. ხელოვნება არის სინამდვილის ასახვა, განმეორებულთ; თითქოს ხელახლა შექმნილი სამყარო: განა შეიძლება იგი რაღაც განმარტოებულ, მისთვის უცხო ყველა გავლენისაგან იზოლირებულ მოქმედებას წარმოადგენდეს? განა შეიძლება პოეტი არ აისახოს თავის ნაწარმოებში, როგორც ადამიანი, როგორც ხასიათი, როგორც ნატურა, — ერთი სიტყვით, როგორც პიროვნება? ჩასაკვირველია, არა, იმიტომ რომ თვით უნარიც სინამდვილის მოვლენათა საკუთარ თავთან ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე გამოხატვისა ისევ და ისევ პოეტის ნატურის გამოხატულებაა. მაგრამ ამ უნარსაც თავისი საზღვრები აქვს. შექსპირის პიროვნება გამოსჭვივის მის ქმნილებებში, თუმცა კი გეჩვენებთ, რომ იგი ისევე გულგრილია მის მიერ გამოხატული სამყაროსადმი, როგორც ბედი, რომელიც მის გმირებს იხსნის თუ ლუპავს. ვალტერ-

სკოტის რომანებში შეუძლებელია ავტორში არ დაინახოთ ადამიანი, რომელიც ტალანტით უფრო შესანიშნავია, ვიდრე ცხოვრების შეგნებული ფართო გაგებით, შეუძლებელია არ დაინახოთ ტორი, კონსერვატორი და რწმენითა და ჩვევებით არისტოკრატი. პოეტის პიროვნება არ არის რაღაც უცილობელი, განცალკევებულად მდგომი, ყოველნაირი გარეგანი გავლენის გარეშე მყოფი რამ. პოეტი უწინარეს ყოვლისა ადამიანია, შემდეგ—თავისი ქვეყნის მოქალაქე, თავისი დროების შვილი. ხალხისა და დროების სულისკვეთება არ შეიძლება მასზე ნაკლებად მოქმედებდეს, ვიდრე სხვებზე. შექსპირი პოეტი იყო ძველი მხიარული ინგლისისა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ერთბაშად მკაცრ, სასტიკ და ფანტიკურ ქვეყნად იქცა. პურიტანულმა მოძრაობამ ძლიერი გავლენა მოახდინა მის უკანასკნელ ნაწარმოებებზე და მათ საშინელი სევდის დაღი დაასვა. აქედან ჩანს, იგი რომ ორიოდე ათეული წლით გვიან დაბადებულიყო,—მისი გენია იგივე დარჩებოდა, მაგრამ მის ნაწარმოებთა ხასიათი სხვა იქნებოდა. მილტონის პოეზია აშკარად მისი ეპოქის ნაწარმოებია: თვითონ ექვიც კი არ ეპარებოდა ისე, მან თავისი ამაყი და პირკუშტი სატანის სახით დახატა ავტორიტეტის წინააღმდეგ აჯანყების აპოთეოზი, თუმცა სულ სხვა რამის გაკეთებას კი ფიქრობდა. ასე ძლიერად მოქმედებს პოეზიაზე საზოგადოებათა ისტორიული მოძრაობა. აი რატომ არის, რომ ახლა მარტოოდენ ესთეტიკურმა კრიტიკამ, რომელსაც სურს საქმე ჰქონდეს მხოლოდ პოეტთან და მის ნაწარმოებთან და რომელიც ყურადღებას არ აქცევს იმ ადგილსა და დროს, სადაც და როდესაც პოეტი სწერდა, იმ გარემოებებს, რამაც იგი პოეტური სარბიელისათვის მოამზადა და მის პოეტურ მოღვაწეობაზე გავლენა იქონია,—ამ კრიტიკამ ახლა ყოველგვარი კრედიტი დაჰკარგა და შეუძლებელი გახდა. ამბობენ: პარტიათა სულისკვეთება, სექტანტიზმი ტალანტს ზიანს აყენებს, მას ნაწარმოებებს აფუჭებსო. სიმართლეა! და სწორედ ამიტომ პოეტი უნდა იყოს ორგანო არა ამა თუ იმ პარტიის ან სექტისა, რომელიც, შესაძლოა, განწირულია ეფემერული

არსებობისათვის, განწირულია უკვალოდ გასაქრობად, არამედ მთელი საზოგადოების იღუმალი ფიქრისა, მისი მისწრაფებისა, რომელიც შეიძლება ჯერჯერობით თვითონ მისთვისაც ნათელი არ იყოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოეტი უნდა გამოხატავდეს არა კერძოსა და შემთხვევითს, არამედ საერთოსა და აუცილებელს, რომელიც კოლორიტსა და აზრს აძლევს მთელ მის ეპოქას. როგორ განპყვრეტს იგი ერთმანეთის საწინააღმდეგო შეხედულებათა და მისწრაფებათა ამ ქაოსში, თუ ნამდვილად რომელი მათგანი გამოხატავს მისი ეპოქის სულისკვეთებას? ამ შემთხვევაში ერთადერთი უტყუარი მაჩვენებელი ყველაზე მეტად შეიძლება იყოს მისი ინსტინქტი, ბუნდოვანი, შეუცნობელი გრძნობა, რომელიც ხშირად გენიალური ადამიანის მთელ ძალას შეადგენს: თითქოსდა ალაღბებდნენ მიდის, წინააღმდეგ საერთო აზრისა, წინააღმდეგ ყველა მიღებული წარმოდგენისა და საღი აზრისა, ხოლო, ამავე დროს, პირდაპირ იქით მიდის, საითაც უნდა მიდიოდეს,— და მალე ისინიც კი, ვინც სხვებზე ხმამაღლა გააკიოდა მის წინააღმდეგ, ნებსით თუ უნებლოდ, მაგრამ მაინც მას მიჰყვებიან და უკვე ველარ წარმოდგენიან, როგორ შეიძლებოდა ამ გზით არ ევლოთ. აი რატომ არის, რომ ზოგიერთი პოეტი მძლავრად მოქმედებს და მთელ ლიტერატურას ახალ მიმართულებას აძლევს მხოლოდ მანამდე, სანამ უბრალოდ, ინსტინქტურად, შეუგნებლად მიჰყვება თავისი ნიჭის შთაგონებას; ხოლო როგორც კი მსჯელობას დაიწყებს და ფილოსოფიას გამოუდგება,—დახე, კიდევ წაბოროტია, და მერე როგორ!.. და უცბად დაუძღურდება გოლიათი, როგორც სამსონი, რომელსაც თმა შეაკვეცეს, და იგი, ვინც ყველაზე წინ მიდიოდა, ახლა უკანა ჩამორჩენილ რიგებში მიჩანჩალებს, თავის წინანდელ მოწინააღმდეგეთა, ამჟამად კი ახალ მოკავშირეთა შორის, და მათთან ერთად ილაშქრებს საკუთარი საქმის წინააღმდეგ, მაგრამ გვიანდაა: ეს საქმე მისი ნებით არ გაკეთებულა და არც მისი ნებით დაიღუპება, იგი თვით მასზე მალა დგას და საზოგადოებას მეტად ესაჭიროება, ვიდრე თვითონ ის ახლა... გულსატკენი, საცოდავი და სასაციო

ლო სანახავია ნიჭიერი პოეტი, რომელმაც მოისურვა ცუდი რეზონიორი გამხდარიყო²⁰.

ჩვენს დროში ხელოვნება და ლიტერატურა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, საზოგადოებრივი საკითხების გაზიარებულად იქცა, იმიტომ რომ ჩვენს დროში ეს საკითხები უფრო საერთო, ყველასთვის უფრო ხელმისაწვდომი, უფრო ნათელი გახდა, ყველასთვის პირველხარისხოვანი ინტერესის საგნად იქცა, ყველა სხვა საკითხის სათავეში მოექცა. რასაკვირველია, ამას არ შეიძლებოდა ხელოვნების საერთო მიმართულება მისდა საზიანოდ არ შეეცვალა. მაგალითად, უაღრესად გენიალური პოეტები, საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრით გატაცებულნი, ახლა ხანდახან საზოგადოების გაკვირვებას იწვევენ თხზულებებით, რომელთა მხატვრული ღირსება ოდნავაც არ შეესაბამება მათ ნიჭს, ანდა, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ კერძო მომენტებში მელანდობა, მთელი ნაწარმოები კი სუსტი, გაჭიანურებული, მოღუნებული და მოსაწყენია. გაიხსენეთ ჟორჟ სანდის რომანები: „Le Meunier d'Angibault“, „Le péché de monsieur Antonine“, „Isidore“²¹. მაგრამ აქ უბედურება მოხდა, კაცმა რომ სთქვას, არა თანამედროვე საზოგადოებრივი საკითხების გავლენით, არამედ იმიტომ, რომ ავტორს უნდოდა არსებული სინამდვილე უტოპიით შეეცვალა და ამის გამო ხელოვნება აიძულა გამოეხატა სამყარო, რომელიც მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობდა. ამრიგად, შესაძლებელი ხასიათების ნაცვლად, ყველასთვის ნაცნობი პირების ნაცვლად მან გამოიყვანა ფანტასტიკური ხასიათები, არარსებული პირები, და მისი რომანი ზღაპარში აირია, ნატურალური არაბუნებრივმა დაჩრდილა, პოეზიამ რიტორიკაში აირია. მაგრამ ეს კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ხელოვნების დაცემაზე ვგოდედეთ: იმავე ჟორჟ სანდმა „Le Meunier d'Angibault“-ის შემდეგ დასწერა „ტევკირინო“, ხოლო „იზიდორას“ შემდეგ — „Le Péché de monsieur Antoine“ — „ლუკრეცია ფლორია-ნი“. თანამედროვე საზოგადოებრივი საკითხების გავლენის

შედგად ხელოვნების გაფუჭება უმაღლესი იქნდა თავს დაბალი ხარისხის ტალანტებში, მაგრამ აქაც იგი თავს იჩენს მხოლოდ იმით, რომ უნარი არა აქვთ ერთმანეთისაგან განასხვავონ არსებული და არარსებული, შესაძლებელი და შეუძლებელი, და კიდევ უფრო მეტად — მელოდრამისადმი, ნაძალადევი ეფექტებისადმი მისწრაფებით. რა არის განსაკუთრებით კარგი ევგენი სიუს რომანებში? — თანამედროვე საზოგადოების მართალი სურათები, რომლებშიც ყველაზე მეტად ჩანს თანამედროვე საკითხების გავლენა. ხოლო რა შეადგენს მათს სუსტ მხარეს, რა აფუჭებს მათ იმდენად, რომ მათი წაკითხვის ყოველგვარ ხალისს გიკარგავთ? — გაზვიადება, მელოდრამა, ეფექტები, პრინცი როდოლფის²² მსგავსი მოგონილი ხასიათები, ერთი სიტყვით, ყოველივე ყალბი, არაბუნებრივი, არანატურალური, ხოლო ყოველივე ეს გამოძლინარეობა სულაც არა თანამედროვე საკითხების გავლენისაგან, არამედ იმის შედეგია, რომ პოეტს აკლია ნიჭი, რომელიც ჰყოფნის მხოლოდ წერილმანებისათვის და არასოდეს — მთელი ნაწარმოებისათვის. მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია მივიუთითოთ დიკენსის რომანებზე, რომლებიც ასე ღრმად არის გამსჭვალული ჩვენი დროის გულწრფელი სიმპათიებით და რომელთაც ეს ოდნავაც არ უშლის ხელს ჩინებული მხატვრული ნაწარმოებნი იყვნენ.

ჩვენ ვთქვით, რომ წმინდა, განყენებული, უთუო, ანუ, როგორც ფილოსოფოსები იტყვიან, აბსოლუტური ხელოვნება არასდროს და არსად არ ყოფილა. თუ ამას მსგავსი რამ შეიძლება დაეუშვათ, ეს მართო იმ ეპოქების მხატვრული ნაწარმოებებია, როცა ხელოვნება მთავარ ინტერესს წარმოადგენდა საზოგადოების მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე განათლებული ნაწილისათვის. ასეთია, მაგალითად, ლიტალიური სკოლები — ფერწერის ნაწარმოებნი XVI საუკუნეში. მათი შინაარსი, როგორც ჩანს, უმთავრესად რელიგიურია; მაგრამ მეტწილად ეს მირაჟია, სინამდვილეში კი ამ ფერწერის საგანია შშვენიერება როგორც შშვენიერება, ამ სიტყვის უფრო აბსტრაქტული ან კლასიკური ვიდრე რომანტიკული აზრით.

აეილოთ, მაგალითად, რაფაელის მადონა, XVI საუკუნის იტალიური ფერწერის ეს chief d'oeuvre. ვის არ ახსოვს უუკოვსკის სტატია ამ მომხიბლველ ნაწარმოებზე, ვის არ შეუმუშავებია ახალგაზრდობის წლებიდანვე შეხედულება მასზე ამ სტატიის მიხედვით? მაშასადამე, ვინ არ იყო დარწმუნებული, როგორც უეჭველ ჭეშმარიტებაში, რომ ეს ნაწარმოები უმთავრესად რომანტიკულია, რომ მადონას სახე უმაღლესი იდეალია იმ არაამქვეყნიური მშვენიერებისა, რომლის იდუმალება მხოლოდ შინაგან ჭკრეტას გადაეშლება და ისიც წმინდა ალტაცებული ზეშთაგონების იშვიათ წამებში?.. წინამდებარე სტატიის ავტორმა ცოტა ხნის წინათ ნახა ეს სურათი. რადგან ფერწერის მკოდნე არ არის, იგი თავს ნებას არ მისცემდა ელაპარაკნა ამ გასაოცარ სურათზე იმ მიზნით, რომ განესაზღვრა მისი მნიშვნელობა და მისი ღირსების ხარისხი; მაგრამ რადგან საქმე შეეხება მხოლოდ ავტორის პირად შთაბეჭდილებას და სურათის რომანტიკულ თუ არა-რომანტიკულ ხასიათს, იგი ფიქრობს, რომ შეუძლია თავს ამ საკითხზე რამდენიმე სიტყვის თქმის ნება მისცეს. უკვე დიდი ხანია, შესაძლოა, ათ წელზე მეტიც იყოს, რაც მას უუკოვსკის სტატია არ წაუკითხავს, მაგრამ რადგან მანამდე ეს სტატია ახალგაზრდის მთელი მგზნებარე გატაცებითა და მთელი რწმენით წაიკითხა, მრავალჯერ გადაიკითხა და თითქმის ზეპირად იცოდა,—ამიტომ განთქმულ სურათთანაც უკვე ცნობილი შთაბეჭდილების მოლოდინით მივიდა. დიდხანს უცქეროდა ამ სურათს, შემდეგ სტოვებდა, სხვა სურათებზე გადადიოდა და კვლავ მას უბრუნდებოდა. თუმცა იგი ფერწერაში ნაკლებად ერკვევა, მაგრამ მისი პირველი შთაბეჭდილება პირდაპირ და გარკვეულად ერთი იყო: მან მყისვე იგრძნო, რომ ამ სურათის შემდეგ ძნელია სხვა სურათის ღირსების გაგება და მით დაინტერესება. იგი ორგზის იყო ღრეზდენის გალერეაში და ორივეჯერ მხოლოდ ეს სურათი ნახა, მაშინაც კი, როდესაც სხვებს უყურებდა და როდესაც არაფერს არ უცქეროდა. და ახლაც, როდესაც ეს სურათი მოაგონდება, იგი თითქმის თვალწინ წარმოუდგება და მეხსი-

ერება თითქმის სინამდვილის ადგილს იკერს. მაგრამ რაც უფრო მეტხანს და გულისყურით აკვირდებოდა ამ სურათს, რაც უფრო მეტს ფიქრობდა მაშინ და შემდეგ, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ რაფაელის მადონა და ეუკოვსკის მიერ რაფაელის მადონას სახელით აღწერილი მადონა ორი სულ სხვადასხვა სურათია, რომელთაც ერთმანეთთან რაიმე საერთო, რაიმე მსგავსება არა აქვთ. რაფაელის მადონა ნამდვილი კლასიკური ფიგურაა და სულაც არა რომანტიკული. მისი სახე გამოხატავს იმ მშვენიერებას, რომელიც დამოუკიდებლად არსებობს, იგი თავისი სახის მშვენიერებას არ სესხულობს რაიმე ზნეობრივი გამომეტყველებისაგან. პირიქით, ამ სახეზე არაფრის ამოკითხვა არ შეიძლება. მადონას სახე, ისე როგორც მთელი მისი ფიგურა, გამოუთქმელი კეთილშობილებითა და ღირსებით აღსავსეა. ეს არის მეფის ასული, რომელიც გამსჭვალულია როგორც თავისი მაღალი წოდების, ისე თავისი პირადი ღირსების შეგნებით. მის გამომხედვაში არის რაღაც სასტიკი, თავდაპირილი, არ არის წყალობა და სიბრაღული, მაგრამ არც სიამაყე და ზიზღია, არამედ ყველა ამის ნაცვლად ვამჩნევთ რაღაც ისეთ შეწყნარებას, რომელსაც თავისი სიდიადე არ ავიწყდება. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას — არის — *idéal sublime du comme il faut* ²². მაგრამ აქ უჩინარის, იღუმალის, ბუნდოვანის, მოციმციმის, ერთი სიტყვით, რომანტიკულის ნატამალიც კი არ არის; პირიქით, ყველაფერი უაღრესად მკაფიოდ, ნათლად გამოკვეთილი და დასრულებულია, უაღრესად მკაცრი სისწორით და სიმართლით მოხაზულია და თანაც ყალმის ესოდენი კეთილშობილება და სინატიფე ჩანს! რელიგიური ჰერეტა ამ სურათში გამოხატულია მხოლოდ ღვთაებრივი ჩვილის სახეზე, მაგრამ ეს არის ჰერეტა, რომელიც მარტოოდენ იმდროინდელ კათოლიციზმს ახასიათებს. ჩვილის მდგომარეობაში, წინ მდგომი ადამიანებისაკენ (ვგულისხმობ სურათის მაცურებლებს) გაწვდილ ხელებში, მის გაფართოებულ თვალის გუგებში ჩანს წყრომა და მუქარა, ხოლო ოდნავ აწეულ ქვედა ბაგეზე — ამაყი ზიზ-

ლი. ეს არის არა მიტევებისა და მოწყალების ღმერთი, არა ქვეყნის შეცოდებათა გამომსყიდველი კრავი, — ესაა ღმერთი განმსჯელი და დამსჯელი... აქედან ჩანს, რომ ჩვილის ფიგურაშიც რომანტიკული არაფერია; პირიქით, მისი გამომეტყველება ისე სადა და გარკვეულია, ისე შესამჩნევია, რომ მყისვე ნათლად ხედები, თუ რას ხედავ. რაიმე რომანტიკულს მხოლოდ იმ ანგელოსების სახეებში თუ ვიპოვნით, რომლებიც გონიერების უჩვეულო გამომეტყველებით განირჩევიან და ღვთაების გამოცხადებას ჩაფიქრებულნი სკვრეტენ³¹.

ყველაზე ბუნებრივი ის იქნება, რომ ეგრეთწოდებული ხელოვნება ბერძნებში ვეძიოთ. მართლაცდა, მშვენიერება, რომელიც ხელოვნების არსებითი ელემენტია, ამ ხალხის ცხოვრების თითქმის გაბატონებული ელემენტი იყო. ამიტომაც მისი ხელოვნება ყველა სხვა ხელოვნებაზე მეტად უახლოვდება ეგრეთწოდებული წმინდა ხელოვნების იდეალს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ხელოვნებაში მშვენიერება ყოველგვარი შინაარსის არსებითი ფორმა უფრო იყო, ვიდრე თვით შინაარსი. შინაარსს კი მას აძლევდა რელიგიაც და სმოქალაქო ცხოვრებაც, მაგრამ აძლევდა ყოველთვის მხოლოდ მშვენიერების აშკარა უპირატესობის პირობებში. მაშასადამე, თვით ბერძნული ხელოვნებაც მხოლოდ სხვებზე უფრო ახლოა აბსოლუტური ხელოვნების იდეალთან, მაგრამ არ შეიძლება მას აბსოლუტური, ე. ი. ნაციონალური ცხოვრების სხვა ძხარეებისაგან დამოუკიდებელი ვუწოდოთ. ჩვეულებრივ მიუთითებენ შექსპირზე და განსაკუთრებით გოეთეზე, როგორც თავისუფალი წმინდა ხელოვნების წარმომადგენლებზე; მაგრამ ეს ერთ-ერთი ყველაზე უმართებულო მითითებაა. შექსპირი რომ უდიდესი შემოქმედებითი გენია და უპირატესად პოეტია, ეს სრულიად უეჭველია; მაგრამ იგი ცუდად გაუგიათ. იმ ადამიანებს, ვინც მისი პოეზიის იქით ვერ ხედავს მდიდარ შინაარსს, გაკვეთილთა და ფაქტორთა დაუშრეტელ წყაროს ფსიქოლოგის, ფილოსოფოსის, ისტორიკოსის, სახელმწიფო მოღვაწისა და სხვებისათვის. შექსპირი ყველაფერს გადმოსცემს პოეზიით, მაგრამ მის მიერ გადმოცემული შორ-

საა იმისაგან, რომ მარტოდენ პოეზიას ეკუთვნოდეს. საზოგადოდ ახალი ხელოვნების დამახასიათებელია შინაარსის მნიშვნელობის უპირატესობა ფორმის მნიშვნელობაზე, მაშინ როდესაც ძველი ხელოვნების დამახასიათებელია შინაარსისა და ფორმის წონასწორობა. გოეთეზე მითითება კიდევ უფრო უმართებულოა, ვიდრე შექსპირზე მითითება. ამას ორი მაგალითით დავამტკიცებთ. შარშანდელ „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა თარგმანი გოეთეს რომანისა „Wahlverwandschaften“, რომლის განსამარტებლად ზოგჯერ რუსეთშიც დაბეჭდილა წერილები; გერმანიაში კი ეს რომანი ძალიან დიდი პატივით სარგებლობს, მის შესახებ იქ სტატიების გორები და მთელი წიგნებია დაწერილი. არ ვიცით, რამდენად მოეწონა ის რუსეთის საზოგადოებას და საერთოდ მოეწონა თუ არა: ჩვენი საქმე იყო გაგვეცნო ამ საზოგადოებისათვის დიდი პოეტის შესანიშნავი ნაწარმოები. ჩვენ იმასაც კი ვფიქრობთ, რომ ამ რომანმა უფრო გააკვირვა ჩვენი საზოგადოება, ვიდრე მისი მოწონება დაიმსახურა. მართლაც, აქ ბევრი რამ არის საკვირველი! ქალიშვილი მამულის მართვა-გამგეობის ანგარიშების გადაწერას ახდენს; რომანის გმირი-მამაკაცი შენიშნავს, რომ ქალიშვილის მიერ გადაწერილ პირში ამ უკანასკნელის ხელწერა სულ უფრო და უფრო მეტად ემსგავსება მის ხელწერას. „გიყვარვარ!“ — წამოიძახებს მამაკაცი და ქალიშვილს გადაეხვევა. ვიმეორებთ: ასეთი რამ არა მარტო ჩვენს, არამედ ყოველ სხვა საზოგადოებასაც არ შეიძლება უცნაური არ ეჩვენოს. მაგრამ გერმანელებისათვის ეს სრულებითაც არ არის უცნაური, იმიტომ რომ ეს — გერმანული ცხოვრების სწორად მიგნებულ ნიშანია. ასეთი ნიშნები ამ რომანში საკმაოდ ბევრი მოიპოვება; ბევრი მთელ რომანსაც თითქმის მხოლოდ ასეთ ნიშნად ჩასთვლის... ვანა ეს იმას არ ნიშნავს, რომ გოეთეს რომანი გერმანული საზოგადოებრიობის იმდენად ძლიერი გავლენითაა დაწერილი, რომ გერმანიის გარეთ იგი რაღაც უცნაურ უჩვეულობად გეჩვენებათ? მაგრამ გოეთეს „ფაუსტი“, რა თქმა უნდა, ყველგან დიადი ქმნილებაა. მასზე მითითება განსაკუთრებით უყვართ, რო-

გორც წმინდა ხელოვნების ნიმუშზე, რომელიც არაფერს არ ემორჩილება, გარდა საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კანონებისა. და მაინც — არა წმინდა ხელოვნების პატივცემულ რაინდთა გასამტყუნებლად — ვიტყვით, რომ „ფაუსტი“ მისი თანამედროვე გერმანული საზოგადოების მთელი ცხოვრების სრული გამოხატულებაა. მასში გამოიხატა გასული საუკუნის დამლევისა და ამ საუკუნის დასაწყისის²⁰ გერმანიის მთელი ფილოსოფიური მოძრაობა. ტყუილად როდი იყო, რომ ჰეგელის სკოლის მიმდევრებს თავიანთ ლექციებსა და ფილოსოფიურ ტრაქტატებში განუწყვეტლივ მოჰყავდათ ციტატებად „ფაუსტის“ ლექსები. ტყუილად როდი იყო ისიც, რომ „ფაუსტის“ მეორე ნაწილში გოეთე განუწყვეტლივ მიმართავდა ალეგორიას, რომელიც ხშირად იდეის განყენებულობის გამო ბუნდოვანი და გაუგებარია. სადღაა აქ წმინდა ხელოვნება?

ჩვენ ვნახეთ, რომ ბერძნული ხელოვნებაც მხოლოდ ყველა სხვა ხელოვნებაზე მეტად უახლოვდება ეგრეთწოდებულ წმინდა ხელოვნების იდეალს, მაგრამ სავსებით როდი ახორციელებს მას; რაც შეეხება უახლეს ხელოვნებას, იგი ყოველთვის შორს იყო ამ იდეალისაგან, ხოლო ამჟამად კიდევ უფრო დაშორდა მას; მაგრამ სწორედ ეს შეადგენს კიდევ მის ძალას. საკუთრივ მხატვრულ ინტერესს არ შეეძლო ადგილი არ დაეთმო კაცობრიობისათვის უფრო მნიშვნელოვანი სხვა ინტერესებისათვის და ხელოვნება კეთილშობილურად შეუდგა ამ ინტერესების სამსახურს, როგორც მათი გამომხატველი. მაგრამ ამით ოდნავაც არ შეცვლილა და კვლავ ხელოვნებად დარჩა, მხოლოდ ახალი ხასიათი მიიღო. ხელოვნებისათვის საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სამსახურის უფლების წართმევა ნიშნავს არა მის ამალლებას, არამედ მის დამცირებას, იმიტომ რომ ეს ნიშნავს წაართვა მას ყველაზე ცხოველი ძალა, ე. ი. აზრი, აქციო ის რაღაც სიბარიტული სიამოვნების საგნად, უსაქმო მცონართა სათამაშოდ. ეს ნიშნავს ჩაჰკლა კიდევაც ის, რის დამამტკიცებელ საბუთად გამოდგება ჩვენი დროის ფერწერის სავალალო მდგომარეობა.

ეს ხელოვნება თითქოს ვერ ამჩნევს მის გარშემო აბობოქრებულ ცხოვრებას, ყოველივე ცოცხალზე, თანამედროვეზე, ნამდვილზე თვალს ხუჭავს და ზეშთაგონებას ეძებს დრომოქმულ წარსულში, იქიდან იღებს მზამზარეულ იდეალებს, რომლებზეც აღამიანებმა უკვე დიდი ხანია გული აიცრუეს, რომლებიც უკვე აღარავის აინტერესებს, არავის ათბობს, არავის ცხოველ თანაგრძნობას არ იწვევს.

პლატონი მეცნიერების დამცირებად, პროფანაციად სთვლიდა გეომეტრიის გამოყენებას ხელოსნობაში. ეს გასაგებია ასეთ აღტაცებულ იდეალისტსა და რომანტიკოსში, იმ პატარა რესპუბლიკის მოქალაქეში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება ასე მარტივი და არართული იყო; მაგრამ ჩვენს დროში ამას მიმზიდველი შეუსაბამობის ორიგინალობაც კი არ გააჩნია. ამბობენ, დიკენსმა თავისი რომანებით დიდად შეუწყო ხელი ინგლისში იმ სასწავლებლების გაუმჯობესებას, რომლებშიც ყველაფერი შეუბრალებელ გაწყველვას და ბავშვებისადმი ბარბაროსულ მოპყრობას ეყრდნობოდაო. გეკითხებით, რა არის იმაში ცუდი, თუ დიკენსი ამ შემთხვევაში მოქმედებდა როგორც პოეტი? განა ამის გამო მისი რომანები ესთეტიკური მხრით უარესია? აქ აშკარა გაუგებრობაა: ხედავენ, რომ ხელოვნება და მეცნიერება ერთი და იგივე არ არის, მაგრამ ვერ ხედავენ, რომ ისინი განსხვავდებიან სრულებითაც არა შინაარსით, არამედ მხოლოდ მოცემული შინაარსის დამუშავების ხერხით. ფილოსოფოსი სილოგიზმებით მეტყველებს, პოეტი — სახეებითა და სურათებით, ხოლო ორივენი ერთსა და იმავეზე ლაპარაკობენ. პოლიტიკო-ეკონომი, სტატისტიკური ციფრებით შეიარაღებული, თავის მკითხველთა თუ მსმენელთა გონებაზე მოქმედებს და ამტკიცებს, რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში ბევრად გაუმჯობესდა ან ბევრად გაუარესდა ამა და ამ მიზეზთა შედეგად. პოეტი, სინამდვილის ცხოველი და მკაფიო გამოხატულებით შეიარაღებული, თავისი მკითხველების ფანტაზიაზე მოქმედებს და სწორი სურათით აჩვენებს, რომ ამა და ამ კლასის მდგომარეობა საზოგადოებაში მართლაც

ბევრად გაუმჯობესდა ან გაუარესდა ამა და ამ მიზეზთა შედეგად. ერთი ამტკიცებს, მეორე აჩვენებს, და ორივე არწმუნებს, ოღონდ ერთი — ლოგიკური საბუთებით, მეორე კი — სურათებით. მაგრამ პირველს მცირეოდენი ადამიანები უსმენენ და გაუგებენ, მეორეს კი — ყველანი. საზოგადოების უმადლესი და უწმინდესი ინტერესი მისი საკუთარი კეთილდღეობაა, რომელიც თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს ყოველ მის წევრზე. ამ კეთილდღეობის გზაა შემეცნება, შემეცნებას კი ხელოვნება მეცნიერებაზე ნაკლებად როდი უწყობს ხელს. აქ მეცნიერებაც და ხელოვნებაც თანაბრად საჭიროა, და არც მეცნიერებას შეუძლია ხელოვნების შეცვლა და არც ხელოვნებას — მეცნიერებისა.

ჭეშმარიტების ცუდი, შემცდარი გაგება თვით ჭეშმარიტებას როდი სპობს. თუ ზოგჯერ ვხედავთ ადამიანებს, გონიერთ და კეთილმზრახველთაც კი, რომლებიც ხელს ჰკიდებენ საზოგადოებრივი საკითხების გადმოცემას პოეტური ფორმით, თუმცა მათ ბუნებისგან მინიჭებული პოეტური ნიჭის ნაპერწკალიც კი არ გააჩნიათ, — აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ ასეთი საკითხები ხელოვნებისათვის უცხო და დამღუპველია. ამ ადამიანებს წმინდა ხელოვნებისადმი სამსახური რომ განეზრახათ, მათი დაცემა კიდევ უფრო განსაცვიფრებელი იქნებოდა. ცუდი იყო, მაგალითად, ახლა დავიწყებული რომანი „პან პოდსტოლიჩი“, რომელიც ათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ გამოვიდა და დაწერილია საქებური მიზნით — წარმოადგინოს ბელორუსი გლეხების მდგომარეობის სურათი; მაგრამ ის მთლად უსარგებლო მაინც არ ყოფილა, და თუმცა საშინლად მოსაწყენი იყო, მაგრამ ზოგმა ხომ მაინც წაიკითხა? რა თქმა უნდა, ავტორი უკეთესად მიაღწევდა თავის კეთილშობილურ მიზანს, თავისი რომანის შინაარსი დღიურის ან დამკვირვებლის შენიშვნების ფორმით რომ გადმოეცა და პოეზიას არ გამოსდგომოდა; მაგრამ წმინდა პოეტური რომანის დაწერა რომ მოესურვებინა, კიდევ უფრო ნაკლებად მიაღწევდა თავის მიზანს. ახლა ბევრს იტაცებს მომხიბლავი სიტყვა: „მიმართულება“; ჰგონიათ,

რომ მთელი საქმე ეს სიტყვაა, და არ ესმით, რომ ხელოვნების სფეროში, ჯერ-ერთი, არავითარი მიმართულება უნიჭოდ განხრეტილ ფარადაც არა ღირს, ხოლო, მეორე მხრივ, თვით მიმართულება მწერალს არა მარტო თავში უნდა ჰქონდეს, არამედ უწინარეს ყოვლისა გულში, სისხლში, ის უწინარეს ყოვლისა გრძნობა, ინსტინქტი უნდა იყოს და შემდეგ უკვე— შეგნებული აზრიც,—რომ მისთვის, ამ მიმართულებისათვის, ადამიანი ისევე უნდა იბადებოდეს, როგორც თვით ხელოვნებისათვის. ამოკითხული ან გაგონილი იდეა, რომელიც თითქმის სათანადოდ გაგებულიც გაქვთ, მაგრამ საკუთარ ნატურაში არ გაგიტარებიათ, რომელსაც თქვენი პიროვნების ბეჭედი არ აზის, — მკვდარი კაპიტალია არა მარტო პოეტური, არამედ ყოველგვარი ლიტერატურული მოღვაწეობისთვისაც. როგორც უნდა გადმოიღოთ ნატურიდან, როგორც უნდა შეაზავოთ თქვენი ასლები მზამზარეული იდეებითა და კეთილგანზრახული „ტენდენციებით“, თუ პოეტური ტალანტი არა გაქვთ, თქვენი ასლები ვერავის მოაგონებს მათს ორიგინალებს, ხოლო იდეები და მიმართულებანი გადაღეპილ რიტორიკულ აზრებად დარჩებიან²⁸.

ახლა ორში ერთი უნდა გადაწყდეს: ან საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი მხარის სურათები, რომლებსაც ნატურალური სკოლის მწერლები წარმოგვიდგენენ, ჰუმანიტეტითა და სინამდვილისადმი შესაბამისობით არის გამსჭვალული, და ამ შემთხვევაში ისინი ტალანტის ნაყოფია, ქმნილების ბეჭედს ატარებენ; ანდა, თუ ეს პირიქით არის, ისინი ვერავის ვერ გაიტაცებენ და ვერ დაარწმუნებენ, და მათში სინამდვილესთან იოტისოდენ მსგავსებასაც კი ვერავინ ხედავს. ასეც ლაპარაკობენ ამ სურათებზე ნატურალური სკოლის მოწინააღმდეგენი. მაგრამ მაშინ იბადება კითხვა: რატომ არის, რომ, ერთი მხრით, ეს ნაწარმოებნი ასეთი წარმატებით სარგებლობენ მკითხველი საზოგადოების უმრავლესობაში, ხოლო, მეორე მხრით, მათი თვისებაა ასე ძალიან გააღიზიანონ ნატურალური სკოლის მოწინააღმდეგენი? აკი მხოლოდ საშუალო ღირსება სარგებლობს სახარბიელო პრივილეგიით —

არავინ გააღიზიანოს და მტრები და მოწინააღმდეგნი არ ჰყავდეს?

ერთნი ამბობდნენ, ნატურალური სკოლა საზოგადოებას ცილსა სწამებს და მას განზრახ ამცირებსო; მეორენი ახლა დასძენენ, იგი განსაკუთრებით დამნაშავეა ამ მხრივ უბრალო ხალხის წინაშეო. ეს უკანასკნელი ბრალდება რაღაც წინააღმდეგობის შემცველი გამოუდით ნატურალური სკოლის მამაგებელთ: ზოგნი ამ სკოლას უსაყვედურებენ, — მეშჩანურ-არისტოკრატიული თვალსაზრისით, რაც მოლიერის მიერ სახელგანთქმულ ბ-ნ ეურდენის²⁰ შესაფერია, — უბრალო წოდების ადამიანთა მიმართ ზედმეტ სიმპათიას, ზოგნი — მათდამი ფარულ მტრობას. ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა ვრცლად და დაწვრილებით გამოგვეთქვა ამ ბრალდების საწინააღმდეგო აზრი და დაგვემტკიცებინა მისი მთელი უსაფუძვლობა და უმსგავსობა²⁰, ასე რომ ამაზე ახალი სათქმელი არაფერი გვაქვს, ვიდრე ჩვენი კეთილმოსურნენი ახალ რამეს არ მოიგონებენ ამ ბრალდების დასამტკიცებლად, რომელიც მათ განსაკუთრებულ პატივსა სდებს. და ამიტომ რამდენიმე სიტყვას ვიტყვით მეორე ბრალდებაზე. ზოგი ამბობს (და ამჯერად მეტად მართებულად); ნატურალური სკოლა გოგოლმა დააარსაო; ზოგნი, ამას ნაწილობრივ ეთანხმებიან და კიდევ დასძენენ, ფრანგული შმაგი სიტყვიერება (რომელიც უკვე ათი წლის წინათ მოკვდა) გოგოლზე კიდევ უფრო მეტად მონაწილეობდა ნატურალური სკოლის წარმოშობაშიო. ამგვარი ბრალდება ყოვლად უაზროა; ყველა ფაქტი პირდაპირ მის წინააღმდეგ მეტყველებს. თუ ამ ბრალდების სათავეს მივემართავთ, შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოშვა ან იმ უხამსმა მიზეზებმა, რომლებზეც ლაპარაკს თავაზიანობა გვიკრძალავს, ანდა ლიტერატურული საქმის აშკარა უცოდინარობამ. უკანასკნელი კიდევ უფრო საფიქრებელია. თუმცა ეს ვაჰბატონები ხელოვნებისათვის იბრძვიან, მაგრამ²¹ ეს მათ ხელს არ უშლის ხელოვნებაზე ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდეთ. ფრანგული ლიტერატურის რომელი ნაწარმოებნი მიაკუთვნეს ჩვენში რატომღაც შმაგ სკოლას? ჰიუგოს პირ-

ველი რომანები (და განსაკუთრებით მისი განთქმული „Notre Dame de Paris“), სიუს, დიუმას პირველი რომანები, ეიულ ჟანენის „მკვდარი სახედარი და გილიოტინაზე თავმოკვეთილი ქალი“. ხომ ასეა? ვისღა ახსოვს ახლა ისინი, როდესაც თვით მათმა ავტორებმა უკვე დიდი ხანია ახალი მიმართულება მიიღეს? და რა იყო მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ამ ნაწარმოებებისა, რომლებიც, სხვათა შორის, მოკლებული როდი არიან თავისებურ ღირსებას? — გაზვიადება, მელოდრამა, მყვირალა ეფექტები. ასეთი მიმართულების წარმომადგენელი ჩვენში მხოლოდ მარლინსკი იყო, და გოგოლის გავლენამ გადაჭრით მოუღო ბოლო ამ მიმართულებას. რა საერთო აქვს მას ნატურალურ სკოლასთან? ახლა იშვიათადაც კი აღარ ცდილობენ ამგვარი მიმართულების ნაწარმოებთა შექმნას, გარდა, შეიძლება ითქვას, ესპანური ვნებებით აღსავსე დრამებისა, რომლებიც ალექსანდრეს თეატრის ჩვეულებრივ მაყურებელთა აღტაცებას იწვევენ. ხროლო თუ მდარე ნიჭისა და უნიჭო ადამიანები ზოგჯერ ცდილობენ, და ისიც ძალიან იშვიათად, სახელი მოიპოვონ ფრანგული რომანების მიბაძვით, ისინი ამ შემთხვევაში ბაძვენ უახლეს რომანებს, რომლებიც უაზრო და სულელური უფროა, ვიდრე შმაგი. ასეთ ცდებს მიეკუთვნება ერთ ჟურნალში ამას წინათ დაბეჭდილი რომანი „სპეკულატორები“, რაც სავსეა გამოგონილი ბოროტმოქმედი პირებით ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, არამზადებით, და წარმოუდგენელი თავგადასავლებით, რომლებიდანაც რომანის დასასრულს მაინც გამოყვანილია წმინდა წყლის ზნეობა. მაგრამ ნატურალურ სკოლას რა ესაქმება ამგვარ ნაწარმოებებთან? ³⁰ ისინი მას არც ერთი მხრივ არ მიეკუთვნებიან.

ყველა ამ ბრალდებაზე გაცილებით უფრო სწორია ის ფაქტი, რომ ნატურალური სკოლის მწერალთა სახით რუსული ლიტერატურა ქეშმარიტი და ნამდვილი გზით წავიდა, შთაგონებისა და იდეალების დამოუკიდებელ წყაროებს მიმართა და ამით იქცა როგორც თანამედროვე, ისე რუსულ ლიტერატურად. ამ გზიდან ის, ეტყობა, აღარც გადაუხვევს,

იმიტომ რომ ეს არის პირდაპირი გზა თვითმყოფობისაკენ, ყოველგვარი უცხო და გარეშე გავლენისაგან განთავისუფლებისაკენ. ამით სრულებით არ გვინდა ვთქვათ, რომ იგი მუდამ ახლანდელ მდგომარეობაში დარჩება; არა, იგი წინ წავა, შეიცვლება, მაგრამ არასოდეს აღარ უღალატებს სინამდვილესა და ბუნებას. ჩვენ ოდნავაც არა ვართ მოჯადობულნი მისი წარმატებებით და სულაც არ გვინდა მათი გაზვიადება. ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ, რომ ჩვენი ლიტერატურა ჯერ კიდევ მისწრაფების და არა მიღწევის გზაზეა, რომ იგი მხოლოდ ყალიბდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულია; მთელი მისი წარმატება ჯერჯერობით იმაში მდგომარეობს, რომ მან უკვე ჰპოვა თავისი ნამდვილი გზა და ახლა აღარ დაეძებს მას, არამედ ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მტკიცე ნაბიჯით განაგრძობს ამ გზით სიარულს. ახლა მას მეთაური არ ჰყავს²², მისი მოღვაწენი პირველხარისხოვანი ტალანტები არ არიან, მაგრამ, იმავე დროს, მას თავისი ხასიათი აქვს და უკვე დაუხმარებლად მიდის ნამდვილი გზით, რომელსაც თვითონვე ნათლად ხედავს. აქ უნებლიეთ გვაგონდება სიტყვები, რომლებიც „სოვრემენნიკის“ რედაქტორმა ამ ყურნალის გასული წლის პირველ წიგნში სთქვა: „ძლიერი ტალანტების ნაცვლად, რომლებიც ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას აკლია, მასში, ასე ვთქვათ, განმტკიცდა და ჩამოყალიბდა შემდგომი განვითარებისა და საქმიანობის საარსებო საწყისები. იგი უკვე, როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, განსაზღვრული სახის მოვლენაა; მასში არის საკუთარი თავის დამოუკიდებლობისა და თავისი მნიშვნელობის შეგნება. იგი უკვე ძალაა, სწორად ორგანიზებული, მოქმედი ძალა, რომელიც ცოცხალი ყლორტებით გადახლართულია სხვადასხვა საზოგადოებრივ საჭიროებებსა და ინტერესებთან; იგი არ არის ჩვენთვის უცხო სფეროდან ხალხის გასაკვირვებლად შემთხვევით ჩამოვარდნილი მეტეორი, განმარტოებული გენიალური აზრის გამოკრთომა, რომელმაც უცაბედად გაიელვა ადამიანთა თავში და წამიერად შესძრა ისინი ახალი და უცნობი შეგრძნებით. ჩვენი ლიტერატურის

სფეროში ახლა არ არის განსაკუთრებით შესანიშნავი ადგილები, არამედ არის მთელი ლიტერატურა. ცოტა ხნის წინათ იგი ჯერ კიდევ ჰგავდა დედამიწის ზურგის ყინულის ქერქისაგან ახალ განთავისუფლებული ჩვენი ველ-მინდვრების აკრელებულ სივრცეს: მის ბორცვებზე აქა-იქ ბალახი წამოზრდილა, ხრამებში ჯერ კიდევ თოვლი ძევს, გაშავებული, ტალახში არეული. ახლა იგი შეიძლება საგაზაფხულოდ მოკაზმულ იმავე ველ-მინდვრებს შევადაროთ: თუმცა სიმწვანე კაშკაშა კოლორიტით არ ბრწყინავს, ალაგ-ალაგ ძალიან უფერულია და დადებული არ არის, მაგრამ იგი უკვე ყველგან მოფენილია; წლის მშვენიერი დრო დგება“³⁴.

ვეფქრობთ, რომ ამაში არის პროგრესი...

ჩვენს მიერ ამოწერილი სიტყვების სამართლიანობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ ყურადღებას მივაქცევთ ჩვენი დროის რუსული ლიტერატურის სხვა მხარეებსაც. იქ დავინახავთ იმის მსგავს მოვლენას, რომელსაც პოეზიაში ნატურალიზმი ეწოდება, ე. ი. იმავე მისწრაფებას სინამდვილისადმი, რეალობისადმი, ქეშმარიტებისადმი, დავინახავთ იმავე უარყოფით დამოკიდებულებას ფანტაზიისა და მოჩვენებებისადმი. მეცნიერებაში განყენებული თეორიები, აპრიორული წყობანი, სისტემებისადმი ნდობა დღითიდღე ჰკარგავენ თავის გავლენას და ადგილს უთმობენ ფაქტების ცოდნაზე დამყარებულ პრაქტიკულ მიმართულებას. რა თქმა უნდა, მეცნიერებას ჩვენში ჯერ კიდევ ღრმა ფესვები არ გაუდგამს, მაგრამ მასშიაც უკვე შესამჩნევია თვითმყოფობისაკენ შობრუნება, სახელდობრ იმ სფეროში, რომელშიც უწინარეს ყოვლისა უნდა დაიწყოს თვითმყოფობა რუსული მეცნიერებებისათვის, — რუსეთის ისტორიის შესწავლის სფეროში. მის მოვლენებში, რომელთაც დღემდე დასავლეთის ისტორიის შესწავლის გავლენით ხსნიდნენ, უკვე მოჰყავთ ცხოვრების მქოლოდ ის საწყისები, რომლებიც დამახასიათებელია მისთვის, და რუსეთის ისტორიას რუსული ახსნა ეძლევა³⁵. საკუთრივ ჩვენს, რუსულ ცხოვრებასთან უფრო ახლობელი ურთიერთობის მქონე საკითხებისადმი იგივე მიდგომა, მათი

თავისებური გადაწყვეტის იგივე ცდა შესამჩნევია რუსეთის თანამედროვე ყოფის შესწავლაშიც. ამის დასამტკიცებლად განვიხილავთ ყველაფერს, რაც გასულ წელს რაიმე მხრივ შესანიშნავი გამოვიდა. [მაგრამ ეს განხილვა ცალკე, უფრო დიდი სტატიის საგანი იქნება „სოვრემენნიკის“ შემდგომ წიგნში]».

II

რომანისა და მოთხრობის მნიშვნელობა აქამად. — გასული წლის შესანიშნავი რომანები და მოთხრობები ჯა თანამედროვე რუსი ბელეტრისტების დახასიათება: ისკანდერი, გონჩაროვი, ტურგენევი, დალი, გრიგოროვიჩი, დრუჟინინი. — ბ-ნ დოსტოევსკის ახალი თხზულება „დიასახლისი“. — მგზავრას შენიშვნები, ქ-ნ ტ. ჩ-სა. — მოთხრობები ციმბირის ოქროს სარეწებზე, ბ-ნ ნებოლსინისა. — წერილები ესპანეთიდან, ბ-ნ ბოტკინისა. — გასული წლის შესანიშნავი მეცნიერული სტატიები. — შესანიშნავი კრიტიკული სტატიები. — გ. შევირიოვი. — რუსი ავტორების სრული კრებული, ა. სპირდინისა.

რომანი და მოთხრობა ახლა სათავეში ჩაუდგა ყველა სხვა გვარის პოეზიას. მათი საშუალებით გამოიხატა მთელი კაზმული ლიტერატურა, ასე რომ ყოველი სხვა ნაწარმოები მათ გვერდით რაღაც გამონაკლისად და შემთხვევით რამედ გეჩვენებათ. ამის მიზეზები რომანისა და მოთხრობის, როგორც პოეზიის გვარის, თვით არსში მდგომარეობს. მათში უკეთესად, უფრო მარჯვედ, ვიდრე პოეზიის რომელიმე სხვა გვარში, შეთხზული შეერწყმის სინამდვილეს, მხატვრული გამოგონება შეხამებულია მარტივ გადმოღებასთან ნატურიდან, ოღონდ ეს გადმოღება სწორი იყოს. რომანი და მოთხრობა, თუნდაც ისინი ყოველდღიური ყოფის სრულიად ჩვეულებრივ და უბრალო პროზას გამოხატავდნენ, შეიძლება ხელოვნების, უმაღლესი შემოქმედების უკიდურესი ზღვარის წარმომადგენლები იყვნენ; მეორე მხრივ, ასახავენ

რა ცხოვრების მხოლოდ რჩეულ და მაღალ მომენტებს, ისინი შეიძლება მოკლებული იყვნენ ყოველგვარ პოეზიას, ყოველგვარ ხელოვნებას... ეს არის უფართოესი, ყოვლისმომცველი გვარი პოეზიისა; მასში ტალანტი უსაზღვრო თავისუფლებას გრძნობს. მასში შეერთებულია ყველა სხვა გვარის პოეზია — ლირიკაც, როგორც ავტორის გრძნობათა გადმოშლა მის მიერ აღწერილი მოვლენების გამო, დრამატიზმიც, როგორც ყველაზე მკაფიო და რელიეფური საშუალება მოცემულ ხასიათთა გამოსავლინებლად. გადახვევას, მსჯელობას, დიდაქტიკას, რომლებიც პოეზიის სხვა გვარებში შეუწყნარებელია, რომანსა და მოთხრობაში შეიძლება კანონიერი ადგილი ეპიროს. რომანი და მოთხრობა სრულ გასაქანს აძლევს მწერალს მისი ტალანტის, ხასიათის, გემოვნების, მიმართულებისა და სხვათა უპირატესი თვისების გამოსავლინებლად. აი რატომ არის უკანასკნელ ხანებში ესოდენ ბევრი რომანისტი და მოთხრობის მწერალი. და ამიტომაც ახლა რომანისა და მოთხრობის თვით ფარგლებიც გაფართოვდა: გარდა „ამბავისა“, რომელიც ლიტერატურაში უკვე დიდი ხანია არსებობს, როგორც მოთხრობის დაბალი და უფრო მსუბუქი სახე, ცოტა ხნის წინათ ლიტერატურაში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვეს ეგრეთწოდებულმა ფიზიოლოგიებმა, საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა მხარის სახასიათო ნარკვევებმა. ბოლოს, თვით მემუარები, რომლებისთვისაც ყოველგვარი გამონაგონი სრულიად უცხოა და რომლებიც მხოლოდ ნამდვილი ამბების სწორი და ზუსტი გადმოცემის მიხედვით ფასდება, — თვით მემუარები, თუ ისინი ოსტატურად დაწერილია, თითქოს უკანასკნელ საზღვარს შეადგენენ რომანის სფეროში და ამთავრებენ ამ სფეროს. მაშ რა არის საერთო ფანტაზიის გამონაგონსა და სინამდვილეში მომხდარის ზუსტ ისტორიულ გამომხატვას შორის? როგორ თუ რა? — მხატვრული გადმოცემა! ტყუილად როდი იწოდებიან ისტორიკოსები მხატვრებად. თითქოსდა, რა უნდა გააკეთოს ხელოვნებამ (მხატვრულობის აზრით) იქ, სადაც მწერალი შებოჭილია წყაროებით, ფაქტებით, და

მხოლოდ იმას უნდა ცდილობდეს, რომ ეს ფაქტები რაც შეიძლება სწორად გადმოსცეს? მაგრამ საქმე ის არის, რომ ფაქტების სწორი გადმოცემა მარტოოდენ ერუდიციით შეუძლებელია, აქ ფანტაზიაც არის საჭირო. წყაროებში მოცემული ისტორიული ფაქტები მხოლოდ ქვა და აგურია: მხოლოდ მხატვარს შეუძლია ამ მასალისაგან მოხდენილი შენობა აღმართოს. ჩვენს პირველ სტატიაში უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ შემოქმედებითი ნიჭის უქონლად ნატურიდან სწორად გადმოწერაც ისევე შეუძლებელია, როგორც ნატურის მსგავსი გამონაგონის შექმნა. ცხოვრებასთან ხელოვნების, სინამდვილესთან გამონაგონის დაახლოება ჩვენს საუკუნეში განსაკუთრებით გამოიხატა ისტორიული რომანით. აქედან ერთი ნაბიჯი იყო ქეშმარიტ შეხედულებამდე მემუარებზე, რომლებშიც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნარკვევები ხასიათებსა და პირებზე. თუ ნარკვევები ცოცხალი და წარმტაცია, მაშასადამე, ისინი ასლები კი არ არის, რომლებიც მუდამ უფერულია და არაფერს გამოხატავს, არამედ პიროვნებათა და მოვლენათა მხატვრული წარმოქმნაა. ასე აფასებენ ვან-დეიკების, ტიციანებისა და ველიასკესების პორტრეტებს და სრულებით არ აინტერესებთ იმის ცოდნა, თუ ვისგან გადმოხატეს ეს პორტრეტები: მათ აფასებენ როგორც სურათებს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებთ. ასეთია ხელოვნების ძალა: პიროვნება, რომელიც თავისთავად არაფრით შესანიშნავი არ არის, ხელოვნების საშუალებით ყველასთვის თანაბრად საინტერესო საერთო მნიშვნელობას იძენს, და ადამიანს, რომელიც თავის სიცოცხლეში არავის ყურადღებას არ იქცევდა, საუკუნეთა განმავლობაში უცქერიან მხატვრის წყალობით, რომელმაც მას თავისი ყალბით ახალი სიცოცხლე შთაბერა! იგივეა მემუარებშიც, მოთხრობებშიც და ნატურის ყოველგვარ სურათებშიც. აქ ნაწარმოების ღირსების ხარისხი დამოკიდებულია მწერლის ნიჭის ხარისხზე. და თქვენ შეგიძლიათ წიგნში დასტკბეთ ადამიანით, რომელთანაც შეხვედრას არსად არ მოისურვებდით, რომელიც, შესაძლოა, ყოველთვის გცნო-

ბოდათ, როგორც უადრესად ქარაფშუტა და მოსაწყენი ქმნილება. დაგვიანებული ესთეტიკოსები ამტკიცებენ, რომ „პოეზია ფერწერა არ უნდა იყოს, იმიტომ რომ ფერწერაში მთელი საქმეა ერთ გარკვეულ მომენტში მიგნებული საგნის სწორი გამოხატვა“. მაგრამ თუ პოეზია ხელს ჰკიდებს პირთა, ხასიათთა, მოვლენათა გამოხატვას, ერთი სიტყვით, ცხოვრების სურათების გამოხატვას, თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში იგი იმავე მოვალეობას კისრულობს. რასაც ფერწერა, ე. ი. იგი ვალდებულია ერთგული იყოს სინამდვილისა, რომლის წარმოსახვაც განიზრახა. და ეს ერთგულება პოეზიის პირველი მოთხოვნა და პირველი ამოცანაა. ავტორის პოეტურ ტალანტზე აქ უნდა ვიმსჯელოთ უწინარეს ყოვლისა იმის მიხედვით, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი ამ მოთხოვნას, რამდენად სწყვეტს ამ ამოცანას. თუ იგი ფერმწერელი არ არის, ეს იმის აშკარა ნიშანია. რომ იგი პოეტიც არ არის, რომ მას სრულებით არა აქვს ნიჭი. მაგრამ პოეზია რომ მხოლოდ ფერწერა არ უნდა იყოს, ეს კვლავ სხვა საქმეა, და ამას არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. პოეტის სურათებში აზრი უნდა იყოს, მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება მკითხველის გონებაზე უნდა მოქმედებდეს, ამა თუ იმ მიმართულებას უნდა აძლევდეს მის შეხედულებას ცხოვრების გარკვეულ მხარეებზე. ამისათვის რომანი და მოთხრობა, მათ თანაგვარ ნაწარმოებებთან ერთად, პოეზიის ყველაზე მოხერხებული გვარია. მას უმთავრესად წილად ხვდა საზოგადოებრიობის სურათების გამოხატვა, საზოგადოებრივი ცხოვრების პოეტური ანალიზი.

გასული 1847 წელი განსაკუთრებით მდიდარი იყო შესანიშნავი რომანებით, მოთხრობებითა და ამბებით. საზოგადოებაში უდიდესი წარმატების მიხედვით მათ შორის პირველი ადგილი, სავსებით უეჭველია, ეკუთვნის ორ რომანს: „ვინ არის დამნაშავე?“ და „ჩვეულებრივი ისტორია“; ამიტომაც გასული წლის კაზმული ლიტერატურის ჩვენს მიმოხილვას ამ რომანებით დავიწყებთ.

ბ-ნი ისკანდერი უკვე დიდი ხანია ცნობილია საზოგადოებისათვის, როგორც ავტორი სხვადასხვა სტატიებისა, რომლებიც განირჩევიან შესანიშნავი კვებით, ნიჭით, გონებაბახვილობით, საგნებზე ორიგინალური შეხედულებით და გამოთქმის ორიგინალობით. მაგრამ როგორც რომანისტი, იგი ახალი ტალანტია, რომელმაც რუსი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მხოლოდ გასული წლიდან. მართალია, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ დაიბეჭდა მისი ორი ცდა თხრობის ხელოვნების დარგში: „ერთი ყმაწვილის წერილები“ (1840) და „კიდევ ერთი ყმაწვილის წერილებიდან“ (1841), რომლებშიც, თუ ამ მსუბუქი ნარკვევების სისწორისა და სიცხოვლის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ავტორის სახით მომავალი ნიჭიერი რომანისტი გამოგვეცნო. ბ-ნი გონჩაროვი, „ჩვეულებრივი ისტორიის“ ავტორი, ჩვენს ლიტერატურაში სრულიად ახალი პირია, მაგრამ მან უკვე ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. შეიძლება იპიტომ, რომ ორივე ეს რომანი — „ვინ არის დამნაშავე?“ და „ჩვეულებრივი ისტორია“ — თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა და არაჩვეულებრივი წარმატების სახელი გაინაწილა, — მათ შესახებ არა თუ ერთად ლაპარაკობენ, არამედ მათ ერთმანეთსაც ადარებენ, თითქოს როგორც ერთგვაროვან მოვლენებს. ერთმა უურნალმა, რომელმაც ამას წინათ ისკანდერის რომანი უაღრესად მხატვრულ ნაწარმოებად გამოაცხადა, თავისი უკმაყოფილება გამოსთქვა ბ-ნ გონჩაროვის რომანზე იმის გამო, რომ უკანასკნელში პირველის ღირსებანი ვერ აღმოაჩინა³⁷. ჩვენც განზრახული გვაქვს ამ რომანების განხილვისას ისინი ერთად დავაყენოთ, მაგრამ არა იმისათვის, რომ მათი მსგავსება ვაჩვენოთ, რადგან მათ შორის, როგორც დედაარსით სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებთა შორის, ამ მსგავსების ნიშანწყალიც არ არის, არამედ იმისათვის, რომ თვით მათი ურთიერთ დაპირისპირებით უფრო სწორად მოვხაზოთ თითოეული მათგანის თავისებურება და ვაჩვენოთ მათი ღირსება-ნაკლოვანებანი.

„ვინ არის დამნაშავეის?“ ავტორის არაჩვეულებრივ მხატვრულ მიჩნევა იმას ნიშნავს, რომ სრულებით არ გესმოდეს მისი ნიჭი. მართალია, მას გააჩნია სინამდვილის მოვლენების სწორად გადმოცემის შესანიშნავი უნარი, მისი ნარკვევები გამოკვეთილი და მძაფრია, მისი სურათები ნათელია და მყისვე თვალში გხვდება. მაგრამ თვით ეს თვისებებიც კი მოწმობენ, რომ მისი მთავარი ძალაა არა შემოქმედებაში, არა მხატვრულობაში, არამედ ღრმად განცდილ, სავსებით გაცნობიერებულ და განვითარებულ აზრში.—ამ აზრის ძლიერება მისი ნიჭის მთავარი ძალაა; სინამდვილის მოვლენების სწორად მიგნების მხატვრული მანერა მისი ნიჭის მეორეხარისხოვანი, დამხმარე ძალაა. წაართვით მას პირველი ძალა—და მეორე მეტად უმწეო აღმოჩნდება დამოუკიდებელი მოქმედებისათვის.

ამგვარი ტალანტი არ არის რაღაც საგანგებო, განსაკუთრებული, შემთხვევითი. არა, ასეთი ტალანტები ისევე ბუნებრივი არიან, როგორც წმინდა მხატვრული ტალანტები. მათი მოქმედება ჰქმნის ხელოვნების განსაკუთრებულ სფეროს, სადაც ფანტაზია მეორე ადგილზეა, ხოლო ჰკუა—პირველზე. ამ განსხვავებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, და ამიტომ ხელოვნების თეორიაში საშინელი დომხალი გამოდის. უნდათ ხელოვნებაში დაინახონ თავისებური გონებრივი ჩინეთი, რომელიც მკვეთრად გამოყოფილია ზუსტი საზღვრებით ყოველივე იმისაგან, რაც ხელოვნება არ არის ამ სიტყვის ზუსტი გაგებით. ამავე დროს კი ეს სასაზღვრო ხაზები ვარაუდით უფრო არსებობს, ვიდრე ნამდვილად; ყოველ შემთხვევაში, მათ თითოთ ვერ აჩვენებ, როგორც რუკაზე სახელწიფოთა საზღვრებს. ხელოვნება, ამა თუ იმ საზღვართან მიახლოებისას, თანდათან ჰკარგავს რაღაცას თავისი არსებიდან, ხოლო თავის არსებაში იღებს იმის არსებიდან, რის მომიჯნავეც არის, ასე რომ გამმიჯვნელი ხაზის ნაცვლად ჩნდება ორივე მხარის შემარიგებელი სფერო.

პოეტი-მხატვარი უფრო მეტად არის ფერმწერელი, ვიდრე

ფიქრობენ. ფორმის გრძნობა — ამაშია მთელი მისი ნატურა. მისი უმაღლესი სიამოვნებაა მუდმივ მეტოქეობას უწევდეს ბუნებას შემოქმედების უნარში. მიაგნოს მოცემულ საგანს მთელი მისი ქეშმარიტი სახით, ასე ვთქვათ, ცხოველი სული შთაბეროს მას, — აი რაშია მისი ძალა, გამარჯვება, კმაყოფილება, სიამაყე. მაგრამ პოეზია ფერწერაზე მაღლა დგას, მისი ფარგლები უფრო ვრცელია, ვიდრე ყოველი სხვა ხელოვნების ფარგლები. და ამიტომ პოეტს, რასაკვირველია, არ შეუძლია მხოლოდ ფერწერით დაკმაყოფილდეს, — რაზედაც ჩვენ, თუმცაღა, უკვე ვილაპარაკეთ. მაგრამ როგორც უნდა იყოს სხვა ჩინებული, ალტაცებისა და განცვიფრების გამომწვევი თვისებები მისი ქმნილებისა, — მისი მთავარი ძალა მაინც პოეტურ ფერწერაშია. მას უნარი აქვს სწრაფად ჩასწვდეს ცხოვრების ყველა ფორმას, ჩასწვდეს ყოველგვარ ხასიათს, ყოველგვარ პიროვნებას, — და ამისათვის მას ესაქიროება არა გამოცდილება, არა შესწავლა, არამედ ზოგჯერ ერთი სიტყვის გადაკვრა ან თვალის ერთი სწრაფი გადავლებაც საკმარისია. ორი-სამი ფაქტი — და მისი ფანტაზია აღადგენს ცხოვრების მთელ ცალკეულ. თავის თავში ჩაკეტილ სამყაროს მთელი მისი პირობებითა და ურთიერთობებით, მისი დამახასიათებელი კოლორიტითა და ელფერით. ასე მივიდა კიუვიე მეცნიერების გზით იმ ხელოვნებამდე, რომ ერთი ნამარხი ძვლის მიხედვით თავისი გონებით აღედგინა მთელი ორგანიზმი იმ ცხოველისა, რომელსაც ეს ძვალი ეკუთვნოდა. მაგრამ აქ მოქმედებდა გენია, რომელიც მეცნიერებამ განავითარა და რომელსაც მეცნიერება ეხმარებოდა; პოეტი კი უპირატესად თავის გრძნობას, თავის პოეტურ ინსტინქტს ეყრდნობა.

პოეტების მეორე წყებას, რომელზეც ლაპარაკი დავიწყეთ და რომელსაც რომან „ვინ არის დამნაშავეს?“ ავტორი ეკუთვნის, შეუძლია სწორად გამოხატოს ცხოვრების მხოლოდ ის მხარეები, რომლებმაც რაიმე მიზეზით განსაკუთრებით განაცვიფრა მათი გონება და რომლებსაც ისინი განსაკუთრებით იცნობენ. მათთვის გაუგებარია სიამოვნება —

სწორად წარმოადგინონ სინამდვილის მოვლენა მხოლოდ იმისათვის, რომ იგი სწორად იქნას წარმოდგენილი. მათ არც ხალისი ეყოფათ და არც მოთმინება ასეთი, მათი აზრით, უსარგებლო შრომისათვის. მათთვის მნიშვნელოვანია არა საგანი, არამედ საგნის აზრი, — და მათი ზეშთაგონება მხოლოდ იმისათვის აენტება ხოლმე, რომ საგნის სწორად წარმოდგენის საშუალებით მისი აზრი ყველას თვალში ცხადი და ხელშესახები გახადონ. მაშასადამე, ისინი ყველაზე წინ აყენებენ გარკვეულ და ნათლად შეგნებულ მიზანს, პოეზია კი მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის საშუალებად მიაჩნიათ. ამიტომ მათი ტალანტისათვის მისაწვდომი ცხოვრების სამყარო განისაზღვრება მათი გულითადი აზრით, მათი შეხედულებით ცხოვრებაზე; ეს არის ჯადო-წრე, საიდანაც ისინი ვერ გამოვლენ დაუსჯელად, ე. ი. ისე, რომ სინამდვილის პოეტური სისწორით გამოხატვის უნარი ერთბაშად არ დაჰკარგონ, წაართვით მათ ეს აღმაფრთოვანებელი აზრი, აიძულეთ უარპყონ თავიანთი შეხედულება საგნებზე, — და მათ ტალანტიც აღარ ექნებათ; მაშინ როცა პოეტ-მხატვრის ტალანტი მუდამ მასთან არის, ვიდრე მის გარშემო მოძრაობს სიცოცხლე, როგორც უნდა იყოს ეს სიცოცხლე.

რა არის ისკანდერის გულითადი აზრი, რომელიც მისი შთაგონების წყაროა და ზოგჯერ მას საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა სწორად გამოხატვაში თითქმის მხატვრულობამდე ამაღლებს? — აზრი ადამიანის ღირსებაზე. რომელსაც ამცირებს ცრურწმენები, უმეცრება, და ამცირებს ხან ადამიანის უსამართლობა თავისი მოყვასისადმი, ხან საკუთარი თავის ნებაყოფლობითი დამახინჯება. ისკანდერის ყველა რომანისა და მოთხრობის გმირი, რამდენიც უნდა დასწეროს მან ეს რომანები და მოთხრობები, ყოველთვის ერთი და იგივე იყო და იქნება: ეს არის ადამიანი, ზოგადი გვარობითი ცნება, ამ სიტყვის მთელი სისრულით, მისი უწმინდესი მნიშვნელობით. ისკანდერი უპირატესად ჰუმანურობის პოეტია. ამიტომ მის რომანში უამრავი პირებია, მტკწილად ოსტატურად მოხაზულნი, მაგრამ არ არის გმირი

მამაკაცი, არ არის გმირი ქალი. პირველ ნაწილში, სადაც ნეგროების წყვილით დაგვინტერესებს, იგი რომანის გმირებად წარმოგვიდგენს კრუციფერსკის და ლიუბონკას. ორივე ნაწილის დასაკავშირებლად დაწერილ ეპიზოდში გმირია ბელტოვი; მაგრამ ბელტოვის დედა და მისივე ყენეველი აღმზრდელი მკითხველისთვის, შეიძლება ითქვას, უფრო საინტერესონი არიან, ვიდრე თვით ბელტოვი. მეორე ნაწილში: გმირები არიან ბელტოვი და კრუციფერსკაია და მთლიანად მხოლოდ მასში მქლავნდება რომანის ძირითადი აზრი, რომელიც თავდაპირველად ასე იღუმალია მის სახელწოდებაში: „ვინ არის დამნაშავე?“ მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ სწორედ ეს აზრი ყველაზე ნაკლებად გვინტერესებს რომანში, ისევე, როგორც გვგონია, რომ ბელტოვი, რომანის გმირი, მთელ რომანში ავტორს ყველაზე ნაკლებ მარჯვედ დახატული გამოუვიდა. როდესაც კრუციფერსკი ლიუბონკას საქმრო გახდა, ექიმმა კრუპოვმა მას უთხრა: „ეს საპატარძლო, რაც გინდა თქვი, შენი შესაფერი არაა. ეს თვალები, ეს პირის ფერი, ეს თრთოლა, ხანდახან რომ გადაურბენს სახეზე,—ეს ქალი ვეფხვის ლეკვია, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის თავისი ძალა, შენ კი, შენ რა ხარ? შენ საპატარძლო ხარ, შენ, ჩემო ძმაო, გერმანელ ქალს ჰგევხარ; შენ იქნები ცოლი, — ჰოდა, განა ივარგებს ეს?“ ამ სიტყვებშია კვანძი რომანისა, რომელიც, ავტორის განზრახვით, მხოლოდ უნდა დაწყებულყო ქორწილით ნაცვლად იმისა, რომ მით დამთავრებულყო. ავტორს, მას შემდეგ რაც ბელტოვი გაგვაცნო, შეგვავართ იმ ახალგაზრდა წყვილის მყუდრო თავშესაფარში, რომელიც უკვე ოთხი წელია წყნარი ოჯახური ბედნიერებით სტკებება; მაგრამ რადგან სკეპტიკოსი ექიმის პირით გამოთქმული მისნის ცუდი წინასწარმეტყველება ახსოვს, მკითხველი უნებლიეთ მოელის, რომ თვით კრუციფერსკების ოჯახური ბედნიერების სურათში ავტორი დანახვებს მას მომავალ უბედურებათა ჩანასახსა და დასაწყისს. მართლაც, კრუციფერსკის კი არ შეურთავს ცოლი, არამედ თვითონ გაჰყვა ცოლად. მისი ცოლი მასზე მეტად

მაღლა იდგა, მაშასადამე, მას სულაც არ შეეფერებოდა. ბუნებრივია, რომ კრუციფერსკი საესეებით ბედნიერი იყო ცოლით; მაგრამ ბუნებრივი არ არის ის, რომ ცოლი დამშვიდებული ბედნიერი ყოფილიყო, რომ მას ცუდი სიზმრები არ ენახა, ცხადლივ არ ჩაფიქრებოდა ამ მდგომარეობას. მას შეიძლება ქმრის პატივისცემა ჰქონოდა და კიდევაც ჰყვარებოდა იგი, როგორც ჩვილი ბავშვივით სპეტაკი და კეთილშობილი არსება, რომელმაც, ამას გარდა, იგი მშობლების ოჯახის ჯოჯოხეთიდან გამოიხსნა; მაგრამ განა ამგვარი სიყვარული დააკმაყოფილებდა ასეთ ქალს, ამოსწურავდა მისი ნატურის იმ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, რომლებიც მით უფრო მწვავე იყო, რაც უფრო გაურკვეველი და შეუცნობელი? ბელტოვთან ნაცნობობას, რაც მალე სიყვარულად იქცა, მხოლოდ თვალი უნდა აეხილა ქალისთვის მის მდგომარეობაზე, გაეღვიძებინა მასში იმის შეგნება, რომ იგი ბედნიერი ვერ იქნებოდა ისეთ ადამიანთან, როგორც კრუციფერსკი იყო. მაგრამ ავტორი ასე როდი მოიქცა.

აზრი მშვენიერი იყო, ღრმა ტრაგიკული მნიშვნელობით აღსავსე. და სწორედ მან გაიტაცა მკითხველთა უმრავლესობა და ხელი შეუშალა მათ შეენიშნათ, რომ ბელტოვისა და კრუციფერსკაიას ტრაგიკული სიყვარულის მთელი ისტორია მოთხრობილია ჰკვიანურად, ძალიან ჰკვიანურად, ოსტატურადაც კი, მაგრამ მოთხრობილია სრულიადაც არა მხატვრულად. აქ ოსტატური ამბავია, მაგრამ ცოცხალი პოეტური სურათის ნატამალიც კი არ არის. აზრმა იხსნა და გამოიყვანა ავტორი: ჰკუთით მან სწორად გაიგო თავისი გმირების მდგომარეობა, მაგრამ გადმოსცა იგი მხოლოდ როგორც ჰკვიანმა ადამიანმა, რომელსაც საქმე კარგად გაუგია, მაგრამ არა როგორც პოეტმა. ასე ზღვება ხოლმე ზოგჯერ, როდესაც ნიჟერის მსახიობი ხელს ჰკიდებს ისეთ როლს, რომელიც მის საშუალებებსა და ტალანტს სრულებით არ შეეფერება, მაგრამ მაინც კი არ აფუჭებს, არამედ ჰკვიანურად და ოსტატურად ასრულებს ამ როლს, იმის ნაცვლად, რომ იგი ითამაშოს. როლის აზრი დაკარგული არ არის, ხოლო პიესის ტრა-

გიკული დედააზრი შეავსებს მთავარი როლის შესრულების ნაკლს, — და მაყურებელი უცბად ვერ ხვდება, რომ იგი მხოლოდ გატაცებული იყო და სულაც არა დაკმაყოფილებული.

ამას ადასტურებს, სხვათა შორის, ისიც, რომ რომანის მეორე ნაწილში ბელტოვის ხასიათი ავტორს თავისი ნებისამებრ შეუცვლია. თავდაპირველად ეს იყო სასარგებლო საქმიანობას მოწყურებული ადამიანი, რომელიც ასეთ მოქმედებას ვერაფერში პოულობდა იმ ყალბი აღზრდის მიზეზით, რაც მას კეთილშობილმა უნებველმა მეოცნებემ მისცა. ბელტოვმა ბევრი რამ იცოდა და ყველაფერზე ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ იგი სრულებით არ იცნობდა იმ საზოგადოებრივ წრეს, მხოლოდ და მხოლოდ რომელშიც შეეძლო სასარგებლოდ ემოქმედნა. ყველაფერი ეს ავტორს არა მარტო ნათქვამი, არამედ ოსტატურად ნაჩვენებიცა აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამასთანავე ავტორს შეეძლო გაკვრივ მიეთითებინა თავისი გმირის ბუნებაზეც, რომელიც სრულებით არაპრაქტიკული და როგორც აღზრდით, ისე სიმდიდრითაც საკმაოდ გაფუჭებულია. ის, ვინც მდიდარი დაიბადა, ბუნებამ უნდა აღჭურვოს განსაკუთრებული მიდრეკილებით რაიმე საქმიანობისადმი, რათა ქვეყნად უქმად არ ცხოვრობდეს და ცუდაობით მოწყენილი არ იყოს. აი სწორედ ეს მიდრეკილება სრულებით არ ჩანს ბელტოვის ნატურაში. მისი ნატურა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ამ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაში მტკიცე ფესვი არაფერს ჰქონია. მას დიდი ჰკუა აქვს, მაგრამ ეს არის მჭვრეტელობითი, თეორიული ჰკუა, რომელიც იმდენად ღრმად კი არ სწვდებოდა საგნებს, რამდენადაც მათ ზედაპირზე დაცურავდა. მას უნარი ჰქონდა გაეგო ბევრი რამ, თითქმის ყველაფერი, მაგრამ თანაგრძნობისა და გაგების სწორედ ეს მრავალმხრიობა უშლის ზელს ასეთ ადამიანებს მთელი თავისი ძალღონე ერთ საგანს მოახმარონ, მთელი თავისი ნებისყოფა წინსკენ მიმართონ. ასეთი ადამიანები მუდამ მისწრაფვიან

მოქმედებისაკენ, ცდილობენ საკუთარი გზა გამონახონ და, რასაკვირველია, ვერ პოულობენ.

ამრიგად, ბელტოვი განწირული იყო იმისათვის, რომ დატანჯულიყო მოქმედების სრულიად დაუკმაყოფილებელი წყურვილითა და ცუდაობის კაეშნით. ავტორმა ოსტატურად გადმოგვცა მისი ამოო ცდები ემსახურნა, შემდეგ კი — ექიმი ან მსახიობი გამხდარიყო. თუ იმის თქმა არ შეიძლება, რომ მან სავსებით მოხაზა და ახსნა ეს ხასიათი, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბელტოვი მის რომანში კარგად მოხაზული, გასაგები და ბუნებრივი პირია. მაგრამ რომანის უკანასკნელ ნაწილში ბელტოვი უცბად წარმოგვიდგება რაღაც უმაღლეს, გენიალურ ნატურად, რომლის მოქმედებისათვის სინამდვილე ღირსეულ სარბიელს არ წარმოადგენს... ეს სრულებით აღარ არის ის ადამიანი, რომელიც ასე კარგად გავიცანით წინათ; ეს ბელტოვი კი აღარ არის, არამედ რაღაც პეჩორინის მსგავსია. რასაკვირველია, წინანდელი ბელტოვი გაცილებით უკეთესი იყო, როგორც ყოველი ადამიანი, რომელიც თავის საკუთარ როლს თამაშობს. პეჩორინთან მსგავსება მისთვის მეტად არახელსაყრელია. ვერ გავგიგია, რისთვის დასჭირდა ავტორს თავისი გზიდან სხვის გზაზე გადახვევა!.. ნუთუ მას ამით უნდოდა ბელტოვი კრუციფერსკაიამდე აემალღებინა? ამოო ცდაა! კრუციფერსკაიასათვის იგი მისი წინანდელი სახითაც ისევე საინტერესო იქნებოდა; და მაშინ იგი საბრალო კრუციფერსკის გვერდით ისე დადგებოდა, როგორც ნამდვილი გოლიათი ქონდრისკაცის გვერდით. იგი ბოწიფული, სრულწლოვანი ადამიანი იყო, მამაკაცი, ჭკუით და ცხოვრებაზე შეხედულებით მაინც; ხოლო კრუციფერსკი, მისი კეთილშობილური ოცნებით, ნაცვლად ადამიანთა და ცხოვრების ნამდვილი გაგებისა, წინანდელი ბელტოვის გვერდითაც მაინც ისეთ ბავშვად გამოჩნდებოდა, რომლის განვითარება რაღაც სენს შეუჩერებია.

კრუციფერსკაია, თავის მხრივ, გაცილებით უფრო საინტერესოა რომანის პირველ ნაწილში, ვიდრე უკანასკნელში. არ შეიძლება ითქვას, რომ პირველ ნაწილშიც მისი ხასიათი

მკვეთრად მოხაზული იყოს; მაგრამ სამაგიეროდ მკვეთრად იყო მოხაზული მისი მდგომარეობა ნეგროვის სახლში. იქ იგი კარგია მდუმარე, უსიტყვო, უმოქმედო. მკითხველი მას გამოიცნობს, თუმცა მისგან თითქმის ერთი სიტყვაც არ ესმის. მისი მდგომარეობის დახატვაში ავტორმა უჩვეულო ოსტატობა გამოამჟღავნა. მხოლოდ თავისი დღიურის ნაწყვეტებში გამოსთქვამს თვითონ კრუციფერსკაია თავის აზრებს. მაგრამ ჩვენ მთლად კმაყოფილი როდი ვართ ამ აღსარებით. გარდა იმისა, რომ მკითხველისათვის რომანის გმირი ქალის მისი დღიურებით გაცნობის მანერა მოძველებული, გაცვეთილი და ყალბი მანერაა, — ლიუბონკას დღიურს ოდნავ სიყალბის ელფერი დაჰკრავს: ყოველ შემთხვევაში, ყველა არ დაიჯერებს, რომ იგი ქალის ნაწერია... ცხადია, რომ აქაც ავტორი თავისი ტალანტის სფეროდან გამოვიდა. ამასვე ვიტყვით კრუციფერსკაიას ნაწყვეტებზე რომანის ბოლოში. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ავტორმა მარჯვედ დააღწია თავი იმ ამოცანას, რომლის შესრულება მას არ ძალუძდა. ეს არის და ეს. საზოგადოდ, კრუციფერსკაიად რომ იქცა, ლიუბონკა უკვე აღარ წარმოადგენდა ხასიათს, პიროვნებას, იგი ოსტატურად, ჰკვიანურად განვითარებული აზრი გახდა. მხოლოდ იგი და ბელტოვია ის ორი სახე, რომლებიც ავტორმა სათანადოდ ვერ დასძლია. მაგრამ ამ სახეებშიც არ შეიძლება არ გაგაკვიროთ ავტორის მოხერხებულობამ და ინტერესის ბოლომდე შენარჩუნების ოსტატობამ, მისმა უნარმა — განაცვიფროს, გული აუჩუყოს მკითხველთა უძრავწესობას იქ, სადაც მისი ტალანტით აღჭურვილი, მაგრამ მის ჰკუას და საგნებზე მის სწორ შეხედულებას მოკლებული ყოველი სხვა მწერალი მხოლოდ სიცილს გამოიწვევდა.

ამრიგად, ბელტოვისა და კრუციფერსკაიას ტრაგიკული სიყვარულის სურათში როდი უნდა ვეძიოთ ისკანდერის რომანის ღირსებანი. ჩვენ დავინახეთ, რომ ეს სულაც არ არის სურათი, არამედ ოსტატურად გადმოცემული საგამომძიებლო საქმეა. საერთოდ „ვინ არის დამნაშავე?“, კაცმა რომ სთქვას, რომანი კი არ არის, არამედ რამდენიმე ბიოგრაფია,

ოსტატურად დაწერილი და გარეგნულად მარჯვედ შეკავშირებული ერთ მთლიანობად სწორედ იმ აზრით, რომლის პოეტურად განვითარება ავტორმა ვერ შესძლო. მაგრამ ამ ბიოგრაფიებში შინაგანი კავშირიც არის, თუმცა მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ბელტოვისა და კრუციფერსკაიას ტრაგიკულ სიყვარულთან. ეს არის აზრი, რომელიც ღრმა საფუძვლად დაედო მათ, სიცოცხლე მისცა და სული ჩაუდგა მოთხრობის ყოველ ნიშანს, ყოველ სიტყვას, შესძინა მას ეს დამაჯერებლობა და მიმზიდველობა, რომელიც თანაბარი ძალით მოქმედებს ავტორისადმი როგორც სიმპათიურად, ისე არასიმპათიურად განწყობილ, როგორც განათლებულ, ისე გაუნათლებელ მკითხველებზე. ეს აზრი ავტორს გამოუდის როგორც გრძნობა, როგორც ვნება; ერთი სიტყვით, მისი რომანიდან ჩანს, რომ ეს აზრი ისევე შეადგენს მისი ცხოვრების პათოსს, როგორც მისი რომანისას. რაზედაც უნდა ლაპარაკობდეს ავტორი, რითაც უნდა იყოს გატაცებული³⁸ გადახვევისას, იგი არასოდეს არ ივიწყებს ამ აზრს, განუწყვეტლივ უბრუნდება მას, ეს აზრი თითქოს უნებლიეთ თვითონ მეტყველებს მის ნაწარმოებში. ეს აზრი შეეზარდა მის ტალანტს; ამ აზრშია მისი ძალა; მას რომ შესძლებოდა გულცივი გამხდარიყო ამ აზრის მიმართ, უარეყო ის,—იგი უცბად დაჰკარგავდა თავის ტალანტს. რა აზრია ეს?—ეს არის ტანჯვა და ტკივილები, რასაც იწვევს დანახვა აულვიარებული ადამიანური ღირსებისა, რომელიც შეურაცხყოფილია განზრახ და კიდევ უფრო მეტად — განუზრახველად; ეს არის ის, რასაც გერმანელები ჰუმანურობას (Humanität)³⁹ უწოდებენ. ისინი, ვისაც ამ სიტყვის აზრი გაუგებარი ეჩვენება, ისკანდერის თხზულებებში ჰპოვებენ მის საუკეთესო ახსნას. თვით სიტყვის შესახებ კი ვიტყვით, რომ გერმანელებმა ის გამოიყვანეს ლათინური სიტყვიდან humanus, რაც ადამიანურს ნიშნავს. აქ ის აღებულია სიტყვა „პირუტყვეულისადმი“ დაპირისპირებით. როდესაც ადამიანი ისე ეპყრობა ადამიანებს, როგორც ადამიანი თავის მოყვასთ, ბუნებით ძიებს უნდა ეპყრობოდეს, იგი ჰუმანურად იქცევა; წინააღმ-

დეგ შემთხვევაში იგი ისე იქცევა, როგორც პირუტყვის შეჭფერის. ჰუმანურობა კაცთმოყვარეობაა, მაგრამ ცნობიერებითა და განათლებით განვითარებული. ადამიანი, რომელიც საბრალო ობოლს ზრდის არა ანგარების გამო, არა სატრაბახოდ, არამედ იმ სურვილით, რომ სიკეთე ჰქნას; რომელიც ობოლს ღვიძლი შვილივით ზრდის, მაგრამ ამასთან ერთად აგრძნობინებს, რომ იგი მისი კეთილისმყოფელია, რომ იგი მისთვის ხარჯს ეწევა და სხვ. და სხვ., ასეთი ადამიანი, რა თქმა უნდა, ღირსია კეთილი, ზნეობრივი და კაცთმოყვარე ადამიანი ეწოდებოდეს, მაგრამ მას სრულებითაც არ შეიძლება ჰუმანური ადამიანი ვუწოდოთ. მას ბევრი გრძნობა და სიყვარული აქვს, მაგრამ მასში ისინი ცნობიერებით არ არის განვითარებული, უხეში, ტლანქი ქერქით არის დაფარული. მის მოუხეშავ ჰკუას ვერც კი წარმოუდგენია, რომ ადამიანის ბუნებაში არის ფაქიზი და სათუთი სიმები, რომელთაც ფრთხილად უნდა მოვეპყრათ იმისათვის, რომ ადამიანი უბედური არ გავხადოთ ბედნიერების ყველა გარეგნულ პირობებში, ანდა ტლანქ, უხამს არსებად არ ვაქციოთ ადამიანი, რომელიც მისდამი უფრო ჰუმანური მოპყრობით შეიძლებოდა რიგიანი გამხდარიყო. ხოლო ამავე დროს რამდენი არიან ამ ქვეყნად ასეთი სათნომყოფელნი, რომლებიც აწამებენ, ხანდახან კი ღუპავენ კიდეც იმათ, ვისთვისაც სამადლო საქმეს აკეთებენ, ღუპავენ ისე, რომ არავითარი ცუდი განზრახვა არა აქვთ, ზოგჯერ მხურვალედ უყვართ კიდეც ისინი, გულწრფელად⁴⁰ სურთ მათთვის ყოველგვარი სიკეთე, — და შემდეგ გულწრფელადვე უკვირთ, რომ ერთგულებისა და პატივისცემის ნაცვლად ამ სათნომყოფელთა ხვედრია გულგრილობა, უმადურობა, სიძულვილი და მტრობაც კი, ანდა რომ მათი აღზრდილნი არამზადები გამოვიდნენ, მაშინ როდესაც მათ ისინი უაღრესად ზნეობრივად აღზარდეს. რამდენია ისეთი დედ-მამა, რომელთაც მართლაც თავისებურად უყვართ თავისი შვილები, მაგრამ წმინდა მოვალეობად სთვლიან განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდნენ მათ, რომ ისინი თავიანთ მშობლებს უნდა უმადლიდნენ სიცოცხლესაც, ტანსაცმელსაც და

აღზრდასაც! ეს უბედურნი ვერც კი ხვდებიან, რომ ისინი თვითონ ჰკარგავენ თავიანთ შვილებს, სცვლიან მათ რალაც შვილობილებით, ობლებით, რომლებიც მათ ქველმოქმედების გრძნობის გამო აუყვანიათ²¹. ისინი გულდამშვიდებას მისცემიან იმ მორალური წესით, რომ შვილებს თავიანთი მშობლები უნდა უყვარდეთ, და შემდეგ, სიბერეში, ვაივი-შით იმეორებენ გაცვეთილ სენტენციას, შვილებისაგან უმადურობის გარდა არაფერს უნდა მოელოდეთ. ეს საშინელი გამოცდილება კი არ აღზობს მათი გაშეშებული ჰკუის სქელ ყინულის ქერქს და ვერ შეაგნებინებს მათ ბოლოს, რომ ადამიანის გულში თავისი საკუთარი კანონებით მოქმედებს, არ სურს და არც შეუძლია რაიმე სხვა კანონს სცნობდეს, რომ მოვალეობისა და ვალდებულების გამო სიყვარული — ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო, ზებუნებრივი, ფანტასტიკური, შეუძლებელი და გაუგონარი გრძნობაა, რომ სიყვარული მხოლოდ სიყვარულის წილია, რომ არ შეიძლება სიყვარულის მოთხოვნა როგორც ისეთი რამისა, რაც ჩვენ უფლებით გვეკუთვნის, არამედ ყოველგვარი სიყვარული მოპოვებულ და დამსახურებულ უნდა იქნას, სულერთია, ვისი სიყვარული იქნება ეს: ჩვენზე დაბლა მდგომისა თუ მაღლა მდგომისა, შვილისა მამისაგან თუ მამისა შვილისაგან. შეხედეთ ბავშვებს: ხშირად ხდება ხოლმე, რომ შვილი ძალიან გულგრილად უცქერის თავის დედას, თუმცა დედა მას ძუძუს აწოვებს, და იგი საშინელ ტირილს ასტეხს, თუ გაიღვიძა და მაშინვე თავისი გადია არ დაინახა, რომელსაც იგი შეეჩვია განუყრელად თავისთან ხედავდეს. ხომ ხედავთ: ბავშვი — ბუნების ეს სავსე და სრულქმნილი გამოხატულება — თავისი სიყვარულით აჯილდოებს იმას, ვინც მას ნამდვილად უმტკიცებს თავის სიყვარულს, ვინც მისთვის ხელი აიღო ყოველგვარ სიამოვნებაზე, თითქოს რკინის ჯაჭვით შეუერთა თავისი თავი მის საბრალო და სუსტ არსებას.

ჰუმანურობა სრულებით არ ეწინააღმდეგება მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და რანგებისადმი პატივისცემას; მაგრამ ის გადაჭრით ეწინააღმდეგება ვისმესადმი

ზიზლს, გარდა არამზადებისა და გაიძვერებისა. ჰუმანურობა სიამოვნებით აღიარებს ადამიანთა საზოგადოებრივ პირველობას; მაგრამ ამ პირველობას უყუარებს არა მხოლოდ გარეგანი, არამედ უფრო მეტად შინაგანი მხრიდან. ჰუმანურობა არათუ არ ავალდებულებს ვისმე — მოეპყრას დაბალი წოდების ადამიანს, რომელსაც ტლანქი მანერები და ჩვეულებები აქვს, მისთვის უჩვეულო დიდი თავაზიანობით, არამედ კრძალავს კიდევ ამას, იმიტომ რომ ასეთი მოპყრობა მას უწერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა და აიძულებდა ეფიქრა, რომ მას დასცილიან ან მის მიმართ ცუდი განზრახვა აქვთ. ჰუმანური ადამიანი მასზე დაბლა მდგომ და ტლანქად განვითარებულ ადამიანს ისეთი თავაზიანობით მოეპყრობა, რომელიც ამ უკანასკნელს არ შეიძლება უცნაურად ან უხამსად ეჩვენოს, მაგრამ ჰუმანური ადამიანი მას ნებას არ მისცემს მის წინაშე თავისი ადამიანური ღირსება დაამციროს, ნებას არ მისცემს მის ფერხთა წინაშე დაემხოს, არ უწოდებს მას ვანკას ან ვანიუხას და ამგვარ სახელებს, რომლებიც ძალის მეტსახელს წააგავს, წვერზე ხელს არ მოუცაცუნებს, ნიშნად მისდამი თავისი მოწყალებისა, რათა ის მლიქვნელურად ილიმებოდეს და პირფერულად ეუბნებოდეს: „რატომ მწყალობთ?..“ ჰუმანურობის გრძნობა შეურაცხყოფილია, როდესაც ადამიანი სხვებში პატივს არა სცემს ადამიანურ ღირსებას, და კიდევ უფრო მეტად შეურაცხყოფილი და დამდაბლებულია, როდესაც ადამიანი თვით თავის თავში პატივს არა სცემს საკუთარ ღირსებას.

აი სწორედ ეს ჰუმანურობის გრძნობა შეადგენს ისკანდერის ქმნილებათა, ასე ვთქვათ, სულს. იგი ამ ჰუმანურობის მჭადაგებელი და ვეჭილია. მის მიერ სცენაზე გამოყვანილი პირები ბოროტი ადამიანები არ არიან, მეტწილად ისინი კეთილი ადამიანებიც კი არიან, რომლებიც თავის თავს და სხვებს სტანჯავენ და სდევნიან უფრო ხშირად კარგი, ვიდრე ცუდი განზრახვით, უფრო მეტად უფიცობის, ვიდრე სიავის გამო. იმ პირებსაც კი, რომლებიც თავიანთი მდაბალი გრძნობითა და საზიზლარი ქცევით ზიზლს იწვევენ, ავტორი უფრო

მათი საკუთარი უფიცობისა და იმ წრის მსხვერპლად წარმოგვიდგენს, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ, ვიდრე მათი ბოროტი ბუნების მსხვერპლად. იგი გამოხატავს ბოროტმოქმედებს, რომლებიც კანონებს არ ექვემდებარება და უმრავლესობას გონივრულ და ზნეობრივ მოქმედებად მიაჩნია. ბოროტმოქმედნი მას ცოტა ჰყავს: დღემდე დაბეჭდილი სამი ამბიდან მხოლოდ ერთში—„სოროკა-ვოროვკაში“ არის გამოყვანილი ბოროტმოქმედი და ისიც ისეთი, რომელსაც ბევრნი ახლაც ყველაზე სათნო და ზნეობრივ ადამიანად ჩასთვლიან. ისკანდერის მთავარი იარაღი, რასაც იგი ასეთი საკვირველი ოსტატობით ჰფლობს, არის ირონია, რომელიც ხშირად სარკაზმამდე მალდება, მაგრამ უფრო ხშირად მსუბუქი, გრაციოზული და უჩვეულოდ კეთილი ოხუნჯობის სახით გვევლინება: გაიხსენეთ კეთილი ფოსტმეისტერი, რომელმაც ორჯერ კინაღამ მოჰკლა ბელტოვა, ჯერ მწუხარებით, შემდეგ სიხარულით, და რომელიც ისე გულკეთილად იფშვნეტდა ხელს, ისე ტყებოდა სიურპრიზის წარმატებით, რომ „ქვეყნად არ მოიძებნება ისე გულქვა ადამიანი, ვისაც ძალა ჰყოფნოდა და მისთვის ამ ხუმრობის გამო საყვედური ეთქვა“² და საუბრე არ შეეთავაზებინა“. ხოლო ამავე დროს ამ თვისებაშიც კი, რომელიც სულაც არ არის აღმაშფოთებელი, არაქედ მხოლოდ სასაცილოა, ავტორი თავისი სანუკვარი იდეის ერთგული რჩება. ყველაფერი, რაც რომან „ვინ არის დამნაშავეში?“ ამ იდეას შეეხება, იმით გამოირჩევა, რომ სინამდვილეს შეესაბამება და იმდენად ოსტატურად არის გადმოცემული, რომ ქება არ სჭირდება. რომანის ბრწყინვალე მხარე და ავტორის ნიჭის გამარჯვება აქ არის და არა ბელტოვისა და კრუციფერსკაიას სიყვარულში. ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ ეს რომანი ერთმანეთთან ერთი აზრით დაკავშირებული, მაგრამ უსასრულოდ მრავალფეროვანი, უაღრესად მართალი და ფილოსოფიური მნიშვნელობით მდიდარი რამდენიმე ბოგრაფიაა. აქ ავტორი სავსებით თავის სფეროშია. რა არის უკეთესი რომანის სწორედ იმ ნაწილში, რომელიც მთლიანად ბელტოვისა და კრუციფერსკაიას ტრაგიკულ სიყვარულს შე-

უნება, თუ არა ბიოგრაფია დიდად პატივცემულ კარპ კონდრატიჩისა, მისი მკვირცხლი მეუღლის მარიამ სტეფანეს ასულისა და მათი საბრალო ქალიშვილის ბარბარე კარპის ასულისა, რომელსაც შინაურობაში ვაგას ეძახიან, — ბიოგრაფია, რაც აქ ეპიზოდად არის შესული? როდის არიან რომანში საინტერესონი კრუციფერსკი და ლიუბონკა? მაშინ, როდესაც ისინი ნეგროვებისას ცხოვრობენ და მთელი მათი გარემოთი იტანჯებიან. ასეთ მდგომარეობათა აღწერა ავტორს ემარჯვება და იგი მათი დახატვის არაჩვეულებრივი ოსტატია. როდის არის საინტერესო თვით ბელტოვი? როდესაც ვკითხულობთ მისი უკუღმართი და ყალბი აღზრდის ისტორიას და შემდეგ მისი იმ ამაო ცდების ისტორიას, რომ თავისი გზა ეპოვნა ცხოვრებაში. ესეც ავტორის ნიჭის სფეროში შედის. იგი უპირატესად ფილოსოფოსია, ხოლო ამავე დროს ოდნავ პოეტიც არის, და მან ისარგებლა ამით, რათა ივაგებით გადმოეცა თავისი წარმოდგენა ცხოვრებაზე. ამას ყველაზე უკეთ ამტკიცებს მისი ჩინებული მოთხრობა: „ექიმ კრუპოვის თხზულებიდან — სულით ავადმყოფობებზე საზოგადოდ და მათს ეპიდემიურ განვითარებაზე კერძოდ“. ამ მოთხრობაში ავტორი ერთი ხაზით, ერთი სიტყვითაც არ გამოსულა თავისი ნიჭის სფეროდან, და ამიტომაც აქ მისი ნიჭი უფრო გამოკვეთილია, ვიდრე სხვა მის თხზულებებში. მისი აზრი იგივეა, მაგრამ მან აქ მხოლოდ ირონიის ტონი მიიღო. ეს ირონია ზოგისთვის მეტად მხიარული და სასაცილოა, ზოგისთვის კი — სევდიანი და მტანჯველი. მხოლოდ ელამი ლიოვკას გამოხატვისას, რომელიც ყოველი მხატვრისთვის საამაყო ფიგურა იქნებოდა, ლაპარაკობს ავტორი სერიოზულად. აზრითა და შესრულებით ეს აშკარად საუკეთესო ნაწარმოებია გასული წლისა, თუმცა მან საზოგადოებაზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მაგრამ საზოგადოება ამ შემთხვევაში მართალია: რომანში „ვინ არის დამნაშავე?“ და სხვა მწერლების ზოგიერთ ნაწარმოებში მან მეტი ჰპოვა თავისთვის ყველაზე მახლობელი და ამიტომ ყველაზე საჭირო და სასარგებლო ჰეშმარტებანი, იმავე

დროს კი უკანასკნელ ნაწარმოებში იგივე სული და იგივე შინაარსია, რაც პირველში. საერთოდ ავტორისათვის ცალმხრივობა რომ გვესაყვედურნა, ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ სრულებით ვერ გაგვიგია იგი. მას შეუძლია სწორად გამოხატოს მხოლოდ ის სამყარო, რომელიც მისი გულწრფელი აზრისათვის მისაწვდომია; მისი ოსტატური ნარკვევები ეყრდნობა თანდაყოლილ დაკვირვების უნარს და სინამდვილის გარკვეული მხარის შესწავლას. ავტორმა, ამთვისებელი და შთაბეჭდილებიანი ბუნების მქონე ადამიანმა, თავის მეხსიერებაში შეინარჩუნა მრავალი სახე, რომლებსაც იგი ჯერ კიდევ ბავშვობაში განუცვიფრებია. ადვილი გასაგებია, რომ მის მიერ გამოყვანილი პირები ფანტაზიის წმინდა ქმნილებანი არ არიან, ეს უფრო ოსტატურად შეკეთებული, ხოლო ზოგჯერ სავსებით გადაკეთებული მასალებია, რომლებიც მთლიანად აღებულია სინამდვილიდან. აკი ვთქვით, რომ ავტორი უფრო მეტად ფილოსოფოსია და მხოლოდ ოდნავ — პოეტი ⁴²...

მისი სრული წინააღმდეგობაა ამ მხრივ „ჩვეულებრივი ისტორიის“ ავტორი. იგი პოეტია, მხატვარი და მეტი არაფერი. მას არ უყვარს მის მიერ შექმნილი პირები და არც მტრობს მათ, ისინი მას არ ამხიარულებენ, არ აჯავრებენ, იგი არავითარ ზნეობრივ გაკვეთილს არ აძლევს არც ამ პირებს და არც მკითხველებს; იგი თითქოს ფიქრობს: ვისაც უჭირს, თავიც მან იმტვრიოს, მე კი ეს არ მეხებაო. ყველა ახლანდელი მწერლიდან მარტო იგი, მხოლოდ იგი უახლოვდება წმინდა ხელოვნების იდეალს, მაშინ როდესაც სხვები ყველანი მას განუზომელი მანძილით დაშორდნენ — და ამიტომაც წარმატებას აღწევენ. ყველა ახლანდელ მწერალს კიდევ აქვს რაღაც, გარდა ნიჭისა, და სწორედ ეს რაღაც ნიჭზე უფრო მნიშვნელოვანია და მის ძალას შეადგენს; ბ-ნ გონიაროვს არაფერი აქვს, გარდა ნიჭისა: ამჟამად იგი უფრო მეტად არის პოეტი-მხატვარი, ვიდრე სხვა ვინმე. მისი ნიჭი პირველხარისხოვანი არ არის, მაგრამ ძლიერი და შესანიშნავია. მისი ნიჭის თავისებურებას მიეკუთვნება ქალთა ხასიათების და-

ზატვის არაჩვეულებრივი ოსტატობა. იგი არასოდეს არ იმეორებს თავის თავს, არც ერთი მისი ქალი არ მოგვაგონებს მეორეს, და ყველანი, როგორც პორტრეტები, ჩინებული არიან. რა არის საერთო უხეშ და ავ, მაგრამ თავისებურად სათუთი გრძნობების პატრონ აგრაფენასა და მაღალი წრის მეოცნებე და ნერვებაშლილ ქალს შორის? და ყოველი მათგანი თავისებური ოსტატური, მხატვრული ნაწარმოებია. ახალგაზრდა ადუევის დედა და ნადენკას დედა ორივე მოხუცია, ორივე მეტად კეთილია, მათ ძალიან უყვართ თავიანთი შვილები, და ორივე ერთნაირად მავნეა თავისი შვილებისათვის; ბოლოს, ორივე სულელი და უფერულია. ხოლო ამავე დროს ეს ორი პირი სულ სხვადასხვანაირია: ერთი პროვინციელი ქალბატონია, გასულ საუკუნეს ეკუთვნის, არაფერს კითხულობს და არა გაეგება რა, გარდა ოჯახის წვრილმანებისა; ერთი სიტყვით, კეთილი შვილიშვილია ბოროტ ქალბატონ პროსტაკოვასი. მეორე დედა — ქალაქელი ქალბატონია, ფრანგულ წიგნებს კითხულობს და არა გაეგება რა, გარდა ოჯახის წვრილმანებისა; ერთი სიტყვით, კეთილი შვილიშვილია ბოროტ ქალბატონ პროსტაკოვას შვილისა. ყოველგვარ დამოუკიდებლობასა და ორიგინალობას მოკლებული ასეთი უფერული პირების გამოხატვაში ზოგჯერ ყველაზე უკეთ იჩენს თავს ნიჭი, იმიტომ რომ მათი რაიმე განსაკუთრებული ნიშნის გამოხატვა ყველაზე ძნელია. რა არის საერთო ამ მკვირცხლ, ქარაფშუტა, თავქეიფა და ოდნავ ცბიერ ნადენკასა და იმ გარეგნულად დინჯ, მაგრამ შინაგანი ცეცხლით აგზნებულ ლიზას შორის? რომანის გმირის ბიცოლა გაკვრით მოხაზული, ჩართული პირია, მაგრამ რა მშვენიერი ქალის სახეა! რა კარგია იგი იმ სცენაში, რომლითაც მთავრდება რომანის პირველი ნაწილი! ჩვენ ვრცლად არ ვილაპარაკებთ იმ ოსტატობაზე, რომლითაც დახატულია მამაკაცთა ხასიათები: ქალთა ხასიათებზე არ შეიძლებოდა არ შევჩერებულიყავით, იმიტომ რომ დღემდე ისინი ჩვენში პირველხარისხოვან ტალანტებსაც კი იშვიათად გამოუდიოდათ. ჩვენი მწერლების მიერ გამოხატული ქალი ან მოსაწყენად სანტი-

მენტალური არსებაა, ან კაბიანი სემინარიელია, რომელსაც ძწიგნობრული ფრაზები დაუზეპირებია. ბ-ნ გონჩაროვის ქალები ცოცხალი ქმნილებები, სინამდვილის უტყუარი წარმომადგენლები არიან. ეს ახალი მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში.

მივმართოთ რომანის ორ მთავარ მამაკაცურ სახეს—ახალგაზრდა ადუევის და ბიძამისს პეტრე ივანეს-ძეს: როცა პირველზე ვლაპარაკობთ, უკანასკნელზე რამდენიმე სიტყვა მინც უნდა ვთქვათ, იმიტომ რომ იგი თავისი დაპირისპირებით კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგენს რომანის გმირს. ამბობენ, ახალგაზრდა ადუევის ტიპი მოძველებულიაო; ამბობენ, ასეთი ხასიათები რუსეთში აღარ არისო. არა, ასეთი ხასიათები არ გამქრალა და არც არასოდეს გაქრება, იმიტომ რომ მათ წარმოშობენ არა ყოველთვის ცხოვრების გარემოეწანი, არამედ ზოგჯერ წარმოშობს თვით ბუნება. რუსეთში მათი მამამთავარია ვლადიმერ ლენსკი, რომელიც პირდაპირი ხაზით მომდინარეობს გოეთეს ვერტერისაგან. პუშკინმა პირველმა შენიშნა ჩვენს საზოგადოებაში ასეთი ბუნების ადამიანთა არსებობა და მიუთითა ამ ადამიანებზე. დროთა მსვლელობაში ისინი შეიცვლებიან, მაგრამ მათი დედაარსი ყოველთვის იგივე დარჩება... პეტერბურგს ჩასული ახალგაზრდა ადუევი ოცნებობს, რა სიხარულით გადაეხვევა თავის სათაყვანო ბიძას და რა აღტაცებით შეხვდება მას ბიძა. იგი სასტუმროში ჩამოხდება და შიშობს, რომ ბიძა გაუჯავრდება და ეტყვის, რატომ პირდაპირ ჩემთან არ მოხვედიო. ბიძის ცივი შეხვედრა ფანტავს მის პროვინციულ ოცნებას. ახალგაზრდა ადუევი აქამდე პროვინციელი უფროა, ვიდრე რომანტიკოსი. იგი არასასიამოვნოდ განაცვიფრა კიდევ იმ ამბავმა, რომ ბიძამისმა ყეყეჩები უწოდა ზაეზჟალოვსა და ყვითელყვავილიან სოფლელ ბიცოლას, რომლებმაც მას ყოვლად სულელური წერილები გამოუგზავნეს. პროვინციელები ხშირად მეტად სასაცილონი არიან თავიანთი ნათესავეებისა და ნაცნობებისადმი ურთიერთობაში. პატარა ქალაქებში ცხოვრება ერთფეროვანი, შეზღუდული და მოსაწყე-

ნია. იქ ყველა ერთმანეთს იცნობს, და თუ ურთიერთს არ მტრობენ, უსათუოდ უგულითადესი მეგობრობა აქვთ: საშუალო ურთიერთობა თითქმის არ არსებობს. და აი, პატარა ქალაქიდან ყმაწვილი ბედის საძებნელად მიდის დედაქალაქში. ამ ყმაწვილით ყველა დაინტერესებულია, ყველა მას აცილებს, ყოველგვარ ბედნიერებას უსურვებენ, სთხოვენ არ დაივიწყოს ნაცნობ-ნათესაები. დედაქალაქში იგი უკვე ხნიერი კაცი გახდა, თავისი მშობლიური ქალაქი რაღაც ბუნდოვან ლანდად წარმოუდგება ხოლმე; ახალ შთაბეჭდილებათა, ახალ ნაცნობთა, ახალი ურთიერთობის, ინტერესების გავლენით მან დიდი ხანია დაივიწყა იმ ადამიანთა სახელებიც და სახეებიც, რომელთაც ასე ახლოს იცნობდა ბავშვობაში, და მხოლოდ ყველაზე მახლობელი ადამიანები ახსოვს. მაგრამ ისინიც იმ სახით წარმოუდგებიან, როგორც დასტოვა, ისინი კი მას შემდეგ ხომ გამოიცვალნენ. მათი წერილებიდან იგი ხედავს, რომ მათთან საერთო არაფერი აქვს; პასუხს რომ უგზავნის, იგი მათს ტონს, მათს წარმოდგენებს ბაძავს. განა საკვირველია, რომ იგი მათ უფრო და უფრო იშვიათად უგზავნის წერილს, ბოლოს⁴⁴ სრულიად აღარ უგზავნის⁴⁵. დედაქალაქში ნათესავის ან ნაცნობის ჩამოსვლის აზრი მას ისევე აფრთხობს, როგორც საზღვრის პირად მდებარე ქალაქის მცხოვრებლებს ომის დროს აშინებთ ის აზრი, რომ მტერი მათ ქალაქში გამოივლის. დედაქალაქში შორით სიყვარული არ: ესმით; აქ ფიქრობენ, რომ სიყვარული, მეგობრობა, ახლობლობა, ნაცნობობა შეიძლება შენარჩუნებულ იქნას პირადი ურთიერთობით, განშორებით კი სუსტდება და ისპობაო. პროვინციაში პირიქით ფიქრობენ; ერთფეროვანი ცხოვრების შედეგად, იქ საოცრად განვითარებულია სიყვარულისა და მეგობრობისადმი მიდრეკილება. იქ ყოველი ადამიანის დანახვა ახარებთ; ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და ამით ერთმანეთისათვის ხელის შეშლა, ერთიმეორის შეწუხება იქ წინდათაწმინდა მოვალეობად ითვლება. თუ კაცს ნათესაებზე და ნაცნობები აღარ აწუხებენ და თავს აღარ აბეზრებენ, იგი თავის თავს ქვეყნად ყველაზე უბედურ, ყველაზე შეუ-

რაცხყოფილ ადამიანად ჩასთვლის. როცა პატარა ქალაქში მცხოვრებ პროვინციელს ერთბაშად თავს დაესხმიან მთელი გროვა ნათესავები და მის პაწია სახლს აავსებენ, გარეგნულად მის სიხარულს საზღვარი არა აქვს; იგი სახეგალიმებული დარბის, ფუსფუსებს, მთელ ამ ბრბოს უმასპინძლდება, გულში კი სწყევლის მათ. ამავე დროს კი აბა სცადონ ამ ადამიანებმა და მეორეჯერ მისას არ მივიდნენ: იგი არასოდეს არ აპატიებს მათ ამას. ასეთია პროვინციის პატრიარქალური ლოგიკა! და სწორედ ასეთი ლოგიკით ჩამოდის ხოლმე ზოგჯერ პროვინციელი დედაქალაქში საქმეებზე მთელ თავის ოჯახთან ერთად. დედაქალაქში მას ჰყავს ნათესავი, რომელიც უკვე ოცი წელია წამოსულა თავისი დაბიდან და დიდი ხანია დაავიწყდა ყველა თავისი ნათესავი და ნაცნობი. ჩვენი პროვინციელი ხელებგაშლილი მიეშურება მისკენ, თან მიჰყავს საყვარელი შვილები, რომლებიც სასწავლებლებში უნდა მოათავსოს, მიჰყავს სათაყვანო მეუღლე, რომელიც დედაქალაქის მოდათა მაღაზიების სანახავად ჩამოვიდა. გაისმია: პი-პუი, ყივილ-ხივილი. „ჩვენ პირდაპირ თქვენთან მოვედიო, სასტუმროში ჩამოხდომა ვერ გავბედეთ!“ დედაქალაქელ ნათესავს ფერი მისდის, არ იცის რა ჰქნას, რა სთქვას; იგი ჰგავს მტრისგან აღებული ქალაქის მცხოვრებს, რომლის სახლშიც მტრის ჯარისკაცთა მძარცველური ბრბო შეჭრილა. ამავე დროს კი მას უკვე დაწვრილებით განუმარტეს, თუ რარიგ უყვართ, როგორ ახსოვთ, რა განუწყვეტლივ ლაპარაკობენ და რა იმედებს ამყარებენ მასზე, რარიგ დარწმუნებული არიან, რომ იგი უსათუოდ დაეხმარება მათ, რათა კოსტია, პეტია, ფედია და მიტია კორპუსებში მოაწყონ, ხოლო მაშა, საშა, ლუბა და ტანია — ინსტიტუტში. დედაქალაქელი ნათესავი ხედავს, რომ მისი დაღუპვა თუ ხსნა დამოკიდებულია ერთ წუთზე, ძალღონეს იკრებს და მტრის რაზმს ცივი თავაზიანობით განუმარტავს, რომ მას არასგზით არ შეუძლია მიიღოს ისინი⁴⁰, რომ მისი ბინა ოჯახისთვისაც კი ვიწროა, რომ კორპუსებსა და ინსტიტუტებში ბავშვებს გამოცდებით და დაკანონებული წესის მიხედვით იღებენ, რომ აქ არავითარი პრო-

ტექცია არ გასჭრის, თუ ვაკანტური ადგილები არ არის, ან
 ო.უ ბავშვები მისაღებ წელზე მეტი ან ნაკლები ხნისანი არი-
 ან, ანდა თუ მათ გამოცდები ვერ ჩააბარეს, ხოლო მით უმე-
 ტეს ვერ გასჭრის ისეთი უბრალო კაცის პროტექცია, როგო-
 რიც ისაა, რადგან ის, ამას გარდა, სულ სხვა უწყებაში მსახუ-
 რობს და სასწავლებლების უფროსთაგან არავის იცნობს. \

იმედგაცრუებული პროვინციელები გაცოფებულნი მიდიან,
 დედაქალაქელთა ეგოიზმისა და გარყვნილების წინააღმდეგ
 გაპყვირთან და თავიანთ ნათესავზე ისე ლაპარაკობენ, რო-
 გორც ურჩხულზე. ამავე დროს კი იგი, შესაძლოა, მეტად რი-
 გიანი კაცი იყოს; მხოლოდ იმაში მიუძღვის ბრალი, რომ არ
 მოისურვა თავისი ბინა უმსგავს ბანაკად ექცია, არ ისურვა
 საკუთარ სახლში დაჰკარგოდა ყოველგვარი თავშესაფარი,
 ყოველგვარი შესაძლებლობა თავისი კაბინეტის მყუდროება-
 ში სამსახურის საქმეების შესრულებისა, საღამოობით მისთ-
 ვის მახლობელი, ანდა სამსახურის ხაზით სასარგებლო და სა-
 ჭირო ადამიანების მიღებისა, და ამრიგად შეევიწროვებინა
 თავი, მძიმე გაჭირვებაში ჩავარდნილიყო მისთვის სრულიად
 უცხო ადამიანთა გულისათვის, რომლებთანაც ჩვეულებრივ
 ნაცნობობასაც [კი] არ ისურვებდა. ხოლო ამავე დროს ეს
 პროვინციელებიც თავისებურად კეთილი და არც თუ ბრიყვი
 ადამიანები არიან. მათ მხოლოდ იმაში მიუძღვით ბრალი,
 რომ დედაქალაქში როცა მიდიან, დარწმუნებული არიან, რომ
 იქ, გარდა სიდიადისა, დიდმშვენიერებისა და მოდათა მაღა-
 ზიებისა, ჰპოვებენ თავიანთ პატარა ქალაქს მისი ზნე-ჩვეუ-
 ლეებითა და წარმოდგენებით. მათ თავისებურად უყვართ
 ფუფუნება და დიდმშვენიერება, თუმცა საჭირო გემოვნება
 არა აქვთ, და თუ სახსარი ექნათ, მზად არიან ყოველნაირად
 მორთონ თავისი დარბაზი და სასტუმრო ოთახი; კაბინეტზე
 მათ წარმოდგენაც არა აქვთ და არც იციან, რა საჭიროა ის;
 მათი საწოლი და საბავშვო ოთახები ყოველთვის ყველაზე
 ბინძური ოთახებია. მათ სულ ადვილად შეუძლიათ შეევიწ-
 როვდნენ, კომფორტის ცნება მათთვის არ არსებობს, ისინი
 შეჩვეული არიან ვიწროობას, უყვართ ეს ვიწროობა ერთი

ანდაზის მიხედვით: ვიწროობაში კაცი თავს უკეთ გრძნობსო. მათ ყველაფერი უხარიათ, და პეტრე ივანეს-ძის სიტყვით რომ ვთქვათ, თუნდაც შუალამისას მოამზადებენ ვახშამს. როგორც მისი დისწული შენიშნავს, ეს ნიშანი რუსების კარგ თვისებას შეადგენს. მაგრამ პეტრე ივანეს-ძე ამ აზრის სრულებით არ ეთანხმება. „ეს რა კარგი თვისებაა,—ამბობს იგი. — მოწყენილი არიან და ამიტომ ყოველი არააშადის გამოჩენა უხარიათ. მობრძანდი, მიირთვი რამდენიც გნებავს, ოღონდ როგორმე ჩვენი უსაქმურობა დაგვავიწყებდრო მოგვაკვლევინე და შენზედაც თვალი შეგვაავლებინე: ყოველ შემთხვევაში, რაღაც ახალი მაინც არის. საჭმელს კი არ დავინანებთ: ეს აქ არაფერი გვიღირსო... ყოვლად საზიზღარი თვისებაა!“ პეტრე ივანეს-ძემ ეს აზრი ცოტა მკაცრად გამოხატა, მაგრამ არც თუ მთლად უმართებულოდ. მართლაც, პროვინციული გულთბილობა და სტუმართმოყვარეობა: ყველაზე მეტად დამყარებულია უმოქმედობაზე, უსაქმურობაზე, მოწყენასა და ჩვეულებაზე. დედაქალაქელთა ძაღას პროვინციელები ზომავენ აჩა ადგილით, არა ურთიერთობით, არა გავლენით, არამედ ჩინით, და გულწრფელად დარწმუნებული არიან, რომ თუ ვინმეს ნამდვილი სახელმწიფო მრჩევლის წოდება აქვს, იგი უსათუოდ ყოვლისშემძლე პარია, რომელმაც საკმარისია მხოლოდ ერთი სიტყვა სთქვას, და მყისვე თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება პროცესი, რაც ორმოცდაათი წელი ჭიანურდებოდა, თქვენს შვილებს სასწავლებელში მიიღებენ, თქვენ კი სარფიან ადგილს, ჩინსა და ორდენს მოგცემენ. თქვენ დიდი სურვილი გაქვთ შეუსრულოთ მათ რაიმე თხოვნა, მაგრამ რადგან მისი შესრულება შეუძლებელია, უარს ეუბნებით, და აი — თქვენ ქვეყნად ყველაზე უზნეო ადამიანი ხართ, თქვენ გაამპარტავნით, ცხვირს მალლა სწევთ, პროვინციელები გეზიზღებათ. ხოლო მათი პირველი კარგი თვისება ის არის, რომ არავის წინაშე არ გაამპარტავდნენ, არავის ნაცნობობაზე უარი არა სთქვან და ყველასა და თითოეულისათვის სამსახურის გასაწევად მზად იყვნენ. მართალია, არსად არ არის ასეთი მედიდურო-

ბა, მანკვა-გრეხა, უფროსობისა, ჩინებისა და წოდებისათვის ანგარიშის გაწევა, მაგრამ საერთო მშვიდობისა და თანხმობისათვის საშიშ ამ მანკს იქ არბილებს სათნო მზადყოფნა—წელში მოიხარონ ისეთი ადამიანის წინაშე, რომელიც ერთი ჩინით მაინც მაღლა დგას, და ამავე დროს თავისი ღირსება არ შეიბღალღონ იმ კაცის წინაშე, ვინც ჩინით დაბლა დგას. იუმცალა, ეს თვისება დედაქალაქშიც სუფევს, მაგრამ უფრო დახვეწილი ფორმებით. პროვინციაში კი ეს კეწმარიტად არკადიული გულუბრყვილობით ხდება. „ე, ძმობილო (ეუბნება მდიდარი მემამულე ან დიდი მოხელე ღარიბ მემამულეს ან მოხელეს), შენ სულ დამივიწყე, ან ჩემი უკმაყოფილო ხარ, ან მასპინძლობას მიწუნებ. ვგონებ, შენთვის მუდამ მაქვს სუფრაზე ჯამი, შე ტაკიმასხარავ, შენა!“ ღარიბი ოდნავ გაწითლდება, ლულლულით მოიბოდიშებს და თავისი მფარველის წინაშე მოწიწებით დგას; მაგრამ თვალეებში კმაყოფილება უბრწყინავს: მან იცის, რომ სადაც ვანრისხებაა, იქ მოწყალეებაც არის, რომ ზოგ ლანძღვაში მეტი სიყვარულია, ვიდრე ზოგ ალერსში. „მაგრამ კარგი, მიპატიებია. ახლა წავიდეთ, პურ-მარილი მივიღოთ, სადილი მზადაა“. და ორივენი კმაყოფილი არიან: ერთი იმით, რომ ზუსტად შეასრულა პატრიარქალური სტუმართმოყვარეობის კანონები და ღარიბ კაცს ალერსიანად მოეპყრო; მეორე იმით, რომ მის თვალში ასეთმა დიდმა პირმა კარგად მიიღო და მიუაღერსა. და ამ ღარიბს სრულიად მისი თანასწორი ადამიანების საზოგადოებას ყოველთვის ურჩევნია არა მხოლოდ თავისი მიყრუებული კუთხის არისტოკრატების საზოგადოება, არამედ მასზე დაბალ ადამიანთა საზოგადოებაც, იმიტომ რომ იგი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავის ღირსებას, როდესაც მაღლა მდგომის წინაშე თავს იმცირებს და დაბლა მდგომის წინაშე იბღინძება. რა თქმა უნდა, ეს⁴⁷ სულაც არ შეეხება ყველა პროვინციელს. განათლებული, ჰკვიანი და ღირსეული ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ ისინი ყველგან უმცირესობას შეადგენენ, ჩვენ კი უმრავლესობაზე ვლაპარაკობთ. ადამიანის გარემომცველი წრის უმუშალო გავლენა მასზე

იმდენად ძლიერია, რომ საუკეთესო პროვინციელებისთვისაც კი პროვინციული ცრურწმენები უცხო არ არის, და დედაქალაქში რომ ჩამოდიან, ისინი პირველად იბნევიან. აქ მათთვის ყველაფერი უცნაურია, ყველაფერი სხვანაირია, ვიდრე პროვინციაში. იქ სადა, გულდია ცხოვრებაა; ყოველ დროს მიდიან ერთმანეთთან წინასწარ შეუტყობინებლად. მკზობელი მეზობელთან მიდის; შესასვლელ ოთახში ან არავინაა, ანდა ბინძურ ზანდუკზე წვევრაუპარსავ ლაქიას თუ ტანსაცმელ ჩამოფლეთილ ბიქს სძინავს, და სძინავს იმიტომ, რომ საქმე არაფერი აქვს, თუმცა სიბინძურე და სიმყარაღე, რაც მის გარშემოა, ორი დღის სამუშაოს მაინც გაუჩენდა. და აი, სტუმარი დარბაზში შედის — იქ არავინაა, სასტუმრო ოთახშიც არავინაა; იგი საწოლ ოთახში შედის — და იქ უცხად გაისმის შეკვივლება: „აჰ!“ სასიამოვნოდ შეცბუნებული სტუმარი ამბობს: „ბოდიში“, ნელნელა უკან იხევს სასტუმრო ოთახისაკენ, ვიღაც სწრაფად გამოდის მასთან, თავის ალტაცებას გამოსთქვამს მისი სტუმრობისათვის, და ორივენი იცინიან ამ სასიერო შემთხვევის გამო. აქ კი, დედაქალაქში, ყველა ჩაკეტილია, ყველგან ზარი ჰკიდია, უსათუოდ ყველგან შეგეკითხებიან: „ვინ ღრძანდებით, როგორ მოვახსენო?“; შემდეგ კი — ხან შინ არ არის, ხან უქეიფოდ არის, ხან ბოდიშს იხდიან — არა სცალიათ, ხოლო როცა მიგიღებენ, რა თქმა უნდა, მიგიღებენ თავაზიანად, მაგრამ მეტად ცივად, გულგრილად, არავითარი სითბო არაა, არც საუზმეზე მიგიწვევენ და არც სადილზე...

მაგრამ მივმართოთ „ჩვეულებრივი ისტორიის“ გმირს. მასში არის თავაზიანობისა და მართებულების გრძნობა. თუმცა იგი დარწმუნებული იყო, რომ ბიძა ალტაცებით მიიღებდა და თავის ბინაში მოათავსებდა, მაგრამ რაღაც ბუნდოვანმა გრძნობამ აიძულა სასტუმროში ჩამომხდარიყო. მას რომ ჰქონოდა ის კარგი ჩვეულება, რომ განესაჯა, თუ რა არის მასთან ყველაზე ახლოს, იგი ჩაუფიქრდებოდა იმ ბუნდოვან გრძნობას, რომელმაც აიძულა სასტუმროში მისულიყო და არა პირდაპირ ბიძის ბინაზე, და მალე მიხვდებოდა,

რომ არავითარი მიზეზით არ უნდა ჰქონოდა ბიძისაგან სხვა-ნაირი მიღების იმედი, გარდა გულცივი ალერსიანი მიღებისა, და რომ არავითარი უფლება არ ჰქონდა მის ბინაში ეცხოვრა. მაგრამ, საუბედუროდ, იგი შეჩვეული იყო მხოლოდ სიყვარულზე, მეგობრობასა და სხვა მადლ და შორეულ საგნებზე მსჯელობას და ამიტომაც ბიძამისთან ისე მივიდა, როგორც თავით ფეხთამდე პროვინციელი. ბიძის ჰკუთითა და სალი აზრით აღსაყვ სიტყვებმა მას ვერაფერი გააგებინა და მასზე მხოლოდ მძიმე, სევდიანი * შთაბეჭდილება მოახდინა, აიძულა იგი რომანტიკული ტანჯვა განეცადა. იგი სამგზის რომანტიკოსი იყო: ბუნებით, აღზრდითა და ცხოვრების გარემოებებით, მაშინ როდესაც ამ მიზეზთაგან ერთიც კი საკმარისია იმისათვის, რომ წესიერ ადამიანს გზაკვალი აუბნოს და უამრავი სისულელე ჩაადენინოს. ზოგს ჰგონია, რომ იგი არანიეთობრივ ურთიერთობათა თავისი ნიეთობრივი ნიშნებითა და სხვა მეტისმეტად ბავშვური მოქმედებით არც თუ მთლად წარმოსადგენი პირია, განსაკუთრებით ჩვენს დროში. არ ვდავობთ: ამ შენიშვნაში, შესაძლოა, სიმართლის ნატაძალი იყოს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ახალგაზრდა ადუევის ხასიათის სრული გამოხატულება, აქ კი არ უნდა ვეძიოთ. არამედ მის სასიყვარულო თავგადასავალში. იგი მთლიანად ამ თავგადასავალშია მოცემული, აქ იგი წარმომადგენელია მრავალი ადამიანისა, რომლებიც მას ორი წვეთი წყალივით ჰგვანან და ნამდვილად მოიპოვებიან ამ ქვეყნად. რამდენიმე სიტყვას ვიტყვით ამ არა ახალ, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ საინტერესო მოდგმაზე, რომელსაც ეს რომანტიკოსი ახალგაზრდა ეკუთვნის.

ეს არის იმ ადამიანთა მოდგმა, რომელთაც ბუნება ჭარბად ანდჰებს ნერვიულ გრძნობიერებას, რაც ხშირად ავადმყოფურ გაღიზიანებამდე (susceptibilité) მიდის. ისინი ადრე ამქლავნებენ გაურკვეველ შეგრძნებათა და გრძნობათა მახვილ გაგებას, უყვართ მათთვის თვალყურის დევნება, მათზე დაკვირვება და ამას შინაგანი ცხოვრებით განცხრომას უწოდებენ. ამიტომ ისინი ერთობ მეოცნებენი არიან და

უყვართ ან განმარტობა, ან რჩეულ მეგობართა წრე, რომლებთანაც შეუძლიათ ილაპარაკონ თავის შეგრძნებებზე, გრძნობებსა და აზრებზე, თუმცა მათ ისევე ცოტა აზრები აქვთ, როგორც ბევრი შეგრძნება და გრძნობა. საერთოდ ისინი ბუნებას უხვად დაუჯილდობია სულიერი უნარით, მაგრამ მათი უნარის მოქმედება წმინდა პასიურია. ზოგ მათგანს ბევრი რამ გაეგება, მაგრამ არც ერთს არ შეუძლია რა-ღმე აკეთოს, შექქმნას; იგი ოდნავ მუსიკოსია, ოდნავ მხატვარი, ოდნავ პოეტი, გაჭირვების დროს ოდნავ კრიტიკოსი და ლიტერატორიც კი არის, მაგრამ ყველა ეს ნიჭი მასში ისეთია, რომ მით არათუ დიდების ან სახელის მოხვეჭა, არამედ საშუალო ღირსების შინაარსის შემუშავებაც კი არ შეუძლია. ყველა გონებრივ უნართაგან მათში¹⁴ ძლიერ ვითარდება წარმოსახვა და ფანტაზია, მაგრამ არა ის ფანტაზია, რომლის მეშვეობითაც პოეტი ჰქმნის, არამედ ის ფანტაზია, რომელიც ადამიანს აიძულებს ცხოვრების ნამდვილი სიკეთით დატკობას ცხოვრების სიკეთეზე ოცნებით დატკობა ამჯობინოს. ამას ისინი უწოდებენ უმაღლესი სიცოცხლით ცხოვრებას, რაც საზიზღარი ბრბოსთვის მიუწვდომელია, უწოდებენ აღმაფრენას, მაშინ როდესაც საზიზღარი ბრბო უბადრუკად ბოგინობს მიწაზე. ისინი ბუნებით მეტად კეთილი, სიმპათიური არიან, შეიძლება სულგრძელი მისწრაფებები ჰქონდეთ, მაგრამ ვინაიდან მათში გონებასა და გულს ფანტაზია სძლევს, ისინი მალე მიდიან შეგნებულ ზიზღამდე „უხამსი აზრის მიმართ, რაც, მათი აზრით, იმ მატერიალურ, ტლანქ და არარა ადამიანთა ღირსებაა, რომლებსთვისაც არ არსებობს მაღალი და მშვენიერი“. მათ გულს, რომლის ინსტინქტებსა და მისწრაფებებს განუწყვეტლივ სთურგნავს მათი ნებისყოფა, ფანტაზიის მეოხებით, მალე ელევა სიყვარული, და ისინი საშინელ ეგოისტებად და დესპოტებად იქცევიან ისე, რომ ამას თვითონ ვერც კი ამჩნევენ, არამედ, პირიქით, კეთილსინდისიერად სჯერათ, რომ ყველაზე მოყვარული და თავდადებული ადამიანები არიან. რადგან ბავშვობისას თავიანთი უნარის ნაადრევი და სწრაფი განვითარე-

ბით ყველას აკვირებდნენ და რამდენადაც თავიანთი ღირსებებით, იმდენადვე თავიანთი ნაკლოვანებებითაც ძლიერ გავლენას ახდენდნენ თავიანთ ტოლებზე, რომელთაგან ზოგი მათზე გაცილებით მაღლა იდგა, — ბუნებრივია, რომ აღრეული წლებიდანვე მათ მეტისმეტად აქებდნენ და ამიტომ თავის თავზე მაღალი წარმოდგენა შეიმუშავეს. ბუნებამ ისედაც იმაზე გაცილებით მეტი თავმოყვარეობა უბოძა მათ, ვიდრე ეს საჭიროა ადამიანის ცხოვრების ეკლიბრისათვის, და განა საკვირველია, რომ იოლი და ნაკლებად დამსახურებული ბრწყინვალე წარმატებანი წარმოუდგენლად აძლიერებენ მათს თავმოყვარეობას? მაგრამ თავმოყვარეობა მათში ყოველთვის ისეა შენიღბული, რომ მათ კეთილსინდისიერად ჰგონიათ, თრთქოს ასეთი რამ არც კი გააჩნდეთ, გულწრფელად მიაჩნიათ ის გენიალურ მისწრაფებად დიდებისადმი, ყოველივე დიადისა, მაღალისა და მშვენიერისადმი. ისინი დიდხანს უანგარიშოდ გატაცებულნი არიან სამი სანუკვარი იდეით; ესაა — დიდება, მეგობრობა და სიყვარული. არაფერი დანარჩენი მათთვის არ არსებობს; დანარჩენი, მათი აზრით, საზიზღარი ბრბოს კუთვნილებს. ყოველგვარი დიდება მათთვის თანაბრად მომხიბლველია, და თავდაპირველად ისინი დიდხანს ყოყმანობენ, რა გზას დაადგენ დიდების მისაღწევად. მათ აზრადაც არ მოსდით, რომ ვინც თავის თავს დიდების ყველა სარბიელზე ერთნაირად გამოსადეგად სთვლის, ის არც ერთ სარბიელზე არ გამოდგება. რომ ყველაზე დიდი ადამიანები თავის გენიალობას მხოლოდ მას შემდეგ შეიტყობდნენ, როცა ჯერ რასმე მართლაც დიდსა და გენიალურს გააკეთებდნენ, და ამას შეიტყობდნენ არა საკუთარი შემეცნებით, არამედ ხალხის მოწონებისა და აღტაცების შეძახილებით. და აი, მათ ხიბლავს სამხედრო დიდება, ძალიან სურთ ნაპოლეონები გახდნენ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მათ პირველი შემთხვევისთვის ჩააბარონ თუნდაც მცირე, თუნდაც ასათასიანი არმია, რათა შესძლონ მყისვე დაიწყონ ბრწყინვალე გამარჯვებათა მოპოვება. მათ სამოქალაქო დიდებაც იტაცებს, მაგრამ მხო-

ლოდ იმ პირობით, რომ პირდაპირ მინისტრები გახდნენ და მყისვე გარდაჰქმნან სახელმწიფო (მათ თავში მუდამ გამზადებული აქვთ ჩინებული პროექტები ყოველგვარი რეფორმისათვის, საჭიროა მხოლოდ დაჯდომა და დაწერა). მაგრამ რადგან ადამიანთა შურმა ასეთი გენიალური ნახტომები აძგვარი გენიალური ადამიანებისათვის შეუძლებელი გახადა და მოითხოვს, რომ ყოველმა ადამიანმა თავისი პოლვანობა თავიდან დაიწყოს და არა ბოლოდან, საქმით და არა მხოლოდ სიტყვებით დაამტკიცოს თავისი გენიალობა, ამიტომ ჩვენი ძალად გენიოსები მალე დიდების სხვა გზებს მიმართავენ. ისინი ზოგჯერ მეცნიერებასაც ჩაებლაუჭებიან, მაგრამ მცირე ხნით: მშრალი და მოსაწყენი სფეროა. ბევრი უნდა ისწავლო, ბევრი იმუშაო და გულისა და ფანტაზიისათვის არავითარი საზრდო არ არის. რჩება ხელოვნება. მაგრამ რომელი აირჩიოს? არქიტექტურა, სკულპტურა, ფერწერა და მუსიკა არავითარი გენიოსისათვის მისაწვდომი არაა ისე, თუ მძიმე და ხანგრძლივი შრომა არ გასწია, და — რაც ყველაზე ცუდი და საწყენია რომანტიკოსებისათვის — თავდაპირველად ეს წმინდა მატერიალური და მექანიკური შრომაა. რჩება პოეზია — და აი, ისინი გამალებით მიეშურებიან მისკენ, და თუმცა ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებიათ, თავიანთ ოცნებაში პოეტური დიდების ცეცხლოვანი შარავანდელით იმოსავენ თავს. მათი მთავარი შეცდომაა ჯერ კიდევ არც მთლად შეუსაბამო რწმენა, რომ პოეზიაში საჭიროა მხოლოდ ნიჭი და ზეშთაგონება, რომ ვინც პოეტად დაიბადა, მას არაფრის სწავლა და ცოდნა არ სჭირდება: ვისაც მართლაც დიდი ნიჭი აქვს, იგი თვით ნიჭის მეოხებით მალე მიხვდება ამ აზრის შეუსაბამობას და ყველაფრის შესწავლას დაიწყებს, ყველაფერს ყურს დაუგდებს და დააკვირდება. არა, მათი მთავარი და დამლუპველი შეცდომა ის არის, რომ მათ თავისი თავი დაარწმუნეს თავის პოეტურ მოწოდებაში, როგორც უთუო ჭეშმარიტებაში, შეისისხლხორცეს ეს საუბედურო აზრი, ასე რომ ახლა აქ იმედის გაცრუება მათთვის

მას ნიშნავს, რომ საკუთარი თავისა და ცხოვრების ყოველ-
 ვვარი რწმენა დაჰკარგონ, და ახალგაზრდობაშივე დამბლა-
 დაცემულ მოხუცებად იქცნენ. და აი ჩვენი რომანტიკოსი
 ლექსების წერას იწყებს და მათში ამბობს იმას, რაც მასზე
 დიდი ხნით ადრე სთქვეს როგორც დიდმა, ისე პატარა პოე-
 ტებმა და სრულიად არაპოეტებმაც კი. იგი ამ ლექსებში
 უგალობს თავის ტანჯვას, რაც არ განუცდია, ლაპარაკობს
 თავის ბუნდოვან იმედებზე, რომლებიდანაც მხოლოდ ის
 ჩანს, რომ მან თვითონ არ იცის რა უნდა; მხურვალედ 'შლის
 ხელებს, რათა გადაეხვიოს მოძმე ადამიანებს და უნდა ერთ-
 ბაშად ჩაიკრას გულში მთელი კაცობრიობა, ან მწარედ სჩი-
 ვის, რომ ბრბომ გულცივად შეაქცია ზურგი მის ძმური სიყ-
 ვარულით გაშლილ ხელებს. საბრალოს არ ესმის, რომ იმის-
 თვის, ვინც კაბინეტში ზის, მეტად ადვილია ერთბაშად აენ-
 თოს კაცობრიობისადმი მგზნებარე სიყვარულით, ყოველ
 შემთხვევაში, ეს გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე თუნდაც
 ერთი უძილო ღამის გატარება მძიმე ავადმყოფის⁵⁰ საწოლ-
 თან. რომანტიკოსები ჩვეულებრივად საშინლად აფასებენ
 გრძნობას, ფიქრობენ, რომ მხოლოდ მარტო ისინი არიან და-
 ჯილდოებულნი ძლიერი გრძნობებით, სხვები კი ამას მოკ-
 ლებულები არიან, იმიტომ რომ თავიანთ გრძნობებზე არ გაჰ-
 ყვირიან. გრძნობა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი მხარეა
 ადამიანის ბუნებაში, მაგრამ არა ყველანი და არა ყოველ-
 თვის იქცევიან ცხოვრებაში თავისი ღრმა და ძლიერი გრძნო-
 ბიერების უნარის შესაბამისად. ისეც ხდება ხოლმე, რომ ზო-
 გიერთი, რაც უფრო მძლავრად გრძნობს, მით უფრო გულ-
 გრილად ცხოვრობს: ლექსების წაკითხვისას, მუსიკის მოს-
 მენისას, რომანში ან მოთხრობებში ადამიანის გაჭირვების
 ცხოველი გამოხატვის შემთხვევაში ქვითინებს, ხოლო გულ-
 ცივად ჩაუვლის ნამდვილ ტანჯვას, რასაც ადამიანი მის
 თვალწინ განიცდის. [ზოგიერთი მოურავი, გერმანელთაგან,
 თვალზე ალტაცების ცრემლებმომდგარი უკითხავს თავის
 მინხენს შილერის რომელიმე ალტაცებულ ბარათს ლხურა-
 სადმი, ხოლო უკანასკნელ ლექსს რომ დაასრულებს, არანაკ-

ლები კმაყოფილებით მიდის გლეხების გასამათრახებლად იმიტომ, რომ მათ ვაბედეს და თავიანთ მოწყალე ბატონს მორცხვად აგრძნობინეს, რომ ისინი არც თუ მთლად კმაყოფილნი არიან მოურავის მამობრივი მზრუნველობით მათი კეთილდღეობისათვის, რადგან ამ მზრუნველობით მარტოდენ მოურავი სუქდება, ისინი კი სულ უფრო და უფრო მქლევდებიან]. — ჩვენი რომანტიკოსის ლექსები მწყობრი და ბრჭყვიალაა, მათ პოეტური დამუშავებაც კი არ აკლია; თუმცა მათში რიტორიკული წყალიც ბევრია, მაგრამ აქა-იქ გამოსჭვივის გრძნობა, ზოგჯერ კი აზრიც გაიფლავებს (როგორც სხვისი აზრის გამოძახილი), — ერთი სიტყვით, შესამჩნევია ნიჭის მსგავსი რაღაც. მისი ლექსები იბეჭდება ჟურნალებში, მათ ბევრი აქებს; ხოლო თუ იგი ამ ლექსებით ლიტერატურის გარდამავალ ეპოქაში გამოჩნდება, მან შეიძლება მნიშვნელოვანი სახელიც კი მოიხვეჭოს. მაგრამ ლიტერატურის გარდამავალი ეპოქები ასეთი პოეტებისათვის განსაკუთრებით დამღუპველია: მათი სახელი, რაც მოკლე ხანში მოიხვეჭეს რითლაც, ასევე მოკლე ხანში ჰქრება პირდაპირ არაფრისაგან; მათ ლექსებს ჯერ აღარ აქებენ, შემდეგ აღარ კითხულობენ, ხოლო ბოლოს აღარც ბეჭდავენ. მაგრამ ახალგაზრდა აღუევმა ვერ შესძლო წამიერად მაინც დამტკბარიყო თუნდაც ყალბი სახელით: მას ამის საშუალება არ მისცა [არც] ხანამ, რომელშიც იგი თავისი ლექსებით გამოვიდა, და არც ჰკვიანმა, გულახდილმა ბიძამ. მისი უბედურება იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ იგი უნიჭო იყო, არამედ იმაში, რომ მას ტალანტის ნაცვლად ნახევრად ტალანტი ჰქონდა, რაც პოეზიაში უნიჭობაზე უარესია, იმიტომ რომ აღამიანს ყალბი იმედებით იპყრობს და იტაცებს. თქვენ გახსოვთ, რა მძიმედ განიცადა მან თავის პოეტურ მოწოდებაზე იმედის გაცრუება...

მეგობრობაც ძვირად უჯდებათ რომანტიკოსებს. ყოველი გრძნობა, ჭეშმარიტი რომ იყოს, უწინარეს ყოვლისა ბუნებრივი და უბრალო უნდა იყოს. მეგობრობა ზოგჯერ ხაათების მსგავსების გამო მყარდება, ხანდახან კი მათი წი-

ნააღმდეგობის შედეგია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იგი უნებლოე გრძნობაა, სახელდობრ იმიტომ, რომ თავისუფალი გრძნობაა; მას გული მართავს და არა ჭკუა და ნებისყოფა. არ შეიძლება მეგობარს ეძებდე, როგორც სამუშაოს მოიჯარადრეს, არ შეიძლება მეგობარი აირჩიო; მეგობრებად შემთხვევით და შეუძინველად ხდებიან; ჩვეულება და ცხოვრების გარემოებანი განამტკიცებენ მეგობრობას. ჭეშმარიტი მეგობრები მათს შემაერთებელ სიმპათიას სახელს არ არქმევენ, მასზე განუწყვეტლივ არ ლაყობენ, არაფერს არ სთხოვენ ერთიმეორეს მეგობრობის გულისათვის, მაგრამ ერთმანეთისათვის აკეთებენ იმას, რაც შეუძლიათ. ყოფილა მაგალითები, რომ მეგობარს თავისი მეგობრის სიკვდილი ვერ აუტანია და მის შემდეგ მალე მომკვდარა; ზოგი კი თავისი მეგობრის დაკარგვის გამო შხიარული ადამიანიდან სამუდამოდ მელანქოლიკად იქცევა, ხოლო ზოგი იჯავრებს, ერთხანს იდარდებს და დამშვიდდება, მაგრამ თუ მან სამუდამოდ შეინახა ხსოვნა და ეს ხსოვნა მისთვის ერთსა და იმავე დროს სამწუხაროც იქნება და საამოც, — იგი გარდაცვლილის ჭეშმარიტი მეგობარი ყოფილა, თუმცა მისი დაკარგვით თვითონ არათუ არ მომკვდარა, არათუ არ გაგიჟებულა, არათუ მელანქოლიკი არ გამხდარა, არამედ იმისთვისაც კი უპოვნია ძალა, რომ ცხოვრებაში უმეგობროდაც საკმაოდ ბედნიერი ყოფილიყო. მეგობრობის ზომა და ხასიათი დამოკიდებულია მეგობრების პიროვნებაზე; აქ მთავარი ის არის, რომ ურთიერთობაში არაფერი იყოს ნაძალადევი, დაძაბული, აღტაცებული, არაფერი იყოს მოვალეობისა და ვალდებულების მსგავსი, თორემ ზოგიერთი ღმერთმა უწყის რანაირად არ დასდებს თავს თავისი მეგობრისათვის, რათა საკუთარ თავს, ხანდახან კი სხვებსაც უთხრას: „აი, როგორი ვარ მეგობრობაშიო!“ ანდა: „აი, რა მეგობრობა შემიძლიაო!“ აი სწორედ ამგვარ მეგობრობას ეთაყვანებიან რომანტიკოსები. ისინი მეგობრობენ წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით, სადაც ზუსტად არის განსაზღვრული მეგობრობის არსი, უფლებები და მოვალეობანი; ისლა აკლიათ, რომ კონ-

ტრაქტები დასდონ თავიანთ მეგობრებთან. მათ მეგობრობა იმისთვის სჭირდებათ, რომ ქვეყანა გააკვირონ და დაანახონ მას, თუ როგორ განსხვავდებიან დიდი ბუნების ადამიანები მეგობრობაში ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, ბრბოსაგან. მათ მეგობრობისაკენ იზიდავს არა იმდენად სიმპათიის მოთხოვნილება¹, რაც ესოდენ ძლიერია ახალგაზრდობის წლებში, რამდენადაც იმის მოთხოვნილება, რომ გვერდით ჰყავდეთ ადამიანი, რომელსაც განუწყვეტლივ შეუძლიათ ელაპარაკონ თავიანთ ძვირფას პიროვნებაზე. მათი ძალადი სტილით რომ გამოეთქვათ. მათთვის მეგობარი ძვირფასი საწყაულია. რომელსაც უნდა გადაუშალონ უძვირფასესი და ღანუკვარი გრძნობები, აზრები, იმედები, ოცნება და სხვა, მაშინ როდესაც ნამდვილად მათ თვალში მეგობარი ვარცლია. რომელშიც ისინი თავიანთი თავმოყვარეობის ნარეცხს ღვრიან. სამაგიეროდ ისინი არც იცნობენ მეგობრობას, იმიტომ რომ მათი მეგობრები მალე გამოდგებიან ხოლმე უმადურნი², მზაკვარნი, მტარვალნი. და ისინი კიდევ უფრო მეტად გაბოროტებულნი არიან იმ ადამიანებზე, რომლებმაც ვერ შესძლეს და არც ისურვეს მათი გაგება და დაფასება...

სიყვარული მათ კიდევ უფრო ძვირად უჯდებათ, იმიტომ რომ ეს გრძნობა თავისთავად სხვებზე უფრო ცხოველი და ძლიერია. ჩვეულებრივად სიყვარულს მრავალ გვარად და სახედ ჰყოფენ; ყველა ეს დაყოფა მეტწილად უაზროა, იმიტომ რომ გამოგონილია იმ ადამიანთა მიერ, რომლებსაც სიყვარულზე ოცნება და მსჯელობა უფრო შეუძლიათ, ვიდრე თვით სიყვარული. უწინარეს ყოვლისა სიყვარულს ჰყოფენ მატერიალურ ანუ გრძნობიერ და პლატონურ ანუ იდეალურ სიყვარულად, პირველი ეზიზღებათ და მეორით აღტაცებული არიან. [მართლაც, არიან იმდენად ტლანქი ადამიანები, რომ შეუძლიათ სიყვარულის მხოლოდ ცხოველური სიამოვნება განიცადონ და სილამაზესა და ახალგაზრდობაზე არც კი იზრუნონ; მაგრამ ეს სიყვარულიც კითხმაცა ძალიან უხეში, მაინც სჯობს პლატონურ სიყვარულს. იმიტომ რომ მასზე უფრო ბუნებრივია: პლატონური სიყვა-

რული კარგია მხოლოდ აღმოსავლური ჰარამხანების მცველთათვის...] ადამიანი არც მხეცია და არც ანგელოზი; მას უნდა უყვარდეს არა ცხოველურად და არა პლატონურად, არამედ ადამიანურად. სიყვარულის რანაირ იდეალიზაციასაც უნდა ახდენდნენ, აბა როგორ არ უნდა დავინახოთ, რომ ბუნებამ ადამიანები ამ ძვირფასი გრძნობით დააჯილდოვა იმდენადვე მათი ბედნიერებისათვის, რამდენადაც [აგრეთვე] ადამიანის მოდგმის გამრავლებისა და შენარჩუნებისათვის. სიყვარული ისევე მრავალგვარია, როგორც მრავალია დედამიწაზე ადამიანი, იმიტომ რომ თითოეულს უყვარს თავისი ტემპერამენტისა, ხასიათისა, წარმოდგენებისა და სხვ. შესაბამისად. და ყოველი სიყვარული თავისებურად ქეშმარიტი და მშვენიერია, ოღონდ კი იგი გულში იყოს და არა გონებაში.) მაგრამ რომანტიკოსები განსაკუთრებით დახარბებულნი არიან სიყვარულზე, რომელიც გონებიდან წარმოსდგება. ისინი ჯერ ადგენენ სიყვარულის პროგრამას, შემდეგ ეძებენ თავის შესაფერ ქალს, ხოლო ვიდრე ასეთი არა ჩანს, ჯერჯერობით რომელიმე ქალი უყვართ; მათთვის 'არაფერს' არ ნიშნავს უბრძანონ თავის თავს უყვარდეს, ისინი ხომ ყველაფერს გონებით აკეთებენ და არა გულით. მათ სიყვარული ესაჭიროებათ არა ბედნიერებისათვის, არა სიამოვნებისათვის, არამედ სიყვარულის თავიანთი მაღალი თეორიის საქმით გამართლებისათვის. და მათ უყვართ რვეულის ჩანაწერის მიხედვით და ყველაზე მეტად აშინებთ თავიანთი პროგრამის თუნდაც ერთი პარაგრაფიდან გადახვევა. მათი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ სიყვარულში გამოჩნდნენ დიდ ადამიანებად და არაფრით არ დაქვეითდნენ ჩვეულებრივ ადამიანებთან მსგავსებამდე. და მაინც ახალგაზრდა აღუევის სიყვარულში ნადენკასადმი დიდი, ქეშმარიტი და ცხოველი გრძნობა იყო; ბუნებამ დროებით ჩააჩუმა, მაგრამ ვერ დაამარცხა მისი რომანტიზმი. მას შეეძლო დიდხანს ყოფილიყო ბედნიერი, მაგრამ მხოლოდ ერთ წუთს იყო, იმიტომ რომ ყველაფერი თვითონ გააფუჭა. ნადენკა მასზე ჰკვიანი, ხოლო, რაც მთავარია, უფრო სადა და ბუნებრივი

იყო. თავისნება, განებიერებულ ბავშვს, ნადენკას აღუევი უყვარდა გულით და არა გონებით, უყვარდა უთეორიოდ და გენიალობაზე უპრეტენზიოდ; ნადენკა სიყვარულში მხოლოდ მის ნათელ და სასიხარულო მხარეს ხედავდა, და ამიტომ თითქოს ხუმრობით უყვარდა: ცელქობდა, კეკლუტობდა, თავისი ყინიანობით აჯაყრებდა აღუევს. მაგრამ აღუევს უყვარდა „სევდიანად და მძიმედ“, სული ეხუთებოდა, ქაფი გასდიოდა, როგორც ცხენს, რომელიც აღმართზე მძიმე ტვირთს მიათრევს. როგორც რომანტიკოსი, აღუევი პედანტიც იყო: სიმსუბუქე, ხუმრობა მის თვალში შეურაცხყოფდა სიყვარულის წმინდა და მაღალ გრძნობას. რაკი უყვარდა, მას სურდა თეატრალური გმირი ყოფილიყო. მალე მან ნადენკასთან თავის გრძნობებზე რამდენჯერმე წაშროშა ყველაფერი, საჭირო გახდა ძველის განმეორება, ხოლო ნადენკას უნდოდა, რომ აღუევს დაეპყრო არა მხოლოდ გული მისი, არამედ გონებაც, იმიტომ რომ ნადენკა მკვარცხლი, შთაბეჭდილებიანი იყო და სიახლე სწყუროდა; ყოველივე ჩვეულებრივი და ერთფეროვანი მას მალე მოებზრდა. მაგრამ სააწინაოდ აღუევი ქვეყნად ყველაზე უუნარო ადამიანი იყო, იმიტომ რომ მის საკუთარ გონებას ღრმა და საუკუნო ძალით ეძინა: იგი თავს დიდ ფილოსოფოსად სთვლიდა და კი არ აზროვნებდა, არამედ ოცნებობდა, ცხადლივ ბოდავდა. თავისი სიყვარულის საგნისადმი ასეთი დამოკიდებულების პირობებში ყოველი მეტოქე მისთვის საშიში იყო,—თუნდაც იგი აღუევზე ცუდი ყოფილიყო, ოღონდ კი მას არ დამსგავსებოდა და ნადენკასათვის სიახლის სიმშვენეიერე ჰქონოდა. ხოლო აქ უცბად გამოჩნდება გრაფი, ბრწყინვალე მაღალი განათლების მქონე ადამიანი. აღუევმა, რომელიც ფიქრობდა გრაფის მიმართ ჭეშმარიტ გმირად გამოჩენილიყო, სწორედ ამით თავი გამოიჩინა, როგორც სულელმა, ცუდად აღზრდილმა ბიჭმა, და ამით მთლად გააფუჭა საქმე. ბიჭამ მას აუხსნა, მაგრამ გვიან და მისთვის უსარგებლოდ, რომ მთელ ამპისტორიაში დამნაშავე მხოლოდ თვითონ იგი იყო. რა სა-

ცოდავია ეს უბედური მოწამე თავისი მახინჯი და შეზღუდული ბუნებით თავის უკანასკნელ სცენაში ნადენკასთან და შემდეგ საუბარში ბიძასთან! მისი ტანჯვა აუტანელია; მას არ შეუძლია არ დაეთანხმოს ბიძის მოსაზრებებს და, ამავდროულად, მაინც ვერ გაუგია საქმის ნამდვილი არსი. როგორ! მან ისე დაიმციროს თავი, რომ ეგრეთწოდებულ ცბიერებას მიმართოს, მან, რომელმაც სწორედ იმითომ შეიყვარა, რომ თავისი თავი და ქვეყნიერება თავისი უზარმაზარი ვნებით განეცვიფრებინა, თუმცა ქვეყნიერებას აზრადაც არ მოსვლია ეზრუნა მასზე ან მის სიყვარულზე! მისი თეორიის მიხედვით, ბედს მისთვის ისეთივე დიდი გმირი ქალი უნდა მოეველინებინა; როგორც თვითონ იგი იყო, ხოლო ნაცვლად ამისა მოუვლინა ქარაფშუტა გოგო, უსულგულო კოპწია არსება! ნადენკა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მის თვალში ყველა ქალზე მაღლა იდგა, ახლა უცბად ყველაზე დაბლა დაეშვა! ყოველივე ეს მეტად სასაცილო იქნებოდა, ასე. საეალალო რომ არ იყოს. ყალბი მიზეზები ისეთსავე მწვავე ტანჯვას იწვევს, როგორსაც ქეშმარიტი მიზეზები. მაგრამ აი სასტიკი სასოწარკვეთილებიდან იგი თანდათანობით გადავიდა გულცივ მკმუნვარებამდე, და როგორც ქეშმარიტმა რომანტიკოსმა, „თავისი მოხდენილი დარდით“ კოპწიობა და პრანჭვა დაიწყო. გავიდა ერთი წელიწადი, და მას უკვე ეზიზღება ნადენკა, ამბობს, რომ ნადენკას სიყვარულში სრულებით არ იყო გმირობა და თავგანწირვა. ბიცოლას შეკითხვაზე: როგორ სიყვარულს მოსთხოვდი ქალსო?, — იგი ასეთ პასუხს იძლეოდა: „მე ქალს მოვთხოვდი პირველობას მის გულში; საყვარელი ქალი ჩემს გარდა სხვა მამაკაცს არ უნდა ამჩნევდეს, არ უნდა ხედავდეს; ყველა ისინი მას აუტანლად უნდა მიაჩნდეს; ზარტო მე ვდგევარ ყველაზე მაღლა, მე ვარ ყველაზე მშვენიერი (აქ იგი წელში გასწორდა), უკეთესი და უკეთილშობილესი. ყოველი წამი, რომელიც ჩემთან არ გაუტარებია, მისთვის დაკარგული წამია; ჩემს თვალეში, ჩემს საუბარში უნდა კპოვოს მან ნეტარება და სხვა ნეტარება არ იცოდეს; ჩემი გულისთვის მან მსხვერპ-

ლად უნდა გაიღოს ყველაფერი: საზიზღარი სარგებლობა, ანგარიში, თავიდან მოიშოროს დესპოტური უღელი დედისა, ქმრისა, თუ საჭიროა გაეშუროს ცხრა მთას იქით, ენერგიულად აიტანოს ყოველგვარი გაჭირვება, და, ბოლოს, თვით სიკვდილიც არაფრად ჩააგდოს, — აი სიყვარული!”

რარიგ ჰგავს ეს აბდაუბდა აღმოსავლეთელი დესპოტის სიტყვებს, რომელიც თავის უფროს საჭურისს ეუბნება: „თუ ერთ-ერთმა ჩემმა ხასამ ძილში წარმოსთქვა მამაკაცის სახელი, რომელიც ჩემი სახელი არ იქნება, — მაშინვე ტომარაში ჩასვი და ზღვაში გადაუძახე!“ საბრალო მეოცნებე დარწმუნებულია, რომ მისი სიტყვებით გამოიხატა ვნება, რომელიც მხოლოდ ნახევრადღმერთებს შეუძლიათ და არა უბრალო მომაკვდავთ; აქ კი გამოიხატა მხოლოდ ყველაზე აღვირახსნილი თავმოყვარეობა და უსაზიზღრესი ეგოიზმი. მას ესაჭიროება არა სატრფო, არამედ მხევალი, რომელსაც იგი დაუსჯელად აწამებდა თავისი ეგოიზმისა და თავმოყვარეობის კაპრიზებით. ვიდრე ქალს ასეთ სიყვარულს მოსთხოვდა, იგი თავის თავს უნდა შეჰკითხებოდა, შეუძლია თუ არა თვითონაც ასეთივე სიყვარული მიუზღოს; გრძნობა მას არწმუნებდა, რომ შეუძლია, მაშინ როდესაც ამ შემთხვევაში არ შეიძლება ვერწმუნოთ არც გრძნობა და არც გონებას, ირამედ მხოლოდ გამოცდილებას; მაგრამ რომანტიკოსებისათვის გრძნობა ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში ერთადერთი უცოდველი ავტორიტეტია. მაგრამ მას ასეთი სიყვარული კიდევ რომ შესძლებოდა, ეს მისთვის სიყვარულის მიმართ შიშისა და მისგან გაქცევის მიზეზი უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ეს არის არა ადამიანური, არამედ პირუტყვეული სიყვარული, ერთიმეორის ტანჯვა. სიყვარული თავისუფლებას მოითხოვს; შეყვარებულებს, რომლებიც დროდადრო ერთმანეთს ეკუთვნიან, ასევე სურთ ხანდახან თავის თავსაც ეკუთვნოდნენ. აღუევი მარადიულ სიყვარულს მოითხოვს, მას არ ესმის, რომ რაც უფრო ცხოველი და მგზნებარეა სიყვარული, რაც უფრო უახლოვდება პოეტების

საყვარელ იდეალს, მით უფრო ხანმოკლეა ის⁵¹, მით უფრო მალე ნელდება და გულგრილობად, ხოლო ზოგჯერ ზიზლადაც კი იქცევა. და, პირიქით, რაც უფრო მშვიდი და წყნარია, ე. ი. რაც უფრო პროზაულია სიყვარული, მით უფრო ხანგრძლივია: მიჩვევა მას სამუდამოდ განამტკიცებს. პოეტური, მგზნებარე სიყვარული ჩვენი ცხოვრების, ჩვენი სიკბუჯის ყველია; ასეთ სიყვარულს იშვიათად თუ ვინმე განიცდის და ისიც სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ, თუმცა შემდეგ ზოგს კიდევ რამდენჯერმე უყვარს, მაგრამ უკვე არა პირვანდულად, იმიტომ რომ, როგორც გერმანელმა პოეტმა სტევა, სიცოცხლის მაისი მხოლოდ ერთხელ ჰყვავის⁵². შექსპირმა ტყუილად როდი დაამთავრა თავისი ტრაგედია რომეოს და იულიას სიკვდილით: ამით ისინი მკითხველის მეხსიერებაში სიყვარულის გმირებად, მის აპოთეოზად რჩებიან; ხოლო შექსპირს რომ ისინი ცოცხალი დაეტოვებინა, ისინი წარმოგვიდგებოდნენ ბედნიერ მეუღლეებად, რომლებიც, როცა ერთად სხედან, ამტკნარებენ, ხოლო ზოგჯერ კიდევ წაიხზებებენ, რაშიაც სულაც არ არის პოეზია.

მაგრამ აი ბედმა ჩვენს გმირს სწორედ ასეთი ქალი არგუნა, ე. ი. ისეთივე, როგორიც თვითონ არის, წამხდარი ქალი, უკულმა გადმობრუნებული გულითა და ტვინით. თავდაპირველად აღუევი ჩაფლული იყო ნეტარებაში, ყველაფერი დაივიწყა, ყველაფერი მიატოვა, დილიდან შუალამემდე ყოველდღე მასთან იჯდა. რაში მდგომარეობდა მისი ნეტარება? თავის სიყვარულზე ლაპარაკში. და ეს ვნებიანი ყმაწვილი, როცა განმარტობით ზის მშვენიერ ახალგაზრდა ქალთან, რომელსაც იგი უყვარს და რომელიც მას უყვარს, არ [წითლდებოდა, არ ფითრდებოდა, სანუკვარი სურვილისაგან არ დნებოდა]⁵³, მისთვის საკმარისი იყო მათს ურთიერთ სიყვარულზე ლაპარაკი!.. თუმცადა, ეს გასაგებია: იდეალიზმისა და რომანტიზმისადმი ძლიერი მიდრეკილება თითქმის ყოველთვის მოწმობს უქონლობას [ტემპერამენტისას; ესენი არიან უსქესო ადამიანები, იგივე, რაც მცენარეთა სამყაროში

არიან ფარულად შეუღლებულნი, მაგალითად, სოკოები] ²⁶. ჩვენ გვესმის ქალის ეს მთრთოლვარე, მორცხვი თაყვანისცემა, რომელშიც არც ერთი თამამი სურვილი არ შედის, მაგრამ ეს პლატონიზმი არ არის: ესაა პირველი ნორჩი, უმანკო სიყვარულის პირველი მომენტი, ეს არის არა ვნების უქონლობა, არამედ ვნება, რომელსაც ჯერ კიდევ ეშინია თავის გამოჩენა. [ამით იწყება პირველი სიყვარული, მაგრამ ამაზე შეჩერება ისევე სასაცილო და სისულელეა, როგორც იმის სურვილი, რომ სამუდამოდ ბავშვი დარჩე და ცხენობანას თამაშობდე]. სიყვარულს აქვს თავისი განვითარების კანონები, თავისი ასაკები, როგორც ყვავილებს, როგორც ადამიანის სიცოცხლეს. მას აქვს თავისი დიდებული გაზაფხული, თავისი მწველი ზაფხული, ბოლოს — შემოდგომა, რომელიც ზოგისთვის თბილი, ნათელი და ნაყოფიერია, ზოგისთვის კი — ცივი, წვიმიანი და უნაყოფო. მაგრამ ჩვენს გმირს არ სურდა გულის, ბუნების, სინამდვილის კანონების ცოდნა, მან ამათთვის თავისი საკუთარი კანონები შესთხზა, იგი ამყად სთვლიდა არსებულ სამყაროს მოჩვენებად, ხოლო თავისი ფანტაზიით შექმნილ მოჩვენებას — ნამდვილად არსებულ სამყაროდ. შესაძლებლობის ჯიბრზე, მას დაჟინებით უნდოდა მთელი თავისი სიცოცხლე სიყვარულის პირველ მომენტში დარჩენილიყო. მაგრამ ტაფაევას წინაშე გულის გადაშლამ იგი ძალე მოჰქანცა; იგი ფიქრობდა საქმე შეუღლების წინადადების მიცემით გამოესწორებინა. რაკი ასეა, საჭირო იყო აჩქარება; მაგრამ იგი მხოლოდ ფიქრობდა, რომ გაბედა. ნამდვილად კი მხოლოდ ახალი ოცნების საგანი ესაჭიროებოდა. ამავე დროს ტაფაევამ საშინლად მოაბეზრა თავი თავისი ჩაცეიებული სიყვარულით. აღუევმა დაიწყო ტაფაევას მეტად უხეში და საზიზღარი წამება იმიტომ, რომ აღარ უყვარდა იგი. ჯერ კიდევ ამაზე ადრე აღუევი თანდათან ზვდებოდა, რომ თავისუფლება სიყვარულში კარგი რამ არის, რომ საყვარელ ქალთან ყოფნა სასიამოვნოა, მაგრამ ასევე სასიამოვნოა უფლება გქონდეს გაისეირნო ნების პროსპექტზე, როდეს-

საც გსურს, ისადილო ნაცნობ-მეგობრებთან, მათთან გაატარო საღამო, რომ, ბოლოს, სიყვარულის დროს შეიძლება სამსახურიც არ მიატოვო. როცა საბრალო ქალი ყოველად ბარბაროსულად აწამა, როცა მას დააკისრა მთელი ბრალი იმ უბედურებაში, რომელშიაც იგი ტაფაევაზე გაცილებით ძეტად იყო დამნაშავე; მან, ბოლოს, გადასწყვიტა თავისი თავისთვის ეთქვა, რომ აღარ უყვარს ის და რომ დროა მასთან ყველაფერს ბოლო მოუღოს. ამრიგად, გამოცდილებამ ნამსხვრევებად აქცია მისი სიყვარულის სულელური იდეალი. მან თვითონ დაინახა თავისი უმწეობა სიყვარულის წინაშე, რომელზეც მთელ თავის სიცოცხლეში ოცნებობდა. მან ნათლად დაინახა, რომ იგი სულაც არ არის გმირი, არამედ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანია, იმათზე უარესი, ვინც ეზიზღებოდა, რომ იგი თავმოყვარეა, მაგრამ ღირსება არ გააჩნია, მომთხონია, მაგრამ უფლებები არა აქვს, ქედმაღალია, მაგრამ ძალღონე არ ჰყოფნის, ამაყი და ზვიადია, მაგრამ დამსახურება არ მიუძღვის, უმადურია⁵⁷, ეგოისტია. ამ აღმოჩენამ მეხდაცემულივით გააშეშა⁵⁸ იგი, მაგრამ ცხოვრებასთან შერიგება, ნამდვილ გზაზე დადგომა ვერ აფიქრებინა. იგი საშინელმა აპათიამ შეიპყრო, გადასწყვიტა თავისი არარაობისათვის შური ეძია ბუნებასა და კაცობრიობაზე, რისთვისაც პირუტყვ კოსტიაკოვს დაუკავშირდა და ფუჰ განცხრომას მიეცა, თუმცა ამის არავითარი ხალისი არა ჰქონდა. მისი უკანასკნელი სიყვარულის ამბავი საზიზღარია. მას უნდოდა დაედუბა საბრალო მგზნებარე ქალიშვილი, ისე, მოწყენილობის გამო, და ამ განზრახვაში თავს ვერ გაიმართლებდა გრძნობიერი სურვილების აღგზნებითაც კი, თუმცა ესეც კი ცუდი გამართლებაა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამისათვის უფრო პირდაპირი და პატიოსანი გზა არსებობს. ქალიშვილის მამამ მას მისი თავმოყვარეობისათვის საშინელი გაკვეთილი მისცა: ცემას შეჰპირდა; ჩვენს გმირს უნდოდა სასოწარკვეთილებისაგან ნევაში გადამხტარიყო, მაგრამ შეშინდა. კონცერტმა, სადაც იგი ბიცოლამ შეათრია, წინანდელი

ოცნება აღუძრა და ბიცოლასა და ბიძასთან მისი გულახდილი ლაპარაკი გამოიწვია. აქ მან მთელი თავისი უბედურება ბიძას დააბრალა. ბიძა თავისებურად ზოგ რამეში მართლაც დიდად სცდებოდა, მაგრამ აქ იგი გულწრფელად იქცეოდა, არ სტყუოდა, თავს არ იკატუნებდა, დარწმუნებული ლაპარაკობდა იმას, რასაც ფიქრობდა და გრძნობდა. ჟუ მისმა სიტყვებმა დისწულზე საზიანოდ უფრო იმოქმედა, ვიდრე სასარგებლოდ, ამასი დამნაშავეა ჩვენი გმირის შეზღუდული, ავადმყოფური და გაფუჭებული ხასიათი. ეს ერთი ამ ადამიანთაგანია, რომლებიც ზოგჯერ ხედავენ კიდევ ჭეშმარიტებას, მაგრამ, როცა მისკენ გაეშურებიან, ან ვერ მიაღწევენ მასთან, ანდა მას გადაახტებიან, ასე რომ მხოლოდ მის ხხლოს არიან ხოლმე, მაგრამ მას ვერასოდეს ხელს ვერ ჩასციდებენ. პეტერბურგიდან სოფლად მიმავალმა, მან ბიძას ანგარიში გაუსწორა ფრაზეებითა და ლექსებით და წაუკითხა ბუშკინის ლექსი: „ტლანქმა მხატვარმა ზანტი ყალამით“... ეს ვაებატონები ვერც ერთ წუთს ვერ გასძლებენ უმონოლოგოდ და ულექსოდ, — ისეთი მოლაყბენი არიან!

იგი სოფელში ჩავიდა როგორც ცოცხალი ლეში. ზნეობრივი ცხოვრება მასში საესებით მოდუნებული იყო; თვით მისი გარეგნობა ძლიერ შეიცვალა, დედამ ძლივს იცნო. დედას იგი თავაზიანად, მაგრამ ცივად მოეპყრო, არაფერი გაუმხილა, არ აუხსნა. ბოლოს იგი მიხვდა, რომ მასსა და დედამისს შორის საერთო არაფერია, რომ თუ იგი დედას აუხსნიდა, სად გაჰქრა მისი თმები, დედა ამას ისევე გაიგებდა, როგორც ევსეი და აგრაფენა. დედის მხრივ ალერსი და მოვლა მალე მძიმე ტვირთად იქცა მისთვის. ბავშვობის მოწმე ადგილებმა გაუღვიძეს წინანდელი ოცნებები, და მან დაიწყო წუწუნი ამ იდგილების სამუდამოდ დაკარგვაზე, ამბობდა, ბედნიერება ცთომილებასა და მოჩვენებებშიაო. ეს ყველა მიხრწნილი, უძლური, მოუთავებელი ადამიანის საერთო რწმენაა. გამოცდილებამ ხომ თითქოს საკმაოდ დაანახვა, რომ ყველა ეს უბედურება სწორედ იქიდან წარმოსდგა, რომ იგი ცთომილებასა

და ოცნებებს ეძლეოდა: ეგონა, რომ უდიდესი პოეტური ნიჭი აქვს, მაშინ როდესაც არავითარი ნიჭი არა ჰქონდა; რომ იგი გაჩენილია რაღაც გმირული და თავგანწირული შეგობრობისა და უდიდესი სიყვარულისათვის, მაშინ როდესაც მასში არაფერი გმირული და თავგანწირული არ იყო. იგი იყო ჩვეულებრივი, მაგრამ სრულიადაც არა უხამსი ადამიანი. იგი კეთილი, მოსიყვარულე და არც თუ სულელი იყო, ერთგვარი განათლებაც ჰქონდა; მთელი მისი უბედურება იქიდან წარმოსდგა, რომ მას, ჩვეულებრივ ადამიანს, უნდოდა არაჩვეულებრივი ადამიანის როლი ეთამაშნა. ვინ არის ისეთი, რომ ახალგაზრდობისას არ ეოცნებოს, არ შემცდარიყოს, მოჩვენებებს არ გამოსდევნებოდეს, და ვის არ გასცრუებია იმედი, ვის არ გასტეხია გული ამის გამო, ვინ არ შეუპყრია კაეშანსა და აპათიას, და ვის არ უცინია შემდეგ გულიანად ყოველივე ამაზე? მაგრამ სალი ბუნების ადამიანებისათვის ცხოვრებისა და გამოცდილების ეს პრაქტიკული ლოგიკა სასარგებლოა, ისინი ამით ვითარდებიან და ზნეობრივად ვაჟკაცდებიან; რომანტიკოსები კი მისგან იღუპებიან...

როდესაც პირველად ვკითხულობდით ჩვენი გმირის წერილს ბიცოლასა და ბიძისადმი, დედამისის სიკვდილის შემდეგ დაწერილს და სულიერი სიმშვიდითა და სალი აზრით აღსავსეს, — ამ წერილმა ჩვენზე რაღაც უცნაურად იმოქმედა; მაგრამ ჩვენ ეს წერილი ისე ავხსენით, რომ ავტორს უნდა თავისი გმირი კვლავ პეტერბურგს გაგზავნოს იმისათვის, რომ მან ახალი სისულელეებით ღირსეულად დაასრულოს თავისი დონკიხოტური მოღვაწეობა. ამ წერილით მთავრდება რომანის მეორე ნაწილი; ეპილოგი იწყება პეტერბურგში ჩვენი გმირის მეორედ ჩასვლის ოთხი წლის შემდეგ. სცენაზე პეტრე ივანესძე. ეს პირი რომანში შემოყვანილია არა თავისთავად, არამედ იმისათვის, რომ რომანის გმირისადმი თავისი დაპირისპირებით უკეთ წარმოადგინოს იგი. მან მთელ რომანს ერთგვარი დიდაქტიკური ელფერი მისცა, რასაც ბევრნი არც თუ უსაფუძვლოდ უსაყვედურებდნენ ავტორს. მაგრამ ავტორმა შესძლო აქაც გამოეჩინა თავი არაჩვეულებ-

რივი ნიჰის ადამიანად. პეტრე ივანეს-ძე აბსტრაქტული იდეა კი არ არის, [არამედ] ცოცხალი პიროვნებაა, გაბედული, ფართო და სწორი ყალბით მთელი სიმაღლით დახატული ფიგურაა. მას, როგორც ადამიანს, აფასებენ ან მეტისმეტად კარგად, ანდა მეტისმეტად ცუდად, და ორივე შემთხვევაში შემცდარად. ზოგს უნდა მასში დაინახოს რაღაც იდეალი, მისაბაძი ნიმუში: ესენი დადებითი და გონიერი ადამიანები არიან. სხვები მასში თითქმის მტარვალს ხედავენ: ესენი მეოცნებენი არიან. პეტრე ივანეს-ძე თავისებურად ძალიან კარგი ადამიანია; იგი ჰკვიანია, მეტად ჰკვიანი, იმიტომ რომ კარგად ესმის გრძნობები და ვნებები, რომლებიც მასში არ არის და რომლებიც მას ეზიზღება. იგი სრულიადაც არ არის პოეტური არსება, მაგრამ ათასჯერ უკეთ ესმის პოეზია, ვიდრე მის დისწულს, რომელმაც პუშკინის საუკეთესო ნაწარმოებთაგან როგორღაც მოახერხა და ისეთი სულისკვეთება შეითვისა, როგორსაც კაცი ფრაზიორებისა და რიტორების თხზულებებიდან შეითვისებდა. პეტრე ივანეს-ძე ეგოისტია, ბუნებით გულცივი ადამიანია, სულგრძელობის გამოჩენა არ შეუძლია, მაგრამ ამასთან ერთად იგი არა თუ ბოროტი არაა, ბრამედ პირდაპირ კეთილი კაცია. იგი პატიოსანია, კეთილშობილი, არ არის ფარისეველი და თვალთმაქცი. მას შეიძლება დაენდო, იგი არ დაგპირდება ისეთ რამეს, რის გაკეთებაც არ შეუძლია ან არ სურს, ხოლო რასაც⁵⁰ დაგპირდება, მას უსათუოდ გააკეთებს. ერთი სიტყვით, ეს სავესებით წესიერი კაცია, როგორიც, ღმერთმა ქნას მეტი იყოს. მას თავისთვის შეუშუშავებია უცილობელი წესები ცხოვრებისა. თავისი ბუნებისა და სალი აზრის შესაბამისად. იგი ამ წესებით არ ამყობდა და არ იკვეხნიდა, მაგრამ მათ შეუმცდარად და სწორად სთვლიდა. მართლაც, მისი პრაქტიკული ფილოსოფიის სამოსელი შეკერილი იყო მაგარი და მკვიდრი ქსოვილისაგან, რომელსაც კარგად შეეძლო მისი დაცვა ცხოვრების ფათერაკებისაგან. და როგორ გაოცდა იგი, როგორ შეძრწუნდა, როდესაც, ხანდაზმულობისაგან წელის ტყი-

ვილსა და გაჭადარაეებს მიღწეულმა, თავის სამოსელში უცბად შენიშნა გარღვეული ადგილი, მართალია, მხოლოდ ერთი, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან განიერი. იგი არ ზრუნავდა ოჯახურ ბედნიერებაზე, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ თავისი ოჯახური მდგომარეობა მტკიცე საძირკველზე დააფუძნა, — და უცბად დაინახა, რომ მისი საბრალო ცოლი მისი სიბრძნის მსხვერპლი იყო, რომ მან შეიწირა ცოლის სიცოცხლე, ცივსა და ვიწრო ატმოსფეროში მოაღრჩო იგი.

რა გაკვეთილია დადებითი ადამიანებისათვის, სალი აზრის წარმომადგენლებისათვის! ეტყობა, ადამიანს კიდევ ესაჭიროება ცოტა რამ, გარდა სალი აზრისა! ეტყობა, სწორედ უკიდურესობათა მიჯნაზე გვითვალთვალებს ყველაზე მეტად ბედი. ეტყობა, ადამიანის ბუნების სისრულისათვის საჭიროა ვნებებიც, და ყოველთვის როდი შეიძლება დაუსჯელად მოახვიო თავზე სხვას ის ბედნიერება, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ჩვენ დაგვაკმაყოფილოს, არამედ ყოველი ადამიანი შეიძლება ბედნიერი იყოს მხოლოდ საკუთარი ბუნების შესაბამისად! პეტრე ივანეს-ძემ ოსტატურად და ზუსტად გაიანგარიშა, რომ იგი უნდა დაეუფლოს თავისი ცოლის წარმოდგენებს, რწმენას, მიდრეკილებებს ისე, რომ მას ეს არ აგრძნობინოს, გაუძღვეს ცოლს ცხოვრების გზაზე, მაგრამ ისე, რომ იგი ფიქრობდეს, რომ თვითონ მიდის. მაგრამ მას ხმ ანგარიშში ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა მოუვიდა: მიუხედავად თავისი დიდი ჭკუისა, მან ვერ მოიფიქრა, რომ აბ მიზნით ისეთი ცოლი უნდა ამოერჩია, რომლისთვისაც უცხო იქნებოდა ყოველგვარი გატაცება, სიყვარულისა და თანაგრძნობის ყოველგვარი მოთხოვნილება, უნდა ამოერჩია გულცივი, კეთილი, უსიცოცხლო ქალი, უმჯობესი იქნებოდა — ქარაფშუტა, თუნდაც ცოტა მოსულელო. მაგრამ ასეთი ქალის შერთვას იგი, შესაძლოა, თავმოყვარეობის გამო არ მოისურვებდა; ასეთ შემთხვევაში მას სრულებით არ უნდა შეერთო ცოლი.

პეტრე ივანეს-ძე თავიდან ბოლომდე გამოკვეთილია საოცარი სისწორით; მაგრამ რომანის გმირს ვერ ვცნობილობთ ეპილოგში; ეს სრულიად ყალბი, არაბუნებრივი სახეა ასეთი გარდაქმნა მისთვის შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, იგი რომ ჩვეულებრივი მოლაყბე და ფრაზიორი ყოფილიყო, რომელიც სხვის სიტყვებს იმეორებს ისე, რომ ისინი არ ესმის, თავის თავს ყალბად მიაწერს გრძნობებს, აღტაცებასა და ტანჯვას, რაც არასოდეს არ განუცდია. მაგრამ ახალგაზრდა ადუევი, მისდა საუბედუროდ, ხშირად მეტისმეტად გულწრფელი იყო თავის შეცდომებსა და სისულელეში. მისი რომანტიზმი მის ბუნებაში იყო. ასეთი რომანტიკოსები არასოდეს არ ხდებიან დადებით ადამიანებად. ავტორს უფრო უფლება ჰქონდა თავისი გმირი სოფლის უდაბურებაში ჩაეკლა აპათიასა და მცონარებაში, ვიდრე ეიძულებინა ის პეტერბურგში სარფიანად ემსახურნა და დიდ-მზითვიანი ქალი შეერთო. ავტორისათვის კიდევ უფრო უკეთესი და ბუნებრივი იქნებოდა გადაექცია ის მისტიკოსად, ფანატიკოსად, სექტანტად; მაგრამ ყველაზე უმჯობესი და ბუნებრივი იქნებოდა გადაექცია ის, მაგალითად, სლავიანოფილად. ამ შემთხვევაში ადუევი თავისი ბუნების ერთგული დარჩებოდა, თავის ძველებურ ცხოვრებას განაგრძობდა და, იმავე დროს, იფიქრებდა, რომ იგი ღმერთმა უწყის რა წინ წავიდა, მაშინ როდესაც არსებითად ის თავის ოცნებათა ძველ დროებს მხოლოდ ახალ ნიადაგზე გადაიტანდა. წინათ იგი ოცნებობდა დიდებაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, ახლა კი დაიწყებდა ოცნებას ხალხებსა და ტომებზე, იმაზე, რომ სლავებს წილად ხვდათ სიყვარული, ხოლო ტევტონებს — მტრობა, იმაზე, რომ გოსტომისლის დროს სლავებს უმაღლესი და მთელი მსოფლიოსათვის სანიმუშო ცივილიზაცია ჰქონდათ, რომ თანამედროვე რუსეთი სწრაფად მიდის ამ ცივილიზაციისაკენ, რომ ამას მხოლოდ ბრძეები და გონებით გაბოროტებულნი ვერ ხედავენ, ხოლო ყველა თვალხილული და ფანტაზიას გადაყოლილი ადამიანი დიდი ხანია ამას

ნათლად ხედავს. მაშინ გმირი სავსებით თანამედროვე რომანტიკოსი იქნებოდა, და არავის აზრად არ მოუყვდილოდა, რომ ამგვარი ადამიანები ახლა უკვე აღარ არსებობენ.

ავტორის მიერ მოგონილი რომანის დასასრული მთელი ამ მშვენიერი ნაწარმოების შთაბეჭდილებას აფუჭებს, იმიტომ რომ ეს დასასრული არაბუნებრივი და ყალბია. ეპილოგში სულ ბოლომდე კარგია მხოლოდ პეტრე ივანეს-ძე და ლიზა-ვეტა ალექსანდრეს ასული; ხოლო რომანის გმირის მიმართ ეპილოგი წასაკითხავადაც არ ღირს... როგორ "შეიძლებოდა ასეთ ძლიერ ტალანტს ასეთი უცნაური შეცდომა ჩაედინა? თუ იგი ვერ დაეუფლა თავის საგანს? სულაც არა! ავტორი გაიტაცა სურვილმა ესინჯა თავისი ძალა მისთვის უცხო ნიადაგზე — შეგნებული აზრის ნიადაგზე, და დაჰკარგა პოეტური სახე. აქ ყველაზე ნათლად ჩანს მისი ნიჭის განსხვავება ისკანდერიის ნიჭისაგან: ამ უკანასკნელს მისი ნიჭისათვის უცხო სინამდვილის სფეროშიც შეეძლო თავი დაეღწია თავისი მდგომარეობისათვის აზრის ძალით; „ჩვეულებრივი ისტორიის“ ავტორმა მნიშვნელოვანი შეცდომა ჩაიდინა სწორედ იმიტომ, რომ ერთი წუთით მიატოვა უშუალო ნიჭის ხელმძღვანელობა. ისკანდერიის აზრი მუდამ წინაა, მან წინდაწინ იცის, რას და რისთვის სწერს; იგი გასაოცარი სისწორით გამოხატავს სინამდვილის სცენას მხოლოდ იმისათვის, რომ მის შესახებ თავისი სიტყვა სთქვას, სამართალი ქნას. ბ-ნი გონჩაროვი თავის ფიგურებს, ხასიათებს, სცენებს ხატავს უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს და თავისი ხატვის უნარით დატკბეს; ლაპარაკი და მსჯელობა და აქედან ზნეობრივი დასკვნების გამოყვანა მან თავის მკითხველებს უნდა მიანდოს. ისკანდერიის სურათები განირჩევა არა იმდენად ნახატის სისწორითა და ყალმის დახვეწილობით, რამდენადაც მის მიერ გამოხატული სინამდვილის ღრმა ცოდნით; ისინი განირჩევიან უფრო მეტად ფაქტიური, ვიდრე პოეტური ჰუმმარიტებით, წარბაყნი არიან არა იმდენად პოეტური ენით, რამდენადაც

კუთხით, აზრით, იუმორითა და გონებამახვილობით აღსავსე ენით, რომელიც მუდამ გაოცებთ ორიგინალობითა და სიახლით. ბ-ნ გონჩაროვის ტალანტის მთავარი ძალა მუდამ არის ყალმის დახვეწილობა და სიფაქიზე, ნახატის სისწორე; იგი მძულოდნელად პოეზიაში გადადის წვრილმან და გარეშე გარემოებათა გამოხატვის დროსაც კი, როგორც, მაგალითად, მაშინ, როდესაც პოეტურად აღწერს ბუხარში ახალგაზრდა ადუევის თხზულებათა წვის პროცესს. ისკანდერის ტალანტში პოეზია მეორეხარისხოვანი აგენტია, ხოლო მთავარია აზრი; ბ-ნ გონჩაროვის ტალანტში პოეზია პირველი, მთავარი⁶⁰ და ერთადერთი აგენტია...

მიუხედავად იმისა, რომ ეპილოგი ვერ გამოუვიდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, გაფუჭებულია, ბ-ნ გონჩაროვის რომანის რუსული ლიტერატურის ერთ-ერთ შესანიშნავ ნაწარმოებს წარმოადგენს. მის განსაკუთრებულ ღირსებას მიეკუთვნება, სხვათა შორის, სუფთა, სწორი, მსუბუქი, თავისუფალი და ხარნარი ენა. ბ-ნ გონჩაროვის მოთხრობა ამ მხრივ დაბეჭდილი წიგნი კი არ არის, არამედ ცოცხალი იმპროვიზაციაა. ზოგიერთი უჩიოდა გრძელსა და მომქანცველ საუბრებს ბიძასა და დისწულს შორის. მაგრამ ჩვენი აზრით ეს საუბრები რომანის საუკეთესო მხარეებს ეკუთვნის. მათში არ არის არაფერი განყენებული, საქმის შეუსაბამო; ეს დისპუტები კი არ არის, არამედ ცოცხალი, მგზნებარე, დრამატიული კაშათია, სადაც ყოველი მოქმედი პირი თავს ამჟღავნებს როგორც ადამიანი და ხასიათი, იცავს, ასე ვთქვათ, თავის ზნეობრივ არსებობას. მართალია, ამგვარ საუბრებში, განსაკუთრებით იმ მსუბუქ, დიდაქტიკური კოლორიტის გამო, რომელიც რომანს ემჩნევა, სულ ადვილად შეიძლებოდა ყოველგვარ ტალანტს წაებორძიკებინა; მაგრამ ბ-ნ გონჩაროვს მით უფრო მეტ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ის, რომ მან ხსენებულ წარმატებით გადასწყვიტა თავისთავად ძნელი ამოცანა და პოეტად დარჩა იქ, სადაც ასე ადვილი იყო რეზონიორის⁶¹: ტონზე გადასვლა.

ახლა ჩვენ რიგში გვაქვს ბ-ნ ტურგენევის „მონადირის ნამბობი“. ბ-ნ ტურგენევის ტალანტი ბევრად ჰგავს ლუგანსკის (ბ-ნ დალის) ტალანტს. როგორც ერთის, ისე მეორის ნამდვილი სფერო — რუსული ყოფისა და რუსი ადამიანების სხვადასხვა მხარის ფიზიოლოგიური ნარკვევებია. ბ-ნმა ტურგენევმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა ლირიკული პოეზიით დაიწყო; მის მცირე ლექსთა შორის არის სამი-ოთხი უეჭველად გვარიანი პიესა, როგორც, მაგალითად, „ძველი მემამულე“, „ბალადა“, „ფედია“, „ადამიანი, როგორიც ბევრია“; მაგრამ ეს პიესები მას იმიტომ გამოუვიდა, რომ მათში ან სრულებით არ არის ლირიზმი, ან მათში მთავარია არა ლირიზმი, არამედ გადაკრული მითითება რუსეთის ცხოვრებაზე. ბ-ნ ტურგენევის საკუთრივ ლირიკული ლექსები კი დამოუკიდებელი ლირიკული ტალანტის სრულ უქონლობას მოწმობენ. მან რამდენიმე პოემა დასწერა. პირველი მათგანი — „პარაშა“ — საზოგადოებამ მისი გამოქვეყნებისას შენიშნა გამართული ლექსის, მხიარული ირონიის, რუსეთის ბუნების მართალი სურათების გამო; ხოლო რაც მთავარია — მემამულური ყოფის დეტალების მარჯვე ფიზიოლოგიური ნარკვევების გამო. მაგრამ პოემის მტკიცე წარმატებას ხელი შეუშალა იმან, რომ ავტორი, როდესაც მას სწერდა, სრულებით არ ფიქრობდა ფიზიოლოგიურ ნარკვევებზე, არამედ პოემაზე ზრუნავდა იმ აზრით, რომლის მიხედვითაც მას პოეზიის ამ გვარისათვის დამოუკიდებელი ტალანტი არა აქვს. ამიტომაც ყოველივე იმან, რაც პოემაში საუკეთესოა, თითქოს შემთხვევით, მოულოდნელად გაიელვა. შემდეგ მან დასწერა პოემა „საუბარი“; ლექსი მასში მქდერი და ძლიერია, ბევრია გრძნობა, ჭკუა, აზრი; მაგრამ რადგან ეს სხვისი, ნასესხები აზრია, პირველად პოემა შეიძლება კიდევ მოგეწონოთ, მაგრამ მის მეორედ წაკითხვას აღარ მოისურვებთ. ბ-ნ ტურგენევის მესამე პოემაში — „ანდრია“ — ბევრი რამ კარგია, იმიტომ რომ რუსეთის ყოფის მრავალ მართალ ნარკვევს შეიცავს; მაგრამ

მთლიანად პოემა კვლავ სუსტია, იმიტომ რომ ეს არის თხრობა სიყვარულზე, რომლის გამოხატვის ნიჭიც ავტორს არ გააჩნია. პოემის გმირი ქალის წერილი გმირი მამაკაცი-სადმი გრძელი და გაჭიანურებულია, მასში გრძნობიერება მეტია, ვიდრე პათოსი. საერთოდ ბ-ნ ტურგენევის ამ ცდებში იგრძნობოდა ტალანტი, მაგრამ რაღაც გაუბედავი და გაურკვეველი. მან მოთხრობაშიც სცადა თავისი ძალა, დასწერა „ანდრია კოლოსოვი“, რომელშიც ხასიათებისა და რუსეთის ცხოვრების მრავალი მშვენიერი ნარკვევია, მაგრამ როგორც მოთხრობა, მთლიანად ეს ნაწარმოები იმდენად უცნაური, დაუსაბუთებელი და უშნოა, რომ ძალიან ცოტამ შენიშნა ის, რაც მასში კარგი იყო. ეტყობოდა, რომ ბ-ნი ტურგენევი საკუთარ გზას ეძებდა და ჯერ კიდევ ვერ ეპოვნა ის, იმიტომ რომ ამას ყოველთვის და ყველა ადვილად და მალე როდი ახერხებს. ბოლოს, ბ-ნმა ტურგენევემ დასწერა ამბავი ლექსად — „მემამულე“. არა პოემა, არამედ მემამულური ყოფის ფიზიოლოგიური ნარკვევი, „თუ გნებავთ, ხუმრობა, მაგრამ ეს ხუმრობა რატომღაც ავტორის ყველა პოემაზე ბევრად უკეთესი გამოვიდა. გამართული ეპიგრამული ლექსი, მზიარული ირონია, მართალი სურათები, ამასთან ერთად მთელი ნაწარმოების თავიდან ბოლომდე გამოკვეთილობა — ყველაფერი მოწმობდა, რომ ბ-ნმა ტურგენევემ მიაგნო თავისი ნიჭის ჭეშმარიტ სფეროს, ხელი მოჰკიდა თავის საქმეს, და რომ მას არავითარი მიზეზი არა აქვს სავსებით მიატოვოს ლექსის წერა. ამავე დროს დაიბეჭდა მისი ამბავი პროზად — „სამი პორტრეტი“, რომლიდანაც ჩანდა, რომ ბ-ნმა ტურგენევემ პროზაშიც მიაგნო თავის ნამდვილ გზას. ბოლოს, „სოკრემენიკის“ გასული წლის პირველ წიგნში დაიბეჭდა მისი ამბავი „ხორი და კალინიჩი“. ის წარმატება, რაც საზოგადოებაში მოიპოვა ამ პატარა ამბავმა, რომელიც ნარკვევში იყო მოთავსებული, ავტორისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და განაგრძობინა მას

მონადირის ნაამბობი. აქ მისმა ტალანტმა საესეებით იჩიხა თავი. ცხადია, რომ მას წმინდა შემოქმედების ტალანტი არა აქვს, რომ მას არ შეუძლია ხასიათების შექმნა, ერთმანეთის მიმართ მათი ისეთ ურთიერთობაში ჩაყენება, საიდანაც თავისთავად ჩნდება რომანები და მოთხრობები. მას შეუძლია გამოხატოს სინამდვილე, რომელიც უნახავს და შეუსწავლია, თუ გნებავთ — შეუძლია ჰქმნიდეს, მაგრამ ჰქმნიდეს მზამზარეული სინამდვილით მოცემული მასალისაგან. ეს არ არის სინამდვილის უბრალო გადმოღება, იგი ავტორს იდეებს არ აძლევს, მაგრამ, ასე ვთქვათ, მიაგნებინებს, ჩააგონებს ამ იდეებს. იგი მის მიერ აღებულ მზამზარეულ შინაარსს გადაამუშავებს ხოლმე თავისი იდეალის მიხედვით, და აქედან მას უფრო ცხოველი, მეტყველი და აზრით აღსავსე სურათი გამოუდის, ვიდრე ის ნამდვილი შემთხვევა, რომელმაც მას ამ სურათის დახატვის საბაზი მისცა; ამისთვისაც, ასე თუ ისე, საჭიროა პოეტური ტალანტი. მართალია, ზოგჯერ მთელი მისი უნარი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ სწორად გადმოსცეს თავისი ნაცნობი პირი ან ამბავი, რომლის მოწმე იგი იყო, რადგან სინამდვილეში ზოგჯერ არის ხოლმე მოვლენები, რომლებიც საკმარისია სწორად გადაიტანო ქალაქზე, რომ მათ მხატვრული წარმოქმნის ყველა ნიშანი ჰქონდეთ. მაგრამ ამისთვისაც საჭიროა ტალანტი, და ამგვარ ტალანტებს თავისი ხარისხი აქვთ. ორივე ამ შემთხვევაში ბნტურგენევს ფრიად შესანიშნავი ტალანტი აქვს. მისი ტალანტის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ საეჭვოა მას მოეხერხებინა სწორად შეექმნა ისეთი ხასიათი, რომლის მსგავსი სინამდვილეში არ შეხვედრია. იგი ყოველთვის სინამდვილის ნიადაგს უნდა ეყრდნობოდეს. ამგვარი ხელოვნებისათვის იგი ბუნებას დაუჯილდოებია უხვი საშუალებებით: დაკვირვების ნიჭით, ყოველგვარი მოვლენის სწორად და სწრაფად გაგებისა და შეფასების უნარით, იმ ინსტინქტით, რომ გამოიცნოს მოვლენის მიზეზები და შედეგები და, ამგვარად, მიხვედრიता და წარმოსახვით შეაესოს

მისთვის საჭირო ცნობების მარაგი, როცა გამოკითხვა არასაკმაო ახსნას იძლევა.

გასაკვირველი არ არის, რომ პატარა პიესას — „ზორს და კალინიჩს“ ასეთი წარმატება ხვდა: მასში ავტორი ისეთი მხრიდან მიუღდა ხალხს, საიდანაც მანამდე ჯერ კიდევ არავინ მისდგომია. ხორი, მისი პრაქტიკული აზრითა და პრაქტიკული ბუნებით, მისი ტლანქი, მაგრამ მტკიცე და ნათელი გონებით, მისი ღრმა სიძულვილით „დედაკაცებისადმი“ და ძლიერი მძულვარებით სისუფთავისა და სიფაქიზისადმი — იმ რუსი გლეხის ტიპია, რომელსაც შეეძლო მეტად არახელსაყრელ ვითარებაში მნიშვნელოვანი მდგომარეობა შეექმნათავისთვის. მაგრამ კალინიჩი რუსი გლეხის კიდევ უფრო ცხოველი და სრული ტიპია: ეს არის პოეტური ბუნების ადამიანი უბრალო ხალხში. რა თანაგრძნობითა და გულკეთილობით აგვიწერს ავტორი თავის გმირებს, რა რიგად ემარჯვება მას მთელი არსებით შეაყვაროს ისინი მკითხველებს! გასული წლის „სოვრემენიკში“ სულ მონადირის „შვიდი ამბავი დაიბეჭდა. ამ ამბებში ავტორი თავის მკითხველებს აცნობს პროვინციული ყოფის სხვადასხვა მხარეს, სხვადასხვა შეძლებისა და წოდების ადამიანებს. მისი ყველა ამბავი ერთნაირი ღირსების როდია: ზოგი უკეთესია, ზოგიც — უფრო სუსტია, მაგრამ მათ შორის არც ერთი არ არის ისეთი, რომელიც რითიმე საინტერესო, მიმზიდველი და საგულისხმო არ იყოს. „ხორი და კალინიჩი“ დღემდე მონადირის ყველა ამბავთა შორის საუკეთესოდ რჩება; მას მიჰყვება „ბურმისტრი“, ხოლო შემდეგ — „ხელმოკლე მეურნე აზნაური ოვსიანიკოვი“ და „კანტორა“. არ შეიძლება არ ვისურვოთ, რომ ბ-ნმა ტურგენევმა ანეთი ამბების კიდევ თუნდაც მთელი ტომები დასწეროს.

თუმცა ბ-ნ ტურგენევის ამბავი — „პეტრე პეტრეს-ძე კარატაევი“, რომელიც შარშანდელ „სოვრემენიკის“ მეორე წიგნში დაიბეჭდა, მონადირის ამბების რიგს არ მიეკუთვნება,

ჰაგრამ ესეც ისეთივე ოსტატური ფიზიოლოგიური ნარკვევია წინდა რუსული ხასიათისა, რომელსაც თანაც მოსკოვური ელფერი დაჰკრავს. მასში ავტორის ტალანტი ისეთივე სისრულით გამოვლინდა, როგორც მის საუკეთესო მონადირის ამბებში.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ბ-ნ ტურგენევის არაჩვეულებრივი ოსტატობა რუსეთის ბუნების სურათების გამოხატვაში. მას ბუნება უყვარს არა როგორც დილეტანტს, არამედ როგორც არტისტს, და ამიტომ არასოდეს არ ცდილობს ბუნების გამოხატვას მხოლოდ მისი პოეტური სურათებით, არამედ ბუნებას იღებს ისე, როგორც იგი მას წარმოუდგება. მისი სურათები მუდამ ნამდვილია, ამ სურათებში ყოველთვის იცნობთ ჩვენს რუსულ ბუნებას...⁸²

ბ-ნმა გრიგოროვიჩმა თავისი ტალანტი მხოლოდ ხალხის დაბალი კლასების ცხოვრების გამოხატვას მოახმარა. მისი ტალანტიც ბევრად ჰგავს ბ-ნ დალის ტალანტს. ისიც აგრეთვე მუდამ დგას მისთვის კარგად ცნობილი და მისგან კარგად შესწავლილი სინამდვილის ნიადაგზე, მაგრამ მისი ორი უკანასკნელი ცდა — „სოფელი“ (1846 წ. „ოტეჩ. ზაპ.“) და განსაკუთრებით „ბეჩაევი ანტონი“ (1847 წ. „სოვრემ.“), ბევრად შორს სცილდება ფიზიოლოგიურ ნარკვევებს. „ბეჩაევი ანტონი“ მეტია, ვიდრე მოთხრობა: ეს არის რომანი, რომელშიც ყველაფერი ძირითადი იღვის შესაბამისია, ყველაფერი მას უკავშირდება, კვანძის შეკვრა და გახსნა თავისუფლად გამომდინარეობს თვით საქმის არსიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობის გარეგანი მხარე სულ გლეხის ცხენის დაკარგვის გარშემო ტრიალებს, მიუხედავად იმისა, რომ ანტონი მიაპიტი გლეხია და სრულებითაც არა მარჯვე და ცბიერი, — იგი ტრაგიკული პირია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს არის ამაღლებელი მოთხრობა, რომლის წაკითხვის შემდეგ თავში უნებლიეთ ირევა სევდიანი და მნიშვნელოვანი აზრები. სულით და გულით ვისურვებთ, რომ ბ-ნმა გრიგოროვიჩმა განაგრძოს ამ გზით სიარული, რომელზეც მისი ტალანტისა-

გან შეიძლება ესოდენ ბევრს მოველოდეთ... დე მას ნუ შეაქრობს მაძაგებელთა ლანძღვა: ეს ვაჟბატონები სასარგებლონი და საჭირონი არიან ტალანტის მოცულობის სწორი განსაზღვრისათვის; მაძაგებელთა რაც უფრო დიდი ხროვა უყევს წარმატებას, მით უფრო დიდი ყოფილა წარმატება...⁶³

გასული წლის „სოვრემენნიკის“ უკანასკნელ წიგნში დაიბეჭდა „პოლინკა საქსი“, მოთხრობა ბ-ნ დრუჟინინისა, რომელიც რუსულ ლიტერატურაში სრულიად ახალი პიროვნებაა. ამ მოთხრობაში ბევრ რამეს აზრის მოუძწიფებლობის, გაზვიადების ბეჭედი აზის, საქსის სახე ოდნავ იდეალურია; მიუხედავად ამისა, მოთხრობაში იმდენად ბევრი ჭეშმარიტებაა, იმდენად ბევრი სულიერი სითბო და სინამდვილის სწორი, შეგნებული გაგებაა, იმდენად ბევრი თავისებურებაა, რომ მოთხრობამ მაშინვე საერთო ყურადღება მიიპყრო. განსაკუთრებით კარგადაა მასში გამოკვეთილი მოთხრობის გმირი ქალის ხასიათი; ეტყობა, ავტორი კარგად იცნობს რუს ქალს. ბ-ნ დრუჟინინის მეორე მოთხრობა, რომელიც წელს გამოქვეყნდა, ადასტურებს პირველი მოთხრობით აღძრულ აზრს ავტორის ტალანტის დამოუკიდებლობაზე და უფლებას გვაძლევს ბევრს მოველოდეთ მისგან შობავალში⁶⁴.

გასული წლის უშესანიშნავეს მოთხრობებს მიეკუთვნება „პავლე ალექსის-ძე იგრივი“, ბ-ნ დალის მოთხრობა („ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“). კარლ ივანეს-ძე გონობებელი და როტმისტრი შილოხვოსტოვი, როგორც ხასიათები, როგორც ტიპები, ავტორის კალმის ყველაზე ოსტატურ ნარკვევებს მიეკუთვნებიან. თუმცაღა, ამ მოთხრობაში ყველა სახე ჩინებულად არის მოხაზული, განსაკუთრებით ლიუბონკას უძვირფასესი მშობლები, მაგრამ ახალგაზრდა გონობებელი და მისი მეგობარი შილოხვოსტოვი — გენიალური ქმნილებებია⁶⁵. ამ ტიპებს ბევრი საკმაოდ იცნობს სინამდვილიდან, მაგრამ ხელოვნებამ ისინი ჯერ კიდევ პირველად გამოიყენა და სასიამოვნო გაცნობისათვის გადასცა მთელ მსოფლიოს. ეს მოთხრობა მოსაწონია არა მხოლოდ დეტალებითა და წვრილ-

მანებით, როგორც ბ-ნ დალის ყველა დიდი მოთხრობა; იგი თითქმის გამოკვეთილია მთლიანად, როგორც მოთხრობა. ვამბობთ: თითქმის, იმიტომ რომ მოთხრობის გმირისათვის ტრაგიკული ამბავი მკითხველზე რაღაც მოულოდნელისა და გაუგებარის შთაბეჭდილებას ახდენს. კაცს ასე ძლიერ უყვარდა ქალი, ასე ბევრს აკეთებდა მისთვის; ქალსაც, ალბათ, ძლიერ უყვარდა კაცი; მისი ქარაფშუტა ქმარი მოკვდა; სიყვარულის იმედებით ფრთაშესხმული მეგობარი მამაკაცი საზღვარგარეთ მიეშურება ქალთან შესახვედრად, და ხედავს, რომ იგი სხვას გაჰყოლია ცოლად. საქმე ის არის, რომ ავტორს არ უნდოდა თავისი მოთხრობა იმ კოლორიტით შეეფერადებინა, რომლითაც მკითხველი ასეთი დასასრულის ბუნებრიობას დაინახავდა. იგრივი — კომიკურად მორცხვი და მოკრძალებული ადამიანია; ამიტომაც მან ორ არამზადას საშუალება მისცა ხელიდან გამრეტაცნათ მისთვის საცოლე. როცა ქალი ცოლქმრული ცხოვრებით იტანჯებოდა, იგრივი მის მიმართ ისე იქცეოდა, როგორც უაღრესად თავაზიანი და უკეთილშობილესი ადამიანი, მაგრამ სრულიადაც არა ისე, როგორც მიჯნური; ამიტომაც ქალის შემკრთალი, დამფრთხალი გრძნობა იგრივის მიმართ მალე იქცა მადლობად, პატივისცემად, გაკვირვებად, ბოლოს — მოწიწებად; ქალი მასში ხედავდა მეგობარს, ძმას, მამას, ხორცშესხმულ სათნოებას, და უკვე სწორედ ამიტომ მასში აღარ ხედავდა მიჯნურს. ამის შემდეგ დასასრული გასაგებია, ისევე როგორც ისიც, რომ იგრივი მთელ თავის დანარჩენ ცხოვრებაში რაღაც შეშლილ მასხარად იქცა.

გასული წლის „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“ იბეჭდებოდა ბ-ნ ველტმანის „წუთისოფელში განცდილი თავგადასავალი“, რომელიც ამ ჟურნალის წლევანდელ მეორე წიგნში დამთავრდა. რადგან ამ რომანის ბეჭდვა, მგონი, 1846 წელს დაიწყო, ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა გველაპარაკა მასზე, და ამიტომ კვლავ გავიმეორებთ, რომ ამ ნაწარმოებში რომანი აღრეულია ზღაპართან, წარმოუდგენელი — წარმოსადგენ-

თან, შეუძლებელი — შესაძლებელთან. ასე, მაგალითად, დემიტრიცკი, რომანის გმირი, ისარგებლებს იმ დოცლაპია ახალგაზრდა ვაჟკრის საბუთებითა და ტანსაცმლით, რომელიც, თითქოს განგებ, ძალიან ჰგავდა მას სახით, და ამ ვაჟკრის ძამასთან მიდის, როგორც მისი შვილი. იგი ისე მარჯვედ ასრულებს თავის როლს, რომ არც მამა, არც დედა და არც არავინ შინაურთაგან ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, რომ ეს ცრუმარქვია მათი ნამდვილი შვილი იყო. ცრუმარქვია მდიდარ ცოლს შეირთავს და, როცა ქორწინების ღამეს შეიტყობს, რომ ნამდვილი შვილი გამოჩნდა, მაშინვე სტოვებს სხვის კერას, თან მიაქვს ცოლის მზითვად მიღებული უზარმაზარი კონა ასიგნაციები და მეორე დღიდანვე მოსკოვის მაღალ საზოგადოებაში იწყებს მდიდარი უნგრელი მაგნატის როლის შესრულებას. რაღაც უცნაურია! მაგრამ, მიუხედავად ამისა, ავტორი, რომელმაც თავისი პირები წარმოუდგენელ მდგომარეობაში ჩააყენა, მაინც წარმტაცად აღწერს მათ თავგადასავალს. მაგრამ იქ, სადაც რომანში ძალდატანება არაა, ავტორის ტალანტი მისთვის უაღრესად ხელსაყრელი სახით მჟღავნდება. ასე, მაგალითად, თავგადასავალი ნამდვილი შვილისა, რომელიც ყოველთვის აპირებს და ვერაფრით ვერ გაუბედნია ფეხებში ჩაუვარდეს თავის „მამილოს“, რადგან ეშინია, რომ უძვირფასესი მშობელი მას მყისვე მიბეგვავს და სიკვდილის პირას მიაყენებს, აღსავსეა ჭეშმარიტებით, სინამდვილის ღრმა ცოდნითა და მიმზიდველი ინტერესით. ასეთი მშვენიერი ეპიზოდები ბ-ნ ველტმანის რომანში ბევრია. ყველაზე უკეთესად ეხერხება მას ვაჟართა, ქალაქელ მდაბიოთა და უბრალო ხალხის ზნე-ჩვეულების გამოხატვა. მის რომანში ყველაზე სუსტია მაღალი საზოგადოების სურათები. ასე, მაგალითად, რომანში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მაღალი წრის ყმაწვილი კაცი ჩაროვი, რომლის მთელი სიღარბისლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველა თავის მეგობარს და ნაცნობს ეუბნება: პირ-რ-უტყვო, მ-მა-ახინჯო!.. მიუხედავად ბ-ნ ველტმანის რომანის მთელი უცნაურობისა და, შეიძლება ით-

ქვას, შეუსაბამობისა; ის მაინც მეტად შესანიშნავი ნაწარმოებია.

ახლა შევეხოთ ზოგიერთ ნაკლებად შესანიშნავ ნაწარმოებს. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ დაიბეჭდა ბ-ნ ნესტროევის მოთხრობა — „სბოევი“. მასში დიდი ოსტატობით არის დახატული ერთი მოსკოველი მოხელის შინაგანი ოჯახური ყოფა. განსაკუთრებით ორიგინალურად და მკაფიოდ დახატულია ივანე კირილეს-ძის საბრალო ცოლის — ანა ივანეს ასულის ხასიათი. დიდი სარკის უცაბედად გატეხვა მკითხველს უნებლიე ძრწოლას ჰგვრის, ისე ოსტატურად შესძლო ავტორმა ენიშნებინა, თუ რისი მღლოდინი უნდა ჰქონოდა საწყალ ოჯახს თავისი პატივცემული უფროსისაგან... მაგრამ ეს მოთხრობის მხოლოდ უკანა მხარეა; მოთხრობის მთავარი მხარე ეყრდნობა სბოევის სიყვარულს მოხელის ქალიშვილის — ოლგასადმი და საერთოდ ამ ორი პიროვნების ორიგინალურ ხასიათს. მაგრამ მოთხრობის სწორედ ეს მთავარი მხარე ვერ გამოვიდა. გმირი მამაკაცისა და გმირი ქალის პიროვნებანი რალაც არაბუნებრივია, არა იმ მხრივ, რომ ასეთი ადამიანები არ შეიძლება ბუნებაში არსებობდნენ, არამედ მხოლოდ იმ მხრივ, რომ მოთხრობის ავტორს ისინი არ გამოუვიდა. და ეს არც გასაკვირველია: მოთხრობის დასაწყისში ავტორი თვითონ ამბობს, რომ მისი მოთხრობა სხვისმა მოთხრობამ გამოიწვია, ხოლო ნასესხები აზრები იშვიათად გამოდგება. ბოლოში ავტორი გვპირდება ახალ მოთხრობას, რომელიც პირველის დასასრული უნდა იყოს: ასეთი დაპირებანიც იშვიათად სრულდება ხოლმე... „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა იმავე ავტორის მოთხრობა — „უგანთიადოდ“. მოთხრობის აზრი მშვენიერაა და მას შეეძლო მოთხრობისათვის მეტი წარმატება ერგუნებინა, ვიდრე მას ჰქონდა. ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, ის გარემოება იყო, რომ მოთხრობაში ყველა მეორეხარისხოვანი პირი ცოტად თუ ბევრად ხეირიანად არის დახატული (გმირი ქალის ქმრის ხასიათი კი — ოსტატურადაც), მაშინ როდესაც გმირი ქალის ხასიათი ავტორს მეტად უფერული

გამოუვიდა. ეს არის უსიცოცხლო, უარყოფითი არსება, რომელიც არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს მის მტანჯველ გარემოებებს. შეეძლო თუ არა ასეთ ქალს მისდამი რაიმე თანაგრძნობა გამოეწვია მკითხველებში? სულ სხვაა პოლინკა საქსი! აღზრდამ იგი ბავშვად აქცია, მაგრამ ცხოვრების გამოცდილებამ მასში შეგნება გამოაღვიძა და იგი ქალი გახადა. როცა კვდებოდა, იგი თავის მეგობარ ქალს სწერდა: „ამოდ სძინავს შენს ძმას ჩემს ფეხებთან და ცდილობს ჩემს თვალებში ამოიკითხოს ჩემი სურვილები. მე არ შემიძლია მისი სიყვარული, არ შემიძლია მისი გაგება, იგი მამაკაცი არ არის, იგი ბავშვია: მე მოხუცი ვარ მისი სიყვარულისათვის. აი, ის არის ადამიანი, ის არის მამაკაცი სიტყვის სრული აზრით: სული მისი დიადიც არის და მშვიდიც... მე ის მიყვარს, მუდამ მიყვარება“⁸⁸.

დაგვრჩენია მოვიხსენიოთ კიდევ ას-ერთის „ადამიანის დღიურები“ („ოტჩიესტვენნიე ზაპისკი“), უცნობი ავტორის⁸⁹ მოთხრობა „კირიუშა“ და ბ-ნ ტურგენევის „ურია“, რათა დავასრულოთ შარშან გამოქვეყნებული ყველა ცოტად თუ ბევრად შესანიშნავი რომანის, მოთხრობისა და ამბის კრიტიკული ჩამოთვლა. მაგრამ რამდენიმე სიტყვა კიდევ უნდა ვთქვათ ბ-ნ დოსტოევსკის მოთხრობა „დიასახლისზე“, რომელიც ფრიად შესანიშნავია, მაგრამ სულაც არა იმ აზრით, რომლითაც ის მოთხრობები, რომლებზეც აქამდე ვლაპარაკობდით. ამ მოთხრობაზე რომელიმე უცნობი სახელი რომ იყოს მოწერილი, მის შესახებ ხმას არ ამოვიღებდით. მოთხრობის გმირია ვიღაც ორდინოვი. იგი მთლიანად ჩაფლულა მეცნიერების შესწავლაში; თუ რა მეცნიერებაა ეს—ამას ავტორი თავის მკითხველებს არ ეუბნება, თუმცა ამაჯერად მათი ცნობისმოყვარეობა მეტად კანონიერი იყო. მეცნიერება თავის დაღს ასვამს ადამიანის არა მარტო შეხედულებებს, არამედ მის მოქმედებასაც: გაიხსენეთ ექიმი კრუპოვი. ორდინოვის სიტყვებიდან და მოქმედებიდან ოდნავაც არა ჩანს, რომ იგი რაიმე მეცნიერებას სწავლობდეს. მაგრამ მისი სიტყვე-

ბითა და მოქმედებით შეიძლება ივარაუდოთ, რომ იგი ძალიან გატაცებული ყოფილა კაბალისტიკით, მკითხაობით, ერთი სიტყვით, ჯადოსნობით... მაგრამ ეს ხომ მეცნიერება არაა, არამედ აშკარა სისულელეა; და, მიუხედავად ამისა, ამანაც კი თავისი დაღი დაასვა ორდინოვს, ე. ი. იგი გიჟსა და შეშლილს დაამსგავსა. ორდინოვი სადღაც შეხვდება ლამაზ ვაჭრის ცოლს; არ გვახსოვს, სთქვა თუ არა ავტორმა რამე ამ ქალის კბილების ფერზე, მაგრამ, ეტყობა, მას თეთრი კბილები ჰქონდა, გამონაკლისის სახით, მოთხრობის მეტი პოეზიის გულისათვის. ქალი ხელგაყრილი მიჰყვებოდა ხნიერ ვაჭარს, ვაჭრულად ჩაცმულსა და წვერიანს. ამ ვაჭრის თვლებში იმდენი ელექტრობა, გალვანიზმი და მაგნეტიზმია, რომ ზოგიერთი ფიზიოლოგი მას კარგ ფასს შეაძლევდა იმისათვის, რომ დროგამოშვებით დაეთმო მისთვის თუ თვალები არა, ელვისებური, ნაპერწკლიანი გამოხედვა შაინც სამეცნიერო დაკვირვებისა და ცდების მოსახდენად. ჩვენს გმირს მყისვე შეუყვარდა ვაჭრის ცოლი; მიუხედავად ფანტასტიკური ვაჭრის მაგნეტური გამოხედვისა და გესლიანი გაღიმებისა, მან არა თუ გაიგო, სად ცხოვრობენ ისინი, არამედ როგორღაც მათთან მდგმურადაც დადგა და ცალკე ოთახი დაიკავა. აქ კი დაიწყო საინტერესო სცენები: ვაჭრის ცოლი რაღაცას ჩმახავდა, რაშიაც ჩვენ ერთი სიტყვაც ვერ გავიგეთ, ორდინოვს კი, ქალს რომ უსმენდა, განუწყვეტლივ გული მისდიოდა. აქ ხშირად საქმეში ერეოდა ვაჭარი, მისი ცეცხლოვანი გამოხედვით და გესლიანი ღიმილით. რას ელაპარაკებოდნენ ისინი ერთმანეთს, რატომ ასე იქნევდნენ ხელებს, რატომ იმანქებოდნენ, იგრიხებოდნენ, რატომ მისდიოდათ გული და შემდეგ გონს მოდიოდნენ, — ჩვენ სრულებით არ ვიცით, იმიტომ რომ მთელი ამ გრძელი პათოსიანი მონოლოგებიდან ერთი სიტყვაც ვერ გავიგეთ. ამ ალბათ მეტად საინტერესო მოთხრობის არა თუ აზრი, მისი მნიშვნელობაც კი ჩვენი ცნობიერებისათვის საიდუმლოდ რჩება და დარჩება, ვიდრე ავტორი მისი ახირებული ფანტაზიის ამ საკვირველი გამოცანის

სათანადო ახსნა-განმარტებებს არ გამოსცემს. რა არის ეს — ბოროტად გამოყენება თუ უმწეობა ტალანტისა, რომელსაც უნდა შეუძლებელი შესძლოს, და ამიტომ ეშინია ჩვეულებრივი გზით წასვლა და რაღაც არარსებულ გზას დაეძებს? არ ვიცი. ჩვენ მხოლოდ ისე მოგვეჩვენა, რომ ავტორს უნდოდა ესინჯა მარლინსკის შერიგება ჰოფმანთან, რისთვისაც მოთხრობაში ცოტაოდენი უახლესი სახის იუმორი შეურია და ყოველივე ამას ბლომად წაუსვა რუსული ხალხურობის ლაქი. განა საკვირველია, რომ გამოვიდა რაღაც უცნაური. რაც ახლა მოგვაგონებს ტიტ კომოკრატოვის ფანტასტიკურ ანბებს, რომლებითაც იგი საზოგადოებას ართობდა ამ საუკუნის 20-იან წლებში. მთელ ამ მოთხრობაში ერთიც არ არის მარტივი და ცოცხალი სიტყვა ან გამოთქმა: ყველაფერი დღლარქნილი, ნაძალადეგია, ორჩოფეხანზე შემდგარი, ყალბი და მოგონილია. აბა ეს რა ფრაზებია: ორდინოვი თავს იშოლტავს რაღაც უცნობად ტკბილი და ჯიუტი გრძნობით; გვერდით ჩაუელის მეკუბოვის ჭკუამახვილურ სახელოსნოს; თავის სატრფოს მტრედს უწოდებს და ეკითხება, რომელი ციდან შემოფრინდი ჩემს ზეცაშიო. მაგრამ კმარა! გვეშინია არ გაგვიტაცოს ამ მოთხრობის უცნაური ფრაზების ამოწერამ — მათ ბოლო არ ექნებოდა. რა არის ეს? უცნაური ამბავი! გაუგებარი ამბავი!.. 70

გააუღ წელს კაზმული სიტყვიერების დარგში ცალკე გამოსული წიგნებიდან შესანიშნავია მხოლოდ ტ. ჩ-ს „მგზავრის შენიშვნები“. ეს არის პატარა, ლამაზად დაბეჭდილი წიგნი, რომელიც ოდესაში გამოვიდა. მისი ავტორია ქალი; ეს ჩანს ყველაფრიდან, განსაკუთრებით საგნებზე შეხედულებიდან. ბევრი გულითადი სიტბო, ბევრი გრძნობა, არც თუ ყოველთვის გაგებული ან მეტისმეტად ქალურად გაგებული ცხოვრება, მაგრამ ისე, რომ იგი არასოდეს არ არის შელამაზებული, შეფერადებული, გაზვიადებული და დამახინჯებული, წარმტაცი თხრობა, ჩინებული ენა, — აი ღირსება ქ-ნ ტ ჩ-ს ორი ამბისა. განსაკუთრებით საინტერესოა პირ-

ველი ამბავი — „სამი ვარიაცია ძველ თემაზე“. მოზრდილ ქალიშვილს შეუყვარდა ბიჭუნა. შემდეგ ეს ბიჭუნა თვალთაგან დაეკარგა და ქალიშვილი ცოლად გაჰყვა კეთილ და წესიერ კაცს, მაგრამ ამ კაცის მიმართ იგი არაფერ განსაკუთრებულს არ გრძნობდა. უცბად იგი შეხვდება ლიოლიას, რომელიც ახლა უკვე ალექსისი გამხდარა. მათ შორის განსაკუთრებული ურთიერთობის მსგავსი რაღაც დამყარდა, რაც დასრულდა ორივე მათგანის ვნებიანი კოცნით, გულის გადაშლით და ალექსისის გამგზავრებით. ეს გამგზავრება მოხდა გმირი ქალის დაჟინებითი მოთხოვნით, რადგან ქალში სიყვარულმა ვერ დასძლია მოვალეობის გრძნობა. შემდეგ იგი ავადმყოფ ქმართან ერთად წავიდა საზღვარგარეთ სამკურნალო წყლებზე. იქ მან ერთი თავისი მეგობარი ქალისაგან მიიღო წერილი, რომლითაც შეიტყო, რომ ალექსისს იგი გატაცებით უყვარს. ამ წერილმა ქალი ძალიან ააღელვა. ერთხელ, როცა წერილს ხელახლა კითხულობდა და ალექსისზე ოცნებობდა, მას უცბად მეზობელი ოთახიდან, სადაც მისი ქმარი იყო, რაღაც უცნაური ხმაური მოესმა. იგი ოთახში შერბის და ხედავს თითქმის გულწასულ ქმარს, რომელსაც კლექის სასტიკი შეტევა მოუვიდა. ოდნავ რომ მომჯობინდა, ქმარმა დაუწყო მას ლაპარაკი თავის მოახლოებულ სიკვდილზე, მადლობას უხდიდა ყურადღებისა და მზრუნველობისათვის, უხაროდა, რომ ქონებას უტოვებდა და ურჩევდა გათხოვილიყო, რადგან იგი ახალგაზრდა, ლამაზი იყო და მათ შვილები არ ჰყავდათ. ყველა აღზრდილი ქალის ჩვეულებისამებრ, მან შეძრწუნებულმა უარჰყო უკანასკნელი წინადადება. შემდეგ ქალს სინდისმა ქენჯნა დაუწყო. ან კი სხვანაირად როგორ შეიძლებოდა: მისი ქმარი კვდებოდა და მას მადლობას უხდიდა სიყვარულისა და ყურადღებისათვის, იგი კი ამ დროს სხვაზე ფიქრობდა, სხვა უყვარდა. საბრალო ქალმა კინაღამ გაუმხილა თავისი საიდუმლო მომაკვდავ ქმარს. საბედნიეროდ, ქალს გული წაუვიდა და ამან ხელი შეუშალა ამ ზედმეტ და უაზრო აღსარებას, რასაც შეეძლო მხოლოდ

მოეწამლა კარგი და კეთილშობილი ადამიანის უკანასკნელი წუთები. ასეთია აღზნებული ქალის ლოგიკა!.. გმირი ქალის ქმარი მოკვდა. ქალი 35 წლისა იყო, როდესაც მან ალექსი პეტრეს-ძე ნახა. ალექსი ცოლიანი იყო და პატივმოყვარეობით ცხოვრობდა. ჩვენმა გმირმა ქალმა ძლივს დააშოშმინა თავისი მღელვარება ალექსის დანახვისას. მაგრამ ალექსი პეტრეს-ძე მას ცივი თავაზიანობით მოეპყრო. აქ ქალს სავსებით გული გაუტყდა მტარვალ მამაკაცებზე და მწარედ ატირდა. როგორ! ალექსისმა ყველაფერი დაივიწყა! ან კი რა უნდა ახსოვდეს მას? კოცნა? ისტორია სიყვარულისა, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა და დასაწყისშივე შეწყდა, ერთი იმ ისტორიათაგანი, რაც მრავალ მამაკაცს არაერთხელ შეხვდება ხოლმე ცხოვრებაში? მამაკაცს ცხოვრებაში მრავალი ინტერესი აქვს, და ამიტომ მის მეხსიერებაში მხოლოდ ის ისტორიები რჩება, რომლებიც ერთ კოცნაზე უფრო სერიოზულია. ქალი სხვა საქმეა: იგი მთელი არსებით მხოლოდ სიყვარულით ცხოვრობს, და მით უფრო მეტად—თავისი შინაგანი შეგრძნებებით, რაც უფრო მეტად მოვალეა დაჰფაროს ისინი. ქალებს განსაკუთრებით იზიდავს ისეთი სასიყვარულო ისტორიები, რომლებიც არაფრით სერიოზულით არ მთავრდება, რომლებშიც არავითარი რისკის გაწევა, არავითარი მსხვერპლის გაღება საჭირო არ არის; შეიძლება ქმარს გულში უღალატო — და ფორმალურად შენი აღთქმის ერთგული დარჩე, სიყვარულის მოთხოვნილება დაიკმაყოფილო და საზოგადოების მიერ დაკისრებული მოვალეობანი წმინდად შეასრულო. მეორე მოთხოვნილება — გუვერნანტის — გმირი ერთი იმ ქალთაგანია, რომლებშიც ფანტაზია ბატონობს გონებაზე და რომლებსაც გონებიდან უნდა შეუტეო, ე. ი. უწინარეს ყოვლისა რითიმე უნდა გააკვირო, განაცვიფრო, ცნობისმოყვარეობა აღუძრა, თუ სილამაზით არა — სიმახინჯით, თუ ჭკუით არა — სისულელით, თუ ღირსებით არა — უცნაურობით, თუ სათნოებით არა — მანკიერებით. ამ გმირ ქალს დასდევს ერთი მახინჯი კაცი, რომელსაც ის სულაც არ უყვარს; ამავე დროს ეს ქალი

გატაცებით უყვარს კეთილშობილ და ლამაზ მამაკაცს. ქალმა ორივე ამ მამაკაცის ფასი იცის, და, როგორც პეპელა შუქი-საქენ, ისე მიილტვის პირველი მამაკაცისაკენ. მოთხრობა კარ-ტად არაა ნაამბობი. მაგრამ, ეტყობა, გმირმა ქალმა თავის ღმერთს განსაკუთრებული თანაგრძნობა ვერ გამოიწვია, და ამიტომ პირველი მოთხრობა ყველას უფრო მოეწონა, ვიდრე მეორე. ორივეში ჩანს ნიჭი, რომლისგანაც შეიძლება კარგ შედეგებს მოველოდეთ, თუ ის განვითარდება⁷¹.

უცხოური ღირსშესანიშნავი რომანებიდან „სოვრემენნიკსა“ და „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ ითარგმნა „ლუკრეცია ფლო-რიანი“ (მასზე ჩვენს ჟურნალში უკვე იყო ლაპარაკი) და გრძელდება თარგმნა რომანისა: „საეპტრო სახლი დომბისა და შვილის ფირმით“; როდესაც ეს ჩინებული რომანი, რომელ-მაც დიკენსის ყველა წინანდელი ნაწარმოები შორს მოიტოვა უკან, მთლიანად გამოქვეყნდება რუსულად, მის შესახებ მა-შინ ვილაპარაკებთ⁷².

სიტყვიერების დარგს მიეკუთვნება დღიურები ანუ წარსუ-ლის მოგონებანი. „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა ორი ამგვარი საინტერესო სტატია: „მსახიობის დღიურიდან“ — ნისა, და „ივანე ფილოპეს-ძე ვერნეტი, შვეიცარიის მკვიდრი და რუსი მწერალი“, ბ-ნ ლ-ისა⁷³. აქვე მოვიხსენიებთ ბ-ნ ნებოლსინის შშვენნიერ, შინაარსითა და გადმოცემით საინტერესო სტა-ტიას: „ამბები ციმბირის ოქროს სამადნეებისა“, რომელიც ასე დიდხანს იბეჭდებოდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ნარევე-ში. ბ-ნ ბოტკინის „წერილები ესპანეთზე“ („სოვრემენნიკში“) შოულოდნელი სასიამოვნო ახალი ამბავი იყო რუსულ ლიტე-რატურაში. ესპანეთი ჩვენთვის — ტერა ინკოგნიტაა. პოლი-ტიკური ცნობები მხოლოდ თავგზას უბნევს ყოველ ადამიანს, ვინც ამ ქვეყნის მდგომარეობის გაცნობას მოისურვებს. „ესპა-ნეთზე წერილების“ ავტორის მთავარი დამსახურება ის არის, რომ იგი ყველაფერს უცქეროდა საკუთარი თვალით, მას არ იტაცებდა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში გაფანტული მზამზარეული მსჯელობა ესპანეთზე; მისი წერილებიდან

გრძნობთ, რომ მან ჯერ კარგად ნახა, კარგად მოისმინა, გამოიკითხა და შეისწავლა, და უკვე შემდეგ შეიმუშავა თავისი წარმოდგენა ამ ქვეყანაზე. ამიტომაც ავტორის შეხედულება ესპანეთზე ახალი, ორიგინალურია, და მკითხველს ყველაფერი არწმუნებს, რომ ეს შეხედულება სწორია, რომ მკითხველი ეცნობა არა რომელიმე ფანტასტიკურ, არამედ ნამდვილად არსებულ ქვეყანას. წარმტაცი გადმოცემა კიდევ უფრო აღი-
 დებს ბ-ნ ბოტკინის წერილების ღირსებას. „წერილებს Avenue Marigny-დან“ ზოგიერთი მკითხველი თითქმის უკმა-
 ყოფილოდ შეხვდა, თუმცა უმრავლესობაში ამ წერილებმა მხოლოდ მოწონება გამოიწვია. მართლაც, ავტორი უნებლიეთ შეცდა თანამედროვე საფრანგეთის მდგომარეობაზე მსჯელობის დროს იმით, რომ მეტისმეტად ვიწროდ გაიგო სიტყვა „bourgeoisie“-ის მნიშვნელობა. ამ სიტყვით იგი გულისხმობა მხოლოდ მდიდარ კაპიტალისტებს, და ამ სიტყვიდან გამო-
 რიცხა ამ წოდების ყველაზე მრავალრიცხოვანი და ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანი მასა. მიუხედავად ამისა, „წერილებში Avenue Marigny-დან“ იმდენი ცოცხალი, წარმტაცი, საინტერესო, გონივრული და სწორი რამ არის, რომ არ შეიძლება ისინი კმაყოფილებით არ წაიკითხო მაშინაც კი, რომ ავტორს ბევრ რამეში თუნდაც არ ეთანხმებოდე“. ჩვენი აზრით, შერეული შინაარსის, მაგრამ თავისი ფორმით უფრო სიტყვიერების განყოფილების კუთვნილი სტატიების ამავარიგს მიეკუთვნება: ისკანდერის „ახალი ვარიაციები ძველ თემებზე“ („სოვრემენნიკში“); ბ-ნ ფერის „მოთხრობები“ (იქვე); „პორტუგალიელ ფერნანდ-მენდეს პინტოს მოგზაურობანი, აღწერილი მის მიერვე და გამოცემული 1614 წელს“, თარგმანი ძველი პორტუგალური ენიდან ბ-ნ ბუტაკოვისა, და „ანტონიო პერესი და ფილიპე II“, თხზულება მინიესი („ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“).

გასულ წელს ჩვენს ჟურნალებში განსაკუთრებით მდიდრად იყო წარმოდგენილი შესანიშნავი მეცნიერული სტატიები. აქ დავასახელებთ უმთავრესს. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“:

„პროლეტარები და პაუპერიზმი ინგლისსა და საფრანგეთში“ (სამი სტატია); „მზის სისტემის ფიზიკურ-ასტრონომიული მიმოხილვა“ დ. მ. პერევეშჩიკოვისა; „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები“ (სამი სტატია); „გენკესა და ლევე-რიეს აღმოჩენა“ დ. მ. პერევეშჩიკოვისა; „პურის ფასების მერყეობის მიზეზები“ ა. პ. ზაბლოცკისა. „სოვრემენნიკში“: „ძველი რუსეთის იურიდიული ყოფის მიმოხილვა“ კ. დ. კაველინისა; „გამოკვლევები ელევზისის საიდუმლოებათა შესახებ“ გრაფ ს. ს. უვაროვისა; „დანიელ რომანის-ძე, მეფე გალიჩისა“ ს. მ. სოლოვიოვისა; „ფიზიოლოგიის მნიშვნელობა და წარმატებანი“ კ. ლიტრესი; „ცდა საერთო-სასარგებლო მოთხრობისა იმის შესახებ, თუ როგორ აღმოაჩინეს ახალი პლანეტი ნეპტუნი“ ა. სავიჩისა; „კონსტანტინოპოლი IV საუკუნეში“; „დაკვირვებითი მეცნიერებებისა და განსაკუთრებით სტატისტიკის შედეგებისადმი ნდობის განმსაზღვრელ საზომთა შესაძლებლობის შესახებ“ აკადემიკოს ბუნიაკოვსკისა; „სახელმწიფო მეურნეობა პეტრე დიდის დროს“ (ორი სტატია) ა. აფანასიევისა; „მალთუსი და მისი მოწინააღმდეგენი“ ვ. მილიუტინისა; „ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტი და მისი კოსმოსი“ (ორი სტატია) ნ. ფლოროვისა; „ირლანდია“ ნ. სატინისა. „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“ ნახევარწელიწადზე მეტხანს იბეჭდებოდა მეტად საინტერესო სტატია სახელწოდებით: „ლეიტენანტ ზაგოსკინის მოგზაურობა და აღმოჩენები რუსეთის ამერიკაში“, რომელიც ახლა ცალკე წიგნად გამოვიდა სხვა სათაურით.

ბ-ნ კაველინის სტატია: „ძველი რუსეთის იურიდიული ყოფის მიმოხილვა“ და ბ-ნ ზაბლოცკის სტატია: „რუსეთში პურის ფასების მერყეობის მიზეზთა შესახებ“, უეჭველია, გასული წლის ჩვენი მეცნიერული ლიტერატურის უაღრესად ღირსშესანიშნავ მოვლენებს მიეკუთვნება. თავისებურად მეტად შესანიშნავია აგრეთვე ბ-ნ პოროშინის სტატიები, რომლებიც „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ იბეჭდებოდა.

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით ცალკე წიგნებად შარშან გამოცემულ სხვადასხვაგვარ თხზულებებს, იმიტომ რომ მათი უმე-

ტესი ნაწილი განხილულია „სოვრემენნიკის“ კრიტიკასა და ბიბლიოგრაფიაში, ხოლო დანარჩენები დასახელებულია „ბიბლიოგრაფიულ ცნობებში“, რომლებიც ერთვოდა გასული წლის „სოვრემენნიკის“ VII და XII წიგნებს...

გასული წლის კრიტიკული სტატიებიდან ღირსშესანიშნავია სტატიები შემდეგ წიგნებზე: „ისტორიულ-კრიტიკული ნაწყვეტები“ ბ-ნ პოგოდინისა; „მ. პოგოდინის გამოკვლევები, შენიშვნები და ლექციები რუსეთის ისტორიის შესახებ“; „კითხვები მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა საიმპერატორო საზოგადოებაში“; „ებრაელთა რელიგიური სექტები რუსეთში“ ბ-ნ გრიგორიევისა; „ფონ-ვიზინის თხზულებანი“, გამოცემული სმირდინის მიერ („ოტჩესტვენნიე ზაპისკიში“). ორი უკანასკნელი სტატია, თავისი შინაგანი და გარეგანი ღირსების გარდა, განსაკუთრებით საინტერესოა იმიტაც, რომ ეკუთვნის ავტორს, რომელსაც აქამდე არსად უწერია. ბ-ნ დუდიშკინის სტატიებში ჩანს საქმის ცოდნა; იგი კარგად იყენებს განვითარების ისტორიულ შესწავლას, რათა მით ახსნას მოცემული ეპოქის ლიტერატურული ნაწარმოებნი. ჩვეულებრივად პირველი სტატიების მთავარი ნაკლია გაჭიანურება და მრავალსიტყვაობა. ზოგჯერ ასეთ სტატიაში თითქმის არაფერია ნათქვამი იმ წიგნზე, რომელზეც იგი დაწერილია, მაგრამ ბევრია ნათქვამი, ზოგჯერ კარგიც კი, ოღონდ ყოველთვის უადგილო ადგილას, ისეთ საგნებზე, რომლებსაც განსახილველ წიგნთან საერთო არაფერი აქვთ. ბ-ნმა დუდიშკინმა შესძლო ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილება; ეტყობა, როცა იგი საქმეს შეუდგა, შინაარსი უკვე მოფიქრებული ჰქონდა. იგი სავსებით ჰფლობს თავის აზრს, ნებას არ აძლევს მას გაიფანტოს ან გაიტაცოს ავტორი ხან ერთი და ხან მეორე მიმართულებით, არამედ მუდმივად მიმართავს თავის აზრს მოცემულ საგანზე და ამიტომაც დასაწყისით იწყებს და დასასრულით ამთავრებს, ლაპარაკობს მოზომილად და ამიტომაც სავსებით აცნობს მკითხველს იმ საგანს, რომელზეც

სწერს. ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ ყველა კრიტიკულ სტატი-
აზე, რომლებიც შარშანდელ „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა:
ამის საშუალებას არ გვაძლევს ის გარემოება, რომ ზოგიერ-
თი პირი, რომლებსაც სტატიები ეკუთვნის, ამ ჟურნალთან
ახლოს დგას. ამიტომ უნდა დაგვკმაყოფილდეთ მხოლოდ შემ-
დეგ სტატიებზე მითითებით: „უორე ზანდის უკანასკნელი
რომანები“ ბ-ნ კრონებერგისა; „ისტორიული ლიტერატურა
საფრანგეთსა და გერმანიაში 1847 წელს“ ბ-ნ გრანოვსკისა;
„ცდა ხალხის სიმდიდრის ანუ პოლიტიკური ეკონომიის საწ-
ყისთა შესახებ“, თხზ. ბ-ნ ბუტოვსკისა (ბ-ნ მილიუტინის სა-
მი სტატია); ბ-ნ კაველინის სტატია „რიურის გვარეულო-
ბის მთავართა ურთიერთობის ისტორიის“ შესახებ, თხზ. ბ-
ნ ს. სოლოვიოვისა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ „სოვრემენნიკი“
განუწყვეტლივ აქვეყნებდა სრულ ანგარიშებს რუსეთის
ისტორიის ყველა ღირსშესანიშნავ მოვლენაზე. მაგრამ ამას-
თან ერთად „სოვრემენნიკმა“ უნდა სთქვას, რომ, რედაქციი-
საგან სრულიად დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, იგი სხვა
შემთხვევებში არც თუ სავსებით აკმაყოფილებდა საზოგა-
დოების მოლოდინს კრიტიკის დარგში. მაგრამ მას იმედი
აქვს, რომ წელს ამ განყოფილებას გაცილებით უფრო
სრულს გახდის და განავითარებს⁷⁶.

რუსული კრიტიკა ამჟამად უფრო მტკიცე საფუძველზე
დგას: ის უკვე მარტოდენ ჟურნალებში კი არ არის, არა-
მედ საზოგადოებაშიც, რაც იმის შედეგია, რომ სულ უფრო
და უფრო ვითარდება გემოვნება და განათლება. ამან უაღ-
რესად უნდა შეუწყოს ხელი თვით კრიტიკის განვითარებას:
კრიტიკა უკვე ისეთი საქმეა, რომელიც საზოგადოებრივი
აზრის სამსჯავროს ექვემდებარება, და არა მწიგნობრული
საქმიანობა, რომელსაც ცხოვრებასთან კავშირი არა აქვს. ახ-
ლა ყველას როდილა შეუძლია კრიტიკოსი იყოს, ვისაც კი
მოეპრიანება, ყოველგვარ აზრს როდი მიიღებენ მხოლოდ
იმიტომ, რომ იგი დაბეჭდილია. პარტიათა მიკერძებას აღარ
შეუძლია ჩაჰკლას კარგი წიგნი და გზა გაუხსნას ცუდს. ახ-

ლანდელ წიგნში ხშირად გაისმის რწმენა, და ადამიანები, რომელთაც რწმენა სრულებით არ გააჩნიათ, ყოველ შემთხვევაში ცდილობენ მას ამოეფარონ. შეხედულებათა ბრძოლა, რაც კრიტიკაში გამოიხატება, მოწმობს, რომ რუსული ლიტერატურა მხოლოდ სწრაფად მიდის სრულყოფისაკენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუღწევია მისთვის. რა თქმა უნდა, ყველგან მოიპოვებიან ადამიანები, რომლებისთვისაც თითქოს თვით ბუნებას დაუწესებია ყველას შეეხონ, ყველას ჩააცივდნენ, ყველა აძაგონ, განუწყვეტლივ იჩხუბონ, იხმაურონ და ილანძლონ. გარდა ბუნებრივი მიდრეკილებისა, რის დაძლევა არაფრით არ შეიძლება, მათ საამისოდ აქეზებს გაღიზიანებული თავმოყვარეობაც და წვრილმანი პირადი ინტერესებიც, რომლებსაც ლიტერატურასთან საერთო არა აქვთ რა. ასეთი ადამიანები ყველგან გარდუვალი ბოროტებაა, რომელსაც თავისი სასარგებლო მხარეც კი აქვს: ეს ადამიანები ნებაყოფლობით კისრულობენ იმ როლს საზოგადოების წინაშე, რომელსაც სპარტელები ილოტებს თავიანთი ბავშვების წინაშე ასრულებდნენ... მაგრამ უცნაური და სამწუხაროა, რომ ამ ადამიანების ფეხისხმან განუწყვეტლივ აპყვებიან ხოლმე ადამიანები, რომელთაც, როგორც ჩანს, მათთან საერთო არაფერი აქვთ და თითქოს რაღაც თავისთვის ძვირფასი რწმენის საფუძველზე მოქმედებენ, და, ბოლოს, ადამიანები, რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით, ასაკითა და სახელით მოვალენი არიან ლიტერატურაში კარგი ტონისა და თავაზიანობისადმი პატივისცემის მაგალითი აჩვენონ. აი რამდენიმე სულ ახალი მაგალითი.

„სინ ოტეჩესტვას“ გასული წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა ბ-ნ შევირგოვის ლექციის განხილვა. ამ სტატიაში ნათქვამი და დამტკიცებული იყო, რომ ბ-ნ შეჭირიოვის შრომა არის „ღრუბლებით ნაგები მშვენიერი ციხე-კოშკი; უკუმიბრუნებული მომხიბლავი უტოპია“. ეს ლექციის თეორიულ ნაწილს უფრო შეეხება; ფაქტიურ ნაწილში კი რეცენზია

49. ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

მხოლოდ კომპილაციას ხედავს. „სინ ოტეჩესტვას“ რეცენზენტმა თავისი სახელი დამალა, მაგრამ ვერ დამალა თავისი განსწავლულობა, ვერ დამალა ის, რომ იგი იცნობს ბიზანტიურ და ბულგარულ წყაროებს“. ამიტომ მისმა სტატიამ იმდენად ძლიერად იმოქმედა ბ-ნ შევირიოვზე, რომ მან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შესძლო მისთვის პასუხის გაცემა. რაც უფრო ძლიერი იყო ბ-ნ შევირიოვზე თავდასხმა, მით უფრო მეტ ღირსებას მოველოდით მისი თავდაცვისაგან. ასე მოიქცა თუ არა ბ-ნი შევირიოვი? უწინარეს ყოვლისა, მან უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ „სინ ოტეჩესტვას“ კრიტიკოსმა თავისი სახელი დამალა, თითქოს აქ საქმე სახელები იყოს და არა მეცნიერება, არა იდეები, არა რწმენა. ალბათ ამ მისთვის საწყენი სახელის გაუმჟღავნებლობით გამოწვეული თავისი უკმაყოფილების გავლენით, ბ-ნი შევირიოვი სრულიად უმიზეზოდ თავს დაესხა ბ-ნ ნადეჟდინს. იგი მას ირონიულად უწოდებს „ამ სწავლულ გემს“, „დიდად განსწავლულ ფილოლოგს“, დასცინის მის შეხედულებებს სლავურ კილოკავებზე და ეჭვიც კი არ ეპარება, რომ მისი ატიკური ენაწყლიანობა ძალიან წააგავს სლავურ უხეშობას. სხვისი შეხედულებების უარყოფა შეიძლება და საჭიროა, თუ თქვენ ისინი უმართებულოდ მიგაჩნიათ; მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს, ჯერ-ერთი, თავის ადგილას, მეორე — თავაზიანობისადმი პატივისცემით. ბ-ნ შევირიოვისათვის ცუდი არ იქნებოდა არ დავიწყებოდა, რომ იგი მეცნიერია, რომ იგი რუსულ ლიტერატურაში ოც წელიწადს მაინც არის ცნობილი და რომ ყოველივე ეს მას ავალეებს ახალგაზრდა ლიტერატორებს დადებითი მაგალითი უჩვენოს და არა უარყოფითი. ურიგო არ იქნებოდა აგრეთვე ბ-ნ შევირიოვს გახსენებოდა, რომ ბ-ნი ნადეჟდინი ოდესღაც მისი ამხანაგი იყო უნივერსიტეტში, ისეთივე პროფესორი, როგორც ის არის. მაგრამ ბ-ნი შევირიოვი სავსებით მოკლებულია იმ ლიტერატურულ სიღინჯეს, რომელიც მეცნიერებითა და ცხოვრების გამოცდილებით განვითარებულ ადამიანთა ძალას შეადგენს; იგი, პირ-

იქით, ლიტერატურაში შეშფოთებული და აღელვებულია, და ამიტომაც მუდამ ისეთ უკიდურესობებში ვარდება და ისეთ შეცდომებს სჩადის, რაც იმ ახალგაზრდა ადამიანებს ახასიათებს, რომლებმაც ლიტერატურული მოღვაწეობა პირდაპირ სკოლის სკამიდან დაიწყეს. აი კიდევ მაგალითი: როცა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ცნობილ ყოფილ თანამშრომელზე ლაპარაკობდა, რომელიც ახლა „სოვერემენნიკში“ მუშაობს, ბ-ნმა შევირიოვმა თავს ნება მისცა მის შესახებ ეთქვა, „მან „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ დროშას უღალატაო!“⁷⁷ ხარის თუ არა ეს ფრაზა იმ შეშფოთებული და გაღიზიანებული მდგომარეობის შედეგი, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობდით? ნუთუ ბ-ნ შევირიოვს თვითონ სჯერა თავისი სიტყვები? არა, მას უნდოდა მოწინააღმდეგისათვის ეჩხვლიტა, და მან დაივიწყა, რომ სჩხვლეტენ სიმართლით და არა მონაპორით. იმ კაცმა, რომელზეც იგი ლაპარაკობს, სრულიად ბუნებრივი რამ გააკეთა: მან თავისთვის უფრო მოსახერხებლად და უკეთესად ჩასთვალა თავისი სტატიები მოეთავსებინა სხვა ჟურნალში, და ამის სრული უფლება ჰქონდა, იმიტომ რომ თავისი თავი არც ერთ ჟურნალზე მიმაგრებულად არ მიაჩნია. ასეთივე გამოსვლების რიცხვს მიეკუთვნება ის აზრიც, რომელსაც ბევრი განუწყვეტლივ იძეორებს, თითქოს გოგოლმა თავის წინანდელ თხზულებათა უარყოფით სამძიმო მდგომარეობაში ჩაგვაყენა ჩვენ, ისე რომ ჩვენ აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. ამ წიგნის გამოსვლიდან წელიწადზე მეტი გავიდა, ჩვენ უკვე რამდენჯერმე ვილაპარაკეთ გოგოლის თხზულებებზე იმავე სულისკვეთებით, რომლითაც მათ შესახებ მისი წიგნის გამოსვლამდე ვლაპარაკობდით. საერთოდ, ჩვენ ყოველთვის ვაქებდით გოგოლის თხზულებებს და არა თვით გოგოლს; ვაქებდით მათ თვით მათი გულისათვის და არა მათი ავტორის გულისათვის. მისი წინანდელი თხზულებანი ჩვენთვის ახლაც იგივეა, რაც წინათ იყო; ჩვენ არ გვანტერესებს, რას ფიქრობს ახლა გოგოლი თავის წინანდელ თხზულებებზე. მაგრამ ბ-ნ შევირიოვის ყველაზე

აეადმყოფური გალაშქრება ისკანდერს შეეხება: ბ-ნ შევირიოვის სულის მეტად შფოთიანმა დამოკიდებულებამ ამ ავტორისადმი აიძულა იგი სრულიად არა ლიტერატურული ტონი აეღო: მას რომან „ვინ არის დამნაშავედან“ ამოუწერია ყველა ის ფრაზა და სიტყვა, რომლებშიც მოუსურვებია რუსული ენის დამახინჯება დაენახა. ზოგიერთი ეს ფრაზა და სიტყვა შეიძლება მართლაც დაგმობილ იქნას; მაგრამ მათი უშეტესი ნაწილი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ბ-ნ შევირიოვს ისკანდერი არ უყვარს. არ გვესმის, როგორ პოულობს ბ-ნი შევირიოვი დროს ასეთი წვრილმანებისათვის, რომლებიც მხოლოდ ელოკვენციისა და პიტიკურ ოინბაზობათა ნეტარხსენებული ცნობილი პროფესორის⁷⁶ შრომისმოყვარეობას შეეფერება! ხოლო რა იქნება, რომ ვისმეს აზრად მოუვიდეს ბ-ნ შევირიოვის სტატიებიდან მთელი პერიოდების ამოწერა, როგორცაა შემდეგი: „ხოლო ახლა რომ ზოგიერთ რუს არსებას, რომელსაც ძველი რუსული ცხოვრების ნამდვილი აზრი არ ესმის, მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიური და რალაც მისტიკური და თეორიული სიბრძნე და „წვრილმანი გონებიანი კვრეტაცკი“ ჰგონია ის, რაც თავის თავში შეიცავს უალრესად მარტივ და უმაღლეს კეშმარტებებს, ეს სხვას არაფერს არ ნიშნავს; თუ არა იმას, რომ ამ რუსმა არსებამ კავშირი გასწყვიტა რუსი ხალხის ცხოვრების ძირეულ საფუძვლებთან და განმარტოვდა თავის განყენებულ პიროვნებაში, რომლის ვიწრო ჩარჩოებიდან ხედავს საკუთრივ თავის აჩრდილებს და არა საქმეს“. თუმცაღა, ასეთ პერიოდში ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ რუსული ენის დამახინჯება, არამედ ვხედავთ მხოლოდ ბ-ნ შევირიოვის ენის დამახინჯებას, და, რა თქმა უნდა, ამ მხრივ ისკანდერს უფრო მკაცრად უნდა მივეუდგეთ, როგორც გავლენიან მწერალს; მაგრამ ასეთი წვრილმანებისთვის ჩაცეება მაინც იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგისადმი სიძულვილი უფრო გამოამჟღავნო, ვიდრე რუსული ენისა და ლიტერატურისადმი სიყვარული, და შორიდან ემუქრებოდე შენს მოწინააღმდეგეს ნემსით ან ქინძისთავით, როცა არ შეგიძლია მას შუბით მისწვდე.

შარშან კრიტიკის ყურადღება უმთავრესად მიიპყრო „გოგოლის მიწერ-მოწერამ მეგობრებისადმი“. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნს ახლაც მხოლოდ მის შესახებ დაწერილი სტატიები მოგვაგონებს ხოლმე. მის წინააღმდეგ მიმართული საუკეთესო სტატიათაგანი ნ. თ. პავლოვს ეკუთვნის. თავის წერილებში გოგოლისადმი იგი მის თვალსაზრისზე დადგა. რათა ეჩვენებინა, რომ გოგოლმა თავის საკუთარ საწყისებს უღალატა. დახვეწილი აზრი, მარჯვე დიალექტიკა და უაღრესად სიტყვაკაზმული გადმოცემა ნ. თ. პავლოვის წერილებს სანიმუშო და ჩვენს ლიტერატურაში სრულიად განსაკუთრებულ მოვლენად ხდის. სამწუხარო იქნება, თუ მთელი საქმე სამი წერილით დამთავრდა!

ცნობილმა ჩვენებურმა წიგნის გამყიდველმა ბ-ნმა სმიდინმა რუსი ავტორების თავისი გამოცემებით რუსულ კრიტიკას დიდი შრომა და საზრუნავი გაუჩინა და განზრახული აქვს კიდევ უფრო მეტი გაუჩინოს. მან უკვე გამოსცა ლომონოსოვი, დერჟავინი, ფონ-ვიზინი, ოზეროვი, კანტემირი, ხემნიცკერი, მურავიოვი, კნიაჟინი და ლერმონტოვი. ერთ გაზეთში აღნიშნული იყო, რომ მალე გამოვა ბოგდანოვიჩის, დავიდოვის, კარამზინისა და იზმაილოვის თხზულებანი. იქვე ირწმუნებოდნენ, რომ მათ შემდეგ დაიბეჭდება: „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ კარამზინისა, დედოფალ ეკატერინე მეორის თხზულებანი, სუმაროკოვის, ხერასკოვის, ტრედიაკოვსკის, კოსტროვის, თავად დოლგორუკოვის, კაპნისტის, ნახიმოვის, ნარეჟნის თხზულებანი, — და რომ, გარდა ამისა, დაწყებულია ჟუკოვსკის, ბატიუშკოვის, დმიტრიევის, გნედინის, ხმელნიცკის, შახოვსკოისა და ბარატინსკის თხზულებათა გამოცემის უფლების შექენა. საკმაო სამუშაო ექნება კრიტიკას! დე თითოეულმა გამოსთქვას თავისი აზრი და იმაზე ნუ შეწუხდება, რომ სხვები ისე არ ფიქრობენ, როგორც ის. სხვათა აზრების მიმართ მოთმინება უნდა ვიქონიოთ. არ შეიძლება ყველანი აიძულო ერთნაირად იფიქრონ. უარპყავით სხვისი აზრები, რომლებიც თქვენს აზრებს არ ეთანხმება,

მაგრამ ნუ სდევნით მათ გააფთრებით მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თქვენი აზრების საწინააღმდეგოა; ნუ ეცდებით წარმოადგინოთ ეს აზრები მათთვის არახელსაყრელი სახით არალიტერატურული მხრით. ეს ცუდი ვარაუდია: თქვენი აზრებისათვის მეტი გასაქანის მოპოვების სურვილით გატაცებულმა, თქვენ, შესაძლოა ამით მათ ყოველგვარი ნიადაგი გამოაცალოთ.

რ ე ტ ე ნ ზ ი ე ბ ი

1847—1848 წწ.

*

დედამიწის სურათი თვალსაჩინოობისათვის
ფიზიკური გეოგრაფიის სწავლების დროს

შედგენილი ა. ფ. პოსტელის მიერ.

ლითოგრაფიულად ნაბეჭდი დიდი სურათით. სპბ. 1846 1

თვალსაჩინოობა ახლა ყველას მიერ ერთსულოვნად აღიარებულია ყველაზე საკირო და მძლავრ დამხმარე საშუალებად სწავლების დროს. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის მეხსიერებასა და გონებას დაეხმაროს იმ საგნების გარეგნობისა და სახის წარმოდგენით, რომლებსაც ის სწავლობს. ეს არის მატერიალური და მგრძნობელობითი დამხმარე საშუალება საბრალო ბავშვების გადასარჩენად იმ მტანჯველი, ნიჟისა და უნარის ჩამხშობი, მშრალი და უსიცოცხლო განყენებისაგან, რომელიც ასე ძალიან უყვართ იდეალისტებს. ბ-ნ იაზვინსკის მშვენიერი მეთოდის მთელი არსი მდგომარეობს უჯრედებში, რომლებიც თავისთავად ცოტას ნიშნავს, მაგრამ მეხსიერებასა და გონებას ეხმარება, როგორც მგრძნობელობითი ნიშნები, რომლებიც თითქოს მოწაფის თვალწინ რჩება მაშინაც კი, როდესაც იგი მათ აღარ ხედავს². თვალსაჩინოობის ეს უდიდესი მნიშვნელობა ემყარება თვით ადამიანის ბუნებას, რადგან ადამიანისათვის ყველაზე განყენებული გონებრივი წარმოდგენები არსებითად მანაც სხვა არა-

ფერია, თუ არა ტვინის იმ ორგანოების მოქმედების "შედეგი, რომლებსაც განსაზღვრული უნარი და თვისებები ახასიათებს. უკვე დიდი ხანია თვითონ ფილოსოფოსები დაეთანხმნენ იმ აზრს, რომ „არაფერი არ შეიძლება იყოს გონებაში ისეთი, რაც უფრო ადრე არ ყოფილა გრძნობებში“. ჰეგელმა აღიარა ამ დებულების სამართლიანობა და დასძინა: „გარდა თვით გონებისა“. მაგრამ ეს დამატება თითქმის საექვოვ, როგორც ტრანსცენდენტური იდეალიზმის ნაყოფი. ადამიანი ხომ პირდაპირ, წმინდა აზროვნებით არ მისულა იმ შეგნებამდე, რომ მას გონება აქვს, არამედ ეს შენიშნა უწინარეს ყოვლისა საკუთარი მოქმედებით, რომლითაც გამოიხატა მისი გონება, მაგრამ ეს მოქმედებაც მან მაინც მხოლოდ გრძნობების მეშვეობით შეიცნო თავისი გონებით. ყოველმა, უბრალო ადამიანმაც კი, იცის, რომ მას ჭკუა თავში აქვს,—იცის ეს იმ მიზეზით, რომელიც, შესაძლოა, უფრო მარტივი და ბუნებრივია, ვიდრე ჩვეულებრივად ფიქრობენ. მგზნებარე, მხურვალე გრძნობებით შეპყრობილი ადამიანი უნებლიეთ მიიღებს ხოლმე ხელს მკერდზე და გულზე, სადაც გრძნობათა მოძრაობის დროს სისხლი უფრო მძლავრად მიედინება. ხოლო როდესაც ადამიანი რამეზე ფიქრობს, ძალიან შეპყრობილია რაღაც აზრით, განსაკუთრებით გამოთვლით, — იგი თითო თითქოს უნებლიეთ წამდაუწუმ მიიღებს ხოლმე შუბლზე, ხელით კი დროგამოშვებით შუბლს ისრესს. ეს უბრალო, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი მოვლენაა! აზროვნების პროცესის დროს ადამიანი თითქოს გრძნობს, რომ იქ არის მისი აზროვნებითი მოქმედების ბუდე, რომ იქაც რაღაც მოუსვენრობაა, რაც მისი შემფოთებული მოძრაობითაც მკლავნდება, რომ იქ თითქოს რაღაც ინძრევა...

შეხედეთ, რა ხარბად ეტანებიან ბავშვები სურათებს! ისინი მზად არიან ყველაზე მშრალი და მოსაწყენი ტექსტი წაიკითხონ, ოღონდ კი ამ ტექსტმა მათ სურათის შინაარსი აუხსნას. ამიტომაც სურათები სულ უფრო და უფრო მეტად იქცევა ხელსაწყოდ აღზრდისა და სწავლის დროს. ბ-ნი პოსტელსი მართებულად შენიშნავს, რომ ის ბავშვები, რომლებიც ისე-

თი ადგილიდან არ გასულან, სადაც მთები ან ზღვები არ არის, დიდი გაჭირვებით სწავლობენ ამ საგნებს გეოგრაფიაში, წინააღმდეგ იმ ბავშვებისა, რომლებსაც ეს საგნები ნატურაში უნახავთ. ამისათვის გამოსცა კიდეც მან თავისი დედამიწის სურათი, რომელზეც გამოხატულია ზღვები, უბეები, სრუტეები, ტბები, მდინარეები, კუნძულები, ნავსაყუდლები, ბოლაზები, მთები, ტყეები, ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, ზომალდები და ა. შ. მისი შრომა მშვენიერი და სასარგებლოა, მაგრამ სრული არ არის. სისრულისათვის რუკა უსათუოდ სხვადასხვანაირად შეფერადებული უნდა იყოს, რომ შეიძლებოდეს აჩვენო გეოლოგიური სხვაობანი: მთაგრეხილები, ფენები, ქანები, შრეები, შარმარილო, ლითონები და ამგვარი საგნები, სადაც ფერი ზოგჯერ ფორმაზე მნიშვნელოვანია. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად, ბ-ნ პოსტელის შრომა მაინც სასარგებლოა, და ჩვენ მისი მადლობელი უნდა ვიყოთ იმ კარგი საქმის კარგი დასაწყისისათვის, რომელიც ალბათ განმგრძობთ ჰპოვებს.

ებრაელთა სექტები რუსეთში

შედგენილი ვ. ვ. გრიგორიევის მიერ. სპბ. 1847¹

ებრაული რელიგიის ისტორია ადასტურებს იმ ისტორიულ კანონს, რომ ყოველი რელიგია, რომელსაც ღვთაებრივი განგება არ ეხმარება და გამოცხადებით არ მოვლენილა, დროთა ზიარებაში თავის პირვანდელ სიწმინდეს ჰკარგავს (გვ. 4) და ისე დამახინჯებული სახით წარმოგვიდგება, რომ მხოლოდ ისტორიული ანალიზით შეიძლება მიაგნო მის გამოსავალ წერტილს, თავდაპირველ დოგმატს, რომელსაც ოდესღაც დადებითი კანონის ამ საყოველთაო რწმენის მნიშვნელობა ჰქონია, — მის ძირითად აზრს, რომელიც ოდესღაც, დიდი ხანია პირდაპირ ცხოვრებიდან აუღიათ ან, ყოველ შემთხვევაში, ხალხის წარმოდგენებს შეესაბამება. რელიგიის

ისტორიის შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ მისი დამახინჯების ფაქტები შეიძლება გამოდგეს იმ ხალხის განვითარების ისტორიის ასახსნელად, რომელშიც ეს რელიგია ბატონობდა. უცხო ელემენტების კანონში შექრა, პოლიტიკური გადატრიალების კვალი, რამაც გამოხატულება ჰპოვა რომელიმე რელიგიურ დადგენილებაში, ჩვეულებაში, რომელმაც კანონის ძალა მიიღო და წმინდა კოდექსში შევიდა, — ყოველივე ეს ისეთი მონაცემებია, რომლებითაც შეიძლება მიხვიდეთ მეტად საინტერესო დასკვნებამდე საერთოდ ადამიანზე (გვ. 4), იმაზე, თუ როგორ ჰყრდებს იგი ხელს ამაღელვებელი საკითხების გადაჭრას, როგორ სძლევდა მას ცრურწმენა, რომელიც წინაპრებმა უნდერძეს და ბოროტმა ჩვეულებამ დაამკვიდრა, როგორ ეცემა, როგორ თავისუფლდება ის ჩლუნგი, დრომოკმული რწმენის მხრივ ჩაგვრისაგან!..?

რელიგიურ დადგენილებებს დიდხანს მკვიდრო, განუყრელი კავშირი ჰქონდა სამოქალაქო დადგენილებებთან: რელიგიურ გადატრიალებათა ისტორია ბევრ სოციალურ საკითხს სწყვეტს და ახალ შუქს ჰფენს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ისტორიას. რელიგიურ აღთქმაში ნათლად და გამოკვეთილად არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი ცხოვრების ის დებულებანი, რომლებსაც ადამიანები ვერასოდეს ვერ ურიგდებოდნენ, მაგრამ რომლებსაც იგივე ადამიანები ემორჩილებოდნენ, — დებულებანი, რომლებიც არ შეიძლება გამოყვანილ იქნან ადამიანის ბუნების თვისებებიდან და ამავე დროს არ შეიძლება აღიარებულ არ იქნან ფაქტებად. ამიტომ მრავალი ხალხის რელიგიური კანონმდებლობის კრიტიკა ამავე დროს საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკაც არის: მასში მოცემულია საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი გადაუჭრელი, ანორმალური მოვლენის საწინდარი, მიზეზი.

ბოლოს, და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რელიგიის ისტორია საკმაოდ ნათლად სწყვეტს იმ საკითხს, თუ როგორი დებულებებით არის გამოხატული ჭეშმარიტი რელიგია, რომე-

ლიც კრიტიკას არ ექვემდებარება ან, უკეთ რომ ვთქვათ, ყოველგვარ კრიტიკას უძლებს.

ებრაელთა სექტების ისტორია შეიძლება იმის მშვენიერ მაგალითად გამოდგეს, თუ როგორი [რა?] ბედი ეწია ერს, რომელშიც მუდამ ბატონობდა რელიგიური ელემენტი, და სანამდე მივიდა ხალხი, რომელიც ოდესღაც მტკიცედ იდგა ფეხზე მხოლოდ თავისი ცალმხრივი რწმენისა და რელიგიურ წესჩვეულებათა მეშვეობით. უფრო მეტიც: ეს ისტორია უაღრესად ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სექტების დამახინჯება: თავდაპირველი დოგმატი ეცემა, საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნილებანი იწვევენ ამ დოგმატის საწინააღმდეგო ახალ დადგენილებებს, უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები იწყებენ დოგმატის მნიშვნელობის გაფართოებას, მათ პრინციპულ ნაციონალურ კოდექსში შეაქვთ უთვალავი წვრილმანი, სამძიმო დადგენილებანი, კანონი ხალხის უმრავლესობისათვის ყოველდღე უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდება და თავისი სირთულის გამო ნელნელა ჰკარგავს კანონის წინანდელ მნიშვნელობას, იქმნება კანონის განმმართველთა საძულველი წოდება (გვ. 73, 83 და შემდ.), რომლებიც სცვლიან მას პირადი სარგებლობის შესაბამისად, ხელში ჩაჭერილი ჰყავთ უვიცი ადამიანები და მათ ჩააგონებენ უგუნურ მოწიწებას კანონისადმი, რომელიც ოდესღაც ყველასთვის თანაბრად გასაგები და დამაჯერებელი იყო და რომელმაც თანდათან უზარმაზარი, ტირანიული დამცირების ხასიათი მიიღო (გვ. 90)...

დასასრულ, ებრაული რელიგიის ისტორია გვიჩვენებს რელიგიური დესპოტიზმის დამღუპველ გავლენას ერის არა მხოლოდ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე, არამედ ებრაელთა თვით ხასიათზეც, გავლენას, რომელიც დღემდე ნათლად და აღმაშფოთებლად მოქმედებს ისრაელის შთამომავალთა ზნე-ჩვეულებებზე (გვ. 95 — 7, 123 — 5).

ბ-ნი გრიგორიევი თავის თხზულებაში თავდაპირველად გადმოსცემს ისრაელ ხალხში რწმენათა რღვევის ისტორიას:

ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, გვიხსნის ხასიდიმებისა და ცადიკიმების თავდაპირველი განხეთქილების მიზეზს, შემდეგ ვადადის ამ სექტების ისტორიულ განვითარებასა და განშტოებაზე და ცალცალკე გადმოსცემს ებრაელთა სამი უმთავრესი სექტის — კარაიმებისა, რაბინისტების ანუ თალმუდისტებისა და კაბალისტების ისტორიას, გვიხსნის ამ სექტების წარმოშობას, მათი დოგმატების არსს, სექტებს შორის განსხვავების საფუძვლებს, აღნიშნავს სხვადასხვა მოძღვრების სადავო საკითხებს, ერთი სიტყვით, იძლევა თითოეული სექტის სრულ დახასიათებას, მათს ისტორიულ ბედს სხვადასხვა ეპოქაში და ამჟამად, მათს ლიტერატურას, მათი მთავარი წარმომადგენლების ბიოგრაფიებს, საყოველთაო ისტორიის ფაქტებს აჯერებს თვით სექტების წიაღში მომხდარ რეფორმებთან და, ბოლოს, წარმოგვიდგენს რუსეთის სხვადასხვა სექტის ებრაელთა მდგომარეობის მოკლე ნარკვევს.

საერთოდ, ბ-ნ გრიგორიევის თხზულება, მიუხედავად კომპილაციური ხასიათისა და ფართო, ნათელი შეხედულების უქონლობისა საგანზე მთელი მისი მოცულობით, უაღრესად საინტერესოა. ზოგიერთი აზრი, კერძოდ, ძალიან სრულად და ნათლად არის გადმოცემული. საერთოდ მთელი თხზულება დაწერილია ცოცხალი, ჰეშმარიტი ენით და მრავალ ისეთ ნათელ აზრს შეიცავს, რომლებიც, თავის მხრივ, მკითხველს ჩააფიქრებს. ოღონდ დასანანია, რომ რუსეთის ებრაელთა ყოფაცხოვრების სურათებს ავტორი საკმაოდ მოკლედ გადმოსცემს და მკითხველს მიუთითებს სტატიაზე: „პოლონელი ებრაელები“, რომელიც ოდესღაც „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“ იყო მოთავსებული.

ნ ე რ ი ლ ე ბ ი

1847—1848 წწ.

*

მ. კ. ბოტკინს. 17 თებერვალი 1847

(ნაწყვეტი)

სპბ. 17 თებერვალი. 1847 1

„Revue des Deux Mondes“-ში წავიკითხე სესეს სტატია კონტისა და ლიტრეს დადებითი ფილოსოფიის შესახებ. რამდენადაც შეიძლება კაცმა საგნებზე წარმოდგენა მიიღოს სხვისგან, მე გავიგე კონტი, რაშიაც განსაკუთრებით დამეხმარა შენთან საუბარი და კამათი, რომელიც მხოლოდ ახლა გახდა ნათელი ჩემთვის. კონტი შესანიშნავი ადამიანია; მაგრამ იგი რომ ახალი ფილოსოფიის დამაარსებელი იყოს? — რასა ბრძანებთ! ამისათვის საჭიროა გენია, კონტში კი მისი ნატამალიც არ არის. ეს ადამიანი შესანიშნავი მოვლენაა, როგორც რეაქცია მეცნიერებაში თეოლოგიური ჩარევის წინააღმდეგ, და რეაქცია ენერგიული, მოუსვენარი და შფოთიანი. კონტი მდიდარი ცოდნითა და დიდი ჰკუთით აღჭურვილი ადამიანია, მაგრამ მისი გონება მშრალია, მასში არ არის ის აღმაფრენა, რომელიც აუცილებელია ყოველი შემოქმედებისათვის, მათემატიკოსისთვისაც კი, თუ მას მეცნიერების ფარგლების გაფართოების ძალღონე შესწევს. თუმცა ლიტრე კონტის მოწაფის თავმდაბალი როლით დაკმაყოფილდა, მაგრამ ახლა ჩანს.. რომ იგი უფრო მდიდარი ბუნების კაცია, ვიდრე კონტი

ბ-ნ Saissset-ს შესახებ, რომელმაც კონტისა და ლიტრეს დადებით ფილოსოფიას საბედისწერო განაჩენი გამოუტანა, ბევრი ლაპარაკი საჭირო არაა: მისთვის შეტაფიზიკა არის *c'est la science de Dieu*?, ხოლო, ამავე დროს, იგი ცდის დამცველი და „გერმანული ტრანსცენდენტალიზმის მტერია. გერმანულ ფილოსოფიაზე იგი ზიზღით ლაპარაკობს, თუმცა მასზე ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს. მე აქაც შემთხვევა მქონდა კვლავ მეხილა ფრანგების დამახასიათებელი უტიფარი არაკეთილსინდისიერება და მომავონდა პიერ ლერუ, რომელმაც ჰეგელი აგინა და შელინგს ზოტბა შეასხა, რადგან ამ უკანასკნელში თავის მოკავშირეს გულისხმობდა, ხოლო როცა უვიცობაში დაიჭირეს, თავს იმით იმართლებდა, რომ ყველაფერი ეს სარწმუნო კაცისაგან გაიგო. — ამავე დროს, Saissset-ს თავდასხმებში ბევრი საქმიანი რამ არის, და უწინარეს ყოვლისა, კონტის სასაცილო პრეტენზია — სიტყვა იდეა შესცვალოს ბუნების კანონით. კონტისთვის კარგი იქნება, თუ მისი მოწინააღმდეგენი თავგამოდებით იბრძობებენ სიტყვისათვის; მაგრამ რა მოუვა მას, თუ ისინი ისე კეთილგონიერნი იქნებიან, რომ მას დაეთანხმნენ? აქ ხომ საქმე ეხება არა საქმეს (ჩემი აზრით, არა იდეას), არამედ ძველი საგნის ახალ სახელწოდებას, რომელიც ოდნავაც არ სცვლის საგნის არსს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველ სახელწოდებას ისტორიული წარმოშობის უდიდესი უპირატესობა აქვს, მას საუკუნეთა მანძილზე შეეჩვივნენ და მისგან წარმოსდგება სიტყვა იდეალი, რომელიც საჭიროა არა მარტო ხელოვნებაში. აბსოლუტური იდეა, აბსოლუტური კანონი: ეს ერთი და იგივეა, რადგან ორივე გამოხატავს რაღაც ზოგადს, უნივერსალურს, უცვლელს, შემთხვევითობის გამომრიცხველს. ამრიგად, კონტი, ახლის შექმნას რომ ფიქრობს, იოლად გადის ძველით. ეს სასაცილოა. კონტს ბუნება არასრულყოფილად მიაჩნია: ამაში მე ვხედავ იმის ყველაზე განსაცვიფრებელ დამამტკიცებელ საბუთს, რომ იგი ბელადი კი არ არის, არამედ წამომწყებია, ახალი ფილოსოფიური მოძღვრება კი არ არის,

არამედ რეაქციაა, ე. ი. უკიდურესობით გამოწვეული უკიდურესობაა. პიეტისტებს აკვირვებთ ბუნების სრულყოფილობა, მათთვის ბუნებაში ყველაფერი მეტად ბრძნულად არის გაანგარიშებული და გამოზომილი, მათ სწამთ, რომ დიდი სარგებლობა უნდა მოიტანოს მღრღნელების, ე. ი. ვირთაგვებისა და თაგვების საზიზღარმა და გამრავლების დიდი უნარის მქონე ჯიშმაც კი, მხოლოდ იმიტომ, რომ მოუსაზრებლობის გამო ბუნება უამრავს აჩენს მათ. და აი კონტი მათ შეუსაბამობას, წინააღმდეგობის გრძობისა და რეაქციის აუცილებლობის გამო, უპირისპირებს იმ ახალ შესაბამობას, რომ ბუნება არასრულყოფილია და შეიძლებოდა უფრო სრულყოფილი ყოფილიყო. უკანასკნელი აბდაუბდაა, პირველი მართალია, მაგრამ ბუნების სწორედ არასრულყოფილობაშია მისი სრულყოფილობა. სრულყოფილობა აბსტრაქტული ტრანსცენდენტალიზმის იდეაა და ამიტომ ის ქვეყნად უსაზიზღრესი რამ არის. აუამიანი მოკვდავია, მას შეიძლება შეხვდეს ავადმყოფობა. შიმშილი; მან ბრძოლით უნდა დაიცვას თავისი სიცოცხლე. ეს მისი არასრულყოფილობაა, მაგრამ ის სწორედ ამით არაა დიადი, სწორედ ამით არის მისთვის საყვარელი და ძვირფასი მისი სიცოცხლე. დააზღვევეთ ის სიკვდილისა, ავადმყოფობისა, შემთხვევისა და სევდისაგან — და იგი იქნება თურქეთის ფაშა, რომელიც მოწყენილი ნეტარებს მცონარებაში. უარესიც — იგი პირუტყვად გადაიქცევა. კონტი ვერ ხედავს ისტორიულ პროგრესს, ცოცხალ კავშირს, რომელიც ცოცხალ ნერვად გადის კაცობრიობის ისტორიის ცოცხალ ორგანიზმში. აქედან მე ვხედავ. რომ მისი შეზღუდულობისათვის ისტორიის სფერო დახურულია. ლომონოსოვი ბუნებისმეტყველებაში თავისი ღრის დიდი მეცნიერი იყო, ხოლო ისტორიის დარგში იგი რევენს — ტრედიაკოვსკის უდრიდა: აშკარაა, რომ ისტორიის სფერო მისი ბუნების გარეთ იდგა. კონტი სპობს მეტაფიზიკას არა როგორც ტრანსცენდენტურ შეუსაბამობათა მეცნიერებას, არამედ როგორც გონების კანონთა მეცნიერებას: მისთვის უკანასკნელი მეცნიერება, მეცნიერებათა მეცნიერება ფიზიოლო-

გიაა. ეს ამტკიცებს, რომ ფილოსოფიის სფერო ისევე დგას მისი ბუნების გარეთ, როგორც ისტორიის სფერო, და რომ მისთვის მისაწვდომი ცოდნის სფერო მხოლოდ და მხოლოდ მათემატიკური მეცნიერება და ბუნებისმეტყველებაა. გონების მოქმედება, ე. ი. მისი მუშაობა რომ ტვინის ორგანოების მუშაობის შედეგია, ეს სავსებით უეჭველია; მაგრამ ვინ დაინახა ამ ორგანოთა მოქმედება ჩვენი გონების მუშაობის დროს? დაინახავენ თუ არა მას ოდესმე? კონტმა თავისი იმედები დაამყარა ფრენოლოგიის შემდგომ წარმატებებზე; მაგრამ ეს წარმატებანი დაადასტურებენ მხოლოდ ადამიანის ფიზიკური ბუნების იგივეობას მის სულიერ ბუნებასთან — და მეტს არაფერს. ადამიანის სულიერი ბუნება არ უნდა გამოვყოთ მისი ფიზიკური ბუნებისაგან, როგორც რაღაც განსაკუთრებული და მისგან დამოუკიდებელი, მაგრამ უნდა განვასხვაოთ მისგან, როგორც ანატომიის სფეროს განასხვავებენ ფიზიოლოგიის სფეროსაგან. გონების კანონები დაცულ უნდა იქნას გონების მოქმედებაში. ეს ლოგიკის საქმეა, იმ მეცნიერებისა, რომელიც უშუალოდ მიჰყვება ფიზიოლოგიას, როგორც ფიზიოლოგია მიჰყვება ანატომიას. ჯანდაბას მეტაფიზიკა: ეს სიტყვა ნიშნავს ზენატურალურს, მაშასადამე, შეუსაბამობას, ხოლო ლოგიკა, თვით თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, აზრსაც ნიშნავს და სიტყვასაც. ლოგიკამ თავისი გზით უნდა იაროს, ოღონდ არც ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს, რომ მისი კვლევის საგანია ყვავილი, რომლის ფესვი მიწაშია, ე. ი. სულიერი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკურის მოქმედება. მეცნიერების განთავისუფლება ტრანსცენდენტალიზმისა და théologie-ს აჩრდილებისაგან, ჩვენება გონების იმ საზღვრებისა, რომლებშიც მისი მოქმედება ნაყოფიერია, გონების სამუდამოდ მოწყვეტა ყოველივე ფანტასტიკურისა და მისტიკურისაგან, — აი, რას გააკეთებს ახალი ფილოსოფიის დამაარსებელი, და აი, რას ვერ გააკეთებს კონტი, მაგრამ რის გაკეთებაშიც, მრავალ მის მსგავს შესანიშნავ ადამიანთან ერ-

თად, იგი დაეხმარება იმას, ვინც საამისოდ მოწოდებული იქნება. თვითონ ის კი ძალიან გონებაზეზღუდულია ასეთი ფართო, მრავლისმომცველი საქმისათვის. იგი რედაქტორია და არა დამაარსებელი, იგი ქარიშხლის მაუწყებელი ცილია და არა ქარიშხალი, იგი გონებრივი რევოლუციის სიახლოვის მაუწყებელი ერთი საგანგაშო მოვლენათაგანია და არა რევოლუცია. გენია დიდი რამეა: მას, როგორც გოგოლის პეტრუშკას, საკუთარი სუნი დაჰყვება; კონტს გენიალობის სუნი არ უდის. შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ ჩემი აზრი ასეთია.

„Revue des Deux Mondes“-ის იმავე ნომერში ძალიან დამინტერესა ვიღაც ტომას პატარა სტატიამ: „Un nouvel écrit de M. de Schelling“³. მე რაღაც ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა შელინგის ახალ მისტიკურ შეხედულებაზე. ტომას ამბობს, რომ შელინგი დეიზმს imbécile-ს⁴ უწოდებს (რასაც ვულოცავ პიერ ლერუს) და იგი უფრო მეტად ეზიზდება, ვიდრე ათეიზმი, რომელიც მას საშინლად სძაგს. მაშ ვინ არის იგი? იგი პანთეისტი ქრისტიანია და რჩეულთათვის (კაცობრიობის არისტოკრატიისათვის) შეჰქმნა საოცრად კოხტა ეკლესია, რომელშიც მრავალი სავანეა. საბრალო კაცობრიობა! კეთილი ოდოევსკი ერთხელ სერიოზულად მარწმუნებდა, რომ არ არსებობს ზაზი, რომელიც სიგიჟეს გონების ნორმალური მდგომარეობისაგან გამოჰყოფდეს და რომ არც ერთი ადამიანის მიმართ არ შეიძლება დარწმუნებული იყო, რომ იგი გიჟი არ არისო. რარიგ მართებულია ეს არა მარტო შელინგის მიმართ! ვისაც სისტემა და რწმენა აქვს, ის უნდა თრთოდეს თავისი ჭკუის ნორმალური მდგომარეობისათვის. აკი თითქმის ყველა გიჟი ლაპარაკში ადამიანს აკვირვებს თავისი ნათელი ჭკუით, ვიდრე მას თავისი idée fixe არ შეიპყრობს...

3. 3. ბოტკინს. 7 ივლისი, 1847

(ნაწყვეტი)

დრეზდენი, 7/19 ივლისი 1847¹

გამარჯობა, ჩემო ძვირფასო ვასილ პეტრეს-ძევ. ძლივს მოვახერხე ბარათი მოგწერო. აი უკვე მეორედ ვარ ამ საძაგელ და მოსაწყენ დრეზდენში. თუმცა, ეს, შესაძლოა, სისულელეც იყოს (ე. ი. ის, რომ დრეზდენი საძაგელი და მოსაწყენი ქალაქია და არა ის, რომ მე აქ მეორედ ვარ — უკანასკნელი გარემოება იოტისოდენ ეჭვსაც არ იწვევს). ვაი რომ, ჩემო მელიტო მეგობარო, ევროპაში მხოლოდ იმისთვის წამოვსულვარ, რომ დავრწმუნებულიყავი: სულაც არა ვარ სამოგზაუროდ დაბადებული. ვიყავი, მაგალითად, საქსონიის შვეიცარიაში; ერთი წუთით თითქოს ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ ლამაზმა ადგილებმა, მაგრამ მალე მომბეზრდა. თითქოს დიდი ხანია ვიცნობდი მათ და ზეპირად შემესწავლოს. მოწყენილობა ჩემი განუყრელი თანამგზავრია, და მოუთმენლად ველი შინ დაბრუნებას. რა გონებაჩლუნგი, რა უხამსი ხალხია გერმანელები — ღმერთო! ძარღვებში სისხლი კი არ უჩქეფთ, არამედ სქელი ნალექი უვარგისი სასმელისა, რომელიც ცნობილია ლუდის სახელით და რომელსაც ისინი უზომოდ და გაშმაგებით ნთქამენ. ერთხელ მათ მაგიდაზე ისინი შტენდებზე ლაპარაკობდნენ. ერთი ამბობს: „მე მიყვარს პროგრესი, მაგრამ პროგრესი ზომიერი, და მასშიც ზომიერება უფრო მიყვარს, ვიდრე პროგრესი“. როდესაც ტურგენევმა ამ ნამდვილი გერმანელის სიტყვები გადმომცა, კინალამ აეტირდი, რომ გერმანული არ ვიცი და არ შემიძლია მას ვუთხრა: „მე მიყვარს ქოთანში მოდულებული სუპი, მაგრამ აქაც ქოთანი უფრო მიყვარს, ვიდრე სუპი“. იმავე ახალგაზრდა გერმანელმა, რომელსაც ერთიორატორის შექება სურდა, მის შესახებ სთქვა: „იგი ზომიერად ნავარდობსო“. მაგრამ

ყველაფერს ვერ მოჰყვება კაცი ამ ხალხზე, რომელიც ნარჩენებისა და ნაკუწებისაგან არის შებლანდული. უფრო მოკლედ? ! გერმანელებზე მსჯელობის საქმეში მე ავტორიტეტი გავხდი ანენკოვისა და ტურგენევისათვის: როდესაც გერმანელი თავისი გონებაჩლუნგობით მათ მოთმინებიდან გამოიყვანს, ისინი ამბობენ: „მართალია ხელისციო!“ რა სილატაკეა გერმანიაში, განსაკუთრებით უბედურ სილეზიაში, რომელსაც ფრიდრიხ დიდი თავისი გვირგვინის საუკეთესო მარგალიტად სთვლიდა. მხოლოდ აქ გავიგე საზარელი მნიშვნელობა სიტყვებისა: პაუპერიზმი და პროლეტარიატი. რუსეთში ამ სიტყვებს აზრი არა აქვს. იქ ალაგ-ალაგ იცის მოუსაველიანობა და შიმშილი, იქ არიან პლანტატორი მემამულენი, რომლებიც აბუჩად იგდებენ თავიანთ გლეხებს ისე, როგორც ზანგებს, იქ არიან ქურდები და მძარცველი მოხელეები; მაგრამ არ არის სიღარიბე, თუმცა ხრც სიმდიდრეა. სიზარმაცე და ლოთობა იქ ჰქმნის სიბინძურესა და კონკებს, მაგრამ ეს სიღარიბე მაინც არ არის. სიღარიბე შიმშილით სიკვდილის მუდმივი შიშისაგან თავის დაუღწევლობაა. ადამიანს საღი ხელები აქვს, იგი შრომის-მოყვარე და პატიოსანია, მზად არის იმუშაოს — და მისთვის სამუშაო არ არის: აი სიღარიბე, აი პაუპერიზმი, აი პროლეტარიატი! აქ კიდევ ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია, თავის ძალთან და თავის მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, ფორანში შეებას და ფეხშიშველამ ზიდოს ქვანახშირი ზალცბრუნდიდან ფრაიბურგში. ხოლო ვინც ძაღლის ან ცხენის ადგილს ვერ შოულობს, იგი მოწყალეებას თხოულობს: მისი სახით, ხმითა და მოძრაობით ჩანს, რომ იგი ხელობით მათხოვარი არ არის; რომ იგი გრძნობს თავისი მდგომარეობის მთელ საშინელებასა და მთელ სირცხვილს: როგორ უნდა ვუთხრა მათ უარი ზილბერ-გროშზე, ხოლო, ამავე დროს, როგორ უნდა ვაძლიო ყველას, როდესაც ისინი გაცილებით მეტი არიან, ვიდრე ჩემს ჯიბეში პფენიგებია. საშინელება!

ვიყავი დრეზდენის გალერეაში და ვნახე რაფაელის მადონა. რა სისულელეს სწერდნენ მის შესახებ რომანტიკოსები, განსაკუთრებით ჟუკოვსკი. ჩემი აზრით, მის სახეში რომანტიკული ისევე არაფერია, როგორც კლასიკური. ეს ქრისტიანული დედა ღვთისა არ არის: ეს არისტოკრატი ქალია, მეფის ასული, *idéal sublime du comme il faut* ³. იგი გვიცქერის არა ზიზღით, — ეს მასზე არ ითქმის; იგი მეტისმეტად წესიერად აღზრდილია და ზიზღით არავის შეურაცხპყოფს, ადამიანებსაც კი. იგი ჩვენ გვიცქერის არა როგორც თაღლითებს: ასეთი სიტყვა მის კეთილშობილურ ბაგეთათვის ტლანქი და უწმინდური იქნებოდა; არა, იგი გვიცქერის ცივი შემწყნარებელი თვალებით, ერთსა და იმავე დროს ისიც აშინებს, რომ ჩვენი თვალის მიპყრობით ჭუჭყი არ მოეცხოს და იმის შიშიცა აქვს, რომ ზურგის შემოქცევით არ გვაწყენინოს ჩვენ, პლებებს. ყრმა, რომელიც მას ხელში უჭირავს, მასზე უფრო გულახდილია: მადონას ამაყად მოკუმული ქვედა ბაგე, ოღონავე შესამჩნევია, ყრმის მთელ ბაგეს კი ჩვენდამი, არამზადებისადმი ზიზღის ბეჭედი აზის. ყრმის თვალებში ჩანს არა სიყვარულის, მშვიდობის, მიტევებისა და ხსნის მომავალი ღვთაება, არამედ მრისხანების, გააფთრებისა და სასჯელის ღმერთი ძველი აღთქმის წიგნიდან. მაგრამ ყალმის რა კეთილშობილება და რა გრაციაა! ცქერით ვერ გაძლები! უნებლიეთ გამახსენდა პუშკინი: იგივე კეთილშობილება, გამომეტყველების იგივე გრაცია, ისეთივე სწორი და მტკიცე მოხაზულობა! ტყუილად როდი უყვარდა ასე პუშკინს რაფაელი: იგი ბუნებით მისი ნათესავია. ძალიან მომეწონა მიქელ-ანჯელოს საურათი — ლედა გელთან თანაყოფის წამს; მის სხეულზე (განსაკუთრებით *les fesses*) რომ აღარაფერი ვთქვათ, მის სახეზე საოცრად მიგნებულია განცხრომის სიმწვავე და მიბნედილობა. ზოგი რამ კიდევ მომეწონა, მაგრამ ყველაფერზე ვერ მოგწერ.

პარიზს მივდივარ და წინასწარ ვიცი, რომ იქ მოწყენილი ვიქნები. ესეც არ იყოს, ეშმაკმა უწყის, რა ბედი მაქვს! პი-

ტერში, წამოსვლის წინ, მხოლოდ ტრიმატონისა და დობრიძინის მეთაურობით მოქმედ ქურდების ბრბოზე⁴ ლაპარაკი მესმოდა, პარიზში ჩასვლის შემდეგ ყურებს გამომიჰედენ ლაპარაკით ქურდ ტესტსა⁵ და სხვა ქურდებზე, კონსტიტუციურ მინისტრებზე, რომლებშიც ქურდ ემილ ჟირარდენს მხოლოდ ექვი ეპარება, მაგრამ ჯერ ქურდობაში ვერ დაუჭერია. O, tempora! o, mores!⁶ ჰოი, XIX საუკუნევ! ჰოი, საფრანგეთო — სირცხვილისა და დამცირების ქვეყანავ! მისი სახე ახლა საფურთხებელია ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის. მხოლოდ ზარმაცი არ აწნავს მას სილას. ცოტა ხნის წინათ პორტუგალიის ინტერვენცია მოხდა, ახლო ხანში კი, ამბობენ, შვეიცარიის ინტერვენცია მოხდება, რაც საფრანგეთს კიდევ უფრო მეტ სახელს შესძენს, ვიდრე პირველიო.

წავიკითხე ლუი ბლანის წიგნი⁷. ამ კაცისათვის ბუნებას ჰკუთვნა მიუცია და გულიც; მაგრამ მას უნდოდა მათი გადიდება საკუთარი საშუალებებით, — და ამიტომ მას დიდი ჰკუთვნა და დიდი გულის ნაცვლად გაბერილი ჰკუთვნა და გაბერილი გული გამოუვიდა. მის წიგნში ბევრი რამ არის საქმიანი და საინტერესო: იგი შეიძლებოდა მეტად კარგი წიგნი ყოფილიყო. მაგრამ ბლაშკამ შესძლო იგი ყოვლად მოსაწყენ და უხამს წიგნად გადაექცია. ლუი XIV-ეს თურმე დაუმცირებია მონარქიზმი, რადგან საფრანგეთის ეკლესია რომისგან გაათავისუფლა! აი რეგენი! ბურჟუაზია, მისი აზრით, ჯერ კიდევ ქვეყნიერების გაჩენამდე კაცობრიობის მტერია და საიდუმლოდ მოქმედებს მისი კეთილდღეობის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც მისივე წიგნის მიხედვით გამოდის, რომ უბურჟუაზიოდ არ მოხდებოდა ის რევოლუცია, რომლითაც იგი ასე აღტაცებული იყო, და რომ ბურჟუაზიის წარმატებანი მისი კანონიერი შენაძენია. უჰ, რა სულელია — აღარ შემიძლია! ახლა ლამარტინიშკას ვკითხულობ⁸, და არ ვიცი, რატომ არის, რომ იგი ერთ გვერდზე ჰკვიანურ და კარგ აზრებს გამოსთქვამს ამბების შესახებ, მეორეზე კი ეშურება ბევრი ისეთი სისულელე წამოროშოს, რაც აშკარად ეწინააღმდეგე-

ბა უკვე ნათქვამს, — ეს ან იმიტომ არის, რომ იგი მხოლოდ სანახევროდ ჰკვიანია, ან იმიტომ, რომ ოდესმე მინისტრად გახდომით დაიმედებულს უნდა ყველა პარტიას ასიამოვნოს. თავი მომაბეზრეს ამ თაღლითებმა: მოწყენისა და ჯავრისაგან ვტირი და მაინც ვკითხულობ!

წყლით მკურნალობის კურსი დავამთავრე და ოდნავ მოვმჯობინდი. მაგრამ, როგორც ამბობენ, თურმე ბევრზე წყალი გაცილებით გვიან მოქმედებს დაღვეის შემდეგ; იმედი მაქვს, კიდევ უფრო მოვმჯობინდე. ყოველ შემთხვევაში, პარიზს ჩავალ თუ არა, მაშინვე მივმართავ განთქმულ ტირ დე მალმორს.

ცოლი მწერდა, რომ კრაევსკი მოსკოვში ყოფილა და შენტან დაბინავებულა. მოგილოცავ ახალ მეგობარს. მეტად დიდი საქმეა აპოვნო ამ ქვეყნად მეგობარი, როგორც ეს არაერთხელ ასე კარგად უთქვამს შილერს, განსაკუთრებით მგრძნობიარე გულის მქონე მეგობარი, ერთი სიტყვით, ისეთი, როგორიცაა ა. ა. კრაევსკი. ამბობენ, ამ სისხლისმსმელის საქმე, რომელმაც ჩემი ჯანი საბოლოოდ შეიწირა, ცუდად არის, და მას ყველა სტოვებსო. თუ მართალია, მოხარული ვარ, რადგან სულითა და გულით ვუსურვებ მას ყოველივე ცუდს, ყოველივე ისინაძაგლეს. მშვიდობით; ბოტკინ. სალამი ჩვენებს ყველას — კაველინს, გრანოვსკის, კორშს, კეტჩერს, შჩეპკინს და სხვ. და სხვ!

ბ. ბ.

მ. მ. ბოტკინს. დეკემბერი, 1847

(ნაწყვეტი)

სპბ. 1847, დეკემბერი¹

ახლა გერცენის წერილებზე. შთაბეჭდილება, რაც ამ წერილებს კორშზე, გრანოვსკიზე, შენზე და სხვა მოსკოველებზე მოუხდენია, მხოლოდ იმაში მარწმუნებს, რომ თქვენ, მოსკოველებს, არა გაქვთ ის შემწყნარებლობა, რომელსაც

თქვენს მთავარ სათნოებად სთვლით. შენს აზრში მე, მართლაც, რაღაც შემწყნარებლობის მსგავსს კიდევ ვხედავ: შენ გული მაინც არ მოგდის წერილებზე იმიტომ, რომ ისინი ფიქრობენ არა შენებურად, არამედ თავისებურად, კორშივით არ წითლდები და უტიფარ კილოს არ უწოდებ იმას, რასაც ნამდვილად უნდა ეწოდოს ხუმრობა, ჭკუამახვილობა, პედანტიზმისა და სემინარიზმის უქონლობა. შენ, ჩემი აზრით, მართალი არა ხარ მხოლოდ იმ მხრივ, რომ არ გინდოდა გეცნო არაფერი კარგი იმ შეხედულებასა და თვალსაზრისში, რომელიც შენსას ეწინააღმდეგება. ეს წერილები, განსაკუთრებით უკანასკნელი, ჩემი თანდასწრებით, ჩემს თვალწინ იწერებოდა, იმ ყოველღაღურ შთაბეჭდილებათა შედეგად, რომლებისგანაც პატიოსანი ფრანგები წითლდებოდნენ და თავს ხრიდნენ, და, ასე გასინჯე, თაღლითებრივ კი შეცნუნებული ახამხამებდნენ თვალებს². თუ გერცენას წერილებში არის კიდევ გაზვიადება — ღმერთო ჩემო — ეს რა დანაშაულია — და სადაა სრულყოფა? სადაა აბსოლუტური ჭეშმარიტება? ხოლო გერცენის შეხედულების მიჩნევა უღაფოდ მცდარ შეხედულებად, რომელზეც პასუხის გაცემაც კი არ ღირს. — არ ვიცი, ბატონებო. იქნებ, თქვენ მართლნიც იყოთ, მაგრამ მე ალბათ მეტისმეტად ბრიყვი ვარ, რომ თქვენი სიბრძნე გავიგო. მე არ ვამბობ, რომ გერცენის შეხედულება სავსებით სწორია, რომ მან საგნის ყველა მხარე მოიცივა; მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ bourgeoisie-ის საკითხი ჯერ კიდევ საკითხია, და იგი საბოლოოდ ჯერ არავის გადაუწყვეტია. და ვერც გადასწყვეტს ვინმე, — მას გადასწყვეტს ისტორია, ეს უმაღლესი მსაჯული ადამიანებისა. მაგრამ მე ვიცი, რომ კაპიტალისტთა ბატონობამ თანამედროვე საფრანგეთს სამუდამოდ სამარცხვინო დალი დაასვა, მოგვაგონა რეგენტობის დროება, მართვა-გამგეობა დიუბუასი, რომელიც საფრანგეთს ინგლისზე ჰყიდდა, და წარმოშვა მრეწველობის ორგია. მასში ყველაფერი წერილმანი და არარაა, ყველაფერი წინააღმდეგობას შეიცავს; არ

არის ეროვნული ღირსების, ეროვნული სიამაყის გრძნობა. შეხედე ლიტერატურას — რა არის ეს? ყველაფერი, რაშიაც სიცოცხლისა და ნიჭის ნაპერწკლები ბრწყინავს, ყველაფერი ეს ოპოზიციას ეკუთვნის — არა ქეციან საპარლამენტო ოპოზიციას, რომელიც, რა თქმა უნდა, შეუდარებლად უფრო დაბლაც კი დგას, ვიდრე კონსერვატიული პარტია, არამედ იმ ოპოზიციას, რომლისთვისაც bourgeoisie სიფილისის წყლულია საფრანგეთის სხეულზე. bourgeoisie-ის წინააღმდეგ მიმართულ მის ანათემებში ბევრი სისულელეა, მაგრამ სამაგიეროდ მხოლოდ ამ ანათემებში ჩანს სიცოცხლეც და ნიჭიც. შეხედე, რა ხდება პარიზის თეატრებში. გონივრული, საგულდაგულო დადგმა, მსახიობის ჩინებული თამაში, ფრანგული ჭკუის გრაცია და სიმახვილე აქ სიცარიელეს, არარაობას, უხამსობას ფარავს. ხელოვნება თავის თავს გაგახსენებთ მხოლოდ რაშელითა და რასინით, ან არა და მას ზოგჯერ თავისი „მეძინებებით“ ლემეტრის მეშვეობით მოგაგონებთ ხოლმე რომელიმე ფელიქს პია, ადამიანი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ ნიჭს, მაგრამ რომელიც ნიჭიერებამდე აღწევს ბურჟუაზიისადმი სიძულვილის ძალით (à force). გერცენი იმას როდი ამბობდა, საფრანგეთის პროკურორები ტაკიმასხარები და ყეყეჩები არიანო, არამედ ვრცლად შეეხო მხოლოდ ერთი პროკურორის საქციელს (ბოვალონის სეკუნდანტის პროცესის დროს), საქციელს, რომელიც ტაკიმასხარას, ყეყეჩსა და თანაც უნამუსოს შეეფერება. ეს ფაქტი გერცენს როდი გამოუგონია, იგი ყველა ფრანგულ ჟურნალში შეგხვდებათ. აქვე უნდა ითქვას ფრანგულ ჟურნალებზე, რომელთა ცნობებიდან აკოწიწებს თითქოს გერცენი თავის წერილებს: ეს საყვედური იმდენად სასაცილოა, რომ მასზე სერიოზული პასუხის გაცემა არც კი ღირს. განა შეიძლება საფრანგეთზე მოიყვანო რაიმე ფაქტი, რომელზეც უკვე ნათქვამი არ იყოს ფრანგულ ჟურნალებში? საქმე ეს კი არ არის, არამედ ის, თუ როგორ აისახა ეს ფაქტი ავტორის პიროვნე-

ბაში, როგორ გადმოსცა ის მან. უკანასკნელი პუნქტის მხრივ გერცენი თავის წერილებშიც, ისე როგორც ყოველივე იმაში, რაც მას დაუწერია, ნიჭიერ ადამიანად რჩება, და მისი წერილების წაკითხვა იმათთვისაც კი სასიამოვნოა, ვინც ამ წერილებში გაზვიადებას ამჩნევს, ან არც თუ მთლად ეთანხმება ავტორის შეხედულებას. თორემ, აი ბ-ნი არაპეტროვი ანენკოვის წერილებსაც ზიზღით გამოეხმაურა, როგორც პარიზის ეურნალების ფელეტონებიდან შედგენილ კომპილაციას⁴. ხოლო რაც შეეხება ნ. თ. პავლოვს, ნაცვლად წერილებისა პარიზზე სრეტენსკის ბულვარიდან, მე მას ვურჩევდი დაეწერა მესამე წერილი გოგოლისადმი და ამით დაემთავრებინა კიდევ, რადგან შემდგომი წინსვლა მას, როგორც ჩანს, განგებისაგან არ უწერია. როდესაც ჩვენ პარიზში მივიღეთ „სოვრემენნიკის“ ის №, სადაც IV წერილია, მე გადავიხარხარე, გერცენმა კი ძალიან სერიოზულად შემეჩერა შენიშვნით, რომ მე-3 წერილი, ალბათ, ცენზურამ არ გაუშვაო. მე გავწითლდი კიდევ ჩემი ვარაუდის უაზრობისაგან. მაგრამ პიტერში დაბრუნების შემდეგ შევიტყე, რომ მე მართალი ვყოფილვარ, და რომ ლიტერატურისადმი, ისევე როგორც ბევრი სხვა რამისადმი დამოკიდებულებაში მოსკოველები, მართლაც, განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ საღი ქკუს მიმართ, და თამამად შეუძლიათ გამოსცენ თავიანთი თხზულების ჯერ ბოლო, შემდეგ შუა ნაწილი, ხოლო ბოლოს — დასაწყისი⁵.

მე გეთანხმები, რომ მარტო ბურჟუაზიით არ შეიძლება აქონდ⁶ და საბოლოოდ აეხსნათ თანამედროვე საფრანგეთის საძაგელი, სამარცხვინო მდგომარეობა, რომ ეს საშინლად რთული, დახლართული საკითხია, და უწინარეს ყოვლისა და უმეტეს ყოვლისა — საკითხი ისტორიული, ხოლო შემდეგ უკვე, როგორც გინდა — ზნეობრივი, ფილოსოფიური და ა. შ. მე მესმის, რომ ბურჟუაზია შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ ისტორიით გამოწვეულია, რომ იგი გუშინ კი არ გაჩენილა, ფითქოს სოკო ამოსულიყოს, და რომ, ბოლოს, მას ჰქონდა თავისი დიდი წარსული, თავისი ბრწყინვა-

ლე ისტორია, მან უდიდესი სამსახური გაუწია კაცობრიობას. მე დავეთანხმე კიდეც ანენკოვს, რომ სიტყვა bourgeoisie არც თუ მთლად გარკვეულია, რადგან ის ბევრ რამეს შეიცავს და ელასტიკურად მრავალმნიშვნელოვანია. ბურჟუები და უდიდესი კაპიტალისტები, რომლებიც ასე ბრწყინვალედ განაგებენ თანამედროვე საფრანგეთის ბედ-იღბალს, და ყოველგვარი სხვა კაპიტალისტები და მესაკუთრენი, რომელთაც საქმეთა მსვლელობაზე ნაკლები გავლენა და მცირე უფლებები აქვთ, და, ბოლოს, ადამიანები, რომელთაც არა აბაღიათ რა, ე. ი. ცენზი არ გააჩნიათ. მაშ ვინ არ არის ბურჟუა? — ალბათ მხოლოდ *ouvrier*?, რომელიც სხვის მინდორს თავისი ოფლით რწყავს. ბურჟუაზიის ყველა ახლანდელი მტრები და ხალხის დამცველები ისევე არ ეკუთვნიან ხალხს და ისევე არ ეკუთვნიან ბურჟუაზიას, როგორც რომესპიერი და სენტიუსტი. აი სიტყვა ბურჟუაზიის ამ გაურკვეველობისა და დახლართულობის თვალსაზრისით, გერცენის წერილები *sont attaquables*⁸. ეს მას მაშინვე შენიშნა საზონოვმა, რომელსაც მხარი დაუჭირა ანენკოვმა მიშელის⁹ წინააღმდეგ (ამ გერმანელისა, რომელიც მისტიკოსად, იდეალისტად, რომანტიკოსად დაიბადა და იმადვე მოკვდება, რადგან ფილოსოფიაზე უარის თქმა ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთარი ბუნების შეცვლას), და გერცენი დაეთანხმა მათ მიშელის წინააღმდეგ. მაგრამ თუ წერილებში ასეთი ნაკლია, აქედან კიდევ არ გამომდინარეობს, რომ ისინი ცუდია. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. მაშ ასე, თავს უნდა დავესხათ არა ბურჟუაზიას ლაერთოდ, არამედ დიდ კაპიტალისტებს, როგორც თანამედროვე საფრანგეთის ჭირსა და ხოლერას. საფრანგეთი მათ ხელშია, სწორედ ეს კი არ უნდა მომხდარიყო. საშუალო კლასი ყოველთვის დიდია ბრძოლაში, თავისი მიზნებისადმი მისწრაფებასა და მათს მიღწევაში. აქ ის სულგრძელიც არის, ცბიერიც, გმირიც, ეგოისტიც, ვინაიდან მისთვის მოქმედებენ, მსხვერპლად ეწირებიან და იღუპებიან რჩეულნი, ხოლო გმირობის ან გამარჯვების ნაყოფით სარგებლობენ ყველანი. საშუალო წოდებაში ძლიერ განვითარებულია *esprit de*

corps¹⁰. იგი საკვირველი მოსაზრებულობით და მარჯვედ-
მოქმედებდა საფრანგეთში და, მართალი რომ ითქვას, არა-
ერთგზის გაუწევია ხალხის ექსპლოატაცია; ააგზნებდა ხოლ-
მე ხალხს, შემდეგ კი ლაფაიეტსა და ბალის გზავნიდა იმისა-
თვის, რომ ზარბაზნებით დაეხვრიტა თვითონვე იგი, ე. ი.
ხალხი. ამ მხრივ ლუი ბლანის ძირითადი შეხედულება ბურ-
ჟუაზიაზე არც თუ მთლად უსაფუძვლოა, ოღონდ იმ უკიდუ-
რესობამდეა მიყვანილი, სადაც ყოველგვარი აზრი, რაოდენ
მართებულიც უნდა იყოს ის ძირითადად, სასაცილო ხდება.
გარდა ამისა, მან მხედველობიდან გამოუშვა, რომ ბურჟუა-
ზია ბრძოლაში და ბურჟუაზია გამარჯვებული ერთი და იგი-
ვე არ არის, რომ მისი მოძრაობის დასაწყისი უშუალო იყო;
რომ მაშინ იგი თავის ინტერესებს არ გამოჰყოფდა ხალხის
ინტერესებისაგან. Assemblée Constituante-ის¹¹ დროსაც კი
იგი ფიქრობდა სულაც არა იმაზე, რომ გამარჯვების შემდეგ
განცხრომას მისცემოდა, არამედ იმაზე, რომ გამარჯვება გა-
ნემტკიცებინა. მან უფლებები მოიპოვა არა მარტო თავის-
თვის, არამედ ხალხისთვისაც: მისი შეცდომა თავდაპირველად
ის იყო, რომ მან იფიქრა, უფლებებით აღჭურვილი ხალხი
შეიძლება უპუროდაც გამძლარი იყოსო. ახლა მან შეგნებუ-
ლად დაიმონა ხალხი შიმშილითა და კაპიტალით, მაგრამ ახლა
ხომ იგი გამარჯვებული ბურჟუაზიაა და არა მებრძოლი. მაგ-
რამ ეს ჯერ კიდევ მაინც არ არის ის, რაც მინდა გითხრა,
არამედ მხოლოდ მისი წინასიტყვაობაა, ეს არის არა ზღაპარ-
ი, არამედ იგავი. აი ზღაპარი: მე ვთქვი, არ ვარგა სახელ-
მწიფო კაპიტალისტების ხელში იყოს-მეთქი, ახლა კი დავძენ:
ვაი იმ სახელმწიფოს, რომელიც კაპიტალისტების ხელშია;
ესენი ის ადამიანები არიან, რომელთაც არ გააჩნიათ პატრიო-
ტიზმი, არ გააჩნიათ არავითარი ამალღებულები გრძნობა. მათ-
თვის ომი თუ მშვიდობა მხოლოდ ფონდების მომატებას თუ
შემცირებას ნიშნავს—ამას იქით ისინი არაფერს ხედავენ.
ჩარჩი თავისი ბუნებით უხამსი, საძაგელი, მდაბალი და სა-
ზიზლარი არსებაა, ვინაიდან იგი ემსახურება პლუტუსს, ეს
ღვთაება კი ყველა სხვა ღვთაებაზე უფრო ეჭვიანია და მათზე

შეტად უფლება აქვს სთქვას: ვინც ჩემი მომხრე არ არის, ის ჩემი მოწინააღმდეგეაო. იგი თავისთვის მოითხოვს ადამიანს მთლიანად, განუყოფელად, და მაშინ უხვად აჯილდოებს მას; ხოლო არასრულ მიმდევრებს იგი აკოტრებს, შემდეგ საპრობილეში, ბოლოს სილატაკეში აგდებს. ჩარჩი ისეთი არსებაა, რომლის სიცოცხლის მიზანია სარფა, ამ სარფისათვის ზღვარის დადება შეუძლებელია. ის ისეთივეა, როგორც ზღვა წყალი: წყურვილს კი არა ჰკლავს, არამედ მხოლოდ უფრო ძლიერ აღიზიანებს. ჩარჩს არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი ინტერესები, რომლებიც მის ჯიბეს არ შეეხება. მისთვის ფული საშუალება კი არ არის, არამედ მიზანია, და ადამიანებიც აგრეთვე მიზანია; მას არ უყვარს ადამიანები, არ ებრალება ისინი, იგი მხეცზე უფრო მძვინვარეა, სიკვდილზე უფრო შეუბრალებელია, იგი ყველა საშუალებას ხმარობს: ბავშვებს აიძულებს დაიხოცონ მისთვის მუშაობით, პროლეტარს ავიწროებს შიმშილით სიკვდილის შიშით (ე. ი. შიმშილით წკებლავს მას, როგორც ამბობდა ერთი რუსი მემამულე, რომელსაც მგზავრობისას შეეხვდი), ლატაკს ვალში ჰხდის კონკებს, გარყვნილებით სარგებლობს, მას ემსახურება და ღარიბთა ხარჯზე მდიდრდება...

ჩარჩზე რომ ვლაპარაკობთ; უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანს ამახინჯებს ყოველგვარი ცუდი ვნება, რომელიც კი მას შეიპყრობს, და რომ, გარდა სარფისა, ასეთი ვნება ბევრია. ეს ასეა, მაგრამ ეს თითქმის ყველაზე უფრო საზიზღარი ვნებათაგანია. შემდეგ კი იგი *esprit de corps* და ტონს აძლევს მთელ წოდებას. ხოლო როგორი უნდა იყოს ასეთი წოდება? და რა დღე ადგია სახელმწიფოს, როცა ამ წოდების ხელშია? ინგლისში საშუალო კლასი ბევრს ნიშნავს — მისი წარმომადგენელია ქვედა პალატა; ხოლო ამ პალატის მოქმედებაში ბევრი რამ დიაღია, პატრიოტიზმი კი პირდაპირ აურაცხელია. მაგრამ ინგლისში საშუალო წოდებას არისტოკრატია აწონასწორებს, ამიტომ ინგლისის მთავრობა რძენადვე სახელმწიფოებრივი, დიადი და სახელოვანია, რამდენადაც საფრანგეთის მთავრობა ლიბერალური, მდაბალი,

უხამსი, არარა და სამარცხვინოა. როცა ინგლისში არისტოკრატიის ხანა დასრულდება, საშუალო კლასს ხალხი გააწონასწორებს; თუ არა და, შესაძლოა, ინგლისი კიდევ უფრო საზიზღარ სანახაობად იქცეს, ვიდრე ახლა საფრანგეთია. მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც აქსიომად აცხადებენ, რომ ბურჟუაზია ბოროტებაა, რომ იგი უნდა მოისპოს, რომ მხოლოდ უიმისოდ წავა ყველაფერი კარგად. ასე ფიქრობს ჩვენი გერმანელი — მიშელი, ასე, ანდა თითქმის ასე, ფიქრობს ლუი ბლანი. მე ამას მხოლოდ მაშინ დავეთანხმები, როდესაც სინამდვილეში დავინახავ სახელმწიფოს, რომელიც, საშუალო კლასს მოკლებული, მაინც კეთილდღეობას განიცდის, ხოლო რადგან დღემდე მხოლოდ იმას ვხედავდი, რომ საშუალო კლასს მოკლებული სახელმწიფოები მუდმივი არაზობისათვის არიან განწირულნი, ამიტომ არც მინდა აპრიორი გადავწყვიტო ისეთი საკითხი, რომელიც შეიძლება მხოლოდ ცდით გადაწყდეს. ვიდრე ბურჟუაზია არსებობს და ვიდრე იგი ძლიერია, მე ვიცი, რომ იგი უნდა არსებობდეს და არ შეიძლება არ არსებობდეს. მე ვიცი, რომ მრეწველობა უდიდეს ბოროტებათა წყაროა, მაგრამ ვიცი, რომ იგივე მრეწველობა საზოგადოებისათვის უდიდეს სიკეთეთა წყაროც არის. სწორი რომ ვთქვათ, იგი მხოლოდ უკანასკნელი ბოროტებაა კაპიტალის ბატონობაში, შრომისადმი მის ტირანიაში. მე თანახმა ვარ, რომ კაპიტალისტთა განკიცხულ მოდგმასაც კი საზოგადოებრივ საქმეებზე გავლენის თავისი წილი უნდა ჰქონდეს; მაგრამ ვაი სახელმწიფოს, როდესაც მის სათავეში მხოლოდ ეს მოდგმა დგას!..

ნაიკილი ნ. ვ. გომოღს

15 ივლისი, 1847 წ.¹

*

თქვენ მხოლოდ ნაწილობრივ ხართ მართალი, ჩემს სტა-
ტიაში გაჯავრებული ადამიანი რომ დაინახეთ: ეს ეპითეტი
მეტად სუსტი და ნაზია იმ განწყობილების გამოხატავად,
რაც ჩემში თქვენი წიგნის წაკითხვამ გამოიწვია. მაგრამ თქვენ
სრულიად არა ხართ მართალი, როდესაც ამას მიაწერთ
თქვენს მართლაც არც თუ მთლად სასიამოვნო გამოხმაურე-
ბას თქვენი ტალანტის პატივისმცემლებზე. არა, აქ უფრო
მნიშვნელოვანი მიზეზი იყო. თავმოყვარეობის შეურაცხყო-
ფილი გრძნობის ატანა კიდევ შეიძლება, და მე მეყოფოდა
ქყუა იმისათვის, რომ ამ საგანზე ხმა არ ამომელო, მთელი
საქმე რომ ამაში იყოს; მაგრამ არ შეიძლება აიტანო ქვეშა-
რიტების, ადამიანური ღირსების შეურაცხყოფილი გრძნობა:
არ შეიძლება სდუმდე, როდესაც რელიგიის საფარით და მათ-
რახის მფარველობით სიცრუესა და უზნეობას ქადაგებენ,
როგორც ქვეშაირებებსა და სათნოებას.

ღიახ, მე თქვენ მიყვარდით მთელი გატაცებით, რო-
გორც თავის ქვეყანასთან სისხლით და ხორციით დაკავშირე-
ბულ ადამიანს შეუძლია უყვარდეს ამ ქვეყნის იმედი, ღირ-
სება, სახელი, მისი ერთ-ერთი დიდი ბელადი შეგნების, გან-
ვითარების, პროგრესის გზაზე. და თქვენ საფუძვლიანი მი-
ზეზი გქონდათ თუნდაც ერთი წუთით დაგეკარგათ სულის
სიმშვიდე, რაკი ასეთი სიყვარულის უფლება დაჰქარგეთ.
ამას ვამბობ არა იმიტომ, რომ ჩემს სიყვარულს დიდი ტალან-
ტის ჯილდოდ ვთვლი, არამედ იმიტომ, რომ ამ მხრივ მე

წარმოვადგენ არა ერთ, არამედ მრავალ პირს, რომელთა დიდი უმეტესობა არც თქვენ და არც მე არ გვინახავს და რომელთაც, თავის მხრივ, თქვენც არასოდეს უნახავხართ. მე არ ძალმიძს თუნდაც ოდნავი წარმოდგენა მოგცეთ იმ აღშფოთებაზე, რაც თქვენმა წიგნმა გამოიწვია ყველა კეთილშობილი ადამიანის გულში, არც იმ მხეცური სიხარულის ღრიალზე, რაც ამ წიგნის გამოსვლისას აღმოხდა ყველა თქვენს მტერს: არალიტერატურულ მტრებსაც — ჩიჩიკოვებს, ნოზდრიოვებს, გოროდნიჩებს... და ლიტერატურულ მტრებსაც, რომელთა სახელებს თქვენ კარგად იცნობთ. თქვენ თვითონ ხედავთ, რომ თქვენს წიგნს განუდგნენ ისეთი ადამიანებიც კი, რომელთა სულისკვეთება, როგორც ჩანს, ამ წიგნის სულისკვეთებას ეთანხმება. იგი რომ თუნდაც ღრმა, გულწრფელი რწმენის შედეგად ყოფილიყო დაწერილი, მაშინაც კი მას საზოგადოებაზე იგივე შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. და თუ იგი ყველამ (გარდა მცირეოდენი ადამიანებისა, რომლებსაც უნდა ხედავდეთ და იცნობდეთ, რომ მათგან წიგნის მოწონება არ გიხაროდეთ) ისე მიიღო, როგორც მზაკვრული, მაგრამ მეტისმეტად უბოდიშო ოინი ზეციური გზით ნამდვილი მიწიერი მიზნის მისაღწევად, — ამაში დამნაშავე მხოლოდ თქვენა ხართ. და ეს სულაც არ არის საკვირველი, არამედ საკვირველია ის, რომ თქვენ ეს საკვირველად მიგაჩნიათ. მე ვფიქრობ, ეს იმიტომ არის, რომ თქვენ რუსეთს ღრმად იცნობთ მხოლოდ როგორც მხატვარი და არა როგორც მოაზროვნე ადამიანი, რომლის როლიც ასე ამაოდ იკისრეთ თქვენს ფანტასტიკურ წიგნში. და ეს არა იმიტომ, რომ თქვენ მოაზროვნე ადამიანი არ იყავით, არამედ იმიტომ, რომ უკვე ამდენი წელიწადია შეეჩვიეთ უცქირით რუსეთს თქვენი მშვენიერი შორეთიდან? ხოლო აკი ცნობილია, რომ არაფერია იმაზე ადვილი, როგორც ის, რომ შორიდან ისე ვხედავდეთ საგნებს, როგორც გვინდა ვხედავდეთ მათ, იმიტომ, რომ ამ მშვენიერ შორეთში თქვენ ისე ცხოვრობთ, როგორც მისთვის სრულიად უცხო, ცხოვრობთ თქვენს არსებაში კარნაკეტილი, ანდა იმ წრის ერთფეროვნებით გარემოცული,

რომელსაც ისეთივე განწყობილება აქვს, როგორიც თქვენ, და არ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს თქვენს გავლენას. ამიტომ თქვენ ვერ შენიშნეთ, რომ რუსეთი თავის ხსნას ხედავს არა მისტიციზმში, არა ასკეტიზმში, არა პიეტიზმში, არამედ ცივილიზაციის, განათლების, ჰუმანურობის წარმატებებში. რუსეთს ესაჭიროება არა ქადაგებანი (საკმაოდ მოუხსენია ისინი!), არა ლოცვანი (საკმაოდ უზეპირებია ისინი!), არამედ ხალხში იმ ადამიანური ღირსების გრძნობის გავლიძება, რომელიც ამდენი საუკუნეა დაკარგულია სიბინძურესა და ნაგავში, — არა ეკლესიის მოძღვრების, არამედ საღი აზროვნებისა და სამართლიანობის შესაბამისი საქართალი და კანონები და შესაძლებლობისამებრ მათი ზუსტი აღსრულება. ამის ნაცვლად კი იგი საზარელ სანახაობას წარმოადგენს: ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც ადამიანები ადამიანებით ვაჭრობენ და საამისოდ ის გამართლებაც არა აქვთ, რასაც მზაკვრულად იყენებენ ამერიკელი პლანტატორები, რომლებიც ამტკიცებენ, ზანგი ადამიანი არ არისო; ქვეყანა, სადაც ადამიანები თავიანთ თავს თვითონ უწოდებენ არა ნამდვილ, არამედ შერქმეულ სახელებს: ვანკებს, ვასკებს, სტიოშკებს, პალაშკებს; ქვეყანა, სადაც, ბოლოს, არ არის არათუ რაიმე გარანტია პიროვნებისა, ღირსებისა და საკუთრებისათვის, არამედ არ არის პოლიციური წესრიგიც კი, არის მხოლოდ სხვადასხვა სამსახურებრივ ქურდთა და მძარცველთა უზარმაზარი კორპორაციები! ყველაზე საჭირობოროტო, თანამედროვე ნაციონალური საკითხები რუსეთში ახლა შემდეგია: ბატონყმობის მოსპობა, ფიზიკური დასჯის გაუქმება, თუნდაც იმ კანონების რაც შეიძლება ზუსტად შესრულების შემოღება, რომლებიც უკვე არსებობენ. ამას თვით მთავრობაც კი გრძნობს (რომელმაც კარგად იცის, რას უშვრებიან მემამულენი თავიანთ გლეხებს და ყოველწლიურად რამდენ მემამულეს ჰკლავენ ეს გლეხები), რასაც ამტკიცებს მისი გაუბედავი და უნაყოფო სანახევრო ზომები თეთრი ზანგების სასარგებლოდ და ერთწვერი შოლტის კომიკური შეცვლა სამწვერი მათრახით *.

აი საკითხები, რომლებზეც შეშფოთებით ფიქრობს რუსეთი⁴ თავის აპათიურ რულში! და სწორედ ამ დროს დიდი მწერალი, ვინც თავისი საუცხოო მხატვრული, ღრმად ჰეშმარიტი ქმნილებებით ასე მძლავრად შეუწყო ხელი რუსეთის თვითშეგნებას, შესაძლებლობა მისცა მას დაენახა თავისი თავი, როგორც სარკეში, — გამოდის წიგნით, რომელშიც ქრისტესა და ეკლესიის სახელით ასწავლის ბარბაროს-მემამულეს მეტი ფული ააძროს გლეხებს, აგინოს და პირდაუბანელნი უწოდოს მათ. და ამას არ უნდა გამოეწვია ჩემი აღშფოთება?..

ჩემი სიცოცხლის მოსპობა რომ მოგენდომებინათ, მაშინაც კი არ შემძულდებოდათ იმაზე მეტად, როგორც ამ სამარცხვინო სტრიქონებისათვის... და ამის შემდეგ თქვენ გინდათ, რომ თქვენი წიგნის მიმართულების გულწრფელობა სჯეროდეთ! არა. თქვენ რომ მართლაც ქრისტეს ჰეშმარიტებით აღვსილიყავით და არა ეშმაკეული მოძღვრებით, — სულ სხვა რამეს მისწერდით თქვენს ადებტს მემამულეთაგან. თქვენ მას მისწერდით, რომ, რადგან მისი გლეხები მისი ქრისტესმიერი ძმები არიან, ხოლო რადგან ძმა არ შეიძლება თავისი ძმის მონა იყოს, ამიტომაც მან გლეხებს ან თავისუფლება უნდა მისცეს, ანდა ისე მაინც გამოიყენოს მათი შრომა, რომ მათ რაც შეიძლება შეღავათი ჰქონდეთ, და თავისი სინდისის სიღრმეში შეიგნოს, რომ იგი მათ მიმართ ყალბ მდგომარეობაში იმყოფება.

ხოლო გამოთქმა: „იი, შე პირდაუბანელო!“ აბა რომელი ნოზდრიოვისაგან, რომელი სობაკევიჩისაგან გაიგონეთ თქვენ ეს, რათა გადაგეცათ ქვეყნიერებისათვის, როგორც უდიდესი აღმოჩენა გლეხთა სასარგებლოდ და ჰკუთის დასარიგებლად, რომლებიც უამისოდაც სწორედ იმიტომ არ იბანენ პირს, რომ თავიანთ ბატონებს დაუჯერეს და თვითონ აღარ სთვლიან თავს ადამიანებად? ხოლო თქვენი წარმოდგენა ნაციონალურ რუსულ სამსჯავროსა და სასჯელზე, რის იდეალაც პუშკინის მოთხრობის იმ სულელი დედაკაცის სიტყვებში

51. ბ. გ. ბელინსკი

ჰპოვეთ, რომლის აზრითაც მართალიც და მტყუანიც უნდა გა-
აწკეპლოს! ა ეს ხომ ჩვენში ისედაც ხშირად ხდება, თუშცა
ყველაზე ხშირად^ა მხოლოდ მართალს წკეპლავენ, თუ მას
უანაშაულისგან თავის გამოსყიდვის სახსარი არა აქვს, და
ჰაშინ ის უდანაშაულოდ დამნაშავეა! და ასეთი წიგნი მოგ-
ვევლინა როგორც მძიმე შინაგანი პროცესის, მაღალი სული-
ერი თვალის ახელის შედეგი! შეუძლებელია! ან თქვენ ავად
ხართ — და უნდა იჩქაროთ იმკურნალოთ^ა, ანდა... ვერ გამი-
ბედია ბოლომდე გამოვთქვა ჩემი აზრი!..

მათრახის მქადაგებლო, უმეცრების მოციქულო, ობსკუ-
რანტიზმისა და წყვდიადის ქომაგო, თათრული ზნე-ჩვეულე-
ბის პანეგირისტო—რას სჩადიხართ! ძირს დაიხედეთ,—თქვენ
ხომ უფსკრულის პირას დგებართ!.. ამგვარ მოძღვრებას
მართლმადიდებელ ეკლესიაზე რომ აყრდნობთ, ეს კიდევ
ქესმის: ეს ეკლესია ყოველთვის მათრახის დასაყრდენი^ა და
დესპოტიზმის მამებელი იყო; მაგრამ ქრისტე რაღათ გარეთ
ამ საქმეში? საერთო რა ჰპოვეთ ქრისტესა და რომელიმე, ხო-
ლო მით უმეტეს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის? ქრის-
ტემ პირველმა აუწყა ადამიანთ თავისუფლების, თანასწორო-
ბისა და ძმობის მოძღვრება და წამებით აღბეჭდა. განამტკი-
ცა ჭეშმარიტება თავისი მოძღვრებისა. და ეს მოძღვრება
სწორედ მხოლოდ მანამდე იყო ადამიანთა მხსნელი, ვიდრე
ეკლესიის სახით არ ჩამოყალიბდა და საფუძვლად ორტოდოქ-
სიის პრინციპი არ მიიღო. ეკლესია კი გამოვიდა იერარქად,
მაშასადამე, უთანასწორობის ქომაგად, ძალაუფლების მამებ-
ლად, ადამიანთა შორის ძმობის მტრად და მღევნელად,—და
დღემდეც ასეთი რჩება. მაგრამ ქრისტეს სიტყვის აზრი გა-
მოავლინა გასული საუკუნის ფილოსოფიურმა მოძრაობამ.
და აი ამიტომ რომელიმე ვოლტერი, რომელმაც გაქირდვის
იარაღით ჩააქრო ევროპაში ფანატიზმისა და უმეცრების კო-
ცონები, რასაკვირველია, უფრო მეტად არის ძე ქრისტესი,
მისი ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი, ვიდრე
ძთელი თქვენი ხუცები, არქიელები, მიტროპოლიტები და
აღმოსავლეთისა და დასავლეთის პატრიარქები! ნუთუ თქვენ

ეს არ იცით? ეს ხომ ახლა არც ერთი გიმნაზიელისთვისაც კი არ არის ახალი ამბავი... და ამიტომ ნუთუ თქვენ, „რევიზორისა“ და „მკვდარი სულების“ ავტორმა, ნუთუ თქვენ გულწრფელად, სულით და გულით უმღერეთ ჰიმნი საზიზღარ რუსულ სამღვდელოებას და იგი კათოლიკურ სამღვდელოებაზე განუზომლად მაღლა დააყენეთ? ვთქვათ, თქვენ არ იცით, რომ მეორე ოდესღაც რაღაც იყო, მაშინ როცა პირველი არასოდეს არაფერი არ ყოფილა, გარდა საერო ხელისუფლების მსახურისა და მონისა; მაგრამ ნუთუ თქვენ მართლაც არ იცით, რომ ჩვენი სამღვდელოება ერთიანად ეზიზღება რუსეთის საზოგადოებას და რუს ხალხს? ვის შესახებ ჰყვება რუსი ხალხი უწმაწურ ზღაპარს? ხუცესზე, მის ცოლზე. ხუცესის ქალიშვილსა და ხუცესის მოჯამაგირეზე. ვის ეძახის რუსი ხალხი სულელების მოდგმას, ნასუქ მოზვრებს? — ხუცებს... განა ხუცესი რუსეთში ყველა რუსისათვის გაუმადლოების, სიძუნწის, ქლესაობის, უნამუსობის წარმომადგენელი არ არის? და თითქოს თქვენ არ იცით ყოველივე ეს? უცნაურია! თქვენ გგონიათ, რომ რუსი ხალხი მსოფლიოში ყველაზე რელიგიურია: სიცრუეა! რელიგიურობის საფუძველია პიექტიზმი, მოწიწება, ღვთის შიში. რუსი ადამიანი კი ღმერთის სახელს რომ ახსენებს, სადაც * იფხანს. იგი ხატის შესახებ ამბობს: ვარგა — ვილოცოთ, არა და—ქოთანს დავაფაროთო.

ცოტა გულდასმით დააკვირდით და დარწმუნდებით, რომ ეს ბუნებით ღრმად ათეისტი ხალხია. მას ჯერ კიდევ ბევრი ცრუმორწმუნეობა აქვს, მაგრამ რელიგიურობის ნატამალიც არ მოეპოვება. ცრუმორწმუნეობა ცივილიზაციის წარმატებებით ჰქრება, მაგრამ რელიგიურობა ხშირად ამ წარმატებებსაც ეგუება; ამის ცოცხალი მაგალითია საფრანგეთი, სადაც ახლაც ბევრი გულწრფელი კათოლიკეა განათლებულ ადამიანთა შორის და სადაც ბევრი, ვინც ქრისტიანობას განუდგა, ჯერ კიდევ მაინც მაგრად ჩაბლაუქებია რაღაც ღმერთს. რუსი ხალხი ასეთი როდია; მისტიკური ეგზალტაცია მის ბუნებას არ ეგუება; საამისოდ მას მეტად დიდი საღი აზრი, ნათელი და დადებითი გონება აქვს, და აი, შესაძლოა,

სწორედ ამაში იყოს სიდიადე მისი ისტორიული ბედისა მომავალში. რუს ხალხში რელიგიურობა სამღვდელოებაშიც კი ვერ ინერგებოდა, ვინაიდან რამდენიმე ცალკეული განსაკუთრებული პიროვნება, რომლებიც მშვიდი, ცივი ასკეტური მკვრეტელობით განირჩეოდნენ, არაფერს არ ამტკიცებს. ჩვენი სამღვდელოების უმრავლესობა კი მუდამ განირჩეოდა მხოლოდ დიდი ღიბით, სქოლასტიკური პედანტობითა და საშინელი უვიცობით. შეცოდებაა მას ბრალად დავდოთ რელიგიური შეუწყნარებლობა და ფანატიზმი; მაგრამ უფრო შეიძლება შევაქოთ იგი სარწმუნოების საქმეში სანიმუშო ინდიფერენტიზმისათვის. რელიგიურობა ჩვენში გამოვლინდა მხოლოდ რასკოლნიკთა სექტებში, რომლებიც თავისი სულისკვეთებით ასე ეწინააღმდეგებოდნენ ხალხის მასას და მასთან შედარებით რიცხვობრივად ასე უმნიშვნელონი იყვნენ.

სიტყვას არ გავაგრძელებ თქვენი დითირამბის შესახებ რუსი ხალხის სიყვარულზე მისი მბრძანებლებისადმი. პირდაპირ ვიტყვი: ამ დითირამბმა ვერავისში ვერ ჰპოვა თანაგრძნობა და იმ ადამიანთა თვალშიც კი დაგამცირათ თქვენ, რომლებიც თავიანთი მიმართულებით სხვა მხრივ ძალიან ახლოს არიან თქვენთან. რაც შემეხება პირადად მე, თქვენი სინდისისათვის მომინდვია დასტუბეს თვითმპყრობელობის ღვთაებრივი სილამაზის ჰერეტიით (ეს უფრო მშვიდი და, ამბობენ, თანაც სარფიანი საქმეა თქვენთვის), ოღონდ განაგრძეთ მისი კეთილგონივრული ჰერეტიკა თქვენი მშვენიერი შორეთიდან: ახლოს კი ის არც ისე ლამაზია¹⁰ და არც ისე არასაშიში... მხოლოდ ერთს შევნიშნავ: როცა ევროპელს, განსაკუთრებით კათოლიკეს, რელიგიური სულისკვეთება შეიპყრობს, იგი უსამართლო ხელისუფლების მხილებას იწყებს, მსგავსად ებრაელ წინასწარმეტყველთა, რომლებიც ამა ქვეყნის ძლიერთა უკანონობას ამხილებდნენ. ჩვენში კი პირიქით ხდება: შეიპყრობს თუ არა ადამიანს (წესიერსაც კი) სენი, რომელიც ფსიქიატრ ექიმთა შორის ცნობილია religiosa mania-ს¹¹ სახელწოდებით, იგი მყისვე მიწიერ ღვთაებას უფრო უკმევს გუნდრუქს, ვიდრე ზეციერს, და თანაც ისე გადა-

ამლაშებს, რომ ამ ღვთაებას კიდევაც რომ უნდოდეს მისი დაჯილდოება მონური გულმოდგინებისათვის, ზედავს, რომ ამით სახელს გაიტეხს საზოგადოების თვალში... გაქნილია ჩვენი ძმა, რუსი ადამიანი!..

ისიც მომაგონდა, რომ თქვენს წიგნში დიდ და უდავო ჭეშმარიტებად აცხადებთ, თითქოს მდაბიო ხალხისთვის ცოდნა არათუ სასარგებლო არ არის, არამედ პირდაპირ საზიანოა. რა უნდა გითხრათ ამაზე? დე შეგინდოთ თქვენმა ბიზანტიურმა ღმერთმა ამ ბიზანტიური აზრისათვის, თუ თქვენ, როცა ის ქალაქზე გადაგქონდათ, არ იცოდით, რასაც ამბობდით... მაგრამ, იქნებ, თქვენ სთქვათ: „დავუშვათ, მე ვცდებოდი და ყველა ჩემი აზრი სიცრუეა“¹², მაგრამ რატომ მართმევენ უფლებას ვცდებოდე და არ უნდათ დაიჯერონ ჩემი შეცდომის გულწრფელობა?“ იმიტომ, გიპასუხებთ მე, რომ ამგვარი მიმართულება რუსეთში უკვე დიდი ხანია ახალი ამბავი არ არის. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათაც კი იგი სავსებით ამოსწურეს ბურაჩეკმა და ძმათა მისთა. რა თქმა უნდა, თქვენს წიგნში მეტი ჰქუაა და ტალანტიც კი (თუმცა არც ერთი¹³ და არც მეორე მასში არც თუ ძალიან ბევრია), ვიდრე მათს თხზულებებში; მაგრამ სამაგიეროდ მათ თქვენი და მათი საერთო მოძღვრება განავითარეს მეტი ენერგიითა და მეტი თანმიმდევრობით, გაბედულად მივიდნენ მის საბოლოო შედეგებამდე, ყველაფერი შესწირეს თავიანთ ბიზანტიურ ღვთაებას, არაფერი აღარ დაუტოვეს სატანას; მაშინ როდესაც თქვენ, რაკი გსურთ თითო სანთელი აუნთოთ ერთსაც და მეორესაც, წინააღმდეგობაში ჩავარდით, იცავდით, მაგალითად, პუშკინს, ლიტერატურას და თეატრებს, რომლებსაც, თქვენი თვალსაზრისით, თქვენ რომ ისე კეთილსინდისიერი ყოფილიყავით, რომ თანმიმდევრობა გამოგეჩინათ, სრულიად არ შეუძლიათ ემსახურონ სულის ცხოვნებას, მაგრამ შეუძლიათ დიდი სამსახური გაუწიონ მის წაწყმედას... მაშ ვის უნდა აეტანა აზრი, რომ გოგოლი და ბურაჩეკი ერთი და იგივეა? თქვენ მეტად მალლა დააყენეთ თქვენი თავი რუსეთის საზოგადოების თვალში და ამიტომ მას აღარ შეუძლია

თქვენი ამგვარი რწმენის გულწრფელობა სჯეროდეს. რაც ბრიყვებში ბუნებრივად მიაჩნიათ, არ შეიძლება ის გენიალურ ადამიანშიც ბუნებრივად მიიჩნიონ. ზოგიერთი კინალამ იმ აზრს დაადგა, რომ თქვენი წიგნი ნაყოფია გონებრივი აშლილობისა, რაც აშკარა სიგიჟეს უახლოვდებაო. მაგრამ მათ მალე უარჰყვეს ასეთი დასკვნა — ცხადია, რომ წიგნი იწერებოდა არა ერთ დღეს, არა ერთ კვირას, არა ერთ თვეს, არამედ, შესაძლოა, ერთ, ორ ან სამ წელიწადს; მასში არის დალაგება; დაუდევარ გადმოცემაში გამოსტკვივის მოფიქრებულობა, ხოლო უზენაეს ხელისუფალთადმი მიძღვნილი ჰიმნი კარგ მიწიერ მდგომარეობას უქმნის ღვთისმოსავ ავტორს. აი რატომ გავრცელდა პეტერბურგში ხმა, თითქოს თქვენ ეს წიგნი იმ მიზნით დასწერეთ, რომ ტახტის მემკვიდრის ვაჟის დამრიგებლად მოხვდეთ. კიდევ უფრო ადრე პეტერბურგში ცნობილი გახდა უვაროვისადმი გაგზავნილი თქვენი წერილი, სადაც გულნატკენი ამბობთ, რომ თქვენს თხზულებებს რუსეთის შესახებ უკულმართად განმარტავენ. შემდეგ თქვენი წინანდელი ნაწარმოებებით უკმაყოფილებას ამქვად ვებთ და აცხადებთ, რომ თქვენი თხზულებებით კმაყოფილი დარჩებით მხოლოდ მაშინ, როცა ამ თხზულებებით მეფე იქნება კმაყოფილიო¹⁴. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, შეიძლება თუ არა გასაკვირველი იყოს, რომ თქვენმა წიგნმა დაგამცირათ საზოგადოების თვალში როგორც მწერალიც და, კიდევ უფრო მეტად, როგორც ადამიანი?

თქვენ, რამდენადაც ვხედავ, არც თუ მთლად კარგად გაგიგიათ რუსი ადამიანები. მათი ხასიათი განისაზღვრება რუსეთის საზოგადოების მდგომარეობით, რომელშიც ახალი ძალები სჩქეფენ და თავის გამოვლინებას ცდილობენ, მაგრამ, მძიმე ჩავვრით დაბეჩავებულნი, რაკი გამოსავალს ვერ პოულობენ, მხოლოდ გულგატეხილობას, სევდასა და აპათიას იწვევენ. მარტოდენ ლიტერატურაში, მიუხედავად თათრული ცენზურისა, კიდევ არის სიცოცხლე და წინსვლა. აი რატომ ასე საპატიოა ჩვენში მწერლის წოდება, რატომ არას ასე იოლი ჩვენში ლიტერატურული წარმატება მცირე ნიქის.

პირობებშიც კი. პოეტის ტიტულმა, ლიტერატორის წოდებაში ჩვენში უკვე დიდი ხანია დაჩრდილა ეპოლეტებისა და ფერადფერადი მუნდირების ზიზილ-პიპილები. და აი ამიტომ ჩვენში განსაკუთრებით აჯილდოებენ საერთო ყურადღებით ყოველგვარ ეგრეთწოდებულ ლიბერალურ მიმართულებას ნიქის სიღარიბის პირობებშიც კი, აი ამიტომ ასე მალე ეცემა პოპულარობა დიდი ტალანტებისა, რომლებიც გულწრფელად თუ არაგულწრფელად ემსახურებიან მართლმადიდებლობას, თვითმპყრობელობასა და ხალხურობას. ამის საოცარი მაგალითია პუშკინი: საკმარისი იყო მას მხოლოდ ორი-სამი ერთგულქვეშევრდომული ლექსი დაეწერა და კამერ-იუნკრის ლივრეა ჩაეცვა, რომ ერთბაშად დაეკარგა ხალხის სიყვარული! და თქვენ ძალიან სცდებით, თუ მართლა ფიქრობთ, რომ თქვენი წიგნი ჩავარდა არა მისი ცუდი მიმართულების, არამედ იმ ჭეშმარიტებათა სიმკაცრის გამო, რომლებიც თითქოს თქვენ ყველას და თითოეულს აუწყებთ. ვთქვათ. თქვენ შეგეძლოთ ეს გეფიქრათ მოძმე მწერლებზე. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამ კატეგორიაში მომხვდარიყოს საზოგადოება? ნუთუ „რევიზორსა“ და „მკვდარ სულებში“ თქვენ ნაკლები სიმკაცრით, ნაკლები ჭეშმარიტებითა და ტალანტით და ნაკლებად მწარე სიმართლე უთხარით საზოგადოებას? და იგი, მართლაც, ისე გაჯავრდა თქვენზე, როცა ცოფსა ჰყრიდა, მაგრამ „რევიზორი“ და „მკვდარი სულები“ ამით არ ჩავარდნილა, მაშინ როდესაც თქვენი უკანასკნელი წიგნი სამარცხვინოდ ჩაიკარგა უფსკრულში. და საზოგადოება აქ მართალია: იგი რუს მწერლებში ხედავს თავან ერთადერთ ბელადებს, რუსეთის თვითმპყრობელობისა, მართლმადიდებლობისა და ხალხურობისაგან დამცველებსა და მხსნელებს, და ამიტომ თუმცა მუდამ მზად არის აპატიოს მწერალს ცუდი წიგნი, მაგრამ არასოდეს არ აპატიებს მას მავნე წიგნს. ეს მოწმობს, თუ რამდენი ახალი, საღი ალღოა, თუმცა ჯერ კიდევ ჩანასახად, ჩვენს საზოგადოებაში, და ესევე მოწმობს, რომ მას მომავალი აქვს. თუ თქვენ რუსეთი

გიყვართ, ჩემთან ერთად გაიხარეთ, გაიხარეთ თქვენი წიგნის ჩაყარდნით!..

თვითკმაყოფილების ერთგვარი გრძნობით გეტყვით, რომ მე მგონია, ცოტაოდნავ ვიცნობ რუსეთის საზოგადოებას. თქვენმა წიგნმა დამაფრთხო იმით, რომ მას შეიძლებოდა ცუდი გავლენა მოეხდინა მთავრობაზე, ცენზურაზე, მაგრამ არა საზოგადოებაზე. როცა პეტერბურგში ხმა გავრცელდა, რომ მთავრობას სურს თქვენი წიგნი მრავალ ათას ეგზემპლარად დაბეჭდოს და მეტად დაბალ ფასად გაჰყიდოსო,—ჩემმა მეგობრებმა ყურები ჩამოყარეს. მაგრამ მე მაშინვე ვუთხარი მათ, რომ, მიუხედავად ყოველივესი, წიგნს წარმატება არ ექნება და მას მალე დაივიწყებენ-მეთქი. და მართლაც, იგი ახლა მის შესახებ დაბეჭდილი სტატიებით უფრო ახსოვს ყველას, ვიდრე თავისთავად. დიახ, რუს ადამიანს კემპარტიტების ღრმა, თუმცა ჯერ კიდევ განუვითარებელი, ინსტინქტი აქვს.

თქვენი მიმართვა, შესაძლოა, გულწრფელიც კი იყო, მაგრამ ის აზრი, რომ იგი საზოგადოებისთვის გეცნობებინათ, ყოვლად საუბედურო იყო. გულუბრყვილო ღვთისმომშობის დრო უკვე დიდი ხანია წავიდა ჩვენი საზოგადოებისთვისაც. ამ საზოგადოებას უკვე ესმის, რომ სადაც ილოცებს — სულერთია, და რომ იერუსალიმში ქრისტეს მხოლოდ ის ადამიანები დაეძებენ, რომლებსაც ან არასოდეს არ უტარებიათ იგი თავიანთ გულში, ანდა დაუყარავთ. ვისაც შეუძლია სხვისი ტანჯვის დანახვით იტანჯოს, ვისაც მისთვის უცხო ადამიანთა ჩაგვრის სანახაობა ემძიმება, იგი ქრისტეს თავის გულში ატარებს, და იერუსალიმს ფეხით წასვლა არ სჭირდება. თავმდაბლობა, რასაც თქვენ ქადაგებთ, ჯერერთი, ახალი არ არის, მეორეც, მას, ერთი მხრივ, საშინელი სიამაყის, ხოლო სხვა მხრივ — საკუთარი ადამიანური ღირსების ყველაზე სამარცხვინო დამცირების იერი დაჰკრავს. ის აზრი, რომ გახდეს რაღაც აბსტრაქტული სრულქმნილება. ყველაზე მალა დადგე თავმდაბლობით, შეიძლება ან სიამაყის ნაყოფი იყოს, ან კკუასუსტობისა,—და ორივე შემთხვე-

ვაში გარდუვალად იწვევს ფარისევლობას, პირმოთნეობასა და ჩინურ მლიქვნელობას. და ამასთან თქვენს თავს ნება მიეცით ცინიკური უწმაწურობით ილაპარაკოთ არა მარტო სხვებზე (ეს მხოლოდ უზრდელობა იქნებოდა), არამედ საკუთარ თავზეც — ეს უკვე საძაგლობაა; იმიტომ რომ, თუ ადამიანი, რომელიც თავის მოყვასს ყბებში ურტყამს, აღშფოთებას იწვევს, მაშინ ის ადამიანი, რომელიც თავის ყბებზე იცემს, სიძულვილს იწვევს. არა, თქვენი აზრი მხოლოდ დაბნელებულა, მას ნათელი არ მოჰფენია; თქვენ ჩვენი დროის ქრისტიანობის ვერც სული გაგიგიათ და ვერც ფორმა. თქვენი წიგნიდან ქრისტიანული მოძღვრების ქვეშეპირებების სხივი კი არა, არამედ სიკვდილის, ეშმაკისა და ჯოჯოხეთის წინაშე ავადმყოფური შიში გამოკრთის!

პერე რა ენაა, რა ფრაზებია? „საძაგელი და-ჩვარი გახდა ახლა ყოველი ადამიანი“. — უთუ თქვენ ფიქრობთ, რომ სიტყვა ყოველის ნაცვლად ყოველის თქმა ბიბლიურად გამოთქმას ნიშნავს? რა დიდებული ქვეშეპირებაა ის, რომ როცა ადამიანი მთლიანად ცრუ ხდება, იგი ჰკუასა და ნიჰს ჰკარგავს. თქვენს წიგნზე რომ თქვენი სახელი არ ყოფილიყო წარწერილი და იქიდან ამოღებული ყოფილიყო ის ადგილები, სადაც თქვენს თავზე ლაპარაკობთ როგორც მწერალზე, ვინ იფიქრებდა, რომ სიტყვებისა და ფრაზების ეს გაჭიანურებული და უწმინდური რახარუხი — „რევიზორისა“ და „მკვდარი სულების“ ავტორის ნაწარმოებია?

რაც შემეხება პირადად მე, გიმეორებთ: შეცდით, როცა ჩემი სტატია ჩასთვალეთ იმ წყენის გამოხატულებად, რაც თითქოს გამოიწვია თქვენმა აზრმა ჩემზე, როგორც თქვენს ერთ-ერთ კრიტიკოსზე. მარტო ამას რომ გავეჯავრებინე. მხოლოდ ამაზე გამოვსთქვამდი კიდევ წყენას, ყოველივე დანარჩენზე კი დინჯად, პირუთვნელად ვიტყვოდი. ის კი მართალია, რომ თქვენი აზრი თქვენს პატივმცემლებზე — ერთი-ორად ცუდია. მე მესმის, რომ ზოგჯერ აუცილებელია თავში ჩავუყაკუნო რეგვენს, რომელიც ჩემს მიმართ თავისი ქებითა და აღტაცებით მხოლოდ სასაცილოს მხდის, მაგრამ ეს

აუცილებლობაც მძიმეა, იმიტომ რომ როგორღაც ადამიანურად უხერხულია თუნდაც ყალბი სიყვარულის სანაცვლოდ კაცს მტრობით მიუზღო. მაგრამ თქვენ მხედველობაში გყავდათ ისეთი ადამიანები, რომლებიც, თუ ჭკუით არ ბრწყინავენ, რეგვენები მაინც არ არიან¹⁵. ამ ადამიანებმა თქვენი ქმნილებებით თავიანთი აღტაცებისას, შესაძლოა, გაცილებით მეტი აღტაცება, ვიდრე საქმიანი აზრი გამოსთქვეს; მაგრამ მაინც თქვენდამი მათი ენთუზიაზმი ისეთი წმინდა და კეთილშობილური წყაროდან გამოდის, რომ სრულებით საქირო არ იყო ჩაგეგდოთ¹⁶ ისინი მათი და თქვენი საერთო მტრების ხელში, და თანაც დაგებრალეზინათ, რომ მათ განზრახვა აქვთ რაღაც უკუღმართად განმარტონ თქვენი თხზულებანი¹⁷. თქვენ, რა თქმა უნდა, ეს ჩაიდინეთ თქვენი წიგნის მთავარი აზრით გატაცებისა და წინდაუხედაობის გამო, ხოლო ვ[იაზემ]სკიმ, ამ თავადმა არისტოკრატიაში და ლაქიამ ლიტერატურაში, თქვენი აზრი განავითარა და თქვენს პატივმცემლებზე (მაშასადამე, ყველაზე მეტად— ჩემზე) აშკარა დაბეზლება დაბეჭდა¹⁸. ეს მან ჩაიდინა ალბათ თქვენდამი მადლობის ნიშნად იმისათვის, რომ თქვენ იგი, უხეირო მოლექსე, დიდ პოეტად გამოაცხადეთ, მგონი, რამდენადაც მახსოვს, მისი „უღიმღამო, მიწაზე მხოხავი ლექსისთვის“¹⁹. ყოველივე ეს კარგი არ არის. ხოლო თქვენ თუ მხოლოდ იმ დროს უცდიდით, როცა შესძლებთ საქართლიანად მიუზღოთ თქვენი ტალანტის პატივისმცემლებსაც (თუმცა იგი უკვე ამაყი მორჩილებით მიუზღეთ თქვენს მტრებს), ეს არ ვიცოდით; არ შემეძლო და, უნდა გამოვტყდე, არც მინდოდა მცოდნოდა. ჩემ წინ იყო თქვენი წიგნი და არა თქვენი განზრახვები: მე მას ვკითხულობდი და ასჯერ გადავიკითხე, მაგრამ მაინც ვერ ვპოვე მასში ვერაფერი, გარდა იმისა, რაც მასში არის, ხოლო იმან, რაც მასში არის, ღრმად აღაშფოთა და შეურაცხველი ჩემი სული.

ჩემი გრძნობისათვის სრული თავისუფლება რომ მიმეცა, ეს წერილი მალე სქელ რვეულად იქცეოდა. არასოდეს არ მიფიქრია მომეწერა თქვენთვის ამ საგანზე, თუმცა ეს საშინ-

ლად მწადდა, და თუმცა თქვენ ყველას და თითოეულს საჯაროდ მიეცით უფლება მოურიდებლად მოეწერა თქვენთვის, რადგან მხედველობაში გქონდათ მხოლოდ სიმართლე^ჲ. რუსეთში რომ ვყოფილიყავ, ამას ვერ შევძლებდი, რადგან იქაური „შპეკინები“ სხვის წერილებს ხსნიან არა მარტო პირადი კმაყოფილებისათვის, არამედ სამსახურის მოვალეობის გამოც, დაბეზღების გულისათვის. მაგრამ ჭლექმა, რომელიც ამ ზაფხულს დამეწყო, საზღვარგარეთ გამომაქცია, [და ნეტარასოვმა თქვენი წერილი გადმომიგზავნა ზალცბრუნში, საიდანაც ანენკოვთან ერთად დღესვე მივდივარ პარიზს, ძაინსფრანკფურტზე გავლით]^ჲ. თქვენი წერილის მოულოდნელად მიღებამ შესაძლებლობა მომცა მეთქვა თქვენთვის ყველაფერი, რაც გულში მქონდა თქვენს წინააღმდეგ თქვენი წიგნის გამო. მე არ შემიძლია სანახევროდ ლაპარაკი, არ შემიძლია ცბიერობა: ეს ჩემს ბუნებას არ სჩვევია. დე თქვენ დამიმტკიცეთ ან თვით დრომ დამიმტკიცოს, რომ^ჲ მე ვცდებოდი ჩემს დასკვნებში თქვენს შესახებ. პირველს მე გაძეხარდებოდა ეს, მაგრამ არ ვინანებ იმას, რაც გითხარით. აქ საქმე ეხება არა ჩემს ან თქვენს პიროვნებას, არამედ ისეთ საგანს, რომელიც არა მარტო ჩემზე, არამედ თქვენზედაც კი გაცილებით მაღლა დგას; აქ საქმე ეხება ჭეშმარიტებას, რუს საზოგადოებას, რუსეთს.

და აი ჩემი უკანასკნელი საბოლოო სიტყვა: თუ თქვენ წილად გხვდათ უბედურება ამაყი თავმდაბლობით ხელი აგელოთ თქვენს ჭეშმარიტად დიდ ნაწარმოებებზე. ახლა გულწრფელი თავმდაბლობით უნდა უარპყოთ თქვენი უკანასკნელი წიგნი და მისი გამოქვეყნების მძიმე ცოდვა გამოისყიდოთ ახალი ქმნილებებით, რომლებმაც თქვენი წინანდელი ქმნილებანი უნდა მოგვაგონონ.

ზალცბრუნი. 15 ივლისი, 1847 წ.

ଏକାଦଶସ୍କନ୍ଧ

ბ. გ. ბელინსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შმთავრესი თარიღები

1811. 1 ივნისი. სევაბორგში. ფლოტის ექიმის ოჯახში, დაიბადა ბესარიონ გრიგოლისძე ბელინსკი.

1816. 21 ოქტომბერი. ბელინსკის ძაძამ თავი დაანება საზღვაო უწყებაში სამსახურს და მაზრის ექიმად დაიწყო მუშაობა პენზის გუბერნიის ქალაქ ჩემბარში.

1823. ბ. გ. ბელინსკი სწავლობს ჩემბარია სამაზრო სასწავლებელში.

1820 — 1825. ბელინსკიმ ჩემბარის პერიოდში სცადა ლექსების დაწერა.

1825. ბელინსკი შევიდა პენზის გიმნაზიის პირველ კლასში.

1825 — 1829. ბელინსკის ლექსური და პროზაული ცდები გიმნაზიის პერიოდში.

1829. 21 სექტემბერი. ბელინსკი შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში თავის ხარჯზე მყოფ სტუდენტად (ბელინსკი, „წერილები“, ე. ა. ლიაკის რედაქციით, სპბ. 1914. გვ. 2).

ოქტომბერი — დეკემბერი. მშობლებისადმი გაგზავნილ წერილებში ბელინსკი უჩიოდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას. მან შეიტანა თხოვნა მისი გადაყვანის შესახებ ხაზინის კმაყოფაზე მყოფ სტუდენტად („წერილები“, ტ. I, გვ. 5 — 6).

1830. 24 სექტემბერი. მშობლებისადმი გაგზავნილ წერილში ბელინსკი უჩიოდა „კატორღულ, წვეულ სახაზინო კმაყოფას“ („წერილები“, ტ. I, გვ. 24).

1830 — 1831. ბელინსკიმ დაწერა ღრამა „დმიტრი კალინინი“. რომელშიც სასტიკად აკრიტიკებდა ბატონყმობის საშინელებებს.

1831. 17 თებერვალი. ბელინსკიმ მშობლებს შეატყობინა, რომ საცენზურო კომიტეტმა, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორებისაგან შენდგება, მისი ღრამა სცნო „ტალანტურ“, მაგრამ „უზნეო ღრამად, რომელიც უნივერსიტეტის სახელს არცხვენს“. ამ შეფასებამ მასზე თავზარ დაშეკვიძილება მოახდინა. იგი ავად გახდა („წერილები“, ტ. I გვ. 29 — 32).

27 მაისი. ცენზურამ ნება დართო ჟურნალ „ლისტოკს“, № 40—41. ბელინსკის ნაწარმოებები: „რუსეთის წარსული“.

10 ივნისი. ცენზურამ ნება დართო ჟურნალ „ლისტოკს“, № 45. ბელინსკის რეცენზია: „ბორის გოდუნოვის“ შესახებ, თხზ. ა. ს. პუშკინისა.

1832. სექტემბერი. ბელინსკი გარიცხეს უნივერსიტეტიდან „ჯანმრთელობის სისუსტისა“ და „ნიჰის შეზღუდულობის“ შოტივით. გარიცხვის ნამდვილი მიზეზი იყო დრამა „დმიტრი კალინინი“.

1838. მარტი. ბელინსკიმ გაიცნო ნ. ი. ნადეჟდინი და თანამშრომლობა დაიწყო მის გამოცემებში — „ტელესკოპსა“ და „ქოლვაში“ (ა. ნ. პიპინი, „ბელინსკი“, ტ. I, გვ. 75—76).

1834. სექტემბერი — დეკემბერი. „მოლვაში“ დაიბეჭდა ბელინსკის სტატია: „ლიტერატურული ოცნებანი“.

ნოემბერი — დეკემბერი. ი. ლაუჩენიკოვმა ბელინსკი მდივნად მოაწყო მდიდარ ბატონ ა. მ. პოლტორაკისთან, რომელიც თავის ნაწერებს დორმედონტ პრუტიკოვის სახელით ბეჭდავდა. მდივანს უნდა გაეწვორებინა „გრამატიკული და სხვა შეცდომები მისი აღმატებულების თხზულებებში“. ამისათვის მას კპირდებოდნენ ცხოვრების ყველა სიკეთეს. მაგრამ ბელინსკის დიდხანს არ უსარგებლნია ამ სიკეთით. ერთ დილას იგი მოულოდნელად გაჰქარა სახლიდან და „მის აღმატებულებას“ დაუტოვა ბარათი, რომლითაც ბოდიშს იხდიდა, რომ იგი „ვერ ეგუება შინამდივნის თანამდებობას“ (ა. ნ. პიპინი, „ბელინსკი“, ტ. I, გვ. 84—85).

1835. აპრილი — დეკემბერი. საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ნ. ი. ნადეჟდინის მზადებისა და მისი იქ ყოფნის დროს „ტელესკოპისა“ და „მოლვის“ სათავეში იდგა ბელინსკი, რომელსაც „ცოტ-ცოტას“ ეხმარებოდა სტანკევიჩის წრის ყველა წევრი („ნ. ვ. სტანკევიჩის მიწერ-მოწერა“, მოსკოვი, 1914, გვ. 325).

1 და 21 სექტემბერი. ცენზურამ ნება დართო „ტელესკოპს“, ტ. XXVI, № 7 და 8. ბელინსკის სტატია: „რუსული მოთხრობისა და გოგოლის მოთხრობების შესახებ“.

24 ნოემბერი. ცენზურამ ნება დართო „ტელესკოპს“, ტ. XXVII. ბელინსკის სტატია: „ვლადიმერ ბენედიქტოვის ლექსები“.

4 დეკემბერი. ცენზურამ ნება დართო „ტელესკოპს“, ტ. XXVII. ბელინსკის სტატია: „კოლცოვის ლექსები“.

1836. 2 იანვარი, 22 თებერვალი, 5 და 17 მარტი. ცენზურამ ნება დართო „ტელესკოპს“, ტ. XXXI. ბელინსკის სტატია: „არაფერი არაფერზე, ანუ ანგარიში „ტელესკოპის“ ბ-ნ გამოცემელს რუსული ლიტერატურის უკანასკნელი ნახევარი წლის (1835) შესახებ“.

21 მარტი, 17 აპრილი. ცენზურამ ნება დართო „ტელესკოპს“,

ტ. XXXII, № 3 და 6. ბელინსკის სტატია: „მოსკოვის ნაბლუდატელის“ კრიტიკისა და ლიტერატურულ შეხედულებათა შესახებ“.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი. ბელინსკიმ მოსკოვში გაიკნო შ. ა. ბაქუნინი.

27 მ ა ი ს ი. პუშკინი სწერდა პ. ვ. ნაშჩოკინს: „სოვრემენნიკის“ ეგზ. ...ჩემი სახელით გაუგზავნე ბელინსკის („ნაბლუდატელთაგან“ ჩუმაღ, NB) და დააბარე უთხრან, ძალიან ვწუხვარ, რომ მისი ნახვა ვერ მოეწარა“.

ა გ ვ ი ს ტ ო ს მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი — შ უ ა ნ ო ე მ ბ ე რ ი. ბელინსკი სტუმრად იყო ბაქუნინებთან პრიამუხინოში. აგვისტოს დამლევს და სექტემბრის პირველ ნახევარში შ. ა. ბაქუნინმა აქ ბელინსკის გააცნო ფიხტეს ფილოსოფია.

ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი. ჟურნალ „ტელესკოპის“ გამოსვლის დრო, ტ. XXX, № 24. ბელინსკის სტატია: „ზნეობრივი ფილოსოფიის სისტემის ცდა“, თხზ. ა. დროზდოვისა.

22 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი. მეფის მთავრობამ, „ტელესკოპში“ პ. ი. ჩადაევის „ფილოსოფიური წერილის“ დაბეჭდვის გამო, აკრძალა „ტელესკოპი“ და „მოღვა“. ბელინსკიმ ლიტერატურული თავშესაფარი დაქარაგმა (მ. ლემკე, „ნიკოლოზის უანდარშები“, სპბ. 1909, გვ. 413).

15 მ ო ე მ ბ ე რ ი. ბელინსკი, „ტელესკოპისა“ და „მოღვის“ აკრძალვასთან დაკავშირებით, პრიამუხინოდან მოსკოვს დაბრუნების დროს საყარაულოსთან დააკავეს და ობერ-პოლიცემისტერს წარუდგინეს, მაგრამ „ყოველივეს გულმოდგინედ გასინჯეისას ბელინსკის ბარგში საეჭვო არაფერი აღმოჩნდა“ (მ. ლემკე, „ნიკოლოზის უანდარშები“, სპბ. 1909, გვ. 423).

ნ ო ე მ ბ ე რ ი. ბელინსკიმ პრიამუხინოდან დაბრუნების შემდეგ მკიდრო მეგობრობა დაამყარა ვ. პ. ბოტკინთან („წერილები“, ტ. I, გვ. 291).

1887. ი ა ნ ვ ა რ ი — თ ე ბ ე რ ე ა ლ ი. ბელინსკიმ მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველს წარუდგინა მის მიერ დაწერილი გრამატიკა იმ იმედით, რომ მას სკოლებისათვის მოიწონებდნენ და სახაზინო ხარჯით დაბეჭდადნენ. გრამატიკა არ მოიწონეს. ბელინსკიმ იგი თავისი ხარჯით დაბეჭდა (თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით. ტ. III, გვ. 79 — 185 და 511 — 515).

5 მ ა ი ს ი. ბელინსკი ა. პ. ეფრემოვთან ერთად მოსკოვიდან წავიდა კავკასიაში სამკურნალოდ („ნ. ვ. სტანკევიჩის მიწერ-მოწერა“, მოსკოვი. 1914, გვ. 528).

ზ ა ფ ხ უ ლ ი. პიატიგორსკში ბელინსკიმ გაიკნო ლერმონტოვი, რომელსაც ხშირად ხვდებოდა და ეკამათებოდა („ნ. მ. სატინის მოგონებანი“, იბ. კრებული „წამოწყება“, მოსკოვი, 1895).

52. ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

7 ა გ ვ ი ს ტ ო . ბელინსკიმ პიატიგორსკიდან დ. პ. ივანოვს გაუგზავნა თავისი ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შინაარსით ცნობილი წერილი.

1 ა ნ 2 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი . ბელინსკი კავკასიიდან წაუიდა მოსკოვს („წერილები“, ტ. I, გვ. 104 და 129).

ს ე ქ ტ ე მ ბ რ ი ს შ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი — ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი . მ. ნ. კატკოვმა ბელინსკის გააცნო ჰეგელის ესთეტიკა („წერილები“, ტ. I, გვ. 348).

ნ ო ე მ ბ რ ი ს შ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი — უ ე კ ე მ ბ ე რ ი . ბაკუნინი ბელინსკის ბინაში დაბინავდა და ბელინსკის გააცნო ჰეგელის რელიგიისა და სამართლის ფილოსოფია („წერილები“, ტ. I, გვ. 348 — 349).

1838. 10 მ ა რ ტ ი . ბელინსკიმ რუსული ენის მასწავლებლის ადგილი აიღო კონსტანტინოვსკის სამიწათმზომლო ინსტიტუტის ორ უფროს კლასში, სადაც წლიური ხელფასი 1.300 მან. იყო. ეს ადგილი მას შესთავაზა ინსტიტუტის დირექტორმა ს. ტ. აქსაკოვმა („რუსსკაია სტარინა“, 1900, წიგნი V, გვ. 417).

ა პ რ ი ლ ი . ბელინსკი სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „მოსკოვსკი ნაბლოუდატელს“, რომელიც ამ დროიდან იქცა სტანკევიჩის წრეში შემავალ რუს ჰეგელიანელთა ორგანოდ,

11 ა პ რ ი ლ ი — 22 ი ვ ნ ი ს ი . ცენზურამ ნება დართო „მოსკოვსკი ნაბლოუდატელს“, ტ. XVI, მარტი, წიგნი 1 და 2; აპრილი, წიგნი 1. ბელინსკის სტატია: „ჰამლეტი“, დრამა შექსპირისა. მოჩალოვი ჰამლეტის როლში“.

22 ი ვ ნ ი ს ი . ცენზურამ ნება დართო „მოსკოვსკი ნაბლოუდატელს“, ტ. XVI, აპრილი. ბელინსკის სტატია: „ლიტერატურული ქრონიკა“.

5 — 15 ი ვ ლ ი ს ი . ბელინსკი სტუმრად იყო პრიამუხინოში ბაკუნინთან („წერილები“, ტ. I, გვ. 258).

11 ი ვ ლ ი ს ი . ცენზურამ ნება დართო „მოსკოვსკი ნაბლოუდატელს“, ტ. XVII, მაისი, წიგნი 1. ბელინსკის სტატია: „ჰამლეტი, დანიის პრინცი“. თხზ. შექსპირისა. თარგმანი ნ. პოლევიოსა“.

10 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი . ბელინსკიმ მ. ა. ბაკუნინს შეატყობინა, რომ გაიცნო პ. ი. ჩადაევი („წერილები“, ტ. I, გვ. 255).

24 ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი . ცენზურამ ნება დართო „მოსკოვსკი ნაბლოუდატელს“, ტ. XVIII, ივლისი, წიგნი 1. ბელინსკის სტატია: „ნიკოლოზ გრეჩის თხზულებანი“.

1 ნ ო ე მ ბ ე რ ი . ბელინსკიმ დასტოვა კონსტანტინოვსკის სამიწათმზომლო ინსტიტუტის მასწავლებლის ადგილი („რუსსკაია სტარინა“, 1900, წიგნი V, გვ. 422).

16 მ ო ე მ ბ ე რ ი . ცენზურამ ნება დართო „მოსკოვსკი ნაბლოუდატელს“, ტ. XVIII, ივლისი, წიგნი 2. ბელინსკის სტატია: „დ. ი. ფონ-“

ვიზინის თხზულებათა სრული კრებული. „იერი მილოსლავსკი“, თხზ. მ. ზაგოსკინისა“.

1889. 1 ი ა ნ ვ ა რ ი. ცენზურამ ნება დართო „მოსკოვსკი ნაბლიუდატელს“, ტ. I, წიგნი 1. ბელისკის სტატია: „ყინულის სახლი“, „ბუსურმანი“. თხზ. მ. ი. ლაეჩნიკოვისა“.

27 ი ა ნ ვ ა რ ი. სენაზე მ. ს. შჩეპკინის საბენეფისოდ დაიდგა ბელისკის დრამა „ორმოცდაათი წლის ბაბუა“ (ა. ნ. პიპინი, „ბელისკი“, ტ. I, გვ. 251).

ი ვ ლ ის ი ს და ს ა წ ყ ი ს ი. ბელისკიმ ბედის ანაბარად მიატოვა „მოსკოვსკი ნაბლიუდატელი“ და ა. ა. კრავესკის შეუთანხმდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ და „რუსსკი ინვალიდს“ ლიტერატურულ დამატებაში თანამშრომლობის შესახებ („წერილები“, ტ. I, გვ. 319 — 320).

ი ვ ლ ის ი ს მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი — ა გ ვ ის ტ ო ს პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ი. ბელისკი ავად იყო და მძიმე მატერიალური გაჭირება განიცადა, რომლის დროსაც მას დაეხმარნენ კ. ს. აქსაკოვი და ი. ე. ველიკოპოლსკი („წერილები“, ტ. I, გვ. 328 და 331 — 332).

ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი. ბელისკის შეხვედრები ტ. ნ. გრანოვსკისთან, რომელიც გერმანიიდან დაბრუნდა („წერილები“, ტ. I, გვ. 337 — 338).

23 — 24 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი. ბელისკი საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში.

ნ ო ე მ ბ ე რ ი. ბელისკი პეტერბურგში ორჯერ შეხვდა გოგოლს.

14 დ ე კ ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. VII, № 12. ბელისკის სტატია: „ბოროდინოს ბრძოლის ნარკვევები“, თხზ. თ. გლენკასი.

დ ე კ ე მ ბ რ ი ს მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ ი. ბელისკი პეტერბურგში შეხვდა ა. ი. გერცენს (ა. ი. გერცენი, „თხზულებათა სრული კრებული“, მ. კ. ლემკეს რედაქციით, ტ. XIII, გვ. 245).

1840. 14 ი ა ნ ვ ა რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“. ტ. VIII, № 1. ბელისკის სტატიები: „მენცელი, გოეთეს კრიტიკოსი“. — „ვაი ქუუსიგან“, კომ. ა. ს. გრიბოედოვისა“. — „რუსული ლიტერატურის ნარკვევები“, თხზ. ნ. ა. პოლევოსა“.

და ა ხ ლ ო ე ბ ი თ 14 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. VIII, № 2. ბელისკის სტატია: „ა. მარლინსკის თხზულებათა სრული კრებული“.

14 მ ა რ ტ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. IX, № 3. ბელისკის სტატია: „საახალწლო საჩუქარი. პოფმანის ორი ზღაპარი. ბაბუა ირინის საბავშვო ზღაპრები“.

მ ა რ ტ ი — ა პ რ ი ლ ის პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ ი. ბელისკიმ იწახელა ლერმონტოვი ორდონანს-პაუზში. წერილში ე. პ. ბოტკინისადმი

კრიტიკოსი სწერდა, რომ ლერმონტოვმა მასზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა („წერილები“, ტ. II, გვ. 108).

შ ა ი ს ი — ი ვ ნ ი ს ი. ბელინსკი შეხვდა და შეუერთდა ა. ი. გერცენს (ა. ი. გერცენი, „თხზულებათა სრული კრებული“, მ. კ. ლემკეს რედაქციით, ტ. XIII, გვ. 246 — 247).

14 შ ა ი ს ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. X, № 5. ბელინსკის რეცენზია: „ივანე კრილოვის იგავ-არაკები“.

და ა ხ ლ ო ე ბ ი თ 14 ი ვ ნ ი ს ი ჯ ა 14 ი ვ ლ ი ს ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. X, № 6; ტ. XI, № 7. ბელინსკის სტატია: „ჩვენი დროის გმირი“, თხზ. მ. ლერმონტოვისა“.

4 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი. ვ. პ. ბოტკინისადმი წერილში ბელინსკი სწყევლიდა თავის დროებითს შერიგებას „საზიზღარ სინამდვილესთან“ („წერილები“, ტ. II, გვ. 163).

14 ნ ო ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XIII, № 11. ბელინსკის სტატია: „დენის დავიდოვის თხზულებანი ლექსად და პროზად“.

1841. 1 ი ა ნ ვ ა რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XIV, № 1. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურა 1840 წელს“.

და ა ხ ლ ო ე ბ ი თ 1 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XIV, № 2. ბელინსკის სტატია: „მ. ლერმონტოვის ლექსები“.

28 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XV, № 3. ბელინსკის სტატიები: „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად“. — „ივანე კოზლოვის ლექსთა კრებული“.

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ბელინსკი სწერდა, მაგრამ ვერ დაასრულა სტატია „ხელოვნების იდეა“.

1 მ ა რ ტ ი. ვ. პ. ბოტკინისადმი წერილში ბელინსკიმ გაილაშქრა პეგლის ფილოსოფიის „მედევების აბსოლუტურობის“ წინააღმდეგ („წერილები“, ტ. II, გვ. 212 — 213).

1 და 30 ა პ რ ი ლ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XV, № 4; ტ. XVI, № 5; ბელინსკის ორი სტატია ო. ი. გოლიცოვის, ბ. ბერგმანის და გ. კოშიხინის შრომებზე. მეორე სტატია ცენზურამ დაამახინჯა („წერილები“, ტ. II, გვ. 250).

შ ა ი ს ი — ს ე ქ ე ტ ე მ ბ ე რ ი. ბელინსკი რუსულ ენას ასწავლიდა კანტონისტებს, რომლებიც სამხატვრო სასწავლებლებთან ითვლებოდნენ („ისტორიკესკი ვესტნიკ“, 1911, ტ. X, გვ. 229 — 230).

28 ი ვ ნ ი ს ი. ბელინსკიმ ბოტკინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კრიტიკოსი სწერდა თავისი დიდი გატაცების შესახებ რობესპიეროზმისა და უტოპიური სოციალიზმის იდეებით („წერილები“, ტ. II, გვ. 246—249)

დაახლოებით 30 ივლისი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XVII, № 8. ბელინსკის სტატია: „რომაული ელუგიები“, თხზ. გოეთესი, თარგმანი სტრუგოვშჩიკოვისა“.

30 აგვისტო, 30 სექტემბერი (დაახლოებით), 31 ოქტომბერი და 1 დეკემბერი (დაახლოებით). ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XVIII, № 9 და 10; ტ. XIX, № 11 და 12. ბელინსკის ოთხი სტატია შრომებზე: „ძველი რუსული ლექსანი“, შეკრებილნი კირშა დანილოვის მიერ; „ძველი რუსული ლექსანი“, შეკრებილნი მ. სუხანოვის მიერ; „რუსი ხალხის თქმულებანი“, შეკრებილნი ი. სახაროვის მიერ, და „რუსული ხალხური ზღაპრები“.

დაახლოებით 19—20 დეკემბერი. ბელინსკი წავიდა მოსკოვს, საიდანაც დაბრუნდა 1842 წ. იანვარში („წერილები“, ტ. II, გვ. 274, 276 და 308).

31 დეკემბერი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XX, № 1. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურა 1841 წელს“. — სახალხო განათლების მინისტრმა უეაროვმა ჩასთვალა, რომ ბელინსკის ამ სტატიის ტონი „კარგი არ არის“ („წერილები“, ტ. II, გვ. 303).

ამ წელს ბელინსკიმ გაიყნო ნ. ა. ნეკრასოვი.

1842. 28 თებერვალი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXI, № 3. ბელინსკის სტატიები: „აპოლონ შაიკოვის ლექსები“. — „პედანტი. ლიტერატურული ტიპი“.

დაახლოებით 30 მარტი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXI, № 4. ბელინსკის სტატია ფრიდრიხ ლორენცის წიგნზე: „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“.

აპრილი. ბელინსკის წერილი ვ. პ. ბოტკინს. ბელინსკი ამტკიცებდა, რომ „ათასწლოვანი ღვთაებრივი სამეფო ქვეყნად დამკვიდრდება არა იდეალური და გულუბრყვილო ეირონდის ტკბილი და აღტაცებული ფრაზებით“, რომ სოციალური იდეალი განხორციელდება „რობესნიერებისა და სწინ-უიუსტების სიტყვისა და საქმის ორლესილი მახვილით“ („წერილები“, ტ. II, გვ. 305).

20 აპრილი. ბელინსკის წერილი ვ. პ. ბოტკინს. ბელინსკის იმედი ჰქონდა „მომავალ გაზაფხულისთვის“ გამოეცა წიგნი — „რუსული ლიტერატურის ისტორია და ქრესტომათია“ 3000 ეგზემპლარის რაოდენობით („წერილები“, ტ. II, გვ. 306).

30 აპრილი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXII, № 5. ბელინსკის სტატიები: „ა. პოლევაევის ლექსები“. — „კეისრები“, თხზ. ფ. დე-შამპანისა“.

30 ივნისი და დაახლოებით 30 ივლისი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXIII, № 7 და 8. ბელინსკის

სტატიები: „ჩიჩიკოვის თავგადასავალი ანუ შკვდარი სულეები“, პოემა გოგოლისა. — „რამდენიმე სიტყვა გოგოლის პოემაზე: ჩიჩიკოვის თავგადასავალი ანუ შკვდარი სულეები“ (კონსტანტინე აქსაკოვისა).

1 ა გ ვ ი ს ტ ო, და ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 ს ე ქ ე მ ბ ე რ ი და 31 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტენესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXIV, № 9 და 10; ტ. XXV, № 11. ბელინსკის სტატიები: „სიტყვა კრიტიკაზე“ ა. ნიკიტენკოსი. სტატია 1, 2 და 3. — „წიგნის ღუქანში გაგონილი ლიტერატურული საუბარი“. — „განმარტების განმარტება გოგოლის პოემა „შკვდარი სულეების“ გამო“.

და ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 ნ ო ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტენესტვენნიე ზაპისკის“. ტ. XXV, № 12. ბელინსკის სტატია: „ევგენი ბარატინსკის ლექსები“.

31 დ ე ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტენესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXVI, № 1. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურა 1842 წელს“. ბოტკინისადმი წერილში ბელინსკი ჩჩიოდა, რომ ცენზურამ ამ სტატიიდან „ამოგლიჯა მთელი ნაბეჭდი თაბახი — ყოველივე საუკეთესო“ („წერილები“, ტ. II, გვ. 331).

მ ა ი ს ი — დ ე ე მ ბ ე რ ი. პეტერბურგში თანდათან შეიქმნა წრე ბელინსკის მეთაურობით („წერილები“, ტ. III, გვ. 444—451. — კ. დ. კველინი, თხზულებანი, ტ. III, სვეტი 1085).

1843. და ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 ი ა ნ ვ ა რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტენესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXVI, № 2. ბელინსკის სტატია: „დერკავინის თხზულებანი“. სტატია 1.

ი ა ნ ვ ა რ ი — თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ბელინსკიმ გაიცნო ი. ს. ტურგენევი („წერილები“, ტ. II, გვ. 343, 357 და 360 — 361).

28 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტენესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXVII, № 3. ბელინსკის სტატია: „დერკავინის თხზულებანი“. სტატია მე-2. — ბელინსკის სიტყვით, ეს სტატია „საშინლად დაამახინჯა“ ცენზურამ („წერილები“, ტ. II, გვ. 357).

30 ა პ რ ი ლ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტენესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXVIII, № 5. ბელინსკის სტატიები: „პარაშა“, მოთხრობა ლექსად ტ. ლ-სი (ტურგენევისა). — „მალროსიის ისტორია“ ნიკოლოზ მარკევიჩისა“.

და ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 მ ა ი ს ი. ცენზურამ ნება დართო „ოტენესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXVIII, № 6. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“. სტატია 1-ლი.

ი ვ ნ ი ს ი — ა გ ვ ი ს ტ ო. ბელინსკი მოსკოვში ცხოვრობდა. ამავე პერიოდში იგი დადიოდა პრიამუხინოში ბაკუნინებთან და ინახულა: ა. ი. გერცენი პოკროვსკოეში.

31 ა გ ვ ი ს ტ ო. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“. ტ. XXX, № 9. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“. სტატია მე-2. ბელინსკის სიტყვით, ამ სტატიაში „აურზაური გამოიწვია“ („წერილები“, ტ. III, გვ. 12).

დაახლოებით 30 სექტემბერი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXX, № 10. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“. სტატია მე-3.

31 ოქტომბერი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXI, № 11. ბელინსკის სტატია: „ზენეიდა რვას თხზულებანი“.

12 ნოემბერი. ბელინსკიმ ცოლად შეირთო მ. ვ. ორლოვა.

დაახლოებით 30 ნოემბერი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXI, № 12. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“. სტატია მე-4.

31 დეკემბერი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“. ტ. XXXII, № 1. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურა 1843 წელს“.

1844. 1 და 8 იანვარი. ცენზურამ ნება დართო „ლიტერატურნია გაზეტა“ № 1 და 2. ბელინსკის ორი სტატია: „1843 წლის რუსული ლიტერატურის უმთავრესი მოვლენების მიმოხილვა“.

დაახლოებით 30 იანვარი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXII, № 2. ბელინსკის სტატია „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“ სტატია მე-5.

29 თებერვალი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXIII, № 3. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“. სტატია მე-6.

დაახლოებით 30 მარტი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXIII, № 4. ბელინსკის სტატია: „პარიზის საიდუმლოებანი“ ე. სიუსი“.

30 აპრილი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“. ტ. XXXIV, № 5. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“. სტატია მე-7.

30 აგვისტო. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXVI, № 9. ბელინსკის სტატია ს. სმარაგლოვის წიგნზე: „სახელმძღვანელო ახალი ისტორიის შემეცნებისათვის“.

დაახლოებით 30 სექტემბერი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXVI, № 10. ბელინსკის სტატია: „თავად ვ. თ. ოდოევსკის თხზულებანი“.

1 ოქტომბერი. ა. ვ. ნიკიტენკომ თავის „დღიურში“ აღნიშნა, რომ სახალხო განათლების მინისტრი ს. ს. უვაროვი „საშინლად ამხედრებულა“ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ წინააღმდეგ, რომლის მთავარი თანამშრომელი ბელინსკი იყო, ამ ეურნალის „ცუდი მიმართულების გამო —

სოციალიზმი. კომუნიზმი და ა. შ." (ა. ვ. ნიკიტენკო, „ჩანაწერები და დღიურები“, ტ. I, სპბ. 1905, გვ. 355).

2 ნ ო ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ფიზიოლოგია პეტერბურგას“, ნ. ა. ნეკრასოვის რედაქციით, ნაწ. II. ბელინსკის სტატიები: შესავალი („ფიზიოლოგია პეტერბურგა“-სი). — „პეტერბურგი და მოსკოვი“.

და ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 ნ ო ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXVII, № 12. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“, სტატია მე-8.

31 დ ე კ ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXVIII, № 1. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურა 1844 წელს“.

1845. 2 ი ა ნ ვ ა რ ი. ცენზურამ ნება დართო „ფიზიოლოგია პეტერბურგას“, ნ. ა. ნეკრასოვის რედაქციით, ნაწილი II. ბელინსკის სტატიები: „ალექსანდრეს თეატრი“. — „პეტერბურგის ლიტერატურა“.

26 ი ა ნ ვ ა რ ი. ბელინსკომ ა. ი. გერცენს გაუგზავნა წერილი, რომლითაც ატყობინებს, რომ წაიკითხა „პარიზის იარბიუნერი“ (მასში მოთავსებული იყო შარქისისა და ენგელსის სტატიები). სიტყვებში „ღმერთი და რელიგია“ მან დაინახა „სიბნელე, წყვილი, ბოროტლები და მათრახი“ და სწუხდა, რომ არ შეიძლებოდა ამ ქეშმარიტების „პოპულარიზება და გამოქვეყნება“ („წერილები“, ტ. III, გვ. 87).

31 ი ა ნ ვ ა რ ი (დაახლოებით). ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXVIII, № 2. ბელინსკის სტატია: „ივანე ანდრიას-ძე კრილოვი“.

28 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XXXIX, № 3. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“. სტატია მე-9.

და ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 მ ა ი ს ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XL, № 6. ბელინსკის სტატია: „ტარანტასი“. თხზ. გრაფ. ვ. ა. სოლოგუბისა“.

13 ი ე ნ ი ს ი. ბელინსკის შეეძინა ქალიშვილი ოლღა.

30 ი ე ნ ი ს ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“. ტ. XLI, № 7. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურის ისტორიის ცდა“, თხზ. ა. ნიკიტენკოსი“.

31 ა გ ვ ი ს ტ ო. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“. ტ. XLII, № 9. ბელინსკის სტატია: „ასი რუსი ლიტერატორი“.

31 ო კ ტ ო მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XLIII, № 11. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“, სტატია მე-10.

და ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 30 ნ ო ე მ ბ ე რ ი. ცენზურამ ნება დართო „ოტე-

ჩესტვენნიე ზაპისკის", ტ. XLIII, № 12. ბელინსკის სტატია: „რუსული გრამატიკის გამარტივება“, თხზ. კ. მ. კოდინსკისა“.

31 დეკემბერი. ცენზურამ ნება ღართო „ოტჩეტსტვენნიე ზაპისკის“, ტ. XLIV, № 1. ბელინსკის სტატია: „რუსული ლიტერატურა 1845 წელს“.

1846. 2 იანვარი. ბელინსკის წერილი ა. ი. გერცენს. კრიტიკოსმა „მტკიცედ“ გადასწყვიტა დასტოვოს „ოტჩეტსტვენნიე ზაპისკი“. „უფრანლის საჩქარო სამუშაო, — სწერდა იგი, — ისე მწუწნის სასიცოცხლო ძალებს, როგორც მტარვალი პისხლს... იგი მიჩლუნგებს გონებას, მირყევს ჯანმრთელობას, მიფუქებს ხასიათს“. კრაევსკი — „მტარვალა, რომელიც მუდამ მზად არის გამოსწოვონ ადამიანს სისხლი და სული, შემდეგ კი ფანჯრიდან გადააგდოს, როგორც გაწურული ლიმონი“. ბელინსკის განზრახული ჰქონდა საიდუმლოდ გამოეცა „სქელტანიანი, დიდი ალმანახი“ და დაემთავრებინა „რუსული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ნაწილი. იგი ა. ი. გერცენს სთხოვდა ალმანახისათვის დაეთმო მოთხრობა „ეის არის დამნაშავეს?“ მეორე ნაწილი („წერილები“, ტ. III, გვ. 88 — 92).

12 იანვარი. ცენზურამ ნება ღართო ნ. ა. ნეკრასოვის მიერ გამოცემულ „პეტერბურგსკი სბორნიკს“. ბელინსკის სტატია: „აზრები და შენიშვნები რუსულ ლიტერატურაზე“.

14 იანვარი. ბელინსკის წერილი ა. ი. გერცენს. კრიტიკოსი სჩიოდა: „აჰ, ძმებო, ეუღადაა ჩემი ჯანმრთელობა—წახლდა ჩემი საქმე!.. შემზარავია ცოლისა და გოგონას დატოვება ულუკმაპუროდ... სკამზე ისე მოპრუნება არ ძალმიძს, რომ დაუძღერებისაგან სული არ შემიწუხდეს...“ კრაევსკი „ადამიანი კი არ არის, არამედ სატანაა“ („წერილები“, ტ. III, გვ. 93 და 95).

5 თებერვალს. ცენზურამ ნება ღართო წიგნს „კოლცოვის ლექსები“, რომელიც გამოსცეს ნ. ნეკრასოვმა და ნ. პრჟუკოვიჩმა. სპბ. 1846. „ლექსები“ დასაბეჭდად მოამზადა ბელინსკიმ. მათ წამძღვარებული აქვს კრიტიკოსის სტატია: „კოლცოვის ცხოვრებისა და თხზულებათა შესახებ“.

7 თებერვალს. ბელინსკიმ ა. ა. კრაევსკის გაუგზავნა წერილი. რომლითაც შეატყობინა, რომ უარს ამბობს „ოტჩეტსტვენნიე ზაპისკიში“ თანამშრომლობაზე („წერილები“, ტ. III, გვ. 100).

20 მარტი. ბელინსკის წერილი ა. ი. გერცენს. კრიტიკოსი მოემზადა სამხრეთში წასასვლელად მ. ს. შჩეპკინთან ერთად. მასალები მისი აღმნახისათვის, რომელსაც მან „ლევიაფანი“ უწოდა, თითქმის შეკრებილი იყო. ალმანახში მონაწილეობა მიიღეს გერცენმა, ნეკრასოვმა, პანაევმა. კუდრიავეცემ, დოსტოევსკიმ, სოლოვიოვმა, შელგუნოვმა, ბოტკინმა, გონჩაროვმა და სხვებმა. ალმანახისათვის გათვალისწინებული მასალები ბელინსკიმ ოქტომბერში ნეკრასოვს გადასცა „სოვრემენიისათვის“.

დაახლოებით 30 მარტი. ცენზურამ ნება დართო „ოტჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XLVI, № 4. ბელინსკის სტატიები: „ნიკოლოზ ალექსანძე პოლევი“. — „ფადეი ბულგარინის მოგონებანი“ (სტატია 1-ლი), რომელიც ცენზურამ თითქმის მთლიანად აკრძალა, და მისი მხოლოდ მცირედენი ნაწილი, ნაწყვეტის სახით, დაიბეჭდა „ოტჩესტვენნიე ზაპისკის“ „ნარევი“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII, გვ. 548).

26 აპრილი. ბელინსკი და ნ. ა. ნეკრასოვი მოსკოვს წავიდნენ („წერილები“, ტ. III, გვ. 111).

30 აპრილი. ცენზურამ ნება დართო „ოტჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XLVI, № 5. ბელინსკის სტატია: „ფადეი ბულგარინის მოგონებანი“ (სტატია მე-2). — ამ სტატიას ქიაწერდნენ და ზოგიერთი ლიტერატურის-შკოლნე დღემდეც კი შეცდომით მიაწერს ნ. ა. ნეკრასოვს (იხ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ვ. ს. სპირიდონოვის რედაქციით, ტ. XIII, შენიშვნა 670 და 674).

16 მაისი. ბელინსკი და მ. ს. შჩეპკინი მოსკოვიდან სამხრეთს წავიდნენ („წერილები“, ტ. III, გვ. 120).

22 ივნისი — 12 ივლისი. ბელინსკი ცხოვრობდა ოდესაში. მისი ჯანმრთელობა „სულ უფრო და უფრო უმჯობესდებოდა“ („წერილები“, ტ. III, გვ. 132 — 143).

4 ივლისი. ბელინსკის წერილი ა. ი. გერცენს. კრიტიკოსი ფიქრობდა დაწერა სტატია თავისი მგზავრობის შთაბეჭდილებებზე („წერილები“, ტ. III, გვ. 136 — 137).

დაახლოებით 30 სექტემბერი. ცენზურამ ნება დართო „ოტჩესტვენნიე ზაპისკის“, ტ. XLVIII, № 10. ბელინსკის სტატია: „თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა“, სტატია მე-11.

შუა ოქტომბერი. ბელინსკი სამხრეთიდან პეტერბურგს დაბრუნდა.

დაახლოებით შუა ოქტომბერი. ბელინსკიმ ი. ი. პანაევს გაუგზავნა წერილი, რომლითაც სთხოვდა დაუყოვნებლივ დაბრუნებულყო პეტერბურგს, პლეტნევთან წასულიყო და იჯარით აეღო „სოვრემენიკი“ („წერილები“, ტ. III, გვ. 160).

30 დეკემბერი. ცენზურამ ნება დართო „სოვრემენიკის“, ტ. I, № 1. ბელინსკის სტატია: „1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“.

1847. დაახლოებით 30 იანვარი. ცენზურამ ნება დართო „სოვრემენიკის“, ტ. I, № 2. ბელინსკის სტატია: „ნ. გოგოლის „ჩრეული ადგილები მეგობრებთან მიწერ-მოწერადან“. ვ. პ. ბოტკინისადმი წერილში ბელინსკი სჩიოდა ცენზურის მიერ სტატიის დამახინჯებაზე: „ნიკიტენკომ იმნაირად შეასწორა ერთი ადგილი ჩემს სტატიაში გოგოლის შესახებ,

რომ დღემდე ისე დავდივარ, როგორც კაცი, რომელსაც საზოგადოებაში სილა გააწნეს" („წერილები“, ტ. III, გვ. 165).

17 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ბელინსკიმ ვ. პ. ბოტკინს გაუგზავნა წერილი. რომელშიაც შოცემულია ო. კონტის ფილოსოფიის მკვეთრი კრიტიკა („წერილები“, ტ. III, გვ. 173 — 176).

28 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ბელინსკის წერილი ვ. პ. ბოტკინს. გოგოლის წიგნისადმი მიძღვნილ თავის სტატიაზე და თვით გოგოლზე კრიტიკოსი სწერდა: „სტატია გოგოლის საძაგელ წიგნზე შეიძლებოდა შესანიშნავად კარგად გამოსულიყო, მე რომ საშუალება მქონოდა თვალდახუჭულად გამომეშალა მასში ჩემი აღშფოთება და გააფთრება.. გოგოლი სულაც არ არის კ. ს. აქსაკოვი. ეს არის ტალიერანი, კარდინალი ფეშო, რომელიც მთელ თავის სიციცხლეში ღმერთს ატყუებდა, სიკვდილის დროს კი სატანა მოაღორა“ („წერილები“, ტ. III, გვ. 185).

8 მ ა რ ტ ი. ბელინსკიმ ვ. პ. ბოტკინს გაუგზავნა წერილი. რომელშიც იგი აღიარებს: „მე რუსული ბუნების ადამიანი ვარ... არ მინდა ვიყო ფრანგიც კი, თუმცა ეს. ერი მიყვარს და მას სხვებზე მეტ პატივს ვსცემ. რუსული პიროვნება ჯერჯერობით ემბრიონია, მაგრამ რამდენი სილამე და ძალაა ამ ემბრიონის ნატურაში, რაოდენ შემხუთველი და საზარელია მისთვის ყოველგვარი შეზღუდულობა და სივიწროვე!“ („წერილები“, ტ. III, გვ. 196).

3 ა პ რ ი ლ ი. ვ. პ. ბოტკინი ა. ა. კრაევსკის ატყობინებდა: „ბელინსკი წლებზე მიდის. მოხარული ვარ, რომ მას ორი ათასამდე მანეთი შევეუბროვე ამ მგზავრობისათვის. იგი ნახევარი წლით მაინც უნდა მოეწყვიტოთ ლიტერატურასაც და ცოლსაც: იგი სულთ დაეცა, სხეულზე კი ლაპარაკიც ზედმეტია...“ („ა. ა. კრაევსკის... ქაღალდები“, სპბ. 1893. გვ. 138 — 139).

12 ა პ რ ი ლ ი. ბელინსკიმ ი. ს. ტურგენევს შეატყობინა თავისი ვაჟის სიკვდილი და დასძინა: „ეს ხაშინლად მტანჯავს. მე კი არ ვცოცხლობ. არამედ ნელ-ნელა ვკვდები“ („წერილები“, ტ. III, გვ. 199 — 200).

5 მ ა ი ს ი. ბელინსკი გემით გაემგზავრა საზღვარგარეთ („წერილები“, ტ. III, გვ. 208 და 211).

9 (21) მ ა ი ს ი. ბელინსკი ჩავიდა შტეტინში. შემდეგ კი ბერლინში, სადაც მას შეხვდა ი. ს. ტურგენევი („წერილები“, ტ. III, გვ. 211).

22 მ ა ი ს ი (3 ი ვ ნ ი ს ი). ბელინსკი და ი. ს. ტურგენევი ჩავიდნენ ზალცბრუნს („წერილები“, ტ. III, გვ. 211).

23 მ ა ი ს ი (4 ი ვ ნ ი ს ი). ბელინსკი ექიმთან იყო და დაიწყო თავისი მკურნალობის კურსი („წერილები“, ტ. III, გვ. 211).

29 მ ა ი ს ი (10 ი ვ ნ ი ს ი). ზალცბრუნს ჩავიდა პ. ვ. ანენკოვი, რომელმაც შეხვედრისას ძლივს იცნო ბელინსკი: მის წინ იდგა „გრძელსერთუიანი და ხელში მსხვილჯოხიანი... მოხუცი“, რომლის ორგანიზმი

სანახევრად დაშლილი იყო“ (პ. ვ. ანენკოვი, „ლიტერატურული მოგონებანი“, გვ. 332).

დაახლოებით 1 (13) ივლისი. ბელისკიმ ზალცბრუნში ნ. ვ. გოგოლისაგან მიიღო წერილი, რომელიც დაწერილი. იყო „მეგობრებთან მიწერ-მოწერის რჩეულ ადგილებზე“ კრიტიკოსის გამოხმაურების გამო. წერილი რომ წაიკითხა, ბელისკი „აენთო და სთქვა: „ა. მას არ ესმის, თუ რატომ არიან გაჯავრებული მასზე ადამიანები, — ეს უნდა ავუხსნათ მას, — მე მას ვუპასუხებ“ (პ. ვ. ანენკოვი, „ლიტერატურული მოგონებანი“, გვ. 355).

3 (15) ივლისი. ბელისკიმ დაამთავრა განთქმული წერილი ნ. ვ. გოგოლისადმი. ამ წერილს ვ. ი. ლენინი სთვლიდა „არაკენჭურული დემოკრატიული ბექდვითი სიტყვის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად“ (ვ. ი. ლენინის თხზულებანი, ტ. XVII, გვ. 341).

3 (15) ივლისი. ბელისკი პ. ვ. ანენკოვთან ერთად ზალცბრუნიდან წავიდა დრეზდენა („წერილები“, ტ. III, გვ. 240).

7 (19) ივლისი. ბელისკიმ ვ. პ. ბოტკინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოცემულია კაპიტალისტური ექსპლოატაციის შედეგების მკაფიო კრიტიკა („წერილები“, ტ. III, გვ. 243 — 246).

10 (22) და 16 (28) ივლისი. დრეზდენიდან წასვლის შემდეგ ბელისკიმ და პ. ვ. ანენკოვმა შოიარეს ეიზენახი, მაინის ფრანკფურტი, მაინცი, ეკლნი და ბრიუსელი („წერილები“, ტ. III, გვ. 247 — 248).

17 (29) ივლისი — 10 (22) სექტემბერი. ბელისკი ცხოვრობდა პარიზის გარეუბანში და თვით პარიზში, სადაც განაგრძობდა მკურნალობას. აქ იგი მუდამ ტრიალებდა თავისი მეგობრებისა და ნაცნობების წრეში. ესენი იყვნენ: ა. ი. გერცენი და მისი ცოლი, მ. ა. ბაკუნინი.

ს. ტურგენევი, ნ. ვ. ბოტკინი, ნ. ე. საზონოვი, m-me ვიარდო და სხვ. ბელისკი იყო მოწმე და მონაწილე მეგობრების წრეში მიმდინარე ცხარე კამათისა საფრანგეთის რევოლუციასზე, მის მოღვაწეებსა და საფრანგეთის ბურჟუაზიასზე. ა. ი. გერცენის „წერილები Avenue Marigny-დან“ ბელისკის თვალწინ იწერებოდა. ბელისკის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა („წერილები“, ტ. III, გვ. 248 — 260 და 323 — 332).

დაახლოებით 24 სექტემბერი. ბელისკი საზღვარგარეთიდან პეტერბურგს დაბრუნდა („წერილები“, ტ. III, გვ. 291).

31 ოქტომბერი. ცენზურამ ნება დართო „სოცრემენიკს“, ტ. VI. № 11. ბელისკის სტატია: „პასუხი მოსკვიტიანინს“. — ბელისკის სიტყვით, ეს სტატია „საშინლად დაამახინჯა ცენზურამ“ („წერილები“, ტ. III, გვ. 297).

4—8 ნოემბერი. ბელისკის წერილი ვ. პ. ბოტკინს. კრიტიკოსი აღშფოთებული იყო მოსკოველ მეგობრებზე, რომლებიც თანამშრომ-

ლობდნენ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ და ამით ზიანს აყენებდნენ „სოვრემენიკს“ („წერილები“, ტ. III, გვ. 280).

20 ნოემბერი. ბელინსკიმ პ. ა. ანენკოვს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კრიტიკოსი ატუობინებდა: ახალ ბინაზე გადასვლის დროს გაცივდი და ფილტვების წყლული გამეხსნაო („წერილები“, ტ. III, გვ. 292).

22 ნოემბერი. ბელინსკიმ კ. დ. კაველინს გაუგზავნა წერილი. რომელშიც ბესარიონ გრიგოლისძე სწერდა: „...მე მიყვარს რუსი ადამიანი და მწამს რუსეთის დიადი მომავალი... ჩემთვის პეტრე — ჩემი ფილოსოფიაა, ჩემი რელიგიაა, ჩემი შთაგონებაა ყველაფერში, რაც რუსეთს შეეხება“ („წერილები“, ტ. III, გვ. 299 — 300).

31 დეკემბერი. ცენზურამ ნება დართო „სოვრემენიკს“, ტ. VII. № 1. ბელინსკის სტატია: „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“. სტატია 1-ლი.

1848. 15 თებერვალი. ბელინსკის წერილი პ. ვ. ანენკოვს. კრიტიკოსი სწერდა: „მე, ძმობილო, უკვე შექვესე კვირაა ავად ვარ... მაწვალებს მშრალი და ნერვიული ხველა, სხეულის ზედაპირზე ერეოლა მივლას. ხოლო თავსა და სახეზე ცეცხლი შეკიდება, საშინლად დავუძღურდი — ოთანში ძლივს დავდივარ. „სოვრემენიკის“ № 2 ისე გამოვიდა, რომ შიგ ჩემი სტატია არ არის, ახლა თავს ძალას ვატან და ვკარნახობ ამ სტატიას მე-3 ნომრისთვის... ახლა ვკითხულობ ვოლტერის რომანებს და ყოველ წამს გონებით სახეში ვაფურთხებ რეგვენს, ვიკსა და პირეტყეს — ლუი ბლანს... რა კეთილშობილი პიროვნებაა ვოლტერი! რა მხურვალე სიმპათიაა ყოველივე ადამიანურისადმი, გონივრულისადმი, უბრალო ხალხის უბედურებისადმი!.. ახლა ნათლად ჩანს, რომ სამოქალაქო განვითარების შინაგანი პროცესი რუსეთში დაიწყება არა უადრეს, ვიდრე იმ წუთიდან, როცა რუსეთის თავადაზნაურობა ბურჟუაზიად იქცევა“ („წერილები“, ტ. III, გვ. 335 და 338 — 339).

შუათებერვალი. შესამე განყოფილებამ მიიღო სამი ანონიმური დასმენა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკისა“ და „სოვრემენიკის“ შესახებ. პირველი დასმენა უმთავრესად ბელინსკის შეუხებოდა. მის შესახებ ნათქვამი იყო: „ბელინსკი ყოველთვის ყურადღებას იპყრობდა ჩვენს ადრინდელ მწერლებზე მკაცრი მსჯელობით... უქვევლია, რომ ბელინსკი და მისი მიმდევრები ამგვარად სწერენ მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი სტატიები უფრო საინტერესო გახადონ, და მათ სრულებით მხედველობაში არა აქვთ კომუნიზმი, მაგრამ მათ თხზულებებში არის რაღაც კომუნიზმის მსგავსი, ხოლო ახალგაზრდა თაობა შეიძლება მათგან სავსებით კომუნისტური გახდეს“ (მ. ლემკე, „ნიკოლოზის ჟანდარმები...“, გვ. 174).

20 თებერვალი. ჟანდარმერიის მოხელის მ. მ. პოპოვის წერილი ბელინსკისადმი. პოპოვი III განყოფილების უფროსის დუბელტის ჯავალებით სწერს: „ლეონტი ვასილისძე დუბელტს სურს თქვენი გაცნობა და

გახოვთ თქვენ. მოწყალეო ხელმწიფევე, ბესარიონ გრიგოლისძევე, მობრძანდეთ მასთან დილით, თქვენთვის თავისუფალ დღეს 12-დან 2 საათამდე; III განყოფილებაში“. ავადყოფ ბელინსკის ამ განკარგულების შესრულება არ შეეძლო და ამის შესახებ მ. მ. პოპოვის მისწერა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მისი პასუხი ვერ მიიღო (მ. ლემკე, „ნიკოლოზის ქანდაკებები...“, გვ. 188).

23 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. „ყოვლად უქვეშევრდომილეს ბარათში“ ქანდარბთა შეფი გრაფი ა. თ. ორლოვი ცენზორებს ავალბდა, რომ ბელინსკის სტატიები, ვიღრე ისინი დაიბეჭდებოდა, „უსასტიკესად განეჩხრიკათ“ (მ. ლემკე, „ნიკოლოზის ქანდაკებები...“, გვ. 177).

29 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი. ცენზურამ ნება დართო „სოვრემენნიკს“, ტ. VIII, № 3. ბელინსკის სტატია: „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“. სტატია მე-2.

შ უ ა მ ა რ ტ ი. III განყოფილებაში მიიტანეს ანონიმური წერილი, რომელშიც იყო „აღმაშფოთებელი წინასწარმეტყველება რუსეთის მომავლის შესახებ“. ლ. ვ. ლუბელტმა გადასწყვიტა უწინარეს ყოვლისა მ. მ. პოპოვის საშუალებით მიეღო ბელინსკისა და ნ. ა. ნეკრასოვის ავტოგრაფები, რათა ისინი შეედარებინა ანონიმური წერილის ხელწერასთან (მ. ლემკე, „ნიკოლოზის ქანდაკებები...“, გვ. 188).

27 მ ა რ ტ ი. ბელინსკის წერილი მ. მ. პოპოვის კრიტიკოსი თავის ავადყოფობაზე მიუთითებდა და სთხოვდა „რამდენიმე ხნით“ გადაედო ლ. ვ. ლუბელტთან შეხვედრა („წერილები“, ტ. III, გვ. 340 — 341). მ. მ. პოპოვმა შეასრულა თავისი უფროსის დავალება: ბელინსკის ავტოგრაფი მის ხელთ იყო.

26 მ ა ი ს ი (7 ი ე ნ ი ს ი). დილის ექვს საათზე ბელინსკი გარდაიცვალა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

„ლიტერატურული ოცნებანი“

¹ გვ. 3. „ლიტერატურული ოცნებანი“ პირველად. — ონ-ინსკის ხელმოწერით, გამოქვეყნდა ყოველკვირეულ გაზეთ „მოლვის“ 1834 წლის შემდეგ ათ ნომერში:

№ 38, გვ. 173 — 176 (ცენზურამ ნება დართო 21/IX);

№ 39, გვ. 190 — 194 (ცენზურამ ნება დართო 28/IX);

№ 41, გვ. 224 — 236 (ცენზურამ ნება დართო 12/X);

№ 42, გვ. 248 — 256 (ცენზურამ ნება დართო 20/X);

№ 45, გვ. 295 — 302 (ცენზურამ ნება დართო 10/XI);

№ 46, გვ. 308 — 318 (ცენზურამ ნება დართო 16/XI);

№ 49, გვ. 360 — 377 (ცენზურამ ნება დართო 7/XII);

№ 50, გვ. 387 — 402 (ცენზურამ ნება დართო 14/XII);

№ 51, გვ. 413 — 428 (ცენზურამ ნება დართო 21/XII);

№ 52, გვ. 438 — 462 (ცენზურამ ნება დართო 29/XII).

ამ გამოცემაში სტატია იბეჭდება „მოლვის“ ტექსტის მიხედვით. სახელთა თითქმის ყველა ხაზგასმა, რითაც აკრელებულია სტატიის საკურნალო ტექსტი და რაც ბელინსკის აშკარად არ ეკუთვნის, მოვხსენით.

² გვ. 3. თარგმანი: „ო, დალოცვილი ძველი დრო“.

³ გვ. 4. ციტატი აღებულია ა. პოლეჟაევის ლექსიდან „დაისი“.

⁴ გვ. 4. „მოლვის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა პუშკინის „ანელოს“ ურთიერთ საწინააღმდეგო შეფასებები. უცნობი კრიტიკოსი სწერდა, რომ პუშკინის პიესა „აღსაყვია ბუნებრივობამდე მიყვანილი ხელოვნებით. კვებით, რომელიც იფარება საკვირველ სიმწიფეში, და, ამას გარდა, განუყრელად განიჩქევა პოეტის სიმწიფის კუშმარტი ნიშნით, — იმ სიღინჯით, რასაც პირველხარისხოვან მწერლებს შემოქმედებაში ვწვდებით“ („მოლეა“, 1834, № 22, გვ. 338). „ანელოს“ ამ მაღალი შეფასების წინააღმდეგ გამოვიდა „სიეცევის ბრამის მცხოვრები“, რომელიც იმავე „მოლვის“ ფურცლებზე სწერდა: „თქვენმა რეცენზენტმა „ანელოზე“ მსჯელობაში... მეტისმეტად აშკარა მიყვარება გამოიჩინა... ჩემი გულწრფელი რწმენით, „ანელო“ პუშკინის ყველაზე ცუდი ნაწარმოებია. მის

ქვეშ რომ პუშკინის სახელი არ იყოს მოწერილი, მე... მას ჩავთვლიდი ძველ ნაწარმოებად, რომელიც გასული საუკუნის რომელიმე მეორეხარისხოვანი სანიმუშო მწერალთაგანის ახლად ნაპოვნი პორტფელიდან გამოუთრევიათ“ („მოლვა“, 1834, № 24, გვ. 37).

⁵ გვ. 5. თარგმანი: „ღმერთები დაეცნენ, ტახტები დაცალიერდა“.

⁶ გვ. 5. ამ „არისტარხთაგან“ მთავარი იყო ნ. ა. პოლევოი.

⁷ გვ. 5. მთავარი იმ „დაუცხრომელი პეროლდებისაგან“, რომლებიც ნესტორ კუკოლნიკზე გაპკიოდნენ, იყო ო. ი. სენკოვსკი. იგი კუკოლნიკზე სწერდა: „ჩვენს შორის იშვა არაჩვეულებრივი გენია — ახალგაზრდა კუკოლნიკი“. ეს არის „ჩვენი ქაბუჯი გოეთე... მე იმდენად კადნიერი ვარ, რომ თვით შექსპირზე, ჟორნელზე, რასინზე, შილერზე, ბაირონზე, გოეთეზე, პუშკინზე ვმსჯელობ ჩემი საკუთარი შთაბეჭდილებების და არა მათი სახელის მიხედვით... ჩემთვის არ არსებობს ნიმუშები სიტყვიერებაში: ნიმუშია ყოველივე ის, რაც ჩინებულია, და მე ისევე ხმაშალა გავიძახი: „დიდი კუკოლნიკი!“ მისი ტასოს მოჩვენებებსა და ლუკრეციას სიკვდილის წინაშე, როგორც ბაირონის ქმნილებათა მრავალი ადგილის წინაშე წამოვიძახებ ხოლმე: „დიდი ბაირონი!“ (სენკოვსკის თხზულებათა კრებული, ტ. VIII, სპბ. 1859, გვ. 16, 18 და 24—25). ნესტორ კუკოლნიკი, როგორც პატრიოტული მწერალი, ოცდაათიან წლებში ძალიან პოპულარული იყო. მისი ქება შეიძლებოდა, ძაგება კი საშიში იყო. 1834 წელს „მოსკოვსკი ტელეგრაფის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა უარყოფითი შეფასება კუკოლნიკის დრამისა — „უზენაესის ხელმა იხსნა მამული“. ამას სავალალო შედეგები მოჰყვა: ჟურნალის გამომცემელი ნ. ა. პოლევოი დააპატიმრეს და ჟანდარმის თანხლებით გაგზავნეს მოსკოვიდან პეტერბურგს, III განყოფილებაში, მისი ჟურნალი კი დახურეს.

⁸ გვ. 5. რა თქმა უნდა, ბელინსკიმ დაცინებით უწოდა ასე „რუსისკი ინვალიდის“ ლიტერატურულ დამატებებს“, რომელიც 1831 წლიდან გამოდიოდა ა. თ. ვოიეკოვის რედაქციით. ეს გაზეთი გამოცოცხლდა 1837 წლიდან, როცა ის ა. ა. კრაევსკის ხელში გადავიდა. 1839 წლის აგვისტოდან ამ გაზეთში გულმოდგინე თანამშრომლობა დაიწყო ბელინსკიმ. 1840 წლის დამლევიდან ამ გაზეთმა იწყო გამოსვლა „ლიტერატურაშია გაზეტას“ სახელწოდებით.

⁹ გვ. 6. თარგმანი: „არავითარი შებრალება!“ პიუგო, „მარიონ დე ლორში“.

¹⁰ გვ. 6. ის აზრი, რომ „ჩვენ არა გვაქვს ლიტერატურა“, ახალი არ იყო. ამის შესახებ ბელინსკიმდე ათი წლით ადრე ლაპარაკობდა ა. ა. მარლინსკი, ხოლო ა. ა. მარლინსკიზე რამდენიმე წლით უფრო გვიან — დ. ვ. ვენევიტინოვი, 1830 წელს — ი. ვ. კირეევსკი, 1831 წელს — ნ. ი. ნადეჟდინი და 1832 წელს — ნ. ა. პოლევოი (შდრ. ბ. გ. ბელინსკის

თხზულებათა სრული კრებული, ს. ვენგეროვის რედაქციით, ტ. I, გვ. 414 — 416).

¹¹ გვ. 7. მოიარებით არის ნათქვამი ო. ი. სენკოვსკიზე, რომელიც ყველაზე ხშირად ბარონ ბრამბუსის ფსევდონიმით გამოდიოდა.

¹² გვ. 7. მხედველობაში იყო მ. ბერასკოვის ყველაზე ცნობილი პოემები: „როსსიდა“, რომელშიც შექმებული იყო ყაზანის აღება ივანე მრისხანის მიერ, და „აღორძინებული ვლადიმირი“.

¹³ გვ. 8. სიტყვები „ჩვენი სტუმართმოყვარე სამშობლო“ შეიცავდა ნართაულ ნათქვამს ფ. ბულგარინის პოლონურ წარმოშობაზე, მის მოლაღატურ ლაშქრობაზე რუსების წინააღმდეგ ნაპოლეონის დროშის ქვეშ, შემდეგ კი რუსეთის ქვეშევრდომობის მეორედ მიღებაზე. ამგვარი გესლიანი ნართაული თქმები ბულგარინის მისამართით ბელინსკის ნაწარმოებებში ძალიან ხშირია. განსაკუთრებით გესლიანად და ნათლად დახატა ბელინსკიმ ამ მხრივ ბულგარინი 1835 წელს „საეურნალო შენიშვნებში“: „არა, მოწყალეო ხელმწიფევე. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ყოველგვარი დღალატი საზიზღარი, ფლიდური, არაადამიანური საქმეა; მე ღრმად შემძულდებოდა ადამიანი, რომელიც. მაგალითად. რუსების მიმართ გაბოროტების გამო. ჯერ ფრანგული არწივის ფრთებს შეეფარებოდა, შემდეგ კი ისევე რუსების მხარეზე გადავიდოდა... არა, მოწყალეო ხელმწიფევე, კურთხეულ რუსეთში არ ყოფილან, არ არიან და არ იქნებიან რენეგატები, ე. ი. ამგვარი გარეწარნი, ნაწანწალები, გაიძვერები, ეს გაყრეკილები და პატრიოტული გამცემლები, რომლებიც ორპირული ფიცით ორ მიზანში მოარტყამდნენ, თავის სამშობლოს არამზადისაგან იხსნიდნენ და თავისი ძმობით რომელამე სახელმწიფოს ჩიკქს მოსცებდნენ...“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. II, გვ. 305 — 306, შენიშვნა 328).

¹⁴ გვ. 8. კვლავ ქარაგმულად ნათქვამია ა. ი. სენკოვსკიზე, რომელიც ნ. კუკოლნიკს „ჩვენს კაბუჯ გოეთეს“ უწოდებდა (იხ. ზემოთ, შენიშვნა 7).

¹⁵ გვ. 8. 1834 წლამდე, როდესაც „ლიტერატურული ოცნებანი“ გამოქვეყნდა, ნ. ი. გრეჩმა გამოუშვა რუსული გრამატიკის არა სამი („სამმაგი“). არამედ ხუთი წიგნი: „რუსული გრამატიკის კორექტურული ფურცლები“ (პ. 1823), „ვრცელი რუსული გრამატიკა“ (პ. 1827), რომლისთვისაც იგი მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს; „პრაქტიკული რუსული გრამატიკა“ (პ. 1827), „რუსული გრამატიკის დაწყებითი წესები“ (პ. 1828) და „რუსული გრამატიკის პრაქტიკული გაკვეთილები“ (პ. 1832).

¹⁶ გვ. 8. „სქელტანიან ფანტასტიკურ წიგნად“ იგულისხმებოდა „ბარონ ბრამბუსის ფანტასტიკური მოგზაურობანი“, რომელშიც გაჭირდულ 53. ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი

ლო იყო ძრავალი მსოფლიო მეცნიერი და ფილოსოფოსი და, სხვათა შორის, ფრანგი ევგიეტოლოგი შამპოლიონი და ფრანგი ნატურალისტი კაუეიე. ამ უხეში გაძოსვლის წინააღმდეგ მაშინვე გაილაშქრა ვ. თ. ოდოევსკამ სტატიაში „განათლებისადმი მტრობის შესახებ“, რომელშიაც ვკითხულობთ: „ჩვენი და წარსული დროის საუკეთესო ადამიანები: შამპოლიონი, შელინგი, ჰეგელი, ჰამერი, განსაკუთრებით ჰამერი, რომლებმაც მთელი განათლებული მსოფლიოს პატივისცემა მოიპოვეს, ლაქიურ დაკინვათა საგნად ქცეულან; ლაქიურის-თქო ვამბობთ, რადგან მისი ცინიზმი ისეთია, რომ მისი წარმოშობა მხოლოდ უხეშ, უმადურ უვიცობას შეუძლია“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული. ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. IX, გვ. 24).

¹⁷ გვ. 9. „თიუთიუნჯი-ოლი“ — ო. ი. სენკოვსკის ფსევდონიმა. სტატია „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“ სათაურით: „ისტორიული რომანი“. სადაც ო. ი. სენკოვსკი უარპყოფდა „სულელურ აზრს, თითქოს ჩვენ არა გვქვს ლიტერატურა“, ხელმოწერილია არა ამ ფსევდონიმით, არამედ ასოებით: *М. М... М!* — ო. ი. სენკოვსკის ქვემოთხსენიებულ სტატიას ეწოდება არა „ისლანდიური საგები“, არამედ „სკანდინავური საგები“.

¹⁸ გვ. 9. თარგმანი: „შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოები“.

¹⁹ გვ. 11. „ბარონის ნილბად“ იგულისხმებოდა იგივე ო. სენკოვსკი (იხ. ზემოთ, შენიშვნა 16), რედაქტორი „ტროგოვი ეურნალისა“, ე. ი. „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიასი“, რომლას გამოცემის შესახებ 1834 წელს გამოქვეყნებულ განცხადებაში მოყვანილი იყო უზარმაზარი სია იმ დროის ყველა ცნობილი მწერლებისა, როგორც მისი თანამშრომლებისა. ფ. ბულგარინმა „მსოფლიო სტატიად“ გამოაცხადა ო. ი. სენკოვსკის სტატია სათაურით: „სკანდინავური საგები“, რომელიც მოთავსებული იყო „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“ (1834, ტ. I, № 1, გვ. 1 — 77).

²⁰ გვ. 12. თარგმანი: „ქეშმარიტება! ქეშმარიტება! არაფერი, გარდა ქეშმარიტებისა!“

²¹ გვ. 12. თარგმანი: „სიჩუმე!“

²² გვ. 12. „მიმოხილვები“ 1820-იან წლებში და 1830-იანი წლების დამდეგ ძალიან გავრცელებული იყო, განსაკუთრებით აღმანახებებში (იხ. ამ ტომში სტატია „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“, შენიშვნა 4).

²³ გვ. 13. „დიდად განსწავლული და მოცილი არისტარხი“ — ა. ა. მარლინსკი, რომელმაც 1833 წელს „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ მოათავსა სტატია ნ. პოლევოას რომანზე „ფიცი მაცხოვრის კუბოსთან“; სტატია იწყებოდა მსოფლიო ლიტერატურის განვითარების გაკვირთი მიმოხილვით. შემდგომ სტრიქონებში ბელინსკი პაროდულად ასხვაფერებს მარლინსკის ამ სტატიას.

²⁴ გვ. 16. „ნიკოლოზ არისტარხის-ძე ნაღუმკო“ — „ტელესკოპის“ და „მოლვის“ გამომცემელ ნ. ი. ნადეჟდინის ფსევდონიმი. ნაღუმკოს „წესები“, უფრო ვრცელი ფორმულირებით, მოყვანილია მის სტატიაში: „ყოველ დას — თითო საყურე“ („ვესტნიკ ვეროი“, 1829, № 22, გვ. 123).

²⁵ გვ. 24. ეს სტრიქონები აღებულია ბაბატინსკის ლექსიდან „გოეთეს სიკვდილის გამო“.

²⁶ გვ. 25. ევგენი სიუ იყო არა კაპიტანი, არამედ სამხედრო გემის ექიმი.

გვ. 26. „მეწიქვილე“ — ეროტიკული ხასიათის ლექსი.

²⁸ გვ. 26. ეს სტრიქონები აღებულია დ. ვენეიტინოვის ლექსიდან „ვევძნობ, ჩემში ანთია...“

²⁹ გვ. რა თქმა უნდა, შეცდომით არის დაწერილი ან დაბეჭდილი. ფრაზის აზრი მოითხოვს: „შეიტანოს“.

³⁰ გვ. 31. აქ ბელინსკი მისდევს ისტორიკოს მ. ტ. კაჩენოვსკის. კაჩენოვსკიმ 1830-იანი წლების დამდეგს, წინააღმდეგ ნ. მ. კარამზინისა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ვარიანტები ნორმანული წარმოშობის არიანო, შემდგარი ვარაუდი გამოსთქვა რუსთა ტომის ხაზარული წარმოშობის შესახებ (იხ. ამ გამოცემაში ბელინსკის წერილი დ. პ. ივანოვისადმი, 1837 წლის 7 აგვისტოს თარიღით, შენიშვნა 2).

³¹ გვ. 33. ხაზგასმული სიტყვები აღებულია პუშკინის „პეტრე დიდის ხანგიდან“.

³² გვ. 34. სტრიქონი პუშკინის „ევგენი ონეგინიდან“ (თავი 2, სტროფი XII).

³³ გვ. 35. აშკარა ნართაულია თევდორე ალექსის-ძე სემიონოვზე (1794 — 1860), კურსკელ ვაჟარზე, ასტრონომიის მოყვარულ კაცზე, რომელმაც კურსკში პრიმიტიული ობსერვატორია მოიწყო. მისი ბიოგრაფია, მ. პ. პოგოდინის მიერ დაწერილი, მანამდე ცოტა ხნით ადრე დაიბეჭდა „ტელესკოპში“ (1832, № 13).

³⁴ გვ. 35. „აზნაურული არჩევნები“ — ამჟამად სავსებით დაივიწყებული კომედია ორ ნაწილად კვიტკო-ოსნოვიანკოს: „აზნაურული არჩევნები“, კომ. 3 მოქმედებად (მ. 1829), და „აზნაურული არჩევნები“ (ანუ „ისპრავნიკის არჩევნები“), კომ. 4 მოქმედებად (მ. 1830). „ლაუჩენიკოვის ახალი რომანი“ — „ყინულის სახლი“ (მ. 1835).

³⁵ გვ. 36. „რუსული ენის ლაპარაკიც კი“ — გალიციზმი (parler le russe), რასაც ბელინსკი აშკარად იმ განზრახვით ხმარობს, რომ დასცინოს „რუს უცხოელებს“, რომლებმაც დედაენა დაივიწყეს.

³⁶ გვ. 39. შემდეგ ბელინსკი სხვანაირად უყურებდა კანტემირს. „1840 წლის რუსულ ლიტერატურაში“ იგი კანტემირის სატირებს წინანდებურად სთვლიდა „წმინდა შემთხვევით მოვლენად“, რომელიც დაკავშირებული არ არის „ხალხურ სულთან“, მაგრამ ამასთან ერთად ფიქრობდა, რომ პეტრე დიდიდან ჩვენმა ლიტერატურამ დაიწყო „ახალი არსებობა კანტე-

მირის დიდი ნიჭის მეოხებით" (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. V, გვ. 467 და 468). პუშკინის შესახებ 1843 წელს დაწერილ პირველ სტატიამი ბელინსკი კანტემირს უწოდებდა „ღროის მიხედვით პირველ რუს პოეტს“, მის პოეზიაში უკვე ხედავდა „სასიცოცხლო და ორგანულ მოვლენას“ და ამტკიცებდა, რომ „კანტემირის ბედნიერი ხელით სატრა დაინერგა რუსული ლიტერატურის, ასე ვთქვათ, ზნე-ჩვეულებებში და მან კეთილყოფელი გავლენა მოახდინა რუსული საზოგადოების ზნე-ჩვეულებებზე“ (იქვე, ტ. XI, გვ. 204 — 205). 1845 წელს ბელინსკიმ კანტემირს უძღვნა დიდი სტატია, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერდა: „კანტემირმა თავისი სატირებით პატარა, უბრალო, მაგრამ მაინც უკვდავი ძეგლი დაიდგა რუსულ ლიტერატურაში... კანტემირის სატირების წაკითხვა არ შეიძლება ერთგვარი დაძაბვის გარეშე, შით უმეტეს არ შეიძლება ისინი იკითხო ბევრი და დიდხანს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათში იმდენი ორიგინალობაა, იმდენი კჳა და გონებუ-შახვილობაა, მაშინდელი საზოგადოების ისეთი ნათელი და სწორი სურათებია, ავტორის პიროვნება მათში ისე მშვენიერად, ისე ადამიანურად არის ასახული, რომ მოხუცი კანტემირის გადაშლა ხანდახან და მისი რომელიმე სატირის წაკითხვა კეშმარიტი სიამოვნებაა“ (იქვე, ტ. IX, გვ. 183 და 201). სტატიაშიც — „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“. ვკითხულობთ: „მაგრამ რადგან კანტემირი მაინც არაჩვეულებრივი ტალანტის მქონე ადამიანად რჩება, არც შეიძლება გამოვტოვოთ იგი რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, როგორც ღროის მიხედვით მისი პირველი პოეტი... კანტემირის სახით რუსულმა პოეზიამ გამოაშკლავა მისწრაფება სინამდვილისადმი, ცხოვრებისადმი. როგორც იგი არის, თავისი ძალა დაფუძნა ნატურისადმი ერთგულებაზე“ (იქვე, ტ. XI, გვ. 84 და 85).

³⁷ გვ. 39. ეს მკვეთრად უარყოფითი შეხედულება ტრედიაკოვსკიზე საყოველთაოდ გავრცელებული იყო 1830 — 40-იან წლებში. ამ მხრივ თითქმის ერთადერთი გამონაკლისი იყო პუშკინი. რომელიც მეტად უკმაყოფილო დარჩა ი. ი. ლაეჩნიკოვით, რადგან ამ უკანასკნელმა ტრედიაკოვსკი კარიკატურულად გამოსახა რომან „ყინულის სახლში“. 1835 წლის 3 ნოემბერს პუშკინი ი. ი. ლაეჩნიკოვს სწერდა: „ვალარებ. რომ ვასილ ტრედიაკოვსკისათვის მზად ვარ შეგედავოთ. თქვენ შეუტრაცხყოფთ ადამიანს, რომელიც მრავალმხრივ ღირსია ჩვენი პატივისცემისა და მადლობისა“.

³⁸ გვ. 39. ასე ლაპარაკობდა ლომონოსოვზე ა. ა. მარლინსკი სტატიაში „რუსეთის ძეგლი და ახალი სიტყვიერების მიმოხილვა“ (თხზულებათა სრული კრებული, სპბ. 1838, ნაწ. XI, გვ. 217).

³⁹ გვ. 40. სიტყვასთან „ვაგლახ“ უურნალის ტექსტში არის სქოლიო: „ვატრობინებთ ჩვენს მკითხველებს, რომ მომავალი წლიდან „ტელესკოპის“ მუდმივი განყოფილებებისაგან შედგენილ იქნება ჩვენი მშობლიური

მწერლების ბიოგრაფიები, რომელთაგან რამდენიმე უკვე მომზადებულია. გამა.

⁴⁰ გვ. 41. „ვადიმის ზარად“ იგულისხმებოდა „მოწოდების ზარის ხმები“, რომლებმაც გაიტაცეს ვადიმი, ვ. ა. უუკოვსკის „თორმეტი მძინარე ქალწულის“ მეორე ნაწილის გმირი.

⁴¹ გვ. 44. ლომონოსოვის „ორი ცივი და მალალფარდოვანი ტრაგედია“ — „ტაპირა და სელიმი“ და „დემოფონტი“. „პეტრიადა“ — დაუმთავრებელი პოემა „პეტრე დიდი“.

⁴² გვ. 45. ე. ი. პოპულარობით.

⁴³ გვ. 45. ნართალად არის ნათქვამი ნესტორ კუკოლინიჭე, რომელმაც თავის ტრაგედია „ტორკვატო ტასოში“ მომაკვდავი ტასო აიძულა ეწინასწარმეტყველნა „ქაბუჯე“ (ე. ი. ნესტორ კუკოლინიჭე), ვინც

არვის გაუმხელს თავის აზრებს და თავის გრძნობებს
და ვით შეგობარს თვისას იგი მე [ტასოს] შემოიყვარებს,
იქნება ჩემთან ექვს წელიწადს განუშორებლად.
შეაღებს ჩემზე ფიქრისა და ოცნების კარებს
ჯერეთ კიდევ ყრმა, სკოლის მერხზე მჯდომი ყმაწვილი,
და შემდეგ ყველას ის გააცნობს ჩემსა ცხოვრებას.

⁴⁴ გვ. 48. ეკატერინე II იყო თანამშრომელი და ფარული რედაქტორი სატირულ ჟურნალ „ესიაკაია ესიაჰინასი“ (1769 — 1770) და „სობესედნიე ლიუბიტელეი როსსიისკოვო სლოვასი“. რომელსაც სცემდა რუსეთის აკადემია (1783 — 1784). „ტელემახიდი“ დასჯა, რასაც ზემოთხსენებულთაგან ეკატერინე II-ის კარზე, იმაში მდგომარეობდა, რომ დამნაშავეს, დანაშაულის ხარისხის მიხედვით, აიძულებდნენ ან წაეკითხა ერთი გვერდი ანდა ზეპირად დაესწავლა რამდენიმე სტრიქონი ვ. კ. ტრედიაკოვსკის აღნიშნული პოემიდან.

⁴⁵ გვ. 49. ერთხელ გ. რ. დერჟავინს შეეცდომით მიუტანეს წერილი, გაგზავნილი მღვდელ დერჟავინისათვის, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობდა. ამ შემთხვევის გამო დერჟავინმა დასწერა სახუმარო ლექსი „ბრძანება ჩემს მეკარეს“, რომელიც ასეთი სტრიქონებით იწყება:

ერთია ღმერთი და დერჟავინიც, —
მე ვოცნებობდი ბრიყველ ზეაობით,
შემერიობება მხოლოდ ნავინი...

⁴⁶ გვ. 49. პორტრეტზე, რომელზეც ლაპარაკია, მხატვარმა ტონიმ დერჟავინი გამოსახა ქურჭით და წაეის ქუდით, ყინულზე მჯდომი. ამ სახით პორტრეტი დახატულია თვით დერჟავინის სურვილით, რომელიც ლექსში „ტონისადმი“ მხატვარს სთხოვდა:

... და სჯობს ღამბატო ტლანქი, უხეში,
 ყინვა-ტეხაში, ცეცხლოვან სულით,
 ბეწვიან ქულით, ქურქმოხვეული,
 ბუნების გზაზე მგზავრად გასული,
 როს ავდარს ვებრძვი, ტალღებს მივარღვევ,
 მივემართები კაჟოვან მთებში, —
 ნიშნად იმისა, რომ დავიბადე
 მე ყინულოვან და ცივ ქვეყნებში,
 რომ წინ მიიწევს ცხოვრების ქიმი,
 რომ ჩემი ძველი იყო ბაგრამი.

47 გვ. 50. გადაკეთებული სტრიქონები პუშკინის „წინასწარმეტყვე-
 ლიდან“:

და სერაფიმი ჯვარედინ გზასა
 მე ექვსთრთიანი გამომეცხადა.

48 გვ. 51. ხაზგასმული სიტყვები: „ღვთაებრივი ფელიცა ყირგიზ-
 ყაისაყის ურდოსი“ — ოღნავ შეცვლილი პირველი ორი სტრიქონია ეკა-
 ტერინე II-სადმი მიძღვნილი ოდისა — „ფელიცა“. სიტყვები „ხორცშესხ-
 მული ანგელოზი“ აღებულია ოდიდან — „მურზას მოჩვენება“.

49 გვ. 51. „სასწაულთმოქმედი გოლიათი“ — ა. ვ. სუეოროვი; იგი ბე-
 ლინსკიმ დახატა ჰიპერბოლური ნიშნებით, რომლებიც აღებულია სუეო-
 როვისადმი მიძღვნილ დერჟავინის ოდებიდან: „ვარშავის ალების გამო“,
 „იტალიაში გამარჯვების გამო“ და „ალპის მთებზე გადასვლის გამო“.

50 გვ. 51. ამ აბზაცის უკანასკნელ სტრიქონებში. დაწყებული სიტყვე-
 ბით: „როგორ განუწონებენ რუსი ქალწულები თავიანთი ცეცხლოვანი
 თვალებითა“, ბელინსკიმ გადმოსცა შინაარსი დერჟავინის ლექსისა— „რუ-
 სი ქალწულები“.

51 გვ. 53. დერჟავინს პინდართან, ჰორაციუსთან და ანაკრეონთან ადა-
 რებდა პ. ა. ვიაზემსკი. პოეტის გარდაცვალების გამო დაწერილ სტატიაში
 იგი ამბობდა: „უეკველია, თუ დერჟავინის მრავალი ოდა შეიძლება დაი-
 ყოს განსაზღვრულ გვარებად: პინდარულად, ჰორაციუსისებულად, ანაკ-
 რეონისებულად, სამაგიეროდ ბევრ მათგანს სრული სამართლიანობით
 შეიძლება ეწოდოს დერჟავინული“ („სინ ოტჩესტვა“. 1816, № 37). ამ-
 ვე თემაზე სწერდა ვ. პანაევი სტატიაში „მოკლე ხატვა დერჟავინს“:
 „რუსეთმა... ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გამოიტირა სიკვდილი პოე-
 ტისა, რომელმაც სწორუბოვარი ხელოვნებით გაიმეორა ჩრდილოეთში
 ჰორაციუსისა და ანაკრეონის ქნარის ტკბილი ხმები. განა საჭიროა ლაპა-
 რაკი, რომ ეს იყო დერჟავინი!“ („სინ ოტჩესტვა“, 1817, № 5, გვ. 177).

ბესტუჟევე-მარლინსკი სტატიაში „რუსეთის ძველ და ახალი სიტყვიერების მიმოხილვა“, დერეჟინის შესახებ ამბობდა: „შთამომავალნი განციფრებულნი შესტქერიან რუსი პინდარის უდიდეს ტალანტს, „ჩაჩქერის“, „ფელიცის“ და „ღმერთის“ მოძღერლის ტალანტს“ („პოლიარნია ზევუდა“, 1823). ნ. ა. პოლევის სტატიაშიც — „დერეჟინი და მისი ქმნილებანი“, ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „ფსალმუნთა გალექსვა, ლომონოსოვისებური ოდები, პორაციუსისადმი, ანაკრონისადმი მიბაძვა, — ყველაფერს, რასაც მისი თანამედროვენი აკეთებდნენ, აკეთებდა დერეჟინიც“ („მოსკოვსკი ტელეგრაფ“, 1832, № 15 და 16). პინდართან, პორაციუსთან და ანაკრონთან დერეჟინის ამ შედარების წინააღმდეგ ბელისკი აზრს გამოთქვამდა არა მხოლოდ 1834 წელს დაწერილ „ლიტერატურულ ოცნებებში“, არამედ უფრო მოგვიანებითაც. მაგალითად, პირველ სტატიაში დერეჟინზე, რაც უკვე 1843 წელს დასწერა, იგი ამბობდა: „დერეჟინი დღე რუსი პოეტია — და ეს საკმარისია, და სრულებით საჭირო არ არის მას ეწეოდოთ პინდარი, ანაკრონი და პორაციუსი, რომლებთანაც მას საერთო არაფერი აქვს“ (ბ. გ. ბელისკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. VIII, გვ. 87).

⁵² გვ. 57. თარგმანი: „პლატონი მეგობარია. მაგრამ უფრო დიდი მეგობარია ჰემარითება“.

⁵³ გვ. 61. გადაკეთებულია ვ. უუკოვსკის სტრიქონები:

სამარის მარმარს გვირგვინი ამკობს,
მასზე ლოყულობს ძე რუსეთისა.
ვის დიდ საქმისთვის აღუძრავს ძალებს
წმინდა სახელი კარამზინისა.

⁵⁴ გვ. 61. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ივანჩინ-პისარევი (დაახლ. 1795 — 1849) — ნ. მ. კარამზინის ალტაეებელი თაყვანისმცემელი. ავტორი წიგნისა: „კარამზინის სული ანუ ამ მწერლის რჩეული აზრები და გრძნობები“ (მ. 1827) და „სიტყვისა რუსეთის იმპერიის ისტორიოგრაფის სახსოვრად“ („ლიტ. მუზეუმ“, 1827). — ორესტ მიხეილს-ძე სომოვი (1793 — 1833) — ბელეტრისტი, პოეტი და კრიტიკოსი. რომელმაც ნ. მ. კარამზინის დასაცავად დასწერა სტატია: „გულგრილი შენიშვნები „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ ბ-ნ კრიტიკოსთა და მათ თანამოაზრეთა ახსნა-განმარტებებზე“ („მოსკოვსკი ტელეგრაფ“, 1829, ნაწ. 25, № 2). — ნიკოლოზ სერგის-ძე არციბაშევი. (1773 — 1841) — ისტორიკოსი. კარამზინის მოწინააღმდეგე. „შენიშვნებში კარამზინის“ „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაზე“, რომელიც „მოსკოვსკი ვესტნიკში“ დაიბეჭდა (1828, ნაწ. 11 და 12; 1829, ნაწ. 3). მან გააკრიტიკა კარამზინის ენა, შემდეგ კი აღწერა მის „ისტორიაში“ დაშვებული ფაქტიური ხასიათის მრავალი შეცდომა.

მკაცრი ტონით დაწერილმა ამ „შენიშვნებმა“ თავის დროზე დიდი მითქმამოაქმა გამოიწვია ლიტერატურულ წრეებშიც და საზოგადოებაშიც (მდრ. ნ. ბარსუკოვი, „მ. პ. პოგოდინის ცხოვრება და შრომები“, ტ. II, სპბ. 1889, გვ. 234 — 264).

⁵⁵ გვ. 61. თარგმანი: „მაგრამ მე მუდამ ჩემს ცხვრებს ვუბრუნდები“.

⁵⁶ გვ. 62. იგულისხმებოდა ა. თ. მერზლიაკოვის სტატია: „მსჯელობა რუსულ სიტყვიერებაზე მისი ახლანდელი მდგომარეობის დროს“, სადაც მოცემულია ტრედიაკოვსკის, სუმაროკოვის, ლომონოსოვის, დერჟავინის, ხერასკოვისა და სხვ. მოღვაწეობის შეფასება („რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების შრომები“, 1812, ტ. I), და მისავე შეიდი სტატია, მიძღვნილი ხერასკოვის „როსსიადის“ განხილვისადმი („ამფიონი“. 1815, №№ 1, 2, 3, 5, 6, 8 და 9). ა. თ. მერზლიაკოვის კრიტიკა მეტაღნემწყენარებელი იყო. იგი, მაგალითად, „როსსიადის“ თავს დაესხა ესთეტიკური მხრით, მაგრამ, ამასთან ერთად, ის წმინდა პეტრეს ტაძარს შეაღარა და მის შესახებ სწერდა: „როგორც უძრავი უზარმაზარი კლდე, დროთა გრიგალშიც და აზრთა ქარიშხალშიც. იგი დგას თავისი უცვლელი სიდიადით გაკემოსილი“. უფრო მკაცრად მოეკიდა „როსსიადის“ სტუდენტი პ. მ. სტროევი ქალწულ დ-სადმი წერილებში, რომლებიც „როსსიადისზე“ ა. თ. მერზლიაკოვის სტატიებთან ერთდროულად დაიწერა, („რუსული სიტყვიერების თანამედროვე მეთვალყურე“, 1815, № 1 და 3). ამ წერილების გამო ა. ს. შიშკოვი სწერდა: „თქვენს მოსკოვის სიტყვიერებაში... ხშირად ვხვდებით იმ ყმაწვილების სულელურ თავმოყვარეობასა და უცილობას. რომლებიც ცუდი არ იქნებოდა, მათივე სიკეთისათვის, გაეწყობლათ. ამ დღეებში ხელში ჩამივარდა ყურნალი, რომელშიც ვიღაც სტუდენტი მსჯელობს და შეუბრალებლად აგინებს ხერასკოვს. აი ზნეობა, რასაც ყმაწვილებს ასწავლიან!“ (ნ. ბარსუკოვი, „პ. მ. სტროევის ცხოვრება და შრომები“, სპბ. 1878, გვ. 12 — 13).

⁵⁷ გვ. 62. „ღვარძლიანს“ უწოდებდნენ მ. ტ. კაჩენოვსკის ნ. მ. კარამზინზე მისი თავდასხმების გამო მ. ტ. კაჩენოვსკის ისტორიული თვალსაზრისი საზოგადოდ და კერძოდ მისი შეხედულებანი ნ. მ. კარამზინზე მეტად პოპულარული იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის. მ. პ. პოგოდინის ცნობით, «ყველა სტუდენტი თავის მსჯელობას სწერდა სკეპტიკური სკოლის სულისკვეთებით, მათ მედლებით აჯილდოებდნენ და საპატიო ადგილს უთმობდნენ „მოსკოვის უნივერსიტეტის სამეცნიერო მონაბეშში“». 1833 — 1835 წლებში ამ ყურნალში თავისი სტატიები მოათავსეს სტუდენტებმა: ს. მ. სტროევემა, ნიკოლოზ სტანკევიჩმა, ნიკოლოზ საზონოვმა, ივანე ბელკინმა, პერემიშლევსკიმ და სტრეკალოვმა. ახალგაზრდა სკეპტიკოსების ეს სტატიები რომ წაიკითხა, მ. პ. პოგოდინმა თავის დღაურში ჩასწერა: „წყენით ვკითხულობდი ახალგაზრდა რეგვენთა გამოსვლებს ისტორიაზე. მე ვიწყებ და დავიწყებ გადახალისებას რუსულ

ისტორიაში, ისინი კი ლაპარაკობენ კაჩენოვსკიზე, რომელიც მათ სრულად უსაფუძვლოდ მხოლოდ ერთ რამეს ჩასჩინებებს: არ დაიჯეროთ. საწყენია“ (ნ. ბარსუკოვი, „მ. პ. პოგოდინის ცხოვრება და შრომები“, ტ. IV, სპბ. 1891, გვ. 218). ახალგაზრდა სკეპტიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა თვით ბელინსკიც, რომელიც, როგორც ჩანს, ამ სკოლის შეხედულებებს გაეცნო მ. ტ. კაჩენოვსკის ლექციებიდან, როცა სტუდენტი იყო, ხოლო შემდეგ თავის მეგობარ-სკეპტიკოსთა მეშვეობით, რომლებიც ნ. ვ. სტანკევიჩის წრეში შედიოდნენ.

⁹⁸ გვ. 67. „რუსული გრამატიკის დიდი მამამთავარი“ — ნ. მ. კარაშინის თხზულება.

⁹⁹ გვ. 67. სტრიკონები ნ. მ. კარაშინის ზღაპრიდან „ილია მურომეცი“.

¹⁰⁰ გვ. 69. „რუსი სკეითის“ შეხვედრა ფრანგ პლატონთან — ესე იგი ნ. მ. კარაშინის შეხვედრა ფრანგ არქეოლოგ ჟან-ჟაკ ბარტელთან, რომელიც ავტორია რომანისა: „უმცროსი ანახარსისის მოგზაურობა საბერძნეთში“. ეს რომანი თარგმნილია ყველა ევროპულ ენაზე, მათ შორის რუსულ ენაზეც (მ. 1803 — 1819; სპბ. 1804 — 1809). ეს შეხვედრა მოხდა საფრანგეთის პირველი ბერეუაზიული რევოლუციის დროს.

¹⁰¹ გვ. 70. ეს სტყვა ნ. ი. ნადეჟინმა „ტელესკოპის“ გამოცემის გამო დაწერილ შესავალ სტატიაში (1831, № 1, გვ. 45).

¹⁰² გვ. 73. „მისი ცხოვრების ვითარებად“ იგულისხმებოდა ვ. ა. ჟუკოვსკის ცნობილი ბედუქულმართი გატაცება თავისი ნათესავი ქალით — მ. ა. პროტასოვათი.

¹⁰³ გვ. 75. ეს ობხტაეპიანი ლექსი ეკუთვნის აჩა ა. თ. მერზლიაკოვს, არამედ ი. ი. ლაქეჩნიკოვს. იგი აღებულია ამ უკანასკნელის სიმღერიდან: „ტკბილად გალობდა ბუღბული“ (იხ. ქვემოთ, შენიშვნა 122). ა. თ. მერზლიაკოვის სიმღერებიდან თავის დროზე განსაკუთრებით პოპულარული იყო: „არაფერზე არ ვფიქრობდი ქვეყნად შედარად“, „შავთვალწარბა ყოჩალი ვაჟაკი“, „მოლოდინი“ („ქალწულს ზიზღსა ჰგერის ტურფას ლოდინი“). „მარტობა“ და „ახ, საყვარელო, რა მოწყენილი ზიხარ?“

¹⁰⁴ გვ. 76. თარგმანი: „დალოცვილი ძველი დრო“. პ. ა. პლეტნევი კანისტზე ლაპარაკობდა „წერილში გრაფინია ს. ი. ს.-დმი რუსი პოეტების შესახებ“ („სევერნიე ცვეტი“, 1825 წ.).

¹⁰⁵ გვ. 76. ორმოციან წლებში ბელნსკიმ უფრო მართებულად შეათვსა კოპეღია „ცილი“. პუშკინის შესახებ დაწერილ პირველ სტატიაში იგი ამ კომედიასზე ამბობდა: „ეს ნაწარმოები პოეტური მხრით უმნიშვნელოა, მაგრამ მიეკუთვნება რუსული ლიტერატურის ძსტორიულად მნიშვნელოვან მოვლენებს, როგორც სატირის თამამი და გაბედული თავდასხმა ზრიკიანობასა, ცილისწამებასა და მეჭრთამეობაზე, რომლებიც ასე საშინლად სტანჯავდნენ წინა დროის საზოგადოებას“ (ბ. გ. ბელნსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. XI, გვ. 207).

⁶⁶ გვ. 81. 1815 წელს, ლიკუეუმში გამოცდისას, პუშკინმა წაიკითხა თავისი ლექსი „მოგონება ცარსკოე სელოზე“, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა ამ გამოცდაზე დამსწრე დერჟავინი. ეს ეპიზოდი პუშკინმა აღნიშნა „ეპეგენი ონეგინში“: „მოხუც დერჟავინს აღარ გამოვრჩით, მან სიკვდილის წინ დაგვლოცა ქებით“ (თავი 8, სტროფა 11).

⁶⁷ გვ. 82. ნართალად ნათქვამია ა. ა. მარლინსკის სტატიაზე პოლეკოსის რომანის შესახებ: „ფიცი მაცხოვრის კუბოსთან“, რომელზეც უკვე ლაპარაკი იყო „ლიტერატურული ოცნებების“ დასაწყისში (იხ. შენიშვნა 23). სტატიის ქვეშ მიწერილი იყო: „ჯღლისტანი“, რადგან ა. ა. მარლინსკი ამ სტატიას სწერდა კავკასიაში. სადაც გადასახლებული იყო.

⁶⁸ გვ. 82. ამ ფრაზაში ს. ა. ვენგეროვმა მართებულად დაინახა ნ. ი. ნადეჟდინის გავლენა ბელინსკიზე. ნ. ი. ნადეჟდინი 1833 წელს სააქტო სიტყვაში, ახასიათებდა რა XVIII საუკუნეს, ამბობდა: „ეს იყო საყოველთაო ღობის საუკუნე! მე გიწვევთ, მოწყალეო ხელმწიფენო, მიმითითოთ ადამიანთა მოდგმის ისტორიაში მსგავსი ეპოქა, რომელშიც, საუკუნის მოკლე მანძილზე, თავმოყრილი იყოს ამდენი გარყვნილება და საშინელებანი“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. I, გვ. 438).

⁶⁹ გვ. 83. „ჩვენი ფიქრთა მპყრობელი“ უწოდა ნაპოლეონს პუშკინმა ლექსში „ზღვისადმი“.

⁷⁰ გვ. 84. ბელინსკიმ თავის ნაშრომებში დიდი ადგილი დაუთმო რომანტიზმის დედაარსის განმარტებას. ამ მიმართულების ყველაზე სრული და დამთავრებული გაგება მან ბრწყინვალედ გადმოსცა მეორე სტატიაში პუშკინის შესახებ (თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. XI, გვ. 227 — 294).

⁷¹ გვ. 84. 1839 წლის დამლევს ბელინსკიმ უარი სთქვა შექსპირისა და ზოგიერთი სხვა მწერლის რომანტიკოსებად აღიარებაზე. იმ სტატიაში პიესაზე „ვაი ჰკუსიგან“, რომელიც მაშინ დასწერა, იგი ამბობდა: „შექსპირს, სერვანტესს, ბაირონს. ვალტერ-სკოტს, კუპერს, გოეთეს, პუშკინს რომანტიკოსება შეიძლება უწოდონ მხოლოდ იმ ადამიანებმა, რომლებიც შეუპყრია ფრანგულ იდეებს ხელოვნებაზე და რომლებმაც არ იციან მშვენიერების მეცნიერების პირველი საწყისები, მისი ანაბანა“ (თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. V, გვ. 30).

⁷² გვ. 84. ტერმინი „ნორჩი სიტყვიერება“ ფრანგული რომანტიზმის აღსანიშნავად პირველად იხმარა ო. ი. სენკოვსკიმ სტატიაში „ბრამბუესი და ნორჩი სიტყვიერება“ („ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“, 1834, ტ. III, გვ. 33 — 60).

⁷³ გვ. 84. ფერაგუსი — გმირი ბალზაის რომანისა „ერთი ცამეტთაგა“ რომლის თარგმანი დაიბეჭდა „ტელესკოპში“ (1833. ნაწ. 15).

⁷⁴ გვ. 84. „ჩვენი ფიქრების მეორე მკვრობელი“—სტრიქონი პუშკინის ლექსიდან „ზღვისაღმი“.

⁷⁵ გვ. 85. კვლავ ნართაულად ნათქვამია ა. ა. მარლინსკიზე (იხ. შენიშენები 23 და 69), რომელიც სტატიაში ნ. პოლევოის რომანის შესახებ, როცა ინდოეთის ლიტერატურაზე ლაპარაკს აპირებდა, სწერდა: „გავისიერნოთ ინდოეთში, გემი „ჯონ-ბული“ უკვე დიდი ხანა ნაპირთან კვამლს აბოლებს“.

⁷⁶ გვ. 86. „ვიგინდა“, „ყალბადანი“ და „ვიდოკი“ — ფ. ბ. ბულგარინი, რომელიც ფრანგი აგენტის ვიდეოს სახით გამოხატა პუშკინმა შენიშენაში („ვიდეოს ჩანაწერების შესახებ“) და ორ ეპიგრამაში: „ის კი არ არის უბედურება, რომ შენ პოლონელი ხარ“ და „ის კი არ არის უბედურება, ავღეთ ფლიუგარინო“.

⁷⁷ გვ. 86. „ბარონი“ — თ. ი. სენკოვსკი. რომელიც გამოდიოდა ბარონ ბრამბელის ფსევდონიმით და თავის სტატიებში „აბუჩად აიგლო ქეშმარიტების სიწმინდეც და ცოდნის სიწმინდეც“ (მღრ. ზემოთ, შენიშენა 16).

⁷⁸ გვ. 86. ყურნალის ტექსტში. რა თქმა უნდა დაუდევრობის გამო, და ბეკილია: „შეცდომებში“.

⁷⁹ გვ. 87. „ღვარძლიანს“ უწოდებდნენ ლიტერატურულ პოლემიკაში მ. ტ. კაჩენოვსკის; „სემინარიელს“ და „იხენისკარტას“ — ნ. ი. ნადეჟდინს; „ხრაკი“, „ნახევრად ხრაკი“. „ვაქარი“ და „ჩარჩი“ — ყველა ეს არის ეპითეტები, რითაც იხსენიებდნენ ნ. ა. პოლევოის, რომელსაც არვის ქარხანა ჰქონდა.

⁸⁰ გვ. 88. იგულისხმებოდა ფ. ბ. ბულგარინი, რომელიც ოციანი წლების მეორე ნახევარში „ევგენი ონეგინის“ პირველი თავების მრავალ სცენას „მშვენიერ და ქეშმარიტად რომ ითქვას, დიდი მხატვრის ოსტატური ხელის შესაფერ“ სცენად სთვლიდა („სევერნაია ჰელა“, 1826, № 132; 1828. № 15). მაგრამ 1830 წელს, როცა პუშკინმა მას ზურგი შეაქცია, ბულგარინმა „ევგენი ონეგინის“ მეშვიდე თავში ვერ პპოვა „ვერც ერთი აზრი და ვერც ერთი გრძნობა, ვერც ერთი სურათი, ღირსი დაფასებისა. სრული დაცემა, chute completé!“ („სევერნაია ჰელა“, 1830, № 35).

⁸¹ გვ. 88. „სინ ოტეჩესტვაში“. რომელსაც ფ. ბ. ბულგარინი და ნ. ი. გრეჩი სცემდნენ. ამ უკანასკნელმა თავისი მეგობრისა და ყურნალის ამხანაგის დასაცავად მოათავსა შენიშენა. რომელშიც ასეთი სტრიქონები: „მე ეს გადავწყვიტე არა იმისათვის. რომ გავამართლო და დაეცემა ბულგარინი, რომელსაც ეს არ ესაუკროება. რადგან მის ცალ ნეკში მეტი ქეჟა და ნიკია, ვიდრე მრავალი რეცენზენტის თავში“ („სინ ოტეჩესტვა“, 1831, № 27). ამ შენიშენის საპასუხოდ პუშკინმა დასწერა ცნობილი სტატია: „რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ბულგარინის ნეკზე და სხვა რამეზე“.

⁸² გვ. 88. კ. ბატოუსკოვი ფსიქიკურად დაავადდა 1822 წელს.

⁸² გვ. 89. ხაზგასმული სიტყვები წარმოადგენენ გადაკეთებულ ფრაზას: „ხელოვნებითი შექმედების კანონები გამოიყვანება კრიტიკული დაკვირვებებიდან დიდი გენიოსების უკვდავ ქმნილებებზე“. ეს ფრაზა აღებულია ნ. ი. ნადეჟინის სტატიიდან: „ლიტერატურული შიში მომავალი წლის გამო“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. I, გვ. 471).

⁸⁴ გვ. 90. სტრიქონები „ევეგენი ონეგინიდან“ (თავი 1, სტროფი V).

⁸⁵ გვ. 90. სტრიქონი პუშკინის ლექსიდან „ჩაადაევისადმი“.

⁸⁶ გვ. 90. „პატარა სამაზრო ქალაქი“ — ჩემბარი, სადაც ბავშვობისა და ყრმობის წლები გაატარა ბელინსკიმ. ხაზგასმული სიტყვები: „მსგავსნი ტალღათა ხმაურისა“ და „ნაკადულის რაკრაკისა“ მცირეოდენი შესწორებებით აღებულია პუშკინის პოემიდან — „ბოშები“ და მისივე ლექსიდან — „ღამე“.

⁸⁷ გვ. 91. არშიდა — ჯადოქარი მშეთუნახავი, ტასოს პოემის — „განთავისუფლებული იერუსალიმის“ გმირი ქალი, რომელიც მომხიბლველ ბალს ჰვლობდა.

⁸⁸ გვ. 93. სტრიქონები „ევეგენი ონეგინიდან“ (თავი 8, სტროფი LI).

⁸⁹ გვ. 93. ბარატინსკის „ბალი“ და პუშკინის „გრაფი ნულინი“ (სპბ. 1828). — ბარატინსკის პუშკინთან „ატოლებდა“, სხვათა შორის, ვ. ტ. პლაცინი. 1829 წელს იგი სწერდა: „მრავალ წვრილმან და ჩვეულებრივ მოლექსე მწერალს შორის გამოჩნდა ორი არაჩვეულებრივი პოეტი. ერთი მათგანი განირჩევა მშვენიერი სურათების სიუხვით და დახვეწილი გემოვნებით, მეორე — ჩრდილოეთის მცხოვრებისათვის დამახასიათებელი ჭრძნობადობის სიღრმით და პიიტკური იგავის ანუ სიჩქურის სიმსუბუქით. შეიძლება გამოვიცნოთ, თუ ვის მხარეზე იქნება პირველობა; მაგრამ დრო, ახლანდელ წარმატებათაგან დამოუკიდებელი მსაჯული, გადაწყვეტს, ვის დაჩრება პირველი გვირგვინი — პუშკინს თუ ბარატინსკის“ („სინ ოტჩენსტვა“ და „სევერნი არხივ“, 1829, ტ. VI, № XXXIV, გვ. 193).

⁹⁰ გვ. 94. იგულისხმებოდა ე. ბარატინსკის კრიტიკული სტატია ა. ნ. მურავიოვის „თავრიდის“ შესახებ, დაწერილი 1827 წელს.

⁹¹ გვ. 96. თარგმანი: „მკედრებზე ან კარგი უნდა ითქვას, ან — არაფერი“.

⁹² გვ. 96. პუშკინის „კავკასიის ტყვემ“ და „ევეგენი ონეგინმა“ უკვე ოკიან წლებში გამოიწვია უხეირო მიბაძვები: „ყირგიზეთის ტყვე“, მოთხრობა ლექსად ნ. მურავიოვისა. (მ. 1828); „მოსკოვის ტყვე“, მოთხრობა ლექსად ფ. ს—ვისა (მ. 1829) და „ევეგენი ველსკი“ (და არა ბელსკი, როგორც ბელინსკის ტექსტშია), რომანი ლექსად (მ. 1828).

⁹³ გვ. 98. სტრიქონები ე. ბარატინსკის ლექსიდან „მიმბაძველთ“.

⁹⁴ გვ. 99. ნათქვამია მეტად რბილად, მაგრამ ს. პ. შვეიერიოვი უკმაყოფილო იყო ამით. ამის შესახებ ნ. ვ. სტანკევიჩი 1835 წლის 5 თებერვალს სწერდა ი. მ. ნევეროვს: „ბელინსკომ თავის „ლიტერატურულ ოცნებებში“... სთქვა (თუმცა, დიდად აქებდა შვეიერიოვს), რომ მის ლექსებში ვითარდება აზრი, მაგრამ გადმოშლილი არ არის გრძნობაო. მართებული შენიშვნა! ამბობენ, შვეიერიოვი გაცოფდა და ყვირის: როგორ გაბედა ამის თქმაო? ეს პოლეუოის ტონია“ (ნ. ვ. სტანკევიჩის მიწერ-მოწერა. მ. 1914, გვ. 311).

⁹⁵ გვ. 99. სტრიქონები ფაუსტის მონოლოგიდან, თარგმანი დ. ვ. ვენევიტინოვისა.

⁹⁶ გვ. 103. მარკიზი პოზა — გმირი შილერის პიესისა „დონ-კარლოსი, ესპანეთის ინფანტი“.

⁹⁷ გვ. 103. მაქსი და თეკლე — გმირი მამაკაცი და გმირი ქალი შილერის პიესებისა: „პიკოლოზინი“ და „ვალენშტაინის სიკვდილი“.

⁹⁸ გვ. 104. სტრიქონები „ვეგენი ონეგინიდან“ (თავი 7, სტროფი I).

⁹⁹ გვ. 105. თარგმანი: „ღვთაებრივი კომედია“.

¹⁰⁰ გვ. 106. ეს „შენიშნა“ ვ. თ. ოდოევსკიმ მოთხრობაში „მიმი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა „ბიბლიოტეკა დღისა ჩტენიაში“ (1834, ტ. VII).

¹⁰¹ გვ. 107. პუშკინმა თეოფილაქტ კოსიჩკინის ფსევდონიმით „ტელესკოპში“ დაბეჭდა (1831, № 13) სტატია სათაურით: „მეგობრობის გამარჯვება ანუ გამართლებული აღექსანდრე ანფიმეს-ძე ორლოვი“. ამ სტატიაში პუშკინმა სასტიკი ლახვარი ჩასცა ფ. ბ. ბულგარინს, რომელიც დაუპირისპირა იმდროინდელ უხვირო მწერალ ა. ა. ორლოვს. ამ დაპირისპირებას მრავალგზის იმეორებდა თავის სტატიებში ბელინსკი.

¹⁰² გვ. 107. შენიშვნა, რომ ა. ა. ორლოვი „ესპანეთში არ ყოფილა“, შეიტაცეს გესლიან ნართაულს ფ. ბ. ბულგარინზე, რომელმაც 1811 წელს უღალატა რუსეთს და შევიდა ნაპოლეონის არმიოში, სადაც კაპიტნის ხარისხს მიიღწია. იგი მონაწილეობდა ნაპოლეონის ლაშქრობებში იტალიის, ესპანეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. ნაპოლეონი დაცემის შემდეგ იგი კვლავ „რუსი პატრიოტი“ შეიქნა, რისთვისაც წინასწარ გახდა III განყოფილების ფარული თანამშრომელი.

¹⁰³ გვ. 107. 1821 წელს ფ. ბულგარინმა გამოსცა „პორაციუსის რჩეული ოდები“, რომელთა შესახებ პუშკინი „მეგობრობის გამარჯვებაში“ სწერდა: „დამტკიცებულა, რომ ფადვი ბენედიქტეს-ძემ (რომელმაც პორაციუსი გამოსცა სხვისი შენიშვნებით) არ იცის ლათინური“. კიდევ უფრო გარკვევით ითქვა ფ. ბულგარინის ამ პლაგიატზე. ნ. ა. მელგუნოვის ნათქვამს მიხედვით, კენიგის წიგნში: „Literarische Bilder aus Bussland“. იქ ვკითხულობთ: „ბულგარინმა... მოისურვა საზოგადოებას სწავლულად მოეღინებოდა და ამ მიზნით დაბეჭდა პორაციუსი მეცნიერულ განმარტებებით. მაგრამ ზოგიერთმა კლნიერმა აღამიანმა ხმა გაავრცელა“

რამ ეს განმარტებანი ბულგარინს: კი არ ეკუთვნის, არამედ ერთმა სწავლულმა პოლონელმა ფილოლოგმა შეადგინაო. ბულგარინს კი მხოლოდ პატივი ჰქონდა ეთარგმნა ისინი, თუმცა ნამდვილი ავტორის მოხსენიება დაავიწყდაო“ („რუსული ლიტერატურის ნაკრევები“, სპბ. 1862, გვ. 225):

¹⁰⁴ გვ. 107. ვფიქრობთ, რომ ხაზგასმულ სიტყვებში იმალებოდა ნართაული ეანდარმერიაზე („ეარგი კომპანია“), რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდა ფ. ბულგარინს.

¹⁰⁵ გვ. 112. ამ სტატიაში ბელინსკიმ პირველი ლახვარი ჩასცა ა. ა. მარლინსკის, რომელიც ოცდაათიან წლებში განსაკუთრებული, მაგრამ დაუმსახურებელი პოპულარობით სარგებლობდა. მეორე ლახვარი მან მარლინსკის ჩასცა 1835 წელს სტატიაში „რუსული მოთხრობისა და გოგალის მოთხრობების შესახებ“. 1840 წელს ბელინსკიმ დასწერა დიდი სტატია „მარლინსკის თხზულებათა სრული კრებულის“ შესახებ, რომელიც მარლინსკის „გადამწვევტი გამოწვევა“ იყო. სტატია გათვალისწინებული იყო ფართო საზოგადოებისათვის. ბელინსკი ამ სტატიის შესახებ 1840 წლის 18 თებერვალს ვ. პ. ბოტკინს სწერდა: „სტატია მარლინსკის შესახებ არ მოგეწონება, მაგრამ ამიერიდან სწორედ ასეთ სტატიებს დავწერ, იმიტომ რომ მხოლოდ ასეთი სტატიები არის საზოგადოებისათვის მისაწვდომი და სასარგებლო“ („წერილები“, ტ. II, გვ. 42). სტატიამ თავის მიზანს მიაღწია: მარლინსკის დიდება „ერთ წუთში გაქრა“ (მ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. V, შენაშენა 77 და 82). 1847 წლის დამლევს ბელინსკიმ დასწერა მცირე რეცენზია „მარლინსკის თხზულებათა მეორე სრული კრებულის“ შესახებ (იქვე, ტ. XI, № 976), რომელშიაც უკვე დინჯი ტონით გაიმეორა მოკლედ ის. რასაც ლაპარაკობდა მარლინსკიზე 1834, 1835 და 1840 წლების სტატიებში.

¹⁰⁶ გვ. 113. ნიკოდიმ არისტარხის-ძე ნადოუშკო — ფსევდონიმი ნიკოლოზ ივანეს-ძე ნადეუდინისა, „ტელესკოპისა“ და „მოლვის“ გამომცემლისა, რომელიც ოციანი წლების დამლევს „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე გამოვიდა პუშკინის, ნ. პოლევისა და რომანტიკული სკოლის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე სტატიით. „ვესტნიკ ევროპის“ რედაქტორ პროფესორ მ. ტ. კაჩენოვსკის კვალდაკვალ, რომელიც პუშკინის, ნ. პოლევისა და რომანტიკული სკოლის მტერი იყო, ნ. ი. ნადეუდინი მკაცრად აკრიტიკებდა ნ. პოლევის და რომანტიკულ სკოლას (იხ. „ნილილისტების გუნდი“ „ვესტნიკ ევროპიში“, 1829, № 1 და 2) და პუშკინს ურჩევდა „დაეწვა გოდუნოვი და დაემთავრებინა ონეგინი“ („ვესტნიკ ევროპი“, 1830, № 7, გვ. 200). დისერტაციის დაცვისა და კათედრის მიღების შემდეგ ნ. ი. ნადეუდინი „გაბოეთხოვა მოხუცებს“, დაიწყო თავისი „ტელესკოპის“ გამოცემა და აზრი გამოთქვა „ბორის გოდუნოვის“ სასარგებლოდ („ტელესკოპი“, 1831, ნაწ. I, № 4, გვ. 546 — 574). — სიტყვება: „თიხის

ფეხებით" და "ნე! ხე! ხე!" აღებულია ნ. ი. ნადევდინის სტატიიდან, რომელშიაც იუმორისტულად არის მოთხრობილი, თუ როგორ წავიდა ნადრუმკო მოსკოვის ერთ-ერთ მასკარადზე ("მოლოვა", 1831, № 4).

¹¹⁷ გვ. 113. სტრიქონები ვ. ა. ქეკოვსკის ლექსიდან „მომღერალი რუს მხელართა ბანაკში“.

¹¹⁸ გვ. 114. ეს ბუნდოვანი ადგილი ადვილად იშიფრება: ბელინსკის „სინდისი ნებას არ აძლევდა ხობა შეესხა“ რომელმე ქურნალისათვის და „სამართლიანად არ მიეგო“ ნ. ა. პოლევის „მოსკოვსკი ტელეგრაფი-საივი“. ოციანი წლების მეორე ნახევრის საუკეთესო ქურნალისათვის, რომელიც 1834 წლის 3 აპრილს უმალესი განკარგულებით იქნა აკრძალული, რადგან მასში დაიბეჭდა უარყოფითი გამოხმაურება ნ. ქუკოლნიკის ულტრაპატრიოტულ დრამაზე „უზენაესის ხელმა იხსნა მამული“, და ამ ქურნალსა და მის გამომცემელზე ერთხანს პრესაში ლაპარაკი არ შეეძლებოდა.

¹¹⁹ გვ. 116. 1830 წელს შესწავიტეს თავისი არსებობა შემდეგმა ორგანოებმა: „სლავიანი“, „რუსსკი ზრიტელ“, „ვესტნიკ ეეროპი“, „ატენი“, „მოსკოვსკი ვესტნიკ“. „ზაისკი დღია სელსკიხ ხოზიაევ“, „ნოვი მაგაზინ ესტრეტენნიი ისტორიი“, „ვედომოსტ ო სოსტოიანიი გოროდა მოსკვი“. „დეტსკი დრამატიჩესკი ვესტნიკ“, და დროებით შეაჩერეს „რეტეისტენნიე ზაისკი“ და „გალატეია“.

¹²⁰ გვ. 117. მ. ტ. კაჩენოვსკის მხარეზე იყვნენ სტანკევიჩის წრის წევრები და საერთოდ ოცდაათიანი წლების დასაწყისის სტუდენტი ახალგაზრდობა. იხ. შენიშვნა 57 „ლიტერატურული ოცნებებისადმი“.

¹²¹ გვ. 117. თარგმანი: „ყველას თავისი უნდა მიეზღოს“. ქვემოთ მოყვანილია სტრიქონები ი. ა. კრილოვის იგავარაკიდან „ლღავი და კატა“.

¹²² გვ. 118. იგულისხმებოდა ნ. ი. გრეჩისა და ფ. ბ. ბულგარინის გამოცემები: „სინ ოტეჩესტვა“ (1812 წლიდან). „სევერნი არხივ“ (1822 წლიდან) და „სევერნაია პჩელა“ (1825 წლიდან).

¹²³ გვ. 119. იხ. ზემოთ შენიშვნა 80.

¹²⁴ გვ. 119. „ნიკანდრ სვისტუშკინი“ — ფ. ბ. ბულგარინის პამფლეტი, რომელიც მიმართულია პოემების: „ბოშების“ („ურჩიების“) და „ავაზაი მშების“ („ქურდების“) ავტორის — პუშკინის წინააღმდეგ.

¹²⁵ გვ. 123. ბეზგლასნი — ვ. თ. ოდოევსკის ფსევდონიმი.

¹²⁶ გვ. 124. აშკარა ნართაული მ. ნ. ზავოსკინის რომანებზე: „ოური მილოსლავსკი, ანუ რუსები 1612 წელს“ და „როსლავლევი, ანუ რუსები 1812 წელს“.

¹²⁷ გვ. 126. სიტყვებით: „უცხოელი ნაშვირნი და გაძევრები“ და „წერილფეხა მატყუარები და თადლითები“, ბელინსკი სასტიკ ლახვარს სცემდა ფ. ბ. ბულგარინს, რომელიც ეროვნებით პოლონელი იყო ასეთი ეპითეტებით იგი უკვე შეამკო პუშკინსაც ეპიგრამებში და სტატიამი —

„რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ბულგარინის ნეკზე და სხვა რამეზე“.

¹¹⁸ გვ. 127. გადაკვრივ ნათქვამია იმაზე, რომ რომანი „პეტრე ვიეიგინი“, რომან „ივანე ვიეიგინთან“ შედარებით, რომლის გაგრძელებაც ის იყო. ძალიან ძნელად საღებოდა.

¹¹⁹ გვ. 127. ორმოციან წლებში ბელინსკი მკვეთრად უარყოფითად ეკიდებოდა მ. პ. პოგოდინის მოთხრობებს. „1843 წლის რუსულ ლიტერატურაში“ იგი სწერდა: „მაგრამ მივმართოთ რუსული ლიტერატურის ოციან წლებს... იმ დროის კაზმული პროზის სიღარიბის დასახასიათებლად რამდენიმე სიტყვით, საკმარისია მხოლოდ შევნიშნოთ, რომ ერთი მოსკოველი სწავლულის მოთხრობებიც კი. ფანტაზიას სრულიად მოკლებულნი, ნიჭით ლატაენი, გრძობის გულქვა სიმშრალითა და ცნებებისა და გამოთქმების უხეში ცინიზმით მდიდარნი, ბევრს და ძალიან ბევრს მოსწონდა, თუმცა მაშინაც კი ბევრი დასცინოდა ნიჭისა და პოეზიის უკანონო დაჩემების ამ საცოდავ ქმნილებებს“ (თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვას რედაქციით, ტ. VIII, გვ. 371).

¹²⁰ გვ. 129. ბელინსკის ამ შენიშვნას ჟურნალის ტექსტში მისდევს გამომცემლის, ესე იგი ნ. ი. ნადეჟდინის შენიშვნა: „...მასვე ვაცხადებთ ბ-ნ მევევიჩის სახელით, რომლის სტატიაში ეს სიმღერა მიკუთვნებულია მერზლიაკოვისადმი ვარსკვლავის გადასმის მიზეზით გამ.“ — ვ. ს. მევევიჩმა ი. ი. ლაფჩინიკოვის აღნიშნული სიმღერა მიაწერა ა. თ. მერზლიაკოვს სტატიაში ი. ს. პენინსკის „ქრესტომათიის“ გამო („მოლვა“, 1834, № 44). ვ. ს. მევევიჩის შემდეგ ბელინსკიმ ამ სიმღერის ოთხი სტრიქონი მოიყვანა ა. თ. მერზლიაკოვის „შეფასებისას“ („მოლვა“, 1834, № 49). ი. ი. ლაფჩინიკოვმა ამის გამო „მოლვის“ 1834 წლის 51-ე ნომერში მოათავსა შენიშვნა „წერილიდან „გამომცემლისადმი“, რომელშიაც სწერდა: „მე მას (ვ. ს. მევევიჩს) ვუსაყვედურე, რომ მან... ჩემი ლიტერატურული საკუთრება მიაწერა მერზლიაკოვს, სახელდობრ სიმღერა: „ტკბილად გალობდა ბულბული“... მწყინს, რომ ეს (შეცდომა) კინაღამ განმეორდა „ტელესკოპის“ („მოლვის“) № 49-ში ამ სიმღერის კუპლეტის მოთავსებით იხვე მერზლიაკოვთან“ (იხ. ზემოთ, გვ. 75, შენიშვნა 63). ი. ი. ლაფჩინიკოვის აი სწორედ ამ შენიშვნით იყო გამოწვეული ბელინსკისა და ნ. ი. ნადეჟდინის აქ მოყვანილი ტექსტქვეშა შენიშვნები.

¹²¹ გვ. 131. ი. ი. ლაფჩინიკოვის „ახალი რომანი“ — „ეინულის სახლი“. მისი ნაწყვეტი, სათაურით „ენა“, დაიბეჭდა „ტელესკოპში“ (1834, ნაწ. XX) ბელინსკის ამ სტატიაზე ცოტა ხნით ადრე.

¹²² გვ. 131. „ბეზგლახნი“ და „ზ. ხ. ჩ.“ — ვ. თ. ოდოევსკის ფსევდონიმები.

¹²³ გვ. 131. ბელინსკი დიდხანს ელოდა შემთხვევას, რათა ვ. თ. ოდოევსკის მთელი მოღვაწეობის ზოგადი და დაწვრილებითი შეფასება მოეცა. 1838 წელს იგი სწერდა: „რადგან ამას წინათ პეტერბურგის ერთ

ეურნალში წავიკითხეთ სასიამოვნო ცნობა, რომ თავ. ოდოევსკი სცემს თავის თხზულებათა სრულ კრებულს, ამიტომ ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ მომავალში თვალი გადავავლოთ ამ დღემდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლიტერატურულ მოღვაწეობას, როგორც რაღაც მთელს, და მთლიანად განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა და ღირსება“ (თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. III, გვ. 324). მაგრამ ვ. თ. ოდოევსკი აყოვნებდა თავის თხზულებათა გამოცემას. და ბელისკი 1840 წელს ამის გამო სწერდა: „ძალიან სამწუხაროა, რომ თავადი ოდოევსკი დღემდე აყოვნებს თავის თხზულებათა გამოცემას. რომლებიც გაფანტულია ეურნალებსა და ალმანახებში. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა დაგვენახა, რა დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ რუსულ ლიტერატურაში“ (იქვე, ტ. VII, გვ. 517). 1843 წლის დამლევს ბელისკიმ შეიტყო, რომ გამოცემა მალე გამოქვეყნდებოდა, და დაჩქარებით განაცხადა, რომ მას მალე „შემთხვევა ექნება უფრო დაწვრილებით ილაპარაკოს“ თავად ვ. თ. ოდოევსკის თხზულებებზე (იქვე, ტ. VIII, გვ. 378). „თავად ვ. თ. ოდოევსკის თხზულებანი“ გამოვიდა 1844 წელს. მათ შესახებ ბელისკიმ, ბოლოს, დაწერა დაწვრილებითი სტატია და მასში გადმოსცა თავად ოდოევსკის ზოგადი შეფასება, რასაც დიდხანს პირდებოდა. მთელი სტატია გამსჭვალულია ოდოევსკისადმი ღრმა პატივისცემით. ეს გასაგებობაა. ვ. თ. ოდოევსკიმ, როგორც შელინგელმა, თავისი პირველი ნაწარმოებებით ოცდაათიან წლებში დიდი გავლენა მოახდინა ბელისკიზე. რომელიც თვითონ აღიარებდა, რომ თავად ოდოევსკის აპოლოგებს ახალგაზრდობა მაშინ კითხულობდა „ხარბად. და ამ კითხვის ნაყოფი კეთილი იყო“. იგი ამას ამბობდა „საკუთარი გამოცდილებით“ (იქვე, ტ. IX, გვ. 9). გარდა ამისა, თავადი ოდოევსკი ბელისკის მხრივ პატივისცემას იწვევდა იმითაც, რომ იგი მისი საიმედო თანამოსაგრე იყო ფ. ბ. ბულგარინისა და ნ. ი. გრეჩის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი ერთმანეთს პირადად გაეცნენ 1839 წლის დამლევს, როდესაც ბელისკი საცხოვრებლად გადავიდა პეტერბურგში. ი. ი. პანაევი თავის მოგონებებში ამბობს, რომ ბელისკი მუდამ სასურველი სტუმარი იყო თავად ოდოევსკის სალონებში, რომელიც ჯავრობდა კიდევ, როცა კრიტიკოსი დიდხანს არ მიდიოდა ხოლმე ჭანთან (ი. ი. პანაევის თხზულებათა პირველი სრული კრებული, ტ. VI, სპ. 1888, გვ. 302 — 305). სამოციანი წლების დამდეგს, პასუხად თავად ვიანემსკის ლექსისა: „სასაცილო და საცოდავია ბელისკი“, ვ. თ. ოდოევსკიმ შემდეგნაირად დაახასიათა ბელისკი, როგორც ფილოსოფოსი: „ბელისკი იყო ერთ-ერთი უმაღლესი ფილოსოფიური არსება, როგორსაც კი ოდესმე შევხვედრივარ ცხოვრებაში. მასში შეერთებული იყო კანტი, შელინგი და ჰეგელი, და ეს იყო შეერთება საყესებით ორგანული, რადგან მას არც ერთი მათგანი არ წაუეითხავს... ყოველთვის, როდესაც ჩვენ ბე-

ლინსკის ვხვდებოდით (ეს იშვიათი იყო), ჩვენ მას სასტიკად ვედავებოდით, მაგრამ არ შეიძლებოდა არ გავკვირვებულყოყავ, როგორ ავითარებდა იგი ნატურალური სკოლის (Naturphilosophie) პრინციპების ზერელე ცოდნიდან sui generis მთელ ორგანულ ფილოსოფიურ სამყაროს. ბელინსკი, რომელსაც ოდნავი წარმოდგენა თუ ჰქონდა მხოლოდ შელინგზე. თავისთავად მივიდა მისთვის უცნობ ჰეგელამდე, ე. ი. ბელინსკიში დამოუკიდებლად მოხდა ის გადასვლა, რომელიც ფილოსოფიურ სამყაროში მოხდა ჰეგელის გამოსვლით შელინგის შემდეგ. ბელინსკის მოწინააღმდეგენი ტყუილად უსაყვედურებენ მას, რომ მას არ ესმოდა ჰეგელი. არა იგი ჰეგელს სრულებით არ იცნობდა, მაგრამ დაუახლოვდა მას, სწორედ ისევე, როგორც მათემატიკოსი, რომელიც არ იცნობდა მეორე მათემატიკოსის შრომებს, დასკვნებში მას უახლოვდებოდა მხოლოდ მოცემული თეორემის განვითარებით. ბელინსკის უბედურება ის არის, რომ ცხოვრებას ვითარებამ მას სწორი განვითარების საშუალება არ მისცა. ჩვენში ბელინსკის სწავლა არსად არ შეეძლო, ჩვენი უნივერსიტეტების რუტინიზმი ვერ დააკმაყოფილებდა მის უაღრესად ლოგიკურ კვლას. ჩვენი უნივერსიტეტების დიდი ნაწილის უგვანობა მასში მხოლოდ ზიზღს იწვევდა. ბელინსკი ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც ჩვენში ხშირად გამოდიან და რომლებიც სხვა ვითარებაში თავიანთ ასპარეზს ევროპის მეცნიერულ წრეში აღბეჭდავდნენ, მაგრამ რომლებიც ან ჩაეარდნენ, ანდა რომელთა ძალა, როგორც უდროო დროს შეჩერებული მანქანის ძალა, უკუ მოქმედებას იღებს და თვით მანქანას ამსხვრევს. ასეთი ადამიანები კმ არ უნდა გავკიცხოთ, არამედ უნდა ვწუხდეთ, რომ ისინი ცუდ დროს მოგვევლინენ“ („რუსსკი არხი“, 1874, წიგნი I, გვ. 339 — 342. — ს. აშევესკი, „ბელინსკი მის თანამედროვეთა შეფასებით“, გვ. 130 — 132. — პ. ნ. საკულინი, „თავადი ვ. თ. ოლოვესკი“, ტ. I, ნაწ. 2. მ. 1913, გვ. 416 — 424).

¹²⁴ გვ. 131. კავშირი „რომ“, რაც ჩვენ სწორ ფრჩხილებში ჩავესეთ, ეურნალის ტექსტში გამოტოვებულია.

¹²⁵ გვ. 133. იგულისხმებოდა ნ. ი. გრეჩის სტატია ლომონოსოვზე, დაბეჭდილი „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“ სტატიის სიმშრალე და სიმციერე იმით აიხსნებოდა, რომ იგი გათვალისწინებული იყო არა ეურნალისათვის, არამედ „ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის“, რომლის გამოცემა დაიწყო ა. ა. პლიუშარმა 1835 წლის დამდეგიდან.

¹²⁶ გვ. 134. სტრიქონები ლომონოსოვის ოდიდან „ფიქრები საღამოეამს ღმერთის დიდებაზე“.

¹²⁷ გვ. 135. განთქმული ადგილი პუშკინის ლექსიდან „წიგნით მოვაქრის საუბარი პოეტთან“.

¹²⁸ გვ. 136. მას შემდეგ. რაც დაიბეჭდა სტატია „სალი აზრი და ბარონი ბრამბელსი“, რომელიც ნ. ი. ნაღვედინს ეკუთვნოდა, „პატივეცე-

მელი ბარონი ჯერ მიყუხდა, მერმე კი შეუდგა ზნეობის ქადაგებას ბ-ნ ბულგარინის ყაიდაზე“ (იხ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. I, გვ. 448 — 449).

¹²⁹ გვ. 139. ს. ა. ვენგეროვი მართებულად ხედავდა აქ ნართაულს ნ. ვ. სტანკევიჩზე, რომელიც მთელი გატაცებით სწავლობდა გერმანულ ფილოსოფოსებს და უხალისოდ ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს (მდრ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 449).

¹³⁰ გვ. 140. „განთქმული დიდებული“ — სახალხო განათლების მინისტრი ს. ს. უვაროვი, რომელმაც 1832 წელს იწახულა მოსკოვის უნივერსიტეტი. ს. ა. ვენგეროვმა მოსაზრება გამოსთქვა, რომ სტრიქონები, სადაც შექებულია მთავრობა და „განთქმული დიდებული“, რაც ასე ეწინააღმდეგება ბელინსკის მთელ ზნეობრივ სახეს, მის სტატიაში ჩამატებულია „მოღვის“ რედაქტორ-გამომცემელ ნ. ი. ნადეჟდინის მიერ (მდრ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. I, გვ. 426).

„ზნეობრივი ფილოსოფიის სისტემის ცლა“

¹ გვ. 143. ბელინსკის სტატია ა. დროზდოვის ბროშურაზე პირველად დაიბეჭდა „ტელესკოპში“. 1835, ნაწ. XXX, № 24. ნომერი დიდი და გვიანებით გამოვიდა — მხოლოდ 1836 წლის ოქტომბერში. ამ გამოცემაში სტატია იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით, მაგრამ გამოტოვებულია დამასრული, სადაც მოყვანილია დიდი ამონაწერები დროზდოვის წიგნიდან მისი რელიგიური მსჯელობით ზნეობაზე.

1836 წლის აგვისტოს მეორე ნახევრიდან შუა ნოემბრამდე ბელინსკი სტუმრად იყო პრიამუხინოში, სადაც მ. ა. ბაკუნინმა მას გააცნო ფიხტეს ფილოსოფია. აქ ბელინსკიმ დაიწყო და 1836 წლის 13 სექტემბერს დაამთავრა სტატია ა. დროზდოვის ბროშურაზე და მასში ფიხტეანური შეხედულებანი გამოხატა. სტატია წაკითხულ იქნა პრიამუხინოელთა ოჯახის ახალგაზრდა წევრების წრეში და მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე (მდრ. ი. ა. კორნილოვი, „მ. ბაკუნინის ახალგაზრდობის წლები“, მ. 1915, გვ. 245). ეს ერთადერთი დაბეჭდილი სტატია, რომელშიაც გამოხატულია ბელინსკის ფიხტეანური შეხედულებანი, გამოქვეყნდა სრულიადაც არა იმ სახით, როგორც იგი კრიტიკოსმა დასწერა. „ტელესკოპის“ რედაქტორმა ნ. ი. ნადეჟდინმა სტატია თითქმის ორი მესამედით შეკვეცა. ამის გამო იგი ბელინსკის სწერდა: „მე გამოვტოვე თქვენი საყუთარი შეხედულებების ნახევარზე მეტი, რომლის დაბეჭდვის არაერთარი შესაძლებლობა არ არის. თქვენ, დიდად პატივცემულო, იდეათა სამეფოში განმარტობულმა, სავსებით დაიფიქვით სინამდვილის პირობები. თანაც ახლა დროც მეტად არახელსაყრელია. მე ძა-

ლიან მეშინია. მე-15 წიგნში მოთავსებულმა ჩ[აადაევის] წერილმა საშინელო ღრინაეული გამოიწვია მოსკოვში, არამზადა „ნაბლიუდატელთა“ წყალობით“ (ე. ი. „მოსკოვსკი ნაბლიუდატელის“ გამომცემელთა წყალობითო). (იქვე, გვ. 243.—244). — პრიაშუხინოში ბელინსკიმ დასწერა კიდევ ერთი დიდი სტატია, მაგრამ იგი სრულებით არ გამოქვეყნებულა, რადგან იგი შეიძლებოდა მხოლოდ „ტელესკოპში“ გამოქვეყნებულიყო, „ტელესკოპი“ კი აკრძალეს. — ეპიგრაფის თარგმანი: „პატარა წიგნო, გასწი თუნდაც დაუმუშავებლად“. ოვიდიუს ნაზონის „სეველა“.

² გვ. 143. ვფიქრობთ, რომ „მეცნიერების პროფანებად“ აქ იგულისხმებოდნენ ს. პ. შევირიოვი და თ. ი. სენკოვსკი, რომლებზეც ამაზე ხუთი თვით ადრე ბელინსკი აშკარად სწერდა: «„მოსკოვსკი ნაბლიუდატელი“ (ე. ი. შევირიოვი) ქადაგებს დარბაისლობასა და ელეგანტურობას ლიტერატურაში, ხელოვნებას და ლიტერატურას უყურებს მაღალი წრის თვალსაზრისით. „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“ (ესე იგი თ. ი. სენკოვსკი) იმ აზრს ავითარებს, რომ გონება-ქვერეტითი ცოდნა და ყველაფერი, რაც გამსქვალულია იდეით, არა მხოლოდ უსარგებლოა. არამედ საზიანოც არის, რომ გერმანული ფილოსოფია ბოდვია» (თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. II, გვ. 513).

³ გვ. 147. ვფიქრობთ, რომ აქ შეცდომით არის დაწერილი ან დაბეჭდილი. ფრაზის აზრი უფრო მოითხოვს შემდეგს: „სრული დაღუპვა“.

⁴ გვ. 149. ნაგულისხმევი იყო ვ. პ. ანდრეევის სტატია სათაურით: „როგორ სწერენ კრიტიკას“ („მოსკოვსკი ნაბლიუდატელი“, 1836. ნაწ. VI), რომელშიც ავტორი თ. ი. სენკოვსკის თავდასხმებისაგან იცავდა ს. პ. შევირიოვის წიგნს „პოეზიის ისტორია“.

⁵ გვ. 150. ნართაული „მოსკოვსკი ნაბლიუდატელზე“, სადაც 1835 — 1837 წლებში მთავარ კრიტიკოსად იყო ს. პ. შევირიოვი.

წერილი დ. პ. ივანოვს 1837 წ. 7 აბგვისტოს თარიღით

¹ გვ. 155. ა. ნ. პიპინმა 1870-იანი წლების დამდეგს, როცა ბ. გ. ბელინსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამოკვლევას იწყებდა, ამ უკანასკნელის ნათესავეებსა და მეგობრებს მიმართა თხოვნით — გაეგზავნათ მისთვის კრიტიკოსის წერილები, რომლებიც მათთან ინახებოდა. მიმართვას ღიდი თანაგრძნობით შეხვდნენ. მოკლე ხნის შემდეგ ა. ნ. პიპინმა მიიღო ბ. გ. ბელინსკის დიდძალი წერილები, ნაწილი დედნების და ნაწილი კიდევ — პირების სახით. დედნებიდან, რომლებიც უკანვე უნდა დაბრუნებინათ, ზუსტი პირები გადაიღეს.

ღროთა ვითარებაში ამ პირებმა, რომლებიც ა. ნ. პიპინმა და კრიტიკოსის ადრესატებმა გადაიღეს, უდიდესი ღირებულება მიიღო. რადგან მრავ

ვალი წერილის ორიგინალი ან დაიკარგა, ანდა ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ეს პირების კრებული მთლიანად გამოიყენა ა. ნ. პიპინმა თავის შრომაში: „ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“, მერმე კი იმ წერილებთან ერთად, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა ა. ნ. პიპინის შრომამდე და მისი დაბეჭდვის შემდეგ, ეს კრებული საფუძვლად დაედო ბ. გ. ბელინსკის „წერილებს“, რომლებიც 1914 წელს გამოიცა 3 ტომად ე. ა. ლიაცკის რედაქციით. ცენზურის მიერ ამოგდებული და ინტიმური ხასიათის ადგილები, აგრეთვე პრესაში სახმარად უხერხულო სიტყვები და გამოთქმები ამ „წერილებში“ შეცვლილია წერტილებით. მაგრამ ამ გამოცემის რამდენიმე ეგზემპლარი, როგორც „საკორექტურო ეგზემპლარები“, გამოსულა სრულად შეუშოკლებლად.

ერთ-ერთი ასეთი ეგზემპლარი ინახება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის „განსაკუთრებულ ფონდების განყოფილებაში“. ბელინსკის წერილების ის პირები, რომლებიც ა. ნ. პიპინმა გადაიღო და შეკრიბა და რომელთა მიხედვით დაიბეჭდა „წერილები“, ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც დაკრულია ა. ნ. პიპინისა და ე. ა. ლიაცკის არქივები.

ბელინსკის 1837 წლის 7 აგვისტოს წერილი დ. პ. ივანოვისადმი ა. ნ. პიპინმა მიიღო ა. ვ. სტანკევიჩისაგან და მისი დიდი ამონაწერები შეიტანა თავის შრომაში „ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“ (სპბ. 1876). მთლიანად ეს წერილი პირველად დაიბეჭდა ა. ნ. პიპინის კრებულის ტექსტის მიხედვით „წერილებში“, რომლებიც 1914 წელს გამოვიდა (ტ. I). ამ გამოცემაში იგი იბეჭდება შემოკლებული სახით „წერილებს“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით.

² გვ. 159. „რუსეთის წარღვნისწინაღობის დიდი ისტორიისადმი“ ბელინსკის ამ უარყოფით დამოკიდებულებაში იგრძნობა ისტორიკოს-სკეპტიკოსის მ. ტ. კაჩენოვსკის გავლენა (იხ. ამ გამოცემაში „ლიტერატურული ოცნებანი“, გვ. 62, შენიშვნა 57).

³ გვ. 162. თარგმანი: ლამენე — „მორწმუნის სიტყვა“.

⁴ გვ. 167. წერილი დ. პ. ივანოვისადმი 1837 წლის 7 აგვისტოს თარიღით, ეკუთვნის გარდატეხის პერიოდს ბელინსკის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ევოლუციაში. იგი თვალს აპყრობს გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, რომელსაც „უაწლესი კაცობრიობის იერუსალიმს“ უწოდებს. თუმცა ბელინსკი ჯერ კიდევ მაინც ფიხტეს სუბიექტური იდეალიზმის გავლენას განიცდის და ძირითად ფილოსოფიურ საკითხს — აზროვნებისა და ყოფიერების ურთიერთობის საკითხს — მისი სულისკვეთებით სჭრის, მაგრამ იგი ამასთან ერთად ფიხტეზე შორს მიდის და აღწევს ჰეგელის იმ დასკვნამდე, რომ ნამდვილი ჰეგემონია არსებობს არა ჰერტაში, არამედ შემეცნებაში. შეგნებული აქვს რა მისი გარემომცველი რუსეთის ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ აბსტრაქტულ-თეორიული „ამბოხე-

ბის" უნაყოფობა, ბელინსკი მიდის ამ სინამდვილესთან დროებით შერიგებად. მაგრამ იგი აქაც არ ზღვება ამ სინამდვილის აპოლოგეტად. მას იმედი აქვს, რომ განათლებისა და ცივილიზაციის განვითარება რუსეთში თანდათან მოამზადებს ბატონყმობის დაცემას. ბელინსკი დიდად აფასებს პეტრე დიდის გარდაქმნებს და სურს მაშინდელი რუსეთის განვითარება დასავლეთ ევროპის გზით.

წერილი მ. ა. ბაკუნინს 1838 წლის 12—24 ოქტომბრის თარიღით

¹ გვ. 167. ბელინსკის მიერ მ. ა. ბაკუნინისათვის 1838 წლის 12 — 24 ოქტომბერს გაგზავნილი წერილის ნაწყვეტები დაიბეჭდა ა. ნ. პიპინის შრომაში („ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერა-მოწერა“, სპბ. 1876), ვ. ა. გოლცევის შრომაში („რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საზოგადოების კრებული“, 1891), ა. ა. კორნილოვის შრომაში („მიხეილ ბაკუნინის ახლგაზრდობის წლები“, მ. 1915) და სხვა შრომებში. ეს წერილი მთლიანად პირველად დაიბეჭდა 1914 წელს გამოსულ „წერილებში“ ა. ნ. პიპინის კრებულის ტექსტის მიხედვით. ამ ტომში იგი შემოკლებული სახით იბეჭდება 1914 წელს გამოსული „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. ამ გამოცემაში წერილი დ. პ. ივანოვს 1837 წლის 7 აგვისტოს თარიღით, შენიშვნა 1).

² გვ. 168. „ზეინკლის ცოლი პომლეკინა“ — გოგოლის „რევიზორის“ პერსონაჟი.

³ გვ. 168. „თეკლე“ — გმირი ქალი შილერის პიესებისა: „ვალენშტაინის სიკედილი“ და „პიკოლომინი“.

⁴ გვ. 168. „ორლეანელი ქალი“ — „ორლეანელი ქალწული“, შილერის დრამატული პოემა.

⁵ გვ. 169. ი. ი. პანაევისადმი წერილში, რომელიც დაწერილია 1839 წლის 19 აგვისტოს, ე. ი. წინამდებარე წერილიდან ათი თვის შემდეგ, ბელინსკი „ფაუსტის“ მე-2 ნაწილის გაგების შესახებ აპობობდა: „ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, გასულ შემოდგომაზე, როცა „ფაუსტის“ მე-2 ნაწილის შინაარსიდან ზოგი რამ გავიგე, ჩემთვის დამახასიათებელი გულახდილობით ხმამაღლა განვაცხადე, რომ ეს მე-2 ნაწილი ზოგჯერ არ არის, არამედ მშრალი, მკვდარი, დამპალი სიმბოლისტიკა და ალეგორიკა. თავდაპირველად მე ისე მიყურებდნენ, როგორც ღვთისმგმობელს, შემდეგ კი — როგორც გიყს, რომელიც ცრუობს იმას, რაც უსაქმო თავში მოუვა. ჰეგელისტების ახალმა თაობამ დააარსა ჟურნალი... „Gallische Jahrbücher“, და ამ ჟურნალში გოეთეს შესახებ გამოქვეყნდა ვილჰელმ ჰეგლისტ ფიშერის სტატია, რომელშიაც იგი ამტკიცებს, რომ „ფაუსტის“

მე-2 ნაწილი მკვდარი, უხამსი სიმბოლისტიკაა და არა პოეზია, მაგრამ რომ 1-ლი ნაწილი დიადი ნაწარმოებია, თუმცა მასშიც არის გაუგებარი და ამიტომ არაპოეტური ადგილები, რადგან (და ამასვე ვამბობდი მეც) პოეზია მისაწვდომია უშუალო ესთეტიკური გრძნობისთვის, და მხატვრულ ნაწარმოებთა გასაგებად სრულებით საჭირო არ არის ფილოსოფიის საიდუმლოებათა ცოდნა, და რომ ყველაფერი ის, რაც იქ გაუგებარია, სიმბოლიზმისა და ალეგორიის სფეროს ეკუთვნის. ფიშერი არჩევს „ფაუსტის“ ყველა განხილვას და უღობილად დასცინის მათ... ყველაზე მეტად ჩაიკრა მარბახი, რომელმაც თავის მართლაც მშვენიერ პოპულარულ წიგნში ისეთი სისულელე მოჩმახა „ფაუსტის“ მე-2 ნაწილის შესახებ, რომ ბოტკინმა, რომელმაც მშვენიერად სთარგმნა მისი დიდი ნაწყვეტი, ვერაფერი ვერ გაიგო... როგორ ჩაიკრნენ ბიჭები? და რა ყოჩაღი ვარ მე!“ („წერილები“, ტ. I, გვ. 333 — 324).

⁶ გვ. 171. „კარგი ბიჭი“ სტანკევიჩის წრის წევრთა შორის შეურაცხმყოფელი ტერმინი იყო ფინტანობის პერიოდში და შემდეგ. იგი მათთვის ნიშნავდა ბრბოს ადამიანს, რომელიც კეთილ ან ბოროტ საქმეს სჩადიოდა შეუგნებლად.

⁷ გვ. 172. „ჩემი ეურნალი“ — „მოსკოვსკი ნაბლიუდატელი“, რომელიც 1838 — 1839 წლებში გამოდიოდა ბ. გ. ბელინსკის რედაქციით.

⁸ გვ. 173. „მე აღარ ვიქნები, მაშინ იკმარებს უფრო დიდი წინსვლისათვის“ — ასეა ნათქვამი 1914 წელს გამოცემული „წერილების“ ტექსტში. აქ, ეტყობა, რაღაც გამოტოვებულა.

გვ. 174. გადაკეთებული სტრიქონი პუშკინის — ელევგიიდან“.

¹⁰ გვ. 175. ლაპარაკი იყო ლუბა ალექსანდრეს ასულ ბაკუნინაზე, რომელიც 1838 წლის აგვისტოში გარდაიცვალა.

¹¹ გვ. 177. თარგმანი: „მოქეიფე“ და — კარგი ამხანაგი“.

¹² გვ. 179. ა. მ. ბაკუნინის თანდასწრებით ბელინსკიმ მოიწონა კონვენტის დროის ფრანგი რევოლუციონერები, რომლებიც თავიანთ მტრებს თავს ჰკეთდნენ. ამან საშინლად შეაძრწუნა რეაქციულად განწყობილი მოხუცი ბაკუნინი, რომელიც ამ ფრანგის შემდეგ მხოლოდ სტუმართმოყვარეობის გრძნობის გამო ითმენდა თავის სახლში ბელინსკის.

¹³ გვ. 180. ტატიანა ალექსანდრეს ასული და ლუბა ალექსანდრეს ასული — ბაკუნინის დები. პირველი სტატია, რომელიც ბელინსკიმ პრიაშუხინოში დასწერა, იყო სტატია ა. დროზდოვის ბროშურაზე. მეორე სტატია არ გამოქვეყნებულა. რადგან „ტელესკოპი“. სადაც მისი დაბეჭდვა შეიძლებოდა, აკრძალულ იქნა მასში პ. ი. ჩაადაევის პირველი „ფიზიოლოგიური წერილის“ მოთავსების გამო. ამ სტატიის ხელნაწერს ჩვენამდე არ მოუღწევია.

¹⁴ გვ. 187. ი. პ. კლიუშნიკოვი ლაპარაკობდა მ. ა. ბაკუნინის მკვლე გაელენის შესახებ მის დებზე. ამავე აზრის იყო ბელინსკიც.

წერილი ნ. ვ. სტანკევიჩის 1839 წლის 29 სექტემბრის —
8 ოქტომბრის თარიღით

¹ გვ. 189. ნ. ვ. სტანკევიჩისადმი ბელინსკის 1839 წლის 29 სექტემბრის — 8 ოქტომბრის წერილის ნაწყვეტები დაბეჭდილია ა. სტანკევიჩის შრომაში („ტ. ნ. გრანოვსკი“, მ. 1869; მე-2 გამოცემა, სპბ. 1897), ა. ნ. პიპინის შრომაში („ბელინსკი. მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“, სპბ. 1876) და სხვა შრომებში. წერილი ა. ნ. პიპინს აღებული აქვს ა. სტანკევიჩის კრებულიდან. პირველად იგი მთლიანად დაიბეჭდა ა. ნ. პიპინის ხელნაწერის მიხედვით, 1914 წელს გამოსულ „წერილებში“ (ტ. 1). წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ამ წერილის ნაწყვეტი „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. ამ გამოცემაში 1-ლი შენიშვნა დ. პ. ივანოვისათვის 1937 წლის 7 აგვისტოს. გაგზავნილი წერილისადმი).

² გვ. 189. ნ. ვ. სტანკევიჩის წერილმა ბელინსკისადმი, საიდანაც აღებულია ეს ციტატი, როგორც ჩანს, ჩვენამდე არ მოაღწია.

³ გვ. 189. დედანში სიტყვა „მოისურვებს“ გამოტოვებულია (ა. ნ. პიპინის შენიშვნა).

⁴ გვ. 190. ბელინსკის აქ მხედველობაში ჰქონდა თავისი სტატიები და რევენზიები. რომლებიც „ტელესკოპსა“ და „მოღვაში“ იყო მოთავსებული 1834 — 1836 წლებში.

⁵ გვ. 190. ლაპარაკია „მოსკოვსკი ნაბლიუდატელზე“. რომელიც 1838 — 1839 წლებში ბელინსკის რედაქციით გამოდიოდა. ეს იყო ნ. ვ. სტანკევიჩის წრეში შემავალ რუს ფილოსოფოს-ჰეგელიანელთა ორგანო.

⁶ გვ. 190. „ბაკუნინის სტატიად“ იგულისხმებოდა მ. ბაკუნინის წინასიტყვაობა მის მიერვე თარგმნილ ჰეგელის „გიმნაზიაში წარმოთქმული სიტყვებისადმი“, რომლებიც დაიბეჭდა „მოსკოვსკი ნაბლიუდატელში“ (1838, ნაწ. XVI, წიგნი 1). „გიმნაზიაში წარმოთქმული სიტყვები“ და მათდამი ბაკუნინის წინასიტყვაობა „წრის რწმენის სიმბოლო“ იყო.

⁷ გვ. 191. იგულისხმებოდა ი. პ. კლიუჩნიკოვის ლექსი: „სპილენძის მხედარი. ფიქრები პეტრე დიდის ძეგლთან“, რომელიც დაიბეჭდა „მოსკოვსკი ნაბლიუდატელში“ (1838, ნაწ. XVIII, წიგნი 10).

⁸ გვ. 192. თეკლე — პერსონაჟი შილერის პიესებისა: „ვალენსტიანის სიკვდილი“ და „პიკოლომინი“. ბერტა — ქალი, რომელიც ნ. ვ. სტანკევიჩს ემსახურებოდა საზღვარგარეთ.

⁹ გვ. 193. ამ ფრაზაში მრავალწერტილით აღნიშნულია საჯაროდ სახმარად უხერხული ორი სიტყვის გამოტოვება. „მერკურიალური შედეგები“ — ვერცხლის წყლით თანდათან მოწამვლის შედეგები.

¹⁰ გვ. 193. თარგმანი: „იდეალები“.

¹¹ გვ. 193. თარგმანი: „უარყოფა“.

¹² გვ. 193. თარგმანი: „ბრძოლა“.

¹³ გვ. 195. ნაცვლად „მათი ეტლებისა“ დედანში სწერია: „მისი ეტლებით“ (ა. ნ. პიპინის შენიშვნა).

¹⁴ გვ. 195. არა მარტო მ. ბაკუნინი, არამედ ბელინსკის მრავალი სხვა მეგობარიც უმეაყოფილო იყო იმ მკვეთრი გამოსვლებით შილერის წინააღმდეგ, რომლებსაც ბელინსკი ახდენდა სინამდვილესთან დროებითი შერიგების პერიოდში. ტ. ნ. გრანოვსკი, სხვათა შორის, ბელინსკიზე საყვედურს ამბობდა წერილში ნ. ვ. სტანკევიჩისადმი, რომელიც გრანოვსკის 1840 წლის 1 თებერვალს პასუხად სწერდა: „რას ჩაიციებიან ისინი შილერს? რა სიძულვილია ეს? ბრყივები! რადგან მათ არ ესმით, თუ რა არის სინამდვილე, ვფიქრობ, რომ ისინი პატივს სცემენ სიტყვას, რომელიც ჰეგელმა სთქვა. ხოლო თუ მათ შორის ჰეგელის ავტორიტეტი ძლიერია, მაშინ დე წაიკითხონ, თუ რას ამბობს იგი შილერზე „ესთეტიკაში“, სხვადასხვა ადგილას, აგრეთვე „ვალენშტაინზე“ მცირე თხზულებებში. ხოლო სინამდვილეზე დე წაიკითხონ „ლოგიკაში“, რომ სინამდვილე. ესეუალობის, გარეგანი ყოფიერების აზრით, არის შემთხვევითობა; რომ სინამდვილე, მის კეშმარტებში, არის გონება, სული. ხოლო თუ შილერი, მათი აზრით, არ არის სინამდვილის პოეტი, არამედ ბუნდოვანია, მაშინ მე მათ პოეტად დაუუსახავ სეეჩინს, რომელიც აღწერს: თუ როგორ „ორად გასჩეხა ბრძოლაში ზოგიერთი მათრახმა“ („ნ. ვ. სტანკევიჩის მიწერ-მოწერა“, მ. 1914, გვ. 486).

წარილი ვ. პ. ბოტკინს 1840 წლის 13 ივნისის თარიღით

¹ გვ. 196. ვ. პ. ბოტკინისადმი ბელინსკის 1840 წლის 13 ივნისის წერილის ნაწყვეტები პირველად მოთავსებულ იქნა ა. ნ. პიპინის შრომაში („ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“. სპბ. 1876). ა. ნ. პიპინმა წერილი გადმოიღო კ. სოლდატენკოვის კოლექტიიდან. სრული სახით იგი პირველად ა. ნ. პიპინის კრებულის პირის მიხედვით დაიბეჭდა 1914 წელს გამოსულ „წერილებში“. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ამ წერილის ორ ნაწყვეტი „წერილებს“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. ამ გამოცემაში წერილი დ. პ. ივანოვს 1837 წლის 7 აგვისტოს თარიღით, შენიშვნა 1).

² გვ. 196. იგულისხმებოდა დიდი სტატია ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ შესახებ. ამ სტატიას ბელინსკი სწერდა 1840 წლის მაისის მეორე ნახევარში და ივნისში და იგი დაიბეჭდა „ოტჩეხსტვენნიე ზაპისკის“ იმავე წლის მე-6 და მე-7 წიგნებში.

³ გვ. 199. სტრიქონები ლერმონტოვის ლექსიდან „ფიქრი“.

წერილი კ. ს. აქსაკოვის 1840 წლის 23 აგვისტოს თარიღით

¹ გვ. 200. ბელინსკის 1840 წლის 23 აგვისტოს წერილი კ. ს. აქსაკოვისადმი პირველად გამოქვეყნდა უჩრდალში „რუს“ (1881, № 8), საიდანაც გადაბეჭდილ იქნა 1914 წელს გამოცემულ „წერილებში“. ამ გამოცემაშიც ის „რუსის“ ტექსტის მიხედვით იბეჭდება.

² გვ. 200. სტრიჟონები ლერმონტოვის ლექსიდან: „შემიპყრო სევდამ და მოწყენამ“.

³ გვ. 201. მას შემდეგ, რაც ბელინსკი მოსკოვიდან პეტერბურგს გადავიდა, მისი ძმა ნიკანორი და ძმისწული პეტრე, რომელიც მასთან იზრდებოდა, დაბინავდნენ ბელინსკის ნათესავ და ბავშვობის მეგობარ დ. პ. ივანოვთან.

⁴ გვ. 201. „სერგეი ტიმოთეს-ძე“ — აქსაკოვი.

წერილი ვ. პ. ბოტკინის 1840 წლის 10 — 11 დეკემბრის
თარიღით

¹ გვ. 201. ბელინსკის 1840 წლის 10 — 11 დეკემბრის წერილი ვ. პ. ბოტკინისადმი ა. ნ. პიპინმა მიიღო კ. სოლდატენკოვის კოლექტიიდან და მისი დიდი ნაწყვეტები შეიტანა თავის ნაშრომში „ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“ (სპბ. 1876). მთლიანად პირველად, ა. ნ. პიპინის კრებულის ტექსტის მიხედვით, დაიბეჭდა 1914 წელს გამოცემულ „წერილებში“ („წერილები“, ტ. II, გვ. 178 — 194). წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ამ წერილის ნაწყვეტი „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. ამ გამოცემაში წერილი დ. პ. ივანოვს 1837 წლის 7 აგვისტოს თარიღით, შენიშვნა 1).

² გვ. 202. მრავალწერტილით აღნიშნულია საჯაროდ სახმარად უხერხული ერთი სიტყვის გამოტოვება.

³ გვ. 202. სინამდვილესთან შერიგების პერიოდში ბელინსკი ადამ მიცკევიჩის შეეხო ორჯერ. 1838 წელს. ფ. ბ. ბულგარინთან პოლემიკის დროს, რომელიც ცდილობდა დაემცირებინა პუშკინის დამსახურება, იგი სწერდა: „თუმცაღა, ჩვენ გვესმის, რაოდენ ძნელია ჩვენი შეთანხმება ბ-ნ ბულგარინთან შეხედულებაში პუშკინზე, რომელსაც, უპიკველია, და ფრიალ გასაგები მიზეზით, ჩვენთვის შეუდარებლად მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მიცკევიჩს“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. III, გვ. 376). და მეორეჯერ ის ადამ მიცკევიჩის წინააღმდეგ გამოვიდა სტატიაში „მენცელი, გოეთეს კრიტიკოსი“, რომელშიაც სწერდა: „მხოლოდ რომელიმე მიცკევიჩს შეუძლია ჩაიკეტოს პოლიტიკური სიძულვილის განსაზღვრულ გრძნობაში და შიატოვოს პოეტური ქმნილებანი გარითმული პამფლეტებისათვის“ (იქვე, ტ. IV, გვ. 466 — 467).

⁴ გვ. 202. მრავალწერტილით აღნიშნულია საჯაროდ სახმარად უხერხული სიტყვის დასაწისი.

⁵ გვ. 202. ბელინსკი „ქედმაღლურად, მედიდურად“ უაპარაკობდა გრიბოედოვის კოშეღიაზე დიდ სტატიაში პიესა „ვაჟ კკეთისგანის“ შესახებ. ეს სტატია მან დასწერა 1839 წლის დამლევს და 1840 წლის დამდეგს (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. V, გვ. 22 — 90).

⁶ გვ. 203. თარგმანი: „სამფეროვანი დროშით“.

⁷ გვ. 203. ფრაზა: „ეუკოვის სუნით აყროლებული იზმაილელი ოფიცერი“ (ე. ი. ეუკოვის ფაბრიკის თამბაქოს სუნით აყროლებული), ბელინსკის მოპყავს არა სავსებით ზუსტად. ი. ი. პანაევის მოთხრობაში „მშვენიერი ადამიანი“ ეს ფრაზა ასე იკითხება: „არმიის კაცი...—მთლიანად გაუღენთილო იყო ეუკოვის ვაკშტაფით“ (მღრ. ი. ი. პანაევის თხზულებათა პირველი სრული კრებული, ტ. I. სპ. 1888, გვ. 31 — 32).

⁸ გვ. 204. წერილის პირში სიტყვას „სილატაკეში“ გაკეთებული აქვს ა. ნ. პიპინის შენიშვნა: „მგონი, ასე უნდა იკითხებოდეს“.

⁹ გვ. 204. მრავალწერტილით აღნიშნულია საჯაროდ სახმარად უხერხული ერთი სიტყვის გაგრძელების გამოტოვება.

¹⁰ გვ. 204. 1838 წელს, ე. ი. სინადვილესთან შერიგების პერიოდში, ბელინსკი მკვეთრად უარყოფითად ეუურებდა პაინე-პროზაიკოსს. ბელინსკი მაშინ პაინეს შესახებ სწერდა: „საფრანგეთის უახლესი ლიტერატურული სკოლის გამბრუნელი სულისკვეთებით დასწეულებულმა, მან ამ სკოლისაგან გადაიღო ფუქსავატობა, ზერელობა მსჯელობაში, ურცხვობა, რომელიც მახილი სიტყვისათვის ამახინჯებს წმინდა კუშმარაიტებს“. მაგრამ იმავე დროს ბელინსკი მალა აყენებდა პაინე-ლირიკოსს, რომლის ლექსები „განირჩევა შინაარსის გამოუთქმელი სისადავით და მხატვრული ფორმის მშვენიერებით“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. III. გვ. 445).

¹¹ გვ. 205. კატოვი პეტერბურგს ჩავიდა 1840 წლის ზაფხულში.

¹² გვ. 205. „პორტრეტებად“ აქ იგულისხმებოდა ინგლისელი მწერალი ქალის ანა ჯემსონის თხზულება, მიძღვნილი შექსპირის ნაწარმოებთა გმირი ქალებისადმი. ვ. პ. ბოტკინმა ამ თხზულების შინაარსი გადმოსცა სტატიაში: „შექსპირის მიერ შექმნილი ქალები — იულია და ოფელია“. სტატია დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაისკიში“ (1841, ტ. XI, № 2).

¹³ გვ. 205. თარგმანი რიოტშერის სტატიისა სათაურით: „ოთხი ახალი დრამა, რომლებსაც შექსპირს მიაწერენ“, დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაისკიში“ (1840, ტ. XIII, № 11, განყ. II, გვ. 1 — 24). ლიუცია და ფლოუერდენი (თარგმანის ტექსტში — ფლოუერდალი) არიან გმირები ოთხიდან ერთ-ერთი დრამისა, რომლის სათაურია: „ლონდონელი უძღვები შვილი“.

¹⁴ გვ. 206. ა. ი. გერცენი გოეთეს რომანის შესახებ რიოტშერის მიერ

დაწერილი სტატიის წინააღმდეგ „უვიროდა“ მეგობრებთან პირად საუბარში. ასეთივე აზრი გამოსთქვა მან ამ სტატიის შესახებ წერილშიც ნ. პ. ოგარიოვისადმი 1841 წლის 28 თებერვლის თარიღით, რომელშიაც სწერდა: „ს. ამბობს, რომ შინ აღტაცებული ხარ რიოტშერის გარჩევით „Wahlverwandschaften“. მე კი ვფიქრობ, რომ იგი, ჯერ ერთი, იღვით ყალბია. მეორეც, თვალსაზრისით ყალბი და უზომოდ მოსაწყენია. გოეთე სრულებით არ ფიქრობდა დაეწერა მორალური იგავი, არამედ თავისთვის სწყვეტდა მტანჯველ საკითხს სულიერ თვისობასა და ქორწინების ფორმალიზმს შორის არსებული წინააღმდეგობის შესახებ. ქორწინებამ ვერ გაიმარჯვა გოეთეს ნაწარმოებში...“ (ა. ი. გერცენი, თხზულებებისა და წერილების სრული კრებული, მ. კ. ლემკეს რედაქციით, ტ. II. პეტროგრადი, 1915, გვ. 417).

¹⁵ გვ. 206. „ჰამლეტს“ საზოგადოება იცნობდა უმთავრესად ნ. პოლევოის თარგმანით (მ. 1837).

¹⁶ გვ. 208. თავისი „შეხედულება ეურნალზე რუსეთში“, რასაც დაეთანხმა ვ. პ. ბოტკინი, ბელინსკიმ გამოსთქვა ამ უკანასკნელისადმი წერილში 1840 წლის 31 ოქტომბრის თარიღით. ამ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი საზოგადოებისათვის ეურნალი ყველაფერია... არსად მსოფლიოში მას ისეთი უდიდესი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ჩვენში. არა უმეტეს ხუთი თხზულება გავრცელდა ჩვენში, ასი წლის განმავლობაში, 5000 ეგზემპლარის რაოდენობით, — და, იმავე დროს, არის ეურნალი, რომელსაც 5000 ხელმოწერილი ჰყავს! ეს რაღაცაა ნიშნავს! ეურნალმა შთანთქა ახლა ჩვენში მთელი ლიტერატურა. საზოგადოებას წიგნი არ უნდა, უნდა ეურნალები, და ეურნალებში მთლიანად იბეჭდება დრამები და რომანები, ხოლო ეურნალების თითოეული წიგნი ფუტს იწონის. ახლა ჩვენში ძალიან დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია: აწმყოსათვის და კიდევ უფრო მეტად მომავლისათვის, კათედრას, მაგრამ ეურნალს მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია, ვინაიდან ჩვენი საზოგადოებისათვის უწინარეს მეცნიერებისა საჭიროა აღამიანობა, ჰუმანური განათლება“ („წერილები“, ტ. II, გვ. 174).

¹⁷ გვ. 208. ვფიქრობთ, რომ უფრო მართებული იქნება ნაცვლად სიტყვებისა: „მათ სჯობს“, წაიკითხოთ: „ჩვენ გვჯობს“.

¹⁸ გვ. 208. წერილის პირში სიტყვას — „მას“ აქვს ა. ნ. პიპინის ტექსტქვეშა შენიშვნა: „გაუგებარია; მგონი, ასე უნდა იყოს“.

¹⁹ გვ. 208. თავის „აბსოლუტურ სტატიებად“ ბელინსკი ჰგულისხმობდა სტატიას „მენცელი, გოეთეს კრიტიკოსი“, სტატიას „ბოროდინოს წლისთავის ნარკვევების“ შესახებ და სტატიას „ვაი ჰეუსისაგანის“ შესახებ.

²⁰ გვ. 208. „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ 1840 წლის მეთორმეტე წიგნი ი. გერცენმა დაბეჭდა „ერთი ახალგაზრდის დღიურები“.

²¹ გვ. 208. წერილის პირში სიტყვას „აღამიანებთან“ ა. ნ. პიპინის მიერ გაკეთებული აქვს ასეთი შენიშვნა: „ბოლო არ არის. შესაძლოა, რომ ამას

ეკუთვნოდეს წერილის შემდგომი ნაწყვეტი, რომელსაც დასაწყისი არა აქვს. ეს შემდგომი ნაწყვეტი დაწერილია იმავე ხელით, ისეთსავე ქალღვრულზე, ოლონდ წინა წერილი დაწერილია საფოსტო ფურცელზე 4⁰, შემდგომი კი დაკეცილია 8¹-ად. ნაწყვეტში მოხსენიებულნი საგნები განმეორებულია 1840 წლის დეკემბრის წერილებში²⁹.

²⁹ გვ. 209. წერილის პირში ამ ნაწყვეტის დასაწყისს ა. ნ. პიპინმა გაუკეთა ასეთი შენიშვნა: „ამ ფურცელზე პირველი ორი ასოა МИ ან ШИ“.

³⁰ გვ. 209. აქ მრავალწერტილით აღნიშნულია საჯაროდ სახმარად უხერხული ერთი სიტყვის გამოტოვება.

³¹ გვ. 209. „კირიუშა“ — კირილე ანტონის-ძე გორბუნოვი, მხატვარი პორტრეტისტი, შემდეგში ავტორი ბელინსკის ცნობილი პორტრეტისა.

³² გვ. 210. ა. ვ. კოლცოვმა ბელინსკის ბინაში პეტერბურგს იცხოვრა 1840 წლის დაახლოებით 5 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე.

³³ გვ. 211. „დაევიწყნა მაროსეიკაც კი“ — ე. ი. ბინა ვ. პ. პოტკინისა, რომელიც ცხოვრობდა მაროსეიკაზე მოსკოვში.

³⁴ გვ. 211. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა „მოგეწონა“ დედანში არ არის (ა. ნ. პიპინის შენიშვნა).

³⁵ გვ. 211. ფრჩხილებში ჩასმული ნაცვალსახელი „მე“ დედანში არ არის (ა. ნ. პიპინის შენიშვნა).

³⁶ გვ. 212. საფუძვრებელია, რომ აქ ლაპარაკი იყო პატარა სტატიაზე სათაურით: „სურათების გამოფენა მოსკოვის საარქიტექტურო სასწავლებელში“. ეს სტატია დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ ხელმოწერით: „გამოფენის ერთ-ერთი მნახველი“ (1840, ტ. XIII, № 11. განყ. VII, გვ. 23 — 27).

³⁷ გვ. 212. უკანასკნელი შვიდი მწერლის გვარები დედანში ასეა: ვ. ს., კ., ბ., შ., გოეთ., პ., გ. (ა. ნ. პიპინის შენიშვნა).

³⁸ გვ. 212. „დედის“ ეპიზოდი „ფაუსტის“ მე-2 ნაწილიდან მოყვანილია შენიშვნაში რიოტშერის სტატიის („მხატვრული ნაწარმოების ფილოსოფიური კრიტიკის შესახებ“) მ. ნ. კატკოვისეული თარგმანისადმი („მოსკოვსკი ნაბლუდატელ“, 1838, ნაწ. XVII).

³⁹ გვ. 212. შემდეგ გამოტოვებულია ერთი სიტყვა. რომლის საჯაროდ ხმარება უხერხულია.

რეცენზია ანსილიონის წიგნზე: „...ბაღატრიკალებათა გამოცხატულება“

¹ გვ. 213. პირველად დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“, 1840, ტ. X, № 6 (ცენზურამ ნება დართო 1840 წლის დაახლოებით შუა ივნისში), განყ. VI, გვ. 57 — 59.

რეცენზია ხელმოუწერელია. ბელინსკისადმი მისი ეკუთვნილება გამოარკვევა ვ. ს. სპირიდონოვმა. რეცენზია შევიდა ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა

სრული კრებულის XII ტომში. სადაც მოყვანილია კრიტიკოსისადმი ამ რევენზიის კუთვნილების დამამტკიცებელი საბუთები (სახელმწიფო გამოცემლობა, მოსკოვი — ლენინგრადი, 1926, გვ. 229 — 232 და 521 — 523).

² გვ. 217. თარგმანი: „იაკობ არმინიუსი ამსუბუქებდა კალვინის მკაცრ წესებს განგებისა და მადლის შესახებ“ (იხ. „რევოლუციათა გამოხატულება ევროპის პოლიტიკურ სისტემაში“, ტ. II, გვ. 467).

რეცენზია ი. ი. ბოლიკოვსის და ბენიამინ ბერგმანის წიგნებზე

¹ გვ. 217. 1841 წლის 22 იანვარს ბელინსკი თავის მეგობარ ვ. პ. ბოტკინს ატყობინებდა, რომ იგი აპირებს დასწეროს „უზარმაზარი კრიტიკა — პეტრე დიდის შესახებ, სტატია, რომელიც გულზე მაწეეს, მას მიმძიმებს და გადმოშლას მოათხოვს“ („წერილები“, ტ. II, გვ. 210). 1841 წლის „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ დაიბეჭდა ამ „უზარმაზარი კრიტიკის“ პირველი სტატია რევენზიის სახით შემდეგ ნაშრომებზე: გოლიკოვის „საქმენი პეტრე დიდისა“, გრიგოლ კოშჩინის „რუსეთის შესახებ ალექსი მიხეილისძის მეფობაში“ და ბენიამინ ბერგმანის „პეტრე დიდის ისტორია“. სტატია მეფის ცენზურამ შეევეცა, მაგრამ რამდენად — ამის თქმა არ შეგვიძლია, რადგან ხელნაწერი არა გვაქვს. თვითონ ბელინსკი 1841 წლის 9 აპრილის წერილში მშვენივრად ბოტკინსადმი ამბობდა, რომ მისი „უბედური სტატიიდან ამოღებულია მთელი აზრი. რადგან ამოგდებულია ზუსტად ნახევარი“ („წერილები“, ტ. II, გვ. 239). პირველი სტატიის დაბეჭდვის თითქმის ერთდროულად ბელინსკის მზად ჰქონდა მგორე სტატია, რადგან 1841 წლის აპრილში თუ მარტშიც კი იგი ა. ა. კრაევსკის ატყობინებდა, რომ ფიქრობს დასწეროს უკვე მესამე სტატია პეტრე დიდის შესახებ („წერილები“, ტ. II, გვ. 228). მაგრამ მეორე სტატიას უფრო სასტიკი ბედი ეწია, ვიდრე პირველს: იგი განიხილა საცენზურო კომიტეტმა, საიდანაც ისე გამოვიდა, რომ ველარ იცნობდით. ამის გამო ბელინსკი ბოტკინს სწერდა: „ხელნაწერში ეს არის სწორედ პეტრე დიდზე, და, თავის შეუქებლად ვიტყვი, გონივრული, ცოცხალი სტატია, მაგრამ დაბეჭდილი — ეს არის სიტყვა ბუნების შეცნობალობასა და ადამიანის მიდრეკილებაზე თავდავიწყებითი მელანქოლიის გრძნობებისადმი. იგი მთლიანად დაამახინჯა საცენზურო სინედრიონმა ერთობლივ. დაბეჭდილია მისი მხოლოდ მესამედი ნაწილი. და მთელი აზრი ამოგდებულია, როგორც რუსეთისათვის საშიში და მავნე რამ. აი რას მოვესწარით: უფლება არა გვაქვს პეტრე დიდი ვაკოთ“ („წერილები“, ტ. II, გვ. 250). სტატია ჟურნალში დაიბეჭდა შემდეგი შენიშვნით ბოლოში: „განზრახული გაგრძელება სტატიებისა „საქმენი პეტრე დიდისა“-ს შესახებ, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, არ იქნება“ („ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, 1841, ტ. XVI, № 5. განყ. V, გვ. 1 — 18). დამახინჯებული სტატიის დედანი ბელინსკიმ უკანვე მიიღო „ოტეჩესტვენნიე ზა-

პიასის“ რედაქციისაგან („წერილები“. ტ. II, გვ. 282) და აჩუქა თავის მეგობარს ალექსანდრე ბალანდინს. 1910 — 1915 წლებში ხელნაწერი კოლექციონერ ვ. პ. იურგენსონის ავტოგრაფთა კრებულში ინახებოდა. 1915 წელს ნ. ო. ლერნერმა ამ ხელნაწერიდან გადაიღო პირი და „ცენზურის მიერ ამოგდებული ადგილები“ დაბეჭდა „სევერნიე ზაპისკიში“ (1915, № 4, გვ. 12 — 29). ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრულ კრებულში (ტ. VI) ს. ა. ვენგეროვმა სტატია დამახინჯებული სახით გადაბეჭდა „ოტჩენსტვენნიე ზაპისკიდან“ და მკითხველებს აღუთქვა, რომ „ცენზურის მიერ ამოგდებულ“ მთავარ ადგილებს, რაც ნ. ო. ლერნერმა გამოაქვეყნა, მოათავსებდა თავისი გამოცემის XII ტომში (ტ. XI, წინასიტყვაობა). მაგრამ სიკვდილმა მას ხელი შეუშალა შეესრულებინა ეს. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებულის XII ტომში, რომელიც გამოცემულია ვ. ს. სპირიდონოვის ჩედაქციით. ეს სტატია მთლიანად გადაბეჭდილია დედნის პირიდან, რაც განსვენებულმა ნ. ო. ლერნერმა რედაქციას გადასცა. ამავე პირაჲ მიხედვით ვბეჭდავთ ამ სტატიას წინამდებარე გამოცემაშიც. ცენზურის მიერ ამოგდებული ტექსტის ყველა ადგილი დაბეჭდილია სწორ ფრჩხილებში, ხოლო ყველა გადაკეთებული ადგილი მოყვანილია ბელინსკის ნამდვილი ტექსტის სათანადო ადგილებისათვის გაკეთებულ განსაკუთრებულ შენიშვნებში.

² გვ. 219. თარგმანი: „პლატონი მცგობარია, მაგრამ უფრო დიდი მეგობარია კეშმარიტება“.

³ გვ. 221. სიტყვა „ორმა“ და გვარები — გრუზინეცემა და თავადმა შირინსკი-შინმატოვმა“ ცენზურამ ამოაგდო, ალბათ, იმიტომ, რომ ს. ა. შირინსკი-შინმატოვი 1830 წელს ბერად აღიკვეცა და ცენზურამ უხიზხულად ჩასთვალა მისი ლიტერატურაში მოხსენიება ცუდი „ბაჰონი მთხველის“ სახით. შირინსკი-შინმატოვის ამოგდებაჲ ბუნებრივად გამოიწვია ა. ნ. გრუზინეცეის ამოღებაც. ს. ა. შირინსკი-შინმატოვმა დასწრა „პეტრე დიდი, ლირიკული საგალობელი“ (1810), ა. ნ. გრუზინეცემა — პოემა „პეტრიადა“, 10 საგალობლად (1812 — 1817).

⁴ გვ. 221. გამოთქმა: „როჲ ყველა ეს ბატონი მთხველნი სწერდნენ“, ეურნალის ტექსტში გადაკეთებულია ასე: „როჲ ისინი სწერდნენ“.

⁵ გვ. 222. აქ და შემდეგ — დასაწყისია ბრაჰოლისა სლავიანოფილობის წინააღმდეგ. რომელიც ჯერ კიდევ გაუფორმებელი იყო და გარკვეული სახელწოდება არ მიეღო. წინამდებარე სტატიის თითქმის ყველა ადგილი, რომელიც ამ მიმდინარეობას შეეხებოდა, ცენზურამ ამოშალა.

⁶ გვ. 223. გამოთქმა: „შეუძლიათ სერიოზულად ლანძღონ პეტრე დიდი იმის გამო, თუ რატომ დაიწყო მან თავისი გარდაქმნა“, ეურნალის ტექსტში გადაკეთებულია ასე: „შეუძლიათ სერიოზულად სთქვან, რატომ დაიწყო გარდაქმნა“.

გვ. 223. გამოთქმა: „მაგრამ იმავე დროს, თავისდა შეუმჩნეველად, მისი საქმის მთელ სიდიადეს აცამტკერებენ, რადგან ევროპეიზმს უარყოფენ“, ჟურნალში შეცვლილია ასე: „იმავე დროს უარყოფენ ევროპეიზმს“.

⁸ გვ. 233. ბელისკის შეხედულებით, ყოველგვარი ნაციონალიზმის ანუ ეროვნების არსა მდგომარეობს მის მსოფლქვერეტაში, რაც, თავის მხრივ, ყოველი ლიტერატურის წყარო და საფუძველია. აქედან გასაგებია, რომ ეროვნების საკითხმა ცენტრალური ადგილი დაიკავა ბელისკის სტატიებში. მაგრამ მიუხედავად ამისა ეროვნების განსაზღვრა მას არ მოუცია და იგი იმასაც კი ფიქრობდა, რომ მისი მოცემა ჯერჯერობით შეუძლებელიც იყო. სტატიაში „რუსული ლიტერატურა 1840 წელს“, იგი სწერდა: „ხალხის მსოფლქვერეტის განსაზღვრა — დიდი ამოცანაა, გიგანტური შრომაა. რომელიც ღირსია უდიდესი გენიოსების, თანამედროვე ფილოსოფიური ცოდნის წარმომადგენლების მეცადინეობისა. ეს ნიშნავს ამოსწურო ხალხის მთელი ცხოვრება...“ (თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, გვ. 471 — 472). ამასვე ამბობს ბელისკი ამავე სტატიაში. სტატიაშიც „პეტერბურგი და მოსკოვი“, იგი სწერდა: „შესაძლოა, მოსკოვის დანიშნულება მდგომარეობს ეროვნული საწყისის შენარჩუნებაში, საწყისისა. რომლის არსის, ისე როგორც ამ სამყაროს მრავალი საგნის არსის, განსაზღვრა ჯერჯერობით შეუძლებელია...“ (ტ. IX, გვ. 236). დაბოლოს, სტატიაში „რუსული ლიტერატურა 1846 წელს“, ვკითხულობთ: „დიახ, ჩვენში არის ეროვნული ცხოვრება... მაგრამ რაში მდგომარეობს ეს რუსული ეროვნულობა — ამის განსაზღვრა ჯერჯერობით შეუძლებელია...“ (ტ. X, გვ. 401).

⁹ გვ. 235. გამოთქმა: „რაც შემეხება მე — ვინანიებთ ცოდვას: მე ვხედავ“ — ჟურნალში შეცვლილია ასე: „რაც შეგვეხება ჩვენ, ვინანიებთ ცოდვას: ჩვენ ვხედავთ“.

¹⁰ გვ. 238. ეს ადგილი ჟურნალში დაბეჭდილია ოდნავ სხვა რედაქციით.

¹¹ გვ. 238. სიტყვა „გერმანულებზეც“ ჟურნალში შეცვლილია სიტყვით: „სხვებზეც“.

¹² გვ. 238. ნაცვლად სიტყვებისა: „ვიწყებთ განთავისუფლებას“ — ჟურნალში დაბეჭდილია: „ბევრისაგან გავთავისუფლდით და ვთავისუფლდებით“.

¹³ გვ. 238. გამოთქმა: „ჩვენი ხალხურობის წყლულს — მექრთამეობას“ — ჟურნალში შეცვლილია ასე: „მაგალითად, მექრთამეობას“.

¹⁴ გვ. 239. სტრიქონები გრიბოედოვის პიესიდან „ვაი ქუჩისაგან“.

¹⁵ გვ. 239. გამოთქმა: „დაუყოვნებლივ გაჩნდა ოპოზიცია საერთო ბოროტების მიმართ“ — ჟურნალში შეცვლილია ასე: „ჩვენში დაუყოვნებლივ გაჩნდა ამ საერთო ბოროტებისადმი წინააღმდეგობა“.

¹⁶ გვ. 240. სტრიქონები გრიბოედოვის პიესიდან „ვაი ქუჩისაგან“.

¹⁷ გვ. 241. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვების ნაცვლად ჟურნალში დაბეჭდილია: „არ იყვნენ“.

¹⁸ გვ. 241. სიტყვები: „უძლ ხალხურობას“ — ჟურნალში შეცვლილია ასე: „უძლ ჩვევებს“.

¹⁹ გვ. 241. ნაცვლად სიტყვებისა: „ასეთი ხალხურობის“ — ჟურნალში დაბეჭდილია: „მათი“.

²⁰ გვ. 241. კავშირ „ხოლოს“ შემდეგ ჟურნალში ჩამატებულია: „ეს მხოლოდ ნამდვილად ჩვევებია, რადგან“.

²¹ გვ. 249. „არის“ ჟურნალში შეცვლილია სიტყვით: „შეადგენს“.

²² გვ. 251. ფრაზა: „ყოველივე ეს იმდენადვე ზნეობრივია, რამდენადაც ესთეტიკური“ — ჟურნალში ასე გადაკეთდა: „ყოველივე ეს ოდნავადაც არ არის არც ზნეობრივი და არც ესთეტიკური“.

²³ გვ. 255. ფრაზა: „მაგრამ არ იყო მათრახი, რომელიც თათრებში გვაჩუქეს“ — ჟურნალში შეცვლილია სიტყვებით: „და სხვ.“.

²⁴ გვ. 255. სიტყვები: „თავისი ხალხურობისაგან“ — ჟურნალში შეცვლილია ასე: „სიძველისაგან“.

²⁵ გვ. 258. ფრაზა: „ხოლო ოფიცრები უნდა იყვნენ უმაღლესი წოდებიდან იმ წოდებასთან შედარებით“ — ჟურნალში გადაკეთებულია ასე: „ხოლო ოფიცრები უნდა იყვნენ უფრო მაღალი წოდებიდან, ვიდრე ის“.

²⁶ გვ. 266. ფრაზა: „ბევრი მამკრალი დაიღუპა, ბევრს ძალით აშენებინებდნენ“, ჟურნალში გადაკეთებულია ასე: „ღიღი მსხვერპლი დაჯდა“.

²⁷ გვ. 267. სიტყვა „ვლანძლოთ“ შეცვლილია სიტყვით: „დავგმობთ“.

²⁸ გვ. 268. ხელნაწერში შენიშვნის ამ სიტყვების შემდეგ კიდევ აღნიშნულია: „(„ინვ. ლიტერ. დამატ.“, 1839, გვ. 209, II ტ. შენიშვნა კრავესკი-სათვის)“.

²⁹ გვ. 276. ილაშქრებდა რა პანსლავეური და სლავიანოფილური აბღაუბლის წინააღმდეგ, ბელინსკი სავესებით მართებულად ხაზს უსვამდა იმას, რომ დიდი რუსი ხალხის განუყრელი თვისებებია მხნეობა, გამბედაობა, სულის სიმტკიცე, სიბრძნე, საზრიანობა და შრომისმოყვარეობა; იგი ამტკიცებდა, რომ მისტიციზმი და რელიგიური მქვერტელობა რუს ხალხს არ ახასიათებს. მაგრამ ამასთან ერთად ბელინსკი შეცდომას ჩადიოდა, როდესაც ლაპარაკობდა რუსი გლეხის ერთგულებაზე პატრიარქალური ზნე-ჩვეულებებისადმი („იგი ხნავს ისე, როგორც ხნავდნენ წინაპრნი, არც ერთ სოლს არ მიუმატებს კაცს“), და უმართებულად ფიქრობდა, რომ რუს ხალხს რუსი იპყრობდა ყოველ იმ დიდ შერყევათა შემდეგ, რომელთა დროს იგი შემუშრავდა ხოლმე გარეშე მტრებსო. მაგრამ აქაც ბელინსკი სთვლიდა, რომ ეს დამოკიდებული იყო არა რუსი ხალხის ბუნებაზე, არამედ იმ ისტორიულ პირობებზე, რომლებშიც იგი ბატონყმობის დამცველებმა ჩააყენეს-

წერილი ვ. პ. ბოტკინს 1841 წლის 1 მარტის თარიღით

¹ გვ. 279. ბელინსკის 1841 წლის 1 მარტის წერილი ვ. პ. ბოტკინისადმი ა. მ. პიპინს მიიღო კ. სოლდატენკოვის კოლექციიდან. ამ წერილის ნაწყვეტები შევიდა ა. ნ. პიპინის ნაშრომში: „ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერა-მოწერა“ (სპბ. 1876). მთლიანად პირველად, ა. ნ. პიპინის ხელნაწერის ტექსტის მიხედვით, დაიბეჭდა 1914 წელს გამოშვულ „წერილებში“ (ტ. II, გვ. 212 — 221). წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ამ წერილის პირველი ნახევარი „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. ამ გამოცემაში შენიშვნა 1-ლი დ. პ. ივანოვისათვის გაგზავნილ 1837 წლის 7 აგვისტოს წერილისადმი).

² გვ. 279. „Hallische Jahrbücher“ — მემარცხენე ჰეგელიანელთა ჟურნალი, რომელსაც 1837 წლიდან სცემდნენ ესტერმაიერი და არნოლდ რუგე.

³ გვ. 279. შემდეგ მრავალწერტილით აღნიშნულია საჯაროდ სახმარად უხერხული ორჯ სიტყვის გამოტოვება.

⁴ გვ. 280. ასე უწოდებდნენ სტანკევიჩის წრეში ჰეგელს.

⁵ გვ. 282. „კატკოვის ისტორიად“ იგულისხმებოდა კატკოვის გატაცება მ. პ. ოგარიოვის ცოლით (შდრ. ბელინსკი, „წერილები“, ტ. II, გვ. 202 — 203 და 406).

⁶ გვ. 283. „კატკოვის ენაზე“ ბელინსკი ვ. პ. ბოტკინს სწერდა 1840 წლის 10 — 11 დეკემბრის წერილში.

⁷ გვ. 283. ბელინსკი აქ ლაპარაკობს თავის სტატიაზე „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად“.

⁸ გვ. 285. შდრ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. VI, გვ. 108 და 572 — 573.

⁹ გვ. 285. ნართულად ნათქვამია სოფიო კრონებერგზე, ხარკოველ პროფესორ ი. ი. კრონებერგის ქალიშვილზე. ამ ქალიშვილის არსებობა ბელინსკიმ პირველად გაიგო ვ. პ. ბოტკინისაგან, რომელიც ხარკოველში იყო და იქ გაეცნო ი. ი. კრონებერგის ოჯახს. 1840 წლის 9 თებერვლის წერილში იგი ბელინსკის სწერდა: „ვიყავი ხარკოველში, ვნახე კრონებერგები, — რაო? წითლები?.. თუმცა სოფიოს არასოდეს არ უნახავხარ, მაგრამ იგი შენ კარგად გიცნობს, უყვარს შენი ამბების გამოკითხვა, — აღარ ვლაპარაკობ იმაზე, თუ როგორ უყვარს მას შენი სტატიების კითხვა. საზოგადოდ, ხარკოველში შენს სახელს, მერწმუნე, უკეთ იცნობენ, ვიდრე მოსკოვში, და ყოველივე ეს — კეთილი სოფიოს და კულჩიციის მეშვეობით, ხოლო „ნაბლიუდატელს“ სოფიო სთელის პირდაპირ თავის ჟურნალად, თავისი ახლობელი ადამიანების ჟურნალად...“ (ბელინსკი, „წერილები“, ტ. II, გვ. 39—41 და 384).

წერილი ვ. პ. ბოტკინს 1841 წლის 27 — 28 ივნისის თარიღით

¹ გვ. 286. ბელისკის 1841 წლის 27 — 28 ივნისის წერილი ვ. პ. ბოტკინისადმი ა. ნ. პიბინმა მიიღო კ. სოლდატენკოვის კოლექციიდან და ამ წერილის ნაწევრებზე შეიტანა თავის ნაშრომში „ბელისკი, მისი ცხოვრება და მიწერა-მოწერა“ (სპბ. 1876). მთლიანად პირველად, ა. ნ. პიბინის კრებულის ტექსტის მიხედვით, დაიბეჭდა 1914 წელს გამოშვებული „წერილებში“ („წერილები“, ტ. II, გვ. 243 — 251). წინამდებარე გამოცემაში გამოტოვებულია ამ წერილის ბოლო და წერილი იბეჭდება „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. ამ გამოცემაში შენიშვნა 1-ლი დ. პ. ივანოვისათვის გაგზავნილ 1837 წლის 7 აგვისტოს წერილისადმი).

² გვ. 286. წერილის პირში სიტყვას „ეასილ“ გაკეთებული აქვს ა. ნ. პიბინის შენიშვნა: „ეს სახელი წაშლილია, რა თქმა უნდა, არა ბელისკის მიერ“.

³ გვ. 286. ანახარსია — სკვითი, რომელმაც ინახულა საბერძნეთი სოლონის დროს და ბერძნული განათლება შეითვისა. ბერძნებმა იგი „შვიდ ბრძენთ“ მიაკეთვნეს. ანახარსისი გახდა გმირი ფრანგი არქეოლოგის უან-ჟაკ ბარტლემის რომანისა „უმცროსი ანახარსისის მოგზაურობა საბერძნეთში“, რომელიც ითარგმნა ყველა ევროპულ ენაზე, მათ შორის რუსულ ენაზეც (მ. 1803 — 1819, სპბ. 1804 — 1809).

⁴ გვ. 286. ნაცვლად სიტყვისა „ძლიერი“, წერილის პირში ნათქვამია: „უწმაწური“.

⁵ გვ. 287. უფრო დაწვრილებით სტანკევიჩის წრის წევრთა შეგობრობის აზრი და მნიშვნელობა ბელისკიმ გამოავლინა ვ. პ. ბოტკინისათვის 1841 წლის 8 სექტემბერს გაგზავნილ წერილში, რომელიც თითქოს ამ წერილის გაგრძელებაა.

⁶ გვ. 287. ნ. ა. პოლევიომ „ბიძგი მისცა საზოგადოებას“ თავისი ჟურნალით „მოსკოვსკი ტელეგრაფ“, რომელიც 1834 წელს აკრძალულ იქნა იმისათვის, რომ მასში მოათავსეს ცუდი გამოხატულება ნ. კუკოლნიცის დრამაზე — „უზენაესის ხელა იხსნა მამული“. 1838 წლიდან ნ. ა. პოლევიო დაუახლოვდა ნ. ი. გრეჩს და ფ. ბ. ბულგარინს. ამ დროიდან ბელისკი მისი იდეური შტერი გახდა. პირველად მან ნ. ა. პოლევიო მკაცრად გააკრიტიკა „მოსკოვსკი ნაბლიუდატელის“ ფურცლებზე 1838 წელს. ამ ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის შემდეგ მან ნ. ა. პოლევიოსთან თავისი პოლემიკა გადაიტანა „ოტჩეისტვენნიე ზაპისკიში“ და „რუსსკი ინვოლიდის“ ლიტერატურულ დამატებებში, რომლებშიც მუშაობა დაიწყო 1839 წლის ივლისის დამლევიდან. ამ ორგანოებში გადასვლის წინ იგი ი. ი. პანაევს 1839 წლის 22 თებერვალს სწერდა: „თუ მე მტაცად მივიღებ შონაწილეობას „ოტჩე. ზაპისკიში“, მაშინ — პირობა ფულზე უკეთესია — პოლევიოს ნურაინ შეეხება, ჩემს გარდა! ეს ჩემი საკუთრებაა, საკუთრება, რომელიც

ნამდვილად მე შეკუთვნის. მე, და არა სხვა ვინმემ, უნდა გადავაგდო იგი სინთეზიდან და ანალიზიდან და უხამსი, მოძველებული უზადრუკი აზრებისა და უმწურო გრძნობების მთელი ამ ხარახურიდან, რომლებითაც იგი ფიქრობს ფონს გავიდეს და ახალგაზრდა თაობა დააფრთხოს... პოლევოი ნიყუარს და მას პატივს ვსცემ, მის დამსახურებას დიდად ვაფასებ, იგი ისტორიულ პიროვნებად მიმაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა შევეცდები ვთქვა და დაემატიე, რომ იგი ჩამორჩება საუკუნეს, მას არ ესმის თანამედროვეობა... საშინელი უბედურებაა ცოცხლად სიკვდილი, ეს იგივეა, რაც ჰქუიდან შეშლა“ („წერილები“, ტ. I, გვ. 313 — 314). ბელინსკი უღმობელი იყო ნ. ა. პოლევოის მიმართ ამ უკანასკნელის სიკვდილამდე.

⁷ გვ. 289. სიტყვები, რომლებიც ბელინსკის ჩასმული აქვს ოვალურ ფრჩხილებში, ცენზურამ ამოაგდო 1914 წელს გამოცემულ „წერილებიდან“

⁸ გვ. 289. წერილის პირში სიტყვას „ბოტკინ“ ა. ნ. პიპინმა გაუყეთა შენიშვნა: „სიტყვა „ბოტკინ“ წაშლილია შემდგომში“.

⁹ გვ. 290. ლაპარაკი იყო ნიკოლოზ პეტრეს-ძე ბოტკინზე.

¹⁰ გვ. 291. წერილის პირში სიტყვებს „უცნაური ამბავია“, ა. ნ. პიპინის მიერ გაკეთებული აქვს შენიშვნა: „შემდეგ კვლავ წაშლილია, მგონი: „ბოტკინ““.

¹¹ გვ. 292. აქ და ქვემოთ ტექსტი, რომელიც ჩვენ კუთხოვან ფრჩხილებში ჩავსვით, ცენზურამ ამოაგდო 1914 წელს გამოცემულ „წერილებიდან“.

¹² გვ. 292. „ალექსანდრე ფილიპეს-ძე“ — მაკედონელი.

წერილი ვ. პ. ბოტკინს 1841 წლის 8 სექტემბრის თარიღით

¹ გვ. 292. ნაწყვეტები ბელინსკის 1841 წლის 8 სექტემბრის წერილის ვ. პ. ბოტკინისადმი შევიდა ა. ნ. პიპინის ნაშრომში „ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“ (სპბ. 1876). წერილი მიღებულია კ. სოლდატენკოვას კოლექციიდან. მთლიანად პირველად, ა. ნ. პიპინის კრებული სიტყვების მიხედვით, დაიბეჭდა 1914 წელს გამოცემულ „წერილებში“ (ტ. II, გვ. 261 — 271). ამ გამოცემაში წერილი იბეჭდება მთლიანად. „წერილების“ „საყოველთაო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. ამ გამოცემაში წერილი დ. პ. ივანოვის 1837 წლის 7 აგვისტოს თარიღით, შენიშვნა 1-ლი).

² გვ. 293. „ძველ კინკლაობას“ ბელინსკი იგონებდა ვ. პ. ბოტკინისათვის გაგზავნილ 1841 წლის 27 — 28 ივნისის წერილში.

³ გვ. 295. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა „გარეუე“ ღედანში არ არის (ა. ნ. პიპინის შენიშვნა).

⁴ გვ. 295. ვ. პ. ბოტკინი გაიტაცა ალექსანდრა ალექსანდრეს ასულმა, მ. ა. ბაკუნინის დამ, რომელსაც მან სთხოვა ცოლად გაჰყოლოდა. ალექსანდრა ალექსანდრეს ასულმა თანხმობა მისცა. მაგრამ მათი შეუღლების

წინააღმდეგი იყვნენ ალექსანდრა ოლექსანდრეს ასულის ძმა და მამა, და ეს შეუღლება არ მოხდა.

⁸ გვ. 295. ბელინსკის აქ მხედველობაში ჰქონდა თავისი გატაცება ოლექსანდრა ოლექსანდრეს ასულ ბაქუნინათი, რომელიც შემდეგ ვ. პ. ბოტკინს შეუყვარდა.

⁹ გვ. 295. ნ. ვ. სტანკევიჩის შეუყვარდა ლუბა ოლექსანდრეს ასული ბაკუნინა და მისი საქმრო გახდა, მაგრამ იგი მალე დარწმუნდა, რომ მას ლუბასადმი ქეშმარიტი გრძნობა არ ჰქონდა. მან ვერ გაპბედა ეს თავის საცოლესთვის გაემქლავნებინა, ავადმყოფობა მოიმიზეზა და საზღვარგარეთ წავიდა. მალე მისი წასვლის ნამდვილი მიზეზი ბაკუნინების მთელმა ოჯახმა შეიტყო, გარდა ლუბა ოლექსანდრეს ასულისა, რომელიც 1838 წლის 6 ივლისს გარდაიცვალა და რომელსაც უკანასკნელ წუთამდე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ნ. ვ. სტანკევიჩს იგი უყვარს.

⁷ გვ. 298. სტრიქონები ჭეშინის ლექსიდან „სამი წყარო“.

⁸ გვ. 298. „პოინერები“ — კუპერის რომანი. — ენ-ანრი ბანკალი (1750 — 1826) — საფრანგეთის პირველი პურეუაზიული რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე, კონვენტის წევრი, ეირონდისტი. გენერალ დიუმურიეს ლალატის შედეგად, რომლის არმიაში ბანკალი კომისრად იყო, იგი ხელთ იგდეს ავსტრიელებმა და ციხეში ჩასვეს. განთავისუფლების შემდეგ იგი ხუთასის საბჭოს წევრად აირჩიეს.

⁹ გვ. 299. ორმოციანი წლების დამდეგს მთავარი ადგილი, სადაც ბელინსკის წრე იკრიბებოდა, იყო ა. ი. კულჩიციის, ნ. ნ. ტიუტჩევისა და კ. დ. კაველინის ბინა, რომლებიც მაშინ ერთად ცხოვრობდნენ. აქ მოდიოდნენ ი. ა. პანაევი, ი. ს. ტურგენევი, მ. ა. იაზიკოვი, ი. ი. მასლოვი, ა. ი. კრონებერგი; პეტერბურგს ჩამოსვლის დროს აქ მოდიოდნენ ვ. პ. ბოტკინი, პ. ვ. ანენკოვი და მ. ნ. კატკოვი. ი. ი. პანაევი ამბობს, რომ „წრე, რომელშიც ბელინსკი ცხოვრობდა, მტკიცედ შემქიდროებული იყო და მთელი სიწმინდით დარჩა მის სიკვდილამდე. ამ წრეს ამხნეებდა მისი სულისკვეთებისა და რწმენის ძალა“ (ი. ი. პანაევის თხზულებათა პირველი სრული კრებული, ტ. VI, სპ. 1888, გვ. 302). აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი იყო ბელინსკის მეგობრებზე, რომლებიც მუდამ პეტერბურგში ცხოვრობდნენ და მისი წრის ბირთვის შეადგენდნენ. წრეში თავისუფლად საუბრობდნენ და კამათობდნენ სულ სხვადასხვაგვარ საკითხებზე. ამ საუბრებსა და კამათში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა ბელინსკი, რომელიც კ. დ. კაველინის სიტყვით, წრის ყველა წევრზე „მომხიბვლელ მოქმედებას“ ახდენდა. „კამათი და სერიოზული საუბარი, — ამბობს კ. დ. კაველინი, — მეთოდურად კი არ სწარმოებდა, არამედ ყოველთვის თან ერთვოდა და შერეული იყო ენამახვილობასა და ხუმრობასთან“ (კ. დ. კაველინის თხზულებათა კრებული, ტ. II, სპ. 1904, სვეტი 1086 და 1088). არამცირე დროს უთმობდა წრე პრეფერანსს, რომლითაც მხურვალედ გა-

ტაცებული იყო ბელინსკი. ბელინსკის ეს გატაცება ა. ი. კულჩიციმ უკვდავყო ბროშურით: „ზოგიერთი დიდნი და სასარგებლო ქვეშაირთებ პრეფერანსის თამაშის შესახებ“; ბროშურა გამოიცა ფილოსოფიის კანდიდატ პ. რემიზოვის ფსევდონიმით (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ვ. ს. სპირიდონოვის რედაქციით, ტ. XIII, № 1113). შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავისი მოთხრობითაც — „უჩვეულო ორთაბრძოლა“, ა. ი. კულჩიციმ ერთგვარად უკვდავყო საუბრები, რომლებიც ბელინსკის წრეში სწარმოებდა.

¹⁰ გვ. 299. კირიუშას შესახებ იხილეთ ამ გამოცემაში 25-ე შენიშვნა ბელინსკის მიერ ბოტკინისათვის გაგზავნილ 1840 წლის 10 — 11 დეკემბრის წერილისადმი.

¹¹ გვ. 300. შემდეგ მრავალწერტილით აღნიშნულია საჯაროდ სახმარად უხერხული სამი სიტყვის გამოტოვება.

¹² გვ. 302. ეს მხეცური სცენა „სილის გაწვნით“ მ. ნ. კატკოვსა და მ. ა. ბაქუნინს შორის მოხდა ბელინსკის ბინაში (იხ. ბელინსკი, „წეროლები“, ტ. II, გვ. 145 — 149).

¹³ გვ. 303. ოტელო და დეზდემონა — შექსპირის ტრაგედია „ოტელუს“ გმირები.

¹⁴ გვ. 304. თარგმანი: „დე აღსრულდეს მართლმსაჯულება, თუნდაც ქვეყნიერება დაიღუბოს“. ამ გამოთქმას მიაწერენ იმპერატორ ფერდინანდ პირველს.

¹⁵ გვ. 304. შემდგომი სტრიქონებიდან შეიძლება დავასკვნათ. რომ ბელინსკის წაკითხული ჰქონდა ტიერის „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“.

¹⁶ გვ. 304. „მერე, რა არის ჰეკუბა მისთვის?“ — ჰამლეტის სიტყვები, წარმოთქმული იმ მსახიობის მისამართით, რომელიც ქვითინით ლაპარაკობდა სცენაზე დედოფალ ჰეკუბას შესახებ („ჰამლეტი“. მოქ. I, სცენა 2).

¹⁷ გვ. 304. ჩვენს მიერ კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ტექსტი 1914 წელს გამოცემულ „წერილებში“ ამოგდებულ იქნა, როგორც ჩანს, ცენზურის მიერ (ტ. II, გვ. 269). ამ აღდგენილ ტექსტში მრავალწერტილით აღნიშნეთ საჯაროდ სახმარად უხერხული ერთი სიტყვის გამოტოვება.

¹⁸ გვ. 305. „პეტრე ნიკოლოზის-ძე“ — კულდრიავევი. მისი „მშვენიერი მოთხრობა“ არის „ყვავილი“, რომელიც „ოტენესტვენნიე ზაბისკის“ 1841 წლის სექტემბრის წიგნში დაიბეჭდა.

¹⁹ გვ. 306. „ალექსანდრა ალექსანდრეს ასული“ და „ტატიანა ალექსანდრეს ასული“ — მ. ა. ბაქუნინის დები.

„ხელოვნების იდეა“

¹ გვ. 307. ეს დაუმთავრებელი სტატია, რომელიც დაწერილია 1841 წლის პირველ ნახევარში, ბელინსკის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. იგი პირველად დაიბეჭდა კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში იმ ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ამჟამად 3322 ნომრით ინახება მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში (ბ. ბელინსკის თხზულებანი, ნაწ. XII, მ. 1862, გვ. 367 — 392). იმავე ხელნაწერის მიხედვით დაიბეჭდა იგი ს. ა. ვენგეროვის გამოცემაში (ტ. VI, № 572) და გამოცემაში: „ბ. გ. ბელინსკი. რჩეული თხზულებანი“, რედაქცია დ. ბლაგოისა. კომენტარები დ. ბლაგოისა და ა. ლავრეცკისა (ტ. II, მ. 1936, გვ. 59—74). პირველ ორ გამოცემაში სტატია დაბეჭდილია ისე, რომ მასში დაშვებულია რიგი მცირე დამახინჯებანი და გამოტოვებულობა ადგილები. არასავსებით ზუსტად არის მისი ტექსტი გადმოცემული უკანასკნელ გამოცემაშიც. წინამდებარე გამოცემაში სტატია იბეჭდება იმავე ხელნაწერის მიხედვით. ბელინსკის მიერ შემთხვევით გამოტოვებული სიტყვები ჩასმულა კუთხოვან ფრჩხილებში. იმ სიტყვებს, რომელთა სწორად აპოკითხვაში არასავსებით დარწმუნებული ვართ, კითხვის ნიშანი უზის.

² გვ. 307. ბელინსკი უკვე 1838 წელს ფონეიზინისა და ზაგოსკინის შესახებ დაწერილ სტატიაში ამბობდა: „გრძნობა არის კეშმარტივების უშუალო კვრეტა... პოეზია არის სახეებით აზროვნება“. ამ სტატიაში. რომელიც 1841 წელს მიეკუთვნება. მან პოეზიის ეს განსაზღვრა მხოლოდ გამოიყენა საზოგადოდ ხელოვნების მიმართ (იხ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. IV, გვ. 10 და 11).

³ გვ. 310. ნაწყვეტი ბაირონის პოემიდან „შილონის ტყვე“, რომელიც რუსულ ენაზე სთარგმნა ვ. ა. ქუკოვსკიმ.

⁴ გვ. 311. შემდეგ ხელნაწერში არის ნახევრად წაშლილი დაუმთავრებელი ფრაზა, რომელიც ასე იკითხება: „ადამიანი თავისი თავის მიმართ“.

⁵ გვ. 316. თავდაპირველად იყო: „პოეტური“. ამ სიტყვას ბელინსკიმ ზვიდან წააწერა: „რომანტიკული“. მაგრამ სიტყვა „პოეტურის“ წაშლა დაავიწყდა. დ. ბლაგომ ორივე ეს სიტყვა დასტოვა (ჩვენი აზრით, შეცდომით) სტატიის ტექსტში (შდრ. ბ. გ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. II, ტექსტის რედაქცია დ. ბლაგოისა. სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობა, მ. 1936, გვ. 64).

⁶ გვ. 316. ნაწყვეტი ა. ვ. კოლცოვის ლექსიდან „დიდი საიდუმლო“.

⁷ გვ. 316. შემდეგ წაშლილია: „გვირგვინოსანი“.

⁸ გვ. 320. ხელნაწერის ამ ადგილას დატოვებულია ფრჩხილებში ჩასმული ცარიელი ადგილი გერმანული ტერმინისათვის.

⁹ გვ. 320. ხელნაწერის ამ ადგილას დასმულია ნიშანი Γ და არეებზე, ასეთივე ნიშნის ქვეშ, დაწყებულია ფრაზა: „როდესაც სხვისგან გესმით მოთხრობა რომელიმე ადამიანზე, მაშინ თითქოს...“

¹⁰ გვ. 323. ხელნაწერის ამ ადგილას წაშლილია: „ყველა ეს მაგალითი.. მაგრამ ყველა ეს მაგალითი განმარტავს იმ ცნების მხოლოდ ერთ მხარეს, რომელსაც შეიძავს სიტყვები „უშუალო“ და „უშუალობა“, — და ჩვენ სხვა მაგალითები უნდა მოვიტანოთ ამ სიტყვების სრული მნიშვნელობის საჩვენებლად“.

¹¹ გვ. 324. ხელნაწერის ამ ადგილას ბელინსკის წაუშლია: „რამაიც ჩანს ადამიანის მხოლოდ ნებისყოფა, მხოლოდ ცნობიერება, — იქ არ შეიძლება იყოს უშუალო მოქმედება, რომელიც მართოდენაა ნაყოფიერი და ქმედითი; და, პირიქით, რამაიც ჩანს მხოლოდ უშუალობა, ყოველგვარი ნებისყოფისა და ყოველგვარი ცნობიერების გარეშე, — იქ არ არის არავითარი გონიერულობა, და ადამიანური მოქმედება პირდაპირ ცხოველურ მოქმედებად იქცევა“.

¹² გვ. 325. ეს ფრაზა დაწერილია წაშლილი ტექსტის ქვეშ: „როგორც ბუნების ნაწარმოებებს უპირისპირდებიან ხელოსნობის ნაწარმოებნი. ისე ყოველივე უშუალოდ მოვლენილს უპირისპირდება ხელოვნური. აქ არის ორი სამყარო, რომლებიც მტრულად ჯგანან ერთიმეორის წინააღმდეგ, როგორც სიცოცხლე და სიკვდილი — ერთი განუწყვეტელ მოძრაობაში, ფერების და საღებავების ლივლივში, ხმაური განუწ...“

¹³ გვ. 328. ხელნაწერში ამ ადგილას წაშლილია: „ჩვენს მიერ ბუნებრივი ვარდის განხილვა მხოლოდ გარეგანი ფორმით კი არ უნდა შემოიფარგლოს, და როგორც კი ჩავხედავთ მას შიგნით — მასთან ხელოვნური ვარდის ყოველგვარი შედარება მოისპობა, როგორც სისულელე, რომელიც საღ აზრს შეურაცხყოფს“.

¹⁴ გვ. 329. შემდეგ წაშლილია: „თითქოს ტ:ივილებითა და ტანჯვით“.

„1843 წლის რუსული ლიტერატურის უმთავრესი მოვლენების მიმოხილვა“

¹ გვ. 335. პირველად დაიბეჭდა „ლიტერატურნია გაზეტაში“ 1844 წლის 1 იანვარს, № 1 (ცენზურამ ნება დართო 1843 წლის 31 დეკემბერს) და 8 იანვარს, № 2 (ცენზურამ ნება დართო 8 იანვარს).

ა. ა. კრაევსკისათვის გაგზავნილ 1839 წლის 19 აგვისტოს წერილში ბელინსკი ამბობდა: «„ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ და „ლიტერატურნიე პრიბავლენია“ ჩვენი საერთო საქმეა: ამიერიდან მე მათ ვეკუთვნი სულით და ხორციით, შათი ინტერესები ჩემი ინტერესებია. პიტერში ჩამოსვლის შემდეგ ამას საქმით დაგიმტკიცებთ“ („წერილები“, ტ. I, გვ. 322). ბელინსკი მხურვალედ შეუდგა საქმეს. ა. კრაევსკის ორგანოებში მონაწილეობის

მისაღებად იგი დაუინებოთ იზიდავდა თავის მეგობრებსაც. ბელისკისა და მისი მეგობრების მეოხებით, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ და „ლიტერატურნაია გაზეტა“, რომელმაც 1840 წლის დამდეგიდან შესცვალა „ლიტერატურნიე პრიბავლენია“, ძალიან მალე იქცნენ ორმოციანი წლების სიუჟეტისა და მოწინავე ორგანოებად. 1841 წლის დამდეგიდან ა. ა. კრავესკიმ „ლიტერატურნაია გაზეტა“ გამოჰყო „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიდან“ და იგი თ. ა. კონის განკარგულებაში გადასცა. გაზეტაში სწრაფად იწყო და ქვეითება. 28 ივნისს ბელისკი უკვე ბოდისმს იხდიდა პ. ნ. კუდრიავცევის წინაშე იმისათვის, რომ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ ადგილის სიმცირის გამო მან კუდრიავცევის სტატია მოათავსა „კონის საზიზღარ გაზეტუნაში“ („წერილები“, ტ. II, გვ. 252). 1844 წლის დამდეგიდან, მთლად გადატარებულმა „ლიტერატურნაია გაზეტამ“ კვლავ იწყო გამოსვლა საერთო რედაქციით „ოტეჩესტვენნიე ზაპისკისთან“ ერთად. ბელისკიმ მყისვე წამოაყენა და გამოაცოცხლა ჩამკვდარი გაზეტო, რომელსაც ველარ იცნობდით. გარდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ მოთავსებული მიმოხილვისა „რუსული ლიტერატურა 1843 წელს“, ბელისკიმ „ლიტერატურნაია გაზეტასათვის“ კიდევ დასწერა ორი შესანიშნავი სტატია საერთო სათაურით: „1843 წლის რუსული ლიტერატურის უმთავრესი მოვლენების მიმოხილვა“, რომლებმაც დაახლოებით ორი თაბახი დაიკავეს. სტატიები ზელმოუწერელია. ბელისკისადმი მათი კუთვნილება გამოარკვეია ვ. ს. სპირიდონოვმა. ისინი შევიდნენ ბ. გ. ბელისკის თხზულებათა სრული კრებულის XIII ტომში. რომელშიაც მოყვანილია მოსაზრებანი კრიტიკოსისადმი ამ სტატიების კუთვნილების შესახებ (ბ. გ. ბელისკი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, გვ. 131 — 153 და 449 — 450). წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება პირველი სტატიის შესავალი ნაწილი, რომელიც ნაძღვნილია სხვადასხვა: „უხეირო“, „სარფიანი“, „ბებრუხანული“ და ნატურალური ლიტერატურის დახასიათებისადმი და რომელიც 1843 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვის ერთგვარი შესავალია.

² გვ. 338. „მასაზრობებლად“ და „ლიტერატურის მამოძრავებლად“ იგულისხმებოდა წიგნის გამყიდველი და გამომცემელი მ. დ. ოლხინი, რომელსაც ანგარებითი მიზნით პრესაში დითირამბებს უმღეროდა ფ. ბ. ბულგარინი (იხ. ბ. გ. ბელისკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 302 და 347).

³ გვ. 341. აქ ბელისკის მხედველობაში ჰქონდა თავისი შეხედულებანი დერეჟინსა და კარამზინზე. ამ შეხედულებათა გამო „ბებრუხანულმა ლიტერატურამ ღრიანცელი ასტეხა“ — ლექსად და პროზად — „იმ იმედით“. რომ ნიკოლოზის მთავრობა, დაბოლოს, ყურადღებას მიაქცევდა „დამნაშავე“ კრიტიკოსს (იხ. ბ. გ. ბელისკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, შენიშვნა 82).

⁴ გვ. 342. ბებრუხანული ლიტერატურის „ერთ ნაწილად“, რომელიც

„ჩალაყ მასალებს“ ამუშავებდა, იგულისხმებოდა მ. პ. პოგოდინი, რომელიც თავის „მოსკვიტიანინს“ ისტორიული მასალებით ავსებდა; „მეორე, უფრო მოკმედ ნაწილად“ იგულისხმებოდა ნ. დ. ივანჩინ-პისარევი, რომელმაც ბროშურების მთელი სერია დასწერა პატრიარქალური სიძველეს დასაცავად; და „მესამე. ყველაზე ველურ და არაზომიერ“ ნაწილად იგულისხმებოდა „მაიაკი“ (იხ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 184 — 187).

* გვ. 345. „აბაღონა“, „ემმა“ და „სიშმაგის ნეტარება“ — ნ. ი. პოლევოის ნაწარმოებები.

* გვ. 345. „უწმწური რეზონიორი“ — ფ. ბ. ბულგარინი. — „მეორე რეზონიორი“ — ო. ი. სენკოვსკი.

სტატიები ა. ს. პუშკინის „ეპიგონი ონებინის“ შესახებ

¹ გვ. 346. ბელინსკის მერვე და მეცხრე სტატიები პუშკინზე, რომლებიც ამ გამოცემაში იბეჭდება. პირველად გამოქვეყნდა „ოტჩინესტვენნიე ზაპისკიში“: 1844, ტ. XXXVII, № 12 (ცენზურამ ნება დართო ღაახლოებით 30/XI), განყ. V, გვ. 45 — 72; 1845, ტ. XXXIV, № 3 (ცენზურამ ნება დართო 28/II), განყ. V, გვ. 1 — 20. ამ გამოცემაში წარმოდგენილია ეს პირველნაბეჭდი ტექსტი.

ბელინსკი დიდხანს ემზადებოდა პუშკინის შესახებ სტატიების ციკლოს დასაწერად, რომლებმაც ცენტრალური ადგილი დაიკავეს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ჯერ კიდევ 1836 წელს იგი ამბობდა, რომ რომანტიზმის საკითხს, პუშკინის მიმართ, იგი დაწვრილებით განიხილავს „განსაკუთრებულ სტატიაში პუშკინზე, რომელიც უკვე იწერება“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 340). სტატია არ დაწერილა. 1838 წელს. „ალექსანდრე პუშკინის თხზულებათა“ გამოცემის (გამოვიდა პოეტის სიკვდილის შემდეგ) პირველი სამი ტომის რეცენზიაში, ბელინსკი კვლავ სწერდა: „ყოველ განათლებულ რუსს უნდა ჰქონდეს მთელი პუშკინი; სხვანაირად ის არც განათლებულია და არც რუსი. „მოსკოვსკი ნაბლიუდატელი“ დაუყოვნებლივ მიაწვდის თავის მკითხველებს პუშკინის თხზულებათა დაწვრილებით განხილვას“ (იქვე, ტ. III, გვ. 322). მაგრამ დაიბრება ამჯერადაც არ შესრულებულა. 1839 წლის დამლევს, ნ. პოლევოის „რუსული ლიტერატურის ნარკვევების“ შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში, ბელინსკი უკვე ერთგვარად თავს იმართლებდა და სწერდა: „პუშკინზე საჭიროა ან ყველაფერი ითქვას, ანდა არაფერი. „ოტჩინესტვენნიე ზაპისკის“ მკითხველები მასში იმდენად ბევრ და ისეთ მკვეთრ აზრებს ხეღებოდნენ პუშკინის, როგორც პოეტის, სიდიადეზე, რომ მათ უფლება აქვთ მოგვთხოვონ მისი მხატვრული მოღვაწეობის დასაბუთებული და მკაფიო შეფასება. და ამიტომ, პუშკინის

თხზულებათა უკანასკნელი ტომების გამოსვლისას, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ ამ პოეტის შესახებ თავის მკითხველებს წარუდგენს მთელ რიგ სტატიებს, რომლებშიც ჩვენ, შემოკმედების მნიშვნელობისა და საფუძვლების განვითარების შემდეგ, გადავალთ დერეჟინის, ეუკოვსკისა და ბათიუმოვის, როგორც პუშკინის წინამორბედთა, ქმნილებების კრიტიკულ განხილვაზე და დაემათავრებთ თვით პუშკინის ქმნილებათა დაწვრილებითი განხილვით, ასე რომ ეს კრიტიკა ამასთანავე რუსული პოეზიის ისტორიის ნარკვევიც იქნება“ (იქვე, ტ. V, გვ. 109). ამრიგად, პუშკინის შესახებ დასაწერი შრომის გეგმა, რაც ერთი სტატიის სახით იყო დასახული, რამდენიმე სტატიამდე გადიდა და, ბოლოს, მთელ „რუსული პოეზიის ისტორიის ნარკვევნი“ მიაღწია. ეტყობა, ეს გეგმა ფართოდებოდა იმისა შესაბამისად, რაც ბელინსკისათვის უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა პუშკინის მთელი უდიდესი მნიშვნელობა რუსული ლიტერატურის ისტორიაში. ამ გეგმის შესრულებას ბელინსკი შეუდგა მხოლოდ 1843 წელს, ე. ი. თითქმის რვანახევარი წლის მერმე მას შემდეგ. რაც მან დაიბრუნა მისცა დაწერა „განსაკუთრებული სტატია“ პუშკინის შესახებ. ბელინსკიმ, რომლისთვისაც უცხო იყო ყალბი სირცხვილი, თვითონ გულწრფელად აღიარა, რომ „ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მის არ შეეძლო უფრო ადრე შეესრულებინა პუშკინის თხზულებათა განხილვის შესახებ მკითხველებისადმი მიცემული თავისი დამირება, ამ პოეტის მნიშვნელობაზე საკუთრივ მისი წარმოდგენის ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის შეგნება იყო“ (იქვე, ტ. XI, გვ. 193).

პუშკინის შესახებ დაწერილი თერთმეტი სტატია, რომლებიც ბელინსკიმ დაგვიტოვა, სრული აზრით შეიძლება ჩაითვალოს „რუსული პოეზიის ისტორიის ნარკვევებად“, მაგრამ ამასთან ერთად ისინი მხოლოდ ცენტრალური ნაწილი იყო ბელინსკის უფრო გრანდიოზული შრომისა — „რუსული ლიტერატურის თეორიული და კრიტიკული კურსისა“, რომლის გეგმა კრიტიკოსმა 1841 წელს დასახა (ტ. VI, გვ. 63—64). გარდა ცენტრალური ნაწილისა — სტატიებისა პუშკინის შესახებ, ბელინსკიმ ამ კურსისათვის დაწერა რიგი სხვა სტატიები, მაგრამ ამ შრომის დამთავრება ვერ მოასწრო.

² გვ. 346. სიტყვებს: „სტატია მერვე“, ეტრნალის ტექსტში აქვს ტექსტქვეშ ჩატანილი შენიშვნა: „პირველი შვიდი სტატია დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ შემდეგ წიგნებში: პირველი — მეექვსეში (იენსი), მეორე — მეცხრეში (სექტემბერი). მესამე — მეთექვსეში (ოქტომბერი), მეოთხე — მეთორმეტეში (დეკემბერი) გასული, 1843 წლისა; მეხუთე — მეორე წიგნში (თებერვალი). მეექვსე — მესამეში (მარტი), მეშვიდე — მეხუთეში (მაისი) ამა წლისა“.

³ გვ. 359. ნართაულად ნათქვამია ნ. მ. ზაგოსკინის რომანზე „სამშობლოს სედა“, რომელშიც არის „მთვრალი ლაქის“ სცენა ბელინსკიმ

თავის სტატიებსა და რეცენზიებში დიდი ადგილი დაუთმო ფსევდო-რომანტიკოსებთან ბრძოლას, აგრეთვე „ქემპარიტი ეროვნულობის“ მათი გაგების წინააღმდეგ ბრძოლას.

⁴ გვ. 359. ციტატი ვოგოლის სტატიიდან: „რამდენიმე სიტყვა პუშკინის შესახებ“, რომელიც მოთავსებული იყო „არაბესკების“ პირველ ნაწილში.

⁵ გვ. 361. სხვა ფორმულირებით, მაგრამ არსებითად ასეთივე შეხედულებათა გამოთქმული „ლიტერატურულ ოცნებებში“, სადაც ბელისსკი აწ-ბოძს: „უმართებულად ლაპარაკობენ, თითქოს პუშკინი ჰბაძავდა შენიეს, ჰაირონს ან სხვებს. ბაირონი მას ჰვლობდა არა როგორც ნიმუში, არამედ როგორც მოვლენა, როგორც საუკუნის ფიქრთა მპყრობელი, მე კა ვთქვებ, რომ პუშკინი ყოველ დიდ მოვლენას გამოეხმაურა. დიახ, პუშკინი იყო თავისი თანამედროვე კაცობრიობის წარმომადგენელი, მაგრამ გამოხატულება რუსული სამყაროსი, წარმომადგენელი რუსული კაცობრიობისა“.

⁶ გვ. 361. თარგმანი: „სამირო საქმე“.

⁷ გვ. 365. მოტანილი სტრიქონები აღებულია ლერმონტოვის ლექსიდან: „ეურნალისტი, მკითხველი და მწერალი“.

⁸ გვ. 367. „ერთ დიდ კრიტიკოსად“ შეიძლება ვიგულისხმოთ ნ. ი. ნადეჟდინიც და ნ. ა. პოლევოიც. „ევგენი ონეგინის“ მე-7 თავის შესახებ დაწერილ რეცენზიაში ნ. ი. ნადეჟდინმა რომანს უწოდა „თავშესაქცევი ლაზობა“ („ვესტნიკ ევროპი“, 1830, № 7). ხოლო სტატიაში — „მშობლიური ლიტერატურის მათიანენი“, რომელიც ორი წლის შემდეგ გამოქვეყნდა, იგი ამბობდა, რომ «„ევგენი ონეგინი“ არ იყო და ნამდვილად არც უნდა ყოფილიყო რომანი... თვით მოვლინება მისი, გაურკვეველი პერიოდული გამოსვლით, განუწყვეტელი გამოტოვებული ადგილებითა და ნახტომებით, მოწმობს, რომ პოეტს მისი შექმნისას არ ჰქონდა არც მიზანი; არც გეგმა, არამედ იგი მოქმედებდა ლალი ფანტაზიის თავისუფალი შთაგონებით. თამამად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ონეგინის“ პირველი თავის წერის დროს პუშკინი არც კი ფიქრობდა, თუ როგორ დამთავრდებოდა რომანი» („ტელესკოპი“, 1832, ნაწ. IX, № 9). ნ. ა. პოლევოი „ევგენი ონეგინის“ თავისი უკანასკნელი შეფასებებით დაუახლოვდა ნ. ი. ნადეჟდინს. „ევგენი ონეგინის“ იმავე მე-7 თავის შესახებ დაწერილ რეცენზიაში იგი ამბობდა: «„ონეგინი“ არის კრებული ერთ ჩარჩოში ჩასმული ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი შენიშვნებისა და აზრებისა ამაზე, იმაზე, და მათგან აეტორი ვერაფერს ვერ შეადგენს ისეთს, რასაც თავისი ცალკე მნიშვნელობა ექნებოდეს» („მოსკოვსკი ტელეგრაფი“, 1830, ნაწ. XXXII, № 6). „ევგენი ონეგინის“ შესახებ დაწერილ რეცენზიაში, რომელიც 1833 წელს გამოქვეყნდა, იგი კითხვას აყენებდა: „რა ზოგადი აზრი რჩება სულში „ონეგინის“ შემდეგ? — არაერთგვაროვანი არ იტყვის, რომ „ონეგინში“ უხვად არის სხვადასხვაგვარი მშვენიე-

რებანი, მაგრამ ყოველივე ეს მოცემულია ნაწყვეტებად, ცალკეულ სტრიქონებად, რაღაც ისეთი რამის ეპიზოდებად, რაც არაა ღა არც იქნება. მაშასადამე, „ონეგინის“ შექმნის დროს პოეტს არავითარი აზრი არა ჰქონდა; წერა რომ დაიწყო, მან არ იცოდა, რით დაემთავრებინა, და ღამთავრებისას შეეძლო კიდევ ეწერა ამდენივე თავი ისე, რომ თხზულების მთლიანობისათვის ვნება არ მიეყენებინა, იმიტომ რომ ეს მთლიანობა არ არის“ („მოსკოვსკი ტელეგრაფ“, 1833, ნაწ. I, № 6).

⁹ გვ. 374. გადაკერით ნათქვამია ფ. ბ. ბულგარინზე, რომელიც „უკუღმართი რწმენით“ უტყვეროდა მაღალ საზოგადოებას, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ ამ საზოგადოებას არ სურდა ეცნო ბულგარინის წარმომობა ლიტვის „თავადი ბოიარებისაგან, რომელთაც ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც ძველ რუს ბოიარებს“. თავის „მოგონებებში“ ბულგარინმა მიუთითა თავის „დიდ გვარიშვილობაზე“ და ამაყად განაცხადა: „ამის შემდეგ ნებას ვაძლევ ყველას არისტოკრატად წარმოსდგეს ჩემს წინაშე“ (მდრ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, გვ. 340 — 341). — იმ მწერლებად. რომელთაც მაღალი საზოგადოების გამოხატვა უყვარდათ, ბელინსკი ჰგულისხმობდა უმთავრესად ლ. ე. ბრანტს და ვლადიმერ ვოიტს, რომელთა რომანები მაღალი საზოგადოების ცხოვრებიდან მან დაახლოებით ამ ხანებში გააჩნია (იქვე, ტ. VIII, № 775 და 778).

¹⁰ გვ. 403. ქვემოდან მესამე სტრიქონი ბელინსკის მოჰყავდა აზუსტად.

¹¹ გვ. 405. თარგმანი: „უბედური არსებანი, ბელუქულმართი არსებობა“.

¹² გვ. 409. ქვემოდან მეოთხე სტრიქონი ბელინსკის მოჰყავდა არაზუსტად.

¹³ გვ. 410. ლენსკის ამ მკაცრ დახაიათებაში თავი იჩინა ბელინსკის მკვეთრად უარყოფითმა დამოკიდებულებამ რომანტიზმისადმი, რომლის წინააღმდეგ მან სასტიკი ბრძოლა გააჩაღა 1840 — 1841 წლების შემდეგ. კიდევ უფრო მკაცრად, ვიდრე ლენსკის, მოეპყრო კრიტიკოსი დაგვიანებულ რომანტიკოსს ალექსანდრე ადუევს სტატიაში „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“, რომელიც დაწერილია პუშკინის შესახებ გამოქვეყნებული წინამდებარე სტატიის დაწერიდან სამი წლის შემდეგ. „იდეალურ ქალწულად“ აქ იგულისხმებოდა გმირი ქალი ო. ი. სენკოვსკის რომანისა: „იდეალური მზეთუნახავი ანუ მშვენიერი ქალწული“, რომელიც 1841 — 1844 წლებში დაიბეჭდა. ბელინსკიმ ეს გმირი ქალი საზოგადო სახელად აქცია და მუდამ სასაცილოდ იგდებდა მას თავის სტატიებში. ამ ტიპის ქალზე იგი დაწერილებით ლაპარაკობს მეცხრე სტატიაში პუშკინზე და რეცენზიაში ფრედერიკ ბრემერის რომანზე „ოჯახი“ (თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, № 768).

¹⁴ გვ. 410. ბელინსკიმ მწარე გამოცდილებით იცოდა, რა დიდი იყო ეს „ბალასტი ლექსების სახით“, რომელსაც რომანტიკოსი პოეტები აწვდიდნენ ჟურნალებს. არა ჩივილი, არამედ კენესა მოისმის მის ერთ-ერთ რეცენზიაში: „თქვენ რომ იცოდეთ, მაგალითად, ამ სტრიქონების დამწერმა, ჟურნალისტის მოვალეობის გამო, წლის განმავლობაში რამდენი დიდი და პატარა ლექსი, ამბავი, მოთხრობა, დრამა, ნაწყვეტი, ეგრეთწოდებული „მეცნიერული სტატიები“ და სხვ. და სხვ. უნდა წაიკითხოს, — გარწმუნებთ, შეძრწუნდებოდით!“ (თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, გვ. 229).

¹⁵ გვ. 410. სიტყვებს: „სტატია მეცხრე“, ჟურნალის ტექსტში აქვს შენიშვნა: „პირველი არა სტატია დაიბეჭდა „ოტჩესტვენნიე ზაპისკის“ შემდეგ წიგნებში: პირველი — მეექვსეში, მეორე — მეცხრეში, მესამე — მეათეში, მეოთხე — მეთორმეტეში 1843 წლისა; მეხუთე — მეორეში, მეექვსე — მესამეში, მეშვიდე — მეხუთეში, მერვე — მეთორმეტეში გასული, 1844 წლისა“.

¹⁶ გვ. 424. უკანასკნელი სტრიქონი ბელინსკის მოჰყავდა არაზუსტად.

¹⁷ გვ. 439. მეორე სტრიქონი ბელინსკის მოჰყავდა არაზუსტად.

¹⁸ გვ. 441. ქვევიდან მეორე სტრიქონი ბელინსკის მოჰყავდა არაზუსტად.

¹⁹ გვ. 452. თარგმანი: „ღე, იგი მოკვდეს“.

²⁰ გვ. 452. ქალზე, სიყვარულსა და ქორწინებაზე ამგვარ შეხედულებათა გამოთქმა თავის სტატიებსა და წერილებში ბელინსკიმ დაიწყო 1841 წლიდან, როდესაც იგი გაიტაცა უტოპიური სოციალისტების იდეებმა. ამ დრომდე კი ემანსიპაციამნილი ქალი მის თვალში დაბლა იდგა (მღრ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, შენიშვნა 194). რაც შეეხება ტატიანას, მას ბელინსკიზე რამდენიმე ხნით ადრე, სენ-სიმონისტურ შეხედულებებზე დაყრდნობით, შარავანდედი მოაცილა ბელინსკის მეგობარმა ვ. პ. ბოტკინმა ბელინსკისადმი გაგზავნილ 1842 წლის 22 მარტის ბარათში იგი სწერდა: „არ შემიძლია შევეურიგდე ტატიანას მდგომარეობას, ტატიანასი, რომელიც ნებაყოფლობით დაადგა პროსტიტუციის გზას თავის მოხუც გენერალთან“ (ბელინსკი, „წერილები“, ტ. II, გვ. 419). ბელინსკი დაეთანხმა თავისი მეგობრის აზრს და 1842 წლის 4 აპრილს მას პასუხად სწერდა: „ტატიანაზეც აგრეთვე გეთანხმები: მას შემდეგ, რაც მას უნდა საუკუნოდ ერთგული იყოს თავისი გენერლისა მისი მშვენიერი სახე იჩრდილება“ („წერილები“, ტ. II, გვ. 294). ბელინსკი, ისე როგორც ვ. პ. ბოტკინი, ამათრახებდა ტატიანას იმისათვის, რომ მან წაბილწა სიყვარულის მაღალი გრძობა, რომელიც მსხვერპლად შესწირა „საზნიზლარი, უაზრო და ჩემთვის საქლველი ბრბოს კანონებს“. ამისათვის ბელინსკი სასტიკად ჰგმობდა თავის საცოლესაც, მომავალ მიუღლეს მ. ვ. ორლოვას. როდესაც ამ უკანასკნელმა, „ბრბოს შიშით“. უარი სთქვა ბელინსკისთან პეტერბურგს ჩასულიყო დასაქორწინებლად,

ბელინსკი აღშფოთებული სწერდა მას 1843 წლის 4 ოქტომბერს: „თქვენ გრძნობთ ერთს, გწამთ ერთი, ხოლო აკეთებთ მეორეს. ეს კი სულმდაბლობაცაა და უმადურობაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ფარულად შენს ღმერთს ევედრებოდე, ხოლო აშკარად მსხვერპლი მიგქონდეს კერაპებისადმი. ეს სამინელი ცოდვაა ო, ახლა მესმის, თუ რატომ იცავთ ასე პუშკინის ტატიანას, და რატომ ყოველთვის ისე მაცოფებდა და მანაღვლიანებდა ეს, რომ არ შემეძლო თქვენთან ამ საგანზე რიგიანად შელაპარაკება სიყვარული ქალის რელიგიაა. და ქალისთვის არ არსებობს უფრო მაღალი და უფრო წმინდა სიამოვნება, ვიდრე ის, რომ ყველაფერი თავის რელიგიას შესწიროს. მისთვის წმინდაა იმ ადამიანის ყოველგვარი კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნა, რომელიც მას უყვარს“ (წერილები, ტ. III. გვ. 40 — 41). ყველაფერი მსხვერპლად გაიღო საყვარელი ადამიანისათვის მარიამმა, „პოლტავის“ გმირმა ქალმა, და ბელინსკიმ უყუყუანოდ დააყენა იგი ტატიანაზე მაღლა (მდრ. თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII, გვ. 68). წინამდებარე სტატიამი ბელინსკიმ ფართოდ და ბრწყინვალედ განავითარა შეხედულება ტატიანაზე, რაც მან გამოსთქვა 1842 წლის 4 აპრილის საპასუხო წერილში ვ. პ. ბოტკინისადმი.

²¹ გვ. 454. პუშკინისადმი ამ კლასობრივ მიდგომაში გ. ვ. პლეხანოვი ხედავდა „ჩანასახს მეცნიერული კრიტიკისას, რომელიც ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ეყრდნობა“. „თავისი ჭიციოცხლის მიწურულს. — სწერდა იგი, — ბელინსკი საესებით გამოეთხოვა ჰეგელის იდეალიზმს და დაიწყო ფოიერბახის მატერიალიზმისაკენ გადახრა. ხოლო მატერიალიზმის მოძღვრებით, ცნობიერება ვითარდება არა თავისი თავისაგან: მისი ჭანვითარება განპირობებულია ყოფიერებით. მართალია. ეს ქვეშეპარტება ფოიერბახმა არ გამოიყენა საზოგადოდ ისტორიის და კერძოდ იდეოლოგიის ისტორიის ასახსნელად. მაგრამ ფოიერბახის მატერიალიზმის ამ ხარვეზს იმამი, რაც ხელოვნებას შეეხება, ნაწილობრივ ავსებდა თვით ჰეგელი, რომელიც თავის „ესთეტიკაში“, მიუხედავად აპრიორული აგებებისადმი თავისი იდეალისტური მიდრეკილებითა, მაინც საკმაოდ ხშირად წმინდა მატერიალისტურად ხსნიდა ხოლმე ხელოვნების განვითარებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებით. ამასთანავე ბელინსკის თვითონ შესწევდა უნარი სათანადო დასკვნები გაეკეთებინა ერთხელ ნაპოვნი წინამძღვრებიდან. თავის უკანასკნელ პერიოდში იგი ხელოვნების განვითარებას მიზეზობრივად აკავშირებდა ეპოქის საერთო ხასიათთან“, ე. ი. ამ ეპოქის დამახასიათებელი საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათთან. რა თქმა უნდა, იგი აქ თავის აზრს გამოხატავდა საკმაოდ გაურკვეველად. ეს გაურკვეველობა კი მოწმობდა ამასთან დაკავშირებულ მის შეხედულებათა ბუნდოვანებას. მაგრამ შეხედულებათა ბუნდოვანება აიხსნება მათი დაუმუშავებლობით, ხოლო ეს შეხედულებანი მაშინ არც შეიძლებოდა დაუმუშავებული ყოფილიყო. მნიშვნელოვანი იყო უკვე ის,

რომ ბელინსკის აზრს აქაც შეეძლო განესაზღვრა სათანადო მიმართულება, აგრეთვე ის, რომ თავის დაუმუშავებელ შეხედულებასაც კი ბელინსკი ზოგჯერ თავის კრიტიკულ სტატიებში მართლაც რომ ბრწყინვალედ იყენებდა“. და ქვევით: „როდესაც პუშკინის პოეზიას ხსნიდა რუსეთის საზოგადოებრივი ვითარებით და იმ წოდების ისტორიული მდგომარეობით, რომელსაც ჩვენი დიდი პოეტი ეკუთვნოდა, ბელინსკი შორს უსწრებდა წინ 60-იანი და 70-იანი წლების ჩვენს მოწინავე კრიტიკას, რომლის მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ეს კრიტიკა ლიტერატურულ მოვლენებს უყურებდა მხოლოდ და მხოლოდ პუბლიცისტური და არა სოციოლოგიური თვალსაზრისით“ (გ. ვ. პლეხანოვი, თხზ., ტ. XXIII, გვ. 160 — 161 და 162).

რეცენზია ფრიდრიხ ლორენცის წიგნზე

¹ გვ. 457. პირველად დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“, 1842, ტ. XXI, № 4 (ცენზურამ ნება დართო დაახლოებით 31/III), განყ. V, გვ. 35 — 45.

ეს სტატია შევიდა კრებულში „გვირგვინი ბელინსკის“ (ნ. კ. პიკსანოვის რედაქცია, „ნოვია მოსკვა“, 1924), შემდეგ კი ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებულის XII ტომში (სახელმწიფო გამომცემლობა, მოსკოვი — ლენინგრადი, 1926, გვ. 332 — 346 და 537). წინამდებარე ტომში სტატია იბეჭდება „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ტექსტის მიხედვით, მაგრამ გამოტოვებულია დასასრული, სადაც მოტანილია ვრცელი ამონაწერები ლორენცის წიგნიდან და მოცემულია მისი შეფასება. სტატია ხელმოუწერელია. ბელინსკისადმი მის კუთვნილებას ადასტურებს თვით კრიტიკოსი. ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ 1842 წლის 17 მარტის წერილში იგი სწერდა: „შენ არაფერი არ გამომიგზავნე კულჩიკის ხელით (ა. ი. კულიჩიკი, ბელინსკისა და ბოტკინის მეგობარი. — ვ. ხ.) ლორენცის შესახებ და ამით ჩამაყენე გაპირებულ მდგომარეობაში — ვწერო იმაზე, რაც არ ვიცი“. ხოლო 1842 წლის 31 მარტს ბელინსკი უკვე ატყობინებდა იმავე ბოტკინს: „ლორენცზე ნუ იზრუნებ: დანაშაული ჩადენილია, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ № 4-ში წაიკითხავ შენი მეგობრის — უკანასკნელი ათწლიდის მეცნიერის — საკმაოდ საძაგელ სტატიას“ („წერილები“, ტ. II, გვ. 284 და 291).

² გვ. 457. დაწყებული სტატიით „რუსული ლიტერატურა 1841 წელს“. ბელინსკიმ ისტორიული მეთოდი საფუძვლად დაუდო ყველა თავის ნაშრომს. იგი სამართლიანად ითვლება ჩვენში ისტორიული კრიტიკის მამამთავრად და რუსული ლიტერატურის პირველ ისტორიკოსად.

³ გვ. 458. „კეთილ ადამიანებად“, რომლებიც „სხვის ძველ აზრებს“ იმეორებდნენ, ბელინსკი გულისხმობდა ო. ი. სენკოვსკის და ფ. ბ. ბულ-

გარინს. ისინი თავს დაესხნენ გოგოლს და მის მოძღვერებს, რომლებმაც, მათი აზრით, დაამცირეს ხელოვნება იმით, რომ დაიწყეს „ბინძური“ სინამდვილის გამონახტვა.

⁴ გვ. 460. ბელინსკიმ 1840 წელს კავშირი გასწყვიტა რუსეთის სინამდვილესთან და მაშინვე უარყო ჰეგელის ფილოსოფიის „აბსოლუტური შედეგები“, რომლებმაც იგი ამ სინამდვილესთან შერიგებამდე მიიყვანეს; იგი მიემხრო ჰეგელიანობის მემარცხენე მხარეს.

ბელინსკი დამოუკიდებლად მივიდა მემარჯვენე ჰეგელიანობის ცალმხრიობისა და უსუსურობის გაგებამდე. უკვე ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ 1840 წლის 11 დეკემბრის ბარათში იგი სწერდა: „რა თქმა უნდა, იდეა, რომლის განვითარებასაც მე ვცდილობდი ბოროდინოს ბრძოლაზე გლინკას წიგნის გამო დაწერილ სტატიაში, თავის საფუძვლებში სწორია, მაგრამ უნდა განმევითარებინა იდეაც უარყოფისა, როგორც ისტორიული უფლებისა, რომელიც პირველზე არანაკლებ წმინდათაწმინდა და ურომლისოდაც კაცობრიობის ისტორია გადაიქცეოდა დამდგარ და აყროლებულ ქაობად, ხოლო თუ ამის თქმა არ შეიძლებოდა, მაშინ ღირსების ვალი მოითხოვდა, რომ სრულებით არაფერი აღარ დამეწერა“ („წერილები“, ტ. II, სპ. 1914, გვ. 186). 1841 წლის თებერვალში ვ. პ. ბოტკინმა ბელინსკის გაუგზავნა თარგმანი ნაწყვეტისა მემარცხენე ჰეგელიანური ჟურნალიდან „Hallische Jahrbücher“. რომელსაც სცემდნენ არნოლდ რეგე და ერნსტ-თეოდორ ეხტერმაიერი. ამის საპასუხოდ ბელინსკი მას 1841 წლის 1 მარტს სწერდა: „ნაწყვეტმა „Hallische Jahrbücher“-იდან ძალიან გამახარა, თითქოს კიდევ გამაცოცხლა და ერთი წუთით გული გამიშავრა, — მადლობა მომიხსენებია მისი გამოგზავნისათვის, ასევე მადლობა. მე უკვე დიდი ხანია ვეკვობდა, რომ ჰეგელის ფილოსოფია მხოლოდ მომენტია, თუმცა ძალიან დიდი მომენტი, მაგრამ რომ მისი შედეგების აბსოლუტურობა არავითარ

არ ვარგა, რომ მასთან შერიგებას სიკვდილი სჯობს. შენი ამ წერილის მიღებამდე მინდოდა მომეწერა ეს შენთვის“ („წერილები“, ტ. II, გვ. 212 — 213). — წინამდებარე რეცენზიაში ბელინსკი გამოდის უკვე როგორც ჩამოყალიბებული მემარცხენე ჰეგელიანელი.

⁵ გვ. 462. „კაცობრიობის“ იდეამ, რაც 1841 წლის ბოლოდან 1847 წლამდე ბელინსკის სოციოლოგიურ შეხედულებათა ცენტრში იყო, შესიცვალა ცნება „ხალხი“, რომელიც დამახასიათებელი იყო მისი შეხედულებებისათვის 1834 — 1840 წლების პერიოდში. წინანდელი შეხედულება ხალხზე, როგორც კაცობრიობის პიროვნებაზე. ბელინსკიმ შეიცვალა ახალი შეხედულებით, რომ თვით კაცობრიობა წარმოადგენს იდეალურ პიროვნებას. თავის გაგებაში ისტორიისა, როგორც ამ იდეალური პიროვნ-

ნების ბიოგრაფიისა, ბელინსკი, თუმცა ეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, დაუახლოვდა გოგოლს, რომელიც ოცდაათიან წლებში სტატიამ „მსოფლიო ისტორიის სწავლების შესახებ“ („არაბესკებიდან“) სწერდა: „მსოფლიო ისტორია, მისი ქვეშაირი მნიშვნელობით, არ არის ყველა ხალხისა და სახელმწიფოს კერძო ისტორიების კრებული, მოკლებული საერთო კავშირს, საერთო ფონს, საერთო მიზანს, არ არის უწყსრიგო შემთხვევათა გროვა, უსიცოცხლო და მშრალი სახით, როგორც მას ძალიან ხშირად წარმოგვიდგენენ. მისი საგანი დიდია: მან ერთბაშად და სრული სურათით უნდა მოიცვას მთელი კაცობრიობა — როგორც ის თავისი თავდაპირველი, საბრალო ყრმობიდან ვითარდებოდა, სხვადასხვა გვარად უმჯობესდებოდა და, ბოლოს, ახლანდელ ეპოქას მიაღწია. აჩვენოს მთელი ეს დიადი პროცესი, რომელსაც გაუძლო ადამიანის თავისუფალმა სულმა სისხლიანი შრომით, როდესაც იგი აკვირდნენ ებრძოდა უცილობას, ბუნებასა და უზარმაზარ დაბრკოლებებს, — აი მსოფლიო ისტორიის მიზანი. ამ ისტორიამ ერთად უნდა შექარიბოს მსოფლიოს ყველა ხალხი, რომლებიც დროს, შემთხვევას, მთებს, ზღვებს დაუქუცმაცებია. და შეაერთოს ისინი ერთ მწყობრ მთელად, შეადგინოს მათგან ერთი დიდებული სრული პოემა“ („ნ. ვ. გოგოლის თხზულებანი, გამოცემა 1-ლი. ნ. ტინონრაევიის რედაქციით“, ტ. V, მოსკოვი, 1889, გვ. 141). რაჟი ისტორიაზე შეხედულებაში დაუახლოვდა გოგოლს, ბელინსკიმ ახლა სხვანაირად შეაფასა მისი „არაბესკები“. ოცდაათიან წლებში, რადგან თავის თავს ისტორიის საკითხებში არაკომპეტენტურად სთვლიდა, ბელინსკიმ ამჯობინა „არაბესკებში“ მოთავსებული გოგოლის სამეცნიერო სტატიები სხვა ვინმეს განეხილა, მაგრამ მაინც შენიშვნაში სტატიისადმი: „რუსული მოთხრობისა და გოგოლის მოთხრობების შესახებ“, აღნიშნა: „არ მესმის, როგორ შეიძლება ასე მოუფიქრებლად გაიტეხო საკუთარი ლიტერატურული სახელი. ნუთუ მილერის ისტორიის ზოგიერთი ადგილის თარგმნა. ან, უკეთ რომ ვთქვათ, გადასხვაფერება და პაროდულიად გადმოცემა, მათში საკუთარი ფრაზების შერევა — მეცნიერული სტატიის დაწერას ნიშნავს?.. ნუთუ შლეცერის, მილერისა და ჰერდერის შედარება. რაც ყოვლად შეუძლებელია, აგრეთვე სწავლულობა?.. თუ ამგვარი ეტიუდები სწავლულობაა, მაშინ გვიხსენ, უფალო, ასეთი სწავლულობისაგან! ჩვენ ისედაც მდიდარი ვართ მით“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, გვ. 236). გოგოლისადმი 1842 წლის 20 აპრილს გაგზავნილ წერილში კი ბელინსკიმ აღიარა ამ შკატრი შეფასების მცდარობა. იგი სწერდა: „განსაკუთრებული სიყვარულით მინდა ვილაპარაკო ჩემთვის ძვირფას „არაბესკებზე“, მით უმეტეს, რომ მე დამნაშავე ვარ მათ წინაშე: მას უამსა შინა მე სასტიკი სიფიცხით ვაძავე „არაბესკებში“ მოთავსებული თქვენი სამეცნიერო შინაარსის სტატიები და არ მესმოდა, რომ ამით ვაძაგებდი სულს. ეს სტატიები მაშინ ჩემთვის მეტისმეტად

მარტივი, ხოლო ამიტომ მიუვალად მალალი იყო“ („წერილები“, ტ. II, სპ., 1914, გვ. 309).

⁷ გვ. 466. ლაპარაკია რევოლუციაზე, რომელსაც ბელინსკი აშკარა თანაგრძნობით ეყიდებოდა „რუსეთის სინამდვილესთან“ კავშირის გაწყვეტის შემდეგ. უფრო გარკვევით ეს დამოკიდებულება გამოხატულია ბელინსკის იმ წერილებში, რომლებიც ამ დროს მიეკუთვნება. ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ 1841 წლის 28 ივნისის ბარათში იგი სწერდა: „პლუტარქეს საშუალებით ბევრი რამ გავიგე, რაც არ მესმოდა... ჩემთვის გასაგებები გახდა საფრანგეთის რევოლუცია და მისი რომაული ზარზეიმიც. რასაც წინათ ღავეცინოდი. გასაგებები გახდა მარატის სისხლიანი სიყვარულიც თავისუფლებისადმი, მისი სისხლიანი სიძულვილიც ყოველივე იმის მიმართაც, რასაც უნდოდა კაცობრიობასთან ძმობას თუნდაც ღერბიანი ეტლით გამოჰყოფოდა... აღამიანის პიროვნება იქცა იმ პუნქტად, რომელზეც მეშინია ჰკუდიან არ შევიშალო. ჩემში ფეხს იკიდებს მარატისებური სიყვარული კაცობრიობისადმი: იმისათვის, რომ ბედნიერი გავხადო კაცობრიობის სულ მცირე ნაწილი, მე, მგონი, ცეცხლითა და მახვილით გავანადგურებდი დანარჩენ ნაწილს. რა უფლება აქვს ჩემს მსგავს ადამიანს დადგეს კაცობრიობაზე მალა, გამოეყოს მას რკინის გვირგვინით და მეწამული მანტიით...“ („წერილები“, ტ. II, გვ. 246 და 247). და იმავე ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ 1841 წლის 8 სექტემბრის წერილში: „მე ამხედრებულ ვარ ყველა სუბსტანციური საწყისის წინააღმდეგ, რომლებიც რწმენის სახით ჰბოჰავენ ადამიანის ნებისყოფას! უარყოფა — ჩემი ღმერთია. ისტორიაში ჩემი გმირები არიან ძველის დამანგრეველნი — ლუთერი, ვოლტერი, ენციკლოპედისტები, ტერორისტები. ბაირონი... მე ვკითხვლობ ტიერს... ახალი სამყარო გაიშალა ჩემს წინაშე. მე მუდამ ვფიქრობდი, რომ მესმის რევოლუცია; სისულელეა, — მე მხოლოდ ვიწყებ მის გაგებას. უკეთესს ადამიანები ეერაფერს გააკეთებენ“ („წერილები“, ტ. II, გვ. 267 და 269). — ამ აპზაცეში გამოხატულ „ორიენტალიზტად“. ცხადია, იგულისხმებოდა ო. ი. სენკოვსკი.

⁷ 467. ნიკოლოზის ბეჰქეის პირობებში ბელინსკის არ შექცო უფრო გულახდილად გამოეთქვა თავისი მხტრვალე რწმენა სოციალიზმისადმი. რომელიც 1840 — 1841 წლების შემდეგ მისთვის „აღფად და ომეგად“ იქცა. აშკარად და მკვეთრად ამ საკითხზე ბელინსკიმ თავისი აზრი გაშოსტქვა ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ 1841 წლის 8 სექტემბრის წერილში.

⁸ გვ. 470. ბელინსკიმ გააზვადა მნიშვნელობა ფრიდრიხ ლორენცის წიგნისა, რომელიც შედგენილ იქნა ავტორის მიერ პედაგოგიურ ინსტიტუტში წაკითხული ლექციებისაგან და მხოლოდ კომპილაციური სახელმძღვანელო იყო. ასე უყუტებდნენ ამ წიგნს ორმოციან წლებში.

⁹ გვ. 470. 1841 — 1846 წლების პერიოდში ბელინსკის სოციოლოგიურ

შეხედულებებში ცენტრალური იყო კაცობრიობის იდეა. მაგრამ თავის სიყვარულს მთელი კაცობრიობისადმი და თავის დაუძლეველ მისწრაფებას უტოპიური სოციალური იდეალის მიღწევისადმი, ბელინსკი ათავსებდა ხალხურობის იდეასთან, რაც განსაკუთრებით ნათლად არის გამოხატული რევინუებში პეტრე დიდის შესახებ დაწერილ წიგნებზე და სტატიებში პუშკინზე, რომლებიც ბელინსკის მოღვაწეობის ამავე პერიოდს მიეკუთვნება. ბელინსკის მგზნებარედ უყვარდა დიდი რუსი ხალხი, მაგრამ იგი მკვეთრად ილაშქრებდა სლავიანოფილების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაეპირისპირებინათ რუსი ხალხი მთელი დანარჩენი კაცობრიობისადმი.

რეცენზია ნიკოლოზ მარკავიჩის წიგნზე

¹ გვ. 471. პირველად დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“, 1843. ტ. XXVIII, № 5 (ცენზურამ ნება დართო 30/IV), განყ. V. გვ. 1 — 18. სტატია ხელმოუწერელია. ბელინსკისადმი მისი კუთვნილება გამოარკვევა ვ. ს. სპირიდონოვა. სტატია „შევიდა კრებულში „გვირგვინი ბელინსკის““ (ნ. კ. პიკსანოვის რედაქცია. „ნოვია მოსკვა“, 1924), ხოლო შემდეგ — ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებულის XII ტომში (სახელმწიფო გამომცემლობა, მოსკოვი — ლენინგრადი, 1926, გვ. 393 — 414 და 544 — 546). კრებულში და XII ტომში მოტანილია იმის დამამტკიცებელი მასალები, რომ სტატია ბელინსკის ეკუთვნის.

წინამდებარე გამოცემაში სტატია იბეჭდება „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ტექსტის მიხედვით, მაგრამ გამოტოვებულია დასასრული, რომელსაც ფილოსოფიასთან დამოკიდებულება არა აქვს.

² გვ. 472. „კაცობრიობის იდეა“ ერთ-ერთი ძირითადი იდეა იყო ბელინსკის მსოფლმხედველობაში 1841 წლის დამლევდიან 1846 წლამდე განვილი პერიოდში, როცა იგი განიცდიდა მხურვალე გატაცებას უტოპიური სოციალიზმის იდეებით, მაშინ როდესაც 1834 — 1840 წლების პერიოდში მის შეხედულებებში ცენტრალური ადგილი ეკირა ხალხურობის იდეას ფართო აზრით.

1846 წლის დამლევს, როდესაც ბელინსკის არსებაში ჩაისახა ერთგვარი გულგატეხილობა უტოპიური სოციალიზმის მიმართ, იგი სტატიაში „რუსული ლიტერატურა 1846 წელს“ სწერდა: „რაც პიროვნება არის ადამიანი! იდეის მიმართ, ის არის ეროვნება კაცობრიობის იდეის მიმართ. სხვა სიტყვებითა ეროვნებანი კაცობრიობის პიროვნებანი არიან. ეროვნებათა გარეშე კაცობრიობა იქნებოდა მკვდარი ლოგიკური აბსტრაქტი, უშინაარსო სიტყვა, მნიშვნელობა მოკლებული ბგერა“. ეროვნების საკითხზე ბელინსკიმ მაშინ პოლემიკა გაუშარტა „ჰუმანურ კოსმოპოლიტს“, ჰვულისხმობდა რა ვ. ნ. შაიკოვს.

² გვ. 473. აქაც ბელინსკი შენიღბული სახით გამოსთქვამს თავის მხურვალე რწმენას სოციალიზმისადმი, რომელიც მას, „მოაზროვნე ადამიანებთან“, ე. ი. სენ-სიმონსა და მის მიმდევრებთან ერთად, წარმოუდგინა მოკვალში „ყველაზე უფრო დადებით სინამდვილედ“.

⁴ გვ. 474. „ყალბ პატრიოტებად“ ბელინსკი ჩვეულებრივად ჰკულისხმობდა საზოგადოდ სლავიანოფილებს და მათგან არ გამოკყოფდა მოსკოველ სლავიანოფილებს, რომლებსთვისაც არ შეიძლებოდა უყოყმანოდ ეწოდებინა „ევროპეიზმის მოქულებნი“. მთლიანად აბეთი „ყალბი პატრიოტები“ იყვნენ მხოლოდ პეტერბურგელი სლავიანოფილები ა. ს. შიშკოვი, მეთაურობით, ხოლო შემდეგ ულტრაეაქტიული „მიიაკის“ მეთაურობით.

⁵ გვ. 475. ბელინსკის უკვე აღრე მოუხდა კარამზინის დაცვა „ყალბი პატრიოტებისაგან“, რომლებიც ჩვენა ისტორიკოსს ბრალად სდებდნენ რუსული ენის თითქოს შერყენას გალიციზმებით. მიმოხილვაში „რუსული ლიტერატურა 1841 წელს“, რომელიც დაწერილია მარკევიჩის შრომაზე გამოქვეყნებულ სტატიამდე დაახლოებით წელწაუნახევრით აღრე, იგი ამბობდა: „კარამზინს ბრალად სდებენ რუსული ენის სიწმინდის შერყენას ეცხოური სიტყვებითა და ქცევებით, უმთავრესად გალიციზმებით. მაგრამ ამ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ მაშინ არ იყო არავითარი რუსული ენა. და რომ ლომონოსოვისა და ხერასკოვის ლათინურ-სლავური პროზა გაცილებით უფრო ნაკლებად იყო რუსული ენა, ვიდრე პროზა არა მარტო კარამზინისა, არამედ მისი ყველაზე უხეირო მიმბაძველებისა, პირწავარდნილი გალომანებისა“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული. ტ. VII, გვ. 17).

⁶ გვ. 480. ბელინსკის შეხედულებებთან დაახლოებულ აზრებს გერმანული ფილოსოფიის ისტორიის შესახებ ე. პ. ბოტკინი ავითარებდა სტატიის, რომელიც მოთავსებული იყო „ოტჩინესტვენისე ზაპისკიში“ 1843 წელს (ტ. XXVI, № 1, განკ. VII, გვ. 1 — 3). ამ სტატიის შესახებ ბელინსკი 1843 წლის 6 თებერვალს სწერდა ბოტკინს: „შენი სტატია „გერმანულ ლიტერატურაზე“... მეტისმეტად მომეწონა — კვიანური, საქმიანი და ოსტატურია“ („წერილები“, ტ. II, სპბ. 1914, გვ. 334).

⁷ გვ. 483. ბელინსკი ზოგჯერ უგულებელყოფდა ხოლმე იმ მეცნიერთ. რომლებიც ისტორიის ფაქტებს დეტალურად სწავლობდნენ, მაგრამ ფართო სოციოლოგიურ განზოგადებებს არ ახდენდნენ. იგი ისტორიულ მეცნიერებას უყურებდა როგორც „ისტორიულ ხელოვნებას“, როდესაც ისტორიკოსს მოეთხოვებოდა ფართო განზოგადებანი და მხატვრული გამომხატველობა და არა ფაქტების ძუნწი შესწავლა. გოლიკოვის ნაშრომის შესახებ 1841 წელს დაწერილ სტატიაში იგი აგრეთვე ამბობდა: „ჩვენი ნაფიცი კრიტიკოსები ისტორიისა გართული არიან საკითხით: „საიდან წარმოსდგა რუსეთი“ — ბალტიის ზღვიდან თუ შავი ზღვიდან. მათ თითქოს არც ესაქმებათ. რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არც მეტ შუქსა ჰქონს და

არც უფრო საინტერესოს ხდის ჩვენი ისტორიის საზღაპრო პერიოდს.. თავისთება ამგვარ საკითხებზე, რომლებიც მოკლებულია ყოველგვარ ხრსებით მნიშვნელობას, რასაც ფაქტს მხოლოდ აზრი ანიჭებს, — იგივეა, რომ კაცმა არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო და მთელი ტომები სწეროს იმაზე, თუ რა ფერის იყო სვიატოსლავის აბჯარი და რომელ ლოყაზე ჰქონდა ხალი იგორს“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული. ტ. VI, გვ. 120 — 121). ვფიქრობთ, რომ „სლავიანოფილად“, „პატრიოტად“ და „ისტორიულ კრიტიკოსად“ ბელინსკი ჰგულისხმობდა უმთავრესად მ. პ. პოგოდინს, რომელიც გასული საუკუნის 30 — 40-იან წლებში მთლიანად გართული იყო რუსეთის ისტორიის ძველი პერიოდის გამოკვლევით.

ქვემოთ იგულისხმებოდა ნ. ა. პოლევოი, ავტორი „რუსი ხალხის ისტორიისა“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა.

რეცენზია ს. სმარაბლოვის წიგნზე

¹ გვ. 487. პირველად დაიბეჭდა „ოტჩენსტვენნიე ზაპისკიში“, 1844, ტ. XXXVI, № 9 (ცენზურამ ნება დართო 30/VIII), განყ. V, გვ. 1 — 19.

სტატია ხელმოუწერელია. ბელინსკისადმი მისი კუთვნილება გამოარკვია ვ. ს. სპირიდონოვმა. სტატია შევიდა ბელინსკის თხზულებათა სრული კრებულის XII ტომში (სახელმწიფო გამოცემლობა, მოსკოვი — ლენინგრადი, 1926, გვ. 446 — 470 და 555 — 556), სადაც მოყვანილია ბელინსკისადმი მისი კუთვნილების დამამტკიცებელი მასალები. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება „ოტჩენსტვენნიე ზაპისკის“ ტექსტის მიხედვით.

² გვ. 488. ბელინსკის გამოხმაურება ს. სმარაგდოვის ისტორიის პირველ ორ ტომზე იხ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრულ კრებულში (ტ. XII, № 1004 და 1016).

³ გვ. 489: თავისი შეხედულებანი ისტორიაზე, რომლებიც ჰეგელას ისტორიის ფილოსოფიის საფუძველზე ჩამოყალიბდნენ, ბელინსკიმ უკვე გადმოსცა სტატიაში ფრიდრიხ ლორენცის „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოს“ შესახებ და განსაკუთრებით დაწერილებით სტატიაში ნიკოლოზ მარკევიჩის „მალაოროსიის ისტორიის“ შესახებ, რომლებიც შეტანილია ჩვენს გამოცემაში.

⁴ გვ. 498. ვინ იგულისხმებოდა აქ „შეგნებით სკეპტიკოსებად“ და „სუსტი გონების ადამიანებად“ — ჩვენ ვერ გამოვარკვეით. ღიდად შესაძლებელია, რომ ბელინსკის აქ არც კი ჰყავდა მხედველობაში გარკვეული პირები, არამედ გამოსთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოდ ამგვარი ადამიანებისადმი.

⁵ გვ. 500. ამ სტატიის ნაწყვეტი, დაწებული სიტყვებით: „ისტორია ჩვენი ღრის შეცნიერებაა...“ და დამთავრებული სიტყვებით: „თავის შემ-

ცნობი პიროვნება“, აგრეთვე ნაწყვეტი ბელისკის ახალმოჩენილი რეცენზიისა „1840 წლის სათვეო წიგნის“ შესახებ (იხ. ბ. გ. ბელისკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII, გვ. 223 — 225; ტ. XIII, შენიშვნა 989), — დაიბეჭდა „კრასნაია გაზეტაში“ სათაურით: „ბ. გ. ბელისკის წინასწარმეტყველება“ („კრასნაია გაზეტა“, საღამოს გამოშვება, 1925, 6/XI. № 270, გვ. 6).

გვ. 503. ეკ-ბენინ ბოსიუეტი — ფრანგი მოქალაქე, ისტორიკოსი და ლეთისმეტყველი (1627 — 1704).

მიზი განთქმული სიტყვა მსოფლიო ისტორიის შესახებ გამოვიდა სათაურით: „Discours sur l'histoire universelle“ (პარიზი, 1681). ეს სიტყვა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ითარგმნა რუსულ ენაზე სათაურით: „საუბარი მსოფლიო ისტორიაზე“. თბ. იაკობ ბოსიუეტისა, ფრანგულით სთარგმნა ვასილ ნაუმოვმა. 3 ნაწილი, მოსკოვი, 1761 — 1762. მეორე გამოცემა გამოვიდა სათაურით: „მსოფლიო ისტორია საფრანგეთის ტახტის მემკვიდრისათვის“, მოსკოვი, 1774.

⁷ გვ. 524. თარგმანი: „უმეცარი აღმიანების წერილები“.

⁸ გვ. 526. თარგმანი: „ასე ჰქრება აქვეყნოური დიდება“.

⁹ გვ. 526. თარგმანი: „აი, როგორ იწერება ისტორია“.

რეცენზია ე. სიუს „პარიზის საიდუმლოებათა“ შესახებ

¹ გვ. 527. პირველად დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“, 1844, ტ. XXXIII, № 4 (ცენზურამ კნება დართო დაახლოებით 30/III). განყ. V, გვ. 21 — 36. წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ეს პირველნაბეჭდი ტექსტი, მაგრამ გამოტოვებულია დასასრული. სიდაც მოტანილია გრძელი ამონაწერები ე. სიუს რომანიდან.

ე. სიუს წიგნის შეფასება ბელისკის ამ რეცენზიაში უახლოვდება „საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე კრიტიკოსის“ შეხედულებებს, რომლის სტატიის ნაწყვეტი „პარიზის საიდუმლოებათა“ შესახებ შეტანილ იქნა „ფრანგული ლიტერატურის“ მიმოხილვაში. რაც „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ დაიბეჭდა (1843, ტ. XXIX. № 8, განყ. VII, გვ. 12 — 18).

² გვ. 528. თარგმანი: „პარიზის ლეთისმშობლის ტაძარი“.

³ გვ. 528. თარგმანი: „საგმირო საქმე“.

⁴ გვ. 528. თარგმანი: „ყოფილი“.

⁵ გვ. 529. ბელისკიმ ღირსეულად ვერ შეაფასა ბალზაკი. ამ შემთხვევაში ბალზაკს ისეთივე ბედი ხვდა. რაც რიგ ფრანგ რომანისტებს (შდრ. ბ. გ. ბელისკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 359 — 360, შენიშვნა 115; ტ. III, გვ. 378, შენიშვნა 233, გვ. 465, შენიშვნა 317; ტ. VII, გვ. 130, შენიშვნა 86; ტ. X, გვ. 113, შენიშვნა 569). შესაძლებელია, რომ ბელისკიმ თავისი აზრი ბალზაკის შესახებ გამოსთქვა ეიულ ვანენის ერთ-

გვარი გავლენით, რომლის სტატიის ნაწყვეტი ამ რომანისტზე მანამდე დაიბეჭდა „ოტენესტვენნიე ზაპისკიში“ (1844, ტ. XXXIII, № 5, განყ. VII, გვ. 37 — 38). თარგმანი ბალზაკის რომანისა „ერთი ცამეტთავანი“ დაიბეჭდა „ტელესკოპში“ (1833, ტ. XV).

⁶ გვ. 529. თარგმანი: „პარიზის საიდუმლოებანი“.

⁷ გვ. 532. „მევირალა ფრაზებით ეყენ სიუჲს გენიალობაზე“ ლაპარაკობდა „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“ (1844, ტ. LXIII, განყ. VI, გვ. 53 — 54; ტ. LXVI, განყ. VI, გვ. 9 — 11) და „სევერნიაი პჩელა“ (შდრ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 302).

⁸ გვ. 533. სოკრატეს „მატყუარას“ უწოდებდა ო. ი. სენკოვსკი „ბიბლიოტეკა დლია ჩტენიაში“ (შდრ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, გვ. 307) და პ. პ. კამენსკი თავის რომანში „მძლავრ შეგრძნებათა შაძიებელი“ (შდრ. იქვე, ტ. V, გვ. 16).

⁹ გვ. 537. ფრანგი ხალხის „კეშმარიტ მეგობრებად“, რომელთა ხმა, „ღარიბი, მოტყუებული ხალხის დასაცავად აძლუებული, ადმინისტრაციულ ანტრეპრენიორთა ყურში სამსჯავროს საყვირივით გაისმის“, — ბელინსკი ჰგულისხმობდა, რა თქმა უნდა, ფრანგ უტოპისტ-სოციალისტებს.

რეცენზია ა. პ. ტატარინოვის წიგნზე

¹ გვ. 539. პირველად დაიბეჭდა „ოტენესტვენნიე ზაპისკიში“, 1845, ტ. XXXIII, № 1 (ენზურამ ნება დართო 1844 წ. 31/XII), განყ. VI, გვ. 24 — 25. წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ეს პირველნაბეჭდი ტექსტი.

² გვ. 541. XIX საუკუნის დამდეგს გერმანიაში ფილოსოფიური აზრის მდგომარეობის მაღალი შეფასება გამომდინარეობდა იმ განსაკუთრებულ გავლენიდან, რომელიც ბელინსკიზე გერმანულმა კლასიკურმა ფილოსოფიამ მოახდინა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბელინსკი სათანადოდ არ იცნობდა XVII — XVIII საუკუნეთა ინგლისური და ფრანგული მატერიალიზმის იმ გამოჩენილი წარმომადგენლების შრომებს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ადამიანის აზროვნების განვითარებაში.

³ გვ. 541. ბელინსკის, რომელიც პესიმისტურად აფასებდა გასული საუკუნის 30 — 40-იანი წლების რუსული ფილოსოფიური აზროვნების მდგომარეობას, მხედველობაში ჰქონდა „მოფილოსოფოსო“ პანსლავისტებისა და ეკლესიის მსახურთა ნაწერები. ლეგალურ პრესაში მას არ შეეძლო ამკარად გამოეთქვა ის თანაგრძნობა და პატივისცემა, რომელსაც განიცდიდა თავისი წინამორბედების მიმართ, ნამდვილ რუს ფილოსოფოსთა და ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლთა — ა. ნ. რადიშჩევისა და პ. ი. ჩაადაევის მიმართ.

რუსეთში ფილოსოფიისათვის „ნიადაგისა და მოთხოვნების“ უქონლობას რომ აღნიშნავდა, ბელინსკის მხედველობაში ჰქონდა მაშინდელი რუსეთის ბატონყმური ჩაგვრა და ჩამორჩენილობა დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებთან შედარებით.

წერილი ა. ი. ბერცენს 1845 წლის 26 იანვრის თარიღით

¹ გვ. 543. ბელინსკის მიერ ა. ი. გერცენისადმი გაგზავნილი 1845 წლის 26 იანვრის წერილიდან ამოკრეფილი ადგილები შევიდა ა. ნ. პიპინის წამბროში „ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერა-მოწერა“ (სპბ. 1876). წერილი აღებულია კ. სოლდატენკოვის კოლექციიდან. ა. ნ. პიპინის კრებულის ტექსტის მიხედვით პირველად მთლიანად დაიბეჭდა 1914 წელს გამოსულ „წერილებში“ (ტ. III, გვ. 85 — 88). წინამდებარე გამოცემაში მთლიანად იბეჭდება „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. წინამდებარე გამოცემაში 1-ლი შენიშვნა დ. პ. ივანოვისათვის გაგზავნილ 1837 წლის 7 აგვისტოს წერილისადმი).

² გვ. 543. 1840 წლის ნოემბერში გერცენი მამამისს სწერდა, რომ პეტერბურგში დაჩაგრება ვიდაც ვაჭარი მოჰკლა და გაძარცვაო. ეს წერილი ხელში ჩაუვარდა III განყოფილებას, რომელმაც გადასწყვიტა. ამ სკანდალური შემთხვევის მიფუჩეჩება. იმავე წლის დეკემბრის პირველ ნახევარში გერცენი პეტერბურგიდან ნოვგოროდს გააქევეს. აქის შესახებ გერცენი დაწერილებით ჰყვება „წარსულისა და ფიქრების“ XXVI თავში.

³ გვ. 544. ა. ი. გერცენმა გრანოვსკის საჯარო ლექციების შესახებ დასწერა ორი წერილი სათაურით: „ბ-ნ გრანოვსკის საჯარო გამოსვლები“ და „ბ-ნ გრანოვსკის საჯარო გამოსვლების შესახებ“. პირველი წერილი დაიბეჭდა „მოსკოვსკიე ვედომოსტიში“ (1843, 27/XI, № 142). ხოლო მეორე — „მოსკოვტიანინში“ (1844, წიგნი VII).

⁴ გვ. 544. ივლისხმებოდა ნ. მ. იაზიკოვის ლექსი „არაჩვენებს“, მიმართული ზაპაღნიეების წინააღმდეგ. ეს ლექსი იაზიკოვმა დასწერა და გაავრცელა 1844 წლის დეკემბერში. ზაპაღნიეების მისამართით ლექსში ნათქვამი იყო:

რუსეთი

თქვენგან არ იღებს შუქს განათლების.
თქვენ უცხონი ხართ მისთვის მძაღლის;
მოლაღატური აზრები თქვენს
გიყვართ მკრეხელურ სიზმრის კარადის.
მას ვერ გარდაქმნით თქვენ პირფერობით.
ვერც უტიფრობის საძრახ არაკით;
არ ძალგიძთ მასთან ერთად ცხოვრება.
არც სიმღერა და არც ლაპარაკი.

⁵ გვ. 515. ბელინსკი აქ ლაპარაკობს თავის სტატიაზე „რუსული ლიტერატურა 1844 წელს“, რომელშიც ცენტრალური ადგილი დაიკავა მ. მ. იაზიოვისა და ა. ს. ხომიაკოვის ლექსების განმანადგურებელმა შეფასებამ.

⁶ გვ. 545. „პარიზის იარბიუხერი“—მხედველობაშია ეურნალი „Deutsch-Französische Jahrbücher“ („გერმანულ-ფრანგული მატთანეები“), რომელსაც 1844 წელს პარიზში სცემდა კარლ მარქსი არნოლდ რუგესთან ერთად. ბ. გ. ბელინსკის ბიბლიოთეკაში, რომელიც ბელინსკის სიკვდილის შემდეგ ი. ს. ტურგენევემ შეიძინა და ამჟამად ტურგენევის სახელმწიფო მუზეუმში (ორიოლი) ინახება, დატულია „გერმანულ-ფრანგული მატთანეების“ ის ნომერი, რომელზეც სწერს ბელინსკი გერცენს. ამ ეგზემპლარის შესახებ იხ. ბელინსკის ბიბლიოთეკის აღწერაში, რომელიც ა. მ. პუტინცევმა შეადგინა და მოთავსებულია „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ მე-20 — 21 ნომერში.

როგორც ცნობილია, „Deutsch-Französische Jahrbücher“-ის ერთდერთ, გამოქვეყნებულ ნომერში მოთავსებულია კ. მარქსის სტატიები „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის“ და „ებრაელთა საკითხის გამო“ და ფ. ენგელსის სტატია — „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის ნარკვევები“.

გვ. 545. ნატალია ალექსანდრეს ასული — ა. ი. გერცენის მეუღლე.

⁸ გვ. 546. მიხეილ სიმონის-ძე — განთქმული მსახიობი შჩეპკინი.

⁹ გვ. 546. Armance — ვ. პ. ბოტკინის ცოლი.

¹⁰ გვ. 546. იგულისხმებოდა კონსტანტინე სერგის-ძე აქსაკოვი, ბელინსკის ყოფილი მეგობარი.

„აზრები და შენიშვნები რუსულ ლიტერატურაზე“

¹ გვ. 549. ეს სტატია პირველად დაიბეჭდა ნ. ნეკრასოვის მიერ გამოცემულ „პეტერბურგის კრებულში“ (სპბ. 1846. ცენზურამ ნება ღართო 12/1), საიდანაც გადმოვიღეთ და ვბეჭდავთ წინამდებარე გამოცემაში. გამოტოვებულ სტატიის დასასრული, სადაც ლაპარაკია რუსეთში წიგნის ბაზრის შესახებ.

ლიტერატურა და საზოგადოება მათს ურთიერთობაში, ჩვენი ლიტერატურის როლი და მნიშვნელობა, ჩვენი კრიტიკის თანამედროვე მდგომარეობის დახასიათება, გერმანული ფილოსოფია და ფრანგული ლიტერატურა, ესთეტიკური და ისტორიული კრიტიკა, ბელეტრისტიკა და მხატვრობა. გენია და ტალანტი — ყველაფერი ეს ბელინსკის საყვარელი თემებია, რომლებსაც იგი ბევრჯერ ავითარებდა თავის შრომებში. წინამდებარე სტატიაში მან შეაჯამა ყოველივე ის, რასაც აღრე ლაპარაკობდა ყველა

ამ საკითხზე, ასე რომ ამ სტატიას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბელინსკის შეხედულებათა გასაცნობად. თანამედროვე კრიტიკის სასტიკი დახასიათებით ბელინსკიმ ძალიან გაამთრახა „დამყველები და სლავიანოფილები ლიტერატურაში“. და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ს. პ. შვირიძემ ამ სტატიას ასეთი გამოსვლით უპასუხა: „უეჭველია, ბელინსკი ეკუთვნის შესანიშნავ მოღვაწეთა რიცხვს თანამედროვე რუსულ სიტყვიერებაში. იგი ჩვენი საეურნალო განათლების მნიშვნელოვანი ნაყოფია: ტელეგრაფი, ტელესკოპი და შოლვა მისი გეტინგენი, იენა და ბერლინი იყო. მათში მომწიფდა იგი იმისათვის, რომ ახალი საეურნალო უნივერსიტეტი აეგო. მან ჩვენს კრიტიკაში შემოიტანა ხალხური სტიქია, რომელიც მანამდე ჯერ კიდევ არ იყო; ამ სტიქიას შეიძლება ნიშამაცე ეწოდოს. მან იკისრა შიძიე და დიდი ამოცანა: იგი ცდილობდა კვარცხლბეკიდან დაეძრა ჩვენი ლიტერატურის ყველა სახელოვანი ადამიანები, რომლებიც აქამდე საყოველთაო უცილობელი პატივისცემით გარემოსილნი იდგნენ: ლომონოსოვი, დერჟავინი, კარამზინი და სხვები... საჭირო იყო პირადი გამბედაობა, რათა აუთრთოლებლად მიახლოებოდით ამ მონუმენტურ ადამიანებს... და კარამზინისთვის გეწოდებინათ მოძველებული. მისი გოლიათური შრომის შესახებ კი გეტქვათ: რუსეთი პეტრემდე ბალდი იყო, ხოლო, აბა, ვინა სწერს ზაღლის ისტორიასო?“ („მოსკვიტინიანი“, 1846. № 3. გვ. 176 — 188).

² გვ. 553. ამ აბზაცში ბელინსკი პირველად განსაზღვრავს ინტელიგენციას, როგორც საზოგადოების განსაკუთრებულ სოციალურ ფენას. თუმცა მის სახელწოდებას არ აღნიშნავს.

³ გვ. 556. „ივანე ვიტიგინი“ — ფ. ბულგარინის რომანი.

⁴ გვ. 565. ლუი ვიარდომ, რომელმაც რუსული ენა არ იცოდა, გოგოლის მოთხრობები ფრანგულ ენაზე სთარგმნა ორი რუსი ლიტერატორის დახმარებით. აღნიშნულმა ლიტერატორებმა მისთვის გააკეთეს ამ მოთხრობების სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, მსგავსად იმისა, როგორც თავის დროზე გერმანელმა პროფესორმა გროსპოფმა შეასრულა „ოდისეის“ ასეთივე თარგმანი ეუკოვსკისათვის, რომელმაც ბერძნული ენა არ იცოდა (იხ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული. ტ. XIII. შენიშვნა 264). ერთი ამ ლიტერატორთაგანი ი. ს. ტურგენევი იყო. მეორე კი ჩვენთვის უცნობია.

⁵ გვ. 568. რა თქმა უნდა, „პატრიოტულმა“ გრძნობებმა როდი აიძულა ბელინსკი ელაპარაკნა აქ ნიკოლოზის რუსეთის სამხედრო ძლიერებაზე, არამედ იმის სურვილმა, რომ განეიარაღებინა „მყვირალა პატრიოტები“. რომლებსაც შეეძლოთ ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილობის შესახებ ამ სტატიაში გამოთქმული აზრებისათვის ბელინსკი გამოეცხადებინათ „მოუსვენარ, საშის, საეკო ადამიანად, რენეგატად და ლიტერატურული დაბეზლებები“ ეწერათ მის შესახებ (იხ. წინა-

მდებარე გამოცემა, გვ. 560 — 561). ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა ხერხების გამოყენება უხდებოდა ბელინსკის იმისათვის, რომ თავის სტატიებში გამოეთქვა ის, რაც მას უნდოდა (შდრ. თხზულებათა სრული კრებული. ტ. XIII, შენიშვნა 461 და 594).

1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა

¹ გვ. 570. პირველად დაიბეჭდა „სოვრემენნიკში“, 1847, ტ. I, № 1 (ცენზურამ ნება დართო 1846 წ. 30/XII), განყ. III, გვ. 1 — 56.

ამ სტატიის საჟურნალო ტექსტში, კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში გამოქვეყნებულ მის ტექსტთან შედარებით (ბ. ბელინსკის თხზულებანი, ტ. XI, მოსკოვი, 1861), არის რიგი არსებითი შემოკლებანი და სხვანაირად იკითხება მრავალი ადგილი, რაც გარკვევით მოწმობს, რომ ნ. ხ. კეტჩერს და ა. დ. გალახოვს ეს სტატია აღნიშნულ გამოცემაში ბელნსკის ხელნაწერის მიხედვით დაუბეჭდავთ. ეს შემოკლებანი და ცვლილებანი სტატიის საჟურნალო ტექსტში შეუტანია ნაწილობრივ ნ. ა. ნეკრასოვს, ხოლო ნაწილობრივ, როგორც ჩანს, ცენზურას და „სოვრემენნიკის“ ოფიციალურ რედაქტორს ა. ვ. ნიკიტენკოს. სტატიის ხელნაწერმა ჩვენამდე მოაღწია, მაგრამ არა მთლიანად: მას 15 ფურცელი აკლია. ხელნაწერს სრული წახით ეკირა უბრალო საწერი ქაღალდის 74 ნახევარფურცელი. „1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“ მთავრდება 71-ე ნახევარფურცელზე. ხელნაწერის ბოლო უქირავს ბელინსკის რეცენზიას „მკვდარი სულების“ შესახებ. წინამდებარე გამოცემაში სტატიას ვებეჭავთ ამ ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ინახება მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. ხელნაწერის ხარვეზები შევსებულია კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემის მიხედვით. „სოვრემენნიკის“ ტექსტსა და ხელნაწერის და დასახელებული გამოცემის ტექსტს შორის არსებული ყველა განსხვავება მოგვეავს სტატიის შესაბამისი ადგილებისათვის გაკეთებულ კომენტარებში.

² გვ. 573. ბელინსკი აქ ეკამათება სლავიანოფილ კ. ს. აქსაკოვს, რომელიც ასე წინააღმდეგობრივად უყურებდა პეტრე დიდსა და ლომონოსოვს თავის დისერტაციაში: „ლომონოსოვი რუსული ლიტერატურისა და რუსული ენის ისტორიაში“, რაც 1846 წელს დაიბეჭდა.

³ გვ. 576. სიტყვით „მაგრამ“ იწყება ხელნაწერი (ფურცელი მე-10).

⁴ გვ. 576. კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ტექსტის ნაცვლად ჟურნალ „სოვრემენნიკში“ არის: „და მამასადამე საზოგადოებრივი ინტერესებიც“.

⁵ გვ. 577. სიტყვებით: „ჩვენს ლიტერატურაზე და“ — წყდება ხელნაწერი. აკლია სამი ფურცელი — 12, 13 და 14.

⁶ გვ. 579: სიტყვებით: „ე. ი. ყველაზე განათლებული ნაწილისათვის“ — კვლავ იწყება ხელნაწერი (ფურცელი მე-15).

⁷ გვ. 581. სიტყვებით: „ახალი რუსული“ — წყდება ხელნაწერი. აკლია მე-17 ფურცელი.

⁸ გვ. 582. სიტყვით: „საწყისზე?“ — კვლავ იწყება ხელნაწერი (ფურცელი მე-18).

⁹ გვ. 585. ფრაზა: „მაგრამ მისი ქარბი უარყოფითი მიმართულება... ერთგვარი სიკეთე“ — ზევიდან არის წარწერილი წაშლილ ტექსტზე: „და ჩვენ პირველი მხად ვართ დაეთანხმდეთ, რომ მისი უარყოფითი მიმართულება მხოლოდ მის ახალგაზრდობას მოწმობს, რომ იგი ჯერ კიდევ მეტად ახალგაზრდაა, მან ვერ მოასწრო ჩამოყალიბებულიყო. ყოველ შემთხვევაში, ეს შეიძლება ასე თუ ისე ვთქვათ გოგოლის მიერ ნაჩვენები გზით მიმავალ ახალგაზრდა მწერლებზე, თუ თვით გოგოლზე არა. მაგრამ ამ მიმართულების თვით უკიდურესობა უდიდესი სიკეთეა“.

¹⁰ გვ. 586. აშკარად იგონება, რომ ამ სტატიაში ბელინსკი ცდილობდა მოესინჯა სლავიანოფილებთან თავიზიანი, თუმცა პოლემიკური. ლიტერატურული ურთიერთობის შესაძლებლობა. მაგრამ ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია. ი. ფ. სამარინმა სტატიაში: «„სოვრემენნიკის“ ისტორიულ და ლიტერატურულ შეხედულებათა შესახებ», რაც „მოსკვიტიანინში“ დაიბეჭდა, მკაცრად გააკრიტიკა ბელინსკის სტატია და ადგილადგილ უხეშად გაილაშქრა კიდევ კრიტიკოსის პიროვნების წინააღმდეგ. ბელინსკიმ სტატიაში «პასუხი „მოსკვიტიანინს“». სლავიანოფილების ამ კრატკას უპასუხა უკვე საკადრისი მკვახე ტონით, რომლითაც იგი მათ ელაპარაკებოდა „ოტერჩესტვენნიე ზაპისკიში“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრულ კრებული, ტ. XI, № 970). ი. ფ. სამარინის სტატიაში გამოვლინდა სლავიანოფილების ტიპური ნიშნები: უკიდურესი შეუწყნარებლობა. ბატონაკური სიამაყე და ამპარტავნობა. სლავიანოფილების ეს ნიშნები კარგად შეამჩნია აპოლონ გრიგორიევი, რომელიც მათ შესახებ სწერდა: „აქი, თუ შენ, ახალგაზრდა და თანაც პეტერბურგის რედაქტორი, ხელს გაუწვდი სლავიანოფილობას. იგარ. თავისი თათრული სიამაყით დაბრმავებულო, შეიძლება ითქვას, არც კი მიიღებს შენს ხელს. მის მხოლოდ თავისი თავი სწამს, და არსებითად იგი არა ხალხური. არამედ ძველბოიარული მიმართულებაა. ხალხი მისთვის—მხოლოდ სტეპის და არა ქალაქის ხალხია: მთელი ჩვენი ცხოვრება, ახალ ისტორიაში ჩამოყალიბებული, მისთვის სიცრუეა; მთელი ჩვენი ლიტერატურა, აკსაკოვსა და გოგოლს გარდა, სიუღლეუა. პუშკინს იგი გულგრილად უყურებს. ოსტროვსკის ვერ ხედავს, და გასაგებია, რატომ ვერ ხედავს: იგი მას გულზე ეკალივით ესობა. სლავიანოფილური მხატვრობა ხომ თავად ლუპოვიცკიზე მაღლა არ ასულა, იმიტომ რომ, არსებითად, „ოჯახური ქრონიკა“ და გოგოლის საუკეთესო ნაწერებიც სლავიანოფილობას წაართვა რუსულმა ლიტერატურამ. ხოლო მხატვრულობას მოკლებული თეორია და-

ლუპელი საქმეა" („საეალლო ფიქრები დესპოტიზმსა და აზრის თავისუფალ მონობაზე". — „იაკორ", 1863, № 3).

¹¹ გვ. 589. „ხდება"-ს ნაცვლად „სოვრემენნიკის" ტექსტში დაბეჭდილია: „ხანდახან ხდება".

¹² გვ. 593. რა თქმა უნდა, ლაპარაკია „ნაკუწების იმპერიაზე" — ავსტრიაზე.

¹³ გვ. 594. შემდეგ წაშლილია: „სხვანაირად მხოლოდ ის ადამიანები აქნებოდნენ კიდევ ნიკიერნი, რომლებსთვისაც უცხოა შინაგანი რწმენა და ინტერესები. მაგრამ ნამდვილი გამოცდილება საწინააღმდეგოს გვეუბნება..."

¹⁴ გვ. 594. გამოთქმა: „გვეშინია თვითნებური დასკვნებისა, რომელთაც მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობა აქვთ", ხელნაწერში ფანქრით გადასწორებულია სხვისი ხელით ასე: „გვეშინია თვითნებური პირადი დასკვნებისა". ეს ადგილი ამ სახით დაიბეჭდა კიდევ „სოვრემენნიკის" ტექსტში. ხოლო კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში იგი ასე იკითხება: „გვეშინია თვითნებური, მხოლოდ სუბიექტური მნიშვნელობის მქონე, დასკვნებისა" (ბ. ბელინსკის თხზულებანი, ნაწ. XI, მოსკოვი, 1861. გვ. 27).

¹⁵ გვ. 594. შუა სიტყვაზე „ნაციო" ხელნაწერი წყდება. აკლია 30-ე ჟურნალი.

¹⁶ გვ. 594. „ხალხურობისადმი" თავისი დამოკიდებულება ბელინსკიმ კიდევ უფრო გარკვევით გამოხატა ვ. პ. ბოტკინისადმი გაგზავნილ 1847 წლის 8 მარტის ბარათში. რომელშიაც სწერდა: „მე რუსი ადამიანი ვარ. გეტყვი უფრო ნათლად: „je suis un russe et je suis fier de l'être". არ მინდა ვიყო თუნდაც ფრანგი, თუმცა ეს ერი სხვებზე მეტად მიყვარს და მეტ პატივს ვსცემ. რუსული პიროვნება ჯერჯერობით ემბრიონია. მაგრამ რამდენი სილაღე და ძალაა ამ ემბრიონის ბუნებაში, რა რიგ უხუთავს სულს და თავზარს სცემს მას ყოველგვარი შეზღუდულობა და სიციფროვე! რუსულ პიროვნებას ეშინია მათი, ყველაზე მეტად სძულს ისინი, და ჩემი აზრით, კარგად იქცევა, როდესაც ჯერჯერობით არაფერი არ სურს, ნაცვლად იშისა. რომ რაიმე საძაგელ ცალმხრობას დაემონოს. ხოლო ჩვენ რომ ყოველსმომცველნი ვართ იმიტომ, რომ საქმე არაფერი გვაქვს, — რაც უფრო მეტს ვფიქრობ ამაზე, მით უფრო მესმის და ვრწმუნდები, რომ ეს სიცრუეა... არ იფიქრო, რომ მე ამ საკითხში ენთუზიასტი ვიყო. არა, მე ამ გადაწყვეტილებამდე (ჩემთვის) მივედი ექვისა და უარყოფის მძიმე გზით. არ იფიქრო, თითქოს ყველას ასე ველაპარაკებოდე: არა. ჩვენი მყვირალა პატრიოტების, სლავების..., წარსულის რაინდებისა და აწმყოს თაყვანისმცემელთა თვალში, მე მუდამ დავრჩები იმად. რადაც ისინი აქამდე მთვლიდნენ" („წერილები", ტ. III, სპბ. 1914, გვ. 196 -- 197). თავისი აზრები რუსული ხალხურობის შესახებ ბელინსკიმ

გამოსთქვა რამდენიმე შენიშვნით და აშკარად გაემიჯნა სლავიანოფილებს, რომლებიც ამ საკითხზე „ბაქიბუქითა და ფანატიზმით“ ლაპარაკობდნენ.

¹⁷ გვ. 595. იგულისხმებოდა „მოსკვიტიანინი“ (1841 — 1856). სლავიანოფილები ამ ურნალში ბეჭდადნენ თავიანთ ნაწერებს, მაგრამ იგი მათი ორგანო არ იყო. „მოსკვიტიანინი“ სლავიანოფილების ორგანო უნდა გამხდარიყო 1845 წლის დამდეგს, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა ი. ვ. კირეევსკი. მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ მოურიგდა მ. პ. პოგოდინს და ოთხი თვის მერმე დასტოვა ურნალი, რის შემდეგ მ. პ. პოგოდინმა ურნალი კვლავ თავის ხელში აიღო (მღრ. ნ. ბარსუკოვი, მ. პ. პოგოდინის ცხოვრება და შრომები, წიგნი VII, გვ. 401 — 408 და 439; წიგნი VIII, გვ. 3 — 35).

¹⁸ გვ. 595. ფრაზით: „ქვეყნად არა არის რა... უმნიშვნელო“ — კვლავ იწყება ხელნაწერი.

¹⁹ გვ. 595. ეს სასტიკი სიტყვები იყო პასუხი ვალერიან მაიკოვისადმი. რომელმაც სტატიიში კოლცოვის შესახებ მკაცრად გაილაშქრა ბელინსკის წინააღმდეგ, თუმცა მისი სახელი არ უხსენებია. იგი სწერდა: „კრიტიკა მართლაც გაჩნდა ჩვენში პუშკინის გავლენით (მისი მოღვაწეობის უკანასკნელ ეპოქაში), ლერმონტოვის, ხოლო ყველაზე მეტად გოგოლის გავლენით. კრიტიკამ რუსულ ლიტერატურას გაუწია სხვადასხვაგვარი სამსახური. რაც მთავარია, იგი ღღემდე წარმოდგენდა ხელოვნების ახალი სკოლისადმი სიმპათიის ენერგიულ გამოხატულებას. მაგრამ სიმპათიის გამოხატვა და ლიტერატურის ანალიზი — ორი სხვადასხვა ამბავია როგორც არსებითად, ისე შედეგებით... ვაგლახ, თუ თქვენი სიტყვა საზოგადოებაში ახალი კორის როლს ასრულებს, თუ იგი. თქვენი საკუთარი დამამტკიცებელი საბუთებით გაუმართლებელი. საზოგადოებაში ავტორიტეტის ძალას იძენს! როცა კაცი თავის აზრს საჯაროდ გამოსთქვამს, მაგრამ მის დასამტკიცებლად არ მოჰყავს საბუთები, რომლებიც თვითონ დამაჯერებლად მიიჩნია, — ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ გამოხატო აზრის თავისუფლებისადმი შენი უპატივემლობა და დიქტატორობის პრეტენზია. მაგრამ სწორედ ამისათვის, ადრე თუ გვიან, ყოველთვის პასუხს აგებ გულგატეხილობის მწარე გრძნობით“ (ვალერიან მაიკოვი. კრიტიკული ცდები. სპბ. 1891. გვ. 9 — 10, 33 და 110 — 114). ამ ვალაშქრებამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ბელინსკიზე. მან ამას უპასუხა წინამდებარე სტატიიში. ხოლო ოთხი თვის შემდეგ — სტატიიში „თანამედროვე შენიშვნები“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, გვ. 225—227). მაგრამ ამ ორი პასუხის შემდეგაც ბელინსკიმ დიდხანს ვერ დაივიწყა ეს საწყენი, რაც მას ვ. მაიკოვმა მიაყენა. სადიქტებელია, ვ. მაიკოვის ამ გამოსვლამ ერთგვარი გავლენა იქონია იმაზე. რომ საზღვარგარეთ გამგზავრების წინ (1847 წლის მაისის დამდეგს) ბელინსკის აღძრა ის შეავნე-

ლი აზრი, რომ მისი სალიტერატურო მოღვაწეობა დამთავრდა (იხ. „წერალები“, ტ. III, გვ. 298).

²⁰ გვ. 597. სიტყვით: „გვაროვნული“ — ხელნაწერი წყდება. აკლია 33-ე ფურცელი.

²¹ გვ. 598. ამას აზობდა მ. პ. პოგოდინი სტატიამი: „რუსული სიძველისათვის“ („მოსკოვიტაინი“, 1845, № 4, ნარევი, გვ. 27 — 32), რომელიც წარმოადგენდა პასუხს ე. თ. კორშის სტატიაზე: „ბრეტანი და მისი მცხოვრებნი“ („მოსკოვსკიე ვედომოსტი“, 1845, № 25 — 27).

²² გვ. 599. სიტყვით: „შილო“ — კვლავ იწყება ხელნაწერი (34-ე ფურცელი).

²³ გვ. 599. „სოვრემენნიკის“ ტექსტში გამოტოვებულია სიტყვები: „სისხლის სამართლის კანონები“.

²⁴ გვ. 601. „ფანტასტიკურ კოსმოპოლიტად“, რომელიც „მწიგნობრულ დუალიზმში“ გადავარდა, იგულისხმებოდა ვალერიან მაიკოვი.

²⁵ გვ. 601. შემდეგ წაშლილია: „რომლებიც გულკეთილად მიგვაჩინა გონივრულ ტრანსცენდენტალობად“.

²⁶ გვ. 601. წინათ იყო: „წმინდა მატერიალურ სნეულებებს ზოგჯერ მკურნალობენ წმინდა ზნეობრივი საშუალებებით, ავადმყოფს უნიშნავენ მტ ვიზიკურ მოძრაობას და ნაკლებ გონებრივ შთაბეჭდილებებს, ურჩვენ სიმშვიდეს, წესრიგსა და აზრის სიცხადეს“.

²⁷ გვ. 602. ნაცვლად სიტყვებისა: „ზნეობრივი განვითარების ფიზიკურა პროცესი“, „სოვრემენნიკის“ ტექსტში დაბეჭდილია: „ორგანიზმის განვითარების ფარული პროცესი“.

²⁸ გვ. 602. ტექსტი, დაწყებული სიტყვებით: „ადამიანში ყველაზე შემთხვევითია“, და დამთავრებული სიტყვებით: „უნებლიეთ ერიდებოდეთ მას?“ — უურნალ „სოვრემენნიკში“ არ არის.

²⁹ გვ. 603. ნაცვლად სიტყვებისა: „კიდევ უფრო შეუძლებელია“. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში დაბეჭდილია: „ნაკლებად შესაძლებელია“.

³⁰ გვ. 604. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში არ არის სიტყვა: „მერწმუნეთ“.

³¹ გვ. 604. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში უკანასკნელი ორი სტრიქონის რედაქცია შეცვლილია.

³² გვ. 605. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ნაცვლად სიტყვისა: „სფეროში“, დაბეჭდილია: „წიაღში“.

³³ გვ. 606. „ჰუმანისტური კოსმოპოლიტი“ — ვალერიან მაიკოვი.

³⁴ გვ. 606. შემდეგ ხელნაწერში წაშლილია: „აი ამიტომ, მაგალითად, ყოველ ცალკეულ ხელოვნებას (პოეზიას, მუსიკას, ფერწერას), რომელსაც

უკვე ჰყავდა თავისი დიდი გენიოსები, მაინც უფლება აქვს მომავალშიც შოკოლადეს მათ. მეტსაც ვიტყვი: რადგან საყოველთაო გენიალობა არ არსებობს, არამედ ყოველი გენიალობა ცოტად თუ ბევრად სპეციალურია, ამიტომ მისი ძალაც მდგომარეობს არა იმაში, რომ იგი ყველაფერია, არამედ იმაში, რომ იგი არის მხოლოდ ეს. მაგრამ...”

³⁵ გვ. 57. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ნაცვლად სიტყვისა: „ძალით“, დაბეჭდილია: „თვითმოქმედებით“.

³⁶ გვ. 610. ეს და შემდეგი აბზაცი შეეხება პოლემიკას ვალერიან მაიკოვთან, რომელიც კოლკოვზე დაწერილ სტატიაში ამტკიცებდა: „თითოეულ ხალხს ორი ფიზიონომია აქვს: ერთი მათგანი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მეორეს; ერთი ეკუთვნის უმრავლესობას, მეორე—უმცირესობას (მინორიტეტს). ხალხის უმრავლესობა ყოველთვის წარმოდგენს მექანიკურ ღამორჩილებას ჰაესს, ადგილმდებარეობის, ტომისა და ბედის გავლენებისადმი; უმცირესობა კი ამ გავლენათა უარყოფის უკიდურესობაში ვარდება... პიროვნება მდგომარეობს გარეგანი მოვლენებისადმი დაპირისპირებაში; მაგრამ საკაცობრიოში გადასასვლელად პიროვნება უნდა განთავსდეს იმ უკიდურესობისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება ეროვნებაში გაბატონებულ უკიდურესობას. აი ამიტომ ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ხასიათში თქვენ ვერასოდეს ვერ ვპოვებთ ამ ადამიანებით მოამაყე ერთა ვერც უმრავლესობისა და ვერც უმცირესობის ცალმხრიობებს“ („კრიტიკული ცდები“, სპბ. 1891, გვ. 69 და 78. — შტრ. გ. ვ. პლუხანოვი, ბ. გ. ბელინსკი. თხზულებანი. ტ. XXIII, სტატია: „ბესარიონ ბელინსკი და ვალერიან მაიკოვი“, გვ. 223 — 260).

³⁷ გვ. 611. ამ „ახალ დიდ საკითხებად“ ბელინსკი, რა თქმა უნდა, ჰგულისხმობდა უტოპიური სოციალისტების მიერ დასმულ საკითხებს.

³⁸ გვ. 612. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ნაცვლად სიტყვებისა: „ამ საკითხების“, დაბეჭდილია: „ამ საკითხის“.

³⁹ გვ. 612. სიტყვაში: „დავიმსახურებდით“, ხელნაწერი წყდება თავსართზე „და“. აქლია 45-ე ფურცელი.

⁴⁰ გვ. 613. სიტყვებით: „გამარჯვებას უფრო ვხედავთ“ — კვლავ იწყება ხელნაწერი.

⁴¹ გვ. 613. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში სიტყვა „ლექსებისადმი“ არ არის.

⁴² გვ. 616. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში „ამოზნეჟილობის“ ნაცვლად დაბეჭდილია: „წრეხაზის“.

⁴³ გვ. 617. იულოა ჟადოვსკაიას ამ შეფასებაში იგრძნობა ბელინსკის ფარული პოლემიკა ვ. ნ. მაიკოვთან, რომელმაც „ოტეჩესტვენიე ზაპისკიში“ მოათავსა დიდი სტატია „იულოა ჟადოვსკაიას ლექსების“ შესახებ (შდრ. „ოტეჩესტვენიე ზაპისკი“, 1846, ტ. XLVII. ან: ვალერიან მაიკოვი, კრიტიკული ცულები, სპბ. 1891). ბელინსკი მართალი იყო: იულოა ჟადოვსკაია მესამეხარისხოვანი მწერლის დონაზე მერაუ ვერ ამაღლდა და ახლა დაეიწყებულა.

⁴⁴ გვ. 618. თარგმანი: „მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“. ეს ლათინური ეპიგრაფი წარწერილი იყო. „ა. პლეშჩეევის ლექსების“ თავფურცელზე (სპბ. 1846). ბელინსკი მკაცრად შეხვდა ა. პლეშჩეევს და მას უწოდა „პატარა ტალანტი“, ხოლო მის ლექსებს — „დატყვევებული აზრის გაღიზიანება“. სხვანაირად მოეპყრო პლეშჩეევს ვ. ნ. მაიკოვი, რომელიც პლეშჩეევს სთვლიდა „ჩვენს ამჟამინდელ პირველ პოეტად“. დრომ დაგვანახა, რომ ა. პლეშჩეევის შეფასებაში მართალი იყო ბელინსკი და არა ვ. ნ. მაიკოვი. თავისი შემდგომი მოღვაწეობის მთელი დროის განმავლობაში ა. პლეშჩეევი მეორეხარისხოვანი პოეტის დონეზე მეტად ვერ ამაღლდა.

⁴⁵ გვ. 619. სიტყვით: „ლიტერატურაში“ — ხელნაწერი წყდება. აკლია 51-ე ფურცელი.

⁴⁶ გვ. 620. სიტყვით: „ბელეტრისტიკული“ — კვლავ იწყება ხელნაწერი (52-ე ფურცელი).

⁴⁷ გვ. 621. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში სიტყვა „ჩვეულებრივი“ არ არის.

⁴⁸ გვ. 621. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ამ წიგნის სათაური მოყვანილია მთლიანად: „დარიგებანი, თუ ვითარ იწერების ნაირნაირი კომპლიმენტები გერმანულ ენაზე, ესე იგი პოტენტანტების ბარათები პოტენტანტებისადმი, მისალოცი და საპიძირისა და სხვა; ასეთივე — ნათესავთა და შეგობართ შორის“.

⁴⁹ გვ. 621. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში დაბეჭდილია: „უოველგვარი ძველი ადათ-ჩვეულებებით“.

⁵⁰ გვ. 621. „სოვრემენნიკის“ ტექსტში სიტყვა „ბარბაროსული“ არ არის.

⁵¹ გვ. 622. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში სიტყვა „სამედიატორო“ არ არის.

⁵² გვ. 622. სიტყვები: „მის მიერვე შექმნილი თავისებური“, ხელნაწერში წაშლილია და ნ. ა. ნეკრასოვის ხელით შეცვლილია სიტყვებით: „მართო მისთვის დამახასიათებელი“.

⁵³ გვ. 622. ნაცვლად ფრაზისა: „მაგრამ ამაში არის თავისებური შეპოქმედება, თავისებური პოეზია“, — „სოვრემენნიკის“ ტექსტში და

კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში დაბეჭდილია: „მაგრამ ეს ღირს შემოქმედებად, პოეზიად“.

⁶⁴ გვ. 623. ფრაზა: „იგი არავის... მიუბაძა მისთვის“, არ არის არც „სოვრემენნიკის“ ტექსტში და არც კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში.

გვ. 623. თავდაპირველად იყო: „ჩვენ უწინარეს ყოვლისა თვალს მივაპყრობთ ს ა ბ რ ა ლ ო ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ს და ო რ ე უ ლ ს — ო რ რ ო მ ა ნ ს, რომლებმაც ერთბაშად დიდი სახელი მოუხვეჭეს...“

⁶⁵ გვ. 623. ფრაზა: „რუსულ ლიტერატურაში... ბ-ნმა დოსტოევსკიმ“, ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით გადაკეთებულია ასე: „რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ ყოფილა მაგალითი ისეთი სწრაფი წარმატებისა, როგორც ბ-ნ დოსტოევსკის ქონდა თავისი პირველი გამოსვლისას“. შემდეგ მთელი ეს ფრაზა მთლიანად ამოშლილ იქნა.

⁶⁷ გვ. 624. ხელნაწერში თავდაპირველად იყო: „უჩვეულობა, ძალა, სიღრმე და...“ „სოვრემენნიკის“ ტექსტში უქანასკნელი სამი სიტყვაც ამოგდებულია.

⁶⁸ გვ. 624. ხელნაწერში ეპითეტი: „არაჩვეულებრივი“ ნ. ა. ნეკრასოვის ხელით შეცვლილა სიტყვით: „ძლიერი“. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ეს უქანასკნელი ეპითეტიც გამოტოვებულია და დაბეჭდილია უბრალოდ: „ტალანტი“.

⁶⁹ გვ. 624. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ნაცვლად სიტყვებისა: „უნაკლო მხატვრული“, დაბეჭდილია „უფრო მხატვრული“.

⁷⁰ გვ. 624. ხელნაწერში თავდაპირველად იყო: „ძლიერ დაინტერესებული“.

⁷¹ გვ. 624. ტექსტი. დაწყებული სიტყვით „ო რ ე უ ლ შ ი“ და დამთავრებული სიტყვებით: „მხატვრული ოსტატობაც“, ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით გადაკეთებულია ასე: „ო რ ე უ ლ შ ი ა ე ტ ო რ მ ა შემოქმედების შესანიშნავი ძალა გამოამჟღავნა. გმირია ხასიათი კონცეპირებულია ღრმად და გაბედულად. კეშმარტება ამ ნაწარმოებში ბევრია“. „სოვრემენნიკის“ ტექსტში დაბეჭდილ ამ გადაკეთებულ ფრაზაში გამოტოვებულია სიტყვები: „ღრმად და“. კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ხელნაწერის თავდაპირველი ტექსტი დაბეჭდილია შემდეგი სახით: „„ორეულში“ აეტორმა შემოქმედების უდიდესი ძალა გამოამჟღავნა, გმირის ხასიათი კონცეპირებულია ღრმად და გაბედულად, კეთა და კეშმარტება ამ ნაწარმოებში ბევრია, მხატვრული ოსტატობაც ასევე“.

⁷² გვ. 625. სიტყვები: „ძალებით მეტად მდიდარ ტალანტს“, ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით წაშლილია და შეცვლილია სიტყვით: „ავტორს“. ასევეა დაბეჭდილი „სოვრემენნიკის“ ტექსტში. კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ფრაზა აღდგენილია. მაგრამ არა მთლიანად: მას აკლია სიტყვა „მეტად“.

⁶³ გვ. 626. ტექსტი, დაწყებული სიტყვებით: „ჩვენ ვიცით“ და დამთავრებული სიტყვებით: „წარმატება სხვაგვარი იქნებოდა“, ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით შემოკლებულია ასე: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბ-ნ დოსტოევსკის თავისი ო რ ე უ ლ ი მთელი ერთი მესამედით მაინც რომ შეემცივებინა, მის მოთხოვნას შეიძლებოდა წარმატება ჰქონოდა“ ეს ფრაზა დაბეჭდილია „სოვრემენნიკის“ ტექსტშიც და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაშიც.

⁶⁴ გვ. 626. ფრაზა: „ო რ ე უ ლ ი დაფასა... მხოლოდ რამდენიმე დილეტანტმა“, ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით გადაკეთებულია ასე: „ო რ ე უ ლ მ ა დაინტერესა მხოლოდ მცირეოდენი დილეტანტი“. ასევეა დაბეჭდილი „სოვრემენნიკის“ ტექსტში.

⁶⁵ გვ. 626. ფრაზა: „გოგოლი ყველას როდი მოსწონდა, მაგრამ წაკითხვით ყველამ წაიკითხა“, ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით გადაკეთებულია ასე: „გოგოლი ბევრს არ მოსწონს, მაგრამ იგი უკლებლივ ყველამ წაიკითხა“. ასევეა დაბეჭდილი „სოვრემენნიკის“ ტექსტში.

⁶⁶ გვ. 626. ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით სიტყვები „ყველა თაყვანიშემეღი“ შეცვლილია ასე: „თაყვანისმცემლებიც კი“. ასევეა დაბეჭდილი „სოვრემენნიკის“ ტექსტში.

⁶⁷ გვ. 626. სიტყვები: „დიდი“ და „ნათელი“ ხელნაწერში წაშლილია აშკარად სხვისი ხელით, როგორც ამანზე შეიძლება ვიმსჯელოთ მელნის ფერისა და სხვა შესწორებათა მიხედვით, რომლებიც ბელინსკის მიერ არაა შეტანილი.

⁶⁸ გვ. 626. სიტყვები: „ისინი ბრწყინავენ“, არ არის არც „სოვრემენნიკის“ ტექსტში და არც კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში, მაგრამ არის ხელნაწერში.

⁶⁹ გვ. 627. ტექსტი დაწყებული სიტყვებით: „ჩვენ გვგონია“ და დამთავრებული სიტყვებით: „და არა პოეტური ქმნილება?“ — ხელნაწერში ნ. ა. ნეკრასოვის ხელით გადამუშავებულია ასე: „ეს უცნაური მოთხოვნა წარმოშვა არა შთაგონებამ, არა თავისუფალმა და ალალმა შემოქმედებამ, არამედ რაღაც... როგორ სჯობს ითქვას? — კკუისთვის ძალის დატანებამ თუ პრეტენზიის მაგვარმა რამემ... სხვანაირად იგი არ იქნებოდა ასეთი ღვლარქნილი, მანერული, გაუგებარი რამ, რაც რომელიმე ნამდვილ, მაგრამ უცნაურსა და დახლართულ შემთხვევას უფრო ჰგავს, ვიდრე პოეტურ ქმნილებას“. ამ სახით ეს ტექსტი დაიბეჭდა „სოვრემენნიკშიც“ და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაშიც.

⁷⁰ გვ. 627. ხელნაწერში ამ აბზაცის ბოლო, დაწყებული სიტყვებით: „ეს უკვე მეორეხარისხოვანი ნაკლია“, ნ. ა. ნეკრასოვმა თითქმის მთლიანად წაშალა და თვითონ დასწერა აბზაცის ასეთი ბოლო: „არ ვლამარაკობთ აგრეთვე სავსებით ნაძალადევ ფრაზებზე, რომლებიც განუწყვეტლივ გვხვდება, როგორცაა: г в о з д ы р е в ы й т ы ч е л о в с к , т у з о в ы й

ТЫ ЧЕЛОВЕК, და მსგ. ეს უკვე მეორეხარისხოვანი ნაკლოვანებებში და, რაც მთავარია, მათი გამოსწორება შეიძლება“. აბზაცის ეს ბოლო დაიბეჭდა კიდევ „სოვრემენნიკის“ ტექსტში. კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში აღდგენილია თავდაპირველი ტექსტი, მაგრამ არა სავსებით ზუსტად: გამოტფეებულია სიტყვა „უკვე“.

თ. მ. დოსტოევსკიმ ბელინსკი გაიცნო ნ. ა. ნეკრასოვის საშუალებით 1845 წლის მაისში. ამ პირველი გაცნობის შესახებ თ. მ. დოსტოევსკიმ თვითონ გვიამბო ოცდაათ წელზე მეტი ხნის შემდეგ. 1877 წლის „მწერლის დღიურში“.

1845 წლის დამლევს ბელინსკიმ პირველად გამოსთქვა თავისი აზრი პრესაში თ. მ. დოსტოევსკის შესახებ, მაგრამ მისი სახელი არ უხსენებია. რეცენზიაში „მეწიქვილის“ შესახებ იგი სწერდა, რომ „მომავალ წელმა — ჩვენ ეს ნამდვილად ვიცით—ძალიან უნდა მიიპყროს საზოგადოების ყურადღება ერთი ახალი ლიტერატურული სახელით, რომელმაც, ვფიქრობთ, ჩვენს ლიტერატურაში უნდა შეასრულოს ერთ-ერთი ისეთი როლი, როგორც ძალიან ცოტას ხედება ხოლმე“ (თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, გვ. 123). 1846 წლის იანვარში გამოვიდა „პეტერბურგის კრებული“, სადაც დაიბეჭდა „საბრალო ადამიანები“. თავის სტატიაში ამ კრებულის შესახებ ბელინსკიმ დინჯად. თავდაპირვლად, მაგრამ ამასთანავე საუცხოოდ შეაფასა ეს ნაწარმოები. ამ სტატიაში კრიტიკოსი კარგად გამოეხატა „ორეულსა“.

რომელიც მოთაესებული იყო „ოტჩეტსტენნიე ზაბისკის“ 1846 წლის მეორე წიგნში, მაგრამ მის შესახებ აზრი გამოსთქვა უკვე შენიშვნებით (თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, № 934 და 942). ეს გასაგებიცაა: „საბრალო ადამიანები“ მას საფუძველს აძლევდა იმედი ჰქონოდა, რომ თ. მ. დოსტოევსკი ჩვენს ლიტერატურაში იქნებოდა სოციალური რომანის მამამთავარი, მსგავსად ეორე ზანდის რომანებისა, და თავის საუბრებში დოსტოევსკისთან ბელინსკი ცდილობდა მასზე გავლენი მოეხდინა სწორედ ამ მიმართულებით. მაგრამ მისი იმედები ჯერჯერობით არ გამართლდა: „ორეულში“ არავითარი სოციალური ელემენტი არ იყო. კრიტიკოსის თავდაპირვლად ტონმა და შენიშვნებმა დიდად შელახა „ადეწილი“ თავმოყვარეობა თ. მ. დოსტოევსკისა, რომელიც, კრიტიკოსის პირველი აღტაცებული გამოხმაურების შედეგად, მაშინ პეტისმეტად მაღალი აზრისა იყო თავის თავზე და თავის ნაწარმოებებზე (შდრ. თ. მ. დოსტოევსკის ბიოგრაფია, წერილები... საბ. 1883, გვ. 42 — 43). ბელინსკი, ბოლოს და ბოლოს, გული გაუტყდა დოსტოევსკიზე, როგორც მწერალსა და ადამიანზე. ამან უკვე ნათლად იჩინა თავი მოთხრობა „ორეულის“ შეფასებისას, რომელშიც კრიტიკოსმა ჰხოვა არსებითი ნაკლი: „ესაა მისი ფანტასტიკური კოლორიტი“ (თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, გვ. 420). ხოლო თავისი მოთხრობით — „დიასახლისი“, რომელიც 1847 წელს დასწერა. თ. მ. დოსტოევსკიმ გადაჭრით გაიტეხა სახელი ბელინსკის თვალ-

ში. პ. ვ. ანენკოვისათვის გაგზავნილ 1848 წლის 15 თებერვლის წერილში კრიტიკოსმა მას საბოლოო განაჩენი გამოუტანა: „დოსტოევსკიმ დასწერა მოთხრობა „ღიასახლისი“ — საშინელი სისულელე! ამ მოთხრობაში მას უნდოდა მარლინსკი შეერიგებინა ჰოფმანთან და შიგ ცოტაოდენ გოგოლიც გაერია. მან სხვა რამეც დასწერა ამის შემდეგ; ყოველი მისი ახალი ნაწაჴ-მოები—ახალი დაცემაა. პროვინციაში მისი მოთმენა არ შეუძლიათ, სატახტო ქალაქში მტრულად ლაპარაკობენ „საბრალო ადამიანებზეც“ კი. მე მაძრწოლებს, მათი ხელახლა წაკითხვის აზრს რომ გავივლებ: ისე მსუბუქი წასაკითხია ისინი მოტყუებულხართ თქვენ, ჩემო მეგობარო, დოსტოევსკის გენიოსობაში. ტურგენევე არ ვლაპარაკობ — იგი აქ იმად დარჩა, რაც იყო; ხოლო ჩემზე, ბებერ ქაჯზე, უკეთოდ ლაპარაკიც კი ზედმეტია. მე, პირველი კრიტიკოსი, აქ ორმაგად რეგვენი გამოვედი“ („წერილები“, ტ. II, გვ. 338). ეს მკაცრი განაჩენი იმით იყო გამოწვეული, რომ თ. მ. დოსტოევსკიმ არ გაამართლა ის იმედები, რასაც მასზე ბელინსკი ამყარებდა. იმის შესახებ, თუ როგორ უცქეროდა თ. მ. დოსტოევსკი დიდ კრიტიკოსს ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, დაწვრილებით მოთხრობილია ს. აშევსკის წიგნში: „ბელინსკი მის თანამედროვეთა შეფასებით“. სპბ. 1911, გვ. 143, 188 — 205 და 197.

⁷¹ გვ. 628. ბელინსკიმ შეასრულა თავისი დაპირება: „სოვრემენნიკის“ შემდგომ წიგნში მან მოათავსა რეცენზია „კაზაკ ლუგანსკის მოთხრობებსა, ზღაპრებსა და ამბებზე“ (ლუგანსკი — ვ. ი. დალი). ამ რეცენზიაში მან გაკვრით განიხილა ვ. ი. დალ-ლუგანსკის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა (თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, № 962).

⁷² გვ. 629. აბზაცის ბოლო, დაწყებული სიტყვებით: „მისი სოფელი“, ხელნაწერში წაშლილი ყოფილა, შემდეგ კი აღდგენილია.

⁷³ გვ. 630. „სხვა“-ს შემდეგ წაშლილია: „სლავიანოფილზე“.

⁷⁴ გვ. 630. „არ იყვნენ“-ს „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში მოსდევს სიტყვა „აგრეთვე“, რომელიც ხელნაწერში არ არის.

⁷⁵ გვ. 630. თავდაპირველად იყო: „და ყოველ სლავიანოფილზე არანაკლებ ვხედავთ, რა არის მათში უცნაური, წინააღმდეგობრივი, მახინჯი“.

⁷⁶ გვ. 630. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში „ძველის“ ნაცვლად დაბეჭდილია: „დრომოქმული ზნეჴვეულებების“.

⁷⁷ გვ. 630. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში „გამოყენებული“-ს ნაცვლად დაბეჭდილია: „მიეკრას“.

⁷⁸ გვ. 631. „სოვრემენნიკის“ ტექსტში და კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში „ასეთი“-ს ნაცვლად დაბეჭდილია: „მსგავსი“.

⁷⁹ გვ. 631. თარგმანი: თადლითი, გაქნილი გაიძვერა.

⁸⁰ გვ. 632. თარგმანი: მოულოდნელი და კეთილი ბოლო. სიტყვა-სიტყვით: „მანქანის ღმერთი“, რომელიც თავისი გამოჩენით ძველ ტრაგედიაში ხელს უწყობდა კეთილ დასასრულს.

⁸¹ გვ. 633. კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში „მეტად დიდი“-ს ნაცვლად დაბეჭდილია: „ამ“.

⁸² გვ. 633. გვერდის ბოლოში გამოტანილი ეს შენიშვნა „სოვრემენნიკის“ ტექსტში არ არის. იგი პირველად დაბეჭდა მხოლოდ კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში (ბ. ბელინსკის თხზულებანი. ტ. XI, მოსკოვი. 1861, გვ. 62). — „მეტად დიდ კრებულად“, რაზედაც ლაპარაკია ამ შენიშვნაში, იგულისხმებოდა აღმანახი „ლევიაფანი“, რომლის გამოცემას ბელინსკი აპირებდა 1846 წელს. საკუთარი კრებულის გამოცემის აზრი ბელინსკის ჯერ კიდევ 1839 წლიდან უტრიალებდა თავში. 1846 წლის ოქტომბრის დამლევს გაგზავნილ წერილში ნ. ა. ნეკრასოვმა ბელინსკის წინადადება მისცა აღმანახის მასალები დაეთმო „სოვრემენნიკისათვის“ და თან დასძინა: „ჩვენ გადაგიხდით ყველა სტატიისათვის... კარგ ფულს. და ეს იქნება თქვენი მოგება განზრახული აღმანახიდან. მოიწერეთ. რას ფიქრობთ ყოველივე ამაზე...“ (ბელისკი. წერილები, ტ. III, გვ. 359). ბელინსკიმ უყოყმანოდ მიიღო ეს წინადადება და „ლევიაფანისათვის“ შეკრებილი მთელი მასალა „სოვრემენნიკს“ გადასცა.

⁸³ გვ. 633. ეს აბზაცი, რომელიც ხელნაწერში და „სოვრემენნიკში“ არის, კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში გამოტოვებულია.

„მოსკოვსკი სბორნიკი“ სლავიანოფილებმა გამოსცეს მას შემდეგ, რაც იხინი მ. პ. პოგოდინს ჩამოშორდნენ და „მოსკვიტიანინი“ დასტოვეს. ბელინსკიმ ამ კრებულში პირველ რიგში ყურადღება მიაქცია ი. თ. სამარინის (მ. ზ. კ.) სტატიას ვ. ა. სოლოგუბის „ტარანტასის“ შესახებ და ა. ს. ხომიაკოვის სტატიას „რუსების აზრი უცხოელებზე“. რადგან ამ სტატიებში პოლემიკას ეწეოდნენ მასთან. ამის შესახებ იგი 1846 წლის 4 ივლისს გერცენს სწერდა: „ხარკოვში წავიკითხე „მოსკოვსკი სბორნიკი“, მაგარ წერილს ვაეხობ მის შესახებ. სამარინის სტატია კვიანური და ბოროტია, საქმიანნიც კი არის. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი უწყინარობისა და მორჩილების უპართებულო პრინციპიდან გამოდის და, არამზადა, მე მკენწლავს „ოტჩეხეტკენიე ზაპისკის“ სახით. რა გონიერულად და ბოროტად ჰგმობს იგი სოლოგუბის არისტოკრატიულ ქცევას! ამან დამარწმუნა, რომ შეიძლება ერთსა და იმავე დროს იყო კვიანი. ნიჭიერი და საქმიანი კაციც და სლავიანოფილიც. სამაგიეროდ. ხომიაკოვი — მე ვაჩვენებ მას, წყეულს! — მე მას ვაჩვენებ როგორ უნდა ჩემი გაეცნულვა. ის იგებებს ჩემს კლანჭებს! ესეც სტატიაა. რადა! რა უნიჰო ვინმეა... მუსუსი! გულს ვიჯერებ. ვგრძნობ. რომ გულს ვიჯერებ!“ („წერილები“, ტ. III, გვ. 137).

⁸⁴ გვ. 633. ეს და შემდეგი აბზაცი არის ხელნაწერში და კ. სოლდატენ-

ჭოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში, მაგრამ გამოტოვებულია „სოვრემენნიკში“.

⁸³ გვ. 634. შემდეგ „სოვრემენნიკის“ ტექსტში მიდის თერთმეტი გვერდი (1847, ტ. I, განყ. III, გვ. 41 — 52), რომლებზეც გარჩეულია 1846 წელს გამოსული ისტორიული ნაშრომები. ეს გვერდები, ბელინსკის თხოვნით. დასწერა კ. დ. კაველინმა და მის თხზულებათა კრებულში შევიდა (გლაგოლევის გამოცემა, ტ. I, სვეტი 745 — 760). ეს გვერდები წინამდებარე გამოცემაში გამოტოვებულია, რადგან ისინი ბელინსკის არ ეკუთვნის.

შემდგომი აბზაცის წინ ხელნაწერში არის ბელინსკის ხელით დაწერილი შენიშვნა: „შენიშვნა ასოთაშფობისათვის: ამის შემდეგ აიწყოს ფურცლები № 1, 2 და 3“. ეს შენიშვნა ჩასმულია ოვალურ ფრჩხილებში. — არეებზე, შემდგომი აბზაცის დასაწყისის პირდაპირ; ხელნაწერში არის ნ. ა. ნეკრასოვის ხელით დაწერილი მეორე შენიშვნა: „NB. III განყოფილების სტატიის დასასრული რაც შეიძლება ჩქარა ააწყვეთ და პირველი კორექტურის შემდეგ გაუგზავნეთ ბ-ნ ნიკიტენკოს“. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ა. ვ. ნიკიტენკო, რომელიც „სოვრემენნიკის“ ოფიციალური რედაქტორი იყო, ბელინსკის ამ სტატიას კითხულობდა არა ხელნაწერში, არამედ კორექტურაში.

⁸⁰ გვ. 635. ი. ი. ვენელინი ატილას სლავად სთვლიდა შრომაში: „ძველი და ახლანდელი ბულგარების პოლიტიკური, ისტორიული და რელიგიური ურთიერთობა რუსეთთან“ (ნაწ. I, მოსკოვი, 1829). წიგნის ეს ადგილი იმდროინდელ ჟურნალებს შორის ხანგრძლივი პოლემიკის საბაბი გახდა (მდრ. „მოსკოვსკი ტელეგრაფი“, 1829, ნაწ. 28, გვ. 485 — 486. — ნ. ბარსუკოვი, მ. პ. პოგოდინის ცხოვრება და შრომები, წიგნი V, გვ. 271 — 272).

⁸⁷ გვ. 635. სიტყვა „სლავიანოფილური“ „სოვრემენნიკის“ ტექსტში არ არის.

⁸⁸ გვ. 635. ს. პ. შევირიოვის შრომაზე „ოტჩეტვეტენნიე ზაპისკიში“ მოთავსებული პირველი სტატია (1846, ტ. XLVI, № 5, განყ. V, გვ. 17—36) დაწერილია თ. ი. ბუსლაევისა (ფილოლოგიური ნაწილი) და ა. დ. გალახოვის (ისტორიულ-ლიტერატურული ნაწილი) მიერ. „ოტჩეტვეტენნიე ზაპისკიში“ მოთავსებული მეორე სტატიის (1846, ტ. XLIX, № 12, განყ. VI, გვ. 57 — 72) ავტორია ა. დ. გალახოვი. „ბიბლიოტეკა დლია ჩტენიაში“ მოთავსებული სტატიის (1846, ტ. LXXVIII, განყ. V, გვ. 23 — 52) ავტორი კ. პ. (ცხადია, კ. ა. პოლევოი). „ფინსკი ვესტნიკი“ სტატიის (1846, ტ. XII, განყ. V, გვ. 1 — 37) ავტორი ჩვენთვის უცნობია.

⁸⁹ გვ. 636. სიტყვით „შეუსრულებია“ ხელნაწერი წყდება. აქლია 68-ე ფურცელი.

⁹⁰ გვ. 637. სიტყვით „წიგნი“ კვლავ იწყება ხელნაწერი (69-ე ფურცელი).

⁹¹ გვ. 637. ფრაზა: „მესამე ნაწილი ბ-ნ ბუტურლინის შფოთიანობანის ისტორიისა“ „სოკრემენნიკის“ ტექსტში გამოტოვებულია.

⁹² გვ. 638. სტეფანე ალექსისძე მასლოვი (1793 — 1879) — მწერალი და სოფლის მეურნეობის დარგის ცნობილი მოღვაწე. ორმოცდაათი წლის განმავლობაში მუშაობდა სოფლის მეურნეობის მოაკოვის საზოგადოების უკუღელ მდივნად. იყო რედაქტორი და თითქმის ერთდერთი თანამშრომელი ჟურნალებისა: „ზემლედელჩესკი ჟურნალ“ (1821 — 1840) და „ეურნალ სელსკოგო ხოზიანისტვა“ (1841 — 1859). თავის სტატიაში „სიციხე და პურის მკა“ ს. ა. მასლოვმა დახატა ზაფხულის ალოობის შემზარავი სურათი, როდესაც ქალი მცხუნვარე მზეში მთელი დღე მკის და მუშაობისაგან წელში გაიმართება ხოლმე მხოლოდ ერთი წუთით, რათა გამომშრალი ძუძუ აწოვოს ბავშვს, რომელიც მინდორში მასთან არის. მასლოვმა მოიყვანა შემთხვევა, როდესაც ქალები იქვე, მინდვრად შობდნენ ხოლმე მკვდარ ბავშვებს. „ღმერთო დიდებულო! — ამბობდა იგი. — შენ ფიც დასდე, რომ ადამიანმა თვისი ოფლით მოაპოვოს პური თვის მაგრამ ამ პურს რომ ეცხოს დედების სისხლი, რომლებიც წამებით ჰშობენ, ნამგალი ხელიდან გავარდნიათ და ახალშობილიც კვდება, — არა. უფალო. ეს არ არის შენი სიყვარულისა და მოწყალების ნება, ეს არის კაცის გულქვაობა. რასაც ადამიანები შეეჩვივნენ, და ნაადრევ მშობიარობას, რასაც მცხუნვარე მზეში შშივე მუშაობის გამო მკვდარი ბავშვის დაბადება მოსდევს, უკვე აღარ უწოდებენ კაცის მკვლელობას“. ნიკოლოზის დროისათვის ეს გაბედულად იყო ნათქვამი. ამ სტატიას ბელინსკიმ უწოდა „შესანიშნავე“. მაგრამ თვით ავტორზე, როგორც ადამიანზე, იგი მაღალი აზრას არ იყო. პ. ვ. ანენკოვისათვის გაგზავნილ 1847 წლის დეკემბრის წერილში იგი სწერდა: „ჩამოსვლისთანავე შევიტყე, რომ ჩვენს მთავრობაში დიდი მოძრაობაა ბატონყმობის მოსპობის საკითხზე.. პეროვსკიმ პიტერში დაიბარა მასლოვი, რათა მოეთათბიროს მას საკითხის ნამდვილად გადაწყვეტის საშუალებებზე. ამ გადაწყვეტის სიძნელე ის არის, რომ მთავრობას ნამდვილად არ უნდა თავისუფლება მისცეს გლზეებს უმიწოდ, რადგან ეშინია პროლეტარიატისა, და იმავე დროს არ უნდა, რომ თავდაზნაურობა, თუნდაც ფულიანი, უმიწაწელოდ დარჩეს. თქვენ წარმოდგენა გაქვთ მასლოვზე. ეს კაცი უკეთუ არ არის, სულაც არ არის უკეთუ. მაგრამ უშინაარსო და ქარაფშუტაა. სამინელი მოლაყბე. სიტყვით ლიბერალი და საქმით არარა. ჩოლი, რომელსაც იგი ახლა ასრულებს, მის თავმოყვარეობას ესალბუნება და სალაყბო მასალას იძლევა, მას კი უიშინოდაც არ უყვარს დუმილი. იგი ამბობს, რომ გუბერნიაში მას სთელიან ვაშინგტონად (მისი აზრით, ეს ნიშნავს რადიკალიზმს ლიბერალიზმში). ხოლო ჩვენ. ახალგაზრდა თაობა, მას ჩამოვახრჩობდით როგორც კონსერვატორს, თუმცა, მართალი რომ ითქვას, ჩვენ არც კი ვთვლით მას ასეთი შაკარი სასაყელის ღირსად. არამედ ვფიქრობთ, რომ საკმარისი იქნებოდა იგი კინწის-

კვრით გაეგდოთ თავის ცხენებთან, მის ცხენსაშენში, რათა მათთვის ეწერა კონსტიტუცია: მისი ნამდვილი ადგილია საჯინიბო“ („წერილები“, ტ. III, გვ. 314).

³³ გვ. 638. ბელინსკი აქ ლაპარაკობს თავის „შეიდი წლის მძიმე გამოცდილებაზე“, რაც მიიღო „ოტენესტევენნიე ზაპისკიში“ (1839 წლის აგვისტოდან 1846 წლის აპრილამდე), სადაც მას თითქმის მარტოკას ყოველ თვეში უნდა შეეწო თავისი სტატიებით „კრიტიკის“ განყოფილება. თითოეულ წიგნზე, რომლის შესახებაც იწერებოდა სტატია ამ განყოფილებიანათვის, თითქმის უსათუოდ იბეჭდებოდა რეცენზიაც, რაც თავსდებოდა „ბიბლიოგრაფიული ქრონიკის“ განყოფილებაში. ასეთი ორმხრივი გამოხმაურების პირობებში ჟურნალში ჰყრიდნენ ბევრ ზედმეტ ბალასტს, როგორც ამაზე სამართლიანად ლაპარაკობს ბელინსკი მომდევნო სტრიქონებში. ამ ორი განყოფილების ნაცვლად „სოვრემენიკიში“ შემოღებული იყო მხოლოდ ერთი განყოფილება: „კრიტიკა და ბიბლიოგრაფია“.

³⁴ გვ. 639. ზელნაწერში არ არის სიტყვა „სისრულით“, მაგრამ ჩვენ ჩაესვით ის, რადგან ამას მოითხოვს ფრაზის აზრი.

³⁵ გვ. 639. ტექსტი, დაწყებული სიტყვებით: „და რომლებიც, ფიქრობენ რა“, და დამთავრებული სიტყვებით: „უხამსობასა და კუჟანაკებობას“, ზელნაწერში ამოშლილია და მის ნაცვლად არეზე ნ. ა. ნეკრასოვის ხელით ჩამატებულია: „რადგან თავისი ნაწერებით უდავოდ დაამტკიცეს თავისი უნიჭობა და კუჟანაკებობა“. „სოვრემენიკის“ ტექსტში ეს ჩამატება ჯაიბეკდა რამდენადმე შეცვლილი სახით: „რადგან თავისი ნაწერებით დაამტკიცეს თავისი უნიჭობა“. ამ შეცვლილ ტექსტში ლაპარაკი იყო მწერალ ლ. ვ. ბრანტზე, რომელმაც დასწერა რომანი „ცხოვრება, როგორც ის არის“. ამ რომანში იგი, სხვათა შორის, დასცინოდა ბელინსკის.

³⁶ გვ. 639. შემდეგ ზელნაწერში წაშლილია: „რა თქმა უნდა, ადვილია ჩვენს ჟურნალში სოფლის მეურნეობისათვის კუთხის დათმობა, მასში სხვისი სტატიების მოთავსება და ასევე სხვის მიერ დაწერილი კრიტიკული ანგარიშების მიცემა ამ დარგის წიგნებზე. მაგრამ ამისთვისაც საჭიროა თვითონ გამომცემელმა იცოდეს სოფლის მეურნეობის შესახებ ცოტა რამ იმაზე მეტი, რომ პური მიწაზე მოდის და არა წყალში; სხვანაირად იგი უნებლიეთ თავისი თანამშრომლების ხელში აღმოჩნდება და უდანაშაულო დამნაშავე იქნება მათს შეცდომებსა და, შეიძლება ითქვას, მისტიფიკაციებშიც, ხოლო საზოგადოება მისი ჟურნალის ამ განყოფილებაში დაინახავს მხოლოდ ბალასტს... ჩვენის მხრივ, ჩვენ წესად დავიდეთ ნაკლები დაუპირდეთ, მაგრამ უკეთ შევასრულოთ; ყველაფერს არ გამოვეკიდოთ, მაგრამ კარგად...“—ცხადია, რომ ეს წაშლილი ადგილი მიმართული იყო უმთავრესად ა. ა. კრავესკისა და მისი ჟურნალის „ოტენესტევენნიე ზაპისკის“ წინააღმდეგ, რომელშიც იყო განყოფილება: „მეოჯახეობა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა საერთოდ“.

„1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“

¹ გვ. 640. ორი სტატია, რომელთა საერთო სახელწოდებაა „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“, პირველად დაიბეჭდა „სოვრემენნიკში“, 1848, ტ. VII, № 1 (ცენზურამ ნება დართო 1847 წ. 31/XII) და ტ. VIII, № 3 (ცენზურამ ნება დართო 29/II), განყ. III, გვ. 1 — 39 და 1 — 46.

მეორე სტატია „სოვრემენნიკის“ თებერვლის წიგნის ნაცვლად დაიბეჭდა მხოლოდ მარტი წიგნში. შენიშვნაში „რედაქციისაგან“, რომელიც მოთავსებული იყო „სოვრემენნიკის“ მეორე წიგნის ბოლოში, ნათქვამი იყო: „მეორე სტატია „1847 წლის რუსული ლიტერატურის შესახებ“ ზოგიერთი გარემოების გამო ვერ შევიდა „სოვრემენნიკის“ მეორე ნომრის შემადგენლობაში და მოთავსებულ იქნება მესამე ნომერში“. ეს „გარემოება“ იუბელინსკის ავადმყოფობა. ორივე სტატიის ტექსტი კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში (ბ. ბელინსკის თხზულებანი, ტ. XI, მოსკოვი. 1861, გვ. 315 — 436) რამდენადმე განსხვავდება „სოვრემენნიკის“ ტექსტისაგან, სადაც ეს სტატიები პირველად დაიბეჭდა. „სოვრემენნიკის“ ტექსტში არის შემოკლებანი და ცვლილებანი, ჩაც. ცხადია. ცენზორის ხელს უნდა მიეკუთვნოს. კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ტექსტის ეს დამახინჯება აცილებულია. ეს მოწმობს, რომ ნ. ხ. კეტჩერს და ა. დ. გალანოვს, რომლებიც ამ გამოცემას თვალყურს ადევნებდნენ, ხელთ ჰქონდათ ამ სტატიების ხელნაწერები, რამაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. წინამდებარე გამოცემაში ეს სტატიები იბეჭდება კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემის ტექსტის მიხედვით. „სოვრემენნიკის“ ტექსტში შეტანილი ყველა შემოკლება წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ერთხოვან ფრჩხილებში, ხოლო იქ მომხდარი ყველა ცვლილება და გადამუშავება მოყვანილია და აღნიშნულია ბელინსკის ნამდვილი ტექსტის სათანადო ადგილებისადმი გაკეთებულ შენიშვნებში.

² გვ. 640. ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები „სოვრემენნიკის“ ტექსტში არის. მაგრამ ისინი, ცხადია, შეცდომით გამოტოვებულია კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში.

³ გვ. 642. დაცინვაა პლატონ ლუკაშევიჩის მისამართით. რომელმაც 1846 წელს გამოუშვა წიგნი სათაურით: „ჯადოსნობა, ანუ მოგვების, მისნებისა და ქურუმების საღმრთო ენა, აღმოჩენილი პლატონ ლუკაშევიჩის მიერ“... ამ წიგნში პლატონ ლუკაშევიჩი, სხვათა შორის, სწერდა: „ქვეყნიერების გაჩენიდან ადამიანის მოდგმას ჰქონდა ერთი საერთო ენა — სლავური: და იყო ყოველი ქვეყანა, ენა ერთ, და ხმაი ერთ ყოველთა. წიგნი დაბად. XI. I. ღმერთმა დააცხრო ადამიანის სიამაყე ენათა აღრევით. ესე აღრევა არის ჯადოსნობა“.

⁴ გვ. 648. აღმანახებში მოთავსებულ ლიტერატურის დიდი წლიური მიმოხილვებისაგან ცნობილია: „რუსეთის ძველი და ახალი სიტყვიერების მიმოხილვა“ და 1823 წლის, 1824 წლისა და 1825 წლის დასაწყისის „რუსული სიტყვიერების მიმოხილვა“ ა. ბესტუჟევისა („პოლიარნაია ზეკზდა“, 1823, 1824, 1825); „1829 წლის რუსული სიტყვიერების მიმოხილვა“ ვ. კირეევსკისა („დენნიცა“, 1830); „1833 და 1834 წლების რუსული სიტყვიერების უკანასკნელი წარმატებების მიმოხილვა“ ი. პლაცინისა („ლეტოპის ფაკულტეტოვ ნა 1835 გოვ“, ნაწ. I, სპ. 1835). ლიტერატურის პირველი შესანიშნავი წლიური მიმოხილვები, რომლებიც უკანალეაში მოთავსდა, იყო: „1824 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“ ნ. პოლევიისა („მოსკოვსკი ტელეგრაფ“, 1825, ნაწ. I); „1827 წლის რუსული სიტყვიერების მიმოხილვა“ ს. პ. შვერიოვისა („მოსკოვსკი ვესტნიკ“, 1828, წიგნი I); „1831 წლის რუსული სიტყვიერების მიმოხილვა“ ი. ვ. კირეევსკისა („ვერობეც“, 1832); „არაფერი არაფერზე. ანუ ანგარიში ბ-ნს „ტელესკოპის“ გამომცემელს რუსული ლიტერატურის უკანასკნელი ნახევარი წლის (1835) შესახებ“ („ტელესკოპ“, 1836, ნაწ. XXXI); „საუკრნალო ლიტერატურის მოძრაობის შესახებ 1834 და 1835 წლებში“ ნ. ვ. გოგოლისა („სოვრემენნიკ“, 1836, წიგნი I). 1841 წლიდან მოკიდებული ბელინსკიმ ზედოხედ მოათავსა ხუთი წლიური მიმოხილვა „ერთ ცნობილ ურნალში“, ესე იგი „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ (1841—1846). ერთი მიმოხილვა „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (1844, №№ 1 და 2) და ორი მიმოხილვა „სოვრემენნიკში“ (1847 და 1848).

⁵ გვ. 653. „სახეშეცვლილ“ პერიოდულ გამოცემებს პირველ რიგში მიეკუთვნებოდა „სოვრემენნიკი“, რომელიც 1847 წლის დამდეგს პ. ა. პლეტნევიდან გადავიდა ნ. ა. ნეკრასოვისა და ი. ი. პანაევის ხელში, ხოლო შემდეგ—„სინ ოტეჩესტვა“, რომლის გამოცემა, ორნახევარი წლის მანძილზე შეწყვეტის შემდეგ, 1847 წლის დამდეგიდან ა. თ. სპირდინის ნაცვლად დაიწყო მ. დ. ოლხინმა და კ. ეერნაკოვმა. „ერთი ახალი ფურცელი“ — „მოსკოვსკი გოროდსკოი ლისტოკი“, რომელსაც 1847 წლის დამდეგიდან უშვებდა ელადიმერ დრაჟუსოვი და რომელმაც იმ წლის დამდეგს თავისი არსებობა შესწყვიტა.

⁶ გვ. 653. ბელინსკიმ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ 40-იანი წლების რუსული ლიტერატურის ახალ მიმართულებას „ნატურალური სკოლა“ უწოდა ფ. ბ. ბულგარინმა („სევერნაია პჩელა“, 1846, № 22). ამ სიტყვებიანი ციტატი ფ. ბ. ბულგარინის ფელეტონიდან ბელინსკიმ მოიტანა სტატიის „ფადეი ბულგარინის მოგონებების“ შესახებ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, გვ. 335 და 386).

⁷ გვ. 655. აქ იგულისხმებოდა იფრი სამარინი, რომელიც 1847 წელს თავის სტატიის „სოვრემენნიკის“ შეხედულებათა შესახებ, სწერდა: „ნატურალიზმის წარმოშობა, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო მარტივად

აიხსნება... მასალა მოკეპულია გოგოლის შიერ, ან, უკეთ, აღებულია მისგან; ეს ჩვენი სინამდვილის უხაზსი მხარეა. გოგოლმა პირველმა გააბედა მხატვრობის დარგში უხაზის გამოხატულების შემოტანა. ამისათვის საჭირო იყო მისი გენია... მისი მხრით ეს იყო მხატვრული ინსტიქტის არა მხოლოდ ბედნიერი შთაგონება, არამედ მთელი სიცოცხლის შეგნებული თაედალება, შინაგანი განწყობის პირადი მოთხოვნების გამოხატულება" (ი. თ. სამარინის თხზულებანი, მოსკოვი, 1877, გვ. 82).

⁸ გვ. 655. ბუტკოვით თვით გოგოლის ავტორიტეტის მოსპობას ცდილობდა ფ. ბ. ბულგარინი თავის მრჩივ ფელეტონში „საჟურნალო ხარახურა“ („სევერნაია პჩელა“, 1845. № 243, გვ. 971). ბელინსკი უკვე ლაპარაკობდა ამაზე რეცენზიაში „პეტერბურგის მწვერვალების“ შესახებ და პირველმავე კი მოაყვანა იქ ამ თემაზე დიდი ციტატი ფ. ბ. ბულგარინის ფელეტონიდან (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული. ტ. X. გვ. 74 — 75). გაზეთის იმ ნომრის მითითებაში. საიდანაც ციტატა აღებული, ბელინსკი შეცდა. უნდა იყოს: 243.

⁹ გვ. 656. აქ ნაგულისხმევი იყო ნ. ი. ნადეედინი, რომელიც, სხვათა შორის. „გრაფ ნულინის“ შესახებ სწერდა: „ადამიანთა ცრურწმენების ერთილუმილური შეწყნარების გრძნობა გამოიხატება გრაფის ნახევრად მიზიკური პასუხით ნათალია პეტრეს ასულის შეკითხვაზე:

„როგორ იცვამენ კაბის ზედატანს?“ —
ჩამოშვებულსა, აი... აქამლის.

რა თავაზიანი მოკრძალებაა!.. პოეტმა თავისი გმირი აიძულა კი არ ეთქვა არამედ ეჩვენებინა ის, რის გამოსათქმელად ჩვენს ენას წიგნური სიტყვა არა აქვს“.

ნ. ი. ნადეედინის შეხედულება „გრაფ ნულინზე“ მთლიანად გადაბეჭდილია ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებულში: პირველ ტომში (ს. ა. ვენგეროვის რედაქციით).

¹⁰ გვ. 659. იმის შესახებ. თუ როგორ ესმოდათ XVIII საუკუნის ფრანგებს ბელოვება, ბელინსკი დაწვრილებით ლაპარაკობდა ჯერ კიდევ 1834 წელს „ლიტერატურულ ოცნებებში“.

¹¹ გვ. 660. ივულისხმებოდა პუშკინის პოემა „აეაზაი ძმები“.

¹² გვ. 662. გოგოლზე გამოთქმული ეს აზარი, რომელიც ვასილ პლაცინის ეკუთვნის, ბელინსკიმ აიღო პლაცინის საბეჭდოვანელოდან: „რუსული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის სახელმძღვანელო“ (მეორე გამოცემა, სპბ. 1846).

¹³ გვ. 665. ბელინსკი პუშკინს კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდა ჯერ კიდევ 1845 წლის დამდეგს (იხ. 21-ე შენიშვნა ბელინსკის სტატიებისადმი პუშკინის შესახებ).

¹⁴ გვ. 667. კოროვატინი, ნოჯოვი, პრავდოლიუბოვი, ბლაგოტვოროვი და ა. შ. — ფ. ბ. ბულგარინის რომან „ივანე ვიციგინის“ გმირები არიან.

¹⁵ გვ. 668. ნართულად ნათქვამია გრიგოროვიჩის „სოფლის“, „ბეჩაივი ანტონის“, დალ-ლუგანსკის „პეტერბურგელი მეეზოვის“ და ნეკრასოვის „პეტერბურგის კუნძულების“ შესახებ.

ფ. ბულგარინმა და ლ. ბრანტმა გაილაშქრეს „პეტერბურგელ მეეზოვე-ში“ და „პეტერბურგის კუნძულებში“ საზოგადოების დაბალი ფენების ყოფაცხოვრების გამოხატვის წინააღმდეგ. მაგალითად, ლ. ბრანტი სწერდა: „ბ-ნი ნეკრასოვი, გაზრდილი ბ-ნ გოგოლის მიერ შექმნილი უახლესი სკოლისა, რომელსაც ერცხვინება გრძნობიერი, პათეტიკური და უჩრჩევნია ბინძური, ბნელი სცენები, ვეიხატავს „კუნძულების“ სხვაგვარ ბინადართ: ღიასახლისს, რაღაც საძაგელ ბებრუხანას; ლოთს, ლალისგან განთავისუფლებულ შინაყმას, რომელიც განუწყვეტლივ სრესს ობობებს; გაცოფებულ მთერალ დედაკაცს; სკოლის მასწავლებელს... და სხვა ამგვარ პირებს. არ ვღაუვობთ, რომ ისინი არსებობენ, როგორც გარდუეალი გამონაკლისები აღამიანთა საზოგადოების ქვედა ფენაში, მაგრამ საჭიროა თუ არა სავალალო ცხოვრების დაწვრილებით დახატვა და განსაკუთრებით ისე დახატვა, როგორც ხატავს ბ-ნი ნეკრასოვი, რომელიც, როგორც ჩანს, ხელოვნების ზეიმს ბინძური და საზიზღარი სურათებით წარმოგვიდგენს“ („სევერანია პჩელა“, 1845, № 236).

¹⁶ გვ. 673. ლაპარაკია გრიგოროვიჩის „ბეჩაივი ანტონის“ შესახებ.

¹⁷ გვ. 674. სიტყვები: „ვერ დაიკვებნის დიდ გეარშივილობას და სულაც“, ეურნალის ტექსტში არის, მაგრამ კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ისინი გამოტოვებულია აშკარა უყურადღებობის გამო.

¹⁸ გვ. 678. ისეთი ათეისტის პირში, როგორიც ამ პერიოდში ბელინსკი იყო. უცნაურად გაისმის აქ ქრისტეს აღიარება „ღვთის ძედ“. ცხადია, რომ ეს ნათქვამი იყო ცენზურისათვის.

¹⁹ გვ. 679. სიტყვების შემდეგ: „ამაობით გართულ აღამიანთა საქმიანობაც სიკეთისაკენ წარმართოს“, „სოვრემენიკის“ ტექსტში არის ბელინსკის მიერ ტექსტქვეშ ჩატანილი ასეთი შენიშვნა: „მოვალეობად მიგვაჩნია ჩვენს მკითხველებს მოვაგონოთ მცირე სტატია (გასული წლის „სოვრემენიკის“ V წიგნის „ნარევის“ განყოფილებაში) სახელწოდებით: „დაუა ქველმოქმედების შესახებ“, რომელშიც ჩინებულად არის გადაჭრილი კერძო ქველმოქმედების მიმართ საზოგადოებრივი ქველმოქმედების უპირატესობის საკითხი“ დავის საგანი გახდა მთებიდან ქალაქში ციგურაობა. რაც მოსკოვის წარჩინებულმა მინდილოსნებმა ღარიბთა სასარგებლოდ გამართეს 1847 წლის დიდმარხვაში.

²⁰ გვ. 686. „პოეტად, რომელმაც მოცხურვა ცუდი რეზონიორი გამხდარიყო“, რა თქმა უნდა. იგულისხმებოდა გოგოლი, რომელმაც 1847 წლის

დამდეგს გამოაქვეყნა „ჩვეული ადგილები მეგობრებთან მიწერ-მოწერილან“ და უარი სთქვა თავის წინანდელ ნაწარმოებებზე.

²¹ გვ. 686. თარგმანი: „ანეიბოელი მწიწკვილე“, „ბატონ ანტუნის ცოდვა“ და „იზიდორა“.

²² გვ. 687. პრინცი როდოლფი — ევგენი სიუს „პარიზის საიდუმლოებათა“ მთავარი გმირი.

²³ გვ. 689. თარგმანი: „სრულყოფის უმაღლესი იდეალი“.

²⁴ გვ. 690. 1847 წელს საზღვარგარეთ მგზავრობის დროს ბელინსკი ორჯერ იყო დრეზდენში: 15 — 19 მაისს და 5 — 9 ივლისს (ძველი სტილით). პირველი ჩასვლისას იგი ორჯერ იყო დრეზდენში გალერეაში, სადაც ნახა განთქმული სიქსტის მადონა. როგორც ჩანს, იგი გალერეაში იყო მეორედ ჩასვლის დროსაც. მადონასგან მიღებული თავისი შთაბეჭდილებანი მან აღწერა ე. პ. ბოტკინისათვის გაგზავნილ 1847 წლის 7 ივლისის წერილში.

²⁵ გვ. 691. გოეთეს რომან „Wahlverwandschaften“-ის თარგმანი „სოვრემენნიკში“ დაიბეჭდა (1847, ტ. I⁷) სათაურით: „ოტილია“.

²⁶ გვ. 692. სიტყვები: „და ამ დასაწყისის“ ეურნალის ტექსტში არის, მაგრამ კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში ისინი გამოტოვებულია ამჟამა უყურადღებობის გამო.

²⁷ გვ. 694. რომანი: სრული სათაურია: „პანი პოდსტოლიჩი. სამაზრო რომანი“. თხზ. თ. მასალსკისა. თარგმანი პოლონურით, სპბ. 1832 — 1833, მე-2 გამოცემა — სპბ. 1834.

²⁸ გვ. 695. 30-იან წლებში ბელინსკი წმინდა ხელოვნების მომხრე იყო. ხოლო 40-იან წლებში იგი ხელოვნებას მხოლოდ სამსახურებრივ როლს აკუთვნებს და ამბობს, რომ „ახლა ხელოვნება ბატონი კი არ არის, არამედ მონაა: იგი ემსახურება მისთვის უცხო მიზნებს“ (ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, გვ. 302). წინამდებარე სტატიის 679 — 694 გვერდებზე გამოთქმულია ის საბოლოო შეხედულება ხელოვნებაზე, რომელთანაც ბელინსკი თავისი სიცოცხლის დასასრულს მივიდა.

²⁹ გვ. 696. სახელ „ეურდენს“ „სოვრემენნიკში“ გაკეთებული აქვს სქოლიოდ გამოტანილი შენიშვნა: „გმირი მოლიერის კომედიისა: „Le Bourgeois Gentilhomme“ — „გააზნაურებული მდაბიო“.

³⁰ გვ. 696. სიტყვებს: „ჩვენ უკვე შემთხვევა გვქონდა... დაგვემტკიცებინა მისი მთელი უსაფუძვლობა და უმსგავსობა“. „სოვრემენნიკში“ გაკეთებული აქვს ტექსტქვეშ გამოტანილი შენიშვნა: „„სოვრემენნიკი“, 1847 წ. წიგნი XI, სტატია „პასუხი მოსკვიტიანისს“».

³¹ გვ. 696. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ნაცულად სიტყვისა „მაგრამ“ ნათქვამია: „თუმცა“.

³² გვ. 697. რომანი „სპეკულატორები“, რომელიც პ. სუბონინს ეკუთვნის, დაიბეჭდა „ბიბლიოტეკა დღია ჩტენიაში“, 1847, ტ. 83, 84 და 85.

³³ 698. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიწერა-მოწერადან“, ბელისკი გოგოლს, ნატურალური სკოლის მამა-შთავარს, უკვე ბოლომოდებულ მწერლად სთვლიდა.

³⁴ გვ. 699. ციტატი აღებულია ა. ნიკიტენკოს სტატიიდან „რუსული ლიტერატურის თანამედროვე მიმართულების შესახებ“ („სოვრემენნიკი“, 1847, ტ. I, № 1, განყ. II, გვ. 61). სამ ადგილას ბელისკის რამდენადმე არაზუსტად მოჰყავს ა. ნიკიტენკოს ტექსტი („და თავისი მნიშვნელობის“, ნაცვლად სიტყვებისა: და თავისი დანიშნულების“; „იგი ჯერ კიდევ ჰგავდა“, ნაცვლად სიტყვებისა: „ჯერ კიდევ იგი ჰგავდა“ და „დედამიწის ყინულის ქერქისაგან“, ნაცვლად სიტყვებისა: „ზამთრის ყინულის ქერქისაგან“).

³⁵ გვ. 699. „თვითყოფობისაკენ მობრუნებას“ „რუსეთის ისტორიის შესწავლის სფეროში“ და „რუსეთის თანამედროვე ყოფის შესწავლაში“ ბელისკი ხედავდა კ. დ. კაველინის, ს. მ. სოლოვიევის, მ. პ. პოგოდინის, ა. პ. ზაბლოცკის, ა. აფანასიევისა და სხვ. შრომებში. ამ შრომებს იგი ჩამოსვლის წინამდებარე ტომის 765 — 770 გვერდებზე.

³⁶ გვ. 700. ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა „სოვრემენნიკის“ ტექსტში არის, მაგრამ ის გამოტოვებულია კ. სოლდატენკოვისა და ნ. შჩეპკინის გამოცემაში.

³⁷ გვ. 704. „ვინ არის დამნაშავე?“ და „ჩვეულებრივი ისტორია“ ერთმანეთთან შედარებულია სტატიაში „რუსული ლიტერატურა 1847 წელს“, რომელიც დაიბეჭდა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკიში“ (1848, ტ. LVI, № 1. განყ. V, გვ. 18—21). ამ სტატიაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „სულ სხვაგვარია ისკანდერის რომანი „ვინ არის დამნაშავე?“, რომელიც გვიჩვენებს ავტორის დიდი ტალანტის ორმაგ ძალას: ტრაგიკული შდგომარეობის გამოხატვის ძალას და ცხოვრების კომიკური მხარის გამოხატვის ძალას... ისეთი პირების შექმნა, როგორცაა პეტრე ივანეს-ძე და მისი ძმისწული, ყველას შეუძლია... მაგრამ ისეთი პირები, როგორცაა ბელტოვი და კრუციფერსკაია, ძალიან ბევრი ადამიანის გაგების ნიჭს აღემატება. აი ამიტომ ისკანდერის რომანს ჩვენ ბ-ნ გონჩაროვის რომანზე გაცილებით მაღლა ვაყენებთ“. სტატიის ავტორია ა. დ. გალახოვი.

³⁸ გვ. 713. „სოვრემენნიკის“ ტექსტში დაბეჭდილია: „რაც არ უნდა იტაცებდეს მას“.

³⁹ გვ. 713. ამ სტრიქონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიტყვა მუშანურობა რუსულ ენაში შემოუტანია და უაღრესად დაწვრილებით გაწმარტავს ბელისკის.

⁴⁰ გვ. 714. „სოვრემენნიკის“ ტექსტში დაბეჭდილია „გულწრფელად“, მაგრამ ხელნაწერში არის სიტყვა „მორჩილად“, რაც შეცდომით უნდა იყოს დაწერილი.

41 გვ. 715. ამ სტრიქონების ავტობიოგრაფიულ ხასიათში აღვილად დაერწმუნდებით, თუ წაეკითხავთ ბელისკის წერილებს მშობლებისა და ძმის—კონსტანტინესადმი. მშობლებისათვის გაგზავნილ მის 1831 წლის 17 თებერვლის წერილში ვკითხულობთ: „მერწმუნეთ, რომ თქვენი ვაჟი უკეთესი აზრის ღირსია, ვიდრე თქვენ მის შესახებ გაქვთ. სადაც უნდა ვცხოვრობდე, რაც უნდა ვიყო,—მე მუდამ წმინდათაწმინდა მოვალეობად ჩავთვლი კეთილი შეილი ვიყო, მიყვარდეს და პატივს ვსცემდე ჩემს მშობლებს და ვაღიარებდე ჩემს მიმართ მათ ძალაუფლებას, რომელიც მსოფლიოში ყველა ძალაუფლებაზე მნიშვნელოვანი, კანონიერი და უწმინდესია. მე არ მინდა ფილოსოფიურად გამოვიკვლიო, არის თუ არა მშობლებისადმი სიყვარული და პატივისცემა ბუნების მიერ შთაგონებული გრძნობა; თუ იგი არის ბავშვობიდანვე შთაგონებული წესების შედეგი. ანდა სხვა რამეა. მე შემძლია განვიცდიდე ამ გრძნობას, წმინდა, დიად გრძნობად ვთვლი მას; ეს ჩემთვის საკმარისია. თქვენ... არ უნდა ფიქრობდეთ, რომ მე მდაბალი გრძნობებისა და საზიზღარი აზრთა წყობის პატრონი ვარ. კვლავ გიმეორებთ, რომ მე არა ვარ ბიჭი, რომელიც უნდა გაწკებლონ, რათა აიძულონ წესიერად მოიქცეს; არა ვარ გაუთლელი გლეხი, რომელსაც კეტი უნდა ურტყან, რათა აიძულონ რაიმე იგრძნოს. თქვენ, დედილო, ლუკერია საველის ასულს სთხოვდით თქვენი სახელით გაველანძღე მე: გიხაროდეთ და იმხიარულეთი მან დიპლომატიური სინუსტით გამიმეორა თქვენი აღერსიანი და კეთილშობილური სიტყვები. მე არ მინდა გელაპარაკოთ ამ სიტყვების უწმინდობაზე, გამოთქმების უკიდურეს უზრდელობასა და სიმდაბლეზე; მხოლოდ გაკერით შეენიშნავ, რომ ეს უკვე მეტისმეტია, მეტისმეტი... მაგრამ მე უკვე შევეჩვიე ჩემი მშობლების ამგვარ საქციელს... არ მინდა დაეასრულო: იქნება, თვითონვე გაიგოთ...“ — თავის ძმას კონსტანტინეს ბელისკი 1832 თუ 1833 წლის 21 ივნისს სწერდა: „რამდენჯერ ვთხოვე დედილოს, რომ მას დაეცხრო თავისი უხიაკი და საშინლად ფიცხი ხასიათი... და სულ ამაოდ ჩემს ერთგულებასა და ჩემს კეთილ რჩევას მან უწოდა დედის მიმართ უხეშობა და უპატივცემლობა. რამდენჯერ. ასევე ამაოდ, ვთხოვე და ველაპარაკე მამილოს... მამ ასე. გიყვარდეს და პატივი ეცი მშობლებს—ამას ყოველთვის გირჩევ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფლება მაქვს ვთქვა, რომ ჩვენი უბედურება დამოკიდებულია მათგან, რომ ისინი თავსაც იღუპავენ და ჩვენც გვღუპავენ. მათ არ იციან თავიანთი მოვალეობანი, მათ არ იციან, რომ ისინი... თავს უნდა ველებოდნენ თავის ბავშვებს, ცდილობდნენ გამოზარდონ ისინი სამშობლოს კეთილ მოქალაქეებად: ეს ბუნების კანონია, ღვთისა და თვით ადამიანთა კანონია“. — და ისევ ძმისადმი გაგზავნილ 1833 წლის 19 ივლისის წერილში: „ძალიან კარგად ვიცი, თუ რა მწარეა შენთვის მშობლების სახლში ცხოვრება, მაგრამ რას იზამ? მე

თვითონაც ვსკამ მწარე ფიალას, რომელიც დღითიღვე პირთაგან ივსება ახალ-ახალი საშინლად შხამიანი სამსალით, მაგრამ ვითმენ, რადგან შოშვლის იმედი მაშხნევებს... გირჩევ, შენც ჩემს მაგალითს მიჰბადო. რა თქმა უნდა, სამწუხარო და საშინლად სავალალო საკუთარი მამისაგან გესმოდეს საყვედურები ყოველი ლუკმის გამო... და მერე სად? ჩემბარში, სადაც ეს ლუკმა სულ უკანასკნელ მეშინინსაც კი ასე იაფი უჯღღებდა...“ („წერილები“, ტ. I, გვ. 33, 41 და 55). — შესაძლებელია, რომ ბელინსკის ამ სტატიის წერის დროს გაახსენდა თავისი ბავშვობის ის შემთხვევაც, რომელიც მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა გადმოსცა. შემთხვევა ასეთია: ერთხელ ბელინსკის მამა ქეიფიდან შინ დაბრუნდა და სრულიად უშიზვზოდ ლანძღვა დაუწყო ვაჟს — ბესარიონს. „ბავშვი (იგი 10 — 11 წლის იყო) თავს იმართლებდა. გაცოფებულმა მამამ ბავშვს ხელი შემოჰკრა და მიწაზე დაანარცხა. ბიჭი სრულიად გარდაქმნილი წამოდგა: მის სულში აღიბეჭდა შეურაცხყოფა და ღრმა უსამართლობა — მან სამუდამოდ შეინარჩუნა რაღაც შიში და სიძულვილი აღვირახსნილი ოჯახური თვითნებობის მიმართ“.

⁴² გვ. 717. ბელინსკის არასავსებით ზუსტად მოჰყავს გერცენის სიტყვები. უნდა იყოს: „ძალები ჰყოფნოდა და მისთვის ამ ხუმრობის გამო საყვედური ეთქვა“

⁴³ გვ. 719. ამ სტატიაში ბრწყინვალედ გაშლილია ა. ი. გერცენის დახასიათება, რაც ძირითადად უკვე მოხაზული იყო ბელინსკის წერილებში. რომლებიც დაწერილია ამაზე დაახლოებით ორი წლით ადრე. მაგალითად, 1846 წლის 20 მარტის წერილში ბელინსკიმ ასე დაახასიათა თავისი მეგობარი: „ჰოდა, ჩემო ძმობილო, შენი მადლობელი ვარ „ვინ არის დამნაშავეს?“ ინტერმესოსათვის. ამ ნაწარმოებმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ შენ დიდი ადამიანი ხარ ჩვენს ლიტერატურაში... შენ პოეტი არა ხარ; ამაზე ლაპარაკიც სასაცილოა. მაგრამ აქი არც ვოლტერი იყო პოეტი არა მხოლოდ „ქენრიდაში“, არამედ „კანდიდიშიც“, მაგრამ მისი „კანდიდი“ მრავალ დიად მხატვრულ ქმნილებას გაუტოლდება გამძლეობით... მხატვრული ბუნების ადამიანების ჰკუა იქცევა ტალანტად, შემოქმედებით ფანტაზიად, და ამიტომ თავიანთ ქმნილებებში, როგორც პოეტები, ისინი საშინლად დიდები, უზარმაზარნი არიან, ხოლო როგორც ადამიანები — შეზღუდულნი და თითქმის ბრყვები... პირიქით, შენი როგორც უმთავრესად მოაზროვნე და შეგნებული ადამიანის, ტალანტი და ფანტაზია იქცა ჰკუად, რომელიც გაცოცხლებული და გამთბარია. ასე ეთქვათ, გაგულითადებულია ჰუმანური მიმართულებით, არა ჩანერგილითა და არა წიგნებში ამოკითხულით, არამედ შენი ბუნების ღამახასიათებელი მემართულებით. შენ საშინლად ბევრი ჰკუა გაქვს, იმდენად ბევრი, რომ არც კი ვიცი, რატომ უნდა ჰქონდეს ერთ ადამიანს ამდენი

ქუა; შენ ტალანტიც და ფანტაზიაც ბევრი გაქვს, მაგრამ არა ის სუფთა და დამოუკიდებელი ტალანტი, რომელიც ყველაფერს თვითონ ჰქმნის და ქუას იყენებს როგორც მდაბალ, მისდამი დაქვემდებარებულ საწყისს, — არა, შენი ტალანტი, ეშმაკმა უწყის, სეთივე ბასტარდი ან გერია შენი ბუნების მიმართ, როგორც ქუა მხატვრული ბუნების ადამიანთა მიმართ“ („წერილები“, ტ. III, გვ. 108).

⁴⁴ გვ. 722. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ასეა: „ბოლოს კი“.

⁴⁵ გვ. 722. ამ ადგილის ავტობიოგრაფიული ხასიათი აშკარაა. შდრ. ბელინსკის წერილი ძმის — კონსტანტინესადმი 1840 წლის 9 აპრილს თარიღით („წერილები“, ტ. II, გვ. 98 — 99).

⁴⁶ გვ. 723. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ასეა: „მიიღოს ისინი თავის სახლში“.

⁴⁷ გვ. 726. ნაცვლად სიტყვისა „ეს“, „სოვრემენნიკის“ ტექსტში დაბეჭდილია: „ყველაფერი, რაც ახლა ითქვა“.

⁴⁸ გვ. 728. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ასეა: „და სევდიანი“.

⁴⁹ გვ. 729. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ნაცვლად სიტყვისა „მათში“, დაბეჭდილია: „ახუთ ადამიანებში“.

⁵⁰ გვ. 732. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ეს სიტყვა დაბეჭდილია ოდნავ სხვაანირად, რაც აზრს არ სცვლის.

⁵¹ გვ. 735. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ასეა: „სიმპათიისადმი მოთხოვნილება“.

⁵² გვ. 735. ნაცვლად სიტყვისა „უმაღურნი“, „სოვრემენნიკის“ ტექსტში დაბეჭდილია: „არაკეთილშობილნი“.

⁵³ გვ. 740. ფრაზა: „რაც უფრო უახლოვდება პოეტების საყვარელ იდეალს, მით უფრო ხანმოკლეა ის“, „სოვრემენნიკის“ ტექსტში ასე იკითხება: „რაც უფრო უახლოვდება ის პოეტების საყვარელ იდეალს, მით უფრო ხანმოკლეა“.

⁵⁴ გვ. 740. ნაცვლად სიტყვებისა: „სიცოცხლის მაისი მხოლოდ ერთხელ ჰყვავის“. „სოვრემენნიკის“ ტექსტში დაბეჭდილია: „ჩემი სიცოცხლის ყვავილი მხოლოდ ერთხელ ჰყვავის“.

⁵⁵ გვ. 740. ფრაზილებში ჩასმული ტექსტი „სოვრემენნიკში“ შეცვლილია სიტყვებით: „გრძნობდა არავითარ გატაცებას“.

⁵⁶ გვ. 741. ფრაზილებში ჩასმული ტექსტი „სოვრემენნიკში“ შეცვლილია სიტყვებით: „ქეშმარიტი ვნებისას“.

⁵⁷ გვ. 742. „სოვრემენნიკის“ ტექსტში ასეა: „და უმაღურია“.

⁵⁸ გვ. 742. ნაცვლად სიტყვისა „გააშეშა“, „სოვრემენნიკის“ ტექსტში მოტეხულია ოდნავ სხვა რედაქცია.

⁵⁹ გვ. 745. ნაცვლად სიტყვებისა: „ხოლო რასაც“, „სოვრემენნიკის“ ტექსტში არის: „და რასაც“.

⁶⁰ გვ. 749. „სოვრემენნიკის“ ტექსტში სიტყვა „მთავარი“ არ არის.

⁶¹ გვ. 749. „სოვრემენნიკის“ ტექსტში სიტყვას — „რეზონორის“, აქვს ტექსტქვეშ ჩატანილი შენიშვნა: „ბ-ნ გონჩაროვის რომანი ამ დღეებში ცალკე გამოვიდა ორ ძალიან ლამაზ ტომად. იყიდება „სოვრემენნიკის“ კონტორაში, ფასი 1 მან. და 60 კაპ., გადაზღავენით: 2 მან. ვერცხლით“.

ბელინსკიმ მყისვე გაიგო „ჩვეულებრივი ისტორიის“ ჭეშმარიტი აზრი და ბრწყინვალედ გაარკვია ამ ნაწარმოების მთელი ღრმა მნიშვნელობა, იმიტომ რომ თვითონ მან თავის მეგობრებთან ერთად 30-იან წლებში განიცადა რომანტიზმისა და მეოცნებობის ხანგრძლივი პერიოდი და 40-იან წლებში ყოველივე ამის ნაშთებს ხელაღდა სლავიანოფილებში. სწორედ იმიტომ იგი თავის ზტატიაში ასეთი გააფთრებით თავს დაატყდა კიდევ ახალგაზრდა ადუეეს, რომლის სახითაც სასტიკი ლახვარი ჩასცა თავის ყოფილ რომანტიზმს და თანამედროვე რომანტიკოსებს — სლავიანოფილებს. იგი სინანულსაც კი გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ავტორმა მოთხრობის დასასრულს ახალგაზრდა ადუევი არ აქცია სლავიანოფილად, ვინაიდან „მაშინ გმირი საეხებით თანამედროვე რომანტიკოსი იქნებოდა, და არავის აზრად არ მოუვიდოდა, რომ ამგვარი აღამიანები ალა უკვე აღარ არსებობენ“. სტატიაში „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“ ი. ა. გონჩაროვმა სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ მისი „ზრამისთვის“ არ გამოჩნდა ისეთი „მახვილი კრიტიკული განმმარტებელი, როგორც იყო ბელინსკი „ჩვეულებრივი ისტორიისათვის“ და დობროლიუბოვი „ობლოკოვისათვის“ (ი. ა. გონჩაროვის თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, ა. ფ. შარქის გამოცემა, სპბ. 1899, გვ. 36).

⁶² გვ. 754. ბელინსკიმ სათანადოდ ვერ გაარკვია ი. ს. ტურგენევის ტალანტის ვერც მოცულობა და ვერც ჭეშმარიტი ხასიათი, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მისი სალიტერატურო მოღვაწეობის განვითარებას. მან დაუმსახურებლად შეაქო ი. ს. ტურგენევის პირველი ლექსები (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, № 722, შენიშვნა 111; ტ. IX, № 832; ტ. XIII, შენიშვნა 322). ი. ს. ტურგენევის პროზას, გარდა „ხორი და კალინიჩისა“, ბელინსკი საკმაოდ გულცივად მოეკიდა, მაგრამ „ხორი და კალინიჩშიც“, მისი აზრით, ი. ს. ტურგენევი ვერ გამოავლინა წმინდა შექმედების ტალანტი და „ხასიათების შექმნის“ უნარი. მან ი. ს. ტურგენევის ტალანტის ჭეშმარიტ სფეროდ აღიარა „ფიზიოლოგიური ნარკვევები“ და იგი ამ მხრივ შეადარა ვ. ი. დალს. პ. ვ. ანენკოვისათვის გაგზავნილ 1848 წლის 15 თებერვლის წერილში ბელინსკიმ კიდევ უფრო მკაცრად შეაფასა ი. ს. ტურგენევის პროზა. იგი ამ წერილში სწერდა: „რატომ ასე აქეთ თქვენ, მშობილო, ტურგენევის „Леденянь“? ეს მისი ერთ-ერთი ყველაზე ჩვეულებრივი მოთხრობაა, ხოლო თქვენგან შექმნის შემდეგ იგი მე ნაკმაოდ სუსტიც კი მეჩვენა. ცენზურამ იქიდან არ ამოშალა არც ერთი სიტყვა, იმიტომ რომ ამოსაშლელი ნამდვილად არაფე-

რია. „ჟოლოს წყალი“ არც თუ ძალიან მომეწონა, იმიტომ რომ სრულ-ებით ვერ გავუგე სლუბუშკას. „სამაზრო მკურნალში“ ვერ გავიგე ვერც ერთი სიტყვა, იმიტომაც მის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ჩემი ცოლი კი ასე აღტაცებულია ამ მოთხრობით — დედაკაცური საქმეა! ივანე სერგის-ძეც ხომ გვარიანი დედაკაცია! ყველა დანარჩენ მოთხრობაში ბევრი რამ არის კარგი, მაგრამ საერთოდ ისინი მე წინანდელ მოთხრობებზე სუსტი მეჩვენა. სხვებზე მეტად მომეწონა „უემური“ და „სიკედილი“. კარგად არის წარმოდგენილი ტატიანა ბორისის ასულის ფიგურა, ცუდი არაა ჩაბერებული ქალი, მაგრამ ძმისწული სულაც არ მომეწონა, როგორც ანდრიუშას და კირიუშას ასლი, რომელიც მათ არა ჰგავს. შეაკავეთ ეს საყვარელი ბაღი ხმაბაძევითი პოეზიისაგან — Рrрrракалиооn! Че-о-оK! ჯერჯერობით ეს არაფერია, მაგრამ ვფიქრობ, რომ მან არ გადაამ-ლწონს, როგორც ის აპარბებს ხოლმე ორიოლური კილოს სიტყვათა ხმარე-ბაში, როდესაც თვითნებურად ხმარობს კიდევ სიტყვას *зеленя*, რომე-ლიც ისევე უაზროა, როგორც *лесяня* და *хлебеня*, ნაცვლად სიტყვებო-სა: „лес“ და „хлсн“ („წერილები“, ტ. III, სპბ. 1914, გვ. 337 და 338).

¹⁰³ გვ. 755. დ. ვ. გრიგოროვიჩზე ბელინსკიმ პირველად აზრი გამოსთქ-ვა 1845 წელს რეცენზიაში „პეტერბურგის ფიზიოლოგიის“ პირველი ნაწილის შესახებ, რომელსაც მაშინ უწოდა „პეტერბურგელ მეარდნეთა“ „წარმტაცი და ნარნარი სურათი, დახატული ნიქიერი მხატვრის ფანქრით“ (ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, გვ. 369; ტ. XIII. შენიშვნა 425). „ბეჩავე ანტონის“ წაკითხვამ ბელინსკის „სეველიანი და მნიშვნელოვანი აზრები“ აღუძრა. ვ. პ. ბოტკინისათვის გაგზავნილ 1847 წ. 5 ნომბრის წერილში იგი სწერდა: „ალბათ. შენ უკვე მიიღე „სოვრე-მენნიკის“ 11-ე ნომერი. იქ არის გრიგოროვიჩის მოთხრობა, რომელმაც დამტანჯა: როცა მას ვკითხულობდი, მუდამ ვფიქრობდი, რომ ეგზეკუ-ციებს ვესწრები-თქო. საშინელია! აი. დახე: უგვანო ბრიყვია, მაგრამ ტა-ლანტია! ცენზურამ კინლამ ამოაგდო. ბოლო გადაკეთებულა — ამოგდე-ბულია დარბევს სცენა, რომელშიც ანტონი მონაწილეობს“ („წერილე-ბი“, ტ. III, გვ. 287). იმავე ვ. პ. ბოტკინისათვის გაგზავნილ 1847 წლის დეკემბრის წერილში ვკითხულობთ: „ანტონში“ მე ვერ შევამჩნიე გა-ქიანურებული ადგილები, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ვტკბებოდი ასეთი ად-გილებით. როგორც ღმერთების ამბროზიით... ღმერთო ჩემო! რაიგად არის შესწავლილი მდაბიო რუსი ხალხი ბაზრობის წერილმანებამდე ვრცელ აღწერებში დახე, ხომ მტკნარი სულელა, ყოველ შემთხვევაში საშინელი ქარაფშუტაა, მაგრამ ტალანტია და მერე როგორი! მაგრამ „ანტონს“ მეტად აღარ წავიკითხავე, თუმცა ყოველთვის რამდენიმეჯერ ვკითხულობ ხოლმე ყოველ რუსულ მოთხრობას. რომელიც კი მომწონს. არც ერთ რუსულ მოთხრობას არ მოუხდენია ჩემზე ასეთი შემზარავი. მტანჯველი, მწვავე. სულშემბუთავი შთაბეჭდილება: როცა მას ვკითხუ-

ლობდი. მეგონა, რომ თავლაში ვარ, სადაც კეთილგანმზრახი მემამულე წიკლაეს და აწამებს მთელ შინაყმობას — თავის კეთილშობილ წინაპართა კანონიერ მემკვიდრეობას“ („წერილები“, ტ. III, გვ. 324 — 325). ბელინსკი შეადრწუნა „ბეჩავი ანტონის“ შინაარსმა, მაგრამ მხატვრულად იგი ამ მოთხრობას არც თუ ძალა აყენებდა. დ. ვ. გრიგოროვიჩის გააფთრებულ „მძრახველთა“ შორის იყვნენ სლავიანოფილები (იხ. ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, გვ. 28 — 29).

⁶⁴ გვ. 755. ნაცვლად სიტყვებისა: „იმდენად ბევრი თავისებურებაა“, „სოვრემენიკის“ ტექსტში დაბეჭდილია: „იმდენად ბევრი ნიჭია და ნიჭში იმდენად ბევრი თავისებურებაა“.

⁶⁵ გვ. 755. ბელინსკი „პოლინკა საქის“ ჯერ კიდევ ხელნაწერში გაეცნო და მის შესახებ თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა ვ. პ. ბოტკინს 1847 წლის დეკემბრის წერილში. ბელინსკის ყურადღებას არ გამოეპარა „პოლინკა საქის“ მსგავსება უორე ზანდის „ეკთან“, მაგრამ მას ამისთვის მნიშვნელობა არ მიუცია. მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ დრუჟინინმა თავის მოთხრობაში გაბედულად გადასჭრა სიყვარულის თავისუფლების საკითხი უორე ზანდის სულისკვეთებით და აღძრა ბატონყმობის საკითხი, რომელიც დიდად აღელვებდა ბელინსკის. თავისი მოთხრობის ამ მხარეებით მოხიბლა კიდევ დრუჟინინმა კრიტიკოსი. „ალექსი დიმიტრის-ძის ნაამბობმა“ ალტაცებაში მოიყვანა ბელინსკი. ამის შესახებ იგი 1847 წლის 16 თებერვალს პ. ვ. ანენკოვს სწერდა: „რა ჩინებული ახალი მოთხრობა დასწერა დრუჟინინმა — სასწაულია! 30 წელი გავიდა „პოლინა საქის“ შემდეგ! იგი ქალებისათვის იგივე იქნება, რაც გერცენი მამაკაცათვის“ („წერილები“, ტ. III, გვ. 338). ბელინსკის წინასწარმეტყველება არ გამართლდა. დრუჟინინის ყველა შემდგომი ნაწარმოები სუსტი იყო, და როგორც ბელეტრისტმა, მან ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში უმნიშვნელო ადგილი დაიკავა.

⁶⁶ გვ. 755. უეჭველია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, მძიმე ავადმყოფობასთან დაკავშირებით, ბელინსკი განიცდიდა ისეთ მომენტებს, როდესაც მას ჰღალატობდა ესთეტიკური შორსმჭვრეტელობა. მხოლოდ ერთ-ერთ ასეთ მომენტში შეეძლო მას ვ. ი. დალის საშუალო მოთხრობის გმირები „გენიალურ ქმნილებებად“ მიეჩნია. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ამ სტატიას ბელინსკი უკვე კი აღარ სწერდა, არამედ ლოგინად ჩაეარღნილო უკარანახებდა.

⁶⁷ გვ. 756. რომან „თავგადასაგაღზე“ ბელინსკი ლაპარაკობდა სტატიაში: „1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“.

⁶⁸ გვ. 759. ა. ნესტროევის ფსევდონიმით და ასოებით ა. ნ. თავის ბელეტრისტიკულ ნაწარმოებთ ბეჭდავდა პ. ნ. კულდრიავცევი.

⁶⁹ გვ. 759. ფსევდონიმით „ას-ერთი“ სწერდა ა. დ. გალახოვი. მოთხ-

რობა „კირიუმას“ ავტორია პ. ვ. ანენკოვი. — „ჯადოსნობის“ შესახებ, რაც ნახსენებია ქვემოთ, იხ. ზევით, მე-3 შენიშვნა.

⁷⁰ გვ. 761. პ. ვ. ანენკოვისათვის 1848 წლის 15 თებერვალს გაგზავნილ წერილში ბელინსკიმ კიდევ უფრო მკაცრი აზრი გამოსთქვა თ. მ. დოსტოევსკისა და მისი მოთხოვნა „ღიასახლისის“ შესახებ (იხ. შენიშვნა № 70 900 — 902 გვერდზე).

⁷¹ გვ. 764. ლიტერებით ტ. ჩ. და ა. ტემრიზოვას ფსევდონიმით სხვადასხვა უფრნალებში თავის ლექსებს, ამბებს, მოთხრობებსა და რომანებს ბექდავდა ანასტასია იაკობის ასული მარჩენკო (1830 — 1880).

⁷² გვ. 764. რომანზე — „ლუკრეცია ფლორიანი“, რომელიც „სოვრემენნიკისათვის“ სთარგმნა ა. ი. კრონებერგმა, ლაპარაკი იყო იმავე ა. ი. კრონებერგის სტატიაში: „უორე ზანდის უკანასკნელი რომანები“. — დიკენსის რომან „დომბი და შვილის“ შესახებ აზრის ვრცლად გამოთქმაში ბელინსკის ხელი შეუშალა მძიმე ავადმყოფობამ. მან მხოლოდ მოკლედ გამოსთქვა თავისი აზრი ამ რომანზე ბოტკინისათვის გაგზავნილ 1847 წლის დეკემბრის წერილში, რომელშიაც სწერდა: „კითხულობ თუ არა შენ „დომბი და შვილს“? ეს რაღაც შესაზარი, საშინლად მშვენიერი რამ არის! მე არც კი ვფიქრობდი, რომ მკვეთრად, ტლანქად და სწორად დახატული ტიპებიან გამოსაგონებლად ასეთი მდიდარი ფანტაზია ექნებოდა არა თუ დიკენსს, არამედ საერთოდ ადამიანს. მან ბევრი მშვენიერი რამ დასწერა, მაგრამ ყოველივე ეს მის უკანასკნელ რომანთან შედარებით უფერული. სუბტი და სრულიად უმნიშვნელოა. ახლა ჩემთვის დიკენსი სრულიად ახალი მწერალია, რომელსაც წინათ არ ვიცნობდი. რატომ არის ის ასე ნაკლებად პირადული, ასე ნაკლებად სუბიექტური, ასე ნაკლებად ადამიანი — და ასე ბევრად ინგლისელი! რატომ დგას იგი უფრო ახლოს ვალტერ-სკოტთან, ვიდრე ბაირონთან! რატომ არა აქვს მას თუნდაც იმდენი შეგნებული სიჰაითები და ნისწრაფებანი, რამდენიც Eugène Sue-ს აქვს! იგი უამისოდაც ისე განუზომლად მალა დგას ამ დაქირავებულ მკლამნელთან შედარებით, რომელიც სტრიქონში ამდენ და ამდენ სუს იღებს, რომ მათი შედარებაც კი სსააცილოა: რა იქნებოდა მაშინ?“ („წერილები“. ტ. III, გვ. 325).

⁷³ გვ. 764. ბელინსკი შემცდარა: „სოვრემენნიკში“ სტატიას „მსახიობის დღიურიდან“, აქვს ხელის მოწერა: „- - - ზ.“ სტატიის ავტორია მ. ს. შჩებკინი. — ასო ლ-ს აქ ეფარება ნ. ა. მელგუნოვი, ბელინსკის მეგობარი ჯერ კიდევ ნ. ვ. სტანკევიჩის წრეში. ორივე სტატია ავტორებმა ბელინსკის გადასცეს მისი „ლევიაფანისათვის“.

⁷⁴ გვ. 765. „წერილები Avenue Marigny-დან“, რომლებზეც აქ ლაპარაკია, ა. ი. გერცენმა საზღვარგარეთიდან გამოგზავნა და დაიბეჭდა „სოვრემენნიკის“ 1847 წლის მე-10 და მე-11 წიგნებში. ეს „წერილები“ იწერებოდა 1847 წლის ივლის-სექტემბერში ბელინსკის თვალწინ, როდესაც

იგი საზღვარგარეთ იყო, და იგი იყო მოწმე და მონაწილე იმ დავისა, რაც ა. ი. გერცენსა, პ. ვ. ანენკოვსა, მ. ა. ბაკუნინსა და ნ. ი. საზონოვს შორის სწარმოებდა ამ წერილებში ბურჟუაზიაზე გამოთქმულ შეხედულებათა გამო. ა. ი. გერცენის ზოგიერთი მეგობარი, როდესაც მისი „წერილები“ პრესაში წაიკითხეს, უკმაყოფილო დარჩა ამ წერილებით. მაგალითად, ტ. ნ. გრანოვსკი ამ წერილების შესახებ ნ. გ. ფროლოვს 1847 წლის 7 ნოემბერს სწერდა: «„წერილები Avenue Marigny-დან“ არ მომწონს, თუმცა აქა-იქ ძალიან კვიიანურია. მათში მეტისმეტად ბევრია ფუქსავატური რუსული ზერელობა. ასე სწერენ ფრანგები რუსეთზე» (ა. ი. გერცენი, თხზულებათა და წერილების სრული კრებული, მ. კ. ლემკეს რედაქციით, ტ. V, პეტროგრადი, 1915, გვ. 508). ბელინსკიმ კარგად იცოდა თავისი მეგობრების აზრი „წერილებზე“ და არ ეთანხმებოდა ამ აზრს. მაგრამ მეგობრებთან პრესაში აშკარა პოლემიკის გამართვა და „წერილების“ თავისი გაგების გამოთქმა ბელინსკის ირ შეეძლო, რადგან მას ჩინებულად ესმოდა, რომ მეფის ცენზურა ამ პოლემიკას ნებას არ დართავდა, და, გარდა ამისა, მტრული ორგანოები ამ პოლემიკას დაუყოვნებლივ განმარტავდნენ როგორც განხეთქილებას ზაპადნიცებს შორის. მას ძალაუვნებურად მოუხდა დაკმაყოფილებულიყო პოლემიკით მხოლოდ ვ. პ. ბოტკინისათვის გაგზავნილ 1847 წლის დეკემბრის წერილში და მოკლედ გამოეთქვა აზრი პ. ვ. ანენკოვისათვის გაგზავნილ 1848 წლის 15 თებერვლის წერილში („წერილები“, ტ. III, გვ. 325 — 332 და 338 — 339).

76 გვ. 768. ბელინსკი ნართაულად ლაპარაკობს თავისი ავადმყოფობისა და საზღვარგარეთ მგზავრობის შესახებ, რის შედეგად „სოვრემენიკი“ „არც თუ საყსებით შეესაბამებოდა საზოგადოების მოლოდინს კრიტიკის დარგში“. „სოვრემენიკის“ ნაკლოვანებებზე ბელინსკი მეტად დაწვრილებით შეჩერდა ვ. პ. ბოტკინისათვის გაგზავნილ 1847 წლის 4 — 8 ნოემბრის წერილში. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ბელინსკიმ მხურვალედ მოჰკიდა ხელი „სოვრემენიკის“ გაუმჯობესებას. მან გაითვალისწინა მთელი რიგი პირები, რომელთა მონაწილეობას ეურნალში სასარგებლოდ სთვლიდა. კრიტიკის განყოფილებაში მოსათავსებლად მან მოხაზა სტატიების თემები მთელი 1848 წლისთვის. „თუ ყველაფერი ეს, — დასძენდა იგი იმავე წერილში ვ. პ. ბოტკინისადმი, — მოგვარდებოდა და ჩემი ჯანმრთელობა საშუალებას მომცემდა საქმეს მივძალგებოდი, კარგი იქნებოდა. პირველ წიგნში იქნება ჩემი დიდი სტატია—„1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“. მინდა გავარჩიო „ვინ არის დამნაშავე?“ და „ჩვეულებრივი ისტორია“. ეს ორი ნაწარმოები საშუალებას იძლევა ვილაპარაკო ბევრ ისეთ რამეზე, რაც რუსული საზოგადოებისათვის საინტერესო და სასარგებლოა, რადგან მასთან ახლოსაა. მეორე ნომერში — ლერმონტოვის შესახებ; მისი ახალი გამოცემაც ხომ გამოვიდა. შემდეგ — ლომონოსოვზე, დერჟავინზე და სმირდინის მიერ ახლა გამოცემულ სხვა რუს-

ჰწერებზე. ხოლო მერამე—სექტემბრის წიგნიდან — გოგოლზე. ამრიგად. „სოვრემენიკი“ გახდება უმთავრესად კრიტიკული ჟურნალი, ოღონდ კი ჩემმა ჯანმა საშუალება მომცეს, და ამ მხრივ „სოვრემენიკს“ მოვაპოვე-ბინებ უდიდეს უპირატესობას „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ მიმართ („წერილები“, ტ. III, გვ. 269 — 270 და 272). გარდა „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვისა“, რომელშიც შევიდა „ვინ არის დამნაშავეის?“ და „ჩვეულებრივი ისტორიის“ განხილვა, დანარჩენი განზრახული სტატიები არ დაწერილა, რადგან 1848 წლის მაისში (ძველი სტილით) ბელინსკი უკვე აღარ იყო ცოცხალი.

⁷¹ გვ. 770. ეს იყო ნიკოლოზ ივანეს-ძე ნადეჟდინი.

გვ. 771. ლაპარაკია თვით ბელინსკის შესახებ

⁷² გვ. 772. ესე იგი ვ. კ. ტრედიაკოვსკის.

რეცენზია ა. ფ. პოსტელსის „დეღამიწის სურათის“ შესახებ

¹ გვ. 775. პირველად დაიბეჭდა „სოვრემენიკში“, 1847, ტ II, № 3 (ენწურამ ნება დართო 28/II), განყ. III, გვ. 85 — 86. წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ეს პირველნაბეჭდი ტექსტი.

² გვ. 775. ალექსანდრე ფილიპეს-ძე იაზენსკი — რუსი პედაგოგი, რომელმაც თავის დროზე სახელი გაითქვა ევროპაში სწავლების თავისი მწე-მონიკური მეთოდით.

რეცენზია ვ. ვ. ბრიგოლინის წიგნზე „ებრაელთა სკაბები რუსეთში“

¹ გვ. 777. ეს რეცენზია პირველად დაიბეჭდა „სოვრემენიკში“, 1847, ტ. II, № 4 (ენწურამ ნება დართო 31/III), განყ. III, გვ. 123 — 125. რეცენზია ხელმოუწერელია. კრიტიკოსისადმი მისი კუთვნილება გამოარკვეია პროფ. ა. მ. პუტინცევმა. ამ უკანასკნელმა იგი დაბეჭდა ჟურნალში „ნასტუპლენიე“ (1935, № 10). რომელშიც მოიყვანა ბელინსკის ავტორობის დამაშტკიცებელი საბუთები. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება „სოვრემენიკის“ ტექსტი.

² გვ. 778. ამ აბზაცის უკანასკნელი სამი სტრიქონი ჟურნალის ტექსტში დამახინჯებულია და იქ ასე იკითხება: „სძლევდა მათ ცურწმენა, რომელიც წინაპრებმა უანდერძეს და ბოროტმა ჩვეულებამ დაამკვიდრა, თუ როგორ ეცემა, როგორ უზრუნველყოფილია ჩლუნგი. დრომოქმული რწმენის ბატონობით“...

წერილი ვ. პ. ბოტკინს 1847 წლის 17 თებერვლის თარიღით

¹ გვ. 781. ამ წერილის ადგილები შევიდა ა. ნ. პიპინის შრომაში („ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“, სპბ. 1876). ა. ნ. პიპინმა წერილი მიიღო ვ. პ. კრილოვისაგან. პირველად მთლიანად ა. ნ. პიპინის კრებულის ტექსტის მიხედვით დაიბეჭდა 1914 წელს გამოსულ „წერილებში“ (ტ. III, გვ. 171 — 177). წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება ამ წერილის ნაწყვეტი „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ ტექსტის მიხედვით (იხ. წინამდებარე გამოცემაში შენიშვნა 1-ლი დ. პ. ივანოვისათვის გაგზავნილ 1837 წლის 7 აგვისტოს წერილისადმი).

² გვ. 782. თარგმანი: „ღვთაებრივი მეცნიერება“.

³ გვ. 785. თარგმანი: „შელინგის ახალი ნაწარმოებნი“.

⁴ გვ. 785. თარგმანი: „ჰკუჰასუსტი“.

წერილი ვ. პ. ბოტკინს 1847 წლის 7/19 ივლისის თარიღით

¹ გვ. 786. ეს წერილი ა. ნ. პიპინმა მიიღო ვ. პ. კრილოვისაგან. წერილის ადგილები შევიდა ა. ნ. პიპინის შრომაში („ბელინსკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“, სპბ. 1876). 1914 წელს გამოსულ „წერილებში“ იგი პირველად დაიბეჭდა მთლიანად ა. ნ. პიპინის კრებულის ტექსტის მიხედვით (ტ. III, გვ. 243 — 246). წინამდებარე გამოცემაში მთლიანად იბეჭდება „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ ტექსტის მიხედვით (იხ. წინამდებარე გამოცემაში შენიშვნა 1-ლი დ. პ. ივანოვისათვის გაგზავნილ 1837 წლის 7 აგვისტოს წერილისადმი).

² გვ. 787. შემდეგ მრავალწერტილით აღნიშნულია სამი ისეთი სიტყვის გამოტოვება, რომლებიც საჯაროდ არ იხმარება.

³ გვ. 788. თარგმანი: „სრულყოფის უმაღლესი იდეალი“.

⁴ გვ. 789. ამ „ქურდების ბრბოზე“ ა. ვ. ნიკიტენკოს „ჩანაწერებსა და დღიურში“ ვკითხულობთ: „უდიდესი თანხა მოიპარეს სარეზერვო კორპუსის უფროსებმა (გენერლებმა და პოლკოვნიკებმა). მათ თავად ვორონცოვთან უნდა ჩაეყვანათ ჩვიდმეტი ათასი ახალწვეული და ჩაიყვანეს ისინი უტანსაცმლოდ და უპუროდ, შიშველ-ტიტველნი და მშიერნი, ასე რომ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი მივიდა დანიშნულების ადგილზე, დანარჩენები კი დაიხოცნენ. გენერალი ტრიშატნი, კორპუსისა და ამ საქმეთა მთავარი უფროსი, მათ გამოსარკვევად გაგზავნეს და მან შემოთვალა: ყველაფერი რიგზეა, ახალწვეულნი ბედნიერად ცხოვრობენ... გაგზავნეს სხვა გამოძიებელი. გამოირკვა, რომ ტრიშატნი იპარავდა. იპარავდნენ აგრეთვე მისი ხელქვეითი გენერლები და პოლკოვნიკები...“ (ა. ვ. ნიკიტენკო, ჩანაწერები და დღიური, გამოცემა მე-2, ტ. I, სპბ. 1905, გვ. 369 — 370).

⁸ გვ. 789. ტექსტ, ჟან-ბატისტი (1780 — 1852) — საფრანგეთის საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი, ხოლო შემდეგ საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე. იგი სამართალში მისცეს და დასაჯეს მექრთამეობისათვის.

⁹ გვ. 789. თარგმანი: „ჰოი, დროებაჲ! ჰოი, ზნეობაჲ!“

⁷ გვ. 789. ლუი ბლანის წიგნი „საფრანგეთის რევოლუციის ისტორია“. რომლის გამოსვლა 1847 წელს დაიწყო.

⁸ გვ. 789. „ახლა ლამარტინისკას ვკითხულობ“, ესე იგი ლამარტინის რეკომიან შრომას: „ეტირონდისტების ისტორია“, რომელიც 1847 წელს გამოვიდა.

⁹ გვ. 790. წერილის პირში კრიტიკოსის ინიციალებს ა. ნ. პიპინმა ტექსტქვეშ გაუკეთა ასეთი შენიშვნა: „ამას მოსდევს ანენკოვის ხელით მინაწერის დასაწყისი: „იმავე პირებს ჩათვლით და სხვ. და სხვ. ვთხოვთ ჩემგან, ჩემო დიდად პატივცემულო ვასილ პეტრეს-ძევ. გადასცეთ...“ შემდეგი ფურცელი აკლია“.

წერილი ვ. პ. ბოტკინს 1847 წლის დეკემბრის თარიღით

¹ გვ. 790. ეს წერილი ა. ნ. პიპინმა მიიღო ვ. ა. კრილოვისაგან და მისი ადგილები მოათავსა თავის შრომაში: „ბელისკი, მისი ცხოვრება და მიწერ-მოწერა“ (სპბ. 1876; გამოცემა მე-2, სპბ. 1908). პირველად ა. ნ. პიპინის კრებულის ტექსტის მიხედვით მთლიანად დაიბეჭდა 1914 წელს გამოცემულ „წერილებში“ (ტ. III, გვ. 321 — 333). წინამდებარე გამოცემაში აბეჭდება ამ წერილის ორი ნაწყვეტი „წერილების“ „საკორექტურო ეგზემპლარის“ მიხედვით (იხ. წინამდებარე გამოცემაში შენიშვნა 1-ლი დ. პ. ივანოვისათვის გაგზავნილ 1837 წლის 7 აგვისტოს წერილისადმი).

² გვ. 791. ლაპარაკია ა. ი. გერცენის „წერილებზე Avenue Marigny-დან“, რომლებიც დაიბეჭდა „სოვრემენისკის“ 1847 წლის მე-10 და მე-11 წიგნებში. გარდა ამ ბარათისა, ბილინსკი ა. ი. გერცენის ამ „წერილებზე“ სწერდა სტატიაშიც: „1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა“, რომელიც მოთავსებულია წინამდებარე გამოცემაში.

³ გვ. 792. როზმონ დე ბოპენ ბოვალონი — ფრანგი ეურნალისტი, რომელმაც 1845 წელს ჟურნალში მოჰკლა მეორე ეურნალისტი — დიუჟარიე. ძალე გამომჟღავნდა, რომ ეს ჟურნალი ბოვალონისა და მისი სეკუნდანტის მიერ მოწყობილი შენიღბული მკვლელობა იყო სასამართლომ ბოვალონს 8, ხოლო მის სეკუნდანტს 10 წლის კატორღა მიუსაჯა.

⁴ გვ. 793. ნაგულისხმევი იყო პ. ვ. ანენკოვის „წერილები პარიზიდან“, რომლებიც „სოვრემენისკიში“ იბეჭდებოდა (1847, ტ. I, ნარევი, გვ. 34 და 142; ტ. II, ნარევი, გვ. 38 და 149; ტ. III, გვ. 74 და 232; ტ.

VI, ნარევი, გვ. 92 და 159; 1848, ტ. VII, ნარევი, გვ. 37). მეექვსე „წერილში პარიზიდან“ პ. ვ. ანენკოვი სწერდა ფელოქს პიას დრამაზე — „მეძონძე“, რომელზეც ბელნსკი ზემოთ ლაპარაკობს.

⁵ გვ. 793. ნ. თ. პავლოვის მეოთხე წერილი გოგოლისადმი დაიბეჭდა „სოვრემენნიკის“ 1847 წლის მერვე წიგნში, ხოლო პირველი და მეორე წერილი — მეხუთე წიგნში.

⁶ გვ. 793. თარგმანი: „სავსებით, ბოლომდე“.

⁷ გვ. 794. თარგმანი: „მუშა“.

⁸ გვ. 794. თარგმანი: „მოიკოკლებენ“.

⁹ გვ. 794. მიშელი — მიხეილ ალექსანდრეს-ძე ბაკუნინი.

¹⁰ გვ. 795. თარგმანი: „წოდებრივი სული“.

¹¹ გვ. 795. თარგმანი: „დამფუძნებელი კრება“.

წერილი ნ. ვ. გობოლს 1847 წლის 15 ივლისის თარიღით

¹ გვ. 798. ის ამბავი, რომ პრესაში გამოქვეყნდა „რჩეული ადგილები მეგობრებთან მიწერ-მოწერიდან“, ბელნსკისათვის სრული შოულოვნელობა არ იყო. ნახევარი წლით ადრე გოგოლმა „სოვრემენნიკში“, „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ და „მოსკვიტიანინში“ მოათავსა სტატია „ოდიხეას“ შესახებ, რომელიც შემდეგ ცალკე თავად შევიდა „რჩეულ ადგილებში მეგობრებთან მიწერ-მოწერიდან“. როგორც ბელნსკი ამტკიცებდა, ამ სტატიამ თავისი პარადოქსალობითა და „მეტად მაღალფარდოვანი პრეტენზიებით წინასწარმეტყველური ტონისადმი“, გული ატკინა „გოგოლის ყველა მეგობარს, მისი ტალანტის ყველა თაყვანისმცემელს და გაახარა მისი ყველა მტერი“ (იხ. ბ. გ. ბელნსკის თხზულებათა სრული კრებული, ს. ა. ვენგეროვის რედაქციით, ტ. X. გვ. 428 — 429). ამ სტატიის შემდეგ გოგოლმა მეორე გამოცემით გამოაქვეყნა „მკვდარი სულეზი“ წინასიტყვაობით, რომელმაც ბელნსკის აღუძრა „ამდელი შიში ავტორის სახელისათვის მომავალში... „რევიზორისა“ და „მკვდარი სულეზის“ შემოქმედისათვის“ (იქვე, გვ. 429). ამ მეორე გამოცემის შესახებ დაწერილ რეცენზიაში „მკვდარი სულეზის“ მნიშვნელოვან ნაკლოვანებათა რიცხვს ბელნსკიმ მიაკუთვნა პოემის ის ადგილები, სადაც „ავტორი ცდილობს პოეტიდან, მხატვრიდან რაღაც წინასწარმეტყველად იქცეს და რამდენადმე ამპარტაუნულსა და მაღალფარდოვან ლირიზმში ვარდება“. მაგრამ ამ ნაკლს ბელნსკი ურიგდებოდა, რადგან ასეთი ადგილები პოემაში ცოტაა და „მათი გამოტოვება შეიძლება კითხვის დროს ისე, რომ არაფერი დაჰკარგოთ იმ სიამოვნებისაგან, რომელსაც თვით რომანი განიჭებთ“. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ „ეს მისტიკურ-ლირიკული ადგილები „მკვდარ სულეზში“ იყო არა უბრალო, შემთხვე-

ვითი შეცდომები მაჰი ავტორის მხრივ, არამედ რუსული ლიტერატურისათვის მისი ტალანტის, შესაძლებელია, სრული დაკარგვის მარცვალი" (იქვე, გვ. 428).

ამრიგად, ბელინსკი მომზადებული იყო იმისათვის, რომ სათანადოდ შეხვედროდა „ჩრეულ ადგილებს მეგობრებთან მიწერ-მოწერიდან“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ „ადგილების“ გამოქვეყნებამ თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა ბელინსკზე. „ადგილებისადმი“ მიძღვნილ დიდ სტატიაში მან, ცენტრული პირობების გამო, სუსტადაც კი ვერ გამოხატავა ის აღშფოთება და გულისწყრომა, რაც მასში „საძაგელი“ წიგნის გამოსვლამ გამოიწვია. წერილში ვ. პ. ბოტკინისადმი, რომელიც უკმაყოფილო იყო ამ სტატიით, ბელინსკი სწერდა: „მე... იძულებული ვარ ვიმოქმედო ჩემი ბუნების, ჩემი ხასიათის შეუფერებლად. ბუნებამ მე წილად მარგუნა ძალღვივთ ვიყეფო და ტურასავით ვიკვილო, ხოლო ვითარებ: მიკარნახებს კატასავით ვიკნავლო, მელიასავით კული ვაქიცირო. შენ ამბობ, რომ სტატია დაწერილია საკმაოდ მოუფიქრებლად და სახელდახელოდ, მაშინ როდესაც საკმარის იყო საქმისათვის ხელის მოკიდება დიდი სიფრთხილით“. ჩემო მეგობარო, პირიქით, ჩემს სტატიას თავისი ღირსშესანიშნაობით სულაც არ შეეძლო ამ წიგნის მნიშვნელობის (თუმცა უარყოფითი მნიშვნელობის) შესაბამისი ყოფილიყო, რომელზეც ის დაწერილია, სწორედ იმიტომ, რომ მე იგი მოვიფიქრე. რა ნაკლებად მიცნობ მე! ჩემი ყველა საუკეთესო სტატია ოდნავაც არ არის მოფიქრებული, ეს იმპროვიზაციაა; მათ დასაწერად რომ ვჯდებოდი, მე არ ვიცოდი, რას დავწერდი... სტატია გოგოლის საძაგელ წიგნზე შეიძლებოდა შესანიშნავად კარგი გამოსულიყო, მე რომ საშუალება მქონოდა თვალდახუჭულად გადმომეშალა. მასში ჩემი აღშფოთება და გააფთრება... მაგრამ ჩემი სტატია მე მოვიფიქრე, და ამიტომ წინასწარ ვიცოდი, რომ იგი ჩინებული არ იქნებოდა, და მხოლოდ იმას ვცდილობდი, რომ იგი საქმიანი ყოფილიყო და ფლიდის სისაძაგლე ეჩვენებინა. და იგი სწორედ ასეთი გამოვიდა, და არა ისეთი, როგორც შენ ის წაიკითხე. თქვენ სოფელში ცხოვრობთ და არაფერი არ იცით. ამ წიგნის ეფექტი იქნებოდა იყო, რომ ნიკიტენკომ, რომელმაც ის გაუშვა, ამომიშალა წიგნის ამონაწერება. ნაწილი, თანაც იმისთვისაც კანკალებდა, რაც ჩემს სტატიაში დასტოვა. მან და ცენტრებმა ჩემი მთელი მესამედი ამომალეს... შენ მისაყვედურებ, რომ მე გავჯავრდი და ჩემს განრისხებას ვერ მოვეერიე? [მე] ეს არც მინდოდა. შეცდომის შეწყნარება მე კიდევ მესმის და ვაფასებ, ყოველ შემთხვევაში სხვებში მაინც, თუ ჩემში არა, მაგრამ ფლიდობის შეწყნარებას მე ვერ ვითმენ. შენ სრულებით ვერ გაგიგია ეს წიგნი, თუ მასში მხოლოდ შეცდომას ხედავ, მასთან ერთად კი ვერ ხედავ არტისტულად გაანგარიშებულ ფლიდობას. გოგოლი სულაც არ არის კ. ს. აესაკოვი. ეს არის ტალირანი, კარდინალი ფეში, რომელიც მთელ თავის სიცოცხლე-

ში ღმერთს ატყუებდა, სიკვდილის ღროს კი სატანა მოაღორა“ („წერალები“, ტ. III, გვ. 184 — 185).

ბელინსკის სტატიამ ამ სახითაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გოგოლზე, თუმცა ამ უკანასკნელმა ვერც კი გაიგო ის. გოგოლს მოეჩვენა, რომ ბელინსკი მასზე გაწყრა მხოლოდ იმიტომ, რომ თავის თავზე მიიღო კრიტიკასა და ჟურნალისტებზე თავდასხმები, რაც გაბნეული იყო „მიწერ-მოწერაში“. ამის გამო გოგოლი 1847 წლის 20 ივნისს პროკოპოვიჩის სწერდა: „ჩემთვის ძალიან სამწუხაროა ეს გაგულისება... გეთაყვა, მოელაპარაკე ბელინსკის და მომწერე, რა სულიერი განწყობილება აქვს ახლა ჩემს მიმართ. თუ მასში ღვარძლი დაგუბებულა, დე გაღმონათხიოს ის ჩემს წინააღმდეგ „სოვრემენიკში“ ისეთი გამოთქმებით, როგორც მას შოხეასიათება, მაგრამ თავის გულში ნუ ინახავს მას ჩემს წინააღმდეგ. ხოლო თუ მასში უქმყოფილება დაშოშმინდა, მაშინ გადაეცი თანჯართული ბარათი“. პროკოპოვიჩმა ეს „ბარათი“ გადასცა „სოვრემენიკის“ რედაქციას, ხოლო ნ. ა. ნეკრასოვმა იგი გაგზავნა ზალცბრუნს, სადაც მაშინ ბელინსკი იმყოფებოდა. გოგოლი, სხვათა შორის, ბელინსკის სწერდა: „მე მწუხარებით წავიკითხე თქვენი სტატია ჩემს შესახებ „სოვრემენიკის“ მე-2 ნომერში; არა იმიტომ, რომ ჩემთვის სამწუხარო იყო დამტკიცება, რაც გინდოდათ ჩემთვის მოგეყენებინათ ყველას თვალწინ. არამედ იმიტომ, რომ ამ სტატიაში გაისმის ჩემზე გაჯავრებული ადამიანის ხმა. ხოლო მე არ მინდოდა გამეჯავრებინა ისიც კი, ვისაც მე არ ვუყვარვარ, მით უმეტეს თქვენ. რომელზეც მე მუდამ ვფიქრობდი, როგორც ისეთ ადამიანზე, ვისაც მე ვუყვარვარ. მე სრულებით მხედველობაში არ მქონია თქვენი წყენინება ჩემი წიგნის არც ერთ ადგილას. როგორ გამოვიდა, რომ მე გამიჯავრდნენ უკლებლივ ყველანი რუსეთში, — ეს მე ჯერჯერობით კიდეც ვერ გამიგია“.

გოგოლის წერილი რომ გადაიკითხა, ბელინსკი, როგორც პ. ვ. ანენკოვი აღნიშნავს, ანთო და წარმოსთქვა: „ა, მას არ ესმის, თუ რატომ არიან გაჯავრებული მასზე ადამიანები. — ეს უნდა ავუხსნათ მას, — მე მას ვუპასუხებ“. სამი დღის შემდეგ პასუხი მზად იყო. ბელინსკიმ იგი წაუკითხა პ. ვ. ანენკოვს. ეს უკანასკნელი იმ შთაბეჭდილების შესახებ, რაც მასზე ამ პასუხმა მოახდინა, სწერდა: „მე შემაშინა ამ პასუხის ტონმაც და შინაარსმაც. და რა თქმა უნდა, არა ბელინსკის გამო, იმიტომ, რომ ნაცნობებს შორის საზღვარგარეთ მიწერ-მოწერის განსაკუთრებული შედეგების წინასწარ განკვერტა მაშინ ჯერ კიდეც არ შეიძლებოდა. მე შევშინდი გოგოლის გამო. რომელსაც პასუხი უნდა მიეღო, და ნათლად წარმოვიდგინე მისი მდგომარეობა იმ წამს, როცა იგი ამ საშინელი გამართახების წაკითხვას დაიწყებდა. წერილი შეიცავდა მისი აზრებისა და შეხედულებების არა მხოლოდ მარტოოდენ უარყოფას; წერილი ამქვადენებდა გოგოლის მთელი იდეალების. სიკეთესა და პატივზე მთელი მისი

წარმოდგენების. მისი არსებობის მთელი ზნეობრივი საფუძვლები არა-რაობასა და უმსგავსობას, იმ წრის საძაგელ მდგომარეობასთან ერთად, რომლის დამცველადაც იგი გამოვიდა. მე მინდოდა ბელინსკისთვის ამხსნა მისი მგზნებარე სიტყვის მთელი მნიშვნელობა. მაგრამ მან ეს ჩემზე უკეთ იცოდა, როგორც შემდეგ გამოიჩინა. „მან რა ეჭნა? — სთქვა მან. — საჭიროა ყოველი ლონისძიებით ვიხსნათ აღძვირები ცოფიანი კაცი-საგან, თუნდაც ვაცოფებული იყოს თვით პომეროსი. რაც შეეხება გოგოლის შეურაცხყოფას, მე არასოდეს არ შემიძლია ისე შეურაცხვეო იგი, როგორც მან შეურაცხვეო ჩემს სულში და ჩემს რწმენაში მისი დამი“. ა. ი. გერცენი, რომელსაც ბელინსკიმ წაუტოხა თავისი წერილი გოგოლისადმი, პ. ვ. ანენკოვს ეუბნებოდა: „ეს გენიალური რამ არის, ეს, გოგონი. მისი ანდერძიცაა“ (პ. ვ. ანენკოვი, ლიტერატურული მოგონებანი, სპბ. 1909, გვ. 355 — 356). ვ. ი. ლენინი გოგოლისადმი გაგზავნილ ამ წერილს, რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას აჯამებს, სთვლიდა „არაბუნებრივი დემოკრატიული ბექდვითი სიტყვის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად, რომლებმაც დღემდეც კი უღიღესი. უცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნეს“ (ლენინი, თხზ. ტ. XVII, გვ. 341).

ბელინსკიმ ამ წერილში არა მარტო განმანადგურებლად გააკრიტიკა გოგოლის რეაქციული წიგნი. არამედ მთელი თვითმპყრობელურ-ბატონყმური სისტემაც ამხილა. მხოლოდ სიკვდილმა იხსნა იგი სასტიკი სასჯელისაგან ამ შესანიშნავი დოკუმენტისათვის. III განყოფილების მმართველი ლ. ვ. დუბელტი „ნანობდა“. რომ მან ვერ მოახერხა „ციხეში დაეპო“ ღიდი კრიტიკოსი. ცნობილია, რომ თ. მ. დოსტოევსკის პეტრა-შეველთა წრეში ბელინსკის წერილის წაკითხვის გამო სიკვდილი მიუსაჯეს, რაც შემდეგ საკატორლო მუშაობით შეუცვალეს. მაგრამ მთავრობის სასტიკმა ზომებმა ხელი ვერ შეუშალა იმას. რომ ბელინსკის წერილი ათასობით ეგზემპლარად გავრცელებულიყო მთელ რუსეთში. ი. ს. აქსაკოვი 1856 წლის 9 ოქტომბერს, ე. ი. ბელინსკის წერილის დაწერიდან 9 წელზე მეტი ხნის შემდეგ, თავის მამას სწერდა: „ბევრი ვიმოგზაურე რუსეთში. ბელინსკის სახელს იცნობს თითოეული რამდენადმე მოაზროვნე ახალგაზრდა, ყველა, ვისაც პროვინციული ცხოვრების აყროლებულ ქაობში მოსწყურებია სუფთა ჰაერი. საგუბერნიო ქალაქებში არ არის გიმნაზიის არც ერთი მასწავლებელი. რომელმაც ზეპირად არ იცოდეს ბელინსკის წერილი გოგოლისადმი“ („ი. ს. აქსაკოვი მის წერილებში“. მოსკოვი, 1892. ნაწ. I, ტ. III, გვ. 290).

ბელინსკის ეს განთქმული წერილი პირველად დაბეჭდა ა. ი. გერცენმა „პოლიარნია ზეზდამში“ 1855 წელს (გამოცემა მე-2, ლონდონი, 1858, გვ. 66 — 76). ამ ტექსტიდან იგი რამდენჯერმე იქნა გადაბეჭდილი საზღვარგარეთ (მდრ. „ბ. გ. ბელინსკის წერილი ნ. ვ. გოგოლს“, მ. დრაგომანოვის წინასიტყვაობით, უკრაინულ კრებულ „გრომადინა“

რედაქციის გამოცემა. Genève, 1880). რუსეთში ამ წერილიდან ამოღებული ადგილები პირველად 70-იან წლებში დაიბეჭდა ჩიოვოს სტატიაში („ვესტნიკ ევროპი“, 1872, № 7) და ა. ნ. პიპინის შრომაში ბელინსკის შესახებ (სპბ. 1876). 90-იან წლებში ნ. ბარსუკოვა თითქმის მთლიანად მოათავსა იგი VIII ტომში ნაშრომისა: „მ. პ. პოგოდინის ცხოვრება და შრომები“. 1905 წელს ეს წერილი ცალკე ბროშურად გამოსცა „სვეტოჩმა“ ს. ა. ვენგეროვის რედაქციითა და წინასიტყვაობით (გამოცემა მე-2, 1906). მისი სრული ტექსტი გამოქვეყნდა ბელინსკის თხზულებათა ზუგურთ გამოცემაშიც, აგრეთვე 1914 წელს ე. ა. ლიაკის რედაქციით გამოსულ „წერილებში“. წერილის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. წინამდებარე გამოცემაში იბეჭდება „პოლიარნაია ზეზდის“ ტექსტი. კომენტარებში აღნიშნულია განსხვავება ამ ტექსტსა და „სვეტოჩის“ გამოცემის ტექსტს შორის.

² გვ. 799. 1836 წლის ივნისში გოგოლი გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც, მცირე დროის გამოკლებით, იცხოვრა მრავალი წლის განმავლობაში.

³ გვ. 800. ერთწერი შოლტი, როგორც დასჯის იარაღი, რომელსაც რუსეთში ხმარობდნენ, სამწვერი მათრახით შეიცვალა 1845 წელს გამოსული სასჯელთა დებულებით.

⁴ გვ. 801. „წერილში გოგოლისადმი“, რომელიც ს. ვენგეროვის რედაქციით გამოსცა „სვეტოჩმა“ (სპბ. 1905, გამოცემა მე-2, სპბ. 1906). დაბეჭდილია: „მთელი რუსეთი“.

⁵ გვ. 802. თავი „სოფლის სამსჯავრო და სასჯელი“ გოგოლმა დაამთავრა მითითებით პუშკინის მოთხრობაზე „კაპიტანის ქალიშვილი“. ამ მოთხრობაში კომენდანტის ცოლმა „პორუჩიკი გაგზავნა და დაავალა ვაჟსამართლებინა ქალაქელი ჯარისკაცი და დედაკაცი, რომლებიც აბანოში გოვზაქისტების წაიხზუბნენ, და თან ასეთი ინსტრუქცია მისცა: „კაპიტანი, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, და ორივე დასაჯე“.

⁶ გვ. 802. „სვეტოჩის“ გამოცემაში არის: „ჯერ კიდევ ხშირად“.

⁷ გვ. 802. „სვეტოჩის“ გამოცემაში არის: „უნდა იმკურნალოთ“.

⁸ გვ. 803. „სვეტოჩის“ გამოცემაში სიტყვა „სადღაც“ შეცვლილია მრავალწერტილით.

⁹ გვ. 803. „სვეტოჩის“ გამოცემაში არის: „ამ წარმატებებს ეგუება“.

¹⁰ გვ. 804. „სვეტოჩის“ გამოცემაში ნაცვლად სიტყვისა „ლამაზია“, დაბეჭდილია: „მშვენიერია“.

¹¹ გვ. 804. თარგმანი: „რელიგიური მანიის“.

¹² გვ. 805. „სვეტოჩის“ გამოცემაში ნაცვლად სიტყვისა „სიცრუეა“, დაბეჭდილია: „ყალბია“.

¹³ გვ. 805. „სვეტოჩის“ გამოცემაში არის: „თუმცა ერთი“.

¹⁴ გვ. 806. გოგოლი ყოველივე ამას ამბობდა თავად ს. ს. უვაროვისათვის გაგზავნილ 1845 წლის აპრილის წერილში.

¹⁵ გვ. 810. „სვეტოჩის“ გამოცემაში არის: „რეგენები არ არიან“.

¹⁶ გვ. 810. „სვეტოჩის“ გამოცემაში არის: „მთლიანად ჩაეგდოთ“.

¹⁷ გვ. 810. გოგოლს თავის „მიწერ-მოწერაში“ ბელინსკის სახელი არ უხსენებია, მაგრამ ყველასათვის ცხადი იყო, რომ მას მხედველობაში ჰყავდა სწორედ ბელინსკი, როდესაც თუნდაც VII თავში კრიტიკის შესახებ ამბობდა: «„ოღისეა“... გამოაცოცხლებს კრიტიკას. კრიტიკა დაიქანცა უახლესი ლიტერატურის უცნაურ ნაწარმოებთა გარჩევით, გაიხლართა მასში, დარღისაგან იქით-აქეთ მიაწყდა, ლიტერატურულ საკითხებს თავი აარიდა და „სისულელის ჩმახვა დაიწყო“»; ანდა XVIII თავში: „პოემის ყველა ლირიკულმა გადასვლამ... სხვადასხვანაირად შეაქცინა როგორც მოწინააღმდეგენი, ისე დამცველნი. ყველა ადგილი, სადაც კი ბუნდოვნად გამოვთქვი აზრი მწერალზე, მე მომაწერეს. მე ვწითლდებოდი კიდევ მათი განმარტებისაგან ჩემს სასარგებლოდ“.

¹⁸ გვ. 810. იგულისხმებოდა პ. ა. ვიაზემსკის სტატია „იაზიკოვი და გოგოლი“, სადაც, სხვათა შორის, ლაპარაკი იყო „ლიქტორებსა და მქადაგებლებზე“, რომელთაც „უნდოდათ გოგოლის გამოცხადება რაღაც ახალი ლიტერატურული სკოლის მეთაურად და მასში განასახიერებდნენ რაღაც შავ ლიტერატურულ დროშას“ (პ. ა. ვიაზემსკის თხზულებანი, ტ. II, გვ. 304 — 334).

¹⁹ გვ. 810. სტატიაში «„სოვრემენიკის“ შესახებ» გოგოლი სწერდა: „მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ ცოცხალია ორი... პირველხარისხოვანი ჩვენი პოეტი: თავადი ვიაზემსკი და იაზიკოვი“. გარდა ამისა, როცა „მიწერ-მოწერის“ ხელახლა გამოცემა განიზრახა, გოგოლი თავად ვიაზემსკის სთხოვდა „წაეკითხა, გაეჩხრიკა, მკაცრად განეხილა და გაესწორებინა მისი წიგნი... შეხედეთ ჩემს ხელნაწერს, — სწერდა იგი. — როგორც თქვენს საკუთარსა და ღვიძლ ხელნაწერს... მაშ ასე, ნუ მიმატოვებთ, კეთილო თავადო, და ღმერთი გიზღავთ სამაგეროს, რადგან თავდადება ქეშმარიტად ქრისტიანული და მალალი იქნება“. — ქება-დიდებაშ და ამ თხოვნამ, უეჭველია, თავისი გავლენა იქონია: თავადმა ვიაზემსკიმ დასწერა სტატია „იაზიკოვი და გოგოლი“ და მასში დაიცვა გოგოლის წიგნი.

²⁰ გვ. 811. „მკვდარი სულების“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში გოგოლი სწერდა: „ამ წიგნში ბევრი რამ აღწერილია არასწორად, არა ისე, როგორც არის და როგორც ნამდვილად ხდება რუსეთში. გთხოვ, მკითხველო, შემისწორო. ნუ ითაკილებ ასეთ საქმეს... გთხოვ, ეს გააკეთო“.

²¹ გვ. 811. ჩვენს მიერ კუთხოვან ფრჩხილებში ჩასმული ფრაზა „სექტორის“ გამოცემაში არღს, მაგრამ ა. ი. გერცენმა, რასაკვირველია, განზრახ გამოსტოვა ის „პოლიარნაია ზეზღაში“, რათა ბელინსკის წერილში მოხსენიებული არ ყოფილიყო ნ. ნეკრასოვისა და პ. ვ. ანენკოვის სახელები.

²² გვ. 811. „სექტორის“ გამოცემაში არის: „დამტკიცოს, რომ...

პროფ. ვ. ს. სპირიდონოვი.

სახელთა საძიებელი ¹

- ახლესიშოვი, ალექსანდრე ანისიმეს-ძე (1742 — 1783) — სატირიკოსი და ღრამატურგი, ავტორი კომიკური ოპერისა „მეწისქვილე, ჯადოსანი და მაქანკალი“. — 58; 128.
- აბრაამი, საერო სახელით: ავერკ ივანეს-ძე პალიცინი (გარდაიცვალა 1625), სერგის სამების ლავრის კელაროსი, შფოთიანი დროის მოღვაწე. — 248.
- აგაფი, ალექსანდრე დიმიტრის-ძე — ასტრახანელი მოხელე, ავტორი 1814 წელს გამოკეფულ იგავ-არაკებთა. — 649.
- აგრიკოლა, იოჰან (1492 — 1566) — გერმანელი ღვთისმეტყველი, რეფორმაციის მომხრე. — 524.
- ადოლფი, გუსტავე II — იხ. გუსტავე II, ადოლფი.
- აგვუსტოსი — კაიუს იულიუს კეისარი ოქტავიანი (63 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე — 14 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით) — რომის პირველი იმპერატორი. — 48.
- აკსაკოვი, კონსტანტინე სერგის-ძე (1817 — 1860) — სლავიანოფილობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ზოგჯერ გამოდიოდა „კ. ვერიპიდინის“ ფსევდონიმით. პოეტი, კრიტიკოსი და ღრამატურგი. — 200; 215; 546.
- აკსაკოვი, სერგი ტიმოთეს-ძე (1791 — 1859) — ცნობილი მწერალი, კ. ს. აკსაკოვის შამა; ავტორი „ოჯახური ქრონიკისა“ და ნადირობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა მთელი სერიისა. — 201.
- ალადინი, იაგორ ვასილის-ძე (1796 — 1860) — მწერალი და „ნეესკი აღმანახის“ გამომკემელი, მთარგმნელი ბერგმანის წიგნისა „პეტრე დიდის ისტორია“. — 217.
- ალბა, ფერდინანდ ალვარეს დე ტოლედო, პერცოვი (1508 — 1582) — ესპანეთის მეფისნაცვალი, რომელმაც სასტიკად ჩაახშო ხალხის აჯანყება ნიდერლანდში. — 317.
- ალექსანდრე I (1777 — 1825) — რუსეთის იმპერატორი. — 34; 46; 59; 161; 369; 477.

¹ საძიებელი შეადგინა ვ. თ. ბელიაევა.

- ალექსანდრე მაკედონელი (356 — 323 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — არისტოტელეს აღზრდილი, მაკედონიისა და საბერძნეთის მეფე, დიდ მხედართმთავარი. — 23; 260; 290; 292; 464; 465; 490; 494; 515.
- ალექსანდრე იაროსლავის-ძე ნეველი (ნევესკი) (1220 — 1263) — ნოვგოროდის, შემდეგ ვლადიმირის მთავარი. — 248.
- ალექსი მთხილის-ძე (1629 — 1676) — მეორე მეფე რომანოვთა გვარეულობიდან, პეტრე პირველის მამა. — 46; 249; 254; 273; 589.
- ალკიბიადე (451 — 404 ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენის სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. — 290; 512; 515.
- ალფრედ დიდი (849 — 901) — ინგლისის მეფე. — 515.
- ანაკრეონი (დაახლოებით 550 — 495 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ბერძენი ლირიკოსი პოეტი, რომელმაც თავის ლექსებში უმღერა სიყვარულსა და ნადიმებს. — 53; 431.
- ანახარისი — სკვითი, რომელმაც საბერძნეთი ინახულა სოლონის დროს. ბერძნებმა იგი „შვიდ ბრძენთ“ მიაკუთვნეს. — 286.
- ანა ივანეს ასული (1693 — 1740) — რუსეთის იმპერატორი. — 577.
- ანენკოვი, პავლე ვასილის-ძე (1812 — 1887) — ლიტერატურის კრიტიკოსი და მემუარისტი, „ზაპადნიკობის“ მომხრე, ბელინსკის ახლო მეგობარი. ანენკოვმა სიკვდილის შემდეგ დასტოვა მეტად ძვირფასი მოგონებანი სტანკევიჩის, ბელინსკისა და სხვ. შესახებ. — 209; 282; 787; 793; 794; 811.
- ანსილიონი, იოჰან-პეტრე-ფრიდრიხ (1767 — 1837) — გერმანელი პროფესორი, ლეთისმეტყველი და ისტორიკოსი. ავტორი წიგნისა პოლიტიკურ გადატრიალებათა შესახებ დასავლეთ ევროპაში. — 213; 216; 217.
- აპოლოსი (ბაიბაკოვი, ანდრია დიმიტრის-ძე. 1745 — 1801) — ეპისკოპოზი, სასულიერო მწერალი, „პიტიკის წესთა“ ავტორი. — 92; 97.
- აპაკსინი, გრაფი, თევდორე მათეს-ძე (1671 — 1728) — პეტრე დიდის თანამოსაგრე, რუსეთის ფლოტის პირველი გენერალ-ადმირალი. — 249.
- არაპეტოვი, ივანე პავლეს-ძე (1811 — 1887) — მწერალი, საგლეხო რეფორმის ერთ-ერთი მოღვაწე. — 793.
- არიოსტო, ლუი (1474 — 1533) — იტალიელი პოეტი, ავტორი პოემისა „შმაგი ორლანდი“. — 82.
- არისტარქეს სამოფრაკიელი — ალექსანდრიელი გრამატიკოსი და კრიტიკოსი (II საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). — 5; 13; 88.
- არისტოტილი (540 — 467 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენელი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. — 260; 515.
- არისტოტელე (384 — 322 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის განთქმული ფილოსოფოსი. — 82; 237.

- ერისტოფანე (დაახლოებით 450 — დაახლოებით 385 წწ. ზენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის უაღრესად გამოჩენილი დრამატურგი, პოლიტიკური კომედიის შემქმნელი. — 7.
- არმინიუსი, იაკობ (1560 — 1609) — პოლანდიელი ღვთისმეტყველი. არქონიული სექტის დამაარსებელი. — 217.
- არციბაშევი, ნიკოლოზ სერგის-ძე (1773 — 1841) — რუსი ისტორიკოსი. — 61, 62; 63.
- ბაიბაკოვი, ანდრია დიმიტრის-ძე. — იხ. აპოლოსი.
- ბაირონი, ჯორჯ-ნოელ-გორდონ, ლორდი (1788 — 1824) — უდიდესი ინგლისელი პოეტი. — 3; 5; 7; 22; 23; 50; 73; 79; 84; 89; 94; 101; 112; 118; 137; 147; 212; 301; 361; 374; 436; 527; 530; 538; 564; 567; 605; 664.
- ბაკუნინი, მისიელ ალექსანდრეს-ძე (1814 — 1876) — რუსი პუბლიცისტი. 1835 წელს დაუახლოვდა სტანკევიჩის წრეს, სადაც ბელინსკის დაუმეგობრდა; ბელინსკის გააცნო ფიხტესა და ჰეგელის ფილოსოფია. შემდგომში — ანარქისტული ფრთის იდეოლოგი I ინტერნაციონალში. — 157; 167; 168; 169; 172; 173; 181; 183; 187; 190; 195; 196; 302; 794; 797.
- ბალზაკი, ჰონორე დე (1799 — 1850) — დიდად გამოჩენილი ფრანგი რეალისტი მწერალი. — 7; 107; 109; 110; 130; 137; 528; 529.
- ბალი (ბაილი), ჟან-სილვენ (1736 — 1793) — ფრანგი ასტრონომი და პოლიტიკური მოღვაწე. — 795.
- ბარანტი, დე, ემბალ-გილიომ-პროსპერ-ბრიუნერ, ბარონი (1782 — 1866) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი. — 504.
- ბარატინსკი (ანუ ბორატინსკი), ევგენი აბრამის-ძე (1800 — 1844) — პოეტი, ა. ს. პუშკინის მეგობარი. — 5; 7; 88; 93; 773.
- ბარბიე, ანრი-ოგიუტ (1805 — 1882) — ფრანგი სატირიკოსი პოეტი. — 137.
- ბარონი ბრამბეუსი — მწერალ ო. ი. სენკოვსკის ფსევდონიმი (იხ.).
- ბატე, შარლ, აბატი (1713 — 1780) — ფრანგი ფილოსოფოსი, ავტორი ნაშრომისა ესთეტიკაზე. — 80; 82; 146.
- ბატიუშკოვი, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე (1787 — 1885) — რუსი პოეტი. — 7; 9; 70; 74; 81; 88; 348; 477; 555; 563; 578; 659; 773.
- ბაუმანი — გერმანელი ფილოსოფოსი, ჰეგელის მიმდევარი. — 169; 206.
- ბეზზოროდკო, ალექსანდრე ანდრეას-ძე (1747 — 1799) — თავადი, კანცლერი და დიპლომატი ეკატერინე მეორისა და პავლე პირველის დროს. — 48.
- ბეზგლასნი — ვ. თ. ოდოევსკის ფსევდონიმი (იხ.).
- ბეკერი, კარლ-ფრიდრიხ (1777 — 1806) — გერმანელი ისტორიკოსი, ავტორი პოპულარული „მსოფლიო ისტორიისა“. — 635.
- ბენედიქტოვი, ვლადიმერ გრიგოლის-ძე (1807 — 1873) — პოეტი. მისი ლექსები, უმთავრესად ეროტიკული, განირჩეოდა ფორმის ვირტუოზობითა

- და შინაარსის ხელნაწერი სირთულით. 30-იან წლებში იგი დიდი წარმატებით სარგებლობდა, ხოლო 40-იან წლებში მას უკვე ღარ კითხულობდნენ. — 419.
- ბენტამი**, იერემია (1748 — 1832) — ინგლისელი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი. — 444.
- ბერანე**, ეან-პიერ (1780 — 1857) — ფრანგი სახალხო პოეტი, სატირიკოსი. — 177; 304.
- ბერგმანი**, ბენიამინ — გერმანელი ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „პეტრე დიდის ისტორია“. — 217.
- ბესტუჟევი**, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე (1797 — 1837) — ბელეტრისტი და კრიტიკოსი, უფრო ცნობილია „მარლინისკის“ ფსევდონიმით; დეკაბრისტი. — 6; 9; 107; 108; 109; 110; 112; 262; 419; 453; 648; 661; 697; 761.
- ბიუფონი**, ჟორჟ ლუი ლეკლერკ (1707 — 1788) — ფრანგი ბუნებისმეტყველი. — 44.
- ბლანი**, ეან-ჟოზეფ-ლუი (1811 — 1882) — ფრანგი სოციალ-რეფორმისტი, ისტორიკოსი. — 789; 795; 797.
- ბლერი**, ჰუგ (1718 — 1800) — ესთეტიკის შოტლანდიელი თეორეტიკოსი, ედინბურგის უნივერსიტეტის რიტორიკის პროფესორი. — 85.
- ბობროვი**, სიმონ სერგის-ძე (დაახლოებით 1760 — 1810) — რუსი მისტიკოსი პოეტი და მთარგმნელი. — 57.
- ბოვდანოვიჩი**, იპოლიტე თედორეს-ძე (1743 — 1803) — პოეტი, ავტორი პოემისა „სულიკო“. — 55; 369; 577; 773.
- ბოსიუეტი**, ეაკ-ბენინ (1627 — 1704) — ფრანგი ისტორიკოსი და თეოლოგი, პროტესტანტებთან კათოლიკების დაახლოების მომხრე. — 503.
- ბოტკინი**, ვასილ პეტრეს-ძე (1811 — 1869) — მწერალი, ბელინსკის მეგობარი, „ზაადნიკური“ მიმართულების ლიტერატურული კრიტიკოსი, რომელიც ბურჟუაზიული ლიბერალიზმისაკენ იხრებოდა. ავტორი ცნობილი „წერილებისა ესპანეთზე“. — 176; 183; 184; 185; 186; 196; 198; 201; 208; 210; 279; 283; 286; 289; 292; 293; 295; 302; 305; 700; 764; 765; 781; 785; 790.
- ბრიულოვი**, კარლ პავლეს-ძე (1799 — 1852) — განთქმული რუსი მხატვარი. — 681.
- ბუალო**, ნიკოლოზ (1636 — 1711) — ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი. — 80; 82; 146; 571; 657.
- ბულგარინი**, ფადეი ბენედიქტეს-ძე (1789 — 1859) — ეურნალისტი, პუბლიცისტი და ბელეტრისტი, III განყოფილების აგენტი. — 5; 7; 11; 77; 106; 107; 111; 126; 133; 136; 204; 633; 661.
- ბულვერ-ლიტონი**, ელჟარდ ჯორჯ. ლორდი (1805 — 1873) — ინგლისელი რომანისტი. — 564.

- ბუნიაკოვსკი, ვიქტორ იაკობის-ძე (1804 — 1889)—მათემატიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. — 766.
- ბურაჩევი, სტეფანე ანისიმეს-ძე (1800 — 1876) — კრიტიკოს რეაქციულ ჟურნალ „მთავის“ გამომცემელი; ხომალდმშენებლობის ინჟინერი და მწერალი. — 805.
- ბუტკოვი, იაკობ პეტრეს-ძე (გარდაიცვალა 1856) — მწერალი, ავტორი „პეტერბურგის მწვერვალებისა“. — 620; 622; 623; 655.
- ბუტოვსკი, ალექსანდრე ივანეს-ძე (1817 — 1890) — მწერალი-ეკონომისტი და სენატორი, ავტორი სამტომიანი თხზულებისა „ცდა ხალხის სიზღიდრის შესახებ“. — 768.
- ბუტურლინი, დიმიტრი პეტრეს-ძე (1790—1849)—მეფის დიდებული, ყოფილი თავმჯდომარე რუსეთში დაბეჭდილ ნაწარმოებთა სულისკვეთებასა და მიმართულებაზე უმაღლესი ზედამხედველობის კომიტეტისა. სამხედრო-ისტორიულ თხზულებათა ავტორი. — 637.
- გალილეო, გალილეო (1564 — 1642) — დიდი იტალიელი ასტრონომი და ფიზიკოსი. — 150.
- გარნიე, რობერტ (1534 — 1590) — ფრანგი დრამატურგი. — 57.
- გერცენი (ისკანდერი), ალექსანდრე ივანეს-ძე (1812 — 1870) — რუსი რევოლუციონერი, გამოჩენილი მწერალი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი. 1840 წლიდან გერცენი ბელისკის ახლო მეგობარი ხდება; მისმა გავლენამ დიდი როლი შეასრულა ბელისკის გადასვლაში იდეალიზმიდან მატერიალიზმისა და რევოლუციური დემოკრატიზმის მხარეზე. 1847 წლიდან გერცენი საზღვარგარეთ გადასახლდა, სადაც დააარსა თავისუფალი რევოლუციური გამოცემები—„პოლიარნია ზვეზდა“ და „სოლოკოლო“. — 128; 205; 208; 209; 543; 636; 700; 704; 707; 712; 713; 716; 717; 748; 749; 765; 772; 790; 791; 792; 793; 794.
- გიბონი, ედუარდ (1737 — 1794) — ინგლისელი ისტორიკოსი. — 504.
- გიზო, ფრანსუა (1787 — 1874) — ფრანგი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. — 504; 506.
- გლინკა, სერჯი ნიკოლოზის-ძე (1776 — 1847) — პოეტი, ჟურნალისტი, 1812 წლის მოღვაწე. — 9; 203.
- გლინკა, თედორე ნიკოლოზის-ძე (1786 — 1880) — მისტიკური მიმართულების პოეტი. ახალგაზრდობისას იყო „კეთილდღეობის კავშირის“ ერთ-ერთი ბელადი და პეტერბურგის გამოჩენილი მასონი. — 95.
- გნედიჩი, ნიკოლოზ ივანეს-ძე (1784 — 1833) — პოეტი, „ილიადის“ მთარგმნელი. — 24; 76; 773.
- გოგოლი, ნიკოლოზ ვასილის-ძე (1809 — 1852) — დიდი რუსი მწერალი. — 6; 117; 132; 189; 199; 212; 240; 263; 359; 364; 419; 477; 555; 556; 557; 562; 565; 574; 575; 582; 584; 613; 625; 626; 627; 640; 654; 655; 662; 663; 664; 665; 666; 667; 668; 696; 697; 771; 773; 785; 793; 798; 805.

- გოდუნოვი, ბორის თევდორეს-ძე (1552 — 1605) — მოსკოვის მეფე. — 91; 248.
- გოთე, იოჰან-ვოლფგანგ (1749 — 1832) — დიდი გერმანელი პოეტი და მეცნიერი, „ფაუსტის“ და სხვ. ნაწარმოებთა ავტორი. — 7; 8; 22; 71; 76; 82; 103; 112; 120; 125; 137; 139; 147; 148; 195; 199; 206; 212; 288; 331; 564; 567; 605; 690; 691; 692; 721.
- გოლიკოვი, ივანე ივანეს-ძე (1735 — 1801) — ისტორიკოსი, ავტორი შრომისა „პეტრე დიდის საქმენი“. — 217; 261; 275.
- გოლიცინი, მიხეილ მიხეილის-ძე (1674 — 1730) — გენერალ-ფელდმარშალი, პეტრე დიდის თანამოსაგრე, სამხედრო კოლეგიის პრეზიდენტი. — 249.
- გოლოვინი, თევდორე ალექსის-ძე, გრაფი (1650 — 1706) — პეტრე პირველის თანამოსაგრე, აღმირალი და გამოჩენილი დიპლომატი. — 249.
- გოლოვკინი, გაბრიელ ივანეს-ძე (1660 — 1734) — სახელმწიფო კანცლერი, პეტრე დიდის თანამოსაგრე. — 249.
- გონჩაროვი, ივანე ალექსანდრეს-ძე (1812 — 1891) — გამოჩენილი რუსი მწერალი, რომანისტი — 700; 704; 719; 721; 748; 749.
- გორდი — იხ. სიმონი.
- გოსტომისლი — ლეგენდარული პიროვნება, რომლის სახელს მატიანეთა მრავალ ნუსხაში უკავშირდება თქმულება ვარიაცთა მოწვევაზე. — 589; 747.
- გრაკები, ძმები, ტიბერიუს (162 — 133 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და კაიუს-სემპრონიუსი (153 — 121 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — რომის პოლიტიკური მოღვაწენი, პლებეური დემოკრატიისათვის მებრძოლნი, აგრორეფორმატორები. — 290; 292.
- გრანოვსკი, ტიმოთე ნიკოლოზის-ძე (1813 — 1855) — ისტორიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, „ზაპადნიკი“. მკიდროდ დაკავშირებული იყო სტანკევიჩთან, ბელინსკისთან და გერცენთან. — 197; 543; 544; 546; 768; 790.
- გრეჩი, ნიკოლოზ ივანეს-ძე (1787 — 1867) — ლიტერატურის ისტორიკოსი, ბელეტრისტი და ჟურნალისტი რეაქციული მიმართულებისა. ბულგარინთან ერთად სცემდა ჟურნალებს: „სინ ოტეჩესტვა“, „სევერნაია პჩელა“. — 5; 6; 8; 58; 76; 77; 78; 132; 133; 134; 136; 204; 544; 640; 648; 649.
- გრიბოედოვი, ალექსანდრე სერგის-ძე (1795 — 1829) — განთქმული რუსი დრამატურგი, ავტორი კომედიისა „ვია ქუისაგან“. — 3; 9; 100; 104; 105; 106; 137; 240; 285; 362; 363; 364; 373; 477; 555; 574; 578.
- გრიგორიევი, აპოლონ ალექსანდრეს-ძე (1822 — 1864) — პოეტი და კრიტიკოსი, ბელინსკის შიშვეარი. — 614; 617.
- გრიგორიევი, ვასილ ვასილის-ძე (1816 — 1881) — ორიენტალისტი, სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. — 767; 777; 779, 780.

- გრიგოროვიჩი, დიმიტრი ვასილის-ძე (1822 — 1899) — ბელეტრისტი, ავტორი ნაწარმოებებისა: „სოფელი“, „ბეჩაევი ანტონი“ და სხვა მრავალი. — 627; 628; 700; 754.
- გრუზინცევი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე (დაიბადა 1799) — რუსი დრამატიული მწერალი და პოეტი, ავტორი პოემისა „პეტრიადა“. — 221.
- გუსტავ II, ადოლფ (1594 — 1632) — შვეციის მეფე. — 120, 520; 525.
- გუტენბერგი, იოჰან (დაიბადა დაახლოებით 1396 წელს, გარდაიცვალა 1468 წ.) — წიგნის ბეჭდვის ერთ-ერთი გამომგონებელი. — 135.
- გუტენი, ფონ, ულრიხ (1488 — 1523) — გერმანელი ჰუმანისტი, მთავარი ავტორი სატირისა „უმეცარი ადამიანების წერილები“, რომელსც მიმართული იყო რომის ეკლესიისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ. — 524.
- დავიდოვი, დენის ვასილის-ძე (1784 — 1839) — პოეტი პარტიზანი. — 94; 773.
- დალი (კახაკ ლუგანსკი), ვლადიმერ ივანეს-ძე (1801 — 1872) — ბელეტრისტი და ლექსიკოგრაფი, რუსული ენის „განმარტებითი ლექსიკონის“ ავტორი. — 627; 628; 629; 700; 750; 754; 755; 756.
- დანილოვი, კირშა — იხ. კირშა დანილოვი.
- დეიკი, ანტონისი — იხ. ვან-დეიკი ანტონისი.
- დეკარტე, რენე (1596 — 1650) — გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი-დუალისტი. ფიზიკაში მატერიალისტი იყო, შემეცნების თეორიაში — იდეალისტი. — 481; 609.
- დელაჟანი, ჟან-ფრანსუა-კაზიმირ (1793 — 1843) — ფრანგი პოეტი და დრამატურგი. — 137.
- დე ლა გარდი, იაკობ (1583 — 1652) — შვედი მხედართმთავარი. 256.
- დელოლი, ეაკ (1738 — 1813) — ფრანგი პოეტი და მთარგმნელი. — 77; 648.
- დელვიკი, ანტონ ანტონის-ძე, ბარონი (1798 — 1831) — პოეტი, ა. ს. პუშკინის მეგობარი; გამომცემელი აღმანახებისა: „სევერნიე ცვეტი“ და „პოდსნენენიკ“. 1830 წლიდან სცემდა „ლიტერატურნაია გაზეტას“. — 75; 96.
- დემოსთენი (384 — 322 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის დიდი ორატორი, რესპუბლიკური, ანტიმაკედონური პარტიის მეთაური. — 15; 42.
- დერჟავინი, გაბრიელ რომანის-ძე (1743 — 1816) — რუსი პოეტი, სახელო გაითქვა თავისი ოდებით. — 7; 9; 26; 48; 49; 50; 51; 52; 53; 54; 56; 57; 59; 64; 81; 85; 88; 101; 126; 137; 341; 347; 348; 362; 369; 477; 554; 557; 558; 576; 577; 580; 604; 649; 658; 773.
- დესტუნისი, სპირიდონ იულის-ძე (1782—1848) — რუსი ელჩისტი, პლუტარქეს მთარგმნელი, ავტორი შრომისა „ბიზანტიელი ისტორიკოსები“. — 290; 648.

- დიაკოვი, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, ტვერის გუბერნიის მემამულე, ბაკუნინის სიძე. — 182.
- დიენსი, ჩარლზ (1812 — 1870) — გამოჩენილი ინგლისელი რომანისტი. — 687; 693; 764.
- დიუბუა, გილომ (1655 — 1723) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე. — 791.
- დიუკრე-დოუმენილი, ფრანსუა-გილომ (1761 — 1819) — ფრანგი რომანისტი და საბავშვო მწერალი, რამდენიმე სენტიმენტალური რომანისა და სიმღერების ავტორი. — 136.
- დიუმა, ალექსანდრე (მამა) (1803 — 1870) — ფრანგი რომანისტი და დრამატურგი. — 137; 651; 697.
- დიუსისი, ეან-ფრანსუა (1733 — 1816) — ფრანგი დრამატურგი და პოეტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. — 24.
- დმიტრიევი, ივანე ივანეს-ძე (1760 — 1837) — მწერალი, მრავალი სატირის, ეპიგრამისა და იგავ-არაყის ავტორი. — 7; 56; 60; 70; 71; 360; 363; 370; 554; 563; 576; 578; 658; 659; 668; 670; 773.
- დობრიშინი — პოლკოვნიკი ან გენერალი, რომელიც პასუხისგებაში მისცეს ქურდობისათვის. — 788.
- დოლგორუკი, იაკობ თევდორეს-ძე (1659 — 1720) — პეტრე პირველის თანამოსაგრე და მისი საყვარელი ადამიანი. — 249; 252.
- დოლგორუკი, ივანე მიხეილის-ძე, თავადი (1764 — 1823) — პოეტი, სატირიკოსი და მემუარისტი. — 649; 773.
- დონელი (დონსკოი), დიმიტრი ივანეს-ძე (1350 — 1389) — მოსკოვის დიდი მთავარი; დაამარცხა მამაის ურდოები კულიკოვოს ველზე 1380 წელს. — 248; 598.
- დოსტოევსკი, თედორე მიხეილის-ძე (1821 — 1881) — განთქმული რუსი მწერალი. — 623; 624; 625; 626; 627; 700; 759.
- დრინაგერბერგი — გერმანელი ჰუმანისტი. — 524.
- დროზდოვი, ალექს. ვას. — ფილოსოფიის მაგისტრი, ავტორი თხზულებისა „ზნეობრივი ფილოსოფიის სისტემის ცდა“. — 143.
- დრუჟინინი, ალექსანდრე ვასილის-ძე (1824 — 1864) — კრიტიკოსი და ბელეტრისტი, ავტორი მოთხრობისა „პოლინკა საქსი“. — 700; 755.
- დუდიშინი, სტეფანე სტეფანეს-ძე (1820 — 1866) — ლიბერალური მიმართულების ჟურნალისტი და კრიტიკოსი. 1846 წლიდან, ბელინსკის წასვლის შემდეგ, „ოტჩენსტვენნიე ზაპისკიში“ უძღვებოდა ბიბლიოგრაფიის განყოფილებას, მერმე კი — კრიტიკის განყოფილებასაც. — 767.
- დგორ თედორიჩი — სახუმარო მეტსახელი, რაც სტანკევიჩის წრეში შეარქვეს ჰეგელს (იხ. ჰეგელი). — 280.
- ევერსი, იოჰან გუსტავ (1781 — 1830) — გერმანელი ისტორიკოსი და იურისტი. — 9.

- ოკატერინე II, ალექსის ასული (1729 — 1796) — რუსეთის იმპერატორი. — 45; 47; 50; 54; 57; 58; 59; 252; 258; 264; 274; 369; 373; 477; 577; 599; 773.
- ელენშლეგერი, ადამ (1799 — 1850) — დანიელი პოეტი. — 85.
- ელისაბედ პეტრეს ასული (1709 — 1761) — პეტრე პირველის ქალიშვილი, რუსეთის იმპერატორი. — 477; 577.
- ემილი, ეირარდენ (1806 — 1881) — ფრანგი ეურნალისტი, რომელმაც პირველად გამოსცა იაფფასიანი გაზეთები (ლირდა ერთი სუ). — 789.
- ემინი, თევდორე ალექსანდრეს-ძე (დაახლოებით 1735 — 1770) — რომანისტი, მთარგმნელი და ეურნალისტი. — 9; 11.
- ერაჰმ როტერდამელი (1466 — 1536) — გამოჩენილი გერმანელი ჰუმანისტი, მწერალი. — 524.
- ერშოვი, პეტრე პავლეს-ძე (1815 — 1869) — მწერალი. ავტორი ლექსად დაწერილი ზღაპრისა „კუზიანი ცხენი“. — 5; 121; 136.
- ეფიშიევო, დიმიტრი ვლადიმერის-ძე (1768 — 1804) — ღრამატურგი. ავტორი ნაწარმოებებისა: „ცრემლიანი კომედია“, „თაშაშის გამო დამნაშავე კაცი ანუ ძმისგან გაყიდული და“. — 58.
- ესტერმაიერი, ერნესტ-ტეოდორ (1805—1844)—გერმანელი მწერალი.—281.
- ვალდო, ანუ ვალდუსი, პეტრე (XII ს.) — ლიონელი სოცდაგარი, რომელმაც XII საუკუნის მეორე ნახევარში დააარსა ვალდენების სექტა. — 522.
- ვალენშტაინი, ალბრეხტ (1583 — 1634) — ფრიდლანდიის ჰერცოგი, საიმპერიო მთავარსარდალი ოცდაათწლიან ომში. — 120; 525.
- ვალტერ-სკოტი — იხ. სკოტი.
- ვან-დეიკი, ანტონისი (1599 — 1641) — ფლამანდიელი პორტრეტისტი და ისტორიული თემების მხატვარი. — 702.
- ველანსკო, დანიელ მიხეილის-ძე (1774 — 1847) — ერთ-ერთი პირველი რუსი ნატურფილოსოფოსი, შეღინგიანელი, სამხედრო-ქირურგიული აკადემიის პროფესორი. — 9.
- ველასკეშ დე სილვა, ღონ დიეგო-როდრიგეს (1599 — 1660) — ესპანელი მხატვარი. — 702.
- ველტმანი, ალექსანდრე თომას-ძე (1800 — 1860) — რომანისტი და არქეოლოგი. ავტორი რამდენიმე ისტორიული შრომისა და ბელეტრისტიკული ნაწარმოებისა. — 128; 129; 136; 614; 629; 630; 631; 632; 661; 756; 757.
- ვენევიტინოვი, დიმიტრი ვლადიმერის-ძე (1805 — 1827) — ნიჰიერი რუსი პოეტი და ფილოსოფოს-შეღინგიანელი, რომელმაც დააარსა „სიბრძნის მოყვარულთა“ ფილოსოფიური წრე. — 99.
- ვენეღინი, იური ივანეს-ძე (1802 — 1839) — ბულგარელი მწერალი—635.
- ვერნერი, ფრიდრიხ-ლიუდვიგ ზაქარია (1768 — 1823) — გერმანელი პოეტი და ღრამატურგი. — 103.

- ვიაზეშკი, პეტრე ანდრიას-ძე, თავადი (1792 — 1878) — პოეტი და კრიტიკოსი, რომელიც 1825 წლამდე დეკაბრისტებს თანაუგრძნობდა და შემდეგ რეაქციონერი გახდა. — 77; 810.
- ვიარდო, ლუი (1800 — 1883) — ფრანგი მწერალი, მთარგმნელი და კრიტიკოსი. — 565.
- ვიდოკი, ეენ-ფრანსუა (1775 — 1857) — საფრანგეთის პოლიციის აგენტი; პოლიციის სამსახურში შესვლამდე სისხლის სამართლის დანაშაუნი იყო. ავტორი მემუარებისა, რომელიც ნაწილობრივ თარგმნილია რუსულ ენაზე. — 86.
- ვიკო, ჯოვან-ბატისტა (1668 — 1744) — იტალიელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. — 503.
- ვილანდი, ქრისტოფორ-მარტინ (1733 — 1813) — გერმანელი მწერალი, ახალი გერმანული ლიტერატურის ერთ-ერთი შემქმნელი, რომელმაც ფრანგული განათლების გავლენა განიცადა. — 564.
- ვილმენი, აბელ-ფრანსუა (1790 — 1870) — ფრანგი მწერალი-ისტორიკოსი, პროფესორი. — 544.
- ვირგილიუსი, მარონ-პუბლიუსი (70 — 19 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — რომაელი პოეტი, „ენეიდის“ ავტორი. — 7; 15; 56; 82; 237; 431.
- ვლადიმირ სვიატოსლავიჩი (გარდაიცვალა 1015) — ნოვგოროდის მთავარი, ხოლო შემდეგ კიევის დიდი მთავარი. — 7; 32; 244.
- ვოიკოვი, ალექსანდრე თეოდორეს-ძე (1777 — 1839) — პოეტი, მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალების გამომცემელი. — 62; 76; 128; 134; 136.
- ვოლტერი, ფრანსუა-მარი არჟე (1694 — 1778) — XVIII საუკუნის დიდი ფრანგი განმანათლებელი. პოეტი, ისტორიკოსი და ფილოსოფოსი-დეისტი. — 8; 44; 82; 137; 146; 301; 431; 672; 802.
- ვორდსვორტი (ვორდსვორტი), ვილიამ (1770 — 1850) — ინგლისელი პოეტი, ეპრეტოლოდებული „ტბის სკოლის“ მეთაური. — 137.
- ვოროტინსკი, ივანე მიხეილის-ძე, მთავარი (გარდაიცვალა 1627 წ.) — მოსკოველი ბოიარი. — 248.
- ვულფი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე (1805 — 1881) — ა. ს. პუშკინის ტრიგორიელი მეგობარი ქალის — პ. ა. ოსიპოვას ვაჟი. ცნობილია მისი დღიური, რომელშიც მრავალი ცნობაა პოეტის შესახებ. — 182.
- ვახლოცკი-დესიატოვსკი, ანდრია პარტენის-ძე (1807 — 1881) — რუსი პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც სწერდა გლეხთა განთავისუფლების საკითხებზე. — 766.
- ვაგოცკინი, მიხეილ ნიკოლოზის-ძე (1789 — 1852) — სლავიანოფილური მიმართულების ბელეტრისტი, ავტორი რამდენიმე ისტორიული მოთხრობისა და რომანისა, რომელთა შორის ყველაზე პოპულარულია „იური მილოსლავსკი“. — 6; 9; 280; 620; 622; 661; 766.
- ვანდი — იხ. უორე ვანდი.

- თევდორე ალექსიხ-ძე (1661 — 1682) — მესამე მეფე რომანოვთა დინასტიიდან, პეტრე დიდის ძმა. — 273; 598.
- თემისტოკლე (დაახლოებით 527 — 460 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე ბერძენ-სპარსელთა ომების ეპოქაში. — 260.
- თიუთიუნჯი-ოღლი — ო. ი. სენკოვსკის ფსევდონიმი (იხ. სენკოვსკი). — 9.
- იაჯინსკი, ალექსანდრე ანდრიას-ძე — პედაგოგი, ქრონოლოგიისა და ენების შესწავლის მნემონიკური მეთოდის გამომგონებელი; რამდენიმე სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი. გამოსცა სპეციალური ცხრილები და რუკები ისტორიის შესასწავლად მისი მეთოდით. — 775.
- იაჯიკოვი, ნიკოლოზ მიხეილის-ძე (1803 — 1846) — პოეტი, სლავიანოფილი. — 5; 94; 96; 209; 544.
- იაზონი — ბერძნულ მითოლოგიაში — არგონავტების წინამძღოლი. — 269.
- იაკიმოვი, ვასილ იაკობის-ძე (1802 — 1853) — ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, შექსპირის მთარგმნელი. — 206.
- ივანე I, დანიელის-ძე, კალიტა (1304 — 1341) — მოსკოვის მთავარი, ვლადიმირის დიდი მთავარი. — 248; 597.
- ივანე III, ვასილის-ძე (1440 — 1505) — მოსკოვის დიდი მთავარი. — 31; 78. 248; 256; 586; 598.
- ივანე IV, ვასილის-ძე, მრისხანე (1530 — 1584) — რუსეთის მეფე. — 7; 248; 256; 269; 598.
- ივანოვი, დიმიტრი პეტრეს-ძე — ბელინსკის შორეული ნათესავი და მეგობარი. — 155.
- ივანჩიშ-პისარევი, ნიკოლოზ დიმიტრის-ძე (1795 — 1849) — მწერალი, კარამზინის მიმდევარი. — 61; 62; 69.
- იშმაილოვი, ალექსანდრე ეფთვიმეს-ძე (1779 — 1831) — იგავთმწერალი და ჟურნალისტი. — 88; 649.
- იშმაილოვი, ვლადიმერ ვასილის-ძე (1773 — 1830) — ბელეტრისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი, კარამზინის მიმდევარი. — 88; 773.
- ირი — რამდენიმე პიროვნების ბიბლიური სახელი. მათგან ყველაზე ცნობილია ირი — იუდას უფროსი ვაჟი. — 4.
- ისკანდრა — ა. ი. გერცენის ფსევდონიმი (იხ. გერცენი).
- იუვენალი, დეციმ-იუნუს (დაახლოებით 60 — დაახლოებით 130) — რომაელი სატირიკოსი პოეტი. — 459.
- იულიუს კეისარი — იხ. კეისარი.
- იუმო, დავიდ (1711 — 1776) — ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ეკონომისტი; ფილოსოფიაში სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენელია. — 504.
- კაველინი, კონსტანტინე დიმიტრის-ძე (1818 — 1885) — იურისტი, რუსული სამართლს ისტორიკოსი, პუბლიცისტი, მოსკოვისა და პეტერ-

- ბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების „ზაპადნიკი“. — 766; 768; 790.
- კაზაკ ლუგანსკი — ვ. ი. დალის ფსევდონიმი (იხ. დალი).
- კაოუს გრაჟი — იხ. გრაჟები.
- კაიდანოვი, ივანე კუზმას-ძე (1782 — 1843) — ისტორიკოსი, მდარე „პატრიოტიზმის“ სულისკვეთებით შედგენილ სახელმძღვანელოთა ავტორი. — 7; 288; 488; 517; 524; 525.
- კალაშნიკოვი, ივანე ტიმოთეს-ძე (დაახლოებით 1797 — 1865) — რომანისტ-ეთნოგრაფი, ავტორი რომანებისა: „ვაჰარ ყელობოვის ქალიშვილი“, „კამჩადალეი ქალი“, „ავტომატი“ და „გლეხი ქალის ცხოვრება“. — 5; 8; 132; 134; 136.
- კალიტა — იხ. ივანე დანიელის-ძე კალიტა.
- კალვინი, იოჰან (1509 — 1564) — შვეიცარიის ეკლესიის რეფორმატორი. — 217.
- კამენევი, გაბრიელ პეტრეს-ძე (1772 — 1803) — პოეტი, წარმოშობით ეკპარი, ავტორი ბალადისა „გრომვალი“. — 558.
- კამილი, მარკ-ფურიუს (403 — 365 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — რომის მხედართმთავარი, ცენზორი. — 260.
- კანტემირი, ანტიოხ დიმიტრის-ძე (1709 — 1744) — რუსი სატირიკოსი. — 38; 78; 556; 562; 571; 572; 657; 658; 659; 773.
- კანტი, იმანუილ (1724 — 1804) — გერმანელი ფილოსოფოსი, გერმანული იდეალიზმის მამამთავარი. — 157; 406; 479; 503; 540; 542.
- კანისტი, ვასილ ვასილის-ძე (1757 — 1823) — პოეტი და დრამატურგი, ავტორი კომედიისა „ცილი“. — 76; 88; 104; 240; 557; 773.
- კარაშინი, ნიკოლოზ შინეილის-ძე (1766 — 1826) — განთქმული რუსი ისტორიკოსი და ჟურნალისტი, ავტორი „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიისა“, შეთაური სენტიმენტალური მიმართულებისა რუსულ ლიტერატურაში (მოთხრობა „საბრალო ლიზა“). — 7; 9; 55; 60; 61; 62; 63; 64; 65; 66; 67; 68; 60; 70; 73; 74; 75; 76; 78; 79; 80; 81; 85; 88; 112; 119; 129; 132; 218; 238; 341; 370; 475; 555; 558; 562; 577; 583; 584; 585; 586; 644; 645; 655; 656; 659; 664; 668; 669; 773.
- კარატიგინი, ვასილ ანდრეას-ძე (1802 — 1853) — განთქმული რუსი ტრაგიკოსი მსახიობი. — 206.
- კარლოს V (1500 — 1558) — გერმანია-რომის იმპერატორი. — 23; 317; 521.
- კარლოს VIII (1470 — 1498) — საფრანგეთის მეფე. — 23; 521.
- კარლოს X, გუსტავ, (1622 — 1660) — შვეციის მეფე. — 520.
- კარლოს XII (1682 — 1718) — 1697 წლიდან შვეციის მეფე, განთქმული თავისი სამხედრო გამარჯობით. 1708 წელს პოლტავასთან დაამარცხა პეტრე დიდის რუსულმა ჯარმა. — 23; 259; 520.

- კარლოს დიდი (დაახლოებით 742 — 814) — ფრანკთა მეფე და რომის პირველი იმპერატორი. — 465; 520; 525.
- კატკოვი, მიხეილ ნიკიფორეს-ძე (1818 — 1887) — თავდაპირველად მთარგმნელი, შემდეგ ცნობილი ფილოლოგი და პუბლიცისტი. 1834 წელს კატკოვი დაუახლოვდა სტანკევიჩის წრეს და ბელინსკის გააცნო ჰეგელის „ენთეტიკა“. თანამშრომლობდა „მოსკოვსკი ნაბლიუდატელში“, შემდეგ — „ოტეჩესტვენნიე ზაისკიში“. 40-იანი წლების დამდეგს იწყება მისი ევოლუცია რეაქციის მიმართულებით. 50-იანი წლებიდან გამოდის როგორც რეაქციული „მოსკოვსკი ვედომოსტის“ რედაქტორი. — 194; 205; 210; 211; 212; 282; 283; 302; 332.
- კატონი უფროსი (234 — 149 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი რომის სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი. — 290.
- კატონი უმცროსი (ანუ უტიკელი) (95 — 47 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი რომის რესპუბლიკელი, რომელიც პომპეუსის პარტიასთან ერთად იბრძოდა კეისრის წინააღმდეგ. — 290.
- კაჩნოვსკი, მიხეილ ტროფიმეს-ძე (1775 — 1842) — პროფესორ-ისტორიკოსი, „ვესტნიკ ევროპის“ გამომცემელი; დამაარსებელი ევრეთოდებული „სკეპტიკური სკოლისა“ რუსულ ისტორიულ მეცნიერებაში. — 9; 62; 116; 117.
- კეისარი, კაიუს იულიუსი (100 — 44 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — განთქმული რომელი მხედართმთავარი. — 23; 260; 265; 290; 465.
- კეტჩერი, ნიკოლოზ ქრისტეფორეს-ძე (1809 — 1886) — ექიმი და ლიტერატორი, რუსულ ენაზე სთარგმნა შექსპირი, შილერი, კუპერი, პოფმანი. ბელინსკის, სტანკევიჩის, გრანოვსკის ერთ-ერთი ახლო მეგობარი და მათი წრის აქტიური მონაწილე იყო — 186; 545; 790.
- კვინტ კურციუს რუფი — რომაელი ისტორიკოსი, ავტორი შრომისა „ალექსანდრე დიდის ისტორია“. — 468.
- კიზვეტერი (1766 — 1819) — კანტის ფილოსოფიის პოპულარიზატორი, ავტორი ლოგიკის სახელმძღვანელოსი, რომელიც რუსულ ენაზე ითარგმნა და ჩასულიერო სკოლებში ვრცელდებოდა — 157.
- კიზონი (გარდაიცვალა 449 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენელი მხედართმთავარი, რომელმაც რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა სპარსელებზე. — 260.
- კირში: დანილოვი — XVIII ს. რუსული თქმულებების, ზღაპრებისა და სიმღერების აპოკრიფული შემკრები. — 225; 351; 581.
- კიუვიე, გეორგ-ლეოპოლდ (1769 — 1832) — ფრანგი ნატურალისტი, პალეონტოლოგიის ფუძემდებელი. — 8; 706.
- კლაუტერნი — ლიტერატურული ფსევდონიმი გერმანელ რომანისტ კარლ ჰეინისა (1771 — 1854), რომლის სენტიმენტალურ რომანებს თავის დროზე დიდი წარმატება ჰქონდა. — 564.

- კლუჩნიკოვი, ივანე პეტრეს-ძე (1811 — 1895) — პოეტი, თავის ლექსებს ბექდავა ხელისმწერით: „ — ჰ — “; სტანკევიჩის წრის ერთ-ერთი მონაწილე. — 183; 187; 190; 306.
- კლოპშტოკი, ფრიდრიხ გოტლიბ (1724 — 1803) — გერმანელი პოეტი, რომელმაც გამოიყენა რამდენიმე ბიბლიური სიუჟეტი. ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის იდეებმა იგი „ქარიშხლისა და იერიშის“ მწერალთა სათავეში ჩააყენა. — 137.
- კნიაჟინი, იაკობ ბორისის-ძე (1742 — 1791) — დრამატურგი, ავტორი ტრაგედიისა „ვადიმ ნოვგოროდელი“, რომელიც 1793 წელს სენატის განაჩენით დასწვეს რესპუბლიკური იდეების ქადაგებისათვის. — 56; 554; 773.
- კოზლოვი, ივანე ივანეს-ძე (1779 — 1840) — პოეტი და მთარგმნელი. — 4; 94.
- კოზლოვსკი, პეტრე დიმიტრის-ძე — პედაგოგი, მოსკოვის სამიწათმზომლო ინსტიტუტის ინსპექტორი, ბელინსკის მეგობარი. — 305.
- კოლრიჯი, სამეულ ტეილორ (1772 — 1834) — ინგლისელი პოეტი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი. — 137.
- კოლუმბი, ქრისტეფორე (დაახლოებით 1446 — 1506) — განთქმული ზღვაოსანი, რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა. — 72; 150; 317; 375; 527.
- კოლცოვი, ალექსანდრე ვასილის-ძე (1808 — 1842) — განთქმული რუსი თვითნასწავლი პოეტი, ჩოდრის შვილი. მეგობარი ბელინსკისა, რომელიც დიდად აფასებდა მის პოეტურ ნიჭს. — 210; 306; 617; 618.
- კონდე, ლუი (1621 — 1686) — ერთ-ერთი დიდი ფრანგი მხედართმთავარი. — 44.
- კონტი, ოგიუსტ (1798 — 1857) — ფრანგი ფილოსოფოსი, პოზიტივიზმის ფუძემდებელი. — 781; 782; 783; 784; 785.
- კორნელი, პიერ (1606 — 1684) — ფრანგი დრამატურგი. — 7; 44; 57; 82; 137; 431.
- კორში, ევგენი თევდორეს-ძე (1810 — 1897) — პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. — 546; 790; 791.
- კოსიჩინი, თეოფილაქტე — ა. ს. პუშკინის ფსევდონიმია შემდეგ სტატიებზე: „მეგობრობის ზეიმი“ და „რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ბულგარინის ნეკზე“. — 106.
- კოსმოკრატოვი, ტიტ. — 761.
- კოსტროვი, ერმილე ივანეს-ძე (დაახლოებით 1750 — 1796) — რუსი პოეტი. — 57; 773.
- კოტოვიჩინი, ანუ კოშიჩინი, გრიგოლ კარპის-ძე (1630 — 1667) — საგარეო საქმეთა უწყების მდივანი, რომელიც შვეიციაში გაიქცა. ავტორი წიგნისა „რუსეთი ალექსი მიხეილის-ძის მეფობაში“, რომელიც მღო-

დარ მასალას იძლევა პეტრეს წინაღობიანდელი რუსეთის შესასწავლად. — 226; 247; 249; 250; 251; 254; 260; 573; 631.

კრავესკი, ანდრია ალექსანდრეს-ძე (1810 — 1889) — პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალისა „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, გაზეთისა „გოლოს“ და რამდენიმე სხვა გამოცემისა; სარფიანი მიმართულების ჟურნალისტი, რომელიც სასტიკ ექსპლუატაციას უწევდა ბელისკის და მის სტატიებში შექმონდა ყოველგვარი „ღიპლომატიური“ შენიშვნები. — 545; 790.

კრასოვი, ვასილ ივანეს-ძე (1810 — 1855) — პოეტი და მთარგმნელი, ბელისკისა და სტანკევიჩის მეგობარი. — 207; 282.

კრეზი — ლიდიის მეფე (560 წლიდან 546 წლამდე ჩენი წელთაღრიცხვის წინ). უდიდეს სიმდიდრეს ჰქვლობდა — 4; 323.

კრილოვი, ივანე ანდრას-ძე (1768 — 1844) — განთქმული რუსი იგავთმწერალი. — 6; 7; 9; 71; 78; 122; 137; 170; 264; 348; 352; 362; 363; 370; 477; 563; 574; 576; 578; 583; 649; 658.

კრიუკოვსკი, მათე ვასილის-ძე (1781 — 1811) — დრამატურგი. — 8.

კრონებერგი, ანდრია ივანეს-ძე (გარდაიცვალა 1855) — ნიჟიერი მთარგმნელი. განთქმული იყო შექსპირის თარგმანებით, იბეჭდებოდა უმთავრესად „სოვერემენიკში“. — 206; 619; 768.

კრუჟენშტერნი, ივანე თედორეს-ძე (1770 — 1846) — რუსი აღმირალი და ზღვაოსანი. — 650.

კუდრიავცევი, პეტრე ნიკოლოზის-ძე (ნესტროევი) (1816 — 1858) — ისტორიკოსი, ბელეტრისტი და კრიტიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ბელისკის მეგობარი. — 170; 207; 210; 283; 305; 758.

კუკოლნიკი, ნესტორ ვასილის-ძე (1809 — 1868) — პოეტი, დრამატურგი და ბელეტრისტი, ავტორი მდარე „პატრიოტული“ შინაარსის მაღალფარდოვანი, დვლარკნილი დრამებისა, როგორც მაგალითად: „უზუნაესის ხელმა იხსნა მამული“ და სხვ. — 5; 8; 12; 136; 137; 663.

კულჩიკო, ალექსანდრე ვაკობის-ძე (1815 — 1846) — პოეტი და პროზაიკოსი, ბელისკის მეგობარი, სწერდა ფსევდონიმებით: „პ. რემიზოვი“ და „გოვორილინი“. — 304; 305.

კუპერი, ჯემს ფენიმორ (1789 — 1851) — ამერიკელი რომანისტი. — 8; 199; 212.

კურბსკი, ანდრია მიხეილის-ძე, მთავარი (დაახლოებით 1528 — 1583) — ვოევოდა და მწერალი, რომელმაც თავის მიწერ-მოწერაში ივანე მრისხანესთან გამოხატა ოპოზიციური ბოიკოტის აზრი. — 248.

კუტორგა, სტეფანე სიმონის-ძე (1805 — 1861) — პეტერბურგის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების პროფესორი. — 636.

50. ბ. გ. ბელისკი

- ლაიბნიცი, გოტფრიდ-ვილჰელმ (1646 — 1716) — ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი-იდეალისტი. — 542.
- ლაკრუა, პოლ (1806 — 1884) — ფრანგი მწერალი, უფრო ცნობილია ფსევდონიმით „ჟაკობ ბიბლიოფილი“. — 137.
- ლამარტინი, ალფონს (1790 — 1869) — ფრანგი პოეტი და რომანისტი, სახელმწიფო მოღვაწე. — 5; 76; 100; 137; 212; 651; 789.
- ლამენე (1782 — 1854) — აბატი, ფრანგი მწერალი და კათოლიკური ფილოსოფოსი. — 162.
- ლაჟენიკოვი, ივანე ივანეს-ძე (1792 — 1869) — მწერალი და დრამატურგი, რამდენიმე ისტორიული რომანის ავტორი. — 6; 9; 35; 128; 129; 130; 661.
- ლაფაიეტი, მარი-ჟან-პოლ (1757 — 1834) — ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე. — 795.
- ლაფონტენი, ავგუსტ (1758 — 1831) — ნაყოფიერი გერმანელი რომანისტი. — 7; 136; 394; 564.
- ლაფონტენი, ჟან (1621 — 1695) — განთქმული ფრანგი იგავთმწერალი და ზღაპრების მთქმელი. — 137; 348; 431.
- ლაპარტი, ჟან-ფრანსუა (1740 — 1803) — ფრანგი მწერალი და კრიტიკოსი, ვოლტერის მეგობარი და მიმდევარი. — 80; 82; 89; 146.
- ლევერიე, ურბენ-ჟან-ჟოზეფ (1811 — 1877) — ფრანგი ასტრონომი. — 616; 766.
- ლემეტრი, ფრედერიკ (1800 — 1875) — ფრანგი მსახიობი, რომელშიც შეერთებული იყო ტრაგიკოსისა და კომიკოსის ნიჭი. — 792.
- ლეო, ჰენრიხ (1799 — 1878) — გერმანელი ისტორიკოსი. — 470; 504.
- ლერმონტოვი, მიხეილ იურის-ძე (1814 — 1841) — განთქმული რუსი პოეტი. — 196; 199; 340; 350; 351; 355; 364; 373; 405; 477; 555; 556; 563; 565; 567; 574; 613; 614; 615; 617; 665; 773.
- ლერუ, პიერ (1798 — 1871) — ფრანგი პუბლიცისტი, უტოპისტ-სოციალისტი. — 782; 785.
- ლესინგი, გოტჰოლდ-ფერაიმ (1729 — 1781) — გერმანელი განმანათლებელი, კრიტიკოსი და დრამატურგი. — 137.
- ლიზანდერი, დიმიტრი კარლის-ძე (1824 — 1894) — პოეტი. — 614.
- ლინარ დე კრიულდერი (1764 — 1824) — ბარონესა, რუსი დიპლომატის ცოლი, რომელმაც 1803 წელს დაბეჭდა ავტობიოგრაფიული სენტიმენტალური რომანი „ვალერია“. — 436.
- ლისიანსკი, იური თევდორეს-ძე (1774 — 1837) — მოგზაური და ზღვაოსანი, ავტორი წიგნისა: „მოგზაურობანი ქვეყნიერების გარშემო 1803, 1804, 1805 და 1806 წლებში“. — 650.
- ლიტრე, ემილ (1801 — 1881) — ფრანგი მეცნიერი, პოზიტივისტი, კონტის მიმდევარი. — 766; 781; 782.

- ლოკი, ჯონ (1632 — 1704) — ინგლისელი ფილოსოფოსი-მატერიალისტი. — 542.
- ლომონოსოვი, მიხეილ ვასილს-ძე (1711 — 1765) — განთქმული რუსი მეცნიერი, ფილოსოფოსი და პოეტი. — 7; 9; 12; 39; 41; 42; 43; 44; 53; 56; 64; 65; 78; 119; 132; 133; 137; 221; 240; 264; 475; 477; 554; 558; 562; 572; 573; 574; 575; 576; 577; 578; 580; 582; 583; 615; 657; 659; 773; 783.
- ლორენცი, ფრიდრიხ კარლს-ძე (1803 — 1861) — პროტესორ-ისტორიკოსი, „უახლესი დროის ისტორიის“ და სხვა შრომების ავტორი. — 457; 470; 488; 525; 635.
- ლუთერი, მარტინ (1483 — 1546) — გერმანელი რელიგიური რეფორმატორი. — 85; 214; 301; 317; 522; 523.
- ლუი ბლანი — იხ. ბლანი, ჟან-ჟოზეფ-ლუი.
- ლუი ვიარდო — იხ. ვიარდო, ლუი.
- ლუი IX (1215 — 1270) — საფრანგეთის მეფე. — 598.
- ლუი XI ვალუა (1423 — 1483) — საფრანგეთის მეფე. — 495; 515.
- ლუი XII (1462 — 1515) — საფრანგეთის მეფე. — 521.
- ლუი XIV (1638 — 1715) — საფრანგეთის მეფე. — 520; 522; 789.
- ლუი XV (1710 — 1774) — საფრანგეთის მეფე. — 520; 609.
- ლუი-ფილიპე (1773 — 1858) — საფრანგეთის მეფე 1830 წლიდან 1848 წლამდე. — 304.
- მაიკოვი, აპოლონ ნიკოლოზის-ძე (1821 — 1897) — რუსი პოეტი. — 619.
- მაიკოვი, ვასილ ივანეს-ძე (1728 — 1778) — მწერალი, პოეტი და იუმორისტი, ეკუთვნოდა ნოვიკოვის წრეს. — 58.
- მაკედონელი ფილიპე (382 — 336 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — მაკედონიის მეფე, ალექსანდრე მაკედონელის მამა. 338 წ. მან დაიმორჩილა მთელი საბერძნეთი. — 515.
- მალეკ-აველი ანუ მელქ-ადილი („სამართლიანი მეფე“) სეიფოდინი (გარდაიცვალა 1218) — ეიუბიდთა დინასტიის დამაარსებლის უმცროსი ძმა. — 435; 436.
- მალთუსი, ტომას-რობერტ (1766 — 1834) — ინგლისელი ბურჟუაზიული რეაქციონერი ეკონომისტი. — 766.
- მანკონი, ალექსანდრე (1775 — 1863) — განთქმული იტალიელი პოეტი და რომანისტი. — 85.
- მარატი, ჟან-პოლ (1744 — 1793) — იაკობინელთა ბელადი, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის უაღრესად გამოჩენილი მოღვაწე-ეურნალ „ხალხის მეგობრის“ რედაქტორი. — 291.
- მარბახი, ოსვალდ-გოტჰარდ (1810 — 1890) — გერმანელი მწერალი და დრამატურგი, ჰეგელის ფილოსოფიის მიმდევარი. — 169; 170.
- მარიეტი, ფრიდერიკ (1792 — 1848) — ინგლისელი რომანისტი, საზღვაო მოთხრობების ავტორი. — 564.

- მაროუსი (დაახლოებით 156 — 86 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — რომელი მხედართმთავარი. — 260; 484; 513.
- მარკევიჩი, ნიკოლოზ ანდრეას-ძე (1804 — 1860) — პოეტი და ისტორიკოს-ეთნოგრაფი. — 471.
- მარკოვი, მიხეილ ალექსანდრეს-ძე (დაახლოებით 1810 — 1876) — ბელეტრისტი, პოეტი და დრამატურგი. — 121.
- მარლინსკი, ა. — ა. ა. ბესტუჟევის ფსევდონიმი (იხ. ბესტუჟევი).
- მარშონტელი, ჟან-ფრანსუა (1723 — 1799) — ფრანგი მწერალი, განმანათლებელი. — 80; 146.
- მარტინ ზადეკი — მითოური პიროვნება, რომელსაც მიაწერდნენ სიზმრის ახსნისა და სამისნო წიგნებს. — 434.
- მარტინოვი, ალექსანდრე ევსტაფის-ძე (1816 — 1860) — ღრამის მსახიობი. — 89.
- მარჩენკო, ანასტასია იაკობის ასული (1830 — 1880) — მწერალი ქალი, რომელიც თავის ნაწარმოებებს ბეჭდავდა „ტ. ჩ.“ ხელმოწერით და „ა. ტემრიზოვას“ ფსევდონიმით. — 700; 761.
- მახალსკი, კონსტანტინე პეტრეს-ძე (1802 — 1861) — ოფიციალურ-კონსერვატული ბანაის პოეტი და ბელეტრისტი. — 6; 132; 134; 136.
- მახლოვი, სტეფ. ალექს. (1793 — 1879) — მწერალი და სოფლის მეურნეობის მოღვაწე, „ზემლედელჩესკი ჟურნალის“ რედაქტორი. — 638.
- მელნიკოვი (ანდრეი პეჩერსკი), პავლე ივანეს-ძე (1819 — 1883) — ბელეტრისტი-ეთნოგრაფი. — 637.
- მენცელი, ვოლფგანგ (1798 — 1873) — გერმანელი პუბლიცისტი და ისტორიკოსი. — 202; 280; 282.
- მენშიკოვი, ალექსანდრე დანიელის-ძე (დაახლოებით 1670 — 1729) — პეტრე დიდის ფავორიტი და თანამოსაგრე. — 34; 249; 263.
- მერზლიაკოვი, ალექსანდრე თეოდორეს-ძე (1778 — 1830) — პოეტი და კრიტიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი; ავტორი სიმღერისა: „გაშლილ ველზე“. — 61; 75; 88.
- მეტერნიხი, კლემენს-ლოტარ-ვენცელ (1773 — 1859) — ავსტრიელი თავადი, დიპლომატი და მინისტრი, უკიდურესი რეაქციონერი. — 163.
- მეშჩერსკი, ალექსანდრე ივანეს-ძე, თავადი (გარდაიცვალა 1779) — ღერუაინის მეგობარი. — 52.
- მილიუტინი, ვლ. ალ. (1826 — 1855) — ეკონომისტი, იურისტი და მწერალი. — 766; 768.
- მილონოვი, მიხეილ ვასილის-ძე (1792 — 1821) — რუსი პოეტი. — 76.
- მილტიადე უმცროსი (გარდაიცვალა 489 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენელი მხედართმთავარი. — 260.
- მილტონი, ჯონ (1608 — 1674) — განთქმული ინგლისელი მწერალი. — 82; 684.

- მინაევი, დიმიტრი ივანეს-ძე (1808 — 1876) — პოეტი, მამა პოეტ დ. დ. მინაევისა, ავტორი „იგორის ლაშქრობის ამბის“ თარგმანისა. — 614; 615.
- მინიე, ფრანს-ავეგუსტ (1796 — 1884) — ფრანგი ისტორიკოსი. — 765.
- მინინი (სუხორუჟი), კუზმა ზაქარიას-ძე (გარდაიცვალა 1616) — ნიჟეგოროდელი ვაჟარი, ორგანიზატორი სახალხო ლაშქრისა პოლონელთა წინააღმდეგ 1612 წელს. — 248.
- მინიხი, ფონ ბურჰარდ, ქრისტოფორ, გრაფი (1683 — 1767) — ფელდ-მარშალი, სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. რუსეთში პეტრე დიდმა მოიწვია ინჟინრად. — 160.
- მიულერი, იოჰან (1752 — 1809) — გერმანელი ისტორიკოსი და პუბლიცისტი. — 504.
- მიქელ-ანჯელო (1475 — 1564) — გენიალური იტალიელი მხატვარი, არქიტექტორი და მოქანდაკე. — 788.
- მიშლე, ეიულ (1798 — 1874) — ფრანგი ისტორიკოსი და პუბლიცისტი, თავისი რწმენით დემოკრატი და რესპუბლიკელი. — 504.
- მიცევიჩი, ადამ (1798 — 1855) — პოლონელი პოეტი, რომანტიზმის ფუძემდებელი პოლონურ ლიტერატურაში. — 85, 202.
- მნიშევი, მარინა (გარდაიცვალა 1614) — ცრუდიმიტრი პირველის ცოლი. — 255.
- მოლიერი, ჟან-ბატისტ (1622 — 1673) — ფრანგი დრამატურგი. — 7; 137; 169; 536; 696.
- მონტანი, მიშელ (1533 — 1592) — ფრანგი ფილოსოფოსი-მორალისტი. — 114.
- მოროშკინი, თედორე ლუკას-ძე (1804 — 1857) — იურისტი და ისტორიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. — 268.
- მურავეოვი, ანდრია ნიკოლოზის-ძე (1806 — 1874) — ოფიცოზურ-კლერკალური ლიტერატორი. — 773.
- მური, ტომას (1779 — 1852) — ინგლისელი პოეტი. — 112; 137.
- მურილით, ბარტოლომე ესტებან (1617 — 1682) — განთქმული ესპანელი მხატვარი, სევილიის სკოლის მეთაური. — 663.
- მუჰამედი ანუ მაჰმადი (დაახლოებით 571 — 632) — მაჰმადიანური რელიგიის დამაარსებელი. — 244.
- ნადოუჟკო, ნიკოდიმ არისტარხის-ძე — ნ. ი. ნადეჟდინის ფსევდონიმი (იხ. ნადეჟდინი).
- ნავინი, იოსები — ებრაელი ხალხის ბიბლიური მოსამართლე. — 49; 199; 261.
- ნადეჟდინი, ნიკოლოზ ივანეს-ძე (1804 — 1856) — ლიტერატურის ისტორიკოსი და პუბლიცისტი, ხელოვნებისა და არქეოლოგიის პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტში, ეურნალ „ტელესკოპის“ რედაქტორი

- და გამომცემელი, თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით შე-
ლინგვიანელი. — 16; 113; 770.
- ნაპოლეონ I ბონაპარტი (1769 — 1821) — საფრანგეთის იმპერატო-
რი. — 77; 82; 91; 260; 265; 465; 484; 515; 520; 525; 526; 581;
598; 730.
- ნარეუნი, ვასილ ტროფიმეს-ძე (1780 — 1825) — ბელეტრისტი. — 661; 773.
- ნახშიშვი, აკიმ ნიკოლოზის-ძე (1782 — 1815) — პოეტი-სატირიკო-
სი. — 240; 773.
- ნებოლსინი, პავლე ივანეს-ძე (1811 — 1896) — ეთნოგრაფი, ისტორიკოსი
და ეკონომისტი. — 700; 764.
- ნეესკო — იხ. ალექსანდრე იაროსლავის-ძე ნეველი.
- ნეკრასოვი, ნიკოლოზ ალექსის-ძე (1821 — 1878) — გამოჩენილი რუსი
რევოლუციურ-დემოკრატიული პოეტი. — 544; 545; 619; 811.
- ნელედინსკი-შელდეცი, იური ალექსანდრეს-ძე (1752 — 1828) — პოეტი,
პავლე პირველის სტატს-მდივანი. — 58.
- ნეპლითუევი, ივანე ივანეს-ძე (1693 — 1773) — დიპლომატი, ორენბურგის
მხარის მომწყობი, „ჩანაწერების“ ავტორი. — 274.
- ნესტროევი, ა. — პ. ნ. კუდრიავეცევის ფსევდონიმი (იხ. კუდრიავეცივი).
- ნიკიტენკო, ალექსანდრე ვასილის-ძე (1804 — 1877) — მწერალი, სანკტ-
პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი და მთავრობის ცენზორი,
ავტორი შრომისა „ჩემი ნაამბობი საკუთარ თავზე და ცხოვრებაში
ნახულზე“. — 284.
- ნიკოლსკი, ალექსანდრე ტიმოთეს-ძე — მხატვარი. ბელინსკის ნაცნო-
ბი. — 209.
- ნოდე, შარლ (1780 — 1844) — ფრანგი მწერალი. — 77.
- ნოვიკოვი, ნიკოლოზ ივანეს-ძე (1744 — 1818) — ეკატერინეს ეპოქის
პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, რამდენიმე ჟურნალისა და წიგ-
ნის გამომცემელი. — 58; 370.
- ოგარიოვი, ნიკოლოზ პლატონის-ძე (1813 — 1877) — პოეტი და პუბლი-
ცისტი, ა. ი. გერცენის მეგობარი და თანამებრძოლი. — 208.
- ოლოფენსკი, ვლადიმერ თევდორეს-ძე (1803 — 1869) — ბელეტრისტი, ფი-
ლოსოფოსი „შელინგვიანელი და მუსიკის კრიტიკოსი, რომელიც ხში-
რად ბეჭდავდა თავის ნაწარმოებთ ფსევდონიმებით: „ბაბუა ირინეი“,
„გომოზაიკა ირინეი მოდესტოვიჩ“, „ბეზგლასნი“, „Т., Б. Н“. — 6; 9;
131; 373; 785.
- ოზეროვი, ვლადისლავ ალექსანდრეს-ძე (1769 — 1816) — დრამატურგი,
სწერდა ფრანგული კლასიციზმის სულისკვეთებით. — 9; 71; 72; 88;
348; 370; 477; 554; 556; 563; 659; 773.
- ოზნობიშინი, დიმიტრი პეტრეს-ძე (1804 — 1877) — პოეტი და მთარგმნე-
ლი. — 5.
- ოლევი — კიევის პირველი მთავარი. — 45; 599.

- ორლოვი, ალექსანდრე ანტ. (1790 ან 1791 — 1840) — პოეტი და ბელეტრისტი, ავტორი მრავალი უხეირო მოთხრობისა. — 11; 106; 107; 127.
- ისტოლოპოვი, ნიკოლოზ ფილიმონის-ძე (1782 — 1833) — კრიტიკოს-თეორეტიკოსი, პოეტი და ბელეტრისტი, სანქტ-პეტერბურგის თეატრების დირექტორი. — 89; 92.
- პავლოვი, ნიკოლოზ თედორეს-ძე (1805 — 1864) — ბელეტრისტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი. — 9; 773; 793.
- პალიცინი, აბრაამი — იხ. აბრაამი.
- პანაევი, ივანე ივანეს-ძე (1812 — 1862) — ბელეტრისტი და ჟურნალისტი, რომელიც ნეკრასოვთან ერთად სცემდა „სოვრემენნიკს“, ავტორი „ლიტერატურული მოგონებებისა“. — 203; 204; 209.
- პერევეშჩიკოვი, დიმიტრი მათეს-ძე (1788 — 1880) — მათემატიკოსი და ასტრონომი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. — 766.
- პერიკლე (დაახლოებით 493 — 429 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენის სახელმწიფო მოღვაწე, ღემოკრატიული პარტიის მეთაური. — 260; 290.
- პერსიუსი, ფლავი (34 — 62 ჩვენი წელთაღრიცხვით) — რომაელი სატირიკოსი. — 459.
- პეტრე I, დიდი (1672 — 1725) — მოსკოვის უკანასკნელი მეფე და რუსეთის პირველი იმპერატორი. — 26; 34; 37; 38; 39; 41; 42; 46; 123; 124; 158; 159; 166; 172; 191; 217; 218; 221; 222; 223; 224; 225; 226; 229; 230; 232; 234; 238; 239; 241; 242; 243; 247; 249; 250; 251; 252; 254; 257; 259; 260; 262; 264; 265; 266; 267; 268; 269; 270; 271; 273; 274; 275; 276; 352; 354; 369; 371; 465; 475; 515; 550; 551; 571; 572; 573; 574; 579; 580; 581; 586; 587; 599; 590; 591; 592; 593; 600; 610; 644; 656; 661; 766.
- პეტროვი, ვასილ პეტრეს-ძე (1736 — 1799) — პოეტი და მთარგმნელი. — 7; 56; 64; 575; 576.
- პიზიტრატე (დაახლოებით 610 — დაახლოებით 522 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენის მმართველი. — 515.
- პინდარი (522 — 443 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის ლირიკოსი პოეტი. — 53; 431.
- პლავილშჩიკოვი, პეტრე ალექსის-ძე (1760 — 1812) — მსახიობი, დრამატურგი-მწერალი და პედაგოგი. — 58.
- პლაცინი, ვასილ ტიმოთეს-ძე (1796 — 1869) — პედაგოგი, ლიტერატურის სახელმძღვანელოთა ავტორი. — 78.
- პლატონი (430 ან 427 წლებს შუა — 347 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის უდიდესი ფილოსოფოს-იდეალისტი. — 69; 207; 464; 693.

- პლეტნევი, პეტრე ალექსანდრეს-ძე (1792 — 1862) — პოეტი, კრიტიკოსი. სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი. — 76.
- პლეშჩევი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე (1825 — 1893) — პოეტი და ბელეტრისტი. — 614.
- პლუტარქე (დაახლოებით 46 — 120) — ძველი საბერძნეთის მწერალ-მორალისტი და ისტორიკოსი. — 237; 290; 291; 304.
- პოგოდინი, მიხეილ პეტრეს-ძე (1800 — 1875) — ისტორიკოსი, არქეოლოგი და ჟურნალისტი; ჟურნალ „მოსკვიტიანინის“ გამომცემელი. — 127; 173; 661; 767.
- პოდოლინსკი, ანდრია ივანეს-ძე (1806 — 1886) — პოეტი. — 5; 88; 95.
- პოლ დე კოკი (1794 — 1871) — ფრანგი რომანისტი. — 136; 564.
- პოლდევოი, ნიკოლოზ ალექსის-ძე (1796 — 1846) — კრიტიკოსი, ბელეტრისტი, დრამატურგი, ისტორიკოსი და ჟურნალისტი; ჟურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფის“ ორგანიზატორი და გამომცემელი. — 282; 287; 419; 661.
- პოლუჟავი, ალექსანდრე ივანეს-ძე (1807 — 1838) — პოეტი, დასწერა შთაფრობის საწინააღმდეგო და ათეისტური მრავალი ნაწარმოები. — 100.
- პოლონსკი, იაკობ პეტრეს-ძე (1820 — 1898) — პოეტი და ბელეტრისტი. — 614.
- პოლოცკი, სიმონ (1629 — 1680) — საეკლესიო მოღვაწე, პედაგოგი და მწერალი. — 42; 78.
- პოპი, ალექსანდრე (1688 — 1744) — ინგლისელი პოეტი, ჰომეროსის თარგმანის ავტორი და შექსპირის თხზულებათა პირველი სრული კრებულის გამომცემელი. — 84.
- პოპოვსკი, ნიკოლოზ ნიკიტას-ძე (დაახლოებით 1730 — 1760) — მწერალი, მთარგმნელი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, ლომონოსოვის მოწაფე. — 58.
- პოჟარსკი, დიმიტრი მიხეილის-ძე, მთავარი (დაახლოებით 1578 — 1641) — ვოევოდა, შფოთიანი დროის მოღვაწე, რომელიც კ. მინინთან ერთად ხელმძღვანელობდა სახალხო ლაშქარს პოლონელთა წინააღმდეგ. — 248.
- პოროშინი, სიმონ ანდრიას-ძე (1741 — 1769) — მწერალი. ავტორი ჩანაწერებისა პავლე პირველზე, რომლის აღმზარდელიც იგი იყო. — 766.
- პოსტელსი, ალექსანდრე ფილიპეს-ძე (1801 — 1871) — მწერალი, პედაგოგი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი. — 775; 776; 777.
- პოტიომკინი, გრიგოლ ალექსანდრეს-ძე. თავრიდის მთავარი (1739 — 1791) — ეკატერინეს ეპოქის სახელმწიფო მოღვაწე, ეკატერინე მეორის ფაეორიტი. — 48.
- პრადელი იერონიმე (გარდაიცვალა 1416) — ჩეხი რეფორმატორი, პუსის მეგობარი და თანამოაზრე. — 522.
- პროთოვსი, ბერძნული მითოლოგიით — ზღვის ბრძენი მოხუცი. — 50; 101.

პტოლომე II ფილადელფოსი — ეგვიპტის მეფე, ალექსანდრიის მუზეუმი-სა და ბიბლიოთეკის დამაარსებელი ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნეში. — 494.

პუშკინი, ალექსანდრე სერგისძე (1799 — 1837) — დიდი რუსი სახალხო პოეტი და მწერალი, რუსული ლიტერატურული ენის ფუძემდებელი. — 4; 5; 7; 9; 26; 36; 70; 74; 79; 80; 81; 85; 87; 88; 89; 90; 91; 92; 93; 94; 96; 97; 99; 100; 101; 106; 107; 111; 112; 115; 116; 119; 120; 121; 122; 126; 132; 136; 137; 168; 172; 199; 204; 212; 218; 219; 222; 225; 231; 232; 249; 264; 265; 340; 342; 346; 347; 348; 349; 351; 352; 360; 361; 362; 364; 368; 372; 373; 374; 375; 380; 381; 405; 406; 409; 410; 419; 422; 427; 433; 445; 453; 477; 555; 556; 562; 563; 565; 566; 567; 574; 575; 578; 583; 613; 614; 656; 660; 661; 662; 664; 665; 721; 743; 745; 788; 805; 807.

პუშკინი, ვასილ ლევისძე (1767—1830)—პოეტი, ა. ს. პუშკინის ბიძა.—88.
 უდოვსკაია, იულია ვასილის ასული (1824 — 1883) — პოეტი და მწერალი ქალი. — 614; 615; 616.

უაკობ, ბიბლიოფილი — ფრანგი მწერლის პოლ ლაკრუას ფსევდონიმი (იხ. ლაკრუა).

უანენი, ეიულ (1804 — 1874) — ფრანგი თეატრალური კრიტიკოს-ფელეტონისტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. — 137; 530; 697.

უან-პოლ — იხ. რიხტერი, უან-პოლ.

უელიაბუჟსკი, ივანე ათანასესძე (1638 — დაახლოებით 1709). — „ოკოლნიჩი“, პეტრეს ეპოქის დიპლომატი. „უელიაბუჟსკის ჩანაწერები“ გამოცემა იაზიკოვმა 1840 წელს. — 260.

უორტ ზანდი (ანუ სანდი) — ფსევდონიმი ამანტინა ავრორა დიუპენისა, ბარონესა დიუდეკანისა (1804 — 1876). — განთქმული ფრანგი მწერალი ქალი, რომელიც თავის რომანებში ილაშქრებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობის წინააღმდეგ. — 351; 564; 605; 686; 768.

უუკოვსკი, ვასილ ანდრიასძე (1783 — 1852) — ცნობილი რუსი პოეტი, შილერის, ბაირონის ნაწარმოებთა, კომეროსის „ოდისეის“ და სხვ. მთარგმნელი. — 7; 9; 45; 70; 72; 73; 74; 81; 88; 94; 98; 121; 340; 348; 352; 477; 555; 563; 578; 659; 664; 688; 689; 773; 788.

უურავსკი, დიმიტრი პეტრესძე (1810 — 1856) — მწერალ-სტატისტიკოსი, ავტორი შრომისა „სტატისტიკური ცნობების წყაროებისა და გამოყენების შესახებ“. — 637.

რაიხლინი, იოჰან (1455 — 1522) — გერმანელი ჰუმანისტი, მეცნიერი და პედაგოგი. — 524.

რანკე, ლეოპოლდ (1795 — 1886) — გერმანელი ისტორიკოსი. — 504.

- რასინი, ჟან-ბატისტ (1639 — 1699) — დრამატურგი და პოეტი, ფრანგული კლასიციზმის მკათიო წარმომადგენელი. — 7; 57; 80; 82; 137; 431; 481; 792.
- რაუმერი, ფრიდრიხ-ლიუდვიგ-გეორგ (1781 — 1873) — გერმანელი ისტორიკოსი, პროფესორი. — 504.
- რაფაელი (1483 — 1520) — დიდი იტალიელი მხატვარი. — 688; 689; 788.
- რაშელი, ელიზა (1821 — 1858) — ფრანგი ტრაგიკოსი მსახიობი ქალი. — 792.
- რეპინი, ანიკიტა ევანეს-ძე, მთავარი (1668 — 1726) — გენერალ-ფელდ-მარშალი, პეტრე დიდის თანამშრომელი. — 249.
- რიოტშერი, ჰენრიხ-ტეოდორ (1803 — 1871) — ესთეტიკისა და დრამატული ხელოვნების გერმანელი თეორეტიკოსი. — 169; 205; 206; 212; 332.
- რიშელიე, არმან-ჟან, დიუპლეს (1585 — 1642) — საფრანგეთის პერსონაჟი, კარდინალი და მინისტრი, სამეფოს ფაქტიური მმართველი ლუი XIII-ის დროს. — 269; 520; 522; 525.
- რიჩარდ II (1365 — 1440) — ინგლისის მეფე. — 284.
- რიჩარდსონი, სამუილ (1689 — 1761) — ინგლისელი მწერალი. XVIII საუკუნისა და XIX საუკუნის დამდეგის „მგრძნობელობითი“ ლიტერატურის მამამთავარი. — 423.
- რიხტერი, იოჰან-პავლ-ფრიდრიხ (1763 — 1825) — გერმანელი მწერალი, უფრო ცნობილია „ჟან-პოლის“ ფსევდონიმით. — 212; 648.
- რობერტსონი, ვილიამ (1721 — 1793) — ინგლისელი ისტორიკოსი. — 504.
- რობესპიერი, მაქსიმილიან (1758 — 1794) — იაკობინელი, საფრანგეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის ერთ-ერთი გამოჩენილი ბე-ლადი. — 794.
- როლენი, შარლ (1661 — 1741) — ფრანგი ისტორიკოსი და პედაგოგი. — 64; 572.
- როსნარი, პიერ (1524 — 1585) — ფრანგი პოეტი. — 57.
- როტეი, კარლ (1775 — 1840) — გერმანელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე. — 504.
- რუვესკი, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე — ბაკუნინის შორეული ნათესავი; ბელინსკის მეგობარი. — 306.
- რუბანი, ვასილ გრიგოლის-ძე (1742 — 1795) — მოლექსე და ჟურნალისტი, ნოვიკოვის ჟურნალების თანამშრომელი და რამდენიმე სატირული ალმანახის გამომცემელი. — 58.
- რუმინცევი, ნიკოლოზ პეტრეს-ძე, გრაფი (1754 — 1826) — სახელმწიფო მოღვაწე და რუსეთის ისტორიის ძეგლთა გამომცემელი. შეკრიბა უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომელიც რუმინცევის მუზეუმის საფუძველი გახდა. — 648.
- რუსო, ჟან-ბატისტ (1670 — 1741) — ფრანგი ლირიკოსი, რომელიც თავისი სატირების გამო საფრანგეთიდან გააძევეს — 580.

- არუსო, ჟან-ჟაკ (1712 — 1778) — განათლების ეპოქის გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი. — 136.
- საადი (დაახლოებით 1184 — 1291) — დიდი სპარსელი პოეტი-მორალი-ტი. — 93.
- სავიჩი, ალექსი ნიკოლოზის-ძე (1810 — 1883) — ასტრონომი, აკადემიკოსი. — 766.
- საზონოვი, ნიკოლოზ ივანეს-ძე (1815 — 1862) — მწერალი. ემიგრანტი. — 794.
- სატინი, ნიკოლოზ მიხეილის-ძე (1814 — 1873) — პოეტი-მთარგმნელი. გერცენის, ოგარიოვისა და ბელინსკის მეგობარი. — 766.
- საუტი, რ. — იხ. სუტეი.
- სეი, ჟან-ბატისტ (1767 — 1832) — ფრანგი ეკონომისტი, ადამ სმიტის მიმდევარი. — 444.
- ხემენი, ავგუსტ ივანეს-ძე (1783 — 1862) — სტამბის მეპატრონე და გამომცემელი. — 636.
- ხენკოვსკი, ოსიპ ივანეს-ძე (1808 — 1858) — მდარე „პატრიოტული“ მიმართულების ჟურნალისტი, სწერდა „ბარონ ბრამბუესის“ ფსევდონიმით. — 6; 8; 9; 36; 133; 134.
- ხენ-ჟიუსტი, ლუი-ანტუან (1767 — 1794) — ფრანგი რევოლუციონერი, რომბესპიერის თანამებრძოლი, რომელთანაც ერთად სიკვდილით დასაჯეს პარიზში. — 794.
- ხერვანტესი, მიქაელ საავედრა (1547 — 1616) — უდიდესი ესპანელი მწერალი, რომან „ღონკიხობის“ ავტორი. — 605.
- ხესე, ემილ-დემონდ (1814 — 1863) — ფრანგი ფილოსოფოს-ეკლექტიკოსი. — 781; 782.
- ხეჩინი, პავლე ივანეს-ძე — პოემა „ალექსანდრიადის“ ავტორი. — 9.
- ხვატაპოლკი I, ვლადიმერის-ძე (დაახლოებით 980 — 1019) — კიევის დიდი მოავარი, „წყეულად“ წოდებული. — 599.
- ხვატოსლავი იგორის-ძე (942 — 972) — კიევის დიდი მთავარი. — 45; 599.
- ხიზონ ივანეს-ძე აბაყი (1317 — 1353) — მოსკოვის დიდი მთავარი, ივანე კალიტას შვილი. — 248; 597.
- ხიუ, ევგენ (ეჟენ) (1804 — 1857) — ფრანგი მწერალი, რომანისტი, ავტორი რომანისა „პარიზის საიღუმლოებანი“. — 25; 137; 527; 530; 531; 533; 538; 539; 651; 687; 697.
- ხკოპინ-შუისკი, მიხეილ ვასილის-ძე. მთავარი (1587 — 1610) — ბოიარი და ვოევოდა, შფოთიანობის დროს მოღვაწე. — 248; 256.
- ხკოტი, ვალტერ (1771 — 1832) — განთქმული ინგლისელი რომანისტი. — 3; 7; 84; 101; 106; 112; 119; 120; 124; 137; 199; 212; 458; 484; 486; 505; 506; 527; 564; 567; 605; 651; 684.
- ხმარაგდოვი, სერგი ნიკოლოზის-ძე (1805 — 1871) — მწერალი, ისტორიის სახელმძღვანელოთა ავტორი. — 487; 488; 489; 517; 518; 519; 521; 524; 525; 526.

- ხშირდინი, ალექსანდრე ფილოპეს-ძე (1795 — 1857) — წიგნის გამყიდველი და გამომცემელი. — 77; 92; 132; 133; 136; 700; 767; 773.
- ხნეგირევი, ივანე მიხეილის-ძე (1793 — 1866) — არქეოლოგი და რუსეთის სიძველეთა ძეგლების შემკრები, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. — 121.
- ხოკრატე (470 — 399 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის ფილოსოფოს-იდეალისტი. — 533.
- ხოლოგუბი, ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე, გრაფი (1814 — 1882) — მწერალი. — 373.
- ხოლოვიოვი, სერგი მიხეილის-ძე (1820 — 1879) — ისტორიკოსი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი. — 766; 768.
- ხოლოშონი — ისრაელი ხალხის მეფე. — 328.
- ხოლონი (VII — VI სს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ათენელი კანონმდებელი და პოეტი, ერთი შვიდ ბერძენ ბრძენთაგანი. — 515.
- ხომოვი, ორესტ მიხეილის-ძე (1793 — 1833) — ბელეტრისტი. პოეტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი და ჟურნალისტი. — 61; 69.
- ხოფოკლე (დაახლოებით 495 — 405 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის პოეტი-დრამატურგი; დასწერა დიდძალი ტრაგედიები, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ შვიდმა მოაღწია. — 619; 620.
- ხტალი, ანა-ლუიზა-ჟერმენა, ბარონესა (1766 — 1817) — ფრანგი რომანისტი და პუბლიცისტი ქალი. — 83.
- ხტანკევიჩი, ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე (1813 — 1840) — ლიტერატორი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი, ბელინსკის, კოლცოვის, გრანოვსკისა და სხვ. ახლო მეგობარი, 30-იანი წლების ფილოსოფიურ-ლიტერატურული წრის მეთაური. — 183; 189; 190; 210; 295.
- ხტოიკოვიჩი, არ. აფ. (1814 — 1886) — ბიბლიოთეკარი და მწერალი. — 636.
- ხტროვი, ვლადიმერ მიხეილის-ძე (1812 — 1862) — ჟურნალისტი და მთარგმნელი, რომელიც ხშირად გამოდიოდა ფსევდონიმით: „B. B. B.“ — 527; 531.
- ხტრუგოვშჩიკოვი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე (1808 — 1878) — პოეტი და მთარგმნელი. — 121.
- ხუვოროვი, ალექსანდრე ვასილის-ძე (1729 — 1800) — განთქმული რუსი მხედართმთავარი. — 48; 272.
- ხუმაროკოვი, ალექსანდრე პეტრეს-ძე (1718 — 1777) — დრამატურგი და პოეტი. პეტერბურგის პირველი თეატრის დირექტორი. — 7; 44; 45; 56; 58; 64; 76; 180; 88; 239; 240; 431; 554; 555; 575; 773.
- ხუტეი (საუტი), რობერტ (1774 — 1843) — რომანტიკული „ტბის სკოლის“ ინგლისელი პოეტი. — 137.
- ხციპიონი, პუბლიუს-კორნელიუსი (235 — 184 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — რომაელი მხედართმთავარი. — 260.

- ტალირან-პერიგორი, შარლ-შორის (1754 — 1838) — ფრანგი დიპლომატი. — 163.
- ტასო, ტორკვატო (1544 — 1595) — განთქმული იტალიელი პოეტი, „განთავისუფლებული იერუსალიმის“ ავტორი. — 46; 76; 82.
- ტაციტი, პუბლიუს-კორნელიუსი (დაახლოებით 55—დაახლოებით 120) — რომაელი ისტორიკოსი. — 237.
- ტეგნერი, ისაია (1782 — 1846) — შვედი პოეტი. — 85.
- ტელიაკოვი, ვიქტორ გრიგოლისძე (1804 — 1842) — პოეტი და მოგზაური. — 136.
- ტესტი, ჟან ბატისტ (1780 — 1852) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, სამართალში მისცეს და მექრთამეობისათვის დასაჯეს. — 789.
- ტიერი, ლუი-ადოლფ (1797 — 1877) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, „საფრანგეთის რევოლუცია! ისტორიის“ ავტორი. — 304; 504; 635.
- ტიერი, ოგიუსტენ (1795 — 1856) — ფრანგი ისტორიკოსი. — 208; 486; 504; 637.
- ტიმოლეონი (411 — 337 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — კორინთელი მხედართმთავარი, რომელმაც სირაკუზი გაათავისუფლა ტირან დიონისე უმცროსისაგან და სიცილიის ყველა ქალაქში აღადგინა რესპუბლიკა. — 290; 515.
- ტიმოფეევი, ალექსი ვასილის-ძე (1812 — 1883) — რუსი პოეტი. — 5.
- ტირანოვი, ალექსანდრე ვასილის-ძე (1808 — 1859) — რუსი მხატვარი-პორტრეტისტი. — 682.
- ტიუტჩევი, თევდორე ივანეს-ძე (1803 — 1873) — პოეტი, მსახურობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში, ღოღო შექმნეა უცხოეთის ცენზურის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. — 636.
- ტიციანი, ვეჩელიო (1477 — 1576) — იტალიელი მხატვარი, ვენეციის სკოლის მთავარი წარმომადგენელი. — 702.
- ტოლსტაია, სარა. გრაფინია — მწერალი ქალი. გარდაიცვალა 1838 წელს 17 წლის ასაკში. — 211.
- ტრედიაკოვსკი, ვასილ კირილეს-ძე (1703 — 1769) — რუსული და ლათინური მჭევრმეტყველების პროფესორი მეცნიერებათა აკადემიაში, პოეტი და მეცნიერ-ფილოლოგი. — 11; 39; 78; 571; 572; 645; 655; 773; 783.
- ტრიშატნი — მეფის გენერალი. კორპუსის უფროსი. გასული საუკუნის 40-იან წლებში სამართალში მისცეს ხაზინის ქურდობისათვის. — 788.
- ტუმანსკი, ვასილ ივანეს-ძე (დაახლოებით 1801 — 1853) — მაცლებად ცნობილი პოეტი. — 5.
- ტურგენევი, ივანე სერგის-ძე (1818 — 1883) — განთქმული რუსი მწერალი. — 619; 700; 750; 751; 752; 753; 754; 759; 786; 787.
- ტ. ჩ. — იხ. მარჩენკო, ანასტასია იაკობის ასული.

- უვაროვი, სერგი სიმონის-ძე, გრაფი (1786 — 1855) — მეფის მინისტრი სახალხო განათლებისა. მას ეკუთვნის ყბადაღებული ფორმულა: „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ხალხურობა“. — 289; 766; 806.
- უშაკოვი, ვასილ აპოლონის-ძე (1789 — 1838) — ბელეტრისტი, ავტორი მოთხრობისა „პიუშა“; რომელიც დასცინის ბელინსკის. — 128; 636; 661.
- უბიუსი — რომაული პატრიციული გვარი. ეტყობა, აქ ბელინსკის მხედველობაში ჰქონდა ამ გვარის ერთ-ერთ წევრი — კვინტ უბიუს მაქსიმუსი, ძველი რომის მხედართმთავარი, რომელიც გარდაიცვალა III საუკუნის დამლევს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. — 260.
- უან-დერ-ფელდე, ფრანც კარლ (1779 — 1824) — გერმანელი ბელეტრისტი და დრამატურგი. — 651.
- უელიქს პია (1810 — 1889) — ფრანგი რევოლუციონერი, ბელეტრისტი და დრამატურგი, ავტორი ნაწარმოებისა „მეძმონძენი“, რომელიც წარმოადგენს კარიკატურას ბურჟუაზიაზე. — 792.
- უერდინანდი (1721 — 1791) — ბრაუნშვეიგის ჰერცოგი, მხედართმთავარი. — 526.
- უერდინანდ V „კათოლიკე“ (1452 — 1516) — არაგონისა და კასტილის მეფე. — 515.
- უერი — ავტორი მოთხრობებისა: „ხოზე ხუანი“ და „ცხენთა მომთვინიერებელი“, რომლებიც დაიბეჭდა „სოვრემენნიკში“. — 765.
- უილოჲ II (1525 — 1598) — ესპანეთის მეფე 1556 — 1598 წლებში. — 281.
- უიხტი, იოჰან-გოტლიბ (1762 — 1814) — გერმანელი ფილოსოფოსი, სუბიექტური იდეალიზმის კლასიკური წარმომადგენელი. — 157; 172; 180; 479; 540.
- უოკიონი — ათენელი მხედართმთავარი, ცხოვრობდა IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. — 290.
- უონ-ვიზინი, დენის ივანეს-ძე (1745 — 1792) — რუსი მწერალი, სატირიკოსი, ავტორი კომედიებისა: „უსწავლელა“ და „ბრიგადირი“. — 49; 54; 57; 59; 68; 240; 362; 369; 477; 556; 577; 658; 767; 773.
- უოსი, იოჰან ფრიდრიხ (1751 — 1826) — გერმანელი პოეტი და მთარგმნელი. — 73.
- ურანცისკო I (1494 — 1547) — საფრანგეთის მეფე. — 317; 521.
- ურიდრიხ II, დიდი (1712 — 1787) — გერმანიის იმპერატორი. — 787.
- უროლოვი, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე (1812 — 1855) — გეოგრაფოსი; სწავლობდა გერმანიაში, სადაც მის გარშემო შემოკრებილი იყვნენ გრანოვსკი, ტურგენევი, ბაკუნინი და სხვები. — 766.
- უალიკოვი, პეტრე ივანეს-ძე, თავადი (დაახლოებით 1768 — 1852) — მწერალი და ჟურნალისტი. — 8; 62; 67.

- შამპოლიონი, ჟან-ფრანსუა (1791 — 1832) — ფრანგი ევკლიტოლოგი, რომელმაც ევროგლიფები ამოიკითხა. — 8.
- შატობრიანი, ფრანსუა-ოგიუსტ, რენე, ვიკონტი (1768 — 1848) — ფრანგი რომანისტი. — 83.
- შაფიროვი, პეტრე პავლეს-ძე, ბარონი (1670 — 1739) — დიპლომატი და მწერალი. პეტრე პირველთან ერთად დასწერა „მსჯელობა შვედეთის ომზე“. — 249.
- შახოვსკოი, ალექსანდრე ანდრეას-ძე, თავადი (1777 — 1846) — პოეტი და დრამატურგი, ავტორი ლექსისა „ნაპარავი უშუბრობანი“. — 58; 773.
- შევიროვი, სტეფანე პეტრეს-ძე (1806 — 1864) — კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიის პროფესორი და რეაქციული მიმართულების ჟურნალისტი, რომელიც მუდამ ებრძოდა ბელინსკის; პოგოდინთან ერთად მოაწყო ჟურნალი „მოსკვიტაინი“. — 98; 99; 173; 177; 189; 206; 543; 544; 634; 635; 700; 769; 770; 771; 772.
- შენი, მიხეილ ბორისის-ძე (სიკვდილით დასაჯეს 1634 წ.) — ბოიარი და ეოეკოდა. — 248.
- შელინგი, ფრიდრიხ-ვილჰელმ-იოზებ (1775 — 1854) — გერმანელი იდეალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი. — 157; 194; 466; 479; 540; 782; 785.
- შექსპირი, უილიამ (1564 — 1616) — დიდი ინგლისელი დრამატურგი. — 3; 5; 7; 23; 24; 46; 50; 53; 72; 80; 82; 84; 101; 103; 104; 106; 147; 168; 176; 197; 205; 212; 358; 374; 564; 566; 567; 605; 619; 683; 684; 690; 691; 740.
- შილერი, ფრიდრიხ (1759 — 1805) — რომანტიკული მიმართულების განთქმული გერმანელი პოეტი და დრამატურგი. — 3; 7; 23; 24; 50; 72; 73; 76; 82; 98; 99; 101; 103; 104; 112; 137; 147; 167; 168; 190; 191; 192; 193; 194; 195; 196; 199; 212; 280; 288; 292; 295; 304; 374; 504; 564; 567; 732; 790.
- შირინსკი-შიხმატოვი, სერგი ალექსანდრეს-ძე, თავადი (1783 — 1837) — რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პოეტი. — 221; 648; 649.
- შლეგელი, ავგუსტ-ვილჰელმ (1767 — 1845) — ცნობილი გერმანელი კრიტიკოსი, ლიტერატურის ისტორიკოსი და პოეტ-მთარგმნელი. — 73; 80; 82.
- შლეცერი, ავგუსტ-ლიუდვიგ (1735 — 1809) — გერმანელი ისტორიკოსი. — 9; 117; 503.
- შლოსერი, ფრიდრიხ (1776 — 1861) — გერმანელი ისტორიკოსი. — 504.
- შუვალოვი, ივანე ივანეს-ძე (1727 — 1797) — სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის ფავორიტი, ლომონოსოვის მფარველი. — 42.

- შჩეკინი, მიხეილ სიმონისძე (1788 — 1863) — განთქმული რუსი მსახიობი, რომელიც ყმა გლეხთაგან გამოვიდა; ბელინსკის მეგობარი. — 546; 790.
- ცეზარი — იხ. კეისარი.
- ცელტესი (ცელტი), კონრად (1459 — 1508) — გერმანელი ჰუმანისტი, მწერალი, მკვებრმეტყველების პროფესორი. — 524.
- ცოცერონი, მარკ ტულიუსი (106 — 43 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი, ფილოსოფოსი და მწერალი. — 15; 42; 523.
- ხანეკო, ივანე ივანესძე — ბელინსკის მეგობარი, მასწავლებელი. — 304; 305; 306.
- ხენსიეტრი, ივანე ივანესძე (1745 — 1784) — ივანე მწერალი, კრილოვის ერთ-ერთი გამოჩენილი წინამორბედი. — 9; 56; 57; 170; 363; 576; 578; 658; 773.
- ხერასკოვი, მიხეილ მათესძე (1733 — 1807) — პოეტი, დრამატურგი და რომანისტი. — 7; 56; 62; 64; 81; 85; 88; 554; 575; 576; 773.
- ხმელნიცკი, ზინობი ბოგდან (დაახლოებით 1593 — 1657) — უკრაინის გეტმანი, ბელადი კაზაკთა აჯანყებებისა პოლონელ შემამულეთა წინააღმდეგ. — 773.
- ხომიაკოვი, ალექსი სტეფანესძე (1804 — 1860) — მწერალი, სლავიანო-ფილთა ერთ-ერთი ბელადი, მდარე „პატრიოტული“ მიმართულების პოლიტიკური სტატიებისა და მალაღფარდოვანი ლექსების ავტორი. — 136; 545.
- ხაინე, ჰენრიხ (1797 — 1856) — განთქმული გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, რომელიც გერმანიიდან გააძევეს რევოლუციური მიმართულების პამფლეტებისათვის. — 188; 193; 196; 204; 282.
- ხარდი, ალექსანდრე (დაახლოებით 1569 — 1632) — ფრანგი დრამატურგი. — 57.
- ხეგელი, გეორგ-ვილჰელმ-ფრიდრიხ (1770 — 1831) — ცნობილი ფილოსოფოსი, გერმანული იდეალიზმის უდიდესი წარმომადგენელი. — 157; 168; 169; 172; 191; 194; 205; 275; 280; 281; 282; 292; 306; 460; 479; 480; 500; 504; 540; 692; 776; 782.
- ხეზიოდე (ჰესიოდე) — ძველი საბერძნეთის პოეტი. — 206.
- ხენრიხ IV (1050 — 1106) — რომ-გერმანიის იმპერატორი. — 515; 521.
- ხერდერი, იოჰან-გოტფრიდ (1744 — 1803) — გერმანელი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, პოეტი და კრიტიკოსი. — 137; 503; 524.
- ხერკულესი — იგივეა, რაც ჰერაკლე ანუ ირაკლი, ძველი ბერძნული ეპოსის გმირი, რომელიც თიზიკური ძალის იდეალის განსახიერებაა. — 26; 48; 83; 234; 269; 363.

- ბიოშელი, კარლ-ფრიდრიხ (1784 — 1862) — გერმანელი ფილოსოფოსი, ჰეგელის მოწაფე, რომელიც ცდილობდა ჰეგელის და გოეთეს მოძღვრების შეერთებას ეკლესიის მოძღვრებასთან. — 169.
- პიუგო, ვიქტორ (1802 — 1885) — განთქმული პოეტი და რომანისტი, ფრანგი რომანტიკოსებს მეთაური. — 85; 137; 191; 212; 528; 696.
- პომეროსი (ომერი, ომირი) (IX ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ძველი საბერძნეთის პოეტი, „ილიადის“ და „ოდისეის“ ლეგენდარული შემქმნელი. — 7; 15; 46; 56; 82; 121; 139; 148; 195; 207; 212; 237; 431; 464; 523; 605.
- პორაციუსი, ფლავიუსი (65 — 8 წწ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) — ცნობილი რომაელი პოეტი. — 48; 53; 107; 237; 431; 452.
- პოფმანი, ერნსტ-ტეოდორ ვილჰელმ-ამედე (1776 — 1822) — გერმანელი მწერალი, რომანტიკოსი. ფანტასტიკური ნოველების ავტორი. — 212; 761.
- ბუმბოლდტი, ალექსანდრ-ფრიდრიხ-ვილჰელმ (1769 — 1859) — გერმანელი ნატურალისტი. — 636; 637; 766.
- ბუსი, იან (იოანე) (1369 — 1415) — ჩეხი რელიგიური რეფორმატორი, უცხოელთა ბატონობის დასამხობად და კათოლიკური ეკლესიისგან ჩაგვრის წინააღმდეგ მომხდარი სახალხო აჯანყების ხელმძღვანელი. — 522.

შ ი ნ ა ა რ ს ი

83.

ბ. გ. ბელინსკი და მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა
(წინასიტყვაობა)

III—LI

რჩეული სტატიები. 1834 — 1836 წწ.

ლიტერატურული ოცნებანი . 3
ზნეობრივი ფილოსოფიის სისტემის ცდა. თხზულება მაგისტრ
ალექსი დროზდოვისა 143

რჩეული წერილები და რეცენზიები. 1837 — 1841 წწ.

წერილები. 1837 — 1840 წწ.

დ. პ. ივანოვს. 7 აგვისტო 1837 (ნაწყვეტი) 155
მ. ა. ბაკუნინს. 12—24 ოქტომბერი 1838 (ნაწყვეტი) 167
ნ. ე. სტანკევიჩს. 29 სექტემბერი — 8 ოქტომბერი 1839 (ნაწყვეტი) 189
ვ. პ. ბოტკინს. 13 ივნისი 1840 (ნაწყვეტი) 196
კ. ს. აქსაკოვს. 23 აგვისტო 1840 200
ვ. პ. ბოტკინს. 10 — 11 დეკემბერი 1840 (ნაწყვეტი) 201

რეცენზიები. 1840 — 1841 წწ.

ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ სისტემაში მეთხუთმეტე საუ-
კუნის მიწურულიდან მომხდარ გადატრიალებათა გამოხატუ-
ლება. თხზულება ფ. ანსილიონისა 213
საქმენი პეტრე დიდისა, რუსეთის ბრძენი გარდამქმნელისა. თხზუ-
ლებანი ი. ი. გოლიკოვისა და ზენიამინ ბერგმანისა 217

რჩეული სტატიები, რეცენზიები და წერილები.

1841 — 1845 წწ.

წერილები. 1841 წ.

ვ. პ. ბოტკინს. 1 მარტი 1841 (ნაწყვეტი) 279
ვ. პ. ბოტკინს. 27 — 28 ივნისი 1841 (ნაწყვეტი) 286
ვ. პ. ბოტკინს. 8 სექტემბერი 1841 292
ხელოვნების იდეა 307
1843 წლის რუსული ლიტერატურის უმთავრესი მოვლენების მიმო-
ხილვა 335

	33
თხზულებანი ალექსანდრე პუშკინისა	
სტატია მერვე. ევგენი ონეგინი	346
სტატია მეცხრე. ევგენი ონეგინი	410

რეცენზიები. 1812 — 1846 წწ.

მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო. თხზულება ფ. ლორენცისა	457
მალროსიის ისტორია ნიკოლოზ მარკევიჩისა	471
სახელმძღვანელოს ახალი ისტორიის შექმენებისათვის ს. სმარაგ- ლოვისა	487
პარიზის საიდუმლოებანი. რომანი ეენ სიუსი	527
თეორიულ-მატერიალური ფილოსოფიის შექმენების სახელმძღვანე- ლო. თხზულება ა. პ. ტატარინოვისა	539
წერილი ა. ი. გერცენს. 26 იანვარი 1845 წ.	543

რჩეული სტატიები. რეცენზიები და წერილები.

1846 — 1848 წწ.

აზრები და შენიშვნები რუსულ ლიტერატურაზე	549
1846 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა	579
1847 წლის რუსული ლიტერატურის მიმოხილვა	610

რეცენზიები. 1847 — 1848 წწ.

დედამიწის სურათი თვალსაჩინოობისათვის ფიზიკური გეოგრაფიის სწავლების დროს, შედგენილი ა. ფ. კოსტელის მიერ	775
ებრაელთა სექტები რუსეთში. შედგენილი ვ. ვ. გრიგორიევის მიერ. სპბ. 1847	777

წერილები. 1817 — 1848 წწ.

ვ. პ. ბოტკინს. 17 თებერვალი 1847 (ნაწიკეტი)	731
ვ. პ. ბოტკინს. 7 ივლისი 1847 (ნაწიკეტი)	788
ვ. პ. ბოტკინს. დეკემბერი, 1847 (ნაწიკეტი)	790
ნ. ე. გოგოლს. 3 ივლისი 1847 წ.	798

კომენტარები

ბ. გ. ბელინსკის ცხოვრებისა და შექმენების უმთავრესი თარიღები	815
შენიშვნები	931
სახელთა საძიებელი	931